



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha
5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia



ბ. შარდსი
გაპიტაღი

კ. მარქსი

კაპიტალი

პოლიტიკური ეკონომიის კრიზიკა

ტომი მესამე
ნაწ. II

წიგნი III: კაპიტალის წარმოების ერთობლივი
პროცესი

წიგნი მესამე

ქავიჯალისგური წარმოების
ერთობლივი პროცესი

ნაწილი მეორე

განყოფილება მეხუთე

მომავლის დაყოფა სარგებლად და მანარმის შემოსავლად. სარგებელმომგვანი კაპიტალი.

(გაგრძელება)

თავი ოცდამეცხრე

საბანკო კაპიტალის უმადგენელი ნაწილები

ახლა ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ, რისგან შედგება საბანკო კაპიტალი.

ჩვენ ეს-არის ვნახეთ, რომ ფულარტონი და სხვები განსხვავებას ფულსა როგორც მიმოქცევის საშუალებასა და ფულსა როგორც გადახდის საშუალებას შორის (აგრეთვე როგორც მსოფლიო ფულს შორის, რამდენადაც მხედველობაში მიიღება ოქროს მიქცევა) აქცევენ განსხვავებად მიმოქცევისა (currency) და კაპიტალს შორის.

ის თავისებური როლი, რომელსაც აქ კაპიტალი ასრულებს, იწვევს იმას, რომ როგორი გულმოდგინებითაც განსწავლული ეკონომია ცდილობდა იმის ჩაგონებას, რომ ფული არაა კაპიტალიო, ისეთივე გულმოდგინებით ეს ბანკირთა ეკონომია ჩააგონებს ყველას, რომ ფული კაპიტალია par excellence სუბირატესად.

მაგრამ შემდგომი გამოკვლევის მსვლელობაში ჩვენ ცხადვყოფთ, რომ აქ ფულად კაპიტალს ურევენ moneyed capital-ში სარგებელმომტანი კაპიტალის აზრით, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში ფულადი კაპიტალი კაპიტალის სხვა ფორმებისგან: საქონლური კაპიტალისა და მწარმოებლური კაპიტალისაგან განსხვავებით ყოველთვის კაპიტალის მხოლოდ გარდამავალი ფორმაა.

საბანკო კაპიტალი შედგება: 1) ნაღდი ფულისგან, ოქროსა ან ბანკნოტებისგან; 2) ფასიანი ქაღალდებისგან. ეს უკანასკნელი ჩვენ შეგვიძლია კვლავ ორ ნაწილად დავყოთ: სავაჭრო ქაღალდებად, გადასახდელ თამასუქებად, რომლებსაც დროდადრო გადახდის ვადა

უდგებათ და რომელთა დისკონტირება საკუთრივ ბანკირის საქმიანობას შეადგენს; და საზოგადოებრივ ფასიან ქალაქებად, როგორცაა სახელმწიფო ქალაქები, ხაზინის მოწოდებები, ყოველგვარი აქციები, — მოკლედ, სარგებელმომტან ქალაქებად, რომელნიც არსებითად განსხვავდებიან თამასუქებისაგან. ამ უქანასკნელთ შეიძლება მივათვალოთ აგრეთვე ჰიპოთეკები. ამ ნივთობრივი შემადგენელი ნაწილებისაგან შედგენილი კაპიტალი, თავის მხრივ, იყოფა კაპიტალად, რომელიც თვით ბანკირის მიერაა დაბანდებული, და ანაბრებად, რომლებიც შეადგენს მის banking capital-ს [საბანკო კაპიტალს] ანუ სესხად აღებულ კაპიტალს. ბანკოტების გამომწვევებ ბანკებში ამას ემატება კიდევ ეს ბანკოტები. ანაბრებს და ბანკოტებს ჩვენ ჯერჯერობით ყურადღების გარეშე დავტოვებთ. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ბანკირის კაპიტალის ნამდვილი შემადგენელი ნაწილები — ფული, თამასუქები, პროცენტისანი ქალაქები — სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, წარმოდგენენ ეს სხვადასხვა ელემენტები ბანკირის საკუთარ კაპიტალს, თუ ანაბრებს, ე. ი. სხვა ადამიანთა კაპიტალს. კაპიტალის დაყოფა ნაწილებად უცვლელი რჩება. იმისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი კაპიტალით წარმართავს ბანკირი საქმეს თუ მხოლოდ დეპონირებული კაპიტალით.

სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმიდან გამომდინარეობს ის, რომ ყოველი განსაზღვრული და რეგულარული ფულადი შემოსავალი წარმოგვიდგება როგორც კაპიტალის სარგებელი, მიუხედავად იმისა, კაპიტალი წარმოქმნის მას თუ არა. ჯერ ფულადი შემოსავალი იქცევა სარგებლად, ხოლო შემდეგ, რაკი სარგებელი არის, გამოინახება კაპიტალიც, რომელიც ამ სარგებელს წარმოქმნის. ასევე სარგებელმომტანი კაპიტალის არსებობისას ღირებულების ყოველი ჯამი კაპიტალად წარმოგვიდგება, რაკი იგი არ იხარჯება როგორც შემოსავალი, — სახელდობრ, წარმოგვიდგება ძირითად თანხად (principal), წინააღმდეგ სარგებლისა, რომლის მოცემა მას შეუძლია ან რომელსაც ნამდვილად იძლევა.

საქმის არსი მარტივია: ვიგულისხმობთ, რომ სარგებლის საშუალო განაკვეთი შეადგენს 5%-ს წლიურად. მაშასადამე 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობის თანხა, სარგებელმომტან კაპიტალად გადაქცეული, წლიურად 25 გირვ. სტერლინგს მოიტანდა. ამიტომ ყოველი 25 გირვ. სტერლინგის რაოდენობის მუდმივი წლიური შემოსავალი განიხილება როგორც 500 გირვ. სტერლ. კაპიტალის სარგებელი. მაგრამ ეს წმინდა ილუზორული წარმოდგენაა, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც 25 გირვ. სტერლინგის შემოსავლის წყარო — წარმოდგენს იგი საკუთრების უბრალო ტიტულს ან სავალო მოთხოვნას, თუ წარმოების ნამდვილ ელემენტს, როგორც, მაგალითად, მიწის ნაკვეთი, — შეიძლება უშუალოდ გადაცემულ იქნეს ხელიდან ხელში, ან ისეთ ფორმას მიიღებს, რომელშიც შეიძლება მისი ასეთი გადაცემა. ავიღოთ მაგალითისთვის სახელმწიფო ვალი და ხელფასი.

სახელმწიფომ ყოველწლიურად უნდა უხადოს თავის კრედიტორებს განსაზღვრული რაოდენობის სარგებელი მის მიერ. ნასესხებ კაპიტალზე. აქ კრედიტორს არ შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს თავისი კაპიტალი, მას შეუძლია გაყიდოს მხოლოდ თავისი სავალო მოთხოვნა, თავისი საკუთრების ტიტული. თვით კაპიტალი მოხმარებულია, დახარჯულია სახელმწიფოს მიერ. იგი აღარ არსებობს. რაც შეეხება სახელმწიფოს კრედიტორს, მას 1) აქვს სავალო ვალდებულება სახელმწიფოს სახელზე, ვთქვათ, 100 გირვ. სტერლინგისა; 2) ამ სავალო ვალდებულების ძალით მას ეძლევა უფლება სახელმწიფოს წლიური შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილზე, ე. ი. წლიური გადასახადების გარკვეულ ნაწილზე, ვთქვათ, 5 გირვ. სტერლინგის ანუ 5%-ის რაოდენობით; 3) მას შეუძლია ყოველ სხვა პირს მიჰყიდოს ეს 100 გირვ. სტერლინგის სავალო ვალდებულება. თუ სარგებლის განაკვეთი 5% და სახელმწიფოს გადახდისუნარი ექვს არ იწვევს, A მფლობელს შეუძლია ჩვეულებრივ 100 გირვ. სტერლინგად მიჰყიდოს B-ს თავისი სავალო ვალდებულება; იმიტომ რომ B-სთვის სავსებით სულ ერთია, გაასესხებს იგი 100 გირვ. სტერლინგს 5%-ად წელიწადში, თუ 100 გირვ. სტერლინგის გადახდით უზრუნველყოფს თავისთვის 5 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ხარკის მიღებას სახელმწიფოსგან. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში კაპიტალი, რომლის ნაბარტყად (სარგებლად) ითვლება გადახდა სახელმწიფოს მხრივ, ილუზორულ, ფიქტიურ კაპიტალად რჩება. და არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოსთვის სესხად მიცემული თანხა საერთოდ უკვე აღარ არსებობს. ეს თანხა საერთოდ არასოდეს არ ყოფილა კაპიტალის სახით დასახარჯავად, დასაბანდებლად განკუთვნილი, ის კი მხოლოდ კაპიტალის სახით დაბანდების გზით შეიძლებოდა გადაქცეულიყო თვითშემნარჩუნებელ ღირებულებად. თავდაპირველი A კრედიტორისათვის სახელმწიფოს წლიური გადასახადების ის ნაწილი, რომელიც მას ერგება, მისი კაპიტალის სარგებელს წარმოადგენს, — სრულიად ისე, როგორც მეფანშისათვის კაპიტალის სარგებელს წარმოადგენს მფლანგველის ქონების ის ნაწილი, რომელიც მას ერგება, თუმცა ორსავე შემთხვევაში გასესხებული ფულადი თანხა არ ყოფილა კაპიტალის სახით დახარჯული. სახელმწიფოს სავალო ვალ-

დებულების გაყიდვის შესაძლებლობა A -სთვის წარმოდგენს ძირითადი თანხის უკუდაბრუნების შესაძლებლობას. რაც შეეხება B -ს, მისი კერძო თვალსაზრისით მისი კაპიტალი სარგებელმომტანი კაპიტალის სახითაა დაბანდებული. არსებითად კი B მხოლოდ დადგა A -ს ადგილას და იყიდა ამ უკანასკნელის კუთვნილი სავალო მოთხოვნა სახელმწიფოს მიმართ. რაგინდ ძალიანაც არ უნდა გამრავლდეს ამგვარ გარეგებათა რიცხვი, სახელმწიფო ვალის კაპიტალი რჩება წმინდა ფიქციური, და იმ მომენტიდან, როცა სავალო მოწმობათა მყიდველები აღარ აღმოჩნდებოდნენ, ამ კაპიტალის მოჩვენებითი გარეგნობაც კი გაქრებოდა. მაგრამ მაინც, როგორც ჩვენ ახლავე დავინახავთ, ამ ფიქციურ კაპიტალს თავისი საკუთარი მოძრაობა აქვს.

ჩვენ ახლა განვიხილავთ სამუშაო ძალას წინააღმდეგ სახელმწიფო ვალის კაპიტალისა, სადაც უარყოფითი სიდიდე კაპიტალად წარმოგვიდგება, — როგორც საერთოდ სარგებელმომტანი კაპიტალი დედა ყოველგვარი უკუღმართი ფორმებისა, ასე რომ, მაგალითად, ვალი შეიძლება საქონლად მოჩანდეს ბანკირის წარმოდგენაში. ხელფასი აქ განიხილება როგორც სარგებელი და, მაშასადამე, სამუშაო ძალა — როგორც კაპიტალი, რომელიც ამ სარგებელს იძლევა. თუ, მაგალითად, წლიური ხელფასი = 50 გირვ. სტერლინგს და სარგებლის განაკვეთი 5%-ს შეადგენს, ამ შემთხვევაში წლიური სამუშაო ძალა 1 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალის თანატოლად ითვლება. კაპიტალისტური წარმოდგენის წესის უკუღმართობა აქ თავის მწვერვალს აღწევს; ნაცვლად იმისა, რომ კაპიტალის ზრდა სამუშაო ძალის ექსპლოატაციით აიხსნას, სამუშაო ძალის მწარმოებლობას, პირიქით, იმით ხსნიან, რომ თვით ეს სამუშაო ძალა მისტიკური ნივთია, სარგებელმომტანი კაპიტალია. XVII საუკუნის მეორე ნახევარში (მაგალითად, პეტისთან) ეს ჩვეულებრივი წარმოდგენა იყო, მაგრამ დღესაც სრული სერიოზულობით იყენებენ მას ნაწილობრივ ვულგარული ეკონომისტები, ნაწილობრივ და უმთავრესად გერმანელი სტატისტიკოსები¹. სამწუხაროდ, არსებობს ორი უსიამოვნო გარემოება, რომელიც ფუშავს ამ უაზრო წარმოდგენას: პირველი, მუშამ უნდა იმუშაოს ამ სარგებლის მისაღე-

¹ ამუშას აქვს კაპიტალიზებულიება, რომლის სიდიდის განსაზღვრას ვიპოვით, თუ ჩვენ მისი ყოველწლიური გასამრჯელოს ფულად ღირებულებას განვიხილავთ როგორც სარგებელშემოსავალს... თუ ჩვენ... საშუალო დღიური ხელფასის კაპიტალიზაციას მოვახდენთ 4%-ის კვალობაზე, მივიღებთ მამრობითი სქესის სოფლის მეურნეობის მუშის საშუალო ღირებულებას: გერმანული ავსტრიისთვის 1 500 ტალერს, პრუსიისათვის 1 500-ს, ინგლისისთვის 3 750-ს, საფრანგეთისთვის 2 000-ს, შიდა რუსეთისთვის 750 ტალერს» (Von Reden: «Vergleichende Kulturstatistik», Berlin, 1848, გვ. 434).

ბად და, მეორე, მას არ შეუძლია თავისი სამუშაო ძალის კაპიტალიზირებულება წკრიალა მონეტად აქციოს სხვისთვის მისი გადაცემის გზით. სინამდვილეში მისი სამუშაო ძალის წლიური ღირებულება უდრის მის საშუალო წლიურ ხელფასს, და თავისი შრომით მან უნდა აუნაზღაუროს მისი სამუშაო ძალის მყიდველს თვით ეს ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება, მისი ზრდის შედეგი. მონობის სისტემაში მუშა კაპიტალიზირებულებას წარმოადგენს, მას ნაყიდობის ფასი აქვს. და თუ მას ქირით ვასცემენ, დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს, ჯერ ერთი, მისი ნაყიდობის ფასის სარგებელი და, გარდა ამისა, აანაზღაუროს კაპიტალის წლიური გაცვეთა.

ფიქციური კაპიტალის წარმოქმნას კაპიტალიზაციას უწოდებენ. ყოველი რეგულარულად განმეორებული შემოსავლის კაპიტალიზაციას ახდენენ იმით, რომ მას გამოიანგარიშებენ სარგებლის საშუალო განაკვეთის საფუძველზე როგორც შემოსავალს, რომელსაც მოიტანდა სარგებლის ამ განაკვეთის მიხედვით გასესხებული კაპიტალი; თუ, მაგალითად, წლიური შემოსავალი = 100 გირვ. სტერლ. და სარგებლის განაკვეთი = 5%, მაშინ 100 გირვ. სტერლ. წარმოადგენს 2 000 გირვ. სტერლინგის წლიურ სარგებელს, და ეს 2 000 გირვ. სტერლ. ითვლება ახლა კაპიტალიზირებულებად იურიდიული საკუთრების ტიტულისა 100 გირვ. სტერლ. წლიური შემოსავლის მიმართ. იმისათვის, ვინც ამ საკუთრების ტიტულს ყიდულობს, ეს 100 გირვ. სტერლ. წლიური შემოსავალი მართლა წარმოადგენს 5%-ად დაბანდებული მისი კაპიტალის სარგებელს. ამრიგად, აქ კაპიტალის ღირებულების ნამდვილ ზრდის პროცესთან კავშირის ყოველი კვალი დაკარგულია, და განმტკიცებულია წარმოდგენა კაპიტალზე როგორც ავტომატურად თვითმზარდ ღირებულებაზე.

იქაც კი, სადაც სავალო ვალდებულება — ფასიანი ქაღალდი — არ წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ვალის შემთხვევაში, წმინდა ილუზორულ კაპიტალს, ამ ქაღალდის კაპიტალიზირებულება მაინც წმინდა ილუზორულია. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ როგორ წარმოშობს საკრედიტო სისტემა ასოციაციაში გაერთიანებულ კაპიტალს. ქაღალდები ითვლება საკუთრების ტიტულად და ამ კაპიტალს წარმოადგენენ. რკინიგზების, მადნების, ნაოსნობის და სხვ. საზოგადოებათა აქციები წარმოადგენენ ნამდვილ კაპიტალს, სახელდობრ ამ საწარმოებში დაბანდებულ და მოქმედ კაპიტალს ან ფულად თანხას, რომელიც მონაწილეების მიერ ავანსებულია ასეთ საწარმოებში კაპიტალის სახით დასახარჯავად. ამასთან, რასაკვირველია, სრულიადაც გამორიცხული არაა იმის შესაძლებლობა, რომ ეს აქციები მხოლოდ თაღლი-

თურ საქმეს წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში ეს კაპიტალი ორმაგად არ არსებობს, — ერთხელ როგორც საკუთრების ტიტული, აქციების კაპიტალიზირებულება და მეორეჯერ როგორც აღნიშნულ საწარმოებში ნამდვილად დაბანდებული ან დასაბანდებელი კაპიტალი. კაპიტალი არსებობს მხოლოდ ამ უკანასკნელ ფორმაში, და აქცია მართოდენ ტიტულია საკუთრებისა, pro rata [პროპორციულად], იმ კაპიტალით მისაღებ ზედმეტ ღირებულებაზე. *A*-ს შეუძლია ეს ტიტული *B*-ს მიჰყიდოს, *B*-ს შეუძლია იგი *C*-ს მიჰყიდოს. ასეთი გარიგება არაფერს არ ცვლის საქმის არსებაში. *A* ან *B* ამ შემთხვევაში თავის იურიდიულ ტიტულს აქცევს კაპიტალად, ხოლო *C* თავის კაპიტალს — უბრალო ტიტულად საკუთრებისა აქციონერული კაპიტალისგან მოსალოდნელ ზედმეტ ღირებულებაზე.

საკუთრების ამ ტიტულების ღირებულების დამოუკიდებელი მოძრაობა — არა მარტო სახელმწიფო ფონდების, არამედ აქციებისაც — ადასტურებს ილუზიას, რომ ისინი შეადგენენ ნამდვილ კაპიტალს იმ კაპიტალის ან იმ პრეტენზიების გვერდით, რომელთა მიმართ ისინი, შეიძლება, ტიტულებს წარმოადგენენ. სახელდობრ, ისინი იქცევიან საქონლად, რომლის ფასი თავისებურად მოძრაობს და მყარდება. მათი საბაზრო ფასი იღებს მათი ნომინალური ღირებულებისაგან განსხვავებულ განსაზღვრას, რომელიც არაა დაკავშირებული ნამდვილი კაპიტალის ღირებულების ცვლილებასთან (თუმცა დაკავშირებულია ამ ღირებულების ზრდის ცვლილებასთან). ერთი მხრივ, აქციების საბაზრო ღირებულება მერყეობს იმ შემოსავლის სიმადლესა და უზრუნველყოფასთან ერთად, რომელზედაც ისინი უფლებას იძლევიან. თუ აქციის ნომინალური ღირებულება, ე. ი. ნამდვილად დაზარალებული თანხა, რასაც აქცია თავდაპირველად წარმოადგენდა, 100 გირვ. სტერლინგია და საწარმო 5%-ის ნაცვლად 10%-ს იძლევა, მაშინ, სხვა პირობების უცვლელობისას და 5% სარგებლის განაკვეთის არსებობისას, აქციის საბაზრო ღირებულება აიწევს 200 გირვ. სტერლინგამდე, იმიტომ რომ იგი, 5%-ის საფუძველზე კაპიტალიზებული, ახლა 200 გირვ. სტერლინგის რაოდენობის ფიქტიურ კაპიტალს წარმოადგენს. ის, ვინც ამ აქციას იყიდის, ამ კაპიტალდაბანდებაზე 5% შემოსავალს მიიღებს. პირიქით ხდება, თუ საწარმოს შემოსავალი კლებულობს. ამ ქაღალდების საბაზრო ღირებულება ნაწილობრივ სპეკულაციურია, ვინაიდან იგი განისაზღვრება არა მხოლოდ ნამდვილი შემოსავლით, არამედ აგრეთვე მოსალოდნელი, წინასწარ გამოანგარიშებული შემოსავლით. მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ ნამდვილი კაპიტალის ღირებულების ზრდის ინტენსივობა მუდმივია, ან თუ ავიღებთ ისეთ შემთხვევებს,

სადაც, როგორც ეს სახელმწიფო ვალის შემთხვევაშია, არავითარი კაპიტალი არ არსებობს, და ვიგულისხმებთ, რომ წლიური შემოსავალი კანონითაა ფიქსირებული და საერთოდ საკმაოდაა უზრუნველყოფილი, მაშინ ამ ფასიანი ქაღალდების ფასის აწევ-დაწევა სარგებლის განაკვეთის მოძრაობის პირუტყუ მიმართულებით მოხდება. თუ სარგებლის განაკვეთმა 5-იდან 10%-ზე აიწია, ფასიანი ქაღალდი, რომელიც უზრუნველყოფს 5 გირვ. სტერლ. შემოსავალს, მხოლოდ 50 გირვ. სტერლინგ კაპიტალს წარმოადგენს. თუ სარგებლის განაკვეთი $2\frac{1}{2}\%$ -მდე დაეცა, იგივე ფასიანი ქაღალდი 200 გირვ. სტერლინგ კაპიტალს წარმოადგენს. მისი ღირებულება ყოველთვის არის მხოლოდ კაპიტალიზებული შემოსავალი, ე. ი. ის შემოსავალი, რომელიც გამოთვლილია ილუზორულ კაპიტალზე სარგებლის არსებული განაკვეთის შესაბამისად. ამრიგად, ბაზარზე ფულის ნაკლებობის პერიოდებში ეს ფასიანი ქაღალდები ორმაგად დაეცემა ფასში; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მალა იწევს სარგებლის განაკვეთი და, მეორე, იმიტომ, რომ ამ ქაღალდებს მასობრივად გადაისვრიან ბაზარზე, რათა მათი რეალიზაცია შოახდინონ ფულის სახით. ფასის ეს დაცემა ხდება დამოუკიდებლად იმისაგან, მუდმივია ამ ქაღალდებით მათი მფლობელისთვის უზრუნველყოფილი შემოსავალი, როგორც სახელმწიფო ობლიგაციების შემთხვევაში, თუ კვლავ წარმოების პროცესის შეფერხება ამ ქაღალდებით წარმოდგენილი ნამდვილი კაპიტალის ღირებულების ზრდასაც შეეხება, როგორც ამას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამრეწველო საწარმოების მიმართ. უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნულ გაუფასურებას ემატება კიდევ ახალი. როგორც კი ქარიშხალი გადაივლის, ქაღალდები ისევ მალა იწევს თავის წინანდელ დონემდე, რამდენადაც ისინი გაკოტრებულ ან თაღლითურ საწარმოებს არ წარმოადგენენ. კრიზისის დროს მათი გაუფასურება მოქმედებს როგორც ფულადი ქონების ცენტრალიზაციის მძლავრი საშუალება².

² { უშუალოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა პარიზში საერთოდ საქონელი და ფასიანი ქაღალდები უაღრესად გაუფასურებული იყო და მათთვის მყიდველი სრულიად არ მოიპოვებოდა, ერთმა შვეიცარიელმა ვაჭარმა ლივერპულში, ბ-ნმა რ. ცვილენბარტმა (რომელმაც ეს შემთხვევა მამაჩემს უამბო), ნაღდ ფულად აქცია ყველაფერი, რაც კი შეეძლო, ამ ფულით პარიზს გაემგზავრა და როტშილდს მიმართა წინადადებით, საქმე ერთად ეაწარმოათო. როტშილდი მას ჩააქერდა, ეცა, ორივე მკლავი დაუჭირა: «Avez-vous de l'argent sur vous? — «Oui, M. le baron!» — «Alors vous êtes mon homme!» («ფული გაქვთ თან?» — «დიახ. ბ-ნო ბარონო», — «მაშ თქვენ ის კაცი ხართ, რომელსაც მე ვსაჭიროებ»), — და მათ მართლაც ბრწყინვალე ოპერაციები შეასრულეს. — ფ. მ. }

რამდენადაც ამ ქაღალდების გაუფასურება ან ღირებულების აწევა დამოუკიდებელია იმ ნამდვილი კაპიტალის მოძრაობისაგან, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ერის სიმდიდრე ასეთი გაუფასურების ან ღირებულების აწევის შემდეგ იმდენივეა, რამდენიც მანამდე იყო. «1847 წლის 23 ოქტომბრისათვის სახელმწიფო ფონდები და საარხო და საარკინიგზო აქციები გაუფასურებული იყო უკვე 114 725 225 გირვ. სტერლინგით» (ინგლისის ბანკის მმართველის მორისის ჩვენება დაკითხვის დროს 1847 — 1848 წ. ანგარიშში Commercial Distress-ის [ვაჭრობის კრიზისის] შესახებ). რამდენადაც მათი გაუფასურება არ გამოსახავდა წარმოებისა და რკინიგზებსა და არხებზე ტრანსპორტის ნამდვილ შეჩერებას, ან უკვე დაწყებულ საწარმოებზე ხელის აღებას, ანდა კაპიტალის ამო ჩაყრას მართლა ღირებულებამოკლებულ საწარმოებში, ერი ერთი გროშითაც კი უფრო ღარიბი არ გამხდარა იმის გამო, რომ გასკდა ნომინალური ფულადი კაპიტალის ეს საპნის ბუშტები.

ეს ქაღალდები სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა დაგროვილი პრეტენზიები, ოფრიდიული ტიტულები სამერმისო წარმოების მიმართ, რომელთა ფულადი ღირებულება ანუ კაპიტალღირებულება ან სრულიად არავითარ კაპიტალს არ წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ვალის შემთხვევაშია, ანდა იმ ნამდვილი კაპიტალის ღირებულებისგან დამოუკიდებლად რეგულირდება, რომელსაც ეს ქაღალდები წარმოადგენენ.

კაპიტალისტური წარმოების ყველა ქვეყანაში არსებობს უამრავი რაოდენობა ეგრეთწოდებული სარგებელმომტანი კაპიტალისა ანუ moneyed capital-ისა ამ ფორმით, და ფულადი კაპიტალის დაგროვებად მეტწილად იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ დაგროვება ამ პრეტენზიებისა წარმოების მიმართ, დაგროვება საბაზრო ფასისა, ან პრეტენზიათა ილუზორული კაპიტალღირებულებისა.

და, აი, ბანკირის კაპიტალის ნაწილი დაბანდებულია ამ ეგრეთწოდებულ სარგებლიან ქაღალდებში. ეს საკუთრივ ნაწილია სარეზერვო კაპიტალისა, რომელიც არ მოქმედებს ნამდვილ საბანკო საქმეში. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი შედგება თამასუქებისაგან, ე. ი. მრეწველ კაპიტალისტთა ან ვაჭართა გადახდის დაპირებებისაგან. ფულის გამსესხებლისთვის ეს თამასუქები სარგებლიანი ქაღალდებია, ე. ი., როცა იგი მათ ყიდულობს, გამოაკლებს სარგებელს იმ დროისათვის, რომელიც რჩება გადახდის ვადამდე. ესაა ის, რასაც დისკონტირებას უწოდებენ. მამსახადამე, ყველა მოცემულ მომენტში არსებულ სარგებლის

განაკვეთზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ დიდია გამოკლება იმ თანხიდან, რომელსაც თამასუქი წარმოადგენს.

დასასრულ, ბანკირის კაპიტალის უკანასკნელი ნაწილი შედგება მისი ფულადი რეზერვიდან ოქროს ან ბანკნოტების სახით. ანაბრები, თუ მეტნაკლებ ხანგრძლივად მათი ყოფნა ბანკის ხელში ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული, ყოველ მომენტში შეიძლება გატანილი იქნეს მეანაბრეთა მოთხოვნით. ისინი მუდამ მიქცევ-მოქცევაში იმყოფებიან. მაგრამ რაც გააქვს ერთს, მათ აღადგენს მეორე, ასე რომ საქმის ნორმალური მსვლელობის დროს მათი საერთო საშუალო ზღვრობა სულ მცირედ ირყევა.

განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებში ბანკების სარეზერვო ფონდები ყოველთვის გამოსახავს განძის სახით არსებული ფულის საშუალო რაოდენობას, ამასთან თვით ამ განძის ნაწილი, თავის მხრივ, შედგება ქაღალდებისაგან, უბრალო მოწმობებისაგან ოქროს მისაღებად, რომელთაც არავითარი საკუთარი ღირებულება არ გააჩნიათ. ამიტომ ბანკირის კაპიტალის უდიდესი ნაწილი წმინდა ფიქციურია და შედგება სავალო მოთხოვნებისა (თამასუქებისა), სახელმწიფო ქაღალდებისა (რომელნიც წარსულ კაპიტალს წარმოადგენენ) და აქციებისგან (მომავალ შემოსავალზე გაცემული მოწმობებისაგან). ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ კაპიტალის ფულადი ღირებულება, რომელსაც ეს, ბანკირის ჯავშნიან კარადებში დაწყობილი ქაღალდები, წარმოადგენენ, სრულიად ფიქციურია იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი უზრუნველყოფილი შემოსავლის მოწმობებია (როგორც სახელმწიფო ქაღალდების შემთხვევაში) ან საკუთრების ტიტულია ნამდვილ კაპიტალზე (როგორც აქციების შემთხვევაში), და რომ ეს ფულადი ღირებულება რეგულირდება იმ ნამდვილი კაპიტალის ღირებულებისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ეს ქაღალდები, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, წარმოადგენენ; ხოლო როდესაც ისინი წარმოადგენენ მოთხოვნებს შემოსავლის მიმართ და არა კაპიტალს, მაშინ მოთხოვნა ერთი და იმავე შემოსავლის მიმართ მუდმივად ცვალებადი ფიქციური ფულადი კაპიტალით გამოისახება. ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ ბანკირის ფიქციური კაპიტალი წარმოადგენს მეტწილად არა მის საკუთარ კაპიტალს, არამედ საზოგადოებისას, რომელსაც ეს კაპიტალი ბანკში შეაქვს სარგებლით ან სარგებლის მიუღებლად.

ანაბრების შეტანა ხდება ყოველთვის ფულით, ოქროთი ან ბანკნოტებით ან მათი მიღების მოწმობებით. სარეზერვო ფონდის გამოკლებით, რომელიც, ნამდვილი მიმოქცევის მოთხოვნილების შესაბამისად, ხან

შეიკუმშება და ხან გაფართოვდება, ეს ანაბრები სინამდვილეში მუდამ იმყოფება, ერთი მხრივ, მრეწველი კაპიტალისტებისა და ვაჭრების ხელში, რომელთა თამაშუქების დისკონტირება ამ ანაბრებით ხდება და რომელთაც სესხი აქედანვე ეძლევათ; მეორე მხრივ, იგი იმყოფება ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეთა (ბირჟის მაკლერთა) ხელში, ან კერძო პირთა ხელში, რომელთაც თავიანთი ფასიანი ქაღალდები გაუყიდნიათ. ანდა სახელმწიფოს ხელში (სახაზინო მოწმობათა და ახალ სესხთა შემთხვევაში). თვით ანაბრები ორგვარ როლს ასრულებენ. ერთი მხრივ, ისინი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სესხად გაიცემიან სარგებელმომტანი კაპიტალის სახით და, მამასადამე, არ მოიპოვებენ ბანკების სალაროებში, არამედ აღინიშნებიან მხოლოდ მათს დავთრებში როგორც მენაბრეთა თანხა. მეორე მხრივ, ისინი მოქმედებენ როგორც უბრალო ჩანაწერები დავთრებში, რამდენადაც მენაბრეთა საურთიერთო სავალო ვალდებულებათა გაწონასწორება ხდება ამ ანაბრებზე ჩეკების გაცემისა და ანგარიშებიდან მათი ურთიერთჩამოწერის გზით; ამასთან სავსებით სულ ერთია, ეს ანაბრები ერთსა და იმავე ბანკირთანაა, ასე რომ ეს უკანასკნელი ჩამოსწერს თანხას ერთი მენაბრის ანგარიშიდან და გადაიტანს მეორის ანგარიშზე, თუ ამას ასრულებენ სხვადასხვა ბანკები, რომელნიც ჩეკებს უცვლიან ერთმანეთს და მარტოდენ სხვაობას იხდიან.

სარგებელმომტანი კაპიტალისა და საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად ყოველი კაპიტალი წარმოგვიდგება გაორკეცებულად და ალაგ-ალაგ გასამეკეცებულადაც კი იმ სხვადასხვა წესის გამო, რომლის მეოხებით ერთი და იგივე კაპიტალი ანდა ერთი და იგივე სავალო მოთხოვნა სხვადასხვა ხელში სხვადასხვა ფორმით გვევლინება³.

³ [კაპიტალის ეს გაორკეცება და გასამეკეცება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა, მაგალითად, ფინანსური ტრესტების მეოხებით, რომელთაც ლონდონის საბირჟო ანგარიშებში უკვე განსაკუთრებული რუბრიკა აქვთ მიკუთვნებული. შეიქმნება საზოგადოება იმისათვის, რომ შეისყიდოს გარკვეული კატეგორიის სარგებელმომტანი ქაღალდები, ვთქვათ, უცხოეთის სახელმწიფო ქაღალდები, ინგლისის საქალაქო და ამერიკის სახელმწიფო სავალო ვალდებულებანი, სარკინიგზო აქციები და სხვ. კაპიტალი, ვთქვათ, 2 მილიონი გირვ. სტერლ., მოგროვდება აქციებზე ხელმოწერის გზით; გაბეგობა ყიდულობს სათანადო ფასიან ქაღალდებს, შემთხვევისამებრ შეტნაკლებ ენერგიულ სპეკულაციას ეწევა მათზე, ხოლო წლიური სარგებლის შემოსავალს, ხარჯების გამოკლების შემდეგ, ანაწილებს აქციონერებს შორის დივიდენდის სახით. — შემდეგ, ცოლადუ აქციონერულ საზოგადოებებში ჩვეულებად შემოღებულია ჩვეულებრივი აქციების დანაწილება ორი კატეგორიის აქციებად: preferred-ად [პრეფერენტიურ აქციებად] და deferred-ად [მეორე რიგის აქციებად]. Preferred — აქციებს ეძლევა ფიქსირებული სარგებელი,

ამ «ფულადი კაპიტალის» უდიდესი ნაწილი მთლად ფიქციურია. ყველა ანაბარი, სარეზერვო ფონდის გარდა, სხვა არაფერია; თუ არა მენაბრეთა ქონება, რომელიც ბანკირის ხელში იმყოფება, მაგრამ არასოდეს არ არსებობს ფაქტიურად ანაბარის სახით. რამდენადაც იგი უირო-ოპერაციებისათვის გამოიყენება, ის მოქმედებს როგორც კაპიტალი ბანკირებისთვის, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელნი მას სესხად გასცემენ. ბანკირები ერთმანეთს უსწორდებიან ამ არარსებულ ანაბარებზე გაცემული მოწმობებით, რომლებსაც ურთიერთ ჩამოწერენ ანგარიშებიდან.

იმ როლის შესახებ, რომელსაც კაპიტალი ასრულებს ფულის სესხად გაცემაში, ა. სმიტი ამბობს: «მაგრამ ფულად ოპერაციებშიც კი ფული წარმოადგენს იმავე დროს მხოლოდ მოწმობას, რასაც ხელიდან ხელში გადააქვს კაპიტალები, რომლებიც მათს მფლობელებს ვერ გამოუყენებიათ. ამ კაპიტალების სიდიდე შეიძლება თითქმის შეუზღუდველად აღემატებოდეს იმ ფულად თანხას, რომელიც მათი გაცემის იარაღს წარმოადგენს; ერთი და იგივე მონეტები თანამიმდევრობით ეწვევიან სამსახურს მრავალი სხვადასხვა სესხის დროს, სწორედ ისე, როგორც მრავალი სხვადასხვა ყიდვის დროს. მაგალითად, *A* სესხად აძლევს *W*-ს 1 000 გირვ. სტერლინგს, რითაც *W* მაშინვე *B*-სგან 1 000 გირვ. სტერლინგის საქონელს ყიდულობს. რადგან თვითონ *B* ვერ იყენებს ამ ფულს, იგი იმავე თანხას სესხად აძლევს *X*-ს, ხოლო *X* ამ თანხით მაშინვე *C*-სგან ყიდულობს ისევ 1 000 გირვ. სტერლინგის საქონელს. ამგვარად და იმავე საფუძვლით *C* თავის ფულს სესხად აძლევს *Y*-ს, რომელიც ამით ისევ საქონელს ყიდულობს *D*-სგან. ამრიგად, ოქროსი თუ ქალაღის ერთი და იგივე ფული შეიძლება რამდენიმე დღის განმავლობაში ასრულებდეს შუამავლის როლს სამი სხვადასხვა სესხისა და სამი სხვადასხვა ყიდვისათვის, რომელთა-

ვთქვათ, 5% — თუ ვიგულისხმებთ, რასაკვირველია, რომ ამის ნებას იძლევა საწარმოს მთელი მოგება; თუ ამის შემდეგ კიდევ რჩება რამე, — იგი *deferred* აქციებს ეძლევა. ამ გზით ხდება მეტად თუ ნაკლებად განცალკევება «სოლიდურია» კაპიტალბანდებისა *preferred* აქციებში საკუთრივ სასპეკულაციოსაგან, რომელიც *deferred* აქციებშია მოთავსებული. მაგრამ რადგან ცალკეულ მსხვილ საწარმოებს არ სურთ ეს ახალი მოდა ვაიზიარონ, ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ იქმნება საზოგადოებები, რომელნიც ერთ ან რამდენიმე მილიონ გირვ. სტერლინგს ამ საწარმოთა აქციებში ათავსებენ და შემდეგ, ამ აქციების ნომინალური ღირებულების შესაბამისად, ახალ აქციებს გამოუშვებენ, მხოლოდ — ნახევარს *preferred* აქციების სახით და მეორე ნახევარს *deferred* აქციებას სახით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველად აქციები გარკვეილად, ვინაიდან ისინი აქციების ახალი გამოშვების საფუძველს წარმოადგენენ. — **ფ. შ. }**

გან თვითეული ღირებულების მხრივ უდრის ამ ფულადი ნიშნების მთელ ჯამს. სამმა ფულის მეპატრონემ: *A-მ*, *B-მ* და *C-მ* სამ მსესხებელს: *W-ს*, *X-ს* და *Y-ს* გადასცეს მხოლოდ ძალაუფლება ამ ყიდვებისათვის. ამ ძალაუფლებაში მდგომარეობს ამ სესხთა როგორც ღირებულება, ისე სარგებლობა. სამი ფულის მეპატრონის მიერ გასცემული კაპიტალი უდრის საქონელთა ღირებულებას, რომელთა ყიდვა ამით შესაძლებელია, და სამჯერ უფრო ღირს იმ ფულის ღირებულებაზე, რომლითაც ეს სხვადასხვა ყიდვა სრულდება. მიუხედავად ამისა, ყველა ეს სესხი შეიძლება სრულიად უზრუნველყოფილი იყოს, ვინაიდან სხვადასხვა მოვალეების მიერ ნასესხები ფულით ნაყიდი საქონელი ისე გამოიყენება, რომ მას თავის დროს მოაქვს ტოლი ღირებულება მოგებითურთ ოქროს ან ქაღალდის ფულის სახით. და როგორც ერთი და ოგივე მონეტები შეიძლება შეამავლობას ეწეოდნენ სხვადასხვა სესხისათვის, რომელიც საერთოდ მათს ღირებულებას აღემატება სამჯერ ან ოცდაათჯერაც კი, ასევე შეიძლება ისინი თანმიმდევრობით კვლავ საშუალებას შეადგენდნენ ამ სესხთა უკუგადახდისათვის» (A. Smith: «Wealth of Nations») წიგ. II, თავი IV).

რადგან ფულის ერთსა და იმავე ერთეულს რამდენიმე სხვადასხვა შესყიდვის შესრულება შეუძლია, მისი მიმოქცევის სისწრაფის მიხედვით, ამიტომ მას შეუძლია ასევე რამდენიმე სხვადასხვა სესხის შესრულებაც, იმიტომ რომ შესყიდვას გადააქვს იგი ხელიდან ხელში, ხოლო სესხი წარმოადგენს მხოლოდ ხელიდან ხელში გადაცემას, რომელსაც არავითარი ყიდვა არ მოსაშუალებობს. გამყიდველთაგან თვითეულისთვის ფული წარმოადგენს მისი საქონლის გარდაქმნილ ფორმას; ამჟამად, როცა ყოველი ღირებულება გამოიხატება როგორც კაპიტალურიღირებულება, ფული სხვადასხვა სესხში წარმოადგენს რიგრიგობით სხვადასხვა კაპიტალს, რაც მხოლოდ სხვაგვარი გამოთქმისა შემოთ წამოყენებული ღებულებისა, რომ ფულს შეუძლია რიგრიგობით მოახდინოს სხვადასხვა საქონელიღირებულებათა რეალიზაცია. ამავე დროს ფული მიმოქცევის საშუალების სახით ემსახურება იმას, რომ ხელიდან ხელში გადაიტანოს ნივთობრივი კაპიტალები. სესხის შემთხვევაში ფული არ გადადის მიმოქცევის საშუალების სახით ხელიდან ხელში. ვიდრე გამსესხებლის ხელში რჩება, იგი მის ხელში წარმოადგენს არა მიმოქცევის საშუალებას, არამედ მისი კაპიტალის ღირებულების მყოფობას. ამ ფორმაში გამსესხებელი გადასცემს ფულს მესამე პიროვნებას. *A-ს* რომ ფული *B-სთვის* და *B-ს* რომ იგი *C-სთვის* მიესესხებია შესყიდვათა მოსაშუალებობის გარეშე, მაშინ იგივე ფული სამი კაპიტალის წარმომდგენი კი არ იქნებოდა, არამედ ერთი, მხოლოდ

ერთი კაპიტალიზაციებისა. თუ რამდენ კაპიტალს წარმოადგენს ნამდვილად ფული, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ ღირსად მოქმედებს იგი როგორც სხვადასხვა საქონლური კაპიტალების ღირებულების ფორმა.

ის, რასაც ა. სმიტი საერთოდ სესხთა შესახებ ამბობს. ძალაშია ანაბრების მიმართაც, რაც მხოლოდ განსაკუთრებული სახელია სესხისა, რომელსაც საზოგადოება აძლევს ბანკირებს. ერთი და იგივე მონეტები შეიძლება იარაღს შეადგენდნენ ანაბართა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის.

«უცილობლად მართალია, რომ 1 000 გირვ. სტერლინგი, რომელიც ვინმემ დღეს A-სთან შეიტანა ანაბრად, ხვალ კვლავ გაიციემა და ანაბარს შეადგენს B-სთან. ერთი დღის შემდეგ B-ს მიერ გაცემული ეს თანხა შეიძლება ანაბარს შეადგენდეს C-სთან და ასე დაუსრულებლად. ამიტომ 1 000 გირვ. სტერლინგი ფულადი თანხა მთელ რიგ გადაცემათა გზით შეიძლება ანაბრების აბსოლუტურად განუსაზღვრელ ჯამამდე გამრავლდეს. ამიტომ შესაძლებელია, რომ შეერთებულ სამეფოში ყველა ანაბართა $\frac{1}{10}$ არსებობს მხოლოდ მათი დამადასტურებელი ჩანაწერების სახით ბანკირების დავთარში, რომლებმაც თავის მხრივ მათი მიხედვით ანგარიში უნდა გაასწორონ... ასე, მაგალითად, შოტლანდიაში, სადაც მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა არასოდეს არ აღემატებოდა 3 მილიონ გირვ. სტერლინგს, ანაბრები 27 მილიონს აღწევს. და თუ არ შეიქნა საყოველთაო პანიკა, რომლის გამო ბანკებს მიაწყდებიან ხოლმე თავიანთი ანაბრებისათვის, იმავე 1000 გირვ. სტერლინგს, თავიანთი გზის უკუგამოვლით. წინანდებური სიადვილით შეუძლია კვლავ ისევე განუსაზღვრელი ჯამი დაფაროს. რადგან იმავე 1000 გირვ. სტერლინგს, რომლითაც ვინმე დღეს ვალს უხდის მედუქნეს, ხვალ შეუძლია ამ უკანასკნელის ვალი დაფაროს ვაჭრის წინაშე, ერთი დღის შემდეგ — ვაჭრის ვალი ბანკის წინაშე და ასე დაუსრულებლად, ამიტომ შეიძლება ერთი და იგივე 1 000 გირვ. სტერლინგი ხელიდან ხელში, ბანკიდან ბანკში გადადიოდეს და მან დაფაროს ანაბართა ყოველი ჯამი, რომელიც კი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ» («The Currency Question Reviewed», გვ. 162, 163).

და რადგან ამ საკრედიტო სისტემაში ყველაფერი ორკეცდება და სამეცეცდება ხოლმე და უბრალო მოჩვენებად იქცევა, ამიტომ ეს მარ-
2. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ., III,

თებულა «სარეზერვო ფონდის» შესახებაც, სადაც ადამიანს ჰგონია, რომ, ბოლოს, რაღაც მტკიცე რამ უპყრია ხელთ.

მოგუსმინოთ ისევ ინგლისის ბანკის მმართველს ბ-ნ მორისს: «კერძო ბანკების სარეზერვო ფონდები ინგლისის ბანკის ხელში ანაბრების ფორმით. ოქროს მიქცევის პირველი მოქმედება თითქოს მხოლოდ ინგლისის ბანკს შეეხება; მაგრამ სინამდვილეში ოქროს მიქცევა ასევე იმოქმედებდა სხვა ბანკების რეზერვებზე, ვინაიდან იგი მომასწავებელი იქნებოდა იმ რეზერვების ნაწილის მიქცევისა, რომლებიც მათ აქვთ ჩვენს ბანკში. სრულიად ასეთივე გავლენა იქნებოდა მას პროვინციული ბანკების რეზერვებზე» («Commercial Distress» 1847—1848). ამრიგად, სინამდვილეში კერძო ბანკების სარეზერვო ფონდები ბოლოს და ბოლოს ითქვიფება ინგლისის ბანკის სარეზერვო ფონდში⁴. მაგრამ

⁴ [თუ როდენ დიდად გაძლიერდა ეს მას შემდეგ, ამას ამტკიცებს 1892 წლის 15 დეკემბრის «Daily News»-იდან აღებული შემდეგი ოფიციალური მონაცემები საბუღალტრო უდიდესი ლონდონის ბანკის რეზერვების შესახებ 1892 წლის ნოემბერში:

ბანკის სახელწოდება	პასივი		ნაღდი რეზერვი		პროცენტობით
	გირვ. სტ.		გირვ. სტ.		
City	9 317 629	> >	746 551	> >	8,01
Capital and Counties ...	11 392 744	> >	1 307 483	> >	11,47
Imperial	3 987 400	> >	447 157	> >	11,22
Lloyds	23 800 937	> >	2 966 806	> >	12,46
Lon. and Westminster ..	24 671 559	> >	3 818 885	> >	15,50
Lon. and S. Western ..	5 570 268	> >	812 353	> >	14,58
London joint Stock ...	12 127 993	> >	1 288 977	> >	10,62
London and Midland	8 814 499	> >	1 127 280	> >	12,79
London and County ...	37 111 035	> >	3 600 374	> >	9,70
National	11 163 829	> >	1 426 225	> >	12,77
National Provincial ...	41 907 384	> >	4 614 780	> >	11,01
Parrs and the Alliance ..	12 794 489	> >	1 532 707	> >	11,98
Prescott and C ^o	4 041 058	> >	538 517	> >	13,07
Union of London	15 502 618	> >	2 300 084	> >	14,84
Williams, Deacon, and Manchester and C ^o	10 452 381	> >	1 317 628	> >	12,60
სულ.....	232 655 823	გ. სტ.	27 845 807	გ. სტ.	11,97

ამ თითქმის 28 მილიონ რეზერვიდან სულ ცოტა 25 მილიონი მოთავსებულია ანაბრად ინგლისის ბანკში, და დიდი-დიდი 3 მილიონი მოიპოვება ნაღდად თითო 15 ბანკის სალიზობში. ინგლისის ბანკის საბანკო განყოფილების ნაღდი რეზერვი

ამ სარეზერვო ფონდსაც ორნაირი არსებობა აქვს. Banking department*-ის სარეზერვო ფონდი ეთანატოლება მიმოქცევაში მყოფ ბანკნოტებზე იმ ბანკნოტების ნაჭარბს, რომელთა გამოშვების უფლებაც ბანკს აქვს. კანონით დაწესებული მაქსიმუმი გამოსაშვები ბანკნოტებისა უდრის 14 მილიონს (რომლისათვის ლითონური მარაგი არ არის საჭირო; ეს ეთანატოლება დაახლოებით იმ ვალს, რომელიც სახელმწიფოს მართებს ბანკის) პლუს თანხა, რასაც ბანკის ძვირფასი ლითონის მარაგი ფარავს. ამრიგად, თუ ეს მარაგი 14 მილიონ ვირჯ. სტერლინგს უდრის, ბანკს უფლება აქვს 28 მილიონი ვირჯ. სტერლინგის ბანკნოტები გამოუშვას, და თუ აქედან 20 მილიონი მიმოქცევაშია, banking department-ის სარეზერვო ფონდი = 8 მილიონს. ეს 8 მილიონის ბანკნოტები ამ შემთხვევაში შეადგენს კანონიერად ბანკირის კაპიტალს, რომლის გამგებლობაც ბანკს შეუძლია, და იმავე დროს წარმოადგენს სარეზერვო ფონდს მისი ანაბრებისათვის. თუ ახლა ადგილი ექნება ოქროს მიქცევას, რომელიც ლითონურ მარაგს ამცირებს 6 მილიონით, მაშინ ბანკმა იმდენივე ბანკნოტები უნდა მოსპოს და banking department-ის რეზერვი 8 მილიონიდან დაეცემა 2 მილიონამდე. ერთი მხრივ, ბანკი თავის სარგებლის განაკვეთს ძალიან მაღლა ასწევდა; მეორე მხრივ, ძალიან შემცირდებოდა სარეზერვო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ბანკებისა და სხვა შეანაბრეთა მიერ შეტანილ ანაბარს. 1857 წელს ლონდონის ოთხი უდიდესი აქციონერული ბანკი იმუქრებოდა: თუ ინგლისის ბანკმა მთავრობას არ გამოაცემინა განკარგულება 1844 წლის საბანკო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ⁵, ჩვენს ანაბრებს უკან მოვითხოვთო, რითაც banking department-ი გაკოტრდებოდა. ამრიგად, banking department-ი შეიძლება, როგორც ეს 1847 წელს მოხდა, გაკოტრდეს, მაშინ როდესაც issue department-ში** მრავალი მილიონი (მაგალითად, 1847 წელს 8 მილიონი) ძევს როგორც მიმოქცევაში მყოფი ბანკნო-

კი იმავე 1892 წლის ნოემბერში არც ერთხელ არ შეადგენდა სრულ 16 მილიონს — შ. შ. }

⁵ 1844 წლის საბანკო აქტის მოქმედების შეჩერება ბანკს საშუალებას აძლევს ბანკნოტების განუსაზღვრელი რაოდენობა გამოუშვას და ყურადღება არ მიექციოს, დაფარავს თუ არა მათ მის ხელში არსებული ოქროს მარაგი; მაშასადამე, საშუალებას აძლევს შექმნას ფიქციური ფულადი კაპიტალის განუსაზღვრელი რაოდენობა და ამით სესხი აძლიოს ბანკებსა და სათამაშუო მაკლერებს, ხოლო მათი მეშვეობით — ვაჭრობას.

* საბანკო განყოფილების. რ ე დ.

** საემისიო განყოფილებაში. რ ე დ.

ტების ოქროზე გადაცვლის უზრუნველყოფა. მაგრამ ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, ილუზორულია.

«ანაბრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც თვით ბანკირებს უშუალოდ არ ესაჭიროებათ, გადადის billbroker-ების (სიტყვა-სიტყვით სათამაშო მაკლერების, არსებითად კი ნახევრად ბანკირების) ხელში, და ესენი, თავის მხრივ, მათთვის მიცემული სესხისთვის უზრუნველსაყოფად ბანკირს აძლევენ სავაჭრო თამასუქებს, მათ მიერ უკვე დისკონტირებულ სწვადასხვა პირებისთვის ლონდონსა ან პროვინციაში. Billbroker-ი პასუხისმგებელია ბანკირის წინაშე ამ money at call-ის (ე. ი. პირველ მოთხოვნისთანავე გადასახდელი ფულის) გადახდისათვის; და ამგვარი ოპერაციები ისეთი კოლოსალური მოცულობისაა, რომ ჩინგლისის ბანკის ახლანდელი მმართველი ბ-ნი ნივი, თავის ჩვენებაში, როგორც მოწმე, ამბობს: «ჩვენ ვიცით, რომ ერთ broker-ს (მაკლერს) ჰქონდა 5 მილიონი, და ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მეორეს ჰქონდა 8 — 10 მილიონი; ერთს ჰქონდა 4, მეორეს — 3½, მესამეს — 8 მილიონზე მეტი. მე ვლაპარაკობ broker-ებთან გადასულ ანაბრებზე» («Report of Committee on Bank Acts», 1857 — 1858, გვ. 5, განყოფ. № 8).

«ლონდონის billbroker-ები... თავიანთ კოლოსალურ ოპერაციებს აწარმოებდნენ ყოველგვარი რეზერვის გარეშე; ისინი ვარაუდობდნენ ფულის მიღებას მათ ხელში არსებული თამასუქებით, რომლებსაც გადა თანდათან გაუდიოდათ, ანდა საჭიროების შემთხვევაში, ინგლისის ბანკიდან სესხის მიღების შესაძლებლობას მათ მიერ დისკონტირებული თამასუქების უზრუნველყოფით». — Billbroker-ების ორმა ფირმამ ლონდონში 1847 წელს გადახდა შეწყვიტა; შემდეგში ორივემ განაახლა ოპერაციები. 1857 წელს მათ ისევ შეწყვიტეს გადახდა. ერთი ფირმის პასივი 1847 წელს უდრიდა მრგვალი ციფრებით 2 683 000 გირვ. სტერლინგს, კაპიტალი კი 180 000 გირვ. სტერლ. ჰქონდა. ამავე ფირმის პასივი 1857 წელს უდრიდა 5 300 000 გირვ. სტერლინგს, მაშინ როდესაც კაპიტალი, ალბათ, იმის მეოთხედზე მეტი არ იყო, რაც მას 1847 წელს ჰქონდა. მეორე ფირმის პასივი მერყეობდა ორივე შემთხვევაში 3 და 4 მილიონს შორის ისეთი კაპიტალის პირობებში, რომელიც არ აღემატებოდა 45 000 გირვ. სტერლინგს» (იქვე, გვ. XXI, აბზაცი № 52).

თავი ოცდამათე

ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. I.

ნამდვილად ძნელი საკითხები, რომლებსაც ჩვენ ახლა ვუახლოვდებით კრედიტის გამოკვლევაში, შემდეგია:

პ ი რ ვ ე ლ ი: საკუთრივ ფულადი კაპიტალის დაგროვება. რამდენად წარმოადგენს და რამდენად არ წარმოადგენს იგი კაპიტალის ნამდვილი დაგროვების, ე. ი. გაფართოებული მასშტაბის კვლავწარმოების ნიშანს? ეგრეთწოდებული plethora [სიჭარბე] კაპიტალისა, — გამოთქმა, რომელიც იხმარება ყოველთვის მხოლოდ სარგებელმომტანი, ე. ი. ფულადი კაპიტალისთვის, მარტოდენ განსაკუთრებულ წესს წარმოადგენს სამრეწველო ჭარბწარმოების გამოსასახავად, თუ მასთან ერთად განსაკუთრებულ მოვლენას? . ემთხვევა თუ არა ეს plethora, ფულადი კაპიტალის ეს ჭარბი მიწოდება ფულადი მასების (ზოდების, ოქროს ფულის და ბანკნოტების) შეფერხებულ მდგომარეობაში არსებობას, და წარმოადგენს თუ არა, მაშასადამე, ნამდვილი ფულის ეს სიჭარბე სასესხო კაპიტალის აღნიშნული სიჭარბის გამოსახულებასა და გამოაშკარავების ფორმას?

და, მეორე: რამდენად გამოსახავს ფულის ნაკლებობა, ე. ი. სასესხო კაპიტალის ნაკლებობა ნამდვილი კაპიტალის (საქონლური კაპიტალის და მწარმოებლური კაპიტალის) ნაკლებობას? მეორე მხრივ, რამდენად ემთხვევა იგი ფულის, როგორც ასეთის, ნაკლებობას. მიმოცევის საშუალებათა ნაკლებობას?

რამდენადაც აქამდე ფულადი კაპიტალისა და საერთოდ ფულადი ქონების დაგროვების სპეციფიკურ ფორმას განვიხილავდით, ჩვენ დავინახეთ, რომ დაგროვების ეს ფორმა ბოლოს და ბოლოს გამოხატავს შრომისადმი საკუთრების მიერ წაყენებულ პრეტენზიათა დაგროვებას. სახელმწიფო ვალის კაპიტალის დაგროვება, როგორც დავინახეთ, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს კრედიტორთა კლასის გამრავლება, რომელნიც უფლებამოსილნი არიან წინასწარ მითვისონ

გარკვეული თანხა გადასახადთა ჯამიდან⁶. იმ ფაქტში, რომ ვალების დაგროვებაც კი შესაძლებელია კაპიტალის დაგროვებად გვევლინებოდეს, პოელი სისრულით ამკარავდება უკუღმართობა, რომელსაც საკრედიტო სისტემაში აქვს ადგილი. ეს სავალო მოწმობები, რომლებიც გაცემულია თავდაპირველად გასესხებულ და უკვე დიდი ხანია დახარჯული კაპიტალისთვის, მოსპობილი კაპიტალის ეს ქალაღდის დუბლიკატები მოქმედებენ მათი მფლობელებისთვის როგორც კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ისინი შეადგენენ გასაყიდად გამოსაღვე საქონელს და, მათსადამე, შესაძლებელია მათი უკუგადაქცევა კაპიტალად.

მართალია, როგორც ჩვენ აგრეთვე დავინახეთ, საკუთრების ტიტულულები საზოგადოებრივ საწარმოებზე, რკინიგზებზე, მღაროებზე და სხვ. ფაქტიურად ტიტულუბია ნამდვილი კაპიტალის მიმართ. მაგრამ ისინი არ იძლევიან ამ კაპიტალზე განკარგულების შესაძლებლობას. ამ კაპიტალის გამოტანა არ შეიძლება. ეს ტიტულუბი იძლევა მხოლოდ იურიდიულ უფლებას ამ კაპიტალით მისაღები ზედმეტი ღირებულების ნაწილზე. მაგრამ ეს ტიტულუბიც აგრეთვე ნამდვილი კაპიტალის ქალაღდის დუბლიკატებად იქცევა; საქმე აქ წარმოგვიდგება, ისე, თითქოს სატვირთო ბარათმა ტვირთთან ერთად დატვირთვის იმავედროულად ღირებულება მოიპოვა. ისინი არარსებული კაპიტალის ნომინალურ წარმომადგენლებად იქცევიან. იმიტომ რომ ნამდვილი კაპიტალი არსებობს მათ გვერდით და სრულიადაც არ გადაღდის სხვის ხელში იმის გამო, რომ ეს დუბლიკატები ხელიდან ხელში გადაღდის. ისინი იქცევიან სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმად არა მხოლოდ იმიტომ, რომ უზრუნველყოფენ გარკვეულ შემოსავალს, არამედ იმიტომაც, რომ გაყიდვისას მათში როგორც კაპიტალიღირებულებაში შეიძლება ფულის უკან მიღება. რამდენადაც ამ ქალაღდების დაგროვება რკინიგზების, მთა-მადნების, ორთქლის გემებისა და სხვ. დაგრო-

⁶ სახელმწიფო ქალაღდები სხვა არაფერია, თუ არა წარმოსახვითი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს ვალის გადასახდელად განკუთვნილ წლიური შემოსავლის ნაწილს. მისი შესახადისი კაპიტალი უკვე გაფლანგულია; იგი შეადგენს სესხისთვის ნომინალურ ღირებულებას, მაგრამ სახელმწიფო ქალაღდი მას არ გამოხატავს, ვინაიდან ეს კაპიტალი საერთოდ აღარ არსებობს. მაგრამ ახალი სიმდიღრე უნდა წარმოიშვას სამრეწველო შრომით; ამ სიმდიღრის ერთი ნაწილი ყოველწლიურად წინასწარ განკუთვნილია იმათთვის, ვინც მოსპობილი სიმდიღრე გასესხა; ეს ნაწილი სიმდიღრის მწარმოებლებს გამოერთმევა გადასახადის გზით, რათა გადაეცეს სახელმწიფოს კრედიტორებს, და ამასთან, მოცემულ ქვეყანაში კაპიტალსა და სარგებელს შორის არსებული ჩვეულებრივი შეფარდების თანახმად, იგულისხმება წარმოდგენაში არსებული კაპიტალი, იმ კაპიტალის ტოლი, რომელიც კრედიტორების მიერ მისაღებ წლიურ რენტას წარმოშობდა (Sismondi: «Nouveaux principes», ტომი II, გვ. 230).

ვებას გამოსახავს, იგი ნამდვილი კვლავწარმოების პროცესის გაფართოებას გამოსახავს, — სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, მოძრავ ქონებაზე დადებული საგადასახადო განაკვეთის გადიდება ამ მოძრავი ქონების გადიდების მაჩვენებელია. მაგრამ როგორც ღუბლიკატები, რომელნიც შესაძლებელია თვით იქნენ გაყიდული საქონლის სახით და ამიტომ თვით მიმოიქცევიან კაპიტალიზებულიებათა სახით, ისინი ილუზორულია, და მათი ღირებულების სიდიდე შეიძლება ეცემოდეს და მაღლა იწევდეს იმ ნამდვილი კაპიტალის ღირებულების მოძრაობისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რომლის ტიტულებსაც ისინი წარმოადგენენ. მათი ღირებულების სიდიდეს, ე. ი. მათ კურსს ბირჟაზე, სარგებლის განაკვეთის დაცემასთან ერთად აუცილებლად აქვს აწევის ტენდენცია, რამდენადაც, ფულადი კაპიტალის თავისებური მოძრაობისგან დამოუკიდებლად, სარგებლის განაკვეთის დაცემა მოგებმს ნორმის დაწვევის ტენდენციის უბრალო შედეგია. ასე რომ ღირებულების გამოსახულების მხრივ თვითეული თავისი ჯერადი ნაწილისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ნომინალური ღირებულების მქონე ეს წარმოსახვითი სიმდიდრე უკვე ამ მიზეზის გამო ფართოვდება კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში⁷.

მოგება და წაგება საკუთრების ამ ტიტულების ფასის რყევის გამო, აგრეთვე მათი ცენტრალიზაციის გამო რკინიგზის მეფეების და სხვ. ხელში, საგნის ბუნებისამებრ უფრო და უფრო ხდება შედეგი იმ თამაშისა, რომელიც გვევლინება შრომის ადგილას როგორც კაპიტალის საკუთრების თავდაპირველი შექმნის წესი და აგრეთვე უშუალო ძალადობის ადგილს იჭერს. ამ სახის ფიქციური ფულადი ქონება შეადგენს არა მარტო კერძო პირთა ფულადი ქონების ფრიალ მნიშვნელოვან ნაწილს, არამედ, როგორც ეს ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, ბანკირის კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

შეიძლებოდა, — ამას ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმისათვის, რომ მალე მოვრჩეთ ამ საკითხს, — ფულადი კაპიტალის დაგროვებად გვევლინებისხმნა აგრეთვე სიმდიდრის დაგროვება ბანკირების (პროფესიით

⁷ დაგროვილი ვასასესხებელი ფულადი კაპიტალის ნაწილი სინამდვილეში წარმოადგენს სამრეწველო კაპიტალის უბრალო გამოსახულებას. ასე, მაგალითად, როდესაც ინგლისმა 1857 წელს ამერიკის რკინიგზებსა და სხვა საწარმოებში 80 მილიონი გირე. სტერლ. დააბანდა, ეს დაბანდება თითქმის მთლიანად ინგლისურ საქონელთა ექსპორტის საშუალებით მოხდა, რისთვისაც ამერიკელებს არაფრის გადახდა არ სჭირდებოდათ. ინგლისელი ექსპორტერი ვასაცემდა ხოლმე ამ საქონელთა საფუძველზე თამასუქებს ამერიკაზე, რომლებსაც ყიდულობდნენ ინგლისელი ხელისმომწერლები აქციებზე და გზავნიდნენ ამერიკაში აქციების ღირებულების გადასახდელად.

ფულის გამსესხებლების) ხელში, როგორც ისეთ პირთა ხელში, რომელნიც შუამავალნი არიან, ერთი მხრივ, კერძო ფულად კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს, თემებსა და კვლავმწარმოებელ მსესხებლებს შორის; ამასთან ეს ბანკირები კოლოსალურად გავრდილ საკრედიტო სისტემას, მთელ კრედიტს საერთოდ ექსპლოატაციას უწევენ როგორც თავის საკუთარ კერძო კაპიტალს. ამ ვაჟბატონებს კაპიტალი და შემოსავალი აქვთ ყოველთვის ფულად ფორმაში ანუ ფულზე პირდაპირ მოთხოვნათა სახით. ამ კლასის ქონების დაგროვება შეიძლება ხდებოდეს ნამდვილი დაგროვებისაგან ფრიად განსხვავებული მიმართულებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ამტკიცებს, რომ ეს კლასი იჯიბავს ამ დაგროვების თვალსაჩინო ნაწილს.

მოვაქციოთ განსახილველი საკითხი უფრო ვიწრო ფარგლებში. სახელმწიფო ფონდი, ისევე როგორც აქციები და ყოველგვარი სხვა ფასიანი ქაღალდები, დაბანდებულ სფეროს წარმოადგენენ განსახსებელი კაპიტალისტების, იმ კაპიტალისტების, რომლის დანიშნულებაც სარგებელმოძიანი გახდეს. ისინი ფორმებია, რომლებშიც კაპიტალი შეიძლება სესხად გაიცეს. მაგრამ ისინი თვით არ შეადგენენ სასესხო კაპიტალს, რომელიც მათშია დაბანდებული. მეორე მხრივ, რამდენადაც კრედიტი უშუალო როლს ასრულებს კვლავმწარმოების პროცესში, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი: მრეწველს ან ვაჭარს, როდესაც მას სურს თამასუქის დისკონტირება მოახდინოს ან სესხი აიღოს, სრულიადაც არ ესაჭიროება აქციები ან სახელმწიფო ქაღალდები. მას ესაჭიროება ფული. ამიტომ იგი აგირავენს ან ყიდის ამ ფასიან ქაღალდებს, როცა სხვაგვარად არ შეუძლია მოიპოვოს ფული და ჩვენ აქ სწორედ ამ სასესხო კაპიტალის დაგროვებაზე, ამასთან სპეციალურად განსახსებელი ფულადი კაპიტალის დაგროვებაზე გვაქვს ლაპარაკი. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ სახლების, მანქანების ან სხვა ძირითადი კაპიტალის სესხზე. არ ვლაპარაკობთ არც იმ სესხზე, რასაც მრეწველები და ვაჭრები ერთმანეთს აძლევენ საქონლით და კვლავმწარმოების პროცესის ფარგლებში, თუმცა ეს პუნქტიც ჩვენ ჯერ კიდევ უფრო ახლოს უნდა განვიხილოთ; ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ფულად სესხზე, რაც მრეწველებსა და ვაჭრებს ეძლევა ბანკირების შუამავლობით.

ამრიგად, გავუკეთოთ ანალიზი ჯერ კომერციულ კრედიტს, ე. ი. იმ კრედიტს, რომელსაც კვლავმწარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალისტები აძლევენ ერთმანეთს. იგი შეადგენს საკრედიტო სისტემის საფუძველს. მისი წარმომადგენელია თამასუქი, სავალო ვალდებულება

გადახდის განსაზღვრული ვადით, document of deferred payment*. თვითეული იძლევა კრედიტს ერთი ხელით და იღებს კრედიტს მეორე ხელით. მხედველობის გარეშე დავტოვოთ ჯერჯერობით ბანკირის კრედიტი, რომელიც სრულიად სხვა, არსებითად განსხვავებულ მომენტს შეადგენს. რამდენადაც ეს თამასუქები თვით ვაჭართა შორის მიმოიქცევა თავის მხრივ როგორც გადახდის საშუალება, ერთიდან მეორეზე ინდოსამენტის [გადასაცემი წარწერის] გზით, უდისკონტოდ, აგი სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ გადატანა სავალო მოთხოვნისა A-დან B-ზე და ეს სრულიად არაფერს არ ცვლის საერთო ურთიერთობაში. ერთი პირი დგება მხოლოდ მეორის ადგილას. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს ლიკვიდაციას ფულის ჩაურევლად. მაგალითად, მრთველმა A-მ თამასუქი უნდა გადაუხადოს ბამბის მაკლერ B-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა იმპორტერ C-ს. თუ C იმავე დროს ნართის ექსპორტს ეწევა, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, მაშინ მას შეუძლია თამასუქის სანაცვლოდ A-სგან ნართი იყიდოს, ხოლო A-მ თავისი ვალი B-ს უნდა გადაუხადოს ამ უკანასკნელის საკუთარი თამასუქით, რომელიც A-მ C-სგან მიიღო გადახდის ანგარიშში; ამასთან ფულით გადასახდელი იქნება დიდი-დიდი მხოლოდ სალდო. მთელი ეს გარიგება ამ შემთხვევაში მოსაშუალებობს მხოლოდ ბამბის და ნართის გაცვლას. ექსპორტერი წარმომადგენლობს მხოლოდ მრთველს, ბამბის მაკლერი — ბამბის მომყვანს.

ამ წმინდა კომერციული კრედიტის წრებრუნვის შესახებ ორი რამ უნდა აღინიშნოს:

პირველი: ამ საურთიერთო სავალო მოთხოვნათა სალდირება დამოკიდებულია კაპიტალის უკუმოდინებაზე, ე. ი. ს — ფ-ზე, რომელიც მხოლოდ ვადაგადადებულია. თუ მრთველს თამასუქი ჩითის მეფაბრიკისაგან აქვს მიღებული, ჩითის მეფაბრიკეს გადახდა შეუძლია, თუ მან გადახდის ვადამდე გაყიდა ჩითი, რომელიც მას ბაზარზე აქვს. თუ ხორბლეულის სპეკულანტს თამასუქი აქვს გაცემული თავის აგენტზე, აგენტს შეუძლია ფულის გადახდა, თუ მან სათანადო ვადამდე ხორბლეული გაყიდა მოსალოდნელ ფასში. ამრიგად, ეს გადახდა დამოკიდებულია კვლავწარმოების, ე. ი. წარმოებისა და მოხმარების პროცესის უწყვეტ დენადობაზე. მაგრამ რადგან კრედიტი საურთიერთო ხასიათისაა, ერთის გადახდისუნარიანობა იმავე დროს მეორის გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული; ვინაიდან მას, ვინც თამასუქს გასცემს, შეუძლია ვარაუდი ჰქონდეს ან კაპიტალის უკუმოდინებისა მის საკუთარ საწარ-

* დოკუმენტი ვადაგადადებული გადასახდელის შესახებ. რ. ე. დ.

მოში ანდა კაპიტალის დაბრუნებისა იმ მესამე პირის საწარმოში, რომელმაც მას მოცემულ ვადაში თამასუქი უნდა გადაუხადოს. თუ კაპიტალის უკუმოდინების ვარაუდს მხედველობაში არ მივიღებთ, გადახდა შესაძლებელია მხოლოდ სარეზერვო კაპიტალის საშუალებით, რომელიც თამასუქის გამცემს მოუპოვება თავის განკარგულებაში თავის ვალდებულებათა შესასრულებლად კაპიტალის უკუმოდინების დაგვიანების შემთხვევაში.

მეორე: საკრედიტო სისტემა ვერ სპობს ნაღდი ფულით გადახდის აუცილებლობას. ჯერ ერთი, ხარჯების დიდი ნაწილი მუდამ ნაღდად არის გასაწევი, როგორც, მაგალითად, ხელფასი, გადასახადები და სხვ. მაგრამ ამის გარდაც. ვთქვათ, მაგალითად, B-მ, ვინც გადახდის ანგარიშში C-სგან თამასუქი მიიღო, რომელსაც გადახდის ვადა ჯერ არა აქვს დამდგარი, თვითონ უნდა გადაუხადოს D-ს თამასუქი, რომლის ვადა დამდგარია, და ამისთვის მას ნაღდი ფული უნდა ჰქონდეს. კვლავწარმოების ისეთი სრულყოფილი წრებრუნვა, როგორც იგი ზემოთ იყო ნაგულისხმევი ბამბის მომყვანიდან ბამბის მრთველამდე, და პირიქით, მხოლოდ გამონაკლისის შეიძლება შეადგენდეს; სინამდვილეში იგი მუდამ გაწყდება ხოლმე მრავალ ადგილას. კვლავწარმოების პროცესის განხილვისას (წიგნი II, განყოფილება III) ჩვენ დავინახეთ, რომ მუდმივი კაპიტალის მწარმოებლები ნაწილობრივ ცვლიან მუდმივ კაპიტალს ერთმანეთს შორის. ამიტომ არის შესაძლებელი, რომ თამასუქები ერთმანეთს მეტნაკლებ აწონასწორებდნენ. ამასვე აქვს ადგილი, თუ წარმოება აღმავალი ხაზით მიიმართება, როცა ბამბის მაკლერმა თამასუქი უნდა გასცეს მრთველზე, მრთველმა — ჩითის მეფაბრიკეზე; ამ უკანასკნელმა — ექსპორტერზე, ექსპორტერმა — იმპორტერზე (შესაძლოა ისევ ბამბის იმპორტერზე). მაგრამ აქ ადგილი არა აქვს გარიგებათა წრებრუნვას და ამიტომ მოთხოვნათა წრის შეკვრას. მაგალითად, მრთველის მოთხოვნა ფეიქრის მიმართ ვერ გაწონასწორდება ნახშირის ჩამბარებლის მოთხოვნით მანქანათმშენებლის მიმართ; მრთველს თავის საწარმოში არასოდეს არა აქვს შემხვედრი მოთხოვნა მანქანათმშენებლის მიმართ, რადგან მისი პროდუქტი, ნართი, არასოდეს არ შედის შემადგენელი ელემენტის სახით მანქანების კვლავწარმოების პროცესში. ამიტომ ასეთი მოთხოვნები ფულით უნდა გაწონასწორდეს.

თავისთავად განხილული ამ კომერციული კრედიტის საზღვრები ასეთია: 1) მრეწველთა და ვაჭართა სიმდიდრე, ე. ი. მათ განკარგულებაში მყოფი სარეზერვო კაპიტალი კაპიტალის დაგვიანებული უკუმოდინების შემთხვევისათვის; 2) თვით ეს უკუმოდინება. ეს უკანასკნელი შეიძლება დაგვიანდეს დროის მიხედვით, ან საქონლის ფასებო

შეიძლება დაეცეს ამ ხნის განმავლობაში, ანდა საქონლის გაყიდვა უცებ შეუძლებელი გახდეს ბაზარზე შექმნილი შეფერხების გამო. რაც უფრო გრძელვადიანია თამასუქი, მით უფრო, დიდი უნდა იყოს ჯერ ერთი სარეზერვო კაპიტალი და ფასების დაცემის ან ბაზრის გავსების გამო მით უფრო დიდია უკუმოქცევის შემცირებისა და დაგვიანების შესაძლებლობა. და შემდეგ, უკუდაბრუნება მით უფრო ნაკლებ არის უზრუნველყოფილი, რაც უფრო მეტად იყო თავდაპირველი გარიგება გაპირობებული საქონლის ფასების აწევასა ან დაცემაზე სპეკულაციით. მაგრამ ცხადია, რომ შრომის ნაყოფიერებისა და მაშასადამე, დიდი მასშტაბით წარმოების განვითარებასთან ერთად: 1) ბაზრები ფართოვდება და წარმოების ადგილს შორდება, 2) ამიტომ კრედიტი უფრო გრძელვადიანი უნდა გახდეს, და, მაშასადამე, 3) სპეკულაციური ელემენტი უფრო და უფრო უნდა გაბატონდეს გარიგებებში. დიდი მასშტაბით და შორეული ბაზრებისთვის წარმოება ვაჭართა ხელში გადაისვრის მთელ პროდუქტს; მაგრამ შეუძლებელია ერის კაპიტალი გაორკეცდეს, ისე რომ ვაჭრებს თავისთავად შეეძლოთ თავიანთი კაპიტალით შეისყიდონ მთელი ეროვნული პროდუქტი და შემდეგ ისევ გაყიდონ იგი. მაშასადამე, კრედიტი აქ აუცილებელია, — კრედიტი, რომელიც მატულობს თავისი ოდენობით წარმოების ღირებულების ოდენობის ზრდასთან ერთად და სულ უფრო გრძელვადიანი ხდება, რამდენადაც მატულობს ბაზრების დაშორება. აქ ადგილი აქვს ურთიერთქმედებას. წარმოების პროცესის განვითარება აფართოებს კრედიტს, ხოლო კრედიტს მოსდევს სამრეწველო და სავაჭრო ოპერაციების გაფართოება.

თუ ამ კრედიტს განვიხილავთ ბანკირის კრედიტისაგან განცალკევებულად, ცხადია, რომ იგი იზრდება თვით სამრეწველო კაპიტალის ზრდასთან ერთად. სასესხო კაპიტალი და სამრეწველო კაპიტალი აქ იდენტურია; გასესხებული კაპიტალები საქონლური კაპიტალებია, რომლებიც განკუთვნილია ან საბოლოო ინდივიდუალური მოხმარებისთვის, ანდა მწარმოებლური კაპიტალის მუდმივი ელემენტების ასანაზღაურებლად. მაშასადამე, აქ გასესხებულ კაპიტალად გვევლინება ყოველთვის კაპიტალი, რომელიც კვლავწარმოების პროცესის განსაზღვრულ ფაზაში იმყოფება, მაგრამ ყიდვისა და გაყიდვის გზით ერთი ხელიდან მეორე ხელში გადადის, მაშინ როდესაც ეკვივალენტს ამისთვის მყიდველი გადაიხდის შემდგომ, წინასწარ დათქმულ ვადაზე. ასე, მაგალითად, ბაზმა თამასუქის სანაცვლოდ გადადის მრთველის ხელში, ნართი თამასუქის სანაცვლოდ — ჩითის მეფაბრიკის ხელში, ჩითი თამასუქის სანაცვლოდ — ვაჭრის ხელში, ამის ხელიდან თამასუ-

ქის სანაცვლოდ იგი გადადის ექსპორტერის ხელში, ექსპორტერის ხელიდან, ისევ თამასუქის სანაცვლოდ, — ინდოეთში მყოფი ვაჭრის ხელში, რომელიც მას ყიდის და სამაგიეროდ ინდიგოს ყიდულობს, და სხვ. ხელიდან ხელში ამ გადასვლის დროს ბაზმა გარდაიქმნება ჩითად, ჩითი საბოლოოდ გაიზიდება ინდოეთში, ვაიცვლება ინდიგოზე, რომელიც შემოიზიდება ევროპაში და აქ ისევ შევა კვლავწარმოების პროცესში. კვლავწარმოების სხვადასხვა ფაზებს აქ მოსაშუალოებს კრედიტი, ასე რომ მრთველი ნაღდად არ იხდის ბამბისთვის, ჩითის მეფაბრიკე — ნართისთვის, ვაჭარი — ჩითისთვის და სხვ. პროცესის პირველ აქტებში საქონელი — ბამბა გაივლის თავის წარმოების სხვადასხვა ფაზებს, და ეს გადასვლა ხორციელდება კრედიტის მეშვეობით. მაგრამ როგორც კი ბამბა წარმოებაში თავის უკანასკნელ ფორმას მიიღებს როგორც საქონელი, იგივე საქონლური კაპიტალი კვლავ გაივლის სხვადასხვა ვაჭრების ხელში, რომელნიც მოსაშუალოებენ ტრანსპორტს შორეული ბაზრისაკენ და რომელთაგან უკანასკნელი ბოლოს და ბოლოს მიჰყიდის მას მომხმარებელს და სამაგიეროდ იყიდის სხვა საქონელს, რომელიც ან მოხმარებაში შედის, ანდა კვლავწარმოების პროცესში. მაშასადამე, აქ უნდა განვასხვაოთ ორი პერიოდი: პირველი პერიოდის განმავლობაში კრედიტის მეშვეობით ხორციელდება მოცემული საგნის წარმოების ნამდვილი თანმიმდევრული ფაზები; მეორე პერიოდის განმავლობაში მისივე მეშვეობით ხორციელდება მხოლოდ გადასვლა ერთი ვაჭრის ხელიდან მეორის ხელში, რაც ტრანსპორტსაც შეიცავს, ე. ი. ხორციელდება აქტი: ს — ფ. მაგრამ აქაც საქონელი ყოველ შემთხვევაში მაინც მიმოქცევის აქტში, მაშასადამე, კვლავწარმოების პროცესის გარკვეულ ფაზაში იმყოფება.

ამრიგად, სესხად ვაიცემა არა დაუსაქმებელი კაპიტალი, არამედ ისეთი კაპიტალი, რომელმაც მისი მფლობელისთვის თავისი ფორმა უნდა შეიცვალოს, რომელიც ისეთ ფორმაში არსებობს, რომლითაც იგი მისი მფლობელისთვის უბრალო საქონლურ კაპიტალს წარმოადგენს, ე. ი. ისეთ კაპიტალს, რომელიც უნდა უკუგარდაიქმნას, სახელდობრ, უწინარეს ყოვლისა მაინც ფულად უნდა გადაიქცეს. ამრიგად, აქ კრედიტის მეშვეობით ხორციელდება საქონლის მეტამორფოზი: არა მხოლოდ ს — ფ, არამედ აგრეთვე ფ — ს, ე. ი. ნამდვილი წარმოების პროცესი. კრედიტის სიუხვე კვლავწარმოებითი წრებრუნვის ფარგლებში — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ბანკირის კრედიტს — არ ნიშნავს დაუსაქმებელი კაპიტალების სიუხვეს, რომელნიც სესხად მისაწოდებელია და მომგებიან დაბანდებას ექებენ, — ის ნიშნავს კაპიტალის დიდ დასაქმებულობას კვლავწარმოების პროცესში. ამრიგად,

კრედიტის მეშვეობით ხორციელდება: 1) რამდენადაც საქმე მრეწველ კაპიტალისტებს შეეხება, — სამრეწველო კაპიტალის გადასვლა ერთი ფაზიდან მეორეში, კავშირურთიერთობა ურთიერთკუთვნილსა და ურთიერთში ჩაწნულ წარმოების პროცესებს შორის; 2) რამდენადაც საქმე ვაჭრებს შეეხება, — ტრანსპორტი და საქონელთა გადასვლა ხელიდან ხელში მათს საბოლოო გაყიდვამდე ფულზე ან მათ გაცვლამდე სხვა საქონელზე.

კრედიტის მაქსიმუმი აქ უდრის სამრეწველო კაპიტალის უაღრესად სრულ ჩაბმას წარმოებაში, ე. ი. მოხმარების საზღვრებისაგან დამოუკიდებლად მისი კვლავწარმოების ძალის უაღრესად დაძაბვას. მოხმარების ეს საზღვრები გაიწევა თვით კვლავწარმოების პროცესის დაძაბულობით; ერთი მხრივ, ეს დაძაბულობა აღიდებს შემოსავლის მოხმარებას მუშებისა და კაპიტალისტების მიერ, მეორე მხრივ, ის იგივე მწარმოებლური მოხმარების დაძაბულობაა.

სანამ კვლავწარმოების პროცესი დენადია და ამიტომ კაპიტალის უკუმოდინება უზრუნველყოფილია, ეს კრედიტი გრძელდება და ფართოვდება, და ეს მისი გაფართოება თვით კვლავწარმოების პროცესის გაფართოებაზე დამყარებული. როგორც კი თავს იჩენს შეფერხება კაპიტალის უკუმოდინების დავიანების, ბაზრების გავსების, ფასების დაცემის გამო, — მაშინვე თავს იჩენს სამრეწველო კაპიტალის სიჭარბე, მაგრამ — ისეთი ფორმით, რომლითაც მას თავისი ფუნქციების შესრულება არ შეუძლია. არის უამრავი საქონლური კაპიტალი, მაგრამ გაუყიდავი რჩება. არის უამრავი ძირითადი კაპიტალი, მაგრამ კვლავწარმოების შეფერხების გამო მეტწილად არაა დასაქმებული. კრედიტი მცირდება: 1) იმიტომ რომ ეს კაპიტალი დაუსაქმებელია, ე. ი. თავისი კვლავწარმოების ერთ-ერთ ფაზაშია გაჩერებული, იმიტომ რომ მას არ შეუძლია შეასრულოს თავისი მეტამორფოზი; 2) იმიტომ რომ შერყეულია ნდობა კვლავწარმოების პროცესის უწყვეტი დენადობისადმი; 3) იმიტომ რომ კლებულობს ამ კომერციული კრედიტის მოთხოვნა. მრთველს, რომელიც თავის წარმოებას ამცირებს და რომელსაც უამრავი გაუყიდავი ნართი უდევს საწყობში, აღარ სჭირდება კრედიტით ბამბის ყიდვა; ვაჭარს აღარ სჭირდება საქონლის კრედიტით ყიდვა, ვინაიდან მას საქონელი უამისოდაც საკმაოზე მეტი აქვს.

ამრიგად, კვლავწარმოების პროცესის ამ გაფართოების ან თუნდაც მისი მხოლოდ ნორმალური ინტენსივობის შეფერხებასთან ერთად ჩნდება კრედიტის ნაკლებობაც; უფრო ძნელდება საქონლის მიღება კრედიტით. ნაღდად გადახდის მოთხოვნა და სიფრთხილე ნისიად გაყიდვაში განსაკუთრებით დამახასიათებელია სამრეწველო ციკლის იმ

ფაზისთვის, რომელიც უშუალოდ მოჰყვება კრახს. თვით კრიზისის დროს, როცა თვითეულს აქვს გასაყიდი და ვერ ყიდის, ხოლო გაყიდვით კი უნდა გაყიდოს, რათა გადასახდელი გაისტუმროს, არა დაუსაქმებელი, საქმეში მოსათავსებელი კაპიტალის, არამედ თავისი კვლავწარმოების პროცესში შეჩერებული კაპიტალის მასა სწორედ მაშინ არის უდიდესი, როდესაც კრედიტის ნაკლებობაც უდიდესია (და ამიტომ უმალლეს დონეზეა საბანკირო კრედიტის სადისკონტო ნორმა). უკვე საქმეში დაბანდებული კაპიტალი ამ დროს მართლაც მასობრივად დაუსაქმებელია, იმიტომ რომ კვლავწარმოების პროცესი შეფერხებულია. ფაბრიკები გაჩერებულია, ნედლეული გროვდება, მზა პროდუქტები საქონლის სახით უზომოდ ავსებენ ბაზარს. ამიტომ უაღრესად მცდარია საქმის ასეთი მდგომარეობა მივაწეროთ მწარმოებლური კაპიტალის ნაკლებობას. სწორედ ამ პერიოდში არსებობს მწარმოებლური კაპიტალის სიჭარბე ნაწილობრივ კვლავწარმოების ნორმალურ, მაგრამ ამ მომენტში შემცირებულ მასშტაბთან შედარებით, ნაწილობრივ კი შესუსტებულ მოხმარებასთან შედარებით.

წარმოვიდგინოთ, რომ მთელი საზოგადოება მხოლოდ კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშებისაგან შედგება. შემდეგ, ნუ მივიღებთ მხედველობაში ფასების რყევას, რაც ერთობლივი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილებს ხელს უშლის თავიანთი საშუალო პროპორციის მიხედვით ანაზღაურებაში და რამაც დროგამოშვებით საყოველთაო შეფერხება უნდა გამოიწვიოს მთელი კვლავწარმოების პროცესის სხვადასხვა ნაწილებს შორის ისეთი უნივერსალური ურთიერთკავშირის არსებობისას, როგორც ვითარდება განსაკუთრებით კრედიტის მეოხებით. მხედველობის გარეშე დავტოვოთ აგრეთვე ფიქციური მოსაქმეობა და სპეკულაციური ოპერაციები, რომლებსაც ხელს უწყობს საკრედიტო სისტემა. მაშინ კრიზისის ახსნა შეიძლებოდა მხოლოდ დისპროპორციით წარმოების სხვადასხვა დარგებში და დისპროპორციით თვით კაპიტალისტთა მოხმარებასა და მათს დაგროვებას შორის. მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარების მიხედვით, წარმოებაში დაბანდებული კაპიტალების ანაზღაურება მეტწილად არამწარმოებელი კლასების მოხმარებითს უნარზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც მუშების მოხმარებითი უნარი შეზღუდულია ნაწილობრივ ხელფასის კანონებით, ნაწილობრივაც იმათ, რომ მათ მხოლოდ მანამდე ამუშავებენ, სანამ მათი შრომა მოგებას აძლევს კაპიტალისტთა კლასს. ყველა ნამდვილი კრიზისის საბოლოო მიზეზი მაინც მასების სიღარიბე და მათი მოხმარების შეზღუდულობაა წინააღმდეგ კაპიტალისტური წარმოების ტენდენციისა, რომელიც მწარმოებლური ძალების ისეთნაირ განვითარე-

ბისაკენ მიისწრაფვის, თითქოს მათს საზღვარს მხოლოდ საზოგადოების აბსოლუტური მოხმარებითი უნარი წარმოადგენდეს.

მწარმოებლური კაპიტალის ნამდვილ ნაკლებობაზე, ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტურად განვითარებულ ერებში, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს კვების მთავარ საშუალებათა თუ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ნედლეულის საყოველთაო მოუსაველობას.

მაგრამ ამ კომერციულ კრედიტს ერთვის საკუთრივ ფულადი კრედიტი. ის სესხი, რომელსაც ერთმანეთს აძლევენ მრეწველები და კაპიტალისტები, გადაეწვის იმ სესხს, რომელსაც ისინი იღებენ ბანკირებისა და ფულის გამსესხებლებისაგან. თამასუქების დისკონტირების დროს სესხი მარტოოდენ ნომინალურია. მეფაბრიკე თავის პროდუქტს ყიდის თამასუქზე და ამ თამასუქს ადისკონტებს billbroker-თან * სინამდვილეში ეს უკანასკნელი კაპიტალისტს სესხად აძლევს მხოლოდ თავისი ბანკირის კრედიტს; ბანკირი თავის მხრივ, მაკლერს თავის მეანაბრეთა ფულად კაპიტალს აძლევს სესხად; ეს მეანაბრენი არიან თვით მრეწველები და ვაჭრები, მაგრამ აგრეთვე მუშები (შემნახველი სალაროების საშუალებით), მიწის რენტის მიმღებნი და სხვა არამწარმოებელი კლასები. ამგვარად თვითეული ინდივიდუალური მეფაბრიკისა ან ვაჭრისთვის თავიდან აუცილებელია როგორც იმის საჭიროება, რომ ხელთ ჰქონდეს მტკიცე სარეზერვო კაპიტალი, ისე კაპიტალის უკუმოდინებაზე დამოკიდებული მდგომარეობაც. მაგრამ, მეორე მხრივ, ნაწილობრივ ფიქციური თამასუქების გამო, ნაწილობრივაც იმ სავაჭრო საწარმოების გამო, რომელთაც თამასუქების ფაბრიკაცია აქვთ მიზნად, მთელი პროცესი იმდენად რთულდება, რომ საწარმოს ფრიად სოლიდური და მასში კაპიტალების შეუწყვეტელი უკუმოდინების გარეგნობა შეიძლება დიდხანს დარჩეს მას შემდეგ, რაც სინამდვილეში ეს უკუმოდინება ხდება უკვე ნაწილობრივ მოტყუებული ფულადი კრედიტორების ხარჯზე, ნაწილობრივ მოტყუებული მწარმოებლების ხარჯზე. ამიტომაც უშუალოდ კრაზის წინ საწარმო ყოველთვის გაზვიადებულად ჩანს სახით გვეჩვენება. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს, მაგალითად, Reports on Bank Acts 1857 და 1858 წლებისა, სადაც ბანკების დირექტორები, ვაჭრები, ერთი სიტყვით — ყველა მოწვეული ექსპერტები, ლორდი ოვერსტონის მეთაურობით, ერთმანეთს ულოცავდნენ საწარმოთა აყვავებას და ჩანსად მდგომარეობას, — სწორედ ერთი თვით ადრე იმ მომენტამდე, როდესაც, 1857 წლის აგ-

* თამასუქების მაკლერ-თან. რ ე დ.

ვისტოში, იფეთქა კრიზისმა. და საკვირველია, რომ ტუკი თავის «History of Prices»-ში თვითეული კრიზისის ისტორიული აღწერის დროს ყოველთვის ხელახლა ვარდება ამ ილუზიაში. საწარმოები ყოველთვის ფრიად ჯანსაღნი არიან და საქმეები ფრიად ბრწყინვალედ მიდის, სანამ უცებ არ იფეთქებს კატასტროფა.

ჩვენ ახლა დავუბრუნდებით ფულადი კაპიტალის დაგროვებას.

გასასესხებელი ფულადი კაპიტალის ყოველი დაგროვება როდია კაპიტალის ნამდვილი დაგროვების ანუ კვლავწარმოების პროცესის გაფართოების მაჩვენებელი. ყველაზე უფრო ცხადად ეს აშკარავდება სამრეწველო ციკლის იმ ფაზაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს გადატანილ კრიზისს, როდესაც სასესხო კაპიტალი უქმად დევს მასობრავად. როდესაც წარმოების პროცესი შეზღუდულია (ინგლისის სამრეწველო ოლქებში 1847 წლის კრიზისის შემდეგ წარმოება შემცირდა ერთი მესამედით), როდესაც საქონელთა ფასები თავის უდაბლეს დონეზე დგას, როდესაც სამეწარმეო ენერჯია მოღუწებულია, — ასეთ მომენტებში სარგებლის დაბალი დონეა გაბატონებული, რაც ამ შემთხვევაში მართოდენ იმის მაჩვენებელია, რომ სასესხო კაპიტალი გადიდებულია სწორედ სამრეწველო კაპიტალის შემცირებისა და მოღუწების გამო. როდესაც საქონელთა ფასები დაცემულია, ბრუნვა და ხელფასზე დახარჯული კაპიტალი შემცირებულია, მაშინ, რასაკვირველია, ნაკლები მიმოქცევის საშუალებებია საჭირო; მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც საგარეო ვალები გასტუმრებულია ნაწილობრივ ოქროს მიქცევის გზით, ნაწილობრივ ვაკოტრებათა საშუალებით, საჭირო აღარ არის დამატებითი ფული მსოფლიო ფულის ფუნქციისათვის; დასასრულ, თამასუქების დისკონტირებასთან დაკავშირებულ ოპერაციათა მოცულობა მცირდება ამ თამასუქების რიცხვსა და თანხის შემცირებასთან ერთად, — ყველაფერი ეს თავისთავად ცხადია. მოთხოვნა გასასესხებელ კაპიტალზე — მიმოქცევის საშუალებისათვის იქნება ეს თუ გადახდის საშუალებისათვის — მცირდება (კაპიტალის ახალ დაბანდებათა შესახებ ჯერ კიდევ ლაპარაკი არაა) და ამიტომ შედარებით უხვი ხდება ეს გასასესხებელი კაპიტალი. მაგრამ იმავე დროს, როგორც ეს შემდგომ იქნება ნაჩვენები, გასასესხებელი კაპიტალის მიწოდება პოზიტიურადაც მატულობს ასეთ ვითარებაში.

ასე, 1847 წლის კრიზისის შემდეგ ადგილი ჰქონდა «ბრუნვის შემცირებას და ფულის დიდ სიჭარბეს» («Comm. Distress» 1847/48. ჩვენება № 1664), სარგებლის განაკვეთი ძალიან დაბალი იყო «ვაჭრობის თითქმის სავსებით მოსპობის გამო და იმის გამო, რომ ფულის მო-

თავსება თითქმის სრულიად შეუძლებელი იყო» (იქვე, გვ. 45, Royal Bank of Liverpool-ის [ლივერპულის სამეფო ბანკის] დირექტორის ჰოჯსონის ჩვენება). თუ რა სისულელეები მოჩმახეს ამ ვაჭბატონებმა (და ჰოჯსონი კიდევ ერთი უკეთესთაგანია), რათა ეს თავისთვის აეხსნათ, ჩანს შემდეგი ფრაზიდან: «შევიწროება (1847 წ.) წარმოდგა ფულადი კაპიტალის ნამდვილი შემცირებიდან ქვეყანაში, რაც გამოწვეული იყო ნაწილობრივ მსოფლიოს ყველა ადგილიდან იმპორტის ოქროს გადახდის აუცილებლობით, ნაწილობრივ — საბრუნავი კაპიტალის (floating capital) ძირითად კაპიტალად გადაქცევით». სრულიად გაუგებარია, საბრუნავი კაპიტალის ძირითად კაპიტალად გადაქცევამ როგორ უნდა შეამციროს ქვეყნის ფულადი კაპიტალი, ვინაიდან, მაგალითად, რკინიგზებზე, რაშიაც უმთავრესად მაშინ კაპიტალს აბანდებდნენ, არც ოქრო და არც ქალაღი არ იხმარებოდა ვიადუკების ასაგებ ან რელსების დასამზადებელ მასალად, ხოლო სარკინიგზო აქციების გასაღებიდან შემოსული ფული, რამდენადაც იგი აქციების ნაწილობრივ საფასურად იყო ანაბრის სახით შეტანილი, მოქმედებდა როგორც ყოველი სხვა, ბანკში ანაბრად შეტანილი ფული და, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, დროებით აღიდებდა კიდევ სესხად გასაცემ კაპიტალს: ხოლო რამდენადაც იგი მართლა იხარჯებოდა მშენებლობაზე, — მიმოიქცეოდა ქვეყანაში როგორც მიმოქცევის და გადახდის საშუალება. საბრუნავი კაპიტალის გადაქცევას ძირითად კაპიტალად მხოლოდ იმდენად შეეძლო შეხებოდა ფულად კაპიტალს, რამდენადაც ძირითადი კაპიტალი არ წარმოადგენს ექსპორტისათვის გამოსადეგ საგანს; ექსპორტის შეუძლებლობასთან ერთად კი ველარ წარმოიქმნებოდა ის თავისუფალი კაპიტალიც, რომელიც შეიძლებოდა მოპოვებული ყოფილიყო გაზიდული პროდუქტების სამაგიეროთი, მაშასადამე, ადგილი აღარა აქვს ამ სამაგიეროს მიღებასაც ნაღდი ფულით ან ზოდების სახით. მაგრამ იმ დროს ინგლისის ექსპორტის საგნებიც გაუყიდავი ელაგა მასობრივად საზღვარგარეთის ბაზრების საწყობებში. მართალია, მანჩესტერის და სხვა ადგილების ვაჭრებისა და მეფაბრიკეებისათვის, რომელთაც თავიანთი საწარმოების ნორმალური კაპიტალის ნაწილი სარკინიგზო აქციებში ჰქონდათ მოთავსებული და რომელნიც ამიტომ თავიანთი საქმეების წარმართვაში ნასესხებ კაპიტალზე დამოკიდებულნი გახდნენ, მტკიცედ დაბანდებული დარჩა მათი floating capital-ი და ამის შედეგიც მათვე უნდა ეწენიათ კიდევ; მაგრამ იგივე შედეგი იქნებოდა მაშინაც, მათ რომ თავიანთი საწარმოების კუთვნილი, მაგრამ იქიდან ამოღებული კაპიტალი რკინიგზებში კი არ დაებანდებიათ, არამედ, მაგალითად, სამთამაღრო საქმეში, რომლის პროდუქტიც — რკინა,

ნახშირი, სპილენძი და სხვ. — თვით წარმოადგენს floating capital-ს. — თავისუფალი ფულადი კაპიტალის ნამდვილი შემცირება მოუსავლობის, ხორბლეულის შემოზიდვისა და ოქროს გაზიდვის გამო, რასაკვირველია, ისეთი ფაქტი იყო, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია სარკინიგზო სპეკულაციასთან. «თითქმის ყველა სავაჭრო სახლი თავის საწარმოებს მეტნაკლებად ამშვედა იმისათვის, რომ ფული რკინიგზებში დაებანდებიათ». «ესოდენ ფართო ავანსებმა, რომლებიც რკინიგზებისთვის სავაჭრო სახლებმა გაიღეს, აიძულა ეს უკანასკნელნი თავიანთი სავაჭრო საქმის წარსამართლად მეტისმეტად დაყრდნობოდნენ ბანკებს თამასუქების დისკონტირების გზით» (იგივე ჰოჯსონი, იქვე, გვ. 67). «მანჩესტერში სარკინიგზო სპეკულაციის გამო ბევრმა უდიდესი ზარალი განიცადა» (რ. გარდნერი, არაერთხელ ციტირებული I წიგნში, თავი XIII, 3, c და სხვა ადგილას; ჩვენება № 4884, იქვე).

1847 წლის კრიზისის მთავარი მიზეზი იყო ბაზრის კოლოსალური გაღებება და უსაზღვრო სპეკულაცია ოსტ-ინდოეთის საქონლით ვაჭრობაში. მაგრამ სხვა გარემოებებმაც მიიყვანეს გაკოტრებამდე ამ დარგის ფრიად მდიდარი ფირმები: «მათ უხვი საშუალებები ჰქონდათ, მაგრამ არ შეეძლოთ ეს საშუალებანი ლიკვიდური გაეხადათ. მთელი მათი კაპიტალი ჩამაგრებული იყო მიწათმფლობელობაში მავრიკის კუნძულზე, ანდა ინდოგოსა და შაქრის ქარხნებში. და როდესაც შემდეგ მათ ვალდებულება იყისრეს 500 000 — 600 000 გირე. სტერლინგის რაოდენობით, მათ არავითარი საბრუნავი სახსრები არ აღმოაჩნდათ თავიანთი თამასუქების გაასატუმრებლად, და ბოლოს, გამოირკვა, რომ თავიანთი თამასუქების გადასახდელად ისინი მთლად თავიანთ კრედიტს უნდა დაყრდნობოდნენ» (ჩ. ტერნერი, მსხვილი ოსტ-ინდოელი ვაჭარი ლივერპულში, № 730, იქვე). შემდეგ ჩვენ გვაქვს გარდნერის ჩვენება (№ 4872, იქვე): «ჩინეთის ხელშეკრულების დადებისთანავე ქვეყანას ჩინეთთან ჩვენი ვაჭრობის კოლოსალური გაფართოების ისეთი ფართო პერსპექტივები გაეხსნა, რომ ბევრი დიდი ფაბრიკა საგანგებოდ ააგეს იმისათვის, რათა უმთავრესად ბამბის ის ქსოვილები დაემზადებიათ, რომლებსაც ფართო გასავალი აქვთ ჩინეთის ბაზარზე, და, აი, ეს ფაბრიკები მიემატა ყველა ჩვენს უკვე არსებულ ფაბრიკებს.—4874. რა შედეგი მოჰყვა ამ საქმეს? — უადრესად გამანადგურებელი, რომლის აწერაც კი თითქმის შეუძლებელია; მე არ მგონია, რომ მთელ იმ საქონელთა მასის ღირებულებიდან, რომელიც 1844 და 1845 წლებში ჩინეთში გააგზავნა, ორ მესამედზე მეტი დაბრუნებულიყოს ოდესმე ინგლისში; რადგან უკუექსპორტის მთავარ საგანს ჩაი შეადგენს და რადგან ჩვენ ესოდენ დიდი იმედები აღვიძირეს, ჩვენ, მეფაბრიკენი, დარწმუნებით

მოველოდით, რომ ჩაის ბაჟი დიდად იქნებოდა შემცირებული». და, აი, ჩვენ წინ არის ინგლისელი მეფაბრიკის გულუბრყვილოდ გამოთქმული დამახასიათებელი credo [რწმენა]: «ჩვენი ვაჭრობა უცხო ბაზარზე შეზღუდული არაა საქონლის ყიდვის იმ უნარით, რაც ამ ბაზარს გააჩნია, მაგრამ შეზღუდულია აქ, ჩვენს ქვეყანაში, იმ პროდუქტთა მოხმარების ჩვენი უნარით, რომელთაც ჩვენ ვიღებთ იქიდან ჩვენი სამრეწველო ნაწარმის სამაგიეროდ». (შეღარებით ღარიბ ქვეყნებს, რომლებთანაც ინგლისი ვაჭრობს, შეუძლიათ, რასაკვირველია, ყოველ რაოდენობის ინგლისური ფაბრიკატების გადახდა და მათი მოხმარება, მაგრამ, აი, მდიდარ ინგლისს, სამწუხაროდ, არ შეუძლია თავისი ექსპორტის სამაგიეროდ მიღებული პროდუქტების მონელება.) «4876. მე გაეზიდე თავდაპირველად ზოგი ჩემი საქონელი და გავყიდე დაახლოებით 15%-ის ზარალით. ამასთან სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი აგენტები ისეთ ფასებში იყიდდნენ ჩაის, რომ მისი გადაყიდვა საკმაო მოგებას მომცემდა ამ ზარალის დასაფარავად; მაგრამ მოგების ნაცვლად მე ისევ ზარალი ვნახე, რაც ზოგჯერ 25% და 50%-საც კი აღწევდა. — 4877. განა თავის საკუთარ ანგარიშზე ეწევიან მეფაბრიკენი ექსპორტს? — უმთავრესად; ვაჭრებმა, როგორც ჩანს, მალე შეატყვეს, რომ ამ საქმიდან არა გამოვიდოდა რა, და ისინი აგულიანებდნენ მეფაბრიკეებს, — საქონელი საკონსიგნაციოდ გაეგზავნათ უფრო მეტად, ვიდრე თვით ისინი, ვაჭრები, იღებდნენ ექსპორტში მონაწილეობას». — პირიქით, 1857 წელს ზარალი და გაკოტრება უპირატესად ვაჭრებს ხვდა წილად, ვინაიდან ამ შემთხვევაში მეფაბრიკეებმა მათ დაუთმეს უცხო ბაზრების გავსება მათ «საკუთარ ანგარიშზე».

ფულადი კაპიტალის გადიდება, რაც იქიდან წარმოდგება, რომ საბანკო საქმის გაფართოების გამო (იხ. ქვემოთ იპსვიჩის მაგალითი, სადაც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში უშუალოდ 1857 წლის წინ ფერმერების ანაბრები გაოთხკეცდა) ის, რაც უწინ კერძო პირთა განძს ან სამონეტო რეზერვს შეადგენდა, გასასესხებელ კაპიტალად იქცევა განსაზღვრული ვადით, — ფულადი კაპიტალის ასეთი გადიდება ისევე ნაკლებ გამოსახავს მწარმოებლური კაპიტალის ზრდას, როგორც, მაგალითად, ანაბრების ზრდა ლონდონის აქციონერულ ბანკებში მას შემდეგ, რაც ამ ბანკებმა იწყეს ანაბრებში სარგებლის მიცემა. ვიდრე წარმოების მასშტაბი უცვლელი რჩება, ეს გადიდება იწვევს მხოლოდ გასასესხებელი კაპიტალის სიუხვეს მწარმოებლურ კაპიტალთან შედარებით, აქედან — სარგებლის დაბალი განაკვეთი.

თუ კვლავწარმოების პროცესმა ისევ აყვავებას მიაღწია, რაც წინ უძღვის უღარეს დაძაბულობას, მაშინ კომერციული კრედიტი აღწევს ფრიად დიდ გაფართოებას, რასაც ამ შემთხვევაში კვლავ აქვს მართლა «ჯანსაღი» ბაზისი კაპიტალების გაადვილებულ უკუშემოდინებასა და წარმოების გაფართოებაში. ამ მდგომარეობაში სარგებლის განაკვეთი ჯერ კიდევ დაბალია, თუმცა თავის მინიმუმს აღემატება. ეს არის ერთადერთი პერიოდი, როდესაც მართლა შეიძლება ითქვას, რომ სარგებლის დაბალი განაკვეთი და, მაშასადამე, გასასესხებელი კაპიტალის შეფარდებითი სიუხვე ემთხვევა სამრეწველო კაპიტალის ნამდვილ გაფართოებას. ის სიადვილე და რეგულარობა, რომლითაც ხდება გაფართოებულ კომერციულ კრედიტთან დაკავშირებული კაპიტალის უკუშემოდინება, გაძლიერებული მოთხოვნის მიუხედავად, უზრუნველყოფს სასესხო კაპიტალის საკმარის მიწოდებას და ხელს უშლის სარგებლის განაკვეთის დონის აწევას. მეორე მხრივ, მხოლოდ ახლა იწყებენ თვალსაჩინო როლის თამაშს შეძენა-გამდიდრების ის რაინდები, რომელნიც სარეზერვო კაპიტალის გარეშე ან სრულიად უკაპიტალოდ მუშაობენ და ამიტომ მთლად ფულადი კრედიტის საშუალებით წარმართავენ საქმეებს. ამას ერთვის კიდევ ყველა ფორმის ძირითადი კაპიტალის დიდი გაფართოება და დიდი რაოდენობით ახალ, ფართოდ დაყენებულ საწარმოთა გახსნა. სარგებელი ახლა საშუალო სიმადლეს აღწევს. თავის მაქსიმუმს იგი კვლავ აღწევს მაშინ, როდესაც ახალი კრიზისი იფეთქებს, კრედიტი უცებ ქრება, გადასახდელთა გასტუმრება ფერხდება, კვლავწარმოების პროცესი დუნდება და, ზემოაღნიშნულ გამონაკლისებს გარდა, სასესხო კაპიტალის თითქმის აბსოლუტური ნაკლებობის გვერდით ჩნდება უმოქმედო სამრეწველო კაპიტალის სიჭარბე.

მაშასადამე, სასესხო კაპიტალის მოძრაობა, როგორც იგი სარგებლის განაკვეთით გამოიხატება, საერთოდ სამრეწველო კაპიტალის მოძრაობის პირიქითი მიმართულებით მიმდინარეობს. ფაზა, რომელშიაც დაბალი, მაგრამ მინიმუმზე მაღლა მდგომი სარგებლის განაკვეთი ემთხვევა საქმეების «გაუმჯობესებას» და კრიზისის დამთავრების შემდეგ მზარდ ნდობას და განსაკუთრებით ის ფაზა, როდესაც სარგებლის განაკვეთი თავის საშუალო სიდიდეს აღწევს, — საშუალოს, თანაბრად დაშორებულს მინიმუმისა და მაქსიმუმისაგან, — მხოლოდ ეს ორი მომენტი გამოსახავს უხვი სასესხო კაპიტალის დამთხვევას სამრეწველო კაპიტალის დიდ გაფართოებასთან. მაგრამ სამრეწველო ციკლის დასაწყისში სარგებლის დაბალი განაკვეთი ემთხვევა სამრეწველო კაპიტალის შემცირებას, ხოლო ციკლის ბოლოს სარგებლის მაღალი

განაკვეთი ემთხვევა სამრეწველო კაპიტალის დიდ სიუხვეს. სარგებლის დაბალი განაკვეთი, რომელიც «გაუმჯობესებას» ახლავს, იმას მოწმობს, რომ კომერციული კრედიტი მხოლოდ მცირე ოდენობით საჭიროებს საბანკო კრედიტს, რომ იგი ჯერ კიდევ თავის საკუთარ ფეხზე დგას.

ამ სამრეწველო ციკლის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ, რაკი პირველი ბიძგი მიცემულია, ერთი და იგივე წრებრუნვა პერიოდულად უნდა მეორდებოდეს⁸. დეპრესიის მდგომარეობაში წარმოება იმ საფეხურზე დაბლა ეცემა, რომელსაც მან მიაღწია წინა ციკლში და რომლისათვის ახლა ტექნიკური ბაზისია ჩაყრილი. აყვავებისას — შუაპერიოდში — წარმოება განაგრძობს განვითარებას ამ ბაზისზე. ჭარბწარმოებისა და თაღლითობის პერიოდში მწარმოებლუ-

⁸ { როგორც უკვე სხვა ადგილას აღენიშნე, უკანასკნელი დიდი საყოველთაო კრიზისის შემდეგ აქ ერთგვარი შემობრუნება მოხდა. პერიოდული პროცესის მწვავე ფორმამ მისი აქამდე არსებული ათწლიანი ციკლითურთ, როგორც ეტყობა, ადგილი დაუთმო უფრო ქრონიკულ, ხანგრძლივ და ამასთან სხვადასხვა სამრეწველო ქვეყნების სხვადასხვა დროის მომცველ რიგრიგობას საქმიანობის შედარებით ხანმოკლე და სუსტი გაცხოველების პერიოდებისა და შედარებით გრძელი და ამასთან გააღუფყვეტელი დეპრესიის პერიოდებისას. მაგრამ, შესაძლებელია, ჩვენ აქ გვექონდეს მარტოოდენ ციკლის ხანგრძლივობის გადიდება. მსოფლიო ვაჭრობის სიყრმის პერიოდში, 1815 — 1847 წლებში, ინტერვალი თანმიმდევრულ კრიზისებს შორის შეიძლება განესაზღვროთ დაახლოებით ხუთი წლით; 1847-იდან 1867 წლამდე ციკლი გარკვევით ათწლიანია; ხომ არ ეიმყოფებით ჩვენ ახლა გაუგონარი სიმწვავეის ახალი მსოფლიო კრაზის მომზადების პერიოდში? ამის მაჩვენებელი თითქოს ბევრი რამაა. 1867 წლის უკანასკნელი საყოველთაო კრიზისის შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა. მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა კოლოსალურმა ზრდამ — საოკეანო გემები, რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფი, სუეცის არხი — პირველად შექმნა ნამდვილად მსოფლიო ბაზარი. ინგლისის გვერდით, რომელსაც წინათ მონოპოლიურად ხელთ ეპყრა მრეწველობა, ასპარეზზე გამოვიდნენ მთელი რიგი მეტოქე სამრეწველო ქვეყნები; ევროპული კაპიტალის ნამეტის დაბანდებას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეუდარებლად უფრო დიდი და მრავალგვარი დარგები გაეხსნა, ასე რომ კაპიტალის განაწილება ბევრად უფრო ფართოდ ხდება და ადგილობრივი უზომო სპეკულაცია უფრო ადვილად გადაილახება. ყველა ამის მეოხებით კრიზისის ძველი კერებისა და კრიზისის წარმოშობის საბაბთა უმრავლესობა მოსპობილია ან ძალიან შესუსტებული. ამასთან ერთად კონკურენცია შინაგან ბაზარზე უკან იხვეს კარტელეზისა და ტრესტების წინაშე, მაშინ როდესაც საგარეო ბაზარზე ეს კონკურენცია შეზღუდულია მფარველობითი ბაუებით, რითაც გარშემორტყმული არიან, ინგლისის გამოკლებით, ყველა სამრეწველო ქვეყნები. მაგრამ თვით ეს მფარველობითი ბაუები სხვა არაფერია, თუ არა შეიარაღება დასკვნითი საყოველთაო სამრეწველო ომისათვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მსოფლიო ბაზარზე ბატონობის საკითხი. ამრიგად, თვითუცა ეს ელემენტი, რომელიც ძველი ტიპის კრიზისის განმეორებას ეწინააღმდეგება, გაცილებით უფრო გრანდიოზული მომავალი კრიზისის ჩანასახს შეიცავს. —

ფ. შ. |

რი ძალები უკიდურესად დაძაბულია და სცილდება წარმოების პროცესის კაპიტალისტურ ფარგლებს.

კრიზისის პერიოდში რომ გადახდის საშუალებების ნაკლებობაა, ეს თავისთავად ცხადია. თამასუქების მეტამორფოზები თვით საქონელთა მეტ-პორფოზის ადგილს იჭერენ, და სწორედ ასეთ დროს მით უფრო, რაც უფრო მეტი სავაჭრო ფირმები მუშაობენ კრედიტით. 1844 — 1845 წლის კანონების მსგავს ბრიყვულ და უგუნურ საბანკო კანონმდებლობას შეუძლია ამ კრიზისის გაძლიერება. მაგრამ არავითარ საბანკო კანონმდებლობას არ ძალუძს კრიზისის მოსაბოძა.

წარმოების ისეთ სისტემაში, სადაც კვლავწარმოების პროცესის მთელი კავშირუროთიერთობა კრედიტზეა დამყარებული, თუ კრედიტი უცებ შეწყდა და მხოლოდ ნაღდი გადახდა დარჩა ძალაში, ცხადია, უნდა დაიწყოს კრიზისი, გადახდის საშუალებათა გამალბებული ძებნა-ამიტომ ერთი შეხედვით მთელი კრიზისი წარმოგვიდგება მხოლოდ რაიგორც კრედიტის კრიზისი და ფულის კრიზისი. და, მართლაც, აქ საკითხი ისაა, თუ როგორ უნდა გადაიქცეს თამასუქი ფულად. მაგრამ ეს თამასუქები უმრავლეს შემთხვევაში წარმომადგენელია ნამდვილი ყიდვა-გაყიდვისა, და ამ ყიდვა-გაყიდვის გაფართოება საზოგადოებრივი მოთხოვნილების ფარგლებს იქით საფუძვლად უდევს ბოლოს და ბოლოს მთელ კრიზისს. მაგრამ ამასთან ერთად ამ თამასუქების დიდძალი რაოდენობა წარმომადგენს მარტოოდენ თაღლითურ ოპერაციებს, რომლებიც ახლა ნათლად აშკარავდება და სკდება; შემდეგ, თამასუქები წარმომადგენენ სპეკულაციურ ოპერაციებს, რომლებიც სხვისი კაპიტალით იყო წამოწყებული და რომლებსაც მარცხი მოუვიდა; დასასრულ, — ისინი წარმომადგენენ საქონლურ კაპიტალებს, რომლებიც გაუფასურებულია ან სრულიადაც ვერ გაიყიდება, ანდა წარმომადგენენ კაპიტალების უკუმოდინებას, რომელიც უკვე ვერასოდეს ვერ განხორციელდება. კვლავწარმოების პროცესის ნაძალადევი გაფართოების მთელი ეს ხელოვნური სისტემა, რასაკვირველია, ვერ გაჯანსაღდება მით, რომ, ვთქვათ, რომელიმე ბანკი, მაგალითად, ინგლისის ბანკი, თავისი ქაღალდებით ყველა ამ სპეკულანტებს მისცემს კაპიტალს, რომელიც მათ აკლიათ, და ყველა გაუფასურებულ საქონელს შეისყიდის მათი ძველი ნომინალური ღირებულების მიხედვით. სხვათა შორის, აქ ყველაფერი დამახინჯებული სახით წარმოგვიდგება, ვინაიდან ამ ქაღალდის სამყაროში არსად არ ვლინდება რეალური ფასი და მისი რეალური მომენტები, არამედ გვევლინება მხოლოდ ოქროს ზოდები, ლითონური ფული, ბანკნოტები, თამასუქები, ფასიანი ქაღალდები. ეს დამახინჯება განსაკუთრებით ვლინდება ცენტრებში, სადაც თავმოყრილია ქვეყნის

მთელი ფულადი ოპერაციები, მაგალითად, ლონდონში; მთელი პროცესი აქ გაუგებარი ხდება; უფრო ნაკლებად შეიმჩნევა ეს სამრეწველო ცენტრებში.

სხვათაშორის, სამრეწველო კაპიტალის დიდი სიუხვის გამო, რასაც ადგილი აქვს კრიზისების დროს, უნდა შევნიშნოთ შემდეგი: საქონლური კაპიტალი თავისთავად [an sich] იმავდროულად ფულადი კაპიტალია, ე. ი. საქონლის ფასით გამოხატული ღირებულების განსაზღვრული ჯამია. როგორც სახმარი ღირებულება, იგი განსაზღვრული რაოდენობაა განსაზღვრული მოხმარების საგნებისა, რომლებიც კრიზისის მომენტში ჭარბად მოიპოვება. მაგრამ როგორც ფულადი კაპიტალი თავისთავად [an sich], როგორც პოტენციული ფულადი კაპიტალი, იგი განიცდის მუდმივ გაფართოებასა და შეკუმშვას. უშუალოდ კრიზისის წინ და კრიზისის განმავლობაში საქონლური კაპიტალი თავისი თვისების თანახმად, ე. ი. როგორც პოტენციური ფულადი კაპიტალი, შეიკუმშება მისი მფლობელებისთვის და მათი კრედიტორებისთვის (აგრეთვე როგორც თამასუქებისა და სესხის უზრუნველყოფა) იგი ფულადი კაპიტალის ნაკლებ რაოდენობას წარმოადგენს, ვიდრე იმ პერიოდში, როცა მას ყიდულობდნენ და როცა მასზე დამყარებულ სადისკონტო და საგირაო ოპერაციებს ასრულებდნენ. თუ სახელდობრ ასეთია აზრი იმ მტკიცებისა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი კაპიტალი შეფერხების პერიოდში მცირდება, მაშინ ეს მტკიცება საქონელთა ფასების დაცემის იდენტურია. თუმცა ფასების ასეთი დაცემა აწონასწორებს მხოლოდ მათს წინანდელ გაბერვას.

შემოსავალი არამწარმოებელი კლასებისა და ყველა იმათი, ვინც მტკიცე შემოსავლით ცხოვრობს, მეტწილად უცვლელი რჩება ფასების გაბერვის დროს, რაც ჭარბწარმოებასა და უზომო სპეკულაციასთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს. ამიტომ მათი მოხმარებითი უნარი შედარებით მცირდება და ამით მცირდება აგრეთვე მათი უნარიც — ანაზღაურონ ერთობლივი კვლავწარმოების ის ნაწილი. რაც ნორმალური ვითარების დროს მათ მოხმარებაში უნდა შესულიყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოთხოვნა ნომინალურად უცვლელი რჩება, იგი სინამდვილეში კლებულობს.

იმპორტისა და ექსპორტის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნები რიგრიგობით ყველანი კრიზისში იხლართებიან, და მაშინ აშკარადდება, რომ ყველა მათ, მცირე გამონაკლისის გარდა, მომეტებულად ბევრი გაზიდეს და შემოზიდეს, და, მაშასადამე, საგადასახდელ ბალანსი თანაბრად არახელსაყრელია ყველასთვის და რომ, ამრიგად, სინამდვილეში საგადასახდელ ბალანს-

სი მიზეზს არ წარმოადგენს. მაგალითად, ინგლისი გაჭირვებას განიცდის ოქროს მიქცევის გამო. მან ჭარბად შემოიზიდა საქონელი. მაგრამ იმავე დროს ყველა სხვა ქვეყანა გავსებულია ინგლისური საქონლით. მაშასადამე, მათაც ჭარბად შეზიდეს საქონელი ან მოჭარბებულად შეუზიდეს საქონელი. (რასაკვირველია, არის განსხვავება, კრედიტით გამზიდველ ქვეყანასა და იმ ქვეყნებს შორის, რომელნიც სულ არ ეწევიან ან მცირედ ეწევიან კრედიტით გაზიდვას. მაგრამ უქანასკნელნი სამაგიეროდ შეზიდავენ კრედიტით; ამას ადგილი არა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, ვთუ საქონელი იქ საკონსიგნაციოდ იგზავნება.) კრიზისმა პირველ რიგში შეიძლება იფეთქოს ინგლისში, იმ ქვეყანაში, რომელიც მეტწილად იძლევა კრედიტს და თვითონ ძალიან ცოტა კრედიტს იღებს, იმიტომ რომ საგადასახდელო ბალანსი, ბალანსი ვადადამდგარ ვადასახდელთა, რომელთა ლიკვიდაცია დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა მისთვის, თუმცა საერთო ვაჭრობის ბალანსი ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა. ეს უქანასკნელი გარემოება აიხსნება ნაწილობრივ ინგლისის მიერ გაღებული კრედიტით, ნაწილობრივაც საზღვარგარეთ მის მიერ სესხად გაცემული კაპიტალების სიმრავლით, რის გამო ადგილი აქვს მასთან მასობრივად საქონლის უკუმოდიწენებას, დამოუქიდებლად იმ უკუმოდიწენებისაგან, რაც გაპირობებულია საკუთრივ სავაჭრო ოპერაციებით. (მაგრამ ზოგჯერ კრიზისი დაწყებულა პირველად ამერიკაშიც, — იმ ქვეყანაში, რომელიც მეტწილად სავაჭრო და კაპიტალის კრედიტს ინგლისიდან იღებს.) ინგლისში წარმოდგარი კრახი, რომელსაც წინ უძღვის და თან ახლავს ოქროს მიქცევა, აწონასწორებს ინგლისის საგადასახდელო ბალანსს, ნაწილობრივ მის იმპორტერთა გაკოტრების გზით (რაზედაც ქვემოთ), ნაწილობრივ მისი საქონლური კაპიტალის ნაწილის იაფ ფასებში საზღვარგარეთ გაზიდვით, ნაწილობრივ უცხოეთის ფასიანი ქალაღდების გაყიდვით, ინგლისური ფასიანი ქალაღდების ყიდვით და სხვ. და, აი, ახლა რომელიმე სხვა ქვეყნის რიგი დგება. საგადასახდელო ბალანსი მოცემულ მომენტში მისთვის ხელსაყრელი იყო; მაგრამ ახლა ჩვეულებრივი დროის საგადასახდელო ბალანსსა და ვაჭრობის ბალანსს შორის ვაღდების განსხვავება აღარ არსებობს. ან ყოველ შემთხვევაში ეს ვაღა შემოკლებულია კრიზისის გამო: ყველა გადასახდელის გასტუმრება ერთბაშად უნდა მოხდეს. იგივე ამბავი მეორდება ახლა აქ. ინგლისი ახლა განიცდის ოქროს უკუმოქცევას, მეორე ქვეყანა კი — ოქროს მიქცევას. რაც ერთ ქვეყანაში გვევლიწენება როგორც ჭარბი იმპორტი, ის მეორეში წარმოადგენს ჭარბ ექსპორტს, და პირიქით. მაგრამ ჭარბ იმპორტს და ჭარბ ექსპორტს ყველა ქვეყანაში ჰქონდა

ადგილი (ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ მოუსაველობაზე და სხვ., არამედ — საყოველთაო კრიზისზე), ე. ი. ადგილი ჰქონდა ჭარბწარმოებას, რომელსაც ხელს უწყობდა კრედიტი და მისი თანმზლები ფასების საერთო გაბერვა.

1857 წელს კრიზისმა იფეთქა შეერთებულ შტატებში. დაიწყო ოქროს მიქცევა ინგლისიდან ამერიკაში, მაგრამ როგორც კი დაიფუყა გაბერილი ფასები ამერიკაში, დაიწყო კრიზისი ინგლისში და ოქროს მიქცევა ამერიკიდან ინგლისში. ასევე მოხდა ინგლისსა და კონტინენტს შორის. საყოველთაო კრიზისის პერიოდში საგადასახდელი ბალანსი არახელსაყრელია ყოველი ერისათვის, ყოველ შემთხვევაში ყოველი კომერციულად განვითარებული ერისათვის, მაგრამ ეს არახელსაყრელი საგადასახდელი ბალანსი თავს იჩენს, როგორც თოფის ოცეულობით სროლის დროს, ერთი ერის შემდეგ მეორეში განსაზღვრული ვადის გასვლისას, როდესაც გადასახდელის ჯერი მასზე მიდგება, და კრიზისი, რაკი მან ერთხელვე იფეთქა რომელსამე ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისში, ძალიან მოკლე პერიოდის ფარგლებში ათავსებს ამ ვადებს. მაშინ ამჟამად ვეძებ, რომ ყველა ამ ქვეყნებს იმავდროულად მეტად ბევრი საქონელი გაუზიდნიათ (მაშასადამე, ჭარბად უწარმოებიან) და მეტად ბევრი შეუზიდნიათ (მაშასადამე, ჭარბად უვაჭრნიათ), რომ ყველა მათში ფასები მეტისმეტად გაბერილი იყო და კრედიტი — უზომოდ დაძაბული. და ყველგან ერთნაირ კრახს აქვს ადგილი. ოქროს მიქცევის ეს მოვლენა შემდეგ თავს იჩენს ყველა ქვეყანაში რიგრიგობით და სწორედ თავისი საყოველთაო ხასიათით გვიჩვენებს: 1) რომ ოქროს მიქცევა მარტოდენ მოვლენაა კრიზისისა და არა მისი მიზეზი, 2) რომ ის თანმიმდევრობა, რომლის მიხედვით ოქროს მიქცევას ადგილი აქვს სხვადასხვა ერებში, მხოლოდ იმ დროს აღნიშნავს, როდესაც თვითელი მათგანისათვის დადგა ცასთან ანგარიშია გასწორების ჯერი, როდესაც მათი კრიზისის ვადა დადგა და ამ კრიზისის ფარული ელემენტები უნდა აფეთქდეს.

ინგლისელ ეკონომისტ მწერლებისთვის დამახასიათებელია, — და მოხსენიების ღირსი ეკონომიური ლიტერატურა 1830 წელს შემდეგ უმთავრესად წარმოადგენს ლიტერატურას currency-ს [ფულადი მიმოქცევის], კრედიტის, კრიზისის შესახებ, — რომ ისინი კრიზისის პერიოდში, სათამაშუჟო კურსის ცვლილების მიუხედავად, ძვირფას ლითონთა ექსპორტს განიხილავენ მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის თვალსაზრისით, როგორც წმინდა ეროვნულ მოვლენას, და სრულიად თვალს ხუჭავენ იმ ფაქტზე, რომ როცა ინგლისის ბანკი კრიზისის პერიოდში

სარგებლის განაკვეთს ადიდებს, ამასვე სჩადიან სხვა ევროპული ბანკებიც, და თუ დღეს ინგლისში ჩივილი გაისმის ოქროს მიქცევის გამო, ამ ჩივილს ხვალ ადგილი ექნება ამერიკაში და ზეგ გერმანიასა და საფრანგეთში.

1847 წელს «ინგლისს უნდა დაეფარა მიმდინარე ვალდებულებანი» {მეტწილად პურისთვის}. «საუბედუროდ, მათი დაფარვა ხდებოდა მეტწილად გაკოტრების გზით». {მდიდარმა ინგლისმა გაკოტრების საშუალებით გაინთავისუფლა თავი ვალდებულებებისაგან კონტინენტისა და ამერიკის მიმართ.} «მაგრამ რამდენადაც იმ ვალდებულებათა ლიკვიდაცია გაკოტრების გზით არ მომხდარა, მათ ფარავდნენ ძვირფას ლითონთა გაზიდვის საშუალებით» {«Report of Committee on Bank Acts», 1857}. ამრიგად, რამდენადაც ინგლისში კრიზისი მწვავედება საბანკო კანონმდებლობით, ეს კანონმდებლობა საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ დამშევის პერიოდებში მოატყუონ პურის გამზიდველი ერები, ჯერ პურის შესყიდვის დროს მოატყუონ და შემდეგ ფულის გადახდისას. ამრიგად, პურის გაზიდვის აკრძალვა ასეთ დროს იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც თვითონ მეტნაკლებ იტანჯებიან სიძვირის გამო, წარმოადგენს ფრიად რაციონალურ საშუალებას ინგლისის ბანკის ამ გეგმის წინააღმდეგ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პურის შემოზიდვის «ვალდებულებათა დაფარვა» ხდებოდეს «გაკოტრების გზით». ბევრად უმჯობესია, თუ პურის მწარმოებლები და სპეკულანტები თავიანთი მოგების ნაწილს თავიანთი ქვეყნის სასარგებლოდ დაკარგავენ, ვიდრე მათ თავიანთი კაპიტალი ინგლისის სასარგებლოდ დაკარგონ.

ნათქვამიდან ჩანს, რომ საქონლური კაპიტალი კრიზისისა და საერთოდ სამრეწველო საქმიანობის შეფერხების დროს მეტწილად კარგავს თავის თვისებას — გამოსახოს პოტენციური ფულადი კაპიტალი. იგივე უნდა ითქვას აგრეთვე ფიქციურ კაპიტალზე, სარგებლიან ქალაქებზე, რამდენადაც ისინი თვითონ მიმოიქცევიან ბირჟაზე როგორც ფულადი კაპიტალები. სარგებლის გადიდებასთან ერთად ეცემა მათი ფასი. იგი ეცემა, შემდეგ, კრედიტის საერთო ნაკლებობისას, რაც სარგებლიანი ქალაქების პატრონებს აიძულებს მასობრივად გადაისროლონ ისინი ბაზარზე ფულის მოსაპოვებლად. დასასრულ, აქციების ფასი ეცემა, ნაწილობრივ შემოსავალთა შემცირების გამო, რომელთა მიმართ ეს აქციები მოწოდებია, ნაწილობრივ — იმ საწარმოთა თაღლითური ხასიათის გამო, რომლებსაც ისინი ხშირად წარმომადგენლობენ. კრიზისის დროს ეს ფიქციური ფულადი კაპიტალი მეტისმეტად მცირდება

და მასთან ერთად მცირდება მისი მესაკუთრისთვის ბაზარზე მის სამაგიეროდ ფულის მიღების შესაძლებლობა. მაგრამ ამ ფასიანი ქაღალდების ფულადი სახელწოდების შემცირება საკურსო ბიულეტენში სრულიად არ ეხება იმ ნამდვილ კაპიტალს, რომელსაც ისინი წარმომადგენლობენ, მაგრამ ძალიან ეხება მათი პატრონების გადახდისუნარიანობას.

თავი ოცდამეთერთმეტი

ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. II.

(გეგმა ქვეყნის)

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვრჩით იმ საკითხს, თუ რამდენად ემთხვევა კაპიტალის დაგროვება ფულადი კაპიტალის ფორმით ნამდვილ დაგროვებას, კვლავწარმოების პროცესის გაფართოებას.

ფულის გადაქცევა სასესხო ფულად კაპიტალად ბევრად უფრო იოლი საქმეა, ვიდრე ფულის გადაქცევა მწარმოებლურ კაპიტალად. მაგრამ ჩვენ აქ ორი რამ უნდა განვასხვავოთ:

- 1) ფულის უბრალო გადაქცევა სასესხო კაპიტალად;
- 2) კაპიტალის ან შემოსავლის გადაქცევა ფულად, რომელიც, თავის მხრივ, სასესხო კაპიტალად გადაიქცევა.

მხოლოდ უკანასკნელი პუნქტის პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასესხო კაპიტალის დადებით დაგროვებას, დაკავშირებულს სამრეწველო კაპიტალის ნამდვილ დაგროვებასთან.

1) ფულის გადაქცევა სასესხო კაპიტალად.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასესხო კაპიტალის დაგროვებას, მის სიჭარბეს, რომელიც მხოლოდ იმდენადაა მწარმოებლურ დაგროვებასთან დაკავშირებული, რამდენადაც იგი პირუკუ შეფარდებაშია უკანასკნელთან. ამას ადგილი აქვს სამრეწველო ციკლის ორ ფაზაში, სახელდობრ: პირველი, იმ პერიოდში, როცა სამრეწველო კაპიტალი ორსავე თავის ფორმაში — მწარმოებლური და საქონლური კაპიტალის ფორმაში — მცირდება, მაშასადამე, ციკლის დასაწყისში კრიზისის შემდეგ; და, მეორე, იმ პერიოდში, როცა გაუმჯობესება იწყება, მაგრამ კომერციული კრედიტი ჯერ კიდევ იშვიათად მიმართავს საბანკო კრედიტს. პირველ შემთხვევაში ფულადი კაპიტალი, რომელიც წინათ წარმოებასა და ვაჭრობაში იყო გამოყენებული, გვევლინება როგორც თავისუფალი სასესხო კაპიტალი; მეორე შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც კაპიტალი, რომელიც სულ უფრო მზარდი

მასშტაბით გამოიყენება საქმეში, მაგრამ — სარგებლის ძალიან დაბალი განაკვეთის საფუძველზე, რადგან ახლა მრეწველი და ვაჭარი კაპიტალისტი ფულად კაპიტალისტს პირობებს უკარნახებს. სასესხო კაპიტალის სიჭარბე პირველ შემთხვევაში გამოსახავს სამრეწველო კაპიტალის შეფერხებას, მეორე შემთხვევაში კომერციული კრედიტის შეფარდებითს დამოუკიდებლობას საბანკო კრედიტისგან, რაც კაპიტალის დაუზრკოლებელ უკუმოდინებაზე, კრედიტის მოკლევადიანობაზე და უპირატესად საკუთარი კაპიტალით საქმის წარმართვაზე დამყარებული. სპეკულანტები, რომელთაც სხვისი საკრედიტო კაპიტალის იმედი აქვთ, ჯერ კიდევ არ გამოსულან ასპარეზზე; საკუთარი კაპიტალით მომუშავე პირნი ჯერ კიდევ შორს არიან ისეთი ოპერაციებიდან, რომლებიც თითქმის მთლიანად საკრედიტო ოპერაციებია. პირველ ფაზაში სასესხო კაპიტალის სიჭარბე ნამდვილი დაგროვების პირდაპირ დაპირისპირებულობას გამოსახავს. მეორე ფაზაში იგი ემთხვევა კვლავწარმოების პროცესის ახალ გაფართოებას, თან ახლავს მას, მაგრამ არ წარმოადგენს მის მიზეზს. სასესხო კაპიტალის სიჭარბე უკვე კლებულობს, იგი მხოლოდ შეფარდებითია მოთხოვნასთან შედარებით. ორივე შემთხვევაში დაგროვების პროცესის ნამდვილ გაფართოებას ხელს უწყობს ას გარემოება, რომ დაბალი სარგებელი, რაც პირველ შემთხვევაში ემთხვევა დაბალ ფასებს, მეორე შემთხვევაში კი — ნელნელა მზარდ ფასებს, ადიდებს მოგების იმ ნაწილს, რომელიც მეწარმის შემოსავლად გადაიქცევა. კიდევ უფრო მეტად აქვს ამას ადგილი სარგებლის გადიდებისას მისი საშუალო დონემდე მაქსიმალური აყვავების პერიოდში, როცა სარგებელი მართალია იზრდება, მაგრამ არა მოგების პროპორციულად.

მეორე მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ სასესხო კაპიტალის დაგროვებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყოველი ნამდვილი დაგროვების გარეშე, მართოდენ ტექნიკური საშუალებების დახმარებით, როგორცაა საბანკო საქმის გაფართოება და კონცენტრაცია, დაზოგვა მიმოქცევის რეზერვის ანდა კერძო პირების კუთვნილ გადახდის საშუალებათა სარეზერვო ფონდებისა, რომლებიც ამის გამო ყოველთვის მოკლე ხნით სასესხო კაპიტალად გადაიქცევა. თუმცა ეს სასესხო კაპიტალი, რომელსაც ამიტომ დენად კაპიტალს (floating capital) უწოდებენ კიდევ, მხოლოდ მოკლე პერიოდებისთვის ინარჩუნებს სასესხო კაპიტალის ფორმას (და ასევე მხოლოდ მოკლე პერიოდებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საღისკონტო ოპერაციების შესასრულებლად), მაგრამ იგი სამაგიეროდ მუდამ მოედინება და მიედინება. თუ ერთს მიაქვს, მეორეს მოაქვს იგი. ამრიგად, გასასესხებელი ფულადი კაპიტალის მასა

(ჩვენ აქ ვლაპარაკობთ საერთოდ არა წლობით გაცემულ სესხებზე, არამედ მხოლოდ მოკლევადიან სესხებზე თამასუქებისა და გირაოს ქვეშ) ნამდვილად იზრდება სრულიად დამოუკიდებლად ნამდვილი დაჯროვებისაგან.

B. C. 1857. კითხვა 501. «რას გულისხმობთ თქვენ floating capital-ად?». {ინგლისის ბანკის მმართველი ბ ნი ვეგელინი}. «ეს არის კაპიტალი, რომლის გამოყენება შეიძლება ფულადი სესხისთვის მოკლე ხნით... (502) ინგლისის ბანკის ბანკნოტები... პროვინციული ბანკების და ქვეყანაში არსებული ფულის თანხა. — {კითხვა} თუ თქვენ floating capital-ად აქტიურ მიმოქცევას {სახელდობრ ინგლისის ბანკის ბანკნოტებს} გულისხმობთ, მაშინ, თუ იმ ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც კომისიას მოეპოვება, ამ აქტიურ მიმოქცევაში განა მნიშვნელოვან რყევას არ აქვს ადგილი? {ვაგრამ დიდი განსხვავებაა, თუ ვინ ააფანებს აქტიურ მიმოქცევას — ფულადი კრედიტორი, თუ ჭვითონ კვლავმწარმოებელი კაპიტალისტი. — ვეგელინის პასუხი:} მე floating capital-ში შემაქვს ბანკირების რეზერვებიც, რომლებშიაც ვხედავთ მნიშვნელოვან რყევას». ეს ნიშნავს, მაშასადამე, რომ მნიშვნელოვან რყევას ადგილი აქვს ანაბრების იმ ნაწილში, რომელიც ბანკირებს არ გამოუყენებიათ გასასესხებლად, არამედ მოიპოვება როგორც მათი რეზერვი, ხოლო მეტწილად აგრეთვე როგორც ინგლისის ბანკის რეზერვი. სადაც ეს ანაბრები შეტანილია. ბოლოს, იგივე ბ-ნი ვეგელინი ამბობს: floating capital-ი არისო bullion-ი, ე. ი. ზოდები და ლითონის ფული (503). საოცარია საერთოდ რაოდენ სხვა აზრს და სხვა ფორმას იღებს პოლიტიკური ეკონომიის ყველა კატეგორია ფულის ბაზრის ამ საკრედიტო სიტყვების რახარუხში. Floating capital აქ სხვა გამოთქმაა circulating capital-ისთვის {საბრუნავი კაპიტალისთვის}, რაც, რასაკვირველია, სრულიად სხვა რამ არის, და money-ც [ფულიც] კაპიტალია, bullion-ც [ზოდიც] კაპიტალია, ბანკნოტებიც circulation-ია [მიმოქცევაა], კაპიტალიც a commodity-ა [საქონელია], ვალიც commodities-ია [საქონელია], fixed capital-იც [ძირითადი კაპიტალი] ძნელად გასაყიდ ქალაღლებში დაბანდებული ფულია.

«ლონდონის აქციონერულმა ბანკებმა... თავიანთი ანაბრები გაადიდეს 8 850 774 გირვ. სტერლინგიდან 1847 წ. 43 100 724 გირვ. სტერლინგამდე 1857 წელს... კომისიაში არსებული ცნობები და ჩვენებები ნებას გვაძლევს შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ამ უზარმაზარი თანხის დიდი ნაწილი აღებულია ისეთი წყაროებიდან, რომლებიც წინათ ამ მიზნისთვის ვერ გამოიყენებოდა; ბანკირთან ანგარიშის გახსნისა და მის ბანკში ანაბრად ფულის შეტანის ჩვეულება გავრცელდა მრავალ

კლასზე, რომელნიც წინათ თავიანთ კაპიტალს (!) ამ წესით არ გამოიყენებდნენ. ბ-ნი როდუელი, პროვინციული კერძო ბანკების» [აქციონერული ბანკებისგან განსხვავებით] «ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ იყო გამოგზავნილი კომისიისათვის ჩვენების მისაცემად, გვაცნობებს, რომ იპსვიჩის რაიონში ფერმერებისა და წვრილი ფაქრების წრეში ეს ჩვეულება უკანასკნელ დროს ოთხჯერ უფრო გაძლიერდა; რომ თითქმის ყველა ფერმერს, იმათაც კი, რომელნიც მართოდ 50 გირვ. სტერლინგ საიჯარო ქირას იხდიან წელიწადში, აქვთ ახლა ბანკებში ანაბრები. ამ ანაბრების მასა, რასაკვირველია, გზას პოულობს საქმეში გამოსაყენებლად და მიიღტვის განსაკუთრებით ლონდონისკენ, კომერციული საქმიანობის ცენტრისაკენ, სადაც იგი უწინარეს ყოვლისა გამოიყენება თამასუქების დისკონტირებისათვის და ლონდონის ბანკირთა კლიენტებისთვის სხვა სესხის მისაცემად. მაგრამ ამ ანაბრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ბანკირებს არ ესაჭიროებათ, გადადის billbroker-ების ხელში, და ესენი ბანკირებს ამის სამაგიეროდ სავაჭრო თამასუქებს აძლევენ, რომლებიც უკვე ერთხელ დისკონტირებულა მათ მიერ სხვადასხვა პირებისათვის ლონდონსა და პროვინციაში» (B. C. 1858, გვ. V).

როდესაც ბანკირი სესხს აძლევს billbroker-ს იმ თამასუქზე, რომლის დისკონტირებაც, ამ billbroker-მა ერთხელ უკვე მოახდინა, იგი ფაქტიურად თამასუქის რედისკონტირებას ახდენს; მაგრამ სინამდვილეში ბევრი ამ თამასუქთაგანი ერთხელ უკვე იყო რედისკონტირებული თვით billbroker-ებთან და იმავე ფულით, რომელსაც ბანკირი billbroker-ს აძლევს ბანკირის მიერ რედისკონტირებულ თამასუქში, billbroker-ი თამასუქების რედისკონტირებას ახდენს. და აი, რა არის ამის შედეგი: «ფიქციური კრედიტის გაფართოება შექმნილი იყო მეგობრული თამასუქებით და ბლანკოკრედიტით, რაც ძალიან გაადვილებული იყო პროვინციული ბანკების მოქმედებით, რომელნიც ადისკონტირებდნენ ასეთ თამასუქებს და შემდეგ billbroker-ებთან ლონდონის ბაზარზე რედისკონტირებას ახდენდნენ, ამასთან გარანტიას წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ბანკის კრედიტუნარიანობა და თამასუქის ყველა სხვა ღირსება უყურადღებოდ იყო დატოვებული» (იქვე).

ამ რედისკონტირების და იმ ხელშეწყობის შესახებ, რასაც სასესხო ფულადი კაპიტალის ასეთი წმინდა ტექნიკური გადიდება უწევს საკრედიტო სპეკულაციას, საინტერესოა შემდეგი ადგილი «Economist»-იდან: «მრავალი წლის მანძილზე ქვეყნის ზოგ ოლქებში კაპიტალი» (სახელდობო სასესხო ფულადი კაპიტალი) უფრო სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იგი შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო, მაშინ

როდესაც სხვა ოლქებში მისი გამოყენების საშუალებები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე თვით კაპიტალი. მაშინ როდესაც სამიწათმოქმედო ოლქებში ბანკირებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავიანთი ანაბრები მომგებიანად და საიმედოდ დაებანდებიათ ადგილობრივ, სამრეწველო ოლქების და სავაჭრო ქალაქების ბანკირები კაპიტალის მეტ მოთხოვნას განიცდიდნენ, ვიდრე მათ შეეძლოთ მისი მიწოდება. სხვადასხვა ოლქებში პირობების ამ სხვადასხვაობის შედეგად ამ უქანასკნელ წლებში წარმოიქმნა და სწრაფად გაფართოვდა ფირმების ახალი კლასი, რომლებიც კაპიტალის განაწილებას ეწევიან, — ფირმებისა, რომლებიც, თუმცა ჩვეულებრივ billbroker-ებად იწოდებიან, სინამდვილეში უდიდესი მასშტაბის ბანკირები არიან. ეს ფირმები მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ განსაზღვრული ვადით და განსაზღვრული სარგებლით ზედმეტ კაპიტალს იღებენ იმ ოლქების ბანკირებისაგან, სადაც ეს კაპიტალი ვერ პოულობს გამოყენებას, აგრეთვე იღებენ აქციონერულ საზოგადოებათა და მსხვილი სავაჭრო სახლების საშუალებებს, რომლებიც დროებით უქმად დევს, და ამგვარად მიღებულ ფულს სესხად აძლევენ უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთით იმ ოლქების ბანკებს, სადაც კაპიტალის მოთხოვნა უფრო დიდია; ჩვეულებრივ — თავიანთი კლიენტების თამასუქების რედისკონტირებით... ამრიგად Lombardstreet * გახდა დიდი ცენტრი, რომელშიაც უქმადმდებარე კაპიტალის გადატანა ხდება ქვეყნის ერთი ნაწილიდან, სადაც ეს კაპიტალი მომგებიანად ვერ გამოიყენება, მეორე ნაწილში, სადაც მასზე მოთხოვნა არსებობს; ამასთან ეს შეეხება როგორც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს, ისე ცალკეულ პირებსაც, რომელნიც ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. თავდაპირველად ამ საწარმოთა საქმიანობა შემოსისაზღვრებოდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სესხის აღებით და სესხის გაცემით ბანკებში წესად მიღებულ გირაოს ქვეშ. მაგრამ რამდენადაც ქვეყნის კაპიტალი სწრაფად იზრდებოდა და მისი სულ უფრო მეტი ეკონომია ხდებოდა ბანკების დაწესების წყალობით, ამ სადისკონტო ფირმების განკარგულებაში მყოფი ფონდები ისე დიდი შეიქნა, რომ აღნიშნულმა ფირმებმა იწყეს სესხის გაცემა, ჯერ dock warrants-ის (დოკებში დალაგებული საქონლის მოწმობების) გირაოს ქვეშ და შემდეგ აგრეთვე სატვირთო ბარათების გირაოს ქვეშ; ეს ბარათებიც წარმომადგენელი იყო ჯერ კიდევ მიუღებელი პროდუქტებისა, თუმცა ასეთ პროდუქტებზე ზოგჯერ, მართალია არა რეგულარულად, უკვე ხდებოდა თამასუქების გაცემა საქონლის მაკლერების სახელზე. ასეთმა პრაქტიკამ მალე შეცვალა ინგლისური კომერციის მთელი ხა-

* ქუჩა ლონდონში, სადაც ბანკირთა კანტორები იყო თავმოყრილი. რ. ე. დ.

სიათი. იმ შეღავათებმა, რაც Lombardstreet-მა შეუქმნა საქონლის მაკლერებს, ძალიან გაამაგრა ამ მაკლერების მდგომარეობა Mincing Lane-ში*; საქონლის მაკლერებმა თავის მხრივ, მთელი უპირატესობა დაუთმეს იმპორტერ-ვაჭრებს; ამ უკანასკნელებმა ისე ფართოდ ისარგებლეს ამით, რომ მაშინ როდესაც 25 წ. წინათ სატივრთო ბარათის გირაოს ქვეშ ან თუნდ dock warrants-ის გირაოს ქვეშ სესხის აღება ვაჭრის კრედიტს გაანადგურებდა, ახლა ამგვარი ოპერაციები ფართოდ გაავრცელებული, ასე რომ ისინი უკვე წესს შეადგენენ და არა იშვიათ გამონაკლისს, როგორც ეს 25 წლის წინათ იყო. კიდევ მეტი, — აღნიშნული სისტემა ისე ფართოდ გაავრცელდა, რომ Lombardstreet-ში დიდ თანხებს იღებენ თამასუქებით, რომლებიც გაცემულია ჯერ კიდევ მოუწევდელ მოსავალზე შორეულ კოლონიებში. ასეთი საკრედიტო შეღავათების შედეგი ის იყო, რომ იმპორტერ-ვაჭრებმა გააფართოეს თავიანთი ოპერაციები უცხოეთში და თავიანთი დენადი (floating) კაპიტალი, რომლითაც დღემდე თავიანთ საქმეს უძღვებოდნენ. დააბანდეს ყველაზე უფრო უიმედო საწარმოებში, კოლონიურ პლანტაციებში, რომლებისთვის მათ მხოლოდ ცოტაოდენი ან სრულიად არავითარი კონტროლის გაწევა არ შეუძლიათ. ჩვენ ვხედავთ ამგვარად კრედიტების უშუალო გადაჯაჭვას. ქვეყნის კაპიტალი, რომელიც ჩვენს სამიწათმოქმედო ოლქებშია მოგროვილი. პატარა-პატარა თანხების სახით ანაბრებად შეიტანება პროვინციულ ბანკებში და საქმეში მოსახმარად მათი ცენტრალიზაცია ხდება Lombardstreet-ში. გამოიყენება კი იგი, ჯერ ერთი, ჩვენი სამთამადნო და სამრეწველო ოლქების საწარმოთა გასაფართოებლად იქაურ ბანკებზე გაცემული თამასუქების რედისკონტირებით; მეორე, საზღვარგარეთის პროდუქტების იმპორტერთათვის უფრო დიდი შეღავათების შესაქმნელად dock warrants-ებისა და სატივრთო ბარათების გირაოს ქვეშ სესხის მიცემის საშუალებით, რის გამო სავაჭრო ფირმების «კანონიერი» კაპიტალი საზღვარგარეთის და კოლონიურ საწარმოებში თავისუფლდება და მას ყოვლად უეარგისაჟ გამოიყენებენ ოკეანეს იქითა პლანტაციებში» («Economist», 1847, გვ. 1334). ასეთია კრედიტების ეს «მშვენიერი» გადაჯაჭვა. სოფლელ მენაბრეს ჰგონია, რომ იგი მხოლოდ თავის ბანკირს აძლევს ანაბარს, რომ ეს ბანკირი, როდესაც იგი სესხს გასცემს, ამ სესხს თავის ნაცნობ კერძო პირებს აძლევს. მაგრამ მას წარმოდგენაც არა აქვს იმის შესახებ, რომ ეს ბანკირი მის ანაბარს ლონდონელი billbroker-ის განკარგულებაში

* ქუჩა ლონდონში, სადაც თავმოყრილი იყო კოლონიური საქონლით ბიოუმაღ ვაჭრობა. რ. ე. დ.

გადასცემს, რომლის ოპერაციებზე არც ერთ მათგანს არავითარი კონტროლი არა აქვს.

ის, რომ დიდ საზოგადოებრივ საწარმოებს, მაგალითად საარქონიგზო მშენებლობას, შეუძლიათ დროებით სასესხო კაპიტალის გადიდება იმიტომ, რომ აქციონერების მიერ შეტანილ თანხებს ისინი განსაზღვრული ვადით ბანკირების განკარგულებაში გადასცემენ, ვიდრე ნამდვილად გამოყენებულენ თავიანთი საქმისთვის, — ჩვენ უკვე დავინახეთ.

მაგრამ სასესხო კაპიტალის მასა სრულიად განსხვავებულია მიმოქცევის რაოდენობისაგან. მიმოქცევის რაოდენობად ჩვენ აქ ვგულისხმობთ რომელიმე ქვეყანაში არსებული, მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტებისა და ლითონური ფულის მთელ ჯამს, ძვირფას ლითონთა ზოდების ჩათვლით. ამ რაოდენობის ნაწილს შეადგენს ბანკების რეზერვი, რომელიც თავისი სიდიდის მიხედვით მუდამ ცვალებადია.

«1857 წლის 12 ნოემბერს [1844 წ. საბანკო აქტის მოქმედების შეჩერების დღე] ინგლისის ბანკის — ყველა მისი განყოფილებითურთ — რეზერვი შეადგენდა სულ მხოლოდ 580 751 გირვ. სტერლინგს; ანაბრების ჯამი უდრიდა იმავე დროს 22½ მილიონ გირვ. სტერლინგს, საიდანაც დაახლოებით 6½ მილიონი ლონდონის ბანკირებს ეკუთვნოდა» (B, A, 1858, LVII).

სარგებლის განაკვეთის ცვლილებები (მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ ცვლილებებს, რომლებიც უფრო ხანგრძლივ პერიოდებში ხდება, და სარგებლის განაკვეთის განსხვავებას სხვადასხვა ქვეყნებში; პირველი გაპირობებულია მოგების საერთო ნორმის ცვლილებებით, მეორე — განსხვავებებით მოგების ნორმებსა და კრედიტის განვითარებაში) დამოკიდებულია სასესხო კაპიტალის მიწოდებაზე (თუ ყველა სხვა გარემოების — ნდობის მტკიცე მდგომარეობის და სხვ. — თანასწორობას ვიგულისხმებთ), ე. ი. იმ კაპიტალის მიწოდებაზე, რომელიც სესხად გაიცემა ფულის, ლითონური ფულის ან ბანკნოტების ფორმით, განსხვავებით სამრეწველო კაპიტალისაგან, რომელიც, როგორც ასეთი, საქონლური ფორმით, კომერციული კრედიტის საშუალებით სესხად გაიცემა კვლავწარმოების თვით აგენტებს შორის.

და მაინც ამ გასასესხებელი ფულადი კაპიტალის მასა განსხვავებულია და დამოუკიდებელია მიმოქცევაში მყოფი ფულის მასისაგან.

თუ, მაგალითად, 20 გირვ. სტერლინგი სესხად გაიცემა ხუთჯერ დღეში, სულ გასესხებული იქნება 100 გირვ. სტერლინგი, და ეს იმავე დროს იმის მოამსწავებელი იქნებოდა, რომ ეს 20 გირვ. სტერლინგი, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც ამოქმედდებოდა როგორც ყიდვის ან გადახდის საშუალება: იმიტომ, რომ თუ ყიდვის და გადახდის შუამავლურ

როლს არ ექნებოდა ადგილი, ასე რომ 20 გირვ. სტერლინგი, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც კაპიტალის გარდაქმნილი ფორმის (საქონლის, მასში სამუშაო ძალის ჩართვით) გამომსახველი არ იქნებოდა, მაშინ იგი იქნებოდა არა 100 გირვ. სტერლინგი კაპიტალის შემადგენელი, არამედ მხოლოდ ხუთი მოთხოვნის, თვითეული — 20 გირვანჯა სტერლინგისა.

განვითარებული კრედიტის მქონე ქვეყნებისთვის ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთელი გასასესხებლად დანიშნული ფულადი კაპიტალი ანაბრების ფორმით არსებობს ბანკებში და ფულის გამსესხებელთა ხელში. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა საკრედიტო ოპერაციების მიმართ საერთოდ და მთლიანად. ამასთან საქმეების კარგი მდგომარეობის პერიოდებში, ვიდრე საკუთრივ სპეკულაცია თავს აიშვებდეს, ადვილი კრედიტისა და მზარდი ნდობის პირობებში, მიმოქცევის ფუნქციების უდიდესი ნაწილი კრედიტის უბრალო გადაცემით ხორციელდება ლითონის ან ქაღალდის ფულის ჩაურევლად.

ანაბართა დიდი ჯამის მარტოოდენ შესაძლებლობა, როცა მიმოქცევის საშუალებანი მცირე რაოდენობითაა მოცემული, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ:

1) ყიდვისა და გადახდის რაოდენობაზე, რაც ფულის ერთი და იმავე ერთეულით სრულდება.

2) ბანკში ანაბრის სახით ფულის ერთეულის უკუდაბრუნების რიცხვზე, ასე რომ მისი განმეორებითი ფუნქცია ყიდვის და გადახდის საშუალებისა ხორციელდება მისი საბანკო ანაბრად განახლებული გარდაქმნის მეშვეობით. ვთქვათ, მაგალითად, ცალობით მოვაჭრეს ყოველკვირეულად შეაქვს ანაბრად თავის ბანკირთან 100 გირვ. სტერლინგი ფული; ბანკირი ამით მეფაბრიკის ანაბრის ნაწილს იხდის; მეფაბრიკე ამ ფულით თავის მუშებს ისტუმრებს; მუშები მას აძლევენ ცალობით მოვაჭრეს, რომელსაც იგი ხელახლა ბანკში შეაქვს ანაბრად. ამრიგად, ცალობით მოვაჭრის მიერ ანაბრად შეტანილი 100 გირვ. სტერლინგი გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, გადახდილ იქნა მეფაბრიკის ანაბარი, მეორე, — გასტუმრებულ იქნენ მუშები. მესამე — გასტუმრებულ იქნა თვით წვრილი ვაჭარი, მეოთხე, — შეტანილ იქნა, როგორც იმავე წვრილი ვაჭრის ფულადი კაპიტალის ახალი ნაწილი. ანაბრად ბანკში; და ასე, თუ თვითონ წვრილი ვაჭარი თავის ანაბარს არ გამოითხოვდა ბანკიდან, 20 კვირის გავლისას მას იქ ერთი და იმავე 100 გირვ. სტერლინგის შეტანის გზით 2 000 გირვ. სტერლინგი დაუვროვდებოდა ანაბრად.

თუ რამდენად რჩება ეს ფულადი კაპიტალი საქმეში გამოუყენებელი, — ამკარავდება ბანკების სარეზერვო ფონდების მიქცევა და მოქ-

ცევაში. აქედან ბ-ნ ვეგელინს, ინგლისის ბანკის მმართველს 1857 წელს, გამოჰყავს დასკვნა. რომ ოქრო შეადგენს ინგლისის ბანკის «ერთადერთ» სარეზერვო ფონდს: «1258. ჩემი აზრით, დისკონტის ნორმა ფაქტიურად განისაზღვრება ქვეყანაში არსებული დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობით. დაუსაქმებელი კაპიტალის ჯამს გამოსახავს ინგლისის ბანკის რეზერვი, რომელიც ფაქტიურად ოქროს რეზერვია. ამიტომ, როდესაც ოქროს მიქცევა ზდება, კლებულობს დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობა ქვეყანაში და ამის გამო მატულობს კაპიტალის დანარჩენი ნაწილის ღირებულება. — 1364. ინგლისის ბანკის ოქროს მარაგი სინამდვილეში არის ცენტრალური მარაგი, ანუ ნაღდი განძი, რომლის საფუძველზეც ქვეყნის ყველა საქმე წარმართება... ეს ის განძი ანუ რეზერვუარია. რომელზედაც ყოველთვის თავს იჩენს საგარეო სათამაშუო კურსის გავლენა» («Report on Bank Acts». 1857).

ნამდვილი, ე. ი. მწარმოებლური და საქონლური, კაპიტალის დაგროვების მასშტაბს იძლევა გაზიდვისა და შემოზიდვის სტატისტიკა. და იქ ყოველთვის მჟღავნდება, რომ ინგლისის მრეწველობის განვითარების პერიოდისათვის (1815 — 1870), რომელიც ათწლიან ციკლებს შეიცავს, მაქსიმუმი უკანასკნელი აყვავების პერიოდისა კრიზისის წინ ყოველთვის გვევლინება როგორც უახლოესი შემდგომი აყვავების პერიოდის მინიმუმი და შემდეგ ზევით მიდის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ მაქსიმუმამდე.

დიდი ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან 1824 წელს, აყვავების წელიწადში, გაზიდული პროდუქტების ნამდვილი თუ გამოცხადებული ღირებულება იყო 40 396 300 გირვ. სტერლინგი. შემდეგ, როდესაც 1825 წლის კრიზისი დგება, ექსპორტის ჯამი ამ თანხაზე დაბლა ეცემა და წლიურად 35 და 39 მილიონს შორის ირყევა. როდესაც, 1834 წელს, ხელახლა აყვავება დგება, იგი აღემატება წინანდელ უმაღლეს დონეს, ადის 41 649 191 გირვ. სტერლინგამდე და 1836 წელს აღწევს ახალ მაქსიმუმს 53 368 571 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. 1837 წელს იგი ხელახლა ეცემა 42 მილიონამდე, ასე რომ ახალი მინიმუმი უკვე მაღლა დგას ძველ მაქსიმუმზე და ირყევა 50 და 53 მილიონს შორის. 1844 წელს, შემდეგ აყვავების ახალ პერიოდს, ექსპორტის ჯამი 58½ მილიონამდე აჰყავს, რაც კვლავ თვალსაჩინოდ აღემატება 1836 წლის მაქსიმუმს. 1845 წელს ექსპორტი 60 111 082 გირვ. სტერლინგს აღწევს. შემდეგ 1846 წელს 57 მილიონზე ცოტათი უფრო მეტით ეცემა, 1847 წ. თითქმის 59 მილიონამდე ეცემა, ხოლო 1848 წელს — 53 მილიონამდე, 1849 წელს ადის 63½ მილიონზე, თითქმის 99 მილიონს აღ-

წევს 1853 წელს, ხოლო 1854 წელს 97 მილიონი ხდება; 1855 წელს $94\frac{1}{2}$ მილიონია, 1856 წელს თითქმის 116 მილიონი და 1857 წელს აღწევს მაქსიმუმს 122 მილიონის რაოდენობით. 1858 წელს ექსპორტი ეცემა 116 მილიონამდე, შემდეგ, უკვე 1859 წელს აიწევს 130 მილიონამდე, 1860 წელს — თითქმის 136 მილიონამდე, 1861 წელს შეადგენს მხოლოდ 125 მილიონს (აქ ახალი მინიმუმი კვლავ დიდია წინა მაქსიმუმზე); 1863 წელს — $146\frac{1}{2}$ მილიონს.

იგივე შეიძლება ითქვას, რასაკვირველია, დაგვემტკიცებინა იმპორტის მიმართაც, რომელიც ბაზრის გაფართოების მაჩვენებელია; ჩვენ აქ საქმე გვაქვს მხოლოდ წარმოების მასშტაბთან (თავისთავად გასაგებია, რომ ეს მართებულია ინგლისისთვის მხოლოდ ფაქტიური სამრეწველო მონოპოლიის ეპოქაში; მაგრამ ეს მართებულია საერთოდ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მქონე ყველა ქვეყნისთვის, სანამ მსოფლიო ბაზარი კიდევ ფართოვდება. — ფ. ე. }

2) კაპიტალის ანუ შემოსავლის გადაკევა ფულად, რომელიც სასახო კაპიტალად გადაიქცევა.

ჩვენ აქ ფულადი კაპიტალის დაგროვებას განვიხილავთ, რამდენადაც ეს დაგროვება არ გამოსახავს შეფერხებას კომერციული კრედიტის დინებაში ანდა ეკონომიას როგორც ნამდვილად მოქმედ მიმოქცევის საშუალებათა, ისე კვლავწარმოებაში მოსაქმე აგენტთა სარეზერვო კაპიტალის გამოყენებაში.

გარდა ამ ორი შემთხვევისა, ფულადი კაპიტალის დაგროვება შეიძლება წარმოდგეს ოქროს არაჩვეულებრივი მოდინების მეოხებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1852 და 1853 წლებში, როცა აღმოჩენილ იქნა ოქროს ახალი მადნები ავსტრალიასა და კალიფორნიაში. ეს ოქრო ინგლისის ბანკში იყო ანაბრად შეტანილი. ანაბრათა პატრონებს ოქროს ნაცვლად გამოჰქონდათ ბანკნოტები, რომლებიც უშუალოდ ამის შემდეგ მათ არ შეჰქონდათ ბანკებში ანაბრად. ამგვარად ძალიან გადიდდა მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა (ვეგელინის ჩვენება, B. C. 1857, № 1329). ბანკი ცდილობდა ეს ანაბრები სარფიანად გამოეყენებია და ამისათვის დისკონტის სარგებელი დაბლა დასწია 2%-მდე. ბანკში დაგროვილი ოქროს მასა გადიდდა 1853 წლის ექვსი თვის განმავლობაში 22 — 23 მილიონამდე.

დაგროვება წარმოებს ფულის გამსესხებელ ყველა კაპიტალისტთან, რა თქმა უნდა, უშუალოდ ფულადი ფორმით, მაშინ როდესაც სამრეწველო კაპიტალის ნამდვილი დაგროვება ხდება ჩვეულებრივ, როგორც

ჩვენ უკვე დავინახეთ, თვით კვლავმწარმოებელი კაპიტალის ელემენტების გადიდების გზით. ამრიგად, კრედიტის განვითარებამ და ფულის გასესხების საქმის კოლოსალურმა კონცენტრაციამ მსხვილი ბანკების ხელში უკვე თავისთავად უნდა დააჩქაროს გასასესხებელი კაპიტალის დაგროვება როგორც ნამდვილი დაგროვებისგან განსხვავებული ფორმა. მაშასადამე, სასესხო კაპიტალის ეს სწრაფი განვითარება წარმოადგენს ნამდვილი დაგროვების შედეგს, რადგან იგი კვლავმწარმოების პროცესის განვითარების შედეგია, და მოგება, რომელიც ამ ფულადი კაპიტალისტებისთვის დაგროვების წყაროს შეადგენს, წარმოადგენს მხოლოდ გამონაკლებს ზედმეტი ღირებულებიდან, რომელსაც გამოძალავენ კვლავმწარმოებელი კაპიტალისტები (და იმავე დროს სხვის დანაზოგზე სარგებლის ნაწილის მითვისებას). სასესხო კაპიტალის დაგროვება ხდება მრეწველთა და ვაჭართა ხარჯზე იმავდროულად. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სამრეწველო ციკლის არახელსაყრელ ფაზებში სარგებლის განაკვეთმა ისე მალა შეიძლება აიწიოს, რომ დროებით სულ შთანთქმას მთელი მოგება წარმოების ზოგიერთი ცალკეული დარგებისა. რომელნიც განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან. ამავე დროს ეცემა სახელმწიფო ფონდების, აგრეთვე სხვა ფასიანი ქაღალდების ფასები. ეს ის მომენტია, როცა ფულადი კაპიტალისტები მასობრივად შეისყიდნიან გაუფასურებულ ქაღალდებს, რომელთა ფასები შემდგომ ფაზებში ისევ ზევით იწევეს სწრაფად და ადის მათს ნორმალურ დონეზე მალა. მაშინ ამ ქაღალდებს გაყიდნიან, და ამგვარად მიითვისებენ საზოგადოების ფულადი კაპიტალის ნაწილს. ქაღალდების ის ნაწილი, რომელიც მათ შემსყიდველ კაპიტალისტებს ხელში დარჩებათ, მათ უფრო მალა სარგებელს აძლევს, რადგან ეს ქაღალდები დაბალ ფასშია ნაყიდი. მაგრამ მთელ მოგებას, რასაც ფულადი კაპიტალისტები მიიღებენ და უკუგარდაქმნიან კაპიტალად, უწინარეს ყოვლისა გასასესხებელ ფულად კაპიტალად გადააქცევენ. მაშასადამე, უკანასკნელის დაგროვება, როგორც ნამდვილი დაგროვებისგან განსხვავებული, თუმცა ამისგან წარმოშობილი, — თუ ჩვენ მხოლოდ ფულად კაპიტალისტებს, ბანკირებს და სხვ. მივიღებთ მხედველობაში, — წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტთა ამ განსაკუთრებული კლასის მიერ დაგროვება. და ეს დაგროვება უნდა გაიზარდოს საკრედიტო საქმის ყოველ გაფართოებასთან ერთად, რაც თან ახლავს კვლავმწარმოების პროცესის ნამდვილ გაფართოებას.

თუ სარგებლის განაკვეთი დაბალ დონეზე დგას, ფულადი კაპიტალის ეს გაუფასურება თავს დაატყდება უმთავრესად მეანბრეებს და არა ბანკებს. აქციონერული ბანკების განვითარებამდე ინგლისში ყველა

ანაბართა $\frac{3}{4}$ უპროცენტოდ იყო ბანკებში მოთავსებული. და თუ ახლა მათში სარგებელს იხდიან, იგი მოცემული დღის სარგებლის განაკვეთზე სულ ცოტა 1%-ით ნაკლებია.

რაც შეეხება ფულის დაგროვებას კაპიტალისტთა სხვა ჯგუფების მიერ, ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მათი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც სარგებელმომტან ქაღალდებში მოთავსდება და ამ ფორმით დაგროვდება. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ბაზარზე გადაისროლება როგორც გასასესხებელი ფულადი კაპიტალი.

ჩვენ აქ გვაქვს უწინარეს ყოვლისა მოგების ნაწილი, რომელიც არ იხარჯება როგორც შემოსავალი, არამედ დაგროვებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ იგი პირველ ხანებში მრეწველ კაპიტალისტთა საწარმოში ვერ გამოიყენება. ეს მოგება არსებობს უშუალოდ საქონლურ კაპიტალში, რომლის ღირებულების ნაწილს იგი შეადგენს, და მასთან ერთად პოულობს რეალიზაციას ფულის სახით. თუ იგი (ვაჭარს ჩვენ ჯერ ყურადღების გარეშე ვტოვებთ, მასზე განსაკუთრებით გვექნება ლაპარაკი) ხელახლა არ გადაიქცევა საქონლური კაპიტალის წარმოების ელემენტებად, — რამდენიმე ხნის განმავლობაში ფულის ფორმაში უნდა შეჩერდეს. ეს მასა იზრდება თვით კაპიტალის მასასთან ერთად. მოგების კლებადი ნორმის არსებობისასაც კი. ნაწილი, რომელიც უნდა დაიხარჯოს როგორც შემოსავალი, თანდათან მოიხმარება, მაგრამ ინტერვალებში შეადგენს ანაბრის სახით სასესხო კაპიტალს ბანკირის ხელში. ამგვარად, მოგების იმ ნაწილის ზრდაც კი, რომელიც იხარჯება როგორც შემოსავალი, გამოიხატება სასესხო კაპიტალის თანდათანობითი, მუდამ განმეორებული დაგროვებით. იგივე უნდა ითქვას მეორე ნაწილის შესახებაც, რომელიც განკუთვნილია დაგროვებისათვის. ამრიგად, კრედიტისა და მისი ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტთა შემოსავლის, ე. ი. მოხმარების, ზრდაც კი გამოისახება როგორც სასესხო კაპიტალის დაგროვება, და ეს მართებულია ყველა შემოსავლის მიმართ, რომელიც თანდათანობით მოიხმარება, მაშასადამე, მიწის რენტის მიმართ, ხელფასის მიმართ მის უმაღლეს ფორმებში, არამწარმოებელი კლასების შემოსავლის მიმართ და სხვ. ისინი ყველანი რამდენიმე ხნით ფულადი შემოსავლის ფორმას იღებენ და ამიტომ შეიძლება გადაქცეულ იქნენ ანაბრად და, მაშასადამე, სასესხო კაპიტალად. ყოველი შემოსავლის მიმართ, მოხმარებისთვისაა იგი განკუთვნილი თუ დაგროვებისთვის, რაკი იგი რაიმე ფულადი ფორმით არსებობს, მართებულია ის დებულება, რომ შემოსავალი წარმოადგენს საქონლური კაპიტალის ღირებულების ფულად გადაქცეულ ნაწილს, მაშასადამე, — ნამდვილი დაგროვების გამოსახულებას

და შედეგს და არა თვით მწარმოებლურ კაპიტალს. თუ მრთველმა თავისი ნართი ბამბაზე გაცვალა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც შემოსავალს შეადგენს, ფულზე გაცვალა, — მისი სამრეწველო კაპიტალის მყოფობა არის ნართი, რომელიც ახლა ფეიქრის ან, შეიძლება, ინდივიდუალური მომხმარებლის ხელშია გადასული, და ამასთან ეს ნართი — კვლავწარმოებისთვისაა იგი განკუთვნილი თუ მოხმარებისათვის — როგორც კაპიტალიზებული, ისე მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების მყოფობაა. ფულად გადაქცეული ზედმეტი ღირებულების სიდიდე იმ ზედმეტი ღირებულების სიდიდეზეა დამოკიდებული, რომელსაც ნართი შეიცავს. მაგრამ რაკი ზედმეტი ღირებულება ფულად გადაიქცა, ეს ფული ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ღირებულებითი მყოფობაა [Das Werthdasein dieses Mehrwerts]. და როგორც ასეთი — ფული იდება სასესხო კაპიტალის მომენტი. ამისთვის საკმარისია მხოლოდ, რომ ეს ფული გადაიქცეს ანაბრად, თუ იგი უკვე მისი პატრონის მიერ არაა გასესხებული. პირიქით, იმისათვის, რომ იგი უკუგადაიქცეს მწარმოებლურ კაპიტალად, საჭიროა, რომ მან გარკვეულ მინიმალურ საზღვარს მიაღწიოს.

თავი ოცდახუთორეხობა

ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. III

(დასასრული)

ასე კაპიტალად უკუგადასაქცევი ფულის მასა მასობრივი კვლავ-წარმოების პროცესის შედეგია, მაგრამ თავისთავად განხილული, როგორც სასესხო კაპიტალი, იგი არ წარმოადგენს თვით კვლავმწარმოებელი კაპიტალის მასას.

უმნიშვნელოვანესი დასკვნა ყველა ზემონათქვამიდან ის არის, რომ შემოსავლის იმ ნაწილის გაფართოება, რომელიც მოხმარებისთვის არის განკუთვნილი (ამასთან ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ მუშას, რადგან მისი შემოსავალი = ცვალებად კაპიტალს), უწინარეს ყოვლისა ვლინდება როგორც ფულადი კაპიტალის დაგროვება. მაშასადამე, ფულადი კაპიტალის დაგროვებაში შედის ერთი მომენტი, რომელიც არსებითად განსხვავდება სამრეწველო კაპიტალის ნამდვილი დაგროვებისაგან, იმიტომ რომ წლიური პროდუქტის ნაწილი, რომელიც მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, სრულიადაც არ იქცევა კაპიტალად. მისი გარკვეული ნაწილი ანაზღაურებს კაპიტალს, სახელდობრ მოხმარების საშუალებათა მწარმოებლების მუდმივ კაპიტალს, მაგრამ რამდენადაც იგი ნამდვილად გადაიქცევა კაპიტალად, იგი არსებობს ამ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა შემოსავლის ნატურალური ფორმით. იგივე ფული, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, რომელიც მოხმარების უბრალო შუამავლის სამსახურს ეწევა, გადაიქცევა რეგულარულად განსაზღვრული ხნით გასასესხებელ ფულად კაპიტალად. რამდენადაც ეს ფული ხელფასს წარმოადგენს, იგი იმავე დროს ცვალებადი კაპიტალის ფულადი ფორმაა; ხოლო რამდენადაც იგი მოხმარების საშუალებათა მწარმოებლების მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, იგი წარმოადგენს ფულად ფორმას, რომელსაც დროებით იღებს მათი მუდმივი კაპიტალი, და გამოიყენება ამ ნატურით ასანაზღაურებელი მუდმივი კაპიტალის ელემენტების შესასყიდად. არც ერთ და არც მეორე ფორმაში იგი თავისთავად არ გამოხატავს დაგროვებას, თუმცა მისი მასა იზრდება

კვლავწარმოების პროცესის გაფართოებასთან ერთად. მაგრამ დროებით იგი ასრულებს გასასესხებელი ფულის, ე. ი. ფულადი კაპიტალის ფუნქციას. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით ფულადი კაპიტალის დაგროვება ყოველთვის უნდა ასახავდეს კაპიტალის უფრო მნიშვნელოვან დაგროვებას. ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება, ვინაიდან ინდივიდუალური მოხმარების გაფართოება, იმის გამო, რომ იგი ფულის საშუალებით სრულდება, გვეკლინება როგორც ფულადი კაპიტალის დაგროვება, რადგან იძლევა ფულად ფორმას ნამდვილი დაგროვებისთვის, ფულისთვის, რომელიც კაპიტალის დაბანდებას ახალ სფეროებს აღმოაჩენს.

ამრიგად, სასესხო კაპიტალის დაგროვება გამოხატავს ნაწილობრივ მარტოოდენ იმ ფაქტს, რომ ყოველი ფული, რადაც სამრეწველო კაპიტალი გადაიქცევა თავის წრებრუნვის პროცესში, იღებს არა იმ ფულის ფორმას, რომელსაც ავანსად გაიღებენ კვლავწარმოების აგენტები. არამედ იმ ფულისას, რომელსაც ისინი სესხულობენ: ასე რომ ფულის ავანსად გაღება, რომელიც კვლავწარმოების პროცესში უნდა მოხდეს, გვეკლინება როგორც ნასესხები ფულის ავანსად გაღება. სინამდვილეში კომერციული კრედიტის საფუძველზე ერთი სესხად აძლევს მეორეს ფულს, რომელიც ამ უკანასკნელს ესაჭიროება კვლავწარმოების პროცესისათვის. მაგრამ ეს ისეთ ფორმას იღებს, რომ ბანკირი, რომელსაც კვლავწარმოების აგენტების ნაწილი სესხად აძლევს ფულს, თავის მხრივ ამ ფულს სესხად აძლევს კვლავწარმოების აგენტების მეორე ნაწილს, ამასთან ეს ბანკირი ისე მოჩანს, რომ იგი წყაროა ყოველგვარი სიკეთის, და იგი ამავე დროს როგორც შუამავალი მთლად ხელთ იგდებს განკარგულებას ამ კაპიტალის მიმართ.

ჩვენ ახლა აღსანიშნავი გვოჩნება ფულადი კაპიტალის დაგროვების რამდენიმე განსაკუთრებული ფორმა. კაპიტალის განთავისუფლება ხდება, მაგალითად, წარმოების ელემენტების — ნედლი მასალის და სხვ. — ფასის დაცემის გამო. თუ მრეწველს არ ძალუძს უშუალოდ თავისი კვლავწარმოების პროცესის გაფართოება, — მისი კაპიტალის ნაწილი, როგორც ჭარბი, გამოვარდება წრებრუნვიდან და გადაიქცევა გასასესხებელ ფულად კაპიტალად. მაგრამ, გარდა ამისა, კაპიტალი თავისუფლდება ფულადი ფორმით, განსაკუთრებით ვაჭრის ხელში, როდესაც საქმის მსვლელობაში შეწყვეტას აქვს ადგილი. თუ ვაჭარმა ერთი წყება ოპერაციები დაასრულა და ასეთი შეწყვეტის გამო ახალი წყება ოპერაციების დაწყება მხოლოდ შემდგომ შეუძლია, მაშინ რეალიზებული ფული მისთვის წარმოადგენს მხოლოდ განძს, ჭარბ კაპიტალს. მაგრამ იმავე დროს იგი წარმოადგენს უშუალოდ გასასესხებელი ფულადი კაპიტალის დაგროვებას. პირველ შემთხვევაში ფულადი კა-

პიტალის დაგროვება გამოხატავს კვლავწარმოების პროცესის განმეორებას უფრო ხელსაყრელ პირობებში, წინათ შემოჭილი კაპიტალის ნაწილის ნამდვილ განთავისუფლებას, მაშასადამე, იმავე ფულადი საშუალებებით კვლავწარმოების პროცესის გაფართოების შესაძლებლობას. მეორე შემთხვევაში, პირიქით, გამოხატავს უბრალო შეწყვეტას გარიგებათა მსვლელობაში. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ფული გადაიქცევა გასასესხებელ ფულად კაპიტალად, გამოხატავს მის დაგროვებას, თანაბრად ახდენს გავლენას ფულის ბაზარსა და სარგებლის განაკვეთზე, თუმცა პირველ შემთხვევაში გამოხატავს უფრო ხელსაყრელ პირობებს, მეორეში — დაბრკოლებებს ნამდვილი დაგროვების პროცესისათვის. დასასრულ, ფულადი კაპიტალის დაგროვებას ხელს უწყობენ ის ადამიანები, რომელნიც თავიანთი საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, შორდებიან კვლავწარმოების სფეროს. რაც უფრო მეტი მოგება შეიქმნება სამრეწველო ციკლის განმავლობაში, მით უფრო დიდია ასეთ ადამიანთა რიცხვი. გასასესხებელი ფულადი კაპიტალის დაგროვება გამოხატავს აქ, ერთი მხრივ, ნამდვილ დაგროვებას (მისი შეფარდებითი მოცულობის მიხედვით), მეორე მხრივ, — მარტოოდენ იმ ოდენობას, რა ოდენობითაც მრეწველი კაპიტალისტები გადაიქცევიან უბრალო ფულად კაპიტალისტებად.

რაც შეეხება მოგების დანარჩენ ნაწილს, რომელიც არაა განკუთვნილი შემოსავლის სახით მოსახმარებლად, — იგი ფულად კაპიტალად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება მისი უშუალოდ გამოყენება საქმის გასაფართოებლად წარმოების იმ სფეროში, სადაც იგი შექმნილია. ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება წარმოდგეს ორი მიზეზის გამო. ან იმიტომ, რომ წარმოების მოცემული სფერო უკვე გამაძღარია კაპიტალით, ანდა იმიტომ, რომ დაგროვილმა თანხამ, რათა მას შეეძლოს კაპიტალის სახით მოქმედება, ჯერ უნდა მიიღწიოს გარკვეულ ოდენობას იმ შეფარდებითი სიდიდის მიხედვით, რომელიც აქვს ზოლმე ახალი კაპიტალის დაბანდებას ამ განსაზღვრულ დარგში. ამრიგად, დაგროვილი თანხა ჯერ გადაიქცევა გასასესხებელ ფულად კაპიტალად და ემსახურება წარმოების გაფართოებას სხვა სფეროებში. ყველა სხვა თანაბარ პირობებში კაპიტალად უკუგადასაქცევი მოგების მასა დამოკიდებულია მოგების მთელ შექმნილ მასაზე და, მაშასადამე, თვით კვლავწარმოების პროცესის გაფართოებაზე. მაგრამ თუ ეს ახალი დაგროვება თავის გამოყენებაში წააწყდება დაბრკოლებებს, დაბანდების სფეროს ნაკლებობას, თუ მაშასადამე, ადგილი ექნება წარმოების დარგების გავსებას და სასესხო კაპიტალის ჭარბმიწოდებას, მაშინ გასასესხებელი ფულადი კაპიტალის ეს სიჭარბე კაპიტალისტური

წარმოების შეზღუდულობის მაჩვენებელია. ამის მომდევნო საკრედიტო აუიოტაჟი ადასტურებს. რომ არავითარი პოზიტიური დაბრკოლება არ არსებობს ამ ჭარბი კაპიტალის გამოყენებისათვის, მაგრამ არსებობს. რა თქმა უნდა, დაბრკოლება, რომელიც წარმოდგება კაპიტალის ღირებულების ზრდის კანონების შედეგად, იმ საზღვრების გამო, რომელშიაც კაპიტალს როგორც ასეთს შეუძლია გაზარდოს თავისი ღირებულება. ფულადი კაპიტალის როგორც ასეთის სიჭარბე არ გამოხატავს აუცილებლად ჭარბწარმოებას და არც მართოდენ კაპიტალის გამოყენების სფეროთა ნაკლებობას.

სასესხო კაპიტალის დაგროვება უბრალოდ იმაში მდგომარეობს, რომ ფული დაილექება როგორც გასასესხებელი ფული. ეს პროცესი ძალიან განსხვავებულია კაპიტალად ნამდვილი გადაქცევისაგან; ეს მართოდენ ფულის დაგროვებაა ისეთი ფორმით, რომლითაც იგი შეიძლება კაპიტალად გადაიქცეს. მაგრამ ეს დაგროვება შეიძლება, როგორც ნაჩვენები იყო, გამოსახავდეს მომენტებს, რომლებიც ძალიან განსხვავებულია ნამდვილი დაგროვებისაგან. ნამდვილი დაგროვების მუდმივი გაფართოებისას ფულადი კაპიტალის დაგროვების ეს გაფართოება ნაწილობრივ შეიძლება მისი შედეგი იყოს, ნაწილობრივ — მისი თანმხლები მომენტებისა, რომლებიც მისგან სრულიად განსხვავებულნი არიან და, ბოლოს, შეიძლება ნაწილობრივ, ნამდვილი დაგროვების შეფერხების შედეგიც კი იყოს. უკვე მართო იმის გამო, რომ სასესხო კაპიტალის დაგროვება ფართოდება ნამდვილი დაგროვებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც მისი თანმხლები მომენტების შედეგად, — უკვე მართო ამიტომაც ციკლის განსაზღვრულ ფაზებში ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადგილი ფულადი კაპიტალის სიჭარბეს, და ეს სიჭარბე უნდა ვითარდებოდეს კრედიტის განვითარებასთან ერთად. ამასთანავე უნდა ძლიერდებოდეს აგრეთვე აუცილებლობა წარმოების პროცესის გაფართოებისა მის კაპიტალისტურ საზღვრებზე მეტად: ჭარბი ვაჭრობა, ჭარბი წარმოება, ჭარბი კრედიტი. იმავე დროს ეს აუცილებლად ხდება ისეთ ფორმებში, რომლებიც პირუქუმოძრაობას იწვევენ.

რაც შეეხება ფულადი კაპიტალის დაგროვებას მიწის რენტიდან. ხელფასიდან და სხვ., — ზედმეტია აქ ამ საკითხზე შევჩერდეთ. უნდა აღინიშნოს ხაზგასმით მხოლოდ ერთი მომენტი, სახელდობრ ის გარემოება, რომ შრომის დანაწილების გამო, რომელიც კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად ძლიერდება, ნამდვილი დაზოგვისა და დათმენის საქმე (განძის დამგროვებელთა წრეში), რამდენადაც იგი დაგროვების ელემენტებს იძლევა, იმათი ხვედრია, ვინც ამ ელემენტებს მინიმალური ოდენობით იღებს და ზშირად კიდევ კარგავს

თავის დანაზოგს, როგორც, მაგალითად, მუშები ბანკების გაკოტრების დროს. ერთი მხრივ, თვითონ მრეწველი კაპიტალისტი თავის კაპიტალს კი არ «დანაზოგავს», არამედ სხვის დანაზოგს განაგებს თავისი კაპიტალის სიდიდის პროპორციულად; მეორე მხრივ, ფულადი კაპიტალისტი სხვის დანაზოგს აქცევს თავის კაპიტალად, ხოლო კრედიტს, რომელსაც ერთმანეთს აძლევენ კვლავმწარმოებელი კაპიტალისტები და რომელსაც მათ აძლევს საზოგადოება, აქცევს თავის კერძო გამდიდრების წყაროდ. ამასთან ერთად იმსხვრევა კაპიტალისტური სისტემის უკანასკნელი ილუზია იმის შესახებ, თითქოს კაპიტალი საკუთარი შრომითა და დაზოგვით წარმოიშვება. არა მარტო მოგება წარმოადგენს სხვისი შრომის მითვისებას, არამედ კაპიტალიც, რომელიც სხვის შრომას მოძრაობაში მოიყვანს და ექსპლოატაციას გაუწევს; იგი შედგება სხვისი საკუთრებისგან, რომელსაც ფულადი კაპიტალისტი გადასცემს მრეწველ კაპიტალისტს განკარგულებაში, და რომლითაც იგი, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის ექსპლოატაციას ეწევა.

ჩვენ გვრჩება კიდევ რამდენიმე შენიშვნა საკრედიტო კაპიტალის შესახებ.

რამდენად ხშირად შეუძლია ერთსა და იმავე ფულად ერთეულს სასესხო კაპიტალის როლის შესრულება, ეს სავესებით დამოკიდებულია, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იმაზე,

1) თუ ეს ფულადი ერთეული რამდენად ხშირად შეასრულებს საქონლური ღირებულების რეალიზაციას ყიდვის ან გადახდის პროცესებში, ე. ი. რამდენად ხშირად გადაიტანს იგი კაპიტალს, და, შემდეგ, იმაზე, თუ რამდენად ხშირად ახდენს შემოსავლის რეალიზაციას. რამდენად ხშირად გადადის იგი სხვა ხელში რეალიზებული ღირებულების სახით, — იქნება ეს კაპიტალის თუ შემოსავლის ღირებულება, — ცხადია, ეს ბრუნვის მოცულობასა და რაოდენობაზეა დამოკიდებული;

2) ეს დამოკიდებულია გადახდათა ეკონომიაზე და საკრედიტო საქმის განვითარებასა და ორგანიზაციაზე;

3) დასასრულ, ეს დამოკიდებულია კრედიტების გადაჯაჭვულობასა და მათი მოქმედების სისწრაფეზე, ასე რომ, თუ ფული ერთ ადგილას დაილექება ანაბრის სახით, იგი მაშინვე ისევ გადის იქიდან სესხის სახით.

თუნდაც ვიგულისხმოთ, რომ სასესხო კაპიტალის არსებობის ფორმას მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი ფულის — ოქროს ან ვერცხლის — ფორმა შეადგენს, ე. ი. საქონლისა, რომლის ნივთიერება ღირებულებათა საზომს წარმოადგენს, მაშინაც ამ ფულადი კაპიტალის დიდი ნაწილი აუცილებლად იქნება მარტოდენ ფიქციური, ე. ი. ღირებულების

ტიტული, სრულიად ისე, როგორც ღირებულების ნიშნები, რამდენადაც ფული მოქმედებს კაპიტალის წრებრუნვაში, იგი, მართალია, შეადგენს ვაჭრულ მომენტში ფულად კაპიტალს, მაგრამ არ იქცევა სასესხო ფულად კაპიტალად, არამედ ან გაიცვლება მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებზე, ანდა გაიცემა შემოსავლის რეალობაციის დროს როგორც მიმოქცევის საშუალება და, მაშასადამე, არ შეიძლება მისი მფლობელისთვის სასესხო კაპიტალად გადაიქცეს. ხოლო რამდენადაც იგი სასესხო კაპიტალად იქცევა და ერთი და იგივე ფული განმეორებით სასესხო კაპიტალს წარმოადგენს, — ცხადია, რომ იგი მხოლოდ ერთ პუნქტზე არსებობს როგორც ლითონური ფული; ყველა სხვა პუნქტზე იგი არსებობს მხოლოდ როგორც პრეტენზიები კაპიტალის მიმართ. ამ პრეტენზიათა დაგროვება, ნაგულისხმევის თანახმად, გამომდინარეობს ნამდვილი დაგროვებიდან, ე. ი. საქონლური კაპიტალის და სხვ. ღირებულების ფულად გადაქცევიდან; მაგრამ მაინც ამ პრეტენზიების ანუ ტიტულების დაგროვება, როგორც ასეთი, განსხვავებულია როგორც ნამდვილი დაგროვებისაგან, რომლისგანაც იგი წარმოიშვება, ისე აგრეთვე სამერმისო დაგროვებისაგან (წარმოების ახალი პროცესისაგან), რომელიც ფულის სესხად გაცემის საშუალებით ხორციელდება.

სასესხო კაპიტალი *prima facie* * არსებობს ყოველთვის ფულის ფორმით⁹, შემდგომ ფულის მოთხოვნის ფორმით, და აქ ფული, რომ-

* ეს ლათინური გამოთქმა, რომელსაც ხშირად ხმარობს მარქსი, კონტექსტის მიხედვით ნიშნავს: თავდაპირველად, პირველ რიგში, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და ა. შ. რ. ე. დ.

⁹ B. A. 1857. ბანკირ ტუელსის ჩვენება: «4516. თქვენ როგორც ბანკირი, კაპიტალის ოპერაციებს აწარმოებთ თუ ფულის ოპერაციებს? — ჩვენ ვვაჭრობთ ფულით. — 4517. რა სახით შემოაქვთ თქვენს ბანკში ანაბრები? — ფულის სახით. — 4518. რა სახით ხდება მათი გაცემა? — ფულის სახით. — მაშასადამე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ისინი ფულისგან განსხვავებულს რაიმეს წარმოადგენენ? — არა».

ოვერსტონი (იხ. თავი XXVI) მუდამ ურევს «capital»-სა და «money»-ს [«კაპიტალსა» და «ფულს»]. Value of money [ფულის ღირებულება] მისთვის ნიშნავს აგრეთვე სარგებელს, მაგრამ მხოლოდ — იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი განისაზღვრება ფულის მასით; Value of capital [კაპიტალის ღირებულება] უნდა ნიშნავდეს სარგებელს, რამდენადაც ეს უკანასკნელი განისაზღვრება მწარმოებლური კაპიტალის მოთხოვნით და მოგებით, რომელიც ამ კაპიტალს მოაქვს. იგი ამბობს: «4140. სიტყვა «კაპიტალის» ხმარება ძალიან საფრთხილოა. — 4148. ფულის გაზიდვა ინგლისიდან ნიშნავს ფულის რაოდენობის შემცირებას ქვეყანაში, და ამან, რასაკვირველია, უნდა გამოიწვიოს საერთოდ გადიდებული მოთხოვნა ფულის ბაზარზე [მაშასადამე, მისი აზრით, არა კაპიტალის ბაზარზე — 4112. რამდენადაც ქვეყნიდან ფული გადის, იმდენადვე მისი რაოდენობა ქვეყანაში მცირდება. ეს შემცირება ფულის რაოდენობისა,

ლის სახითაც თავდაპირველად სასესხო კაპიტალი არსებობს, ახლა სესხის ამღების ხელში მოიპოვება ნამდვილი ფულადი ფორმით. გამ-
სესხებლისთვის სასესხო კაპიტალი გადაიქცა ფულის მოთხოვნის
უფლებად, საკუთრების ტიტულად. ამიტომ ნამდვილი ფულის ერთი
და იგივე მასა შეიძლება ფულადი კაპიტალის ფრიად სხვადასხვა მასას
წარმოადგენდეს. ფული, რეალიზებულ კაპიტალს წარმოადგენს იგი თუ
რეალიზებულ შემოსავალს, სასესხო კაპიტალად იქცევა გასესხების
უზრალო აქტის საშუალებით, მისი ანაბრად გადაქცევის გზით, რაკი
ჩვენ განვითარებული საკრედიტო სისტემის საყოველთაო ფორმას ვი-
გულისხმებთ. ანაბარი ფულადი კაპიტალია მენაბარისთვის. მაგრამ ბან-
კირის ხელში იგი შეიძლება მის სალაროში უქმად მდებარე მარტო-
ოდენ პოტენციური კაპიტალი იყოს, ნაცვლად იმისა, რომ უქმად იდოს
ამ კაპიტალის მესაკუთრის სალაროში¹⁰.

რომელიც ქვეყანაში რჩება, წარმოშობს ფულის ღირებულების გადიდებას» {თავ-
დაპირველად მისი თეორიის თანახმად ეს ნიშნავდა მიმოქცევის შემცირებით გამო-
წვეულ ფულის, როგორც ფულის, ღირებულების გადიდებას, საქონელთა ღირებულე-
ბასთან შედარებით; მაშასადამე, იქ ფულის ღირებულების გადიდება უდრიდა საქო-
ნელთა ღირებულების დაცემას. მაგრამ რადგან დროის განმავლობაში მისთვისაც
კი ცხადზე უცხადესი გახდა, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა არ განსაზღვრავს
ფასებს, ამიტომ ახლა ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალებების, შემცირება მის-
თვის შეადგენს მიზეზს, რომელიც იწვევს ფულის, როგორც სარგებელმომტანი კაპი-
ტალის, ღირებულების გადიდებას და მით სარგებლის განაკვეთის გადიდებას. } და
ღარჩენილი ფულის ღირებულების ეს ზრდა ფულის მიქცევის შემკავებელია და
გრძელდება მანამდე, ვიდრე იმდენი ფული არ მოვა უკან, რამდენიც საჭიროა კვლავ
წონასწორობის აღსადგენად». — ოვერსტონის წინააღმდეგობათა გაგრძელება ქვევით
იქნება.

¹⁰ სწორედ აქ იჩენს თავს ცნებათა არევე-ღარევა, რაც იქიდან წარმოდგება, რომ
«ფულია» ერთი და მეორე: ანაბარიც, როგორც უფლება გადახდის მოთხოვნისა
ბანკირისგან, და ანაბრად შეტანილი ფულიც ბანკირის ხელში. ბანკირი ტველსი,
როდესაც ჩვენებს აძლევს 1857 წლის საბანკო კომისიას, შემდეგ მაგალითს იღებს:
«მე ვიწყებ საქმეს 10 000 გირვ. სტერლინგით, 5 000 გირვ. სტერლინგით საქონელს
ვყიდულობ და ვათესებ ჩემს საწყობში. დანარჩენი 5 000 გირვ. სტერლინგი შემაქვს
ბანკირთან ანაბრად, რათა საჭიროების მიხედვით გამოვიტანო იგი. მაგრამ მე მაინც
მთელ თანხას ვთვლი ჩემს კაპიტალად, თუმცა იქიდან 5 000 გირვ. სტერლინგი ანაბ-
რის ანუ ფულის ფორმაში იმყოფება» (4528). აქედან იწყება შემდეგი საინტერესო
დებატები: «4531. მაშასადამე, თქვენ ვილაცას სხვას გადაეცით თქვენი 5 000 გირვ.
სტერლინგი ბანკოტების სახით? — დიახ. — 4532. და ამ სხვას აქვს ახლა ანაბარი
5 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით? — დიახ, რასაკვირველია, — 4533. და თქვენც
გაქვთ ანაბარი 5 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით? — სწორედ ასეა. — 4534.
იმასაც 5 000 გირვ. სტერლინგი აქვს ფულად და თქვენც 5 000 გირვ. სტერლინგი
გაქვთ ფულად? — რასაკვირველია. — 4535. მაგრამ ეს, ბოლოს და ბოლოს, სხვა არა
არის რა, თუ არა ფული? — არა». — არევე-ღარევა აქ, სხვათა შორის, აქედან წარ-

ნივთიერი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება ფულად კაპიტალისტთა კლასიც; იზრდება, ერთი მხრივ, რიცხვი და სიმდიდრე კაპიტალისტთა, რომელთაც ხელი აიღეს საქმეში აქტიურ მონაწილეობაზე, ე. ი. რანტიეთა რიცხვი და სიმდიდრე; მეორე მხრივ კი, ეს ხელს უწყობს საკრედიტო სისტემის განვითარებას და მასთან ერთად იზრდება ბანკირების, ფულის გამსესხებელთა, ფინანსისტების და სხვათა რიცხვი. თავისუფალი ფულადი კაპიტალის განვითარებასთან ერთად იზრდება სარგებლიანი ქალაქების, სახელმწიფო ქალაქების, აქციებისა და სხვ. რიცხვი, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები. მაგრამ ამასთან ერთად იზრდება თავისუფალი კაპიტალის მოთხოვნაც, და ამ შემთხვევაში *jobber*-ები [მაკლერები] (რომელნიც სპეკულაციას ეწევიან ამ ქალაქებით, მთავარ როლს ასრულებენ ფულის ბაზარზე. ამ ქალაქების ყველა ყიდვა და გაყიდვა კაპიტალის ნამდვილი დაბანდების გამომსახველი რომ იყოს, მაშინ სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ მათ არ შეიძლება გავლენა ჰქონდეთ სასესხო კაპიტალის მოთხოვნაზე, ვინაიდან, თუ A თავის ქალაქებს ყიდის, მას სწორედ იმდენი ფული მიაქვს, რამდენსაც B აბანდებს ქალაქებში. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც თუმცა ქალაქი არსებობს, მაგრამ აღარ არსებობს ის კაპიტალი (ყოველ შემთხვევაში — როგორც ფულადი კაპიტალი), რომელსაც იგი თავდაპირველად წარმომადგენლობდა, ეს ქალაქი ყოველთვის იწვევს *pro tanto* [შესაბამისად] ახალ მოთხოვნას ასეთ ფულად კაპიტალზე.

მოდგება: A-ს, რომელმაც 5 000 გირვ. სტერლინგი შეიტანა ანაბრად, შეუძლია მასზე ჩეკები გამოწეროს, მასზე განკარგულება აქვს სწორედ ისე, თითქოს ეს ფული მას ჯერ კიდევ ხელში ჰქონდეს. ამ აზრით ეს ფული მოქმედებს მისთვის როგორც პოტენციური ფული. მაგრამ ყოველთვის, როდესაც იგი მასზე ჩეკს გამოწერს, *pro tanto* [შესაბამისად] იგი სპობს თავისი ანაბრის თანხას. თუ მას ბანკიდან გამოაქვს ნამდვილი ფული, ხოლო მისი ფული უკვე ვაცემულია სესხად, — მას უხდიან არა მისი საკუთარი ფულით, არამედ სხვის მიერ ანაბრად შეტანილი ფულით. თუ იგი თავის ვალ B-ს უხდის ჩეკით თავისი ბანკირის სახელზე, და ამასთან B-ს ეს ჩეკი ანაბრად შეაქვს თავის ბანკირთან და შეანაბრე A-ს ბანკირსაც აქვს ჩეკი შეანაბრე B-ს ბანკირის სახელზე, ასე რომ ორივე ეს ბანკირი მხოლოდ ჩეკებს გაუცვლიან ერთმანეთს, მაშინ A-ს მიერ ანაბრად შეტანილი ფული ორჯერ ასრულებს ფულის ფუნქციას: ჯერ ერთი, იმის ხელში, ვინც მიიღო A-ს მიერ შეტანილი ფული, და, მეორე, თვით A-ს ხელში. მეორე ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ეს ანაბარი აწონასწორებს სავალო მოთხოვნებს (A-ს სავალო მოთხოვნას მისი ბანკირის მიმართ და უკანასკნელის სავალო მოთხოვნას B-ს ბანკირის მიმართ) საქმეში ფულის ჩაურევლად. აქ ანაბარი ორჯერ მოქმედებს როგორც ფული, სახელდობრ ერთხელ როგორც ნამდვილი ფული და მეორეჯერ როგორც ფულის მოთხოვნის უფლება. ფულის მოთხოვნის უბრალო უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ფულის მაგივრობის გაწევა, თუ სავალო მოთხოვნები წონასწორდება.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ის ფულადი კაპიტალია, რომელიც უწინ B-ს განკარგულებაში იყო, ახლა A-ს განკარგულებაშია.

B. A. 1857. № 4886: «თქვენი აზრით, დისკონტის ნორმის განმსაზღვრელ მიზეზებს სწორად გამოხატავს თუ არა იმის აღნიშვნა, რომ ეს ნორმა რეგულირდება ბაზარზე არსებული კაპიტალის იმ რაოდენობით, რომელიც განსხვავებით სხვა სახის ფასიანი ქაღალდებისაგან შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავაჭრო თამასუქების სადისკონტოდ? — { ჩემპენი: } არა; მე იმ აზრისა ვარ, რომ სარგებლის განაკვეთზე გავლენა აქვს ყველა ფულად ადვილგარდასაქმნელ ფასიან ქაღალდს (all convertible securities of a current character); სწორი არ იქნებოდა საკითხის შეზღუდვა მარტო თამასუქების დისკონტით, იმიტომ რომ, თუ არსებობს ფულის დიდი მოთხოვნა კონსოლების { გირაოს ქვეშე } და სახაზინო მოწმობების გირაოს ქვეშაც კი, როგორც ეს ფართოდ იყო გავრცელებული უკანასკნელ დროს, და ამასთან სარგებლის ისეთი განაკვეთის გადახდით, რომელიც დიდად აღემატება კომერციულ განაკვეთს, — აბსურდი იქნებოდა გვეთქვა, ეს ჩვენს სავაჭრო საქმეებს არ შეეხებოდა; პირიქით. იგი ჩვენს სავაჭრო საქმეებს არსებითად შეეხება. — 4890. თუ ბაზარზე მოიპოვება კარგი და გზახსნილი ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ბანკირები ასეთებად ცნობენ, და თუ მათს მესაკუთრეებს მათ გირაოს ქვეშე ფულის მიღება უნდათ, ყოველ ეჭვს გარეშეა, ეს გავლენას მოახდენს სავაჭრო თამასუქებზე: მე არ შემიძლია, მაგალითად, იმედი ვიქონიო, რომ კრედიტორი სავაჭრო თამასუქში 5%-ად მომცემს ფულს, თუ მას იმავე დროს ამ ფულის გასესხება 6%-ად შეუძლია კონსოლების და სხვ. გირაოს ქვეშე; ასეთი გავლენა აქვს ამას ჩემზედაც: არავის არ შეუძლია მომთხოვოს, რომ მე მისი თამასუქის დისკონტირება მოვახდინო 5½%-ად, როდესაც მე შემიძლია 6%-ად გავასესხო ჩემი ფული. — 4892. 2 000 გირვ. სტერლინგის, 5 000 გირვ. სტერლინგის, 10 000 გირვ. სტერლინგის ფასიანი ქაღალდების მყიდველების მიმართ ჩვენ არ ვამბობთ, რომ ისინი მოახდენენ არსებით გავლენას ფულის ბაზარზე. თუ თქვენ მეკითხებით სარგებლის განაკვეთის შესახებ კონსოლების { გირაოს ქვეშე } გაცემულ ფულზე, — მე მხედველობაში მყავს ასიათასობით გირვანქა სტერლინგის ოპერაციების მაწარმოებელი ადამიანები, ეგრეთწოდებული jobber-ები [მაკლერები], რომელნიც ხელს აწერენ ან ბაზარზე ყიდულობენ დიდი თანხების საჯარო სესხებს და რომელთაც ეს ქაღალდები შემდეგ ხელში უნდა გაიჩერონ, ვიდრე მათი მოგებით გაყიდვა მოხერხდებოდეს; ამ ადამიანებს ამისთვის სჭირდებათ ფულის სესხად აღება».

საკრედიტო საქმის განვითარებასთან ერთად იქმნება ფულის დიდი კონცენტრირებული ბაზრები, როგორცაა ლონდონი, რომელნიც იმავე დროს ამ ქალაქებში ვაჭრობის მთავარ პუნქტებს წარმოადგენენ. ბანკირები ასეთ ვაჭართა ხროვის განკარგულებაში გადასცემენ საზოგადოების ფულადი კაპიტალის უამრავ მასებს, რა ამის გამო იზრდება ბირჟის მოთამაშეთა ეს ხროვა. «საფონდო ბირჟაზე ფული უფრო იაფია, ვიდრე სადმე სხვაგან», თქვა 1848 წელს ინგლისის ბანკის მმართველმა ლორდთა საიდუმლო კომიტეტის წინაშე (C. D. 1848, დაიბეჭდა 1857, № 219).

სარგებელმომტანი კაპიტალის განხილვისას უკვე ნაჩვენები იყო, რომ საშუალო სარგებელი წელთა მეტნაკლებ გრძელი მწკრივისთვის, სხვა თანაბარ პირობებში, განისაზღვრება მოგების საშუალო ნორმით და არა მეწარმის შემოსავლის ნორმით, ვინაიდან მეწარმის შემოსავალი თვით წარმოადგენს მხოლოდ მოგებას მინუს სარგებელი.

რომ აგრეთვე კომერციული სარგებლის რყევისთვის — სარგებლის, რომელსაც ფულის გამსესხებელი კაპიტალისტები დისკონტისა და სესხისთვის ანგარიშობენ ვაჭრობის სფეროში — სამრეწველო ციკლის მსვლელობაში დგება ისეთი ფაზა, როდესაც სარგებლის განაკვეთი თავის მინიმუმს აღემატება და აღწევს საშუალო სიმაღლეს (რომელსაც შემდეგ უფრო გვიან, იგზ გადააჭარბებს), და ამასთან ეს მოძრაობა მოგების გადიდების შედეგს წარმოადგენს, — ყველაფერი ეს უკვე იყო აღნიშნული და შემდგომ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

მაგრამ აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ.

ჩერეთი: თუ სარგებლის განაკვეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაღალ დონეზე დგას (ჩვენ ვლაპარაკობთ სარგებლის განაკვეთზე განსაზღვრულ ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისში, სადაც ხანგრძლივი პერიოდისთვის მოცემულია სარგებლის საშუალო განაკვეთი, რაც აგრეთვე გამოსახულებას პოულობს იმ სარგებელში, რომელსაც გრძელვადიანი სესხისთვის იხდიან და რომელსაც კერძო სარგებელი შეიძლება ეწოდოს), მაშინ ეს *prima facie* იმას ამტკიცებს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოგების ნორმა მაღალია, თუმცა სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ მეწარმის შემოსავლის ნორმა აუცილებლად მაღალია. ეს უკანასკნელი განსხვავება მეტად თუ ნაკლებად ისპობა იმ კაპიტალისტებისთვის, რომელნიც მეტწილად საკუთარი კაპიტალით მუშაობენ; ისინი მოგების მაღალ ნორმას ახორციელებენ, რადგან თავიანთ თავს უხდიან სარგებელს. სარგებლის მყარი მაღალი განაკვეთის შესაძლებლობას — ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ნამდვილი შევიწროების ფაზის შესახებ — იძლევა მოგების მაღალი ნორმა. მაგრამ შესაძლებ-

ლია, რომ მოგების ეს მაღალი ნორმა, სარგებლის მაღალი ნორმის გამოკლების შემდეგ, მეწარმის შემოსავლის მხოლოდ დაბალ ნორმას ტოვებს. ეს უკანასკნელი შეიძლება შემცირდეს, მაშინ როდესაც მოგების მაღალი ნორმა განაგრძობს არსებობას. ეს იმიტომაა შესაძლებელი, რომ საწარმოებმა, რაკი ისინი ამუშავებულია, უნდა განაგრძონ მოქმედება. საწარმოთა დიდი ნაწილი ამ ფაზაში მართოდენ საკრედიტო (გ. ი. სხვისი) კაპიტალით მუშაობს; მოგების მაღალი ნორმა ალავალავ შეიძლება სპეკულაციური იყოს, რაც მერმისში მოგების მიღების მოლოდინზეა დამყარებული. სარგებლის მაღალი ნორმის გადახდას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოგების მაღალი ნორმის, მაგრამ მეწარმის კლებადი შემოსავლის არსებობისას. მისი გადახდა შეიძლება — და ამას მართლა აქვს ადგილი სპეკულაციის პერიოდებში — არა მოგებიდან, არამედ თვით ნასესხები სხვისი კაპიტალიდან, და ეს შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

მეორე: დებულება, რომ ფულადი კაპიტალის მოთხოვნა და, მაშასადამე, სარგებლის ნორმაც იმის გამო იზრდება, რომ მოგების ნორმა მაღალ დონეზე დგას, არაა იდენტური იმისა, რომ სამრეწველო კაპიტალის მოთხოვნა იზრდება და ამიტომ სარგებლის ნორმა მაღალია.

კრიზისის პერიოდებში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა და მასთან სარგებლის ნორმა თავის მაქსიმუმს აღწევს; მაგრამ მოგების ნორმა და მასთან სამრეწველო კაპიტალის მოთხოვნა თითქმის სრულიად გამჭრალია. ასეთ დროში თვითეული სესხულობს მხოლოდ იმისთვის, რომ გადასახდელი გაისტუმროს, რომ უკვე ნაკისრი ვალდებულებანი მოიშოროს. პირიქით, კრიზისის შემდეგ ახალი გაცხოველების პერიოდებში სასესხო კაპიტალს მოითხოვენ იმისთვის, რომ იყიდონ, რომ ფულადი კაპიტალი მწარმოებლურ ან კომერციულ კაპიტალად გადააქციონ. და მას მოითხოვს მაშინ ან მრეწველი კაპიტალისტი, ან ვაჭარი. მრეწველი კაპიტალისტი მას ხარჯავს წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალაზე.

სამუშაო ძალის მზარდი მოთხოვნა თავისთავად არასოდეს არ შეიძლება იყოს სარგებლის განაკვეთის გადიდების საფუძველი, — რამდენადაც ეს უკანასკნელი მოგების ნორმით განისაზღვრება. ხელფასის გადიდება არასოდეს არაა მოგების ნორმის გადიდების მიზეზი, თუმცა — სამრეწველო ციკლის განსაზღვრულ ფაზებში — შეიძლება მისი ერთ-ერთი შედეგი იყოს.

სამუშაო ძალის მოთხოვნამ შეიძლება იმატოს იმის გამო, რომ შრომის ექსპლოატაცია განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში ხდება, მაგრამ სამუშაო ძალის და, მაშასადამე, ამასთან ცვალებადი კაპიტა-

ლის მზარდი მოთხოვნა თავისთავად არ აღიღებს მოგებას, არამედ ამცირებს მას *pro tanto* [შესაბამისად]. და მაინც, ამის გამო, შეიძლება ცვალებადი კაპიტალის მოთხოვნამ და ამიტომ ფულადი კაპიტალის მოთხოვნამაც იმატოს, რამაც შეიძლება სარგებლის განაკვეთი გააღიღოს. სამუშაო ძალის საბაზრო ფასი მაშინ თავის საშუალო სიდიდეზე მაღლა იწევს, დასაქმებული ხდება მუშების საშუალო რიცხვზე მეტი და იმავდროულად მაღლა იწევს სარგებლის განაკვეთი, ვინაიდან მოცემულ პირობებში იზრდება ფულადი კაპიტალის მოთხოვნა. სამუშაო ძალის მზარდი მოთხოვნა აძვირებს ამ საქონელს, როგორც ყოველ სხვას, აღიღებს მის ფასს, მაგრამ არ აღიღებს მოგებას, რომელიც სწორედ ამ საქონლის შეფარდებითს სიიაფეზეა უმთავრესად დამყარებული. მაგრამ იმავე დროს — ნაგულისხმევ გარემოებებში — ეს მოთხოვნა აღიღებს სარგებლის ნორმას, იმიტომ რომ აღიღებს ფულადი კაპიტალის მოთხოვნას. თუ ფულადი კაპიტალისტი, თავისი ფულის გაესხების ნაცვლად, მრეწველად გადაიქცეოდა, ის გარემოება, რომ მან ახლა უფრო მეტი უნდა გადაიხადოს შრომისთვის, თავისდათავად არ გააღიღებდა მის მოგებას, არამედ *pro tanto* შეამცირებდა. შესაძლებელია გარემოებათა ისეთი კონიუნქტურა იყოს, რომ მისი მოგება მაინც მატულობდეს, მაგრამ ეს მოხდება არა იმის გამო, რომ იგი უფრო მეტს იხდის შრომისათვის. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ სარგებლის განაკვეთი გააღიღოს. თუ რაიმე მიზეზების გამო ხელფასი გადიდდებოდა ისეთ კონიუნქტურაში, რომელიც სხვაგვარად არახელსაყრელია, ხელფასის ასეთი გადიდება შეამცირებდა მოგების ნორმას, მაგრამ იმდენადვე გააღიღებდა, სარგებლის განაკვეთს, რამდენადაც გააღიღებდა ფულადი კაპიტალის მოთხოვნას.

ის, რასაც ოგერსტონი «კაპიტალის მოთხოვნას» უწოდებს, თუ შრომას მხედველობაში არ მივიღებთ, მარტოოდენ საქონლის მოთხოვნაში მდგომარეობს. საქონლის მოთხოვნა მაღლა სწევს მის ფასს როგორც იმ შემთხვევაში, როცა ეს მოთხოვნა საშუალოზე მაღლა იწევს, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა მიწოდება საშუალოზე დაბლა ეცემა. თუ, მაგალითად, მრეწველმა კაპიტალისტმა ან ვაჭარმა ახლა 150 გირვ. სტერლინგი უნდა გადაიხადოს საქონელთა იმ მასისათვის, რომლისთვისაც იგი უწინ 100 გირვ. სტერლინგს იხდიდა, მას 150 გირვ. სტერლინგის სესხად აღება დასჭირდება უწინდელი 100 გირვ. სტერლინგის ნაცვლად და, მაშასადამე, 5% კვალობაზე, 7½ გირვ. სტერ. სარგებელი უნდა გადაიხადოს უწინდელი 5 გირვ. სტერლინგის ნაცვლად. მის მიერ

გადასახდელი სარგებლის მასა გადიდდება, რადგან გადიდდება სესხად აღებული კაპიტალის მასა.

ბ-ნი ოვერსტონის ცდა იმაში მდგომარეობს, რომ სასესხო და სამრეწველო კაპიტალის ინტერესები წარმოგვიდგინოს როგორც იდენტურნი, მაშინ როდესაც მისი საბანკო აქტი სწორედ იმაზეა ნაფარადევი, რომ ამ ინტერესთა სხვაობა ფულადი კაპიტალის სასარგებლოდ გამოიყენოს.

იმ შემთხვევაში, როცა საქონლის მიწოდება საშუალოზე დაბალია. შესაძლებელია საქონლის მოთხოვნამ არც კი შთანთქმას წინანდელზე მეტი ფულადი კაპიტალი. საქონელთა საერთო ღირებულებისთვის გადაიხდება იგივე თანხა, შესაძლებელია ნაკლებიც კი, მაგრამ ამ თანხით ახლა სახმარ ღირებულებათა ნაკლები რაოდენობა მიიღება. ამ შემთხვევაში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა უცვლელი რჩება, და, მაშასადამე, სარგებლის განაკვეთი მაღლა არ იწევს, თუმცა საქონლის მოთხოვნა მატულობს მის მიწოდებასთან შედარებით, და ამიტომ საქონლის ფასიც მატულობს. სარგებლის განაკვეთმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ცვლილება განიცადოს, თუ სასესხო კაპიტალის საერთო მოთხოვნა იზრდება და ამას კი ადგილი არა აქვს ზემოთ ნაგულისხმევ პირობებში.

მაგრამ შეიძლება რომელიმე საქონლის მიწოდება მის საშუალო დონეზე დაბლაც დაეცეს, როგორც ეს ხდება, მაგალითად, პურის, ბამბის, და სხვ. მოუსავლობის დროს, და სასესხო კაპიტალის მოთხოვნა გაიზარდოს, იმიტომ რომ ადგილი აქვს სპეკულაციას ფასების კიდევ უფრო გადიდებაზე, ხოლო ფასის აწევის უმარტივესი საშუალება ის არის, რომ დროებით ბაზარს მოსცილდეს მიწოდების ნაწილი. იმისათვის კი, რომ ნაყიდი საქონლის ფასი გადაიხადონ მის გაუყიდავად, ფულს მოიპოვებენ კომერციული «სათამაშაო ოპერაციების» გზით. ამ შემთხვევაში იზრდება სასესხო კაპიტალის მოთხოვნა, და სარგებლის განაკვეთმა შეიძლება მაღლა აიწიოს ამ ცდის შედეგად, რომლის მიზანია ბაზარზე საქონლის მოზიდვას ხელოვნური დაბრკოლება შეუქმნას. მაშინ უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთი გამოხატავს საქონლური კაპიტალის მიწოდების ხელოვნურ შემცირებას.

მეორე მხრივ, რომელიმე საქონლის მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს იმის გამო, რომ მისი მიწოდება გაიზარდა და საქონლის ფასი მის საშუალო დონეზე დაბლა დაეცა.

ამ შემთხვევაში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა შესაძლებელია უცვლელი დარჩეს ან დაეცეს კიდევ, რადგან ფულის იმავე თანხით მეტი საქონლის შეძენა შეიძლება. მაგრამ შესაძლებელია მარაგის სპე-

კულაციური შექმნაც, ნაწილობრივ ხელსაყრელი მომენტის გამოსაყენებლად წარმოების მიზნებისათვის, ნაწილობრივ კი ფასების შემდგომი აწევის მოლოდინში. ამ შემთხვევაში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს, და სარგებლის გადიდებული განაკვეთი გამოსახავს კაპიტალის ხარჯს მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების ჭარბი მარავის შესაქმნელად. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ სასესხო კაპიტალის მოთხოვნას, რამდენადაც მასზე გავლენა აქვს საქონლური კაპიტალის მოთხოვნასა და მიწოდებას. უკვე წინათ იყო განმარტებული, თუ როგორ ახდენს გავლენას სასესხო კაპიტალის მიწოდებაზე კვლავწარმოების პროცესის ცვალებადი მდგომარეობა სამრეწველო ციკლის სწვადასხვა ფაზებში. ტრივიალურ დებულებას, რომ სარგებლის საბაზრო ნორმა (სასესხო) კაპიტალის მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრებაო, ოვერსტონი ეშმაკურად ურევს თავის საკუთარ ვარაუდში, რომლის თანახმად სასესხო კაპიტალი საერთოდ კაპიტალის იდენტიურია, და ცდილობს, ამგვარად, მევახშე გადააქციოს ერთადერთ კაპიტალისტად და მისი კაპიტალი — კაპიტალის ერთადერთ სახეობად.

შევიწროების პერიოდებში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა წარმოადგენს გადახდის საშუალებების მოთხოვნას და სხვას არაფერს; იგი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ფულის, როგორც ყიდვის საშუალების მოთხოვნას. სარგებლის განაკვეთმა აქ შეიძლება ძალიან მაღლა აიწიოს, იმისგან დამოუკიდებლად, მოიპოვება რეალური კაპიტალი — მწარმოებლური და საქონლური — ჭარბად თუ ნაკლებად. რამდენადაც ვაჭრებსა და მწარმოებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ საიმედო უზრუნველყოფა, გადახდის საშუალებათა მოთხოვნა მარტოოდენ იმის მოთხოვნაა, რის ფულად გადაქცევაც შესაძლებელია; ხოლო რამდენადაც ეს არაა, რამდენადაც, მაშასადამე, გადახდის საშუალებათა გასესხების გზით მათ ხელთ ეძლევათ არა მარტო ფულადი ფორმა, არამედ ეკვივალენტიც გადასახდელის გასასტუმრებლად, — ეკვივალენტი, რომელიც მათ აკლიათ, რა ფორმაშიც უნდა იყოს იგი, — იმდენადვე გადახდის საშუალებათა მოთხოვნა ფულადი კაპიტალის მოთხოვნაა. ეს ის პუნქტია, რომელშიაც კრიზისების განხილვისას ორივე მოარული თეორიის საპირისპირო აზრი მართებულიცაა და უმართებულოც. იმათ, რომელნიც ამბობენ, მარტოოდენ გადახდის საშუალებათა ნაკლებობა არსებობსო, ან მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ bona fide-ს * მქონე პირები, ანდა იმდენად სულელები არიან, რომ ფიქრობენ, ვითომ ბანკის მოვალეობა იყოს და მას შესაძ-

* უზრუნველყოფი, რომლის საფუძვლიანობა ეკვს არ იწევს. რ ე დ.

ლებლობა ჰქონდეს ქაღალდის ბილეთების გამოშვების საშუალებით ყველა გაკოტრებული სპეკულანტი სოლიდურ, გადახდისუნარიან კაპიტალისტად გადააქციოს. ისინი, რომელნიც ამბობენ, მხოლოდ კაპიტალის ნაკლებობა არსებობსო, ან მარტოოდენ სიტყვებით კოჭაობენ. რადგან სინამდვილეში ასეთ დროს, ჭარბი იმპორტისა და ჭარბწარმოების გამო, ყოველთვის უხვად მოიპოვება კაპიტალი, რომელიც ფულად ვერ გადაიქცევა, ანდა ლაპარაკობენ მხოლოდ კრედიტის იმ რაინდებზე, რომელნიც მართლა ვარდებიან ისეთ მდგომარეობაში. როდესაც აღარ შეუძლიათ სხვისი კაპიტალი იშოვონ თავიანთი მეურნეობის წარსამართავად და ამიტომ მოითხოვენ, რომ ბანკმა არა მარტო უშველოს მათ დაკარგული კაპიტალის გადახდაში, არამედ სპეკულაციის განგრძობის შესაძლებლობაც მისცეს.

კაპიტალისტური წარმოების საფუძველს შეადგენს ის, რომ საქონელს უპირისპირდება ფული როგორც ღირებულების თავისთავადი ფორმა, სხვა სიტყვებით, საცვლელმა ღირებულებამ ფულში უნდა მიიღოს თავისთავადი ფორმა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმის მეოხებით, რომ განსაზღვრული საქონელი ხდება ის მასალა, რომლის ღირებულებითაც ყველა სხვა საქონელი ზომავს თავის ღირებულებას, და რომელიც სწორედ ამიტომ ხდება საყოველთაო საქონელი, საქონელი *par excellence* [უპირატესად] ყველა სხვა საქონლისადმი დაპირისპირებით. ეს უნდა გამომჟღავნდეს ორნაირი მიმართულებით, განსაკუთრებით კაპიტალისტურად განვითარებულ ერებში, რომელნიც დიდი მასშტაბით ეწევიან ფულის შენაცვლებას, ერთი მხრივ, საკრედიტო ოპერაციებით და, მეორე მხრივ, — საკრედიტო ფულით. შევიწროების პერიოდებში, როდესაც კრედიტი იზღუდება ან სრულიად ისპობა. ფული აბსოლუტურად უპირისპირდება ყველა საქონელს, როგორც გადახდის ერთადერთი საშუალება და ღირებულების ჭეშმარიტი მყოფობა. აქედან — საყოველთაო გაუფასურება საქონლისა, შეუძლებლობაც კი მისი ფულად, ე. ი. მის საკუთარ წმინდა ფანტასტიკურ ფორმად, გადაქცევისა. მაგრამ მეორე მხრივ, თვით საკრედიტო ფული მხოლოდ იმდენად არის ფული, რამდენადაც იგი თავისი ნომინალური ღირებულების ოდენობით აბსოლუტურად შეენაცვლება ნამდვილ ფულს. ოქროს მიქცევასთან ერთად პრობლემატური ხდება მისი ფულად გადაქცევის შესაძლებლობა, ე. ი. მისი იდენტურობა ოქროსთან. აქედან — იძულებითი ღონისძიებანი, სარგებლის განაკვეთის ამადლება და სხვ. ოქროზე მისი გადაცვლის პირობების უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი მდგომარეობა შეიძლება მეტნაკლებ უკიდურესობამდე გამოწვავდეს მცდარი კანონმდებლობით, რომელიც ფულის მცდარ თეო-

რეგულაცია დამყარებული და რომელსაც ვაჭართა, ოვერსტონების და კომპანიის ინტერესები თავს მოახვევენ ერს. მაგრამ საფუძველი მოცემულია თვით წარმოების წესის საფუძველთან ერთად. საკრედიტო ფულის გაუფასურება (არას ვამბობთ მისი ფულადი თვისების დაკარგვაზე, რაც, სხვათა შორის, მარტოოდენ მოჩვენებითია) შეარყევდა ყველა არსებულ ურთიერთობას. ამიტომ საქონლის ღირებულება მსხვერპლად გაიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ ღირებულების ფანტასტიკური და თავისთავადი მყოფობა ფულის სახით. როგორც ფულადი ღირებულება იგი საერთოდ უზრუნველყოფილია მხოლოდ მანამდე, სანამ უზრუნველყოფილია თვით ფული. ამიტომ ერთი-ორი მილიონი ფულისთვის მსხვერპლად უნდა იქნეს შეწირული მრავალი მილიონი საქონელი. ეს გარდუვალია კაპიტალისტურ წარმოებაში და ერთ-ერთ მის სიმშვენიერეს შეადგენს. წარმოების წინანდელი წესების დროს ამას არა აქვს ადგილი, იმიტომ რომ იმ ვიწრო ბაზისზე, რომელზედაც ის წესები მოძრაობენ, არც კრედიტი და არც საკრედიტო ფული არ ვითარდება. ვიდრე შრომის საზოგადოებრივი ხასიათი გვევლინება როგორც საქონლის ფულადი მყოფობა, ე. ი. როგორც ნამდვილი წარმოების გარეშე არსებული ნივთი, — გარდუვალია ფულის კრიზისები, რომლებიც დამოუკიდებელია ნამდვილი კრიზისებისაგან ან მათს გამწვავებას წარმოადგენს. ცხადია, მეორე მხრივ, რომ ვიდრე შეარყეული არაა რომელიმე ბანკის კრედიტი, ეს ბანკი ასეთ შემთხვევებში საკრედიტო ფულის რაოდენობის გადიდებით ანელებს პანიკას, ხოლო მისი შემცირებით აძლიერებს მას. თანამედროვე მრეწველობის მთელი ისტორია ცხადყოფს, რომ თვითეული ქვეყნის შიგნით წარმოება რომ ორგანიზებული იყოს, ლითონი მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსის სალდირებისათვის იქნებოდა საჭირო, როდესაც მისი წონასწორობა მოცემულ მომენტში, დარღვეული იქნებოდა. რომ ქვეყნის შიგნით უკვე ახლაც საჭირო არაა ლითონური ფული, ამას ადასტურებს ნაღდად გადახდის შეწყვეტა ევრეთწოდებულ ეროვნული ბანკების მხრივ, რასაც მიმართავენ ხოლმე უკიდურეს შემთხვევებში, როგორც ხსნის ერთადერთ საშუალებას.

- სასაცილო იქნებოდა ორი პირის შესახებ გვეთქვა, თავიანთ ურთიერთობაში მათ ერთადერთს არახელსაყრელი საგადასახდელო ბალანსი აქეთო. თუ თვითეული მათგანი მოვალეც არის და მევალეც მეორის მიმართ და მათი მოთხოვნანი ერთმანეთს არ აწონასწორებენ, მაშინ ცხადია, რომ ბოლოს და ბოლოს ერთი უნდა იყოს მეორის მოვალე ნაშთის ჯამის რაოდენობით. მაგრამ ეს სრულიადაც ასე არაა, როდესაც საქმე ერებს ეხება. და რომ ეს ასე არაა, ამას ცნობს ყველა ეკონო-

მისტი, იმ დებულების აღიარებით, რომ განსაზღვრული ერის საგადასახდლო ბალანსი შეიძლება იყოს მისთვის ხელსაყრელი ან არახელსაყრელი, თუმცა მისი ვაჭრობის ბალანსი ბოლოს და ბოლოს უნდა გაწონასწორდეს. გადასახდელთა ბალანსი იმით განსხვავდება ვაჭრობის ბალანსისაგან, რომ იგი განსაზღვრული ვადის მქონე ვაჭრობის ბალანსია. კრიზისი იწვევს იმას, რომ სხვაობა საგადასახდლო ბალანსსა და ვაჭრობის ბალანსს შორის დროის მოკლე მონაკვეთზე ჩამოდის; განსაზღვრული მოვლენები, რომლებიც ვითარდება კრიზისმოდებულ ერში, რომელსაც, მაშასადამე, გადახდის ვადა აქვს დამდგარი, — ეს მოვლენები უკვე თავისთავად იწვევენ იმ პერიოდის შემოკლებას, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გადასახდელთა გათანაბრება. ჯერ ერთი, — ძვირფას ლითონთა გაგზავნა საზღვარგარეთ; შემდეგ — საკონსიგნაციოდ აღებული საქონლის გაყიდვა დაკლებულ ფასებში; საქონლის ექსპორტი დაკლებულ ფასებში გასაყიდად ან მათ საფუძველზე ფულადი სესხის მისაღებად ქვეყნის შიგნით; სარგებლის განაკვეთის აწევა, სესხის დაბრუნების მოთხოვნა, ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა, უცხოეთის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა გაუფასურებულ ქაღალდებში მოსათავსებლად, ბოლოს, — გაკოტრება, რომელიც უამრავ მოთხოვნებს აბათილებს. ამასთან ხშირად ლითონი იმ ქვეყანაში იგზავნება, სადაც კრიზისია მოდებული, რადგან იმ ქვეყნის თამასუქებს ნდობა აქვთ დაკარგული, მაშასადამე, ლითონის ფულით გადახდა უფრო საიმედოა. ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ აზიის მიმართ ყველა კაპიტალისტური ერი უმეტეს შემთხვევაში იმავდროულად პირდაპირ ან არაპირდაპირ მოვალეა. როგორც კი ყველა ეს გარემოება თავის სრულ გავლენას მოახდენს მეორე მონაწილე ერზე, მაშინვე ამ უკანასკნელშიც იწყება ოქრო-ვერცხლის ექსპორტი, მოკლედ, — დგება გადახდის ვადა, და იგივე მოვლენები მყორდება ხელახლა.

კომერციული კრედიტის შემთხვევაში სარგებელი, როგორც განსხვავება სანისიო ფასსა და სანაღრო ფასს შორის, მხოლოდ იმდენად შედის საქონელთა ფასში, რამდენადაც თამასუქები ჩვეულებრივზე უფრო გრძელი ვადით გაიცემა. სხვა შემთხვევაში ამას ადგილი არა აქვს. ეს აიხსნება იმით, რომ თვითეული იღებს ერთი ხელით ასეთ კრედიტს და გასცემს მას მეორე ხელით. { ეს არ ეთანხმება ჩემ გამოცდილებას. — ფ. ე. } მაგრამ რამდენადაც აქ დისკონტი შედის ამ ფორმაში, იგი რეგულირდება არა კომერციული კრედიტით, არამედ ფულადი ბაზრით.

სარგებლის განაკვეთის განმსაზღვრელი ფულადი კაპიტალის მოთხოვნა და მიწოდება რომ ნამდვილი კაპიტალის მოთხოვნისა და მიწოდების იდენტური იყოს, როგორც ამას ოვერსტონი ამტკიცებს, მაშინ სარგებელი იმავდროულად მაღალიც უნდა ყოფილიყო და დაბალიც სხვადასხვა საქონლის მიმართ ან ერთი და იმავე საქონლის მიმართ მის სხვადასხვა სტადიაში (ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, მზაპროდუქტი). 1844 წელს სარგებლის განაკვეთი ინგლისის ბანკში ირყეოდა 4%-სა (იანვრიდან სექტემბრამდე) და 2½ და 3%-ს შორის (ნოემბრიდან წლის ბოლომდე). 1845 წელს იგი იყო 2½, 2¾, 3% იანვრიდან ოქტომბრამდე, ირყეოდა 3%-სა და 5%-ს შორის უკანასკნელ თვეებში. ბამბის — fair Orleans-ის * საშუალო ფასი იყო 1844 წელს 6¼ პენსი, 1845 წელს 4 7/8 პენსი. 1844 წლის 3 მარტს ბამბის მარაგი იყო ლივერპულში 627 042 შეკვრა, ხოლო 1845 წლის 3 მარტს 773 800 შეკვრა. თუ ბამბის დაბალი ფასის მიხედვით ვიმსჯელებთ, სარგებლის განაკვეთი 1845 წელს დაბალი უნდა ყოფილიყო, და ასეთი იყო იგი ფაქტიურადაც მეტწილ ამ პერიოდში. მაგრამ თუ ნართის ფასის მიხედვით ვიმსჯელებთ, სარგებელი მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან ფასები შეფარდებით იყო მაღალი, მოგება კი — აბსოლუტურად. 4-პენსიანი გირვანქა ბამბიდან 1845 წელს შეიძლებოდა რთვაზე 4 პენსი ხარჯის გაწევით დამზადებულიყო ნართი (№ 40 კარგი *secunda mule twist* **), რომელიც მრთველს ამგვარად 8 პენსი დაუჯდებოდა და რომელიც 1845 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მას შეეძლო გირვანქა 10½ ან 11½ პენსად გაეყიდა (იხ. ქვემოთ ვილის ჩვენება).

მთელი ეს საკითხი შეიძლება შემდეგნაირად გადაწყდეს:

სასესხო კაპიტალის მოთხოვნა და მიწოდება იმ შემთხვევაში იქნებოდა საერთოდ კაპიტალის მოთხოვნის და მიწოდების იდენტური (თუმცა უკანასკნელი ფრაზა აბსურდია: მრეწველისთვის ან ვაჭრისთვის საქონელი მისი კაპიტალის ფორმაა, მაგრამ იგი მოითხოვს არა კაპიტალს როგორც ასეთს, არამედ მხოლოდ სპეციალურ საქონელს როგორც ასეთს, ყიდულობს და იხდის მასში როგორც საქონელში — პურში ან ბამბაში — იმ როლისგან დამოუკიდებლად, რომელსაც მისი კაპიტალის წრებრუნვაში ეს საქონელი შეასრულებს), ფულის გამსესხებელი კაპიტალისტები რომ სრულიად არ არსებობდნენ და მათ ნაცვლად გამსესხებელი კაპიტალისტები მანქანების, ნედლეულისა და სხვ. პატრონები იყვნენ და ამ თავიანთ საკუთრებას — ახლანდელ გასაჭირავებელ სახლებივით — სესხად ან ქირით აძლევდნენ მრეწველ კაპიტა-

* ბამბის ქიში. რ ე დ.

** ნართის ხარისხი. რ ე დ.

ლისტებს, რომლებიც თვითონაც ამ საგანთა ნაწილის მესაკუთრენი არიან. ასეთ პირობებში სასესხო კაპიტალის მიწოდება იდენტური იქნებოდა წარმოების ელემენტების მიწოდებისა მრეწველი კაპიტალისტებისთვის ან საქონელთა მიწოდებისა ვაჭრებისთვის. მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მოგების განაწილება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის პირველ რიგში სავსებით დამოკიდებული იქნებოდა სესხად აღებულ კაპიტალსა და იმ კაპიტალს შორის შეფარდებაზე, რომელიც მისი გამოყენების საკუთრებას შეადგენს.

ბ-ნი ვეგელინის თანახმად (B. A. 1857), სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება «დაუსაქმებელი კაპიტალის მასით» (252); იგი «მხოლოდ მაჩვენებელია დაუსაქმებელი კაპიტალის მასის, რომელიც გამოყენებას ეძებს» (271); შემდეგში დაუსაქმებელ კაპიტალს იგი უწოდებს floating capital-ს (485) და ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს «ინგლისის ბანკის ბანკნოტებს და სხვა სამიმოქცევო საშუალებებს ქვეყანაში; მაგალითად პროვინციული ბანკების ბანკნოტებს და ქვეყანაში არსებულ მონეტას... floating capital-ად მე ვგულისხმობ აგრეთვე ბანკების რეზერვებს» (502; 503); და ბოლოს იგი ამასვე მიაკუთვნებს აგრეთვე ოქროს ზოდებს (503). იგივე ვეგელინი ამტკიცებს, რომ ინგლისის ბანკს დიდი გავლენა აქვს სარგებლის განაკვეთზე იმ პერიოდებში, «როდესაც ჩვენ (ე. ი. ინგლისის ბანკს) დაუსაქმებელი კაპიტალის უუდიდესი ნაწილი ფაქტიურად ხელში გვაქვსო (1198), მაშინ როდესაც ბ-ნი ოვერსტონის ზემოაღნიშნული ჩვენების თანახმად, ინგლისის ბანკი «არ წარმოადგენს ადგილს კაპიტალისათვის». შემდეგ ვეგელინი ამბობს: «ჩემი აზრით, დისკონტის ნორმას არეგულირებს დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობა ქვეყანაში. დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობა წარმოდგენილია ინგლისის ბანკის რეზერვით, რომელიც ფაქტიურად ლითონური რეზერვია. ამრიგად, თუ ლითონური განძი მცირდება, ეს ამცირებს დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობას ქვეყანაში და, მაშასადამე, მაღლა სწევს მისი დარჩენილი ნაწილის ღირებულებას» (1258). ჯ. სტიუარტ მილი ამბობს (2 102): «რათა თავისი banking department-ი შეინარჩუნოს როგორც გადახდის უნარმქონე, ბანკი იძულებულია ყველა შესაძლებელი საშუალება იხმაროს იმისათვის, რომ ამ department-ის რეზერვი შეავსოს; ამიტომ როდესაც იგი ხედავს, რომ ოქროს მიქცევას აქვს ადგილი, მან უნდა უზრუნველყოს თავისთვის რეზერვი და ან უნდა შეამციროს თავისი სადისკონტო ოპერაციები, ანდა ფასიანი ქაღალდები გაყიდოს». — რეზერვი, რამდენადაც საქმე მხოლოდ banking department-ს შეეხება, რეზერვია მხოლოდ ანაბრებისთვის. ოვერსტონის თანახმად, banking depar-

tment-ი უნდა მოქმედებდეს უბრალოდ როგორც ბანკირი, ბანკნოტების «ავტომატური» გამოშვებისათვის ყურადღების მიუქცევლად. მაგრამ ნამდვილი შვეიწროების პერიოდებში ინგლისის ბანკი, banking department-ის რეზერვისაგან დამოუკიდებლად, რაც მხოლოდ და მხოლოდ ბანკნოტებისაგან შედგება, გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ლითონურ მარაგს, და უნდა ადევნებდეს კიდევ, თუ არ სურს გაკოტრდეს. იმიტომ რომ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ლითონური განძი ქრება, ქრება ბანკნოტების მარაგიც, და ეს გარემოება ბ-ნ ოვერს-ტონს, რომელმაც ეს ასე ბრძნულად მოაწყო თავისი 1844 წლის აქტით, ყველაზე უკეთ უნდა მოეხსენებოდეს.

თავი ოცდამეცამეტი

მიმოკცევის საშუალებანი საკრედიტო სისტემის ღროს.

«კრედიტი მიმოკცევის სისწრაფის დიდი რეგულატორია. აქედან გასაგებია, თუ რატომ ემთხვევა ჩვეულებრივ ფულის მწვავე ნაკლებობა ბაზარზე მიმოკცევის სფეროს გავსებულობას» («The Currency Question Reviewed», გვ. 65). ეს ორგვარად უნდა გავიგოთ. ერთი მხრივ, მიმოკცევის საშუალებათა ეკონომიის ყველა მეთოდი კრედიტზეა დამყარებული. მაგრამ მეორე მხრივ: ავიღოთ მაგალითისთვის 500-გირვანქა სტერლინგიანი ბანკნოტი. A დღეს ამ ბანკნოტებით ისტუმრებს B-ს თამასუქებს; B-ს იგი იმავე დღეს შეაქვს თავის ბანკირთან ანაბრად; ბანკირი იმავე დღეს მისი საშუალებით თამასუქს ანაღდებს C-თვის; C მით იხდის ვალს თავისი ბანკის მიმართ, ბანკი მას სესხად აძლევს billbroker-ს და სხვ. სისწრაფე, რომლითაც აქ ბანკნოტი მიმოკცევა, გამოიყენება რა ყიდვისა და გადახდისათვის, გაპირობებულია იმ სისწრაფით, რომლითაც იგი ისევ და ისევ უკან ბრუნდება ვინმესთან ანაბრის ფორმაში, რათა შემდეგ კვლავ გადავიდეს სხვის ხელში სესხის სახით. მიმოკცევის საშუალებათა უბრალო ეკონომია უაღრეს განვითარებას აღწევს Clearing House-ში [ანგარიშსწორების პალატაში] ვადადამდგარი თამასუქების უბრალო გაცვლაში და ფულის—როგორც გადახდის საშუალების—უბირატეს ფუნქციაში მართოდენ სხვაობის გასაწონასწორებლად. მაგრამ ამ თამასუქების არსებობა, თავის მხრივ, დამყარებულია კვლავ კრედიტზე, რასაც ერთმანეთს აღმოუჩენენ ხოლმე მრეწველები და ვაჭრები. თუ ამ კრედიტმა იკლო, იკლებს თამასუქების რიცხვი, განსაკუთრებით გრძელვადიანი თამასუქებისა, და, მაშასადამე, იკლებს გადასახდელთა გაწონასწორების ამ მეთოდის ქმედითობაც. მხოლოდ ორგვარი წესით შეიძლება განხორციელდეს ეს ეკონომია, რომელიც მდგომარეობს მიმოკცევიდან ფულის მოცილებაში და სავსებით დამყარებულია ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციაზე, რაც, თავის მხრივ, დამყარებულია კრედიტზე (ჩვენ აქ

მხედველობის გარეშე ვტოვებთ ამ გადასახდელთა კონცენტრაციის ტექნიკის მეტნაკლებ განვითარებას); ან საურთიერთო სავალო მოთხოვნანი, რომლებსაც თამასუქები და ჩეკები წარმოადგენენ, ერთმანეთს აწონასწორებენ ერთსა და იმავე ბანკირთან, რომელიც მხოლოდ გადასწერს მოთხოვნას ერთის ანგარიშიდან მეორის ანგარიშზე, ანდა სხვადასხვა ბანკირები ურთიერთ აწონასწორებენ მათ თავიანთ ანგარიშებში¹¹. 8 — 10 მილიონი თამასუქის კონცენტრაცია ერთი billbroker-ის ხელში, მაგალითად, ფირმის — ოვერენდ, გარნეი და კომპ-ის ხელში. ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო გადასახდელთა ასეთი გაწონასწორების ლოკალურად გაფართოებისათვის. ამ ეკონომიის საშუალებით დიდდება მიმოქცევის საშუალებათა ეფექტიანობა, ამდენად მისი ნაკლები რაოდენობაა საჭირო მარტოოდენ ბალანსის სალდირებისათვის. მეორე მხრივ, მიმოქცევის საშუალების სახით მოქმედი ფულის მოძრაობის სისწრაფე (რითაც აგრეთვე მისი ეკონომია ხდება) სავსებით დამოკიდებულია ყიდვა-გაყიდვის მდინარეებზე, აგრეთვე გადასახდელთა გადაჯავშულობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ერთიმეორის მიყოლებით სრულდება ფულის საშუალებით. მაგრამ კრედიტი ხელს უწყობს მიმოქცევის სისწრაფეს და ამით აღიღებს მას. ცალკეულ მონეტას შეუძლია, მაგალითად, მხოლოდ ხუთი გადაბრუნების განხორციელება და, მოქმედებს რა როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალება, საქმეში კრედიტის ჩაურევლად, იგი უფრო დიდხანს რჩება ყოველ ცალკეულ ხელში, თუ მისი თავდაპირველი მფლობელი *A* ყიდულობს *B*-სგან, *B* — *C*-სგან, *C* — *D*-სგან, *D* — *E*-სგან, *E* — *F*-სგან და, მაშასადამე, მონეტის გადასვლა ხელიდან ხელში ხდება მხოლოდ ნამდვილი ყიდვისა და გაყიდვის გზით, თუკი *B* იმ ფულს, რომელიც *A*-მ გადაუხადა, თავის ბანკირთან ათავსებს ანაბრის სახით და ბანკირი მას აძლევს *C*-ს, აღისკონტებს ამ უკანასკნელის თამასუქს, ხოლო *C* ყიდულობს *D*-სგან, *D*-ს ხელახ-

¹¹ საშუალო რიცხვი დღეებისა, რომელთა განმავლობაში ბანკოტი იმყოფებოდა მიმოქცევაში:

წლები	ბანკოტ. 5 გირვ. სტერ.	10 გირვ. სტერ.	20—100 გირვ. სტ.	200—500 გირვ. სტ.	1000 გირვ. სტერლ.
1792	1	236	209	31	22
1818	148	137	171	18	13
1846	79	71	34	12	8
1856	70	58	27	9	7

(ინგლისის ბანკის მოლარის, მარშალის, ცნობები «Report on Bank Acts»-ში, 1857, დანართი II, გვ. 300—301).

ლა შეაქვს ფული ანაბრად თავის ბანკირთან, უკანასკნელი მას სესხად აძლევს E-ს, რომელიც ყიდულობს F-სგან, — მაშინ აქ ფულის, როგორც უბრალო მიმოქცევის საშუალების (ყიდვის საშუალების), მოძრაობის სისწრაფე გაპირობებულია რამდენიმე საკრედიტო ოპერაციით: B ფულს ათავსებს ანაბრად ბანკირთან, უკანასკნელი თამასუქს ადისკონტებს C-სთვის, D-ს ანაბრად შეაქვს თავის ბანკირთან, ბანკირი თამასუქს ადისკონტებს E-სთვის, — მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ოთხი საკრედიტო ოპერაცია. ამ საკრედიტო ოპერაციების გარეშე ერთი და იგივე მონეტა ვერ შეასრულებდა მოცემული დროის განმავლობაში თანმიმდევრულად ხუთ ცალკეულ ყიდვას. იმის მეოხებით, რომ აღნიშნული მონეტა ხელიდან ხელში გადადიოდა — ანაბრის სახით და დისკონტის დროს — ნამდვილი ყიდვისა და გაყიდვის შუამავლობის გარეშე, ამის მეოხებით დაჩქარდა მისი მოძრაობა ნამდვილი ყიდვა-გაყიდვის აქტების მწკრივში.

ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოთ, რომ ერთი და იგივე ბანკნოტი შეიძლება ანაბარს შეადგენდეს სხვადასხვა ბანკირებთან. ასევე შეიძლება იგი სხვადასხვა ანაბარს შეადგენდეს ერთსა და იმავე ბანკირთან. ბანკირი ადისკონტებს B-ს თამასუქს A-ს მიერ ანაბრად შეტანილი ბანკნოტით, B მას აძლევს გადასახდელის სახით C-ს, C-ს იგივე ბანკნოტი ანაბრად შეაქვს იმავე ბანკირთან, რომელმაც იგი გამოუშვა.

ფულის მარტივი მიმოქცევის განხილვისას (წიგნი I, თავი III, 2) უკვე ნაჩვენები იყო, რომ ნამდვილად მიმოქცევადი ფულის მასა, თუ ვიგულისხმებთ, რომ მოცემულია მიმოქცევის სისწრაფე და გადახდათა ეკონომია, განისაზღვრება საქონელთა ფასებით და გარიგებათა რაოდენობით, იგივე კანონი ძალაშია ბანკნოტების მიმოქცევის დროს.

ქვემოთყვანილ ცხრილში აღნიშნულია თვითთული წლისთვის საშუალო წლიური რაოდენობა ინგლისის ბანკის ბანკნოტებისა, რამდენადაც ისინი საზოგადოების ხელში იმყოფებოდნენ, ნაჩვენებია სახელდობრ ჯამები 5 და 10-გირვანქიანი, 20 — 100-გირვანქიანი ბანკნოტების ჯამები და უმაღლესი ღირებულების: 200 — 1 000-გირვანქიანი ბანკნოტებისა; ასევე მოცემულია თვითთული რუბრიკის პროცენტული შეფარდება მიმოქცევადი ბანკნოტების ერთობლივი რაოდენ-

ნობის მიმართ. ჯამები ნაჩვენებია გირვ. სტერლინგებში ათასობით, — სამი უკანასკნელი ციფრი წაშლილია*.

წლები	ბანკოტები 5—10 გირვ. სტერლინგისა	პროცენტი	ბანკოტები 20—100 გ. სტერლინგისა	პროცენტი	ბანკოტები 200—1000 გ. სტერლინგისა	პროცენტი	სულ გირვ. სტერლინგისა
1844	9 263 გ. სტ.	45,7	5 735 გ. სტ.	28,3	5 253 გ. სტ.	26,0	20 241 გ. სტ.
1845	9 698 > >	46,9	6 082 > >	29,3	4 942 > >	23,8	20 722 > >
1846	9 918 > >	46,9	5 778 > >	28,5	4 590 > >	22,6	20 286 > >
1847	9 591 > >	50,1	5 498 > >	28,7	4 066 > >	21,2	19 155 > >
1848	8 732 > >	48,3	5 046 > >	27,9	4 307 > >	23,8	18 085 > >
1849	8 692 > >	47,2	5 234 > >	28,5	4 477 > >	24,3	18 403 > >
1850	9 164 > >	47,2	5 587 > >	28,8	4 646 > >	24,0	19 398 > >
1851	9 362 > >	48,1	5 554 > >	28,5	4 557 > >	23,4	19 473 > >
1852	9 839 > >	45,0	6 161 > >	28,2	5 856 > >	26,8	21 856 > >
1853	10 699 > >	47,3	6 393 > >	28,2	5 541 > >	24,5	22 653 > >
1854	10 565 > >	51,0	5 910 > >	28,5	4 234 > >	20,5	20 709 > >
1855	10 628 > >	53,6	5 706 > >	28,9	3 459 > <	17,5	19 793 > >
1856	10 680 > >	54,4	5 645 > >	23,7	3 323 > >	16,9	19 648 > >
1857	10 659 > >	54,7	5 567 > >	28,6	3 241 > >	16,7	19 467 > >

(B. A. 1858, გვ. XXVI). ამრიგად, მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების საერთო ჯამი 1844 წლიდან 1857 წლამდე აშკარად შემცირდა, თუმცა სავაჭრო ბრუნვა, როგორც იმპორტისა და ექსპორტის ციფრები გვიჩვენებს, ორჯერ და კიდევ მეტად გადიდდა. მცირეთანხიანი 5-გირვანქიანი და 10-გირვანქიანი ბანკოტების ჯამი გადიდდა, როგორც ცხრილიდან ჩანს, 9 263 000 გირვ. სტერლინგიდან 1844 წელს 10 659 000 გირვ. სტერლინგამდე 1857 წელს. და ეს მოხდა ოქროს მიმოქცევის გადიდების იმავდროულად, რაც სწორედ იმ დროს იყო ძლიერი. პირიქით, უფრო დიდთანხიან (200 — 1 000 გირვ. სტერლ.) ბანკოტების ჯამი დაეცა 5 856 000 გირვ. სტერლინგიდან 1852 წელში 3 241 000 გირვ. სტერლინგამდე 1857 წელს. მაშასადამე, შემცირდა 2½ მილიონ. გირვ. სტერლინგზე მეტით. ეს აიხსნება ამგვარად: «1854 წლის 8 ივნისს ლონდონის კერძო ბანკირებმა აქციონერულ ბანკებს მონაწილეობა მიაღებინეს Clearing House-ის დაწესებაში და მალე ამის შემ-

* ეს ცხრილი მოცემულია მარქსის მიერ აღნიშნული წყაროს ფოტოასლის მიხედვით. მასში ყველა აბსოლუტური რიცხვი როდია სწორი. რ. ჯ. დ.

დღე ანგარიშსწორების [clearing] საბოლოო ოპერაცია შემოღებულ იქნა ინგლისის ბანკში. ანგარიშების ყოველდღიური გასწორება ხდება ანგარიშებზე. გადაწერის გზით, რომლებიც სხვადასხვა ბანკებს აქვთ ინგლისის ბანკში. ამ სისტემის შემოღების გამო ზედმეტი შეიქმნა დიდ-თანხიანი ბანკოტები, რომლებსაც წინათ ბანკები ხმარობდნენ ურთიერთ ანგარიშსწორებისათვის». (B. A. 1858, გვ. V).

თუ რა მინიმუმზეა დასული ფულის ხმარება საბითუმო ვაჭრობაში, ეს იმ ცხრილიდან ჩანს, რომელიც დაბეჭდილია I წიგნში, თავი III, შენიშ. 103* და რომელიც საბანკო კომისიას წარუდგინა მორისონ, დილონ და კომპ-ის ფირმამ, ერთ-ერთმა უდიდესმა ლონდონის ფირმამ, რომელთანაც ცალობით მოვაჭრეს ყოველგვარი სახის საქონლის მთელი მარაგის შესყიდვა შეუძლია.

თანახმად ვ. ნიუმარჩის ჩვენებისა 1857 წლის საბანკო კომისიის წინაშე (№ 1741), მიმოქცევის საშუალებათა ეკონომიას ხელს უწყობდა კიდევ სხვა გარემოებანიც: ერთპენიანი საფოსტო ტაქსა, რკინიგზები, ტელეგრაფი, ერთი სიტყვით, მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება; ყველა ამის შემწეობით ინგლისს ამჟამად შეუძლია იმავე საბანკოტო მიმოქცევით ხუთჯერ და ექვსჯერ მეტი ბრუნვა შეასრულოს, ვიდრე უწინ. იმავე მიზეზებმა არსებითად შეუწყო ხელი 10 გირვანქაზე მეტთანხიანი ბანკოტების განდევნას მიმოქცევის სფეროდან. როგორც ჩანს, ეს მიიჩნია ნიუმარჩმა იმ ფაქტის ბუნებრივ ახსნად, რომ შოტლანდიასა და ირლანდიაში, სადაც ერთგირვანქიანი ბანკოტებიც არის მიმოქცევაში, ბანკოტების მიმოქცევა გაიზარდა თითქმის 31%-ით (1747). შეერთებულ სამეფოში მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების საერთო ჯამი, 1-გირვანქიანი ბანკოტების ჩათვლით, შეადგენს, მისი აზრით, 39 მილიონ გირვ. სტერლინგს (1749). ოქროს მიმოქცევის ჯამი უდრის 70 მილიონ გირვ. სტერლინგს (1750). 1834 წელს შოტლანდიაში მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების ჯამი შეადგენდა 3 120 000 გირვ. სტერლინგს, 1844 წელს — 3 020 000 გირვ. სტერლინგს, 1854 წელს — 4 050 000 გირვ. სტერლინგს (1752).

უკვე აქედან გამომდინარეობს, რომ საემისიო ბანკების თვითნებობაზე სრულიად არაა დამოკიდებული მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების რიცხვის გადიდება, სანამ ამ ბანკოტების გადაცემა ფულზე ყოველ მომენტში შესაძლებელია. (დაუხურდავებელ ქაღალდის ფულზე აქ საერთოდ არაა ლაპარაკი; დაუხურდავებელი ბანკოტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს მიმოქცევის საყოველთაო საშუალება,

* კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, 1954 წ., შენ. 103, გვ. 180. რ ე დ.
6. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III

როდესაც ისინი ფაქტიურად უზრუნველყოფილია სახელმწიფო კრედიტით, როგორც, მაგალითად, ამჟამად რუსეთში. ამგვარად ისინი ექვემდებარებიან კანონებს დაუხურდავებელი სახელმწიფო ქალაქის ფულის შესახებ. რომლებიც განხილული იყო ზემოთ (წიგნი I, თავი III, 2, c: მონეტა, ღირებულების ნიშანი). — ფ. ე.]

მიმოქცევილი ბანკოტების რაოდენობა თავის მოძრაობაში ექვემდებარება ბრუნვის მოთხოვნილებებს, და თანოთეული ზედმეტი ბანკოტი მაძინვე უკან უბრუნდება მის გამომშვებ დაწესებულებას. რადგან ინგლისში მხოლოდ ინგლისის ბანკის ბანკოტები მიმოიქცევა როგორც საყოველთაო კანონიერი გადახდის საშუალება, ამიტომ ჩვენ აქ შეგვიძლია უკუღებულვეყოთ პროვინციული ბანკების უმნიშვნელო და მხოლოდ ადგილობრივ მიმოქცევაში მყოფი ბანკოტები.

თავის ჩვენებაში 1858 წლის საბანკო კომისიის წინაშე ინგლისის ბანკის მმართველი ბ-ნი ნივი ამბობს: «№ 947. (კითხვა:) თქვენი სიტყვით რა ღონისძიებებსაც არ უნდა მიმართოთ, ბანკოტების რაოდენობა საზოგადოების ხელში იგივე რჩება, ე. ი. დაახლოებით 20 მილიონი გირვ. სტერლინგი? — ჩვეულებრივ დროს საზოგადოების მოთხოვნილება დასაკმაყოფილებლად, ეტყობა, საჭიროა დაახლოებით 20 მილიონი. წლის ზოგ დროს, რომელიც პერიოდულად მეორდება, ეს ჯამი მატულობს 1 ან 1½ მილიონით. თუ საზოგადოება მეტ ბანკოტებს საჭიროებს, მას, როგორც ვთქვი, ყოველთვის შეუძლია მიიღოს ისინი ინგლისის ბანკისაგან. — 948. თქვენ თქვით, რომ პანიკის დროს საზოგადოება ნებას არ გაძლევდათ შეგემციკრებიათ ბანკოტების რაოდენობა; ხომ არ ინებებთ დავვისაბუთოთ ეს? — პანიკის დროს საზოგადოებას, მე მგონია, სრული შესაძლებლობა აქვს მიიღოს ბანკოტები; და, რასაკვირველია, ვიდრე ბანკს ვალდებულება აკისრია, საზოგადოებას შეუძლია ამ ვალდებულების საფუძველზე ბანკოტები მიიღოს ბანკიდან. — 949. ამრიგად, თითქოს ყოველ მომენტში საჭიროა დაახლოებით 20 მილიონი გირვ. სტერლინგის ბანკოტები ინგლისის ბანკისა? — დიახ, 20 მილიონის ბანკოტები საზოგადოების ხელში; ეს ჯამი იცვლება. ცალკეულ შემთხვევებში იგი უდრის 18½, 19, 20 მილიონს და სხვ.; მაგრამ საშუალოდ შეგიძლიათ თქვათ: 19 — 20 მილიონს».

თომას ტუკის ჩვენება ლორდათა კომისიის წინაშე Commercial Distress-ის [ვაჭრობის კრიზისის] შესახებ (C. D. 1848/57); № 3094: «ბანკს არ ძალუძს თავისი სურვილისამებრ გააღიღოს ბანკოტების რაოდენობა საზოგადოების ხელში; მას შეუძლია შეამციროს ბანკოტების რაოდენობა საზოგადოების ხელში, მაგრამ — მარტოოდენ ერთგვარი ფრიალ ძალდატანებითი ოპერაციის საშუალებით».

ჯ. კ. რაიტი, ნოტინგამელი ბანკირი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მან დაწვრილებით განმარტა, რომ პროვინციულ ბანკებს არასოდეს არ ძალუძთ ბანკნოტების იმაზე მეტი. რაოდენობა გააჩერონ მიმოქცევაში, რაც ესაჭიროება და სურს საზოგადოებას, ინგლისის ბანკის ბანკნოტების შესახებ ამბობს (C. D. 1848/57 № 2844: «მე არ ვიცი არავითარი ზღუდე» (ბანკნოტების გამოშვებისა) «ინგლისის ბანკისათვის, მაგრამ მიმოქცევის ყოველი ნამეტი გადაიქცევა ანაბრად და, ამგვარად სხვა ფორმას მიიღებს».

იგივე ითქმის შოტლანდიაზეც. სადაც თითქმის მხოლოდ ქალაქის ფული მიმოიქცევა, რადგან იქ, როგორც ირლანდიაში, ნებადართულია ერთგირვანქიანი ბანკნოტები და «the scotch hate gold» [«შოტლანდიელს სძულს ოქროს». ერთი შოტლანდიური ბანკის დირექტორი კენედი აცხადებს, რომ ბანკებს თავიანთი ბანკნოტების მიმოქცევის შემცირებაც კი არ ძალუძთ, და იმ აზრისაა, რომ, ვიდრე საშინაო საიდუმბოცემო გარიგებანი მხოლოდ ბანკნოტების ან ოქროს საშუალებით შეიძლება განხორციელდეს, ბანკირებმა იმდენი მიმოქცევის საშუალება უნდა მიაწოდონ, რამდენსაც ეს გარიგებანი საჭიროებს, — მათ მოანაბრეთა მოთხოვნის საფუძველზე მოხდება ეს თუ როგორმე სხვაგვარად... შოტლანდიის ბანკებს შეუძლიათ შეზღუდონ თავიანთი ოპერაციები, მაგრამ მათ არ ძალუძთ ბანკნოტების გამოშვებას კონტროლი გაუწიონ» (იქვე, № 3446 — 48). ასეთსავე აზრს გამოთქვამს ანდერსონი, Union Bank of Schotland-ის დირექტორი (იქვე, № 3578). «ხელს ზომ არ უშლის ბანკნოტების ურთიერთგაცვლის სისტემა [შოტლანდიის ბანკებს შორის] «ზომიგადაჭარბებულ ბანკნოტების გამოშვებას ცალკეული ბანკების მხრივ? — რა თქმა უნდა; მაგრამ ჩვენ უფრო ნამდვილი საშუალება გვაქვს, ვიდრე ბანკნოტების გაცვლა» რომელსაც სინამდვილეში არავითარი დამოკიდებულება არა აქვს აღნიშნულ მიზანთან, მაგრამ უზრუნველყოფს ყოველი ცალკეული ბანკის ბანკნოტების მიმოქცევას მთელ შოტლანდიაში, «და ესაა შოტლანდიაში საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეულება ბანკში ანგარიშის ქონებისა; ყოველ ადამიანს, რომელსაც რაიმე ფული მოეპოვება, აქვს აგრეთვე რომელსამე ბანკში ანგარიში და შეაქვს იქ ყოველდღე ყველა ის ფული, რომელიც თვით მას ამ მომენტში არ ესაჭიროება, ასე რომ ყოველი საქმიანობის დღის დასასრულს მთელი ფული ბანკშია, იმის გამოკლებით, რაც ჯიბეში მოეპოვება თვითთულს».

ასევეა ირლანდიაშიც; იხ. ირლანდიის ბანკის მმართველის მაკდონელის და ირლანდიის პროვინციული ბანკის დირექტორის მურეის ჩვენება იმავე საპარლამენტო კომისიის წინაშე.

ბანკნოტების მიმოქცევა, რომელიც დამოკიდებული არ არის ინგლისის ბანკის სურვილზე, ასევე დამოუკიდებელია ბანკის საცავებში ოქროს მარაგის მდგომარეობისაგან, რომელიც ამ ბანკნოტების დახურდავებას უზრუნველყოფს. «1848 წლის 18 სექტემბერს მიმოქცევაში იყო ინგლისის ბანკის ბანკნოტები 20 900 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ხოლო ლითონური მარაგი უდრიდა 16 273 000 გირვ. სტერლინგს; 1847 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების თანხა შეადგენდა 20 815 000 გირვ. სტერლინგს, ხოლო ლითონური მარაგი — 10 246 000 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, 6 მილიონი გირვ. სტერლ. ძვირფასი ლითონის გაზიდვის მიუხედავად, ბანკნოტების მიმოქცევა სრულიადაც არ შეკეცილა» (J. G. Kinnear: «The Crisis and the Currency, London 1847, გვ. 5). მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მართალია მხოლოდ ინგლისის დღევანდელ პირობებში და იქაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობას არ დაუწესებია ბანკნოტების გამოშვებისა და ლითონის მარაგის სხვაგვარი შეფარდება.

მაშასადამე, მიმოქცევაში მყოფი ფულის — ბანკნოტების და ოქროს — რაოდენობაზე გავლენას ახდენს მხოლოდ თვით საქმეთა მოთხოვნილება. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პერიოდული რყევა, რომელიც მეორდება ყოველ წელიწადს, როგორც არ უნდა იყოს საქმის საერთო მდგომარეობა, ასე რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში «განსაზღვრულ თვეში მიმოქცევა მაღალ დონეზეა, მეორე თვეში დაბალ დონეზეა, მესამე განსაზღვრულ თვეში საშუალო დონეზე დგას» (ნიუმარჩი, ვ. ა., 1857, № 1650).

ასე, ყოველ წელს აგვისტოში რამდენიმე მილიონი, მეტწილად ოქროთი, გაიტანება ინგლისის ბანკიდან საშინაო მიმოქცევაში; ეს ფული ემსახურება მოსავლის ხარჯების გადახდას; რადგან აქ უმთავრესად ლაპარაკია ხელფასის გაცემაზე, ამიტომ ინგლისში ბანკნოტები ამ შემთხვევაში ნაკლებ გამოსაყენებელია. წლის გასვლამდე ეს ფული ისევ უკან ბრუნდება ბანკში. შოტლანდიაში სოვერენების ნაცვლად თითქმის მხოლოდ ერთგირვანქიანი ბანკნოტებია; ამიტომ აქ სათანადო შემთხვევებში ბანკნოტების მიმოქცევა ფართოვდება 3 — 4 მილიონით, სახელდობრ ორჯერ წელიწადში, — მაისსა და ნოემბერში; 14 დღის შემდეგ იწყება უკუმოდინება, და ერთი თვის განმავლობაში იგი თითქმის დასრულებულია (ანდერსონი, იქვე, № 3595 — 3600).

ინგლისის ბანკის ბანკნოტების მიმოქცევა, გარდა ამისა, წელიწადში ოთხჯერ განიცდის წარმავალ რყევას იმასთან დაკავშირებით, რომ წლის თვითეულ კვარტალში ხდება «დივიდენდების», ე. ი. სახელმწიფო ვა-

ლის სარგებლის გადახდა, რის გამოც ბანკნოტები ჯერ გამოიტანება მიმოქცევიდან და შემდეგ ისევ გადაისროლება საზოგადოებაში; მაგრამ ძალიან მალე ეს ბანკნოტები ისევ უკუმოედინება. ვეგელინი (B. A. 1857, № 38) 2½ მილიონით განსაზღვრავს ამით გამოწვეულ რყევას ბანკნოტების მიმოქცევაში. პირიქით, ბ-ნი ჩემპენი ცნობილი ფირმის: ოვერენდ, გარნი და კომ-ის წარმომადგენელი, ამით წარმომდგარ შერყევას ფულის ბაზარზე ბევრად უფრო დიდი თანხით ანგარიშობს. «უკეთუ თქვენ გამოგაქვთ მიმოქცევიდან გადახახადების სახით 6 ან 7 მილიონი, რათა იმით დივიდენდები გადაიხადოთ, — უნდა არსებობდეს ვინმე, რომელიც ამ თანხას იძლევა ამ პერიოდში» (B. A. 1857, № 5196).

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივია ის რყევა მიმოქცევის საშუალებათა ოდენობაში, რომელიც სამრეწველო ციკლის სხვადასხვა ფაზას შეესაბამება. მოვეუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ იმავე ფირმის მეორე associé [მონაწილე] ლირსეული კვაკერი სემუელ გარნი (C. D. 1848/57, № 2645): «ოქტომბრის ბოლოს (1847 წ.) საზოგადოების ხელში იყო 20 800 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტები. იმ დროს ძალიან ძნელი იყო ბანკნოტების მიღება ფულის ბაზარზე. ამის მიზეზი იყო საყოველთაო შიში, რომ, 1844 წლის საბანკო აქტის შეზღუდვის გამო, შეუძლებელი გახდებოდა ბანკნოტების საკმაო რაოდენობით მიღება. ამჟამად { 1848 წლის მარტი } საზოგადოების ხელში იყო 17 700 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტები, მაგრამ რადგან ახლა ადგილი არა აქვს კომერციულ პანიკას, ამიტომ ეს თანხა ბევრად მეტია იმაზე, რაც საჭიროა. ლონდონში არაა არც ერთი ბანკირი ან ფულით მოვაჭრე, რომელსაც მეტი ბანკნოტები არ ჰქონდეს, ვიდრე მას ესაჭიროება ნამდვილად. — 2650. ბანკნოტების რაოდენობა... იმ ბანკნოტების გამოკლებით, რომლებიც ინგლისის ბანკშია შენახული, სრულიად არასაკმარისი მაჩვენებელია მიმოქცევის აქტიური მდგომარეობისა, თუკი მასთან ერთად მხედველობაში არაა მიღებული... ვაჭრობის სფეროს და კრედიტის მდგომარეობა. — 2651. თუ ამჟამად იგრძნობა, რომ მიმოქცევის არსებული მოცულობის პირობებში საზოგადოების ხელში ჰარბად მოიპოვება ბანკნოტები, ეს აიხსნება მეტწილად დიდი შეფერხების ახლანდელი მდგომარეობით. მაღალი ფასების არსებობისას და საქმეთა გაცხოველებისას იგივე 17 700 000 გირვ. სტერლინგი ჩვენში ფულადი სახსრების არასაკმარისობის ვრძნობას გამოიწვევდა».

{სანამ საქმეთა მდგომარეობა ისეთია, რომ გაღებული ავანსების უკუმოდინება რეგულარულად ხდება, და, მამასადავ, კრედიტი შეურყეველი რჩება, მიმოქცევის გაფართოება და შეკუმშვა რეკულირდება მარტოოდენ მრეწველთა და ვაჭართა მოთხოვნილებით. რადგან ოქრო,

ყოველ შემთხვევაში ინგლისში, მხედველობაში არაა მისაღები საბითუმო ვაჭრობისთვის და რადგან ოქროს მიმოქცევა—თუ მხედველობის გარეშე ვაჭროვებთ სეზონურ რყევას — შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დაახლოებით მუდმივი სიდიდე მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ ინგლისის ბანკის ბანკნოტების მიმოქცევა იძლევა ამ ცვლილებათა საკმაოდ სწორ მასშტაბს. სიწყნარის პერიოდში კრიზისის შემდეგ მიმოქცევის მოცულობა მცირეა; მოთხოვნის ახალ გაცხოველებასთან ერთად ძლიერდება აგრეთვე მიმოქცევის საშუალებათა მოთხოვნილება, და იგი იზრდება აყვავების ზრდასთან ერთად; მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა უმაღლეს წერტილს აღწევს წარმოების ზომავადაჭარბებული დაძაბვისა და ზომავადაჭარბებული სპეკულაციის პერიოდში, — მაშინ იფეთქებს კრიზისი და ხელად ქრება ბაზრიდან ჯერ კიდევ წინა დღით ესოდენ უხვად არსებული ბანკნოტები, და მათთან ერთად ქრებიან თამასუქთა დისკონტერები, სესხის გამცემნი ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, საქონელთა მყიდველები. ინგლისის ბანკისგან თხოულობენ შველას, მაგრამ მისი ძალღონეც მალე იღევა, 1844 წლის საბანკო აქტი მას აიძულებს თავისი ბანკნოტების მიმოქცევა შეზღუდოს სწორედ იმ მომენტში, როდესაც ყველანი ბანკნოტებს მოითხოვენ, როდესაც საქონელმფლობელთ არ ძალუძთ გაყიდვა და, მიუხედავად ამისა, გადასახდელი კი უნდა გაისტუმრონ და ამიტომ მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლის გასაღებად, ოღონდ კი ბანკნოტები იშოვონ. «ბანიკის დროს. — ამბობს ზემოთ მოხსენიებული ბანკირი რაიტი (იქვე, № 2930), — ქვეყანას ორჯერ უფრო ფართო მიმოქცევა ესაჭიროება, ვიდრე ჩვეულებრივ დროს, იმიტომ რომ ბანკირები და სხვა პირნი მარაგად ინახავენ მიმოქცევის საშუალებებს».

როგორც კი კრიზისი იფეთქებს, საქმე მხოლოდ გადახდის საშუალებებისათვის ზრუნვას შეეხება. მაგრამ რადგან ამ გადახდის საშუალებათა შემოსულობის მხრივ თვითეული დამოკიდებულება სხვებზე, და არაეინ არ იცის, შეძლებენ თუ არა სხვები დანიშნულ ვადაზე გადახდას, ამიტომ იწყება ბაზარზე არსებული გადახდის საშუალებების, ე. ი. ბანკნოტების საყოველთაო ძებნა. თვითეული ცდილობს შემოინახოს ყველა ბანკნოტი, რომლის შოვნასაც კი მოახერხებს, და ამგვარად ბანკნოტები ქრება მიმოქცევიდან სწორედ იმ მომენტში, როცა მათი ყველაზე უფრო დიდი საჭიროებაა. 1847 წლის ოქტომბრისათვის სემუელ გარნი (C. D. 1848/57, № 1116) ასეთი ჩაკეტილი ბანკნოტების რაო-

დენობას პანიკის მომენტში ანგარიშობს 4 — 5 მილიონი გირვ. სტერლინგის რაოდენობით. — ფ. ე. }

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გარნიის ამხანაგის, ზემოთ მოხსენიებული ჩეპმენის, ჩვენება 1857 წლის საბანკო კომისიის წინაშე. მე გაღმოვცემ მის მთავარ შინაარსს ჩვენს საგანთან დაკავშირებით, თუმცა მასში ზოგი ისეთი პუნქტებიცაა განხილული, რომლებსაც ჩვენ მხოლოდ შემდგომ გამოვიკვლევთ.

ბ-ნ ჩეპმენის ჩვენება ასეთია:

«4963. მე სრულიად უყოყმანოდ ვაცხადებ, რომ არ მიმაჩნია წესიერად ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფულის ბაზარი იმყოფება რომელიმე ინდივიდუალური კაპიტალისტის ხელში (როგორც მრავლად მოიპოვება ლონდონში), რომელსაც შესაძლებლობა აქვს გამოიწვიოს ფულის კოლოსალური ნაკლებობა და შეფერხებული მდგომარეობა სწორედ მაშინ, როცა მიმოქცევა ძალიან დაბალ დონეზეა... ეს შესაძლებელია... მოიპოვება არა ერთი და ორი კაპიტალისტი, რომელსაც შეუძლია გამოიტანოს მიმოქცევის სფეროდან 1 ან 2 მილიონი გირვ. სტერლინგი ბანკნოტებით, თუ ეს მისთვის ხელსაყრელია» 4965*.

მსხვილ სპეკულანტს შეუძლია გაყიდოს 1 ან 2 მილიონის კონსოლები და ამგვარად ფული გაიტანოს ბაზრიდან. ამის მსგავს რამეს ადგილი ჰქონდა ახლახან ფაქტიურად, რის შედეგი იყო «უაღრესად მწვავე შევიწროება».

4967. ამ შემთხვევაში ბანკნოტები, რასაკვირველია, არამწარმოებლურია. «მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რაკი აქით აღწევენ დიდ მიზანს; მისი დიდი მიზანია ფონდების ფასების დატემა, ფულის ნაკლებობის შექმნა, და მას აქვს სრული შესაძლებლობა — მიაღწიოს ამას». აი მაგალითი: ერთხელ საფონდო ბირჟაზე თავი იჩინა ფულის ძლიერმა მოთხოვნამ; მიზეზი არავინ იცოდა; ერთმა პირმა მიმართა ჩეპმენს თხოვნით, 50 000 გირვ. სტერლინგი 7%-ად მასესხეო. ჩეპმენი გაოცდა, რადგან სარგებლის განაკვეთი, რასაც იგი იღებდა იმ დროს, გაცილებით უფრო დაბალი იყო; იგი დათანხმდა. დაუყოვნებლივ ამის შემდეგ იგივე პირი ხელახლა გამოცხადდა, აილო კიდევ 50 000 გირვ. სტერლინგი 7½%-ად, შემდგომ 100 000 გირვ. სტერლინგი 8%-ად და განაცხადა სურვილი კიდევ უფრო დიდი თანხის სესხად ალებისა 8½%-ად. მაგრამ მაშინ თვითონ ჩეპმენიც შიშმა მოიცვა. შემდგომ აღმოჩნდა, რომ უცებ ფულის თვალსაჩინო თანხა გამოეცალა ბაზარს. მაგრამ, — ამბობს ჩეპმენი, — «მე მაინც სესხად გავეცი მნიშვნელოვანი თანხა 8%-ად; ამაზე შორს წასვლისა შემემინდა; არ ვიცოდი, რა გამოვიდოდა აქედან».

* 1894 წ. გამოცემაში — № 4995. რ ე დ.

თუმცა 19-იდან 20 მილიონ გირვ. სტერლინგამდე ბანკნოტები მეტ-ნაკლებ მუდამ იპყოფება თითქოს საზოგადოების ხელში, მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუდამ და მნიშვნელოვნად იცვლება შეფარდება ბანკნოტების იმ ნაწილსა, რომელიც ნამდვილად მიმოიქცევა, და მათს იმ ნაწილს შორის, რომელიც რეზერვის სახით უძრავად დევს ბანკებში. თუ ეს რეზერვი დიდია და, მაშასადამე, ნამდვილი მიმოქცევის დონე დაბალია, მაშინ, ფულის ბაზრის თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავს, რომ მიმოქცევის სფერო გავსებულია (the circulation is full, money is plentiful [მიმოქცევა გავსებულია, ფული უხვადაა]); თუ რეზერვი მცირეა, მაშასადამე, ნამდვილი მიმოქცევის დონე მაღალია, — ფულის ბაზარი ამას უწოდებს დაბალს (the circulation is low, money is scarce [მიმოქცევა დაბალია, ფული ცოტაა]); სინამდვილეში ნაკლები რაოდენობისაა ის ნაწილი, რომელიც დაუბანდებელ სასესხო კაპიტალს წარმოადგენს. მიმოქცევის ნამდვილს, სამრეწველო ციკლის ფაზებისგან დამოუკიდებელ გაფართოებას ან შეკუმშვას, — რაც საზოგადოებისათვის საჭირო საერთო თანხის შეუტყველად ხორციელდება, ადგილი აქვს მხოლოდ წმინდა ტექნიკური მიზეზების გამო, მაგალითად, გადასახადების გადახდის ან სახელმწიფო ვალის სარგებლის დივიდენდის ვადებში. როდესაც გადასახადებს იხდიან, ბანკნოტები და ოქრო ინგლისის ბანკში ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით მოედინება, ფაქტიურად ჰკვეცავს მიმოქცევას, ამ უკანასკნელის მოთხოვნილებისაგან დამოუკიდებლად. პირიქით ხდება, როცა სახელმწიფო ვალის დივიდენდს იხდიან. პირველ შემთხვევაში სესხს იღებენ ბანკში მიმოქცევის საშუალების მოსაპოვებლად. მეორე შემთხვევაში სარგებლის განაკვეთი კერძო ბანკებში დაბლა იწევს მათი რეზერვების დროებითი გადიდების გამო. ამას არავითარი კავშირი არა აქვს მიმოქცევის საშუალებათა აბსოლუტურ მასასთან; საქმე შეეხება მხოლოდ საბანკო ფირმას, რომელიც ამ ბრუნვის საშუალებებს უშვებს მიმოქცევაში; მისთვის ეს პროცესი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის გასხვისებას, და იგი, მაშასადამე, ამ ოპერაციით მიღებულ მოგებას ჯიბეში იღებს.

ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს მიმოქცევაში მყოფი საშუალების დროებით გადანაცვლებას, და ინგლისის ბანკი ამას აწონასწორებს იმით, რომ, როდესაც კვარტალური გადასახადების და აგრეთვე კვარტალური დივიდენდის გადახდის ვადა დგება, მოკლევადიან სესხებს გასცემს დაბალი სარგებლით; ასე ზედმეტად გაცემულმა ბანკნოტებმა ჯერ უნდა შეავსონ ის ხარვეზი, რომელიც გადასახადების გადახდის გამო წარმოადგება, ხოლო ამის შემდეგ აღნიშნულ სესხთა უკუგადახდა

უკანვე უბრუნებს ბანკს ბანკნოტების იმ ნაჭარბს, რომელიც დივიდენდების გადახდის გამო არის საზოგადოებაში გადასროლილი.

მეორე შემთხვევაში მიმოქცევის დაბალი ან მაღალი დონე მოასწავებს ყოველთვის მიმოქცევის საშუალებათა იმავე მასის მარტოოდენ სხვაგვარ განაწილებას აქტიურ მიმოქცევად და ანაბრებად, ე. ი. სესხის იარაღად.

მეორე მხრივ, თუ, მაგალითად, ინგლისის ბანკში ოქროს მოდინების გამო დიდდება სათანადოდ გამოშვებული ბანკნოტების რიცხვი, სამაგიეროდ ეს ბანკნოტები ხელს უწყობს დისკონტირებას ბანკის გარეშე და უკან მოედინება სესხის გადახდის გზით, ასე რომ მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების აბსოლუტური მასა მხოლოდ მოკლე ხნით დიდდება.

თუ მიმოქცევა გავსებულია საქმეების გაფართოების გამო (რაც შედარებით დაბალი ფასების არსებობის დროსაც შესაძლებელია), მაშინ სარგებლის განაკვეთი შეიძლება შედარებით მაღალ დონეზე იდგეს სასესხო კაპიტალის მოთხოვნის გამო, რაც გამოწვეულია მზარდი მოგებით და გამრავლებული ახალი კაპიტალდაბანდებით. თუ მიმოქცევის მოცულობა მცირეა საქმეების შეკვეცის გამო ან კრედიტის დიდი დენადობის გამო, — სარგებლის განაკვეთი შეიძლება დაბალ დონეზე იდგეს მაღალი ფასების არსებობის დროსაც (იხ. ჰიობარდი).

მიმოქცევის აბსოლუტური ოდენობა სარგებლის განაკვეთს მხოლოდ შევიწროების პერიოდებში განსაზღვრავს. მიმოქცევის გაფართოების მოთხოვნა გამოსახავს აქ ან მხოლოდ განძის შექმნის საშუალებათა მოთხოვნას (ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ შემცირებულ სისწრაფეს, რომლითაც ფული მიმოქცევა და რომლითაც ერთა და იგივე ფულადი ერთეული [Geldstück] ისევ და ისევ სასესხო კაპიტალად გადაიქცევა), კრედიტის უქონლობის შედეგად, როგორც ეს იყო 1847 წელს, როცა საბანკო აქტის შეჩერებამ არ გამოიწვია მიმოქცევის გაფართოება, მაგრამ საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ განძად დაგროვილი ბანკნოტები დღის სინათლეზე გამოეტანათ და მიმოქცევაში გადაესროლათ. ანდა, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება საჭირო გახდეს მიმოქცევის საშუალებათა მართლა მეტი რაოდენობა, როგორც ეს იყო 1857 წელს, როცა საბანკო აქტის შეჩერების შემდეგ მიმოქცევა რამდენიმე ხნით მართლა გაიზარდა.

სხვა შემთხვევებში მიმოქცევის აბსოლუტური მასა არ ახდენს გავლენას სარგებლის განაკვეთზე, რადგან იგი, — თუ ვიგულისხმებთ, რომ მიმოქცევის ეკონომია და სისწრაფე უცვლელია, — ჯერ ერთი, განისაზღვრება საქონელთა ფასებით, ვარიებათა რაოდენობით (ამასთან ჩვეულებრივ ერთი მომენტი მეორის მოქმედებას ძალას უკარგავს)

და, ბოლოს, კრედიტის მდგომარეობით, მაშინ როდესაც იგი, პირიქით, სრულიადაც არ განსაზღვრავს ამ უკანასკნელს, და რადგან, მეორე, საქონელაა ფასები და სარგებელი არავითარ აუცილებელ კავშირში არ იმყოფება ერთიმეორესთან.

Bank Restriction Act-ის მოქმედების დროს (1797—1820 წწ.) ადგილი ჰქონდა currency-ს [მიმოქცევის საშუალებათა] სიჭარბეს, სარგებლის განაკვეთი ყოველთვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე იმ დროს, როდესაც ბანკოტების დახურდავება აღდგენილ იქნა. შემდგომ, ბანკოტების გაზოშვების შეზღუდვასა და სათამაშუქო კურსის აწვევასთან ერთად, სარგებლის განაკვეთი სწრაფად დაეცა. 1822, 1823, 1832 წლებში საერთო მიმოქცევა დაბალ დონეზე იდგა, სარგებლის განაკვეთიც დაბალი იყო. 1824, 1825, 1826 წლებში მიმოქცევა მაღალ დონეზე იდგა და სარგებლის განაკვეთმა მაღლა აიწია. 1830 წლის ზაფხულში მიმოქცევა მაღალ დონეზე იყო. სარგებლის განაკვეთი დაბალი იყო. ოქროს ახალი საბადოების აღმოჩენის შემდეგ ფულის მიმოქცევა გაფართოვდა მთელ ევროპაში, სარგებლის განაკვეთმა მაღლა აიწია. მასმასაღამე, სარგებლის განაკვეთი არაა დამოკიდებული მიმოქცევადი ფულის რაოდენობაზე.

განსხვავება მიმოქცევის საშუალებათა გამოშვებასა და კაპიტალის სესხად ვაცემას შორის საუკეთესოდ მქდავნიდება ნამდვილი კვლავწარმოების პროცესში. ამ პროცესის ანალიზის დროს (წიგნი II, განყოფილება III) ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაიცვლება ერთიმეორეზე წარმოების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები. მაგალითად, ცვალებადი კაპიტალი ნიეთობრივად შედგება მუშების საარსებო საშუალებებისაგან. წარმოადგენს მათი საკუთარი პროდუქტის ნაწილს, მაგრამ იგი მათ ნაწილნაწილ ეძლევა ფულის სახით. ეს ფული კაპიტალისტმა უნდა ავანსად გაიღოს, და საკრედიტო საქმის ორგანიზაციაზეა დიდად დამოკიდებული, შეძლებს თუ არა იგი შემდგომ კვირაში ახალი ცვალებადი კაპიტალის გადახდას იმავე ფულით, რომლითაც იგი წინა კვირაში იხდიდა. იგივე ითქმის გაცვლის აქტებზეც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებს შორის, მაგალითად, მოხმარების საშუალებებსა და მოხმარების საშუალებათა წარმოების საშუალებებს შორის. მათი მიმოქცევისათვის საჭირო ფული, როგორც ჩვენ დავინახეთ, ავანსად უნდა ვაცეს ერთმა ან ორივე გამცველმა. ამის შემდეგ ფული რჩება მიმოქცევაში, მაგრამ გაცვლის დასრულების შემდეგ ყოველთვის ისევ უკან უბრუნდება იმას, ვინც იგი ავანსად გაიღო, ვინაიდან ეს ფული ავანსებული იყო მის მიერ ნამდვილად დასაქმებულ სამრეწველო კაპიტალზე ზედმეტად (იხ. წიგნი II, თავი XX). განვითარებული კრედიტის დროს, როცა

ფულის კონცენტრაცია ხდება ბანკების ხელში, ეს უკანასკნელნი, ყოველ შემთხვევაში ნომინალურად, ფულის ავანსად გამღებ მხარეს წარმოადგენენ. ასეთი ავანსად გაღება მხოლოდ იმ ფულს შეეხება, რომელიც მიმოქცევაში იმყოფება. ეს მიმოქცევის საშუალებათა ავანსად გაღებაა და არა კაპიტალებისა, რომელთა მიმოქცევას ისინი ახორციელებენ.

ჩეპმენი: «5062. შეიძლება დადგეს ისეთი პერიოდი, როცა ბანკოტები დიდი რაოდენობით მოიპოვება საზოგადოების ხელში და, მიუხედავად ამისა, მათი შოვნა მაინც შეუძლებელია»- ფული მოიპოვება პანიკის დროსაც; მაგრამ მაშინ თვითეული ერიდება გადააქციოს იგი სასესხო კაპიტალად, გასასესხებელ ფულად: თვითეული იჭერს მას თავის ხელში იმ შემთხვევისთვის, როცა მას ნამდვილად დაჭირდება გადახდა.

«5099. გიგზავნიან თუ არა თქვენ და სხვა ლონდონის ფირმებს სასოფლო ოლქების ბანკები თავიანთ დაუსაქმებელ ნაჭარბს? — დიახ. — 5100. გაკეთებინებენ თუ არა თქვენ ლანკაშირისა და იორკშირის საფაბრიკო ოლქები თამასუქების დისკონტირებას თავიანთო სამრეწველო მიზნებისათვის? — დიახ. — 5101. ასე რომ ამ გზით ქვეყნის ერთი ნაწილის ჭარბი ფული გამოიყენება ქვეყნის მეორე ნაწილის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? — ჭეშმარიტად».

ჩეპმენი ამტკიცებს, რომ ბანკების ჩვეულება ჭარბი ფულადი კაპიტალის გამოყენებისა კონსოლების და ხაზინის ვალდებულებათა საყიდლად იშვიათად ხორციელდება უკანასკნელ დროს, — მას შემდეგ, რაც ჩვეულებად იქცა ამ ფულის სესხად გაცემა at call (დღითი-დღე, ყოველ მომენტში უკუმოთხოვნის უფლებით). თვითონ იგი თვლის, რომ ამგვარი ქაღალდების ყიდვა თავისი საწარმოსთვის უაღრესად მიზანშეუწონელია. ამიტომ იგი ფულს ათავსებს საიმედო თამასუქებში, რომელთა ნაწილს ყოველდღე უდგება ვადა, ასე რომ მან ყოველთვის იცის, რამდენი თავისუფალი ფული უნდა ივარაუდოს ყოველდღე-5001 — 5005 }.

ექსპორტის გადიდებაც კი — ცოტად თუ ბევრად ყოველ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყანაში, რომელიც კრედიტს იძლევა, — თავს იჩენს როგორც მზარდი მოთხოვნა შინაგან ფულის ბაზარზე, მაგრამ ესა მოთხოვნა საგრძნობი ხდება მხოლოდ შევიწროების პერიოდში. იმ პერიოდებში, როდესაც ექსპორტი იზრდება, ბრიტანეთის მეფაბრიკენი-საკონსიგნაციოდ გაგზავნილი ინგლისური ფაბრიკატების საფუძველზე ჩვეულებრივ გამოწერენ ხოლმე გრძელვადიან თამასუქებს ექსპორტერ-ვაჭრების სახელზე (5126). «5127. ხომ არ ხდება ხშირად შეთანხმება იმის შესახებ, რომ დროგამოშვებით უნდა განახლდეს ამგვარი თამასუ-

ქები? { ჩეპენი. } კაპას ისინი ჩვენგან მალავენ; ჩვენ არც ერთ ამგვარ თამასუქს არ მივიღებდით... რასაკვირველია, ეს შეიძლება მოხდეს, მაგრამ მე ამაზე გარკვევით არაფრის თქმა არ შემიძლია». { უტოდველი ჩეპენი. } — «5129. როდესაც ადგილი აქვს ექსპორტის მნიშვნელოვან გადიდებას, როგორც, მაგალითად, ამჟამად, როცა მარტო წარსული წლის განმავლობაში ექსპორტი 20 მილიონი გირვ. სტერლინგით გადიდდა, განა ეს თავისთავად არ იწვევს კაპიტალის გადიდებულ მოთხოვნას იმ თამასუქების დისკონტირებისათვის, რომელნიც ამ ექსპორტს წარმოადგენენ? — უუკველად. — 5130. ის გარემოება, რომ ინგლისი ჩვეულებრივად კრედიტს აძლევს უცხოეთს თავისი ექსპორტის მთელი თანხის რაოდენობით, ხომ არ იწვევს იმას, რომ სათანადოდ დამატებითი კაპიტალი შთაინთქმება მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე კრედიტი გრძელდება? — ინგლისი ვეება კრედიტს იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ იგი კრედიტით იღებს თავის ნედლ მასალას. ამერიკა ჩვენზე თამასუქებს გამოწერს ხოლმე ყოველთვის 60 დღის ვადით, სხვა ქვეყნები — 90 დღის ვადით. მეორე მხრივ, ჩვენც ვაძლევთ კრედიტს; როცა ჩვენ გერმანიაში ვგზავნით საქონელს, 2 ან 3 თვეს კრედიტს ვაძლევთ».

ვილჰონი ეკითხება ჩეპენს (5131): ხომ არ გაიცემა ინგლისზე თამასუქები შემოზიდული ნედლი მასალისა და კოლონიური საქონლის საფუძველზე უკვე იმავდროულად მათი გემზე დატვირთვისა და ხომ არ მოდის ეს თამასუქები ინგლისში სატვირთო ბარათებთან ერთად? ჩეპენი ფიქრობს, რომ ეს ასეა, მაგრამ არა იცის რა ამ «ვაჭარული» საქმეების შესახებ და რჩევას იძლევა, უფრო მცოდნე პირებს ჰკითხონ. — ამერიკისთვის განკუთვნილი ექსპორტის შემთხვევაში, ამბობს ჩეპენი: «საქონელი სიმბოლოზებულია ტრანზიტში» (5133); ეს აბლაუბდა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ინგლისელი ექსპორტერი-ვაჭარი საქონელთა საფუძველზე თამასუქებს გამოწერს ერთ-ერთი დღი ამერიკული საბანკო ფირმის სანელზე ლონდონში, ხოლო ბანკი დაფარვას იღებს ამერიკიდან.

«5136. შორეულ ქვეყნებთან სააღებმიცემო საქმეების წარმოება ისეთი ვაჭრების საშუალებით ხომ არ ხდება ჩვეულებრივ, რომელნიც ელოდებიან თავისი კაპიტალის უკუდაბრუნებას, სანამ საქონელი არ გაიყიდება? — იქნებ არსებობდნენ იმდენად მდიდარი ფირმები, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი საკუთარი კაპიტალი მოათავსონ საქონელში, სესხის აუღებლად ამ საქონელზე; მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს საქონელი სესხად იქცევა კარგად ცნობილი ფირმების აქცეპტის მეშვეობით. — 5137. ასეთი ფირმები დაწესებულია... ლონდონში, ლივერ-

პულში და სხვა ადგილებში.—5138. ამგვარად, სულ ერთია, მეფაბრიკე თავის საკუთარ ფულს ხარჯავს, თუ ლონდონსა ან ლივერპულში პოულობს იგი ვაჭარს, რომელიც მას სესხად აძლევს ფულს; ყოველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სესხთან, რომელიც ინგლისშია აღებული?—სავსებით მართალია. მეფაბრიკეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აქვს ამასთან რაიმე დამოკიდებულება» (პირიქით, 1847 წელს თითქმის ყველა შემთხვევაში ასე იყო). «ფაბრიკატებით მოვაჭრე, მაგალითად მანჩესტერში, ყიდულობს საქონელს და გეშმი ტვირთავს მას ლონდონის რომელიმე საიმედო ფირმის საშუალებით; როდესაც ლონდონის ფირმა დარწმუნდება, რომ ყველაფერი ჩატვირთულ იქნა პირობის თანახმად, ვაჭარი ინდოეთსა, ჩინეთსა ან სხვა ქვეყანაში გასაგზავნი საქონლის საფუძველზე ექვსთვიან თამასუქს გამოწერს ლონდონის ფირმის სახელზე; მაშინ სცენაზე გამოდის ბანკი და ამ თამასუქს აღისკონტებს, ასე რომ იმ დროისთვის, როდესაც ვაჭარმა უნდა გადაიხადოს ნაყიდ საქონელში, მას უკვე ხელთ აქვს ფული, რომელიც ამ თამასუქის დისკონტირებით მოიპოვა. — 5139. მაგრამ თუ თვითონ მას აქვს ეს ფული, ბანკირს მაინც უხდება მისთვის სესხის მიცემა? — ბანკირს აქვს თამასუქი; ბანკირმა იყიდა თამასუქი; იგი თავის კაპიტალს ამ ფორმით გამოიყენებს, სახელდობრ სავაჭრო თამასუქების დისკონტირების ფორმით» (მამასადამე, ჩეპმენიც თამასუქების დისკონტირებას განიხილავს არა როგორც სესხებას, არამედ როგორც საქონლის ყიდვას. ფ. ე. — «5140. მაგრამ ნაწილი მოთხოვნისა ლონდონის ფულის ბაზარზე მაინც იქმნება ამ ოპერაციებით? — უეჭველად; ამაში მდგომარეობს ფულის ბაზრისა და ინგლისის ბანკის არსებითი მოსაქმეობა: ინგლისის ბანკი ისეთივე ხალისით იღებს ასეთ თამასუქებს, როგორც ჩვენ, რადგან იცის, რომ ეს ფულის კარგ დაბანდებას წარმოადგენს. — 5141. მაგრამ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იზრდება საექსპორტო საქმე, იზრდება აგრეთვე მოთხოვნა ფულის ბაზარზე? — რამდენადაც ქვეყნის აყვავება იზრდება, იმდენადვე ჩვენც (ჩეპმენები) — ვიღებთ მასში მონაწილეობას. — 5142. ამრიგად, თუ კაპიტალის დაბანდების სხვადასხვა სფერო უცებ ფართოვდება, ამის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის გადიდება? — ამაში ეჭვი არაა».

5143. ჩეპმენისთვის «სავსებით გასაგები არაა, ჩვენი დიდი ექსპორტის არსებობისას როგორ ვპოულობდით ჩვენ ოქროსთვის ესოდენ ფართო გამოყენებას».

5144. ღირსპატივისცემი ვილსონი ეკითხება: «განა არ შეიძლება მოხდეს, რომ კრედიტი, რომელსაც ვაძლევთ ჩვენს ექსპორტზე, მეტია».

იმ კრედიტზე, რომელსაც ვიღებთ ჩვენს იმპორტზე? — მე პირადად ვეჭვობ, რომ ეს ასე იყოს. თუ ვინმე მანჩესტერში წაყიდა და ინდოეთში გაგზავნილი საქონლის საფუძველზე გაცემული თამასუქისთვის აქცეპტს გაეთვლინებო, თქვენ არ შეგიძლიათ 10 თვეზე ნაკლები ვადით გაუყიეთოთ აქცეპტი. ჩვენ გვიხდება — და ეს უცილობელია — ამერიკას პაპისისთვის უფრო ადრე გადაუხადოთ, ვიდრე ინდოეთი გადაგვიხადიდეს; მაგრამ იმის გამოცვლევა, თუ რა გავლენა აქვს ამას, საკმაოდ ძნელი საქმეა. — 5145. თუ ჩვენ, როგორც ეს გასულ წელს იყო, გვქონდა მანუფაქტურული საქონლის ექსპორტის მატება 20 მილიონი ვირჯ. სტერლინგით, ჩვენ წინათ ნედლეულის იმპორტის მნიშვნელოვანი მატება უნდა გვქონოდა» (და უკვე ამით ამკარავდება ის, რომ ჭარბი ექსპორტი იგივე ჭარბი იმპორტია და ჭარბწარმოება იგივე ჭარბი ვაჭრობაა }, რათა გვეწარმოებინა საქონელთა ეს გადიდებული რაოდენობა? — უეჭველად (5146); ჩვენ წინასწარ უნდა გადაგვეხადა ფრიად მნიშვნელოვანი ბალანსი. ე. ი. ბალანსი იმ დროის განმავლობაში არახელსაყრელი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის; მაგრამ თუ უფრო ხანგრძლივ პერიოდს ავიღებთ, სათამასუქო კურსი ამერიკასთან ჩვენთვის ხელსაყრელია, და ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძვირფასი ლითონის მნიშვნელოვან რაოდენობას ვიღებდით ამერიკიდან».

5148. ვილსონი ეკითხება არხიმევანზე ჩემპენს, თავის მაღალ სარგებელს ხომ არ თვლის იგი აყვავებისა და მოგების მაღალი დონის ნიშნად. ჩემპენი, ცხადად გაცემული ამ სიკოფანტის გულუბრყვილობით, უბასუხებს, რასაკვირველია, დადებითად, მაგრამ იმავე დროს იმდენად გულწრფელია, რომ შემდეგი შესწორება შეაქვს: «ზოგიერთებისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს; იმათ აქვთ ვალდებულებანი და ისინი მათ უნდა შეასრულონ, სულ ერთია, ხელსაყრელია ეს თუ არა; მაგრამ თუ იგი სარგებლის მაღალი განაკვეთი მყარი აღმოჩნდებოდა, ეს აყვავების მაჩვენებელი იქნებოდა». ორთავენი ივიწყებენ, რომ სარგებლის მაღალი განაკვეთი შეიძლება, როგორც ეს 1857 წელს იყო, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მოთარეშე რაინდები კრედიტისა არყევენ ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას, რომ მათ შეუძლიათ მაღალი სარგებელი იხადონ, რადგან მას სხვისი ჯიბიდან იხდიან (მაგრამ ამასთან ხელს უწყობენ სარგებლის განაკვეთის განსაზღვრას ყველასათვის), და ამასობაში ხელგაშლილად იცხოვრონ წინასწარ ნავარაუდები მოგების ხარჯზე. ესეც კია, რომ შესაძლებელია, მეფაბრაიკებს და სხვებს ეს ფრიად მომგებიან საქმეს უქმნიდეს. კაპიტალის უკუმოდიანება სრულიად ილუზორული ხდება სესხთა სისტემის მეოხებით. ამით

აიხსნება შემდეგი მოვლენები, რომლებიც, რამდენადაც საქმე ინგლისის ბანკს შეეხება, არავითარ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს, რადგან ინგლისის ბანკი სარგებლის მაღალი განაკვეთის არსებობისას უფრო დაბალი განაკვეთის კვალობაზე აწარმოებს დისკონტირებას, ვიდრე სხვა ბანკები.

«5156. მე შემიძლია ვთქვა, — ამბობს ჩემპენი, — რომ ახლანდელ მომენტში, როცა ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლის მაღალი განაკვეთი გვქონდა, ჩვენი დისკონტის ჯამი თავის მაქსიმუმს აღწევს». { ამას ჩემპენი ამბობდა 1857 წლის 21 ივლისს, კრახამდე რამდენიმე თვის წინ. } — «5157. 1852 წელს» { როდესაც სარგებელი დაბალი იყო } «ეს ჯამი სრულებითაც არ იყო ასე დიდი. იმიტომ რომ იმ დროს საქმეების მდგომარეობა ნამდვილად ბევრად უფრო ჯანსაღი იყო.

«5159. ბაზარზე რომ ფულის დიდი სიჭარბე ყოფილიყო... და საბანკო დისკონტი — დაბალი, ჩვენ თამასუქების შემცირება გვექნებოდა... 1852 წელს ჩვენ სრულიად სხვა ფაზაში ვიყავით. ქვეყნის ექსპორტი და იმპორტი მაშინ სრულიად უმნიშვნელო იყო დღევანდელთან შედარებით. — 5161. დისკონტის ამ მაღალი ნორმით ჩვენ იმდენი დისკონტი მოვახდინეთ, რამდენიც 1854 წელს» { როდესაც სარგებელი 5 — 5½-ს შეადგენდა. }

უაღრესად თავშესაქცევია ჩემპენის ჩვენებაში იმის წაკითხვა, რომ ასეთი ყაიდის ადამიანები მართლა თავის საკუთრებად თვლიან საზოგადოების ფულს და დარწმუნებული არიან, რომ უფლება აქვთ მათ მიერ დისკონტირებული თამასუქები მუდამყამს გაანადღონ ფულზე. კითხვებისა და პასუხების გულუბრყვილობა გასაოცარია. კანონმდებლობას მოვალეობას აკისრებენ — უზრუნველყოს მსხვილი ფირმების მიერ აქცეპტებული თამასუქების მუდამ განადღება; იზრუნოს იმისათვის, რომ ინგლისის ბანკი ყველა გარემოებაში აკეთებდეს ამ თამასუქების ხელახალ დისკონტს billbroker-ებისთვის. ამასთანავე კი 1857 წელს სამი ასეთი billbroker-ი გაკოტრდა დაახლოებით 8 მილიონით, თანაც მათი საკუთარი კაპიტალი სრულიად უმნიშვნელო თანხას შეადგენდა ამ ვალთან შედარებით. — «5177. განა თქვენ ამით იმის თქმა გსურთ, რომ, თქვენი აზრით, ისინი ქბარინგების და ლოიდების მიერ აქცეპტებული თამასუქები! უნდა ექვემდებარებოდეს სავალდებულო დისკონტს, მსგავსად იმისა, როგორც ამჟამად ინგლისის ბანკის ბანკნოტების ოქროზე გადაცვლა არის სავალდებულო? — მე იმ აზრისა ვარ, რომ ფრიად სავალალო მდგომარეობა შეიქმნებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მათი დისკონტირება შეუძლებელია; მეტად უცნაური მდგომარეობა

რეობა იქნებოდა. თუ ვინმე იძულებული გახდებოდა გადახდა შეეწყვიტა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელთ აქვს აქცეპტები სმიტ, პეინ და კომპ-ის ან ჯონს, ლოიდ და კომპ-ისა და მათი დისკონტირება კი არ შეუძლია. — 5178. განა ფირმა ბარინგის აქცეპტი იმის ვალდებულება არაა, რომ განსაზღვრული ფულადი თანხა გადახდილ უნდა იქნეს, როდესაც თამასუქს ვადა გაუვა? — ეს სრულიად მართალია, მაგრამ ბ-ნ ბარინგებს, როდესაც ისინი კისრულობენ ასეთ ვალდებულებას, როგორც ყოველ ვაჭარს, რომელიც კისრულობს ამგვარ ვალდებულებას, სრულიადაც აზრად არა აქვთ, რომ ამასი სოვერენები უნდა გადაიხადონ; იმათ იმის ვარაუდი აქვთ, რომ გადახდა მოხდება Clearing House-ში [ანგარიშსწორების პალატაში]. — 5180. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ საჭიროა ისეთი მექანიზმის გამოგონება, რომლის საშუალებითაც საზოგადოებას უფლება მიენიჭებოდა ფული მიეღო თამასუქის ვადის დადგომამდე იმის მეშვეობით, რომ ვინმე სხვა თამასუქის დისკონტს მოახდენდა? — არა, მე შესაძლებლად არ მიმაჩნია ასეთი ვალდებულება დაფისროს აქცეპტანტს; მაგრამ თუ თქვენ ამით იმის თქმა გსურთ, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს კომერციული თამასუქების დისკონტირების შესაძლებლობა, მაშინ მთელი არსებული წესი უნდა შეიცვალოს. — 5182. ამრიგად, თქვენ ფიქრობთ, რომ მისთვის {სავაჭრო თამასუქისათვის} უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულზე განაღდება, სწორედ ისე, როგორც ინგლისის ბანკის ბანკნოტი ოქროზე გასანაღდებელი უნდა იყოს? — სწორედ ასე, გარკვეულ პირობებში. — 5184. მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ currency-ს [ფულის მიმოქცევა] ისეთი ორგანიზაცია უნდა მიეცეს, რომ უეჭველად საიმედო სავაჭრო თამასუქები ყოველ დროს ისე ადვილად იცვლებოდეს ფულზე, როგორც ბანკნოტები? — დიახ, მე ასე ვფიქრობ. — 5185. მაგრამ თქვენ მაინც ისე შორს არ მიდიხართ, რომ თქვათ: ინგლისის ბანკს ან რომელსამე სხვა დაწესებულებას კანონით დავალბული უნდა ჰქონდეს მათი ფულზე გადაცვალო? — მე ყოველ შემთხვევაში იმდენად შორს მივდივარ, რომ ვთქვა: თუ ჩვენ შევიშუშავებთ კანონს currency-ს მოსაწესრიგებლად, უნდა მივიღოთ ღონისძიებანი იმის შესაძლებლობის მოსასპობად, რომ უეჭველად საიმედო «და წესიერი საშინაო თამასუქების ფულად ქცევა არ შეიძლებოდეს» — ეს ნიშნავს სავაჭრო თამასუქების დახურულადებას ბანკნოტების დახურულადების მსგავსად.

«5189. ფულით მოვაჭრენი ფაქტიურად წარმოადგენენ მხოლოდ საზოგადოებას», — როგორც შემდგომ ბ-ნმა ჩეპმენმა განაცხადა ნაფიც მსაჯულთა წინაშე დევისონის საქმის გარჩევის დროს. იხ. «Great City Frauds».

«5196. წლის ყოველ კვარტალში { როდესაც დივიდენდების გადახდა ხდება } ჩვენთვის აბსოლუტურად საჭიროა მივმართოთ ინგლისის ბანკს. თუ თქვენ მიმოქცევიდან 6 ან 7 მილიონი სახელმწიფო შემოსავალი გამოგაქვთ წინასწარ სარგებლის გადასახდელად, უნდა არსებობდეს ვინმე, რომელიც იმავე პერიოდში იძლევა სათანადო თანხას. — {მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ფულის მიწოდებას და არა კაპიტალის ან სასესხო კაპიტალის მიწოდებას.}

«5169. ყველამ, ვინც ჩვენს ვაჭრობის სფეროს იცნობს, იცის, რომ როდესაც ისეთი მდგომარეობა გვიდგება, რომ ხაზინის ვალდებულებებისთვის მყიდველები არ მოიპოვება, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის ობლიგაციები სრულიად უსარგებლო ხდება, რომ საუკეთესო სავაჭრო თამასუქების დისკონტირება შეუძლებელი ხდება, — ყველამ იცის, რომ ასეთ პერიოდში გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებიან ყველა ისინი, რომელთა საქმეები აუცილებელს ხდის გასაცემი დაუყოვნებლივ გაცემულ იქნეს უბრალო მოთხოვნისთანავე მიმოქცევის ჩვეულებრივი საშუალებით, — და ასეთ მდგომარეობაშია ყველა ბანკირი. ამის შედეგი კი ის არის, რომ თვითეული აორკეცებს თავის მარაგს. ახლა წარმოიდგინეთ, რა შედეგს გამოიწვევს ეს მთელ ქვეყანაში, თუ თვითეულმა პროვინციელმა ბანკირმა — და ასეთების რიცხვი დაახლოებით 500-ია — თავის ლონდონელ კორესპონდენტს უნდა დაავალოს გადაუგზავნოს მას 5 000 გირვ. სტერლინგი ბანკნოტებით. ასეთი მცირე თანხაც რომ ავიღოთ საშუალო ოდენობად, — რაც თავისთავად აბსურდია, — მაშინაც გამოვა 2 1/2 მილიონი გირვ. სტერლინგი, რომელიც უნდა გამოეცალოს მიმოქცევას. როგორ უნდა ანაზღაურდეს იგი?»

მეორე მხრივ, კერძო კაპიტალისტებს და სხვებს, რომელთაც ფული აქვთ, არავითარ სარგებელზე არ სურთ ამ ფულის გაცემა, რადგან ისინი, ჩეპმენის მიხედვით, ასე მსჯელობენ: «5195. ჩვენ გვირჩევენა სრულიად არავითარი სარგებელი არ მივიღოთ, ვიდრე ექვში ვიყოთ, შევძლებთ თუ არა ფულის მიღებას მაშინ, როცა იგი ჩვენთვის საჭირო იქნება».

«5173. ჩვენი სისტემა ასეთია: ჩვენ გვაქვს 300 მილიონი გირვ. სტერლინგის ვალდებულებანი, რომელთა გადახდა იმ მონეტით, რომელიც ქვეყნის შიგნით იხმარება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ერთ განსაზღვრულ მომენტში; და ასეთი მონეტა, თუ მას მთლად ამისთვის გამოვიყენებთ, ჩვენ გვაქვს 23 მილიონი გირვ. სტერლინგი ან დაახლოებით ამდენი; განა ეს არ მოასწავებს ისეთ მდგომარეობას, რომელიც კონვულსიებს გვიქადის ყოველ წამს?» აქედან — კრიზისების

დროს საკრედიტო სისტემის უეცარი გადაქცევა მონეტარულ სისტემად.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ პანიკას ქვეყნის შიგნით კრიზისის პერიოდში, ფულის რაოდენობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს ლითონი, მსოფლიო ფული. მაგრამ სწორედ მას გამორიცხავს ჩეკმენი, იგი ლაპარაკობს მხოლოდ 23 მილიონზე ბ ა ნ კ ნ ო ტ ე ბ ი თ.

იგივე ჩეკმენი: «5218. თავდაპირველი მიზეზი ფულის ბაზრის მოშლილობისა . . . წლის აპრილში და შემდგომ ოქტომბერში უეჭველია იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო შეიქნა უამრავი ფული სათაქსუქო კურსის რეგულირებისათვის, იმ არაჩვეულებრივად დიდი იმპორტის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა ამ წელს».

ჭერ-ერთი, მსოფლიო ბაზრის ფულის ეს მარაგი მაშინ თავის მინიკუმზე იყო დასული. მეორე, იგი იმავე დროს უზრუნველყოფას შეადგენდა საკრედიტო ფულის. ბანკნოტების დახურდაეებისთვის. ამრიგად, იგი ასრულებდა ერთად ორ სრულიად სხვადასხვა ფუნქციას, რომლებიც ფულის ბუნებიდან გამომდინარეობენ, რადგან ნამდვილი ფული ყოველთვის მსოფლიო ბაზრის ფულია, საკრედიტო ფული კი ყოველთვის მსოფლიო ბაზრის ფულზეა დამყარებული.

1844 წლის საბანკო აქტის მოქმედება რომ არ ყოფილიყო შეჩერებული 1847 წელს «Clearing Houses სანგარიშსწორების პალატები» ვერ შეძლებდნენ თავიანთი ოპერაციების შესრულებას» (5221).

ჩეკმენს მაინც ჰქონდა მოახლოებული კრიზისის ერთგვარი წინათგრძნობა: «5236. შეიქმნება ხოლმე ფულის ბაზარზე გარკვეული მდგომარეობა (და ახლანდელი მდგომარეობა ძალიან დაშორებული არაა იმისგან), როცა ფული ძალიან ძნელი საშოვნელია და საჭირო ხდება ანგლისის ბანკისადმი მიმართვა დახმარებისათვის».

«5239. რაც შეეხება თანხებს, რომლებიც ჩვენ ბანკიდან წავიღეთ პარ.სკევს, შაბათს და ორშაბათს: 1847 წლის 19, 20 და 22 ოქტომბერს, — შემდგომ ოთხშაბათს ჩვენ მეტად მადლიერი ვიქნებოდით, თუ თამასუქების უკან მიღებას შევძლებდით; ფული ხელად მოზღვავედა ჩვენთან, როგორც კი პანიკამ გაიარა». — სახელდობრ სამშაბათს, 23 ოქტომბერს, მოხდა საბანკო აქტის მოქმედების შეჩერება და ამით კრიზისი დაძლეულ იქნა.

ჩეკმენი ფიქრობს (5274), რომ ლონდონზე გამოწერილი მიმდინარე თამასუქების თანხა ყოველ მომენტში შეადგენს 100 — 120 მილიონ გირვ. სტერლინგს. ამაში არ შედის ადგილობრივი, პროვინციის პუნქტებზე გამოწერილი თამასუქები.

«5287. თუმცა 1856 წლის ოქტომბერში საზოგადოების ხელში მყოფი ბანკნოტების ჯამი 21 155 000 გირვ. სტერლინგამდე ავიდა, მაგრამ მაინც მეტისმეტად ძნელი იყო ფულის მიღება; მიუხედავად იმისა, რომ ასე ბევრი ფული იყო საზოგადოების ხელში, ჩვენ ვერ ვახერხებდით მის შოვნას». სახელდობრ იმ შევიწროებული მდგომარეობით გამოწვეული შუშფოთების გამო, რომელშიაც Eastern Bank-ი იმყოფებოდა ერთხანს (1856 წლის მარტში).

5190 — 92. როგორც კი პანიკამ განვლო, «მაშინვე ყველა ბანკირმა, რომელიც სარგებლიდან იღებს თავის მოგებას, იწყო საქმეში თავისი ფულის გაშვება».

5302. ჩემპენის აზრით, ის მოუსვენრობა, რასაც ბანკის რეზერვის შემცირება იწვევს, აიხსნება არა შიშით ანაბრებისათვის, არამედ იმით, რომ ყველა იმათ, რომელთაც შეიძლება უეცრად დიდი ფულადი თანხები დაურჩეთ გადასახდელი, ძალიან კარგად იციან, რომ ფულის ბაზარზე შევიწროებული მდგომარეობის არსებობისას, ისინი, შესაძლებელია იძულებული გახდნენ მიმართონ ბანკს, როგორც დახმარების უკანასკნელ წყაროს; და «თუ ბანკს ძალიან მცირე რეზერვი აქვს, იგი სიხარულით არ შეხვდება ჩვენს მიმართვას, — პირიქით».

საინტერესოა, სხვათა შორის, როგორ ქრება ბანკის რეზერვი ფაქტიური სიდიდის სახით. ბანკირები ინახავენ ნაწილობრივ თავისთან, ნაწილობრივ კი ინგლისის ბანკში მინიმალურ თანხებს, რომლებიც აუცილებელია მათი მიმდინარე საქმეებისთვის. Billbroker-ებს ხელთ აქვთ «ქვეყნის თავისუფალი საბანკო ფული», ისე რომ არა აქვთ რეზერვი. და ინგლისის ბანკს აქვს საანაბარო ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად მხოლოდ რეზერვები ბანკირებისა და სხვათა, public deposits-თან [საზოგადოებრივ, ე. ი. სახელმწიფო ანაბრებთან] ერთად და სხვ., რომლებიც მას ყველაზე ღებალ დონეზე ჩამოჰყავს, მაგალითად, 2 მილიონ გირვ. სტერლინგამდე. ამრიგად, შევიწროების პერიოდებში (და სწორედ ეს შევიწროება ამცირებს რეზერვს, რადგან ბანკნოტები, რომელნიც გატანილი ლითონის სამაგიეროდ შედის ბანკში, უნდა გაუქმებულ იქნეს) მთელ ამ ყალბაბანდობას, თუ იმ 2 მილიონ ქალაღს არ ჩავთვლით, სხვა არავითარი რეზერვი არა აქვს, გარდა ლითონური მარაგისა, და, მაშასადამე, ოქროს მიქცევით გამოწვეული ამ მარაგის ყოველი შემცირება აძლიერებს კრიზისს.

«5306. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ფული აღარ მოიპოვება სხვაობის გადასახდელად ანგარიშების გასწორებისას Clearing House-ში [ანგარიშსწორების პალატაში], მე სხვა გამოსავალს არ ვხედავ ჩვენთვის გარდა იმისა, რომ უნდა შევერთებულებოდით და ჩვენი გადასახ-

დელი გაგვესტუმრებინა ხაზინის პირველხარისხოვანი თამასუქებით ფირმები — სმიტ, პეინ და კომპ. და სხვ. — 5307. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ შეძლებდა მოეცა თქვენთვის მიმოქცევის საშუალებანი, თქვენ თვითონ შექმნიდით ამ საშუალებებს თქვენთვის? — მაშ რა ვქნათ? საზოგადოება მოდის და ხელიდან გვართმევს მიმოქცევის საშუალებას; იგი აღარ არსებობს. — 5308. ამრიგად, თქვენ მხოლოდ იმას ჩაიდენდით ლონდონში, რასაც ყოველდღე სჩადიან მანჩესტერში? — დიას».

ცუდი არ გახლავთ ჩემპენის პასუხი კითხვაზე, რომელიც მას დაუყენა კეილიმ (ატვულის სკოლის Birmingham-man-მა *), რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ოვერსტონის წარმოდგენა კაპიტალის შესახებ: «5315. კომისიის წინაშე გამოთქმული იყო აზრი, რომ შევიწროებული მდგომარეობის პერიოდში, მსგავსად 1847 წლისა, ფულს კი არ ეძებენ, არამედ კაპიტალს; რას ფიქრობთ თქვენ ამის შესახებ? — მე არ მესმის თქვენი კითხვა; ჩვენ მხოლოდ ფულით ვვაჭრობთ; მე არ მესმის, რის თქმა გსურთ თქვენ. — 5316. თუ თქვენ იმად { კომერციულ კაპიტალად } გულისხმობთ ფულის თანხას, რომელიც მოცემულ საწარმოშია დაბანდებული და თვითონ მეწარმეს ეკუთვნის, — თუ თქვენ ამას უწოდებთ კაპიტალს, მაშინ მე უნდა შევნიშნო, რომ ეს თანხა უმრავლეს შემთხვევაში შეადგენს იმ ფულის ფრიად უმნიშვნელო ნაწილს, რომლითაც მეწარმე თავის სამეწარმეო საქმეს ეწევა კრედიტის საშუალებით, რასაც მას საზოგადოება აძლევს», — ე. ი. აძლევს ბ-ნ ჩემპენოა მეშვეობით.

«5339. მოწმობს ეს განა სიმდიდრის ნაკლებობას, თუ ჩვენ ხელს ვიღებთ ბანკოტების გადახდევინებაზე? — სრულიადაც არა. ჩვენ არ გვაქვს სიმდიდრის ნაკლებობა, მაგრამ ჩვენ ვტრიალებთ უაღრესად ხელოვნური სისტემის ფარგლებში, და თუ ჩვენში მიმოქცევის საშუალების კოლოსალურ სახიფათო (superincumbent) მოთხოვნას აქვს ადგილი, — შეიძლება შეიქმნას ისეთი გარემოება, რომლის გამო ჩვენ მოკლებული ვიქნებით შესაძლებლობას ჩვენს განკარგულებაში გვექონდეს მიმოქცევის ეს საშუალება. ნუთუ ამის გამო უნდა მოდუნდეს ქვეყნის მთელი კომერციული მრეწველობა? ნუთუ ჩვენ უნდა დავკეტოთ საქმიანობის ყველა კარი? — 5338. თუ წამოიჭრებოდა საკითხი, რა უნდა შეგვეწარჩუნებინა: ნაღდი გადახდა თუ ქვეყნის მრეწველობა, — მე კარგად მეცოდინებოდა, ამ ორში რომელი უნდა ყოფილიყო მსხვერპლად შეწირული».

* შეად. კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზულებანი, ტომი XII, ნაწ. I, გვ. 68. რუსული გამოცემა რ ე დ.

ბანკნოტების დაგროვების შესახებ «შეფერხების გამწვავებისა და ამის შედეგებიდან სარგებლობის მიღების მიზნით», {5358}, იკი ამბობს, ასეთ მოვლენას ადვილად შეიძლება ადგილი ჰქონდესო. სამი დიდი ბანკი საკმარისი იქნებოდა ამის მისაღწევად. «5383. განა თქვენ, როგორც ჩვენი დედაქალაქის დიდ ფირმებს გაცნობილმა ადამიანმა, არ იცით, რომ კაპიტალისტები სარგებლობენ ამ კრიზისებით, რათა კოლოსალური მოგება მიიღონ იმ პირთა განადგურებიდან, რომელნიც კრიზისის მსხვერპლად შეეწირებიან? — ამაში დაეჭვება შეუძლებელია». და ბ-ნ ჩეპმენს ამ შემთხვევაში ჩვენსავსებით შეგვიძლია დავუჩეროთ, თუმცა მან ბოლოს. და ბოლოს კისერი მოიტეხა — ამ სიტყვის კომერციული მნიშვნელობით, — როცა შეეცადა კოლოსალური მოგება მიეღო კრიზისის მსხვერპლთა განადგურებიდან». თუ მისი ამხანაგი გარნეი ამბობს: «ყოველი ცვლილება საქმეების მსვლელობაში სასარგებლოა იმისთვის, ვინც საქმე იცისო», ჩეპმენი ამბობს: «საზოგადოების ერთმა ნაწილმა არაფერი იცის მეორის შესახებ; აი, მაგალითად, მეფაბრიკე, რომელსაც საქონელი გააქვს კონტინენტზე ან თავისი ნედლი მასალა შემოაქვს, — მან არაფერი იცის მეორე მეწარმის შესახებ, რომელიც ოქროს ზოდების ოპერაციებს აწარმოებს» (5046). და ისე მოხდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვით გარნეი და ჩეპმენი «საქმეში ჩაუხედავნი» აღმოჩნდნენ და სამარცხვინოდ გაკოტრდნენ.

ხემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ბანკნოტების გამოშვება ყოველთვის არ ნიშნავს კაპიტალის გასესხებას. ტუკის ქვემოთაღნიშნული ჩვენება 1848 წლის ლორდთა კომისიის * წინაშე მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კაპიტალის სესხად გაცემა მაშინაც კი, როცა მას ბანკი ახორციელებს ახალი ბანკნოტების გამოშვების მეოხებით, არ ნიშნავს უეჭველად მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების რაოდენობის გადიდებას.

«3099. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ, მაგალითად, ინგლისის ბანკს შეუძლია მნიშვნელოვნად გააფართოოს სესხის გაცემა ისე, რომ არ გაადიდოს ბანკნოტების გამოშვება? — ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება. ერთ-ერთ ასეთ ტიპიურ მაგალითს ადგილი ჰქონდა 1835 წელს, როცა ბანკმა ვესტ-ინდური ანაბრები და ოსტ-ინდოეთის კომპანიისგან აღებული სესხი გამოიყენა საზოგადოებისთვის მისაცემი სესხის ვასაღიდებლად; საზოგადოების ხელში არსებული ბანკნოტების ჯამი ამ დროს ფაქტიურად რამდენადმე შემცირდა... ერთგვარმა ამის მსგავსმა მოვლენამ იჩინა თავი 1846 წელს, იმ დროს, როცა სარკინიგზო ანაბრები შეჰქონდათ ბანკში; ფასიანმა ქალაქებმა

* რომელიც დანიშნული იყო კრიზისის საკითხის გამოხატვლევად. რ ე დ.

{დისკონტირებულმა და უზრუნველსაყოფად შეტანილმა} აიწია დაახლოებით 30 მილიონამდე, რასაც არავითარი შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია ბანკოტების რაოდენობაზე საზოგადოების ხელში».

მაგრამ ბანკოტების გვერდით საბითუმო ვაჭრობას აქვს მეორე და მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიმოქცევის საშუალება: თამასუქები. ბ-ნმა ჩეპმენმა დაგვანახვა, რაოდენ არსებითი მნიშვნელობისაა საქმეების რეგულარული მსვლელობისათვის ის, რომ საიმედო თამასუქები ყველგან და ყველა გარემოებაში მიიღებოდეს გადასახდელში: *gilt nicht mehr der Tausves Jontof, was soll gelten, Zeter, Zeter!** თუ ეს არ იქნება, რაღაშია ხსნა? რა შეფარდებაშია ერთიმეორის მიმართ მიმოქცევის ეს ორი საშუალება?

ჯილბერტი ამბობს ამის შესახებ: «ბანკოტების მიმოქცევის რაოდენობის შეზღუდვა რეგულარულად აღიღებს თამასუქების მიმოქცევის რაოდენობას. თამასუქები ორგვარია: სავაჭრო თამასუქები და საბანკორო თამასუქები... როდესაც ფული იშვიათია, ფულის გამსესხებლები იცხადებენ: «დასწერეთ ჩვენზე თამასუქი, ჩვენ მას აქცეპტს გავუყუთებთო», და თუ რომელიმე პროვინციული ბანკი თამასუქის დისკონტს უყუთებს რომელსამე თავის კლიენტს, იგი მას აძლევს არა ნაღდ ფულს, არამედ თავის საკუთარ ტრატას, 21 დღის ვადისას, თავისი ლონდონელი აგენტის სახელზე. ეს თამასუქები გამოიყენება როგორც მიმოქცევის საშუალება» (J. W. Gilbert: «An Inquiry into the Causes of the Pressure etc.», გვ. 31).

რამდენადმე სხვა ფორმით ამას ადასტურებს ნიუმარჩიცი, B. A. 1857, № 1426:

«არავითარი კავშირი არ არსებობს მიმოქცევაში მყოფი თამასუქების რაოდენობის რყევასა და მიმოქცევაში მყოფი ბანკოტების რაოდენობის რყევას შორის... ერთადერთი მეტნაკლებ მუდმივი შედეგი ის არის... რომ, როგორც კი ფულის ბაზარზე თუნდაც სრულიად მცირედი შევიწროება წარმოიქმნება, რასაც დისკონტის ნორმის აწევა აღნიშნავს, თამასუქების მიმოქცევის მოცულობა მნიშვნელოვნად დიდდება და პირიქით».

მაგრამ ასეთ პერიოდებში გაცემული თამასუქები სრულიადაც არაა მხოლოდ მოკლევადიანი საბანკო თამასუქები, რომლებსაც ჯილბერტი იხსენიებს. პირიქით: უმრავლეს შემთხვევაში ესაა «მეგობრული» თამასუქები, რომლებიც არავითარ ნამდვილ ოპერაციებს არ წარმოადგენენ ან ისეთ ოპერაციებს წარმოადგენენ, რომლებიც იმისთვის შესრულდა,

* თუ ტაუსფის იონტოვს ძალია არა აქვს, რაღას აქვს მამინ ძალა? ყარაულით ყარაული! პაინეს ლექსიდან: «Disputation». რ ე დ.

რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათს საფუძველზე თამასუქის გაცემა; ჩვენ საკმაო მაგალითები მოვიყვანეთ ორივეგვარი თამასუქების შესახებ. ამიტომ «Economist»-ი (ვილსონი), ადარებს რა ასეთი თამასუქების და ბანკნოტების უზრუნველყოფილობას, წერს: «ბანკნოტები, რომლებიც განაღდდება წარდგენისთანავე, არასოდეს არ შეიძლება ჰქარბად დარჩეს ბანკის გარეთ, რადგან მათი ნაჭარბი აუცილებლად უკან დაბრუნდებოდა ბანკში დასახურდავებლად; ორთვიანი თამასუქების გამოშვება კი ჰქარბად შეიძლება, რადგან არ არსებობს საშუალება მათთვის კონტროლის გასაწევად, ვიდრე გადახდის ვადა არ დადგება, და, შესაძლებელია, ვადაზედაც ისინი უკვე ახალი თამასუქებით შეიცვალოს. ჩვენთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ ერი უზრუნველყოფილად ცნობდა მიმოქცევაში მყოფ თამასუქებს, რომელთა განაღდებაც მომავალში გარკვეულ ვადაზე უნდა მოხდეს, და ამავე დროს ეჭვით მოეპყრობოდა იმ ქალაქის ფულის მიმოქცევას, რომელიც წარდგენისთანავე უნდა განაღდდეს» («Economist», 1847, გვ. 575).

ამრიგად, მიმოქცევაში მყოფი თამასუქების რაოდენობა, ისევე როგორც ბანკნოტებისაც, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მიმოქცევის მოთხოვნილებით; ორმოცდაათიან წლებში ჩვეულებრივ დროს შეერთებულ სამეფოში მიმოქცეოდა 39 მილიონი გირვ. სტერლინგის ბანკნოტები და დაახლოებით 300 მილიონის თამასუქები, მათ რიცხვში 100 — 120 მილიონი მარტო ლონდონზე იყო გამოწერილი. თამასუქების მიმოქცევის მოცულობა გავლენას არ ახდენს ბანკნოტების მიმოქცევის მოცულობაზე და ამ უკანასკნელის გავლენას განიცდის მხოლოდ ფულის ნაკლებობის პერიოდებში, როცა თამასუქების რაოდენობა მატულობს და მათი ხარისხი უარესდება. ბოლოს, კრიზისის მომენტში თამასუქების მიმოქცევა სრულიად ველარ ეწევა სამსახურს; არავის არ ესაჭიროება გადახდის დაპირება, ყველა თხოულობს ნაღდად გადახდას. მხოლოდ ბანკნოტი ინარჩუნებს მიმოქცევის უნარს, ყოველ შემთხვევაში დღემდე ინგლისში, რადგან ინგლისის ბანკის უკან დგას ერი მთელი მისი სიმდიდრით.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ჩეპმენიცი კი, რომელიც 1857 წელს თვითონ იყო მაგნატი ფულის ბაზარზე, მწარედ ჩივის იმაზე, რომ ლონდონში მოიპოვება რამდენიმე მსხვილი კაპიტალისტი, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ არევე-დარევა გამოიწვიონ მთელ ფულის ბაზარზე და ასეთი ყოველად სამარცხვინო გზით ფული ააფქვნიან უფრო წვრილ ვაჭრებს. ამრიგად, მოიპოვება რამდენიმე მსხვილი ნათელთევზა, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაამწვაონ შევიწროებულ

მდგომარეობა იმით, რომ გაყიდვიან 1 — 2 მილიონის კონსოლებს და, მასადაამე, ბაზრიდან გაიტანენ ბანკნოტების (და მასთან ერთად თავი-ხუფალი სასესხო კაპიტალის) სათანადო რაოდენობას. იმისთვის, რომ ასეთი მანევრით შევიწროებული მდგომარეობა პანიკად იქცეს, საკმარისი იქნებოდა სამი მსხვილი ბანკის ერთობლივი მოქმედება.

კაპიტალის უდიდეს ძალას ლონდონში, რასაკვირველია, ინგლისის ბანკი წარმოადგენს; მაგრამ რადგან ინგლისის ბანკი ნახევრად სახელმწიფო დაწესებულებაა, იგი მოკლებულია შესაძლებლობას ასე უხეში სახით გამოამყლავნოს თავისი ბატონობა. მაგრამ მაინც — განსაკუთრებით 1844 წლის საბანკო აქტის შემდეგ — მას აქვს საკმაო საშუალება და გზები იმისათვის, რომ წყლიდან მშრალად გამოვიდეს.

ინგლისის ბანკს აქვს 14 553 000 გირვ. სტერლ. კაპიტალი და გარდა ამისა მის განკარგულებაშია 3 მილ. გირვ. სტერლ. «ნაშთი», ე. ი. გაუნაწილებელი მოგება, აგრეთვე ყველა ის ფული, რომელიც მთავრობას შემოუღდის გადასახადების და სხვ. სახით და რომელიც ამ ბანკში უნდა იმყოფებოდეს ანაბრად, ვიდრე მისი მოხმარების საჭიროება არ დადგება. თუ ამას მივათვლით კიდევ დანარჩენი ანაბრების ჯამს (ჩვეულებრივ დროს დაახლოებით 30 მილიონ გირვ. სტერლინგს) და ოქროთი დაუფარავად გამოშვებულ ბანკნოტებს, მაშინ უნდა ვიღიაროთ, რომ ნიუმარჩის შეფასება შედარებით ჯერ კიდევ ზომიერია, როდესაც იგი შეწდევს ამბობს (B. A. 1857, № 1889): «მე დავრწმუნდი, რომ ფონდების მთელი ჯამი, რომლებიც განუწყვეტლივ {ლონდონის} ფულის ბაზარზე ოპერაციებს ასრულებენ, დაახლოებით 120 მილიონ გირვ. სტერლინგად უნდა ვიანგარიშოთ, და ამ 120 მილიონიდან ინგლისის ბანკს განკარგულება აქვს ძალიან მნიშვნელოვან ნაწილზე, დაახლოებით 15.—20%-ზე».

რამდენადაც ბანკი ბანკნოტებს უშვებს, რომლებიც დაფარული არაა მის საცავებში დალაგებული ლითონური მარაგით, იგი ქმნის ღირებულების ნიშნებს, რომელნიც შეადგენენ მისთვის არა მარტო მიმოქცევის საშუალებას, არამედ ერთგვარ დამატებითს — თუმცა ფიქციურ—კაპიტალსაც იმ თანხის რაოდენობით, რომელიც უდრის ამ დაუფარავი ბანკნოტების ნომინალურ ღირებულებას. და ეს დამატებითი კაპიტალი ბანკს აძლევს დამატებითს მოგებას.—ვილსონი ეკითხება ნიუმარჩს (B. A. 1857): «1563. მართალია თუ არა, რომ მიმოქცევაში მყოფი საკუთარი ბანკნოტები რომელიმე ბანკისა, ე. ი. მათი საშუალო რაოდენობა, რომელიც საზოგადოების ხელში იმყოფება, შეადგენს ამ ბანკის მოქმედი კაპიტალის ერთგვარ დამატებას? — სრულიად მართა-

ლია. — 1564. ამრიგად, მთელი ის მოგება, რასაც ბანკი იღებს ამ მიმოქცევიდან, არის მოგება, რომელსაც წარმოშობს კრედიტი და არა ის კაპიტალი, რომელსაც ბანკი ნამდვილად ფლობს, — ხომ მართალია? — სრულიად მართალია».

იგივე ითქმის, რასაკვირველია, ბანკნოტების გამომშვებ კერძო ბანკების შესახებაც. თავის პასუხებში №№ 1866 — 1868 ნიუმარჩი კერძო ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტების ორ მესამედს (ერთი მესამედისთვის ამ ბანკებს ლითონური მარაგი უნდა ჰქონდეთ) განიხილავს როგორც «ტოლი სიდიდის კაპიტალის შექმნას», იმიტომ რომ სათანადო თანხა წყრილაა მონეტის სახით დაიზოგება. ბანკირის მოგება ამის გამო შეიძლება არც იყოს სხვა კაპიტალისტების მოგებაზე მეტი. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბანკირი მოგებას იღებს წყრილაა მონეტის ამ ნაციონალური დაზოგვიდან. ის გარემოება, რომ ნაციონალური დაზოგვა კერძო პირის მოგებად ხდება, სრულიად არ ეხამუშება ბურჟუაზიულ ეკონომისტს, რადგან მოგება საერთოდ ნაციონალური წრომის მითვისებაა. იმაზე მეტი უკუღმართობა განა შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, ვიდრე, მაგალითად ის, რომ 1797 — 1817 წლებში ინგლისის ბანკი, რომლის ბანკნოტებს მხოლოდ სახელმწიფოს წყალობით აქვს ნდობა, სახელმწიფოს, ე. ი. საზოგადოებას, ახდევინებდა სახელმწიფო სესხის სარგებლის სახით იმ უფლებითათვის, რომელიც მას სახელმწიფოს მიერ ჰქონდა მინიჭებული და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მას შეეძლო ეს ბანკნოტები ქალაქიდან ფულად ექცია და შემდეგ სახელმწიფოსთვის მიეცა სესხად?

თუმცა, ბანკებს სხვა საშუალებანიც აქვთ კაპიტალის შესაქმნელად. იმავე ნიუმარჩის თანახმად, პროვინციულ ბანკებს, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოთ, ჩვეულება აქვთ თავიანთი ჭარბი ფონდები (ე. ი. ინგლისის ბანკის ბანკნოტები) გაუგზავნონ ლონდონელ billbroker-ებს, რომელნიც მათ ამის სანაცვლოდ დისკონტირებულ თამასუქებს უბრუნებენ. ამ თამასუქებით ბანკი ემსახურება თავის კლიენტებს, რადგან იგი იმ წესს ადგია, რომ ადგილობრივი კლიენტებისაგან მიღებული თამასუქები თავის ხელიდან არ გაუშვას, რათა ამ კლიენტების საქმიანი ოპერაციები ადგილობრივ სხვებმა არ შეიტყონ. ლონდონიდან მიღებული ეს თამასუქები გამოიყენება არა მარტო იმ კლიენტებზე გასაცემად, რომელთაც ლონდონში აქვთ პირდაპირ გადასახდელი გასასტუმრებელი, თუ ისინი არ ამჯობინებენ მოსთხოვონ ბანკს მისი საკუთარი ასიგნობა ლონდონზე; ეს თამასუქები გამოიყენება აგრეთვე გადასახდელთა გასასტუმრებლად პროვინციაში, რადგან ბანკირის ინდოსამენტი უზრუნველყოფს მათთვის ადგილობრივ კრედიტს. ამგვარად თა-

მასუქებმა, მაგალითად, ლანკაშირში, განდევნა მიმოქცევიდან ადგილობრივი ბანკირების ყველა საკუთარი ბანკოტები და მეტწილად ინგლისის ბანკის ბანკოტები (იქვე, 1568 — 1574).

ამრიგად, ჩვენ აქ ვხედავთ, როგორ ქმნიან ბანკები კრედიტს და კაპიტალს: 1) საკუთარი ბანკოტების გამოშვებით; 2) 21-დღიანი ვადის მქონე გადახდის მოთხოვნების გაცემით ლონდონზე, ამასთან თვითონ ისინი ამ მოთხოვნების გაცემისას მაშინვე ნაღდად ლებულობენ სათანადო თანხას; 3) მით, რომ გადასახდელის გასასტუმრებლად გამოიყენებენ დისკონტირებულ თამასუქებს, რომელთა კრედიტუნარიანობა პირველ რიგში და არსებითად — ყოველ შემთხვევაში სათანადო ადგილობრივი ოლქისთვის — უზრუნველყოფილია ბანკის ინდოსამენტით.

ინგლისის ბანკის ძალა იმით მქლავნდება, რომ იგი არეგულირებს სარგებლის საბაზრო განაკვეთს. საქმეების ნორმალური მსვლელობის პერიოდებში შეიძლება მოხდეს, რომ ინგლისის ბანკს არ შეუძლია დისკონტის ნორმის გადადებით¹² შეაჩეროს ოქროს ზომიერი მიქცევა თავისი ლითონური მარაგიდან, რადგან გადახდის საშუალებათა მოთხოვნას აკმაყოფილებენ კერძო და აქციონერული ბანკები და billbroker-ები, რომელთა ძალაც კაპიტალის მხრივ [Kapitalmacht] უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაშინ მას სხვა საშუალებათა გამოყენება სჭირდება. მაგრამ კრიტიკული მომენტებისათვის მაინც კიდევ ძალაში რჩება ის, რასაც ბანკირი გლინი (ფირმიდან: გლინ, მილსი, კერი და კომპ.) აღნიშნავდა 1848/57 წლის C. D.-ის წინაშე: «1709. ქვეყანაში დიდი შევიწროების პერიოდებში ინგლისის ბანკი აწესებს სარგებლის განაკვეთს. — 1710. არაჩვეულებრივი შევიწროების პერიოდებში... როდესაც კერძო ბანკებისა და billbroker-ების მიერ წარმოებული დისკონტირება შედარებით იზღუდება, სადისკონტო ოპერაციები ინგლისის ბანკის ხვედრი ხდება, და

¹² Union Bank of London-ის აქციონერთა საერთო კრებაზე 1894 წლის 17 იანვარს თავმჯდომარემ ბ-ნმა რიტიჩიშ განაცხადა: ინგლისის ბანკმა სადისკონტო განაკვეთი 1893 წელს 2 1/2%-დან (ივლისში) გაადიდა 3 და 4%-ამდე (აგვისტოში) და შემდეგ, რადგან მან ოთხი კვირის განმავლობაში მთელი 4 1/2 მილიონი გირვ. სტერლ. დაკარგა ოქროთი, გაადიდა 5%-ამდე, რის შემდეგ ოქრომ იწყო უკუდენა და საბანკო დისკონტის ნორმამ სექტემბერში დაიწია 4%-ამდე, ოქტომბერში — 3% ამდემო. მაგრამ ეს საბანკო ნორმა ბაზარმა არ ცნო. «როდესაც საბანკო ნორმა 5% იყო, საბაზრო ნორმა იყო 3 1/2%, ფულადი ნორმა — 2 1/2%; როდესაც საბანკო ნორმა 4%-ამდე დაეცა, სადისკონტო ნორმა იყო 2 3/8% და ფულადი ნორმა 1 3/4%, როდესაც საბანკო ნორმა 3% გახდა, სადისკონტო ნორმა იყო 1 1/2% და ფულადი ნორმა — ცოტათი ნაკლები» (Daily News 18 იანვ. 1894 წ.), — მ. მ.

მაშინ მას შესწევს ძალა დააწესოს სარგებლის განაკვეთის საბაზრო ნორმა».

ყოველ შემთხვევაში მას, როგორც საჯარო ინსტიტუტს, რომელიც სახელმწიფოს მფარველობითა და სახელმწიფო პრივილეგიებით სარგებლობს, არ შეუძლია ეს თავისი ძალა ისე დაუნდობლად გამოიყენოს, როგორც ამას კერძო ფირმები სჩადიან. ეს ჩანს ჰუბარდის ჩვენებიდან: საბანკო კომისიის (B. A. 1857) წინაშე: «2844. {კითხვა:} მართალია თუ არა, რომ როცა დისკონტის ნორმა მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს, ინგლისის ბანკი ყველაზე უფრო იაფად ემსახურება კლიენტებს, ხოლო როცა სადისკონტო ნორმა უდაბლეს დონეზე დადის, ყველაზე უფრო იაფად broker-ები იღებენ? {ჰუბარდი:} ეს მართლაც ყოველთვის ასეა, ვინაიდან ინგლისის ბანკი არასოდეს ისე დაბლა არ სწევს დისკონტის ნორმას, როგორც მისი კონკურენტები, და როდესაც ნორმა უმაღლეს დონეზეა, არასოდეს ისე მაღლა არ სწევს მას, როგორც მისი კონკურენტები».

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმიანი სფეროებისთვის მაინც ფრიად სერიოზულ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ შევიწროების პერიოდში ინგლისის ბანკი, ჩვეულებრივი ტერმინით რომ ვთქვათ, «აღმა ახტუნებს» ნორმას, ე. ი. კიდევ უფრო მაღლა სწევს უკვე საშუალო დონეს გადაცილებულ სარგებლის განაკვეთს. «როგორც კი ინგლისის ბანკი იწყებს სარგებლის განაკვეთის აწევას, შეწყდება ხოლმე ყოველგვარი შესყიდვა საზღვარგარეთ გასაზიდად... ექსპორტერები ელოდებიან იმ მომენტს, როცა ფასების დაცემა უდაბლეს წერტილს მიაღწევს, და მხოლოდ მაშინ — და არა მანამდე — იწყებენ ისინი შესყიდვას. მაგრამ როცა ეს პუნქტი მიღწეულია, კურსი უკვე ხელახლა რეგულირებულია, — ოქრო აღარ მიდის საზღვარგარეთ უფრო ადრე, ვიდრე ფასების დაცემის ეს უდაბლესი პუნქტი მიღწეული არ იქნება. საქონელთა საექსპორტოდ შესყიდვას იქნებ შეეძლოს საზღვარგარეთ გასული ოქროს ნაწილის უკან დაბრუნება გამოიწვიოს, მაგრამ ამ შესყიდვას ადგილი აქვს ძალიან დაგვიანებით, რომ მან ოქროს მიქცევის დაბრკოლება შეძლოს» (J. W. Gilbert: «An Inquiry into the Causes of the Pressure on the Money Market». London, 1840, გვ. 35). «საგარეო სათამაშუო კურსის საშუალებით მიმოქცევის საშუალებათა რეგულირების მეორე შედეგი ის არის, რომ შევიწროების პერიოდებში კოლოსალურად მატულობს სარგებლის განაკვეთი» (იქვე, გვ. 40). «ხარკები, რასაც სათამაშუო კურსის აღდგენა მოითხოვს, ღვიძრება ქვეყნის მწარმოებლურ მრეწველობას, მაშინ როდესაც ამ პერიოდის განმავლობაში ინგლისის ბანკის მოგება დადებითად მატულობს იმის გამო».

რომ იგი ძვირფასი ლითონის უფრო მცირე რაოდენობით განაგრძობს თავისი საქმეების წარმართვას» (იქვე, გვ. 52).

მაგრამ, ამბობს ჩვენი მეგობარი სამუელ გარნი, «სარგებლის განაკვეთის ეს დიდი რყევა ხელსაყრელია ბანკირებისა და ფულით მოვაჭრეებისთვის, — ყოველი რყევა საქმის მსვლელობაში ხელსაყრელი იმისთვის, ვინც საქმის მცოდნეა». და თუმცა ბ-ნი გარნიები საქმეს ნაღებს აცლიან გაჭირვებული მდგომარეობის დაურიღებელი ექსპლოატაციის გზით, მაშინ როდესაც ინგლისის ბანკს არ შეუძლია ამის ასე თავისუფლად ჩადენის ნება მისცეს თავის თავს, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ხედება წილადაც ურიგო მოგება, — აღარას ვამბობთ იმ კერძო მოგების შესახებ, რომელიც თავისთავად მიგორავს ბ-ნი ღირექტორების ხელში იმ განსაკუთრებულად ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, რაც მათ აქვთ საქმის საერთო მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღების მხრივ. ლორდათა კომისიის მიერ შეგროვილი ცნობების თანახმად, 1817 წელს, ნაღდი გადახდის განახლებისას, ინგლისის ბანკის ეს მოგება 1797 — 1817 წლების მთელი პერიოდისათვის შეადგენდა:

Bonuses and increased dividends [პრემიები და გადიდებული დივიდენდები]	7 451 136
New Stock divided among proprietors [აქციონერთა შორის განაწილებული ახალი აქციები]	7 276 500
Increased value of capital [კაპიტალის გადიდებული ღირებულება]	14 553 000
	სულ 29 280 636

11 642 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე 19 წელიწადში (D. Hardcastle: «Banks and Bankers, 2nd ed, London 1843, გვ. 120). თუ ჩვენ იმავე პრინციპის მიხედვით ვიანგარიშებთ ირლანდიის ბანკის მთელ მოგებას, — ამ ბანკამაც შეწყვიტა 1797 წელს ნაღდი გადახდა, — მივიღებთ შემდეგ შედეგს:

Dividends as by returns due 1821 [1821 წელს გასაცემი დივიდენდები]	4 736 085
Declared bonus [გამოცხადებული პრემიები]	1 225 000
Increased assets [აქტივის გადიდება]	1 214 800
Increased value of capital [კაპიტალის გადიდებული ღირებულება]	4 185 000
	სულ . . 11 360 885

3 მილიონ გირვ. სტერლინგ. კაპიტალზე (იქვე, გვ. 363 — 364)*.

და კიდევ ლაპარაკობენ ცენტრალიზაციაზე! საკრედიტო სისტემა, რომელსაც თავისი ცენტრალური პუნქტი აქვს ეგრეთწოდებულ ეროვ-

* 1894 წლის გამოცემაში — 163. რ ე დ.

ნულ ბანკებში და მათ ირგვლივ შემოკრებილ მსხვილ ფულით მოვაჭრეებსა და მევახშეებში, გიგანტური ცენტრალიზაციაა, და იგი ამ პარაზიტთა კლასს აძლევს საარაკო ძალას — არა მარტო პერიოდულად ანადგურონ მრეწველი კაპიტალისტები, არამედ აგრეთვე ფრიალ სახიფათო წესით ჩაერიონ ნამდვილ წარმოებაში, — და ამ ბანდამ არა იცის. რა წარმოების შესახებ და არც რაიმე საერთო აქვს მასთან. 1844 და 1845 წლის აქტები დამამტიციებელია ამ ბანდიტების მზარდი ძალისა, რომლებსაც უერთდებიან ფინანსისტები და stockjobber-ები. [სარგებლიანი ქაღალდებით მოვაჭრე მაკლერები].

მაგრამ თუ ვინმეს ეჭვი შედის იმაში, რომ ეს პატივცემული ბანდიტები ნაციონალური და ინტერნაციონალური წარმოების ექსპლოატაციას ეწევიან მხოლოდ და მხოლოდ თვით წარმოებისა და ექსპლოატირებულთა ინტერესების გულისათვის, — ის ჭეშმარიტ წარმოდგენას მიიღებს საქმის ვითარებაზე შემდეგი ექსკურსით ბანკირის მაღალი ზნეობრივი ღირსების სფეროში. «ბანკები რელიგიურ და ზნეობრივ დაწესებულებებს წარმოადგენენ. რაოდენ ხშირად თავი აურიდებია ახალგაზრდა ვაჭარს შფოთიანი და მოქეიფე მეგობრებისთვის იმის შიშით, რომ ბანკირის ფხიზელი თვალი ამას დაინახავდა და არ მოუწონებდა! როგორ ეშინია მას დაკარგოს ბანკირის კარგი აზრი მის შესახებ, როგორ ცდილობს ყოველთვის იყოს პატივისცემის ღირსი! ბანკირის შეჭმუხვნილი შუბლი უფრო დიდ გავლენას ახდენს მასზე, ვიდრე მისი მეგობრების ყველა მორალური ქადაგება; იგი ცახცახებს იმის შიშით, რომ ეჭვით დაუწყებენ ცქერას, თუ იგი დამნაშავე აღმოჩნდა მოტყუებაში ან ჭეშმარიტებიდან თუნდაც მცირეოდენ გადახვევაში; მას ეშინია ასეთი ეჭვი გამოიწვიოს, რადგან ამის შედეგად შეიძლება მისი კრედიტი ბანკში შეიზღუდოს ან სულ მთლად მოისპოს! ბანკირის რჩევა მისთვის მღვდლის რჩევაზე უფრო მნიშვნელოვანია (გ. მ. ბელი, ბანკის მმართველი შოტლანდიაში, «The Philosophy of Joint Stock Banking», London 1840, გვ. 46, 47).

თახი ოცდამეთერთხუთე

CURRENCY PRINCIPLE და ინფლიის 1844 წლის საბანკო კანონმდებლობა

ცერთ-ერთ წინანდელ ნაშრომში¹⁸ განხილული იყო რიკარდოს თეორია ფულის ღირებულების შესახებ მის ურთიერთობაში საქონელთა ფასებთან; ამიტომ ჩვენ აქ შეგვიძლია იმით დავკმაყოფილდეთ, რაც ყველაზე აუცილებელია. რიკარდოს თანახმად, ფულის — ლითონური ფულის — ღირებულება განისაზღვრება მასში გასაგნობრივებული სამუშაო დროით, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ფულის რაოდენობა ნორმალურ შეფარდებაშია მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასასა და ფასთან. თუ ფულის რაოდენობამ ამ შეფარდებაზე მაღლა აიწია, მაშინ მისი ღირებულება დაიწევს, საქონელთა ფასები აიწევს; თუ მან სწორ შეფარდებაზე დაბლა დაიწია, ფულის ღირებულება აიწევს, და საქონელთა ფასები დაეცემა, — სხვა თანაბარ პირობებში. პირველ შემთხვევაში ის ქვეყანა, სადაც თავის ღირებულებაზე დაბლა დაეცემული ოქროს ამ სიჭარბეს აქვს ადგილი, ოქროს გაზიდავს საზღვარგარეთ და იქიდან საქონელს შემოზიდავს; მეორე შემთხვევაში ოქრო დენას დაიწყებს იმ ქვეყნებისაკენ, სადაც იგი მის ღირებულებაზე მაღლაა შეფასებული, მაშინ როდესაც ღირებულებაზე დაბლა შეფასებული საქონელი იქიდან დენას დაიწყებს სხვა ბაზრებისაკენ, სადაც ნორმალურ ფასებში შეიძლება მათი გაყიდვა. რადგან ასეთ წანამძღვართა თანახმად, «თვით ოქრო, სულ ერთია, იქნება იგი მონეტის ფორმით, თუ ზოდის ფორმით, შესაძლოა ღირებულების ისეთ ნიშნად იქცეს, რომელსაც უფრო მეტი ან ნაკლები ლითონური ღირებულება ექნება. ვიდრე თვითონ ოქროს აქვს, — ამიტომ თავისთავად გასაგებია, — რომ მიმოქცევაში მყოფი დასახურდავებელი ბანკნოტებიც იმავე ბედს იზიარებენ. თუმცა ბანკნოტები დასახურდავებელი ბანკნოტებია, მაშასადამე,

¹⁸ K. Marx: «Zur Kritik der politischen Oekonomie», Berlin 1859, გვ. 150 და შეშდ. [ქ. მარქის: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1953 წ. გამ., გვ. 227 და შემდ.]

მათი რეალური ღირებულება მათ ნომინალურ ღირებულებას შეესაბამება, მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ფულის ერთობლივი მასა, ერთად აღებული ოქროსი და ბანკნოტებისა (the aggregate currency consisting of metal and of convertible notes), შეიძლება თავის ღირებულებაზე უფრო მეტად ან ნაკლებად იყოს შეფასებული, იმისდა მიხედვით, ზათი ერთობლივი რაოდენობა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, იმ დონეზე მაღლა იწევს თუ დაბლა, რომელი დონეც მიმოქცევაში მყოფ, საქონელთა საცვლელი ღირებულებით და ოქროს ლითონური ღირებულებით განისაზღვრება... ეს გაუფასურება, — არა ქალაქის ფულისა ოქროსთან შედარებით, არამედ ერთად აღებული ოქროსი და ქალაქისა, ანუ მიმოქცევის საშუალებათა ერთობლივი მასისა რომელიმე საზღვარსაღმართში, — რიკარდოს ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა, რომელიც ლორდ ოვერსტონმა და კომპანიამ გამოიყენეს და სერ რობერტ პილის 1844 და 1845 წლების საბანკო კანონმდებლობის ძირითად პრინციპად გახადეს» (იქვე, გვ. 155 [ქართ. გამოც. 1953 წ., გვ. 232 — 233]).

საჭირო არაა აქ გავიმეოროთ რიკარდოს ამ თეორიის მცდარობის იქვე მოცემული დამტკიცება. ჩვენ გვიინტერესებს მხოლოდ ის წესი, რომლითაც რიკარდოს ეს დებულებანი გადაამუშავა საბანკო თეორეტიკოსთა სკოლამ, რომელიც პილის ზემოაღნიშნული საბანკო აქტების მკარნახებელი იყო.

«ვაჭრობის კრიზისებს მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით 1825 და 1836 წლების დიდ კრიზისებს, არ გამოუწვევიათ რიკარდოს ფულის თეორიის შემდგომი განვითარება, არამედ მათ მხოლოდ ამ თეორიის ახალი პრაქტიკული გამოყენება გამოიწვიეს. ეს უკვე აღარ იყო ცალკეული ეკონომიური მოვლენები, — როგორც იუმისათვის ძვირფას ლითონთა გაუფასურება იყო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში, ანდა როგორც რიკარდოსთვის ქალაქის ფულის გაუფასურება იყო მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტის დასაწყისში, — არამედ ეს იყო მსოფლიო ბაზრის დიდი ქარიშხალი, რომელშიც ბურჟუაზიული წარმოების პროცესის ყველა ელემენტის შეჯახება გამოსავალს პოულობს; ამ ელემენტთა წარმოშობას და მათთან ბრძოლის საშუალებებს ეძებდნენ ამ პროცესის ყველაზე ზერელე და აბსტრაქტულ სფეროში, ფულის მიმოქცევის სფეროში. საკუთრივ თეორიული წინამძღვარი, საიდანაც ეკონომიური ქარტეხილის შემლოცველთა ეს სკოლა მომდინარეობს, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა ის დოგ-

¹³ K. Marx: «Zur Kritik der politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 150
 [ქ. მარქსი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის], 1953 წ. გამ., გვ. 226 და შემდგ.]

მა, თითქოს რიკარდომ წმინდა ლითონური მიმოქცევის კანონები აღმოაჩინა. მათ მხოლოდ ისლა დარჩენოდათ, რომ საკრედიტო და ბანკოტების მიმოქცევა ამ კანონებისათვის დაექვემდებარებინათ.

«ვაჭრობის კრიზისების ყველაზე ზოგად და ყველაზე აშკარა შოვლენას წარმოადგენს საქონელთა ფასების უეცარი, საყოველთაო დაცემა, რაც მათ ხანგრძლივ, საყოველთაო ზრდას მოსდევს ხოლმე. საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემა შეიძლება გამოისახოს როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების გადიდება, ყველა სხვა საქონელთან შედარებით, ხოლო ფასების საყოველთაო ზრდა, პირიქით, შეიძლება გამოისახოს როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების დაცემა. გამოსახვის ამ ორივე წესში მოვლენა მხოლოდ დასახელებულია, მაგრამ არაა ახსნილი... სხვადასხვა ფრაზეოლოგია ისევე უცვლელად ტოვებს ამოცანას, როგორც უცვლელად დატოვებდა მას მისი გადათარგმნა გერმანული ენიდან ინგლისურზე. ამიტომ რიკარდოს ფულის თეორია არაჩვეულებრივად ხელსაყრელი გამოდგა, რადგან იგი ტავტოლოგიას მიზეზობრივი ურთიერთობის მოჩვენებითობას ანიჭებს. საიდან წარმოდგება საქონელთა ფასების პერიოდული საყოველთაო დაცემა? ფულის შეფარდებითი ღირებულების პერიოდული ზრდიდან: პირიქით, საიდან წარმოდგება საქონელთა ფასების პერიოდული საყოველთაო ზრდა? ფულის შეფარდებითი ღირებულების პერიოდული დაცემიდან. ასეთივე უფლებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ ფასების პერიოდული ზრდა და დაცემა მათი პერიოდული ზრდიდან და დაცემიდან წარმოდგება... თუ ერთხელ ვცანით ტავტოლოგიის გადაქცევა მიზეზობრივ ურთიერთობად, მაშინ ყოველივე დანარჩენი ადვილად ასახსნილია. საქონელთა ფასების ზრდა წარმოდგება ფულის ღირებულების დაცემიდან, ხოლო ფულის ღირებულების დაცემა, როგორც ჩვენ რიკარდოსაგან ვიცით, — მიმოქცევის ჰარბად გავსებისაგან, ე. ი. იქიდან, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა იმ დონეზე მალა აიწევს, რომელიც მისი საკუთარი იმანენტური ღირებულებით და საქონელთა იმანენტური ღირებულებით განისაზღვრება. ასევე, პირიქით: საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემა წარმოდგება იქიდან, რომ ფულის ღირებულება მის შინაგან ღირებულებაზე მალა აიწევს მიმოქცევის არასაკმაო გავსების გამო. მაშასადამე, ფასები პერიოდულად იზრდება და ეცემა იმიტომ, რომ პერიოდულად ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა ფულია მიმოქცევაში. თუკი დიდსტურდება, რომ ფასების გადიდებას ადგილი ჰქონდა იმავდროულად შემცირებულ ფულის მიმოქცევასთან ერთად, ხოლო ფასების დაცემას — მიმოქცევის გადიდებასთან ერთად, მაშინ შეიძლება, მიუხედა-

ვად ამისა, იმის მტკიცება, რომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასის რაიმე, თუმცა სტატისტიკურად დაუმტკიცებელი, შემცირების ან გადიდების გამო, მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, თუ აბსოლუტურად არა, შეფარდებით მაინც გადიდდა ან შემცირდა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ, რიკარდოს აზრით, ფასების ამ საყოველთაო რყევას წმინდა ლითონური მიმოქცევის დროსაც უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს რყევა წონასწორდება რიგრიგობითი შეცვლის გზით, ასე, მაგალითად, არასაკმაო მიმოქცევა გამოიწვევს საქონელთა ფასების დაცემას, საქონელთა ფასების დაცემა — საქონელთა გაზიდვას უცხოეთში, ხოლო ეს გაზიდვა — ფულის მოქცევას სახელმწიფოში. ფულის მოქცევა კი — კვლავ საქონელთა ფასების ზრდას. პირიქით ხდება გავსებული მიმოქცევის დროს, როცა ადგილი აქვს საქონელთა იმპორტს და ფულის ექსპორტს. თუმცა ფასების ეს საყოველთაო რყევა თვით ლითონური მიმოქცევის ბუნებიდან გამომდინარეობს. როგორც ეს რიკარდოს ესმოდა, მაგრამ ამ რყევის მძაფრი და ძალდატანებითი ფორმა, ფორმა კრიზისებისა, დამახასიათებელია განვითარებული კრედიტის პერიოდებისათვის; ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ ბანკნოტების გამოშვება არ არის ზუსტად რეგულირებული ლითონური მიმოქცევის კანონების მიხედვით. ლითონურ მიმოქცევას თავისი უებარი საშუალება აქვს იმ ძვირფასი ლითონების იმპორტისა და ექსპორტის სახით, რომელნიც მაშინვე ტრიალში შედიან მონეტის სახით და, ამრიგად, თავიანთი მოქცევით თუ მიქცევით საქონელთა ფასების დაწევას ან აწევას იწვევენ. ასეთივე გავლენა უნდა იქონიონ ახლა ხელოვნურად ბანკებმა საქონელთა ფასებზე ლითონური მიმოქცევის კანონებისადმი მიბაძვის გზით. თუ საზღვარგარეთიდან ოქრო მოედინება, ეს იმას ამტკიცებს, რომ ფულის მიმოქცევა არაა შევსებული, ფულის ღირებულება ძალიან მაღლა, ხოლო საქონელთა ფასები ძალიან დაბლა დგას და, მაშასადამე, ბანკნოტები მიმოქცევაში უნდა იქნეს გამშვებული ახლად შემოზიდული ოქროს პროპორციულად. პირიქით, ბანკნოტები უნდა გამოირიცხოს მიმოქცევიდან ქვეყნიდან გაზიდული ოქროს რაოდენობის პროპორციულად. სხვა სიტყვებით: ბანკნოტების გამოშვების რეგულირება უნდა ხდებოდეს ძვირფასი ლითონების იმპორტისა და ექსპორტის ანუ სათამაშუკო კურსის მიხედვით. რიკარდოს მკვლარი წანამძღვარი, თითქოს ფული მხოლოდ მონეტაა და თითქოს ყოველი შემოზიდული ოქრო მიმოქცევაში მყოფ ფულს ამრავლებს და ამით ფასებს მაღლა სწევს, ხოლო ყოველი გაზიდული ოქრო მონეტების რაოდენობას ამცირებს და ამით ფასებს დაბლა სწევს, — ეს თეორიული წანამძღვარი აქ იქცევა პრაქტიკულ

ექსპერიმენტად, რომელიც მოითხოვს მიმოქცევაში იმდენი მონეტის გაშვებას, რამდენი ოქროს ყოველ მოცემულ მონეტაში მოიპოვება. ლორდ ოვერსტონი (ბანკირი ჯონს ლოიდი), პოლკოვნიკი ტორენსი, ნორმანი, კლეი, არშუტნოტი და მრავალი სხვა მწერალი, რომელნიც ინგლისში «Currency Principle»-ის [«ფულადი მიმოქცევის პრინციპი»] სკოლის სახელწოდებით არიან ცნობილი, ამ დოქტრინას არათუ ქადაგებდნენ, არამედ სერ რობერტ პილის 1844 და 1845 წლის საბანკო აქტების საშუალებით იგი ინგლისისა და შოტლანდიის არსებული საბანკო კანონმდებლობის საფუძვლად გახადეს. ის სამარცხვინო მარცხი, — როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, — რომელიც ამ დოქტრინამ ფართო ეროვნული მასშტაბით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგ განიცადა, შეიძლება გადმოცემულ იქნეს მხოლოდ მოძღვრებაში კრედიტის შესახებ» (იქვე, გვ. 165 — 168 [ქართ. გამოც. 1953 წ., გვ. 246 — 251]).

ამ სკოლის კრიტიკა მოგვეცეს თომას ტუკმა, ჯემს ვილსონმა (1844—1847 წლების «Economist»-ში) და ჯონ ფულარტონმა. თუ როგორ არასაკმარისად ესმოდათ ამ მწერლებსაც ფულის ბუნება, როგორ ზღუნდოვნად ჰქონდათ წარმოდგენილი თანაფარდობა ფულსა და კაპიტალს შორის, ეს ჩვენ მრავალჯერ დავინახეთ, განსაკუთრებით ამ წიგნის XXVIII თავში. აქ ჩვენ მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ცნობას 1857 წლის ჭვედაპალატის კომისიის აქტებიდან პილის საბანკო აქტების შესახებ (B. C. 1857). — ფ. ე.)

ჯ. გ. ჰუბარდი, ინგლისის ბანკის ყოფილი მმართველი, შემდეგ ჩვენებას იძლევა: «2400. — ოქროს გაზიდვის გავლენას... აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქონელთა ფასებთან. სამაგიეროდ ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასიანი ქაღალდების ფასებზე, რადგან იმდენადვე, რამდენადაც სარგებლის განაკვეთი იცვლება, აუცილებლად გავლენას განიცდის იმ საქონელთა ღირებულებაც, რომელნიც ამ სარგებელს ახორციელებენ». იგი იძლევა ორ ცხრილს, რომელიც 1834 — 1843 და 1845 — 1853 * წლებს შეეხება და სადაც ნაჩვენებია, რომ ვაჭრობის თხუთმეტი უმნიშვნელოვანესი საგნის ფასების მოძრაობა წარმოებდა სრულიად დამოუკიდებლად ოქროს მიქცევისა და მოქცევისაგან და სარგებლის განაკვეთისაგან. მაგრამ სამაგიეროდ ეს ცხრილები გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს ოქროს მიქცევა-მოქცევასა, — ოქროსი, რომელიც ნამდვილად «წარმომადგენელია

* 1894 წლის გამოცემაში — [18]56. რ ე დ.

ჩვენი დაბანდების მაძიებელი კაპიტალისა», — და სარგებლის განაკვეთს შორის. — «1847 წელს დიდი თანხის ამერიკული ფასიანი ქაღალდები გატანილ იქნა უკანვე ამერიკაში, ასევე რუსეთის ფასიანი ქაღალდები — რუსეთში და სხვა კონტინენტური ქაღალდები — იმ ქვეყნებში, საიდანაც ჩვენ ჩვენს პურს ვღებულობთ» (2402).

ვაჭრობის ის 15 მთავარი საგანი, რომელიც ჰუბარდის ქვემომოყვანილ ცხრილებს საფუძვლად უდევს, შემდეგია: ბამბა, ბამბის ნართი, ბამბის ქსოვილი, მატყლი, მაუდი, სელი, ტილო, ლილა, თუჯი, თუნუქი, სპილენძი, ქონი, შაქარი, ყავა, აბრეშუმი.

I. 1834 წლიდან 1843 წლამდე

დრო	ბანკის ლითონური მარაგი გირვ. სტერლ.	დისკონტის საბანკო ნორმა %	ვაჭრობის 15 უმთავ. საგნიდან		
			ფასბა მიიმატა	ფასი დაეცა	უცვლელი დარჩა
1834 წ. 1 მარტი	9 104 000 გ. სტ.	2 ³ / ₄	—	—	—
1835 > 1 >	6 274 000 > >	3 ³ / ₄	7	7	1
1836 > 1 >	7 918 000 > >	3 ¹ / ₂	11	3	1
1837 > 1 >	4 079 000 > >	5	5	9	1
1838 > 1 >	10 471 000 > >		4	11	—
1839 > 1 სექტ.	2 684 000 > >		8	5	2
1840 > 1 ივნისი	4 571 000 > >	4 ³ / ₄	5	9	1
1840 > 1 დეკ.	3 642 000 > >	5 ³ / ₄	7	6	2
1841 > 1 >	4 873 000 > >	5	3	12	—
1842 > 1 >	10 603 000 > >	2 ¹ / ₂	2	13	—
1843 > 1 ივნისი	11 566 000 > >	2 ¹ / ₂	1	14	—

II. 1844 წლიდან 1853 წლამდე

დრო	ბანკის ლითონური მარაგი გირვ. სტერლ.	დისკონტის საბანკო ნორმა %	ვაჭრ. 15 უმთავ. საგ.		
			ფასბა მიიმატა	ფასი დაეცა	უცვლელი დარჩა
1844 წ. 1 მარტი	16 162 000 გ. სტ.	2 ¹ / ₂	—	—	—
1845 > 1 დეკ.	13 237 000 > >	4 ¹ / ₂	11	4	—
1846 > 1 სექტ.	16 366 000 > >	3	7	8	—
1847 > 1 >	9 140 000 > >	6	6	6	3
1850 > 1 მარტი	17 126 000 > >	2 ¹ / ₂	5	9	1
1851 > 1 ივნისი	13 705 000 > >	3	2	11	2
1852 > 1 სექტ.	21 853 000 > >	1 ⁸ / ₄	9	5	1
1853 > 1 დეკ.	15 093 000 > >	5	14	—	1

ჰუბარდი ამას შემდეგ შენიშვნას უკეთებს: «როგორც ათწლეულში 1834 — 1843, ისე ათწლეულში 1844 — 1853 ბანკის ოქროს მარაგის რყევას ყოველთვის ახლდა დისკონტით გასესხებული ფულის სასესხო ღირებულების მატება ან კლება; მეორე მხრივ კი, საქონელთა ფასების ცვლილებები ქვეყნის შიგნით გვიჩვენებს სრულ დამოუკიდებლობას მიმოქცევის მოცულობისაგან, რამდენადაც ეს უკანასკნელი ინგლისის ბანკის ოქროს მარაგის რყევაში აშკარავდება» («Bank Acts Report», 1857, II, გვ. 290 და 291).

რადგან საქონელთა მოთხოვნა და მიწოდება არეგულირებს მათს საბაზრო ფასებს, ამიტომ აქ ცხადად ჩანს, თუ რამდენად მცდარია სასესხო კაპიტალის მოთხოვნის (ანუ, უფრო სწორად, მოთხოვნისაგან მიწოდების გადახრის), როგორც იგი დისკონტის ნორმით გამოიხატება, და ნამდვილი «კაპიტალის» მოთხოვნის გაიგივება ოვერსტონის მიერ. მტკიცება, საქონელთა ფასებს მიმოქცევის მოცულობაში არსებული რყევა არეგულირებსო, ახლა იმალება იმ ფრაზის უკან, რომ დისკონტის ნორმის რყევა გამოხატავს ნამდვილი ნივთობრივი კაპიტალის მოთხოვნის რყევას, განსხვავებით ფულადი კაპიტალისაგან. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ნორმენიც და ოვერსტონიც ამას მართლა ამტკიცებდნენ იმავე კომისიის წინაშე; დავინახეთ, რაოდენ უბადრუტ ხერხებს მიმართავდა განსაკუთრებით ოვერსტონი, ვიდრე იგი ბოლოს მთლად არ გაება მახეში (თავი XXVI). მართლაც, ეს ძველი ფანდია, ვითომ არსებული ოქროს რაოდენობის ცვლილებამ, ადიდებს ან ამცირებს რა მიმოქცევის საშუალებათა მასას ქვეყანაში, ამით გარდუვალად უნდა გაადიდოს ან შეამციროს საქონელთა ფასები ამ ქვეყნის შიგნით. თუ ოქროს გაიზიდება, მაშინ ამ **currency** — თეორიის * თანახმად, უნდა გაიზარდოს, საქონელთა ფასები იმ ქვეყანაში, სადაც ოქრო მიდის, და ამით უნდა გადიდდეს ოქროს გამზიდველი ქვეყნის ექსპორტის ღირებულება იმ ქვეყნის ბაზარზე, რომელსაც ოქრო შემოაქვს; პირიქით, უკანასკნელი ქვეყნის ექსპორტის ღირებულება პირველი ქვეყნის ბაზარზე უნდა დაეცეს, მაშინ როდესაც გაზიდული საქონლის ღირებულება იზრდება ამ საქონელთა სამშობლოში, სადაც ოქრო შედის. მაგრამ სინამდვილეში ოქროს რაოდენობის შემცირება ადიდებს მხოლოდ სარგებლის განაკვეთს, მაშინ როდესაც მისი გადიდება უკანასკნელს ამცირებს; და სარგებლის განაკვეთის ეს რყევა რომ არ მიიღებოდეს ანგარიშში ხარჯთფასების დაწესებისას და გავლენას არ ახდენდეს მოთხოვნასა და მიწოდებაზე, — იგი სრულიად ხელუხლებელს დატოვებდა საქონელთა ფასებს.

* ფულადი მიმოქცევის. რ ე ლ.

იმავე ანგარიშში ნ. ალექსანდერი, მეთაური ერთი მსხვილი ფირმისა, რომელიც მოსაქმეობას ეწევა ინდოეთში, ამგვარად გამოთქვამს თავის აზრს ინდოეთსა და ჩინეთში ვერცხლის მიქცევის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ორმოცდაათიანი წლების ნახევარში ნაწილობრივ ჩინეთის სამოქალაქო ომის გამო, რაც აბრკოლებდა ჩინეთში ინგლისის ქსოვილების გასაღებას, ნაწილობრივ კი ევროპაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გამო, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მებარეშუმეობა იტალიასა და საფრანგეთში:

«4337. ჩინეთისაკენ წარმოებს ვერცხლის მიქცევა თუ ინდოეთისაკენ? — თქვენ ვერცხლს გზავნით ინდოეთში და მისი მნიშვნელოვანი ნაწილით ყიდულობთ ოპიუმს, რომელიც მთლიანად ჩინეთში მიდის, რათა შეიქმნას ფონდი აბრეშუმის შესასყიდად; და ბაზრების მდგომარეობა ინდოეთში (მიუხედავად იქ ვერცხლის დაგროვებისა) ისეთია, რომ ვაჭრისთვის უფრო ხელსაყრელია იქ ვერცხლის გაგზავნა, ვიდრე ქსოვილის ან სხვა ინგლისური ფაბრიკატისა. — 4338. ხომ არ ჰქონია ადგილი ვერცხლის დიდი რაოდენობით მიქცევას საფრანგეთიდან, რის გამო ჩვენ ვერცხლი შემოგვივიდა? — დიახ, ეს მიქცევა ფრიალ დიდი იყო. — 4344. ნაცვლად იმისა, რომ აბრეშუმში იტალიიდან და საფრანგეთიდან შემოვზიდოთ, ჩვენ დიდი რაოდენობით ვგზავნით იქ მას, როგორც ბენგალიურს, ისე ჩინურს».

ამრიგად, აზიაში ვერცხლი — მსოფლიოს ამ ნაწილის ფულადი ლითონი — საქონელთა ნაცვლად იგზავნებოდა არა იმიტომ, რომ ამ საქონელთა ფასებმა აიწია იმ ქვეყანაში, რომელიც მათ აწარმოებს (ინგლისი), არამედ იმიტომ, რომ ეს ფასები დაეცა — დაეცა ჭარბი იმპორტის გამო — იმ ქვეყანაში, სადაც საქონელი შეიზიდება; და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ვერცხლი ინგლისის მიერ მიღებული იყო საფრანგეთიდან და ნაწილობრივ გადახდილი უნდა ყოფილიყო ოქროთი. Currency — თეორიის თანახმად, ასეთი იმპორტის დროს ფასები ინგლისში უნდა დაცემულიყო, ინდოეთსა და ჩინეთში კი — აწეულიყო.

მეორე მაგალითი. ვილი, ლივერპულის ერთი პირველი ვაჭართაგანი, შემდეგ ჩვენებას იძლევა ლორდთა კომისიის (C. D. 1848/57) წინაშე: «1994. 1845 წლის ბოლოს არ იყო არც ერთი უფრო ხელსაყრელი საქმე, რომელსაც ისე დიდი მოგების მოტანა შეძლებოდას (როგორც ბამბის რთვის საქმეს, ბამბის მარაგი დიდი იყო და კარგი, საქმისთვის გამოსადეგი ბამბა შეგეძლოთ მიგელოთ გირვანქა 4 პენსად და ასეთი ბამბიდან შეიძლებოდა კარგი *secunda mule twist* № 40-ის *

* ნართის სახეობა. რ ე დ.

დართვა აგრეთვე 4 პენსის დახარჯვით; მაშასადამე, მრთველის საერთო ხარჯი შეადგენდა 8 პენსს. 1845 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ეს ნართი იყიდებოდა დიდი რაოდენობით — და ასევე დიდი რაოდენობით იღებოდა ჩაბარების ხელშეკრულება — გირვანქა 10½ და 11½ პენსად, და ზოგ შემთხვევაში მრთველი იღებდა ბამბის ნაყიდობის ფასის ტოლ მოგებას. — 1996. საქმე ასე მომგებიანი იყო 1846 წლის დამდეგანდე. — 2 000. 1844 წლის 3 მარტს ბამბის მარაგი {627 042 ნაკრაული} ორჯერ და უფრო მეტი იყო იმათთან შედარებით, რაც დღეს არის 1848 წლის 7 მარტს, როდესაც იგი 301 070 ნაკრაულს შეადგენდა} და მინც გირვანქა 1¼ პენსით უფრო ძვირად ფასობდა». {6¼ პენსი წინააღმდეგ 5 პენსისა.} ამასთანავე ნართის — კარგი security mule twist № 40-ის — ფასი 11½ — 12 პენსიდან დაეცა 9½ პენსამდე 1847 წლის ოქტომბერში და 7¾ პენსამდე დეკემბრის ბოლოს; ნართი იყიდებოდა იმ ბამბის ნაყიდობის ფასად, რომლისგანაც დართული იყო (იქვე № 2021, 2023). ეს ამჟღავნებს ნამდვილი სახით ოვერსტონის ანგარებით სავსე სიბრძნეს, რომლის თანახმად ფული «ძვირი» უნდა იყოს, იმიტომ რომ კაპიტალია «იშვიათი». 1844 წლის 3 მარტს საბანკო სარგებლის განაკვეთი იყო 3%; 1847 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში იგი ავიდა 8 და 9%-ზე და 1848 წლის 7 მარტს შეადგენდა კიდევ 4%-ს. ბამბის ფასი, გასაღების სრული შეჩერებისა და პანიკის გამო, რასაც სარგებლის მაღალი განაკვეთი შეესაბამებოდა, მნიშვნელოვნად დაეცა იმ ფასზე დაბლა, რაც მიწოდების ოდენობას შეესაბამებოდა. ამის შედეგი იყო, ერთი მხრივ, იმპორტის დიდად შემცირება. 1848 წელს და, მეორე მხრივ, წარმოების შემცირება ამერიკაში; აქედან — ბამბის ფასების ხელახალი გადიდება 1849 წელს. ოვერსტონის თანახმად, საქონელი ძალიან ძვირი იყო იმიტომ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი ფული მოიპოვებოდა.

«2002. საქმის ის გაუარესება ბამბეულის მრეწველობაში, რასაც ახლახან ჰქონდა ადგილი, არ შეიძლება ნედლი მასალის ნაკლებობას მივაწეროთ, რადგან ფასი დაწეულია, თუმცა ნედლი ბამბის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა». ოვერსტონის ხელში კი მისთვის სასიამოვნოდ არის ერთმანეთში არეული საქონლის ფასი — შესაბამისად ღირებულება — და ფულის ღირებულება, ე. ი. სარგებლის განაკვეთი. თავის პასუხში 2 026 კითხვაზე ვილი გამოთქვამს თავის საერთო აზრს currency-თეორიის შესახებ, რომლის თანახმად კარდუელი და სერ ჩარლზ ვუდი 1847 წლის მაისში «დაჟინებით მოითხოვდნენ 1844 წლის საბანკო აქტის გატარებას მთელი მისი შინაარსით». «ეს პრინციპები, ჩემი აზრით, იმგვარი პრინციპებია, რომ ფულს აძლევს ხელოვნურად

მალალ ღირებულებას, ხოლო ყველა საქონელს — ხელოვნურად განაღდგურებელ დაბალ ღირებულებას». — საქმეთა საერთო მდგომარეობაზე ამ საბანკო აქტის ზეგავლენის შესახებ იგი ქვემოთ შემდეგს ამბობს: «რადგან დიდი მსხვერპლით შეიძლებოდა იმ ოთხთვიანი თავასუქების დისკონტირება, რომლებიც გაყიდული და შეერთებული შტატებისთვის განკუთვნილი საქონლის საფუძველზე იყო საფაბრიკო ქალაქების მიერ ვაჭრებსა და ბანკირებზე გაცემული, ამიტომ დაკვეთათა შესრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლებული იყო მთავრობის 25 ოქტომბრის განკარგულებამდე (საბანკო აქტის მოქმედების შეჩერებაამდე), როდესაც ხელახლა შეიქმნა ამ ოთხთვიანი თავასუქების დისკონტირების შესაძლებლობა [2097]. მაშასადამე, საბანკო აქტის მოქმედების შეჩერება პროვინციაშიც მსხვერპლი საშუალება იყო. — 2102. წარსულ ოქტომბერში (1847 წ.) თითქმის ყველა ამერიკელმა მყიდველმა, რომლებიც აქ საქონელს ყიდულობდნენ, დაუყოვნებლივ შეზღუდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, თავისი დაკვეთები; და როგორც კი ამერიკაში მოვიდა ამბავი ფულის გაძვირების შესახებ, ყველა ახალი დაკვეთა შეწყდა. — 2134. პური და შაქარი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენდა. პურის ბაზარზე გავლენა ჰქონდა მოსავლის პირს, შაქარზე გავლენას ახდენდა კოლოსალური მარაგი და იმპორტი. — 2163. ჩვენი საგადასახდელო ვალდებულებებიდან ამერიკის მიმართ... ბევრის ლიკვიდაცია მოხდა საკონსიგნაციოდ გაგზავნილ საქონელთა იძულებითი გაყიდვის გზით და ბევრი, ვშიშობ, გაუქმებულ იქნა იმ გაკოტრებათა შედეგად, რომლებსაც აქ ადგილი ჰქონდა. — 2196. თუ მეხსიერება არ მალაატობს, ჩვენს საფონდო ბირჟაზე 1847 წლის ოქტომბერში 70%-ამდე სარგებელს იხდიდნენ».

1837 წლის კრიზისმა მისი ხანგრძლივი მტკივნეული შედეგებითურთ, რომელსაც 1842 წელს ნამდვილი დამატებითი კრიზისი [Nachkrise] დაერთო, და ანგარებით გამოწვეულმა დაბრმავებამ მრეწველთა და ვაჭართა, რომელთაც არასგზით არ უნდოდათ იმის დანახვა, რომ ჭარბწარმოებას ჰქონდა ადგილი, — ვულგარული ეკონომიის თანახმად ჭარბწარმოება ხომ უაზრობა და შეუძლებლობა არის! — წარმოშვა, ბოლოს და ბოლოს, ადამიანთა თავში ის არევ-დარევა, რომელმაც საშუალება მისცა currency-სკოლას თავისი დოგმა პრაქტიკულად გამოეყენებინა ეროვნული მასშტაბით. 1844 — 1845 წლის საბანკო კანონმდებლობა გატარდა პარლამენტში.

1844 წლის საბანკო აქტი ინგლისის ბანკს ჰყოფს ბანკნოტების საემისიო განყოფილებად და საბანკო განყოფილებად. პირველი იღებს უზრუნველყოფას — მეტწილად სახელმწიფო ვალის მოწმობებს —

14 მილიონის რაოდენობით და მთელ ლითონურ მარაგს, რომელიც მაქსიმალურად $\frac{1}{4}$ -ით შეიძლება ვერცხლისგან შედგებოდეს და უშვებს ორთავეს ჯამის შესაბამისად ბანკნოტებს. რამდენადაც ეს ბანკნოტები საზოგადოების ხელში არ იმყოფება, — საბანკო განყოფილებაში დევს და შეადგენს ყოველდღიური მოთხოვნილებებისთვის აუცილებელ (დაახლოებით ერთი მილიონის) მონეტასთან ერთად ბანკის პუდამ მზა მარაგს. საემისიო განყოფილება საზოგადოებას აძლევს ბანკნოტებს ოქროში და ოქროს — ბანკნოტებში; დანარჩენ საქმეებს საზოგადოებასთან საბანკო განყოფილება აწარმოებს. კერძო ბანკებმა, რომლებსაც 1844 წლამდე უფლება ჰქონდათ საკუთარი ბანკნოტები გამოეშვათ ინგლისსა და უელსში, შეინარჩუნეს ეს უფლება, მხოლოდ შათი ბანკნოტების ემისია შეზღუდული იყო კონტინგენტით; თუ რომელიმე ასეთმა ბანკმა შეწყვიტა საკუთარი ბანკნოტების ემისია, ინგლისის ბანკს უფლება აქვს თავისი დაუფარავი ბანკნოტების რაოდენობა გააღიღოს განთავსებული კონტინგენტის $\frac{2}{3}$ -ით; ამ გზით ეს რაოდენობა 1892 წლისთვის 14-იდან გაიზარდა 16 $\frac{1}{2}$ მილიონ გირვ. სტერლინგამდე. ზუსტად რომ ითქვას — 16 450 000 გირვ. სტერლინგამდე.

ამრიგად, ნაცვლად თვითეული ხუთი გირვ. სტერლინგისა ოქროთი, რომელიც ბანკის მარაგიდან გადის, საემისიო განყოფილებაში შედის ზუთგირვანქიანი ბანკნოტი და იქ ისპობა; თვითეული ხუთი სოვერენის სამაგიეროდ, რომელიც ბანკის მარაგში შედის, მიმოქცევაში გადადის ახალი ზუთგირვანქიანი ბანკნოტი. ამით პრაქტიკულად ზორციელდება ოვერსტონისებური იდეალური ქაღალდის მიმოქცევა, რომელიც ზუსტად ლითონური მიმოქცევის კანონებს ექვემდებარება, და ამით, currency-სკოლის მიმდევართა მტკიცების თანახმად, კრიზისები სამუდამოდ შეუძლებელი ხდება.

მაგრამ სინამდვილეში ბანკის დაყოფამ ორ დამოუკიდებელ განყოფილებად დირექციას წაართვა იმის შესაძლებლობა, რომ გადამწყვეტ მომენტებში თავისუფლად გამოეყენებინა მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალება, ასე რომ შესაძლო გახდა ისეთი შემთხვევების წარმოქმნა, როდესაც საბანკო განყოფილება გაკოტრების პირას იდგა, მაშინ როდესაც საემისიო განყოფილებას ხელუხლებელი ჰქონდა მილიონები ოქროთი და გარდა ამისა კიდევ თავისი 14 მილიონის უზრუნველყოფა. ამასთან ასეთი მდგომარეობა მით უფრო ადვილად შეიძლება შექმნილიყო, რომ თითქმის ყოველ კრიზისს ახასიათებს ისეთი პერიოდი, როცა ადგილი აქვს ოქროს დიდ მიქცევას საზღვარგარეთ, რაც უმთავრესად ბანკის ლითონური მარაგით უნდა იქნეს დაფარული. მაგრამ თვითეული ხუთი გირვანქის სანაცვლოდ, რომელიც შემდეგ

საზღვარგარეთ მიდის, შინაგან მიმოქცევას გამოეცლება ხუთვირვანქიანი ბანკნოტი, მაშასადამე, მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა მცირდება სწორედ იმ მომენტში, როცა ეს ბანკნოტები ყველაზე უფრო საჭიროა და მათი მოთხოვნილება ყველაზე უფრო ძლიერია. ამრიგად, 1844 წლის საბანკო აქტი პირდაპირ აქეზებს ვაჭრობის მაწარმოებელ წრეებს, კრიზისის დადგომისას, სანამ ჯერ კიდევ დრო არის, მარაგად შემოინახონ ბანკნოტები და, მაშასადამე, დააჩქარონ და გაამწვავონ კრიზისი; ფულადი სესხის, ე. ი. გადახდის საშუალების, მოთხოვნის ასეთი ხელოვნური გადიდებით, რაც გადამწყვეტ მომენტში თავს იჩენს, და იმავე დროს მისი მიწოდების შეზღუდვით, აღნიშნული აქტი იწვევს სარგებლის განაკვეთის აწევას მანამდე გაუგონარ სიმაღლემდე; ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ მოსპოს კრიზისი, იგი აძლიერებს მას იმდენად, რომ კრახი უნდა განიცადოს ან მთელმა სამრეწველო სფერომ, ანდა საბანკო აქტმა. ორჯერ, 1847 წლის 25 ოქტომბერს და [1857 წლის] 12 ნოემბერს, კრიზისმა მიაღწია ასეთ სიმაღლეს; მაშინ მთავრობამ გაანთავისუფლა ბანკი შეზღუდვისაგან ბანკნოტების გამოშვებაში, შეაჩერა რა 1844 წლის აქტის მოქმედება, და ორივეჯერ ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მოტეხილიყო კრიზისი. 1847 წელს საკმარისი იყო იმის რწმენა, რომ შეიძლებოდა საიმედო უზრუნველყოფის საფუძველზე ბანკნოტების მიღება, რათა სინათლეზე გამოტანილიყო და მიმოქცევას დაბრუნებოდა 4 — 5 მილიონი გირვ. სტერლინგის რაოდენობით მარაგად დაგროვილი ბანკნოტები; დაწესებულ ნორმაზე მეტად 1857 წელს გამოშვებულ იქნა ბანკნოტები თითქმის ერთი მილიონი გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მაგრამ — სულ მოკლე დროით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ 1844 წლის კანონმდებლობას ჯერ კიდევ ატყვია კვალი, რომელიც მოგვაგონებს საუკუნის პირველ 20 წელს, იმ დროს, როცა ადგილი ჰქონდა ბანკნოტების ოქროზე გადახურდავების შეწყვეტას ბანკის მიერ და მათ გაუფასურებას. შიში, რომ ბანკნოტებს შესაძლებელია ნდობა დაეკარგოს, აქ კიდევ შესამჩნევად იგრძნობა: სრულიად ზედმეტი შიში, ვინაიდან უკვე 1825 წელს ერთვირვანქიანი ბანკნოტების ძველი მარაგის გამოშვებამ, რომლებიც მიმოქცევიდან ამოღებული იყო, მოტეხა კრიზისი და მით დაამტკიცა, რომ საყოველთაო და ძლიერი უნდობლობის დროსაც კი, ბანკნოტებისადმი ნდობა არ იყო შერყეული და ეს სრულიად გასაგებია; ფაქტიურად ხომ მთელი ერი დგას მთელი მისი კრედიტით ამ ღირებულების ნიშნების უკან. — ფ. 0.1

მოვისმინოთ კიდევ რამდენიმე ჩვენება საბანკო აქტის გავლენის შესახებ. ჯ. სტ. მილი ფიქრობს, რომ 1844* წლის საბანკო აქტი აკავებდა სპეკულაციას. ეს ბრძენი კაცი, რაღაც ბედნიერი შემთხვევის გამო, ჩვენებას აძლევდა სწორედ 1857 წლის 12 ივნისს. ოთხი თვის შემდეგ კრიზისმა იფეთქა. მილი პირდაპირ ულოცავს «ბანკის ღირებუტორებს და საზოგადოებას საერთოდ» იმას, რომ მათ «ახლა ბევრად უკეთ ესმით, ვიდრე უწინ, ვაჭრობის კრიზისის ბუნება და ის დიდოზიანი, რასაც ისინი თავის თავს და საზოგადოებას აყენებენ უზომო სპეკულაციისთვის დახმარების გაწევით» (B. C. 1857, № 2031).

ბრძენი მილი ფიქრობს, რომ თუ ერთგირვანქიანი ბანკნოტების გამოშვება ხდება «სესხის სახით მეფაბრიკეთა და სხვებისთვის, რომელნიც ხელფასს იხდიან... ეს ბანკნოტები შეიძლება მოხედეს სხვა პირთა ხელში, რომელნიც მათ მოხმარების მიზნებისთვის დახარჯავენ, და ამ შემთხვევაში ბანკნოტები თავისთავად ქმნიან მოთხოვნას საქონლის მიმართ და მათ შეუძლიათ დროებით ხელი შეუწყონ ფასების გადიდებას» (2066). მაშასადამე, ბ-ნი მილი ფიქრობს, რომ მეფაბრიკენი უფრო დიდ ხელფასს გადაიხდიან, რადგან მას ქალაქით გასცემენ და არა ოქროთი? ანდა იგი ფიქრობს, რომ თუ მეფაბრიკე თავის სესხს მიიღებს ასგირვანქიანი ბანკნოტების სახით და შემდეგ ამას ოქროზე დაახურდავებს, — ეს ხელფასი ნაკლები მოთხოვნის წარმოქმნელი იქნება, ვიდრე მაშინ, იგი პირდაპირ ერთგირვანქიანი ბანკნოტებით რომ ყოფილიყო გაცემული? და განა მან არ იცის, რომ, მაგალითად, ზოგ სამთანადრო ოლქში ხელფასის გაცემა ხდებოდა ადგილობრივი ბანკების ბანკნოტებით, ასე რომ რამდენიმე მუშა ერთად იღებდა ერთ ხუთგირვანქიან ბანკნოტს? განა ეს ადიდებას მოთხოვნას მუშების მხრივ? ან, იქნებ, ბანკირები წვრილი ბანკნოტებით უფრო ადვილად და მეტ ფულს მისცემენ კაპიტალისტებს სესხად, ვიდრე მსხვილი ბანკნოტებით?

{ მილის ეს საოცარი შიში ერთგირვანქიანი ბანკნოტების წინაშე შეუძლებელი იქნებოდა აგვეხსნა, მთელი მისი ნაშრომი პოლიტიკური ეკონომიის დარგში რომ არ ამელავენებდეს ეკლექტიზმს, რომელიც უკან არ იხევს არავითარი წინააღმდეგობის წინაშე. ერთი მხრივ, იგი ეთანხმება ბევრ რამეში ტუკს ოვერსტონის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, სწამს, რომ საქონელთა ფასები არსებული ფულის რაოდენობით განისაზღვრება. მაშასადამე, იგი სრულიადაც არაა დარწმუნებული, რომ თვითელი გამოშვებული ერთგირვანქიანი ბანკნოტის სამაგიეროდ —

* 1894 წ. გამოცემაში დაბეჭდილია — 1847 წ. რ ე დ.

სხვა თანაბარ პირობებში — ბანკის სალაროში ერთი სოვერენი შედის; იგი შიშობს, რომ მიმოქცევის საშუალებათა მასა შეიძლება გადიდდეს და ამით გაუფასურდეს, ე. ი. საქონელთა ფასები გადიდდეს. მხოლოდ ესაა და სხვა არაფერი, რაც ზემოაღნიშნული შიშის უკან იმალება. — ფ. ე. |

ბანკის ორ განყოფილებად დაყოფისა და ბანკნოტების დახურდავებისათვის უზომო მზრუნველობის შესახებ ტუკი თავის აზრს შემდეგგვარად გამოთქვამს 1848/57 წ. C. D-ის წინაშე:

«სარგებლის განაკვეთის უფრო დიდი რყევა 1847 წელს 1837 და 1839 წლებთან შედარებით გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ბანკის ორ განყოფილებად დაყოფით (3010). — ბანკნოტების დახურდავების უზრუნველყოფა არ შერყეულა არც 1825 წელს, არც 1837 და 1839 წელს (3015). — ოქროს მოთხოვნას 1825 წელს მიზნად ჰქონდა მხოლოდ იმ ცარიელი ადგილის ამოვსება, რომელნიც წარმოიქმნა იმის გამო, რომ პროვინციული ბანკების ერთგირვანქიანი ბანკნოტების სრული დისკრედიტაცია მოხდა; ეს ცარიელი ადგილი მხოლოდ ოქროთი შეიძლებოდა ამოვსებულიყო, ვიდრე ინგლისის ბანკმა არ დაიწყო, თავის მხრივ, ერთგირვანქიანი ბანკნოტების გამოშვება (3022). — 1825 წლის დეკემბერში სრულიად არ არსებობდა ოქროს მოთხოვნა საექსპორტოდ» (3023).

«რაც შეეხება ბანკის მიმართ ნდობის დაკარგვას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, — დივიდენდებისა და ანაბრების გაცემის შეჩერებას ბევრად უფრო მძიმე შედეგები ექნებოდა, ვიდრე ბანკნოტების დახურდავების შეჩერებას» (3028).

«3035. ხომ არ იტყოდით თქვენ, რომ ყოველ გარემოებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით ბანკნოტების დახურდავებას საფრთხეში აგდებს, კომერციული შეფერხების მომენტში შეიძლებოდა ახალი და სერიოზული სიძნელეები წარმოეშვა? — სრულიადაც არა».

1847 წლის განმავლობაში «ბანკნოტების გადიდებულ გამოშვებას, შესაძლოა, ხელი შეეწყო ბანკის ოქროს მარაგის ხელახლა შევსებისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1825 წელს» (3058).

B. A-ის წინაშე 1857 წ. ნიუმარჩი ამბობს: «1357. პირველი ცული შედეგი (ბანკის) ორი განყოფილების ამ განცალკევებისა და ოქროს მარაგის ორად დაყოფისა, რაც მას გარდუვალად მოსდევს, იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის ბანკის საბანკო ოპერაციები, ე. ი. ოპერაციების მთელი ის ღარგი, რომელიც ბანკს უშუალო კავშირში აყენებს ქვეყნის ვაჭრობასთან, წინანდელი მარაგის მხოლოდ ნახევარი თანხით წარმართებოდა. მარაგის ამ დაყოფის გამო ისეთი ვითარება შეიქმნა,

რომ, როგორც კი საბანკო განყოფილებების რეზერვი ცოტათიც კი შემცირდებოდა, ბანკი იძულებული იყო თავისი დისკონტის ნორმა აეწია. ამ შემცირებულმა რეზერვმა ამიტომ მთელი რიგი ნახტომისებრი ცვლილებები გამოიწვია სადისკონტო ნორმაში. — 1358. ასეთი ცვლილებები იყო 1844 წლიდან» 1857 წლის იენისამდე { «დაახლოებით 60-ამდე, მაშინ როდესაც 1844 წლამდე ამ ცვლილებების რიცხვი იმდენივე ხნის განმავლობაში 12-საც კი არ შეადგენდა».

განსაკუთრებით საინტერესოა პალმერის, 1811 წლიდან ინგლისის ბანკის დირექტორის და რამდენიმე ხნის განმავლობაში მმართველის, ჩვენება ლორდათა კომისიის (C. D. 1848/57) წინაშე:

«828. 1825 წლის დეკემბერში ბანკს ჰქონდა კიდევ მხოლოდ დაახლოებით 1 100 000 გირვ. სტერლინგი ოქრო. იგი უეჭველად სულ მთლად გაკოტრდებოდა, მაშინ რომ ეს {1844 წლის} აქტი არსებულიყო. დეკემბერში ბანკმა გამოუშვა, მგონი, 5 თუ 6 მილიონის ბანკნოტები ერთ კვირაში, და ამან მნიშვნელოვნად შეარბილა მაშინდელი პანიკა.

«825. 1837 წლის 28 თებერვალი იყო პირველი მომენტი {1825 წლის 1 ივლისიდან}, როცა ახლანდელი საბანკო კანონმდებლობა გაკოტრდებოდა, ბანკი რომ შეცდილიყო ერთხელვე დაწყებული ოპერაციები ბოლომდე მიეყვანა; 3 900 000 — 4 000 000 გირვ. სტერლინგიდან, რომელიც ბანკის განკარგულებაში იყო მაშინ, იგი სულ რაღაც 650 000 გირვ. სტერლინგს შეინარჩუნებდა თავის მარაგში. მეორე ასეთი პერიოდი იყო 1839 წელს და გაგრძელდა 9 ივლისიდან 5 დეკემბრამდე. — 826. რა რაოდენობისა იყო რეზერვი ამ შემთხვევაში? 5 სექტემბერს რეზერვი შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ დეფიციტისაგან 200 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით (the reserve was minus altogether 200000 გირვ. სტერ.). 5 ნოემბერს იგი გაიზარდა დაახლოებით 1 — 1½ მილიონამდე. — 830. 1844 წლის აქტი 1837 წელს რომ არსებულიყო, იგი ხელს შეუშლიდა ბანკს დახმარებოდა ამერიკასთან ვაჭრობას. — 831. სამი ყველაზე მთავარი ფირმა გაკოტრდა... თითქმის ყოველ ფირმას, რომელიც საქმეებს აწარმოებდა ამერიკასთან, კრედიტი დაეკარგა, და მაშინ ბანკი რომ არ მიშველებოდა, მე მგონია, ერთ ან ორ ფირმაზე მეტი ვერ გადარჩებოდა. — 836. 1837 წლის შევიწროებული მდგომარეობა არ შეიძლება შევადაროთ 1847 წლის შევიწროებულ მდგომარეობას. პირველი თითქმის მხოლოდ ამერიკული ოპერაციებით შემოიფარგლებოდა». — 838. (1837 წლის დამდეგს ბანკის დირექტორში დისკუსიის საგანს შეადგენდა ის, თუ რა ღონისძიებებით შეემსუბუქებინათ შევიწროება). «ზოგი იმ აზრს იცავდა... რომ

სწორი პრინციპი იქნებოდა სარგებლის განაკვეთის გადიდება, რის გამო საქონელთა ფასები დაეცემოდა, ერთი სიტყვით, უნდა გაეძვირებინათ ფული და გაეიაფებინათ საქონელი, რაც შექმნიდა საზღვარგარეთ გადასახდელთა დაფარვის შესაძლებლობას (by which the foreign payment would be accomplished). — 906. ბანკის უფლებამოსილობის ხელოვნური შეზღუდვა 1844 წლის აქტით, მისი უფლებამოსილობის ძველი და ბუნებრივი ზღუდის ნაცვლად, რაც მისი ლითონური მარაგის ნამდვილი მოცულობით განისაზღვრებოდა, ხელოვნურ სიძნელეს ქმნის საქმის მსვლელობაში და ამით ისეთ გავლენას ახდენს საქონელთა ფასებზე, რის თავიდან აცილება შეიძლებოდა ამ აქტის გარეშე. — 968. 1844 წლის აქტის მოქმედების დროს ჩვეულებრივ პირობებში შეუძლებელია ბანკის ლითონური მარაგის არსებითად $9\frac{1}{2}$ მილიონზე დაბლა ჩამოყვანა. ეს მოახდენდა ფასებსა და კრედიტზე ზეგავლენას, რაც გამოიწვევდა ისეთ ცვლილებას საგარეო სათამასუქო კურსში, რომ ოქროს იმპორტი გაიზრდებოდა და გაადიდებდა ოქროს რაოდენობას საემისიო განყოფილებაში. — 996. ახლანდელი შეზღუდვის არსებობისას «თქვენ { ბანკს } «არ ძალგიძთ განავით ვერცხლის მოძრაობა, რაც აუცილებელია იმ მომენტებში, როცა ვერცხლი საჭიროა საგარეო კურსზე ზეგავლენის მოსახდენად. — 999. რა მიზანი ჰქონდა იმ კანონს, რომელმაც ბანკის ვერცხლის მარაგი შეზღუდა მისი საერთო ლითონური მარაგის $\frac{1}{6}$ -ით? — ამ კითხვაზე მე არ შემიძლია გიპასუხოთ».

მიზანი იყო ფულის გაძვირება, — იგივე მიზანი, რაც, currency-თეორიისგან დამოუკიდებლად, ჰქონდა ბანკის ორი განყოფილების განცალკევებას და შოტლანდიის და ირლანდიის ბანკებისთვის იმ ვალდებულების დაწესებას, რომ მათ განსაზღვრულ ნორმაზე მეტად გამოშვებული ბანკნოტების დასაფარავად ოქრო ჰქონოდათ მარაგად. ამგვარად წარმოიქმნა ეროვნული ლითონური მარაგის დეცენტრალიზაცია, რამაც შეასუსტა არახელსაყრელი სათამასუქო კურსის გასწორების მისი უნარი. სარგებლის განაკვეთის გადიდებისკენაა მიმართული ყველა შემდეგი დადგენილება: ინგლისის ბანკს უფლება არა აქვს 14 მილიონ. გირვ. სტერლინგზე მეტი თანხის ბანკნოტები გამოუშვას სხვანაირად, თუ არა ოქროს მარაგით დაფარვის გზით; საბანკო განყოფილებას უნდა განაგებდნენ როგორც ჩვეულებრივ ბანკს, რომელმაც სარგებლის განაკვეთი უნდა შეამციროს ფულის სიუხვის პერიოდებში და გაადიდოს შევიწროების პერიოდებში; ვერცხლის მარაგის, — კონტინენტთან და აზიასთან სათამასუქო კურსის მოწესრიგების მთავარი საშუალების — შეზღუდვა; დადგენილი წესი შოტლანდიის და ირლან-

დიის ბანკებისთვის, რომელნიც არასოდეს არ საჭიროებენ ოქროს ექსპორტისათვის და მაინც იძულებული არიან იგი მარაგად ჰქონდეთ ბანკოტების — სინამდვილეში სრულიად ილუზორული — დახურდაცების უზრუნველყოფის სახაზით. ფაქტია ის, რომ 1844 წლის აქტმა პირველად გამოიწვია 1857 წელს მასობრივი იერიში შოტლანდიის ბანკებზე ოქროს მოსათხოვნად. ახალი საბანკო კანონმდებლობაც არავითარ განსხვავებას არ ცნობს ოქროს მოძრაობაში საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით, თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ ერთის და მეორის შედეგები სრულიად სხვადასხვაა. აქედან — სარგებლის საბაზრო ნორმის მუდმივი ინტენსიური რყევა. პალმერი, № 992 და 994 შეკითხვების საპასუხოდ, ორჯერ ამბობს, რომ ინგლისის ბანკს შეუძლია ბანკოტებით იყიდოს ვერცხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათამაშო კურსი ხელსაყრელია ინგლისისთვის და, მაშასადამე, ვერცხლი ზედმეტია; იმიტომ რომ: «1003. ერთადერთი მიზანი, რომლის გამო შეიძლება ლითონური მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერცხლის სახით არსებობდეს, იმაში მდგომარეობს, რომ გადასახდელთა გასტუმრება საზღვარგარეთ გადავილდეს იმ პერიოდებში, როცა სათამაშო კურსი არახელსაყრელია ინგლისისთვის. — 1004. ვერცხლი საქონელია, რომელიც, სწორედ იმიტომ, რომ ფულს წარმოადგენს მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის, ყველაზე უფრო შესაფერი საქონელია... ამ მიზნისთვის» [საზღვარგარეთ გადასახდელისთვის]. «მართო შეერთებული შტატები იღებდნენ ამ უკანასკნელ დროს მხოლოდ და მხოლოდ ოქროს».

მისი აზრით, ინგლისის ბანკს შევიწროების პერიოდებში არ სჭირდებოდა სარგებლის განაკვეთის აწევა ძველ ნორმაზე — 5%-ზე — ზევით, ვიდრე არახელსაყრელი სათამაშო კურსი ოქროს საზღვარგარეთ მიქცევას არ გამოიწვევდა. 1844 წლის აქტი რომ არ ყოფილიყო, ბანკი დაუბრკოლებლად შეძლებდა ყველა იმ პირველხარისხოვანი თამაშოების (first class bills) დისკონტირებას, რომლებსაც მას წარუდგენდნენ [1018—1020]. მაგრამ 1844 წლის აქტის არსებობისას და იმ მდგომარეობაში, რომელშიც ბანკი იმყოფებოდა 1847 წლის ოქტომბერში, «არ იყო ისეთი სარგებლის განაკვეთი, რომელიც არ შეეძლო ბანკს მოეთხოვა კრედიტუნარიანი ფირმებისგან და რომლის გადახდაც ესენი არ დათანხმებულყვნენ, რათა გადასახდელთა გასტუმრება არ შეეწყვიტათ». და სწორედ სარგებლის ეს მაღალი განაკვეთი იყო აქტის მიზანი.

«1029. მე საჭიროდ მიმაჩნია მკვეთრად განვასხვავო სარგებლის განაკვეთის გავლენასაზღვარგარეთის მოთხოვნაზე» [ძვირთხასი ლითონ-

ნის მიმართ } და სარგებლის გადიდება იმ მიზნით, რომ შეზღუდულ იქნეს კრედიტის გაძლიერებული მოთხოვნა ბანკისგან იმ მომენტში, როდესაც ქვეყნის შიგნით კრედიტის ნაკლებობაა. — 1023. 1844 წლის აქტამდე, როდესაც კურსი ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის და ქვეყანას მოუსვენრობა — ნამდვილი პანიკაც კი — მოედო, არავითარი ზღუდე არ ჰქონდა დადებული ბანკნოტების გამოშვებას, რასაც ერთადერთს შეეძლო ამ შევიწროებული მდგომარეობის შემსუბუქება».

ასე ლაპარაკობს კაცი, რომელიც ინგლისის ბანკის დირექციაში იყო 39 წლის განმავლობაში. ახლა მოვუსმინოთ კერძო ბანკირს ტუელსს, რომელიც 1801 წლიდან მონაწილე იყო ფირმის: სპუნერ, ატუდ და კომპ. იგი ერთადერთია B. C.-ეს მიერ 1857 წელს დაკითხულ ყველა მოწმეთაგან, რომელიც ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობის დანახვის შესაძლებლობას იძლევა და კრიზისის მოახლოებას ხედავს. სხვა მხრივ იგი სახესხვაობაა little-schilling-ის [შემცირებული შილინგის] ბირმინგამელი მომხრისა, მსგავსად მის ამხანაგთა, ძმათა ატუდთა, რომელნიც ამ სკოლის დამაარსებელნი არიან (იხ. «Zuz Kritik der politischen Oekonomie» [1859 წ.] გვ. 59) * იგი ამბობს: «4488. რა გავლენა იქონია, თქვენი აზრით, 1844 წლის აქტმა? — თუ მე ამ კითხვაზე უნდა გიპასუხოთ როგორც ბანკირმა, ვიტყვი, რომ კანონმა ჩინებული გავლენა იქონია, რადგან ბანკირებს და ყოველგვარ {ჯუულად} კაპიტალისტებს მდიდარი სამკალი მისცა. მაგრამ მას სავალალო შედეგები ჰქონდა პატიოსანი, მუყაითი საქმის კაცისთვის, რომელსაც დისკონტის მტკიცე ნორმა ესაჭიროება, რათა მას იმედიანად შეეძლოს თავისი საქმეების წარმართვა... კანონმა ფულის გასესხება ძალიან მომგებიან ოპერაციად აქცია.—4489. იგი {საბანკო აქტი შესაძლებლობას აძლევს ლონდონის აქციონერულ ბანკებს 20 — 22% მისცენ ზოლმე თავიანთ აქციონერებს? — ერთმა მათგანმა ამას წინათ 18% გასცა. მეორემ, რამდენადაც ვიცი, 20%; მათ ყველას სრული საფუძველი აქვთ თავგამოდებით დაიცვან აქტი. — 4490. წვრილმოსაქმე ადამიანებს და საპატიო ვაჭრებს, რომელთაც დიდი კაპიტალი არ გააჩნიათ... ძალიან ავიწროებს ეს აქტი... ერთადერთი საშუალება, რომლითაც მე ამის გაგება შემიძლია, იმაში მდგომარეობს, რომ მე ვხედავ მათი აქცეპტების საკვირველ მასას, რომლებიც გადაუხდელი რჩება. ეს აქცეპტები ყოველთვის მცირე თანხისაა, დაახლოებით 20 — 100 გირვ. სტერლინგისა, ბევრი მათგანი გადაუხდელი რჩება და ამიტომ, ამ გადაუხდელობის გამო, უკან იგზავნება ქვეყნის ყველა ნაწილში, და ეს ყოველთვის

* იხ. კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი, 1953,

ნიშანია წვრილი ვაჭრების... შევიწროებული მდგომარეობისა».—4494. იგი აცხადებს, კომერციული ოპერაცია ამჟამად მომგებიანი არ არისო. შემდეგი მისი შენიშვნები მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ იგი ხედავდა კრიზისს ფარულ მდგომარეობაში, მაშინ, როცა დანარჩენთაგან არავინ არ გრძნობდა მას.

«4494. ფასები Mincing Lane-ში* ჯერ კიდევ რამდენადმე მტკიცედ დგას, მაგრამ არაფერი არ იყიდება, გაყიდვა არ ხერხდება არავითარ ფასში. ფასები ნომინალურია». — 4495. იგი მოგვითხრობს ერთ შემთხვევას: ვინმე ფრანგი უზგავნის ერთ მაკლერს Mincing Lane-ში 3 000 გირვ. სტერლინგის საქონელს განსაზღვრულ ფასში გასაყიდად. მაკლერს არ შეუძლია დანიშნული ფასის აღება, ფრანგს კიდევ არ შეუძლია უფრო იაფად გაყიდვა. საქონელი გაჩერებულია საწყობში, ფრანგს კი ფული ესაჭიროება. ამიტომ მაკლერი სესხად აძლევს მას 1 000 გირვ. სტერლინგს, ასე რომ საქონლით უზრუნველყოფის საფუძველზე ფრანგი 1 000 გირვ. სტერლინგის თამასუქს გამოწერს მაკლერზე 3 თვის ვადით. სამი თვის გასვლისას გადახდის ვადა დგება, მაგრამ საქონელი კიდევ გაუყიდავია. მაშასადამე, მაკლერმა თამასუქი უნდა გაანაღდოს, და თუმცა მას დაფარვა ჰქონდა 3 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მაგრამ არ შეეძლო მისი რეალიზაცია და ამის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. და ასე ერთი ძირს ჩაითრევს მეორეს. — 4496. «რაც შეეხება გაძლიერებულ ექსპორტს... თუ საქმეები ქვეყნის შიგნით შევიწროებულ მდგომარეობაშია, ეს აუცილებლად იწვევს გაძლიერებულ ექსპორტს». — 4497. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ მოხმარება ქვეყნის შიგნით შემცირდა? — ფ რ ი ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ... ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ა დ... ცალობით მოვაჭრენი ამ შემთხვევაში ყველაზე საიმედო ავტორიტეტები არიან. — 4498. და მაინც იმპორტი ძალიან დიდია; განა ეს მაჩვენებელი არაა ძლიერი მოხმარების?—რასაკვირველია, თუ თქვენ შეგიძლიათ გაყიდოთ; მაგრამ საქონლის ბევრი საწყობი გავსებულია შემოზიდული საგნებით; იმ მაგალითში, რომელიც მე ახლა აღვნიშნე, 3 000 გირვ. სტერლინგის საქონელი იყო შემოზიდული და გაუყიდავი დარჩა.

«4514. თუ ფული ძვირია, იტყოდით თქვენ, — კაპიტალი იაფი არისო? — დიახ, რასაკვირველია». — მაშასადამე, ეს ადამიანი სრულიადაც არაა ოვერსტონის აზრის, რომ სარგებლის მაღალი განაკვეთი იგივეა, რაც ძვირი კაპიტალიო.

* იხ. შენიშვნა ამ ტომის 49 გვერდზე, რ ე დ.

როგორ წარმართავენ ახლა საქმეებს: 4616... «სხვები ძალიან თავ-აწყვეტილები არიან, უზარმაზარ საქმეებს აწარმოებენ იმპორტსა და ექსპორტში, ბევრად იმაზე მეტს, რის ნებასაც მათი კაპიტალი იძლევა, — ამაში არავითარი ექვის შეტანა არ შეიძლება. ეს შეიძლება წარმატებით დასრულდეს ამ ადამიანთათვის; რაიმე ბედნიერი შემთხვევით მათ, შესაძლებელია, დიდი ქონება შეიძინონ და ყველას გაუსწორონ ანგარიში. ასეთია ბევრ შემთხვევაში ის სისტემა, რომლითაც ამჟამად ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ. ასეთი ადამიანები თანახმანი არიან დაპყარვონ 20, 30, 40% საქონლის ერთ გაგზავნაზე; შემდგომი ოპერაციით შეიძლება მათ დანაკარგი დაიბრუნონ. მაგრამ თუ მათ ორჯერ ზედიზედ მარცხი განიცადეს, მაშინ მათი აღსასრული დადგება; და სწორედ უკანასკნელ დროს ჩვენ ამას ხშირად ვხედავთ; სავაჭრო ფირმები ისე კოტრდებიან, რომ მათ ერთი შილინგი არ რჩებათ აქტივში».

«4791. სარგებლის შედარებით დაბალი განაკვეთი { უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში } რასაკვირველია, ხელსაყრელი არაა ბანკირებისათვის, მაგრამ თუ თქვენ დავთრებთ არ წარმოგიდგენდით, გამძინელებოდა ამეხსნა, რამდენად უფრო მაღალია ახლანდელი მოგება {მისი საკუთარი} წინანდელთან შედარებით. თუ სარგებლის განაკვეთი დაბალია ბანკოტების ზომასგადაჭარბებული ემისიის გამო, ჩვენ მნიშვნელოვანი ანაბრები გვაქვს; თუ სარგებლის განაკვეთი მაღალია, ეს ჩვენ პირდაპირ მოგებას გვაძლევს. — 4791. თუ ფულის მიღება შესაძლებელია სარგებლის ზომიერი განაკვეთით, ჩვენ გვაქვს ფულის მეტი მოთხოვნა; ჩვენ მეტ სესხს ვაძლევთ. ასეთია შედეგი {ჩვენთვის, ბანკირებისთვის} ამ შემთხვევაში. თუ სარგებლის განაკვეთი აწეულია, ჩვენ სესხში მეტს ვიღებთ, ვიდრე მართებულია; მეტს ვიღებთ, ვიდრე უნდა აგველო».

ჩვენ დავინახეთ, რომ ყველა კომპეტენტური ადამიანის ოვალში ინგლისის ბანკის ბანკოტების კრედიტი შეურყეველია. მიუხედავად ამისა, საბანკო აქტი მათი დახურდავების უზრუნველსაყოფად აბსოლუტურად მტკიცედ აჩერებს 9 — 10 მილიონს ოქროთი. ამით განძეული მარაგის სიწმინდე და ხელუხლებლობა აქ სულ სხვაგვარად ხორციელდება, ვიდრე ძველი დროის განძის დამგროვებელთა ხელში. ვ. ბრაუნი (ლივერპული) შემდეგ ჩვენებს იძლევა 1847/57 წელს C. D.-ის წინაშე, 2311: «რაც შეეხება სარგებლობას, რომელიც ამ ფულს» {საემისიო განყოფილების ლითონურ მარაგს} მოჰქონდა მაშინ, — შეიძლებოდა იგი ასეთივე წარმატებით ზღვაში ყოფილიყო გადაგდებული; საქმისათვის ხომ ამ ფულის სულ მცირე ნაწილის გამოყენებაც არ შეიძლებოდა საპარლამენტო აქტის დაურღვევლად».

მშენებელი მრეწველობის მეწარმე ე. კეპსი, სწორედ ის, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული და რომლის ჩვენებიდან თანამედროვე ლონდონის საამშენებლო სისტემის აღწერაა აღებული (წიგნი II, თავი XII), შემდეგნაირად გამოთქვამს რეზიუმეს სახით თავის აზრს 1844 წლის საბანკო აქტის შესახებ *B. A. 1857*: «5508. მაშასადამე, საერთოდ თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ [საბანკო კანონმდებლობის] თანამედროვე სისტემა მეტად მოხერხებულად ემსახურება იმას, რომ მრეწველობის მოგება პერიოდულად მევახშის საფულეში გადავიდეს? დიახ, ასეთია ჩემი აზრი. მე ვიცი, რომ საამშენებლო საქმეში მისი გავლენა ასეთი იყო».

როგორც უკვე მოხსენიებული იყო, შოტლანდიის ბანკები 1845 წლის საბანკო აქტმა აიძულა მიეღოთ სისტემა, რომელიც ინგლისურს უახლოვდებოდა. მათ დაეკისრა ვალდებულება — ოქრო ჰქონოდათ მარაგად იმ ბანკოტების დასაფარავად, რომლებსაც ისინი გამოუშვებდნენ თვითული ბანკისთვის დაწესებულ რაოდენობაზე მეტად. თუ რა შედეგები ჰქონდა ამას, ეს ჩანს ქვემოაღნიშნული ჩვენებებიდან, რომლებიც 1848/57 წლის *B. C.*-ის წინაშე იყო მიცემული.

კენედი: შოტლანდიის ერთი ბანკის მმართველი: «3375. არსებობდა თუ არა შოტლანდიაში, 1845 წლის აქტის შემოღებამდე, ისეთი რამ, რისთვისაც შეიძლებოდა აღამიანს ოქროს მიმოქცევა ეწოდებინა? — არა, ამის მსგავსი არა ყოფილა რა. — 3376. და ამ დროიდან გადიდდა თუ არა ოქროს რაოდენობა მიმოქცევაში? — სრულიადაც არა; ხალხს არ მოსწონს ოქრო (the people dislike gold)». — 3450. დაახლოებით 900 000 გირვ. სტერლინგ ოქროს, რომელიც 1845 წლიდან მარაგად უნდა იქონიონ შოტლანდიის ბანკებმა, მისი აზრით, მხოლოდ ზიანი მოაქვს, რადგან იგი «მოგების მოუცემლად ნთქავს შოტლანდიის კაპიტალის სათანადო ნაწილს».

შემდეგ მოდის ანდერსონი, Union Bank of Scotland-ის მმართველი: «3558. იმ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც შოტლანდიის ბანკებმა ოქროს დიდი მოთხოვნა წარუდგინეს ინგლისის ბანკს, უცხოური სათამაშუქო კურსის ზეგავლენით ჰქონდა ადგილი? — სწორედ ასე იყო; და ეს მოთხოვნა არ მცირდება იმით, რომ ჩვენ ოქრო გვიწყვია ედინბურგში. — 3590. ვიდრე ჩვენ იმავე თანხის ფასიანი ქაღალდები გვაქვს ინგლისის ბანკში [ან ინგლისის კერძო ბანკებში], «ჩვენ უწინდებურად გვაქვს შესაძლებლობა ინგლისის ბანკიდან ოქროს მიქცევა გამოვიწვიოთ».

დასასრულ კიდევ ერთი სტატია (ვილსონისა) «Economist»-იდან: «შოტლანდიის ბანკებს თავისი თავისუფალი ნაღდი ფული ლონდონელ

აგენტებთან აქვთ; აგენტებს კი იგი ლონდონის ბანკში აქვთ შეტანილი. ეს აძლევს შოტლანდიის ბანკებს შესაძლებლობას ამ თანხების ფარგლებში განკარგულება ჰქონდეთ ინგლისის ბანკის ლითონურ მარაგზე, და ეს უკანასკნელი ყოველთვის გამოიყენება, საზღვარგარეთელ გადასახდელთა გასასტუმრებლად». ეს სისტემა შეარყია 1845 წლის აქტმა: «შოტლანდიისთვის 1845 წლის აქტის გამოცემის შედეგად უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ოქროს მონეტების ძლიერ მიქცევას ინგლისის ბანკიდან, რათა თავიდან აეცილებინათ მხოლოდ შესაძლებელი მოთხოვნა შოტლანდიის მხრივ, რასაც, შესაძლოა, ნამდვილად არც კი ექნებოდა ოდესმე ადგილი... ამ დროიდან დაწყებული მნიშვნელოვანი თანხა ნიადაგ ჩამაგრებულია შოტლანდიაში და მეორე მნიშვნელოვანი თანხა მუდამ მიდი-მოდის ლონდონსა და შოტლანდიას შორის. თუ ისეთი მომენტი დგება, როცა შოტლანდიელი ბანკირი თავისი ბანკნოტების გადიდებულ მოთხოვნას მოელის, ლონდონიდან იქ იგზავნება ოქროიანი ყუთი; როგორც კი ეს პერიოდი გაივლის, იგივე ყუთი, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში არც კი გახსნიან ხოლმე, უკან იგზავნება ლონდონში» («Economist», 1847 წ. 23 ოქტ.).

{და რას ამბობს ყოველივე ამის შესახებ საბანკო აქტის მამა, ბანკირი სამუელ ჯონს ლიოდი, alias სხვანაირად წოდებული ლორდი ოვერსტონი?

მან უკვე 1848 წელს გაიმეორა ლორდთა C. D. კომისიის წინაშე, რომ «ფულის ნაკლებობა და სარგებლის მაღალი განაკვეთი, რაც კაპიტალის ნაკლებობითაა გამოწვეული, არ შეიძლება ბანკნოტების გაძლიერებული ემისიის გზით იქნეს შემსუბუქებული» (1514), თუმცა ბანკნოტების გადიდებული ემისიის მართოდენ ნებართვა, რომელიც მთავრობის 1847 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით გამოცხადდა, საემარისი აღმოჩნდა, რომ კრიზისისათვის კისერი მოეგრინათ *Ider Krise die Spitze abzubrechen!*

იგი იმ აზრის რჩება, რომ «სარგებლის მაღალი ნორმა და საფაბრიკო მრეწველობის შევიწროებული მდგომარეობა სამრეწველო და სავაჭრო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მატერიალური კაპიტალის შემცირების გარდუვალი შედეგია» (1604). ნამდვილად კი საფაბრიკო მრეწველობის შევიწროებული მდგომარეობა მთელი თვეების განმავლობაში სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ საწყობები უხვად იყო მატერიალური საქონლური კაპიტალით გავსებული, რომელიც გასაღებას ვერ პოულობდა, და რომ სწორედ ამიტომ მატერიალური მწარმოებლური კაპიტალი მთლად ან სანახევროდ უქმად იყო, რათა არ

მეწარმეებინა კიდევ მეტი, მყიდველებს მოკლებული, საქონლური კაპიტალი.

1857 წლის საბანკო კომისიის წინაშე კი იგი ამბობდა: «1844 წლის აქტის პრინციპების სწორი და სწრაფი გატარების მეოხებით ყველაფერი წესიერად და ადვილად სრულდებოდა; ფულის სისტემა ჯანსაღი და ურყევია, ქვეყნის კეთილდღეობა უცილობელია, საზოგადოების ნდობა 1844 წლის აქტისადმი ყოველდღე ძლიერდება. თუ კომისიას სურს კიდევ იმ პრინციპების სიჯანსაღის ილუსტრაცია, რომლებზედაც ეს აქტია დამყარებული, ან იმ სასიკეთო შედეგებისა, რომლებიც მან უზრუნველყო, სწორი და დამაკმაყოფილებელი პასუხი კომისიისთვის იქნება შემდეგი: მიმოიხედეთ თქვენს გარშემო; შეხედეთ საქმის მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, შეხედეთ ხალხის კმაყოფილებას; შეხედეთ საზოგადოების ყველა კლასის სიმდიდრეს და აყვავებას, — და ყოველივე ამის შემდეგ კომისიამ გადაწყვიტოს, უნდა გაუწიოს თუ არა მან წინააღმდეგობა იმ აქტის შემდგომ მოქმედებას, რომლის მეოხებითაც ასეთი შედეგებია მიღწეული» (B. C. 1857, № 4189).

ამ დიფირამბზე, რომელიც ოვერსტონმა 14 ივლისს უმღერა კომისიას, პასუხი გასცა იმავე წლის 12 ნოემბრის მთავრობის მიერ ბანკის დირექციისადმი მიმართულმა წერილმა, რომლითაც მთავრობამ 1844 წლის სასწაულმოქმედი კანონის მოქმედება შეაჩერა, რათა გადაერჩინა ის, რის გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა. — ფ. ე.)

თავი ოცდამეთხუთეობა

ქვირფასი ლითონი და სათამაშო კუსი.

1. ოქროს მარაგის მოძრაობა.

შეფერხების პერიოდებში ბანკნოტების დაგროვების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქ მეორდება ძვირფას ლითონთა სახით განძის დაგროვება, რასაც საზოგადოების არსებობის პირვანდელ მდგომარეობაში აღგილი ჰქონდა შიშთანობის ხანაში. 1844 წლის აქტის გავლენა იმიტომ არის საინტერესო, რომ ამ აქტს სურს მიმოქცევის საშუალებად გადააქციოს ყველა ის ძვირფასი ლითონი, რომელიც ქვეყანაში მოიპოვება; იგი ცდილობს ოქროს მიქცევა მიმოქცევის საშუალებათა შემცირებასთან და ოქროს მოქცევა მიმოქცევის საშუალებათა გამრავლებასთან გააიგივოს. მაგრამ ამ აქტის გამოყენებამ ექსპერიმენტულად დაამტკიცა საპირისპირო მოვლენა. გარდა ერთადერთი გამონაკლისისა, რომელსაც ჩვენ ახლავე მოვიხსენიებთ, 1844 წლის შემდეგ ინგლისის ბანკის მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების რაოდენობას არასოდეს არ მიუღწევია იმ მაქსიმუმისათვის, რომლის გამოშვების უფლებაც ბანკს ჰქონდა. და, მეორე მხრივ, 1857 წლის კრიზისმა დაადასტურა, რომ გარკვეულ პირობებში ეს მაქსიმუმი საკმარისი არაა. 1857 წლის 13-იდან 30 ნოემბრამდე საშუალოდ დღეში ამ მაქსიმუმზე 488 830 გირვ. სტერლინგით მეტი ბანკნოტები იყო მიმოქცევაში (B. A. 1858, გვ. XI). კანონიერი მაქსიმუმი იყო მაშინ 14 475 000 გირვ. სტერლინგი პლუს ლითონური მარაგის ჯამი ბანკის საცავებში.

ძვირფასი ლითონის მიქცევისა და მოქცევის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

პირველი. უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ლითონის დინება იქით-აქეთ იმ მხარის ფარგლებში, რომელიც ოქროსა და ვერცხლს არ აწარმოებს. მეორე მხრივ კი, ოქროს და ვერცხლის ნაკადი, რომელიც, მათი წარმოების წყაროებიდან მოედინება სხვადასხვა ქვეყნებში, და დამატებითი ლითონის განაწილება ამ ქვეყნებს შორის.

ამ საუკუნის დასაწყისიდან — მანამდე, ვიდრე რუსეთის, კალიფორნიისა და ავსტრალიის ოქროს მადნები გავლენას მოახდენდა — ძვირ-

ფას ლითონთა მიწოდება საკმარისი იყო მხოლოდ გაცვეთილი მონეტების ასანაზღაურებლად, ჩვეულებრივი მოხმარებისათვის ფუფუნების საგნების მასალების სახით და ვერცხლის ექსპორტისათვის აზიაში.

მაგრამ ამ დროიდან, ჯერ ერთი, ამერიკისა და ევროპის მიერ აზიასთან გაჩაღებული ვაჭრობის ზრდასთან ერთად არაჩვეულებრივად გაიზარდა ვერცხლის გაზიდვა აზიაში. ევროპიდან გაზიდული ვერცხლის ანაზღაურება მეტწილად დამატებითი ოქროთი ხდებოდა. შემდეგ, ახლად შემოზიდული ოქროს ნაწილს ნთქავდა ფულის შინაგანი მიმოქცევა. ანგარიშობენ, რომ 1857 წლამდე 30 მილიონის დამატებითი ოქრო შევიდა ინგლისის შინაგან მიმოქცევაში¹⁴. შემდეგ, 1844 წლიდან აიწია ლითონური მარაგის საშუალო დონემ ევროპისა და ამერიკის ყველა ცენტრალურ ბანკებში. იმავე დროს ფულის შინაგანი მიმოქცევის ზრდას შედეგად მოჰყვა ის, რომ პანიკის შემდეგ, მის მომდევნო დამშვიდების პერიოდში, ბანკის მარაგი უფრო სწრაფად იზრდებოდა, რადგან გადიდა შინაგანი მიმოქცევის მიერ უკუგდებული და ამიტომ იმობილიზებული ოქროს მონეტის მასა. დასასრულ, მას შემდეგ, რაც ოქროს ახალი საბადოები აღმოაჩინეს, იმატა სიმდიდრის ზრდის გამო ძვირფასი ლითონის მოხმარებამ ფუფუნების საგნებისათვის.

მეორე. ძვირფასი ლითონი მუდამ მიედინ-მოედინება იმ ქვეყნებს შორის, რომელნიც ოქროს და ვერცხლს არ აწარმოებენ; ერთსა და იმავე ქვეყანას განუწყვეტლივ შემოაქვს ოქრო და ასევე განუწყვეტლივ გააქვს იგი. და მხოლოდ მოძრაობის გადაჭარბება ამა თუ იმ მხარეზე წყვეტს საბოლოო ანგარიშით იმას, ძვირფასი ლითონის მოქცევას აქვს ადგილი თუ მიქცევას, ვინაიდან მერყევი და ზშირად პარალელური მოძრაობანი მეტწილად ერთმანეთს ანეიტრალებენ. მაგრამ სწო-

¹⁴ თუ როგორ იმოქმედა ამან ფულის ბაზარზე, ეს ჩანს ნიუმარჩის შემდეგი ჩვენებიდან: «1509. 1853 წლის დასასრულს საზოგადოება სერიოზული შიშით იყო მოცული; სექტემბერში ინგლისის ბანკმა სამჯერ გააღიდა ზედღებულ სადისკონტო პროცენტს... ოქტომბრის პირველ რიცხვებში... თავი იჩინა მნიშვნელოვანმა მოუსვენრობამ და პანიკამ საზოგადოებაში. ეს შიში და მოუსვენრობა მეტწილად მოისპო ნოემბრის ბოლოს და თითქმის სულ გაქრა, როდესაც 5 მილიონი ძვირფასი ლითონი შემოვიდა ავსტრალიიდან. იგივე განმეორდა 1854 წლის შემოდგომაზე, როდესაც ოქტომბრისა და ნოემბერში — მიღებულ იქნა თითქმის 6 მილიონი ძვირფასი ლითონი. იგივე განმეორდა 1855 წლის შემოდგომაზე, — როგორც ცნობილია, აღელვებისა და მოუსვენრობის პერიოდში, — როდესაც სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში შიღებულ იქნა 8 მილიონის ძვირფასი ლითონი. ამასვე ვხედავთ ჩვენ 1856 წლის ბოლოს. ერთი სიტყვით, მე შემეძლო კომისიის თითქმის ყველა წევრის გამოცდილება დამეზოფშებინა იმის დასადასტურებლად, რომ ყოველი ფინანსური შევიწროების დროს ოქროთი დატვირთული გემის მოსვლა ბუნებრივ და უეჭვლად ხსნად მიგვაჩინა».

რედ ამის გამო, როდესაც საბოლოო შედეგს აქცევენ ყურადღებას, მხედველობიდან უშვებენ ორივე მოძრაობის უწყვეტობას და საერთოდ პარალელურ მსვლელობას. საქმის ვითარებაზე ყოველთვის ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს ძვირფასი ლითონის ჭარბი იმპორტი ან ჭარბი ექსპორტი მხოლოდ შედეგი და გამოხატულებაა საქონელთა იმპორტის და ექსპორტის თანაფარდობისა, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი იმავე დროს თვით ძვირფასი ლითონის — საქონლით ვაჭრობისაგან დამოუკიდებელი — იმპორტის და ექსპორტის თანაფარდობას გამოხატავს.

მ ე ს ა მ ე. იმპორტის გადაჭარბება ექსპორტზე, და პირიქით, გაიზომება საერთოდ ცენტრალური ბანკების ლითონური მარაგის გადიდებით ან შემცირებით. ამ საზომის მეტნაკლები სიზუსტე დამოკიდებულია, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ რამდენად ცენტრალიზებულია საერთოდ საბანკო საქმე, იმიტომ რომ აქედან გამომდინარეობს, თუ რამდენად წარმოადგენს საერთოდ ეროვნულ ლითონურ მარაგს ის ძვირფასი ლითონი, რომელიც ეგრეთწოდებულ ეროვნულ ბანკშია დაგროვილი. მაგრამ ეს რომ კიდევ ასე იყოს, აღნიშნული საზომი მაინც არ არის ზუსტი, რადგან გარკვეულ პირობებში დამატებით იმპორტს შეიწოვს შინაგანი მიმოქცევა და ოქროს და ვერცხლის სულ უფრო მზარდი გამოყენება ფუფუნების საგანთა დასამზადებლად და რადგან, გარდა ამისა, შეიძლება, ოქროს დამატებითი იმპორტის გარეშეც, ადგილი ჰქონდეს ბანკიდან ოქროს მონეტის წაღებას შინაგანი მიმოქცევისთვის და, მაშასადამე, ლითონური მარაგი შეიძლება შემცირდეს ექსპორტის იმავდროული გადიდების გარეშე.

მ ე ო თ ხ ე. ლითონის ექსპორტი იღებს მიქცევის (drain) ფორმას, თუ მისი მოძრაობა შემცირების მიმართულებით დიდხანს გრძელდება, ასე რომ ეს შემცირება მოძრაობის საერთო ტენდენცია ხდება და ბანკის ლითონური მარაგი საშუალო დონეზე ბევრად დაბლა ეცემა, ვიდრე არ მიაღწევს თავის საშუალო მინიმუმს. ეს უკანასკნელი მეტნაკლებ თვითნებურად მყარდება, რადგან კანონმდებლობა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად განსაზღვრავს ბანკნოტებისა და სხვ. დახურდავებისათვის საჭირო დაფარვის პროცენტს. იმ რაოდენობრივი საზღვრის შესახებ, რომელსაც ასეთმა მიქცევამ შეიძლება მიაღწიოს ინგლისში, ნიუმარჩი 1857 წ. B. A.-ს წინაშე შემდეგს ამბობს (ჩვენება № 1494): «თუ გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, მეტად დაუჯერებელია, რომ ლითონის მიქცევამ, საზღვარგარეთთან წარმოებულ ოპერაციების დაცემის გამო 3 ან 4 მილიონ გირვ. სტერლინგს გადააჭარბოს». 1847 წელს ოქროს მარაგი ინგლისის ბანკში ყველაზე დაბალ დონეზე იყო 23 ოქტომბერს,

იგი 1846 წლის 26 დეკემბერთან შედარებით 5 198 156 გირვ. სტერ-
ლინგით ნაკლები იყო, ხოლო 1846 წლის (29 აგვისტოს) უმაღლეს დო-
ნესთან შედარებით — 6 453 748 გირვ. სტერლინგით ნაკლები იყო.

მეხუთე. ევრეთწოდებული ეროვნული ბანკის ლითონურ მარაგს
სამგვარი დანიშნულება აქვს; ამასთან მარაგის დანიშნულება სრულია-
დაც არ წარმოადგენს მისი სიდიდის ერთადერთ რეგულატორს, რადგან
იგი შეიძლება გაიზარდოს საქმეების უბრალო მოდუნების გამო ქვეყნის
შიგნით და ქვეყნის გარეთ. ეს სამგვარი დანიშნულება ასეთია: 1) სარე-
ზერვო ფონდი საერთაშორისო გადასახდელთათვის ანუ, მოკლედ,
მსოფლიო ფულის სარეზერვო ფონდი. 2) სარეზერვო ფონდი შინაგანი
ლითონური მიმოქცევისათვის, რომელიც პერიოდულად ფართოვდება
და იკუმშება. 3) საოზერვო ფონდი ანაბრების გადახდისა და ბანკნო-
ტების გადასახურდავებლად, რაც დაკავშირებულია ბანკის ფუნქციას-
თან და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფულის, როგორც მარ-
ჯოდენ ფულის, ფუნქციებთან. ამიტომ სარეზერვო ფონდზე შეიძ-
ლება იმოქმედოს იმ პირობებში, რომელიც გავლენას ახდენენ თვი-
თეულზე ამ სამი ფუნქციიდან; მაშასადამე, მასზე როგორც საერთაშო-
რისო ფონდზე, შეიძლება იმოქმედოს საგადასახდლო ბალანსმა, რა
მიზეზებითაც უნდა განისაზღვრებოდეს ეს უკანასკნელი და როგორიც
უნდა იყოს მისი შეფარდება ვაჭრობის ბალანსთან; როგორც შინაგანი
ლითონური მიმოქცევის სარეზერვო ფონდზე — ამ მიმოქცევის გაფარ-
თობამ ან შეკუმშვამ. მესამე ფუნქცია, ფუნქცია უზრუნველყოფის ფონ-
დისა, მართალია, არ განსაზღვრავს ლითონური მარაგის დამოუკიდებელ
მოძრაობას, მაგრამ მასზე ორნაირად ზემოქმედებს. თუ გამოუშვებენ
ბანკნოტებს, რომელიც შინაგან მიმოქცევაში ლითონურ ფულს
შენაცვლებიან (მაშასადამე, ვერცხლის მონეტასაც იმ ქვეყნებში, სა-
დაც ვერცხლი ღირებულების საზომს შეადგენს), — მაშინ მოხსნილია
სარეზერვო ფონდის ის ფუნქცია, რომელიც ზემოთ მე-2 პუნქტში იყო
აღნიშნული. ამასთან ძვირფასი ლითონის ნაწილი, რომელიც ამ ფუნქ-
ციას ემსახურებოდა, საზღვარგარეთ გადაბარდება დიდი ხნით. ამ
შემთხვევაში ლითონური მონეტა არ გადის ბანკიდან შინაგანი მიმოქ-
ცევისათვის და მასთან არ მოხდება ლითონური მარაგის პერიოდულად
გაძლიერება მიმოქცევაში მყოფი მონეტის იმობილიზაციის გზით.
შემდეგ: თუ აუცილებლად ყველა გარემოებაში საჭიროა ლითო-
ნური მარაგის გარკვეული მინიმუმი დატოვებული იყოს ანაბ-
რების გადახდისა და ბანკნოტების გადასახურდავების უზრუნველსა-
ყოფად, — ეს გარემოება თავისებურად მოქმედებს ოქროს მიქცევისა
და მოქცევის შედეგებზე; იგი ზემოქმედებას ახდენს მარაგის იმ ნა-

წილზე, რომელიც ბანკს ევალება ჰქონდეს ყოველ გარემოებაში, ან მის იმ ნაწილზე, რომლისგან ბანკი სხვა ღრის ეცდებოდა განთავისუფლებულიყო როგორც უსარგებლოსაგან. წმინდა ლითონური მიმოქცევისა და საბანკო საქმის კონცენტრაციის პირობებში ბანკიც მიიჩნევა აგრეთვე თავის ლითონურ მარაგს თავისი ანაბრების გადახდის გარანტიად, და ოქროს მიქცევის შემთხვევაში შეიძლება შექმნილიყო იმის მსგავსი პანიკა, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1857 წელს ჰამბურგში.

მ ე ე ქ ვ ს ე. ნამდვილი კრიზისი — 1837 წლის გამოკლებით — ყოველთვის მხოლოდ სათამაშუქო კურსის გამობრუნების შემდეგ იფეთქებდა ხოლმე, ე. ი. იმ მომენტში იფეთქებდა, როცა ძვირფასი ლითონის იმპორტი ისევ გადააჭარბებდა ექსპორტს.

1825 წელს ნამდვილი კრაზი დადგა მას შემდეგ, რაც შეწყდა ოქროს მიქცევა. 1839 წელს ადგილი ჰქონდა ოქროს მიქცევას, მაგრამ მას კრაზი არ მოჰყოლია. 1847 წელს ოქროს მიქცევა შეწყდა აპრილში, ხოლო კრაზი დადგა ოქტომბერში. 1857 წელს ოქროს საზღვარგარეთ მიქცევა შეწყდა ნოემბრის დამდეგიდან, ხოლო კრაზი დადგა უფრო გვიან ნოემბერში.

განსაკუთრებით გარკვევით ჩანს ეს 1847 წლის კრიზისში, როცა ოქროს მიქცევა უკვე აპრილში შეწყდა, გამოიწვია რა შედარებით მცირე წინასწარი კრიზისი [Vorkrise], და მხოლოდ ამის შემდეგ, ოქტომბერში, იფეთქა სამრეწველო კრიზისმა [Geschäftskrise] ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ქვემოთ აღნიშნული ჩვენებები მიცემული იყო Secret Committee of the House of Lords on Commercial Distress [ლორდთა პალატის საიდუმლო კომისია საეჭრო კრიზისის საკითხზე] წინაშე 1848 წ.; მოწმეთა ჩვენებები (evidence) დაიბეჭდა მხოლოდ 1857 წელს (ციტატები მოგვყავდა აგრეთვე სახელწოდებით: C. D. 1848/57).

ტუკის ჩვენება. 1847 წლის აპრილში თავი იჩინა შეფერხებამ, რომელიც, თუ ნამდვილად ვიტყვი, პანიკას უდრიდა, მაგრამ შედარებით მოკლე ხანს გაგრძელდა და მას არ ახლდა რამდენადმე მნიშვნელოვანი კომერციული ვაკოტრებანი. ოქტომბერში შეფერხება გაცილებით უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე აპრილის რომელსამე მომენტში, და ადგილი ჰქონდა ვაკოტრებათა გაუგონარ რაოდენობას (2196). — აპრილში სათამაშუქო კურსმა — განსაკუთრებით ამერიკასთან — გვაიძულა ოქროს მნიშვნელოვანი რაოდენობა გაგვეზიდა არაჩვეულებრივად დიდი იმპორტის გადასახდელად; მხოლოდ ძალთა უაღრესად ძლიერი დაძაბვით შეაჩერა ბანკმა ოქროს მიქცევა და ასწია კურსი

(2197). — ოქტომბერში სათამაშუქო კურსი ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის (2198). — სათამაშუქო კურსის მობრუნება დაიწყო აპრილის მესამე კვირაში (3 000). — ეს კურსი ირყეოდა ივლისსა და აგვისტოში; აგვისტოს დასაწყისიდან იგი ყოველთვის ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის (3301). — ოქროს მიქცევა აგვისტოში წარმოშვა შინაგანი მიმოქცევის მოთხოვნამ.

ინგლისის ბანკის მმართველი ჯ. მორისი: თუმცა 1847 წლის აგვისტოდან სათამაშუქო კურსი ხელსაყრელი გახდა ინგლისისთვის და ამის გამო ადგილი ჰქონდა ოქროს შემოზიდვას, მაგრამ ბანკის ლითონური მარაგი მაინც შემცირდა. «2 200 000 გირვ. სტერლ. ოქროთი წავიდა ბანკიდან ქვეყნის შიგნით შინაგანი მოთხოვნის გამო» (137). — ეს აიხსნება, ერთი მხრივ, რკინიგზების მშენებლობაში დასაქმებული მუშების რიცხვის გადიდებით, მეორე მხრივ, «ბანკირების სურვილით — ოქროს საკუთარი მარაგი ჰქონოდათ კრიზისის პერიოდში» (147).

პალმერი, ინგლისის ბანკის ყოფილი მმართველი და 1811 წლიდან დირექტორი: «684. მთელ პერიოდში 1847 წლის აპრილის ნახევრიდან 1844 წლის საბანკო აქტის შეჩერების დღემდე სათამაშუქო კურსი ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის».

მაშასადამე, ლითონის მიქცევა, რამაც დამოუკიდებლად გამოიწვია 1847 წლის აპრილში ფულის პანიკა, აქ, როგორც ყოველთვის, მართოდენ კრიზისის წინამორბედი იყო და შებრუნებული მოძრაობით შეიცვალა უკვე მანამდე, სანამ კრიზისი იფეთქებდა. 1839 წელს საქმეებში დიდად შევიწროებული მდგომარეობის დროს ადგილი ჰქონდა ლითონის ძალიან დიდ მიქცევას პურის ფასის გადასახდელად და სხვ., მაგრამ ამას არ ახლდა კრიზისი და ფულის პანიკა.

მეშვიდე. როგორც კი საყოველთაო კრიზისი დამთავრდება, ოქრო და ვერცხლი — თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ახალი ძვირფასი ლითონის მოქცევას მისი წარმოების ქვეყნებიდან — ხელახლა ნაწილდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის იმ შეფარდებით, რომლის მიხედვით ოქრო-ვერცხლი მოიპოვებოდა ამ ქვეყნებში განსაკუთრებული განძის სახით მათი წონასწორობის მდგომარეობის დროს. სხვა თანაბარ პირობებში თვითნებური ქვეყნის განძის შეფარდებითი სიდიდე განისაზღვრება მისი როლით მსოფლიო ბაზარზე. იმ ქვეყნიდან, რომელსაც ნორმალურზე მეტი რაოდენობით აქვს ძვირფასი ლითონი, ეს უკანასკნელი მიედინება სხვა ქვეყნებში; მიქცევის და მოქცევის ეს მოძრაობა მხოლოდ აღადგენს ძვირფასი ლითონის პირვანდელ განაწილებას სხვადასხვა ერების განძთა შორის. მაგრამ ეს გადანაწილება ხორ-

ციელდება სხვადასხვა გარემოებათა ზეგავლენით, რომლებიც სათამაშუო კურსის განხილვის დროს იქნება მოხსენიებული. როგორც კი ნორმალური განაწილება ხელახლა აღდგება, მაშინ, ამ მომენტიდან, იწყება ძვირფასი ლითონის რაოდენობის ჯერ ზრდა და შემდეგ მისი ახალი მიქცევა. {ეს უკანასკნელი დებულება, თავისთავად იგულისხმება, მართებულია მხოლოდ ინგლისის — როგორც ფულის მსოფლიო ბაზრის ცენტრის — მიმართ. — ფ. ე.}

მერვე. ლითონის მიქცევა უმრავლეს შემთხვევაში სიმპტომია საგარეო ვაჭრობის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებისა, ხოლო ეს ცვლილება, თავის მხრივ, იმის მაუწყებელია, რომ საქმეების საერთო მდგომარეობა მომწიფებულია კრიზისისათვის¹⁵.

მეცხრე. საგადასახდლო ბალანსი შეიძლება ხელსაყრელი იყოს აზიისთვის და არახელსაყრელი — ევროპისა და ამერიკისთვის¹⁶.

ძვირფასი ლითონის იმპორტს ადგილი აქვს უპირატესად ორ მომენტში. ერთი მხრივ, ზარგებლის განაკვეთის დაბალი დონის პირველ ფაზაში, რომელიც კრიზისს მოსდევს და წარმოების შეზღუდვის გამომხატველია; შემდეგ კი მეორე ფაზაში, როცა სარგებლის განაკვეთი დიდდება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავის საშუალო სიმაღლეს. ეს ის ფაზაა, როცა კაპიტალის უკუდაბრუნება ადვილად ხდება, კომერციული კრედიტი დიდია და ამიტომ სასესხო კაპიტალის მოთხოვნა უფრო ნელა იზრდება წარმოების გაფართოებასთან შეფარდებით. ორსავე ფაზაში, როცა სასესხო კაპიტალი შედარებით უხვად არის, კაპიტალის ქარბი მოდინება ოქრო-ვერცხლის ფორმით,

¹⁵ ნიუმარჩის თანახმად, ოქროს საზღვარგარეთ მიქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს სამგვარი მიზეზით, სახელდობრ: 1) წმინდა კომერციული ხასიათის მიზეზებით, ე. ი. იმპორტის გადაჭარბებით ექსპორტზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1836 და 1844 წლებს შორის და შემდეგ 1847 წელს, როცა განსაკუთრებით დიდი იყო მარცვლეულის იმპორტი; 2) საზღვარგარეთ ინგლისის კაპიტალის დაბანდების საშუალებათა გამოჩახვის საჭიროებით, როგორც ეს იყო, მაგალითად, 1857 წელს, როცა ინგლისის კაპიტალს ინდოეთის რკინიგზებში აბანდებდნენ, და 3) კაპიტალის საბოლოო დახარჯვით საზღვარგარეთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, 1853 და 1854 წწ. სამხედრო მიზნებისთვის აღმოსავლეთში.

¹⁶ 1918. ნიუმარჩი: „თუ თქვენ აიღებთ ინდოეთს და ჩინეთს ერთად და თუ მხედველობაში მიიღებთ ბრუნვას ინდოეთსა და ავსტრალიას შორის და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ბრუნვას ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, — ხოლო ამ შემთხვევაში სააღებმიცემო საქმეები სიმშრია და საბოლოო ანგარიშების გასწორება ჩვენი მეშვეობით ხდება... — მაშინ სწორი აღმოჩნდება, რომ ვაჭრობის ბალანსი არახელსაყრელი იყო არა მარტო ინგლისისათვის, არამედ აგრეთვე საფრანგეთისა და შეერთებული შტატებისთვისაც. («Bank Acts» 1918).

ე. ი. ისეთ ფორმით, რომელშიაც კაპიტალს უწინარეს ყოვლისა მხოლოდ სასესხო კაპიტალის სახით შეუძლია მოქმედება, გავლენას უნდა ახდენდეს სარგებლის განაკვეთზე და ამით სამეწარმეო საქმიანობის მთელ მსვლელობაზე.

მეორე მხრივ: ძვირფასი ლითონის მიქცევას, მის განუწყვეტელ ძლიერ გაზიდვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კაპიტალის უკუმოდინება გაძნელებულია, ბაზრები მეტისმეტად გავსებულია და მოჩვენებითი აყვავება ჯერ კიდევ მხოლოდ კრედიტის მეოხებითაა შენარჩუნებული; როდესაც, მაშასადამე, უკვე არსებობს სასესხო კაპიტალის გაძლიერებული მოთხოვნა და ამიტომ სარგებლის განაკვეთი აღწევს უკვე, სულ ცოტა, თავის საშუალო სიმაღლეს. ამ პირობებში, რომლებიც სწორედ ძვირფასი ლითონის მიქცევაში აისახება, მნიშვნელოვნად ძლიერდება გავლენა კაპიტალის განუწყვეტლივ გამოცლისა ისეთი ფორმით, რომლითაც იგი უშუალოდ არსებობს როგორც გასასესხებელი ფულადი კაპიტალი. ამან პირდაპირი გავლენა უნდა იქონიოს სარგებლის განაკვეთზე. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საკრედიტო ოპერაციები შეზღუდოს, სარგებლის განაკვეთის გადიდება აფართოებს მათ და იწვევს ყველა მის დამხმარე საშუალებათა გადაჭარბებულ დაძაბულობას. ამიტომ ასეთი პერიოდი წინ უძღვის კრახს.

ნიუმარჩს ეკითხებიან (B. A. 1857): «1520. ამრიგად, მიმოქცევაში მყოფი თამასუქების რაოდენობა მატულობს სარგებლის განაკვეთთან ერთად? — ეტყობა, ასეა. 1522. ჩვეულებრივ დროს თავდავთარი გაცვლის ნამდვილი იარაღია; მაგრამ როცა თავს იჩენს სიძნელები, როცა, მაგალითად, იმ გარემოებებში, რომლებიც მე აღვნიშნე, ბანკის დისკონტის ნორმა აიწვეს... მაშინ საქმეები თავისთავად თამასუქების გააცემით გამოიჩატება; ეს თამასუქები არა მხოლოდ უფრო გამოსადეგია დადებულ გარიგებათა კანონიერების დასამტკიცებლად; ისინი უფრო გამოსადეგია აგრეთვე შემდგომ შესყიდვათა საწარმოებლად და უწინარეს ყოვლისა გამოსაყენებელია როგორც საკრედიტო იარაღი კაპიტალის მისაღებად». — ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ, რაკი ბანკი რამდენადმე საშიშ პირობებში ასწევს თავის სადისკონტო ნორმას, — რის გამოც იმავე დროს მოსალოდნელი ხდება, რომ მერმისში ბანკი მხოლოდ შედარებით მოკლევადიან თამასუქებს შიიღებს სადისკონტოდ, — ფეხს იკიდებს საერთო შიში, რომ ეს წავა *crescendo* (სულ უფრო გაძლიერდება). თვითეული, განსაკუთრებით კი კრედიტის რაინდი, ცდილობს ამიტომ მოშავლის დისკონტირება მოახდინოს [die Zukunft zu diskontieren] და მოცემულ მომენტში

იმდენი საკრედიტო საშუალება მიიღოს თავის განკარგულებაში, რამდენიც კი შესაძლებელია. ამგვარად, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარეობს, რომ შემოზიდული თუ გაზიდული ძვირფასი ლითონის რაოდენობა გავლენას ახდენს არა როგორც ასეთი, არამედ, ერთი მხრივ, იგი გავლენას ახდენს ძვირფასი ლითონის, როგორც ფულად ფორმაში მყოფი კაპიტალის, სპეციფიკური ხასიათის გამო, მეორე მხრივ, იგი გავლენას ახდენს როგორც ბუმბული, რომელიც როცა ტვირთს მიემატება ხასწორზე, საკმარისია, რომ ერთ მხარეზე გადახაროს საბოლოოდ მერყევი სასწორი; იგი გავლენას ახდენს იმიტომ, რომ წარმოიქმნება ისეთ გარემოებაში, როცა ამა თუ იმ მხარეზე ყოველ მიმატებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზეზებას გარეშე სრულიად გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეუძლია რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, ვთქვათ, 5 — 8 მილიონი გირვ. სტერლინგის რაოდენობის ოქროს მიქცევას, — და, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ეს საზღვარი დღემდე არ ყოფილა გადალახული; კაპიტალის ეს მცირეოდენი გადიდება ან შემცირება, უმნიშვნელო იმ 70 მილიონი ოქროსთან შედარებითაც კი, რომელიც საშუალოდ მიმოიქცევა ინგლისში. რა თქმა უნდა, სრულიად უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს ისეთი მოცულობის წარმოებაში, როგორიც ინგლისის წარმოებაა¹⁷. მაგრამ მთელი ორგანიზმის ამ გაძლიერებულ გრძნობიერებას ქმნის სწორედ საკრედიტო და საბანკო სისტემის განვითარება, — სასტემისა, რომელიც, ერთი მხრივ, იქიოკება მიისწრაფვის, რომ ყოველი ფულადი კაპიტალი წარმოების სამსახურში ჩააყენოს (ანუ, რაც იმასვე ნიშნავს, ყოველი ფულადი შემოსავალი კაპიტალად გადააქციოს), და რომელსაც, მეორე მხრივ, ციკლის განსაზღვრულ ფაზაში ლითონური მარაგი ისეთ მინიმუმამდე დაჰყავს, რომლითაც ამ მარაგს აღარ შეუძლია თავისი ხვედრი ფუნქციების შესრულება. წარმოების განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე განძის გადიდება ან შემცირება მის საშუალო ოდენობასთან შედარებით წარმოადგენს შეფარდებით ინდიფე-

¹⁷ იხ., მაგალითად, ვეგლენის კომიკური პასუხი, სადაც იგი ამბობს, 5 მილიონის ოქროს მიქცევა იმავე რაოდენობის კაპიტალის შემცირებას მოასწავებსო, და ამით ცდილობს ახსნას ისეთი მოვლენები, რომლებიც არ წარმოადგება ფასების გაცილებით მეტად უფრო მაღლა აწევისა ან გაუფასურების დროს. ნამდვილი სამარეწველო კაპიტალის გაფართოების ან შეკუმშვის დროს. მეორე მხრივ, ნაკლებ კომიკური არაა ცდა იმისა, რომ ახსნილ იქნეს ეს მოვლენები როგორც რეალური კაპიტალის (მისი ნივთიერი ელემენტების მხრივ განხილულის) გაფართოების ან შეკუმშვის პირდაპირი სიმპტომებისა.

რენტულ გარემოებას. ასევე, მეორე მხრივ, ოქროს ფრიად დიდი მიქცევაც კი შეფარდებით უმნიშვნელო გავლენას ახდენს, თუ მას ადგილი აქვს სამრეწველო ციკლის არაკრიტიკულ პერიოდში.

ამ განმარტების დროს მხედველობის გარეშე დავტოვეთ ის შემთხვევები, როდესაც ლითონის მიქცევას ადგილი აქვს მოუსავლობისა და სხვ. ვამო. აქ წარმოების წონასწორობის დიდი და უეცარი დარღვევა რომლის გამოსახულებას ოქროს მიქცევა წარმოადგენს, არ საჭიროებს თავისა შედეგების შემდგომ ახსნა-განმარტებას. ეს შედეგები მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ ეს დარღვევა ისეთ პერიოდებში ხდება, როდესაც წარმოება მაღალი წნევის ქვეშ მუშაობს.

ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია, გარდა ამისა, ლითონური მარაგის, როგორც ბანკოტების გადახურდავების გარანტიის და მთელი საკრედიტო სისტემის ქვაკუთხედის, ფუნქციები. ცენტრალური ბანკი საკრედიტო სისტემის ქვაკუთხედიანია. ლითონური მარაგი კი, თავის მხრივ, ბანკის ქვაკუთხედიანია¹⁸. საკრედიტო სისტემის გარდაქმნა მონეტარულ სისტემად აუცილებელია, როგორც ეს უკვე აღვნიშნე I წიგნში, თავი III, გადახდის საშუალების გამოკვლევის დროს. რეალური სიმდიდრის სახით რომ უდიდესი მსხვერპლის გაღებაა საჭირო, რათა კრიტიკულ მომენტში შენარჩუნებულ იქნეს ლითონური ბაზისი, ამას აღიარებს როგორც ტუეი, ისე ლოიდ — ოვერსტონიცი. დავა წარმოებს მხოლოდ ზოგიერთი პლუსის თუ მინუსის ირგვლივ. ამ გარღვევლობის მიმართ მეტნაკლებ რაციონალური დამოკიდებულების გარშემო¹⁹. ლითონის გარკვეული, ერთობლივ წარმოებასთან შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა მთელი სისტემის ქვაკუთხედაა აღიარებული. რომ არა ვთქვათ რა ამ მისი ხასიათის, როგორც ქვაკუთხედის, საშინელ გამოვლინებაზე კრიზისებში, აქედან გამომ-

¹⁸ ნიუმარჩი (B. A. 1857): «1364. ინგლისის ბანკის ლითონური რეზერვი სინამდვილეში... ცენტრალური რეზერვია ანუ ცენტრალური ლითონური მარაგია, რომლის საფუძველზეც წარმოებს ქვეყნის მთელი სამეწარმეო საქმიანობა. ეს, ასე ვთქვათ, ღერძია, რომლის ირგვლივ ქვეყნის მთელი სამეწარმეო საქმიანობა ტრიალებს; ყველა სხვა ბანკები ინგლისის ბანკს თვლიან ცენტრალურ საგანძურად ანუ რეზერვუარად, საიდანაც მათ უხდებთ თავიანთი წკრილა მონეტის მარაგის მიღება; და საგარეო სათამაშუო კურსის გავლენა სწორედ ამ საგანძურზე და ამ რეზერვუარზე აისახება».

¹⁹ «მაშასადამე, პრაქტიკულად ორივე, ტუეიცი და ლოიცი, ოქროს მეტად დიდი მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მიმართავენ კრედიტის წინასწარ შეზღუდვას სარგებლის განაკვეთის აწევსა და კაპიტალის სესხად გაცემის შემცირების გზით. მხოლოდ ლოიდი თავისი ილუზიით იწვევს შემეფიქრობებელ და თვით სახიფათო [საკანონმდებლო] შეზღუდვას და რეგლამენტაციას» («Economist», 1847, გვ.1418).

დინარეობს მეტად ლამაზი თეორიული დუალიზმი. ვიდრე განათლებული ეკონომია კაპიტალზე *ex professo* მსჯელობს, იგი დიდი ზიზღით უცქერის ოქრო-ვერცხლს როგორც კაპიტალის ფორმას, როგორც სინამდვილეში უადრესად ინდიფერენტულსა და უსარგებლოს. მაგრამ როგორც კი საბანკო საქმეზე იწყებს იგი მსჯელობას, ყველაფერი ეს იცვლება და ოქრო და ვერცხლი ხდება კაპიტალი *par excellence* [უპირატესად], რომლის შესანარჩუნებლად კაპიტალისა და შრომის ყველა სხვა ფორმა მსხვერპლად უნდა იქნეს შეწირული. მაგრამ რით განიჩევა ოქრო და ვერცხლი სიმდიდრის სხვა ფორმისაგან [Gestalten]? არა ღირებულების სიდიდით, ვინაიდან ეს უკანასკნელი განისაზღვრება მათში გასაგნობრივებული შრომით. ისინი განიჩევიან მხოლოდ როგორც დამოკიდებული განსახიერება, როგორც სიმდიდრის საზოგადოებრივი ხასიათის გამოსახულება. [საზოგადოების სიმდიდრე არსებობს მხოლოდ როგორც სიმდიდრე ცალკეულ პირთა, რომელნიც მისი კერძო მესაკუთრენი არიან. იგი ვლინდება როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრე მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ეს ცალკეული პირნი თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ერთმანეთს უცვლიან თვისებრივად სხვადასხვა სახმარ ღირებულებას. კაპიტალის სტურ წარმოებაში მათ ამის განხორციელება მხოლოდ ფულის საშუალებით შეუძლიათ. ამრიგად, ცალკეული პირის სიმდიდრე მხოლოდ ფულის საშუალებით ხორციელდება როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრე. ფულში, ამ ნივთში, განსახიერებულია ამ სიმდიდრის საზოგადოებრივი ბუნება. — ფ. ე.] მაშასადამე, ეს მისი საზოგადოებრივი მყოფობა ვლინდება როგორც რაღაც მიღმური, როგორც ნივთი, საგანი, საქონელი, რომელიც არსებობს საზოგადოებრივი სიმდიდრის ნამდვილი ელემენტების გვერდით და მათს გარეშე. ვიდრე წარმოება ნორმალურად მიმდინარეობს, ეს დავიწყებულია. კრედიტი, რომელიც აგრესივად სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმაა, აძევებს ფულს და უზურპაციის წესით იჭერს მის ადგილს. სახელდობრ ნდობა წარმოების საზოგადოებრივი ხასიათისადმი იწვევს იმას, რომ პროდუქტთა ფულადი ფორმა გვეჩვენება როგორც სწრაფწარმავალი და იდეალური რამ, როგორც უბრალო წარმოდგენა. მაგრამ როგორც კი კრედიტი შეირყევა, — და ეს ფაზა აუცილებლად შედის თანამედროვე მრეწველობის ციკლში, — უცებ აღმოჩნდება, რომ ყოველი რეალური სიმდიდრე ნამდვილად და დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას ფულად, ოქროდ და ვერცხლად, — ესაა გიჟური მოთხოვნა, მაგრამ მაინც იგი თვით სისტემიდან აღმოცენდება. ამავე დროს მთელი ოქრო და ვერცხლი, რამაც ეს არაჩვეულებრივი პრეტენზიები უნდა დააკმაყოფი-

ლოს, შეადგენს სულ რამდენიმე მილიონს, რომელიც ბანკის საცავებში ინახება²⁰. ამრიგად, იმ ზემოქმედებაში, რასაც ოქროს მიქცევა ახდენს, განსაკუთრებული სიმკვეთრით აშკარავდება, რომ წარმოება ფაქტიურად როგორც საზოგადოებრივი წარმოება არ ექვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს — ეს აშკარავდება იმით, რომ სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმა არსებობს თვით სიმდიდრისაგან დამოუკიდებლად როგორც მის გარეშე მყოფი ნივთი. ამ მხრივ კაპიტალისტურ წარმოებას მართლაც რაღაც საერთო აქვს წარმოების უფრო ადრინდელ სისტემებთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი დამყარებული იყვნენ საქონელვაჭრობასა და კერძო გაცვლაზე. მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის პირობებში ვლინდება ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და ამასთან უგუნური წინააღმდეგობისა და უაზრობის ყოველად უგვანო ფორმით, რადგან 1) კაპიტალისტურ სისტემაში ყველაზე ნაკლებად აქვს ადგილი წარმოებას უშუალო სახმარი ღირებულებისათვის; წარმოებას თვით მწარმოებლის მოხმარებისათვის და, მაშასადამე, სიმდიდრე არსებობს მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც გამოისახება როგორც წარმოებისა და მიმოქცევის გადაწნელობა; 2) რადგან საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად კაპიტალისტური წარმოება განუწყვეტლივ მიისწრაფვის გაარღვიოს ეს ლითონური ზღუდე, — სიმდიდრისა და მისი მოძრაობის ეს ერთსა და იმავე დროს ნივთობრივი და ფანტასტიკური ზღუდე, — მაგრამ ისევ და ისევ თავს იმტვრევს ამ ზღუდეზე.

კრიზისის დროს წარმოიქმნება იმის მოთხოვნა, რომ ყველა თამასუქი, ფასიანი ქალაქი, საქონელი შეიძლებოდეს ერთბაშად და იმავედროულად გარდაიქმნას საბანკო ფულად და ყველა საბანკო ფული, თავის მხრივ, გადახურდავდეს ოქროზე.

II. სათამასუქო აზრის

ქვეყნადი ლითონის საერთაშორისო მოძრაობის ბარომეტრს წარმოადგენს, როგორც ცნობილია, სათამასუქო კურსი. თუ ინგლისს მეტი აქვს გადასახდელი გერმანიისთვის, ვიდრე გერმანიას ინგლისისთვის,

²⁰ «თქვენ სავსებით თანხმა ხართ იმის, რომ ოქროს მოთხოვნის შესაცვლელად სხვა გზა არ არსებობს, გარდა სარგებლის განაკვეთის გადიდებისა? — ჩემენი ჭილბროკერთა ფირმის: ოვერენდ, გარნი და კომპ. მონაწილე; დიახ, ასეთია ჩემი შეხედულება. როცა ჩვენი ოქროს მარაგი დაბლა ეცემა გარკვეულ პუნქტამდე, ჩვენ საუკეთესოდ მოვიქცევით, თუ ქარიშხლის მათუყებელ ზარს ჩამოვკრავთ და განვაცხადებთ: ჩვენი საქმეები უკან მიდის, და თუ ვისმე სურს ოქრო საზღვარგარეთ გაგზავნოს, დაე მან ეს თავისი საკუთარი რისკით ჩაიდინოს» — B. A. 1857. ჩვენება № 5057.

მაშინ ლონდონში მალლა იწვევს სტერლინგებით გამოხატული მარკის ფასი, ხოლო ჰამბურგსა და ბერლინში დაბლა იწვევს მარკებით გამოხატული გირვანქა სტერლინგის ფასი. თუ გერმანიის მიმართ ინგლისის საგადასახდლო ვალდებულებათა ეს სიჭარბე შემდეგ ისევ არ წონან-წორდება იმით, მაგალითად, რომ გერმანია გადამეტებით შეისყიდის საქონელს ინგლისში, მაშინ გერმანიაზე გაცემული სტერლინგებით გამოსახულმა, მარკიანი თამასუქების ფასმა, სულ მალა და მალა უნდა აიწიოს მანამდე, ვიდრე ხელსაყრელი არ გახდება გადასახდელის გასასტუმრებლად ინგლისიდან გერმანიაში თამასუქების ნაცვლად ლითონის გაგზავნა, — ოქროს ფულის ან ზოდის სახით. ასეთია საქმის ტიპიური მსვლელობა.

თუ ძვირფასი ლითონის ეს გაზიდვა დიდი ოდენობით მოხდება და შედარებით დიდ ხანს გაგრძელდება, იგი გავლენას მოახდენს ინგლისის საბანკო რეზერვზე და ინგლისის ფულის ბაზარმა, ხოლო პირველ რიგში ინგლისის ბანკმა, უნდა მიიღოს დაცვის ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, არსებითად სარგებლას განაკვეთის აწვევაში მდგომარეობს. ოქროს მნიშვნელოვანი მიქცევისას ფულის ბაზარზე თავს იჩენს ხოლმე ჩვეულებრივ სიძნელენი, ე. ი. სასესზო კაპიტალის მოთხოვნა ფულადი ფორმით მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდებას, და სარგებლის მაღალი განაკვეთი აქედან თავისთავად გამოძინარეობს; ამრიგად, ინგლისის ბანკის მიერ დაწესებული დისკონტის ნორმა შეესაბამება საქმის მდგომარეობას და ბაზარზე ხორციელდება. მაგრამ არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ლითონის მიქცევა გამოწვეულია არა ოპერაციების ჩვეულებრივი კომბინაციებით, არამედ სხვა მიზეზებით. (მაგალითად, უცხო სახელმწიფოთა მიერ სესხის აღებით, კაპიტალის დაბანდებით საზღვარგარეთ და სხვ.), და მაშინ ინგლისის ფულის ბაზარი როგორც ასეთი სრულიადაც არ ამართლებს სარგებლის განაკვეთის არსებითს გადიდებას; ასეთ შემთხვევაში ინგლისის ბანკმა «ღია ბაზარზე» ჯერ გაძლიერებული სესხის გზით ფული «იშვიათი უნდა გახადოს», როგორც ეს ჩვეულებრივ გამოითქმის, და ამრიგად ხელოვნურად შექმნას მდგომარეობა, რომელიც ამართლებს ან საჭიროდ ზღის სარგებლის გადიდებას; ეს არის ხერხი, რომელიც მისთვის წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება — ფ. ე. }
 თუ როგორ მოქმედებს სათამაშუკო კურსზე სარგებლის განაკვეთის აწვევა, ეს ჩანს შემდეგი ჩვენებებიდან, რომლებიც მიცემული იყო 1857 წელს ქვედა პალატის კომისიის წინაშე საბანკო კანონმდებ-

10. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ., III, 2

ლობის შესახებ (ციტირებულია როგორც B. A. ან როგორც B. C. 1857 წ.).

ჯონ სტიუარტ მილი: «2176. როდესაც საქმეთა წარმართვა ძნელი ხდება... იწყება ფასიანი ქაღალდების კურსის მნიშვნელოვანი დაცემა... უცხოელების დავალებით წარმოებს აქ, ინგლისში, სარკინიგზო აქციების ყიდვა, ან უცხოეთის სარკინიგზო აქციების ინგლისელი მესაყუთრენი ყიდიან ამ აქციებს საზღვარგარეთ... ამის შესაბამისად იაფიდან იცილებენ ოქროს ვაგზავნის საჭიროებას. — 2182. დიდი და პლიდარი კლასი ბანკირებისა და ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეებისა, რომელთა საშუალებითაც ჩვეულებრივ ხდება სარგებლის განაკვეთისა და კომერციული ბარომეტრის მდგომარეობის (pressure) გაწონასწორება სხვადასხვა ქვეყნებს შორის... ყოველთვის ეძებს შეისყიდოს ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ფასის აწევის იმედს იძლევა... შესაფერ ადგილს მათ შესასყიდად ყოველთვის ის ქვეყანა წარმოადგენს, რომელიც ოქროს საზღვარგარეთ გზავნის. — 2184. კაპიტალის ასეთ დაბანდებას ადგილი ჰქონდა 1847 წელს მნიშვნელოვანი ნასშტაბით, რომელიც საკმარისი იყო ოქროს მიქცევის შემცირებისათვის.

ჯ. გ. ჰუბარდი, ინგლისის ბანკის ყოფილი მმართველი და 1838 წლიდან მისი დირექციის წევრი: «2545. არსებობს ევროპული ფასიანი ქაღალდების დიდი რაოდენობა... რომლებიც მიმოიქცევა ევროპის სულ ანგადასხვა ფულის ბაზრებზე, და როგორც კი ერთ ბაზარზე ამ ქაღალდების ფასი 1 ან 2%-ით დაეცემა, მათ მაშინვე შეისყიდიან იმ ბაზრებზე გასაგზავნად, სადაც მათი ფასი ჯერ კიდევ უფრო მაღალ დონეზეა. — 2565. განა უცხო ქვეყნებს მნიშვნელოვანი ვალი არა აქვთ ინგლისელი ვაჭრებისა? აქვთ და ძალიან დიდი ვალიც აქვთ. — 2566. მაშასადამე, მართო ამ ვალის მიღება ზომ არ იქნებოდა საკმარისი ინგლისში დიდი კაპიტალის დაგროვების ასახსნელად? — 1847 წელს ჩვენ ბოლოს და ბოლოს კვლავ აღვადგინეთ ჩვენი მდგომარეობა მით, რომ ჩამოვწერეთ რამდენიმე მილიონი, რომელიც ამერიკას და რუსეთს ემართათ წინათ ინგლისის». [ამ დროს ინგლისსაც ემართა ამ ქვეყნების «რამდენიმე მილიონი» პურისთვის და მან «ჩამოწერა» მათი დიდი ნაწილი ინგლისელი მოვალეების გაკოტრების საშუალებით. იხ. ზემოთ 1857 წლის ანგარიში საბანკო აქტის შესახებ, თავი XXX, გვ. 31 *] — «2572. 1847 წელს კურსი ინგლისისა და პეტერბურგს შორის ძალიან მაღალ დონეზე იდგა. როდესაც გამოიცა მთავრობის განკარგულება,

* იხ. ამ ტომის გვ. 619 — 620. რ. ე. დ.

რომილმაც ნება დართო ბანკს დაწესებულ 14 მილიონის საზღვარზე შეტადღა { ოქროთი დაუფარავად } «გამოეშვა» ბანკნოტები, პირობად იყო დადებული, რომ დისკონტის ნორმა 8%-ზე ყოფილიყო გაჩერებული. იმ მომენტში და ისეთი დისკონტის ნორმის პირობებში მომგებიანი საქმე იყო ოქროს გაგზავნა პეტერბურგიდან ლონდონში და იქ მისი გასესხება 8%-ად სამთვიანი თამასუქების ვადის გასვლამდე, რომლებიც გაცემული იყო გაყიდულ ოქროზე. — 2573. ფულთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის დროს მრავალი გარემოებაა მხედველობაში მისაღები; საქმე დამოკიდებულია სათამაშუქო კურსსზე და სარგებლის განაკვეთზე, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ფულს დაბანდება, { ოქროზე გაცემული } თამასუქების ვადის გასვლამდე».

სათამაშუქო კურსი აზიასთან.

შემდეგი მომენტებია აქ მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, იმიტომ რომ ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ითბობს ხელს ინგლისი, როდესაც მას არახელსაყრელი სათამაშუქო კურსი აქვს აზიასთან, სხვა ქვეყნების ხარჯზე, რომელთა იმპორტი აზიიდან ინგლისის მეშვეობით გადაიხდება. მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ბ-ნი ვილსონი აქ კვლავ უმართებულოდ ცდილობს — გააიგივოს გავლენა, რასაც სათამაშუქო კურსზე ახდენს ძვირფასი ლითონის გაზიდვა, იმ გავლენასთან, რასაც სათამაშუქო კურსზე ახდენს საერთოდ კაპიტალის გაზიდვა. — ამასთან ორივე შემთხვევაში საქმე შეეხება ფულის გაზიდვას არა გადახდის ან ყიდვის საშუალების სახით, არამედ — კაპიტალის დასაბანდებლად. უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ, თუ ინდოეთში იგზავნება რკინიგზის მშენებლობაში დაბანდების მიზნით ამდენი და ამდენი მილიონი გირე. სტ., ძვირფასი ლითონის, თუ რკინის რელსების სახით, ორივე ეს შემთხვევა მხოლოდ კაპიტალის ერთი და იმავე თანხის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის სხვადასხვა ფორმაა; სახელდობრ, ეს კაპიტალის ისეთი გადატანაა, რომელიც ანგარიშში არ მიიღება ჩვეულებრივ სავაჭრო გარიგებებში და რომლისთვისაც ექსპორტიორ ქვეყანას არ შეუძლია სხვა რაიმეს მიღებას მოელოდეს. გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც მან უნდა მიიღოს წლიურად ამ რკინიგზების ამონაგებიდან. თუ ეს ექსპორტი ძვირფასი ლითონის სახით წარმოებს, მაშინ, რადგან იგი ძვირფასი ლითონია და, როგორც ასეთი, პირდაპირ სასესხო ფულად კაპიტალს და მთელი ფულის სისტემის ბაზისს წარმოადგენს, — მაშინ, თუმცა არა აუცილებლად ყველა გარემოებაში, არამედ წინათ აღნიშნულ პირობებში, ეს ექსპორტი პირდაპირ გავლენას მოახდენს

ფულის ბაზარზე და, მაშასადამე, სარგებლის განაკვეთზეც იმ ქვეყანაში, რომელიც ძვირფასი ლითონის ექსპორტს ეწევა. ასეთსავე პირდაპირ გავლენას მოახდენს იგი სათამაშუქო კურსზე. ძვირფასი ლითონის გადაგზავნას ხომ მხოლოდ მაშინ და იმდენად აქვს ადგილი, როცა და რამდენადაც ლონდონის ფულის ბაზარზე მოწოდებული თამაშუქები. მაგალითად, ინდოეთზე, საკმარისი არაა იმისათვის, რომ განხორციელდეს ფულის ასეთი ექსტრაორდინარული გადაგზავნა. მაშასადამე, ადგილი აქვს ინდოეთზე თამაშუქების ისეთ მოთხოვნას, რომელიც მიწოდებას აღემატება, და, ამრიგად, კურსი ამ მომენტში არახელსაყრელი ხდება ინგლისისთვის არა იმიტომ, რომ იგი ვალშია ინდოეთის წინაშე. არამედ იმიტომ, რომ მან ექსტრაორდინარული თანხები უნდა გაგზავნოს ინდოეთში. თუ ძვირფასი ლითონის ასეთი გზავნა ინდოეთს დიდხანს გაგრძელდა, იგი გამოიწვევს ინდოეთის მოთხოვნის ზრდას ინგლისურ საქონელზე, იმიტომ რომ არაპირდაპირ აღიღებს ინდოეთის მიერ ევროპული საქონლის მოხმარების უნარს. პირიქით, თუ კაპიტალის გაზიდვა წარმოებს რელსებისა და სხვ. სახით, ამას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია სათამაშუქო კურსზე, რადგან ამ შემთხვევაში ინდოეთს არ სჭირდება ამის სამაგიეროს გადახდა. იმავე მიზეზით ეს ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფულის ბაზარზე. ვილსონა ცდილობს ამ გავლენის არსებობა იმით დაამტკიცოს, რომ ასეთმა ექსტრაორდინარულმა ხარჯებმა ფულადი სესხის დამატებითი მოთხოვნა უნდა გამოიწვიოს და ამგვარად სარგებლის განაკვეთზე ზეგავლენა მოახდინოსო. ეს შეიძლება მოხდეს; მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს ყველა გარემოებაში უნდა მოხდესო, სრულიად მცდარია. სადაც არ უნდა გაგზავნონ ეს რელსები, სადაც არ უნდა გამოიყენონ ისინი, ინგლისის თუ ინდოეთის წიადაგზე, ყველა შემთხვევაში ეს რელსები წარმოადგენენ მხოლოდ ინგლისის წარმოების გარკვეულ გაფართოებას გარკვეულ სფეროში. იმის მტკიცება, რომ წარმოების გადიდება, თუნდაც ძალიან ფართო ფარგლებშიც კი, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სარგებლის განაკვეთის გაუდიდებლადო, მცდარია. შესაძლებელია გაიზარდოს ფულადი სესხის რაოდენობა, ე. ი. იმ გარიგებათა ჯამი, რომლებშიც შედის საკრედიტო ოპერაციები; მაგრამ ეს ოპერაციები შეიძლება გადიდდეს სარგებლის მოცემული განაკვეთის უცვლელობისას. ამას მართლა ჰქონდა ადგილი 40-ან წლებში სარკინიგზო მანის დროს. სარგებლის განაკვეთი არ აწეულა. რამდენადაც საქმე შეეხება ნამდვილ კაპიტალს, ე. ი. ამ შემთხვევაში საქონელს, — სრულიად ცხადია, რომ გავლენა ფულის ბაზარზე სრულიად ერთი და იგივე იქნება, განკუთვნილია ეს საქონელი საზღვარგარეთისთვის თუ

ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის. განსხვავება მხოლოდ მაშინ იქნებოდა, ინგლისის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი რომ მის კომერციულ ექსპორტს ზღუდავდეს, — ექსპორტს, რომლისთვისაც უნდა გადაიხადონ და რომელიც კაპიტალის უკუმოდინებას იწვევს, — ანდა კაპიტალის დახარჯვა საერთოდ რომ კრედიტის უზომოდ დაძაბულობისა და სპეკულაციური ოპერაციების დასაწყისის სიმპტომი იყოს.

ქვემოაღნიშნულში კითხვებს იძლევა ვილსონი, პასუხს აძლევს ნიუმარჩი.

«1786. თქვენ წინათ თქვით აღმოსავლეთ აზიის მხრივ ვერცხლის მოთხოვნის შესახებ, რომ, თქვენი აზრით, სათამაშო კურსი ინდოეთთან ბელსაყრელია ინგლისისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ აზიაში განუწყვეტლივ იგზავნება ლითონური მარაგის მნიშვნელოვანი რაოდენობა; გაქვთ თქვენ საამისო საბუთები? — რასაკვირველია... მე ვთვლი, რომ ნამდვილი ღირებულება შეერთებული სამეფოს ექსპორტისა ინდოეთში 1851 წელს 7 420 000 გირვ. სტერლინგს აღწევდა; ამას უნდა მივუმატოთ India House-ის* თამაშუქების ჯამი, ე. ი. იმ ფონდების თანხა, რომლებიც ოსტ-ინდოეთის კომპანიას გამოაქვს ინდოეთიდან თავისი საკუთარი ხარჯების დასაფარავად. ეს ტრატები აღნიშნულ წელს შეადგენდა 3 200 000 გირვ. სტერლინგს, ასე რომ შეერთებული სამეფოს მთელი ექსპორტი ინდოეთში შეადგენდა 10 620 000 გირვ. სტერლინგს. 1855 წელს.. საქონლის ექსპორტის ნამდვილი ღირებულება გაიზარდა 10 350 000 გირვ. სტერლინგამდე; India House-ის ტრატები შეადგენდა 3 700 000 გირვ. სტერლ.; შაშასადამე, მთელი ექსპორტი უდრიდა 14 050 000 გირვ. სტერლინგს. 1851 წლისთვის, მგონია, ჩვენ არ გვაქვს საშუალება განვსაზღვროთ ინდოეთიდან ინგლისში შემოზიდულ საქონელთა ნამდვილი ღირებულება, მაგრამ ასეთი მონაცემები გვაქვს 1854 და 1855 წლებისთვის. 1855 წელს ინდოეთიდან ინგლისში შემოზიდულ საქონელთა ნამდვილი ღირებულება შეადგენდა სულ 12 670 000 გირვ. სტერლინგს. და ეს თანხა 14 050 000 გირვ. სტერლ. ექსპორტთან შედარებისას იძლევა ინგლისისთვის. ამ ორ ქვეყანას შორის უშუალო ვაჭრობის საფუძველზე, ხელსაყრელ ბალანსს 1 380 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით».

ვილსონი ამის გამო შენიშნავს, რომ სათამაშო კურსზე გავლენა აქვს აგრეთვე არაუშუალო ვაჭრობას. ასე, მაგალითად, ინდოეთის ექს-

* ოსტ-ინდოეთის კომპანიის მმართველობა. რ ე დ.

პორტი ავსტრალიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში იფარება ტრატებით ლონდონზე და ამიტომ გავლენას ახდენს სათამაშუქო კურსზე სავსებით ისე, როგორც იმ შემთხვევაში, საქონელი რომ პირდაპირ წამოსულიყო ინდოეთიდან ინგლისში. შემდეგ, თუ ავიღებთ ინდოეთსა და ჩინეთს ერთად: ბალანსი არახელსაყრელი აღმოჩნდება ინგლისისთვის, რადგან ჩინეთს მუდამ აქვს მნიშვნელოვანი გადასახდელი ინდოეთის მიმართ ოპიუმისთვის, ხოლო ინგლისს ჩინეთის მიმართ აქვს გადასახდელი, ასე რომ ამ მოხვეული გზით თანხები ინგლისიდან ინდოეთში მიდის (1787, 1788).

1791. ვილსონი ეკითხება, სათამაშუქო კურსზე ერთი და იგივე გავლენა ხომ არ იქნება როგორც იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალი «გაიზიდება რკინის რელსებისა და ორთქლმავლების სახით, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ლითონური ფულის სახით გაიზიდება». ნიუმარჩი ამაზე სრულიად მართებულად უპასუხებს: 12 მილიონი გირვ. სტერლინგი, რომელიც უკანასკნელ წლებში ინდოეთში გაიგზავნა რკინიგზების ასაგებად, გამოყენებულია წლიური რენტის საყიდლად, რომელიც ინდოეთმა განსაზღვრულ ვადებში უნდა უხადოს ინგლისს (1792). «რაც შეეხება ძვირფასი ლითონის უშუალო გავლენას ბაზარზე, 12 მილიონი გირვ. სტერლინგის დახარჯვას ამ გავლენის მოხდენა შეეძლო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლითონის გაზიდვა ხდებოდა ნამდვილად ფულის სახით დასაბანდებლად».

1797. { ვეგელინი ეკითხება: } «თუ რკინისთვის (რელსებისთვის) არავითარი სამაგიერო ანაზღაურება არ მოდის, მაშ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი გავლენას ახდენს სათამაშუქო კურსზე? — მე არ მგონია, რომ დანახარჯის ეს ნაწილი, რომელიც საქონლის სახით გაიზიდება» გავლენას ახდენდეს სათამაშუქო კურსის მდგომარეობაზე... სათამაშუქო კურსზე გავლენა აქვს — შეიძლება ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ — ვალდებულებათა, ანუ თამაშუქთა რაოდენობას, რომლებიც მიწოდებულია ერთი ქვეყნის ბაზარზე, შედარებით მათს იმ რაოდენობასთან, რომელიც მიწოდებულია სხვა ქვეყნის ბაზარზე; ასეთია სათამაშუქო კურსის რაციონალური თეორია. რაც შეეხება 12 მილიონის გადაგზავნას, — ჯერ აღვილი ჰქონდა ამ 12 მილიონზე ხელმოწერას აქ; ოპერაცია რომ იმგვარი ყოფილიყო, რომ ყველა ეს 12 მილიონი ნაღდი მონეტის სახით შეტანილიყო კალკუტაში, ბომბეიში ან მადრასში... ასეთი უცარი მოთხოვნა გამოიწვევდა როგორც ოქროს ფასის, ისე სათამაშუქო კურსის დიდ შერყევას, — სრულიად ისე, როგორც მაშინ, ოსტ-ინდოეთის კომპანიამ რომ ხვალ გამოაცხადოს, ჩემ ტრატებს 3-იდან 12 მილიონამდე ვადიდებო. მაგრამ ამ

12 მილიონის ნახევარი იხარჯება... ინგლისში საქონელთა საყიდლად.. რკინის რელსების, ხისა და სხვა მასალების საყიდლად... ეს არის ინგლისის კაპიტალის დახარჯვა თვით ინგლისში გარკვეული სახეობის საქონლისათვის, რომელიც შემდეგ ინდოეთში გაიგზავნება, და ამიერიდან რუდებზე მთელი ოპერაცია. — 1798. {ვეველინი:} მაგრამ ამ რკინიგზებისათვის საჭირო საქონლის წარმოება, რკინისა და ხისა, იწვევს უცხოეთის საქონელთა გაძლიერებულ მოხმარებას, და ამას ხომ შეეძლო გავლენა მოეხდინა სათამაშო კურსზე? — რასაკვირველია».

ვილსონი გამოთქვამს აზრს, რომ რკინა წარმოადგენს მეტწილად შრომას, და ამ შრომაში გადახდილი ხელფასი წარმოადგენს მეტწილად შემოზიდულ საქონელს (1799), და ამის შემდეგ ეკითხება:

«1801. მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ: თუ ამ შემოზიდულ საქონელთა მოხმარების გზით წარმოებული საქონელი იმგვარად გაიზიდება, რომ ჩვენ მის სამაგიეროდ არაფერი მოგვდის, არც პროდუქტებით და არც სხვა რაიმე სახით, — განა ამას შედეგად არ ექნება ჩვენთვის არახელსაყრელი კურსი? ეს ზოგადი დებულება სწორედ შეესაბამება იმას, რასაც ადგილი ჰქონდა ინგლისში გაძლიერებულ სარკინიგზო მშენებლობის დროს { 1845 წ. }. სამი, ოთხი თუ ხუთ თანამიმდევრო წლის განმავლობაში თქვენ 30 მილიონი გირვ. სტერლინგი გაიღეთ რკინიგზებისთვის, და ამასთან თითქმის მთელი ეს თანხა ხელფასზე წავიდა. სამი წლის განმავლობაში მოსახლეობა, რომელსაც თქვენ სარჩოს აძლევდით რკინიგზების, ორთქლმავლების, ვაგონებისა და სადგურების შენებით, უფრო მრავალრიცხოვანი იყო ვიდრე ის მოსახლეობა, რომელიც სარჩოს შოულობს ერთად აღებულ ყველა საფაბრიკო რაიონში. ეს ადამიანები... თავიანთი ხელფასით ყიდულობდნენ ჩაას, შაქარს, სპირტიან სასმელებს და სხვ. უცხოურ საქონელს; ყველა ეს საქონელი უნდა შემოზიდულიყო. მაგრამ უეჭველია, რომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მნიშვნელოვანი კაპიტალები იხარჯებოდა ამგვარად, სათამაშო კურსს ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის არ განუცდია არსებითი ცვლილება. ადგილი არ ჰქონია ძვირფასი ლითონის მიქცევას, პირიქით, ადგილი ჰქონდა მის მოქცევას».

1802. ვილსონი დაუინებით იცავს იმ აზრს, რომ სავაჭრო ბალანსის წონასწორობისა და *al pari* [პარიტეტის ტოლი] კურსის არსებობისას ინგლისსა და ინდოეთს შორის, რკინისა და ორთქლმავლების მოჭარბებით გაზიდვა «უნდა შეეხოს სათამაშო კურსს ინდოეთთან» ნიუმარჩს არ შეუძლია გაიგოს, რატომ უნდა იყოს ეს ასე, რაკი გაზიდული რელსები კაპიტალის დაბანდებას წარმოადგენს და ინდოეთს

არ სჭირდება ნისი ვადახდა ამა თუ იმ ფორმით; ამას იგი დასძენს. «მე ვეზნობი იმ დებულებას, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია სანგრძლივად არახელსაყრელი სათამაშუქო კურსი ჰქონდეს ყველა სხვა ქვეყნებთან, რომლებთანაც იგი ვაჭრობას ეწევა; არახელსაყრელი კურსი ერთ ქვეყანასთან აუცილებლად წარმოშობს ხელსაყრელ კურსს რომელსამე სხვა ქვეყანასთან». ამას ვილსონი უპირისპირებს შემდეგ ტრივილობას: «1803. მაგრამ განა კაპიტალის გადატანა იგივე არ რჩება მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით წარმოებს იგი? — დიახ, რასაკვირველაა, რამდენადაც საქმე სავალო ვალდებულებებს ეხება. — 1804. ამრიგად, თქვენ ძვირფას ლითონს გზავნით თუ სანონელს, ინდოეთის სარკინიგზო მშენებლობის გავლენა კაპიტალის აქაურ ბაზარზე ერთი და იგივე იქნება და კაპიტალის ღირებულებას ასევე მალა ასწევს, როგორც იმ შემთხვევაში, თუ მთელი თანხა ძვირფასი ლითონის სახით გაიზიდებოდა?».

თუ რკინის ფასები არ გაზრდილა, ეს ყოველ შემთხვევაში იმის უამაბტყიციებელია, რომ რელსებში მოქცეული «კაპიტალის ღირებულება» არ გადიდებულა. ის, რაზედაც აქ ლაპარაკია, არის ფულადი კაპიტალის ღირებულება, სარგებლის განაკვეთი. ვილსონის სურვილია გააიგივოს ფულადი კაპიტალი და კაპიტალი საერთოდ. უბრალო ფაქტია უწინარეს ყოვლისა ის, რომ ინგლისში ხელი მოაწერეს 12 მილიონზე ინდოეთის რკინიგზებისთვის. ამ გარემოებას არავითარი ძირდაპირი კავშირი არა აქვს სათამაშუქო კურსთან, და ამ 12 მილიონის დანიშნულება ფულის ბაზრისთვისაც სრულიად ინდიფერენტულია. თუ ფულის ბაზარი ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება, ამან შეიძლება მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინოს, ისე როგორც მასზე გავლენა არ მოუხდენია ინგლისის სარკინიგზო აქციებზე ხელმოწერას 1844 და 1845 წლებში. თუ ფულის ბაზარი უკვე შევიწროებულია რამდენადმე, აღნიშნულ მოვლენას შეეძლო, მართალია, სარგებლის განაკვეთზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ — მხოლოდ მალა აწევის მიმართულებით, და ვილსონის თეორიის თანახმად ამას ინგლისისთვის ხელსაყრელად უნდა ემოქმედნა კურსზე, ე. ი. შეეფერხებინა ძვირფასი ლითონის გაზიდვის ტენდენცია, — თუ ინდოეთის მიმართ არა, რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ მაინც. ბ-ნი ვილსონი ნახტომს აკეთებს ერთი საგნიდან მეორეზე. კითხვა 1802-ში იგი ამტკიცებს, რომ გავლენა უნდა განიცადოს სათამაშუქო კურსმა, № 1804-ში კი: რომ ეს უნდა განიცადოს «კაპიტალის ღირებულება», — და ეს ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. სარგებლის განაკვეთს შეუძლია გავლენის მოხდენა სათამაშუქო კურსზე და სათამაშუქო კურსს —

სარგებლის განაკვეთზე, მაგრამ მაინც ცვალებადი კურსის დროს სარგებლის განაკვეთი, ხოლო სარგებლის ცვალებადი განაკვეთის დროს კურსი შეიძლება უცვლელი რჩებოდეს. ვილსონის თავში ვერ თავსდება ის აზრი, რომ კაპიტალის საზღვარგარეთ გადაგზავნის შემთხვევაში თვით ფორმა, რომლითაც იგი გადაიგზავნება, ქმნის ამ განსხვავებას გავლენაში, ე. ი. რომ კაპიტალის ფორმის განსხვავებას ეს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, და თანაც სწორედ მის ფულად ფორმას, — ეს აზრი დიდად ეწინააღმდეგება განათლებული ეკონომიის შეხედულებას. ნიუმარჩი ვილსონს უპასუხებს ცალმხრივ, როცა იგი სრულიად არ მიაქცევს ამ უკანასკნელის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ იგი უეცრად და უსაფუძვლოდ გადახტა სათამაშო კურსიდან სარგებლის განაკვეთზე. ნიუმარჩი აღნიშნულ № 1804 კითხვაზე ორჭოფულად და მერყევე პასუხს აძლევს: «რაკი გამონახულ უნდა იქნეს ეს 12 მილიონი, უეჭველია, რამდენადაც საქმე სარგებლის საერთო განაკვეთს შეეხება, არარსებითია, ძვირფასი ლითონის სახით გადაიგზავნება ეს 12 მილიონი თუ მასალების სახით. მე ვფიქრობ მაინც {ეს «მაინც» სწორედ ჩინებულია პირდაპირ საპირისპირო მტკიცებაზე გადასასვლელად}, «რომ ეს არაა მთლად არაარსებითი» {ეს არაარსებითია, მაგრამ მაინც არაა არაარსებითი}, «იმიტომ რომ ერთ შემთხვევაში 6 მილიონი გირვ. სტერლინგი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო უკან; მეორე შემთხვევაში იგი ასე მალე ვერ დაბრუნდებოდა. ამიტომ ერთგვარ» {რა გარკვეულობაა!} «განსხვავებას შეადგენს, ეს 6 მილიონი აქვე ქვეყანაში დაიხარჯება, თუ მთლიანად გაიზიდება». რას უნდა ნიშნავდეს გაქვორება, რომ 6 მილიონი გირვ. სტერლინგი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო უკან? რამდენადაც 6 მილიონი გირვ. სტერლინგი ინგლისშია დახარჯული, იგი არსებობს რელსების, ორთქლმავლებისა და სხვ. სახით, რომლებიც ინდოეთში გაიგზავნება, საიდანაც ეს რელსები უკან არ დაბრუნდება, და მათი ღირებულება დაბრუნდება მარტოოდენ ამორტიზაციის გზით, ე. ი. ძალიან ნელა, მაშინ როდესაც 6 მილიონი ძვირფასი ლითონი, შესაძლებელია, ძალიან მალე დაბრუნდეს უკან *in natura* [ნატურით]. რამდენადაც ეს 6 მილიონი ხელფასზეა დახარჯული, იგი შექმულია; მაგრამ ის ფული, რომლის სახით იგი ავანსებული იყო, უწინდებურად მიმოიქცევა ქვეყანაში ანდა რეზერვს შეადგენს. იგივე ითქმის რელსების მწარმოებელთა მოგებაზე და 6 მილიონის იმ ნაწილზე, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. ამრიგად, ორაზროვან ფრაზას კაპიტალებს უკუდაბრუნების შესახებ ნიუმარჩი მხოლოდ იმისთვის ხმარობს, რომ პირდაპირ არ თქვას: ფუ-

ლი დარჩა ქვეყანაში და, რამდენადაც იგი მოქმედებს გასასესხებელი კაპიტალის სახით, განსხვავება ფულის ბაზრისთვის (მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, რომ იქნებ შეიძლებოდა მიმოქცევას მეტი ლითონური ფული შთაენთქა) ის არის, რომ იგი *A*-ს ანგარიშზე იხარჯება და არა *B*-ს ანგარიშზე. კაპიტალის ამგვარ დაბანდებას, როცა კაპიტალი გადაიტანება სხვა ქვეყნებში საქონლის სახით და არა ძვირფასი ლითონის სახით, მხოლოდ იმდენად შეუძლია გავლენა მოახდინოს სათამაშუქო კურსზე (და ამასთან არა სათამაშუქო კურსზე იმ ქვეყანასთან, სადაც კაპიტალის დაბანდება ხდება), რამდენადაც ასეთ გაზიდულ საქონელთა წარმოება სხვა უცხოურ საქონელთა დამატებით შემოზიდვას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ეს წარმოება იმისთვის არაა დანიშნული, რომ ეს დამატებითი იმპორტი გააწონასწოროს. მაგრამ ამასვე აქვს ადგილი ყოველი ექსპორტის დროს, რომელიც კრედიტით წარმოებს, — ხუთ ერთია, კაპიტალის დასაბანდებლად ხდება იგი თუ ჩვეულებრივი სავაჭრო მიზნით. გარდა ამისა, ამ დამატებითს იმპორტს შეუძლია უკუმოქმედების გზით გამოიწვიოს ინგლისის საწონელთა დამატებითი მოთხოვნა, მაგალითად, კოლონიების ან შეერთებული შტატების მხრივ.

წინათ ნიუმარჩი ამბობდა, ოსტ-ინდოეთის კომპანიის ტრატების გამო ექსპორტი ინგლისიდან ინდოეთში უფრო დიდია, ვიდრე იმპორტიო. სერ ჩარლზ ვუდი მას ჯვარედინ კითხვებს აძლევს ამ პუნქტის შესახებ. ინგლისიდან ინდოეთში მიმავალი ექსპორტის ეს ნამეტი ინდოეთიდან მომავალ იმპორტთან შედარებით ნამდვილად ხორციელდება ისეთი იმპორტით ინდოეთიდან, რომლისათვის ინგლისი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის: ოსტ-ინდოეთის კომპანიის (ამჟამად ოსტ-ინდოეთის მთავრობის) ტრატები მოასწავებს ხარკს, რომელსაც ინდოეთს ახდევინებენ. ავილოთ მაგალითისთვის 1855 წელი: იმპორტი ინდოეთიდან ინგლისში შეადგენდა 12 670 000 გირვ. სტერლინგს, ინგლისის ექსპორტი ინდოეთში — 10 350 000 გირვ. სტერლინგს. ბალანსი სასარგებლოა ინდოეთისთვის 2 250 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით*. «საქმე რომ ამით ამოიწურებოდეს, ეს 2 250 000 გირვ. სტერლინგი ამა თუ იმ სახით უნდა გავზავნილიყო ინდოეთში. მაგრამ აქ სცენაზე გამოდის India House-ის** მოთხოვნა India

* ე. ი. დაახლოებით ორსა და ერთ მეოთხედ მილიონს; უფრო ზუსტად — 2.320.000.

** იხ. შენიშვნა ამ ტომის 149 გვერდზე.

House-ი აცხადებს, რომ მას შეუძლია ინდოეთის სხვადასხვა საბრე-
ზიდენტოებზე გასცეს ტრაქტები 3 250 000 გირვ. სტერლინგის რაოდენ-
ობით. {ამ თანხას ოსტ-ინდოეთის კომპანია იღებდა ლონდონში გა-
წეული ხარჯებისთვის და აქციონერთა დივიდენდების გადასახდელად. }
და ეს არა თუ ისტუმრებს 2 250 000 გირვ. სტერლ. ბალანსს, რომელიც
ვაჭრობის გზით წარმოიქმნა, არამედ ერთ მილიონ ნამეტსაც იძლე-
ვა» (1917).

1922. { ვუდი: } «მაშასადამე, India House-ის ამ ტრაქტების გავლენა
გამოიხატება არა ინდოეთისთვის დანიშნული ექსპორტის გადიდებით,
არამედ მისი შემცირებით pro tanto [შესაბამისად]?». {უნდა თქმული-
ყო: იმ აუცილებლობის შემცირებით, რომ ინდოეთიდან მიღებული
იმპორტი დაფარულ იქნეს საინდოეთო ექსპორტის სათანადო თანხით. }
ამას ბ-ნი ნიუმარჩი იმით ხსნის, რომ ანგლისელებს ამ 3 700 000 გირვ
სტერლინგისთვის «კარგი მმართველობა» შეაქვთ ინდოეთში (1925).
ვუდი, რომელიც, როგორც ინდოეთის საქმეების მინისტრი, კარგად
იცნობს იმ ჯურის «კარგ მმართველობას», რაც ინგლისელებს შე-
ქონდათ ინდოეთში, შემდეგ სწორ და ირონიულ შენიშვნას აკეთებს
(1926): «მაშასადამე, ის ექსპორტი, რომელიც, თქვენი სიტყვებით.
India House-ის ტრაქტებითაა გამოწვეული, კარგი მმართველობის
ექსპორტს წარმოადგენს და არა საქონელთა ექსპორტს». რადგან
ინგლისის ბევრი გააქვს «ამ წესით» «კარგი მმართველობის» დასაწესებ-
ლად და კაპიტალის დასაბანდებლად უცხო ქვეყნებში, — მაშასადამე,
იღებს იმპორტს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია საქმეების
ჩვეულებრივი მსვლელობისაგან, იღებს ხარკს ნაწილობრივ გატანილი
«კარგი მმართველობისთვის», ნაწილობრივაც როგორც შემოსავალს
კაპიტალისაგან, რომელიც კოლონიებსა და სხვა ქვეყნებში აქვს და-
ბანდებული, ხარკს, რომლისათვის მას არავითარი ეკვივალენტის ვა-
დახდა არ სჭირდება. — ამიტომ ცხადია, რომ სათამაშო კურსი არ
იცვლება, როცა ინგლისი ამ ხარკს უბრალოდ ჰპას, სამაგიერო ექს-
პორტის გარეშე; მაგრამ ასევე ცხადია, რომ კურსი არც მაშინ იცვლე-
ბა, როცა ეს ხარკი კვლავ დაბანდებული იქნება მწარმოებლურად თუ
არამწარმოებლურად არა ინგლისში, არამედ საზღვარგარეთ; თუ,
მაგალითად, მის შესაბამისად საომარი მასალები იქნება ყირიმში გაგ-
ზავნილი. ამასთან, რამდენადაც საზღვარგარეთიდან მიღებული იმპორ-
ტი შედის ინგლისის შემოსავალში, — გადახდილი კი, რასაკვირველია.
იგი უნდა იყოს ან როგორც ხარკი, რომლისათვის ეკვივალენტის ვაღე-
ბა საჭირო არაა, ან ამ გადაუხდელ ხარკზე გაცვლის საშუალებით,

ანდა ვაჭრობის ჩვეულებრივი გზით, — ინგლისს შეუძლია იგი ან მოიხმაროს, ან კვლავ საქმეში დააბანდოს კაპიტალის სახით. არც ერთი და არც მეორე არ ახდენს გავლენას სათამაშუკო კურსზე, და სწორედ ამას ვერ ამჩნევს ბრძენი ვალსონი. ადგილობრივი პროდუქტი შეადგენს შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს თუ უცხოური პროდუქტი — ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს შინაგანი პროდუქტების გაცვლას უცხოურ პროდუქტებზე, — ამ შემოსავლის მოხმარება. მწარმოებლური იქნება იგი თუ არამწარმოებლური, სრულიად არ ცვლის სათამაშუკო კურსს, თუმცა გავლენას კი ახდენს წარმოების მასშტაბზე. ამის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ ქვემოთ აღნიშნულზე.

1934. ვუდი ეკითხება, როგორ იმოქმედებდა საომარი მასალების ყირიმში გაგზავნა სათამაშუკო კურსზე თურქეთთან. ნიუმარჩი უპასუხებს: «მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იმოქმედოს საომარი მასალების უბრალო გაგზავნამ სათამაშუკო კურსზე, მაგრამ ძვირფასი ლითონის გაგზავნა შეჰქველად გავლენას მოახდენდა კურსზე». მაშასადამე, აქ იგი განასხვავებს კაპიტალს ფულად ფორმაში კაპიტალის სხვა ფორმებისგან. მაგრამ, აი, ვილსონი აძლევს მას შემდეგ კითხვას:

«1935. თუ თქვენ რაიმე საქონლის ექსპორტს აწარმოებთ ფართო მასშტაბით და სამაგიეროდ შესაბამის იმპორტს არ იღებთ» [ბ-ნი ვილსონი ივიწყებს, რომ ინგლისის მიმართ ადგილი აქვს ფრიად მნიშვნელოვან იმპორტს შესაბამისი ექსპორტის გარეშე, უკანასკნელის ისეთი ფორმებიც რომ გამოვაცლოთ, როგორცაა «კარგი მმართველობის» ექსპორტი ან წინათ გაზიდული კაპიტალი, რომელიც საქმეშია დაბანდებული; ყოველ შემთხვევაში ეს არაა ისეთი იმპორტი, რომელიც ვაჭრობის რეგულარულ მოძრაობაში შედის. მაგრამ ამ იმპორტის საგნები ხელახლა გაიცვლება, მაგალითად, ამერიკულ პროდუქტზე, და თუ ამერიკული პროდუქტის ექსპორტს ადგილი აქვს შესაბამისი იმპორტის გარეშე, ეს სრულიად არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ამ იმპორტის ღირებულება შეიძლება მოხმარებულ იქნეს საზღვარგარეთ ეკვივალენტის გაუზიდავად. იგი მიღებულია სამაგიერო ექსპორტის გარეშე, და, მაშასადამე, შეიძლება მოხმარებულ იქნეს ვაჭრობის ბალანსში შეუსვლელად], «მაშინ თქვენ არ იხდით საგარეო ვალს, რომელიც თქვენ დაიდეთ თქვენი იმპორტით». [მაგრამ თუ თქვენ უკვე წინათ გადაიხადეთ ეს იმპორტი, მაგალითად, საზღვარგარეთისთვის მიცემული კრედიტის საშუალებით, მაშინ აქ არავითარი ვალი აღარაა აღებული, და კითხვას საერთო არა აქვს რა საერთაშორისო ბალანსთან, იგი იმაში მდგომარეობს, მწარმოებლურად თუ არამწარმოებლურად იყო პროდუქტები დახარჯული, და ამასთან სავსე-

ბით სულ ერთია, ამგვარად მოხმარებული პროდუქტები ქვეყნის შიგნითაა დამზადებული თუ უცხოეთის პროდუქტებია. { «და ამიტომ ასეთი ოპერაციით თქვენ გავლენას მოახდენთ სათამაშუქო კურსზე, ვინაიდან თქვენი ვალი საზღვარგარეთ გადაუხდელი რჩება, იმიტომ რომ თქვენს ექსპორტს არა აქვს შესაბამისი იმპორტი. — ეს მართებულია სხვადასხვა ქვეყნების მიმართ საერთოდ».

ვილსონის ლექცია იმას მოასწავებს, რომ ყოველი ექსპორტი შესაბამისი იმპორტის გარეშე იმავე ღროს არის იმპორტი შესაბამისი ექსპორტის გარეშე, რადგან ექსპორტირებული საქონლის წარმოებაში შედის უცხოური, მასასადამე, იმპორტირებული საქონელი. იგულისხმება, რომ ყოველი ასეთი ექსპორტი დამყარებულია გადაუხდელ იმპორტზე ან ქმნის ამ უკანასკნელს, — მასასადამე, ქმნის ან გულისხმობს ვალს საზღვარგარეთის მიმართ. ეს მცდარი აზრია, თუნდაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ შემდეგი ორი გარემოება: 1) ინგლისს აქვს მუქტი იმპორტი, რომლისათვის იგი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის; მაგალითად, ნაწილი მისი იმპორტისა ინდოეთიდან. ამ იმპორტის პროდუქტები მას შეუძლია გაცვალოს ამერიკული იმპორტის პროდუქტებზე და ეს უკანასკნელნი გაზიდოს სამაგიერო იმპორტის შეუსრულებლად; რაც შეეხება ღირებულებას, ინგლისი აქ ყოველ შემთხვევაში იმის ექსპორტს აკეთებს, რაც მას არაფერი უღირს. 2) ინგლისმა, შესაძლებელია, უკვე გადაიხადა იმპორტი, მაგალითად, ამერიკული, რომელიც დამატებითს კაპიტალს შეადგენს; თუ იგი შემდეგ ამას არამწარმოებლურად მოიხმარს, მაგალითად, საომარი მასალების სახით, — ეს არ ქმნის ვალს ამერიკის მიმართ და არ შეეხება სათამაშუქო კურსს ამერიკასთან. ნიუმარჩი ეწინააღმდეგება თავის თავს № 1934 და № 1935 ჩვენებებში, რაზედაც მის ყურადღებას მიაქცევს ვუდი, 1938: «თუ საქონლის არც ერთი ნაწილი, რაც იმ საგნების დასამზადებლად გამოიყენება, რომლებსაც ჩვენ გავზიდავთ შესაბამისი სამაგიეროს მიუღებლად {სამხედრო ხარჯები}, იმ ქვეყნიდან არ მოდის, სადაც ეს საგნები გაიზიდება, მაშინ როგორღა შეუძლია ამას გავლენა იქონიოს სათამაშუქო კურსზე ამ ქვეყანასთან? ვთქვათ, ვაჭრობა თურქეთთან წონასწორობის ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფება; როგორ შეიძლება სათამაშუქო კურსზე ინგლისსა და თურქეთს შორის გავლენა იქონიოს საომარი მასალების გაზიდვამ ყირიმში?» — აქ ნიუმარჩი კარგავს სულიერ წონასწორობას; იგი ივიწყებს, რომ ჩვენებანი № 1934 მან უკვე სწორად უპასუხა ამ შარტივ კითხვაზე, და ამბობს: «მე მგონია, რომ ჩვენ ამოვწურეთ პრაქტიკული»

საკითხი და ახლა მეტაფიზიკური დისკუსიის მაღალ სფეროში გადავდივართ».

ვილსონი კიდევ სხვაგვარად აყალიბებს თავის იტყვიცებას იმის შესახებ, რომ სათამაშუქო კურსზე გავლენას ახდენს კაპიტალის ყოველი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, სულ ერთია, ძვირფასი ლითონის სახით ხდება ეს თუ საქონელთა სახით. ვილსონმა იცის, რა თქმა უნდა, რომ სათამაშუქო კურსზე შემოქმედებას ახდენს სარგებლის განაკვეთი, სახელდობრ სარგებლის ნორმათა შეფარდება იმ ორ ქვეყანაში, რომელთა საურთიერთო სათამაშუქო კურსზეცაა ლაპარაკი. თუ მან იმის დამტკიცება შეძლო, რომ სიჭარბე კაპიტალისა საერთოდ, ე. ი. უწინარეს ყოვლისა სიჭარბე ყოველგვარი საქონლისა, ძვირფას ლითონთა ჩათვლით, სხვა გარემოებებთან ერთად განმსაზღვრელ შემოქმედებას ახდენს სარგებლის განაკვეთზე, მაშინ იგი უკვე ერთი ნაბიჯით უახლოვდება თავის მიზანს; მართლაც, რადგან ეს ასეა, მაშ ამ კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანამ უნდა გამოიწვიოს სარგებლის განაკვეთის ცვლილება ორსავე ქვეყანაში, სახელდობრ — ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით და ამგვარად — მეორე რიგში — შემოქმედება უნდა იქონიოს სათამაშუქო კურსზე ამ ორ ქვეყანას შორის. — ფ. ე. }

იგი წერს «Economist»-ში, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა (1847 წ., გვ. 475):

«ცხადია, რომ კაპიტალის ასეთმა სიჭარბემ, რომლის მაჩვენებელია ყოველი სახის დიდი მარაგი, ძვირფასი ლითონის ჩათვლით, აუცილებლად უნდა გამოიწვიოს არა მარტო საქონელთა დაბალი ფასები საერთოდ, არამედ სარგებლის უფრო დაბალი განაკვეთიც კაპიტალით სარგებლობისათვის.¹⁾ თუ ჩვენ ხელთ გვაქვს საქონელთა მარაგი, რომელიც საკმარისია ქვეყნის მოთხოვნილებისთვის ორი უახლოესი წლის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია მოცემული პერიოდისათვის ყველა ამ საქონელზე განკარგულება სარგებლის ბევრად უფრო დაბალი განაკვეთის საფუძველზე მოვიპოვოთ, ვიდრე მაშინ, როცა მარაგი ორი თვისთვისაც კი არ არის საკმარისი.²⁾ ყოველი ფულადი სესხი, რა ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს იგი, წარმოადგენს მხოლოდ საქონელზე განკარგულების გადატანას ერთი პიროვნებიდან მეორეზე. ამიტომ, თუ საქონელი ჭარბად მოიპოვება, ფულადი სარგებელი უნდა იყოს დაბალი, თუ საქონელი ცოტაა, ფულადი სარგებელი უნდა იყოს მაღალი.³⁾ თუ საქონელი უხვად მოედინება, გამყიდველთა რიცხვი მყიდველების რიცხვთან შედარებით იმატებს, და იმდენად, რამდენადაც საქონელთა

რაოდენობა აღემატება უშუალო მოხმარების მოთხოვნილებას, მათი სულ უფრო დიდი ნაწილი შემონახულ უნდა იქნეს შემდგომი მოხმარებისათვის. ასეთ ვითარებაში საქონელთა მფლობელი დათანხმდება საქონელი გაყიდოს გადახდის ვადის გადადებით ან კრედიტით მისთვის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული იქნებოდა, რომ მთელი მისი მარაგი გასაღდება რამდენიმე კვირის განმავლობაში».⁴⁾

დებულება¹⁾ შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ძვირფასი ლითონის გაძლიერებულ მოქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების შეზღუდვის იმავდროულად, როგორც ეს ხდება ხოლმე ყოველთვის კრიზისის მომდევნო პერიოდში. შემდგომ ფაზაში ძვირფასი ლითონი შეიძლება მოედინებოდეს იმ ქვეყნებიდან, რომელნიც უპირატესად ძვირფას ლითონს აწარმოებენ; სხვა საქონელთა იმპორტი ამ პერიოდში ჩვეულებრივ ექსპორტით წონასწორდება. ამ ორ ფაზაში სარგებლის განაკვეთი დაბალია და მხოლოდ ნელა იწევს ზევით; თუ რატომ არის ასე, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. სარგებლის ეს დაბალი განაკვეთი ყველა შემთხვევაში პოულობდა თავის ახსნას «ყოველი სახის დიდი მარაგის» რაიმე გავლენის გარეშე. და როგორ უნდა ჰქონოდა ამ გავლენას ადგილი? მაგალითად, ბამბის დაბალი ფასი შესაძლებლობას აძლევს მრთველს და სხვ. მაღალი მოგება მიიღოს. და რატომაა სარგებლის განაკვეთი დაბალი? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მაღალია მოგება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს სესხად აღებული კაპიტალით, არამედ მარტოოდენ და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არსებულ პირობებში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა არ იზრდება ამ მოგების ზრდის პროპორციულად; მაშასადამე, სასესხო კაპიტალს სხვაგვარი მოძრაობა ახასიათებს, ვიდრე სამრეწველო კაპიტალს. «Economist»-ს კი სწორედ წინააღმდეგის დამტკიცება სურს: რომ სასესხო კაპიტალის მოძრაობა სამრეწველო კაპიტალს იდენტურია.

დებულება — თუ ჩვენ იმ აბსურდულ წინააღმდეგარს, რომ მარაგი ორი წლისათვის წინასწარ არსებობსო, იმდენად შევარბილებთ, რომ მან რაიმე აზრი მოიპოვოს — ეს დებულება გულისხმობს საქონლის ბაზრის მეტისმეტად გავსებას. ეს გამოიწვევდა ფასების დაცემას. ერთ ნაკრაულ ბამბაში ახლა ნაკლები იქნებოდა მისაცემი, ვიდრე უწინ. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ფული, რომელიც ერთი ნაკრაული ბამბის საყიდლადაა საჭირო, უფრო იაფად იშოვება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ფულის ბაზრის მდგომარეობაზე. თუ ფულის შოვნა უფრო იაფად შეიძლება, — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კომერციული კრედიტი ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მას შესაძ-

ლებლობას აძლევს საბანკო კრედიტს ნაკლებ მიმართოს, ვიდრე ჩვეულებრივ დროს. ის სხვადასხვა საქონელი, რომლითაც გავსებულია ბაზარი, წარმოადგენს საარსებო საშუალებებს ან წარმოების საშუალებებს. ორთავეს დაბალი ფასი მალლა სწევს სამრეწველო კაპიტალისტის მოგებას. რა მიზეზით უნდა დასწიოს მან დაბლა სარგებელი, თუ არა დაპირისპირებულობის გამო — და არა იგივეობის გამო — სამრეწველო კაპიტალის სიუხვესა და ფულად სესხზე მოთხოვნას შორის? ისეთი ვითარება იქმნება, რომ ვაჭარს და მრეწველს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთს კრედიტი მისცენ; კომერციული კრედიტის ასეთი გაადვილების გამო მრეწველსაც და ვაჭარსაც ნაკლებად სჭირდება საბანკო კრედიტი; ამიტომ სარგებლის განაკვეთი შეიძლება დაბალი იყოს. სარგებლის ამ დაბალ განაკვეთს საერთო არაფერი აქვს ძვირფასი ლითონის უკუმოდინებასთან, თუმცა შეიძლება ორივე მოვლენა პარალელურად მიმდინარეობდეს, და იმავე მიზეზებს, რომლებიც იმპორტის საგანთა ფასების დაცემას იწვევს, შეუძლია ძვირფასი ლითონის ჭარბი იმპორტიც შექმნას. თუ იმპორტის ბაზარი მართლა გავსებული იქნებოდა მეტისმეტად, ეს იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ მოთხოვნა საიმპორტო საქონლის მიმართ შეემცირდა, რასაც სხვა ვერაფრით ავსენიდით, თუ არა იმით, რომ იგი ქვეყნის შიგნით სამრეწველო წარმოების შეზღუდვის შედეგია; ეს კი, თავის მხრივ, აუხსნელი იქნებოდა დაბალი ფასების მიხედვით ჭარბი შემოზიდვის პირობებში. ვლებულობთ მხოლოდ მტკნარ აბსურდებს, რომელთა მიზანია იმის დამტკიცება, რომ ფასების დაცემა უღრის სარგებლის დაცემას. ორივე შეიძლება იმავედროულად ერთიმეორის გვერდით არსებობდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში — როგორც გამოხატულება იმ მიმართულებათა დაპირისპირებულობისა, რომლებითაც მიმდინარეობს სამრეწველო კაპიტალის მოძრაობა და სასესხო კაპიტალის მოძრაობა, და არა როგორც მათი იგივეობის გამოხატულება.

თუ რატომ უნდა იყოს ფულის სარგებელი დაბალი, როდესაც საქონელი უხვად მოიპოვება, როგორც ამას ამტკიცებს დებულება³⁾, — ეს ახლაც, ამ გრძელი მსჯელობის შემდეგაც, გაუგებარია. რადგან საქონელი გაიფადა, მისი განსაზღვრული რაოდენობის საყიდლად მე მჭირდება, ვთქვათ, 1 000 გირვ. სტერლინგი, ნაცვლად წინანდელი 2 000-ისა. მაგრამ, იქნებ, მე ახლაც დავხარჯავ 2 000 გირვ. სტერლინგს, ვიყიდი მით საქონლის ორმაგ რაოდენობას წინანდელთან შედარებით და გავაფართოებ ჩემ საწარმოს, ავანსად გავიღებ რა იმავე კაპიტალს, რომელიც, შესაძლებელია, სესხად უნდა ავიღო. მე ახლა წინანდებურად 2 000 გირვ. სტერლინგის საქონელს ვყიდულობ. მაშასადამე, ჩემი

მაშინ ლონდონში მალა იწევს სტერლინგებით გამოხატული მარკის ფასი, ხოლო ჰამბურგსა და ბერლინში დაბლა იწევს მარკებით გამოხატული გირვანქა სტერლინგის ფასი. თუ გერმანიის მიმართ ინგლისის საგადასახდლო ვალდებულებათა ეს სიჭარბე შემდეგ ისევ არ წონასწორდება იმით, მაგალითად, რომ გერმანია გადამეტებით შეისყიდის საქონელს ინგლისში, მაშინ გერმანიაზე ვაცემული სტერლინგებით გამოსახულმა, მარკიანი თამასუქების ფასმა, სულ მალა და მალა უნდა აიწიოს მანამდე, ვიდრე ხელსაყრელი არ გახდება გადასახდელის გასასტუმრებლად ინგლისიდან გერმანიაში თამასუქების ნაცვლად ლითონის გაგზავნა, — ოქროს ფულის ან ზოდის სახით. ასეთია საქმის ტიპიური მსვლელობა.

თუ ძვირფასი ლითონის ეს გაზიდვა დიდი ოდენობით მოხდება და შედარებით დიდ ხანს გაგრძელდება, იგი გავლენას მოახდენს ინგლისის საბანკო რეზერვზე და ინგლისის ფულის ბაზარმა, ხოლო პირველ რიგში ინგლისის ბანკმა, უნდა მიიღოს დაცვის ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი, როგორც ჩვენ უკვე ლავინახეთ, არსებითად სარგებლას განაკვეთის აწვევაში მდგომარეობს. ოქროს მნიშვნელოვანი მიქცევისას ფულის ბაზარზე თავს იჩენს ზოლმე ჩვეულებრივ სიძნელენი, ე. ი. სასესხო კაპიტალის მოთხოვნა ფულადი ფორმით მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდებას, და სარგებლის მაღალი განაკვეთი აქედან თავისთავად გამომდინარეობს; ამრიგად, ინგლისის ბანკის მიერ დაწესებული დისკონტის ნორმა შეესაბამება საქმის მდგომარეობას და ბაზარზე ხორციელდება. მაგრამ არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ლითონის მიქცევა გამოწვეულია არა ოპერაციების ჩვეულებრივი კომბინაციებით, არამედ სხვა მიზეზებით. (მაგალითად, უცხო სახელმწიფოთა მიერ სესხის აღებით, კაპიტალის დაბანდებით საზღვარგარეთ და სხვ.), და მაშინ ინგლისის ფულის ბაზარი როგორც ასეთი სრულიადაც არ ამართლებს სარგებლის განაკვეთის არსებითს გადიდებას; ასეთ შემთხვევაში ინგლისის ბანკმა «ღია ბაზარზე» ჯერ გაძლიერებული სესხის გზით ფული «იშვიათი უნდა გახადოს», როგორც ეს ჩვეულებრივ გამოითქმის, და ამრიგად ხელოვნურად შექმნას მდგომარეობა, რომელიც ამართლებს ან საჭიროდ ზღის სარგებლის გადიდებას; ეს არის ხერხი, რომელიც მისთვის წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება — ფ. ე.}.

თუ როგორ მოქმედებს სათამაშუკო კურსზე სარგებლის განაკვეთის აწვევა, ეს ჩანს შემდეგი ჩვენებებიდან, რომლებიც მიცემული იყო 1857 წელს ქვედა პალატის კომისიის წინაშე საბანკო კანონმდებ-
10. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ., III,

ლობის შესახებ (ციტირებულია როგორც B. A. ან როგორც B. C. 1857 წ.).

ჯონ სტიუარტ მილი: «2176. როდესაც საქმეთა წარმართვა ძნელი ხდება... იწყება ფასიანი ქაღალდების კურსის მნიშვნელოვანი დაცემა... უცხოელების დავალებით წარმოებს აქ, ინგლისში, სარკინიგზო ქციების ყიდვა, ან უცხოეთის სარკინიგზო აქციების ინგლისელი მესაყუთრენი ყიდიან ამ აქციებს საზღვარგარეთ... ამის შესაბამისად თავიდან იცილებენ ოქროს გაგზავნის საჭიროებას. — 2182. დიდი და პლიდარი კლასი ბანკირებისა და ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეებისა, რომელთა საშუალებითაც ჩვეულებრივ ხდება სარგებლის განაკვეთისა და კომერციული ბარომეტრის მდგომარეობის (pressure) გაწონასწორება სხვადასხვა ქვეყნებს შორის... ყოველთვის ეძებს შეისყიდოს ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ფასის აწევის იმედს იძლევა... შესაფერ ადგილს მათ შესასყიდად ყოველთვის ის ქვეყანა წარმოადგენს, რომელიც ოქროს საზღვარგარეთ გზავნის. — 2184. კაპიტალის ასეთ დაბანდებას ადგილი ჰქონდა 1847 წელს მნიშვნელოვანი ნასშტაბით, რომელიც საკმარისი იყო ოქროს მიქცევის შემცირებასათვის.

ჯ. გ. ჰუბარდი, ინგლისის ბანკის ყოფილი მმართველი და 1838 წლიდან მისი დირექციის წევრი: «2545. არსებობს ევროპული ფასიანი ქაღალდების დიდი რაოდენობა... რომლებიც მიმოიქცევა ევროპის სულ სხვადასხვა ფულის ბაზრებზე, და როგორც კი ერთ ბაზარზე ამ ქაღალდების ფასი 1 ან 2%-ით დაეცემა, მათ მაშინვე შეისყიდიან იმ ბაზრებზე გასაგზავნად, სადაც მათი ფასი ჯერ კიდევ უფრო მაღალ დონეზეა. — 2565. განა უცხო ქვეყნებს მნიშვნელოვანი ვალი არა აქვთ ინგლისელი ვაჭრებისა? აქვთ და ძალიან დიდი ვალიც აქვთ. — 2566. მაშასადამე, მართო ამ ვალის მიღება ხომ არ იქნებოდა საკმარისი ინგლისში დიდი კაპიტალის დაგროვების ასახსნელად? — 1847 წელს ჩვენ ბოლოს და ბოლოს კვლავ აღვადგინეთ ჩვენი მდგომარეობა მით, რომ ჩამოვწვრეთ რამდენიმე მილიონი, რომელიც ამერიკას და რუსეთს ემართათ წინათ ინგლისის». [იმ დროს ინგლისსაც ემართა ამ ქვეყნების «რამდენიმე მილიონი» პურისთვის და მან «ჩამოწვრა» მათი დიდი ნაწილი ინგლისელი მოვალეების გაკოტრების საშუალებით. იხ. ზემოთ 1857 წლის ანგარიში საბანკო აქტის შესახებ, თავი XXX, გვ. 31 *] — «2572. 1847 წელს კურსი ინგლისსა და პეტერბურგს შორის ძალიან მაღალ დონეზე იდგა. როდესაც გამოიცა მთავრობის განკარგულება,

* იხ. ამ ტომის გვ. 619 — 620. რ ე დ.

რომელმაც ნება დაართო ბანკს დაწესებულ 14 მილიონის საზღვარზე მეტად { ოქროთი დაუფარავად } «გამოეშვა ბანკნოტები, პირობად იყო დადებული, რომ დისკონტის ნორმა 8%-ზე ყოფილიყო გაჩერებული. იმ მომენტში და ისეთი დისკონტის ნორმის პირობებში მომგებიანი საქმე იყო ოქროს ვაგზავნა პეტერბურგიდან ლონდონში და იქ მისი გასესხება 8%-ად სამთვიანი თამასუქების ვადის გასვლამდე, რომლებიც გაცემული იყო გაყიდულ ოქროზე. — 2573. ფულთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის დროს მრავალი გარემოებაა მხედველობაში მისაღები; საქმე დამოკიდებულია სათამაშუქო კურსსზე და სარგებლის განაკვეთზე, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ფულს დაბანდება, { ოქროზე გაცემული } თამასუქების ვადის გასვლამდე».

სათამაშუქო კურსი აზიასთან.

შემდეგი მომენტებია აქ მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, იმიტომ რომ ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ითბობს ხელს ინგლისი, როდესაც მას არახელსაყრელი სათამაშუქო კურსი აქვს აზიასთან, სხვა ქვეყნების ხარჯზე, რომელთა იმპორტი აზიიდან ინგლისის მეშვეობით გადაიხდება. მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ბ-ნი ვილსონი აქ კვლავ უმართებულოდ ცდილობს — გააიგივოს გავლენა, რასაც სათამაშუქო კურსზე ახდენს ძვირფასი ლითონის გაზიდვა, იმ გავლენასთან, რასაც სათამაშუქო კურსზე ახდენს საერთოდ კაპიტალის გაზიდვა, — ამასთან ორივე შემთხვევაში საქმე შეეხება ფულის გაზიდვას არა გადახდის ან ყიდვის საშუალების სახით, არამედ — კაპიტალის დასაბანდებლად. უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ, თუ ინდოეთში იგზავნება რკინიგზის მშენებლობაში დაბანდების მიზნით ამდენი და ამდენი მილიონი გირვ. სტ., ძვირფასი ლითონის, თუ რკინის რელსების სახით, ორივე ეს შემთხვევა მხოლოდ კაპიტალის ერთი და იმავე თანხის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის სხვადასხვა ფორმაა; სახელდობრ, ეს კაპიტალის ისეთი გადატანაა, რომელიც ანგარიშში არ მიიღება ჩვეულებრივ სავაჭრო გარიგებებში და რომლისთვისაც ექსპორტიორ ქვეყანას არ შეუძლია სხვა რაიმეს მიღებას მოელოდეს. გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც მან უნდა მიიღოს წლიურად ამ რკინიგზების ამონაგებიდან. თუ ეს ექსპორტი ძვირფასი ლითონის სახით წარმოებს, მაშინ, რადგან იგი ძვირფასი ლითონია და, როგორც ასეთი, პირდაპირ სასესხო ფულად კაპიტალს და მთელი ფულის სისტემის ბაზის წარმოადგენს, — მაშინ, თუმცა არა აუცილებლად ყველა გარემოებაში, არამედ წინათ აღნიშნულ პირობებში, ეს ექსპორტი პირდაპირ გავლენას მოახდენს

ფულის ბაზარზე და, მაშასადამე, სარგებლის განაკვეთზეც იმ ქვეყანაში, რომელიც ძვირფასი ლითონის ექსპორტს ეწევა. ასეთსავე პირდაპირ გავლენას მოახდენს იგი სათამაშუქო კურსზე. ძვირფასი ლითონის გადაგზავნას ხომ მხოლოდ მაშინ და იმდენად აქვს ადგილი, როცა და რამდენადაც ლონდონის ფულის ბაზარზე მოწოდებული თამაშუქები, მაგალითად, ინდოეთზე, საკმარისი არაა იმისათვის, რომ განხორციელდეს ფულის ასეთი ექსტრაორდინარული გადაგზავნა. მაშასადამე, ადგილი აქვს ინდოეთზე თამაშუქების ისეთ მოთხოვნას, რომელიც მიწოდებას აღემატება, და, ამრიგად, კურსი ამ მომენტში არახელსაყრელი ხდება ინგლისისთვის არა იმიტომ, რომ იგი ვალშია ინდოეთის წინაშე, არამედ იმიტომ, რომ მან ექსტრაორდინარული თანხები უნდა გაგზავნოს ინდოეთში. თუ ძვირფასი ლითონის ასეთი გზავნა ინდოეთს დიდხანს გაგრძელდა, იგი გამოიწვევს ინდოეთის მოთხოვნის ზრდას ინგლისურ საქონელზე. იმიტომ რომ არაპირდაპირ აღიღებს ინდოეთის მიერ ევროპული საქონლის მოხმარების უნარს. პირიქით, თუ კაპიტალის გაზიდვა წარმოებს რეღსებისა და სხვ. სახით, ამას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია სათამაშუქო კურსზე, რადგან ამ შემთხვევაში ინდოეთს არ სჭირდება ამის სამაგიეროს გადახდა. იმავე მიზეზით ეს ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფულის ბაზარზე. ვილსონა ცდილობს ამ გავლენის არსებობა იმით დაამტკიცოს, რომ ასეთმა ექსტრაორდინარულმა ხარჯებმა ფულადი სესხის დამატებითი მოთხოვნა უნდა გამოიწვიოს და ამგვარად სარგებლის განაკვეთზე ზეგავლენა მოახდინოს. ეს შეიძლება მოხდეს; მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს ყველა გარემოებაში უნდა მოხდესო, სრულიად მცდარია. სადაც არ უნდა გაგზავნონ ეს რეღსები, სადაც არ უნდა გამოიყენონ ისინი, ინგლისის თუ ინდოეთის წინადაგზე, ყველა შემთხვევაში ეს რეღსები წარმოდგენენ მხოლოდ ინგლისის წარმოების გარკვეულ გაფართოებას გარკვეულ სფეროში. იმის მტკიცება, რომ წარმოების გადიდება, თუნდაც ძალიან ფართო ფარგლებშიც კი, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სარგებლის განაკვეთის გაუდიდებლადო, მცდარია. შესაძლებელია გაიზარდოს ფულადი სესხის რაოდენობა, ე. ი. იმ გარიგებათა ჯამი, რომლებშიც შედის საკრედიტო ოპერაციები; მაგრამ ეს ოპერაციები შეიძლება გადიდდეს სარგებლის მოცემული განაკვეთის უცვლელობისას. ამას მართლა ჰქონდა ადგილი 40-ან წლებში სარკინიგზო მანის დროს. სარგებლის განაკვეთი არ აწეულა. რამდენადაც საქმე შეეხება ნამდვილ კაპიტალს, ე. ი. ამ შემთხვევაში საქონელს, — სრულიად ცხადია, რომ გავლენა ფულის ბაზარზე სრულიად ერთი და იგივე იქნება, განკუთვნილია ეს საქონელი საზღვარგარეთისთვის თუ

ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის. განსხვავება მხოლოდ მაშინ იქნებოდა, ინგლისის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი რომ მის კომერციულ ექსპორტს ზღუდავდეს, — ექსპორტს, რომლისთვისაც უნდა გადაიხადონ და რომელიც კაპიტალის უკუმოდინებას იწვევს, — ანდა კაპიტალის დახარჯვა საერთოდ რომ კრედიტის უზომოდ დაძაბულობისა და სპეკულაციური ოპერაციების დასაწყისის სიმპტომი იყოს.

ქვემოაღნიშნულში კითხვებს იძლევა ვილსონი, პასუხს აძლევს ნიუმარჩი.

«1786. თქვენ წინათ თქვით აღმოსავლეთ აზიის მხრივ ვერცხლის მოთხოვნის შესახებ, რომ, თქვენი აზრით, სათამაშო კურსი ინდოეთთან ხელსაყრელია ინგლისისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ აზიაში განუწყვეტლივ იგზავნება ლითონური მარაგის მნიშვნელოვანი რაოდენობა; გაქვთ თქვენ საამისო საბუთები? — რასაკვირველია... მე ვთვლი, რომ ნამდვილი ღირებულება შეერთებული სამეფოს ექსპორტისა ინდოეთში 1851 წელს 7 420 000 გირვ. სტერლინგს აღწევდა; ამას უნდა მივუმატოთ India House-ის* თამაშუქების ჯამი, ე. ი. იმ ფონდების თანხა, რომლებიც ოსტ-ინდოეთის კომპანიას გამოაქვს ინდოეთიდან თავისი საკუთარი ხარჯების დასაფარავად. ეს ტრატები აღნიშნულ წელს შეადგენდა 3 200 000 გირვ. სტერლინგს, ასე რომ შეერთებული სამეფოს მთელი ექსპორტი ინდოეთში შეადგენდა 10 620 000 გირვ. სტერლინგს. 1855 წელს... საქონლის ექსპორტის ნამდვილი ღირებულება გაიზარდა 10 350 000 გირვ. სტერლინგამდე; India House-ის ტრატები შეადგენდა 3 700 000 გირვ. სტერლ.; შაშასადაძმე, მთელი ექსპორტი უდრიდა 14 050 000 გირვ. სტერლინგს. 1851 წლისთვის, მგონია, ჩვენ არ გვაქვს საშუალება განვსაზღვროთ ინდოეთიდან ინგლისში შემოზიდულ საქონელთა ნამდვილი ღირებულება, მაგრამ ასეთი მონაცემები გვაქვს 1854 და 1855 წლებისთვის. 1855 წელს ინდოეთიდან ინგლისში შემოზიდულ საქონელთა ნამდვილი ღირებულება შეადგენდა სულ 12 670 000 გირვ. სტერლინგს. და ეს თანხა 14 050 000 გირვ. სტერლ. ექსპორტთან შედარებისას იძლევა ინგლისისთვის, ამ ორ ქვეყანას შორის უშუალო ვაჭრობის საფუძველზე, ხელსაყრელ ბალანსს 1 380 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით».

ვილსონი ამის გამო შენიშნავს, რომ სათამაშო კურსზე გავლენა ქვეს აგრეთვე არაუშუალო ვაჭრობას. ასე, მაგალითად, ინდოეთის ექს-

* ოსტ-ინდოეთის კომპანიის მმართველობა. რ ე დ.

პორტი ავსტრალიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში იფარება ტრატებით ლონდონზე და ამიტომ გავლენას ახდენს სათამაშუქო კურსზე სავსებით ისე, როგორც იმ შემთხვევაში, საქონელი რომ პირდაპირ წამოსულიყო ინდოეთიდან ინგლისში. შემდეგ, თუ ავიღებთ ინდოეთსა და ჩინეთს ერთად, ბალანსი არახელსაყრელი აღმოჩნდება ინგლისისთვის, რადგან ჩინეთს მუდამ აქვს მნიშვნელოვანი გადასახდელი ინდოეთის მიმართ ოპიუმისთვის, ხოლო ინგლისს ჩინეთის მიმართ აქვს გადასახდელი, ასე რომ ამ მოხვეული გზით თანხები ინგლისიდან ინდოეთში მიდის (1787, 1788).

1791. ვილსონი ეკითხება, სათამაშუქო კურსზე ერთი და იგივე გავლენა ხომ არ იქნება როგორც იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალი გაიზიდება რკინის რელსებისა და ორთქლმავლების სახით, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ლითონური ფულის სახით გაიზიდება. ნიუპარჩი ამაზე სრულიად მართებულად უპასუხებს: 12 მილიონი გირვ. სტერლინგი, რომელიც უკანასკნელ წლებში ინდოეთში გაიგზავნა რკინიგზების ასაგებად, გამოყენებულია წლიური რენტის საყიდლად, რომელიც ინდოეთმა განსაზღვრულ ვადებში უნდა უხადოს ინგლისს (1792). «რაც შეეხება ძვირფასი ლითონის უშუალო გავლენას ბაზარზე, 12 მილიონი გირვ. სტერლინგის დახარჯვას ამ გავლენის მოხდენა შეეძლო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლითონის გაზიდვა ხდებოდა ნამდვილად ფულის სახით დასაბანდებლად».

1797. { ვეგელინი ეკითხება: } «თუ რკინისთვის (რელსებისთვის) არავითარი სამაგიერო ანაზღაურება არ მოდის, მაშ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი გავლენას ახდენს სათამაშუქო კურსზე? — მე არ მგონია, რომ დანახარჯის ეს ნაწილი, რომელიც საქონლის სახით გაიზიდება, გავლენას ახდენდეს სათამაშუქო კურსის მდგომარეობაზე. სათამაშუქო კურსზე გავლენა აქვს — შეიძლება ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ — ვალდებულებათა, ანუ თამაშუქთა რაოდენობას, რომლებიც მიწოდებულია ერთი ქვეყნის ბაზარზე, შედარებით მათს იმ რაოდენობასთან, რომელიც მიწოდებულია სხვა ქვეყნის ბაზარზე; ასეთია სათამაშუქო კურსის რაციონალური თეორია. რაც შეეხება 12 მილიონის გადაგზავნას, — ჯერ ადგილი ჰქონდა ამ 12 მილიონზე ხელმოწერას აქ; ოპერაცია რომ იმგვარი ყოფილიყო, რომ ყველა ეს 12 მილიონი ნაღდი მონეტის სახით შეტანილიყო კალკუტაში, ბომბეიში ან მადრასში... ასეთი უეცარი მოთხოვნა გამოიწვევდა როგორც ოქროს ფასის, ისე სათამაშუქო კურსის დიდ შერყევას, — სრულიად ისე, როგორც მაშინ, ოსტ-ინდოეთის კომპანამ რომ ხვალ გამოაცხადოს, ჩემ ტრატებს 3-იდან 12 მილიონამდე ვადიდებო. მაგრამ ამ

12 მილიონის ნახევარი იხარჯება... ინგლისში საქონელთა საყიდლად... რკინის რელსების, ხისა და სხვა მასალების საყიდლად... ეს არის ინგლისის კაპიტალის დახარჯვა თვით ინგლისში გარკვეული სახეობის საქონლისათვის, რომელიც შემდეგ ინდოეთში გაიგზავნება, და ამით დასრულდება მთელი ოპერაცია. — 1798. {ვეგელინი:} მაგრამ ამ რკინიგზებისათვის საჭირო საქონლის წარმოება, რკინისა და ხისა, იწვევს უცხოეთის საქონელთა გაძლიერებულ მოხმარებას, და ამას ხომ შეეძლო გავლენა მოეხდინა სათამაშო კურსზე? — რასაკვირველია».

ვილსონი გამოთქვამს აზრს, რომ რკინა წარმოადგენს მეტწილად შრომას, და ამ შრომაში გადახდილი ხელფასი წარმოადგენს მეტწილად შემოზიდულ საქონელს (1799), და ამის შემდეგ ეკითხება:

«1801. მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ: თუ ამ შემოზიდულ საქონელთა მოხმარების გზით წარმოებული საქონელი იმგვარად გაიზიდება, რომ ჩვენ მის სამაგიეროდ არაფერი მოგვდის, არც პროდუქტებით და არც სხვა რაიმე სახით, — განა ამას შედეგად არ ექნება ჩვენთვის არახელსაყრელი კურსი? ეს ზოგადი დებულება სწორედ შეესაბამება იმას, რასაც ადგილი ჰქონდა ინგლისში გაძლიერებულ სარკინიგზო მშენებლობის დროს { 1845 წ. }. სამი, ოთხი თუ ხუთ თანამიმდევრო წლის განმავლობაში თქვენ 30 მილიონი გირვ. სტერლინგი გაიღეთ რკინიგზებისთვის, და ამასთან თითქმის მთელი ეს თანხა ხელფასზე წავიდა. სამი წლის განმავლობაში მოსახლეობა, რომელსაც თქვენ სარჩოს აძლევდით რკინიგზების, ორთქლმავლების, ვაგონებისა და სადგურების შენებით, უფრო მრავალრიცხოვანი იყო ვიდრე ის მოსახლეობა, რომელიც სარჩოს შოულობს ერთად აღებულ ყველა საფაბრიკო რაიონში. ეს ადამიანები... თავიანთი ხელფასით ყიდულობდნენ ჩაას, შაქარს, სპირტიან სასმელებს და სხვ. უცხოურ საქონელს; ყველა ეს საქონელი უნდა შემოზიდულიყო. მაგრამ უეჭველია, რომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მნიშვნელოვანი კაპიტალები იხარჯებოდა ამგვარად, სათამაშო კურსს ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის არ განუცდია არსებითი ცვლილება. ადგილი არ ჰქონია ძვირფასი ლითონის მიქცევას, პირიქით, ადგილი ჰქონდა მის მოქცევას».

1802. ვილსონი დაუინებით იცავს იმ აზრს, რომ სავაჭრო ბალანსის წონასწორობისა და *al pari* [პარიტეტის ტოლი] კურსის არსებობისას ინგლისსა და ინდოეთს შორის, რკინისა და ორთქლმავლების მოქარბებით ვაზიდვა «უნდა შეეხოს სათამაშო კურსს ინდოეთთან» ნიუმარჩს არ შეუძლია გაიგოს, რატომ უნდა იყოს ეს ასე, რაკი ვაზიდული რელსები კაპიტალის დაბანდებას წარმოადგენს და ინდოეთს

არ სჭირდება მისი გადახდა ამა თუ იმ ფორმით; ამას იგი დასძენს: «მე ვეპნობი იმ დებულებას, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ზანგრძლივად არახელსაყრელი სათამაშუქო კურსი ჰქონდეს ყველა სხვა ქვეყნებთან, რომლებთანაც იგი ვაჭრობას ეწევა; არახელსაყრელი კურსი ერთ ქვეყანასთან აუცილებლად წარმოშობს ხელსაყრელ კურსს რომელსავე სხვა ქვეყანასთან». ამას ვილსონი უპირისპირებს შემდეგ ტრივილობას: «1803. მაგრამ განა კაპიტალის გადატანა იგივე არ რჩება მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით წარმოებს იგი? — დიახ, რასაკვირველაა, რამდენადაც საქმე სავალო ვალდებულებებს ეხება. — 1804. ამრიგად, თქვენ ძვირფას ლითონს გზავნით თუ საქონელს, ინდოეთის სარკინიგზო მშენებლობის გავლენა კაპიტალის აქაურ ბაზარზე ერთი და იგივე იქნება და კაპიტალის ღირებულებას ასევე მალა ასწევს, როგორც იმ შემთხვევაში, თუ მთელი თანხა ძვირფასი ლითონის სახით გაიზიდებოდა?».

თუ რკინის ფასები არ გაზრდილა, ეს ყოველ შემთხვევაში იმის უამბტკიცებელია, რომ რელსებში მოქცეული «კაპიტალის ღირებულება» არ გადიდებულა. ის, რაზედაც აქ ლაპარაკია, არის ფულადი კაპიტალის ღირებულება, სარგებლის განაკვეთი. ვილსონის სურვილია გააიგივოს ფულადი კაპიტალი და კაპიტალი საერთოდ. უბრალო ფაქტია უწინარეს ყოვლისა ის, რომ ინგლისში ხელი მოაწერეს 2 მილიონზე ინდოეთის რკინიგზებისთვის. ამ გარემოებას არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს სათამაშუქო კურსთან, და ამ 2 მილიონის დანიშნულება ფულის ბაზრისთვისაც სრულიად ინდიფერენტულია. თუ ფულის ბაზარი ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება, ამან შეიძლება მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინოს, ისე როგორც მასზე გავლენა არ მოუხდენია ინგლისის სარკინიგზო აქციებზე ხელმოწერას 1844 და 1845 წლებში. თუ ფულის ბაზარი უკვე შევიწროებულია რამდენადმე, აღნიშნულ მოვლენას შეეძლო, მართალია, სარგებლის განაკვეთზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ — მხოლოდ მალა ასწევის მიმართულებით, და ვილსონის თეორიის თანახმად ამას ინგლისისთვის ხელსაყრელად უნდა ემოქმედნა კურსზე, ე. ი. შეეფერებინა ძვირფასი ლითონის გაზიდვის ტენდენცია, — თუ ინდოეთის მიმართ არა, რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ მაინც. ბ-ნი ვილსონი ნახტომს აკეთებს ერთი საგნიდან მეორეზე. კითხვა 1802-ში იგი ამტკიცებს, რომ გავლენა უნდა განიცადოს სათამაშუქო კურსმა, № 1804-ში კი: რომ ეს უნდა განიცადოს «კაპიტალის ღირებულებამ», — და ეს ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. სარგებლის განაკვეთს შეუძლია გავლენის მოხდენა სათამაშუქო კურსზე და სათამაშუქო კურსს —

სარგებლის განაკვეთზე, მაგრამ მაინც ცვალებადი კურსის დროს სარგებლის განაკვეთი, ხოლო სარგებლის ცვალებადი განაკვეთის დროს კურსი შეიძლება უცვლელი რჩებოდეს. ვილსონის თავში ვერ თავსდება ის აზრი, რომ კაპიტალის საზღვარგარეთ გადაგზავნის შემთხვევაში თვით ფორმა, რომლითაც იგი გადაიგზავნება, ქმნის ამ განსხვავებას გავლენაში, ე. ი. რომ კაპიტალის ფორმის განსხვავებას ეს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, და თანაც სწორედ მის ფულად ფორმას, — ეს აზრი დიდად ეწინააღმდეგება განათლებული ეკონომიის შეხედულებას. ნიუმარჩი ვილსონს უპასუხებს ცალმხრივ, როცა იგი სრულიად არ მიაქცევს ამ უკანასკნელის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ იგი უეცრად და უსაფუძვლოდ გადახტა სათამაშუქო კურსიდან სარგებლის განაკვეთზე. ნიუმარჩი აღნიშნულ № 1804 კითხვაზე ორტოფულად და მერყევ პასუხს აძლევს: «რაც გამონახულ უნდა იქნეს ეს 12 მილიონი, უეჭველია, რამდენადაც საქმე სარგებლის საერთო განაკვეთს შეეხება, არარსებითია, ძვირფასი ლითონის სახით გადაიგზავნება ეს 12 მილიონი თუ მასალების სახით. მე ვფიქრობ მაინც { ეს «მაინც» სწორედ ჩინებულია პირდაპირ საპირისპირო მტკიცებაზე გადასასვლელად}, «რომ ეს არაა მთლად არარსებითი» {ეს არარსებითია, მაგრამ მაინც არაა არარსებითი}, «იმიტომ რომ ერთ შემთხვევაში 6 მილიონი გირვ. სტერლინგი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო უკან; მეორე შემთხვევაში იგი ასე მალე ვერ დაბრუნდებოდა. ამიტომ ერთგვარ» {რა გარკვეულობაა!} «განსხვავებას შეადგენს, ეს 6 მილიონი აქვე ქვეყანაში დაიხარჯება, თუ მთლიანად გაიზიდება». რას უნდა ნიშნავდეს გავეორება, რომ 6 მილიონი გირვ. სტერლინგი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო უკან? რამდენადაც 6 მილიონი გირვ. სტერლინგი ინგლისშია დახარჯული, იგი არსებობს რელსების, ორთქლმაკლეებისა და სხვ. სახით, რომლებიც ინდოეთში გაიგზავნება, საიდანაც ეს რელსები უკან არ დაბრუნდება, და მათი ღირებულება დაბრუნდება მარტოოდენ ამორტიზაციის გზით, ე. ი. ძალიან ნელა, მაშინ როდესაც 6 მილიონი ძვირფასი ლითონი, შესაძლებელია, ძალიან მალე დაბრუნდეს უკან in natura [ნატურით]. რამდენადაც ეს 6 მილიონი ხელფასზეა დახარჯული, იგი შექმნილია; მაგრამ ის ფული, რომლის სახით იგი ავანსებული იყო, უწინდებურად მიმოიქცევა ქვეყანაში ანდა რეზერვს შეადგენს. იგივე ითქმის რელსების მწარმოებელთა მოგებაზე და 6 მილიონის იმ ნაწილზე, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. ამრიგად, ორაზროვან ფრაზას კაპიტალებას უკუდაბრუნების შესახებ ნიუმარჩი მხოლოდ იმისთვის ხმარობს, რომ პირდაპირ არ თქვას: ფუ-

ლი დარჩა ქვეყანაში და, რამდენადაც იგი მოქმედებს გასასესხებელი კაპიტალის სახით, განსხვავება ფულის ბაზრისთვის (მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, რომ იქნებ შეიძლებოდა მიმოქცევას მეტი ლითონური ფული შთაენთქა) ის არის, რომ იგი *A*-ს ანგარიშზე იხარჯება და არა *B*-ს ანგარიშზე. კაპიტალის ამგვარ დაბანდებას, როცა კაპიტალი გადაიტანება სხვა ქვეყნებში საქონლის სახით და არა ძვირფასი ლითონის სახით, მხოლოდ იმდენად შეუძლია გავლენა მოახდინოს სათამაშუო კურსზე (და ამასთან არა სათამაშუო კურსზე იმ ქვეყანასთან, სადაც კაპიტალის დაბანდება ხდება), რამდენადაც ასეთ გაზიდულ საქონელთა წარმოება სხვა უცხოურ საქონელთა დამატებითს შემოზიდვას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ეს წარმოება იმისთვის არაა დანიშნული, რომ ეს დამატებითი იმპორტი გააწონასწოროს. მაგრამ ამასვე აქვს ადგილი ყოველი ექსპორტის დროს, რომელიც კრედიტით წარმოებს, — სულ ერთია, კაპიტალის დასაბანდებლად ხდება იგი თუ ჩვეულებრივი სავაჭრო მიზნით. გარდა ამისა, ამ დამატებითს იმპორტს შეუძლია უკუმოქმედების გზით გამოიწვიოს ინგლისის საქონელთა დამატებითი მოთხოვნა, მაგალითად, კოლონიების ან შვედეთებულნი შტატების მხრივ.

წინათ ნიუმარჩი ამბობდა, ოსტ-ინდოეთის კომპანიის ტრატების გამო ექსპორტი ინგლისიდან ინდოეთში უფრო დიდია, ვიდრე იმპორტიო. სერ ჩარლზ ვული მას ჯვარედინ კითხვებს აძლევს ამ პუნქტის შესახებ. ინგლისიდან ინდოეთში მიმავალი ექსპორტის ეს ნამეტი ინდოეთიდან მომავალ იმპორტთან შედარებით ნამდვილად ხორციელდება ისეთი იმპორტით ინდოეთიდან, რომლისათვის ინგლისი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის: ოსტ-ინდოეთის კომპანიის (ამჟამად ოსტ-ინდოეთის მთავრობის) ტრატები მოასწავებს ხარკს, რომელსაც ინდოეთს ახდევინებენ. ავილოთ მაგალითისთვის 1855 წელი: იმპორტი ინდოეთიდან ინგლისში შეადგენდა 12 670 000 გირვ. სტერლინგს, ინგლისის ექსპორტი ინდოეთში — 10 350 000 გირვ. სტერლინგს. ბალანსი სასარგებლოა ინდოეთისთვის 2 250 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით*. «საქმე რომ ამით ამოიწურებოდეს, ეს 2 250 000 გირვ. სტერლინგი ამა თუ იმ სახით უნდა გაგზავნილიყო ინდოეთში. მაგრამ აქ სცენაზე გამოდის India House-ის** მოთხოვნა India

* ე. ი. დაახლოებით ორსა და ერთ მეოთხედ მილიონს; უფრო ზუსტად — 2.320.000.

** იხ. შენიშვნა ამ ტომის 149 გვერდზე.

House-ი აცხადებს, რომ მას შეუძლია ინდოეთის სხვადასხვა საპრეზიდენტობებზე გასცეს ტრატები 3 250 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. {ამ თანხას ოსტ-ინდოეთის კომპანია იღებდა ლონდონში გაწეული ხარჯებისთვის და აქციონერთა დივიდენდების გადასახდელად.} და ეს არა თუ ისტუმრებს 2 250 000 გირვ. სტერლ. ბალანსს, რომელიც ვაჭრობის გზით წარმოიქმნა, არამედ ერთ მილიონ ნამეტსაც იძლევა» (1917).

1922. { ვუდი: } «მაშასადამე, India House-ის ამ ტრატების გავლენა გამოიხატება არა ინდოეთისთვის დანიშნული ექსპორტის გადიდებით, არამედ მისი შემცირებით pro tanto [შესაბამისად]?». {უნდა თქმულიყო: იმ აუცილებლობის შემცირებით, რომ ინდოეთიდან მიღებული იმპორტი დაფარულ იქნეს საინდოეთო ექსპორტის სათანადო თანხით.} ამას ბ-ნი ნიუმარჩი იმით ხსნის, რომ ანგლისელებს ამ 3 700 000 გირვ. სტერლინგისთვის «კარგი მმართველობა» შეაქვთ ინდოეთში (1925). ვუდი, რომელიც, როგორც ინდოეთის საქმეების მინისტრი, კარგად იცნობს იმ ჯურის «კარგ მმართველობას», რაც ინგლისელებს შექონდათ ინდოეთში, შემდეგ სწორ და ირონიულ შენიშვნას აკეთებს (1926): «მაშასადამე, ის ექსპორტი, რომელიც, თქვენი სიტყვებით. India House-ის ტრატებითაა გამოწვეული, კარგი მმართველობის ექსპორტს წარმოადგენს და არა საქონელთა ექსპორტს». რადგან ინგლისის ბევრი გააქვს «ამ წესით» «კარგი მმართველობის» დასაწესებლად და კაპიტალის დასაბანდებლად უცხო ქვეყნებში, — მაშასადამე, იღებს იმპორტს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია საქმეების ჩვეულებრივი მსვლელობისაგან, იღებს ხარკს ნაწილობრივ გატანილი «კარგი მმართველობისთვის», ნაწილობრივაც როგორც შემოსავალს კაპიტალისაგან, რომელიც კოლონიებსა და სხვა ქვეყნებში აქვს დაბანდებული, ხარკს, რომლისათვის მას არავითარი ეკვივალენტის გადახდა არ სჭირდება. — ამიტომ ცხადია, რომ სათამაშო კურსი არ იცვლება, როცა ინგლისი ამ ხარკს უბრალოდ ჭამს, სამაგიერო ექსპორტის გარეშე; მაგრამ ასევე ცხადია, რომ კურსი არც მაშინ იცვლება, როცა ეს ხარკი კვლავ დაბანდებული იქნება მწარმოებელურად თუ არამწარმოებელურად არა ინგლისში, არამედ საზღვარგარეთ; თუ, მაგალითად, მის შესაბამისად საომარი მასალები იქნება ყირიმში გაგზავნილი. ამასთან, რამდენადაც საზღვარგარეთიდან მიღებული იმპორტი შედის ინგლისის შემოსავალში, — გადახდილი კი, რასაკვირველია, იგი უნდა იყოს ან როგორც ხარკი, რომლისათვის ეკვივალენტის გაღება საჭირო არაა, ან ამ გადაუხდელ ხარკზე გაცვლის საშუალებით,

ანდა ვაჭრობის ჩვეულებრივი გზით, — ინგლისს შეუძლია იგი ან მოიხმაროს, ან კვლავ საქმეში დააბანდოს კაპიტალის სახით. არც ერთი და არც მეორე არ ახდენს გავლენას სათამასუქო კურსზე, და სწორედ ამას ვერ ამჩნევს ბრძენი ვალსონი. ადგილობრივი პროდუქტი შეადგენს შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს თუ უცხოური პროდუქტი — ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს შინაგანი პროდუქტების გაცვლას უცხოურ პროდუქტებზე, — ამ შემოსავლის მოხმარება, მწარმოებლურა იქნება იგი თუ არამწარმოებლური, სრულიად არ ცვლის სათამასუქო კურსს, თუმცა გავლენას კი ახდენს წარმოების მასშტაბზე. ამის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ ქვემოთ აღნიშნულზე.

1934. ვუდი ეკითხება, როგორ იმოქმედებდა საომარი მასალების ყირიმში გაგზავნა სათამასუქო კურსზე თურქეთთან. ნიუმარჩი უპასუხებს: «მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იმოქმედოს საომარი მასალების უბრალო გაგზავნამ სათამასუქო კურსზე, მაგრამ ძვირფასი ლითონის გაგზავნა უეჭველად გავლენას მოახდენდა კურსზე». მაშასადამე, აქ იგი განასხვავებს კაპიტალს ფულად ფორმაში კაპიტალის სხვა ფორმებისგან. მაგრამ, აი, ვილსონი აძლევს მას შემდეგ კითხვას:

«1935. თუ თქვენ რაიმე საქონლის ექსპორტს აწარმოებთ ფართო მასშტაბით და სამაგიეროდ შესაბამის იმპორტს არ იღებთ» (ბ-ნი ვილსონი იფიქვებს, რომ ინგლისის მიმართ ადგილი აქვს ფრიად მნიშვნელოვან იმპორტს შესაბამისი ექსპორტის გარეშე, უკანასკნელის ისეთი ფორმებიც რომ გამოვაცლოთ, როგორიცაა «კარგი მმართველობის» ექსპორტი ან წინათ გაზიდული კაპიტალი, რომელიც საქმეშია დაბანდებული; ყოველ შემთხვევაში ეს არაა ისეთი იმპორტი, რომელიც ვაჭრობის რეგულარულ მოძრაობაში შედის. მაგრამ ამ იმპორტის საგნები ხელახლა გაიცვლება, მაგალითად, ამერიკულ პროდუქტზე, და თუ ამერიკული პროდუქტის ექსპორტს ადგილი აქვს შესაბამისი იმპორტის გარეშე, ეს სრულიად არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ამ იმპორტის ღირებულება შეიძლება მოხმარებულ იქნეს საზღვარგარეთ ეკვივალენტის გაუზიდავად. იგი მიღებულია სამაგიერო ექსპორტის გარეშე, და, მაშასადამე, შეიძლება მოხმარებულ იქნეს ვაჭრობის ბალანსში შეუსვლელად), «მაშინ თქვენ არ იხდით საგარეო ვალს, რომელიც თქვენ დაიდეთ თქვენი იმპორტი». (მაგრამ თუ თქვენ უკვე წინათ გადაიხადეთ ეს იმპორტი, მაგალითად, საზღვარგარეთისთვის მიცემული კრედიტის საშუალებით, მაშინ აქ არავითარი ვალი აღარაა აღებული, და კითხვას საერთო არა აქვს რა საერთაშორისო ბალანსთან, იგი იმაში მდგომარეობს, მწარმოებლურად თუ არამწარმოებლურად იყო პროდუქტები დახარჯული, და ამასთან სავსე-

ბით სულ ერთია, ამგვარად მოხმარებული პროდუქტები ქვეყნის შიგნითაა დამზადებული თუ უცხოეთის პროდუქტებია. { «და ამიტომ ასეთი ოპერაციით თქვენ გავლენას მოახდენთ სათამაშო კურსზე, ვინაიდან თქვენი ვალი საზღვარგარეთ გადაუხდელი რჩება, იმიტომ რომ თქვენს ექსპორტს არა აქვს შესაბამისი იმპორტი. — ეს მართებულია სხვადასხვა ქვეყნების მიმართ საერთოდ».

ვილსონის ლექცია იმას მოასწავებს, რომ ყოველი ექსპორტი შესაბამისი იმპორტის გარეშე იმავე დროს არის იმპორტი შესაბამისი ექსპორტის გარეშე, რადგან ექსპორტირებული საქონლის წარმოებაში შედის უცხოური, მაშასადამე, იმპორტირებული საქონელი. ივულისხმება, რომ ყოველი ასეთი ექსპორტი დამყარებულია გადაუხდელ იმპორტზე ან ქმნის ამ უკანასკნელს, — მაშასადამე, ქმნის ან გულისხმობს ვალს საზღვარგარეთის მიმართ. ეს მცდარი აზრია, თუნდაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ შემდეგი ორი გარემოება: 1) ინგლისს აქვს მუქტი იმპორტი, რომლისათვის იგი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის; მაგალითად, ნაწილი მისი იმპორტისა ინდოეთიდან. ამ იმპორტის პროდუქტები მას შეუძლია გაცვალოს ამერიკული იმპორტის პროდუქტებზე და ეს უკანასკნელნი გაზიდოს სამაგიერო იმპორტის შეუსრულებლად; რაც შეეხება ღირებულებას, ინგლისი აქ ყოველ შემთხვევაში იმის ექსპორტს აკეთებს, რაც მას არაფერი უღირს. 2) ინგლისმა, შესაძლებელია, უკვე გადაიხადა იმპორტი, მაგალითად, ამერიკული, რომელიც დამატებითს კაპიტალს შეადგენს; თუ იგი შემდეგ ამას არამწარმოებლურად მოიხმარს, მაგალითად, საომარი მასალების სახით, — ეს არ ქმნის ვალს ამერიკის მიმართ და არ შეეხება სათამაშო კურსს ამერიკასთან. ნიუმარჩი ეწინააღმდეგება თავის თავს № 1934 და № 1935 ჩვენებებში, რაზედაც მის ყურადღებას მიაქცევს ვუდი, 1938: «თუ საქონლის არც ერთი ნაწილი, რაც იმ საგნების დასამზადებლად გამოიყენება, რომლებსაც ჩვენ გავზიდავთ შესაბამისი სამაგიეროს მიუღებლად (სამხედრო ხარჯები), იმ ქვეყნიდან არ მოდის, სადაც ეს საგნები გაიზიდება, მაშინ როგორღა შეუძლია ამას გავლენა იქონიოს სათამაშო კურსზე ამ ქვეყანასთან? ვთქვათ, ვაჭრობა თურქეთთან წონასწორობის ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფება; როგორ შეიძლება სათამაშო კურსზე ინგლისსა და თურქეთს შორის გავლენა იქონიოს საომარი მასალების გაზიდვამ ყირიმში?» — აქ ნიუმარჩი კარგავს სულიერ წონასწორობას; იგი ივიწყებს, რომ ჩვენებებში № 1934 მან უკვე სწორად უპასუხა ამ მართივე კითხვაზე, და ამბობს: «მე მგონია, რომ ჩვენ ამოვწურეთ პრაქტიკული

საკითხი და ახლა მეტაფიზიკური დისკუსიის მაღალ სფეროში გადავდივართ».

ვილსონი კიდევ სხვაგვარად აყალიბებს თავის იმტიაციებას იმის შესახებ, რომ სათამასუქო კურსზე გავლენას ახდენს კაპიტალის ყოველი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, სულ ერთია, ძვირფასი ლითონის სახით ზღვება ეს თუ საქონელთა სახით. ვილსონმა იცის, რა თქმა უნდა, რომ სათამასუქო კურსზე ზემოქმედებას ახდენს სარგებლის განაკვეთი, სახელდობრ სარგებლის ნორმათა შეფარდება იმ ორ ქვეყანაში, რომელთა საურთიერთო სათამასუქო კურსზეცაა ლაპარაკი. თუ მან იმის დამტკიცება შეძლო, რომ სიჭარბე კაპიტალისა საერთოდ, ე. ი. უწინარეს ყოვლისა სიჭარბე ყოველგვარი საქონლისა, ძვირფას ლითონთა ჩათვლით, სხვა გარემოებებთან ერთად განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს სარგებლის განაკვეთზე, მაშინ იგი უკვე ერთი ნაბიჯით უახლოვდება თავის მიზანს; მართლაც, რადგან ეს ასეა, მაშ ამ კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანამ უნდა გამოიწვიოს სარგებლის განაკვეთის ცვლილება ორსავე ქვეყანაში, სახელდობრ — ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით და ამგვარად — მეორე რიგში — ზემოქმედება უნდა იქონიოს სათამასუქო კურსზე ამ ორ ქვეყანას შორის. — ფ. ე. }

იგი წერს «Economist»-ში, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა (1847 წ., გვ. 475):

«ცხადია, რომ კაპიტალის ასეთმა სიჭარბემ, რომლის მაჩვენებელია ყოველი სახის დიდი მარაგი, ძვირფასი ლითონის ჩათვლით, აუცილებლად უნდა გამოიწვიოს არა მარტო საქონელთა დაბალი ფასება საერთოდ, არამედ სარგებლის უფრო დაბალი განაკვეთიც კაპიტალით სარგებლობისათვის.¹⁾ თუ ჩვენ ხელთ გვაქვს საქონელთა მარაგი, რომელიც საკმარისია ქვეყნის მოთხოვნილებებისთვის ორი უახლოესი წლის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია მოცემული პერიოდისათვის ყველა ამ საქონელზე განკარგულება სარგებლის ბევრად უფრო დაბალი განაკვეთის საფუძველზე მოვიპოვოთ, ვიდრე მაშინ, როცა მარაგი ორი თვისთვისაც კი არ არის საკმარისი.²⁾ ყოველი ფულადი სესხი, რა ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს იგი, წარმოადგენს მხოლოდ საქონელზე განკარგულების გადატანას ერთი პიროვნებიდან მეორეზე. ამიტომ, თუ საქონელი ჭარბად მოიპოვება, ფულადი სარგებელი უნდა იყოს დაბალი, თუ საქონელი ცოტაა, ფულადი სარგებელი უნდა იყოს მაღალი.³⁾ თუ საქონელი უზვად მოედინება, გამყიდველთა რიცხვი მყიდველების რიცხვთან შედარებით იმატებს, და იმდენად, რამდენადაც საქონელთა

რაოდენობა აღემატება უშუალო მოხმარების მოთხოვნილებას, მათი სულ უფრო დიდი ნაწილი შემონახულ უნდა იქნეს შემდგომი მოხმარებისათვის. ასეთ ვითარებაში საქონელთა მფლობელი დათანხმდება საქონელი გაყიდოს გადახდის ვადის გადადებით ან კრედიტით მისთვის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული იქნებოდა, რომ მთელი მისი მარაგი გასაღდება რამდენიმე კვირის განმავლობაში».⁴⁾

დებულება) შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ძვირფასი ლითონის გაძლიერებულ მოქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების შეზღუდვის იმავდროულად, როგორც ეს ხდება ხოლმე ყოველთვის კრიზისის მომდევნო პერიოდში. შემდგომ ფაზაში ძვირფასი ლითონი შეიძლება მოედინებოდეს იმ ქვეყნებიდან, რომელნიც უპირატესად ძვირფას ლითონს აწარმოებენ; სხვა საქონელთა იმპორტი ამ პერიოდში ჩვეულებრივ ექსპორტით წონასწორდება. ამ ორ ფაზაში სარგებლის ვანაკვეთი დაბალია და მხოლოდ ნელა იწევს ზევით; თუ რატომ არის ასე, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. სარგებლის ეს დაბალი ვანაკვეთი ყველა შემთხვევაში პოულობდა თავის ახსნას «ყოველი სახის დიდი მარაგის» რაიმე გავლენის გარეშე. და როგორ უნდა ჰქონოდა ამ გავლენას ადგილი? მაგალითად, ბამბის დაბალი ფასი შესაძლებლობას აძლევს მრთველს და სხვ. მაღალი მოგება მიიღოს. და რატომაა სარგებლის ვანაკვეთი დაბალი? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მაღალია მოგება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს სესხად აღებული კაპიტალით, არამედ მარტოოდენ და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არსებულ პირობებში სასესხო კაპიტალის მოთხოვნა არ იზრდება ამ მოგების ზრდის პროპორციულად; მაშასადამე, სასესხო კაპიტალს სხვაგვარი მოძრაობა ახასიათებს, ვიდრე სამრეწველო კაპიტალს. «Economist»-ს კი სწორედ წინააღმდეგის დამტკიცება სურს: რომ სასესხო კაპიტალის მოძრაობა სამრეწველო კაპიტალს იდენტური იყო.

დებულება — თუ ჩვენ იმ აბსურდულ წინამძღვარს, რომ მარაგი ორი წლისათვის წინასწარ არსებობსო, იმდენად შევარბილებთ, რომ მან რაიმე აზრი მოიპოვოს — ეს დებულება გულისხმობს საქონლის ბაზრის მეტისმეტად გავსებას. ეს გამოიწვევდა ფასების დაცემას. ერთ ნაკრაულ ბამბაში ახლა ნაკლები იქნებოდა მისაცემი, ვიდრე უწინ. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ფული, რომელიც ერთი ნაკრაული ბამბის საყიდლადაა საჭირო, უფრო იაფად იწოვება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ფულის ბაზრის მდგომარეობაზე. თუ ფულის შოვნა უფრო იაფად შეიძლება, — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კომერციული კრედიტი ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მას შესაძ-

ლებლობას აძლევს საბანკო კრედიტს ნაკლებ მიმართოს, ვიდრე ჩვეულებრივ დროს. ის სხვადასხვა საქონელი, რომლითაც გავსებულია ბაზარი, წარმოადგენს საარსებო საშუალებებს ან წარმოების საშუალებებს. ორთავეს დაბალი ფასი მალლა სწევს სამრეწველო კაპიტალისტის მოგებას. რა მიზეზით უნდა დასწიოს მან დაბლა სარგებელი, თუ არა დაპირისპირებულობის გამო — და არა იგივეობის გამო — სამრეწველო კაპიტალის სიუხვესა და ფულად სესხზე მოთხოვნას შორის? ისეთი ვითარება იქმნება, რომ ვაჭარს და მრეწველს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთს კრედიტი მისცენ; კომერციული კრედიტის ასეთი გადაცილების გამო მრეწველსაც და ვაჭარსაც ნაკლებად სჭირდება საბანკო კრედიტი; ამიტომ სარგებლის განაკვეთი შეიძლება დაბალი იყოს. სარგებლის ამ დაბალ განაკვეთს საერთო არაფერი აქვს ძვირფასი ლითონის უკუმოდინებასთან, თუმცა შეიძლება ორივე მოვლენა პარალელურად მიმდინარეობდეს, და იმავე მიზეზებს, რომლებიც იმპორტის საგანთა ფასების დაცემას იწვევს, შეუძლია ძვირფასი ლითონის ჭარბი იმპორტიც შექმნას. თუ იმპორტის ბაზარი მართლა გავსებული იქნებოდა მეტისმეტად, ეს იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ მოთხოვნა საიმპორტო საქონლის მიმართ შემცირდა, რასაც სხვა ვერაფრით ავსენილით, თუ არა იმით, რომ იგი ქვეყნის შიგნით სამრეწველო წარმოების შეზღუდვის შედეგია; ეს კი, თავის მხრივ, აუხსნელი იქნებოდა დაბალი ფასების მიხედვით ჭარბი შემოზიდვის პირობებში. ვღებულობთ მხოლოდ მტკნარ აბსურდებს, რომელთა მიზანია იმის დამტკიცება, რომ ფასების დაცემა უდრის სარგებლის დაცემას. ორივე შეიძლება იმავედროულად ერთიმეორის გვერდით არსებობდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში — როგორც გამოხატულება იმ მიმართულებათა დაპირისპირებულობისა, რომლებითაც მიმდინარეობს სამრეწველო კაპიტალის მოძრაობა და სასესხო კაპიტალის მოძრაობა, და არა როგორც მათა იგივეობის გამოხატულება.

თუ რატომ უნდა იყოს ფულის სარგებელი დაბალი, როდესაც საქონელი უხვად მოიპოვება, როგორც ამას ამტკიცებს დებულება^{*)}, — ეს ახლაც, ამ გრძელი მსჯელობის შემდეგაც, გაუგებარია. რადგან საქონელი გაიფადა, მისი განსაზღვრული რაოდენობის საყიდლად მე მჭირდება, ვთქვათ, 1 000 გირვ. სტერლინგი, ნაცვლად წინანდელი 2 000-ისა. მაგრამ, იქნებ, მე ახლაც დავხარჯავ 2 000 გირვ. სტერლინგს, ვიყიდი მით საქონლის ორმაგ რაოდენობას წინანდელთან შედარებით და გავაფართოებ ჩემ საწარმოს, ავანსად გავიღებ რა იმავე კაპიტალს, რომელიც, შესაძლებელია, სესხად უნდა ავიღო. მე ახლა წინანდებურად 2 000 გირვ. სტერლინგის საქონელს ვყიდულობ. მაშასადამე, ჩემი

მოთხოვნა ფულის ბაზარზე უცვლელი რჩება, თუმცა ჩემი მოთხოვნა საქონლის ბაზარზე ფასების დაწვევასთან ერთად მატულობს. თუ ეს უკანასკნელი მოთხოვნა ეცემა. ე. ი. — წინააღმდეგ «Economist»-ის ყველა კანონისა — წარმოება არ ფართოვდება, მაშინ სასესხო კაპიტალის მოთხოვნაც შემცირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მოგება გადიდდებოდა; მაგრამ ეს მზარდი მოგება შექმნიდა სასესხო კაპიტალის მოთხოვნას. სხვათაშორის, საქონელთა ფასების დაბალი დონე შეიძლება სამი მიზეზით წარმოდგეს. ჯერ-ერთი, მოთხოვნის ნაკლებობის გამო. მაშინ სარგებლის განაკვეთი დაბალია, იმიტომ რომ წარმოება შესუსტებულია, და არა იმიტომ, რომ საქონელი იაფია, ვინაიდან ეს სიიაფე მხოლოდ ასახავს აღნიშნულ შესუსტებას. ანდა, მეორე, მიზეზი შეიძლება იყოს მიწოდების სიჭარბე მოთხოვნასთან შედარებით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბაზრების გავსების გამო და სხვ.; რაც კრიზისს იწვევს, და თვით კრიზისის დროს შეიძლება იგი დაემთხვეს სარგებლის მაღალ განაკვეთს, ანდა, მესამე, იგი შეიძლება წარმოდგეს იმის გამო, რომ დაეცა საქონელთა ღირებულება და, მაშასადამე, იგივე მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს უფრო დაბალ ფასებში. რატომ უნდა დაეცეს ამ უკანასკნელ შემთხვევაში სარგებლის განაკვეთი? იმიტომ, რომ მოგება იზრდება? თუ იმიტომ, რომ ახლა ნაკლები ფულადი კაპიტალია საჭირო იმავე მწარმოებლური ან სავაჭრო კაპიტალის მისაღებად, მაშინ ეს იმის დამამტკიცებელი იქნებოდა მხოლოდ, რომ მოგება და სარგებელი პირუტყუ შეფარდებაში იმყოფება ერთმეორესთან. ყოველ შემთხვევაში «Economist»-ის ზოგადი დებულება მცდარია. საქონელთა დაბალი ფულადი ფასები და სარგებლის დაბალ-განაკვეთი ერთმანეთს არ ემთხვევა აუცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში უღარიბეს ქვეყნებში, სადაც პროდუქტების ფასები ყველაზე დაბალია, სარგებლის განაკვეთიც ყველაზე დაბალი უნდა ყოფილიყო. და უმდიდრეს ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედების პროდუქტების ფულადი ფასები ფრიალ მაღალია, სარგებლის განაკვეთიც ფრიალ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. საერთოდ «Economist»-იც აღიარებს, რომ თუ ფულის ღირებულება ეცემა, ეს არავითარ გავლენას არ ახდენს სარგებლის განაკვეთზე. 100 ვირჯ. სტერლინგი უწინდებულად 105 ვირჯ. სტერლინგს მოგვცემს; თუ 100-ს ახლა ნაკლები ღირებულება აქვს, ასევე ნაკლები ღირებულება აქვს 5 ვირჯანქა სტერლინგ სარგებელსაც. შეფარდება არ იცვლება თავდაპირველი თანხის ღირებულების აწვევის ან გაუფასურების გამო. ღირებულების სახით განხილული საქონელთა განსაზღვრული რაოდენობა უდრის განსაზღვრულ ფულად თანხას. თუ მისმა ღირებულებამ აიწია, იგი უდრის უფრო დიდ

ფულად თანხას; პირიქით მოვლენას აქვს ადგილი ღირებულების დაცემისას. თუ ღირებულება = 2000-ს, მაშინ 5% = 100-ს; თუ იგი = 1000-ს, მაშინ 5% = 50-ს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის სარგებლის განაკვეთს. აქ სწორია მხოლოდ ერთი რამ: რომ უფრო დიდი ფულადი სესხია საჭირო მაშინ, როდესაც აუცილებელია 2000 გირვ. სტერლინგი იმავე რაოდენობის საქონელთა გასაყიდად, ვიდრე მაშინ, როდესაც ამისთვის აუცილებელია მხოლოდ 1000 გირვ. სტერლინგი. მაგრამ ეს გვიჩვენებს აქ მხოლოდ პირუკუ შეფარდებას მოგებასა და სარგებელს შორის. ეს იმიტომაა, რომ მოგება იზრდება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ელემენტების გათვალისწინებით ერთად, სარგებელი კი ეცემა. მაგრამ საპირისპირო მოვლენასაც შეიძლება ჰქონდეს და ბშირად აქვს კიდევ ადგილი. მაგალითად, ბამბა შეიძლება იაფი იყოს იმის გამო, რომ ნართისა და ქსოვილის მოთხოვნა არ არსებობს; იგი შეიძლება შეფარდებით ძვირი იყოს იმის გამო, რომ დიდი მოგება ბამბეულის მრეწველობაში იწვევს მის დიდ მოთხოვნას. მეორე მხრივ, მრეწველთა მოგება შეიძლება მაღალი იყოს სწორედ იმიტომ, რომ ბამბის ფასი დაბალია. ჰიუბარდის ცხრილი გვიჩვენებს, რომ სარგებლის განაკვეთი და საქონელთა ფასები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოძრაობენ, მაშინ როდესაც სარგებლის განაკვეთის მოძრაობა ზედმიწევნით შეესაბამება ლითონური მარაგისა და სათამაშუქო კურსის მოძრაობას.

«მშასადამე, თუ საქონელი ჭარბად მოიპოვება, ფულის სარგებელი უაბალი უნდა იყოს», ამბობს «Economist»-ი. სწორედ ამის საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი კრიზისების დროს; საქონელი ჭარბად მოიპოვება, მათი გადაქცევა ფულად შეუძლებელია, და ამიტომ სარგებლის განაკვეთი მაღალია; ციკლის მეორე ფაზაში საქონელთა გადღივრებული მოთხოვნაა, ამიტომ გადავიღებულა კაპიტალის უკუმოდინება, მაგრამ იმავე დროს საქონელთა ფასები მალე იწვევს და კაპიტალის უკუმოდინების სიადვილის გამო სარგებლის განაკვეთი დაბალია. «თუ იგი {საქონელი} — ცოტაა, ფულის სარგებელი მაღალი უნდა იყოსო» კვლავ ამის საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ კრიზისის მომდევნო დეპრესიის [Abspannung] პერიოდში. საქონელი ცოტაა, — თუ აბსოლუტურად ავიღებთ, მოთხოვნის მხედველობაში მიუღებლად, — სარგებლის განაკვეთი კი დაბალია.

ახლა დებულება⁴⁾ შესახებ. საკმაოდ ნათელია, რომ, როცა ბაზარი მეტისმეტად გავსებულია, საქონელმფლობელი უფრო იაფად გასცემს საქონელს, — თუ მას საერთოდ შეუძლია გაყიდოს, — ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა საქონელთა არსებული მარაგის სწრაფი გათავებაა

მოსალოდნელი. მაგრამ ნაკლებ ნათელია ის, თუ რატომ უნდა დაეცეს ამის გამო სარგებლის განაკვეთი.

თუ ბაზარი იმპორტირებული საქონლითაა გავსებული, სარგებლის განაკვეთმა შეიძლება აიწიოს იმის შედეგად, რომ გადიდებულია სასესხო კაპიტალის მოთხოვნა მესაკუთრეთა მხრივ, რომელთაც არ სურთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, გადაისროლონ საქონელი ბაზარზე. მან შეიძლება დაიწიოს იმის გამო, რომ კომერციული კრედიტის მიღების სიადვილე შედარებით დაბალ ღონეზე აჩერებს საბანკო კრედიტის მოთხოვნას.

«Economist»-ი აღნიშნავს იმ სწრაფ ზემოქმედებას 1847 წლის კურსზე, რომელიც გამოიწვია სარგებლის განაკვეთის აწევამ და სხვაგვარმა ზეგავლენამ ფულის ბაზარზე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ, მიუხედავად კურსის გამობრუნებისა, ოქრო განაგრძობდა მიქცევას აპრილის ბოლომდე; გამობრუნება იწყება მხოლოდ მაისის დამდეგიდან.

1847 წლის 1 იანვარს ბანკის ლითონური მარაგი შეადგენდა 15 066 691 გირვ. სტერლინგს, სარგებლის განაკვეთი — 3 $\frac{1}{2}$ %-ს, სამთვიანი კურსი პარიზზე — 25.75-ს, ჰამბურგზე — 13.10-ს, ამსტერდამზე — 12.3 $\frac{1}{4}$ -ს. 5 მარტს ლითონური მარაგი დაეცა 11 595 535 გირვ. სტერლინგამდე, დისკონტის ნორმამ აიწია 4%-ამდე, სათამაშო კურსი პარიზზე დაეცა 25.67 $\frac{1}{2}$ -მდე, ჰამბურგზე — 13.9 $\frac{1}{4}$ -მდე, ამსტერდამზე — 12.2 $\frac{1}{2}$ -მდე. ოქროს მიქცევა გრძელდებოდა; იხ. შემდეგი ცხრილი:

1847 წ.	ინგლისის ბანკის ლითონური მარაგი გირვ. სტ.	ფულის ბაზარი	სამთვიანი თამაშუქების უმაღლესი კურსი		
20 მარტი	11 231 630	საბანკ. დისკონტი 4%	25.67 $\frac{1}{2}$	13.9 $\frac{3}{4}$	12.2 $\frac{1}{2}$
3 აპრილი	10 246 410	„ „ 5%	25.80	13.10	12.3 $\frac{1}{2}$
10 „	9 867 053	ფული ძალიან იშვიათია	25.90	13.10 $\frac{1}{3}$	12.4 $\frac{1}{2}$
17 „	9 329 941	საბანკ. დისკონ. 5 $\frac{1}{2}$ %	26.02 $\frac{1}{2}$	13.10 $\frac{3}{4}$	12.5 $\frac{1}{2}$
24 „	9 213 890	შევიწროება	26.05	13.13	12.6
1 მაისი	9 337 716	შევიწროება მატულობს	26.15	13.12 $\frac{1}{4}$	12.6 $\frac{1}{2}$
8 „	9 558 759	ძალიან დიდი შევიწროება	26.27 $\frac{1}{2}$	13.15 $\frac{1}{2}$	12.7 $\frac{1}{4}$

1847 წელს ძვირფასი ლითონის მთელი ექსპორტი ინგლისიდან შეადგენდა 8 602 597 გირვ. სტერლინგს.

ამ თანხიდან გაიხიდა შეერთებულ შტატებში	3 226 411 გირვ. სტერლ.
> > > საფრანგეთში	2 479 892 > >
> > > ჰანზას ქალაქებში	958 781 > >
> > > ჰოლანდიაში	247 743 > >

მიუხედავად კურსის გამობრუნებისა მარტის ბოლოს, ოქროს მიქცევა გრძელდება კიდევ მთელი თვის განმავლობაში; იგი მიდის, ალბათ, შეერთებულ შტატებში.

«ჩვენ აქ ვხედავთ», { ამბობს «Economist»-ი, 1847, გვ. 984 }, «როგორ სწრაფად და გადაჭრით გამოასწორა არახელსაყრელი კურსი სარგებლის განაკვეთის გადიდებამ და ფულის ნაკლებობამ, რომელიც მას მოჰყვა, და მოატრიალა ოქროს მიქცევა, ასე რომ ოქრომ ისევ ინგლისისკენ იწყო დენა. ეს შედეგი გამოწვეული იყო საგადასახდლო ბალანსისგან სრულიად დამოუკიდებლად. სარგებლის გადიდებულმა განაკვეთმა წარმოშვა ფასიანი ქაღალდების უფრო დაბალი ფასი — ინგლისის და უცხოეთისაც — და შექმნა სტიმული ამ ქაღალდების დიდი რაოდენობით შესყიდვისათვის საზღვარგარეთის ანგარიშზე. ამან გაადიდა ინგლისიდან გამოწერილი თამასუქების თანხა, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, სარგებლის მაღალი განაკვეთის არსებობისას ფულის შოვნის სიძნელე ისე დიდა იყო, რომ ამ თამასუქების მოთხოვნა შემცირდა, თუმცა მათი რაოდენობა გაიზარდა. იმავე მიზეზით უცხოეთის საქონელზე გაცემული დაკვეთები გაუქმებულ იქნა, ინგლისის კაპიტალები. რომლებიც უცხოეთის ფასიან ქაღალდებში იყო მოთავსებული, განადგებულ იქნა და ფული ინგლისში წამოვიდა დასაბანდებლად. ასე, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ 10 მაისის «Rio de Janeiro Prices Current»-ში: «სათამასუქო კურსი» { ინგლისზე } «ჩელახლა დავცა უმთავრესად იმ ზეგავლენის გამო, რომელიც რიმესების ბაზარზე ნოახდინა კაპიტალების რეალიზაციამ მნიშვნელოვანი რაოდენობის სახელმწიფო ფონდების { ბრაზილიის სახელმწიფო ფონდების } გაყიდვის გზით, რაც ინგლისის ანგარიშზე წარმოებდა». ამგვარად, ინგლისის კაპიტალი, რომელიც სარგებლის დაბალი განაკვეთის პირობებში საზღვარგარეთ იყო სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში მოთავსებული, სარგებლის განაკვეთის აწევის შემდეგ უკან დაბრუნდა.

ინგლისის ვაჭრობის ბალანსი.

მარტო ინდოეთმა დაახლოებით 5 მილიონი ხარკი უნდა იხადოს «კარგი მმართველობისათვის», ბრიტანეთის კაპიტალის სარგებლისა და დივიდენდებისათვის და სხვ., და ამასთან აქ სათვალავში არაა მი-

ლებული ის თანხები, რომლებსაც ყოველწლიურად გზავნიან ინგლისში დასაბანდებლად, ნაწილობრივ მოხელეები, მათი ჯამაგირიდან დანაზოგის სახით, ნაწილობრივ ვაჭრები, მათი მოგების ნაწილის სახით. იმავე მიზეზებით ბრიტანეთის ყოველი კოლონიიდან განუწყვეტილად მნიშვნელოვან თანხებს უნდა აგზავნიდნენ. **ქ**ბანკების უმრავლესობა ავსტრალიაში, ვესტ-ინდოეთში, კანადაში ბრიტანეთის კაპიტალითაა დაარსებული, ასე რომ დივიდენდები გადახდილ უნდა იქნეს ინგლისში. გარდა ამისა, ინგლისის მფლობელობაშია დიდძალი ევროპული, სამხრეთ და ჩრდილო-ამერიკული სახელმწიფო ქალაქები და მათში იგი სარგებელს ლეზულობს. **ქ**ამას ერთვის კიდევ მისი მონაწილეობა საზღვარგარეთის რკინიგზებში, არხებში, მადნების მოპოვებაში და სხვ. სათანადო დივიდენდებითურთ. რიმესები ამ თანხების საფუძველზე წარმოებს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტების სახით, რაც ინგლისის ექსპორტის თანხებს ემატება. ის თანხები, რომლებიც ინგლისიდან საზღვარგარეთ მიდის ინგლისის ფასიანი ქალაქების მფლობელების ხელში, და ის თანხები, რომლებსაც ინგლისელები მოიხმარებენ საზღვარგარეთ, — ამასთან შედარებით უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს.

ეს საკითხი, რამდენადაც იგი ვაჭრობის ბალანსსა და სათამაშუკო კურსს შეეხება, «ყოველ მოცემულ მომენტში დროის საკითხია. ჩვეულებრივ... ინგლისი გრძელვადიან კრედიტს იძლევა თავის ექსპორტზე, მაშინ როდესაც იმპორტისთვის იგი ნაღდად იხდის. გარკვეულ მომენტში პირობების ეს განსხვავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსზე. იმ პერიოდებში, როდესაც ჩვენი ექსპორტი მნიშვნელოვანად იზრდება, როგორც, მაგალითად, 1850 წელს, განუწყვეტილად უნდა იმატოს ბრიტანეთის კაპიტალის დაბანდებამ... ამგვარად, მისაღებელი იმ საქონლისათვის, რომელიც 1849 წელს იყო გაზიდული, შეიძლება შემოვიდეს მხოლოდ 1850 წელს. მაგრამ როცა 1850 წელს ექსპორტმა რ მილიონით გადააჭარბა 1849 წლის ექსპორტს, პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ქვეყნის გარეთ ამ თანხის შესაბამისი მეტი ფული გაიგზავნა, ვიდრე უკან დაბრუნდა იმავე წელს; და ამ გზით ხდება გავლენა სათამაშუკო კურსსა და სარგებლის განაკვეთზე. მაგრამ როდესაც ჩვენი ოპერაციები შეფერხებულია [deprimirt] კრიზისის გამო და ჩვენი ექსპორტი ძალიან შემცირებულია, ჩვენ მიერ წინა წლების დიდი ექსპორტისთვის ვადაამდგარი მისაღებელი დადად აღემატება ჩვენი იმპორტის ღირებულებას; ამის შესაბამისად კურსი ჩვენთვის ხელსაყრელი ხდება, კაპიტალი სწრაფად გროვდება ქვეყნის შიგნით და სარგებლას კანაკვეთი ეცემა» («Economist», 11 იანვარ. 1851).

საზღვარგარეთული სათამაშუქო კურსი შეიძლება შეიცვალოს:

1) მოცემული მომენტის საგადასახდლო ბალანსის შედეგად, რა მიზეზებითაც უნდა განისაზღვროდეს ეს ბალანსი, — წმინდა სავაჭრო მიზეზებით, საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდებით თუ სახელმწიფო ხარჯებით ომის საწარმოებლად და სხვ., რამდენადაც ამასთან გადასახდელს გასტუმრება საზღვარგარეთ ნაღდი ფულით წარმოებს.

2) ამა თუ იმ ქვეყანაში ფულის გაუფასურების შედეგად, ლითონის იქნება ეს ფული თუ ქალაღის. ამ შემთხვევაში კურსსაც ცვლილება წმინდა ნომინალურია. თუ 1 გირვ. სტერლინგი იმ ფულის მხოლოდ ნახევარს წარმოადგენს, რომელსაც წინათ წარმოადგენდა, მაშინ, — თავისთავად იგულისხმება — იგი 25 ფრანკის ნაცვლად მხოლოდ 12½ ფრანკად იქნება ანგარიშში მიღებული.

3) თუ საქმე შეეხება სათამაშუქო კურსს ორ ქვეყანას შორის, როგორცაა ერთი «ფულად» ვერცხლს ხმარობს, ხოლო მეორე — ოქროს, მაშინ სათამაშუქო კურსი ამ ორივე ლითონის შეფარდებითი ღირებულებების რყევაზეა დამოკიდებული, რადგან ასეთი რყევა, ცხადია, ცვლის პარიტეტს ამ ორ ლითონს შორის. ამ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენდა 1850 წლის კურსი; იგი არახელსაყრელი იყო ინგლისისათვის, თუმცა ინგლისის ექსპორტი ძალიან გაიზარდა; მოუხედავად ამისა, ადგილი არ ჰქონებია ოქროს მიქცევას. ეს იმის შედეგი იყო, რომ ვერცხლის ღირებულებამ უეცრად აიწია ოქროს ღირებულებასთან შედარებით (იხ. «Economist»-ი, 30 ნომბრ. 1857 წ.).

1 გირვ. სტერლინგის *al pari* სათამაშუქო კურსია: პარიზზე — 25 ფრანკი 20 სანტიმი, ჰამბურგზე — 13 საბანკო მარკა 10½ შილი., ამსტერდამზე — 11 გულდენი 97 ცენტი. იმდენად, რამდენადაც 25.20-ზე მაღლა იწევს სათამაშუქო კურსი პარიზზე, იგი უფრო ხელსაყრელი ხდება საფრანგეთის ინგლისელი მოვალეებისთვის ან საფრანგეთის საქონლის მყიდველებისთვის. ერთნიც და მეორენიც ახლა გირვანქა სტერლინგების ნაკლებ რაოდენობას საჭიროებენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. — შორეულ ქვეყნებში, სადაც ძვირფასი ლითონი ძნელი საშოვნელია. ხოლო თამაშუქები იშვიათია და არ კმარა ინგლისის მიმართ გადასახდელთა გასატუმრებლად, კურსის აწევის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს იმ პროდუქტების ფასების აწევა, რომლებიც ჩვეულებრივ ინგლისში გაიზიდება; უფრო დიდი მოთხოვნა იჩენს თავს ამ პროდუქტების გასაგზავნად ინგლისში, თამაშუქების ნაცვლად; ამას ადგილი აქვს ხშირად ინდოეთში.

არახელსაყრელ სათამაშუქო კურსს და ოქროს მიქცევასაც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინგლისში ფულის

დიდი სიჭარბე, სარგებლის დაბალი განაკვეთი და ფასიანი ქაღალდების მძალადი კურსი არსებობს.

1848 წლის განმავლობაში ინგლისმა ვერცხლის მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღო ინდოეთიდან, ვინაიდან კარგი თამასუქები იშვიათი იყო, ხოლო საშუალო ღირებების თამასუქებს ხალისით არ იღებდნენ 1847 წლის კრიზისისა და ინდოეთთან წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებში უნდობლობის გამო. მთელმა ამ ვერცხლმა, მოსვლისთანავე, გზა იპოვა კონტინენტზე, სადაც რევოლუციამ ყველგან განძის გაძლიერებული დაგროვება გამოიწვია. 1850 წელს იგივე ვერცხლი ისევ ინდოეთისაკენ გაუდგა გზას, რადგან სათამაშუკო კურსის მდგომარეობის გამო ეს ახლა მომგებიანი საქმე გახდა.

მონეტარული სისტემა არსებითად კათოლიკურია, საკრედიტო სისტემა — არსებითად პროტესტანტული. «The Scotch hate gold» [«შოტლანდიელს სძულს ოქრო»]. საქონელთა ფულადი მყოფობა ქაღალდის ფულის სახით მხოლოდ საზოგადოებრივ მყოფობას წარმოადგენს. ეს არის რწმენა, სულის მაცხონებელი; — რწმენა ფულადი ღირებულების, როგორც საქონელთა იმანენტური სულის, მიმართ, რწმენა არსებული წარმოების წესისა და მისი წინასწარდადგენილი წყობილების მიმართ, რწმენა წარმოების ცალკეული აგენტების, როგორც ღირებულების მხრივ თვითმზარდი კაპიტალის უბრალო განსახიერების, მიმართ. მაგრამ როგორც პროტესტანტიზმი არ განთავისუფლებულა კათოლიციზმის საფუძვლებისაგან, ასევე საკრედიტო სისტემა არ განთავისუფლებულა მონეტარული სისტემის ბაზისისაგან.

თავი ოცდამეთექვსმეტი

კაპიტალიზმადელი ურთიერთობანი.

სარგებელმომტანი კაპიტალი ანუ, როგორც ჩვენ შეგვიძლია მას იმის ძველებური ფორმის მიხედვით ვუწოდოთ, სავაზო კაპიტალი მისი ტყუპი ძნითაუთ — სავაჭრო კაპიტალითურთ — ეკუთვნის კაპიტალის ადამისდროინდელ ფორმებს, რომელნიც დიდი ხნით წინ უსწრებენ კაპიტალისტურ წარმოების წესს და რომელთაც ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ეკონომიურ-საზოგადოებრივ ფორმაციებში.

სავაზო კაპიტალის არსებობისათვის აუცილებელია მხოლოდ ერთი რამ: პროდუქტების ერთი ნაწილი მაინც საქონლად უნდა გადაიქცეს და აქონელვაჭრობასთან ერთად ფული თავის სხვადასხვა ფუნქციებში უნდა განვითარდეს.

სავაზო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია ვაჭრის კაპიტალის განვითარებასთან და სპეციალურად ფულად-სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან. ძველ რომში, რესპუბლიკის უკანასკნელ დროიდან დაწყებული, როცა მანუფაქტურა ანტიკურ ქვეყანაში არსებულ განვითარების სწრაფ ღონეზე ბევრად დაბლა იდგა, ვაჭრის კაპიტალი, ფულად-სავაჭრო კაპიტალი და სავაზო კაპიტალი უმაღლეს წერტილამდე იყო — ანტიკური ფორმის ფარგლებში — განვითარებული.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იკიდებს ფეხს ფულთან ერთად აუცილებლად განძის შექმნა. მაგრამ პროფესიული განძის დამგროვებელი პნიშვნელობა მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, როდესაც იგი მევახშედ აქცევა.

ვაჭარი ფულს იმისთვის სესხულობს, რომ ფულით მოგება მიიღოს, გამოიყენოს იგი როგორც კაპიტალი, ე. ი. დახარჯოს. მაშასადამე, უფრო ადრინდელი ფორმების არსებობის დროსაც მას ისევე უპირისპირდება ფულის გამსესხებელი, როგორც თანამედროვე კაპიტალისტს. ამ სპეციფიკურ დამოკიდებულებას გრძნობდნენ აგრეთვე კათოლიკური უნივერსიტეტები «ალკალის, სალამანკის, ინგოლშტადტის, ბრეისგაუს,

ფრეიბურგის, მაინცის, კელნისა და ტრირის უნივერსიტეტებმა, ერთი-მეორის მიყოლებით, აღიარეს სავაჭრო სესხში აღებული სარგებლის კანონზომიერება. ეს სანქცია პირველი ხუთი უნივერსიტეტის მხრივ შეტანილი იყო ქალაქ ლიონის საკონსულოს არქივებში და დაბეჭდილია «Traité de l'usure et des intérêts»-ს დამატებაში, Lyon, Bruyset-Ponthus» (M. Augier; «Le Crédit public etc.», Paris 1842, გვ. 206). ყველა იმ ფორმაში, რომელშიაც მონური მეურნეობა (არა პატრიარქალური, არამედ იმ ფორმისა, რომელიც მას აქვს საბერძნეთის და რომის უფრო გვიანდელ ეპოქებში) არსებობს როგორც გამდიდრების საშუალება, სადაც, მასასადამე, ფული საშუალებაა სხვისი შრომის შთოვებისა მონების, მიწისა და სხვ. შესყიდვის გზით, — სწორედ იმიტომ, რომ იგი შეიძლება ასეთი წესით დაბანდებულ იქნეს, ფული გამოიყენება როგორც კაპიტალი, როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი.

მაგრამ დამახასიათებელი ფორმები, რომლებშიც სავაჭრო კაპიტალი არსებობს კაპიტალისტური წარმოების წესის წინა ხანებში, ორნაირაა. ვამბობ დამახასიათებელი ფორმები-თქო ასეთივე ფორმები მეორდება შემდეგ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზეც, მაგრამ — როგორც დაქვემდებარებული ფორმები. აქ ისინი აღარ წარმოადგენენ ისეთ ფორმებს, რომელნიც სარგებელმომტანი კაპიტალის ხასიათს განსაზღვრავენ. ეს ორი ფორმა შემდეგია: პირველი, მევახშეობა ფულის სესხად გაცემით მფლანგველ დიდკაცებზე, განსაკუთრებით მიწის მესაკუთრეებზე; მეორე, მევახშეობა ფულის სესხად გაცემით წვრილ, თავიანთი საკუთარი შრომის პირობების მფლობელ მწარმოებლებზე. რომელთა რიცხვს ეკუთვნის ხელოსანიც, მაგრამ განსაკუთრებით — გლეხი, რადგან საერთოდ წინაკაპიტალისტურ ურთიერთობაში, რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდის წვრილ დამოუკიდებელ ცალკე მწარმოებელთა არსებობას, ამ მწარმოებელთა დიდძალ უმრავლესობას გლეხთა კლასი უნდა შეადგენდეს.

ორივეს, — როგორც მსხვილი მემამულეების გაჩანაგებას, ისე წვრილ მწარმოებელთა გამოწოვასაც მევახშეების მიერ, — შედეგად შოსდევს დიდი ფულადი კაპიტალების წარმოქმნა და კონცენტრაცია. მაგრამ თუ რამდენად სპობს ეს პროცესი ძველ წარმოების წესს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თანამედროვე ევროპაში, და აყენებს იგი თუ არა მის ადგილას კაპიტალისტურ წარმოების წესს, — ეს სავსებით დამოკიდებულია ისტორიული განვითარების საფეხურზე და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე.

სავაჭრო კაპიტალი, როგორც სარგებელმომტანი კაპიტალის დამახასიათებელი ფორმა, შეესაბამება ისეთ მდგომარეობას, როდესაც დამოუკიდებელი თვითმშრომელი გლეხებისა და წვრილი ხელოსან-ოსტატების წვრილ წარმოებას უპირატესი ადგილი უჭირავს. იქ, სადაც — როგორც ეს განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესის დროს არის — შრომის პირობები და შრომის პროდუქტი პირისპირ უდგას მუშას კაპიტალის სახით, მუშას როგორც მწარმოებელს არ სჭირდება ფულის სესხად აღება. თუ იგი ფულს სესხულობს, მაგალითად, ლომბარდში, — ამას იგი სჩადის პირადი საჭიროებისათვის. მაგრამ იქ, სადაც მუშა თავისი შრომის პირობების და თავისი პროდუქტის — ნამდვილი თუ ნომინალური — მესაკუთრეა, იგი, როგორც მწარმოებელი, განსაზღვრულ დამოკიდებულებაშია ფულის გამსესხებლის კაპიტალთან, რომელიც მას უპირისპირდება სავაჭრო კაპიტალის სახით. ნიუმანი ამ ფაქტს უხამსი ფორმით გამოთქვამს, როცა ამბობს: ბანკირს პატივს სცემენ, ხოლო მევახშე სძაგთ და ეზიზღებათ, იმიტომ რომ პირველი მდიდრებს აძლევს ფულს სესხად. მეორე კი — ღარიბებსო (F. W. Newman «Lectures on Political Economy». London 1851, გვ. 44). იგი ვერ ამჩნევს, რომ ბანკირსა და მევახშეს შორის არსებობს ორი საზოგადოებრივი წარმოების წესის და მათი შესაბამისი საზოგადოებრივი წყობილების ფორმების განსხვავება და რომ საკითხი არ ამოიწურება ღარიბისა და მდიდრის დაპირისპირებულობით. სინამდვილეში მევახშეობა, რომელიც ღარიბ წვრილ მწარმოებელს სისხლს წოვს, ხელი-ხელჩაკიდებული მიმდინარეობს მევახშეობასთან, რომელიც მდიდარ დიდ მემამულეს წოვს სისხლს. როდესაც რომის პატრიციების მევახშეობამ სრულიად გაანადგურა რომის პლებეები, წვრილი გლეხები, — დასრულდა ექსპლოატაციის ეს ფორმა და წვრილგლეხური მეურნეობის ადგილი მონათმფლობელურმა მეურნეობამ დაიკავა.

ამ ეპოქაში მევახშემ სარგებლის ფორმით შეიძლება შთანთქმას მთელი ის ნაშთი (ის, რაც შემდეგში მოგებასა და მიწის რენტას შეადგენს), რომელიც აღმატება მწარმოებლის აუცილებელ საარსებო საშუალებებს (რაც შემდეგში მის ხელფასს შეადგენს), და იმიტომ ფრიად შეუსაბამოა ამ სარგებლის სიმაღლის შედარება — სარგებლის, რომელიც შეიცავს მთელ ზედმეტ ღირებულებას მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც სახელმწიფოს ხვდება წილად — მისი შედარება სარგებლის განაკვეთის სიმაღლესთან თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სარგებელი — ყოველ შემთხვევაში ნორმალური სარგებელი — ამ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ამასთან იგიწყებენ, რომ დაჭირავებული მუშა დამჭირავებელი კაპიტალისტისთვის აწარმოებს და მას

აძლევს მოგებას, სარგებელს და მიწის რენტას, მოკლედ მთელ ზედმეტ ღირებულებას. კერი აკეთებს ასეთ შეუსაბამო შედარებას, რათა დაამტკიცოს, რამდენად ხელსაყრელია მუშისთვის კაპიტალის განვითარება და მისი თანმხლები სარგებლის განაკვეთის დაცემა. შემდეგ, თუ მევახშე, რომელიც არ კმაყოფილდება ზედმეტი ღირებულების გამოწვით თავისი მსხვერპლიდან, თანდათანობით იძენს ამ მსხვერპლით. თვით შრომის პირობების, მიწის, სახლის და სხვ. საკუთრების ტატულებს და მუდამ იმის ცდაშია, რომ მისი ასეთი ექსპროპრიაცია მოახდინოს, — არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშის შრომის პირობების სრული ექსპროპრიაცია არის არა შედეგი, რომლისადმი მიისწრაფვის კაპიტალისტური წარმოების წესი, არამედ მზამზარეული წანამძღვარი, საიდანაც იგი გამოდის. დაქირავებული მონა, სრულიად ისე, როგორც ნამდვილი მონა, თავისი მდგომარეობით ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ იგი — ყოველ შემთხვევაში როგორც მწარმოებელი — არ შეიძლება გახდეს მოვალე-მონა; იგი შეიძლება ასეთი გახდეს მხოლოდ როგორც მომხმარებელი. სავახშო კაპიტალი მისი იმ ფორმით, რომელშიც იგი ნამდვილად ახდენს უშუალო მწარმოებლის მთელი ზედმეტი შრომის მითვისებას წარმოების წესის შეუცვლელად; რომელშიც მის არსებით წინაპირობას შეადგენს მწარმოებლის საკუთრება ანუ მფლობელობა თავისი შრომის პირობებისა და ამის შესაბამისი წვრილი დაქუცმაცებული წარმოება; რომელშიც კაპიტალი, მამასადამე, არ იქვემდებარებს შრომას უშუალოდ და ამიტომ არ უპირისპირდება მას როგორც სამრეწველო კაპიტალი, — ასეთი სავახშო კაპიტალი იწვევს ამ წარმოების წესის დაკნინებას, ასუსტებს მწარმოებლურ ძალებს ნაცვლად იმისა, რომ განავითაროს ისინი, და იმავე დროს ამარადისებს ამ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა არ ვითარდება, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში, თვით შრომის ხარჯზე.

ამრიგად, მევახშეობა, ერთი მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანტიკურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიკურ და ფეოდალურ საკუთრებას. მეორე მხრივ, იგი არღვევს და ანადგურებს წვრილგლეხურ და წვრილბურჟუაზიულ წარმოებას, მოკლედ — ყველა იმ ფორმებს, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეა. განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას მუშას არ ეკუთვნის მისი წარმოების პირობები, — მიწიერი, რომელზედაც იგი ხვნა-თესვას ეწევა, ნედლი მასალა, რომელსაც ამუშავებს, და სხვ. მაგრამ აქ წარმოების პირობების მწარმოებლისაგან მოწყვეტას შეესაბამება ნამდვილი გადატრიალება თვით წარმოების

წესნი. ხდება განცალკევებული მუშების შეერთება დიდ სახელოსნოში დანაწილებული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული [ineinander greifender] ფუნქციების შესასრულებლად; სამუშაო ინსტრუმენტი იქცევა მანქანად. თვით წარმოების წესი აღარ იძლევა იმის ნებას, რომ არსებობდეს წვრილ საკუთრებასთან დაკავშირებული დაქსაქსულობა წარმოების იარაღებისა, ისე როგორც თვით მუშების იზოლირება. კაპიტალისტურ წარმოებაში მევახშეს აღარ შეუძლია წარმოების პირობები განაცალკევოს მწარმოებლისაგან, ვინაიდან მათი განცალკევება უკვე მომხდარია.

მევახშეობა ფულადი ქონების ცენტრალიზაციას ახდენს იქ, სადაც წარმოების საშუალებანი დაქსაქსულია. მევახშეობა არ ცვლის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და უბადრუკ მღვამარეობაში აგდებს. იგი წოვს მას, აუძღურებს და აიძულებს კვლავწარმოებას სულ უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს. აქედან — ხალხის სიძულვილი მევახშის მიმართ, რაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ანტიკურ ქვეყანაში, სადაც მწარმოებლის საკუთრება მისი წარმოების პირობებზე იმავე დროს პოლიტიკური ურთიერთობის, მოქალაქეთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ბაზისს შეადგენდა.

სანამ მონობაა გაბატონებული ან სანამ ზედმეტ პროდუქტს ფეოდალი და მისი ამაღა ჭამს და მევახშის ხელში ვარდება მონათმფლობელი ან ფეოდალი, — წარმოების წესი იგივე რჩება; მხოლოდ იგი უფრო ძნელი ასატანი ხდება მუშისთვის. ვალებით დატვირთული მონათმფლობელი ან ფეოდალი-მეგატონე შეტს გამოწოვს მუშას, იმიტომ რომ მასაც მეტს გამოწოვენ. ანდა იგი, ბოლოს, თავის ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითონ ხდება შემამულე ან მონათმფლობელი, ისე როგორც რაინდი ძველ რომში. ძველი ექსპლოატატორის ადგილას, რომლის ექსპლოატაციას მეტნაკლებ პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან უმთავრესად პოლიტიკური ძალაუფლების იარაღს წარმოადგენდა. დგება სასტიკი, ფულის ხარბი ვიგინდარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება.

კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის არსებობის დროს მევახშეობა რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმით, რომ იგი არღვევს ეს სობებს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე ბაზისზე და ერთი და იმავე ფორმით განუწყვეტელ კვლავწარმოქმნაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების არსებობისას მევახშეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალიან დიდხანს ისე, რომ მან სხვა არა გამოიწვიოს რა, გარდა ეკონომიური დაქვეითებისა და პოლიტიკური გათახსირებისა. მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კაპიტა-

ლისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები არსებობენ, მევახშეობა წარმოადგენს ახალი წარმოების წესის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას მით, რომ იგი, ერთი მხრივ, ანადგურებს ფეოდალებს და წვრილ მწარმოებლებს და, მეორე მხრივ, შრომის პირობების ცენტრალიზაციას ახდენს და მათ კაპიტალად აქცევს.

შუა საუკუნეებში არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა დამყარებული სარგებლის ერთი საყოველთაო განაკვეთი. ეკლესიის მიერ აკრძალული იყო იმთავითვე სარგებელმომტანი ყოველი გარიგება. კანონი და სანაშარტლო მხოლოდ არასაკმარისად უზრუნველყოფდნენ სესხის გადახდევინებას. მით უფრო მაღალი იყო სარგებლის განაკვეთი ცალკეულ შემთხვევებში. უმნიშვნელო ფულადი მიმოქცევა, იმის აუცილებლობა, რომ გადასახდელი მეტწილად ნაღდი ფულით ყოფილიყო გასტუმრებული, ადამიანებს აიძულებდა სესხად აეღოთ ფული; და ამასთან — მით უფრო, რაც უფრო ნაკლებ განვითარებული იყო სათამაშუკო საქმე. დიდ სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი როგორც სარგებლის განაკვეთის მხრივ, ისე მევახშეობის ცნებაშიც. კარლოს დიდის დროს მევახშეობად ითვლებოდა, თუ ვინმე 100%-ს იღებდა. ლინდაუში, ბოდენის ტბის პირას 1348 წელს ადგილობრივი მოქალაქეები წლიურად 216 $\frac{2}{3}$ %-ს იღებდნენ. ციურიხში საბჭომ 43 $\frac{1}{3}$ % დააწესა, როგორც კანონიერი სარგებელი. იტალიაში ზოგჯერ იხდიდნენ 40%, თუმცა XII — XIV საუკუნეებში ჩვეულებრივი განაკვეთი 20%-ს არ აღემატებოდა. ვერონამ დააწესა 12 $\frac{1}{2}$ %, როგორც კანონიერი სარგებელი. იმპერატორმა ფრიდრიხ II დააწესა 10%, მაგრამ — მხოლოდ ებრაელებისათვის. ქრისტიანების შეხება მას არ ნებავდა. ვერმანიასი — რაინის მიდამოებში — 10% ჩვეულებრივ ნორმას შეადგენდა უკვე XIII საუკუნეში (Hüllmann: «Geschichte des Städtewesens», II, გვ. 55 — 57).

საევანშო კაპიტალს აქვს ექსპლოატაციის წესი კაპიტალისა მისი დამახასიათებელი წარმოების წესის უქონლად. ეს ურთიერთობა მეორდება ბურჟუაზიული ეკონომიკის ფარგლებშიც, სახელდობრ მრეწველობის ჩამორჩენილ დარგებში ან ისეთებში, რომელნიც თანამედროვე წარმოების წესზე გადასვლას წინააღმდეგობას უწევენ. თუ ვისმეს სურს, მაგალითად, შეადაროს ინგლისის სარგებლის განაკვეთი ინდოეთისას, მან ამისთვის უნდა აიღოს არა ინგლისის ბანკის სარგებლის განაკვეთი, არამედ, მაგალითად, ის სარგებელი, რომელსაც წვრილ მწარმოებლებს ახდევინებენ მეწარმენი, როდესაც მათ წვრილ მანქანებს აძლევენ კრედიტით.

წინააღმდეგ სამომხმარებლო სიმდიდრისა, მევახშეობა ისტორიულად მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი თვით არის კაპიტალის წარმოშობის პროცესი. სავაჭრო კაპიტალი და ვაჭრის ქონება მოსაშუალებოებენ მიწათმფლობელობისაგან დამოუკიდებელი ფულადი ქონების წარმოქმნას. რაც უფრო ნაკლებ განვითარებულა პროდუქტის, როგორც საქონლის, ხასიათი, რაც უფრო ნაკლებ არის საცვლელი ღირებულება მთელი სიფართით და სიღრმით წარმოებას დაუფლებულა, მით უფრო წარმოგვიდგება ფული როგორც სიმდიდრე სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, სიმდიდრე როგორც ასეთი, როგორც საყოველთაო სიმდიდრე, წინააღმდეგ მისი შეზღუდული გამოსახულებისა სახმარ ღირებულებაში. ამაზეა დამყარებული განძის დაგროვება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფულს მსოფლიო ფულის და განძის სახით, ფული, სახელდობრ გადახდის საშუალებას ფორმით, წარმოგვიდგება როგორც საქონლის აბსოლუტური ფორმა. და სწორედ ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია წარმოადგენს იმ ფუნქციას, რომელიც ავითარებს სარგებელს და მასთან ერთად ფულად კაპიტალს. მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვის მფლანგველი და გამათახსირებელი სიმდიდრე, შეადგენს ფული როგორც ასეთი, როგორც ყველაფრის ყიდვის საშუალება (აგრეთვე ვალის გადახდისა). წვრილი მწარმოებელი კი ფულს საჭიროებს უმთავრესად იმისათვის, რომ გადასახდელი გაისტუმროს. (მებატონის [an Grundherrn] და სახელმწიფოს სასარგებლოდ ნატურალურ გადასახდელთა გარდაქმნა ფულად რენტად და ფულად გადასახდად აქ დიდ როლს ასრულებს). ორივე შემთხვევაში ფული საჭიროა როგორც ფული. მეორე მხრივ, — განძის დაგროვება რეალური ხდება, მევახშეობის ფორმაში ახორციელებს თავის ოცნებას. განძის მფლობელისაგან მოითხოვენ არა კაპიტალს, არამედ ფულს როგორც ფულს; მაგრამ სარგებლის საშუალებით იგი ამ ფულად განძს აქცევს თავისთვის კაპიტალად, — საშუალებად, რომლითაც იგი ეუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ზედმეტ შრომას და თვით წარმოების პირობების გარკვეულ ნაწილს, თუმცა ნომინალურად ეს უკანასკნელი ისევე უპირისპირდებიან მას სხვისი საკუთრების სახით. მევახშე ცხოვრობს — ასე ვთქვათ — წარმოების სერტებში, ისე როგორც ეპიკურეს ღმერთები ცხოვრობდნენ მსოფლიოთაშორისო სივრცეში. ფულის შოვნა მით უფრო ძნელია, რაც უფრო ნაკლებ შეადგენს საქონლური ფორმა პროდუქტის საყოველთაო ფორმას. ამიტომ მევახშემ სხვა ზღუდე არ იცის, გარდა იმ პირთა ქმედუნარიანობისა [Leistungsfähigkeit] ან წინააღმდეგობის გაწევის უნარისა, რომელნიც ფულს საჭიროებენ. წვრილგლეხურ და წვრილბურჟუაზიულ წარმოებაში ფული გამოიყე-

ნება როგორც ყიდვის საშუალება უმთავრესად მაშინ, როცა შემთხვევითობის ან რაიმე არაჩვეულებრივი შერყევის გამო წარმოების პირობებს კარგავს მუშა (რომელიც ამ წარმოების წესის არსებობისას ჯერ კიდევ მათი მესაკუთრეა) ან, ყოველ შემთხვევაში, მათი ანაზღაურება არ შეიძლება კვლავწარმოების ჩვეულებრივი მსვლელობით. საარსებო საშუალებანი და ნედლი მასალა შეადგენს წარმოების ამ პირობების მთავარ ნაწილს. მათი გაძვირების გამო შეიძლება შეუძლებელი გახდეს მათი ანაზღაურება პროდუქტში მიღებული ამონაგებიდან, ისევე როგორც უბრალო მოუსავლობამ შეიძლება გლახს ხელი შეუშალოს ანაზღაურის თესლი *in natura*. იგივე ომები, რომლებითაც რომელიმე პატრიციები პლებებს ანადგურებდნენ, აიძულებდნენ რა მათ მოეხადათ საომარი ბეგარა, რაც ამ უკანასკნელთ აბრკოლებდა მათი შრომის პირობების კვლავწარმოებაში და ამიტომ მათ აღატაკებდა (გაღატაკებდა, კვლავწარმოების პირობების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა აქ უმთავრეს ფორმას წარმოადგენს), — იგივე ომები პატრიციების ბელღებსა და სარდაფებს ნადავლით ავსებდა სპილენძის — მაშინდელი ფულის — სახით. ნაცვლად იმისა, რომ პლებებისთვის პირდაპირ მიეცათ მათთვის საჭირო საქონელი, პური, ცხენები, რქიანი პირუტყვი, ისინი მათ სესხად აძლევდნენ ამ მათთვის უსარგებლო სპილენძს და ამ თავისი მდგომარეობით სარგებლობდნენ იმისათვის, რომ მათგან ეყება სავაზმო სარგებელი გამოეწურათ, რითაც თავიანთ მოვალე-მონებელად აქცევდნენ პლებებს. კარლოს დიდის დროს ფრანგი გლეხებიც გააჩანაგა ომებმა, ასე რომ მათ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ მოვალეებიდან ყმებად გადაქცეულიყვნენ. რომის იმპერიაში, როგორც ცნობილია, ხშირად ხდებოდა, რომ თავისუფალი ადამიანები შიმშილის გამო შვილებს და თავიანთ თავს მონებად მიჰყიდდნენ მდიდრებს. ასეთი შემოტრიალების პუნქტები ზოგადად. რაც შეეხება ცალკეულ შემთხვევებს, წვრილი მწარმოებლისთვის წარმოების პირობების შენარჩუნება ან დაკარგვა ათასგვარ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული; და ყოველი ასეთი შემთხვევითობა ანუ დაკარგვა მოასწავებს გადატაკებას და ამიტომ წარმოადგენს ისეთ მომენტს, როდესაც მევახშე-პარაზიტს შეუძლია ხელი ჩასჭიდოს მსხვერპლს. საკმარისია წვრილ გლახს ძროხა მოუკვდეს, და მას უკვე აღარ შეუძლია თავისი კვლავწარმოება ხელახლა განაგრძოს ძველი მასშტაბით. მაშასადამე, იგი მევახშეს უვარდება ხელში და, რაკი ერთხელ ჩაუვარდა, მერე ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს იქიდან.

მაგრამ მევახშეობის ფართო და მასთან თავისებურ ასპარეზს წარმოადგენს ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია. გან-

საზღვრულ ვადასთან დაკავშირებული ყოველი ფულადი გადასახდელი, — იჯარა, გამოსაღები, გადასახადი და სხვ., აუცილებლად ფულით არის გასასტუმრებელი. ამიტომ მევახშეობა ძველი ღრმის დროიდან დაწყებული ახალ დრომდე ფართოდ უკავშირდება მოიჯარე-შემსყიდველთა, *fermiers généraux* [მთავარ მოიჯარე-შემსყიდველთა] *receveurs généraux* [გადასახადის მთავარ ამკრეფთა] ფუნქციას. შემდეგ, ვაჭრობის განვითარებასა და საქონელწარმოების გაფართოებასთან ერთად ვითარდება ყიდვისა და გადახდის მომენტის განცალკევება ერთიმეორისგან განსაზღვრული დროის ინტერვალით. ფული განსაზღვრულ ვადაზეა ჩასაბარებელი. თანამედროვე ფულადი კრიზისები გვიმტკიცებს, რომ აშინ შეიძლება შექმნას ისეთი პირობები, როდესაც, ჩვენს დროშიც კი, ფულადი კაპიტალისტი და მევახშე ერთიმეორესთან არიან შედუღებულნი. მაგრამ იგივე მევახშეობა ხდება მთავარი საშუალება ფულის როგორც გადახდის საშუალების მოთხოვნის შემდგომი გაფართოებისა, რადგან იგი მწარმოებელს სულ უფრო ავალიანებს და უსაობს მას ჩვეულებრივ გადახდის საშუალებებს იმით, რომ მისთვის, გადასახდელი სარგებლის ტვირთის გამო, რეგულარული კვლავწარმოებაც კი შეუძლებელი ხდება. აქ მევახშეობა ამოხეიქავს ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციიდან და აფართოებს ამ ფუნქციას, რომელიც მის ნამდვილ ასპარეზს წარმოადგენს.

საკრედიტო საქმის განვითარება ხდება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მცდარად არ უნდა გვესმოდეს, არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, რა აზრსაც მასში სდებდნენ ანტიკური მწერლები, ეკლესიის მამები, ლუთერი ან ადრინდელი სოციალისტები. ეს ნიშნავს მხოლოდ სარგებელმომტანი კაპიტალის დაქვემდებარებას კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებისა და მოთხოვნილებებისადმი, — არც ნეტს და არც ნაკლებს.

საერთოდ და მთლიანად სარგებელმომტანი კაპიტალი თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შეგუებულია კაპიტალისტური წარმოების პირობებს. მევახშეობა როგორც ასეთი არათუ განაგრძობს არსებობას, არამედ განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე ხალხებში თავისუფლდება იმ ზღუდეთაგან, რომლებსაც მას უღებდა ყველა წინანდელი კანონმდებლობა. სარგებელმომტანი კაპიტალი ინარჩუნებს სავაჭრო კაპიტალის ფორმას იმ პირობებისა და კლასების მიმართ ან იმ ურთიერთობაში, რომელშიც სესხის აღება ხდება არა კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისი აზრით; ასეთია სესხის აღება პირადი საჭიროებისათვის, მაგალითად, ლომბარდში; ასეთია სესხის აღება სიმდიდრის მომხმარებელ და გამფლანგველ პირთა მხრივ; ასეთია ის შემ-

თხვევა, როცა მწარმოებელი არაკაპიტალისტური მწარმოებელია, როგორც, მაგალითად წვრილი გლეხი, ხელოსანი და სხვ., რომელიც მამასადამე, ჯერ კიდევ როგორც უშუალო მწარმოებელი თავისი საკუთარი წარმოების პირობების მფლობელია; ასეთია, ბოლოს, ის შემთხვევა, როცა თვით კაპიტალისტური მწარმოებელი ისეთი მცირე მასშტაბით ეწევა საქმიანობას, რომ ზემოაღნიშნულ თვითმშრომელ მწარმოებლებს უახლოვდება.

სარგებელმომტან კაპიტალს, რამდენადაც იგი კაპიტალისტური წარმოების წესის არსებით ელემენტს შეადგენს, სავანშო კაპიტალისგან განსხვავებს არა თვით ამ კაპიტალის ბუნება ან ხასიათი. ამ განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის შეცვლილი პირობები, რომლებშიც ეს კაპიტალი მოქმედებს, და ამით გამოწვეული სრულიად შეცვლილი სახე სესხის ამღებისა, რომელიც ფულის გამსესხებელს უპირისპირდება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კრედიტი ეძლევა ქონებას მოკლებულ ადამიანს როგორც მრეწველს ან ვაჭარს, ეს ხდება იმ რწმენით, რომ ეს ადამიანი იმოქმედებს როგორც კაპიტალისტი, მიითვისებს გადაუხდელ შრომას სესხად მიღებული კაპიტალის საშუალებით. მას კრედიტი ეძლევა როგორც პოტენციურ კაპიტალისტს. ეს აპოლოგეტ-ეკონომისტების აღტაცებაში მომყვანი გარემოება, რომ ქონებას მოკლებულ ადამიანს, მაგრამ ამასთან ენერგიულს, სოლიდურს, ნიჭიერსა და საქმის მცოდნეს შეუძლია ამგვარად კაპიტალისტი გახდეს; — კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას ხომ თვითფულის სავაჭრო მნიშვნელობის შეფასება მეტნაკლებ სისწორით წარმოებს, — ეს გარემოება, როგორც არ უნდა უწყობდეს იგი ხელს ცალკეული კაპიტალისტებისთვის არასასურველ ახალ-ახალ ავანტიურისტთა გამოსვლას ასპარეზზე, საერთოდ ამაგრებს კაპიტალის ბატონობას, აფართოებს მის ბაზას და შესაძლებლობას აძლევს მას მუდამ ახალი ძალები მიიღოს საზოგადოების ქვედა ფენებიდან. სრულიად ისე, როგორც შუა საუკუნეებში ხუცების ბატონობის და ერისკაცთა ჩაგვრის განმტკიცების მთავარ საშუალებას ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ კათოლიკური ეკლესია თავის იერარქიას ხალხის საუკეთესო ნიჭის ადამიანთაგან აღგენდა, წოდების, წარმოშობისა და ქონებისათვის ყურადღების მიუქცევლად. რაც უფრო დიდ უნარს იჩენს გაბატონებული კლასი თავის წრეში მიიზიდოს უფრო გამოჩენილი ადამიანები დაჩაგრული კლასებიდან, მით უფრო მტკიცე და საშიშია მისი ბატონობა.

ამიტომ თანამედროვე საკრედიტო სისტემის ინიციატორები ნაცვლად სარგებელმომტანი კაპიტალის შეჩვენებისა საერთოდ, პარიქით, ამ კაპიტალის გადაჭრით აღიარებიდან გამოდიან.

12. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III;

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ იმ რეაქციის შესახებ მევახშეობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა მისგან ღარიბების დაცვას, როგორც ეს მიზნად ჰქონდათ Monts-de-piété-ებს [ლომბარდებს] (1350 წელს სარდინიაში — ფრანკ-კონტეში, შემდეგ, 1400 და 1479 წელს, პერუ-ჯაბა და სავონაში — იტალიაში). ეს დაწესებულებანი ღირსშესანიშნავია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამჟღავნებენ ისტორიულ ირონიას, რომელიც კეთილ განზრახვებს მათა განხორციელების დროს სრულიად საწინააღმდეგო მოვლენად აქცევს. ინგლისის მუშათა კლასი, ზომიერი ვარაუდის თანახმად, 100%-ს უხდის ლომბარდებს, Monts-de-Piété-ების ამ აწინდელ მემკვიდრეებს²¹. ასევე ნაკლებ ვვაქვს ჩვენ მხედველობაში საკრედიტო ფანტაზიები, მაგალითად, რომელიმე დ-რ პიუ ჩემპერლენის ან ჯონ ბრაისკოსი, რომლებსაც XVII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში სურდათ ინგლისის არისტოკრატების განთავისუფლება მევახშისაგან ისეთი საადგილმამულო ბანკის დაარსების გზით. რომელსაც ექნებოდა მიწის საკუთრებით უზრუნველყოფილი ქალაქის ფული²².

XII და XIV საუკუნეებში ვენეციასა და გენუაში ჩამოყალიბებულა ასოციაციები წარმომავა საზღვაო ვაჭრობისა და მასზე დამყარებული საბიუჯეტო ვაჭრობის მოთხოვნილებამ — განთავისუფლებულიყვნენ ძველებური მევახშისა და ფულით ვაჭრობის მონობოლიზატორებისგან. თუ ნამდვილი ბანკები, რომლებიც ამ ქალაქ-რესპუბლიკებში დაარსდა, წარმოადგენდნენ იმავე დროს საჯარო კრედიტის დაწესებულებებს, საიდანაც სახელმწიფო სესხს იღებდა მისადებელი გადასახადების საფუძველზე, — არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ვაჭრები, რომელთაც ის ასოციაციები შეადგინეს, თვითონ იყვნენ პირველი კაცები ამ სახელმწიფოებში და დაინტერესებული იყვნენ როგორც

²¹ «სარგებელი, რომელსაც ლომბარდები ახდენდნენ. ასე რომ ხდება ხშირი დაგირავეების და გამოუსყიდვა განა ერთი და იმავე თვის განსაყოფაში ანდა ერთი სავანს დაგირავეებს ვაშო მეორის გამოსასყიდად და ამასთან პატარა სხვაობის მისაღებად ფულის სახით. ლონდონში 240 ნებადართული ლომბარდია, ხოლო პროვინციაში დაახლოებით 1450. მათ მიერ საქმეში დაბანდებული კაპიტალი დაახლოებით 1 მილიონს უდრის. იგი გადაბრუნდება, სულ ცოტა, სამჯერ წელიწადში და ყოველთვის მოაქვს საშუალოდ 33 1/3%; ამრიგად, ინგლისის დაბალი კლასები ყოველწლიურად 100%-ს ისღიან ერთი მილიონი დროებითი სესხისთვის, თუ არ ვინგარიშებთ იმ ზარალს, რასაც ისინი განიცდიან ვადაზე გამოუსყიდველი ნივთების დაკარგვით» (J. D. Tuckett: «A History of the Past and Present State of the Labouring Population», London, 1846, I, გვ. 114.).

²² თავიანთ ნაშრომთა სათაურებშიც კი ისინი მთავარ მიზნად აღნიშნავენდნენ «მიწათმოქმედთა სავროთ კეთილდღეობას, მიწათმფლობელობის ღირებულების

იმით, რომ მევახშეებისაგან გაენთავისუფლებიათ თავიანთი სახელმწიფო, ისე იმითაც, რომ თვითონ განთავისუფლებულიყვნენ იმათგან²⁸; და ამავ დროს მათ ომედი ჰქონდათ, რომ ამ ღონისძიებებით უფრო ძლიერ და მტკიცედ დაიმორჩილებდნენ სახელმწიფოს. ამიტომაც, როდესაც ინგლისის ბანკის დაწესებას აპირებდნენ, ტორები ამის საწინააღმდეგოდ შენიშნავდნენ: «ბანკები რესპუბლიკური დაწესებულებებია. მძლავრად განვითარებული ბანკები არსებობს ვენეციაში, გენუაში, ამსტერდამსა და ჰამბურგში. მაგრამ აბა ვის გაუგონია ოდესმე საფრანგეთის ან ესპანეთის ბანკის შესახებ?»

ამსტერდამის ბანკი, რომელიც 1609 წელს დააარსდა, ისევე როგორც ჰამბურგის ბანკი (1619 წ.), არ მოასწავებს არავითარ ახალ ეპოქას თანამედროვე საკრედიტო საქმის განვითარებაში. ეს იყო წმინდა სადებოზიტო ბანკი. ბონები, რომლებსაც ბანკი უშვებდა, სინამდვილეში წარმოადგენდა მხოლოდ მოწმობებს ბანკში — მონეტის ოთხზოდის სახით — შეტანილი ძვირფასი ლითონის მიღების შესახებ და მიმოქცეოდა მხოლოდ მათი მფლობელის ინდოსამენტით [გადაცემითი წარწერით]. მაგრამ ჰოლანდიაში ვაჭრობასა და მანუფაქტურასთან ერთად განვითარდა კომერციული კრედიტი და ფულით ვაჭრობა, ამასთან სარგებელმოძიანი კაპიტალი თვით განვითარების მსვლელობით

მნიშვნელოვნად გადიდებდა, წარჩინებულთა და წერილ აზნაურთა განთავისუფლებას გადასახადებისაგან და სხვ., მათი წლიური შემოსავლის გადიდებას და სხვ. მათი სიტყვით, მათი გეგმების განხორციელების გამო ზარალს განიცდიდნენ მხოლოდ მევახშეები, ერის ეს ყველაზე უარესი მტრები, რომლებმაც მეტი ზიანი მიიყენეს თავადაზნაურობას და yeomanry-ს [დამოუკიდებელ გლეხობას], ვიდრე შეეძლო მიეყენებინა საფრანგეთიდან ჯარის შემოსილას.

²⁸ «მევალითად, ჯერ კიდევ ინგლისის მეფეს კარლოს II-ს უნდა ეხანდა «ოქრომჭედებისათვის» (ბანკირების წინამორბედებისათვის) დიდი სავაზში სარგებელი და აქიო — 20 — 30 %-ის რაოდენობით. ასეთმა ნომეგებიანმა საქმემ «ოქრომჭედლები» წააქეზა მეფისთვის სულ ახალი და ახალი სესხი წაეცათ, წინასწარ ხელი დაედება გადასახადებიდან მომდინარე მთელ შემოსულობაზე, საწინდარად აელთო ყოველი, პარლამენტის მიერ ნებადართული, ფულით ასიგნობა, როგორც კი მის შესახებ სათანადო დადგენილება მიღებული იქნებოდა, აკრთვე ერთმანეთისათვის მეტოქეობა გაეწიათ bills-ის [თამაშუქების] orders-ის [ასიგნობათა] და tallies-ის [გადასახადთა დოკუმენტების] ყიდვისა და გირაოდ მიღებას საქმეში, ასე რომ ფაქტურად ყველა სახელმწიფო შემოსავალი მთა ხელში ვადიოდა» (John Francis: «History of the Bank of England», London 1848, I, გვ: 31). ბანკის დაარსების წინადადება უკვე წინათ იყო რამდენჯერმე შეტანილი. ბოლოს, იგი აუცილებელი შეიქნა» (იქვე, გვ. 38). «ბანკი საქმით იყო უკვე მარტო იმისთვის, რომ მთავრობას, რომელსაც მევახშეები ტყავს აძრობდნენ, შესაძლებლობა მისცემოდა ფული მიეღო ასატანი სარგებლით, პარლამენტის ასიგნობებით უზრუნველყოფის საფუძველზე» (იქვე, გვ. 59, 60).

სამრეწველო და კომერციულ კაპიტალს დაუქვემდებარდა. ამას ააშკარავებდა უკვე სარგებლის განაკვეთის დაბალი დონე. მაგრამ ჰოლანდია ეკონომიური განვითარების სანიმუშო ქვეყნად ითვლებოდა XVII საუკუნეში, როგორც ახლა ინგლისი. სიღარიბეზე აგებული ძველებური მევახშეობის მონოპოლია იქ თავისთავად გაქრა.

მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში გაისმის ყვირილი — და კანონმდებლობა ამ მიმართულებით მოქმედებს, — რომელიც, მიუთითებს რა ჰოლანდიაზე, მოითხოვს სარგებლის განაკვეთის ძალადობით დაწევას. რათა სარგებელმომტანი კაპიტალი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს დაუქვემდებარდეს, და არა პირიქით. ამ საქმის მთავარი წამომწყები იყო სერ ჯოზეფ ჩაილდი, ინგლისის ნორმალური კერძო საბანკირო საქმის მამა. იგი დიდ ტირადებს აფრქვევს მევახშეობის მონოპოლიის წინააღმდეგ სწორედ იმ ყაიდაზე, როგორც მსხვილი საკონფექციო ფირმა მოზეს და შვილი რეკლამას უკეთებს თავის თავს როგორც მებრძოლს «კერძო თერძების» მონოპოლიის წინააღმდეგ. იგივე ჯოზეფ ჩაილდი იმავე დროს ინგლისის stockjobber-ების [უასიანი ქალაქებით მოვაჭრეებისა] მამაა. ასე, მაგალითად, იგი, ოსტ-ინდოეთის კომპანიის თვითმპყრობელი, ამ კომპანიის მონოპოლიას იცავს ვაჭრობის თავისუფლების სახელით. თომას მენლის წინააღმდეგ («Interest of Money mistaken») იგი წერს: «როგორც მოწინავე მებრძოლი მევახშეთა მშინარა და მთრთოლარე ბრბოს ინტერესებისათვის, იგი თავის მთავარ ბატარეას აგებს ისეთ პუნქტზე, რომელიც, როგორც მე განემარტე, ყველაზე სუსტია... იგი იმასაც კი უარყოფს, რომ სარგებლის დაბალი განაკვეთი სიმდიდრის მიზეზია, და გვარწმუნებს, პირველი მხოლოდ უკანასკნელის შედეგიაო» («Traité sur le Commerce etc». 1669. Trad. Amsterdam et Berlin 1754). «თუ ვაჭრობა ქვეყნის გამდიდრების საშუალებაა და თუ სარგებლის შემცირება ვაჭრობას აღიდებს, მაშინ სარგებლის შემცირებაც ანუ მევახშეობის შეზღუდვა, უეჭველია, ერის სიმდიდრის მთავარი ნაყოფიერი მიზეზია. სრულიადაც შეუსაბამო არაა იმის თქმა, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე საგანი შეიძლება გარკვეულ პირობებში მიზეზი იყოს და სხვა პირობებში — შედეგი» (იქვე, გვ. 155). «კვერცხი მიზეზია ქათმის და ქათამი მიზეზია კვერცხის. სარგებლის შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს სიმდიდრის გადიდება და სიმდიდრის გადიდება შეიძლება სარგებლის კიდევ უფრო დიდი შემცირება გამოიწვიოს» (იქვე, გვ. 156). «მე შრომისმოყვარეობის დამცველი ვარ, ჩემი მოწინააღმდეგე კი იცავს სიზარმაცეს და უსაქმობას» (გვ. 179).

ეს გააფთრებული ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, ეს მოთხოვნა რომ სარგებელმომტანი კაპიტალი სამრეწველო კაპიტალს დაექვემდებაროს, იმ ორგანულ ქმნილებათა წინამორბედი, რომლებმაც კაპიტალისტური წარმოების ეს პირობები განახორციელეს საბანკო წყობილებას სახით, რაც, ერთი მხრივ, მევახშეობას ართმევს მის მონოპოლიას იმით, რომ ახდენს ყველა უმოქმედოდ მდებარე ფულადი რეზერვის კონცენტრაციას და მას ფულის ბაზარზე გადაისვრის, ხოლო, მეორე მხრივ, ზღუდავს თვით ძვირფას ლითონთა მონოპოლიას საკრედიტო ფულის შექმნის გზით.

XVII საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XVIII საუკუნის დასაწყისში ყველა ინგლისურ თხზულებაში საბანკო საქმის შესახებ ჩვენ ვპოულობთ ისეთსავე, როგორც ჩაილდთან, გალაშქრებას მევახშეობის წინააღმდეგ, იმის მოთხოვნას, რომ მევახშეობისაგან განთავისუფლდეს ვაჭრობა, მრეწველობა და სახელმწიფო. ამასთან ერთად შეხვდებით აგრეთვე კოლოსალურ ილუზიებს კრედიტის სასწაულმოქმედი გავლენის, ძვირფას ლითონთა მონოპოლიის მოსპობის, მათი ქალაქის ფულით შენაცვლებისა და სხვ. შესახებ. შოტლანდიელ ვილიამ პატერსონს, ინგლისის ბანკის და შოტლანდიის ბანკის დამაარსებელს, უეპველად აქვს უფლება ლო პირველის ტიტულზე.

«ყველა ოქრომჭედელმა და გირაოსქვეშე სესხის გამცემმა გააფთრებული დმუილი მორთო» ინგლისის ბანკის წინააღმდეგ (Macaulay: «History of England», IV, გვ. 499). — «პირველი ათი წლის განმავლობაში ბანკს დიდ დაბრკოლებებთან უხდებოდა ბრძოლა; დიდი მტრობა გარედან; მის ბანკნოტებს იღებდნენ ბევრად დაბლა მათს ნომინალურ ღირებულებაზე... ოქრომჭედლები (რომელთა ხელში ძვირფასი ლითონებით ვაჭრობა პრიმიტიული საბანკო ოპერაციების საფუძველს შეადგენდა) დიდ ინტრიგებს ეწეოდნენ ბანკის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ამ უკანასკნელის მეოხებით მათი ოპერაციები შემცირდა, მათმა სადისკონტო განაკვეთმა დაიკლო და ოპერაციები, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ სახელმწიფოსთან, ამ მათი მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა» (J. Francis, ციტირ. თხზ., გვ. 73).

უკვე ინგლისის ბანკის დაწესებამდე, 1683 წელს. წარმოიშვა National Bank of Credit-ის (ნაციონალური საკრედიტო ბანკის) გეგმა; ამ ბანკის მიზანი სხვათა შორის ის იყო: «რომ საქმის კაცებს, რომელთაც აქვთ საქონელთა მნიშვნელოვანი მასა, შეეძლოთ ბანკის დახმარებით თავიანთი საქონლის საწყობში დალაგება და ამ თავიანთ უმოქმედოდ მდებარე მარაგზე კრედიტის მიღება, შეეძლოთ თავიანთი მოსამსახურეების დასაქმება და თავიანთი საწარმოების გაფართოება, ვიდრე

ხელსაყრელ ბაზარს არ იპოვნიან, ნაცვლად იმისა, რომ საქონელი ზარალით გაყიდონ». ბევრი ჯაფის შემდეგ გაიხსნა ეს Bank of Credit-ი [საკრედიტო ბანკი] Devonshire House-ში Bishopsgate street-ზე. ეს ბანკი სესხს აძლევდა მრეწველებსა და ვაჭრებს თამასუქებით, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო საწყობში მდებარე საქონლით, ამასთან სესხი შეადგენდა ამ საქონლის ღირებულების $\frac{3}{4}$ -ს. რათა ამ თამასუქებს მიმოქცევის უნარი ჰქონოდათ, საწარმოთა თვითეულ დარგში პირთა გარკვეული რიცხვი ერთიანდებოდა საზოგადოებად, რომელშიაც თამასუქების თვითეულ მფლობელს შეეძლო ამ თამასუქების სამაგიეროდ საქონელი მიედო ისე დაუბრკოლებლად, თითქოს წაღდა გადაეხადოს. ბანკის საქმეები არ მიდიოდა ბრწყინვალედ, მექანიზმი მეტად რთული იყო. რისკი საქონელთა გაუფასურების შემთხვევაში — მეტად დიდი.

თუ დავაკვირდებით ამ თხზულებათა ნამდვილ შინაარსს, რომლებიც თეორიულად თან ახლავს და ხელს უწყობს თანამედროვე საკრედიტო საქმის ჩამოყალიბებას ინგლისში, ჩვენ იქ ვერ ვნახავთ ვერაფერს, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ სარგებელმოძიანი კაპიტალი და საერთოდ სესხად გასაცემი წარმოების საშუალებანი კაპიტალისტური წარმოების წესს უნდა დაექვემდებაროს, როგორც ერთ-ერთი მისი პირობა; ხოლო თუ ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ გარეგან ფრაზეოლოგიას, — მისი მსგავსება, ცალკეული გამოთქმის ფორმებშიც კი, სენსიმიონისტების საბანკო და საკრედიტო ილუზიებთან ხშირად გასაოცარია.

როგორც ფიზიოკრატებთან cultivateur — [მიწათმოქმელი] ნიშნავს არა ნამდვილ მიწათმოქმედს, არამედ მსხვილ მოიჯარეს, სრულიად ასევე სენ-სიმონის — და ზოგ შემთხვევაში აგრეთვე მისი მოწაფეების — travailleur [მუშა] ნიშნავს არა მუშას, არამედ მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტს. «Travailleur საჭიროებს დამხმარეებს, თანამშრომლებს, მუშებს [d'ouvriers]; იგი ეძებს გონიერ, დახელოვნებულ, ერთეულ თანაშემწეებს; იგი სამუშაოზე აყენებს მათ, და მათ შრომა მწარმოებლურია» («Religion saint-simonienne. Economie politique et politique», Paris 1831, გვ. 104). საერთოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სენ-სიმონი მხოლოდ თავის უკანასკნელ ნაშრომში: Nouveau Christianisme-ში გამოდის პირდაპირ მუშათა კლასის დამცველად და მის განთავისუფლებას თავისი მისწრაფების საბოლოო მიზნად აცხადებს. ყველა მისი აღრინდელი თხზულება წარმოადგენს მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ქება-დიდებას,

წინააღმდეგ ფეოდალურისა, ან მრეწველების და ბანკირების ქება-დიდებას, წინააღმდეგ მარშლების და იურისტებისა, რომელნიც კანონებს თხზავდნენ ნაპოლეონის ეპოქაში. რა განსხვავებაა ოუენის იმავდროულად გამოსულ თხზულებებთან შედარებით? ²⁴ სენ-სიმონის მიმდევრების აზრითაც, როგორც ამას უკვე ციტირებული ადგილი გვიჩვენებს, მრეწველი კაპიტალისტი რჩება *travailleur*-ად *par excellence* [მუშაკად უპირატესად]. თუ მათ ნაწერებს კრიტიკულად წავიკითხავთ, აღარ გავგვიკვირდება, რომ მათი საკრედიტო და საბანკო ოცნებათა რეალიზაციას წარმოადგენდა ექს-სენ-სიმონისტის ემილ პერიერის მიერ დაარსებული *Crédit mobilier**, — ფორმა, რომელსაც — სხვათა შორის — შეეძლო უპირატესი ადგილი დაეჭირა მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, სადაც არც საკრედიტო სისტემა და არც მსხვილი მრეწველობა არ იყო თანამედროვე დონემდე განვითარებული. ინგლისსა ან ამერიკაში ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა. — «*Doctrine de St.-Simon. Exposition. Première année. 1828—1829*». 3^{me} éd., Paris 1831-ის შემდეგ ადგილებში უკვე მოიპოვება *Crédit mobilier*-ს ჩანასახი. ცხადია, რომ ბანკირს უფრო იაფი კრედიტის გაცემა შეუძლია, ვიდრე კაპიტალისტს ან კერძო მევახშეს. მაშასადამე, ამ ბანკირებს «შეუძლიათ ბევრად უფრო იაფად მიაწოდონ მრეწველებს იარაღები, ე. ი. უფრო დაბალი სარგებლით, ვიდრე ამას შეეძლებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები, რომელთაც უფრო ადვილად მოუვათ შეცდომა მსესხებლის არჩევაში» (გვ. 202). მაგრამ

²⁴ ხელნაწერის გადაშუაგებისას მარქსი, უეჭველია, ძალიან შეცვლიდა ამ ადგილს. ეს სტრიქონები დაწერილია იმ როლის ზეგავლენით, რომელიც ექს-სენ-სიმონისტებმა შეასრულეს მეორე იმპერიის დროს საფრანგეთში, სადაც — სწორედ იმ დროს, როდესაც მარქსი ამას წერდა — სენ-სიმონისტური სკოლის ქვეყნის მხსნელი საკრედიტო ფანტაზიები, ისტორიული ირონიის წყალობით, განხორციელდა გაუგონარი. მასშტაბის სპეკულაციის სახით. შემდეგში მარქსი მხოლოდ გაკვირვებით ლაპარაკობდა სენ-სიმონის ვენიალობისა და ენციკლოპედიური გონების შესახებ. თუ სენ-სიმონი თავის ადრინდელ ნაწერებში უკვლებულყოფდა დაპირიპირებულობას ბურჟუაზიისა და საფრანგეთში ახლადწარმოშობილ პროლეტარიატს შორის, თუ იგი წარმოებაში ჩაბმულ ნაწილს ბურჟუაზიისას *travailleur*-ებს მიაკუთვნებდა, — ეს შეგისაბამება აგრეთვე ფურაიეს შეხედულებას, რომელიც ცდილობდა კაპიტალისა და შრომის შერიგებას, და აიხსნება მაშინდელი საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით. თუ ოუენი ამ მხრივ უფრო შორს იხედებოდა, ეს იმიტომ, რომ იგი სხვა პირობებში, სამრეწველო რევოლუციისა და უკვე ძალიან გამწვავებულ კლასობრივ დაპირისპირებულობათა ვითარებაში ცხოვრობდა. — ფ. ე.

* იხ. კ. მარქსის სტატია: «*Crédit mobilier*». კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებანი, ტ. XI, ნაწ. I, რუს. გამოც., გვ. 19 — 36. რ. ე. დ.

თვით ავტორები დასძენენ იქვე შენიშვნაში: «ის სარფა, რაც უნდა წარმოვადგარიყო უქმად მყოფთა და *travailleur*-ებს შორის ბანკირის შუამავლობის გამო, ხშირად წონასწორდება — ისპობა კიდევ — იმის მეოხებით, რომ ჩვენი დეზორგანიზებული საზოგადოება ეგოიზმს შესაძლებლობას აძლევს გამოვლინდეს მოტყუებისა და თაღლითობის სხვადასხვა ფორმით; ბანკირები შეიჭრებიან ხშირად უქმად მყოფთა და *travailleur*-თა შორის, რათა ორთავეს ექსპლოატაცია გაუწიონ საზოგადოების საზიანოდ». *Travailleur*-ი აქ *capitaliste industriel*-ის მრეწველი კაპიტალისტის) სანაცვლოდაა მოხსენებული. გარდა ამისა, შეცდომაა უქმი ადამიანების სახსრებად ჩავთვალოთ ის სახსრები, რაც ბანკების განკარგულებაშია. ჯერ ერთი, აქ შედის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მოცემულ მომენტში თავისუფალია და მრეწველებისა და ბანკირების ხელში იმყოფება ფულადი ფორმით, როგორც ფულადი რეზერვი ანუ საქმეში დასაბანდებელი კაპიტალი, — მაშასადამე, უქმი კაპიტალი, მაგრამ არა უქმ ადამიანთა კაპიტალი. მეორე, აქ შედის ყველას შემოსავლის ან დანაზოგის ის ნაწილი, რომელიც საბოლოოდ ან დროებით განკუთვნილია დაგროვებისათვის. და ორივე ეს ნაწილი არსებითაა საბანკო სისტემის ხასიათის განსაზღვრისათვის.

მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვაიწყუდეს, ჯერ ერთი, ის რომ ფული — ძვირფას ლითონთა სახით — შეადგენს საფუძველს, რომლისგანაც საკრედიტო საქმე, საგნის ბუნებისამებრ, ვერა სო დეს ვერ განთავისუფლდება. და, მეორე, ის, რომ საკრედიტო სისტემა გულისხმობს საზოგადოებრივ წარმოების საშუალებათა (კაპიტალის და მიწის საკუთრების სახით) მონოპოლიურად არსებობას კერძო პირების ხელში, რომ თვით ეს სისტემა წარმოადგენს, ერთი მხრივ, კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტურ ფორმას და, მეორე მხრივ, უმაღლეს და უკანასკნელ შესაძლებელ ფორმად მისი განვითარების მამოძრავებელ ძალას.

საბანკო სისტემა თავისი ფორმალური ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის მხრივ, როგორც ეს აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 1697 წელს თხზულებაში: «Some Thoughts of the Interests of England», წარმოადგენს ყველაზე ოსტატურ და სრულყოფილ პროდუქტს, რომელიც კი კაპიტალისტურ წარმოების წესს საერთოდ შეუძლია წარმოქმნას. აქედან — კოლოსალური ძალაუფლება ვაჭრობისა და მრეწველობის მიმართ ისეთი დაწესებულებისა, როგორცაა ინგლისის ბანკი, თუმცა ვაჭრობისა და მრეწველობის ნამდვილი მოძრაობა სრულიად ბანკის მოქმედების სფეროს გარეშე მდებარეობს და ბანკი ამ მოძრაობას პასიურად ეპყრობა. საბანკო სისტემაში, რა თქმა უნდა, მოცემულია

საყოველთაო ანგარიშწარმოებისა და საზოგადოებრივი მასშტაბით წარმოების საშუალებათა განაწილების ფორმა, მაგრამ მხოლოდ ფორმა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ცალკეული კაპიტალისტის ანუ ყოველ განსაკუთრებული კაპიტალის საშუალო მოგება განისაზღვრება არა იმ ზედმეტი შრომით, რომელსაც უშუალოდ მიითვისებს ეს კაპიტალი, არამედ იმ მთელი ზედმეტი შრომის რაოდენობით, რომელსაც მიითვისებს მთელი კაპიტალი, და რომლიდანაც თვითეული განსაკუთრებული კაპიტალი იღებს თავის დივიდენდს იმ პროპორციული ნაწილის მიხედვით, რომელსაც იგი შეადგენს მთელი კაპიტალის მიმართ. კაპიტალის ამ საზოგადოებრივ ხასიათს მოსაშუალოებს და ახორციელებს სავსებით მხოლოდ საკრედიტო და საბანკო სისტემის სრული განვითარება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სისტემა უფრო შორს მიდის. იგი გადასცემს მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტთა განკარგულებაში საზოგადოების მთელ თავისუფალ კაპიტალს, თვით პოტენციურსაც კი, რომელიც ჯერ კიდევ არ მოქმედებს აქტიურად, ასე რომ არც კრედიტორი და არც გამოყენებელი ამ კაპიტალისა არ არის მისი მესაკუთრე ან მწარმოებელი. იგი სპობს ამგვარად კაპიტალის კერძო ხასიათს და შეიცავს თავის თავში, მაგრამ მხოლოდ თავის თავში, თვით კაპიტალის მოსპობას. საბანკო საქმე კერძო კაპიტალისტებსა და მევახშეებს ხელიდან აცლის კაპიტალის განაწილებას როგორც განსაკუთრებულ მოსაქმეობას, როგორც საზოგადოებრივ ფუნქციას. მაგრამ ამით ბანკი და კრედიტი იქცევა უძლიერეს საშუალებად კაპიტალისტური წარმოების მიერ თავისი საკუთარი ზღუდის გადასალახავად და ამავე დროს კრიზისებისა და სპეკულაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტად.

შემდეგ, საბანკო სისტემა, რომელიც ფულის ადვილას საკრედიტო მიმოქცევის სხვადასხვა ფორმებს აყენებს, გვიჩვენებს, რომ ფული სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა შრომისა და მისი პროდუქტების საზოგადოებრივი ხასიათის გამოხატულება, მხოლოდ ეს ხასიათი, როგორც კერძო წარმოების ბაზისთან წინააღმდეგობაში მყოფი, ბოლოს და ბოლოს ყოველთვის უნდა გამოიხატებოდეს ნივთის სახით, განსაკუთრებული საქონლის სახით სხვა საქონელთა გვერდით.

ბოლოს, ყოველ ექვს გარეშეა, რომ საკრედიტო სისტემა მძლავრ ბერკეტის როლს შეასრულებს კაპიტალისტური წარმოების წესის გადასვლისას ასოციაციაში გაერთიანებული შრომის წარმოების წესზე, მაგრამ შეასრულებს როგორც ერთ-ერთი ელემენტი თვით წარმოების წესის სხვა დიდ ორგანულ გადატრიალებებთან დაკავშირებით. პირიქით, ილუზიები საკრედიტო და საბანკო საქმის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ, სოციალისტური აზრით, გამომდინარეობს კაპიტალისტურ-

რი წარმოების წესის და საკრედიტო საქმის, როგორც ერთ-ერთი მისი ფორმის, სრული გაუგებლობიდან. რაკი წარმოების საშუალებანი აღარ გარდაიქმნება კაპიტალად (რაც აგრეთვე მიწის კერძო საკუთრების მოსპობას გულისხმობს), კრედიტს როგორც ასეთს არავითარი აზრი აღარა აქვს, რასაც სხვათა შორის, თვით სენ-სიმონისტებიც მიხვდნენ. მეორე მხრივ, ვიდრე კაპიტალისტური წარმოებას წესი არსებობს, იარსებებს სარგებელმომტანი კაპიტალიც, როგორც ერთ-ერთი მისი ფორმა, და შეადგენს სინამდვილეში მისი საკრედიტო სისტემის ბაზისს. მხოლოდ იმავე სენსაციურ მწერალს, პრუდონს, რომელსაც სურდა საქონელწარმოება დაეტოვებია და ფული კი მოესპო²⁵, შესწევდა უნარი წარმოექმნა საარაკო ოცნება *credit gratuit*-ის [ნუქთი კრედიტის] შესახებ, ეს მოჩვენებითი რეალიზაცია წვრილბუჩუაზიული თვალსაზრისის კეთილი სურვილებისა.

«Religion saint-simonienne, Économie et politique»-ში 45 გვერდზე ვკითხულობთ: «საზოგადოებაში, სადაც ერთნი მრეწველობის იარაღებს ფლობენ, მაგრამ არა აქვთ მათი გამოყენების უნარი ან სურვილი, ხოლო სხვები, შრომისმოყვარე ადამიანები, მოკლებულნი არიან შრომის იარაღებს, კრედიტს მიზნად აქვს ამ იარაღების გადატანა რაც შეიძლება ადვილი წესით პირველთა — მათ მფლობელთა — ხელიდან მეორეთა ხელში, რომელთაც მათი გამოყენების უნარი აქვთ. აღვნიშნავთ, რომ ამ განსაზღვრის თანახმად კრედიტი იმ წესის შედეგია, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბებულია საკუთრება». მამსადამე, კრედიტი ქრება საკუთრების ამ კონსტიტუციასთან ერთად. შემდეგ, 98 გვერდზე ნათქვამია: ახლანდელი ბანკები «თავის დანიშნულებად თვლიან — მიჰყვენ მოძრაობას, რომელსაც ქმნიან მათგან დამოუკიდებლად მოქმედი საწარმონი, მაგრამ თვითონ არ ცდილობენ იმპულსი მისცენ ამ მოძრაობას; სხვა სიტყვებით, ბანკები კაპიტალისტის როლს ასრულებენ იმ *travailleur*-ების მიმართ, რომელთაც ისინი კაპიტალს აძლევენ სესხად». აზრი, რომ ბანკებმა თვითონ უნდა აიღონ საწარმოთა ხელმძღვანელობა და თავი გამოიჩინონ «მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ საწარმოთა და მათი თაოსნობით შესრულებულ სამუშაოთა სიმრავლით და სარგებლიანობით» (გვ. 101). — ეს აზრი უკვე შეიცავს ფარულად *Crédit mobilier*-ს. შარლ პეკერიც ასევე მოითხოვს, რომ ბანკები (რასაც სენ-სიმონისტები *Système général des banques*-ს ბანკების საერთო სისტემას) უწოდებენ) «განაგებდნენ წარმოებას». საერ-

²⁵ Karl Marx: «Misère de la Philosophie», Bruxelles et Paris 1847.
Karl Marx: «Zur Kritik der Polit. Oekonomie» გვ. 64 [ქართ. გამოც. 1953, გვ. 105].

თოდ პეკერი არსებითად სენ-სიმონისტია, თუმცა ბევრად უფრო რადიკალურა. მას სურს, რომ «საკრედიტო დაწესებულება განაგებდეს ეროვნული წარმოების მთელ მოძრაობას». — «სცადეთ შექმნათ ეროვნული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც უქონელ ადამიანებს, რომელთაც ტალანტი და დამსახურება აქვთ, სესხად მისცემს სახსრებს, მაგრამ არ შებოჭავს ამ მსესხებელთ იძულებითი სასტიკი სოლიდარობით წარმოებასა და მოხმარებაში, არამედ, პირიქით, მათ დაუტოვებს თავისუფლებას თვითონვე განსაზღვრონ თავიანთი გაცვლა და წარმოება. ამ გზით თქვენ მხოლოდ იმას მიადწევთ, რასაც ახლა უკვე აღწევენ კერძო ბანკები: ანარქიას, დისპროპორციას წარმოებასა და მოხმარებას შორის, ერთთა უეცარ გაჩანაგებას და მეორეთა უეცარ გამდიდრებას; ამგვარად თქვენი დაწესებულება ვერასოდეს იმაზე შორს ვერ წავა, რომ ერთს მოუპოვოს კეთილდღეობის ის ოდენობა, რომელიც უღრის სხვების მიერ განცდილი უბედურების ოდენობას... დაქირავებულ მუშებს, რომლებსაც თქვენ სესხის მიცემით დახმარება გაუწიეთ, თქვენ მხოლოდ საშუალებას მისცემთ სრულიად იმავე წესით გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია, როგორც ამას ამჟამად სჩადიან მათი კაპიტალისტი-დამქირავებლები» (Ch. Pecqueur: «Théorie Nouvelle d'Économie Soc. et Pol.», Paris. 1842, გვ. 434).

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჟრის კაპიტალი და სარგებელმომტანი კაპიტალი კაპიტალის უძველესი ფორმებია. მაგრამ საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს ის, რომ ხალხის წარმოდგენაში სარგებელმომტანი კაპიტალი აისახება როგორც ფორმა კაპიტალისა *par excellence*. ვაჟრის კაპიტალის ფარგლებში ადგილი აქვს საშუამავლო მოქმედებას, რაგვარი კვალიფიკაციაც არ უნდა ეძლეოდეს მას: მოტყუების, შრომისა თუ სხვა. პირიქით, სარგებელმომტან კაპიტალში წმინდა სახით გამოიხატება კაპიტალის თვითკვლავწარმოებადი ხასიათი, თვითმზარდი ღირებულება, ზედმეტი ღირებულების წარმოება როგორც წმინდა მისტიკური თვისება. ამიტომაც, რომ ნაწილობრივ ეკონომისტებიც კი — განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც, როგორც საფრანგეთია, სამრეწველო კაპიტალი ჯერ კიდევ სავსებით განვითარებული არაა — სარგებელმომტან კაპიტალში ხედავენ კაპიტალის ძირითად ფორმას და, მაგალითად, მიწის რენტას განიხილავენ მხოლოდ როგორც მის საჩესხვაობას, რადგან აქაც ვასესხების ფორმას უპირატესი ადგილი უჭირავს. ამის გამო კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგანი სტრუქტურა სრულიად მცდარადაა ვაგებული, სრულიად მხედველობის გარეშეა დატოვებული ის, რომ მიწა, ისევე როგორც კაპიტალი, მხოლოდ კაპიტალისტებს ეძლევა სესხად. ფულის ნაცვლად შეიძლება, რასაკვირველია, სესხად

გაიცეს წარმოების საშუალებანი *in natura*, მაგალითად, მანქანები, საწარმოო შენობები და სხვა. მაგრამ ისინი მაშინ წარმოადგენენ განსაზღვრულ ფულად თანხას, და ის გარემოება, რომ გარდა სარგებლისა გარკვეული თანხა უნდა იქნეს გადახდილი გაცვეთის ასანაზღაურებლად, გამომდინარეობს კაპიტალის ამ ელემენტების სახმარი ღირებულების ხასიათიდან, მათი სპეციფიკური ნატურალური ფორმიდან. ვადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი აქ კვლავ შემდეგი: ეძლევა ისინი უშუალო მწარმოებელს სესხად, — რაც გულისხმობს კაპიტალისტური წარმოების წესის არარსებობას, ყოველ შემთხვევაში იმ სფეროში, სადაც სესხის აღებას აქვს ადგილი, — თუ სესხად ეძლევა მრეწველ კაპიტალისტს, რაც სწორედ იგულისხმება კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე. კიდევ უფრო შეუსაბამო და მცდარია, როდესაც ამასვე მიაკუთვნებენ სახლებისა და სხვ. გაქირავებას პირადი მოხმარებისათვის. მუშათა კლასს რომ ამ სფეროშიც ატყუებენ, და ატყუებენ აღმაშფოთებლად, ეს აშკარა ფაქტია, მაგრამ ამასვე აკეთებს წვრილი ვაჭარიც, რომელიც მუშას საარსებო საშუალებებს აწვდის. ეს მეორადი ექსპლოატაციაა, რაც თან ახლავს უშუალოდ თვით წარმოების პროცესში განხორციელებულ პირველადს ექსპლოატაციას. განსხვავებას გაყიდვასა და გასესხებას შორის აქ სრულიად არ აქვს მნიშვნელობა და იგი ფორმალურია, რაც, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, არსებითად გვეჩვენება მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად არ ვიცნობთ მოვლენათა ნამდვილ კავშირს.

მევახშეობა, ისე როგორც ვაჭრობა, მოცემული წარმოების წესის ექსპლოატაციას ეწევა, არა ქმნის მას, გარეგნული დამოკიდებულება აქვს მასთან. მევახშეობა პირდაპირ ცდილობს მის შენარჩუნებას, რათა შეეძლოს ისევ და ისევ მისი ექსპლოატირება; მევახშეობა კონსერვატიულია, იგი მხოლოდ აჩანაგებს არსებულ წარმოების წესს. რაც უფრო ნაკლებ შედის წარმოების ელემენტები წარმოების პროცესში საქონელთა სახით და გამოდის იქიდან საქონელთა სახით, მით უფრო განკერძოებულ აქტს წარმოადგენს მათი მიღება ფულისაგან. რაც უფრო უმნიშვნელოა ის როლი, რომელსაც მიმოქცევა ასრულებს საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში, მით უფრო ჰყვავის მევახშეობა.

ის ფაქტი, რომ ფულადი ქონება განსაკუთრებული სახის ქონებად ვითარდება, სავაზო კაპიტალთან დაკავშირებით იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ყველა თავისი მოთხოვნა ფულადი მოთხოვნის ფორმაში აქვს მოქცეული. ეს კაპიტალი მით უფრო ვითარდება ამა თუ იმ

ქვეყანაში, რაც უფრო წარმოება ძირითადად ნატურალური რჩება, მაშასადამე, სახმარი ღირებულებით შემოიფარგლება.

რამდენადაც მევენაშეობა ორგვარ როლს ასრულებს: ჯერ ერთი, ქმნის საერთოდ ვაჭრის კაპიტალის გვერდით დამოუკიდებელ ფულად-ქონებას, მეორე, მიითვისებს შრომის პირობებს, ე. ი. აჩანაგებს შრომის პირობების ძველ მფლობელებს, — იმდენად იგი სამრეწველო კაპიტალის წანამძღვართა შექმნის მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს.

სარგებელი შუა საუკუნეებში.

«შუა საუკუნეებში მოსახლეობა წმინდა მიწათმოქმედი იყო. ასეთ პირობებში, როგორც ფეოდალური რეჟიმის დროს, ალემპიცემობა შეიძლება იყოს მხოლოდ მცირედი და, მაშასადამე, მოგებაც — მხოლოდ მცირედი. ამიტომ შუა საუკუნეებში მევენაშეობის შესახებ კანონებს გამართლება ჰქონდა. ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ მიწათმოქმედ ქვეყანაში იშვიათად ვარდება ვინმე ისეთ მდგომარეობაში, რომ ფულის სესხად აღება სჭირდებოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი სიღარიბესა და სიღატაკეში ჩავარდება... ჰენრი VIII სარგებელს ზღუდავს 10%-ით, იაკობ I — 8%-ით, კარლოს II — 6%-ით, ანა — 5%-ით... იმ ხანაში ფულის გამსესხებლები, თუ იურიდიულად არა, ფაქტიურად მაინც მონოპოლისტები იყვნენ, და ამიტომ საჭირო იყო მათი შეზღუდვა, ისე როგორც სხვა მონოპოლისტებისა... ჩვენს დროში მოგების ნორმა არეგულირებს სარგებლის ნორმას; იმ ხანაში კი სარგებლის ნორმა არეგულირებდა მოგების ნორმას. თუ ფულის გამსესხებელი ვაჭარს სარგებლის მაღალი ნორმის გადახდას დააკისრებდა, ვაჭარს მოგების უფრო მაღალი ნორმა უნდა დაეღვა თავის საქონელზე. ამრიგად, მყიდველების ჯიბიდან ფულის დიდი თანხა ამოდიოდა იმისათვის, რომ ფულის გამსესხებელთა ჯიბეში გადასულიყო» (Gilbart: «History and Principles of Banking», გვ. 164, 165).

«მე მეუბნებიან, თვითფულ ლაიფციგის ბაზრობაზე 10 გულდენსა ახდევინებენო * , რაც 30-ს შეადგენს ასზე; ზოგნი აქ უმატებენ ნოინბურგის ბაზრობასაც, ასე რომ ასზე 40 გამოდის; მე არ ვიცი, ასეა ეს თუ არა. გრცხვენოდეთ, სად ჯანაბაშდე მიგვიყვანს ეს ბოლოს და ბოლოს?.. ვისაც ახლა ლაიფციგში 100 ფლორინი აქვს, იგი წლიურად მიიღებს 40-ს, ე. ი. წელიწადში ჩაყლაპავს ერთ გლესს ან ერთ ქალა-

* იგულისხმება 100 გულდენის გასესხება სარგებლის სამ ვადაში გადახდის პირობით ლაიფციგის ბაზრობაზე. ლაიფციგში ყოველწლიურად სამი ბაზრობა ეწყობოდა: სახალწლოდ, საადღგომოდ და წმ. მიხეილის დღეს. რ ე დ.

00 ფლორინი აქვს, მიიღებს წლიურად 400-ს, ე. ი. აინდს ან ერთ მდიდარ აზნაურს ჩაყლაპავს. თუ მას ქრად მიიღებს 4 000-ს, — ეს იმას ნიშნავს, რომ წე-
ადარ ვრავს ჩაყლაპავს. თუ მას 100 000 აქვს, ეს
ვილი ვაჭრების მიმართ, წლიურად მიიღებს
ლიწადში ჩაყლაპავს ერთ დიდ მდიდარ თავადს. თუ
ა, წლიურად მიიღებს 400 000-ს, ე. ი. ერთ წელი-
დიდ მეფეს. და ამისთვის არავითარი ხიფათი არ
მის სიცოცხლეს, არც მის ქონებას; არას აკეთებს.
ა ვაშლებს იწვავს; და ამ წყნარ ყაჩაღს, შინ მჯდო-
ათ წელიწადში მთელი ქვეყანა შეყლაპოს». (ციტი-
რ. vom Kaufhandel und Wucher»-დან, 1524, ლუთე-
Wittenberg, 1589, ნაწ. 6).

ნათ მე ვწერდი მევახშეობის წინააღმდეგ, ვინაიდან
ეთი ძალა მოიპოვა, რომ მე გაუმჯობესების იმედი არ
ეგ იგი ისე ანაღვლა. რომ აღარ სურს სადმე მანკიე-
ან სიბაღწედ იწოდებოდეს, არამედ თავს ადიდები-
და პატიოსნებად, თითქოს ადამიანებს დიდ სიყვა-
ანულ სამსახურს უწევდეს. რას უშველის რჩევა-და-
; სიბილწე იქცა პატიოსნებად და მანკიერება სათ-
die Pfarherrn wider den Wucher zu predigen»,
).

ლომბარდის პატრონები, მევახშეები და სისხლის-
ენ ჩვენი პირველი ბანკირები, ჩვენი თავდაპირველი
აქმეში, მათს ხელობას შეიძლება თითქმის სამარ-
თ... შემდეგ მათ მიემატნენ ლონდონის ოქრომჭედ-
.. ჩვენი თავდაპირველი ბანკირები... ძალიან ცუდ
არმოადგენდნენ, ისინი იყვნენ ხარბი მევახშეები, გულ-
ელეები» (D.Hardcastle: «Banks and Bankers», 2nd ed
ვ. 19, 20).

ენეციის (ბანკის მოწყობის) მაგალითს სწრაფად
ველები; ყველა ზღვისპირა ქალაქმა და საერთოდ
რომელმაც სახელი მოიხვეჭა თავისი დამოუკი-
თავისი ვაჭრობით, თავისი პირველი ბანკი დაა-
თი გემების დაბრუნებას ხშირად დიდხანს სჭირ-
ინი, ამიტომ აუცილებლობის გზით წარმოიშვა
უიტიის გაცემისა, ხოლო ამერიკის აღმოჩენამ და

მასთან ვაჭრობის გაჩაღებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ჩვეულება» (ეს მთავარი პუნქტია). გემებით საქონლის გაგზავნა აიძულებდა გამგზავნელს დიდი სესხის აღებას, რასაც ადგილი ჰქონდა უკვე ძველს დროში ათენსა და საერთოდ საბერძნეთში. 1380 წელს ჰანზის ქალაქ ბრიუგეში უკვე არსებობდა დამზღვევი პალატა (M. Augier: «Du Crédit public», გვ. 202, 203).

თუ რამდენად უპირატესი ადგილი ეჭირა ინგლისშიც კი XVII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, თანამედროვე საკრედიტო სისტემის განვითარებამდე, სესხის მიცემას მემამულეებისთვის და, მაშასადამე, საერთოდ სამომხმარებლო სიმდიდრის წარმომადგენლებისთვის, ეს ჩანს, სხვათა შორის, სერ დედლი ნორსის ნაწერიდან, რომელიც იყო არა მარტო ინგლისის ერთ-ერთი პირველი ვაჭარი, არამედ მისი დროის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი თეორეტიკოსი-ეკონომისტიც. იგი წერს: «ჩვენს ხალხში სარგებლით გაცემული ფულიდან მეათედიც კი არ მიდის მეწარმეთა ხელში, რომელთაც შეეძლოთ ამ ფულით წარემართათ თავიანთი საქმეები: ფული სესხად გაიცემა მეტწილად ფუფუნების საგნების საყიდლად, ეძლევა დასახარჯავად ისეთ ადამიანებს, რომელნიც თუმცა მსხვილი მემამულეები არიან, მაგრამ ფულს უფრო სწრაფად ხარჯავენ, ვიდრე იგი შემოაქვს მათს მამულს; და რადგან ისინი თავიანთი მამულების გაყიდვას ერიდებიან, ამიტომ ამჯობინებენ საჰიპოთეკო ვალებით დატვირთონ ეს მამულები» («Discourses upon Trade». London, 1691, გვ. 6, 7).

XVIII საუკუნეში ბოლონეთში: «ვარშავაში დიდძალი თამასუქების გაცემას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ თამასუქების საფუძველსა და დანიშნულებას შეადგენდა უმთავრესად ვარშაველი ბანკირების სავაზრო ინტერესების დაკმაყოფილება. რათა ემოვნათ ფული, რომელიც მათ შეეძლოთ 8 და მეტი პროცენტით სესხად მიეცათ მფლანგველი დიდკაცობისთვის, ბანკირები საზღვარგარეთ ეძებდნენ და პოულობდნენ სათამასუქო კრედიტს in Blanco, ე. ი. ისეთ კრედიტს, რომელსაც არავითარი საქონელვაჭრობა არ ედო საფუძველად; საზღვარგარეთელი ტრასატები მოთმინებით ადებდნენ ამ თამასუქებს თავიანთ აქცეპტს, სანამ ასეთი სათამასუქო თალღითობით შექმნილი რამესები შემოდით. ოღათ. სამაგიეროდ მათ ხელი დაიწვეს, როდესაც ისეთი ბანკირი გაკოტრდა, როგორც ტეპერი, აგრეთვე სხვა, დიდი ნდობით აღჭურვილი ვარშაველი ბანკირები» (J. G. Büsch: «Theoretisch-praktische Darstellung der Handlung etc.», 3 Aufl., Hamburg 1808, ტ. II, გვ. 233).

ეკლესიის სარმა სარგებლის აკრძალვისაგან.

«სარგებლის აღება ეკლესიამ აკრძალა; მაგრამ მას არ აუკრძალავს ქონების გაყიდვა, რათა გამყიდველს თავის თავისთვის ეშველნა გაჭირვებაში; ისიც კი არ იყო აკრძალული, რომ ეს ქონება განსაზღვრულ ჭადით, ვალის გადახდამდე, გადასცემოდა ფულის გამსესხებელს, რათა ამ უკანასკნელს მასში უზრუნველყოფა ჰქონებოდა და, ისარგებლებდა რა იმით, ვიდრე იგი მის ხელში იყო, სამაგიერო მიეღო გასესხებული ფულისთვის... თვით ეკლესია ანუ მისი კუთვნილი კომუნები და *pia corpora* [სასულიერო კორპორაციები] აქედან დიდ სარფას პოულობდნენ, განსაკუთრებით ჯვაროსნულ ლაშქრობათა დროს. ასეთი გზით ეროვნული სიმდიდრის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ჩავარდა ეგრეთწოდებული «მკვდარი ხელის» მფლობელობაში, განსაკუთრებით იმის მეოხებით, რომ ებრაელებს არ შეეძლოთ მევახშეობა წარემართათ ამ წესით, რადგან ასეთი მტკიცე გირაოს მფლობელობის დამალვა შეუძლებელი იყო... სარგებლის აუკრძალავად ეკლესია და მონასტრები ვერასოდეს ვერ შეძლებდნენ ასეთი დიდი სიმდიდრის დაგროვებას თავიანთ ხელში» (იქვე, გვ. 55).

ბანკოფილია მემკვსა

ლაგაზბითი მოგების გალაქსევა მინის ჩანჯალ.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

წინასწარი შენიშვნები.

მიწის საკუთრებისა და მისი სხვადასხვა ისტორიული ფორმის ანალიზი ამ ნაწარმოების ფარგლებში არ შედის. ჩვენ ამ საკუთრებას მხოლოდ იმდენად ვეხებით, რამდენადაც კაპიტალით წარმოებულნი ზედმეტი ღირებულების ნაწილი მიწის მესაკუთრეს ხვდება. მაშასადამე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მიწათმოქმედება, — საესებით ისე, როგორც მანუფაქტურა, — კაპიტალისტური წარმოების წესს ექვემდებარება, ე. ი. რომ სოფლის მეურნეობას ეწევიან კაპიტალისტები. რომელნიც სხვა კაპიტალისტებისგან პირველ რიგში მხოლოდ იმ ელემენტის მხრივ განსხვავდებიან, რომლისთვისაც მათი კაპიტალი და ამ კაპიტალით მოძრაობაში მოყვანილი დაქირავებული შრომა გამოიყენება. ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, ფერმერი ისევე აწარმოებს ხორბალს და სხვ., როგორც მეფაბრიკე — ნართს ან მანქანებს. ის ვარაუდი, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი დაუფლებულია სოფლის მეურნეობას, იმას გულისხმობს, რომ იგი გაბატონებულია წარმოებისა და ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა სფეროში, რომ, მაშასადამე, არსებობს სრულიად მომწიფებული სახით მისი პირობებიც, როგორცაა კაპიტალების თავისუფალი კონკურენცია, შესაძლებლობა მათი გადატანისა წარმოების ერთი სფეროდან მეორეში, საშუალო მოგების თანაბარი დონე და სხვ. მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, მისი სპეციფიკურად ისტორიული ფორმაა, კაპიტალის და კაპიტალისტური წარმოების წესის ზეგავლენით გარდაქმნილი ფორმა ფეოდალური მიწის საკუთრების ან წვრილ-

ვლენური მიწათმოქმედებისა, რომელიც თავის რჩენის მიზნით წარი-
მართება და რომელშიაც მიწის მფლობელობა გვევლინება რო-
გორც წარმოების ერთ-ერთი პირობა უშუალო მწარმოებლისათვის,
ხოლო მისი მიწის საკუთრება — როგორც მისთვის უაღრესად
ხელსაყრელი პირობა, როგორც მისი წარმოების წესის აყვავების პი-
რობა. თუ კაპიტალისტური წარმოების წესი საერთოდ გულისხმობს
მუშების შრომის პირობების ექსპროპრიაციას, მიწათმოქმედებაში იგი
გულისხმობს სოფლის მუშების მიწის ექსპროპრიაციას და მათს დაქვემ-
დებარებას კაპიტალისტისადმი, რომელიც მოგების მიზნით ეწევა
მიწათმოქმედებას. მაშასადამე, ჩვენი საკითხისთვის, როგორც იგი
ჩვენ გვაქვს დაყენებული, სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, თუ,
საწინააღმდეგო შენიშვნას სახით, მოგვაგონებენ, რომ არსებობდა და
აწლაც არსებობს მიწის საკუთრებისა და მიწათმოქმედების სხვა ფორ-
მებიცო. ეს მხოლოდ იმ ეკონომისტებს შეეხება, რომელნიც კაპიტა-
ლისტურ წარმოების წესს სოფლის მეურნეობაში და მის შესაბამის
მიწის საკუთრების ფორმას განიხილავენ არა როგორც ისტორიულ,
არამედ როგორც მარადიულ კატეგორიებს.

ჩვენთვის საჭიროა მიწის საკუთრების თანამედროვე ფორმის გან-
ხილვა იმიტომ, რომ საერთოდ ამოცანას შეადგენს წარმოებისა და
აღებშიცემობის იმ განსაზღვრულ ურთიერთობათა გარკვევა, რომელ-
თაც წარმოშობს კაპიტალის გამოყენება სოფლის მეურნეობაში. უამი-
სოდ კაპიტალის ანალიზი არ იქნებოდა სრული. ამრიგად, ჩვენ შემო-
ვიფარგლებით მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალის გამოყენებით საკუთ-
რივე მიწათმოქმედებაში, ე. ი. მთავარი მცენარეული ნივთიერების
წარმოებაში, რითაც მოსახლეობა ცხოვრობს. შეგვეძლო გვეთქვა:
ხორბლის წარმოებაში, იმიტომ რომ იგი თანამედროვე, კაპიტალისტუ-
რად განვითარებული ხალხების კვების მთავარი საშუალებაა. (ანდა,
მიწათმოქმედების ნაცვლად, სამთამადნო წარმოება, იმიტომ რომ
კანონები ერთი და იგივეა.)

ა. სმიტის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისაა, რომ მან გაარკვია,
სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში — მაგალითად,
სელის, საღებავი მცენარეების წარმოებაში, დამოუკიდებელ მე-
ცხოველეობაში და სხვ. — გამოყენებული კაპიტალის მიწის რენტა
როგორ განსაზღვრება იმ მიწის რენტით, რომელსაც იძლევა მთავარი
საკვები საშუალების წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი. მართლაც,
სმიტის შემდეგ ამ სწორე არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა წინ. ის,
რაც შეგვეძლო ზემოთქმულის შეზღუდვის ან დამატების მიზნით გაგ-
ვხსენებინა, აქ არ არის სათქმელი; იგი მიწის საკუთრების დამოუკი-

დებელი განხილვის სფეროს განეკუთვნება. ამიტომ იმ მიწის საკუთრების შესახებ, რომელსაც დამოკიდებულება არა აქვს ხორბლის საწარმოებლად განკუთვნილ მიწასთან, ჩვენ არ ვილაპარაკებთ ex professo [განსაკუთრებულად], არამედ აქა-იქ მხოლოდ საილუსტრაციოდ მოვიხსენიებთ მას.

სისრულისათვის უნდა აღინიშნოს, რომ აქ მიწად იგულისხმება წყალიც და სხვ., რამდენადაც მას მესაკუთრე ჰყავს, მიწის კუთვნილებას შეადგენს.

მიწის საკუთრება გულისხმობს, რომ გარკვეულ პიროვნებებს აქვთ განკარგულების მონოპოლია დედამიწის განსაზღვრულ ნაწილებზე, ზე როგორც მხოლოდ და მხოლოდ მათი პირადი ნების სფეროებზე, ყველა სხვა პიროვნების გამორიცხვით²⁶. რაკი ეს უკვე ნაგულისხმევია.

²⁶ უფრო კომიკური ირა შეიძლება რა იყოს, ვიდრე ჰეგელის მოძღვრებაა მიწის კერძო საკუთრების შესახებ. აღამიანმა როგორც პიროვნებამ ნამდვილი უნდა გახადოს თავისი ნებისყოფა როგორც გარეგანი ბუნების სული, ამიტომ ეს ბუნება მფლობელობაში უნდა აღოს როგორც თავისი კერძო საკუთრება. თუ ეს არის «*ი რ თ ე ბ ი ს*» — აღამიანის როგორც პიროვნების — განსაზღვრა, აქველი ის გამომდინარეობს, რომ ყოველი აღამიანი მიწის მესაკუთრე უნდა იყოს, რათა თავისი პიროვნება განახორციელოს. მიწის თავისუფალი კერძო საკუთრება — უაღრესად თანამედროვე ფაქტი — წარმოადგენს, ჰეგელის თანახმად, არა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, არამედ აღამიანის, როგორც პიროვნების, აბსოლუტურ ურთიერთობას «*ბუნების» მიმართ*», აღამიანის მხრივ ყველა ნივთის მითვისების აბსოლუტურ უფლებას (Hegel: «*Philosophie des Rechts*», Berlin, 1840, გვ. 79). უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ ცალკეულ პიროვნებას მარტოოდენ თავისი «*ნების»* მეოხებით არ შეუძლია განახორციელოს თავისი საკუთრება მიწის მიმართ სხვისი ნების საპირისპიროდ, რომელსაც ასევე სურს განხორციელდეს იმავე ნაქერ მიწაზე. ამისთვის სულ სხვა რამეა საჭირო. ვიდრე კეთილი ნება. შემდეგ, აბსოლუტურად შეუძლებელია იმის დანახვა, თუ სად უდებს «*პიროვნება»* საზღვარს თავისი ნების განხორციელებას, მთელ ერთს რომელიმე ქვეყანაში ზღება ამ ნების მყოფობის რეალიზაცია, თუ, იქნებ, ქვეყნების მთელი გროვა საჭირო იმისათვის, რომ მათი მითვისების გზით «*გამოამკარავდეს ჩემი ნების უზენაესობა ნივთთა მიმართ*». აქ ჰეგელი საესებო ჩიხშია მოქცეული. «*დაუფლების აქტი სრულიად განცალკევებულ ხასიათს იტარებს; მე ვეუფლები მხოლოდ იმას, რისი შეხებაც შემიძლია ჩემი სხეულით; მაგრამ ცხადია, მეორე მხრივ, რომ გარეგან ნივთებს უფრო ფართო ვანერცობა აქვთ, ვიდრე მე შემიძლია მათი უშუალოდ შეხება. როცა მე რაიმეს ვფლობ, ჩემ მფლობელობაში მოქცეულთან ყოველთვის არის რაიმე სხვა საგანი დაკავშირებული. დაუფლების აქტს მე ვასორციელებ ხელით, მაგრამ ამ უკანასკნელის მოქმედების სფერო შეიძლება გაფართოებულ იქნეს» (გვ. 90). მაგრამ ამ მეორე საგანთან კიდევ სხვა რამეა დაკავშირებული, და ამგვარად ქრება ყოველი საზღვარი იმისა, თუ სადამდე უნდა ვადაღინდოს ჩემი ნება სულის სახით მიწაში. «*როდესაც მე რაიმეს ვფლობ, განსჯა მაშინვე შემდგომ დასკვნას აკეთებს, რომ ჩემია არა მარტო ის, რაც ჩემს უშუალო მფლობელობაშია, არამედ ისიც, რაც მასთან დაკავშირებულია. აქ პოზი-**

საქმე შეეხება იმას, რომ გავარკვიოთ ამ მონოპოლიის ეკონომიური მნიშვნელობა, ე. ი. მისი გამოყენება კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე. ამ პირთა იურიდიული ძალაუფლება დედამიწის ნაწილების გამოყენების და ბოროტად გამოყენებისა ჩვენ ჯერ კიდევ არაფერს არ გვირკვევს. გამოყენება სავსებით დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე, რომლებიც დამოუკიდებელია იმ პირთა ნებისაგან. თვით იურიდიული წარმოდგენა სხვას არას ნიშნავს, გარდა იმისა, რომ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მიწის ისე მოეპყრას, როგორც ყოველი საქონელმფლობელი ეპყრობა თავის საქონელს; და ეს წარმოდგენა — იურიდიული წარმოდგენა მიწის თავისუფალი კერძო საკუთრების შესახებ — ჩნდება ძველს დროში მხოლოდ ორგანული საზოგადოებრივი წყობილების დამლის ხანაში, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში — მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად. აზიაში იგი მხოლოდ ალაგ-ალაგ იქნა ევროპელების მიერ იმპორტირებული. თავდაპირველი დაგროვების შესახებ მოცემულ განყოფილებაში (წიგნი I, თავი XXIV) ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების ეს წესი გულსახმობს, ერთი მხრივ, უშუალო მწარმოებლის განთავისუფლებას იმ მდგომარეობიდან, როდესაც იგი მიწის უბრალო დანამატს წარმოადგენდა (ვასალის, ყმის, მონის და სხვ. სახით); მეორე მხრივ — ხალხის მასის ექსპროპრიაციას მიწისაგან. ამ აზრით მიწის საკუთრების მონოპოლია წარმოადგენს ისტორიულ წინაპირობას და რჩება კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივ საფუძველად, ისე როგორც წარმოების ყველა წინანდელი წესებისა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მასების ექსპლოატაციასზე დამყარებული. მაგრამ მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელშიაც ახლად ფეხადგმული კაპიტალისტური წარმოების წესი პოულობს მიწის საკუთრებას, არ შეესაბამება ამ წესს. თავის შესაბამის ფორმას ეს წესი პირველად თვითონ ქმნის კაპიტალისადმი მიწათმოქმედების დაქვემდებარებით; ამით ფეოდალური მიწის საკუთრებაც, კლანის საკუთრებაც, ანდა წვრილი გლეხური საკუთრებაც სამარკო თემითურთ [Markge-

ტიურმა სამართალმა უნდა მიიღოს თავისი დადგენილებანი, ვინაიდან ცნებიდან მეტის არაფერს გამოყვანა არ შეიძლება» (გვ. 91). ეს უაღრესად გულუბრყვილო აღიარება ცენების» მხრივ; იგი ამტკიცებს იმავე დროს, რომ იმ ცნებას, რომელიც იმთავითვე აცხადებს, რომ სრულიად განსაზღვრული და ბურჟუაზიული საზოგადოების კუთვნილი იურიდიული წარმოდგენა მიწის საკუთრების შესახებ აბსოლუტურია; საერთოდ «არაფერი» არ გავგება ამ მიწის საკუთრების ნამდვილ აგებულებაში. ამასთან შასში მოქცეულია იმის აღიარება, რომ საზოგადოებრივი, ე. ი. ეკონომიური, განვითარების მოთხოვნილებათა ცვლილებასთან ერთად «მოხიტიურ სამართალს» შეუძლია შეცვილოს და უნდა შეცვალოს თავისი დადგენილებანი.

meinschaft), რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს მათი იურიდიული ფორმები, გადაიქცევა ამ წარმოების წესის შესაბამის ეკონომიურ ფორმად. კაპიტალისტური წარმოების წესის ერთ-ერთი დიადი შედეგი ისაა, რომ იგი, ერთი მხრივ, მიწათმოქმედებას საზოგადოების ყველაზე განუვითარებელი ნაწილის წმინდა ემპირიული და მექანიკურად მემკვიდრეობით გადმოცემული მოსაქმეობიდან აქცევს აგრონომიის შეგნებულ მეცნიერულ გამოყენებად, რამდენადაც ეს საერთოდ კერძო საკუთრების პირობებში შესაძლებელია²⁷; რომ იგი, ერთი მხრივ, მიწის საკუთრებას სრულიად ათავისუფლებს ბატონობისა და დამონების ურთიერთობისაგან და, მეორე მხრივ, მიწას სრულიად ანცალკევებს როგორც შრომის პირობას მიწის საკუთრებისგან და მიწის მესაკუთრისგან, რომლისთვისაც ეს საკუთრება სხვას არას წარმოადგენს, გარდა განსაზღვრული ფულადი გადასახადისა, რასაც იგი თავისი მონაპოლიის მეოხებით იღებს მრეწველი კაპიტალისტისაგან, ფერმერისაგან; კაპიტალისტური წარმოების წესი ისე წყვეტს მიწის მესაკუთრის

²⁷ სრულიად კონსერვატიული აგროქიმიკოსები, როგორც, მაგალითად, ჯონსტონი, აღიარებენ, რომ ნამდვილად რაციონალური მიწათმოქმედება ყველგან კერძო საკუთრებით შექმნილ გადაუღალავ ზღუდეს აწყდება. ამასვე აღიარებენ ისეთი მწერლებიც, რომელნიც ex professo [სპეციალობით] დამკვლევები არიან მონაპოლიური კერძო საკუთრებისა დედამიწაზე, როგორც, მაგალითად, ბ-ნი შარლ კონტი ორტომიან ნაწარმოებში, რომლის სპეციალური მიზანი კერძო საკუთრების დაცვაა. ღარც ერთ ხალხს, — ამბობს იგი, — არ შეუძლია მიადწიოს იმ ზომის კეთილდღეობასა და ძლიერებას, რომელიც მის ბუნებას შეესაბამება, უკეთუ მისი მასაზრდოებელი მიწის ყოველი ნაწილი არ მიიღებს იმ დანიშნულებას, რაც ყველაზე უფრო შეეთანხმება საერთო ინტერესს. ხალხის გამდიდრებისათვის საჭიროა, რომ შეძლებისამებრ ერთადერთმა და, უწინარეს ყოვლისა, განათლებულმა ნებამ თავის განკარგულებაში აიღოს ტერიტორიის ყოველი ცალკე ნაკვეთი და გამოიყენოს თვითელი ნაკვეთი სხვა დანარჩენთა აყვავებისათვის. მაგრამ ასეთი ნების არსებობა... შეუთავსებელი იქნებოდა მიწის კერძო ნაკვეთებად დანაწილებასთან... და იმ ოთქქმის აბსოლუტურ უფლებასთან, რომელიც მინიჭებული აქვს ყოველ მფლობელს თავისი ქონების გამოყენების საქმეში». — ჯონსტონი, კონტი და სხვ., როდესაც ხედავენ, რომ კერძო საკუთრება რაციონალურ აგრონომიას ეწინააღმდეგება, უფრადლებას აქცევენ მხოლოდ განსაზღვრული ქვეყნის მიწების მთლიანი სახით დამუშავების საჭიროებას. მაგრამ მიწის განსაკუთრებული პროდუქტების კულტურის დამოკიდებულება საბაზრო ფასების რყევაზე და ამ კულტურის მუდმივი ცვალებადობა ფასების ამ რყევასთან ერთად, კაპიტალისტური წარმოების მთელი სული, რომელიც უშუალო, უახლოესი ფულადი მოგებისკენაა მიმართული, — ყველა ეს ეწინააღმდეგება აგრიკულტურას, რომელმაც უნდა უზრუნველყო ადამიანების ერთიმეორის მომდევნო მოდგმათა ერთობლივი მუდმივი საარსებო მოთხოვნილებანი. ამის ცხად მაგალითს იძლევა სატყეო მეურნეობა, რომელიც მხოლოდ მაშინ იწარმოება ხანდახან რამდენადმე საერთო ინტერესების შესაბამისად, როდესაც ტყეები არ შეადგენს კერძო საკუთრებას და სახელმწიფო მმართველობას ექვემდებარება.

კავშირს მიწასთან, რომ მესაკუთრეს შეუძლია მთელი თავისი ცხოვრება კონსტანტინეპოლში გაატაროს, მაშინ როდესაც მისი მიწის საკუთრება შოტლანდიაში მდებარეობს. ამგვარად მიწის საკუთრება იღებს თავის წმინდა ეკონომიურ ფორმას, — იღებს მით, რომ თავისუფლდება ყველა წინანდელი პოლიტიკური და სოციალური საფარვლისა და ვარაყისაგან, მოკლედ, — ყველა ტრადიციული შენარჩევისაგან, რომელთაც თვით მრეწველი კაპიტალისტები, ისე როგორც მათი თეორიული დამცველები, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ დავინახავთ, მიწის საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებულნი, უსარგებლო და უაზრო ზედმეტობად აცხადებდნენ. მიწათმოქმედების რაციონალიზაცია, ერთი მხრივ, რაც პირველად იძლევა მიწათმოქმედების საზოგადოებრივად წარმართვის შესაძლებლობას, მიწის საკუთრების დაყვანა ad absurdum, მეორე მხრივ, — ეს არის კაპიტალისტური წარმოების წესის დიადი დამსახურება. მაგრამ როგორც ყველა სხვა მისი ისტორიული პროგრესი, ისე ეს პროგრესიც მან უწინარეს ყოვლისა უშუალო მწარმოებელთა სრული გადატაკების ფასად იყიდა.

სანამ თვით საგანზე გადავიდოდეთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კიდევ რამდენიმე წინასწარი შენიშვნა.

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების წესის წინამძღვარი ასეთია: ნამდვილი მიწათმოქმედნი არიან დაქირავებული მუშები, დასაქმებულნი კაპიტალისტის, მოიჯარის მიერ, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა მხოლოდ როგორც კაპიტალის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ დარგს, როგორც თავისი კაპიტალის დაბანდებს წარმოებინ განსაკუთრებულ სფეროში. ეს კაპიტალისტი-მოიჯარე ყოველწლიურად უხდის იმ მიწის მესაკუთრეს, რომლის მიწის ექსპლოატაციასაც იგი ეწევა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფულად თანხას (სრულად ისე, როგორც ფულადი კაპიტალის სესხად ამღები იხდის განსაზღვრულ სარგებელს) იმის ნებართვისათვის, რომ მან თავისი კაპიტალი წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში გამოიყენოს. ამ ფულად თანხას ეწოდება მიწის რენტა, სულ ერთია, გადაიხდიან მას სახანავი მიწისათვის თუ სააშენებლო ნაკვეთისათვის, მადნებისათვის, სათევზაო ადგილისათვის, ტყისთვის და სხვ. მას გადაიხდიან მთელი იმ დროის განმავლობაში, რომლისთვისაც მიწის მესაკუთრემ ხელშეკრულებით მიწა ასესხა, მიაქირავა მოიჯარეს. მაშასადამე, მიწის რენტა აქ ის ფორმაა, რომელშიაც მიწის საკუთრება ეკონომიურად ხორციელდება, ღირებულებას იძლევა. შემდეგ, აქ ჩვენ წინაშეა ერთად და ერთიმეორის პირისპირ ყველა ის სამი კლასი, რომელნიც თანამედროვე საზოგადოების

ჩონჩხს შეადგენენ: დაქირავებული მუშა, მრეწველი კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე.

კაპიტალი შეიძლება მიწაში იქნეს ფიქსირებული, მიწას შეუერთდეს ნაწილობრივ შედარებით მოკლე ვადით, როგორც ამას ადგილი აქვს, როცა წარმოებს გაუმჯობესება ქიმიური თვისებისა, მიწის გაპოხიერება და სხვ., ნაწილობრივ უფრო ხანგრძლივი ვადით, როგორც ამას ადგილი აქვს საშრობი არხების გაყვანის, სარწყავ ნაგებობათა მოწყობის, ნიადაგის გასწორების, სამეურნეო შენობების აგებისა და სხვ. შემთხვევებში. სხვა ადგილას მე იმ კაპიტალს, რომელიც ამგვარად მიწას შეუერთდება, la terre-capital [მიწა-კაპიტალი] ვუწოდებ²⁸. იგი განეკუთვნება ძირითადი კაპიტალის კატეგორიას. სარგებელი მიწასთან შეერთებული კაპიტალისათვის და იმ გაუმჯობესებისათვის, რასაც ამგვარად მიწა მიიღებს როგორც წარმოების იარაღი, შეიძლება შეადგენდეს იმ რენტის ნაწილს, რომელსაც მოიჯარე უხდის მიწის მესაკუთრეს²⁹, მაგრამ იგი არ შეადგენს საკუთრივ მიწის რენტას, რომელსაც მიწით, როგორც ასეთით, სარგებლობისათვის იხდიან, იმისგან დამოუკიდებლად, ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება იგი თუ დამუშავებულია. მიწის საკუთრების სისტემატური შესწავლისას, რაც ჩვენს გეგმაში არ შედის, მიწის მესაკუთრის შემოსავლის ეს ნაწილი დაწვრილებით განსახილველი იქნებოდა. აქ კი საკმარისია რამდენიმე სიტყვა ამ საგნის შესახებ. შედარებით მოკლე ვადით კაპიტალის ყველა დაბანდებას, რაც თან ახლავს ჩვეულებრივ წარმოების პროცესებს მიწათმოქმედებაში, გამოუკლებლივ მხოლოდ ფერმერი ეწევა. ასეთი დაბანდება, ისე როგორც მიწის უბრალო დამუშავება საერთოდ, თუ იგი რამდენადმე რაციონალურად წარიმართება, ე. ი. თუ არ მოასწავებს ნიადაგის უხეშად გამოფიტვას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, წინანდელ ამერიკელ მონათმფლობელთა ხელში, — თუმ-

²⁸ «*Nisère de la Philosophie*», გვ. 165 [იხ. კ. მარქსი: «ფილოსოფიის სილატაქე», სახელგამი, 1938, გვ. 150...]. მე იქ განვასხვავებ ერთმანეთისაგან *terre-matière*-სა [მიწა-მატერიასა] და *terre-capital*-ს [მიწა-კაპიტალს]. «უკვე მარტო კაპიტალის ახალი დაბანდებით მიწაში, რომელიც წარმოების საშუალებად არის გადაქცეული, ჩვენ ვაღიღებთ მიწა-კაპიტალს რაიმეს მოუმატებლად მიწა-მატერიისადმი, ე. ი. მიწის ფართობისადმი... მიწა-კაპიტალი ისევე ნაკლებად არის მარადიული, როგორც ყოველი სხვა კაპიტალი... მიწა-კაპიტალი ძირითადი კაპიტალია, მაგრამ ძირითადი კაპიტალიც ისევე ცვდება, როგორც საბრუნავი კაპიტალი».

²⁹ მე ვაპობო «შეიძლება-თქო», იმიტომ რომ გარკვეულ გარემოებებში ამ სარგებელს არეგულირებს მიწის რენტის კანონი და ამიტომ, მაგალითად, დიდი ბუნებრივი ნაყოფიერების მქონე ახალი მიწის ნაკვეთების კონკურენციის დროს ის შეიძლება გაქრეს.

ცა ამის წინააღმდეგ ბატონი მიწის მესაკუთრენი თავს უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით, — ასეთი დაბანდება აუმჯობესებს ნიადაგს³⁰, აღიღებს, პროდუქტის რაოდენობას და მიწას უბრალო მატერიიდან მიწა-კაპიტალად აქცევს. დამუშავებული მიწა მეტი ღირს, ვიდრე იმავე ბუნებრივი თვისების დაუმუშავებელი მიწა. უფრო გრძელი ვადით მიწასთან შეერთებულ ძირითად კაპიტალბსაც, რომელთა გაცვეთა უფრო გრძელი პერიოდის განმავლობაში წარმოებს, მეტნაწილად და გარკვეულ სფეროებში კი ზშირად მარტოდენ ფერმერი ხარჯავს. ხოლო როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ვადა გავა, — და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად მიწის მესაკუთრე ცდილობს რაც შეიძლება შეამოკლოს იჯარის ვადა, — ის გაუმჯობესებანი, რაც მიწაში იყო შეტანილი, მიწათმფლობელს რჩება საკუთრებად როგორც სუბსტანციის, მიწის, განუყრელი ნაწილი. ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადებისას მიწის მესაკუთრე საკუთრივ რენტას უმატებს სარგებელს იმ კაპიტალისათვის, რომელიც მიწასთანაა შეერთებული, — სულ ერთია, აძლევს იგი ამ მიწას იჯარით იმავე ფერმერს, რომელმაც გაუმჯობესებანი მოახდინა. თუ სხვა ვინმეს. ამგვარად მისი რენტა დიდდება. ანდა, თუ მას სურს მიწის გაყიდვა, — ჩვენ ახლაც დავინახავთ, როგორ განისაზღვრება მისი ფასი, — მიწის ღირებულება ახლა აწეული იქნება. იგი ყიდის არა მარტო მიწას, არამედ გაუმჯობესებულ მიწას, მიწასთან შეერთებულ კაპიტალს, რომელშიც მას არაფერი დაუხარჯავს. ეს არის — თუ სრულად უყურადღებოდ დავტოვებთ საკუთრივ მიწის რენტის მოძრაობას — ერთ-ერთი საიდუმლოება მიწის მესაკუთრეთა მზარდი გამდიდრების, მათი რენტის მუდმივი გადიდების და მათი მიწების ფულადი ღირებულების ზრდისა, ეკონომიური განვითარების მსვლელობის პარალელურად. ასე იდებენ მიწის მესაკუთრენი თავიანთ კერძო ჯიბეში საზოგადოებრივი განვითარების შედეგს, რომელიც მიღებულია მათ მიერ თითის გაუნძრევლად, — *fruges consumere nati* [ნაყოფის საკმელად დაბადებულნი]. მაგრამ იმავე დროს ეს არის ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება რაციონალური მიწათმოქმედებისათვის, იმიტომ რომ ფერმერი ერიდება ყოველგვარ გაუმჯობესებას და ხარჯს, რაკი იმედი არა აქვს, რომ ყველა ეს მასა მთლიანად უკან დაუბრუნდება იჯარის ვადის გასვლამდე; და ჩვენ ვხედავთ, რომ ამაზე ჩივიან როგორც დამაბრკოლებელ გარემოებაზე ისევ და ისევ: წარსულ საუკუნეში ჯემს ანდერსონი, რომელიც თანამედროვე რენტის თეორიის საკუთრივ პირველი აღმომჩენია და იმავე დროს ფერმერი-პრაქტი-

³⁰ იხ. ჯემს ანდერსონი და კერი.

კოსი და თავის დროისთვის მნიშვნელოვანი აგრონომი, — ჩვენს დროში კი ინგლისის თანამედროვე მიწის საკუთრების სტრუქტურის მოწინააღმდეგენი.

ა. ა. უოლტონი თავის ნაწარმოებში «History of the Landed Tenures of Great Britain and Ireland», London, 1865, ამის შესახებ შემდეგს ამბობს (გვ. 96, 97): «ჩვენი ქვეყნის მრავალი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულების ყველა ცდას არ შეიძლება მოჰყვეს ძალიან მნიშვნელოვანი ან ნამდვილად შესამჩნევი შედეგები მიწის გაუმჯობესებელი დამუშავების სფეროში ნამდვილი პროგრესის მხრივ, სანამ ასეთი გაუმჯობესებანი გაცილებით უფრო მეტად ადიდებენ მიწის საკუთრების ღირებულებას და მიწათმფლობელის რენტის ოდენობას, ვიდრე აუმჯობესებენ ფერმერის ან სოფლის მუშის მდგომარეობას. საერთოდ ფერმერებმა ისევე კარგად იციან, როგორც მემამულემ, მემამულის მოურავმა ან სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემაც კი, რომ კარგი ღრენაჟი, უხვი სასუქი და მეურნეობის კარგად წარმართვა, დაკავშირებით შრომის გადიდებულ გამოყენებასთან მიწის საფუძვლიანად გასაწმენდად და დასამუშავებლად, საკვირველ შედეგებს იძლევა როგორც ნიადაგის გაუმჯობესების, ისე წარმოების გადიდების მხრივ. მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს, და ფერმერებმა არანაკლებ კარგად იციან, რომ რაგინდ ძალიან გააუმჯობესონ მათ მიწა ანუ აამაღლონ მისი ღირებულება, ბოლოს აქედან მთავარ სარფას მემამულეები მოიმკიან გადიდებულ რენტაში და მიწის გაზრდილ ღირებულებაში... ფერმერები იმდენად გამჭრიახნი კი არიან, რომ შეამჩნიონ, რასაც ის ორატორები {მიწათმფლობელები და მათი მოურავები სასოფლო-სამეურნეო ნადიმებზე} ყოველთვის უცნაურად იეიწყებენ მათ უთხრან, — სახელდობრ: რომ ფერმერის მიერ მოხდენილ ყველა გაუმჯობესებათა უდიდესი წილი საბოლოოდ ყოველთვის მემამულის ჯიბეში უხდა ჩავიდეს... რაგინდ ძალიან გააუმჯობესოს წინანდელმა მოიჯარემ იჯარით აღებული მიწა, მისი შემდგომი მონაცვლე მუდამ ნახავს, რომ მიწათმფლობელი რენტას გაადიდებს მიწის გადიდებული ღირებულების შესაბამისად, რაც წინანდელი გაუმჯობესებითაა შექმნილი».

საკუთრივ მიწათმოქმედებაში ეს პროცესი ჯერ კიდევ არ ვლინდება ისე ნათლად, როგორც მიწის გამოყენებისას სამშენებლო ფართობად. ინგლისში სამშენებლო მიწის უდიდესი ნაწილი კი არ გაიყიდება freehold საკუთრებად, არამედ იჯარით ვაიციემა მიწის მესაკუთრეების მიერ 99 წლით, ან, თუ შესაძლებელია, უფრო მოკლე ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ შენობები თვით მიწასთან ერთად მა-

წათმფლობელს რჩება. «ისინი { ნოიჯარეები } ვალდებულნი არიან, მას შემდეგ, რაც მთელი ხნის განმავლობაში გადაჭარბებულ მიწის რენტას იხდიდნენ, ხელშეკრულების ვადის გასვლისას სახლი კარგ, საცხოვრებლად გამოსადეგ მდგომარეობაში ჩააბარონ მსხვილ მიწათმფლობელს. თითქმის არც კი გასულა საიჯარო ხელშეკრულების ვადა, რომ მოღის მიწათმფლობელის აგენტი ან მისი ინსპექტორი, ათვალიერებს თქვენს სახლს, ზრუნავს იმაზე, რომ თქვენ ეს სახლი კარგ მდგომარეობაში ნოიყვანოთ, წმინდა ეპატრონება მას და შეუერთებს თავისი ლენდლორდის მამულს. ფაქტი ისაა, რომ თუ ამ სისტემის სრული მოქმედება კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მთელი სახლმფლობელობა სამეფოში, ისე როგორც სოფლის მიწათმფლობელობა, დიდი მემამულეების ხელში აღმოჩნდება. ლონდონის მთელი ვესტ-ენდი Temple Bar-ის ჩრდილოეთით და სამხრეთით, დაახლოებით ნახევარ დუჟინ მსხვილ მიწათმფლობელს ეკუთვნის, გაიცემა კოლოსალური საიჯარო ქირით და იქ, სადაც საიჯარო ხელშეკრულების ვადები ჯერ კიდევ მთლად გასული არაა, ეს ვადები მალე თავდება ერთიმეორის მიყოლებით: იგივე ითქმის მეტნაკლები ზომით სამეფოს ყველა ქალაქის შესახებ. მაგრამ ამაზედაც კი არ ჩერდება განსაკუთრებულობისა და მონოპოლიის ეს ხარბი სისტემა. ჩვენი სანავსადგურო ქალაქების თითქმის ყველა სადოკო ნაგებობა უზურბაციის ასეთივე პროცესის გამო მსხვილ მიწათმფლობელ-ლევიანების ხელში იმყოფება» (იქვე, გვ. 93).

ასეთ პირობებში, ცხადია, რომ თუ 1861 წლის აღწერა ინგლისისა და უელსისათვის 20 066 224 მოსახლეობის საერთო რიცხვის პირისპირ სახლების მესაკუთრეთა რიცხვს 36 032-ით განსაზღვრავს, მესაკუთრეთა რიცხვის შეფარდება სახლების რიცხვსა და მოსახლეობის ციფრთან სრულიად სხვა სახეს მიიღებდა, მსხვილი და წვრილი მესაკუთრეები რომ ერთმანეთისგან განცალკევებულად იყვნენ ნაჩვენები.

შენობათა საკუთრების ეს მაგალითი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი 1) ნათლად გვიჩვენებს განსხვავებას საკუთრივ მიწის რენტასა და მიწასთან შეერთებული ძირითადი კაპიტალის სარგებელს შორის, რომელიც შეიძლება მიწის რენტის დანამატს შეადგენდეს. საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში შენობების სარგებელს, ისე როგორც იმ კაპიტალის სარგებელს, რომელსაც მიწათმოქმედების წარმართვისას მოიჯარე მიწას შეუერთებს, იღებს მრეწველი კაპიტალისტი — მშენებელი სპეკულანტი ან ფერმერი — და ამ სარგებელს საერთო არაფერი აქვს მიწის რენტასთან, რომელიც ყოველწლიურად, განსაზღვრულ ვადებში უნდა იქნეს გადახდილი მიწით სარგებლობისათვის. 2) იგი გვიჩვენებს, როგორ რჩება, ბოლოს,

მიწათმფლობელს მიწასთან ერთად ამ უკანასკნელთან შეერთებულ სხვისი კაპიტალიც, და ამიტომ როგორ დიდდება მისი რენტა სარგებლით.

ზოგიერთი მწერალი, ნაწილობრივ როგორც მიწის საკუთრების დამცველი ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ წარმოებულ შეტევათა წინააღმდეგ, ნაწილობრივ იმ მისწრაფებით გამსჭვალული, რომ წარმოების კაპიტალისტური სისტემა წინააღმდეგობათა სისტემიდან «პარმონის» სისტემად ექცია, როგორც, მაგალითად, კერი, ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს მიწის რენტა, მიწის საკუთრების სპეციფიკური ეკონომიური გამოსახულება, სარგებლის იდენტური იყოს. ამით წარიხიზებოდა დაპირისპირებულობა მიწის მესაკუთრეებსა და კაპიტალისტებს შორის. საპირისპირო მეთოდს იყენებდნენ კაპიტალისტური წარმოების დასაწყისში. იმ დროს გავრცელებული წარმოდგენა მიწის საკუთრებას ჯერ კიდევ კერძო საკუთრების პირველად და საბატიო ფორმად სახავდა, მაშინ როდესაც კაპიტალის სარგებელი ავად იხსენიებოდა როგორც მეფახშეობა. ამიტომ დედლი ნორსი, ლოკი და სხვ. კაპიტალის სარგებელს სახავდნენ როგორც მიწის რენტის ანალოგიურ ფორმას, — სრულიად ისე, როგორც მიწის რენტის არსებობიდან ტიურგოს სარგებლის გამართლება გამოჰყავდა. აღნიშნული უახლესი მწერლები — სულაც რომ უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ მიწის რენტა შეიძლება არსებობდეს და არსებობს წმინდა სახით, მიწასთან შეერთებული კაპიტალის სარგებლის ყოველი შეარვევის გარეშე, — ივიწყებენ. რომ მიწის მესაკუთრე ამგვარად იღებს არა მარტო იმ სხვისი კაპიტალის სარგებელს, რომელშიც წას არაფერი არ დაუხარჯავს, არამედ გარდა ამისა, მუქთად იღებს სხვის კაპიტალსაც. მიწის საკუთრების გამართლება, — ისე როგორც განსაზღვრული წარმოების წესის შესაბამისი საკუთრების ყველა სხვა ფორმის გამართლებაც, — იმაში მდგომარეობს, რომ თვით წარმოების წესი და, მაშასადამე, მისგან გამომდინარე წარმოებითი და გაცვლითი ურთიერთობაც ისტორიულ გარდამავალ აუცილებლობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ ამას შემდგომ დავინახავთ, მიწის საკუთრება საკუთრების დანარჩენ სახეობათაგან იმით განსხვავდება, რომ განვითარების გარკვეულ დონეზე იგი გვევლინება, კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისითაც კი, როგორც ზედმეტი და მავნებელი.

მიწის რენტა შესაძლებელია კიდევ ერთ სხვა ფორმაში აგვერიოს სარგებელთან და ამის გამო მისი სპეციფიკური ხასიათი — გაუგებარი დარჩეს, მიწის რენტა თავის გამოსახულებას პოულობს განსაზღვრულ

ფულად თანხაში, რომელსაც მიწის მესაკუთრე ყოველწლიურად იღებს მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემიდან. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ხდება ყოველი განსაზღვრული ფულადი შემოსავლის კაპიტალიზაცია, ე. ი. როგორ შეიძლება ყოველი ასეთი შემოსავალი განიხილებოდეს როგორც წარმოსახვითი კაპიტალის სარგებელი: თუ, მაგალითად, სარგებლის საშუალო განაკვეთი 5%-ია, — 200 გირვ. სტერლინგის ოდენობის წლიური მიწის რენტა შეიძლება განვიხილოთ როგორც სარგებელი 4 000 გირვ. სტერლინგის ოდენობის კაპიტალისა. სწორედ ამგვარად კაპიტალიზებული მიწის რენტა შეადგენს მიწის ნაყიდობის ფასს ანუ ღირებულებას, ისეთ კატეგორიას, რომელიც *prima facie* შრომის ფასის მსგავსად ირაციონალურია, რადგან მიწა არაა შრომის პროდუქტი, მამსადამე, მას არა აქვს ღირებულება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ირაციონალური ფორმის უკან იმალება ნამდვილი წარმოებითი ურთიერთობა. თუ კაპიტალისტი 4 000 გირვ. სტერლინგად ყიდულობს მიწას, რომელიც 200 გირვ. სტერლინგ წლიურ რენტას იძლევა, მაშინ იგი იღებს 5% საშუალო წლიურ სარგებელს 4 000 გირვ. სტერლ. კაპიტალიდან, — სრულიად ისე, თუ იგი ამ კაპიტალს სარგებლიან ქალაქებში მოათავსებდა ან პირდაპირ გაასესხებდა 5%-ად. ესაა 4 000 გირვ. სტერლ. კაპიტალის ღირებულების ზრდა 5%-ის ვარაუდით. ამ ვარაუდის თანახმად კაპიტალისტი 20 წელიწადში აინახლავდა თავისი მამულის ნაყიდობის ფასს ამ მამულიდან მიღებული შემოსავლით. ამიტომ ინგლისში მიწების ნაყიდობის ფასი იანგარიშება *years' purchase*-ის [ნაყიდი წლიური შემოსავლის] გარკვეული რიცხვის მიხედვით, რაც მიწის რენტის კაპიტალიზაციის მარტოოდენ სხვაგვარ გამოსახვას წარმოადგენს. სინამდვილეში ეს არის არა მიწის ნაყიდობის ფასი, არამედ იმ მიწის რენტის ფასი, რომელსაც მიწა იძლევა, — სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთის მიხედვით გამოანგარიშებული. მაგრამ რენტის ეს კაპიტალიზაცია გულისხმობს რენტას, მაშინ როდესაც რენტა არ შეიძლება გამოყვანილი და ახსნილი იქნეს "მებრუნებული წესით, — მისი საკუთარი კაპიტალიზაციიდან. პირიქით, რენტის არსებობა აქ, გაყიდვისგან დამოუკიდებლად, წანამდღვარია, ამოსავალი წერტილია.

აქედან გამომდინარეობს, რომ, თუ მიწის რენტას უცვლელ სიდიდედ ვიგულისხმებთ, მიწის ფასმა შეიძლება აიწიოს და დაიწიოს სარგებლის განაკვეთის აწევისა და დაწევის პირუტყუ მიმართულებით. თუ სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთი 5%-იდან 4%-ამდე დაეცემოდა, მაშინ 200 გირვ. სტერლინგის ოდენობის წლიური მიწის რენტა გამოხატავდა არა 4 000 გირვ. სტერლ. კაპიტალის, არამედ 5 000 გირვ.

სტერლ. კაპიტალის ღირებულების ნაზრდს, და ამგვარად მიწის იმავე ნაკვეთის ფასი 4 000 გირვ. სტერლინგიდან აიწევდა 5 000 გირვ. სტერლინგამდე ანუ 20 years' purchase-იდან — 25-ამდე. პირიქით მოხდებოდა საპირისპირო შემთხვევაში. ესაა მიწის ფასის მოძრაობა, თვით მიწის რენტის მოძრაობისაგან დამოუკიდებელი, რომელიც მხოლოდ სარგებლის განაკვეთით არის რეგულირებული. მაგრამ რადგან ჩვენ დავინახეთ, რომ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში მოგების ნორმას და, მაშასადამე, სარგებლის განაკვეთსაც, რამდენადაც მას მოგების ნორმა არეგულირებს, აქვს დაცემის ტენდენცია; რომ, შემდეგ, მოგების ნორმაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ, სარგებლის განაკვეთს დაცემის ტენდენცია აქვს გასასუსხებელი ფულადი კაპიტალის ზრდის გამო, — ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ მიწის ფასს აწვევს ტენდენცია აქვს, მიწის რენტისა და მიწის პროდუქტთა ფასის მოძრაობისაგან დამოუკიდებლადაც, ფასისა, რომლის ნაწილსაც რენტა შეადგენს.

თვით მიწის რენტის არევა სარგებლის იმ ფორმაში, რომელსაც იგი იღებს მიწის მყიდველისათვის, — არევა, რომელიც მიწის რენტის ბუნების სრულ უცოდინარობაზეა დამყარებული, — აუცილებლად იწვევს ყოვლად უცნაურ მცდარ დასკვნებს. რადგან მიწის საკუთრება ყველა ძველ ქვეყანაში საკუთრების განსაკუთრებით საპატიო ფორმად ითვლება, ხოლო მიწის ყიდვა — კაპიტალის განსაკუთრებით საიმედო დაბანდებლად, ამიტომ სარგებლის განაკვეთი, რომლის საფუძველზედაც მიწის რენტის ყიდვა ხდება, ჩვეულებრივ უფრო დაბლა დგას, ვიდრე კაპიტალის სხვა, შედარებით ხანგრძლივი დროით დაბანდებისას, ასე რომ, მაგალითად, მიწის მყიდველი იღებს ნაყიდობის ფასზე სულ 4%, მაშინ როდესაც იგი იმავე კაპიტალზე დაბანდების სხვა წესის პირობებში 5% მიიღებდა; ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, მიწის რენტაში იგი მეტ კაპიტალს იხდის, ვიდრე გადაიხდიდა ასეთივე წლიური ფულადი შემოსავლისათვის კაპიტალის დაბანდების სხვა სფეროში. ბ-ნი ტიერი თავის საერთოდ ყოვლად უვარგის ნაწერში *La Propriété*-ს შესახებ (იმ სიტყვის ანაბეჭდში, რომელიც მან 1849 წელს პრუდონის წინააღმდეგ წარმოთქვა საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე) იმ დასკვნას აკეთებს, რომ მიწის რენტა დაბალია, მაშინ როდესაც ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მისი ნაყიდობის ფასია მაღალი.

ის ვარემოება, რომ კაპიტალიზებული მიწის რენტა წარმოგვიდგება როგორც მიწის ფასი, ანუ მიწის ღირებულება, და რომ მიწას, მაშასადამე, ყოველ სხვა საქონლის მსგავსად ყიდულობენ და ჰყიდიან, ზოგიერთი აპოლოგეტისათვის მიწის საკუთრების გამართლების საფუ-

ძველს წარმოადგენს, რადგან მყიდველმა მასში, ისევე როგორც ყოველ სხვა საქონელში, ეკვივალენტი გადაიხადა, და მიწის საკუთრების დიდი ნაწილი ამ წესით ხელიდან ხელში გადავიდა. მაგრამ ასეთი მოსაზრებით შეიძლებოდა მონობის გამართლებაც, იმიტომ რომ მონათმფლობელისათვის, რომელმაც მონაში ნაღდი ფული გადაიხადა, მონის შრომიდან მიღებული ამონაგები წარმოადგენს იმ კაპიტალის სარგებელს მხოლოდ, რომელიც მან მონის საყიდლად დახარჯა. მიწის რენტის ყიდვა-გაყიდვიდან მისი არსებობის გამართლების გამოყვანა ნაშნავს საერთოდ იმას, რომ მისი არსებობა მისი არსებობით გაამართლო.

რადგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მიწის რენტის, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე მიწის საკუთრების თავისთავადი, სპეციფიკური ეკონომიური ფორმის მეცნიერული ანალიზისათვის ის გარემოება, რომ ეს რენტა განიხილებოდეს წმინდა სახით, როცა მას ყველა მისი გამყალბებელი და დამჩრდილავი შენარევი ჩამოცილებული აქვს, ანა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, მიწის საკუთრების პრაქტიკული შედეგების გასაგებად და იმ უამრავი ფაქტის თეორიულად შესაცნობადაც კი, რომელნიც მიწის რენტის ცნებასა და ბუნებას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მაინც მიწის რენტის არსებობის ფორმებად გვევლინებიან, — იმ ელემენტების გაცნობა, რომლებიც თეორიის ამ გაბუნდოვანებას იწვევენ.

რასაკვირველია, პრაქტიკულად მიწის რენტად გვევლინება ყოველივე ის, რასაც ფერმერი მიწის მესაკუთრეს უხდის საიჯარო ფულის სახით მიწის დამუშავების ნებართვისათვის. რა შემადგენელი ნაწილებისგანაც არ უნდა შედგებოდეს ეს ხარკი, რა წყაროებიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, საკუთრივ მიწის რენტასთან მას საერთო ის აქვს, რომ მონოპოლია, რომელიც აქვს დედამიწის განსაზღვრულ ნაკვეთზე ეგრეთწოდებულ მიწის მესაკუთრეს, ამ უკანასკნელს შესაძლებლობას აძლევს აიღოს ხარკი, და კონტრიბუცია დააკისროს სხვებს. ამ ხარკს საკუთრივ მიწის რენტასთან საერთო ის აქვს, რომ იგი განსაზღვრავს მიწის ფასს, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სხვა არაფერია, თუ არა მიწის იჯარით გაცემიდან მიღებული კაპიტალიზებული შემოსავალი.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მიწასთან შეერთებული კაპიტალის სარგებელი შეიძლება შეადგენდეს მიწის რენტის ერთ-ერთ ასეთ უცხო შემადგენელ ნაწილს, — ისეთს, რომელიც ეკონომიური განვითარების მსვლელობასთან ერთად აუცილებლად უნდა შეადგენდეს რომელიმე ქვეყნის რენტათა ერთობლივი ჯამის მუდმივად მზარდ დანამატს. მაგრამ ეს სარგებელიც რომ განზე დავტოვოთ, შესაძლებელია, რომ საიჯარო

ფული ნაწილობრივ, ხოლო ზოგ შემთხვევაში მთლიანადაც, — რაც გულისხმობს საკუთრივ მიწის რენტის სრულიად არარსებობას და, მაშასადამე, გულისხმობს იმას, რომ მიწას ნამდვილად ღირებულება არა აქვს, — შეადგენდეს გამოწაკლებს ან საშუალო მოგებიდან, ან ნორმალური ხელფასიდან, ანდა იმავდროულად ერთიდანაც და მეორიდანაც. ეს ნაწილი — მოგების თუ ხელფასის ნაწილი — გვევლინება აქ მიწის რენტის სახით, იმიტომ რომ იგი არ ხვდება, როგორც ეს ნორმალური იქნებოდა, მრეწველ კაპიტალისტს ან დაქირავებულ მუშას, არამედ მიწის მესაკუთრეს ეძლევა საიჯარო ფულის სახით. არც ერთი და არც მეორე ნაწილი არ შეადგენს მიწის რენტს ამ სიტყვის ეკონომიური გაგებით: მაგრამ პრაქტიკულად იგი შეადგენს მიწის მესაკუთრის შემოსავალს, მისი მონოპოლიის ეკონომიურ გამოყენებას, ისევე როგორც ნამდვილი მიწის რენტა, და ისეთსავე გავლენას ახდენს მიწის ფასზე, როგორც ეს უკანასკნელი.

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ისეთ ურთიერთობაზე, როცა ფორმალურად არსებობს მიწის რენტა, კაპიტალისტური წარმოების წესის ეს შესაბამისი ფორმა მიწის საკუთრების გამოყენებისა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს თვით კაპიტალისტური წარმოების წესი, როდესაც თვით ფერმერი არ წარმოადგენს მრეწველ კაპიტალისტს ანუ მის მიერ წარმართულ მეურნეობას არა აქვს კაპიტალისტური ხასიათი. ასეთია მდგომარეობა, მაგალითად, ი რ ლ ა ნ დ ი ა შ ი. ფერმერი აქ საერთოდ წვრილი გლეხია. ის, რასაც იგი მიწის მესაკუთრეს უხდის საიჯარო გადასახდელის სახით, ზმირად ნთქავს არათუ მისი მოგების ნაწილს, ე. ი. ნაწილს მისი საკუთარი ზედმეტი შრომისას, რომელზედაც მას უფლება აქვს როგორც თავისი საკუთარი შრომის იარაღების მფლობელს, არამედ იმ ნორმალური ხელფასის ნაწილსაც, რასაც იგი მიიღებდა სხვა პირობებში შრომის ამდენივე რაოდენობისათვის. გარდა ამისა, მიწის მესაკუთრე, რომელიც აქ არაფერს არ აკეთებს ნიადაგის გაუმჯობესებისათვის, ექსპროპრიაციას ახდენს ასეთი ფერმერის წვრილი კაპიტალისას, რომელსაც ეს უკანასკნელი მიწას უერთებს მეტწილად საკუთარი შრომით, — ექსპროპრიაციას ახდენს სწორედ ისე, როგორც ამას მოახდენდა მევახშე ანალოგიურ პირობებში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მევახშე ასეთი ოპერაციების დროს ყოველ შემთხვევაში რისკს ეწევა საკუთარი კაპიტალით. ეს მუდმივი ძარცვა არის საგანი განხეთქილებისა ირლანდიის მიწის კანონმდებლობისათვის, რომლის ამოცანაც არსებითად ისაა, რომ მიწის მესაკუთრე, რომელიც უარს ეუბნება მოიჯარეს, იძულებული გახდეს აუნაზღაუროს ამ უკანასკნელს მის მიერ გწეული ნიადაგის გაუმჯო-

ბესების ხარჯები ანუ მიწასთან შეერთებული კაპიტალი. პალმერსტონი ამაზე ცინიკურად უპასუხებდა ხოლმე: «თემთა პალატა მიწის მესაკუთრეთა პალატა არის»-ო.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ აგრეთვე იმ განსაკუთრებულ ურთიერთობაზე, როდესაც კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებშიც კი მიწის მესაკუთრეს შეუძლია გამოწოვოს მოიჯარეს მაღალი საიჯარო ქირა, რომელიც არაფრით არაა დაკავშირებული მიწის პროდუქტთან, რის მაგალითსაც წარმოადგენს ინგლისის სამრეწველო ოლქებში მიწის მცირე ნაკვეთების იჯარით ვაცემა ფაბრიკის მუშებზე პატარა ბაღების გასაშენებლად ან დილექტანტური მიწათმოქმედების საწარმოებლად მოცლილობის საათებში («Reports of Inspectors of Factories»).

ჩვენ ვლაპარაკობთ სამიწათმოქმედო რენტაზე განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებში. მაგალითად, ინგლისელ ფერმერებს შორის მოიპოვება განსაზღვრული რიცხვი წვრილი კაპიტალისტებისა, რომელთაც აღზრდით, განათლებით, ტრადიციით, კონკურენციით და სხვა გარემოებებით ის დანიშნულება აქვთ და იძულებულნიც არიან, რომ თავიანთი კაპიტალი მიწათმოქმედებაში გამოიყენონ როგორც ფერმერებმა. ისინი იძულებულნი არიან საშუალოზე ნაკლები მოგებით დაკმაყოფილდნენ და მოგების ნაწილი რენტის სახით მიწის მესაკუთრეს აძლიონ. მხოლოდ ამ პირობით შეუძლიათ მათ მიიღონ ნებართვა თავიანთი კაპიტალის დასაბანდებლად ნიადაგში, მიწათმოქმედებაში. რადგან მიწის მესაკუთრეებს ყველგან მნიშვნელოვანი, ხოლო ინგლისში უპირატესი გავლენაც კი აქვთ კანონმდებლობაზე, ამიტომ ეს გავლენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფერმერთა მთელი კლასის მოსატყუებლად. მართალია, 1815 წლის პურის კანონებს, მაგალითად, — პურზე დაწესებულ გადასახადს, რომელიც, როგორც აღიარებულია, იმ მიზნით ჰქონდა ქვეყანას დაკისრებული, რომ უსაქმური მემამულეებისათვის უზრუნველყოთ ანტიიაკობინური ომის დროს უზომოდ გადიდებული რენტის შემდგომი არსებობა, — ის ზემოქმედება ჰქონდა, თუ განსაკუთრებით მოსავლიან წლებს მხედველობაში არ მივიღებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს აჩერებდა იმ დონეზე მაღლა, რომელზედაც დაეცემოდა ეს ფასები პურის თავისუფალი იმპორტის პირობებში. მაგრამ მაინც იმ კანონებს ისეთი შედეგები არ მოჰყოლია, რომ ფასები იმ სიმაღლეზე გაჩერებულიყო, რომელიც კანონმდებელ მიწათმფლობელთა მიერ ერთგვარ ნორმალურ დონედ იყო დაწესებული, ასე რომ ფასების ეს დონე კანონიერ საზღვარს შეადგენდა უცხოური პურის იმპორტისათვის. საიჯარო ხელშეკრულებებს კი ამ ნორმალური ფასების შთაბეჭდილების ქვეშ დებდ-

ნენ. როდესაც ილუზია გაიფანტა; შემუშავებულ იქნა ახალი კანონი ახალი ნორმალური ფასებით, რომლებიც ისევე უძლური გამოასახულა: იყო მემამულეთა ანგარებიანი ოცნებისა, როგორც ძველი ფასები. ამნაირად ატყუებდნენ ფერმერებს 1815 წლიდან 30-იან წლებამდე აქედან წარმოდგა agricultural distress სოფლის მეურნეობის გაჭირვება როგორც მუდმივი თემა მთელი ამ დროის განმავლობაში. აქედან ფერმერთა მთელი მოდგმის ექსპროპრიაცია და განადგურება ამ პერიოდის განმავლობაში და მათი შენაცვლება კაპიტალისტთა ახალი კლასით³¹.

მაგრამ გაცილებით უფრო ზოგად და მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს საკუთრივ მიწათმოქმედი მუშების ხელფასის დაწევა ნორმალურ საშუალო დონეზე დაბლა, ასე რომ ხელფასის ნაწილი ერთმევა მუშას და შეადგენს საიჯარო ქირის შემადგენელ ნაწილს და ამგვარად მიწის რენტის ნილაბქვეშ მუშის ნაცვლად მიწის მესაკუთრეს უვარდება ხელში. მაგალითად, ინგლისსა და შოტლანდიაში, რამდენიმე ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი საგრაფოს გამოკლებით, ეს საყოველთაო მოვლენაა. ინგლისში პურის კანონების შემოღებამდე ჰარლამენტის მიერ ხელფასის სიმადლის გამოსაკვლევად შექმნილი კომისიების შრომები — დღემდე ყველაზე ძვირფასი და თითქმის სრულიად გამოუყენებელი მასალა ხელფასის ისტორიისათვის XIX საუკუნეში და იმავე დროს სამარცხვინო ძეგლი, რომელიც თავის თავს აუგო ინგლისის არისტოკრატთა და ბურჟუაზიამ, — ცხადად, ყოველ ეჭვს გარეშე, ამტკიცებს, რომ რენტის მაღალი ნორმები და მათ შესაბამისად მიწის ფასის ზრდა ანტიიაკობინური ომის დროს ნაწილობრივ შედეგი იყო ხელფასიდან გამონაკლებისა და ხელფასის დაწევისა ფიზიკურ მინიმუმზე დაბლაც კი, ე. ი. წარმომდგარი იყო ნორმალური ხელფასის განსაზღვრული ნაწილის მემამულისათვის მიცემის გზით. სხვადასხვა გარემოებამ, სხვათა შორის ფულის გაუფასურებამ, სამიწათმოქმედო ოლქებში ღარიბთა შესახებ არსებული კონონების გამოყენების წესმა და სხვ. შესაძლებელი გახადა ეს ოპერაცია სწორედ იმ დროს, როდესაც ფერმერების შემოსავალი კოლოსალურად იზრდებოდა და მიწის მესაკუთრეები საარაკოდ მდიდრდებოდნენ. დიახ,

³¹ იხ. Anti-Corn-Law Prize-Essays. მაგრამ შინც პურის კანონები ხელოვნურად ამაღლებულ დონეზე აჩერებდნენ ფასებს. ეს ხელსაყრელი იყო უკეთესი ფერმერებისათვის. ისინი მოგებას ნახულობდნენ იმ ინერტული მდგომარეობის გამო, რაშიაც მფარველობითი ბაჟი აყენებდა ფერმერების დიდ მასას, რომელნიც — საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ — გამონაკლისის სახით მაღალი საშუალო ფასით იყენენ დაიმედებულნი.

როგორც ფერმერების, ისე მიწის მესაკუთრეების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ხორბლის ბაჟების შემოღების სასარგებლოდ ის მოსაზრება იყო, რომ ფიზიკურად შეუძლებელია მიწათმოქმედი დღიური მუშების ხელფასის კიდევ უფრო დაბლა დაწევით. ეს მდგომარეობა არ შეცვლილა არსებითად, და ინგლისში, ისე როგორც ყველა ევროპულ ქვეყანაში, ნორმალური ხელფასის ნაწილი უწინდებურად შედის მიწის რენტაში. როცა გრაფი შეფეტსბერი, იმ დროს ლორდი ეშლი, ერთი ფილანტროპ-არისტოკრატთაგანი, ისე დიდად შეწუხდა ინგლისის ვაზრების მუშების მდგომარეობით და ათსაათიანი სამუშაო დღისთვის აგრეტაციის დროს მუშების დამცველად გამოვიდა პარლამენტში, მრეწველების დამცველებმა შურის საძიებლად გამოაქვეყნეს სტატისტიკური კნობები მიწათმოქმედი მუშების ხელფასის შესახებ იმ სოფლებში, რომლებიც მას ეკუთვნოდა (იხ. წიგნი I, თავი XXIII, 5, e: ბრიტანეთის მიწათმოქმედი პროლეტარიატი); ეს ცნობები ნათლად აჩვენებდა, რომ ამ ფილანტროპის მიწის რენტის ნაწილი შედგება მარტოოდენ ნაარცვისაგან; ამ ძარცვას მის მაგიერ მისი მოიჯარეები ეწეოდნენ მიწათმოქმედი მუშების ხელფასის მიმართ. ეს პუბლიკაცია იმ მხრივაცაა აინტერესო, რომ მასში მოცემული ფაქტები შეიძლება გაბედულად მოუდგეს გვერდში ყველაზე ცუდს, რაც კი 1814 და 1815 წლების კონსიებმა გამოააშკარავეს. როგორც კი გარემოებათა იძულებით მიწათმოქმედი დღიური მუშების ხელფასის დროებითი გადიდება ხდება, ფერმერები ზაშინვე იწყებენ ყვირილს, რომ ხელფასის გადიდება მის ნორმალურ დონემდე, როგორც ეს მრეწველობის სხვა დარგებში ხდება. შეუძლებელია, რომ ეს აუცილებლად გააჩანაგებს მათ, თუ იმავე დროულად მიწის რენტა არ შემცირდაო. მამასადამე, აქ აღიარებულია, რომ მიწის რენტის სახელწოდებით ფერმერები გამოაკლებენ ხელფაიდან და ამ გამონაკლებით მიწის მესაკუთრეს ისტუმრებენ. მაგალითად, 1849 — 1859 წლებში მიწათმოქმედი მუშების ხელფასმა ინგლისში აიწია მთელ რიგ გადამწყვეტ გარემოებათა დამთხვევის გამო, როგორც იყო: მასობრივი ემიგრაცია [Exodus] ირლანდიიდან; რამაც შეწყვიტა მიწათმოქმედი მუშების მოდენა იქიდან; მიწათმოქმედი მოახლეობის არაჩვეულებრივი შეწოვა საფაბრიკო მრეწველობის მიერ; არისკაცთა მოთხოვნა ომისათვის; არაჩვეულებრივი ემიგრაცია ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში (კალიფორნიაში) და სხვა მიზეზები, რომლებზეც აქ დაწვრილებით ვერ შევნიშნავდებით. ამავე დროს ამ პერიოდში, მოუსავლიანი 1854 — 1856 წლების გამოკლებით, ხორბლის საშუალო ფასებმა დაიწია 16%-ზე მეტით. მოიჯარენი გაპიოდნენ, რენტა უნდა შეგვიმცირდესო. ცალკეულ შემთხვევებში მათ

ამას მიაღწიეს. საერთოდ კი ისინი ამ მოთხოვნაში დამარცხდნენ. ისინა გამოსავალს ეძებდნენ წარმოების ხარჯების შემცირებაში, სხვათა შორის ორთქლის ლოკომობილებითა და ახალი მანქანების ფართო გამოყენებით, რომლებიც ნაწილობრივ ცხენების მაგივრობას ეწეოდნენ და მათ აძევებდნენ მეურნეობიდან, ნაწილობრივ კიდევ, მიწათმოქმედი მუშების განთავისუფლების გზით, იწვევდნენ ხელოვნურ ჭარბმოსახლეობას და, მათსადაამე, ხელფასის ახალ შემცირებას. და ეს ხდებოდა ამ ათწლეულის განმავლობაში მთელი მოსახლეობის ზრდასთან შედარებით მიწათმოქმედი მოსახლეობის შეფარდებითი შემცირების მიუხედავად და ზოგ წმინდა სამიწათმოქმედო ოლქში მიწათმოქმედი მოსახლეობის ასბოლუტური შემცირების მიუხედავად³². ასევე 1856 წლის 12 ოქტომბერს ფაუსტეტი, რომელიც მაშინ პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო კემბრიჯში (გარდაიცვალა 1884 წელს როგორც გენერალური ფოსტმეისტერი *), Social Science Congress-ზე ამბობდა: «მიწათმოქმედმა მუშებმა იწყეს ემიგრაცია, და მოიჯარებმა იწყეს ჩივილი, რომ მათ არ შეუძლიათ იხადონ ისე მალალი რენტა, როგორც ჩვეულებრივ იხდიდნენ, იმიტომ რომ ემიგრაციის გამო შრომა გაძვირდა». მათსადაამე, აქ მალალი მიწის რენტა პირდაპირ გაიგივებულა დაბალ ხელფასთან. და რამდენადაც მიწის ფასის სიდიდე ამ რენტის გამადიდებელი გარემოებით არის გაპირობებული, მიწის ღირებულების აწევა იდენტურია შრომის გაუფასურებისა, მიწის ფასის მალალი დონე იდენტურია შრომის ფასის დაბალი დონისა.

ასევეა საფრანგეთშიც. «საიჯარო ქირა მალა იწევს, იმიტომ რომ ერთ მხარეზე პურის, ღვინის, ხორცის, მწვანის და ხილის ფასი იწევს მალა, ხოლო მეორე მხარეზე შრომის ფასი უცვლელი რჩება. მოხუცებმა რომ მათი მამების ანგარიშები შეადარონ, — რაც თითქმის 100 წლით უკან დაგვახევენებს, — ნახვდნენ, რომ მაშინ ერთი სამუშაო დღის ფასი საფრანგეთში სოფლად სწორედ ასეთივე იყო, როგორც ამჟამად. ხორცის ფასი კი მას შემდეგ გასამკვედა... ვინაა ამ გადატრიალების მსხვერპლი? მდიდარი, იჯარით გასაცემი მიწის მესაკუთრე, თუ ღარიბი, ამ მიწის დამმუშავებელი?.. საიჯარო ქირის აწევა

³² ჯონ ჰ. მორტონი: «The Forces used in Agriculture». მოხსენება ლონდონის Society of Arts-ში [ხელოვნებათა საზოგადოებაში] 1860 წელს, ეყარება აუტენტურ ცნობებს, რომლებიც მიღებული იყო უშუალოდ შოტლანდიის 12 და ინგლისის 35 საგრაფოს დაახლოებით 100 მოიჯარისაგან.

* ფრჩხილები მოცემულია მარქსის ხელნაწერის იმ ფოტოასლის საფუძველზე, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ინახება. 1894 წ. გამოცემაში ფრჩხილები არაა. რ. ე. დ.

საზოგადოებრივი უბედურების დამამტკიცებელია» («Du Mécanisme de la Société en France et en Angleterre». Par M. Rubichon. 2^{me} édit., Paris 1837, გვ. 101).

მაგალითები რენტის როგორც საშუალო მოგებიდან გამონაკლების შედეგისა, ერთი მხრივ, და საშუალო ხელფასიდან გამონაკლების შედეგისა, მეორე მხრივ:

ზემოთ ციტირებული მორტონი, მიწის აგენტი და სასოფლო-სამეურნეო ინჟინერი, მოგვითხრობს: ბევრ კუთხეში შემჩნეულია, რომ დიდი საიჯარო მამულების რენტა უფრო დაბალია, ვიდრე შედარებით პატარა მამულების, რადგან «კონკურენცია უკანასკნელებისთვის ჩვეულებრივ უფრო დიდია, ვიდრე პირველებისთვის, და რადგან წვრილი მოიჯარენი, რომელთაც იშვიათად აქვთ შესაძლებლობა სხვა რასმეს მოჰკიდონ ხელი, თუ არა სოფლის მეურნეობას, და რომელნიც იძულებული არიან შესაფერ მოსაქმეობას დაადგენენ, ხშირად თანხმდებიან ისეთი რენტის გადახდას, რომლის შესახებაც თვითონვე იციან, რომ იგი მეტისმეტად მაღალია (John C. Morton: «The Resources of Estates», London 1858, გვ. 116).

მაგრამ, მისი აზრით, ინგლისში ეს განსხვავება თანდათან ქრება, რასაც, როგორც იგი ფიქრობს, ძალიან უწყობს ხელს სწორედ წვრილ მოიჯარეთა კლასის ემიგრაცია. იმავე მორტონს მოჰყავს მაგალითი, როდესაც მიწის რენტაში უეჭველად შედის თვით ფერმერის ხელფასიდან გამონაკლები და, მასშალადმე, მით უფრო უცილობლად — იმ მუშების ხელფასიდან გამონაკლები, რომლებიც მათ ჰყავთ დასაქმებული. სახელდობრ, საქმე შეეხება 70 — 80 აკრზე (30 — 34 ჰექტარზე) ნაკლები მიწების იჯარას, სადაც ფერმერისათვის შეუძლებელია იქონიოს ორცხენიანი გუთანი. «თუ მოიჯარე არ მუშაობს თავისი საკუთარი ხელით ისევე მუყაითად, როგორც რომელიმე მუშა, იგი ვერ იარსებებს თავისი იჯარით. თუ იგი თავის მუშებს მიანდობს სამუშაოს შესრულებას და თვითონ მხოლოდ მეთვალყურეობით დაკმაყოფილდება, იგი, ალბათ, მალე დაინახავს, რომ არ შეუძლია საიჯარო ქირის გადახდა» (იქვე, გვ. 118). აქედან მორტონს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თუ ამა თუ იმ ოლქში მოიჯარენი ძალიან ღარიბები არ არიან, იჯარით გაცემული ნაკვეთების ფართობი არ უნდა იყოს 70 აკრზე ნაკლები, რათა ფერმერს შეეძლოს იყოლიოს 2 — 3 ცხენი.

ბ-ნი ლეონს დე ლავერნის, Membre de l'Institut et de la Société Centrale d'Agriculture (ინსტიტუტის და სასოფლო-სამეურნეო ცენტრალური საზოგადოების წევრის) არაჩვეულებრივი სიბრძნე. თავის «Economie Rurale de l'Angleterre»-ში (ციტატები აღებულია ინგლი-

სური თარგმანიდან, ლონდონი 1855) იგი აღარებს სარგებლობას, მიღებულს რქიანი პირუტყვისაგან, რომელიც საფრანგეთში გამოყენებულია სამუშაოდ და ინგლისში კი არა, ვინაიდან აქ მის ნაცვლად ცხენებს იყენებენ (გვ. 42).

საფრანგეთი: რძე 4 მილ. გირვ. სტერლ.	ინგლისი: რძე 16 მილ. გირვ. სტერლ.
ხორცი 16 > > >	ხორცი 20 > > >
მუშაობა 8 > > >	მუშაობა — » » »
28 მილ. გირვ. სტერლ	36 მილ. გირვ. სტერლ.

მაგრამ აქ ინგლისისათვის უფრო დიდი პროდუქტი გამოდის იმიტომ, რომ, ავტორის ცნობების თანახმად, რძე ინგლისში ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საფრანგეთში, მაშინ როდესაც ხორცისთვის იგი თანაბარ ფასებს გულისხმობს ორივე ქვეყანაში (გვ. 35); მაშასადამე, ინგლისის რძის პროდუქტია მცირდება 8 მილიონ გირვ. სტერლინგამდე, ხოლო მთელი პროდუქტი — 28 მილიონ გირვ. სტერლინგამდე, როგორც საფრანგეთში. მართლაც, ეს მეტისმეტია, როდესაც ბ-ნ ლავერნს თავის ანგარიშში შეაქვს იმავდროულად პროდუქტის რაოდენობაც და ფასების განსხვავებაც, ასე რომ თუ ინგლისი განსაზღვრულ საგნებს საფრანგეთზე უფრო ძვირად აწარმოებს, — რაც უკიდურეს შემთხვევაში მოასწავებს მხოლოდ უფრო დიდ მოგებას მოიჯარებებისა და მემამულეებისათვის, — ეს ლავერნისთვის ინგლისის მიწათმოქმედების უპირატესობას წარმოადგენს.

ბ-ნი ლავერნი რომ არა მხოლოდ ინგლისის სოფლის მეურნეობის ეკონომიურ შედეგებს იცნობს, არამედ იზიარებს კიდევ ინგლისელი ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეების ცრუ აზრებს. ამას იგი ააშკარავებს 48 გვერდზე: «ჩვეულებრივ დიდი ზიანი ახლავს ხორბლეული მცენარეების კულტურას... ისინი იწვევენ იმ ნიადაგის გამოფიტვას, რომელზედაც აღმოცენდებიან». ბ-ნ ლავერნს არა მარტო ის ჰგონია, რომ სხვა მცენარენი ამას არ იწვევენ, არამედ ისიც ჰგონია, რომ საკვები მცენარენი და ძირნაყოფიანი მცენარენი ნიადაგს ამდიდრებენ: «საკვებ მცენარეებს თავიანთი ზრდის მთავარი ელემენტები ატმოსფეროდან გამოაქვთ და ნიადაგს უბრუნებენ მეტს, ვიდრე მიზანს გამოაქვთ; ამრიგად ისინი ორგვარი გზით — როგორც პირდაპირ, ისე მათი ცხოველურ სასუქად გარდაქმნის გამო — ხელს უწყობენ იმ ზიანის ანაზღაურებას, რასაც ხორბლეული მცენარენი და ნიადაგის გამომფიტველი სხვა კულტურები იწვევენ; აქედან წარმოდგება ის წესი, რომ ისინი რიგრიგობით შეენაცვლონ ხოლმე ამ კულტურებს; ამაში მდგომარეობს ნორფოლკის თესლბრუნვა» (გვ. 50; 51).

საკვირველი არაა, რომ ბ-ნ ლავერნს, რომელსაც ეს ინგლისის სოფლური გულუბრყვილო ზღაპრები სჯერა, ისიც სჯერა, რომ პურის კანონების გაუქმების შემდეგ ინგლისის სოფლის მუშების ხელფასს დაეკარგა მისი წინანდელი არანორმალური ხასიათი. იხილე, რაც ჩვენ წინათ ვთქვით ამის შესახებ, წიგნი I, თავი XXIII, 5, გამოც. 2, გვ. 701 — 729*. მაგრამ ყური დაუფდოთ კიდეც 1865 წ. 14 დეკემბერს ბირონინგამში წარმოთქმულ ბ-ნ ჯონ ბრაიტის სიტყვას. მას შემდეგ, რაც მან ილაპარაკა 5 მილიონი ოჯახის შესახებ, რომელნიც სრულიად არ არიან პარლამენტში წარმოდგენილი, იგი განაგრძობს: «იმათგან 1 მილიონი ანუ, უფრო სწორად, 1 მილიონზე მეტი მთელ შეერთებულ სამეფოში შეტანილია ლატაკთა ბედკრულ სიაში. შემდეგ არის კიდეც 1 მილიონი, რომელნიც ჯერ-ჯერობით პაუპერიზმის მიჯნაზე ცოტათი მალლა დგანან, მაგრამ რომელთაც მუდამ ემუქრება ლატაკებად გადაქცევის საშიშროება. მათი მდგომარეობა და მათი პერსპექტივები უკეთესი როდია. აბა შეხედეთ საზოგადოების ამ ნაწილის უვიც დაბალ ფენებს. შეხედეთ ამ განწირულთა მდგომარეობას, მათ სიღარიბეს, მათ ტანჯვას, მათ სრულ უილაჯობას. შეერთებულ შტატებშიაც კი, სამხრეთ შტატებშიაც კი მონობის არსებობის დროს ყოველ ზანგს ჰქონდა იმედი, რომ მასაც ოდესმე ბედნიერი წელიწადი დაუდგებოდა. მაგრამ ამ ადამიანთათვის, დაბალი ფენების ამ მასისთვის ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს — მე შემიძლია ეს აქ პირდაპირ ვთქვა — არც იმედი რაიმე გაუმჯობესებისა, არც მისწრაფებაც კი მისადმი. წაიკითხეთ თუ არა თქვენ ახლახან გაზეთებში შენიშვნა ჯონ კროსის, დორსეტშირელი მიწათმოქმედი მუშის შესახებ? იგი 6 დღეს მუშაობდა კვირაში, ჩინებულნი მოწმობა ჰქონდა მისი დამქირავებლისაგან, რომლისთვისაც 24 წელიწადს იმუშავა და ხელფასად 8 შილინგს იღებდა კვირაში, ამ ხელფასით ჯონ კროსს უნდა შეენახა თავის ქოხში 7-ბავშვიანი ოჯახი. თავისი ავადმყოფი ცოლის და მისი ძუძუმწოვარა ბავშვის გასათბობად მან აიღო — კანონის ენით თუ ვიტყვი, მოიპარა — ხის მოაჯირი 6 პენსის ღირებულებითა. მომრიგებელმა მოსამართლეებმა მას ამ დანაშაულისათვის 14 თუ 20 დღის პატიმრობა მიუთსაჯეს. უნდა ვთქვა, რომ მთელ ქვეყანაში შეიძლება ათასობით ჰპოვოთ ასეთი შემთხვევები, როგორც ჯონ კროსის შემთხვევაა, განსაკუთრებით სამხრეთ მიდამოებში, და რომ ამ ადამიანთა მდგომარეობა ისეთია, რომ დღემდე ვერცერთ უგულწორფელს მკვლევარს ვერ გამოუცვნია საი-

* იხ. კ. შარქსი: «კაპიტალი», 1954 წ. გამოც., თავი XXIII, 5, გვ. 847 — 877. რ. გ. დ.

დუმლოება, თუ პირში სული როგორ უდგას ამ ადამიანებს. ახლა კი თვალი გადაავლეთ მთელ ქვეყანას და შეხედეთ ამ 5 მილიონ ოჯახს და იმ სასოწარკვეთილ მდგომარეობას, რომელშიაც ეს ფენა იმყოფება. განა არ უნდა ვთქვათ ჭეშმარიტად, რომ ერის ეს მასა, რომელიც საარჩევნო უფლებას მოკლებულია, მუდამ წლებზე ფეხს იდგამს დ. თითქმის სრულიად არა აქვს მოსვენება? შეადარეთ იგი გაბატონებულ კლასს — მაგრამ თუ მე ასე ვილაპარაკე, კომუნისტობას დამბრალებენ... მაგრამ შეადარეთ მუშაობით ძალღონეგამოღებული და საარჩევნო უფლებას მოკლებული ეს ვეება ხალხი იმ ნაწილს, რომელიც გაბატონებულ კლასებად შეიძლება მივიჩნიოთ. შეხედეთ მათ სიმდიდრეს, მათ ბრწყინვალეობას, მათ ფუფუნებას. შეხედეთ მათ მოქანცულობას, — იმიტომ რომ მათშიაც არის მოქანცულობა, მაგრამ ესა მოყირკების მოქანცულობა, — შეხედეთ, როგორ მიეჩქარებიან ისინი ერთი ადგილიდან მეორე ადგილისაკენ, თითქოს მარტოოდენ ის იყოს საჭირო, რომ მათ ახალი გართობა აღმოაჩინონ» («Morning Star» 1865 წ. 14 დეკემბერი).

ქვემოთ ნაჩვენებია, თუ როგორ ურევენ ხოლმე ზედმეტ შრომას და, მასადაამე, ზედმეტ პროდუქტს საერთოდ მიწის რენტაში, ზედმეტი პროდუქტის ამ — ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტური წარმოებთ წესის ბაზისზე — რაოდენობისა და თვისების მხრივ სპეციფიკურად განსაზღვრულ ნაწილში. ზედმეტი შრომის ბუნებრივ ბაზისს საერთოდ. ე. ი. იმ ბუნებრივ პირობას, ურომლისოდაც ეს შრომა შეუძლებელია წარმოადგენს ის, რომ ბუნება ისეთი სამუშაო დროს დახარჯვისას რაც მთელ სამუშაო დღეს არ მოიცავს, იძლევა აუცილებელ საარსებო საშუალებებს მიწის — მცენარეული თუ ცხოველური — პროდუქტების სახით თუ მეთევზეობის პროდუქტებით და სხვ. ეს ბუნებრივი ნაყოფიერება სამიწათმოქმედო შრომისა (და აქ ის შრომაც იგულისხმება, რომელიც ხმარდება ბუნების მონაცემის უბრალო მოგროვებას. ნადირობას, თევზაონას, პირუტყვის მოშენებას) შეადგენს ყოველ ზედმეტი შრომის ბაზისს, რადგან ყოველი შრომა თავდაპირველად დაუწინარეს ყოვლისა საჭმლის მითვისებისა და წარმოებისკენა მიმართული. (მაგრამ ცხოველი იძლევა იმავე დროს ტყავს სიცივისგან დასაცავად ცივ ჰავაში; გარდა ამისა ბინები გამოქვაბულში და სხვ.)

ზედმეტი პროდუქტის და მიწის რენტის ასეთსავე არევას, მაგრამ სხვაგვარად გამოთქმულს, ჩვენ ვხედებით ბ-ნ დოჟევასთან. თავდაპირველად სამიწათმოქმედო შრომა და სამრეწველო შრომა განცალკევებული არაა ერთმანეთისაგან; მეორე შეერთებულია პირველთან. მიწათმოქმედი ტომის, საოჯახო თემის თუ ოჯახის ზედმეტი შრომა და ზედ-

მეტი პროდუქტი მოიცავს როგორც სამიწათმოქმედო, ისე სამრეწველო შრომას. ორთავე ხელახელჩაკიდებულა. ნადირობა, მეთევზეობა, მიწათმოქმედება შეუძლებელია სათანადო იარაღების გარეშე. ქსოვა, რთვა და სხვ. თავდაპირველად სრულდება როგორც მიწათმოქმედების დამხმარე მუშაობა.

ჩვენ წინათ ცხადვყავით, რომ როგორც ცალკეული მუშის შრომა იყოფა აუცილებელ და ზედმეტ შრომად, ისე მუშათა კლასის ერთობლივი შრომაც შეიძლება დაიყოს ამგვარადვე, ასე რომ ის ნაწილი, რომელიც მუშათა კლასის მთელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს (ამისათვის საჭირო წარმოების საშუალებების ჩათვლით), ასრულებს აუცილებელ შრომას მთელი საზოგადოებისათვის, ის შრომა, რომელსაც მუშათა კლასის დანარჩენი ნაწილი ასრულებს, შეიძლება განვიხილოთ როგორც ზედმეტი შრომა. მაგრამ აუცილებელი შრომა სრულიადაც არ შეიცავს მარტოდენ სამიწათმოქმედო შრომას, არამედ იმ შრომასაც შეიცავს, რომელიც აწარმოებს ყველა დანარჩენ პროდუქტს, რაც აუცილებლად შედის მუშის საშუალო მოხმარებაში. გარდა ამისა, თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, ერთნი ასრულებენ მარტოდენ აუცილებელ შრომას იმიტომ, რომ სხვები ასრულებენ მარტოდენ ზედმეტ შრომას, და პირიქით. ეს მხოლოდ შრომის დანაწილებაა მათ შორის. ასევეა საქმე საერთოდ მიწათმოქმედ და სამრეწველო მუშებს შორის შრომის დანაწილების მიმართაც. შრომის წმინდა სამრეწველო ხასიათს ერთ მხარეზე შეესაბამება წმინდა სამიწათმოქმედო ხასიათი მეორე მხარეზე. ეს წმინდა სამიწათმოქმედო შრომა სრულიადაც არაა ბუნებით მოცემული, თვით იგი საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია, ამასთან ძალიან ახალი პროდუქტი, რომელიც სრულიადაც არაა ყველგან მიღწეული, — და სავსებით შეესაბამება წარმოების განსაზღვრულ საფეხურს. სწორედ ისე, როგორც სამიწათმოქმედო შრომის ნაწილი გასაგნობრივდება პროდუქტებში, რომელნიც ან მხოლოდ ფუფუნებას ემსახურებიან, ან შეადგენენ ნედლ მასალას მრეწველობისათვის, მაგრამ სრულიადაც არ შედიან საჭმელში, მასების საჭმელზე აღარას ვამბობთ, — სწორედ ისე, მეორე მხრივ, სამრეწველო შრომის ნაწილი სავსებრივდება პროდუქტებში, რომელნიც როგორც მიწათმოქმედი, ისე არამიწათმოქმედი მუშების აუცილებელ მოხმარების საშუალებებს შეადგენენ. შეცდომა იქნებოდა — საზოგადოებრივი თვალსაზრისით — ამ სამრეწველო შრომის ზედმეტ შრომად მიჩნევა. იგი ნაწილობრივ ისევე აუცილებელი შრომაა, როგორც სამიწათმოქმედო შრომის აუცილებელი ნაწილი. იგი აწვევს მხოლოდ განკერძოებული ფორმის იმ სამრეწველო შრომის ნაწი-

ლისა, რომელიც წინათ ბუნებრივად შეერთებული იყო სამიწათმოქმედო შრომასთან, აუცილებელი ურთიერთშეკვებაა ახლა მისგან განცალკევებული წმინდა სამიწათმოქმედო შრომისა (თუ წმინდა მატერიალური თვალსაზრისით განვიხილავთ, მაგალითად, მექანიკურ დაზგებზე მომუშავე 500 ფეიქარი გაცილებით მეტი ოდენობით აწარმოებს ზედმეტ ქსოვილს, ე. ი. აწარმოებს მეტს, ვიდრე საჭიროა თვით მათი საკუთარი ტანსაცმლისათვის).

დასასრულ, მიწის რენტის გამოვლინების ფორმების განხილვისას, ე. ი. იმ საიჯარო ქირის განხილვისას, რასაც მიწის რენტის ტიტულით უხდიან მიწის მესაკუთრეს ნიადაგის — წარმოების თუ მოხმარების მიზნით — გამოყენებისთვის, უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ნივთების ფასი, რომელთაც თავისთავად ღირებულება არა აქვთ, — ე. ი. შრომის პროდუქტებს არ წარმოადგენენ, როგორცაა, მაგალითად, მიწა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, რომელთა კვლავწარმოება არ შეიძლება შრომით, როგორცაა, მაგალითად, ძველი ნაშთები, ამა თუ იმ ხელოვანის ნაწარმოებნი და სხვ., შეიძლება განისაზღვრებოდეს ძალიან შემთხვევითი გარემოებების კომბინაციით. იმისათვის, რომ ნივთი გაიყიდოს, სხვა არა არის რა საჭირო, გარდა იმისა, რომ აწივთს მონოპოლიისა და გასხვისების ობიექტად გახდომის უნარი ჰქონდეს.

მიწის რენტის განხილვისას თავიდან უნდა ავიცილოთ სამი მთავარი შეცდომა, რაც ანალიზს აბუნდოვანებს:

1) ერთმანეთში არევა რენტის სხვადასხვა ფორმებისა, რომელნიც საზოგადოებრივი წარმოების პროცესის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შეესაბამებიან.

როგორც არ უნდა იყოს რენტის სპეციფიკური ფორმა, ყველა მის ტიპს საერთო ის აქვს, რომ რენტის მითვისება ის ეკონომიური ფორმაა, რომელშიაც მიწის საკუთრების რეალიზაცია ხდება, და რომ მიწის რენტა, თავის მხრივ, გულისხმობს მიწის საკუთრებას, განსაზღვრულ ინდივიდთა საკუთრებას დედამიწის განსაზღვრულ ნაკვეთებზე — იქნება მესაკუთრედ პირი, რომელიც სახელმწიფოს [Gemeinwesen] წარმომადგენელია, როგორც აზიაში, ეგვიპტეში და სხვა, იქნება ეს მიწის საკუთრება თავდაპირველი საფუძველი განსაზღვრულ პირთა საკუთრებისა უშუალო მწარმოებელთა პიროვნებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს მონობის ან ბატონყმობის სისტემის დროს, იქნება იგი არამწარმოებელთა კერძო საკუთრება ბუნებაზე, საკუთრების უბრალო ტიტული მიწის მიმართ, თუ, ბოლოს, იქნება იგი ისეთი დამოკიდებულება მიწის მიმართ, რომელიც თითქოს უშუალოდ იგულისხმება

პროდუქტების მითვისებით და წარმოებით უშუალო მწარმოებლების მიერ, რომელთა შრომა იზოლირებულია და სოციალურად განუვითარებელია, როგორც ამას ადგილი აქვს კოლონისტებისა და წვრილ გლეხ-მიწათმფლობელთა შემთხვევაში.

რენტის სხვადასხვა ფორმებისათვის ეს საერთო გარემოება, — ის, რომ რენტა საერთოდ რეალიზაციაა მიწის საკუთრებისა, იმ იურიდიული ფიქციისა, რომლის ძალით სხვადასხვა ინდივიდებს მხოლოდ და მხოლოდ თავის მფლობელობაში აქვთ დედამიწის განსაზღვრული ნაწილები, — ეს საერთო გარემოება იწვევს იმას, რომ ფორმების განსხვავებანი შეუმჩნეველი რჩება.

2) ყოველი მიწის რენტა ზედმეტი ღირებულებაა, ზედმეტი შრომის პროდუქტია. თავის განუვითარებელ ფორმაში, რენტის ნატურალურ ფორმაში, იგი ჭერ კიდევ უშუალოდ არის ზედმეტი პროდუქტი. აქედან გამომდინარეობს ის შეცდომა, რომ ვითომ ის რენტა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების წესს შეესაბამება და რომელიც ყოველთვის წარმოადგენს დამატებით მოგებას, ე. ი. საქონლის ღირებულების იმ ნაწილს ნამეტს, რომელიც თვით შედგება ზედმეტი ღირებულებისგან (ზედმეტი შრომისაგან), — ვითომ ზედმეტი ღირებულების ეს განსაკუთრებული სპეციფიკური შემადგენელი ნაწილი სათანადოდ აიხსნება, რაკი ახსნილი იქნება ზედმეტი ღირებულებისა და მოგების არსებობის საერთო პირობები საზოგადოდ. ეს პირობები ასეთია: უშუალო მწარმოებლებმა უნდა იმუშაონ იმაზე მეტ ხანს, რაც საჭიროა მათი საკუთარი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, თვით მათი კვლავწარმოებისათვის. ისინი საერთოდ უნდა ასრულებდნენ ზედმეტ შრომას. ეს არის სუბიექტური პირობა. ობიექტური კი ის არის, რომ მათ შეეძლონ კიდევ ზედმეტი შრომის შესრულება: ბუნებრივი პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ იმ სამუშაო დროის ნაწილი, რაც უშუალო მწარმოებლებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ, კმაროდეს მათი — როგორც მწარმოებლებს — კვლავწარმოებისა და თვითშენარჩუნებისათვის, რომ მათი აუცილებელი საარსებო საშუალებების წარმოება არ მოიხმარდეს მთელ მათს სამუშაო ძალას. ბუნების ნაყოფიერება წარმოადგენს აქ ერთ საზღვარს, ერთ ამოსავალ წერტილს, ერთ საფუძველს. მეორეს კი შეადგენს მათი შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარება, თუ საგანს კიდევ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, — რადგან კვების საშუალებების წარმოება უშუალო მწარმოებელთა სიცოცხლისა და საერთოდ ყოველი წარმოების უპირველესი პირობაა, — ამ წარმოებაში გამოყენებული შრომა, მამასადამე, სამიწათმოქმედო შრომა ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფარ-

თო ეკონომიური აზრით იმდენად ნაყოფიერი უნდა იყოს, რომ მთელ შესაძლებელ სამუშაო დროს არ ნთქავდეს კვების საშუალებების წარმოება უშუალო მწარმოებელთათვის; ე. ი. შესაძლებელი იყოს სამიწათმოქმედო ზედმეტი შრომა და, მაშასადამე, სამიწათმოქმედო ზედმეტი პროდუქტიც. შემდეგ: (აუცილებელია, რომ საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მთელი სამიწათმოქმედო შრომა — აუცილებელი და ზედმეტი შრომა — კმაროდეს კვების საშუალებების საწარმოებლად მთელი საზოგადოებისათვის, ე. ი. არამიწათმოქმედი მუშებისთვისაც; მაშასადამე, რომ შესაძლებელი იყოს შრომის ეს დიდი დანაწილება მიწათმოქმედთა და მრეწველთა შორის, აგრეთვე საზრდოს მწარმოებელ მიწათმოქმედთა და იმ მიწათმოქმედთა შორის, რომელნიც ნედლ მასალებს აწარმოებენ.) თუმცა საზრდოს უშუალო მწარმოებელთა შრომა თვით მათთვის აუცილებელ და ზედმეტ შრომად იყოფა, მაგრამ საზოგადოების მიმართ იგი წარმოადგენს მარტოდენ აუცილებელ შრომას, რომელიც კვების საშუალებების საწარმოებლადაა საჭირო. ესეც კია, რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს შრომის ყოველი დანაწილების მიმართაც საზოგადოების შიგნით, განსხვავებით შრომის დანაწილებისაგან ცალკეულ სახელოსნოს შიგნით. (ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შრომასთან, რომელიც აუცილებელია განსაკუთრებულ საგანთა საწარმოებლად, იმ განსაკუთრებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელიც საზოგადოებას აქვს ამ განსაკუთრებული საგნების მიმართ.) თუ შრომის ეს დანაწილება პროპორციულია, — სხვადასხვა ჯგუფთა პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით (ანალიზის განგრძობისას — მათი წარმოების ფასის მიხედვით) ანდა იმ ფასების მიხედვით გაიყიდება, რომელნიც ამ ღირებულებათა ანუ წარმოების ფასთა — საერთო კანონებით განსაზღვრულ — მოდიფიკაციებს წარმოადგენენ. მართლაც, ღირებულების კანონი ძალაშია არა ცალკეულ საქონელთა ანუ საგანთა მიმართ, არამედ თვითეულ შემთხვევაში განსაკუთრებულ, შრომის დანაწილების გამო განკერძოებულ საზოგადოებრივ წარმოების სფეროთა პროდუქტების ერთობლიობის მიმართ. მაშასადამე, ღირებულების კანონი ვლინდება არა მარტო იმ მხრივ, რომ ყოველ ცალკეულ საქონელზე მხოლოდ აუცილებელი სამუშაო დროა დახარჯული, არამედ იმ მხრივაც, რომ სხვადასხვა ჯგუფებზე ერთობლივი საზოგადოებრივი დროიდან მხოლოდ აუცილებელი პროპორციული რაოდენობაა დახარჯული. ეს იმიტომ, რომ პირობად რჩება ის, რომ საქონელი სახმარ ღირებულებას წარმოადგენდეს. მაგრამ თუ ცალკეული საქონლის სახმარი ღირებულება იმაზე დამოკიდებული, რომ იგი თავისდათავად რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფი-

ლებს, საზოგადოებრივი პროდუქტების განსაზღვრული მასის სახმარი ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, რომ იგი შეესაბამება რაოდენობრივად განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას თვითეული განსაკუთრებული სახის პროდუქტის მიმართ და რომ, მაშასადამე, შრომა ამ საზოგადოებრივი, რაოდენობრივად განსაზღვრული, მოთხოვნილების შესაბამისად წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის პროპორციულად არის განაწილებული. (ამ პუნქტზე საჭირო იქნება შეჩერება წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის კაპიტალის განაწილების საკითხთან დაკავშირებით) საზოგადოებრივი მოთხოვნილება, ე. ი. სახმარი ღირებულება საზოგადოებრივი მასშტაბით, — აი რა განსაზღვრავს აქ ერთობლივი საზოგადოებრივი სამუშაო დროის იმ წილს, რაც წარმოების სხვადასხვა განსაკუთრებულ სფეროს ხვდება. მაგრამ ეს მაინც იგივე კანონია, რომელიც თავს იჩენს ცალკეული საქონლის მიმართ, სახელდობრ ის კანონი, რომლის თანახმად საქონლის სახმარი ღირებულება წინაპირობაა მისი საცვლელი ღირებულებისა და ამიტომ მისი ღირებულებისაც. ამ პუნქტს მხოლოდ ის კავშირი აქვს აუცილებელსა და ზედმეტ შრომას შორის არსებულ შეფარდებასთან, რომ როცა ეს პროპორცია დარღვეულია, საქონლის ღირებულება და, მაშასადამე, მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულებაც არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს. ვთქვათ, მაგალითად, ბამბის ქსოვილი არაპროპორციულად ბევრია წარმოებული, თუმცა მთელ ამ პროდუქტში, ამ ქსოვილში, განხორციელებულია მხოლოდ ის დრო, რომელიც ამისთვის მოცემულ პირობებში აუცილებელს წარმოადგენს. მაგრამ საერთოდ ამ განსაკუთრებულ დარგზე ძალიან ბევრი საზოგადოებრივი შრომაა დახარჯული, ე. ი. პროდუქტის ნაწილი უსარგებლოა. ამიტომ მთელი პროდუქტი ისე გაიყიდება მხოლოდ, თითქოს იგი აუცილებელი პროპორციით ყოფილიყო წარმოებული. საზოგადოებრივი სამუშაო დროის იმ ნაწილების ეს რაოდენობრივი საზღვარი, რომლებიც შეიძლება წარმოების სხვადასხვა განსაკუთრებულ სფეროზე იქნეს დახარჯული, მხოლოდ უფრო განვითარებული გამოსახულებაა ღირებულების კანონისა საერთოდ, თუმცა აუცილებელი სამუშაო დრო აქ სხვა აზრს იღებს. საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ამდენი და ამდენი სამუშაო დრო. შეზღუდვა ჩნდება აქ სახმარი ღირებულების გამო. საზოგადოებას, წარმოების მოცემულ პირობებში, მთელი სამუშაო დროიდან, რაც მას თავის განკარგულებაში აქვს, მხოლოდ ამდენი და ამდენი შეუძლია დახარჯოს განსაზღვრული სახეობის ამა თუ იმ პროდუქტზე. მაგრამ ზედმეტი შრომის და ზედმეტი ღირებულების სუბიექტურ და ობიექტურ პირობებს საერ-

თოდ არავითარი საქმე არა აქვს როგორც მოგების, ისე რენტის განსაზღვრულ ფორმასთან. მათ მნიშვნელობა აქვთ ზედმეტი ღირებულებისათვის როგორც ასეთისათვის, სულ ერთია რა განსაკუთრებულ ფორმებსაც არ უნდა იღებდეს იგი. ამიტომ ისინი ვერ აგვიხსნიან მიწის რენტას.

3) სწორედ მიწის საკუთრების ეკონომიურ რეალიზაციაში, მიწის რენტის განვითარებაში წარმოგვიდგება განსაკუთრებით თავისებურად ის გარემოება, რომ რენტის სიდიდე სრულიადაც არ განისაზღვრება მისი მიმღების აქტიური მონაწილეობით, რომ იგი განისაზღვრება იმ შრომის საზოგადოებრივი განვითარებით, რომელიც დამოუკიდებელია მისი მოქმედებისაგან და რომელშიც იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ამიტომ ადვილად შეიძლება რენტის (და საერთოდ მიწათმოქმედების პროდუქტის) დამახასიათებელ თავისებურებად მიჩნეულ იქნეს ის, რაც საქონელწარმოების საფუძველზე — უფრო სწორად კი, კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, რომელიც მთელი თავისი მოცულობით საქონელწარმოებას წარმოადგენს — საერთოა წარმოების ყველა დარგისათვის და მათი ყველა პროდუქტისათვის.

საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში მიწის რენტის სიდიდე (და მასთან ერთად მიწის ღირებულება) ვითარდება როგორც მთელი საზოგადოებრივი შრომის შედეგი. ერთი მხრივ, საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად იზრდება ბაზარი და მიწის პროდუქტების მოთხოვნა, მეორე მხრივ — უშუალოდ თვით მიწის მოთხოვნა როგორც წარმოების ხელშემწყობი პირობისა საქმიანობის ყოველგვარი, აგრეთვე არასამიწათმოქმედო, დარგისათვის. უფრო ზუსტად და თუ მხოლოდ საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტაზე ვილაპარაკებთ, რენტა და მასთან ერთად მიწის ღირებულებაც ვითარდება მიწის პროდუქტის ბაზრის პარალელურად, და, მაშასადამე, არამიწათმოქმედი მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იმასთან ერთად, თუ როგორ იზრდება ამ მოსახლეობის მოთხოვნილება, მისი მოთხოვნა ნაწილობრივ კვების საშუალებებზე, ნაწილობრივ ნედლ მასალაზე. კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნებასთანაა დაკავშირებული ის გარემოება, რომ იგი მუდამ ამცირებს მიწათმოქმედ მოსახლეობას არამიწათმოქმედ მოსახლეობასთან შედარებით, იმიტომ რომ მრეწველობაში (ვიწრო აზრით) მუდმივი კაპიტალის შეფარდებით ზრდას, ცვალებადთან შედარებით, თანახლავს აბსოლუტური ზრდა — თუმცა შეფარდებითი შემცირება — ცვალებადი კაპიტალისა, მაშინ როდესაც მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული ნაკვეთის საექს-

პლოტაციოდ, აბსოლუტურად მცირდება; ე. ი. შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მიწა დამუშავდება, მაგრამ ეს თავის მხრივ გულისხმობს არამიწათმოქმედი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდ ზრდას.

სინამდვილეში ეს მოვლენა არ წარმოადგენს მიწათმოქმედებისა და მისი პროდუქტების სპეციფიკურ თავისებურებას. პირიქით, საქონელწარმოებისა და მისი აბსოლუტური ფორმის, კაპიტალისტური წარმოების, საფუძველზე იგივე მოვლენა ძალაშია წარმოების ყველა სხვა დარგისა და პროდუქტის მიმართ.

ეს პროდუქტები საქონელია, სახმარი ღირებულებანი, რომელთაც აქვთ საცვლელი ღირებულება, ამასთან საცვლელი ღირებულება, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს, ფულად გადაიქცეს; მათ ეს საცვლელი ღირებულება მხოლოდ იმდენად აქვთ, რამდენადაც სხვა საქონელი მათთვის ეკვივალენტს შეადგენს, რამდენადაც სხვა პროდუქტები მათ უპირისპირდებიან როგორც საქონელი და როგორც ღირებულებანი; მაშასადამე, იმდენად, რამდენადაც ეს პროდუქტები იწარმოება არა როგორც უშუალო საარსებო საშუალებანი თვით მათი მწარმოებლებისათვის, არამედ როგორც საქონელი, როგორც პროდუქტები, რომელნიც მხოლოდ საცვლელ ღირებულებად (ფულად) გადაქცევის გზით, მათი გასხვიების გზით იქცევიან სახმარ ღირებულებად. ამ საქონლის ბაზარი ვითარდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გამო; მწარმოებელურ სამუშაოთა განცალკევება მათს სათანადო პროდუქტებს აქცევს საქონლად ერთიმეორის მიმართ, ერთმანეთის ეკვივალენტებად, ბაზრის როლს ასრულებინებს ამ საქონელთ ერთმანეთისათვის. ამაში სრულიად არაფერია მიწათმოქმედების პროდუქტთა სპეციფიკურად დამახასიათებელი.

რენტა ფულადი რენტის სახით შეიძლება განვითარდეს მხოლოდ საქონელწარმოების საფუძველზე, უფრო სწორად — კაპიტალისტურ წარმოების საფუძველზე, და იგი ვითარდება იმ ზომით, რა ზომითაც სამიწათმოქმედო წარმოება საქონელწარმოებად იქცევა, მაშასადამე, იმ ზომით, რა ზომითაც არასამიწათმოქმედო წარმოება მის პირისპირ ვითარდება როგორც დამოუკიდებელი წარმოება; იმიტომ რომ მიწათმოქმედების პროდუქტი იმ ზომითვე იქცევა საქონლად, საცვლელ ღირებულებად და ღირებულებად. იმავე ზომით, როგორც კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად ვითარდება საქონელწარმოება და, მაშასადამე, ღირებულების წარმოება, — ვითარდება ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი პროდუქტის წარმოება. მაგრამ იმავე ზომით, როგორც უკანასკნელი ვითარდება, ვითარდება მიწის საკუთრების უნარიც —

ხელთ იგდოს, მიწაზე მონოპოლიის საშუალებით, ამ ზედმეტი ღირებულების სულ უფრო მზარდი ნაწილი, ე. ი. გაადიდოს თავისი რენტის ღირებულება და მასთან ერთად თვით მიწის ფასიც. ამ ზედმეტი ღირებულების და ზედმეტი პროდუქტის განვითარებაში კაპიტალისტი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ აგენტს წარმოადგენს. მიწის მესაკუთრეს მხოლოდ ის როლი აქვს, რომ ხელი ჩასჭიდოს ამგვარად მისი მონაწილეობის გარეშე შექმნილი ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების მზარდ წილს. აი, რა შეადგენს მისი მდგომარეობის დამახასიათებელ თავისებურებას, და არა ის, რომ მიწის პროდუქტების და, ამიტომ, თვით მიწის ფასი სულ უფრო იზრდება იმ ზომით, რა ზომითაც ფართოვდება მათთვის ბაზარი, მატულობს მოთხოვნა და მასთან ერთად მიწის პროდუქტის პირისპირ მდგომი საქონელთა სამყარო, ე. ი. სხვა სიტყვებით: რა ზომითაც მატულობს არასამიწათმოქმედო საქონელმწარმოებელთა და არასამიწათმოქმედო საქონელწარმოების მასა. მაგრამ რადგან ეს მიწის მესაკუთრის მონაწილეობის გარეშე ხდება, ამიტომ მას რაღაც სპეციფიკურ თავისებურებად ეჩვენება ის მოვლენა, რომ ღირებულების მასა, ზედმეტი ღირებულების მასა და ამ ზედმეტი ღირებულების მიწის რენტად გადაქცევა დამოკიდებულია საზოგადოებრივ წარმოების პროცესზე, საერთოდ საქონელწარმოების განვითარებაზე. ამიტომ დოუგსს, მაგალითად, სურს რენტა აქედან გამოიყვანოს. იგი ამტკიცებს, რენტა დამოკიდებულია არა მიწათმოქმედების პროდუქტის მასაზე, არამედ მის ღირებულებაზე; უკანასკნელი კი დამოკიდებულია არამიწათმოქმედი მოსახლეობის მასასა და მწარმოებლობაზე. მაგრამ ეს ხომ ყოველი სხვა პროდუქტის მიმართაც ასეა; სახელდობრ, იგი ვითარდება როგორც საქონელი იმ ზომით, როგორც იზრდება ნაწილობრივ მასა, ნაწილობრივ ნაირსახეობა მთელ რიგ სხვა საქონელთა, რომელნიც მის ეკვივალენტებს შეადგენენ. ეს უკვე ნაჩვენები იყო ღირებულების ზოგად გარკვევასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ამა თუ იმ პროდუქტის გაცვლისუნარიანობა საერთოდ დამოკიდებულია იმ საქონელთა მრავალფეროვანებაზე, რომელნიც მის გარდა არსებობენ. მეორე მხრივ, ამაზედვე დამოკიდებულია განსაკუთრებით ის რაოდენობა, რომლითაც ეს პროდუქტი შეიძლება წარმოებულ იქნეს როგორც საქონელი.

არც ერთი მწარმოებელი, — არც მრეწველი, არც მიწათმოქმედი, — იზოლირებულად განხილული, არ აწარმოებს ღირებულებას ანუ საქონელს. მისი პროდუქტი მხოლოდ განსაზღვრულ საზოგადოებრივ კავშირურთიერთობაში იქცევა ღირებულებად. ჯერ ერთი, რამდენადაც იგი საზოგადოებრივი შრომის გამოსახულებას წარმოადგენს, მასასა-

დამე, რამდენადაც მწარმოებლის საკუთარი სამუშაო დრო საზოგადოებრივი სამუშაო დროის ნაწილს შეადგენს საერთოდ; მეორე, მისი შრომის ეს საზოგადოებრივი ხასიათი ვლინდება როგორც მისი პროდუქტის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ხასიათი ამ პროდუქტის ფულად ხასიათში და მის საერთო გაცვლისუნარიანობაში, რასაც ფასი განსაზღვრავს.

ამრიგად, თუ, ერთი მხრივ, იმის ნაცვლად, რომ რენტა ახსნან, გვიხსნიან ზედმეტ ღირებულებას ან კიდევ, უფრო შეზღუდული გაგებით, ზედმეტ პროდუქტს საერთოდ, — მეორე მხრივ, აქ იმ შეცდომას უშვებენ, რომ იმ თვისებას, რომელიც ყველა პროდუქტს ახასიათებს როგორც საქონელს და ღირებულებას, მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედების პროდუქტებს მიაწერენ. ახსნა კიდევ უფრო ზერელე ხდება, როდესაც ღირებულების ზოგადი განსაზღვრიდან განსაზღვრული საქონელღირებულების რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა ზ ე გადადიან. ყოველ საქონელს მხოლოდ მიმოქცევის პროცესში შეუძლია თავისი ღირებულების რეალიზაცია, მაგრამ მოახდენს თუ არა იგი და რამდენად მოახდენს ამ რეალიზაციას, ეს ყოველთვის ბაზრის პირობებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, მიწის რენტის თავისებურება ის კი არაა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები ვითარდებიან ღირებულებებად და როგორც ღირებულებანი, ე. ი. არა ის, რომ ისინი როგორც საქონელნი უპირისპირდებიან სხვა საქონელს და არასამიწათმოქმედო პროდუქტები მათ უპირისპირდებიან როგორც საქონელნი, ანუ რომ ისინი ვითარდებიან როგორც საზოგადოებრივი შრომის განსაკუთრებული გამოსახულებანი. თავისებურება ისაა, რომ იმ პირობებთან ერთად, რომლებშიაც მიწათმოქმედების პროდუქტები ვითარდებიან ღირებულებად (საქონლად), და მათი ღირებულების რეალიზაციის პირობებთან ერთად ვითარდება მიწის საკუთრების ძალაც — მიითვისოს ამ მის დაუხმარებლად შექმნილ ღირებულებათა სულ უფრო მზარდი ნაწილი, ზედმეტ ღირებულების სულ უფრო მზარდი ნაწილი მიწის რენტად იქცევა.

თავი ოცდამეთრამეტი

ლიზინიანი რენტი. ზოგადი შენიშვნები

მიწის რენტის ანალიზისას ჩვენ უწინარეს ყოვლისა იმის ვარაუდ-დან გამოვდივართ, რომ პროდუქტები, რომლებიდანაც ასეთ რენტას იხდიან, რომლებშიაც ზედმეტი ღირებულების ნაწილი და, ამიტომ, რთელი ფასის ნაწილიც რენტად იქცევა, — ჩვენი მიზნისთვის საკმა-რისია მხედველობაში მივიღოთ მიწათმოქმედების პროდუქტები ან აგრეთვე მანდნული პროდუქტები, — მაშასადამე, რომ მიწის და მან-დნული პროდუქტები, ყველა სხვა საქონლის მსგავსად, მათი წარმოების ფასების მიხედვით გაიყიდება. ე. ი. მათი გასაყიდი ფასები ეთანატო-ლება მათი წარმოების ხარჯების ელემენტებს (მოხმარებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას) პლუს მოგების საერთო ნორ-მით განსაზღვრული მოგება, რომელიც გამოანგარიშებულია მთელ ავანსებულ, — როგორც მოხმარებულ, ისე არამოხმარებულ — კაპი-ტალზე. ამრიგად, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ამ პროდუქტების სა-შუალო გასაყიდი ფასები მათი წარმოების ფასებს უდრის. და აქ ისმის შემდეგი კითხვა: როგორ შეიძლება ამ ნაგულისხმევის საფუძველზე მიწის რენტა განვითარდეს, ე. ი. როგორ შეიძლება მოგების ნაწილზე მიწის რენტად გადაიქცეს და, მაშასადამე, ფასის ნაწილი მიწის მესა-კუთრეს ხვდეს.

მიწის რენტის ამ ფორმის ზოგადი ხასიათის ცხადყოფის მიზნით, ვიგულისხმობთ, რომ რომელიმე ქვეყანაში ფაბრიკების დიდძალი უმ-რავლესობა მოძრაობაში მოჰყავთ ორთქლის მანქანებით, ხოლო მათი განსაზღვრული უმცირესობა — ბუნებრივი ჩანჩქერებით. ვიგულის-ხმობთ, რომ მრეწველობის სათანადო დარგებში წარმოების ფასი შეად-გენს 115-ს საქონელთა ისეთი მასისათვის, რომელზედაც იხარჯება 100 კაპიტალი. ეს 15% მოგება იანგარიშება არა მარტო 100-ის რაო-დენობის მოხმარებულ კაპიტალზე, არამედ მთელ კაპიტალზე, რომე-ლიც გამოყენებულია ამ საქონელღირებულების წარმოებაში. ეს წარ-
15. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

მოების ფასი, როგორც წინათ იყო გარკვეული, განისაზღვრება არა ყოველი ცალკეული მრეწველი მწარმოებლის ინდივიდუალური ხარჯთფასით, არამედ იმ ხარჯთფასით, რადაც საქონელი საშუალოდ ჯდება კაპიტალის საშუალო პირობების საფუძველზე მთელ წარმოების სფეროში. სინამდვილეში ეს წარმოების საბაზრო ფასია, საშუალო საბაზრო ფასი, განსხვავებით მისი რყევისაგან. საქონელთა ღირებულების ბუნება, ღირებულების განსაზღვრა არა იმ სამუშაო დროით, რომელიც ინდივიდუალურად აუცილებელია განსაზღვრული ცალკეული მწარმოებლისათვის საქონელთა განსაზღვრული რაოდენობის ან ცალკეული საქონლის საწარმოებლად, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით, იმ სამუშაო დროით, რაც მოცემულ საშუალო საზოგადოებრივ წარმოების პირობებში საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ბაზარზე მყოფი სხვადასხვა საქონლის მთელი საზოგადოებრივად აუცილებელი რაოდენობა, — ღირებულების ეს ბუნება, ეს წესი მისი განსაზღვრისა საერთოდ თავის გამოსახულებას პოულობს საბაზრო ფასის ფორმაში [Gestalt] და, შემდეგ, მარეგულირებელი საბაზრო ფასის, ანუ საბაზრო წარმოების ფასის ფორმაში.

რადგან აქ საკვებით სულ ერთია, თუ რა რიცხობრივ შეფარლებას ავიღებთ, ამიტომ ჩვენ ვიგულისხმებთ, შემდეგ, რომ ხარჯთფასი იმ ფაბრიკებში, რომლებიც წყლის ძალას მოჰყავს მოძრაობაში, 100-ის ნაცვლად შეადგენს მხოლოდ 90-ს. რადგან ამ საქონელთა მასის წარმოების ფასი, რომელიც ბაზარს არეგულირებს, 15% მოგებითურთ უდრის 115-ს, ამიტომ ის მეფაბრიკენიც, რომელთა ფაბრიკები წყალს მოჰყავს მოძრაობაში, თავიანთ საქონელს 115-ად გაყიდიან, ე. ი. იმ საშუალო ფასად, რომელიც საბაზრო ფასს არეგულირებს. ამიტომ მათი მოგება შეადგენს, ვთქვათ, 25-ს, ნაცვლად 15-ისა; წარმოების მარეგულირებელი ფასი მათ საშუალებას მისცემდა 10% რაოდენობის დამატებითი მოგება მიეღოთ, არა იმიტომ, რომ ისინი თავიანთ საქონელს წარმოების ფასზე უფრო ძვირად ყიდიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი მას წარმოების ფასის მიხედვით ყიდიან, იმიტომ, რომ მათი საქონელი იწარმოება ანუ მათი კაპიტალი მოქმედებს განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, ისეთ პირობებში, რომლებიც ამ სფეროში დამყარებულ საშუალო დონეზე მაღლა დგას.

აქ მაშინვე თავს იჩენს ორგვარი გარემოება.

პირველი: იმ მწარმოებელთა დამატებითი მოგება, რომელნიც მამოძრავებელ ძალად ბუნებრივ ჩანჩქერს იყენებენ, პირველად ისეთივე ხასიათისაა, როგორც ყოველი დამატებითი მოგება (და ჩვენ უკვე გამოვიკვლიეთ ეს კატეგორია, როდესაც წარმოების ფასებს ვარკვევ-

დით), რომელიც არ არის მიმოქცევის პროცესში მიმდინარე ოპერაციების შემთხვევითი შედეგი, არ არის საბაზრო ფასების შემთხვევითი რყევის შედეგი. ამრიგად, ეს დამატებითი მოგება უღრის სხვაობას ამ, ხელსაყრელ პირობებში — მყოფ მწარმოებელთა ინდივიდუალურ წარმოების ფასსა და მთელი ამ წარმოების სფეროს საერთო საზოგადოებრივ წარმოების ფასს შორის, რომელიც ბაზარს არეგულირებს. ეს სხვაობა უღრის საქონლის საერთო წარმოების ფასის ნამეტს მის ინდივიდუალურ წარმოების ფასთან შედარებით. ორი საზღვარი — არეგულირებს ამ ნამეტს: ერთ მხარეზე ინდივიდუალური ხარჯთფასი და ამიტომ ინდივიდუალური წარმოების ფასი, მეორე მხარეზე კი — საერთო წარმოების ფასი. ჩანჩქერით წარმოებული საქონლის ღირებულება ნაკლებია იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში წარმოებისთვის საჭიროა შრომის ნაკლები საერთო რაოდენობა, სახელდობრ იმ შრომაზე ნაკლები, რომელიც წარმოებაში შედის გასაგნობრივებული ფორმით, როგორც მუდმივი კაპიტალის ნაწილი. აქ გამოყენებული შრომა უფრო ნაყოფიერია, მისი ინდივიდუალური მწარმოებლური ძალა უფრო დიდია, ვიდრე იმ შრომის, რომელიც ამგვარივე ფაბრიკების მასაში გამოიყენება. მისი უფრო დიდი მწარმოებლური ძალა იმაში მქლავნდება, რომ საქონელთა იმავე მასის საწარმოებლად საჭიროა მუდმივი კაპიტალის ნაკლები რაოდენობა, გასაგნობრივებული შრომის ნაკლები რაოდენობა, ვიდრე მეორე შემთხვევაში; თანაც, გარდა ამისა, საჭიროა ცოცხალი შრომის ნაკლები რაოდენობა, რადგან წყლის ბორბალს გათბობა არ სჭირდება. გამოყენებული შრომის ეს უფრო დიდი ინდივიდუალური მწარმოებლური ძალა ამცირებს ღირებულებას, აგრეთვე საქონლის ხარჯთფასს და ამით წარმოების ფასს. მრეწველისთვის ეს ისე გამოიხატება, რომ მისთვის საქონლის ხარჯთფასი უფრო ნაკლებია. მას ნაკლების დახარჯვა სჭირდება გასაგნობრივებული შრომისათვის და ასევე ნაკლები ხელფასისთვისაც, იმიტომ რომ მასთან ნაკლები ცოცხალი სამუშაო ძალა გამოიყენება. რადგან მისი საქონლის ხარჯთფასი ნაკლებია, ამიტომ მისი ინდივიდუალური წარმოების ფასიც ნაკლებია. ხარჯთფასი მისთვის არის 90, ნაცვლად 100-ისა. მაშასადამე, მისი ინდივიდუალური ფასიც ამ შემთხვევაში 115-ის ნაცვლად შეადგენს მხოლოდ $103\frac{1}{2}$ -ს ($100 : 115 = 90 : 103\frac{1}{2}$). სხვაობა მის ინდივიდუალურ წარმოების ფასსა და საერთო წარმოების ფასს შორის შემოსაზღვრულია სხვაობით მის ინდივიდუალურ ხარჯთფასსა და საერთო ხარჯთფასს შორის. ეს არის ერთ-ერთი სიდიდე, რომელიც ქმნის საზღვარს მისი დამატებითი მოგებისათვის. მეორე სიდიდეა სიდიდე საერთო წარმოების ფასისა, რო-

მელშიაც მოგების საერთო ნორმა შედის როგორც ერთ-ერთი მარეგულირებელი ფაქტორი. თუ ნახშირი გაიადფედბოდა, სხვაობა მის ინდივიდუალურ ხარჯთფასსა და საერთო ხარჯთფასს შორის შემცირდებოდა და ამიტომ შემცირდებოდა მისი დამატებითი მოგებაც. თუ მას მოუხდებოდა საქონლის გაყიდვა მისი ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით ანუ ამ ინდივიდუალური ღირებულებით განსაზღვრული წარმოების ფასის მიხედვით, — სხვაობაც მოიხსნებოდა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმის შედეგს, რომ საქონლის გაყიდვა ხდება მისი საერთო საბაზრო ფასის მიხედვით, იმ ფასად, რადაც კონკურენცია ათანატოლებს ინდივიდუალურ ფასებს, და მეორე მხრივ — იმისას, რომ მრეწველის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის მწარმოებლური ძალა მიდის არა მუშების სასარგებლოდ, არამედ, როგორც ყოველი შრომის მწარმოებლური ძალა, იმის სასარგებლოდ, ვინც მუშებს ამუშავებს, ასე რომ იგი გამოსახება როგორც კაპიტალის მწარმოებლური ძალა.

რადგან ამ დამატებითი მოგების ერთ-ერთი საზღვარი საერთო წარმოების ფასის დონეა, ფასისა, რომლის მიმართ მოგების საერთო ნორმა ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ ეს დამატებითი მოგება შეიძლება წარმოშვას მხოლოდ სხვაობამ საერთო წარმოების ფასსა და ინდივიდუალურ წარმოების ფასს შორის, მამასადამე, სხვაობამ მოგების ინდივიდუალურ ნორმასა და საერთო ნორმას შორის. ამ სხვაობის ნამეტი გულისხმობს პროდუქტის გაყიდვას უფრო ძვირად და არა ბაზრის მიერ რეგულირებულ წარმოების ფასად.

მეორე: აქამდე იმ მეფაბრიკის დამატებითი მოგება, რომელიც ორთქლის ნაცვლად ბუნებრივ ჩანჩქერს ხმარობს მამოძრავებელ ძალად, არაფრით არ განირჩევა ყოველი სხვა დამატებითი მოგებისაგან. ყოველი ნორმალური დამატებითი მოგება, ე. ი. ისეთი, რომელიც გაყიდვის შემთხვევითი ოპერაციებიდან ან საბაზრო ფასის რყევიდან არაა წარმომდგარი, განისაზღვრება სხვაობით ამ განსაკუთრებულ კაპიტალის საქონელთა ინდივიდუალურ წარმოების ფასსა და იმ საერთო წარმოების ფასს შორის, რომელიც არეგულირებს საერთოდ ამ წარმოების სფეროს კაპიტალით წარმოებულ საქონელთა საბაზრო ფასებს ანუ, სხვა სიტყვებით, არეგულირებს ამ წარმოების სფეროში დაბანდებული მთელი კაპიტალის საქონელთა საბაზრო ფასებს.

მაგრამ აქედან იწყება განსხვავება.

რა გარემოებას უნდა უმადლოდეს ამ შემთხვევაში მეფაბრიკე თავის დამატებით მოგებას, ნამეტს, რასაც პირადად მას აძლევს მოგების საერთო ნორმით რეგულირებული წარმოების ფასი?

პირველ რიგში — ბუნებრივ ძალას, ჩანჩქერის მამოძრავებელ ძალას, ჩანჩქერს, რომელიც ბუნების მიერ არის მოცემული და არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რასაც, მაგალითად, წარმოადგენს ნახშირი, წყალს ორთქლად რომ გარდაქმნის და თვითონ რომ შრომის პროდუქტია, მაშასადამე, აქვს ღირებულება, გადახდილ უნდა იქნეს ეკვივალენტით, ღირს რამედ. ჩანჩქერი წარმოების ბუნებრივი აგენტია, რომლის შესაქმნელად საჭირო არ არის შრომა.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ის მეფაბრიკეც, რომელიც ორთქლის მანქანით მუშაობს, გამოიყენებს ბუნების ძალებს, რომელზეც ის არაფერს ხარჯავს, მაგრამ რომელნიც უფრო აღიდებენ შრომის მწარმოებლურ ძალას, და, რამდენადაც ისინი ამის გამო მუშებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებას აიაფებენ, აღიდებენ ზედმეტ ღირებულებას და ამიტომ მოგებასაც; რომელნიც, მაშასადამე, ისევე ექვემდებარებიან მონოპოლიზაციას კაპიტალის მხრივ, როგორც კოოპერაციიდან, შრომის დანაწილებიდან და სხვ. წარმომდგარი შრომის საზოგადოებრივი ბუნებრივი ძალები. მეფაბრიკე იხდის ნახშირისათვის, მაგრამ არა წყლის იმ თვისებისთვის, რომ მას შეუძლია შეიცვალოს თავისი ფიზიკური მდგომარეობა, გადაიქცეს ორთქლად, იხდის არა ორთქლის ელასტიკურობისათვის და სხვ. ეს მონოპოლიზაცია ბუნებრივი ძალებისა, ე. ი. მათი შემწეობით სამუშაო ძალის გადიდებისა, საერთოა ყველა კაპიტალისათვის, რომელიც ორთქლის მანქანებით მუშაობს. მას შეუძლია შრომის პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, გაადიდოს იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ხელფასად გადაიქცევა. რამდენადაც ამას ასრულებს, იგი მაღლა სწევს მოგების საერთო ნორმას, მაგრამ არ ქმნის დამატებით მოგებას, რადგან უკანასკნელი წარმოადგენს სწორედ ინდივიდუალური მოგების ნამეტს საშუალო მოგებასთან შედარებით. ამრიგად, თუ განსაზღვრული ბუნებრივი ძალის, ჩანჩქერის, გამოყენება აქ დამატებით მოგებას ქმნის, ეს არ შეიძლება მარტოოდენ იმ ფაქტის შედეგი იყოს, რომ შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება აქ გამოწვეულია ბუნებრივი ძალის გამოყენებით. ამისთვის აუცილებელია კიდევ მოდიფიკაციის წარმომშობი სხვა გარემოებანი.

პირიქით, ბუნების ძალების უბრალო გამოყენებას მრეწველობაში შეუძლია გავლენა მოახდინოს მოგების საერთო ნორმის სიმაღლეზე, იმიტომ რომ იგი გავლენას ახდენს აუცილებელ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად საჭირო შრომის მასაზე. მაგრამ იგი თავისთავად არ ქმნის არავითარ გადახრას მოგების საერთო ნორმისაგან, ლაპარაკი კი სწორედ ამ გადახრაზეა ამ შემთხვევაში. შემდეგ: დამატებითი მოგება,

რასაც სხვა შემთხვევებში ინდივიდუალური კაპიტალი მიიღებს წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში — იმიტომ რომ მოგების ნორმის გადახრანი წარმოების განსაკუთრებულ სფეროებში განუწყვეტლივ თანატოლდებიან მოგების საშუალო ნორმად — წარმოდგება, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ წმინდა შემთხვევითი ხასიათის გადახრებს, ხარჯთფასის შემცირებიდან, მაშასადამე, წარმოების ხარჯების შემცირებიდან; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იმ გარემოების მეოხებით წარმოდგება, რომ კაპიტალს საშუალო ოდენობაზე უფრო დიდი ოდენობით გამოიყენებენ და ამიტომ წარმოების *faux frais* [არამწარმოებლური ხარჯები] მცირდება, მაშინ როდესაც შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების საერთო მიზეზები (კოოპერაცია, შრომის დანაწილება და სხვ.) გაძლიერებული ხარისხით, უფრო დიდი ინტენსივობით მოქმედების შესაძლებლობას იღებენ შრომის უფრო ფართო ასპარეზზე მოქმედების გამო; ანდა წარმოების ხარჯების შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ, თუ მოქმედი კაპიტალის ზოცულობას ყურადღებას არ მივაქცევთ, გამოიყენება შრომის უკეთესი მეთოდები, ახალი გამოგონებანი, გაუმჯობესებული მანქანები, ფაბრიკაციის ჭიმითური საიდუმლოებანი და სხვ., მოკლედ, გამოიყენება, ახალი, გაუმჯობესებული, საშუალო დონეზე მაღლა მდგომი წარმოების საშუალებანი და წარმოების მეთოდები. ხარჯთფასის შემცირება და აქედან გამომდინარე დამატებითი მოგება აქ იმ წესიდან წარმოდგება, რომლითაც მოქმედი კაპიტალი გაშოიყენება. იგი წარმოდგება ან იმის გამო, რომ კაპიტალის არაჩვეულებრივად დიდი ოდენობით კონცენტრაცია ხდება ერთ ხელში, — გარემოება, რასაც ადგილი არა აქვს, როდესაც საშუალოდ ტოლი კაპიტალის მასები გამოიყენება, — ანდა იმის გამო, რომ განსაზღვრული სიდიდის კაპიტალი მოქმედებს განსაკუთრებულად მწარმოებლური წესით, — გარემოება, რასაც ადგილი არა აქვს, რაკი წარმოების განსაკუთრებული მეთოდი საყოველთაო გავრცელებას მიიღებს ან მას უფრო განვითარებული მეთოდი გაუსწრებს წინ.

ამრიგად, აქ დამატებითი მოგების მიზეზი მომდინარეობს თვით კაპიტალიდან (რომელშიაც მის მიერ ამოქმედებული შრომაც არის ჩათვლილი), — სულ ერთია, გამოიყენებული კაპიტალის სიდიდის განსწავებებიდან მომდინარეობს იგი, თუ მისი უფრო მიზანშეწონილად გამოყენებიდან, — და თავისთავად არავითარი დაბრკოლება არ ეღობება იმას, რომ ყველა კაპიტალი წარმოების ერთსა და იმავე სფეროში ერთი და იმავე წესით გამოიყენებოდეს. კონკურენცია კაპიტალებს შორის ცდილობს, პირიქით, ეს განსხვავებანი სულ უფრო გაათანატო-

ლოს; ღირებულების განსაზღვრა საზოგადოებრივად აუცილებელი დროით თავის გამოვლენას პოულობს საქონელთა გაიაფებაში და იმ იძულების შექმნაში, რომ საქონელთა წარმოება თანაბრად ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდეს. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე იმ მეფაბრიკის დამატებითი მოგების მიმართ, რომელიც ჩანჩქერს იყენებს. მის მიერ გამოყენებული შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალა არ გამომდინარეობს თვით კაპიტალიდან და შრომიდან, არც იმ ბუნებრივი ძალის გამოყენების უბრალო ფაქტიდან, რომელიც კაპიტალისაგან განსხვავდება, მაგრამ მასთან შეერთებულია. იგი გამომდინარეობს შრომის უფრო დიდი ბუნებრივი მწარმოებლური ძალიდან, ბუნებრივი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ არა ისეთი ბუნებრივი ძალის, რომელიც, როგორც, მაგალითად, ორთქლის ელასტიკურობა, ყველა კაპიტალს წარმოების იმავე სფეროში შეუძლია ჰქონდეს თავის განკარგულებაში, ე. ი. არა ისეთი ბუნებრივი ძალის, რომლის გამოყენებაც თავისთავად იგულისხმება, როდესაც კაპიტალი ამ სფეროში ბანდდება, არამედ ისეთი ბუნებრივი ძალის, რომლის მონოპოლიზაცია შესაძლებელია და რომელიც, როგორც ჩანჩქერი, მხოლოდ იმთ შეიძლება ჰქონდეთ თავის განკარგულებაში, ვისაც თავის განკარგულებაში აქვს მიწის განსაკუთრებული ნაკვეთება მისი ბუნებრივი პირობებით. კაპიტალზე სულაც არაა დამოკიდებული — გამოიწვიოს შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალის ეს ბუნებრივი პირობა, მსგავსად იმისა, როგორც ყოველ კაპიტალს შეუძლია წყალი ორთქლად გარდაქმნას. ეს ბუნებრივი პირობა მოიპოვება მხოლოდ ალაგ-ალაგ ბუნებაში, და იქ, სადაც იგი არაა, მისი შექმნა არ შეიძლება კაპიტალის განსაზღვრული დახარჯვით. იგი დაკავშირებულია არა იმ პროდუქტებთან, რომლებიც შრომით იქმნება, როგორიცაა მანქანები, ნახშირი და სხვ., არამედ მიწის განსაზღვრული ნაწილის განსაზღვრულ ბუნებრივ პირობებთან. მეფაბრიკენი, რომელნიც ჩანჩქერებს ფლობენ, ჩანჩქერების არმქონე მეფაბრიკეებს გამორიცხავენ ამ ბუნებრივი ძალის გამოყენებიდან, რადგან მიწა — და მით უმეტეს ისეთი მიწა, რომელიც წყლის ძალითაა აღჭურვილი — განსაზღვრულია. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ, თუმცა ბუნებრივი ჩანჩქერების რაოდენობა ამა თუ იმ ქვეყანაში განსაზღვრულია, მრეწველობისათვის გამოსაყენებელი წყლის ძალის ოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს. ჩანჩქერი შეიძლება ხელოვნურად იქნეს გაგრძელებული მისი მამოძრავებელი ძალის სავსებით გამოსაყენებლად; და რაკი ჩანჩქერი არსებობს, წყლის ბორბალი შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა წყლის რაც შეიძლება მეტი ძალა იქნეს გამოყენებული; იქ, სადაც წყლის დინებისათვის ჩვეულებ-

რივი ბორბალი შეუფერებელია, შეიძლება ტურბინების გამოყენება და სხვ. ასეთი ბუნებრივი ძალის ფლობა შეადგენს მისი მფლობელის მონოპოლიას, დაბანდებული კაპიტალის მაღალი მწარმოებლური ძალის ისეთ პირობას, რომელსაც ვერ შექმნის თვით კაპიტალის წარმოების პროცესი³³; ეს ბუნებრივი ძალა, რომელიც შეიძლება ამგვარად მონოპოლიზებულ იქნეს, ყოველთვის დაკავშირებულია მიწასთან. ასეთი ბუნებრივი ძალა არც წარმოების სათანადო სფეროს საერთო პირობებს განეკუთვნება და არც მის ისეთ პირობებს, რომელთა შექმნა საყოველთაოდ არის შესაძლებელი.

ახლა, თუ წარმოვიდგინეთ, რომ ჩანჩქერები მიწითურთ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, იმ პირთა ხელშია, რომელნიც მიწის ამ ნაწილების მფლობელებად, მიწის მესაკუთრეებად ითვლებიან, — დავინახავთ, რომ ეს გარემოება გამორიცხავს კაპიტალის დაბანდებას ჩანჩქერზე, ამ უკანასკნელის გამოყენებას კაპიტალის მიერ. ამ პირთ შეუძლიათ ჩანჩქერით სარგებლობის ნება დართონ ან არ დართონ. მაგრამ კაპიტალს არ შეუძლია თვით თავისგან შექმნას ჩანჩქერი. ამიტომ ჩანჩქერით ამ სარგებლობიდან წარმომდგარი დამატებითი მოგება მომდინარეობს არა კაპიტალიდან, არამედ სამონოპოლიზაციო და მონოპოლიზებული ბუნებრივი ძალის გამოყენებიდან კაპიტალის მიერ. ასეთ გარემოებებში დამატებითი მოგება მიწის რენტად იქცევა, ე. ი. იგი ჩანჩქერის მესაკუთრეს ხვდება. თუ მეფაბრიკე ჩანჩქერის მესაკუთრეს უხდის ჩანჩქერისთვის 10 გირვ. სტერლინგს წელიწადში, მაშინ მისი მოგება შეადგენს 15 გირვ. სტერლინგს, — 15%-ს 100 გირვ. სტერლინგზე, რომელსაც ახლა მისი წარმოების ხარჯები აღწევს; იგი ახლა ისეთსავე მდგომარეობაშია, შესაძლებელია უკეთესშიც, ვიდრე მისი წარმოების სფეროს ყველა სხვა კაპიტალისტი, რომელიც ორთქლის შემწეობით მუშაობს. საქმე სრულიად არ შეიცვლებოდა, კაპიტალისტი რომ თვითონ ყოფილიყო ჩანჩქერის მესაკუთრე. იგი წინანდებურად 10 გირვ. სტერლინგს მიიღებდა არა როგორც კაპიტალისტი, არამედ როგორც ჩანჩქერის მესაკუთრე; და სწორედ იმიტომ, რომ ეს ნამეტი წარმოდგება არა მისი კაპიტალიდან, როგორც ასეთიდან, არამედ ბუნების ისეთი ძალის სარგებლობიდან, რომელიც შეიძლება კაპიტალისგან განცალკევდეს, მონოპოლიზებულ იქნეს, რომელიც განსაზღვრულია თავის მოცულობით. — სწორედ ამიტომ ეს ნამეტი იქცევა მიწის რენტად.

პირველი: ცხადია, რომ ეს რენტა ყოველთვის დიფერენციული რენტაა, იმიტომ რომ იგი არ შედის განმსაზღვრელ მომენტად საქონ-

³³ იხ. დამატებითი მოგების შესახებ «Inquiry» (მალოუსის წინააღმდეგ).

ლის საერთო წარმოების ფასში, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას. მას ყოველთვის წარმოშობს სხვაობა მონოპოლიზებული ბუნებრივი ძალის მქონე ცალკეული კაპიტალის ინდივიდუალური წარმოების ფასსა და იმ კაპიტალის საერთო წარმოების ფასს შორის, რომელიც საერთოდ დაბანდებულია წარმოების სათანადო სფეროში.

მეორე: ამ მიწის რენტას წარმოშობს არა გამოყენებული კაპიტალის — ან, შესაბამისად, მის მიერ მითვისებული შრომის — მწარმოებლური ძალის აბსოლუტური გადიდება, რასაც საერთოდ მხოლოდ საქონელთა ღირებულების შემცირება შეუძლია, არამედ წარმოების ამა თუ იმ სფეროში დაბანდებული ცალკეული კაპიტალების უფრო დიდი შეფარდებითი მწარმოებლური ძალა ყველა იმ კაპიტალდაბანდებასთან შედარებით, რომელიც მოკლებულია მწარმოებლური ძალის გადიდების ამ განსაკუთრებულ, ბუნების მიერ შექმნილ ხელსაყრელ პირობებს. ორთქლით სარგებლობა რომ, მაგალითად, — მიუხედავად იმისა, რომ ნახშირს აქვს ღირებულება და წყლის ძალას ღირებულება არა აქვს, — გადაჭრით ისეთ უპირატესობას იძლეოდეს, რომლის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა წყლის ძალის გამოყენებისას, და ეს უპირატესობა რომ საკმარისი და მეტიც იყოს ნახშირის ხარჯის საკომპენსაციოდ, მაშინ წყლის ძალა გამოყენებას ვერ ჰპოვებდა და ვერც წარმოშობდა დამატებით მოგებას, მაშასადამე, რენტასაც.

მესამე: ბუნების ძალა დამატებითი მოგების წყარო კი არ არის. არამედ მისი მხოლოდ ბუნებრივი ბაზისია, იმიტომ რომ იგი შრომის განსაკუთრებით გადიდებული მწარმოებლური ძალის ბაზისია. ასევე სახმარი ღირებულება საერთოდ საცვლელი ღირებულების მატარებელია და არა მისი მიზეზი. იმავე სახმარ ღირებულებას, მისი მიღება რომ უშრომოდ შეიძლებოდეს, არავითარი საცვლელი ღირებულება არ ექნებოდა, მაგრამ წინანდებურად ექნებოდა თავისი ბუნებრივი სარგებლიანობა როგორც სახმარ ღირებულებას. მაგრამ, მეორე მხრივ, სახმარი ღირებულების გარეშე, ე. ი. შრომის ამ ბუნებრივი მატარებლის გარეშე, ნივთს არავითარი საცვლელი ღირებულება არა აქვს. სხვადასხვა ღირებულებანი რომ არ თანატოლდებოდნენ წარმოების ფასებად და სხვადასხვა ინდივიდუალური წარმოების ფასები რომ არ წონასწორდებოდნენ საერთო, ბაზრის მარეგულირებელ წარმოების ფასად, შრომის მწარმოებლური ძალის უბრალო გადიდება ჩანჩქერის გამოყენების გამო მხოლოდ დაბლა დასწევდა ჩანჩქერით წარმოებული საქონლის ფასს, მაგრამ ვერ გაადიდებდა ამ საქონელში მოქცეულ მოგებას, — სავსებით ისე, როგორც, მეორე მხრივ, შრომის ეს გადიდე-

ბული მწარმოებლური ძალა საერთოდ ვერ გადაიქცეოდა ზედმეტ ღირებულებად, კაპიტალი რომ მის მიერ გამოყენებული შრომის ბუნებრივ და საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას არ ითვისებდეს როგორც თავის საკუთარს.

მეოთხე: მიწის საკუთრებას ჩანჩქერზე თავისთავად არაფერი აქვს საერთო ზედმეტი ღირებულების ნაწილის (მოგების) შექმნასთან და, ამიტომ, საერთოდ იმ საქონლის ფასის შექმნასთან, რომელიც ჩანჩქერის დახმარებით იწარმოება. ეს დამატებითი მოგება იმ შემთხვევაშიც იარსებებდა, თუ მიწის საკუთრება სრულიად არ იქნებოდა, თუ, მაგალითად, იმ მიწას, რომლის კუთვნილ ნაწილს ჩანჩქერი შეადგენს, მეფაბრიკე გამოიყენებდა როგორც უპატრონო მიწას. მაშასადამე, მიწის საკუთრება არა ქმნის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც დამატებით მოგებად გადაიქცევა, არამედ იგი მხოლოდ იმის შესაძლებლობას აძლევს მიწის მესაკუთრეს, ჩანჩქერის მესაკუთრეს, რომ ეს დამატებითი მოგება მეფაბრიკის ჯიბიდან თავის საკუთარ ჯიბეში გადაიტანოს. მიწის საკუთრება მიზეზია არა ამ დამატებითი მოგების შექმნის, არამედ — მისი გადაქცევისა მიწის რენტის ფორმად, მაშასადამე, მოგების ამ ნაწილის ანუ საქონლის ფასის მითვისებისა მიწის ანუ ჩანჩქერის მესაკუთრის მიერ.

მეხუთე: ცხადია, რომ ჩანჩქერის ფასი, ე. ი. ის ფასი, რასაც მიიღებდა მიწის მესაკუთრე, მას რომ იგი მესამე პირისთვის ან თვით მეფაბრიკისთვის მიეყიდნა, უწინარეს ყოვლისა, არ შედის საქონელთა წარმოების ფასში, თუმცა შედის კაპიტალისტის ინდივიდუალურ ხარჯთფასში; იმიტომ, რომ რენტას აქ წარმოშობს ორთქლის მანქანებით წარმოებულ იმავე სახეობის საქონელთა წარმოების ფასი, რომელიც რეგულირდება ჩანჩქერისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ, შემდეგ, ჩანჩქერის ეს ფასი საერთოდ ირაციონალური გამოსახულებაა, რომლის უკანაც რეალური ეკონომიური ურთიერთობა იმალება. ჩანჩქერს, როგორც მიწას საერთოდ, როგორც ბუნების ყველა ძალას, ღირებულება არა აქვს, იმიტომ რომ მასში არავითარი შრომა არაა გასაგნობრივებული, და ამიტომ არა აქვს ფასიც, რომელიც ნორმალურად სხვა არაფერია, თუ არა ფულით გამოხატული ღირებულება. სადაც ღირებულება არაა, იქ eo ipso [მაშასადამე] არც შეიძლება ფულით რამე გამოისახოს. ეს ფასი მართოდენ კაპიტალიზებული რენტაა. მიწის საკუთრება მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს ხელთ იგდოს სხვაობა ინდივიდუალურ მოგებასა და საშუალო მოგებას შორის; ამგვარად მიღებული მოგება, რომელიც ყოველწლიურად განახლდება, შეიძლება კაპიტალიზებულ იქნეს და მაშინ იგი წარმოგვიდგება როგორც თვით

ბუნების ძალის ფასი. თუ დამატებითი მოგება, რასაც მეფაბრიკეს ჩანჩქერით სარგებლობა აძლევს, 10 გირვ. სტერლინგს უდრის წელიწადში, ზოლო საშუალო სარგებელი — 5%, მაშინ ეს 10 გირვ. სტერლინგი წელიწადში წარმოადგენს 200 გირვ. სტერლინგი კაპიტალის სარგებელს; ეს კაპიტალიზაცია წლიური 10 გირვ. სტერლინგისა, რომლის მეფაბრიკის ხელიდან გამოტაცების შესაძლებლობას ჩანჩქერი აძლევს თავის მესაკუთრეს, გვევლინება მაშინ როგორც თვით ჩანჩქერის კაპიტალიზირებულია. თვით ჩანჩქერს რომ ღირებულება არა აქვს, მისი ფასი რომ უბრალო ანარეკლია მოტაცებული დამატებითი მოგებისა, რაც კაპიტალისტურად არის ნაანგარიშევი, ეს მყისვე მქდავდება იმაში, რომ ფასი — 200 გირვ. სტერლინგი, — დამატებითი მოგების — 10 გირვ. სტერლინგის 20 წელზე გამრავლების პროდუქტს წარმოადგენს, თუმცა იგივე ჩანჩქერი, სხვა პირობების უცვლელობისას, მესაკუთრეს აძლევს შესაძლებლობას ყოველწლიურად ხელთ იგდოს ეს 10 გირვ. სტერლინგი განუსაზღვრელი დროის — 30, 100, X წლის — განმავლობაში, და თუმცა, მეორე მხრივ, თუ წარმოების ახალი მეთოდი, რომელიც წყლის ძალასთან ვერ გამოიყენება, ორთქლის მანქანით წარმოებულ საქონელთა ხარჯთფასს 100-იდან 90 გირვ. სტერლინგამდე შეამცირებდა, მაშინ გაქრებოდა დამატებითი მოგება, მასთან ერთად რენტაც და ამ უკანასკნელთან ერთად ჩანჩქერის ფასიც. ჩვენ ამრიგად დავადგინეთ დიფერენციული რენტის ზოგადი ცნება და ახლა გადავდივართ რენტის განხილვაზე საკუთრივ მიწათმოქმედებაში. რაც ამ უკანასკნელის მიმართ იქნება ნათქვამი, ის ძალაშია საერთოდ მალარობის მიმართაც.

თავი ოცლამეცხრამეტი.

დიფერენციული ჩენტის პირველი ფორმა.

(დიფერენციული ჩენტა I).

რიკარდო სრულიად მართალია, როდესაც შემდეგ დებულებებს აყენებს:

«ჩენტა {ე. ი. დიფერენციული ჩენტა; იგი გულისხმობს, რომ საერთოდ არ არსებობს სხვა ჩენტა, გარდა დიფერენციულისა} ყოველთვის წარმოადგენს სხვაობას პროდუქტებს შორის, რომლებიც ორი თანატოლი კაპიტალისა და შრომის დახარჯვით არის მიღებული» («Principles, გვ. 59») *. «ერთნაირი სიდიდის მიწის ნაკვეთებზეო», უნდა დამატებია მას, რამდენადაც საქმე შეეხება მიწის ჩენტას და არა დამატებით მოგებას საერთოდ.

სხვა სიტყვებით: დამატებითი მოგება, თუ იგი ნორმალურად წარმოიშვება და არა შემთხვევითი გარემოებების გამო, რომელთაც ადგილი აქვთ მიმოქცევის პროცესში, ყოველთვის წარმოადგენს სხვაობას ორი ტოლი რაოდენობის კაპიტალისა და შრომის პროდუქტს შორის, და ეს დამატებითი მოგება მიწის ჩენტად იქცევა, როდესაც ორი ტოლი რაოდენობის კაპიტალი და შრომა ტოლი სიდიდის მიწის ნაკვეთებზე უთანატოლო შედეგებით გამოიყენება. სხვათა შორის, სრულებითაც არაა აუცილებლად საჭირო, რომ ეს დამატებითი მოგება მიიღებოდეს კაპიტალის ტოლ რაოდენობათა დახარჯვის უთანატოლო შედეგებისაგან. სხვადასხვა საწარმოში შეიძლება სხვადასხვა ოდენობის კაპიტალი იყოს დაბანდებული; უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეც არის; მაგრამ თვითეული კაპიტალის ტოლი პროპორციული ნაწილები, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგი, იძლევა არათანაბარ შედეგებს, ე. ი. მოგების ნორმა სხვადასხვაა. ეს საერთო წანამძღვარია დამატებითი მოგების არსებობისათვის კაპიტალის დაბანდების ყოველ დარგში

* K. D. Ricardo: «On the Principles of Political Economy und Taxation». London 1821. რგდ.

საერთოდ. მეორე წანამძღვარია ამ დამატებითი მოგების გადაქცევა მიწის რენტის ფორმად (საერთოდ რენტის, როგორც მოგებისგან განსხვავებული ფორმისა); ყოველ შემთხვევაში საჭიროა გამოვიკვლიოთ. როდის, როგორ და რა გარემოებებში წარმოებს ეს გადაქცევა.

შემდეგ, რიკარდო მართალია ქვემოთ მოყვანილ დებულებაში, რამდენადაც ეს დებულება დიფერენციული რენტით არის შემოფარგლული.

«ყველაფერს, რაც ამცირებს განსხვავებას პროდუქტში, რომელიც იმავე ან ახალ მიწაზე არის მიღებული, რენტის შემცირების ტენდენცია აქვს; და ყველაფერი, რაც ამ განსხვავებას აღიდებს, აუცილებლად წარმოშობს საპირისპირო მოქმედებას და მას რენტის გადიდების ტენდენცია აქვს» (გვ. 74).

ამ მიზეზების რიცხვს ეკუთვნის არა მარტო საერთო მიზეზები (ნაყოფიერება და ადგილმდებარეობა), არამედ აგრეთვე: 1) გადასახადის განაწილება, იმის მიხედვით, მოქმედებს იგი თანაბრად თუ არა; უკანასკნელს ყოველთვის ადგილი აქვს, როდესაც გადასახადი, როგორც, მაგალითად, ინგლისში, ცენტრალიზებული არაა და როდესაც მას მიწაზე იღებენ და არა რენტაზე; 2) განსხვავებანი, რომელნიც გამომდინარეობენ მიწათმოქმედების არათანაბარი განვითარებიდან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში, ვინაიდან მრეწველობის ეს დარგი, მისი ტრადიციული ხასიათის გამო, უფრო ძნელად ექვემდებარება ნიველირებას, ვიდრე მანუფაქტურა, და 3) კაპიტალის არათანაბარი განაწილება მოიჯარეებს შორის. რადგან მიწათმოქმედების დაპყრობა კაპიტალისტური წარმოების წესის მიერ, გლეხის გადაქცევა დამოუკიდებელი მეურნიდან დაქირავებულ მუშად სინამდვილეში ამ წარმოების წესის მიერ შესრულებული უკანასკნელი დაპყრობაა, ამიტომ ეს განსხვავებანი აქ უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე სხვა სამრეწველო დარგში.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ სრულიად მოკლედ აღვნიშნავ ჩემი გამოკვლევის თავისებურებებს, რიკარდოსა და სხვების გამოკვლევებთან შედარებით.

ჯერ განვიხილოთ თანატოლი მიწის ნაკვეთებზე დახარჯული ტოლი კაპიტალების უთანატოლო შედეგები ანუ, მიწის ნაკვეთების უთანატოლობისას, თანატოლ მიწის ფართობზე ნაანგარიშევი შედეგები.

შედეგების ამ (უთანატოლობის კაპიტალისაგან დამოუკიდებელი ორი საერთო მიზეზი შემდეგია: 1) ნ ა ყ ო დ ი ე რ ე ბ ა (ამ პუნქტთან დაკავშირებით უნდა გავარკვიოთ, საერთოდ რა და რომელი სხვადასხვა

მომენტები იგულისხმება მიწების ბუნებრივ ნაყოფიერებად). 2) მიწის ნაკვეთების მდებარეობა.) უკანასკნელ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლონიებისათვის და საერთოდ იმ თანმიმდევრობისათვის, რომლითაც მიწის ნაკვეთები შეიძლება დამუშავებაში შევიდეს ერთიმეორის მიყოლებით. შემდეგ, ცხადია, რომ დიფერენციული რენტის ეს ორი სხვადასხვა საფუძველი, ნაყოფიერება და ადგილმდებარეობა, შეიძლება ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით მოქმედებდეს. მიწას, შეიძლება, ძალიან კარგი მდებარეობა ჰქონდეს და ძალიან მცირედ ნაყოფიერი იყოს, და პირიქით. ეს გარემოება დიდად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვიხსნის, თუ რატომაა შესაძლებელი, რომ მიწის დამუშავებისას განსაზღვრულ ქვეყანაში გადასვლა ხდებოდეს როგორც უკეთესი მიწიდან უარესზე, ისე პირიქითაც. ბოლოს, ცხადია, რომ სოციალური წარმოების პროგრესი საერთოდ, ერთი მხრივ, გამანვივლირებელ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობაზე, როგორც დიფერენციული რენტის ერთ-ერთ საფუძველზე, რადგან იგი ქმნის ადგილობრივ ბაზრებს, ქმნის ადგილმდებარეობას კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებათა შექმნით; მეორე მხრივ, იგივე პროგრესი აძლიერებს მიწის ნაკვეთების მდებარეობის განსხვავებათა მნიშვნელობას იმით, რომ მიწათმოქმედებას განაცალკევებს მანუფაქტურისაგან და, ჯერ-ერთი დიდ სამრეწველო ცენტრებს ქმნის და, მეორეც, ხელს უწყობს სოფლის რელატიურ განმარტოებას. [relative Vereinsamung des Landes].

მაგრამ ჩვენ ჯერ უყურადღებოდ დავტოვოთ ეს პუნქტი, ადგილმდებარეობა, და განვიხილოთ მართლოდენ ბუნებრივი ნაყოფიერება. (თუ კლიმატურ და სხვა მომენტებს მხედველობაში არ მივიღებთ, განსხვავება ბუნებრივ ნაყოფიერებაში დამოკიდებულია ნიადაგის ზედაფენის ქიმიური შედგენილობის განსხვავებაზე, ე. ი. იმ განსხვავებაზე, რაც ნიადაგთა შორის არსებობს მცენარეების მასაზრდოვნელ ნივთიერებათა შემცველობის მხრივ.) მაგრამ ერთნაირი ქიმიური შედგენილობის შემცველი და ამ აზრით ერთნაირი ბუნებრივი ნაყოფიერების მქონე მიწის ორი ნაკვეთიც შეიძლება სხვადასხვა იყოს მათი ნამუდვილი, ეფექტიანი ნაყოფიერების მხრივ, იმ ფორმასთან დაკავშირებით, რომელშიაც მოპოვებიან იქ ეს მასაზრდოებელი ნივთიერებანი და რომელშიაც ისინი მეტნაკლებ შესათვისებელნი არიან მცენარეებისათვის, მეტნაკლებ უშუალოდ გამოსადეგნი არიან მცენარეების საზრდოობისათვის. ამრიგად, ნაწილობრივ სამიწათმოქმედო ქიმიის განვითარებაზე, ნაწილობრივ სამიწათმოქმედო მექანიკის განვითარებაზე არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეიძლება აღამიანი ერთნაი-

რი ბუნებრივი ნაყოფიერების შემცველ ორ მიწის ნაკვეთს ნამდვილად გამოაღებინოს ეს ბუნებრივი ნაყოფიერება. ამიტომ, თუმცა ნაყოფიერება მიწის ობიექტურ თვისებას წარმოადგენს, ეკონომიურად იგი მაინც მუდამ გულისხმობს განსაზღვრულ დამოკიდებულებას — დამოკიდებულებას სამიწათმოქმედო ქიმიისა და მექანიკის განვითარების მოცემული დონის მიმართ და, მაშასადამე, განვითარების ამ დონესთან ერთად იცვლება. როგორც ქიმიური საშუალებების გამოყენების გზით (მაგალითად, განსაზღვრულ თხევად სასუქთა ხმარებით მკვრივ თიხნარ ნიადაგზე ანდა მძიმე თიხნარი ნიადაგის დაწვით), ისე მექანიკური საშუალებების გამოყენების გზით (მაგალითად, განსაკუთრებული გუთნების ხმარებით მძიმე ნიადაგის დასამუშავებლად) შეიძლება მოვსპოთ ის დაბრკოლებანი, რომელნიც ისევე ნაყოფიერ ნიადაგს ფაქტიურად ნაკლებ ნაყოფიერად ხდიან (ამასვე ეკუთვნის დრენაჟი). ამას შეუძლია შეცვალოს თვით თანმიმდევრობაც სხვადასხვაგვარი მიწების დამუშავებაში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მჩატე ქვიშნარი და მძიმე თიხნარი ნიადაგის მიმართ ინგლისის მიწათმოქმედების განვითარების ერთ-ერთ პერიოდში. ეს კვლავ გვიჩვენებს, თუ როგორ არის ისტორიულად — დამუშავების თანმიმდევრულ მსვლელობაში — შესაძლებელი ერთნაირადვე ხდებოდა გადასვლა როგორც უფრო ნაყოფიერი მიწიდან ნაკლებ ნაყოფიერზე, ისე პირიქითაც. ამგვარივე შედეგი შეიძლება მივიღოთ აგრეთვე ხელოვნურად გამოწვეული გაუმჯობესებით ნიადაგის შედგენილობაში ანდა უბრალო ცვლილებებით მიწათმოქმედების მეთოდებში. დასასრულ, იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ იმ წესის ცვლილების გამო, რომლის მიხედვითაც, ქვენიადგის სხვადასხვა პირობებთან დაკავშირებით, განრიგებულია სხვადასხვა სახის მიწები, — მივიღოთ იმის გამო, რომ ქვენიადგი დამუშავდება და სახნავ მიწად იქცევა. ეს გაპირობებული ნაწილობრივ მიწათმოქმედების ახალი მეთოდების გამოყენებით (მაგალითად, საკვები ბალახების კულტურით), ნაწილობრივ მექანიკური საშუალებებით, რომელთა მეშვეობით ქვენიადგი ნიადაგის ზედა ფენად იქცევა ანდა იგი დამუშავდება ისე, რომ ნიადაგის ზედაპირზე არ მოექცევა.

ყველა ეს გავლენა სხვადასხვა მიწების დიფერენციულ ნაყოფიერებაზე იმას ნიშნავს, რომ ეკონომიური ნაყოფიერების თვალსაზრისით შრომის ნაყოფიერების ხარისხი, ამ შემთხვევაში მიწათმოქმედების უნარი ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების დაუყოვნებლივ გამოყენებისა, — უნარი, რომელიც სხვადასხვა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, — ისეთივე მომენტია ნიადაგის ეგრეთწოდებული ბუნებრი-

ვი ნაყოფიერებისა, როგორც ნიადაგის ქიმიური შედგენილობა და სხვა ბუნებრივი თვისებები.

ამრიგად, ჩვენ ვგულისხმობთ მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ საფეხურს. ჩვენ ვგულისხმობთ, შემდეგ, რომ სხვადასხვა ღირსების მიწების განრიგება შეესაბამება განვითარების ამ საფეხურს, როგორც ამას, რასაკვირველია, ყოველთვის ადგილი აქვს კაპიტალის იმავდროული დაბანდებისას სხვადასხვა მიწებზე. ამ შემთხვევაში მიწის რენტა შეიძლება გამოისახოს აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობით, ვინაიდან: თუმცა ეს თანმიმდევრობა მოცემულია ნამდვილად დამუშავებული მიწების ერთობლიობისათვის, მაგრამ არასოდეს არ წყდება მოძრაობა, რომელშიაც ყალიბდება ეს თანმიმდევრობა.

წარმოვიდგინოთ ოთხი ხარისხის მიწა: A, B, C, D. ვიგულისხმობთ, შემდეგ, რომ კვარტერი ხორბლის ფასი = 3 გირვ. სტერლინგს ანუ 60 შილინგს. რადგან რენტა უბრალო დიფერენციული რენტაა, ამიტომ ეს ფასი — 60 შილინგი კვარტერისთვის — უდრის წარმოების ფასებს უცუდეს მიწაზე, ე. ი. უდრის კაპიტალს პლუს საშუალო მოგება.

ვთქვათ, A არის ეს უცუდესი მიწა, რომელიც 50 შილ. დანახარჯზე იძლევა 1 კვარტერს = 60 შილინგს, ე. ი. 10 შილ., ანუ 20% მოგებას.

ვთქვათ, B იმავე დანახარჯზე იძლევა 2 კვარტერს = 120 შილინგს. ეს იქნებოდა 70 შილ. მოგება, ანუ 60 შილ. დამატებითი მოგება.

ვთქვათ, C იმავე დანახარჯზე იძლევა 3 კვარტერს = 180 შილინგს; მთელი მოგება = 130 შილ., დამატებითი მოგება = 120 შილ.

ვთქვათ, D იძლევა 4 კვარტერს = 240 შილინგს = 180 შილ. დამატებით მოგებას.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ასეთი თანმიმდევრობა:

ცხრილი I

მიწის ხარისხი	პროდუქტი		ივანსებუ-ლი კაპიტალი	მოგება		რენტა	
	კვარტერი	შილინგი		კვარტერი	შილინგი	კვარტერი	შილინგი
A	1	60	50	$\frac{1}{8}$	10	—	—
B	2	120	50	$1\frac{1}{8}$	70	1	60
C	3	180	50	$2\frac{1}{8}$	130	2	120
D	4	240	50	$3\frac{1}{8}$	190	3	180
სულ	10	600	—	—	—	6	360

რენტა იყო შესაბამისად: D -სთვის = 190 შილ. — 10 შილ., ანუ სხვაობა D და A შორის; C -სთვის = 130 შილ. — 10 შილ., ანუ სხვაობა C და A შორის; B -სთვის — 70 შილ. — 10 შილ., ანუ სხვაობა B და A შორის, ხოლო მთელი რენტა B , C , D -სთვის = 6 კვარტ. = 360 შილ., რაც უდრის D და A , C და A , B და A შორის არსებულ სხვაობათა ჯამს.

თუ ამ თანმიმდევრობას, რომელიც მოცემულ პროდუქტს წარმოადგენს მოცემულ პირობებში, აბსტრაქტულად განვიხილავთ (და ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მიზეზები, რომელთა გამო იგი სინამდვილეშიც ასეთი შეიძლება იყოს), ეს თანმიმდევრობა შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც დაღმავალ რიგშიც (დაღმავალად D -დან A -მდე, ნაყოფიერი მიწიდან სულ უფრო და უფრო ნაკლებ ნაყოფიერამდე), ისე აღმავალ რიგშიც (აღმავალად A -დან D -მდე, შედარებით უნაყოფო მიწიდან სულ უფრო და უფრო ნაყოფიერამდე) და, ბოლოს, როგორც ცვალებადი თანმიმდევრობა, ხან დაღმავალ და ხან აღმავალ რიგში, მაგალითად, D -დან C -მდე, C -დან A -მდე, A -დან B -მდე.

პროცესი, რომელიც დაღმავალი თანმიმდევრობის შემთხვევაში სრულდება, ასეთი იქნება: კვარტერის ფასი თანდათან მალლა აიწვეს-ვთქვათ, 15 შილინგიდან 60 შილინგამდე. როგორც კი D მიერ წარმოებული 4 კვარტერი (ამ 4 კვარტერად შეიძლება მილიონები ვიგულსხმით) საკმარისი აღარ აღმოჩნდება, ხორბლის ფასი მალლა და მალლა აიწვეს მანამდე, სანამ C მიწოდების დანაკლისის შევსების შესაძლებლობას არ მიიღებს. ე. ი. ფასმა ზნდა აიწიოს 20 შილინგამდე კვარტერზე. როცა ხორბლის ფასი აიწვეს 30 შილინგამდე კვარტერზე, მაშინ B -ს შეეძლება დასამუშავებელი მიწების რიცხვში შესვლა, როცა ფასი 60 შილინგამდე აიწვეს, A -ს შეეძლება დასამუშავებელი მიწების რიცხვში შესვლა ისე, რომ ამისთვის გამოყენებულ კაპიტალს არ მოუხდება 20%-ზე ნაკლები მოგების ნორმით დაკმაყოფილება. ამგვარად D -სთვის შედგა რენტა ჯერ 5 შილ. კვარტერზე = 20 შილ. 4 კვარტერზე, რომელსაც ეს მიწა აწარმოებს, შემდეგ — 15 შილ. კვარტერზე = 60 შილ., და შემდეგ — 45 შილ. კვარტერზე = 180 შილ. 4 კვარტერზე.

თუ D -ს მოგების ნორმა თავდაპირველად აგრეთვე 20% უდრის, მაშინ მთელი მოგება 4 კვარტერზე შეადგენს მხოლოდ 10 შილინგს; ეს 10 შილინგი კი მეტ ხორბალს წარმოადგენს, როდესაც ხორბლის ფასი 15 შილინგია, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი 60 შილინგია. მაგრამ რადგან პური სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში შედის და თვითეული კვარტერის ერთმა ნაწილმა უნდა აანაზღაუროს ხელფასი, მეორე ნა-

წილმა კი — მუდმივი კაპიტალი, ამიტომ, ამ ნაგულისხმევის თანახმად, ზედმეტი ღირებულება უფრო მაღალი იყო, მაშასადამე, სხვა პირობების უცვლელობისას, უფრო მაღალი იყო მოგების ნორმაც (საკითხი მოგების ნორმის შესახებ კიდევ განსაკუთრებით და უფრო დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული).

თუ, პირიქით, თანმიმდევრობა შებრუნებული იყო, თუ პროცესი A-დან იწყებოდა, მაშინ, როდესაც ახალი სახნავი მიწა უნდა შესულიყო დამუშავებაში, კვარტერის ფასი ჯერ 60 შილინზე მაღლა აიწევდა; მაგრამ რადგან საჭირო მიწოდება 2 კვარტერის რაოდენობით მოცემულ იქნა B-ს მიერ, ფასი ისევ დაიწევდა 60 შილინამდე; თუმცა B 30 შილინგად აწარმოებს კვარტერს, მაგრამ ყიდის 60 შილინგად, რადგან მისი მიწოდება სწორედ საკმარისია მოთხოვნის დასაფარავად. ამ წესით წარმოიქმნებოდა ჯერ 60 შილ. რენტა B-სთვის და ამავე გზით C-სთვის და D-სთვის, და ყველაფერი ეს იმ წინანდელი ვარაუდის საფუძველზე, რომ თუმცა ესენი ორთავენი კვარტერს 20 და 15 შილ. ნამდვილი ღირებულებით იძლევიან, მაგრამ საბაზრო ფასი მაინც 60 შილინგი რჩება კვარტერისათვის, რადგან ერთი კვარტერის მიწოდება, რომელსაც A იძლევა, უწინდებურად საჭიროა მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში მოთხოვნის გადიდება მოთხოვნილების იმ სიდიდეზე მეტად, რასაც აკმაყოფილებდა ჯერ A, შემდეგ A და B, შედეგად მოჰყვებოდა არა B, C და D თანმიმდევრული დამუშავება, არამედ დასამუშავებელი ფართობის გადიდება საერთოდ, ამასთან შესაძლებელია, რომ უფრო ნაყოფიერი მიწები უფრო გვიანაც კი დამუშავებულიყო.

პირველ მწკრივში ფასის მატებასთან ერთად რენტა მაღლა აიწევდა და მოგების ნორმა დაიკლებდა. ეს დაკლება შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებულიყო საპირისპირო მიმართულებით მოქმედი გარემოებებით; ჩვენ შემდგომ მოგვიხდება ამ პუნქტის უფრო დაწვრილებით განხილვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოგების ნორმა არ განისაზღვრება წარმოების ყველა დარგის ზედმეტი ღირებულებით თანაბრად. სამიწათმოქმედო მოგება კი არ განსაზღვრავს სამრეწველოს, არამედ პირიქით. მაგრამ ამაზე შემდგომ.

მეორე მწკრივში მოგების ნორმა დახარჯულ კაპიტალზე დარჩებოდა წინანდელი; მოგების მასა ხორბლის ნაკლები რაოდენობით გამოისახებოდა, მაგრამ ხორბლის შეფარდებითი ფასი, სხვა საქონელთან შედარებით, გადიდდებოდა. მხოლოდ მოგების გადიდება, სადაც კი ამას ადგილი აქვს, ნაცვლად იმისა, რომ მრეწველი მოიჯარის ჯიბეში

ჩასულიყო და მზარდ მოგებად გამოსახულიყო, მოგებისაგან რენტის ფორმით განცალკევდებოდა. მაგრამ ხორბლის ფასი, ნავარაუდების მიხედვით, უცვლელი დარჩებოდა.

დიფერენციული რენტის განვითარება და ზრდა ერთნაირია როგორც უცვლელი, ისე მზარდი ფასების არსებობისას, და როგორც უცვლესი მიწებიდან უკეთესი მიწებისაკენ განუწყვეტელი პროგრესის შემთხვევაში, ისე უკეთესი მიწებიდან უცუდესი მიწებისაკენ განუწყვეტელი რეგრესის შემთხვევაში.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით: 1) რომ ფასი ერთი თანმიმდევრობის შემთხვევაში მალა იწევს, მეორის დროს უცვლელი რჩება, და 2) რომ მუდამ წარმოებს გადასვლა უკეთესი მიწებიდან უცუდესზე და პირიქით, — უცუდესიდან უკეთესზე.

მაგრამ ვიგულისხმობთ, რომ მოთხოვნილება ხორბალზე გაიზარდა თავდაპირველი 10 კვარტერიდან 17-მდე; შემდეგ, რომ უცუდესი მიწა A განდევნა მეორე A მიწამ, რომელიც 60 შილ. წარმოების ფასით (40 შილ. დანახარჯი + 10 შილ., რომელიც 20% მოგებას შეადგენს) იძლევა $1\frac{1}{2}$ კვარტერს, ასე რომ ერთი კვარტერის წარმოების ფასი = 45 შილ.; ანდა ვიგულისხმობთ, რომ წინანდელი A მიწა გაუმჯობესდა მუდმივი რაციონალური დამუშავების გამო, ან რომ იგი, დანახარჯთა უცვლელობისას, უფრო მწარმოებლურად იქნა დამუშავებული, მაგალითად, იონჯის თესვის შემოღების გამო და სხვ., ასე რომ მისი პროდუქტი, ავანსებული კაპიტალის უცვლელობისას, $1\frac{1}{2}$ კვარტერამდე გაიზარდა. ვიგულისხმობთ, შემდეგ, რომ მიწები B , C , D იმავე წინანდებურ პროდუქტს იძლევიან, მაგრამ დამუშავდა A' -ს ახალი მიწები, რომელთაც თავისი ნაყოფიერებით A და B შორის უკირავთ ადგილი, შემდეგ B' და B'' მიწები, რომელთა ნაყოფიერებას შუა ადგილი უკავია B და C შორის; ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა შემდეგ მოვლენებს:

პირველი: კვარტერი ხორბლის წარმოების ფასი, ანუ მარეგულირებელი მისი საბაზრო ფასი, 60-იდან 45 შილინგამდე ანუ 25%-ით დაეცემოდა.

მეორე: მოხდებოდა იმავდროული გადასვლა უფრო ნაყოფიერი მიწიდან ნაკლებ ნაყოფიერზე და ნაკლებ ნაყოფიერი მიწიდან უფრო ნაყოფიერზე. მიწა A' უფრო ნაყოფიერია, ვიდრე A , მაგრამ ნაკლებ ნაყოფიერია, ვიდრე დღემდე დამუშავებაში მყოფი B , C , D ; და B' , B'' უფრო ნაყოფიერია, ვიდრე A , A' და B , მაგრამ ნაკლებ ნაყოფიერია, ვიდრე C და D . მაშასადამე, ერთი მიწიდან მეორეზე გადასვ-

ლა შესრულდებოდა ყველა მიმართულებით; ადგილი ექნებოდა გადასვლას არა აბსოლუტურად ნაკლებ ნაყოფიერ მიწაზე A-თან ან და სხვ. შედარებით, არამედ შეფარდებით ნაკლებ ნაყოფიერზე, დღემდე უნაყოფიერეს C და D მიწებთან შედარებით; მეორე მხრივ, გადასვლა მოხდებოდა არა აბსოლუტურად უფრო ნაყოფიერ მიწაზე, არამედ რელატიურად უფრო ნაყოფიერზე, დღემდე ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერ A-თან — შესაბამისად A-თან B-თან — შედარებით.

შესამდე: B-ს რენტა დაეცემოდა; ასევე C-ს და D-ს რენტაც; მაგრამ ხორბლით გამოხატული რენტის მთელი ჯამი ნ-დან აიწვედა $7\frac{2}{3}$ კვარტერამდე; დამუშავებული და რენტის მომცემი მიწების მასა გადიდდებოდა, ასევე გადიდდებოდა პროდუქტის მასაც 10 კვარტერიდან 17-მდე. მოგება, თუმცა უცვლელი დარჩებოდა A-სთვის, მაგრამ, ხორბლით გამოსახული, გადიდდებოდა; შესაძლებელია, რომ მოგების ნორმაც გადიდებულიყო, რადგან გადიდდებოდა შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. ამ შემთხვევაში, საარსებო საშუალებათა გაიფხვების გამო, შემცირდებოდა ხელფასი, მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის სახით დანახარჯი, მაშასადამე, ერთობლივი ხარჯიც. რენტის მთელი ჯამი 360 შილინგიდან დაიწვედა 345 შილინგამდე.

წარმოვიდგინოთ ახალი თანმიმდევრობა:

ცხრილი II

მიწის ხარისხი	პროდუქტი		დანარჯული კაპიტალი	მოგება		რენტა		წარმოების ფასი კვარტერზე
	კვარტერი	შილინგი		კვარტერი	შილინგი	კვარტერი	შილინგი	
A	$1\frac{1}{3}$	60	50	$\frac{2}{3}$	10	—	—	45 შილინგი
A'	$1\frac{2}{3}$	75	50	$\frac{5}{6}$	25	$\frac{1}{3}$	15	36 >
B	2	90	50	$\frac{7}{6}$	40	$\frac{2}{3}$	30	30 >
B'	$2\frac{1}{3}$	105	50	$1\frac{2}{3}$	55	1	45	$25\frac{1}{2}$ * >
B''	$2\frac{2}{3}$	120	50	$1\frac{5}{6}$	70	$1\frac{1}{3}$	60	$22\frac{1}{2}$ >
C	3	135	50	$1\frac{8}{6}$	83	$1\frac{2}{3}$	75	20 >
D	4	180	50	$2\frac{2}{3}$	130	$2\frac{2}{3}$	120	15 >
სულ	17	—	—	—	—	$7\frac{2}{3}$	345	

* 1894 წ. გამოცემაში 25 $\frac{2}{7}$ რედ.

ბოლოს, წინანდებურად რომ მხოლოდ A, B, C, D მიწები ყოფილიყო დამუშავებაში, მაგრამ მათი გამოსავლიანობა იმგვარად გაზრდილიყო, რომ A -ს 1 კვარტერის ნაცვლად მოეცა 2, B -ს 2 კვარტერის ნაცვლად — 4, C -ს 3 კვარტერის ნაცვლად — 7 და D -ს 4 კვარტერის ნაცვლად — 10, მაშასადამე, ერთსადაიმავე მიზეზებს რომ სხვადასხვაგვარად ემოქმედნა სხვადასხვა მიწებზე, მაშინ მთელი წარმოება აიწევდა 10 კვარტერიდან 23-ამდე. ვიგულისხმობ, რომ მოთხოვნა, მოსახლეობის მატებისა და ფასის დაწვევის გამო, შეიწოვდა ამ 23 კვარტერს; ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა შემდეგი რეზულტატი:

ცხრილი III

მიწის ხარისხი	პროდუქტი		დახარჯული კაპიტალი	წარმოების ფასი კვარტეოზე	მოგება		რენტა	
	კვარტერი	შლ-ინგი			კვარტერი	შლ-ინგი	კვარტერი	შლ-ინგი
A	2	60	50	30	$1/2$	10	0	0
B	4	120	50	15	$2\frac{1}{2}$	70	2	60
C	7	210	50	$8\frac{1}{2}$	$5\frac{1}{2}$	160	5	150
D	10	300	50	6	$8\frac{1}{2}$	250	8	240
სულ	23	—	—	—	—	—	15	450

რიცხოვრივი შეფარდებანი აქ, ისე როგორც სხვა ცხრილებში, ნებისმიერია, მაგრამ ვარაუდი სრულიად რაციონალურია.

პირველი და ძირითადი ვარაუდი ის არის, რომ გაუმჯობესება მიწათმოქმედებაში არათანაბრად მოქმედებს სხვადასხვა ხარისხის მიწებზე და ამ შემთხვევაში უფრო მოქმედებს უკეთეს მიწებზე: C -ზე და D -ზე, ვიდრე A -სა და B -ზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვეულებრივ ასეც ხდება, თუმცა შეიძლება პირუკუ მოვლენასაც ჰქონდეს ადგილი. გაუმჯობესება რომ უფრო მოქმედებდეს უცუფეს მიწაზე, ვიდრე უკეთესზე, მაშინ უკანასკნელის რენტა, ნაცვლად აწვევისა, დაეცემოდა. — მაგრამ ყველა ხარისხის მიწების ნაყოფიერების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად ცხრილში იმავე დროს ნავულისხმევია უკეთესი მიწების C და D უმაღლესი შეფარდებითი ნაყოფიერების ზრდა და ამიტომ ლიფერენციული რენტის გადიდება.

მეორე ვარაუდი ის არის, რომ მთელი პროდუქტის ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება მთელი მოთხოვნილებაც მის მიმართ.

ჯერ ერთი, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ზრდა უეცრად ხდება; იგი წარმოებს თანდათანობით მანამდე, სანამ მწკრივი III არ დამყარდება. მეორე, მართალი არაა, ვითომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა მოხმარება არ იზრდებოდეს მათ გაიაფებასთან ერთად. პურის კანონების გაუქმებამ ინგლისში (იხ. ნიუმენი) საწინააღმდეგო მოვლენა დაამტკიცა, და საპირისპირო წარმოდგენა მხოლოდ იმის გამო წარმოიწეა, რომ მოსავლის დიდი და უეცარი განსხვავებანი, რაც მხოლოდ მეტეოროლოგიური მიზეზებით აიხსნება, იწვევს პურის ფასების ხან არათანაზომიერ დაწევას, ხან არათანაზომიერ აწევას. თუ ამ შემთხვევაში გაიაფება იმდენად უეცარი და წარმავალია, რომ ვერ ასწრებს სრული გავლენა მოახდინოს მოხმარების გაფართოებაზე, სამაგიეროდ პირუტყუ მოვლენას ვხედავთ იმ შემთხვევაში, როდესაც გაიაფება თვით მარეგულირებელი წარმოების ფასის შემცირებიდან გამომდინარეობს, მაშასადამე, მას ხანგრძლივი გავლენა აქვს. მესამე, ხორბლის ნაწილი შეიძლება მოხმარებული იქნეს არაყის ან ლუდის სახით. და ორივე ამ პროდუქტის მზარდი მოხმარება სულაც არაა ვიწრო ფარგლებით შეზღუდული. მეოთხე, მოთხოვნილების ზრდა დამოკიდებულია აქ ნაწილობრივ მოსახლეობის მატებაზე, ნაწილობრივაც იმაზე, რომ ესა თუ ის ქვეყანა შეიძლება პურის განზიდველი ქვეყანა იყოს, როგორც იყო ინგლისი XVIII საუკუნის ნახევრამდე და უფრო გვიანაც, ასე რომ პურის მოთხოვნილება მარტო ეროვნული მოხმარების ფარგლებით როდია რეგულირებული. დასასრულ, ხორბლის წარმოების გადიდება და გაიაფებას შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ ჭვავისა და შვრის ნაცვლად ხორბალი ხდება ხალხის მასის კვების მთავარი საშუალება, ასე რომ უკვე მარტო ამის გამო ხორბლის ბაზარი იზრდება. ისევე როგორც პროდუქტის კლებისა და ფასის მატების დროს შეიძლება პირუტყუ მოვლენას ჰქონდეს ადგილი. — ამ ვარაუდის პირობებში, მაშასადამე, და ჩვენ მიერ მიღებული რიცხობრივი შეფარდებისას მწკრივი III იმ შედეგს იძლევა, რომ ფასი კვარტერისთვის 60-დან 30 შილინგამდე, ე. ი. 50%-ით ეცემა, წარმოება 1 მწკრივთან შედარებით, 10-იდან 23 კვარტერამდე, ე. ი. 130%-ით იზრდება; B მიწის მიერ მოცემული რენტა უცვლელი რჩება; C-ს რენტა დიდდება 25%-ით*, ხოლო D-სი — 33¹/₃-ით**; რენტის მთელი ჯამი 18-დან დიდდება 22¹/₂*** გირვ. სტერლინგამდე, ე. ი. 25%-ით****.

* 1834 წლას გამოცემაშია — ორკედება. რ ე დ.

** იქვე — ორჯერ და უფრო მეტად დიდდება. რ ე დ.

*** იქვე — 22 გირ. სტერ. რ ე დ.

**** იქვე — 22¹/₃% რ ე დ.

შევადართ ერთმანეთს სამი ცხრილი (ამათში 1 მწკრივი ასაღებია ორგვარად: აღმავალი მიმართულებით A -დან D -სკენ და დაღმავალი მიმართულებით D -დან A -სკენ, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მიწათმოქმედების მოცემული საფესურები მოცემულ საზოგადოების მდგომარეობაში, — მაგალითად, ერთიმეორის გვერდით არსებულად სამ სხვადასხვა ქვეყანაში, — ანდა როგორც ერთიმეორის მიმდევრო სხვადასხვა პერიოდები ერთი და იმავე ქვეყნის განვითარებისა. ამ შედარებიდან გამომდინარეობს:

1) რომ მწკრივი, თუ იგი დასრულებულია — როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი წარმოქმნის პროცესი — ყოველთვის წარმოგვიდგება დაღმავალი სახით, რადგან რენტის განხილვისას პირველად ყოველთვის იმ მიწიდან გამოდიან, რომელიც რენტის მაქსიმუმს იძლევა, და მხოლოდ ბოლოს გადადიან იმ მიწაზე, რომელსაც რენტა არ მოაქვს.

2) წარმოების ფასი უცუდეს მიწაზე, რომელსაც რენტა არ მოაქვს, მუდამ წარმოადგენს მარეგულირებელ საბაზრო ფასს, თუმცა ეს უკანასკნელი I ცხრილში, თუ ეს ცხრილი აღმავალი მიმართულებით შედგა, მხოლოდ იმიტომ რჩება უცვლელი, რომ სულ უფრო უკეთესი მიწა შედის დამუშავებაში. ამ შემთხვევაში საუკეთესო მიწაზე წარმოებული ხორბლის ფასი მხოლოდ იმდენად არის მარეგულირებელი, რამდენადაც ამ მიწაზე წარმოებული პროდუქტის რაოდენობაზე დამოკიდებული, თუ რა ზომით რჩება A მიწა მარეგულირებელი. თუ წარმოება B -ზე, C -ზე, D -ზე გადააჭარბებდა მოთხოვნილებას, A ველარ შეასრულებდა მარეგულირებელ როლს. ეს აქვს მხედველობაში შტორხს, როდესაც იგი საუკეთესო ხარისხის მიწას აკუთვნებს მარეგულირებელ როლს. ამ აზრით ამერიკის ხორბლის ფასი არეგულირებს ინგლისას.

3) დიფერენციული რენტა წარმოდგება მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების განსხვავებიდან (აქ ჯერ კიდევ არ მიიღება მხედველობაში ადგილმდებარეობა), განსხვავებიდან, რომელიც მოცემულია კულტურის განვითარების თვითეული მოცემული საფესურისათვის, მაშასადამე, საუკეთესო მიწების მოცულობის შეზღუდულობიდან, იმ გარემოებიდან, რომ თანაბარი კაპიტალები უნდა დაიხარჯოს უთანაბრო მიწებზე, რომელნიც, მაშასადამე, ტოლი კაპიტალების დახარჯვისას პროდუქტთა უთანატოლო რაოდენობას იძლევიან.

4) დიფერენციული რენტა და დიფერენციული რენტის ვრადაცია ერთნაირად შეიძლება წარმოიშვას როგორც დაღმავალი მიმართულებით, უკეთესი მიწიდან უარესზე გადასვლის გზით, ისე პირუკუ მიმართულებითაც, უარესიდან უკეთესზე გადასვლის გზით, აგრეთვე რიგრი-

გობითი მიმართულებით ერთსა და მეორე მხარეზე. (მწკრივი I შეიძლება წარმოიქმნას როგორც D -დან A -სკენ გადასვლის გზით, ისე A -დან D -სკენ გადასვლის გზით. მწკრივი II მოიცავს ორივე სახის მოძრაობას.)

5) თავისი წარმოქმნის წესის მიხედვით დიფერენციული რენტა შეიძლება წარმოიშვას მიწის პროდუქტის სტაციონარული, მზარდი და კლებადი ფასის არსებობისას. კლებადი ფასის დროს ერთობლივი წარმოება და რენტის მთელი ჯამი შეიძლება გადიდდეს, და მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც აქამდე რენტას არ იძლეოდნენ, შეიძლება რენტა წარმოიქმნას, მიუხედავად იმისა, რომ უცუდესი მიწა A უკეთესის მიერ იქნა განდევნილი ან თვითონ A გაუმჯობესდა, და მიუხედავად იმისა, რომ რენტა სხვა უკეთეს მიწებზე და საუკეთესოზეც კი კლებულა (ცხრილი II); ეს პროცესი შეიძლება აგრეთვე დაკავშირებული იქნას რენტის მთელი ჯამის (ფულით გამოსახულის) შემცირებასთან. დასაბრუნებელი ფასების კლებისას, რაც გამოწვეულია მიწის დამუშავების საერთო გაუმჯობესებით, რის გამო უცუდესი მიწის პროდუქტის რაოდენობა და ფასი მცირდება, რენტა უკეთესი მიწების ნაწილზე შეიძლება უცუდელი დარჩეს ან შემცირდეს, მაგრამ საუკეთესო მიწებზე გაიზარდოს. მართალია, ყოველი მიწის დიფერენციული რენტა, უცუდესი მიწის რენტასთან შედარებით, თუ პროდუქტის მასების სხვაობა მოცემულია, დამოკიდებულია, მაგალითად, კვარტერი ხორბლის ფასზე. მაგრამ თუ ფასი მოცემულია, დიფერენციული რენტა დამოკიდებულია პროდუქტის მასებს შორის არსებული სხვაობის სიდიდეზე, და თუ ყველა მიწის აბსოლუტური ნაყოფიერების ზრდისას უკეთესი ხარისხის მიწების ნაყოფიერება შედარებით მეტად იზრდება, ვიდრე უფრო ცუდი მიწების ნაყოფიერება, მაშინ ამასთან ერთად ამ სხვაობის სიდიდეც იზრდება. ამრიგად (ცხრილი 1) 30 შილ. ფასის არსებობისას D -ს რენტა განისაზღვრება მისი პროდუქტის სხვაობით A -თან შედარებით, ე. ი. 3 კვარტერის რაოდენობის ნამეტით; ამიტომ რენტა = $3 \times 60 = 180$ შილინგს. III ცხრილში კი, სადაც ფასი = 30 შილინგს, აგი განისაზღვრება ნამეტი პროდუქტის მასით D მიწისა A -თან შედარებით, რაც = 8 კვარტერი; ხოლო $8 \times 30 = 240$ შილინგს.

ამგვარად ქრება დიფერენციული რენტის ის პირველი მცდარი წანამძღვარი, რასაც ჯერ კიდევ ვესტი [West], მალთუსი, რიკარდო მტყიცედ აცავდნენ, რომ ვითომ დიფერენციული რენტა უქველად გულისხმობს სულ უფრო ცუდი ხარისხის მიწაზე გადასვლას ანუ მიწათმოქმედების მუდმივ კლებად ნაყოფიერებას. როგორც დავინახეთ, დიფერენციულ

რენტის შეიძლება ადგილი ჰქონდეს სულ უკეთეს და უკეთეს მიწაზე გადასვლისას; მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც უდაბლეს ადგილს უფრო კარგი ნიადაგი დაიჭერს წინანდელი უფრო ცუდის ნაცვლად; იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს მიწათმოქმედების მზარდ პროგრესთან. მისი წარმოშობის პირობაა მხოლოდ ნიადაგთა ხარისხის უთანაბრობა. რამდენადაც ნაყოფიერების განვითარება მიიღება მხედველობაში, იგი იმას გულისხმობს, რომ მთელი ფართობის აბსოლუტური ნაყოფიერების გადიდება კი არ სპობს ამ უთანატოლობას, არამედ ან აღიღებს ამ უკანასკნელს, ან უცვლელად ტოვებს, ანდა მხოლოდ ამცირებს მას.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან მის ნახევრამდე ინგლისში, ოქროსა და ვერცხლის კლებადი ღირებულების მიუხედავად, წარმოებდა პურის ფასების განუწყვეტელი დაწევა (თუ მთელ პერიოდს განვიხილავთ) რენტის, რენტის მთელი ჯამის, დამუშავებული მიწების ფართობის, სამიწათმოქმედო წარმოებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად. ასეთი მდგომარეობა შეესაბამება I ცხრილს, კომბინირებულს II ცხრილთან აღმავალი ხაზით, მაგრამ ისე, რომ უტუდესი მიწა A ან უმჯობესდება, ანდა გამოირიცხება ზორბლით დათესილი მიწებიდან; მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი გამოყენებული არ იქნება სხვა სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო მიზნებისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან (თარიღი უფრო ზუსტად უნდა აღინიშნოს) 1815 წლამდე წარმოებდა ზორბლის ფასების განუწყვეტელი აწევა რენტის, რენტის მთელი ჯამის, დამუშავებული მიწების ფართობის, სამიწათმოქმედო წარმოებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად. ეს შეესაბამება I ცხრილს დაღმავალი ხაზით. (აქ ციტირებულ უნდა იქნეს სათანადო ადგილი უფრო ცუდი მიწების დამუშავების შესახებ იმ დროს.)

პეტის და დავენანტის დროს სოფლის მოსახლეობის და მიწათმოქმედებელთა ჩივილი დამუშავების გაუმჯობესებისა და გაღვართობის შესახებ; უკეთეს მიწებზე რენტის დაცემა, რენტის მთელი ჯამის გადიდება რენტის მომცემი მიწის ფართობის გადიდების გამო.

(ამ სამი პუნქტისათვის შემდეგ მოცემულ უნდა იქნეს კიდევ ციტატები. აგრეთვე ნაყოფიერების მხრივ ამა თუ იმ ქვეყანაში დამუშავებული მიწების სხვადასხვა ნაწილთა განსხვავების შესახებ.)

ლიფერენციული რენტის შესახებ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტთა მასის საბაზრო ღირებულება ყოველთვის აღემატება მთელ წარმოების ფასს. მაგალითისათვის ავიღოთ I ცხრილი. 10 კვარ-

ვიგულისხმობთ ახლა, რომ დამუშავებული აკრების რიცხვი გაორ-
კეცდა თვითივე ჯგუფში; მაშინ ჩვენ გვექნება:

ცხრილი Ia

მიწის ხარისხი	აკრი	წარმოე- ბის ფაის გიოვ. სტერლ.	პროდუქ- ტი. კვარ- ტერი	რენტა ხორბლად. კვარტერი	ფულადი რენტა. გიოვ. სტერლ.
A	2	6	2	0	0
B	2	6	4	2	6
C	2	6	6	4	12
D	2	6	8	6	18
ჯამი	8	—	20	12	36

ვიგულისხმობთ კიდევ ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც წარ-
მოება ფართოვდება ორ უცუღესი ხარისხის ნიადაგზე ამგვარად:

ცხრილი Ib

მიწის ხარისხი	აკრი	წარმოების ფაის გიოვ. სტერლ.		პროდუქ- ტი. კვარ- ტერი	რენტა ხორბლად კვარტერი	ფულ. რენ- ტა გიოვ. სტერლ.
		აკრზე	სულ			
A	4	3	12	4	0	0
B	4	3	12	8	4	12
C	2	3	6	6	4	12
D	2	3	6	8	6	18
ჯამი	12	—	36	26	14	42

დასასრულ, ის შემთხვევა, როდესაც წარმოების გაფართოება და
დამუშავებული ფართობის გადიდება მიწის ოთხ ჯგუფში არათანაბ-
რად ხდება:

ცხრილი Ic

მიწის ხარისხი	აკრი	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.		პროდუქტი. კვარტევი	რენტა. ხობლად კვარტერი	ფულ. რენტა გირვ. სტერლ.
		აკრზე	სულ			
A	1	3	3	1	0	0
B	2	3	6	4	2	6
C	5	3	15	15	10	30
D	4	3	12	16	12	36
ჯამი	12	—	36	36	24	72

უწინარეს ყოვლისა ყველა ამ შემთხვევაში: I, Ia, Ib და Ic რენტა აკრზე ერთი და იგივე რჩება, რადგან ნამდვილად კაპიტალის ერთი და იმავე მასის პროდუქტი თვითეულ აკრზე უცვლელი დარჩა; ნავარაუდევია მხოლოდ ის, რასაც თვითეულ მოცემულ მომენტში ადგილი აქვს ყოველ ქვეყანაში, სახელდობრ, რომ სხვადასხვა ხარისხის მიწები განსაზღვრულ შეფარდებაშია მთელი დამუშავებული ფართობის მიმართ; და ნაგულისხმევია, — რასაც მუდამ ადგილი აქვს ორ ქვეყანაში ერთის მეორესთან შედარებისას, ან ერთსა და იმავე ქვეყანაში მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდებში, — რომ იცვლება შეფარდება, რომლის მახედვითაც მთელი დამუშავებული მიწის ფართობი სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის განაწილდება.

Ia-ს I-თან შედარებისას ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ყველა ოთხი ჯგუფის მიწების დამუშავებული ფართობი თანაბარი პროპორციით გაიზარდა, დამუშავებულ აკრთა რაოდენობის გაორკეცებისას ორკეცდება მთელი წარმოება, ასევე ორკეცდება რენტა ხობლად და ფულად.

მაგრამ Ib და Ic თანმიმდევრული შედარებისას I-თან ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე შემთხვევაში ადგალი აქვს დამუშავებული მიწის ფართობის გასამკეცებას. ორივე შემთხვევაში იგი იზრდება 4 აკრიდან 12-მდე. მაგრამ უდიდეს ზრდას Ib-ში ადგილი აქვს a და b ჯგუფში, რომელთაგან a არავითარ რენტას არ იძლევა, ხოლო b იძლევა უმცირეს დიფერენციულ რენტას; ახლად დამუშავებული 8 აკრიდან a და b წილად მოდის სამ-სამი, სულ 6 აკრი, მაშინ როდესაც c და d წილად მოდის თითო აკრი, სულ 2 აკრი. სხვა სიტყვებით, ნამატის $\frac{1}{4}$ მოდის a და b-ზე და მხოლოდ $\frac{1}{4}$ — c და d-ზე. თუ ამას

მხედველობაში მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ დამუშავებული მიწის ფართობის გასამკეცებას Iბ-ში I-თან შედარებით არ შეესაბამება გასამკეცებულ პროდუქტი, რადგან პროდუქტის რაოდენობა იზრდება 10-იდან არა 30-ამდე, არამედ მხოლოდ 26-ამდე. მეორე მხრივ, რადგან მთელი ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი A-ზე მოდის, რომელიც რენტას არ იძლევა, და უკეთეს მიწებზე წარმომდგარი ნამატის უდიდესი ნაწილი B ჯგუფზე მოდის, ამიტომ რენტა ხორბლად გადიდა 6-დან მარტოოდენ 14 კვარტერამდე, ხოლო ფულადი რენტა — 18-დან 42 გირვ. სტერლინგამდე.

პირიქით, I-თან I c-ის შედარებისას, სადაც იმ მიწის ფართობი, რომელიც რენტას არ იძლევა, სრულიად არ იცვლება და მანიამალურა რენტის მომცემი მიწის ფართობი უმნიშვნელოდ დიდდება, მაშინ როდესაც მთავარი ნამატი C და D-ზე მოდის, — ჩვენ ვხედავთ, რომ დამუშავებული მიწის ფართობის გასამკეცებისას წარმოება გაიზარდა 10 კვარტერიდან 36-ამდე, ე. ი. სამჯერ და კიდევ მეტად; რენტა ხორბლად 6 კვარტერიდან გაიზარდა 24-ამდე, ე. ი. გაოთხეცდა და ამდენჯერვე გადადდა ფულადი რენტაც: 18 გირვ. სტერლინგიდან 72-ამდე.

ყველა ამ შემთხვევაში მიწის პროდუქტის ფასი საქმის ბუნების შესაბამისად უცვლელი რჩება; ყველა ამ შემთხვევაში რენტის მთელი ჯამი იზრდება კულტურის გაფართოებასთან ერთად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხდება არა მხოლოდ და მხოლოდ უცუდეს მიწაზე, რომელიც რენტას არ იძლევა. მაგრამ ეს ზრდა სხვადასხვაა. თუ კულტურა ფართოვდება უკეთესი ხარისხის მიწებზე და, მაშასადამე, პროდუქტის მასა იზრდება არა მიწის ფართობის გადიდების პროპორციულად მხოლოდ, არამედ უფრო სწრაფად, — იმავე ოდენობით იზრდება რენტაც ხორბლად და ფულად. თუ გაფართოება უპირატესად უცუდეს მიწაზე და მასთან დაახლოებული ხარისხის მიწებზე ხდება (ამასთან აქ იგულისხმება, რომ უცუდესი მიწის კატეგორია ერთი და იგივე რჩება), — რენტის მთელი ჯამი არ დიდდება დამუშავებული ფართობის გადიდების პროპორციულად. მაშასადამე, ორ ქვეყანაში, სადაც რენტის არმომცემი მიწა A ერთნაირი ღირსების არის, რენტის ჯამი პირუკუ შეფარდებაშია იმ სათანადო ნაწილის მიმართ, რომელსაც დამუშავებული მიწის საერთო ფართობში შეადგენს უცუდესი მიწა და ნაკლებ კარგი მიწები, და, ამიტომ, პირუკუ შეფარდებაშია პროდუქტის მასის მიმართ, რომელიც თანატოლი სიდიდის ფართობზე მიიღება. ამრიგად, შეფარდება უცუდესი ხარისხის დამუშავებული მიწის რაოდენობასა და უკეთესის რაოდენობას შორის, ქვეყნის მთელი მიწის ფართობის ფარგლებში, რენტის მთელ ჯამზე პირუკუ გავლენას ახდენს იმასთან შედარებით,

რასაც შეფარდება დამუშავებული უცუდეში მიწის ღირსებასა და უკეთესი და საუკეთესო მიწის ღირსებას შორის ახდენს ერთი აკრის რენტაზე და, მაშასადამე, სხვა პირობების უცვლელობისას, რენტის ჯამზე. ამ ორი მომენტის ერთმანეთში არევაში საბაზი მისცა მრავალგვარ შეუსაზნამო საწინააღმდეგო შენიშვნებს დიფერენციული რენტის თეორიის წინააღმდეგ.

ამრიგად: რენტის საერთო ჯამი იზრდება მართო იმის გამო, რომ ფართოვდება კულტურა და მასთან დაკავშირებით დიდდება კაპიტალისა და შრომის გამოყენება მიწის მიმართ.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი პუნქტი შემდეგია: თუმცა ნაგულისხმევის თანახმად, ერთ აკრზე გამოანგარიშებული სხვადასხვა ხარისხის მიწების რენტის შეფარდება იგივე რჩება და ამიტომ იგივე რჩება რენტის ნორმაც თვითთულ აკრზე დახარჯული კაპიტალის მიმართ, მაგრამ აშკარავდება შემდეგი: თუ ჩვენ Ia შევადარებთ I — იმ შემთხვევას, როცა დამუშავებული აკრების რიცხვი და მათზე გაწეული კაპიტალდაბანდება პროპორციულად გადიდდა, დავინახავთ, რომ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გაიზარდა მთელი წარმოება გადიდებული დამუშავებული ფართობის პროპორციულად, — გაიზარდა რენტის მთელი ჯამიც. იგი გადიდდა 18 გირვ. სტერლინგიდან 36-ამდე, სრულიად ისე, როგორც აკრების რიცხვი 4-დან 8-მდე.

თუ ჩვენ 4 აკრის ერთობლივ ფართობს ავიღებთ, — მისი რენტის მთელი ჯამი შეადგენდა 18 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, საშუალო რენტა, იმ მიწის ჩათვლით, რომელიც რენტას არ იძლევა, შეადგენდა $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს. ასე შეეძლო ეანგარიშნა, მაგალითად, ვინმე მიწის მესაკუთრეს, ვისი საკუთრებაც ყველა ეს 4 აკრი იქნებოდა; ამგვარადვე ანგარიშობს სტატისტიკა მთელი ქვეყნის საშუალო რენტას. რენტის მთელი ჯამი 18 გირვ. სტერლინგის რაოდენობით მიიღება 10 გირვ. სტერლინგი კაპიტალის გამოყენებისას. შეფარდებას ამ ორ რიცხვს შორის ჩვენ ვუწოდებთ რენტის ნორმას; ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ეს ნორმაც 180%.

რენტის იგივე ნორმა მიიღება Ia-ში, სადაც 4 აკრის ნაცვლად დამუშავებულია 8 აკრი, მაგრამ ყველა ხარისხის ნიადაგი თანაბარი პროპორციით მონაწილეობდა მატებაში. რენტის მთელი ჯამი 8 აკრის დამუშავებისას და 20 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას იძლევა $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგ საშუალო რენტას აკრზე ანუ 180% რენტის ნორმას.

თუ ჩვენ, პირიქით, Ib განვიხილავთ, სადაც მატებას უმთავრესად ორივე ნაკლები ხარისხის მიწაზე აქვს ადგილი, დავინახავთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს 42 გირვ. სტერლ. რენტა 12 აკრზე, ე. ი. $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ.

საშუალო რენტა აკრზე. დახარჯული მთელი კაპიტალი შეადგენს 30 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, რენტის ნორმა = 140%-ს. ამრიგად, საშუალო რენტამ აკრზე დაიკლო 1 გირვ. სტერლინგით და რენტის ნორმა 180-იდან დაეცა 140%-ამდე. მაშასადამე, აქ, რენტის მთელი ჯამის გაზრდისას 18 გირვ. სტერლინგიდან 42 გირვ. სტერლინგამდე, ადგილი აქვს როგორც აკრზე გამოანგარიშებული, ისე კაპიტალზე გამოანგარიშებული საშუალო რენტის დაკლებას; დაკლება წარმოებს ზრდის პარალელურია, მაგრამ არა პროპორციული. ეს ხდება მოუხედავად იმისა, რომ როგორც აკრზე, ისე დახარჯულ კაპიტალზე გამოანგარიშებული ყველა ხარისხის მიწის რენტა იგივე რჩება. ამის მიზეზი ისაა, რომ ნამატის სამი მეოთხედი მოდის მიწა A-ზე, რომელიც რენტას არ იძლევა, და მიწა B-ზე, რომელიც მხოლოდ მინიმალურ რენტას იძლევა.

Ib-ში მთელი გაფართოება რომ მარტოოდენ მიწა A-თი შემოფარგლულიყო, ჩვენ A-ზე გვექნებოდა 9 აკრი, B-ზე — 1, C-ზე — 1 და D-ზე — 1. რენტის მთელი ჯამი წინანდებურად იქნებოდა 18 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, საშუალო რენტა ამ 12 აკრიდან თვითველ აკრზე იქნებოდა $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი; 18 გირვ. სტერლინგი 30 გირვ. სტერლინგ დახარჯულ კაპიტალზე შეადგენდა 60% რენტის ნორმას. როგორც აკრზე, ისე დახარჯულ კაპიტალზე გამოანგარიშებული საშუალო რენტა ძალიან დაიკლებდა; მაშინ როდესაც რენტის მთელი ჯამი არ გადიდებოდა.

შევადაროთ, ბოლოს, Ic I-ს და Ib-ს. I-თან შედარებით მიწის ფართობი გასამკვეცდა და ასევე გადიდდა დახარჯული კაპიტალი. რენტის მთელი ჯამი = 72 გირვ. სტერლინგს 12 აკრზე, ე. ი. 6 გირვ. სტერლინგს აკრზე ნაცვლად $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგისა, როგორც ეს I შემთხვევაში იყო. რენტის ნორმა დახარჯულ კაპიტალზე (72 გირვ. სტერლ.: 30 გირვ. სტერლ.) 180%-ის ნაცვლად 240%-ს შეადგენს. მთელი პროდუქტი გადიდდა 10 კვარტერიდან 36-ამდე.

Ib-თან შედარებისას, სადაც დამუშავებული აკრების საერთო რიცხვი, დახარჯული კაპიტალი და სხვაობა სხვადასხვა ხარისხის დამუშავებულ მიწებს შორის უცვლელადაა დარჩენილი, მაგრამ მათი განაწილება სხვაგვარია, ვხედავთ, რომ პროდუქტი 26 კვარტერის ნაცვლად 36 უდრის. საშუალო რენტა აკრზე $3\frac{1}{2}$ -ის ნაცვლად 6 გირვ. სტერლინგს უდრის და რენტის ნორმა ავანსებული ტოლი მთელი კაპიტალის მიმართ 140-ის ნაცვლად 240%-ს უდრის.

განვიხილავთ სხვადასხვა მდგომარეობას ცხრილ Ia-ში, Ib-ში, Ic-ში როგორც იმავედროულად ერთიმეორის გვერდით არსებულ მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყანაში, თუ როგორც თანმიმდევრულ მდგომარეობას ერთსა და იმავე ქვეყანაში, სულ ერთია, ჩვენ მაინც შემდეგ დასკვნებამდე მივდივართ: ხორბლის ფასის უცვლელობისას — უცვლელობისას იმის გამო, რომ იმ უტუღესი მიწის გამოსავლიანობა, რომელიც რენტას არ იძლევა, უცვლელი რჩება; სხვადასხვა ჯგუფის დამუშავებული მიწების ნაყოფიერების სხვაობის უცვლელობისას; პროდუქტის რელატიურად ერთნაირი რაოდენობისას და, მასასადაჟე, თვითეულ ჯგუფში დამუშავებული მიწის ფართობის თანატოლ სათანადო ნაწილებზე (აკრებზე) თანატოლი კაპიტალის დახარჯვისას; ამიტომ შეფარდების უცვლელობისას აკრზე აღებულ თვითეული ხარისხის მიწის რენტებს შორის და ერთი და იმავე ხარისხის მიწის ნაკვეთზე დახარჯულ კაპიტალზე რენტის ნორმის თანატოლობისას, — **ჯ ე რ ე თ ი**, რენტის ჯამი მუდამ იზრდება დამუშავებული ფართობის გადიდებასა და, მასასადაჟე, კაპიტალდახარჯის ზრდასთან ერთად, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც მთელი ნაშატი იმ მიწას უწევს, რომელიც რენტას არ იძლევა. **მ ე ო რ ე**, როგორც საშუალო რენტა აკრზე (რენტის მთელი ჯამი, გაყოფილი დამუშავებული აკრების მთელ რიცხვზე), ისე რენტის საშუალო ნორმა (რენტის მთელი ჯამი, გაყოფილი მთელ დახარჯულ კაპიტალზე) შეიძლება ძალიან მნიშვნელოვნად იცვლებოდეს, და ამასთან ორივე — ერთი და იმავე მიმართულებით, მაგრამ სხვადასხვა პროპორციით ერთიმეორის მიმართ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემთხვევას, როდესაც გაფართოებას ადგილი აქვს მხოლოდ A მიწაზე. რომელიც რენტას არ იძლევა, — გამოდის, რომ საშუალო რენტა აკრზე და რენტის საშუალო ნორმა მიწათმოქმედებაში დაბანდებულ კაპიტალზე დამოკიდებულია იმაზე, თუ მთელი დამუშავებული ფართობის რა ნაწილს შეადგენენ სხვადასხვა ჯგუფის მიწები; ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, დამოკიდებულია მთელი დახარჯული კაპიტალის განაწილებაზე სხვადასხვა ნაყოფიერების მიწებს შორის. ბევრი მიწაა ქვეყანაში დამუშავებული თუ ცოტა და ამიტომ (იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც გაფართოება მხოლოდ A-ზე მოდის) უფრო დიდია რენტის მთელი ჯამი თუ უფრო ნაკლები, — საშუალო რენტა აკრზე ანუ რენტის საშუალო ნორმა გამოყენებულ კაპიტალზე უცვლელი რჩება, ხანამ უცვლელი რჩება სხვადასხვა ხარისხის დამუშავებული მიწების წილი მიწის მთელ ფართობში. მიუხედავად რენტის მთელი ჯამის გადიდებისა და მნიშვნელოვანი გადიდებისა ცი, რასაც ადგილი აქვს კულტურის გაფართოებასა და კაპიტალის დაბანდების გადიდებასთან ერთად.

თად, საშუალო რენტა აკრზე და რენტის საშუალო ნორმა კაპიტალზე მცირდება. თუ იმ მიწების გაფართოება, რომლებიც რენტას არ იძლევიან ან მხოლოდ უმნიშვნელო დიფერენციულ რენტას იძლევიან, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე უკეთესი მიწების გაფართოება, რომლებსაც უფრო დიდი რენტა მოაქვთ. პირიქით, საშუალო რენტა აკრზე და რენტის საშუალო ნორმა კაპიტალზე მატულობს იმდენად, რამდენადაც უკეთესი მიწები შედარებით უფრო დიდ წილს იჭერენ მთელ ფართობში და ამიტომ შედარებით მეტი კაპიტალის დაბანდება უწევს მათ.

ამრიგად, თუ განვიხილავთ საშუალო რენტას მთელი დამუშავებული მიწის აკრზე ან ჰექტარზე, როგორც ეს ხდება სტატისტიკურ შრომებში, როცა აღარებენ ან სხვადასხვა ქვეყნებს ერთსა და იმავე ეპოქაში, ანდა სხვადასხვა ეპოქებს ერთსა და იმავე ქვეყანაში, ჩვენ დავინახავთ, რომ აკრზე გამოანგარიშებული რენტის საშუალო სიმაღლე და რენტის მთელი ჯამი განსაზღვრული ზომით (თუმცა არა უცვლელი, არამედ მუდამ მზარდი ზომით) შეესაბამება მიწათმოქმედების არა შეფარდებითს, არამედ აბსოლუტურ ნაყოფიერებას ამა თუ იმ ქვეყანაში, ე. ი. პროდუქტების მასას, რომელიც საშუალოდ მიიღება თანატოლ მიწის ფართობზე. ვინაიდან: მთელი ფართობის რაც უფრო დიდ ნაწილს შეადგენენ უკეთესი ხარისხის მიწები, მით უფრო დიდია პროდუქტების მასა, რომელიც მიიღება თანატოლი კაპიტალის დახარჯვისას და თანატოლი მიწის ფართობზე; და მით უფრო დიდია საშუალო რენტა აკრზე. პირიქითი ვითარებისას — პირიქით. ამის გამო ისე ჩანს, რომ რენტა განისაზღვრება არა დიფერენციული ნაყოფიერების შეფარდებით, არამედ აბსოლუტური ნაყოფიერებით, და რომ ამგვარად დიფერენციული რენტის კანონი ისპობა. ამიტომ ზოგიერთ მოვლენებს უარყოფენ ან ცდილობენ ისინი ახსნან ხორბლის საშუალო ფასების არარსებული განსხვავებებით და დამუშავებული მიწების დიფერენციული ნაყოფიერების განსხვავებებით, მაშინ როდესაც ეს მოვლენები დაფუძნებულია უბრალოდ იმაზე, რომ რენტის მთელი ჯამის შეფარდება როგორც დამუშავებული მიწის მთელი ფართობის მიმართ, ისე ნიადაგში მოთავსებული მთელი კაპიტალის მიმართ, ურენტო მიწის ნაყოფიერების თანატოლობისას, ამიტომ წარმოების ფასების თანატოლობისას და სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის თანატოლი განსხვავების არსებობის დროს, განისაზღვრება არა მხოლოდ იმ რენტით, რომელიც მიიღება აკრზე, ან რენტის ნორმით კაპიტალზე, არამედ აგრეთვე თვითიველი ხარისხის მიწის აკრთა რიცხვის შეფარდებით დამუშავებულ აკრთა მთელი რიცხვის მიმართ, ანუ, რაც იმავეს ნიშ-

ნავს, მთელი დახარჯული კაპიტალის განაწილებით სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის. უცნაურია, რომ დღემდე ამ გარემოებას სრულიად არ ექცეოდა ყურადღება. ყოველ შემთხვევაში ცხადი ხდება, და ეს მნიშვნელოვანია ჩვენი შემდგომი კვლევა-ძიებისათვის, რომ შეფარდებითი სიმაღლე საშუალო რენტისა აკრზე და რენტის საშუალო ნორმა, ანუ რენტის მთელი ჯამის შეფარდება ნიადაგში მოთავსებულ მთელ კაპიტალთან, შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს უბრალოდ კულტურის ექსტენსიური გაფართოების გამო, მაშინ როდესაც ფასები უცვლელია, უცვლელია დამუშავებული მიწების ნაყოფიერების განსხვავება და უცვლელია რენტა აკრზე ანუ რენტის ნორმა ნამდვილად რენტის მომცემი მიწების თვითეულ ჯგუფში აკრზე დახარჯულ კაპიტალზე, ე. ი. ნამდვილად რენტის მომცემ მთელ კაპიტალზე.

საკიროა კიდევ შემდეგ დამატებების გაკეთება დიფერენციული რენტის იმ ფორმის შესახებ, რომელიც I რუბრიკაში იყო განხილული: იმ დამატებებს ნაწილობრივ მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე II დიფერენციული რენტისათვის.

პირველი: ჩვენ დავინახეთ, რომ საშუალო რენტა აკრზე ან რენტის საშუალო ნორმა კაპიტალზე შეიძლება გადიდდეს კულტურის გაფართოებისას, უცვლელი ფასების არსებობისას და დამუშავებული მიწების ნაყოფიერებაში განსხვავებებს უცვლელობისას. როცა მთელი მიწა რომელიმე ქვეყანაში მითვისებულია, მიწაზე კაპიტალის დანახარჯმა, კულტურამ და მოსახლეობამ განსაზღვრულ სიმაღლეს მიაღწია, — ესაა პირობები, რომელთა არსებობა უნდა ვიგულისხმოთ. რაკი კაპიტალისტური წარმოების წესი გაბატონებული გახდა და იგი მიწათმოქმედებასაც დაეფუძლა, — მაშინ სხვადასხვა ხარისხის დაუმუშავებელი მიწების ფასი (თუ მართოდენ დიფერენციულ რენტას ვიგულისხმებთ) განისაზღვრება თანატოლი ღირსებისა და სათანადო მდებარეობის მქონე დამუშავებული მიწების ფასით. ფასი ერთი და იგივეა, — მასში მითვლილი დამუშავების ხარჯების გამოკლებით, — თუმცა ასეთ მიწებს რენტა არ მოაქვთ. რასაკვირველია, მიწის ფასი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზებული რენტა. მაგრამ დამუშავებული მიწების ფასშიც მხოლოდ მომავალ რენტას გადაიხდიან, მაგალითად, ოცი წლის რენტას ერთბაშად წინდაწინ გადაიხდიან, თუ სარგებლის განმსაზღვრელი განაკვეთი უდრის 5%. რაკი მიწა გაიყიდება, იგი გაიყიდება როგორც რენტის მომცემი; სამერმისო ხასიათი რენტისა (რომელიც აქ განიხილება როგორც მიწის ნაყოფი, რასაც იგი მხოლოდ მოჩვენებითად წარმოადგენს) წარმოშობს იმას, რომ დაუმუშავებელ

მიწა არ განირჩევა დამუშავებულისაგან. დაუმუშავებელი მიწების ფასს, ისე როგორც მათ რენტას, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებას ფასი წარმოადგენს, წმინდა ილუზორული ხასიათი აქვს, ვიდრე ეს მიწები ნამდვილად გამოყენებული არ იქნება. მაგრამ ეს ფასი განისაზღვრება *a priori* და რეალიზდება, როგორც კი მყიდველები აღმოჩნდებიან. ამიტომ, თუ ნამდვილი საშუალო რენტა ამა თუ იმ ქვეყანაში განისაზღვრება ნამდვილი საშუალო წლიური რენტის ჯამით, და ამ უკანასკნელის შეფარდებით მთელ დამუშავებულ ფართობთან, — მიწის ფართობის დაუმუშავებელი ნაწილის ფასი განისაზღვრება დამუშავებულის ფასით და ამიტომ დამუშავებულ მიწებზე კაპიტალდანახარჯის და მისი შედეგების მარტოოდენ ანარეკლს წარმოადგენს. რადგან. უცუდეში მიწის გამოკლებით, ყველა კატეგორიის მიწა იძლევა რენტას (და ეს რენტა, როგორც ჩვენ დავინახეთ II რუბრიკაში, იზრდება კაპიტალის მასასა და ამ მასის შესაბამისად კულტურის ინტენსივობასთან ერთად), ამიტომ წარმოიქმნება ნომინალური ფასი მიწის დაუმუშავებელი ნაწილებისთვის, რომელნიც ამგვარად მათი მფლობელებისათვის იქცევიან საქონლად, სიმდიდრის წყაროდ. ამითვე აიხსნება, თუ რატომ იზრდება მთელ მხარეში მიწის ფასი, დაუმუშავებულისაც; (Opdyke [ოპდაიკი]). მიწის სპეკულაცია, მაგალითად, შეერთებულ შტატებში, დამყარებულია მარტოოდენ ამ ანარეკლზე, რომელსაც კაპიტალი და შრომა უკუაგდებს დაუმუშავებელი მიწისაკენ.

მეორე: დაუმუშავებელი მიწის გაფართოების პროცესი საერთოდ წარმოებს ან უცუდეში ხარისხის მიწაზე გადასვლის გზით, ანდა არსებულ სხვადასხვა ხარისხის მიწებზე გადასვლის სხვადასხვა პროპორციით იმისდა მიხედვით, თუ რა მიწა მოიპოვება. უფრო ცუდი ხარისხის მიწაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, არასოდეს არ ხდება ნებაყოფლობით; იგი — თუ კაპიტალისტურ წარმოების წესს ვიგულისხმებთ — ფასების აწევის შედეგია, ყოველი წარმოების წესის არსებობის დროს მხოლოდ აუცილებლობის შედეგია. მაგრამ ეს ყოველთვის როდია აუცილებელი. უკეთესთან შედარებით ცუდ მიწას შეფარდებითი უპირატესობა ეძლევა მისი მდებარეობის გამო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კულტურის ყოველი გაფართოებისას ახალგაზრდა ქვეყნებში; შენდევს იმის გამო, რომ თუმცა ნიადაგი რომელსაჲე კუთხეში საერთოდ უფრო ნაყოფიერის კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ ალაგ-ალაგ უკეთესი და ნაკლები ღირსების მიწები ერთმანეთშია ჰრელად არეული, ნაკლები ღირსების მიწის დამუშავება საჭირო ხდება უკვე ხარტო იმის გამო, რომ იგი უშუალოდ დაკავშირებულია უკეთესთან.

თუ უფრო ცუდი მიწა ცალკე ნაკვეთებით შეჭრილია უკეთესი მიწის ფარგლებში, — ეს გარემოება აძლევს მას მდებარეობის უპირატესობას მეორე მიწის წინაშე, რომელიც უფრო ნაყოფიერია, მაგრამ არ ეკვრის დამუშავებულ ან დასამუშავებელ მიწას.

ამ გზით შტატი მიჩიგანი ხორბლის ერთ-ერთი პირველი გამზიდველი შეიქნა დასავლეთ შტატებს შორის. მისი ნიადაგი საერთოდ მწირია. მაგრამ შტატ ნიუ-იორკთან სიახლოვე და წყლით სამომოსვლო გზა, ტბებითა და ერი-არხით შექმნილი, თავდაპირველად მას უპირატესობას აძლევდა ბუნებით უფრო ნაყოფიერი შტატების წინაშე, რომლებიც უფრო დასავლეთისაკენ მდებარეობდნენ. ამ შტატის მაგალითი შტატ ნიუ-იორკთან შედარებით იძლევა აგრეთვე უკეთესი მიწიდან უფრო ცუდზე გადასვლის ილუსტრაციას. შტატ ნიუ-იორკის ნიადაგი, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი, გაცილებით უფრო ნაყოფიერია, მეტადრე ხორბლის მოსაყვანად. მტაცებლური დამუშავებით ეს ნაყოფიერი მიწა არანაყოფიერი გახდა, და მიჩიგანის ნიადაგი ახლა უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა.

«1836 წელს ბუფალოდან წყლით ეზიდებოდნენ პურის ფქვილს დასავლეთისაკენ, უმათერესად პურის ოლქ ნიუ-იორკიდან და ზემო კანადიდან. ამჟამად, მხოლოდ 12 წლის შემდეგ, ხორბლის და ფქვილის უმარავი მარავი მოაქვთ დასავლეთიდან, ერი-ტბით და ერი-არხით, ბუფალოში და მეზობელ ნავსადგურ ბლეკროკში წყლით გასაგზავნად აღმოსავლეთისაკენ. ხორბლისა და ფქვილის ექსპორტს განსაკუთრებული სტიმული მისცა 1847 წელს შიმშილმა ევროპაში. ამის გამო ხორბალი ნიუ-იორკის დასავლეთ ნაწილში გაიფლავდა და მისი თესვა ნაკლებ ხელსაყრელი შეიქნა; ამან აიძულა ნიუ-იორკის ფერმერები უფრო პირუტყვის მოშენებისათვის, რძის მეურნეობისათვის, მებღლეობისათვის და სხვ., ე. ი. ისეთი დარგებისათვის მოეკიდათ ხელი, რომლებშიაც, მათი აზრით, ჩრდილო-დასავლეთს არ შეუძლია მათ უშუალოდ კონკურენცია გაუწიოს» (J. W. Johnston: «Notes of North America», London 1851, I, გვ. 222).

მესამე: შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ კოლონიების და საერთოდ ახალგაზრდა ქვეყნების ნიადაგი, რომელთაც უფრო იაფ ფასად შეუძლიათ ხორბლის გაზიდვა, ამიტომ უეჭველად უფრო დიდი ბუნებრივი ნაყოფიერების მქონეა. ამ შემთხვევაში ხორბალი იყიდება არა მარტო მის ღირებულებაზე ნაკლებად, არამედ მის წარმოების ფასზე ნაკლებადაც, სახელდობრ იმ წარმოების ფასზე ნაკლებად, რომელიც უფრო ძველ ქვეყნებში მოგების საშუალო ნორმით განისაზღვრება.

თუ ჩვენ, როგორც ჯონსტონი ამბობს (გვ. 223), «დაჩვეულნი ვართ, რომ ამ ახალ შტატებს, საიდანაც ყოველწლიურად ხორბლის ესოდენ დიდ რაოდენობას ეზიდებიან ბუფალოში, დაეუკავშიროთ წარმოდგენა ნდილარი მიწის დიდი ბუნებრივი ნაყოფიერებისა და უსაზღვრო სივრცის შესახებ», ეს უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე. ასეთი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მაგალითად, მიჩიგანისა, თავდაპირველად თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობას ეწეოდა, სახელდობრ — მასობრივი მოხმარების პროდუქტთა წარმოებას, რადგან მხოლოდ მათი გაცვლა შეიძლებოდა სამრეწველო საქონელზე და ტრობიკულ პროდუქტებზე. ამიტომ მთელი მისი ნაჭარბი პროდუქტი ხორბლის სახეს იღებს. ეს უკვე იმთავითვე განასხვავებს თანამედროვე მსოფლიო ბაზრის ბაზაზე დამყარებულ კოლონიურ სახელმწიფოებს წინანდლეებისაგან და განსაკუთრებით ანტიკური დროის კოლონიებისაგან. მსოფლიო ბაზარი მათ აწვდის მზამზარეულად პროდუქტებს, — ტანსაცმელს, იარაღებს და სხვ., — რომლებიც მათ სხვა გარემოებებში თვითონ უნდა ეწარმოებინათ. მხოლოდ ასეთ საფუძველზე შეეძლოთ კავშირის სამხრეთის შტატებს ბაჰმა თავის მთავარ პროდუქტად ექციათ. ამ შესაძლებლობას მათ აძლევს შრომის დანაწილება მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ თუ ისე გვეჩვენება, რომ ისინი, თუ ნხედველობაში მივიღებთ მათს სინორჩეს და შედარებით მცირერიცხოვან მოსახლეობას, ძალიან დიდ ჭარბ პროდუქტს აწარმოებენ, — ამის მიზეზია არა მათი ნიადაგის ნაყოფიერება, არც მათი შრომის ნაყოფიერება [Fruchtbarkeit], არამედ ცალმხრივი ფორმა მათი შრომის და, მამსადამე, იმ ჭარბი პროდუქტისაც, რომლითაც ეს შრომა გამოიხატება.

შემდეგ, შეფარდებით ნაკლებ ნაყოფიერი სახნავი მიწა, რომლის დამუშავება პირველად ახლა დაიწყო და რომელსაც ჯერ არავითარი კულტურა არ შეეხებია, მეტნაკლებ ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში შეიცავს, ზემო ფენებში მაინც, იმდენ ადვილად ხსნად, მცენარეების საზრდოდ საჭირო ნივთიერებას, რომ იგი დიდხანს იძლევა მოსავალს უსასუქოდ, და თან სრულიად ზერელე დამუშავების გზით. დასავლეთის პრერიების მიმართ ამას ერთვის კიდევ ის, რომ ისინი არ მოითხოვენ თითქმის არავითარ ხარჯებს ყამირის გასატეხად, რადგან დასამუშავებლად ვარჯისანი არიან ბუნებით^{38a}. ნაკლებ ნაყოფიერ ამგვარ ადგილებში ნაჭარბი მიიღება არა ნიადაგის მაღალი ნაყოფიერების გამო,

^{38a} { ასეთი პრერიებიანი და ველებიანი ადგილების სწრაფად გაზრდილმა დამუშავებამ სწორედ რომ საბავშვო ხუმრობად აქცია უკანასკნელ დროს მალთუსისა დიდად განთქმული დებულება: რომ «მოსახლეობა აწევა საარსებო საშუალებებს».

ე. ი. არა აკრის დიდი გამოსავლიანობის გამო, არამედ აერთა დიდი რაოდენობის გამო, რომელთა ზერელედ დამუშავება შესაძლებელია, რადგან თვით ეს მიწა დამმუშავებელს არა უღირს რა, ან, უფრო ძველ ქვეყნებთან შედარებით, უსასრულოდ მცირე რამ უღირს. მაგალითად. იქ, სადაც საზიარო იჯარა არსებობს, როგორც, მაგალითად, ნიუ-იორკის, მიჩიგანის, კანადის ზოგიერთ ნაწილებში და სხვ. ერთი ოჯახი ზერელედ დამუშავებს, ვთქვათ, 100 აკრს, და თუმცა პროდუქტის რაოდენობა, რომელიც აკრზე მიიღება, დიდი არაა, მაგრამ 100 აკრზე ის შეადგენს მნიშვნელოვან ნამეტს გასაყიდად. ამას ერთვის კიდევ პირუტყვის თითქმის მუქთი შენახვა ბუნებრივ საძოვრებზე, ხელოვნური საძოვრის გამოუყენებლად. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწის არა თვისებას, არამედ რაოდენობას. რასაკვირველია, ასეთი ზერელედ დამუშავების შესაძლებლობა ამოიწურება მეტნაკლებ ხწრაფად, — მით უფრო ნელა, რაც უფრო ნაყოფიერია ახალი მიწა, მით უფრო სწრაფად, რაც უფრო დიდია მისი პროდუქტის გაზიდვა. «და მაინც ასეთი მიწა პირველად ჩინებულ მოსავალს იძლევა, ხორბლის მოსავალსაც კი; იმას, ვინც მიწას პირველ ნაღებს მოხდის, შეუძლია უხვი ნამეტი გაგზავნოს ხორბლის სახით ბაზარზე» (იქვე, გვ. 224). ძველი კულტურის ქვეყნებში საკუთრების ურთიერთობა, დაუმუშავებელი მიწის ფასი, რომელიც დამუშავებულის ფასით განისაზღვრება და სხვ., შეუძლებელს ხდის ამგვარ ექსტენსიურ მეურნეობას.

შემდეგი მონაცემები გვიჩვენებს, რომ, რიკარდოს აზრის საწინააღმდეგოდ, ეს მიწა არ უნდა იყოს აუცილებლად ძალიან ნაყოფიერი, არც ის არის აუცილებელი, რომ ხარისხით ერთნაირი ნაყოფიერების მიწების დამუშავება ხდებოდეს; შტატ მიჩიგანში 1848 წელს ხორბლით დაითესა 465 900 აკრი და წარმოებულ იქნა 4 739 300 ბუშელი, ანუ საშუალოდ 10 $\frac{1}{2}$ ბუშელი აკრზე; თესლის გამოკლების შემდეგ აკრზე 9 ბუშელიც კი არ მოდის. შტატის 29 ოლქიდან 2 აწარმოებდა საშუალოდ 7 ბუშელს, 3 — 8, 2 — 9, 7 — 10, 6 — 11, 3 — 12, 4 — 13 ბუშელს და მხოლოდ ერთი — 16 ბუშელს და კიდევ ერთი — 18 ბუშელს აკრზე (იქვე, გვ. 226).

და, წინააღმდეგ ამისა, გამოიწვია აგარაიების გოდება იმაზე, რომ მიწათმოქმედება და მასთან ერთად გერმანიაც დაილუპება, თუ საარსებო საშუალებანი, რომლებიც მოსახლეობას აწევა, ძალდატანებითი ღონისძიებებით არ იქნა თავიდან მოშორებული. მაგრამ ამ ევლების, პრერიების, პამპასების, ლიანოსების და სხვ. დამუშავება ჯერ მხოლოდ დასაწყისშია; ამიტომ მისი გამარჯვოლუცყოფრებელი ზემოქმედება ევროპის სოფლის მეურნეობაზე მომავალში გაცილებით უფრო სავრძინაო იქნება, ვიდრე აქამდე იყო — **ფ. ი. }**

სამიწათმოქმედო პრაქტიკისთვის ნიადაგის უფრო დიდი ნაყოფიერება ემთხვევა ამ ნაყოფიერების დაუყოვნებლივ უფრო ინტენსიურად გამოყენების შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი შეიძლება მეტი იყოს ბუნებით მწირი მიწის მიმართ, ვიდრე ბუნებით მდიდარი მიწის მიმართ; მაგრამ კოლონისტი პირველ ყოვლისა ამგვარ მიწას ჩასჭიდებს ხელს და კაპიტალის ნაკლებობისას ასეც უნდა მოიქცეს.

დასასრულ: კულტურების გავრცელება მიწის სულ უფრო და უფრო დიდ ფართობზე, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახლახან განხილულ შემთხვევას, როდესაც საჭირო ხდება აქამდე დამუშავებულზე უფრო ცუდი ღირსების მიწაზე გადასვლა, — სხვადასხვა ხარისხის მიწებზე. *A*-დან დაწყებული *D*-მდე, ე. ი., მაგალითად, *B* და *C* მიწების უფრო დიდი ფართობის დამუშავება, სულაც არ გულისხმობს პურის ფასის წინასწარ აწევას, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, ბამბის რთვის გაფართოება არ მოითხოვს ნართის ფასის განუწყვეტელ გადიდებას. თუმცა საბაზრო ფასების მნიშვნელოვანი გადიდება ან შემცირება გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე, მაგრამ ესეც რომ მხედველობაში არ მივიღოთ, საშუალო ფასების დროსაც, რომელთა დონე არც შემადგერხებელ და არც განსაკუთრებით გამაცხოველებელ გავლენას არ ახდენს წარმოებაზე, მიწათმოქმედებაში (როგორც წარმოების ყველა სხვა დარგშიც, რომელიც კაპიტალისტურად წარინართება), მუდამ გვაქვს ის შეფარდებითი ჭარბწარმოება, რომელიც თავისთავად დაგროვების იდენტურია და რომელსაც წარმოების სხვა წესის დროს პირდაპირ იწვევს მოსახლეობის ზრდა და კოლონიებში — შეუწყვეტელი იმიგრაცია. მოთხოვნა მუდამ იზრდება და ამის მოლოდინში განუწყვეტლივ ზანდდება სულ ახალი და ახალი კაპიტალი მიწათმოქმედებაში, თუმცა, გარემოებისდა მიხედვით, — მიწის სხვადასხვა პროდუქტების საწარმოებლად. რაც შეეხება ცალკეულ კაპიტალისტს, იგი თავისი წარმოების მოცულობას ზომავს მის განკარგულებაში მყოფი კაპიტალის ოდენობით, რამდენადაც თვით მას ჯერ კიდევ შეუძლია ამ კაპიტალს ზედამხედველობა გაუწიოს. იგი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაიჭიროს ბაზარზე. თუ ადგილი ექნება ჭარბწარმოებას, ამაში იგი ბრალს დასდებს არა თავის თავს, არამედ თავის კონკურენტებს. ცალკეულ კაპიტალისტს შეუძლია თავისი წარმოების გაფართოება, როგორც იმით, რომ მოცემული ბაზრის უფრო დიდ ჯერად ნაწილს დაეუფლება, ისე იმით, რომ თვით ბაზარს გააფართოებს.

თავი მეორეოცე

დიფერენციული რენტის მეორე ფორმა

(დიფერენციული რენტა II)

აქამდე ჩვენ დიფერენციულ რენტას განვიხილავდით მხოლოდ როგორც სხვადასხვა ნაყოფიერების შემცველი მიწების ტოლ ფართობებზე ტოლ კაპიტალდაბანდებათა სხვადასხვა მწარმოებლობის შედეგს, ასე რომ დიფერენციული რენტა განისაზღვრებოდა სხვაობით უცუდეს, ურენტო მიწაში დაბანდებული კაპიტალის პროდუქტსა და იმ კაპიტალის პროდუქტს შორის, რომელიც უკეთეს მიწაშია დაბანდებული. ჩვენ აქ გვქონდა კაპიტალების დაბანდება ერთიმეორის გვერდით მიწის სხვადასხვა ფართობებზე, ასე რომ კაპიტალის თვითეულ ახალ დაბანდებას შეესაბამებოდა მიწის ექსტენსიური დამუშავება, დამუშავებული ფართობის გადიდება. მაგრამ არსებითად დიფერენციული რენტა წარმოადგენდა ბოლოს და ბოლოს მიწაში დახარჯული თანატოლი კაპიტალების სხვადასხვა მწარმოებლობის შედეგს მხოლოდ. ვნახოთ ახლა, მივიღებთ თუ არა რაიმე განსხვავებას, როდესაც სხვადასხვა მწარმოებლობის კაპიტალები იხარჯება ერთიმეორის შემდეგ მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე, და როდესაც ისინი იხარჯება ერთიმეორის გვერდით მიწის სხვადასხვა ნაკვეთებზე, — მივიღებთ თუ არა რაიმე განსხვავებას, თუკი ვიგულისხმებთ მხოლოდ, რომ შედეგები ერთი და იგივეა.

უწინარეს ყოვლისა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, რამდენადაც საქმე დამატებითი მოგების წარმოქმნას შეეხება, საკვებით სულ ერთია, მოგვეცემს 3 გირვ. სტერლ. წარმოების ხარჯი *A* მიწის ერთ აკრზე 1 კვარტერს, ასე რომ 3 გირვ. სტერლინგი იქნება წარმოების ფასიც და მარეგულირებელი საბაზრო ფასიც 1 კვარტერისათვის, მაშინ როდესაც 3 გირვ. სტერლ. წარმოების ხარჯი *B* მიწის ერთ აკრზე მოგვეცემს 2 კვარტერს და, ამრიგად, 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობის დამატებით მოგებას, ხოლო 3 გირვ. სტერლ. წარმოების ხარჯი *C* მიწის ერთ აკრზე მოგვეცემს 3 კვარტერს და 6 გირვ. სტერლინგის რაოდენობის დამატებით მოგებას, და, ბოლოს, 3 გირვ. სტერლ. წარმოების ხარჯი *D* მიწის ერთ აკრზე მოგვეცემს 4 კვარტერს და 9 გირვ. სტერლინგის რაოდენო-

ბის დამატებით მოგებას, თუ ასეთივე შედეგი მიიღება იმით, რომ ეს 12 გირვ. სტერლ. წარმოების ფასები, შესაბამისად 10 გირვ. სტერლ. კაპიტალი, ასეთივე წარმატებით და იმავე თანმიმდევრობით გამოყენებული იქნება ერთსა და იმავე აკრ მიწაზე. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიც კაპიტალი უდრის 10 გირვ. სტერლინგს, და მისი ღირებულება თანმიმდევრობით იხარჯება ნაწილ-ნაწილ $2\frac{1}{2} = 2\frac{1}{2}$

გირვ. სტერლინგობით, — სულ ერთია, იხარჯება ეს ნაწილები იმავე დროულად სხვადასხვა ნაყოფიერების 4 აკრ მიწაზე, თუ თანმიმდევრობით ერთსა და იმავე აკრ მიწაზე, — და ამ ნაწილებიდან, მათი პროდუქტების სხვადასხვაობის გამო, ერთი ნაწილი არ იძლევა დამატებით მოგებას, ხოლო სხვა ნაწილები დამატებით მოგებას იძლევიან იმ სხვაობის შესაბამისად, რაც მათს პროდუქტსა და იმ დანახარჯის პროდუქტს შორის არსებობს, რომელიც რენტას არ იძლევა.

დამატებითი მოგება და დამატებითი მოგების სხვადასხვა ნორმა კაპიტალის ღირებულების სხვადასხვა ნაწილისათვის ორივე შემთხვევაში თანაბრად იქმნება. რენტა კი სხვა არაფერია, თუ არა ფორმა იმ დამატებითი მოგებისა, რომელიც მის სუბსტანციას შეადგენს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მეორე მეთოდის დროს ადგილი აქვს სიძნელებს: დამატებითი მოგების რენტად გადაქცევისათვის, ამ ფორმაცვლისათვის, რომელიც გულისხმობს დამატებითი მოგების გადაცემას კაპიტალის ტური მოიჯარის მიერ მიწის მესაკუთრისათვის. აი, რატომ უწყვეტ ინგლისელი მოიჯარეები ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას ოფიციალურ სამიწათმოქმედო სტატისტიკას. აქედანვე წარმოდგება ის ბრძოლაც, რომელიც წარმოებს მათსა და მიწის მესაკუთრეებს შორის მათი კაპიტალდამანდებათა ნამდვილი შედეგების დადგენის გამო (მორტონი). სახელდობრ, მიწის იჯარით გაცემისას განსაზღვრავენ რენტას, და ამის შემდეგ დამატებითი მოგება, რაც კაპიტალის თანმიმდევრული დანახარჯიდან მიიღება, მოიჯარის ჯიბეში ჩადის მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე საიჯარო ხელშეკრულება გრძელდება. აქედან — მოიჯარეთა ბრძოლა გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებისათვის და, პირიქით, — ლენდლორდების მხარეზე მეტი ძალთა სიჭარბის გამო — ისეთი კონტრაქტების გამრავლება, რომლებზედაც ყოველწლიურად შეიძლება ზელის აღება (tenancies at will).

ამიტომ ცხადია იმთავითვე: თუმცა დამატებითი მოგების ჩამოყალიბების კანონი სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, ტოლი კაპიტალებია სხვადასხვა შედეგებით იმავდროულად დაბანდებული ტოლ მიწის.

ნაკვეთებზე, თუ თანმიმდევრულად ერთიმეორის შემდეგ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვან განსხვავებას შეადგენს დამატებითი მოგების მიწის რენტად გადაქცევითავე. უკანასკნელი მეთოდი ამ გარდაქმნას ერთი მხრივ ვიწრო და მეორე მხრივ მერყევ ფარგლებში მოაქცევს. ამიტომ ინტენსიური კულტურის ქვეყნებში (ეკონომიური აზრით კი ჩვენ ინტენსიურ კულტურად ვგულისხმობთ მხოლოდ კაპიტალის კონცენტრაციას ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, ნაცვლად მისი განაწილებისა ერთიმეორის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს შორის) ტაქსატორის მუშაობა, როგორც ამას მორტონი თავის «Resources of Estates»-ში განმარტავს, ძალიან მნიშვნელოვანი, რთული და ძნელი პროფესია ხდება. მიწის უფრო მტკიცე გაუმჯობესების შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ხელშეკრულების ვადაგადა, ხელოვნურად გადიდებული მიწის დიფერენციული ნაყოფიერებების შემთხვევა მის ბუნებრივ ნაყოფიერებას და ამიტომ რენტის ოდენობასაც ისე განსაზღვრავენ, როგორც საერთოდ სხვადასხვა ნაყოფიერების მიწების რენტის ოდენობას. პირიქით, რამდენადაც დამატებითი მოგების წარმოქმნა საწარმოო კაპიტალის სიდიდით განისაზღვრება, რენტის სიდიდეს, რომელიც მიიღება საწარმოო კაპიტალის განსაზღვრული სიდიდის არსებობისას, მიუმატებენ ხოლმე ამ ქვეყნის საშუალო რენტას: ამიტომ ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ ახალ მოიჯარეს თავის განკარგულებაში ჰქონდეს კაპიტალი, რომელიც საკმარისია კულტურის განსაგრძობად წინანდელი ინტენსივობით.

დიფერენციული რენტა II განხილვისას საჭიროა აღინიშნოს კიდევ შემდეგი პუნქტები:

პირველი: რენტის ამ ფორმის ბაზისს და ამოსავალ პუნქტს, არამარტო ისტორიულად, არამედ — რამდენადაც საქმე შეეხება მის მოძრაობას — ყოველ მოცემულ მომენტშიც, წარმოადგენს დიფერენციული რენტა I, ე. ი. სხვადასხვა ნაყოფიერებისა და მდებარეობის მქონე მიწის ნაკვეთების იმავდროული, ერთიმეორის გვერდით დამუშავება, ე. ი. მთელი სამიწათმოქმედო კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების იმავდროული, ერთიმეორის გვერდით, გამოყენება სხვადასხვა ხარისხის მიწის ნაკვეთებზე.

ისტორიულად ეს თავისთავად გასაგებია. კოლონიებში კოლონისტებს მხოლოდ ცოტა კაპიტალის დახარჯვა სჭირდებათ; წარმოების მთავარი აგენტებია შრომა და მიწა. ოჯახის ყოველი ცალკეული მეთაური ცდილობს მოიპოვოს თავისთვის და თავისიანებისათვის დამოუკიდებელი საქმიანობის სარბიელი თავის თანაკოლონისტების გვერდით.

საკუთრივ მიწათმოქმედებაში უკვე კაპიტალიზმამდელი წარმოების წესების ღროსაც საქმე საერთოდ ასე უნდა ყოფილიყო. მეცხვარეობის და საერთოდ მეცხოველეობის დროს, როდესაც ეს დარგები წარმოების დამოუკიდებელ დარგებს წარმოადგენენ, ადამიანები მეტნაკლებ ერთად ეწევიან მიწის ექსპლოატაციას, და ამ უკანასკნელს იმთავითვე ექსტენსიური ხასიათი აქვს. კაპიტალისტური წარმოების წესი გამოდის წინანდელი წარმოების წესებიდან, როდესაც წარმოების საშუალებანი, ფაქტიურად თუ იურიდიულად, თვითონ დამმუშავებლის საკუთრებას შეადგენენ, ერთი სიტყვით, — გამოდის მიწათმოქმედების ხელოსნური წარმართვიდან. საგნის ბუნების შესაბამისად აქედან მხოლოდ თანდათანობით ვითარდება წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია და მათი გადაქცევა კაპიტალად. რომელიც დაქირავებულ მუშებად გადაქცეულ უშუალო მწარმოებლებს უპირისპირდება. რამდენადაც კაპიტალისტური წარმოების წესი აქ თავისი დამახასიათებელი სახით გამოდის, ეს ხდება პირველად განსაკუთრებით მეცხვარეობისა და მეცხოველეობის დარგში; მაგრამ ეს თავს იჩენს არა შეფარდებით მიწის პატარა ფართობზე კაპიტალის კონცენტრაციაში, არამედ ღიდი მასშტაბით წარმოებაში, ასე რომ ცხენების შენახვისა და წარმოების სხვა ხარჯების ეკონომია ხდება; ნამდვილად აქ არ ხდება მეტი კაპიტალის გამოყენება ერთსა და იმავე მიწაზე. შემდეგ, მიწათმოქმედების ბუნებრივი კანონებიდან გამომდინარეობს ის, რომ კულტურის განსაზღვრული სიმაღლისა და მის შესაბამისად მიწის გამოფიტვის პირობებში კაპიტალი, რომელიც აქ აგრეთვე წარმოების უკვე წარმოებულ საშუალებათა აზრით უნდა გაეიგოთ, გადაწყვეტი მნიშვნელობის ელემენტი ხდება მიწათმოქმედებაში. სანამ დამუშავებული მიწა შეფარდებით პატარა ფართობს შეადგენს დაუმუშავებელ მიწასთან შედარებით და სანამ მისი ძალა ჯერ კიდევ არაა გამოფიტული (და ასეთი მდგომარეობაა იმ პერიოდში, როდესაც უპირატესობა უპირავს მეცხოველეობას და ხორცეულ საზრდოს, პერიოდში, რომელიც წინ უძღვის საკუთრივ მიწათმოქმედებისა და მცენარეული საზრდოს უპირატესობის პერიოდს), წარმოშობის პროცესში მყოფი ახალი წარმოების წესი გლახურ წარმოებას უპირისპირდება სახელდობრ მიწის იმ ფართობის მოცულობით, რომლის დამუშავება წარმოებს ერთი კაპიტალისტის ანგარიშზე, ე. ი. კაპიტალის ისევე ექსტენსიური დახარჯით სივრცეებრივად უფრო დიდ მიწის ფართობზე. ამრიგად, ამთავითვე დადგენილად უნდა მივიღოთ, რომ დიფერენციული რენტა I ისტორიული საფუძველია, რომელიც ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს. მეორე მხრივ, დიფერენციული რენტა II მოძრაობა

თვითეულ მოცემულ მომენტში მხოლოდ ისეთ დარგში იწყება, რომელიც, თავის მხრივ, თვითონ მოზაიკურ საფუძველს შეადგენს. ჯიფერენციული რენტისათვის.

მეორე: II ფორმის დიფერენციული რენტის შემთხვევაში ნაყოფიერების სხვადასხვაობას ერთვის კიდევ განსხვავებანი კაპიტალის (და კრედიტუნარიანობის) განაწილებაში ფერმერებს შორის. საკუთრივ მანუფაქტურაში მალე იქმნება წარმოების თვითეული დარგისათვის საწარმოს მოცულობის განსაკუთრებული მინიმუმი და ამის შესაბამისად კაპიტალის მინიმუმი, ურომლისოდ შეუძლებელია ცალკეული საწარმო წარმატებით წარიმართოს. ასევე წარმოების თვითეულ დარგში იქმნება ამ მინიმუმზე მაღლა მდგომი ნორმალური საშუალო ოდენობა კაპიტალისა, რომელიც მწარმოებელთა მასას უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ თავის განკარგულებაში. ამაზე უფრო დიდ კაპიტალს შეუძლია დამატებითი მოგების მოცემა; ამაზე ნაკლები ოდენობისა კი საშუალო მოგებასაც არ იძლევა. კაპიტალისტური წარმოების წესი ხელს სკიდებს სოფლის მეურნეობას მხოლოდ ნელა და არათანაბრად, როგორც ამის დანახვა შეიძლება ინგლისში, რომელიც მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური წარმოების წესის კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს. თუ პურის იმპორტი არ არსებობს ან იმპორტის გავლენა შეზღუდულია, იმიტომ რომ მისი ოდენობა შეზღუდულია, მაშინ საბაზრო ფასს განსაზღვრავენ ის მწარმოებლები, რომელნიც უფრო ცუდ მიწაზე მუშაობენ, ე. ი., რომელნიც საშუალოზე ნაკლებ ხელსაყრელ წარმოების პირობებში მუშაობენ. იმ კაპიტალის მთელი მასის დიდი ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ან საერთოდ მის განკარგულებაშია, მათ ხელში იმყოფება.

მართალია, რომ, მაგალითად, გლეხი ბევრ შრომას ხარჯავს თავის პატარა მიწის ნაკვეთზე, მაგრამ შრომას, რომელიც განმარტობებულია და მოკლებულია ნაყოფიერების ობიექტურ საზოგადოებრივ და მატერიალურ პირობებს და მათგან განცალკევებულია.

ეს გარემოება იწვევს იმას, რომ ნამდვილ კაპიტალისტურ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ მიითვისონ დამატებითი მოგების ნაწილი; ეს შეუძლებელი იქნებოდა, — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ამ პუნქტს შეეხება, — კაპიტალისტური წარმოების წესი რომ ისევე თანაბრად იყოს განვითარებული სოფლის მეურნეობაში, როგორც მანუფაქტურაშია განვითარებული.

განვიხილოთ პირველად დამატებითი მოგების მარტოოდენ წარმოქმნა დიფერენციული რენტა II შემთხვევაში, იმ პირობების შეუ-

ხებლად. რომლებშიაც შეიძლება მოხდეს ამ დამატებითი მოგების გადაქცევა მიწის რენტად.

ამ შემთხვევაში ცხადია, რომ დიფერენციული რენტა II დიფერენციული რენტა I-ის მხოლოდ სხვაგვარი გამოსახულებაა, არსებითად კი მას ემთხვევა. სხვადასხვა ხარისხის მიწების ნაყოფიერების სხვადასხვაობას გავლენა აქვს დიფერენციული რენტა I წარმოქმნისას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი იწვევს იმ მოვლენას, რომ მიწაზე დახარჯული კაპიტალები იძლევიან უთანატოლო შედეგებს, პროდუქტების უთანატოლო რაოდენობას თანატოლ კაპიტალებზე ანდა მათა შეფარდებითი სიდიდის შესაბამისად. მიიღება ეს უთანატოლონა სხვადასხვა კაპიტალებისათვის, რომლებიც დახარჯულია ერთიმეორის შემდეგ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე, თუ ისეთებისათვის, რომლებიც დახარჯულია სხვადასხვა ხარისხის მიწის რამდენსავე ნაკვეთზე, — ამას არაფრის შეცვლა არ შეუძლია ნაყოფიერების სხვაობაში ან ამ სხვაობის შედეგში და, მაშასადამე, დიფერენციული რენტის წარმოქმნაშიც მეტი ნაყოფიერებით დახარჯული კაპიტალის ნაწილებისათვის. ტოლი კაპიტალების დახარჯვისას უწინდებურად სხვადასხვა ნაყოფიერებას იზენს მიწა, მხოლოდ აქ ერთი და იგივე მიწა კაპიტალის სხვადასხვა თანმემდევრულად დახარჯული ნაწილებისათვის ისეთსავე შედეგებს იძლევა, რასაც I დიფერენციული რენტის შემთხვევაში სხვადასხვა ხარისხის მიწები იძლევა საზოგადოებრივი კაპიტალის ტოლი ნაწილების ხარჯვის შედეგად.

ვიგულისხმობთ, რომ იგივე კაპიტალი 10 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, რომელიც I ცხრილში სხვადასხვა ფერმერების მიერ იხარჯე-

ბოდა როგორც დამოუკიდებელი კაპიტალები $2\frac{1}{2}$ — $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერ-

ლინგის რაოდენობით ოთხი ხარისხის მიწის: *A*, *B*, *C* და *D* თვისებულ აკრზე, ამის ნაცვლად თანმიმდევრულად იხარჯება *D* ერთსა და იმავე აკრზე ისე, რომ პირველი დანახარჯი იძლევა 4 კვარტერს, მეორე — 3, მესამე — 2 და უკანასკნელი — 1 კვარტერს (ანდა შებრუნებული თანმიმდევრობით). ამ შემთხვევაში ფასი უდრის 3 გირვ. სტერლ. ერთი კვარტერისათვის, რასაც კაპიტალის უმცირესგამოსავლიანი ნაწილი იძლევა, ვერ მოგვემდა დიფერენციულ რენტას, მაგრამ წარმოების ფასის განმსაზღვრელი იქნებოდა მანამდე, სანამ არსებობს მოთხოვნილება ხორბალზე, რომლის წარმოების ფასი უდრის 3 გირვ. სტერლინგს. და რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, წარმოება კაპიტალისტურად წარიმართება და, მაშასადამე, ფასი 3 გირვ. სტერლ. შეიცავს საშუალო

მოგებას, რომელიც საერთოდ მოაქვს $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგ კაპიტალს, ამიტომ სამი დანარჩენი ნაწილი, თითო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობისა, მოიტანს, პროდუქტის რაოდენობის სხვაობის მიხედვით, დამატებით მოგებას, რადგან ეს პროდუქტი გაიყიდება არა მისი წარმოების ფასის მიხედვით, არამედ იმ წარმოების ფასის მიხედვით, რომელიც შემცირეს გამოსავლიან $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის დანახარჯს ეკუთვნის, — დანახარჯს, რომელიც რენტას არ იძლევა და რომლის პროდუქტის ფასი წარმოების ფასების საერთო კანონის თანახმად რეგულირდება. დამატებითი მოგების წარმოქმნა ისეთივე იქნებოდა, როგორც I ცხრილში.

აქ კვლავ ჩანს, რომ დიფერენციული რენტა II გულისხმობს დიფერენციულ რენტა I. პროდუქტის მინიმუმი, რასაც იძლევა $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალი, ე. ი. უცუდეს მიწაზე დახარჯული კაპიტალი, ჩვენ მიერ აქ კვარტერადაა მიღებული. ვიგულისხმობ, მაშასადამე, რომ D მიწის მოიჯარე იმ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის გარდა, რომელიც მას 4 კვარტერს აძლევს, რისთვისაც იგი 3 კვარტერ დიფერენციულ რენტას იხდის, იმავე მიწაზე ხარჯავს $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს, რომელიც მას აძლევს მხოლოდ 1 კვარტერს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც მისცემდა მას იგივე კაპიტალი უცუდეს A მიწაზე. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა კაპიტალდანახარჯი, რომელიც რენტას არ იძლევა, ვინაიდან იგი ფერმერს მხოლოდ საშუალო მოგებას მისცემდა. აქ არ იქნებოდა არავითარი დამატებითი მოგება, არც რამე იქნებოდა რენტად გადასაქცევი. მაგრამ, მეორე მხრივ, D -ზე კაპიტალდანახარჯის ამ შემცირებულ გამოსავლიანობას არავითარი ზემოქმედება არ ექნებოდა მოგების ნორმაზე. ეს იგივე იქნებოდა, $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი ხელახლა A მიწის ახალ აკრზე რომ დახარჯულიყო — გარემოება, რომელიც სრულიად არ შეეხებოდა დამატებით მოგებას და, მაშასადამე, არც A , B , C , D მიწების დიფერენციულ რენტასაც. ფერმერისათვის კი ეს $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის დამატებითი დახარჯვა D -ზე სწორედ ისევე ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც ხელსაყრელია მისთვის, ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, თავდაპირველი $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის დახარჯვა D ერთ აკრზე, თუმცა ეს დანახარჯი 4 კვარტერს იძლევა. თუ, შემდეგ, კაპიტალის ორი შემდგომი დანახარჯი, თვითეული $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგისა, მას მისცემს: პირველი 3, მეორე 2 კვარტერ დამატებით პროდუქტს, — ეს მომასწავებელი იქნებოდა კვლავ პროდუქციის შემცირებისა D -ზე პირველი $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის დანახარჯის გამოსავლიანობასთან შედარებით, რომელმაც გამოიღო 4 კვარტერი, ე. ი. 3 კვარტერი დამატებითი მოგება. მაგრამ

ეს იქნებოდა მართოდენ დამატებითი მოგების სიდიდის შემცირება და გავლენას არ მოახდენდა არც საშუალო მოგებაზე, არც მარეგულირებელ წარმოების ფასზე. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ დამატებითი წარმოება, რომელიც ამ კლებად დამატებითს მოგებას იძლევა, ზედმეტად გახდიდა წარმოებას A -ზე და ამგვარად A -ს აკრს დამუშავებიდან განდევნიდა. ამ შემთხვევაში D -ს აკრზე დამატებითი კაპიტალდანახარჯის კლებად ნაყოფიერებასთან დაკავშირებული იქნებოდა წარმოების ფასის შემცირება, მაგალითად, 3 გირვ. სტერლინგიდან $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგამდე, თუ იმ მიწად, რომელიც რენტას არ იძლევა და საბაზრო ფასს არეგულირებს, მიწა B -ს აკრი გახდებოდა.

D -ს პროდუქტი ახლა იქნებოდა $4 + 1 + 3 + 2 = 10$ კვარტ., მაშინ როდესაც წინათ იგი უდრიდა 4 კვარტერს. მაგრამ კვარტერის ფასი, რომელსაც B არეგულირებს, შემცირდებოდა $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგამდე. სხვაობა D და B შორის იქნებოდა $10 - 2 = 8$ კვარტერს, რაც $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის კვალობაზე კვარტერისათვის $= 12$ გირვ. სტერლ., მაშინ როდესაც D -ს ფულადი რენტა წინათ უდრიდა 9 გირვ. სტერლინგს. ეს უნდა აღინიშნოს. თუ აკრზე ვიანგარიშებთ, რენტა აიწევდა $33\frac{1}{2}\%$ -ით, მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი მოგების ნორმა ორ — თითო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის — დამატებით კაპიტალზე შემცირდებოდა.

აქედან ჩვენ ვხედავთ, როდენ მეტად რთული კომბინაციებისათვის იძლევა საბაბს დიფერენციული რენტა საერთოდ და განსაკუთრებით II ფორმაში I ფორმასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც რიკარდო, მაგალითად, მას არკვევს სრულიად ცალმხრივად და როგორც მარტივ საქმეს. არის შემთხვევები, როგორცაა ზემოთ აღნიშნული, როდესაც მარეგულირებელი საბაზრო ფასი მცირდება და მასთან ერთად ნაყოფიერ მიწებზე რენტა დიდდება, ასე რომ იზრდება როგორც აბსოლუტური პროდუქტი, ისე აბსოლუტური დამატებითი პროდუქტიც. (დაღმავალი ხაზით დიფერენციული რენტა I შემთხვევაში შესაძლებელია შეფარდებითი დამატებითი პროდუქტი გაიზარდოს და ამიტომ გაიზარდოს რენტაც აკრზე, თუმცა აბსოლუტური დამატებითი პროდუქტი აკრზე იგივე რჩება ან მცირდება კიდევ.) მაგრამ ამავე დროს კლებულობს ერთიმეორის შემდეგ ერთსა და იმავე მიწაზე კაპიტალდანახარჯთა ნაყოფიერება და ეს — მიუხედავად იმისა, რომ მათი ღირდი ნაწილი უფრო ნაყოფიერ მიწებზე მოდის. თუ ერთი თვალსაზრისით — პროდუქტის რაოდენობისა და წარმოების ფასების თვალსაზრისით — შევხედავთ, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, მაგრამ მეორე თვალსაზ-

რისით იგი შემცირდა, რადგან დამატებითი მოგების ნორმა და დამატებითი პროდუქტი აკრზე შემცირდა სხვადასხვა კაპიტალდანახარჯისათვის ერთსა და იმავე მიწაზე.

დიფერენციული რენტა II, თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა კლებადი ნაყოფიერებისას, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა აუცილებლად წარმოების ფასის გაძვირებასა და მწარმოებლური ძალის შემცირებასთან დაკავშირებული, თუ კაპიტალის ეს ხარჯვა მხოლოდ უცუდეს A მიწაზე შეიძლებოდა გაეწიათ. თუ A-ს აკრი, რომელიც $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას 1 კვარტერს იძლეოდა 3 გირვ. სტერლ. წარმოების ფასით, შემდგომი $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის დახარჯვისას, ე. ი. საერთოდ 5 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას, იძლევა სულ მხოლოდ $1\frac{1}{2}$ კვარტერს, იმ შემთხვევაში ან $1\frac{1}{2}$ კვარტერის ფასი უდრის 6 გირვ. სტერლინგს და, მაშასადამე, ერთი კვარტერისა უდრის 4 გირვ. სტერლინგს. მწარმოებლური ძალის ყოველი შემცირება კაპიტალის ხარჯვის ზრდისას აქ იქნებოდა პროდუქტის შეფარდებითი შემცირება აკრზე, მაშინ როდესაც მწარმოებლური ძალის ასეთი შემცირება უკეთესი ხარისხის მიწებზე მხოლოდ ნაქარბი დამატებითი პროდუქტის შემცირება იქნებოდა.

მაგრამ თვით საგნის ბუნება იწვევს იმას, რომ ინტენსიურ კულტურას, ე. ი. თანმიმდევრულად კაპიტალის ხარჯვას ერთსა და იმავე მიწაზე, უპირატესად ანუ მეტი ოდენობით ადგილი აქვს უკეთესი ხარისხის მიწებზე. (ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ პერმანენტულ გაუმჯობესებაზე, რომელიც აქამდე გამოუსადეგ მიწას გამოსადეგად აქცევს.) ამიტომ თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა კლებადმა ნაყოფიერებამ ზემოაღნიშნული წესით უნდა იმოქმედოს. ამ შემთხვევაში უკეთეს მიწას აირჩევენ იმიტომ, რომ იგი ყველაზე მეტ იმედს იძლევა, რომ მასზე კაპიტალი სარფიანად იქნება დახარჯული, რადგან ასეთი მიწა შეიცავს ნაყოფიერების იმ ბუნებრივი ელემენტების უდიდეს რაოდენობას, რომლებიც მარტოოდენ საჭიროა გამოყენებულ იქნეს.

როდესაც პურის კანონების გაუქმების შემდეგ კულტურა ინგლისში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, მრავალი მიწა, რომელზედაც წინათ ხორბალი ითესებოდა, სხვა მიზნებისათვის იქნა გამოყენებული, სახელდობრ საქოვრებად გადაიქცა; პირიქით, მიწის ნაყოფიერ ფართობებს, რომლებიც ყველაზე უფრო ხორბლის მოსაყვანად იყო გამოსადეგი, დრენაჟი გაუკეთდა და სხვა მხრივაც გაუმჯობესდა, ასე რომ ხორბლის კულტურისათვის გამოყენებული კაპიტალი უფრო ვიწროდ შემოღარგულ ტერიტორიაზე იქნა თავმოყრილი.

ამ შემთხვევაში, — და ყველა შესაძლებელი დამატებითი ნორმა, რომელიც საუკეთესო მიწის დამატებითი პროდუქტის რაოდენობასა და ურენტო A მიწის პროდუქტის რაოდენობას შორის მდებარეობს, შეესაბამება აქ დამატებითი პროდუქტის არა შეფარდებითს, არამედ აბსოლუტურ გადიდებას აკრზე, — ახლად წარმოქმნილი დამატებითი მოგება (პოტენციური რენტა) წარმოადგენს არა წინანდელი საშუალო მოგების რენტად გადაქცეულ ნაწილს (პროდუქტის ნაწილს, რომლითაც წინათ საშუალო მოგება გამოიხატებოდა), არამედ ნამეტ დამატებით მოგებას, რომელიც ამ ფორმიდან რენტად იქცევა.

პირიქით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხორბლეულის მოთხოვნა იმდენად გაიზარდებოდა, რომ საბაზრო ფასი გადააჭარბებდა წარმოების ფასს A მიწაზე, და ამიტომ დამატებითი პროდუქტის მიღება A -დან, B -დან ან რომელიმე სხვა ჯგუფის მიწიდან 3 გირვ. სტერლინგზე უფრო მაღალ ფასში იქნებოდა მარტოოდენ შესაძლებელი, — მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა რომელსაჲმე A, B, C, D ჯგუფზე კაპიტალის დამატებითი დანახარჯის პროდუქტის შემცირება წარმოების ფასის და მარეგულირებელი საბაზრო ფასის გადიდებასთან დაკავშირებული. თუ ასეთი მდგომარეობა დამყარდებოდა შედარებით ხანგრძლივი ხნით და არ გამოიწვევდა დამატებითი A მიწის (ყოველ შემთხვევაში, A -ს ხარისხის მიწის) დამუშავებას ან რაიმე სხვაგვარი გავლენა არ წარმოშობდა უფრო იაფ მიწოდებას, მაშინ ხელფასი, სხვა პირობების უცვლელობისას, გადიდდებოდა პურის გაძვირების გამო და ამის შესაძამისად დაეცემოდა მოგების ნორმა. ამ შემთხვევაში სულ ერთია გადიდებული მოთხოვნა A -ზე უფრო ცუდი მიწის დამუშავების გზით დაკმაყოფილდებოდა, თუ კაპიტალის დამატებითი დანახარჯის გზით ერთ რომელსაჲმე მიწაზე იმ ოთხი ხარისხის მიწიდან. დიფერენციული რენტა აიწევდა მოგების ნორმის შემცირებასთან დაკავშირებით.

ამ შემთხვევას, როდესაც უკვე კულტურის ქვეშ მყოფ მიწებზე დახარჯული დამატებითი კაპიტალების კლებადმა ნაყოფიერებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოების ფასების აწევა, მოგების ნორმის დაწევა და უფრო მაღალი დიფერენციული რენტა, — რადგან ეს უკანასკნელი მოცემულ პირობებში სრულიად ისე აიწევდა ყველა ხარისხის მიწებზე, როგორც ახლა A -ზე უფრო ცუდი მიწა რომ გამხდარიყო საბაზრო ფასის მარეგულირებელი, — ამ შემთხვევას რიკარდო ერთადერთ შემთხვევად, ნორმალურ შემთხვევად აქცევს, რომელზედაც მას II დიფერენციული რენტის მთელი წარმოქმნა დაჰყავს.

ეს ასეც იქნებოდა სინამდვილეში, მარტო A მიწა რომ იყოს დამუშავებული და რომ კაპიტალის თანმიმდევრული ხარჯვა მასზე პროდუქტის მატებასთან არ იყოს დაკავშირებული.

ამრიგად, აქ II ლიფერენციული რენტის შემთხვევაში, სრულიად იკარგება მეხსიერებიდან I ლიფერენციული რენტა.

ამ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ან დამუშავებული მიწებიდან მომდინარე მიწოდება არაა საკმარისი და ამიტომ საბაზრო ფასი დიდი ხნის განმავლობაში აღემატება წარმოების ფასს, სანამ ახალი, უფრო ცუდი მიწის დამუშავება არ დაიწყება, ან სანამ შესაძლებელი არ გახდება სხვადასხვა ხარისხის მიწებზე დახარჯული დამატებითი კაპიტალის მთელი პროდუქტი უფრო მაღალ წარმოების ფასში გასაღდეს, ვიდრე მანამდე არსებული ფასი იყო, — ამ შემთხვევის გამოკლებით დამატებითი კაპიტალების შეფარდებითი მწარმოებლობის შემცირება არ ეხება მარეგულირებელ წარმოების ფასს და მოგების ნორმას. საერთოდ შესაძლებელია კიდევ სამი შემდეგი შემთხვევა:

a) თუ რომელიმე ხარისხის მიწაზე A, B, C, D -ზე დახარჯული დამატებითი კაპიტალი მარტოდენ A -ს წარმოების ფასით განსაზღვრულ მოგების ნორმას იძლევა, მაშინ ამით არავითარი დამატებითი მოგება არ წარმოიქმნება, მაშასადამე, არც რაიმე რენტის შექმნა იქნება შესაძლებელი, — არ წარმოიქმნება ისე, როგორც არ წარმოიქმნებოდა მაშინ, A დამატებითი მიწის დამუშავება რომ დაწყებულიყო.

b) თუ დამატებითი კაპიტალი პროდუქტის უფრო დიდ რაოდენობას იძლევა, მაშინ, თავისთავად გასაგებია, დამატებითი მოგება (პოტენციური რენტა) წარმოიქმნება, თუ მარეგულირებელი ფასი იგივე რჩება. ეს ყოველთვის არ ხდება, სახელდობრ არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ დამატებითმა წარმოებამ A მიწა გამოორიცხა დამუშავებული და მასთან ერთად მეტოქე მიწების რიცხვიდან. მაშინ მარეგულირებელი წარმოების ფასი ეცემა. მოგების ნორმა აიწევდა, თუ მასთან დაკავშირებული იქნებოდა ხელფასის დაწევა, ან თუ უფრო იაფი პროდუქტი შევიდოდა ელემენტად მუდმივ კაპიტალში. თუ დამატებითი კაპიტალის გადიდებული მწარმოებლობა საუკეთესო ხარისხის მიწებზე: C -ზე და D -ზე განხორციელდებოდა, მაშინ მწარმოებლობის გადიდების ხარისხსა და ახალი დამატებითი კაპიტალების მასაზე სავესებით დამოკიდებული, თუ რამდენად იქნება გადიდებული დამატებითი მოგების (და, მაშასადამე, გადიდებული რენტის) წარმოქმნა ფასის დაცემასთან და მოგების ნორმის აწევასთან დაკავშირებული. ამ უკანასკნელმა შეიძლება აიწიოს ხელფასის დაუწევლადაც, მუდმივი კაპიტალის ელემენტების გაიაფების გამო.

ც) თუ დამატებითი კაპიტალდანახარჯი დამატებით მოგებას იძლევა კლებადი ოდენობით, მაგრამ მაინც ისე, რომ ამ დანახარჯის პროდუქტი ნამეტს ტოვებს A მიწაზე დახარჯული ასეთივე კაპიტალის პროდუქტთან შედარებით, მაშინ, თუ გადიდებული მიწოდება არ განდევნის დამუშავებიდან A მიწას, აუცილებლად ადგილი ექნება ახალი დამატებითი მოგების წარმოქმნას, ამასთან იგი შეიძლება იმავდროულად განხორციელდეს D , C , B და A -ზე. თუ, პირიქით, უცუდესი მიწა A დამუშავებიდან განიდევნება, მაშინ მარეგულირებელი წარმოების ფასი დაეცემა, და კვარტერის შემცირებულ ფასსა და დამატებითი მოგების შემადგენელი კვარტერების გადიდებულ რიცხვებს შორის შეფარდებაზეა დამოკიდებული, იმატებს თუ იკლებს ფულით გამოსახული დამატებითი მოგება და, მაშასადამე, დიფერენციული რენტაც. ყოველ შემთხვევაში აქ მუდარდება ის საინტერესო მოვლენა, რომ კაპიტალის თანმიმდევრული ხარჯვიდან მომდინარე დამატებითი მოგების შემცირებისას წარმოების ფასი შეიძლება შემცირდეს გადიდების ნაცვლად, როგორც ეს ერთი შეხედვით უნდა ხდებოდეს.

კლებადი დამატებითი გამოსავლიანობის შემცველი ეს დამატებითი კაპიტალდანახარჯი სწორედ იმ შემთხვევას შეესაბამება, როცა იმ მიწებზე, რომელნიც თავიანთი ნაყოფიერების მხრივ A და B , B და C , C და D შორის მდებარეობენ, დახარჯული იქნებოდა, მაგალითად, ოთხი ახალი დამოუკიდებელი კაპიტალი თითო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის ოდენობით, რომლებიც შესაბამისად $1\frac{1}{2}$, $2\frac{1}{3}$, $2\frac{2}{3}$ და 3 კვარტერს მოგეცემდნენ. ყველა ამ ოთხი დამატებითი კაპიტალის მეოხებით ყველა ამ ოთხი ხარისხის მიწაზე წარმოიქმნებოდა დამატებითი მოგება, პოტენციური რენტა, თუმცა დამატებითი მოგების ნორმა იმ დამატებით მოგებასთან შედარებით, რომელსაც იძლევა თანატოლი კაპიტალდანახარჯი შესაბამისად უკეთეს მიწაზე, შემცირდებოდა, ამასთან სავსებით სულ ერთია, ეს ოთხი კაპიტალი D და C -ზე დაიხარჯებოდა, თუ D და A შორის განაწილდებოდა.

ჩვენ ახლა მივადექით არსებით განახვავებას დიფერენციული რენტის ორივე ფორმას შორის.

როცა საქმე I დიფერენციულ რენტას შეეხება, აქ, წარმოების ფასის უცვლელობისას და სხვაობათა უცვლელობისას, რენტის ერთობლივ ჯამთან ერთად შეიძლება გადიდდეს საშუალო რენტა აკრზე ანუ რენტის საშუალო ნორმა კაპიტალზე; მაგრამ საშუალო მარტოდენ აბსტრაქტია. აკრზე ან კაპიტალზე გამოანგარიშებული რენტის ნამდვილი დონე აქ წინანდელი რჩება.

პირიქით, იმავე პირობებში აკრზე გამოანგარიშებული რენტის დონე შეიძლება გადიდდეს, თუმცა დახარჯულ კაპიტალზე გამოანგარიშებული რენტის ნორმა წინანდელი რჩება.

ვიგულისხმობთ, რომ წარმოება ორკეცდება იმის გამო, რომ თვითეული ხარისხის მიწაზე: A , B , C -ზე იხარჯება არა $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი კაპიტალი, არამედ 5 გირვ. სტერლინგი, ე. ი. სულ 20 გირვ. სტერლ. 10 გირვ. სტერლინგის ნაცვლად, ამასთან შეფარდებითი ნაყოფიერება წინანდელი რჩება. ეს სრულიად იგივე იქნებოდა, როგორც იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ ამ მიწებიდან 1 აკრის ნაცვლად 2 აკრი დამუშავდებოდა, და ამასთან ხარჯები უცვლელი დარჩებოდა. მოგების ნორმა არ შეიცვლებოდა, არც მისი შეფარდება შეიცვლებოდა დამატებით მოგებასთან ანუ რენტასთან. მაგრამ თუ A ახლა 2 კვარტერს გამოიღებდა, B — 4, C — 6, D — 8, წარმოების ფასი უწინდებურად 3 გირვ. სტერლინგი დარჩებოდა კვარტერისთვის, რადგან ეს ნამატი წარმომდგარი იქნებოდა არა ნაყოფიერების გაორკეცების წყალობით კაპიტალის უცვლელობისას, არამედ უცვლელი შეფარდებითი ნაყოფიერების წყალობით კაპიტალის გაორკეცებისას. A -ს 2 კვარტერი ახლა 6 გირვ. სტერლ. ეღირებოდა, როგორც წინათ 1 კვარტერი 3 გირვ. სტერლ. ღირდა. მოგება ყველა 4 ხარისხის მიწაზე გაორკეცდებოდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დახარჯული კაპიტალი გაორკეცდა. მაგრამ იმავე პროპორციით გაიზარდებოდა, გაორკეცდებოდა რენტაც; იგი იქნებოდა B -სთვის 2 კვარტერი 1-ის ნაცვლად, C -სთვის 4 კვარტ. 2-ის ნაცვლად და D -სთვის 6 კვარტ. 3 ნაცვლად, და ამის შესაბამისად ფულადი რენტა B , C , D -ისთვის იქნებოდა სათანადოდ 6 გირვ. სტერლ., 12 გირვ. სტერლ., 18 გირვ. სტერლინგი. როგორც პროდუქტი აკრზე, ისე გაორკეცდებოდა ფულადი რენტა აკრზე და, მაშასადამე, გაორკეცდებოდა მიწის ფასიც, რომელშიაც კაპიტალიზებული ხდება ეს ფულადი რენტა. ასეთი ანგარიშის თანახმად, რენტა ხორბლად და ფულადი რენტა მალა იწვეს და, მაშასადამე, მალა იწვეს მიწის ფასიც, რადგან მასშტაბი, რომლითაც ეს უკანასკნელი იანგარიშება, აკრი, მუდმივი სიდიდის მიწის ფართობია. პირიქით, რენტის შეფარდებითს სიმაღლეში არავითარი ცვლილება არ წარმომდგარა, თუ მას განვიხილავთ როგორც რენტის ნორმას დახარჯული კაპიტალის მიმართ. რენტის მთელი ჯამი 36 ისე შეეფარდება დახარჯულ კაპიტალ 20-ს, როგორც რენტის მთელი ჯამი 18 დახარჯულ კაპიტალ 10-ს. იგივე ითქმის თვითეული ხარისხის მიწის ფულადი რენტის შეფარდებაზეც ამ მიწაზე დახარჯულ კაპიტალთან; ასე, მაგალითად, C -ში

12 გირვ. სტერლინგი ისე შეეფარდება 5 გირვ. სტერლ. კაპიტალს, როგორც წინათ 6 გირვ. სტერლ. რენტა შეეფარდებოდა 2¹/₂ გირვ. სტერლ. კაპიტალს. ამასთან არ წარმოადგება არაერთი ახალი სხვაობა დახარჯულ კაპიტალებს შორის, არამედ წარმოიქმნება ახალი დამატებითი მოგება მხოლოდ იმიტომ, რომ დამატებითი კაპიტალი იხარჯება ერთ-ერთ რომელიმე რენტის მომცემ მიწაზე ან ყველა მიწაზე და ამასთან წინანდელ პროდუქტს იძლევა პროპორციულად. ორკეცი კაპიტალის დახარჯვას რომ ადგილი ჰქონოდა, მაგალითად, მხოლოდ C-ზე, დიფერენციული რენტა C, B და D შორის იგივე დარჩებოდა კაპიტალის მიმართ; ეს იმიტომ რომ, თუმცა C-დან მიღებული რენტის მასა გაორკეცდებოდა, მაგრამ გაორკეცდებოდა დახარჯული კაპიტალიც.

აქედან ჩანს, რომ წარმოების ფასის უცვლელობისას მოგების ნორმის უცვლელობისას და სხვაობათა უცვლელობისას (და, მაშასადამე, დამატებითი მოგების ანუ კაპიტალზე გამოანგარიშებული რენტის უცვლელობისას) პროდუქტით და ფულით გამოხატული რენტის ზომადღემ ყოველ აკრზე და, მაშასადამე, მიწის ფასმაც შეიძლება აიწიოს.

ასევე შეიძლება მოხდეს დამატებითი მოგების და, მაშასადამე, რენტის კლებადი ნორმის დროს, ე. ი. ჯერ კიდევ რენტის მომცემ დამატებითი კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობის არსებობისას. თუ კაპიტალის მეორე დანახარჯი 2¹/₂ გირვ. სტერლინგის რაოდენობით პროდუქტს არ გააორკეცებდა, არამედ B მოგვეცემდა მხოლოდ 3¹/₂ კვარტერს, C — 5-ს და D — 7 * კვარტერს, მაშინ დიფერენციული რენტა B-ზე კაპიტალის მეორე 2¹/₂ გირვ. სტერლ. დანახარჯისათვის იქნებოდა მხოლოდ 1/2 კვარტერი 1-ის ნაცვლად, C-ზე — 1 კვარტერი 2-ის ნაცვლად, D-ზე — 2 კვარტერი 3-ის ნაცვლად. შეეფარდება რენტასა და კაპიტალს შორის ორი თანმიმდევრული დანახარჯისათვის ასეთი იქნებოდა:

პირველი დანახარჯი				მეორე დანახარჯი			
B: რენტა	3 გ სტ.	კაპიტალი	2 ¹ / ₂ გ სტ.	რენტა	1 ¹ / ₂ გ სტ.	კაპიტალი	2 ¹ / ₂ გ სტ.
C:	> 6 >	>	2 ¹ / ₂ >	>	3 >	>	2 ¹ / ₂ >
D:	> 9 >	>	2 ¹ / ₂ >	>	6 >	>	2 ¹ / ₂ >

მიუხედავად კაპიტალის შეფარდებითი მწარმოებლობის ნორმის და, მაშასადამე, კაპიტალზე გამოანგარიშებული დამატებითი მოგების

* 1894 წლის გამოცემაში — 6 კვარტერი. რ ე დ.

ნორმის ამ დაწვევისა, რენტა ხორბლად და ფულადი რენტა აიწვევდა *B*-სთვის 1-იდან $1\frac{1}{2}$ კვარტერამდე (3-იდან $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგამდე), *C*-სთვის 2-იდან 3 კვარტერამდე (6-იდან 9 გირვ. სტერლინგამდე) და *D*-სთვის 3-იდან 5 კვარტერამდე (9-იდან 15 გირვ. სტერლინგამდე)- ამ შემთხვევაში სხვაობა დამატებითი კაპიტალისათვის *A*-ზე დახარჯულ კაპიტალთან შედარებით შემცირდებოდა, წარმოების ფასი წინანდელი დარჩებოდა, მაგრამ რენტა აკრზე და, მაშასადამე, მიწის ფასიც აკრზე გადიდდებოდა.

ახლა განვიხილოთ კომბინაციები II დიფერენციული რენტისა, რომელიც თავის საფუძვლად გულისხმობს I დიფერენციულ რენტას; ეს კომბინაციები შემდეგია.

თავი ოროცდამეათე

დიფერენციული ჩენტი II. პირველი შემთხვევა: წარმოების ფასი მუდმივია

ეს წანამძღვარი გულისხმობს, რომ საბაზრო ფასი უწინდებურად უცვლდეს A მიწაზე დახარჯული კაპიტალით რეგულირდება.

I. თუ დამატებითი კაპიტალი, რომელიც ჩენტის მომცემ რომელიმე მიწაზე: B, C, D -ზე არის დახარჯული, მხოლოდ იმდენს აწარმოებს, რამდენსაც A მიწაზე დახარჯული ასეთივე კაპიტალი, ე. ი. თუ იგი მარეგულირებელი წარმოების ფასის საფუძველზე საშუალო მოგებას იძლევა, მაშასადამე, არავითარ დამატებით მოგებას არ იძლევა, მაშინ გავლენა, რასაც იგი ჩენტაზე ახდენს, ნულს უდრის. ყველაფერი ისე რჩება, როგორც წინათ იყო. ეს იგივეა, უცვლდესი მიწის, A -ს ხარისხის, აკრთა ნებისმიერი რიცხვი რომ მიმატებოდა აქამდე დამუშავებულ ფართობს.

II. დამატებითი კაპიტალები აწარმოებენ ყველა ხარისხის მიწაზე დამატებით პროდუქტებს მათი სიდიდის პროპორციულად; ე. ი. წარმოება იზრდება, თვითეული ხარისხის მიწის სპეციფიკური ნაყოფიერების მიხედვით, დამატებითი კაპიტალის სიდიდის პროპორციულად. XXXIX თავში ჩვენთვის ამოსავალ პუნქტს შეადგენდა შემდეგ:

ცხრილი I.

მიწის ხარისხი	აკრები	კაპიტალი გივ. სტერ.	მოგება გივ. სტერულ.	წარმოების ფასი გივ. სტერულ.	პროდუქტი კვარტეით-ით	გასა. ფასი კვარტეითზე გივ. სტერ.	გამოსავალი გივ. სტერ.	ჩენტი		დამატებითი მოგების ნორმა %
								კვარტერი	გივ. სტერულ.	
A	1	2 $\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	3	1	3	3	0	0	0
B	1	2 $\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	3	2	3	6	1	3	120
C	1	2 $\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	3	3	3	9	2	6	240
D	1	2 $\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	3	4	3	12	3	9	360*
ჯამი	4	10	—	12	10	—	30	6	18	—

ამ ცხრილიდან მიიღება შემდეგი:

ცხრილი II

მიწის ხარი- სხი	აქრები	კაპიტალი გირვ სტერლ.	მოგება გირვ სტერლ.		პროდუქტი აქრებზე	გადაყიდი ფასი გირვ. სტერლ.	გამოსავლი გირვ. სტერლ.	რენტა		დამატებითი მოგება ნორმა %
			წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი აქრებზე				კვარტუ- ლი	გირვ. სტ.	
A	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	2	3	6	0	0	0
B	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	4	3	12	2	6	120
C	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	6	3	18	4	12	240
D	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	8	3	24	6	18	360
ჯამი	4	20	—	—	20	—	60	12	36	—

ამ შემთხვევაში საჭირო არაა, რომ კაპიტალი ორმაგი ოდენობით დაიხარჯოს თვითეული ხარისხის მიწაზე, როგორც ამას ადგილი აქვს ცხრილში. კანონი იგივე რჩება, თუ მხოლოდ დამატებითი კაპიტალი იხარჯება, სულ ერთია რა პროპორციითაც, რენტის მომცემ მიწის ერთ რომელიმე ან რამდენიმე კატეგორიაზე. საჭიროა მხოლოდ, რომ თვითეული ხარისხის მიწაზე წარმოება იმავე პროპორციით გადიდდეს, როგორც დიდდება კაპიტალი. რენტა აქ მატულობს მხოლოდ და მხოლოდ მიწაზე დახარჯული კაპიტალის გადიდების გამო და კაპიტალის ამ გადიდებასთან შეფარდებით. პროდუქტისა და რენტის ასეთი გადიდება დახარჯული კაპიტალის შედეგად და მის შესაბამისად არაფრით არ განსხვავდება, რამდენადაც საქმე პროდუქტის და რენტის რაოდენობას შეეხება, იმ შემთხვევისაგან, როდესაც დიდდება დამუშავებული ფართობი ერთნაირი ხარისხის ტოლი მიწებისა, რომელთაც რენტა მოაქვთ, და როდესაც მათი დამუშავება წარმოებს ისეთივე კაპიტალდანიარჯით, როგორითაც წარმოებდა წინათ იმავე ხარისხის მიწის ნაკვეთების დამუშავება. II ცხრილში მოცემულ შემთხვევაში, მაგალითად, შედეგი იგივე იქნებოდა, $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალი აქრზე რომ B, C და D-ს მეორე აქრზე დახარჯულიყო.

ეს შემთხვევა, შემდეგ, არ გულისხმობს კაპიტალის რაიმე უფრო

* 1894 წ. გამოცემაში შესაბამისად 12%, 24%, 36%. რ ე დ.

ნაყოფიერ გამოყენებას; იგი გულისხმობს მარტოოდენ უფრო დიდი კაპიტალის გამოყენებას იმავე ფართობზე და იმავე შედეგით, როგორც მანამდე.

ყველა პროპორციული სიდიდე აქ იგივე რჩება. რასაკვირველია, თუ ყურადღებას მივაქცევთ არა პროპორციულ სხვაობებს, არამედ წმინდა არითმეტიკულს, აღმოჩნდება, რომ დიფერენციული რენტა სხვადასხვა ხარისხის მიწებზე შეიძლება შეიცვალოს. ვიგულისხმობ, მაგალითად, რომ დამატებითი კაპიტალი დახარჯული იყო *B*-ზე და *D*-ზე. ამ შემთხვევაში *D* და *A* სხვაობა უდრის 7 კვარტერს, წინათ უდრიდა 3; *B* და *A* სხვაობა უდრის 3 კვარტერს, წინათ უდრიდა 1; *C* და *B* სხვაობა უდრის — 1, წინათ უდრიდა + 1-ს და სხვ. მაგრამ ამ არითმეტიკულ სხვაობას, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა I დიფერენციული რენტის შემთხვევაში, რამდენადაც ამ სხვაობით გამოიხატება მწარმოებლობის სხვაობა ტოლი კაპიტალის დახარჯვისას, სრულიად არა აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში, რადგან იგი წარმოადგენს იმს შედეგს, დახარჯულია მეტი თუ ნაკლები დამატებითი კაპიტალი. თანაც თუ სხვაობა კაპიტალს თვითიველი ტოლი ნაწილისათვის მიწის სხვადასხვა ნაკვეთებზე არ იცვლება.

III. დამატებითი კაპიტალები იძლევიან დამატებით პროდუქტს და ამიტომ ქმნიან დამატებით მოგებას, მაგრამ — კლებადი ნორმით, არა მათი გადიდების პროპორციულად.

ცხრილი III

მიწის ხარისხი	აკრები	კაპიტალი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტერლ.	ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერობით	გასაყოფი ფასი	რენტა			დამატებითი მოგების ნორმა %
							გამოსავლი გირვ. სტერლ.	უვარტ.	გირვ. სტერლ.	
A . . .	1	2 ¹ / ₂	1 ¹ / ₂	3	1	3	0	0	0	
B . . .	1	2 ¹ / ₂ +2 ¹ / ₂ =5	1	6	2+1 ¹ / ₂ =3 ¹ / ₂	3	10 ¹ / ₂	1 ¹ / ₂	4 ¹ / ₂	90
C . . .	1	2 ¹ / ₂ +2 ¹ / ₂ =5	1	6	3+2=5	3	15	3	9	180
D . . .	1	2 ¹ / ₂ +2 ¹ / ₂ =5	1	6	4+3 ¹ / ₂ =7 ¹ / ₂	3	22 ¹ / ₂	5 ¹ / ₂	16 ¹ / ₂	330
ჯამი		17 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	21	17	51	10	30	—	

ამ მესამე ვარაუდის შემთხვევაშიც სულ ერთია, დამატებითი კაპიტალების მეორეჯერ დახარჯვა მწარმოებს თანაბრად თუ არათანაბრად სხვადასხვა ხარისხის მიწებზე; თანაბარი თუ არათანაბარი პრო-

პორციით მცირდება დამატებითი მოგების წარმოება, იხარჯება დამატებითი კაპიტალი რენტის მომცემ ერთი და იმავე ხარისხის მიწაზე, თუ განაწილდება — თანაბრად თუ არათანაბრად — რენტის მომცემ სხვადასხვა თვისების მიწებს შორის. ყველა ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენ მიერ განსახილველი კანონისთვის. ერთადერთი ვარაუდი ის არის, რომ რენტის მომცემ რომელიმე ხარისხის მიწაზე დახარჯული დამატებითი კაპიტალი დამატებით მოგებას იძლევა, მაგრამ — კლებადი პროპორციით კაპიტალის გადიდების ოდენობასთან შედარებით. ამ კლების ფარგლები მოძრაობენ ჩვენს წინ მდებარე ცხრილის მაგალითებში 4 კვარტერსა $= 12$ გირგ. სტერლინგს, საუკეთესო მიწა D -ზე კაპიტალის პირველი დანახარჯის პროდუქტსა და 1 კვარტერს $= 3$ გირგ. სტერლინგს შორის, უცუდეს მიწა A -ზე კაპიტალის ასეთივე დანახარჯის პროდუქტებს შორის. I კაპიტალის დახარჯვისას საუკეთესო მიწის პროდუქტი შეადგენს მაქსიმალურ საზღვარს, ხოლო პროდუქტი უცუდესი A მიწისა, რომელსაც რენტა არ მოაქვს, რომელიც არავითარ დამატებით მოგებას არ იძლევა ტოლი კაპიტალის დახარჯვისას, შეადგენს იმ პროდუქტის მინიმალურ საზღვარს, რომელსაც იძლევა თანმიმდევრული კაპიტალ-დანახარჯი დამატებითი მოგების მომცემ რომელიმე ხარისხის მიწაზე თანმიმდევრულ კაპიტალდამანდებთან კლებადი მწარმოებლობის პირობებში. II ვარაუდი იმ შემთხვევას შეესაბამება, როდესაც უკეთესი ხარისხის მიწებიდან ერთნაირი თვისების ახალი ნაკვეთები მიემატება დამუშავებულ ფართობს, როდესაც დიდდება რომელიმე დამუშავებული მიწის ფართობის ოდენობა. სწორედ ასევე III ვარაუდი შეესაბამება იმ შემთხვევას, როდესაც დამუშავებაში შედის დამატებითი მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხი განაწილდება D და A შორის, უკეთესი ნაკვეთისა და უცუდესი ნაკვეთის ნაყოფიერებას შორის. თუ კაპიტალის თანმიმდევრულ დანახარჯთ მხოლოდ და მხოლოდ D მიწაზე აქვთ ადგილი, ისინი შეიძლება შეიცავდნენ D და A შორის არსებულ სხვაობას, შემდეგ სხვაობას D და C შორის, ისე როგორც სხვაობას D და B შორის. ხოლო თუ ყველა მათ ადგილი აქვთ C მიწაზე, მაშინ — მხოლოდ სხვაობას C და A ან B შორის; თუ B -ზე, მაშინ — მხოლოდ სხვაობას B და A შორის.

მაგრამ კანონი ასეთია: ამ ყველა ხარისხის მიწებზე რენტა აბსოლუტურად იზრდება, თუმცა დამატებით დახარჯული კაპიტალის არაპროპორციულად.

დამატებითი მოგების ნორმა კლებულობს როგორც დამატებითი კაპიტალის მიმართ, ისე მიწაზე დახარჯული მთელი კაპიტალის მიმართ; მაგრამ დამატებითი მოგების აბსოლუტური სიდიდე მატულობს სრულიად ისე, როგორც საერთოდ კაპიტალის კლებადი მოგების ნორმა უმრავლეს შემთხვევაში მოგების აბსოლუტური მასის მატებასთან არის დაკავშირებული. ასე, B-ზე კაპიტალდანახარჯის საშუალო დამატებითი მოგება = 90%-ს კაპიტალზე, მაშინ როდესაც პირველი კაპიტალდანახარჯისათვის იგი უდრიდა 120%. მაგრამ მთელი დამატებითი მოგება მატულობს, 1 კვარტერიდან აღის 1½ კვარტერამდე და 3 გირვ. სტერლინგიდან 4½-მდე. თავისთავად განხილული ერთობლივი რენტა — და არა ავანსებული კაპიტალის გაორკეცებული ოდენობის მიმართ განხილული, — აბსოლუტურად გაიზარდა. სხვაობანი სხვადასხვა ხარისხის მიწების რენტათა შორის და მათი შეფარდება ერთიმეორესთან აქ შეიძლება შეიცვალოს; მაგრამ სხვაობათა ეს ცვლილება შედეგია და არა მიზეზი რენტათა გადიდებისა ერთიმეორის მიმართ.

IV. ის შემთხვევა, როდესაც დამატებითი კაპიტალდანახარჯი უკეთესი ხარისხის მიწებზე პროდუქტის უფრო დიდ რაოდენობას აწარმოებს, ვიდრე თავდაპირველი დანახარჯი, არ საჭიროებს შემდგომ ანალიზს. თავისთავად გასაგებია, რომ ამ ვარაუდის მიხედვით აკრზე მიღებული რენტა იზრდება, და თანაც უფრო დიდი პროპორციით, ვიდრე დამატებითი კაპიტალი, რა კატეგორიის მიწაზეც არ უნდა იყოს იგი დახარჯული. ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალდანახარჯი დაკავშირებულია გაუმჯობესებასთან. აქვე იგულისხმება შემთხვევები, როცა ნაკლები კაპიტალის დამატებით დახარჯვა ისეთსავე ან უფრო დიდ შედეგს გამოიღებს, ვიდრე წინათ უფრო დიდი კაპიტალის დამატებით დახარჯვა. ეს შემთხვევა სავსებით იდენტური არაა წინანდელს, და იმ განსხვავებას, რაც მათ შორის არსებობს, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა კაპიტალდანახარჯის შემთხვევაში. თუ, მაგალითად, 100 იძლევა 10 მოგებას, ხოლო განსაზღვრულ ფორმაში გამოყენებული 200 იძლევა 40 მოგებას, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მოგება 10%-იდან გაიზარდა 20%-ამდე, და ამდენადვე ეს იგივეა, უფრო მიზანშეწონილ ფორმაში გამოყენებულ 50-ს 10-ის ნაცვლად 5 მოგება რომ მოეცა. ჩვენ ვგულისხმობთ აქ, რომ მოგების გადიდება დაკავშირებულია პროდუქტის პროპორციულ გადიდებასთან. მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ერთ შემთხვევაში მე უნდა გავაორკეცო კაპიტალი, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში წინანდელი კაპიტალით ვიღებ გაორკეცებულ ეფექტს. სრულიადაც ერთი

და იგივე არ არის, ვაწარმოებ მე: 1) წინანდელი ცოცხალი შრომის და გასაგნობრივებული შრომის ნახევარი რაოდენობით წინანდელ პროდუქტს, 2) იმავე შრომით წინანდელს ორჯეც პროდუქტს, თუ, 3) ორმაგი შრომით წინანდელს ოთხჯეც პროდუქტს. პირველ შემთხვევაში შრომა — ცოცხალი თუ გასაგნობრივებული ფორმით — თავისუფალი ხდება და შეიძლება მისი სხვაგვარად გამოყენება; ფართოვდება შრომისა და კაპიტალის გამგებლობის შესაძლებლობა. კაპიტალის (და შრომის) განთავისუფლება თავისდათავად სიმდიდრის გადიდება; მას სრულიად ისეთივე ეფექტი აქვს, თითქოს ეს დამატებითი კაპიტალი დაგროვების გზით ყოფილიყო მიღებული, მაგრამ იგი ზოგავს დაგროვების შრომას.

ვთქვათ, კაპიტალმა 100-მა აწარმოვა 10 მეტრი პროდუქტი. 100-ში მოქცეულია როგორც მუდმივი კაპიტალი, ისე ცოცხალი შრომა და მოგება. ამრიგად, მეტრი ღირს 10. თუ ახლა იმავე 100-ის რაოდენობის კაპიტალით შესაძლებელია 20 მეტრი იქნეს წარმოებული, — მეტრი ეღირება 5. თუ, პირიქით, კაპიტალი 50-ით მე შემიძლია 10 მეტრი ვაწარმოო, მეტრი ასევე 5 ეღირება, მაგრამ ამ შემთხვევაში თავისუფლდება 50-ის რაოდენობის კაპიტალი, რამდენადაც საქონლის წინანდელი მიწოდება საკმარისია. თუ მე კაპიტალი 200 უნდა დავხარჯო 40 მეტრის საწარმოებლად, მაშინაც მეტრი 5 ეღირება. ღირებულების განსაზღვრა და აგრეთვე ფასისაც არ იძლევა აქ რაიმე განსხვავების დანახვის შესაძლებლობას, ისევე როგორც ამის შესაძლებლობას არ იძლევა ავანსებული კაპიტალის პროპორციულ პროდუქტთა მასა. მაგრამ პირველ შემთხვევაში იზოგება დამატებითი კაპიტალი*, რამდენადაც, ვთქვათ, წარმოების გაორჯეცება იქნებოდა საჭირო. მეორე შემთხვევაში თავისუფლდება კაპიტალი**; მესამე შემთხვევაში გადილებული პროდუქტის მიღება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გადილებული იქნება ავანსებული კაპიტალი, თუმცა არა ისეთი პროპორციით, როგორიც საჭირო იქნებოდა, პროდუქტის გადილებული რაოდენობა რომ წინანდელი მწარმოებლური ძალით ყოფილიყო დასამზადებელი. (ეკუთენის I განყოფილებას.)

კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, არა ზედმეტი ღირებულების გადიდების გათვალისწინებით, არამედ ხარჯთფასის შემცირების გათვალისწინებით, — ხოლო ხარჯების დაზოგვა ზედმეტი ღირებულების შემქმნელ ელემენტშიც, შრომაში, ასეთ სამსახურს

* 1894 წ. გამოცემაშია — «თავისუფლდება კაპიტალი». რ. ე. დ.

** იქვე — «იზოგება დამატებითი კაპიტალი». რ. ე. დ.

უწევს კაპიტალისტს და უქმნის მას მოგებას, თუკი წარმოების ფასი, მარეგულირებელი ფასი, წინანდელი რჩება, — მუდმივი კაპიტალის გამოყენება ყოველთვის უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ცვალებადისა. მართლაც, ამას გულისხმობს კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისი განვითარება კრედიტისა და სასესხო კაპიტალის სიუხვე. ერთი მხრივ, მე გამოვიყენებ 100 გირვ. სტერლ. დამატებით მუდმივ კაპიტალს, თუ 100 გირვ. სტერლინგი არის პროდუქტი, რომელსაც 5 მუშა აწარმოებს წლის განმავლობაში, და, მეორე მხრივ, — 100 გირვ. სტერლინგს ცვალებადი კაპიტალის სახით. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა = 100%, მაშინ 5 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება = 200 გირვ. სტერლინგს; პირიქით, 100 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალის ღირებულება = 100 გირვ. სტერლინგს და როგორც კაპიტალისა, შეიძლება = 105 გირვ. სტერლინგს, თუ სარგებლის განაკვეთი = 5%. ერთი და იგივე ფულადი თანხები, ავანსებულთა ისინი წარმოებაში როგორც მუდმივი კაპიტალის თუ როგორც ცვალებადი კაპიტალის ღირებულება, ისინი, თუ მათს პროდუქტს განვიხილავთ, სრულიად სხვადასხვა ღირებულებას გამოხატავენ. რაც შეეხება, შემდეგ. კაპიტალისტის თვალსაზრისით, საქონელთა წარმოების ხარჯებს. — განსხვავება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამ 100 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალიდან, რამდენადაც იგი ძირითად კაპიტალადაა მოთავსებული, მხოლოდ გაცვეთა შედის საქონლის ღირებულებაში, მაშინ როდესაც ხელფასისათვის დახარჯული 100 გირვ. სტერლინგი მთლიანად კვლავწარმოებულ უნდა იქნეს საქონლის ღირებულებაში.

კოლონისტებისა და საერთოდ წვრილი მწარმოებლებისათვის. რომელთაც სრულიად არა აქვთ კაპიტალი ან მხოლოდ დიდი სარგებლის გადახდით შეუძლიათ ჰქონდეთ იგი თავიანთ განკარგულებაში, პროდუქტს ნაწილი, რომელიც ხელფასს წარმოადგენს, შეადგენს მათ შემოსავალს, მაშინ როდესაც კაპიტალისტისათვის იგი წარმოადგენს ავანსებულ კაპიტალს. ამიტომ პირველი ამ შრომის დახარჯვას განიხილავს როგორც აუცილებელ პირობას იმ შრომის პროდუქტისა, რომელიც უწინარეს ყოვლისა მას აქვს მხედველობაში. რაც შეეხება აუცილებელ შრომაზე ზედმეტად დახარჯულ გადახამეტ შრომას, იგი ყოველ შემთხვევაში რეალიზებული ხდება ჭარბ პროდუქტში; და რამდენადაც მას ძალუძს გაყიდოს იგი ან პირადად მოიხმაროს, ამ პროდუქტს იგი განიხილავს როგორც ისეთ რამეს, რაც მას არა უღირს რა, რადგან არ უღირს გასაგნობრივებულ შრომად. მხოლოდ ამ უკანასკნელის ხარჯვას აქვს მისთვის სიმდიდ-

რის გასხვისების მნიშვნელობა. რასაკვირველია, იგი ცდილობს რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს; მაგრამ გაყიდვას ღირებულებაზე დაბლა და კაპიტალისტურ წარმოების ფასზე დაბლაც კი მისთვის მაინც მოგების მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს მოგება ანტიციპირებული არაა დავალიანებით, იპოთეკებით და სხვ.. პირიქით, კაპიტალისტისთვის როგორც ცვალებადი კაპიტალის, ისე მუდმივი კაპიტალის დახარჯვა კაპიტალის ავანსად გაღებას წარმოადგენს. შედარებით დიდი მუდმივი კაპიტალის ავანსად გაღება ამცირებს, სხვა თანაბარ პირობებში, ხარჯთფასს, ისე როგორც ნამდვილად საქონელთა ღირებულებასაც. ამიტომ, თუმცა მოგება წარმოდგება მხოლოდ ზედმეტი შრომიდან, მაშასადამე, მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის გამოყენებიდან, მაგრამ მაინც ცალკეულ კაპიტალისტს შეიძლება ეჩვენებოდეს, რომ ცოცხალი შრომა წარმოადგენს ხარჯების უძვირეს ელემენტს, მინიმუმამდე დასაყვან ელემენტს. ეს მარტოოდენ კაპიტალისტურად დამახინჯებული ფორმაა იმ ჰემმარიტების, რომ შეფარდებით უფრო დიდი წარსული შრომის გამოყენება, ცოცხალ შრომასთან შედარებით, მოასწავებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას. ასე მცდარად და ასე თავდაყირა გამოიხატება ყველაფერი კონკურენციის თვალსაზრისით.

თუ ვიგულისხმებთ, რომ წარმოების ფასები უცვლელია, დამატებითი კაპიტალის ხარჯვა შეიძლება მოხდეს მუდმივი, მზარდი ან კლებადი მწარმოებლობით უკეთეს მიწებზე, ე. ი. ყველა მიწაზე B-დან დაწყებული და ზემოთ. A-ზე ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, ან მწარმოებლობის უცვლელობისას; როცა ამასთან მიწა უწინდებურად არ იძლევა რენტას, ანდა მაშინაც, როდესაც მწარმოებლობა მატულობს; ამ შემთხვევაში A-ზე დახარჯული კაპიტალის ერთი ნაწილი რენტას მოგვცემდა, მეორე კი — არა. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ A-სთვის ვიგულისხმებთ კლებად მწარმოებლობას იმიტომ რომ მაშინ წარმოების ფასი უცვლელი არ დარჩებოდა, არამედ აიწევდა. მაგრამ ყველა ამ გარემოებაში, ე. ი. იქნება დამატებითი დანახარჯის მიერ გამოღებული დამატებითი პროდუქტი მისი სიდიდის პროპორციული თუ არა, იქნება იგი ამ პროპორციასთან შედარებით მეტი თუ ნაკლები, — ამიტომ, დამატებითი მოგების ნორმა კაპიტალზე, ამ უკანასკნელის გაზრდისას, უცვლელი დარჩება, აიწევს თუ დაიწევს, — დამატებითი პროდუქტი და მისი შესაბამისი ნამეტი მოგება აკრზე იზრდება და, მაშასადამე, იზრდება როგორც რენტა ხორბლის სახით, ისე ფულადი რენტა. მარტოოდენ დამატებითი მოგების ეს ზრდა, შესა-

ბამისად რენტის მასის ზრდა, აკრზე გამოანგარიშებით, ე. ი. მზარდი მასა, რაიმე მუდმივ ერთეულზე გამოანგარიშებით, ამ შემთხვევაში, მაშასადამე, მიწის რაიმე განსაზღვრულ რაოდენობაზე, აკრზე ან ჰექტარზე, გამოანგარიშებით — აქ გამოისახება როგორც მზარდი პროპორცია. ამიტომ რენტა, აკრზე აღებული, ამ პირობებში იზრდება მიწაზე დახარჯული კაპიტალის უბრალო გადიდების გამო. ამასთან ეს ხდება წარმოების ფასების უცვლელობისას, და განუჩვენებლად იმის მიმართ, უცვლელი რჩება დამატებითი კაპიტალის მწარმოებლობა, კლებულობს იგი თუ მატულობს. ეს უკანასკნელი გარემოებანი ცვლიან იმ ოდენობას, რომლითაც იზრდება რენტა აკრზე, მაგრამ არაფერს არ ცვლიან თვით ამ ზრდის ფაქტში. ეს არის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია II დიფერენციული რენტისათვის და განსხვავებს მას I დიფერენციული რენტისაგან. კაპიტალები დამატებით რომ დაეხარჯათ არა ერთიმეორის მიყოლებით დროში ერთსა და იმავე მიწაზე, არამედ ერთიმეორის გვერდით სივრცეში სათანადო თვისების მქონე ახალ დამატებით მიწებზე, მაშინ გაიზრდებოდა რენტის მთელი მასა და, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, აგრეთვე მთელი დამუშავებული ფართობის საშუალო რენტაც, მაგრამ არა რენტის სიდიდე ყოველ აკრზე. კაპიტალის კონცენტრაცია ნაკლები ზომის მიწის ფართობზე, შედეგის უცვლელობისას, რამდენადაც საქმე ერთობლივი წარმოების და დამატებითი პროდუქტის მასას და ღირებულებას შეეხება, აღიძვრს რენტის ოდენობას აკრზე, მაშინ როდესაც იმავე კაპიტალის გაფანტვა უფრო დიდი ზომის მიწის ფართობზე, სხვა თანაბარ პირობებში, არ წარმოშობს ასეთ შედეგს. ხოლო რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესი, მით უფრო ვითარდება აგრეთვე კაპიტალის კონცენტრაცია ერთსა და იმავე მიწის ფართობზე; მით უფრო, მაშასადამე, მატულობს რენტა, აკრზე გამოანგარიშებით. ამიტომ, ორ ქვეყანაში, სადაც წარმოების ფასები განსხვავდება სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის და დახარჯული კაპიტალის მასაც თანატოლი იქნებოდა, მაგრამ თუ ერთ ქვეყანაში ხორციელდება უპირატესად თანმიმდევრული დაბანდებანი მიწის შეზღუდულ ფართობზე, მეორეში კი — უპირატესად კოორდინირებული დაბანდებანი უფრო დიდ ფართობზე, მაშინ რენტა აკრზე და ამიტომ მიწის ფასიც პირველ ქვეყანაში იქნებოდა უფრო მაღალი. ხოლო მეორეში უფრო დაბალი, თუმცა რენტის მასა ორივე ქვეყანაში თანატოლი იქნებოდა. მაშასადამე, განსხვავება რენტის სიდიდეში აქ შეიძლებოდა აგვეხსნა არა სხვადასხვა ხარისხის მიწების ბუნებრივი ნაყოფიერების განსხვავებით და არა დახარჯული შრომის რაოდენო-

ბით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალის დაბანდების სხვადასხვა წესით.

როდესაც ჩვენ აქ დამატებით პროდუქტზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის ვგულისხმობთ პროდუქტის იმ სათანადო ნაწილს, რომლითაც დამატებითი მოგება გამოიხატება. საერთოდ კი ზედმეტ პროდუქტად ანუ დამატებით პროდუქტად ჩვენ ვგულისხმობთ პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მთელ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ვგულისხმობთ პროდუქტის იმ ნაწილსაც, რომელიც საშუალო მოგებას წარმოადგენს. სპეციფიკური მნიშვნელობა, რაც ამ სიტყვას ეძლევა იმ შემთხვევებში, როცა საქმე რენტის მომცემ კაპიტალს შეეხება, წარმოადგენს, როგორც ეს წინათ იყო აღნიშნული, გაუგებრობის საბაბს.

თავი ორმოცდამოხრე

დიფერენციული ჩენტი II. მემოკე შემთხვევა: წარმოების ფასი კლებადია

წარმოების ფასი შეიძლება დაეცეს, როდესაც დამატებითი კაპიტალების ხარჯვა ხდება მწარმოებლობის უცვლელი, კლებადი ან უზარდი ნორმით.

1. დამატებითი 'კაპიტალ-დანახარჯის' მწარმოებლობის უცვლელობის პირობებში.

ამრიგად, ეს შემთხვევა გულისხმობს, რომ სხვადასხვა ხარისხის მიწებზე, მათი შედარებითი თვისების შესაბამისად, პროდუქტი იზრდება იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც იზრდება მათზე დახარჯული კაპიტალი. ეს გულისხმობს, სხვადასხვა ხარისხის მიწების სხვაობათა უცვლელობისას. დამატებითი პროდუქტის ზრდას კაპიტალ-დანახარჯის ზრდის პროპორციულად. მაშასადამე, ეს შემთხვევა გამოირიცხავს ყოველ, დიფერენციულ რენტაზე გავლენის მომხდენ, დამატებითი კაპიტალის ხარჯვას A მიწაზე. ამ მიწაზე დამატებითი მოგების ნორმა $= 0$; მაშასადამე, იგი რჩება $= 0$, რადგან ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ დამატებითი კაპიტალის მწარმოებლური ძალა და ამიტომ დამატებითი მოგების ნორმა უცვლელი რჩება.

მაგრამ მარეგულირებელი წარმოების ფასი ამ პირობებში შეიძლება მხოლოდ დაეცეს, იმიტომ რომ A -ს წარმოების ფასის ნაცვლად მარეგულირებელი ხდება ხარისხით უახლოესი B მიწის ან საერთოდ რომელიმე A -ზე უკეთესი მიწის წარმოების ფასი. თუ C მიწის წარმოების ფასი გახდა მარეგულირებელი, — კაპიტალი გამოიტანება A -დან, ან A -დანაც და B -დანაც, და ამგვარად C -ზე უარესი ყოველი მიწა გამოირიცხება ხორბლის მომცემი მიწების კონკურენციიდან. მოცემულ წანამძღვართა საფუძველზე ამის პირობა ისაა, რომ დამატებითი კაპიტალ-დანახარჯის პროდუქტი აკმაყოფილებდეს მოთ-

ხოვნილებას, და ამგვარად წარმოება უცუდეს A მიწაზე და სხვ. ზედმეტი გახდეს მიწოდების შესაფხვბად.

ამრიგად, ავილოთ, მაგალითად, ცხრილი II, მაგრამ შევეცვალოთ ისე, რომ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს არა 20 კვარტერი, არამედ 18. ამ შემთხვევაში მიწა A გამორიცხული იქნებოდა; B* და მასთან ერთად 30 შილინგი წარმოების ფასი კვარტერზე გახდებოდა მარეგულირებელი ფასი. მაშინ ლიფერენციული რენტა ასეთ ფორმას მიიღებს:

ცხრილი IV

მიწის ხარისხი	აკრები	კაპიტალი გირვ. სტერ.	მოგება გირვ. სტერლ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	აროდუქტი კვარტერობათ	გასაყ. ფასი კვარტერზე გირვ. სტერ.	გამოსაკალი გირვ. სტერ.	რენტა		
								ხორბ.	კვარტ.	ფულად გირვ. სტერლ.
B	1	5	1	6	4	1 ¹ / ₂	6	0	0	0
C	1	5	1	6	6	1 ¹ / ₂	9	2	3	60%
D	1	5	1	6	8	1 ¹ / ₂	12	4	6	120%
ჯამი	3	15	3	18	18	—	27	6	9	—

ამრიგად, მთელი რენტა II ცხრილთან შედარებით დაიწევდა 36 გირვანჭა სტერლინგიდან 9-მდე, ხოლო ხორბლის სახით 12 კვარტერიდან 6-მდე; მთელი წარმოება შემცირდებოდა 2 კვარტერით, 20-დან დაიწევდა 18-მდე. კაპიტალზე გამოანგარიშებული დამატებითი მოგების ნორმა დაიწევდა სამჯერ. 180-დან 60%-მდე **. მაშასადამე, წარმოების ფასის დაწევას აქ შეესაბამება ხორბლით და ფულით გამოსახული რენტის შემცირება.

I ცხრილთან შედარებით ხდება მხოლოდ ფულადი რენტის შემცირება; რენტა ხორბლის სახით ორივე შემთხვევაში უდრის 6 კვარტერს; მხოლოდ ეს კვარტერი ერთ შემთხვევაში = 18 გირვ. სტერლინგს, მეორეში = 9 გირვ. სტერლინგს. C*** მიწისათვის რენტა ხორბლის სახით I ცხრილთან შედარებით უცვლელი დარჩა. იმის

* 1894 წლის გამოცემაში: D. რ ე დ.

** 1894 წლის გამოცემაში — ნახევრად, 180-დან 90%-მდე. რ ე დ.

*** 1894 წლის გამოცემაში — C და D მიწებისათვის. რ ე დ.

გამო, რომ ტოლი მწარმოებლური ძალით მოქმედი კაპიტალის გამოყენებით მიღწეულმა დამატებითმა წარმოებამ ბაზრიდან განდევნა A-ს პროდუქტი და მასთან ერთად A მიწაც როგორც წარმოების კონკურენტი — აგენტი, — ამის გამო სინამდვილეში წარმოიქმნა ახალი დიფერენციული რენტა I, რომელშიაც უკეთესი მიწა B იმავე როლს ასრულებს, რასაც წინათ უფრო ცუდი ხარისხის მიწა A ასრულებდა. ამის გამო, ერთი მხრივ, B აღარ იძლევა რენტას; მეორე მხრივ, ნაგულისხმევის თანახმად, დამატებითი კაპიტალის დახარჯვას არაფერი არ შეუცვლია სხვაობაში B, C და D შორის. ამიტომ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც რენტად გადაიქცევა, მცხრდება.

ის შედეგი, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული, — მოთხოვნის დაკმაყოფილება A-ს გამოირიცხვისას, — რომ გამოწვეული ყოფილიყო, ვთქვათ, ორჯერ და უფრო მეტი კაპიტალის დახარჯვით C ან D-ზე ან ორივეზე, მაშინ საქმე სხვა სახეს მიიღებდა. მაგალითად, თუ კაპიტალის მესამე დანახარჯს ადგილი ექნებოდა C-ზე:

ცხრილი IV_a

მიწის ხარისხი	აქრები	კაპიტალი გირვ. სტერ.	მოგება გირვ. სტეროდ.	წარმოების ფასი გირვ. სტერ.	პროდუქტი კვარტერობით	ფასი კვარტერზე გირვ. სტერ.	გამოსავლი გირვ. სტერ.	რენტა		
								ხორბ.	კვარტერი	ფულად ბირვ. სტეროდ.
B	1	5	1	6	4	1½	6	0	0	0
C	1	7½	1½	9	9	1½	13½	3	4½	60%
D	1	5	1	6	8	1½	12	4	6	120%
ჯამი	3	17½	3½	21	21	—	31½	7	10½	—

პროდუქტის რაოდენობა C-ზე აქ IV ცხრილთან შედარებით გადიღდა 6 კვარტერიდან 9-ამდე, დამატებითი პროდუქტი 2 კვარტერიდან 3-მდე, ფულადი რენტა 3 გირვ. სტერლინგიდან 4½ გირვ. სტერლინგამდე. II ცხრილთან * შედარებით კი, სადაც ფულადი რენტა = 12 გირვ. სტერლინგს, და I ცხრილთან შედარებით, სადაც ფულადი რენტა = 6 გირვ. სტერლინგს, იგი, პირიქით, შემცირდა. სობრლით გამოსახული რენტის მთელი ჯამი = 7 კვარტ., შემცირდა

* 1894 წლის გამოცემაშია — I. რ ე ლ.

II ცხრილთან შედარებით (12 კვარტერი), გადიდა I ცხრილთან შედარებით (6 კვარტერი); ფულით გამოსახული (10½ გირვ. სტერლ.) შემცირდა ორივესთან შედარებით (18 გირვ. სტერლ. და 36 გირვ. სტერლ.).

2½ გირვ. სტერლ. მესამე კაპიტალი რომ B მიწაზე დახარჯულიყო, თუმცა, ეს კი შეეცვლიდა წარმოების მასას, მაგრამ არ შეეხებოდა რენტას, რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯი არ იწვევს არავითარ სხვაობას ერთი და იმავე ხარისხის მიწაზე და B მიწა რენტას არ იძლევა.

პირიქით, თუ ჩვენ მივიღებთ, რომ კაპიტალის მესამე დანახარჯს C-ს ნაცვლად ადგილი აქვს D მიწაზე, მაშინ გვექნება:

ცხრილი IVb

მიწის ხარისხი	აქრები	კაპიტალი გირვ. სტერ.	მოგება გირვ. სტერლ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერობით	მასა კვარტერზე გირვ. სტერ.	განსაჯალი გირვ. სტერ.	რენტა		წამატებითი მოგების ხორკა
								კვარტერი	გირვ. სტერლ.	
B.	1	5	1	6	4	1½	6	0	0	0
C.	1	5	1	6	6	1½	9	2	3	60%
D.	1	7½	1½	9	12	1½	18	6	9	120%
ჯამი	3	17½	3½	21	22	—	33	8	12	—

აქ მთელი პროდუქტი = 22 კვარტერს, ორჯერ და უფრო მეტია I ცხრილის ერთობლივ პროდუქტთან შედარებით, თუმცა ავანსებული კაპიტალი — მხოლოდ 17½ გირვ. სტერლინგს, ნაცვლად 10 გირვ. სტერლინგისა, ე. ი. არ გაორკეცებულა 10 გირვ. სტერლ. შედარებით. შემდეგ, მთელი პროდუქტი 2 კვარტერით აღემატება II ცხრილისას, თუმცა ამ უკანასკნელში ავანსებული კაპიტალი უფრო დიდია, სახელდობრ შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს.

D მიწაზე. რენტა ხორბლად I ცხრილთან შედარებით გაიზარდა 3* კვარტერიდან 6-ამდე, მაშინ როდესაც ფულადი რენტა უწინდებურად 9 გირვ. სტერლ. დარჩა. II ცხრილთან შედარებით D-ზე რენტა ხორბლის სახით იგივე 6 კვარტერი დარჩა, მაგრამ ფულადი რენტა შემცირდა 18 გირვ. სტერლინგიდან 9 გირვ. სტერლინგამდე.

* 1894 წლის გამოცემაში — 2. რ ე დ.

თუ რენტის ერთობლივ ჯამებს განვიხილავთ, IVb ცხრილის რენტა ხორბლის სახით, = 8 კვარტერს, უფრო დიდია, ვიდრე ასეთივე I ცხრილისა, რომელიც = 6 კვარტერს, და IV ცხრილისა, რომელიც = 7 კვარტერს, და, პირიქით, ნაკლებია რენტის ერთობლივ ჯამზე II ცხრილში, = 12 კვარტერს. IVb ცხრილის ფულადი რენტა, რომელიც = 12 გირვ. სტერლინგს, მეტია IVa ცხრილის ფულად რენტაზე, რომელიც = 10½ გირვ. სტერლინგს, და ნაკლებია I ცხრილის ფულად რენტაზე, რომელიც = 18 გირვ. სტერლინგს, და II ცხრილის ფულად რენტაზე, რომელიც = 36 გირვ. სტერლინგს.

B-ზე რენტის მოსპობისას, IVb ცხრილის პირობებში, რენტის მთელი ჯამი რომ ეთანატოლებოდეს I ცხრილის ჯამს, ჩვენ უნდა გვექონდეს კიდევ 6 გირვ. სტერლინგის დამატებითი პროდუქტი, ე. ი. 4 კვარტერი თითო 1½ გირვ. სტერლინგისა, რაც ახალ წარმოების ფასს წარმოადგენს. მაშინ ჩვენ კვლავ გვექნება რენტის მთელი ჯამი 18 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, როგორც I ცხრილში. ამისათვის საჭირო დამატებითი კაპიტალის სიდიდე სხვადასხვა იქნება იმისა და მიხედვით, დავხარჯავთ მას ჩვენ C-ზე თუ D-ზე, თუ გავანაწილებთ ორივეს შორის.

C-ზე 5 გირვ. სტერლ. კაპიტალს მოაქვს 2 კვარტერი დამატებითი პროდუქტი, მაშასადამე, 10 გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალი მოგვცემს 4 კვარტერ დამატებით პროდუქტს. D-ზე 5 გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალის დახარჯვა საკმარისი იქნებოდა, რათა წარმოებული ყოფილიყო 4 კვარტ. დამატებითი რენტა ხორბლის სახით, იმ ვარაუდის მიხედვით, რაც აქ საუფუძვლადა მიღებული, რომ დამატებითი კაპიტალდანაზარჯის მწარმოებლობა უცვლელი რჩება. ამრიგად ჩვენ ვიღებთ შემდეგ შედეგებს:

ცხრილი IVc

მიწის ხარისხი	აქრები	კაპიტალი გირვ. სტერ.	მოგება გირვ. სტერლ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერებით	ფასი. ფასი კვარტერზე გირვ. სტერ.	გამოსავალი გირვ. სტერ.	რენტა		დამატებითი მოგების ნორმა
								კვარტერი	გირვ. სტერლ.	
B	1	5	1	6	4	1½	6	0	0	0
C	1	15	3	18	18	1½	27	6	9	60%
D	1	7½	1½	9	12	1½	18	6	9	120%
ჯამი	3	27½	5½	33	34	—	51	12	18	—

ცხრილი IV d

მიწის ხარისხი	აკეხი	კატარა გირვ. სტ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერობით	ვასყიდო ფასი კვარტერობაზე გირვ. სტ.	გაოსაჯ. გირვ. სტ.	რენტა		დამატებითი მოგებას ნორმა
								კვარტერი	გირვ. სტ.	
B	1	5	1	6	4	1 1/2	6	0	0	0
C	1	5	1	6	6	1 1/2	9	2	3	60%
D	1	12 1/2	2 1/2	15	20	1 1/2	30	10	15	120%
ჯამი	3	22 1/2	4 1/2	27	30	—	45	12	18	—

ფულადი რენტის მთელი ჯამი სწორედ იმის ნახევარი იქნებოდა, რაც II ცხრილში იყო, სადაც დამატებითი კაპიტალები დახარჯული იყო წარმოების ფასების უცვლელობისას.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ ცხრილების შედარება I ცხრილთან.

ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების ფასის სანახევროდ შემცირებისას, 60 შილინგიდან 30 შილინგამდე კვარტერზე, ფულადი რენტის მთელი ჯამი წინანდელი დარჩა, = 18 გირვ. სტერლ., და, ამის შესაბამისად, რენტა ხორბლის სახით გაორკეცდა, 6 კვარტერიდან გადიდდა 12 კვარტერამდე. B-ზე რენტა მოისპო. C-ზე ფულადი რენტა IVC-ში ნახევრით გაიზარდა, მაგრამ ნახევრით შემცირდა IVD-ში; რენტა D-ზე წინანდელი დარჩა, = 9 გირვ. სტერლ. IVC-ში, და 9 გირვ. სტერლინგიდან 15 გირვ. სტერლინგამდე აიწია IVD-ში. წარმოება 10 კვარტერიდან გაიზარდა 34-ამდე IVC-ში და 30 კვარტერამდე IVD-ში; მოგებამ აიწია 2 გირვ. სტერლინგიდან 5 1/2-ამდე IVC-ში და 4 1/2-მდე IVD-ში. მთელი კაპიტალდანახარჯი გადიდდა ერთ შემთხვევაში 10 გირვ. სტერლინგიდან 27 1/2 გირვ. სტერლინგამდე, მეორეში — 10-დან 22 1/2 გირვ. სტერლინგამდე; მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ორჯერ და უფრო მეტად. რენტის ნორმა, ავანსებულ კაპიტალზე გამოანგარიშებული რენტა, ყველა ცხრილში IV-იდან IVD-მდე თვითეული ხარისხის მიწისათვის ყველგან ერთი და იგივეა; რაც უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ ყველა ხარისხის მიწაზე ორივე თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის ნორმა ნაგულისხმევი იყო როგორც უცვლელი. მაგრამ I ცხრილთან შედარებით რენტის ნორმა შემცირდა, — შემცირდა საშუალო ნორმა ყველა ხარისხის მიწებისათვის, ისე როგორც ცალკე თვითეული

ხარისხის მიწისათვის. I ცხრილში იგი საშუალოდ 180% უთანა-
 ტოლდებოდა, $IVc\text{-ში} = \frac{18}{27\frac{1}{2}} \times 100 = 65\frac{1}{11}\%$ და $IVd\text{-ში} = \frac{18}{22\frac{1}{2}} \times 100 = 80\%$. საშუალო ფულადმა რენტამ აკრზე აიწია. მისი სა-
 შუალო სიდიდე წინათ, I ცხრილში, უდრიდა $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს
 აკრზე ოთხივე აკრისათვის, ახლა კი, $IVc\text{-ში}$ და $IVd\text{-ში}$, აკრზე 6 გირვ.
 სტერლინგს უდრის 3 აკრისათვის. მისი საშუალო სიდიდე რენტის
 ნომცემ მიწაზე წინათ უდრიდა 6 გირვ. სტერლინგს, ახლა კი უდრის
 9 გირვ. სტერლინგს აკრზე. ამრიგად, ფულადი რენტის ღირებულება
 აკრზე გადიდა და წარმოადგენს წინანდელთან შედარებით ახლ
 ორკეც პროდუქტს ხორბლის სახით; მაგრამ 12 რენტა ხორბლის
 სახით ახლა შეადგენს ნახევარზე ნაკლებს მთელი პროდუქტის —
 34 და — შესაბამისად — 30 კვარტერისა*, მაშინ როდესაც I
 ცხრილში 6 კვარტერი შეადგენს მთელი პროდუქტის — 10 კვარ-
 ტერის — $\frac{1}{3}$ -ს. ამრიგად, თუმცა რენტა, თუ მას განვიხილავთ რო-
 გორც მთელი პროდუქტის სათანადო ნაწილს, აგრეთვე თუ დახარჯულ
 კაპიტალზე ვიანგარიშებთ, შემცირდა, მაგრამ მისი ფულადი ღირ-
 ზეულება, აკრზე გამოანგარიშებით, გადიდა და კიდევ უფრო გა-
 დიდა რენტის შესაბამისი პროდუქტის ღირებულება. თუ ჩვენ მიწა
 D ავიღებთ IVd ცხრილში, — დახარჯული კაპიტალის შესაბამისი
 წარმოების ფასი [die ausgelegten Produktionskosten] აქ მთლიანად
 უდრის 15 გირვ. სტერლინგს, რომელთაგან $12\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი
 შეადგენს დახარჯულ კაპიტალს. ფულადი რენტა უდრის 15 გირვ.
 სტერლინგს. I ცხრილში იმავე მიწაზე წარმოების ფასი უდრიდა
 3 გირვ. სტერლინგს, დახარჯული კაპიტალი უდრიდა $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერ-
 ლინგს, ფულადი რენტა კი = 9 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, უკა-
 ნასკნელი სამჯერ მეტია წარმოების ფასზე და თითქმის ოთხჯერ
 მეტია დახარჯულ კაპიტალზე. IVd ცხრილში D-სთვის ფულადი რენტა
 15 გირვ. სტერლინგი სწორედ წარმოების ფასს უდრის და მხოლოდ
 $\frac{1}{2}$ -ით აღემატება დახარჯულ კაპიტალს. მაგრამ აკრზე ფულადი რენტა
 $\frac{2}{3}$ -ით უფრო დიდია, იგი 9 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 15 გირვ.
 სტერლინგს უდრის. I ცხრილში რენტა ხორბლის სახით 3 კვარტერი
 უდრის 4 კვარტერის ოდენობის მთელი პროდუქტის $\frac{3}{4}$ -ს; $IVd\text{-ში}$
 იგი უდრის 10 კვარტერს, ე. ი. D მიწის აკრზე მიღებული მთელი
 პროდუქტის (20 კვარტ.) ნახევარს. ეს გვიჩვენებს, რომ ფულით და

* 1894 წლის გამოცემაში — 33 და 27. რ გ ღ.

ხორბლით გამოსახული რენტა აკრზე შეიძლება გადიდდეს, თუმცა იგი მთელი გამოსავლის უფრო მცირე ჯერად ნაწილს შეადგენს და ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით შემცირებულია.

მთელი პროდუქტის ღირებულება I-ში უდრის 30 გირვ. სტერლინგს; რენტა უდრის 18 გირვ. სტერლინგს, ე. ი. ამ ღირებულების ნახევარზე მეტია. მთელი პროდუქტის ღირებულება IVd-ში უდრის 45 გირვ. სტერლინგს, რომელთაგან 18 გირვ. სტერლ., — ე. ი. ნახევარზე ნაკლები, რენტას შეადგენს.

იმის მიზეზი, რომ, მიუხედავად კვარტერზე ფასის შემცირებისა $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგით, ე. ი. 50%-ით, და მიუხედავად მეტოქე მიწის ფართობის შემცირებისა 4 აკრიდან 3-მდე, მთელი ფულადი რენტა იგივე რჩება, ხოლო რენტა ხორბლის სახით ორკეცდება, მაშინ როდესაც აკრზე გამოანგარიშებული რენტა ფულად და ხორბლის სახით დიდდება, — ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დამატებითი პროდუქტის კვარტერების მეტი რაოდენობაა წარმოებული. პურის ფასი კლებულობს 50%-ით, დამატებითი პროდუქტი იზრდება 100%-ით, მაგრამ ამ შედეგის მისაღებად მთელი წარმოება, ჩვენი ვარაუდის თანახმად, ერთისამად უნდა გაიზარდოს, ხოლო უკეთეს მიწებზე კაპიტალდანახარჯი ორჯერ და უფრო მეტი გახდეს. თუ რა პროპორციით უნდა გაიზარდოს კაპიტალდანახარჯი, ეს პირველ ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ნაწილდებიან კაპიტალდამანდებანი უკეთეს და საუკეთესო მიწებს შორის, ამასთან მუდამ იგულისხმება, რომ კაპიტალის მწარმოებლობა მისი სიდიდის პროპორციულად იზრდება თვითიველი კატეგორიის მიწაზე.

წარმოების ფასის დაწვევა რომ ნაკლები ყოფილიყო, მაშინ ნაკლები დამატებითი კაპიტალი იქნებოდა საჭირო. იმავე ფულადი რენტის საწარმოებლად. პურის მიწოდება, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ A განიდევნოს დამუშავებიდან, — და ეს დამოკიდებულია არა მარტო პროდუქტის რაოდენობაზე, რომელიც A მიწის აკრზე მიიღება, არამედ იმაზეც, თუ მთელი დამუშავებული მიწის ფართობის რა ნაწილს შეადგენს A, — ამისთვის საჭირო მიწოდება რომ უფრო დიდი ყოფილიყო, მაშასადამე, უფრო დიდი დამატებითი კაპიტალის მასა რომ ყოფილიყო საჭირო უკეთეს მიწაზე, ვიდრე A არის, მაშინ რენტა ფულად და ხორბლად, სხვაფრივ უცვლელ პირობებში, კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს რენტა B მიწაზე აღარ იქნებოდა.

ეს კაპიტალი, რომელიც აღარ მოქმედებს A მიწაზე, 5 გირვ. სტერლინგის თანატოლი რომ ყოფილიყო, მაშინ ამ შემთხვევისათვის

საჭირო იქნებოდა შესადაარებლად აგველო შემდეგი ორი ცხრილი: II და IVd. ერთობლივი პროდუქტი 20-დან გადიდებოდა 30 კვარტერამდე. ფულადი რენტა ნახევარი იქნებოდა, 36 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 18 გირვ. სტერლინგი, რენტა ხორბლის სახით იგივე 12 კვარტერი დარჩებოდა.

თუ შესაძლებელი იქნებოდა D მიწაზე მთელი პროდუქტის 44 კვარტერი = 66 გირვ. სტერლ. წარმოებულყო 27½ გირვ. სტერლ. კაპიტალით. — D-სთვის ნაგულისხმევი ნორმის, 2½ გირვ. სტერლინგზე 4 კვარტერის, შესაბამისად, — მაშინ რენტის მთელი ჯამი ისევე ავიდოდა იმ სიმაღლეზე, რაც მას ჰქონდა II-ში, და ცხრილი ასეთ სახეს მიიღებდა:

მიწის ხარისხი	კაპიტალი გირვ. სტერ.	პროდუქტი კვარტერში	რენტა ხორბ. კვარტერი	ფულადი რენ. გირვ. სტერლ.
B	5	4	0	0
C	5	6	2	3
D	27½	44	22	33
ჯამი	37½	54	24	36

მთელი წარმოება იქნებოდა 54 კვარტერი II ცხრილის 20 კვარტერის წინააღმდეგ, ფულადი რენტა კი წინანდელი დარჩებოდა = 36 გირვ. სტერლინგს. მაგრამ მთელი კაპიტალი იქნებოდა 37½ გირვ. სტერლ., მაშინ როდესაც II ცხრილში იგი უდრიდა 20-ს. ავანსებული მთელი კაპიტალი თითქმის გაორკეცდებოდა, მაშინ როდესაც წარმოება თითქმის გასამკეცდებოდა; რენტა ხორბლის სახით გაორკეცდებოდა, ფულადი რენტა კი უცვლელი დარჩებოდა. მაშასადამე, თუ ფასი მწარმოებლობის უცვლელობისას კლებულობს დამატებითი ფულადი კაპიტალის დახარჯვის გამო რენტის მომცემ უკეთეს მიწებზე, ე. ი. ყველა უკეთეს მიწაზე, ვიდრე A არის, მაშინ მთელ კაპიტალს აქვს ტენდენცია არ გაიზარდოს იმ პროპორციით, როგორც იზრდება წარმოება და რენტა ხორბლის სახით; ამრიგად, ხორბლით გამოსახული რენტის ზრდას შეუძლია გააწონასწოროს კლებადი ფასით წარმომდგარი დაკლება ფულადი რენტისა. იგივე კანონი აშკარავდება იმაშიც, რომ ავანსებული კაპიტალი უფრო დიდი უნდა იყოს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც უფრო მეტი იხარჯება იგი C-ზე.

D-სთან შედარებით, ნაკლები რენტის მომცემ მიწაზე, მეტი რენტის მომცემ მიწასთან შედარებით. ეს ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: რათა ფულადი რენტა უცვლელი დარჩეს ან გადიდდეს, უნდა წარმოებულ იქნეს დამატებითი პროდუქტის განსაზღვრული დამატებითი რაოდენობა, და ამისთვის კი მით უფრო ნაკლები კაპიტალია საჭირო, რაც უფრო ნაყოფიერია ის მიწები, რომელნიც დამატებით პროდუქტს იძლევიან. უფრო დიდი რომ ყოფილიყო სხვაობა *B* და *C* შორის, *C* და *D* შორის, — კიდევ უფრო ნაკლები დამატებითი კაპიტალი იქნებოდა საჭირო. განსაზღვრული შეფარდება დამოკიდებულია: 1) იმ პროპორციაზე, რომლითაც ფასი ეცემა, ე. ი. სხვაობაზე მიწა *B*, რომელიც ახლა რენტას არ იძლევა და მიწა *A* შორის, რომელიც წინათ არ იძლეოდა რენტას; 2) სხვაობათა შეფარდებაზე *B*-ზე უკეთესი ხარისხის მიწებს შორის; 3) ახლად დახარჯული დამატებითი კაპიტალის მასაზე და 4) ამ კაპიტალის განაწილებაზე სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის.

ჩვენ ვხედავთ, რომ კანონი სინამდვილეში სხვას არას გამოსახავს. გარდა იმისა, რაც უკვე განვითარებული იყო პირველი შემთხვევის გარკვევისას: სახელდობრ, რომ, როდესაც წარმოების ფასი მოცემულია, როგორც არ უნდა იყოს მისი სიდიდე, რენტამ შეიძლება აიწიოს დამატებითი კაპიტალის დახარჯვის გამო. ეს იმიტომ, რომ *A* გამორიცხვის გამო ახლა იქმნება ახალი დიფერენციული რენტა *I*. რომლისათვის ახლა *B* უცუდეს მიწას წარმოადგენს, ამასთან $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი კვარტერისთვის წარმოების ფასი ხდება. ეს თანაბრად შეეხება როგორც *IV* ცხრილს, ისე *II* ცხრილს. კანონი იგივეა: მხოლოდ ამოსავალ პუნქტად *A*-ს ნაცვლად აიღება მიწა *B*, 3 გირვ. სტერლინგის ნაცვლად $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი წარმოების ფასი.

ყოველივე ეს აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ მხრივ, რომ თუ დამატებითი კაპიტალის ამდენი და ამდენი რაოდენობაა საჭირო *A* კაპიტალის მოსაცილებლად მიწისაგან და მიწოდების დასაკმაყოფილებლად მისი მონაწილეობის გარეშე, — მაშინ, ჩანს, რომ ამას შეიძლება ახლდეს უცვლელი, მზარდი ან კლებადი რენტა აკრზე, თუ ყველა მიწაზე არა, ზოგიერთზე მაინც, და საშუალოს სახით ყველა დამუშავებული მიწისათვის. ჩვენ დავინახეთ, რომ რენტა ხორბლის სახით და ფულად არათანაბარია. მხოლოდ ტრადიციის წყალობითაა, რომ ხორბლით გამოსახული რენტა საერთოდ კიდევ ასრულებს ეკონომიაში გარკვეულ როლს. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა იმის დამტკიცება, რომ, მაგალითად, მეფაბრიკეს თავისი 5 გირვ. სტერლ. შოგებით შეუძლია თავისი საკუთარი ნართის მეტი რაოდენობა იყი-

დოს, ვიდრე წინათ შეეძლო ეყიღნა 10 გირვ. სტერლ. მოგებით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ამტკიცებს, რომ ბ-ნ მემამულეებს, როდესაც ისინი იმავდროულად მანუფაქტურების, შაქრის ქარხნების, არაყის სახდელი ქარხნებისა და სხვ. მფლობელნი ან მონაწილენი არიან, ფულადი რენტის დაწვევისას მაინც შეუძლიათ დიდი მოგება ჰქონდეთ როგორც თავიანთი საკუთარი ნედლი მასალების მწარმოებლებს³⁴.

II. დამატებითი კაპიტალების მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებობისას.

ეს არაფერ ახალს არ იწვევს იმდენად, რამდენადაც წარმოების ფასი აქაც, როგორც ეს ახლახან განხილულ შემთხვევაშია, შეიძლება მხოლოდ შემცირდეს, თუ A-ზე უკეთეს მიწებზე დამატებითი კაპიტალდანახარჯის გამო A ზედმეტი შეიქნება და ამიტომ A-დან კაპიტალი წალბებული იქნება, ანდა A სხვა პროდუქტის საწარმოებლად გამოიყენება. ეს შემთხვევა ჩვენ უკვე ამომწურავად გავარკვეით. ჩვენ დავანახვეთ მკითხველს, რომ ამ შემთხვევაში რენტა ხორბლად და ფულად შეიძლება გაიზარდოს, შემცირდეს ან უცვლელი დარჩეს.

შეღარების მოხერხებულობისათვის ჩვენ უწინარეს ყოვლისა კვლავ მოვიყვანთ შემდეგ ცხრილს: (იხ. ცხრილი №1, გვ. 300):

თუ ჩვენ ახლა ვიგულისხმებთ, რომ B, C და D მიერ მოცემული ციფრი 16 კვარტერი*, მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებო-

³⁴ ზემოაღნიშნული ცხრილები IVa-დან IVd-მდე ხელახლა უნდა გამოანგარიშებულიყო გამოთვლაში დაშვებული შეცდომების გამო. მართალია, ეს არ ცვლის თეორიულ დებულებებს, რომლებიც გამოყვანილია ამ ცხრილებიდან, მაგრამ ნაწილობრივ კოლოსალურ რიცხობრივ შეფარდებებს იძლევა, როდესაც საქმე შეეხება წარმოებას აკრზე. მაგრამ იმასაც არსებითად არა აქვს მნიშვნელობა. ვველა რუკაზე, რომელიც ადგილის რელიეფს და პროფილის შეფარდებას გამოსახავს, მნიშვნელოვნად უფრო დიდ მასშტაბს იღებენ ვერტიკალებისათვის, ვიდრე ჰორიზონტალებისათვის. ბოლო იმას, ვისი აგრარული გული მაინც ტკივილს იგრძნობს, ნება აქვს აკრების რიცხვი იმ რიცხვზე გაამრავლოს, რომელიც მის ქუჩის. შეიძლება აგრეთვე ცხრილში 1, 2, 3, 4 კვარტერი აკრზე შეცვლილ იქნეს 10, 12, 14, 16 ბუშელით (8 ბუშ. = 1 კვარტ.), და მაშინ სხვა ცხრილების რიცხვები, რომლებიც იქიდანაა გამოყვანილი, ალბათობის ფარგლებში დარჩება; ეს დავგანახებებს, რომ შედეგი — რენტის გადიდების შეფარდება კაპიტალის გადიდებისათვის — სრულიად იგივეა. ეს ასეც მოვახდინეთ იმ ცხრილებში, რომლებშიც რედაქტორმა ჩაურთო შემდგომ თავში. — ფ. ე.

* III ცხრილში, რ. გ.

ცხრილი I.

მიწის ხარისხი	აქრები	კაპიტალური გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტერლ.	წარმოების ფასი კვარტერი.	პროდუქტი კვარტერი.	რენტა ზორბლ. კვარტ.	ფულადი რენტა გირ. სტ.	დამატებითი მოგების წილი
A	1	2 ¹ / ₃	1 ¹ / ₂	3	1	0	0	0
B	1	2 ¹ / ₃	1 ¹ / ₂	1 ¹ / ₂	2	1	3	120%
C	1	2 ¹ / ₂	1 ¹ / ₂	1	3	2	6	240%
D	1	2 ¹ / ₃	1 ¹ / ₂	3 ¹ / ₄	4	3	9	360%
ჯამი	4	10	—	—	10	6	18	180% საშუალო

ბიძას, საემარისა იმისათვის, რომ A განიდევნოს დამუშავებიდან. მაშინ III ცხრილი გადაიქცევა შემდეგ V ცხრილად:

ცხრილი V

მიწის ხარისხი	აქრები	დაბანდებული კაპიტალი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერი	ბასკიდი ფასი გირვ. სტერლ.	გამოსავლი გირვ. სტერლ.	რენტა ზორბლად კვარტ.	ფულადი რენტა გირვ. სტერლ.	დამატებითი მოგების წილი %
B	1	2 ¹ / ₃ +2 ¹ / ₃	1	2+1 ¹ / ₂ =3 ¹ / ₂	1 ¹ / ₇	6	0	0	0
C	1	2 ¹ / ₃ +2 ¹ / ₃	1	3+2=5	1 ¹ / ₇	8 ⁴ / ₇	1 ¹ / ₃	2 ⁴ / ₇	51 ¹ / ₇ *
D	1	2 ¹ / ₃ +2 ¹ / ₃	1	4+3 ¹ / ₂ =7 ¹ / ₂	1 ¹ / ₇	12 ⁶ / ₇	4	6 ⁶ / ₇	137 ¹ / ₇ **
ჯამი	3***	15	—	16	—	27 ³ / ₇	5 ¹ / ₂	9 ³ / ₇	94 ² / ₇ **** საშუალო

აქ, დამატებითი კაპიტალების მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებობისას და სხვადასხვა ოდენობით კლებისას სხვადასხვა ხარისხის მიწებზე, მარეგულირებელი წარმოების ფასი 3 გირვ. სტერ-

* 1894 წ. გამოცემაში — 51¹/₇. რ. დ.

** იქვე — 137¹/₇. რ. დ.

*** იქვე — 4. რ. დ.

**** იქვე — 94²/₇ მიწა, რომელიც რენტას არ იძლევა, ანგარიშში არაა მიღებული. რ. დ.

ლინგიდან $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგამდე დაეცა. დაბანდებულმა კაპიტალმა იმატა ნახევრით*, 10 გირვ. სტერლინგიდან ავიდა 15 გირვ. სტერლინგამდე. ფულადი რენტა თითქმის სანახევროდ შემცირდა, 18 გირვ. სტერლინგიდან $9\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგამდე, მაგრამ რენტა ხორბლის სახით შემცირდა მხოლოდ $\frac{1}{12}$ -ით, 6 კვარტერიდან ჩამოვიდა $5\frac{1}{2}$ კვარტერზე. მთელი პროდუქტი გადიდა 10-იდან 16-მდე, ანუ 60%-ით. რენტა ხორბლის სახით მთელი პროდუქტის ერთ მესამედზე ცოტათი მეტს შეადგენს. ავანსებული კაპიტალი ფულად რენტას შეეფარდება როგორც 15 : $9\frac{1}{2}$, მაშინ როდესაც წინათ ეს შეეფარდება იყო 10 : 18.

III. დამატებითი კაპიტალების მწარმოებლობის მატებადი ნორმის არსებობისას.

ეს შემთხვევა განსხვავდება I ვარიანტისაგან, რომელიც ამ თავის დასაწყისში იყო აღნიშნული, სადაც წარმოების ფასი მწარმოებლობის ნორმის უცვლელობისას მცირდება მხოლოდ მით, რომ, თუ განსაზღვრული დამატებითი პროდუქტია საჭირო A მიწის განდევნისათვის, ეს აქ უფრო სწრაფად სრულდება.

დამატებითი კაპიტალდანახარჯის როგორც კლებადი, ისე მატებადი მწარმოებლობის არსებობისას ამ დანახარჯს შეუძლია სხვადასხვა გავლენა მოახდინოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ განაწილდება იგი სხვადასხვა ხარისხის მიწებს შორის. იმის მიხედვით, გააწონასწორებს ეს სხვადასხვა გავლენა სხვაობას თუ გააძლიერებს, უკეთესი ხარისხის მიწების დიფერენციული რენტა და მასთან ერთად რენტის მთელი ჯამიც დაიწვეს ან აიწვეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა I დიფერენციული რენტის შემთხვევაში. სხვაგვარივე ყველაფერი დამოკიდებულია მიწის ფართობის და კაპიტალის სიდიდეზე, რომლებიც A მიწასთან ერთად დამუშავებიდან ამოგდებულია, და იმ ავანსებული კაპიტალის შეფარდებითს ოდენობაზე, რომელიც მატებადი მწარმოებლობის არსებობისას საჭიროა იმისათვის, რომ მოგვეცეს დამატებითი პროდუქტი მოთხოვნის დასაფარავად.

ერთადერთი პუნქტი, რომლის გასარკვევად ღირს აქ შევიჩრდეთ და რომელიც საერთოდ უკან გვაბრუნებს იმის გამოკვლევასთან, თუ როგორ გადაიქცევა დიფერენციული მოგება დიფერენციულ რენტად, შემდეგია:

პირველ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ფასი უცვლელი რჩება, A მიწაზე დახარჯული დამატებითი კაპიტალი გავლენას არ ახდენს

* I ცხრილთან შედარებით. რ ე დ.

დიფერენციულ რენტაზე, როგორც ასეთზე, იმიტომ რომ მიწა უწინდებურად არ იძლევა რენტას, მისი პროდუქტის ფასი არ იცვლება და განაგრძობს ბაზრის რეგულირებას.

მეორე შემთხვევაში, ვარიანტი I, როდესაც წარმოების ფასი მწარმოებლობის ნორმის უცვლელობისას კლებულობს, A მიწა აუცილებლად გამოვარდება, და ამას კიდევ უფრო აქვს ადგილი II ვარიანტის დროს (კლებადი წარმოების ფასი მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებობისას), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალის დახარჯვას A-ზე წარმოების ფასის აწვევა უნდა გამოეწვია. მაგრამ აქ, მეორე შემთხვევის III ვარიანტში, როცა წარმოების ფასი დაბლა იწვევს იმის გამო, რომ დამატებითი კაპიტალის მწარმოებლობა მატულობს, განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია ეს დამატებითი კაპიტალი დაიხარჯოს როგორც A მიწაზე, ისე უკეთესი ხარისხის მიწებზეც.

ვივლისხმობ, რომ A-ზე დახარჯული $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. დამატებითი კაპიტალი აწარმოებს $1\frac{1}{2}$ კვარტერს 1 კვარტერის ნაცვლად.

ცხრილი VI

მიწის ხარისხი	აკრები	კაპიტალი გირვ სტერ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტივარტერი	ასაკიდო ფასი გირვ. სტერლ.	გამოსავალი გირვ. სტერლ.	რენტა		დამატებითი მოგების ნორმა
								ბორს. კაპიტ.	ფულ. გირვ. სტერ.	
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$+1\frac{1}{2} = 2\frac{1}{2}$	$2^8/_{11}$	6	0	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$2 + 2\frac{1}{2} = 4\frac{1}{2}$	$2^8/_{11}$	12	$2\frac{1}{2}$	6	120%
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$3 + 3\frac{1}{2} = 6\frac{1}{2}$	$2^8/_{11}$	18	$4\frac{1}{2}$	12	240%
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$4 + 4\frac{1}{2} = 8\frac{1}{2}$	$2^8/_{11}$	24	$6\frac{1}{2}$	18	360%
ჯამი	4	20	4	24	22	—	60	$13\frac{1}{2}$	36	240%

გარდა ძირითადი I ცხრილისა ეს ცხრილი შესადაარებელია აგრეთვე II ცხრილთან, სადაც კაპიტალის ორმაგი დანახარჯი დაკავშირებულია უცვლელ მწარმოებლობასთან, დახარჯული კაპიტალის პროპორციულად.

ნავულისხმევის თანახმად, მარეგულირებელი წარმოების ფასი მცირდება. იგი რომ არ იცვლებოდეს, ე. ი. 3 გირვ. სტერლინგს რომ უდრიდეს, — უცუდესი მიწა A, რომელიც წინათ მარტო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას რენტას არ იძლეოდა, ახლა რენტას

მომცემი გახდებოდა, თუმცა არავითარი სხვა მასზე უცუდესი მიწა არ შესულა დამუშავებაში; ეს მოხდებოდა იმის გამო, რომ მწარმოებლობა მასზე გადიდა, მაგრამ — კაპიტალის მხოლოდ ნაწილისათვის და არა თავდაპირველად დახარჯული კაპიტალისათვის. პირველი 3 გირვ. სტერლ. წარმოების ფასი იძლევა 1 კვარტერს, ხოლო მეორე — $1\frac{1}{16}$ კვარტერს; მაგრამ $2\frac{1}{16}$ კვარტერი მთელი პროდუქტი ახლა გაიყიდება მის საშუალო ფასად. რადგან მწარმოებლობის ნორმა იზრდება ღამატებითი კაპიტალის დანახარჯთან ერთად; ამიტომ ეს შემთხვევა გულისხმობს გაუმჯობესებას. ეს უკანასკნელი შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ აკრზე იხარჯება საერთოდ მეტი კაპიტალი (მეტი სასუქი, მეტი მექანიკური მუშაობა და სხვ.), ანდა იმაში, რომ საერთოდ მხოლოდ ამ ღამატებითი კაპიტალით ხდება შესაძლებელი გაწეულ იქნეს თვისებრივად განსხვავებული, უფრო მწარმოებლური დახარჯვა. ორივე შემთხვევაში 5 გირვ. სტერლინგის დახარჯვით აკრზე შიილება $2\frac{1}{16}$ კვარტერი პროდუქტი, მაშინ როდესაც ამ კაპიტალის ნახევრის, $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის, დახარჯვით მიიღება მხოლოდ 1 კვარტერი პროდუქტი. A მიწის პროდუქტი, წარმავალი საბაზრო კონიუნქტურა რომ მხედველობაში არ მივიღოთ, შეიძლებოდა წინანდებურად უფრო მაღალ წარმოების ფასში გაყიდულიყო, ვიდრე ახალი საშუალო ფასია, მაგრამ — მხოლოდ იმ პირობით, თუ A-ს კატეგორიის მიწების მნიშვნელოვანი ფართობი უწინდებურად დამუშავდებოდა მარტოდენ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალით აკრზე. მაგრამ როგორც კი ახალი შეფარდება 5 გირვ. სტერლ. კაპიტალისა აკრზე და, მასთან ერთად, გაუმჯობესებული მეურნეობა საყოველთაოდ გავრცელდება, მარეგულირებელი წარმოების ფასი დაიწევს $2\frac{1}{11}$ გირვ. სტერლინგამდე. განსხვავება კაპიტალის ორივე ნაწილს შორის მოიპობოდა, და მაშინ მხოლოდ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგით დამუშავებული A-ს ერთი აკრი სინამდვილეში ანორმალურად, წარმოების ახალი პირობების არამესაბამისად იქნებოდა დამუშავებული. ეს უკვე აღარ იქნებოდა განსხვავება ერთსა და იმავე აკრზე დახარჯული კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების გამოსავლიანობას შორის, არამედ — მთელი კაპიტალის საკმარისსა და არასაკმარის დანახარჯს შორის. აქედან ჩანს, ჯერ ერთი, რომ კაპიტალის არასაკმარისობა მოიჯარეთა უმრავლესობის ხელში (ეს უნდა იყოს უმრავლესობა, იმიტომ რომ, თუ უმცირესობა იქნებოდა, იგი იძულებული გახდებოდა თავის წარმოების ფასზე ნაკლებად გაეყიდნა) სრულიად ისევე მოქმედებს, როგორც თვით მიწების დიფერენცირება დადმავალი თანმიმდევრობით. უფრო ცუდ მიწაზე გამოყენებული დამუშავების უფრო ცუდი წესი

ადიდებს რენტას უკეთეს მიწაზე; მას შეუძლია კიდევ შექმნას რენტა უკეთ დამუშავებულ ისეთივე ცუდი ხარისხის მიწაზე, რომელიც საერთოდ რენტას არ იძლევა. აქედან ჩანს, მეორე, რომ დიფერენციული რენტა, რამდენადაც მას წარმოშობს თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯი ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, სინამდვილეში გადაიქცევა ერთგვარ საშუალო სიდიდედ, სადაც უკვე შეუძლებელია გამოვიცნოთ და გავარჩიოთ სხვადასხვა კაპიტალდანახარჯის გავლენა, რომელიც ამიტომ არ წარმოშობს რენტას უტუდეს მიწაზე, არამედ 1) აქცევს, ვთქვათ, A-ს ერთი აკრის მთელი პროდუქტის საშუალო ფასს ახალ მარეგულირებელ ფასად და 2) გამოისახება როგორც ცვლილება აკრზე კაპიტალის საერთო რაოდენობისა, რომელიც ახალ პირობებში საჭიროა მიწის საკმაოდ დამუშავებისთვის და რომელშიაც ცალკეული თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯები და მათი სათანადო გავლენა ისე შედუღებულია, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია. ასეთივეა საქმის ვითარება უკეთესი მიწების ცალკეულ დიფერენციულ რენტათა მიმართ. ისინი განისაზღვრებიან თვითივე შემთხვევაში სათანადო ხარისხის მიწის საშუალო პროდუქტის სხვაობით, უტუდესი მიწის პროდუქტთან შედარებით გადიდებული, ახლა ნორმალურად ქცეული, კაპიტალდანახარჯის საფუძველზე.

არც ერთი მიწა არ იძლევა რაიმე პროდუქტს კაპიტალის დაუხარჯავად. უბრალო დიფერენციული რენტის, დიფერენციული რენტა I-ის, შემთხვევაშიც კი ეს ასეა; როცა ვამბობთ, რომ A მიწის, ე. ი. წარმოების ფასის მარეგულირებელი მიწის, 1 აკრი ამდენ და ამდენ პროდუქტს ამა და ამ ფასში იძლევაო, და უკეთესი ხარისხის მიწები — B, C, D ამდენ და ამდენ დიფერენციულ პროდუქტს, და, მანა-სადამე, მოცემული მარეგულირებელი ფასის არსებობისას ამდენ და ამდენ ფულად რენტას იძლევაო, — ყოველთვის იგულისხმება, რომ დახარჯულია განსაზღვრული კაპიტალი, რომელიც წარმოების მოცემულ პირობებში ნორმალურ კაპიტალად ითვლება. სრულიად ისე, როგორც მრეწველობაში საწარმოთა თვითივე დარგისათვის კაპიტალის განსაზღვრული მინიმუმია საჭირო იმისათვის. რომ საქონლის დამზადება მისი წარმოების ფასის მიხედვით შეიძლებოდეს.

თუ ეს მინიმუმი იცვლება იმ თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა გამო ერთსა და იმავე მიწაზე, რომლებიც გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული, მაშინ ეს ცვლილება თანდათანობით ხდება. ვიდრე ეს დამატებითი საწარმოო კაპიტალი არ მიუღია. მაგალითად, A-ს აკრთა განსაზღვრულ რაოდენობას, მანამდე რენტას A მიწის უკეთ 20. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III₂.

დამუშავებულ აკრებზე წარმოშობს უცვლელად დარჩენილი წარმოების ფასი. ხოლო რენტა ყველა უკეთესი ხარისხის მიწაზე: B, C, D-ზე გაიზრდება მაგრამ როგორც კი წარმოების ახალი წესი ისეთ გავრცელებას მიაღწევს, რომ იგი ნორმალური გახდება, წარმოების ფასი დაიწევს; უკეთესი მიწების რენტა ისევ დაიწევს, და A მიწის ის ნაწილი, რაზედაც ისეთი ოდენობის საწარმოო კაპიტალი არაა მოხმარებული, რომელიც ახლა საშუალოდ არის ქცეული, იძულებული იქნება პროდუქტი თავის ინდივიდუალურ წარმოების ფასზე დაბლა გაყიდოს, მაშასადამე, საშუალო მოგებას ვერ მიიღებს.

იგივე ხდება აგრეთვე კლებადი წარმოების ფასის დროს, დამატებითი კაპიტალის კლებადი მწარმოებლობის დროსაც კი, თუ გადიდებული კაპიტალდანახარჯის გამო მთელ საჭირო პროდუქტს უკეთესი ხარისხის მიწები იძლევა და, ამგვარად, საწარმოო კაპიტალი A-დან წაიღება, მაშასადამე, A ამ განსაზღვრული პროდუქტის, მაგალითად, ხორბლის წარმოებაში აღარ არის კონკურენტი. კაპიტალის ის რაოდენობა, რომელიც საშუალოდ იხარჯება ახლა მარეგულირებლად ქცეულ უკეთეს B მიწაზე, ნორმალური ხდება; და როდესაც მიწების სხვადასხვა ნაყოფიერებაზეა ლაპარაკი, იგულისხმება, რომ კაპიტალის ეს ნორმალური რაოდენობა იხარჯება აკრზე.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ ეს საშუალო კაპიტალდამანდება, მაგალითად, 8 გირვ. სტერლინგი აკრზე ინგლისში 1848 წლამდე და 12 გირვ. სტერლინგი 1848 წლის შემდეგ, შეადგენს მასშტაბს საიჯარო ხელშეკრულების დადებისას. მოიჯარისათვის, რომელიც მეტს ხარჯავს, დამატებითი მოგება, ვიდრე საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია, არ იქცევა რენტად. მოხდება თუ არა ეს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, დამოკიდებულია იმ მოიჯარეთა კონკურენციაზე, რომელთაც ძალუძთ ასეთი განსაკუთრებული ავანსის გაღება. ამასთან აქ ლაპარაკია არა ნიადაგის პერმანენტულ გაუმჯობესებაზე, რაც დახარჯული კაპიტალის თანატოლობის პირობებში ანდა კლებადი კაპიტალდანახარჯის შემთხვევაშიც კი განაგრძობს გადიდებული პროდუქტის წარმოქმნას. ეს გაუმჯობესება, თუმცა იგი კაპიტალის პროდუქტია, სრულიად ისევე მოქმედებს, როგორც მიწის ბუნებრივ თვისებათა სხვაობა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დიფერენციული რენტა II შემთხვევაში ისეთ მომენტთან გვაქვს საქმე, რომელიც დიფერენციულ რენტა I როგორც ასეთის მიმართ ვერ ავლენს თავის მოქმედებას,

იმიტომ რომ ეს უკანასკნელი შეიძლება განაგრძობდეს არსებობას აკრზე კაპიტალის ნორმალური დანახარჯის ყოველგვარი ცვლილები-საგან დამოუკიდებლად. ეს მომენტი, ერთი მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ მარეგულირებელ A მიწაზე სხვადასხვა კაპიტალდანახარჯთა შედეგები წარიხოცება, და ამ მიწის პროდუქტი წარმოგვიდგება ახლა უბრალოდ როგორც აკრზე მიღებული ნორმალური საშუალო პროდუქტი. მეორე მხრივ, იგი მდგომარეობს აკრზე კაპიტალდანახარჯის ნორმალური მინიმუმის ანუ საშუალო სიდიდის ცვლილებაში, ასე რომ ეს ცვლილება გამოისახება როგორც მიწის თვისება. დასასრულ, იგი მდგომარეობს იმ წესის განსხვავებაში, რომლითაც დამატებითი მოგება რენტის ფორმად გარდაიქმნება.

შემდეგ, ცხრილი VI გვიჩვენებს, I და II ცხრილთან შედარებისას, რომ რენტა ხორბლად, I-თან შედარებით, ორჯერ და მეტად გაიზარდა, II-თან შედარებით გადიდა $1\frac{1}{2}$ კვარტრით, მაშინ როდესაც ფულადი რენტა I-თან შედარებით გაორჯეცდა, ხოლო II-თან შედარებით არ შეცვლილა. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა, დამატებითი კაპიტალის მეტი ნაწილი რომ (სხვა თანაბარ პირობებში) უკეთესი კატეგორიის მიწებზე დახარჯულიყო, ანდა რომ, მეორე მხრივ, A მიწაზე დამატებითი კაპიტალის მოქმედება ნაკლებ მნიშვნელოვანი ყოფილიყო და, მაშასადამე, მარეგულირებელი საშუალო ფასი A მიწის კვარტრისათვის უფრო მაღალ დონეზე მდგარიყო.

დამატებითი კაპიტალით გამოწვეული ნაყოფიერების გადიდება რომ სხვადასხვა ყოფილიყო სხვადასხვა ხარისხის მიწაზე, მაშინ ეს გამოიწვევდა ამ მიწების დიფერენციულ რენტათა ცვლილებას.

ყოველ შემთხვევაში დამტკიცებულა, რომ წარმოების ფასის დაწვეისას დამატებითი კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის გადიდების გამო, — ე. ი. როდესაც ეს მწარმოებლობა შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ავანსებული კაპიტალი, — რენტა აკრზე, მაგალითად, კაპიტალდანახარჯის გაორჯეცებისას, შეიძლება არა მარტო გაორჯეცდეს, არამედ ორჯეცზე მეტიც გახდეს. მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე შემცირდეს, თუ A მიწაზე მწარმოებლობის უფრო სწრაფი ზრდის გამო კიდევ უფრო დიდი ოდენობით დაიკლო წარმოების ფასმა.

თუ ჩვენ ვიგულისხმებდით, რომ დამატებითი კაპიტალდანახარჯის გამო მწარმოებლობა, მაგალითად, B -ზე და C -ზე არა იმ ოდენობით გადიდა, როგორც A -ზე, და იმიტომ B -სთვის და C -სთვის შეფარდებითი სხვაობა შემცირდა და პროდუქტის გადიდებულმა რაოდენობამ

არ გააწონასწორა კლებადი ფასით წარმომდგარი დანაკლისი, მაშინ II ცხრილთან შედარებით რენტა *D*-ზე აიწევდა, ხოლო *B*-ზე. და *C*-ზე დაიწევდა.

ცხრილი VIa

მიწა	აერები	კაპიტალი ვირვ. სტერლ.	მოგება ვირ. სტერ.	პროდუქტი აკრზე კვარტ.	გასაყიდი ფასი გარე სტერლს.	გამოსახვა-ლი გარე სტერლს.	რენტა ხორბლს.დ კვარტ.	ფულადი რენტა გარე სტ.
A . . .	1	$2\frac{1}{3} + 2\frac{1}{3} = 5$	1	$1 + 3 = 4$	$1\frac{1}{2}$	6	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{3} + 2\frac{1}{3} = 5$	1	$2 + 2\frac{1}{2} = 4\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$	$6\frac{3}{4}$	$\frac{1}{2}$	$\frac{3}{4}$
C . . .	1	$2\frac{1}{3} + 2\frac{1}{3} = 5$	1	$3 + 5 = 8$	$1\frac{1}{2}$	12	4	6
D . . .	1	$2\frac{1}{3} + 2\frac{1}{3} = 5$	1	$4 + 12 = 16$	$1\frac{1}{2}$	24	12	18
ჯამი	4	20	—	$32\frac{1}{2}$	—	—	$16\frac{1}{2}$	$24\frac{3}{4}$

დასასრულ, ფულადი რენტა აიწევდა იმ შემთხვევაში, თუ ნაყოფიერების იმავე პროპორციული გადიდებისას მეტი დამატებითი კაპიტალი იქნებოდა დახარჯული უკეთეს მიწებზე, ვიდრე *A*-ზე, და თუ დამატებითი კაპიტალდანახარჯი უკეთეს მიწებზე მწარმოებლობის ნორმის აწევას გამოიწვევდა. ორივე შემთხვევაში სხვაობა გაიზარდებოდა.

ფულადი რენტა დაბლა იწევს, თუ დამატებითი კაპიტალდანახარჯის გამო წარმომდგარი გაუმჯობესება ამცირებს ყველა სხვაობას ან შათ ნაწილს, უფრო მოქმედებს *A*-ზე, ვიდრე *B* და *C*-ზე. ფულადი რენტა მით უფრო დაბლა იწევს, რაც უფრო უმნიშვნელოა საუკეთესო მიწების მწარმოებლობის გადიდება. რენტა ხორბლის სახით აიწევს, დაიწევს თუ უცვლელი დარჩება — ეს დამოკიდებულია ამ მოქმედების უთანატოლობის სიდიდეზე.

ფულადი რენტა, აგრეთვე რენტა ხორბლის სახით მაღლა იწევს ან იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიწების დამატებითი ნაყოფიერების შეფარდებითი სხვაობის უცვლელობისას, მეტი კაპიტალი იხარჯება რენტის მომცემ მიწაზე, ვიდრე ურენტო *A* მიწაზე, და მეტი კაპიტალი იხარჯება უფრო ნაღალი რენტის მომცემ მიწაზე, ვიდრე უფრო დაბალი რენტის მომცემზე; ანდა იმ შემთხვევაში, თუ, დამატებითი კაპიტალების თანატოლობისას, ნაყოფიერება უფრო იზრდება უკეთეს და ზაუკეთესო მიწაზე, ვიდრე *A* მიწაზე, და ამასთან ფულადი რენტა და ხორბლით გამოსახული რენტა მატულობს იმის შესაბამისად, თუ რამდენად უფრო ძლიერია ნაყოფიერების ეს გადიდება მაღალი ხარისხის მიწების ჯგუფში, ვიდრე უფრო დაბალი ხარისხის მიწების ჯგუფში.

მაგრამ, ყოველ გარემოებაში, რენტა შეფარდებით იზრდება, როცა მწარმოებლური ძალის გადიდება დამატებითი კაპიტალდანახარჯის შედეგია და არა უბრალოდ შედეგი გადიდებული ნაყოფიერებისა კაპიტალდანახარჯის უცვლელიობისას. ეს აბსოლუტური თვალსაზრისით, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა წინანდელში, რენტა და გადიდებული რენტა აკრზე (ისე როგორც I დიფერენციული რენტის შემთხვევაში საშუალო რენტის სიდიდე მთელ დამუშავებულ ფართობზე) შედეგია გადიდებული კაპიტალდანახარჯისა მიწაზე, და ამასთან სულ ერთია, მოქმედებს ეს დამატებითი დანახარჯი მწარმოებლობის უცვლელი ნორმით უცვლელი ან კლებადი ფასების არსებობისას, მწარმოებლობის კლებადი ნორმით უცვლელი ან კლებადი ფასების არსებობისას, თუ მწარმოებლობის მატებადი ნორმით კლებადი ფასების არსებობისას. იმიტომ რომ ჩვენი ვარაუდი: უცვლელი ფასი დამატებითი კაპიტალის მწარმოებლობის უცვლელ, კლებად, თუ მატებად ნორმასთან ერთად, და კლებადი ფასი მწარმოებლობის უცვლელ, კლებად თუ მატებად ნორმასთან ერთად, მოასწავებს შემდეგს: დამატებითი კაპიტალის მწარმოებლობის უცვლელი ნორმა უცვლელი ან კლებადი ფასის არსებობისას, მწარმოებლობის კლებადი ნორმა უცვლელი ან კლებადი ფასის არსებობისას, მწარმოებლობის მატებადი ნორმა უცვლელი და კლებადი ფასის არსებობისას. თუმცა ყველა ამ შემთხვევაში რენტა შეიძლება უცვლელი დარჩეს და შეიძლება დაეცეს, — იგი კიდევ უფრო დაბლა დაეცემოდა, კაპიტალის დამატებითი დახარჯვა, სხვა თანაბარ გარემოებაში, ნაყოფიერების გადიდების პირობა რომ არ იყოს. ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალდანახარჯი რენტის შეფარდებითი ზომის მიხედვით ყოველთვის, თუმცა ეს რენტა აბსოლუტურად შემცირებულია.

თავი ორმოცდამეხუთე

დიფერენციული რენტა II. — მისამე შემთხვევა: წარმოების ფასი მატებადი

[წარმოების ფასის აწევა გულისხმობს, რომ იმ უცუდესი ხარისხის მიწის მწარმოებლობა, რომელიც რენტას არ იძლევა, კლებულა. ჩვენ მიერ მარეგულირებლად მიღებულმა წარმოების ფასმა შეიძლება 3 გირვ. სტერლინგზე მაღლა აიწიოს კვარტერისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ A-ზე დახარჯული $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი I კვარტერზე ნაკლებს აწარმოებს ან 5 გირვ. სტერლინგი 2 კვარტერზე ნაკლებს აწარმოებს, ანდა თუ A-ზე უფრო ცუდი ხარისხის მიწა უნდა დამუშავდეს.

მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის უცვლელობისას ან მისი გადილების დროსაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის პირველი დანახარჯის მწარმოებლობა შემცირდებოდა. ამ შემთხვევას საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად, თუ ზერელე ხვნისას ნიადაგის გამოფიტული ზედა ფენა ძველებური დამუშავებით სულ უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა, — ღრმა მოხვნით ზედაპირზე ამოტანილ ქვედა ფენას რაციონალური დამუშავებით წინანდელზე უფრო დიდი მოსავალი მოაქვს. მაგრამ ეს სპეციალური შემთხვევა, თუ ზუსტად ვიტყვი, ამ ჩვენს საკითხს არ ეკუთვნის. $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის პირველი დანახარჯის მწარმოებლობის შემცირება გამოიწვევს უკეთესი მიწებისთვის, თუნდაც რომ იქ ანალოგიური პირობები ვიგულისხმოთ, დიფერენციული რენტა I შემცირებას; ჩვენ კი აქ განვიხილავთ მხოლოდ დიფერენციულ რენტა II-ს. მაგრამ რადგან აღნიშნულ სპეციალურ შემთხვევას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ დიფერენციული რენტა II არ იგულისხმება უკვე არსებულად, და რადგან იგი სინამდვილეში წარმოადგენს დიფერენციულ რენტა I-ის მოდიფიკაციის ანარქულ გავლენას დიფერენციულ რენტა II-ზე, ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ ამ შემთხვევის მაგალითს [იხ. ცხრილი VII].

ფულადი რენტა, ისე როგორც ფულადი გამოსავალი, იგივეა, რაც II ცხრილში. გადიდებული მარეგულირებელი წარმოების ფასი სწორედ ზუსტად ანაზღაურებს იმას, რაც პროდუქტის რაოდენობაზე დაიკარგა; რადგან ეს ფასი და პროდუქტის რაოდენობა პირუკუ შეფარდებით შეიცვალა, ამიტომ თავისთავად გასაგებია, რომ მათი ნამრაველი იგივე რჩება.

ცხრილი VII

მწის ხარისხი	აგრები	კაპიტალდანახარჯი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტელობით	გამოსავალი ფასი კვარტელობაზე გირვ. სტ.	გამოსავ. გირვ. სტ.	რენტა		
								ხორბ. კვარტ.	ფულ. გირვ. სტერლ.	რენტის ნორმა
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$\frac{1}{2} + 1\frac{1}{4} = 1\frac{3}{4}$	$3\frac{3}{7}$	6	0	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$1 + 2\frac{1}{2} = 3\frac{1}{2}$	$3\frac{3}{7}$	12	$1\frac{3}{4}$	6	120%
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$1\frac{1}{2} + 3\frac{1}{4} = 5\frac{1}{4}$	$3\frac{3}{7}$	18	$3\frac{1}{4}$	12	240%
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$2 + 5 = 7$	$3\frac{3}{7}$	24	$5\frac{1}{4}$	18	360%
	—	20	—	—	$17\frac{1}{2}$	—	60	$10\frac{1}{2}$	36	240%

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობდით, რომ მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლური ძალა უფრო დიდია, ვიდრე პირველი დანახარჯის თავდაპირველი მწარმოებლობა. საქმე არ შეიცვლება, თუ ჩვენ კაპიტალის მეორე დანახარჯისათვის ისეთსავე მწარმოებლობას ვიგულისხმებთ, როგორც პირველ დანახარჯს ჰქონდა; მაშინ გვექნება:

ცხრილი VIII

მწის ხარისხი	აგრები	კაპიტალდანახარჯი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტელობით	გამოსავალი ფასი კვარტელობაზე გირვ. სტ.	გამოსავ. გირვ. სტ.	რენტა		
								ხორბ. კვარტ.	ფულ. გირვ. სტერლ.	რენტის ნორმა
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$\frac{1}{2} + 1 = 1\frac{1}{2}$	4	6	0	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$1 + 2 = 3$	4	12	$1\frac{1}{2}$	6	120%
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$1\frac{1}{2} + 3 = 4\frac{1}{2}$	4	18	3	12	240%
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$2 + 4 = 6$	4	24	$4\frac{1}{2}$	18	360%
	—	20	—	—	15	—	60	9	36	240%

აქაც იმავე პროპორციით მზარდი წარმოების ფასი იწვევს იმას, რომ მწარმოებლობის შემცირება სავსებით წონასწორდება, ასე რომ გამოსავალი და ფულადი რენტა არ იცვლება.

თავისი წინინდა სახით მესამე შემთხვევა წარმოვიდგება მხოლოდ მეორე კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობის დროს, მაშინ როდესაც პირველი დანახარჯის მწარმოებლობა არ იცვლება, როცა ეს მიღებული იყო ყველგან პირველი და მეორე შემთხვევისათვის. დიფერენციული რენტა I აქ ხელუხლებელი რჩება, ცვლილება შეეხება მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დიფერენციული რენტა II-ის მეოხებით წარმოდგება. ჩვენ ვიძლევიტ ორ მაგალითს; პირველში მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობა ნაგულისხმევია, როგორც 1/2-ით შემცირებული, მეორეში — 1/4-ით შემცირებული.

ცხრილი IX

მიწის ხარისხი	აგები	კაპიტალდანახარჯი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტ.	პროდუქტი კვარტერობით	ბასყიდი ფასი კვარტერზე გირვ. სტ.	გამოსავალ. გირვ. სტ.	რენტა		
								ხირბ. კვარტ.	ფულად. გირვ. სტ.	რენტის ნორმა
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$1 + \frac{1}{2} = 1\frac{1}{2}$	4	6	0	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$2 + 1 = 3$	4	12	$1\frac{1}{2}$	6	120%
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$3 + 1\frac{1}{2} = 4\frac{1}{2}$	4	18	3	12	240%
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$4 + 2 = 6$	4	24	$4\frac{1}{2}$	18	360%
—			20	—	15	—	60	9	36	240%

IX ცხრილი იგივეა, რაც VIII ცხრილი, მხოლოდ მწარმოებლობის შემცირება VIII ცხრილში უწევს კაპიტალის პირველ დანახარჯს, IX ცხრილში — მეორე დანახარჯს.

ცხრილი X

მიწის ხარისხი	აგები	კაპიტალდანახარჯი გირვ. სტერლ.	მოგება გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტ.	პროდუქტი კვარტერობით	ბასყიდი ფასი კვარტერზე გირვ. სტ.	გამოსავალ. გირვ. სტ.	რენტა		
								ხირბ. კვარტ.	ფულად. გირვ. სტ.	რენტის ნორმა
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$1 + \frac{1}{4} = 1\frac{1}{4}$	$\frac{4}{5}$	6	0	0	0
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$2 + \frac{1}{2} = 2\frac{1}{2}$	$\frac{4}{5}$	12	$1\frac{1}{4}$	6	120%
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$3 + \frac{3}{4} = 3\frac{3}{4}$	$\frac{4}{5}$	18	$2\frac{1}{2}$	12	240%
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2} = 5$	1	6	$4 + 1 = 5$	$\frac{4}{5}$	24	$3\frac{3}{4}$	18	360%
—			20	24	$12\frac{1}{2}$	—	60	$7\frac{1}{2}$	36	240%

ამ ცხრილშიც მთელი გამოსავალი, ფულადი რენტის ჯამი და რენტის ნორმა იგივეა, რაც II, VII და VIII ცხრილებში იყო, იმიტომ რომ პროდუქტი და ვასაყიდი ფასი კვლავ პირუკუ შეფარდებით შეიცვალა, კაპიტალდანახარჯი კი იგივე დარჩა.

მაგრამ როგორღაა საქმე მეორე შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია მატებადი წარმოების ფასის არსებობისას, სახელდობრ იმ შემთხვევაში, როცა უცუდესი მიწა, რომლის დამუშავება აქამდე ხელსაყრელი არ იყო, ახლა დამუშავდება?

ვიგულისხმობ, რომ ასეთი მიწა, რომელსაც ჩვენ *a*-ს ვუწოდებთ, მეტოქე მიწების რიცხვში შედის. ამ შემთხვევაში ურენტო მიწა *A* რენტის მოცემას დაიწყებდა, და ზემოაღნიშნული VII, VIII და X ცხრილი შემდეგ სახეს მიიღებდა:

ცხრილი VIIa

მიწის ხა- ლისხი	აგები	კაპიტალი გირვ. სტ.	მოცემა გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტ.	პროდუქტი კვარტერობით	ვასაყიდი ფასი კვარ- ტერზე გირვ. სტ.	გამოსავლ. გირვ. სტ.	რენტა		ზრდა
								კვარტ. გირვ. სტ.	გირვ. სტ.	
a . . .	1	5	1	6	$1\frac{1}{2}$	4	6	0	0	0
A . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$\frac{1}{2} + 1\frac{1}{4} = 1\frac{3}{4}$	4	7	$\frac{1}{4}$	1	1
B . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$1 + 2\frac{1}{2} = 3\frac{1}{2}$	4	14	2	8	$1 + 7$
C . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$1\frac{1}{2} + 3\frac{3}{4} = 5\frac{1}{4}$	4	21	$3\frac{3}{4}$	15	$1 + 2 \times 7$
D . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$2 + 5 = 7$	4	28	$5\frac{1}{2}$	22	$1 + 3 \times 7$
	—	—	—	30	19	—	76	$11\frac{1}{3}$	46	—

ცხრილი VIIIa

მიწის ხაისხი	აგები	კაპიტალი გირვ. სტ.	მოცემა გირვ. სტ.	წარმოების ფასი გირვ. სტ.	პროდუქტი კვარტერობით	ვასაყიდი ფასი კვარ- ტერზე გირვ. სტ.	გამოსავლ. ლი გირვ. სტერლ.	რენტა		ზრდა
								კვარტ. გირვ. სტ.	გირვ. სტ.	
a . . .	1	5	1	6	$1\frac{1}{4}$	$4\frac{2}{3}$	6	0	0	0
A . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$\frac{1}{2}+1=1\frac{1}{2}$	$4\frac{2}{3}$	$7\frac{1}{3}$	$\frac{1}{3}$	$1\frac{1}{6}$	$1\frac{1}{6}$
B . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$1 + 2 = 3$	$4\frac{2}{3}$	$14\frac{2}{3}$	$1\frac{2}{3}$	$8\frac{2}{3}$	$1\frac{1}{6} + 7\frac{1}{6}$
C . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$1\frac{1}{2} + 3 = 4\frac{1}{2}$	$4\frac{2}{3}$	$21\frac{2}{3}$	$3\frac{1}{3}$ *	$15\frac{2}{3}$	$1\frac{1}{6} + 2 \times 7\frac{1}{6}$
D . . .	1	$2\frac{1}{2}+2\frac{1}{2}$	1	6	$2 + 4 = 6$	$4\frac{2}{3}$	$28\frac{2}{3}$	$4\frac{2}{3}$	$22\frac{2}{3}$	$1\frac{1}{6} + 3 \times 7\frac{1}{6}$
	5	—	—	30	$16\frac{1}{4}$	—	78	10**	48	—

* 1894 წ. გამოცემაში— $2\frac{1}{3}$. რ ე დ.
 ** იქვე — 9. რ ე დ.

ცხრილი X_a

შიშის ხარისხი	აქრება	კაპიტალი გირვ. სტერ.	მოგება ბირვ. სტერლ.	წარმოების ფასი ბირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტურობით	გასყიდის ფასი ცენტრზე ბირვ. სტერლ.	გამოსავლი გირვ. სტერლ.	რენტა		ზრდა
								კვარტ.	გირვ. სტერლ.	
a . . .	1	5	1	6	$1\frac{1}{8}$	$5\frac{1}{3}$	6	0	0	0
A . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$1 + \frac{1}{4} = 1\frac{1}{4}$	$5\frac{1}{3}$	$6\frac{2}{3}$	$\frac{1}{8}$	$\frac{2}{3}$	$\frac{2}{3}$
B . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$2 + \frac{1}{2} = 2\frac{1}{2}$	$5\frac{1}{3}$	$13\frac{1}{3}$	$1\frac{3}{8}$	$7\frac{1}{3}$	$\frac{2}{3} + 6\frac{2}{3}$
C . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$3 + \frac{3}{4} = 3\frac{3}{4}$	$5\frac{1}{3}$	20	$2\frac{5}{8}$	14	$\frac{2}{3} + 2 \times 6\frac{2}{3}$
D . . .	1	$2\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}$	1	6	$4 + 1 = 5$	$5\frac{1}{3}$	$26\frac{2}{3}$	$3\frac{7}{8}$	$20\frac{2}{3}$	$\frac{2}{3} + 3 \times 6\frac{2}{3}$
	—	—	—	30	$13\frac{3}{8}$	—	$72\frac{2}{3}$	8	$42\frac{1}{3}$	—

a შიშის ჩართვის გამო წარმოიქმნება ახალი დიფერენციული რენტა I; ამ ახალ საფუძველზე ვითარდება შემდეგ დიფერენციული რენტა II, აგრეთვე შეცვლილი სახით. a შიშის თვითი ულ ზემოაღნიშნულ ცხრილში სხვადასხვა ნაყოფიერება აქვს; პროპორციულად მატებადი ნაყოფიერების რიგი იწყება მხოლოდ A-დან. ამის შესაბამისად ლაგდება მატებადი რენტების მწკრივიც. იმ უტუდესი შიშის რენტა, რომელიც ახლა რენტას იძლევა და წინათ არ იძლეოდა, შეადგენს მუდმივ სიდიდეს, რომელიც უბრალოდ მიემატება ხოლმე ყველა უფრო მაღალ რენტას; მხოლოდ ამ მუდმივი სიდიდის გამოკლებების შემდეგ ჩანს ნათლად უფრო მაღალ რენტებთან სხვაობათა მწკრივი და მისი პარალელიზმი სხვადასხვა ხარისხის მიწების ნაყოფიერების მწკრივთან. ყველა ცხრილში ნაყოფიერებანი, A-დან დაწყებული D-მდე, ერთმანეთს შეეფარდებიან, როგორც 1 : 2 : 3 : 4, და ამის შესაბამისად რენტებიც:

VIIa-ში, როგორც $1 : 1 + 7 : 1 + 2 \times 7 : 1 + 3 \times 7$,
 VIIIA-ში, როგორც $1\frac{1}{8} : 1\frac{1}{8} + 7\frac{1}{8} : 1\frac{1}{8} + 2 \times 7\frac{1}{8} : 1\frac{1}{8} + 3 \times 7\frac{1}{8}$,
 Xa-ში, როგორც $\frac{2}{3} : \frac{2}{3} + 6\frac{2}{3} : \frac{2}{3} + 2 \times 6\frac{2}{3} : \frac{2}{3} + 3 \times 6\frac{2}{3}$.

მოკლედ: თუ A-ს რენტა = n და უშუალოდ შემდგომი უფრო მაღალი ნაყოფიერების მქონე შიშის რენტა = n + m, მაშინ მწკრივი ასეთი იქნება: n : n + m : n + 2m : n + 3m და ა. შ. — ფ. 0.]

ქრადგან ზემოაღნიშნული მესამე შემთხვევა ხელნაწერში არ იყო დამუშავებული, — იქ მხოლოდ მისი სათაური სწერია, — ამიტომ რელაქტორის ამოცანას შეადგენდა, რამდენადაც შეიძლებოდა, შეეცხო ეს დანაკლისი, და იგი ასეც მოიქცა. მაგრამ მას კიდევ გასაკეთებელი რჩება ზოგადი დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ მთელი წინანდელი გამოკვლევიდან დიფერენციული რენტა II შესახებ მისი სამი მთავარი და ცხრა ნაწარმოები შემთხვევითურთ. მაგრამ ხელნაწერში მოცემული მაგალითები ამ მიზნისთვის ნაკლებად გამოსადგია. ჯერ ერთი, ამ მაგალითებში შედარებულია მიწის ნაკვეთები, რომელთა გამოსავლიანობა ტოლი ფართობებისთვის ასეთი შეფარდებისაა: $1:1:3:4$; მაშასადამე, აღებულია განსხვავებანი, რომლებიც იმთავითვე ძალიან გაზვიადებულია და რომლებსაც ამ საფუძველზე დამყარებული შემდგომი ვარაუდებისა და ანგარიშების განვითარებისას სრულიად ნაძალადევი რიცხობრივ შეფარდებამდე მიყვებათ. მეორე, ისინი გვიქმნიან სრულიად მცდარ წარმოდგენას. თუ ნაყოფიერების ისეთ ხარისხთა შემთხვევაში, რომელნიც ერთმანეთს შეეფარდებიან როგორც $1:2:3:4$ და სხვ., ჩვენ ვიღებთ ასეთი მწკრივის რენტებს: $0:1:2:3$ და სხვ., — მაშინვე თავს იჩენს ცთუნება — ეს მეორე მწკრივი გამოვიყვანოთ პირველიდან და რენტებს გაორკეცება, გასამკეცება და სხვ. ავხსნათ მთელი პროდუქტის გაორკეცებით, გასამკეცებით და სხვ. მაგრამ ეს სრულიად მცდარი იქნებოდა. რენტები შეეფარდება ერთმანეთს როგორც $0:1:2:3:4$ მაშინაც, თუ ნაყოფიერების ხარისხთა შეფარდება ასეთია: $n:n+1:n+2:n+3:n+4$; რენტები ერთიმეორეს შეეფარდება არა როგორც ნაყოფიერების ხარისხები, არამედ როგორც ნაყოფიერების განსხვავებანი; ამასთან მიწა, რომელიც რენტას არ იძლევა, ნულის წერტილად მიიღება.

დედნის ცხრილები საჭირო იყო მოგვეცა ტექსტის ასახსნელად. მაგრამ ქვემოთ აღნიშნული გამოკვლევის შედეგებისათვის, თვალსაჩინო საფუძვლის შესაქმნელად, ჩვენ შემდგომ ვიძლევიტ ცხრილების ახალ წყებას, რომლებშიაც გამოსავლიანობა ნაჩვენებია ბუშელებით ($\frac{1}{8}$ კვარტერს ანუ 36, 35 ლიტრს) და შილინგებით (=მარკას).

პირველი ცხრილი (XI) შეესაბამება წინანდელ I ცხრილს. იგი იძლევა გამოსავლიანობას და რენტას ხუთი სხვადასხვა ხარისხის მიწისათვის, A-დან E-მდე, 50 შილ. კაპიტალის პირველი დახარჯვისას, რაც 10 შილინგ მოგებასთან ერთად უდრის 60 შილინგ მთელ წარმოების ფასს აკრზე. აღებულია ხორბლის დაბალი მოსავალი: 10,

12, 14, 16, 18 ბუშელი აკრზე. მარეგულირებელი წარმოების ფასი, რომელიც აქ მიიღება, უდრის 6 შილინგს ბუშელზე.

შემდგომი 13 ცხრილი შეესაბამება დიფერენციული რენტა II სამ შემთხვევას, რომლებიც განხილული იყო ამ და ორ უკანასკნელ თავში, ანასთან იგულისხმება, რომ დამატებითი კაპიტალდანახარჯი იმავე მიწაზე უდრის 50 შილინგს აკრზე, უცვლელი, კლებადი და მატებადი წარმოების ფასის არსებობისას. თვითეთული ეს შემთხვევა, თავის მხრივ, გამოიხატება ისე, როგორც იგი ჩამოყალიბდება: კაპიტალის მეორე დანახარჯის 1) უცვლელი, 2) კლებადი და 3) მატებადი მწარმოებლობისას პირველთან შედარებით. ამასთან წარმოგვიდგება კიდევ რამდენიმე განსაკუთრებით საილუსტრაციო ვარიანტი, რომელთა მეშვეობით საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება.

I შემთხვევაში: უცვლელი წარმოების ფასი, ჩვენ გვაქვს:

ვარიანტი 1: მეორე კაპიტალდანახარჯის უცვლელი მწარმოებლობა (ცხრილი XII).

» 2: კლებადი მწარმოებლობა. ეს შეიძლება წარმოდგეს მხოლოდ მაშინ, თუ A მიწაზე აღგილი არა აქვს მეორე კაპიტალდანახარჯს. ამასთან საქმე ან

a) ისეა, რომ B მიწაც არ იძლევა რენტას (ცხრილი XIII), ანდა

b) ისე, რომ B მიწა სრულიად ურენტო მიწად არ იქცევა (ცხრილი XIV).

» 3: მატებადი მწარმოებლობა (ცხრილი XV). ეს შემთხვევაც გამოირიცხავს მეორე კაპიტალდანახარჯს A მიწაზე.

II შემთხვევაში: კლებადი წარმოების ფასი, ჩვენ გვაქვს:

ვარიანტი 1: მეორე დანახარჯის უცვლელი მწარმოებლობა (ცხრილი XVI).

» 2: კლებადი მწარმოებლობა (ცხრილი XVII). ორივე ეს ვარიანტი იწვევს იმას, რომ A მიწა აღარ შედის მეტოქე მიწების რიცხვში, B მიწა ურენტო მიწად იქცევა და წარმოების ფასს არეგულირებს.

» 3: მატებადი მწარმოებლობა (ცხრილი XVIII) აქ A მიწა მარეგულირებელ მიწად რჩება.

III შემთხვევაში: მატებადი წარმოების ფასი, აქ შესაძლებელია ორი სხვადასხვა სახეობა: A მიწა შეიძლება დარჩეს ურენტო და ფასის მარეგულირებელ მიწად, ანდა კონკურენტიაში შევა A -ზე უფრო ცუდი დირსების მიწა და იწყებს ფასის რეგულირებას, ასე რომ მაშინ A მიწა რენტას იძლევა.

პირველი სახესხვაობა: A მიწა რჩება მარეგულირებელ მიწად.

ვარიანტი 1: მეორე დანახარჯის უცვლელი მწარმოებლობა (ცხრ. XIX). ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი დანახარჯის მწარმოებლობა კლებულობს.

» 2: მეორე დანახარჯის კლებადი მწარმოებლობა (ცხრ. XX); ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირველი დანახარჯის მწარმოებლობა არ შეიცვლება.

» 3: მეორე დანახარჯის მატებადი მწარმოებლობა (ცხრ. XXI*); ეს, თავის მხრივ, პირველი დანახარჯის კლებადი მწარმოებლობის პირობაა.

მეორე სახესხვაობა: უფრო ცუდი ხარისხის მიწა (a-ით აღნიშნული) შედის კონკურენციაში; A მიწა რენტას იძლევა.

ვარიანტი 1: მეორე დანახარჯის უცვლელი მწარმოებლობა (ცხრ. XXII).

» 2: კლებადი მწარმოებლობა (ცხრილი XXIII).

» 3: მატებადი მწარმოებლობა (ცხრილი XXIV).

ეს სამი ვარიანტი შეესაბამება პრობლემის ზოგად პირობებს და საბაბს არ იძლევა რაიმე შენიშვნებისათვის.

ახლა მოვიყვანო ცხრილებს.

ცხრილი XI

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი. შილინგა	პროდუქტის ბუშელონიკა	გასაყიდი ფასი. ბუშელებზე შილინგები	გამოსავალი შილინგები	რენტა შილინგები	რენტის ზრდა
A . . .	60	10	6	60	0	0
B . . .	60	12	6	72	12	.12
C . . .	60	14	6	84	24	2×12
D . . .	60	16	6	96	36	3×12
E . . .	60	18	6	108	48	4×12
	—	—	—	—	120	10×12

* 1894 წ. გამოცემაში — XIX. რ ე დ.

კაპიტალის მეორეჯერ დახარჯვისას იმავე მიწაზე.

პირველი შემთხვევა: წარმოების ფასის უცვლელობისას.

ვარიანტი 1: მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის უცვლელობისას.

ცხრილი XII

მიწის ხა- ჩისხი	წარმოების ფა- სი შილინგი	პროდუქტა ბუ- შელებით	გასაყიდი ფასი ბუ- შელებით შილინგით	გამოსავა- ლი შილ- ინგი	რენტა ში- ლინგი	რენტის ზრდა
A . . .	$60+60=120$	$10+10=20$	6	120	0	0
B . . .	$60+60=120$	$12+12=24$	6	144	24	24
C . . .	$60+60=120$	$14+14=28$	6	168	48	2×24
D . . .	$60+60=120$	$16+16=32$	6	192	72	3×24
E . . .	$60+60=120$	$18+18=36$	6	216	96	4×24
					240	10×24

ვარიანტი 2: მეორე კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობის არსებობისას. A მიწაზე მეორე კაპიტალდანახარჯს ადგილი არა აქვს.

1) როდესაც B მიწა ურენტო მიწად იქცევა.

ცხრილი XIII

მიწის ხა- ჩისხი	წარმოების ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	გასაყიდი ფასი ბუშე- ლებით შილ- ინგი	გამო- სავალი შილინ- გი	რენტა ში- ლინგი	რენტის ზრდა
A . . .	60	10	6	60	0	0
B . . .	$60+60=120$	$12+8=20$	6	120	0	0
C . .	$60+60=120$	$14+9\frac{1}{3}=23\frac{1}{3}$	6	140	20	20
D . . .	$60+60=120$	$16+10\frac{2}{3}=26\frac{2}{3}$	6	160	40	2×20
E . . .	$60+60=120$	$18+12^* = 30$	6	180	60	3×20
	—	—	—	—	120	6×20

2) როდესაც მიწა არ იქცევა სრულიად ურენტო მიწად.

* 1894 წ. გამოცემაში — 20. რ. ჯ. დ.

ცხრილი XIV

მიწის ხა- რისხი	წარმოების ფასი შილინ- გი	პროდუქტი ბუშელებით	გასაყიდი ფასი ბუ- შელებზე ში- ლინგი	გამოსაუ- ბელი ში- ლინგი	რენტა შილი- ნგი	რენტის ზრდა
A . . .	60	10	6	60	0	0
B . . .	60+60=120	12+9 =21	6	126	6	6
C . . .	60+60=120	14+10 ¹ / ₂ =24 ¹ / ₂	6	147	27	6+21
D . . .	60+60=120	16+12=28	6	168	48	6+2×21
E . . .	60+60=120	18+13 ¹ / ₂ =31 ¹ / ₂	6	189	69	6+3×21
					150	4×6+6×21

ვარიანტი 3: მეორე კაპიტალდანახარჯის მატებადი მწარმოებლობის არსებობისას; A მიწაზე აქაც არა აქვს ადგილი მეორე დანახარჯს.

ცხრილი XV

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი შილინ- გი	პროდუქტი ბუშელებით	გასაყიდი ფასი ბუ- შელებზე შილინგი	გამოსა- ბელი ში- ლინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
A . .	60	10	6	60	0	0
B . .	60+60=120	12+15 =27	6	162	42	42
C . .	60+60=120	14+17 ¹ / ₂ =31 ¹ / ₂	6	189	69	42+27
D . .	60+60=120	16+20 =36	6	216	96	42+2×27
E . .	60+60=120	18+22 ¹ / ₂ =40 ¹ / ₂	6	243	123	42+3×27
	—	—	—	—	330	4×42+6×27

მეორე შემთხვევა: კლებადი წარმოების ფასის არსებობისას.

ვარიანტი 1: მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის უცვლელობისას; A მიწა გამოდის კონკურენციიდან, B მიწა იქცევა ურენტო მიწად.

ცხრილი XVI

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	ვასაყიდი ფასი შილინგი	გამოსავალი შილინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
B	60+60=120	12+12=24	5	120	0	0
C	60+60=120	14+14=28	5	140	20	20
D	60+60=120	16+16=32	5	160	40	2×20
E	60+60=120	18+18=36	5	180	60	3×20
	—	—	—	—	120	6×20

ვარიანტი 2: მეორე კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობისას; A მიწა გამოდის კონკურენციიდან, B მიწა იქცევა ურენტო მიწად.

ცხრილი XVII

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	ვასაყიდი ფასი შილინგი	გამოსავალი შილინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
B	60+60=120	12+ 9 =21	5 ⁵ / ₇	120	0	0
C	60+60=120	14+10 ¹ / ₃ =24 ¹ / ₃	5 ⁵ / ₇	140	20	20
D	60+60=120	16+12=28	5 ⁵ / ₇	160	40	2×20
E	60+60=120	18+13 ¹ / ₂ =31 ¹ / ₂	5 ⁵ / ₇	180	60	3×20
	—	—	—	—	120	6×20

ვარიანტი 3: მეორე კაპიტალდანახარჯის მატებადი მწარმოებლობისას; A მიწა განაგრძობს მეტოქეობას, B მიწა იძლევა რენტას.

ცხრილი XVIII

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	ვასაყიდი ფასი ბუშელებზე შილინგი	გამოსავალი შილინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
A	60+60=120	10+15=25	4 ⁴ / ₅	120	0	0
B	60+60=120	12+18=30	4 ⁴ / ₅	144	24	24
C	60+60=120	14+21=35	4 ⁴ / ₅	168	48	2×24
D	60+60=120	16+24=40	4 ⁴ / ₅	192	72	3×24
E	60+60=120	18+27=45	4 ⁴ / ₅	216	96	4×24
	—	—	—	—	240	10×24

მესამე შემთხვევა: მატებადი წარმოების ფასის არსებობისას.

A. როდესაც A მიწა ურენტო და ფასის მარეგულირებელ მიწაზე რჩება.

ვარიანტი 1: მეორე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის უცვლელობისას, რაც განპირობებს პირველი დანახარჯის კლებად მწარმოებლობას.

ცხრილი XIX

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი მილინგი	პროდუქტი ბუშელეებით*	გასაყდი ფასი ბუშელზე მილინგი	გამოსავალი შალინგი	რენტა მილინგი	რენტის ხრდა
A . . .	60+60=120	7 ¹ / ₂ +10=17 ¹ / ₂	6 ⁰ / ₇	120	0	0
B . . .	60+60=120	9+12=21	6 ⁶ / ₇	144	24	24
C . . .	60+60=120	10 ¹ / ₂ +14=24 ¹ / ₂	6 ⁶ / ₇	168	48	2×24
D . . .	60+60=120	12+16=28	6 ⁶ / ₇	192	72	3×24
E . . .	60+60=120	13 ¹ / ₂ +18=31 ¹ / ₂	6 ⁶ / ₇	216	96	4×24
	—	—	—	—	240	10×24

ვარიანტი 2: კაპიტალის მეორე დანახარჯის კლებადი მწარმოებლობისას, რაც არ გამოიციხავს პირველი დანახარჯის მწარმოებლობის უცვლელობას.

ცხრილი XX

მიწის ხარისხი	წარმოების ფასი მილინგი	პროდუქტი ბუშელეებით	გასაყდი ფასი ბუშელზე მილინგი	გამოსავალი შალინგი	რენტა შალინგი	რენტის ხრდა
A . . .	60+60=120	10+5=15	8	120	0	0
B . . .	60+60=120	12+6=18	8	144	24	24
C . . .	60+60=120	14+7=21	8	168	48	2×24
D . . .	60+60=120	16+8=24	8	192	72	3×24
E . . .	60+60=120	18+9=27	8	216	96	4×24
	—	—	—	—	240	10×24

* 1894 წ. გამოცემაში ამ გრაფაში შეცდომით შეტანილია ციფრები XXI ცხრილიდან. ციფრები შეცვლილია პირობების თანახმად. რ. ე. დ.

ვარიანტი 3: კაპიტალის მეორე დანახარჯის მატებადი მწარმოებლობისას, რაც ნაფულისხმევის საფუძველზე განაპირობებს პირველი დანახარჯის კლებად მწარმოებლობას.

ცხრილი XXI

მიწის ხარისხი	წარმოებას ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	გასაყიდი ფასი შილინგი	გამოსავალი შილინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
A . . .	$60+60=120$	$5+12\frac{1}{2}=17\frac{1}{2}$	$6\frac{6}{7}$	120	0	0
B . . .	$60+60=120$	$6+15=21$	$6\frac{6}{7}$	144	24	24
C . . .	$60+60=120$	$7+17\frac{1}{2}=24\frac{1}{2}$	$6\frac{6}{7}$	168	48	2×24
D . . .	$60+60=120$	$8+20=28$	$6\frac{6}{7}$	192	72	3×24
E . . .	$60+60=120$	$9+22\frac{1}{2}=31\frac{1}{2}$	$6\frac{6}{7}$	216	96	4×24
	—	—	—	—	240	10×24

B. როდესაც უფრო ცუდი ხარისხის მიწა (a-თი აღნიშნული) იქცევა ფასის მარეგულირებელ მიწად და ამიტომ იძლევა რენტას. ეს არ გამოირიცხავს მეორე დანახარჯის უცვლელი მწარმოებლობის შესაძლებლობას ყველა ვარიანტისათვის.

ვარიანტი 1: მეორე კაპიტალდანახარჯის უცვლელი მწარმოებლობა.

ცხრილი XXII

მიწის ხარისხი	წარმოებას ფასი შილინგი	პროდუქტი ბუშელებით	გასაყიდი ფასი ბუშელებზე შილინგი	გამოსავალი შილინგი	რენტა შილინგი	რენტის ზრდა
a . . .	120	16	$7\frac{1}{2}$	120	0	0
A . . .	$60+60=120$	$10+10=20$	$7\frac{1}{2}$	150	30	30
B . . .	$60+60=120$	$12+12=24$	$7\frac{1}{2}$	180	60	2×30
C . . .	$60+60=120$	$14+14=28$	$7\frac{1}{2}$	210	90	3×30
D . . .	$60+60=120$	$16+16=32$	$7\frac{1}{2}$	240	120	4×30
E . . .	$60+60=120$	$18+18=36$	$7\frac{1}{2}$	270	150	5×30
	—	—	—	—	450	15×30

ვარიანტი 2: მეორე კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობა.

ცხრილი XXIII

მ.წ.ს ხარისხი	წარმოების ფასი შალინგა	პროდუქტა ბეშე ლუაით	გასაყდ ფასი ბეშე ლუ მეზა	გაპოსტე- ბეშე ლუ მეზა	რენტა შალინგე	რენტის ზრდა
a . . .	1:0	15	8	120	0	0
A . . .	60+60=120	10+7 ¹ / ₂ =17 ¹ / ₂	8	140	20	20
B . . .	60+60=120	12+9=21	9	168	48	20+28
C . . .	60+60=120	14+10 ¹ / ₂ =24 ¹ / ₂	8	196	76	20+2×28
D . . .	60+60=120	16+12=28	8	224	104	20+3×28
E . . .	60+60=120	18+13 ¹ / ₂ =31 ¹ / ₂	8	252	132	20+4×28
	—	—	—	—	380	5×20+10×28

ვარიანტი 3: მეორე კაპიტალდანახარჯის მატეხადი მწარმოებლობა.

ცხრილი XXIV

მ.წ.ს ხარისხი	წარმოების ფასი შალინგე	პროდუქტა ბეშე ლუაით	გასაყდ ფასი ბეშე ლუ შალინგე	გაპოსტე- ბეშე ლუ მეზა	რენტა შალინგე	რენტის ზრდა
a . . .	120	16	7 ¹ / ₂	120	0	0
A . . .	60+60=120	10+12 ¹ / ₂ =22 ¹ / ₂	7 ¹ / ₂	168 ³ / ₄	48 ³ / ₄	15+33 ³ / ₄
B . . .	60+60=120	12+15=27	7 ¹ / ₂	202 ¹ / ₂	32 ¹ / ₂	15+2×33 ³ / ₄
C . . .	60+60=120	14+17 ¹ / ₂ =31 ¹ / ₂	7 ¹ / ₂	236 ¹ / ₄	116 ¹ / ₄	15+3×33 ³ / ₄
D . . .	60+60=120	16+20=36	7 ¹ / ₂	270	150	15+4×33 ³ / ₄
E . . .	60+60=120	18+22 ¹ / ₂ =40 ¹ / ₂	7 ¹ / ₂	303 ³ / ₄	183 ³ / ₄	15+5×33 ³ / ₄
	—	—	—	—	581 ¹ / ₄	5×15+15×33 ³ / ₄

ამ ცხრილებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

უწინარეს ყოვლისა ის, რომ რენტათა მწკრივი ისეთსავე შეფარდებაშია ერთიმეორესთან, როგორც ნაყოფიერების განსხვავებათა მწკრივი, ვიღებთ რა ნულის პუნქტად მარეგულირებელ მიწას, რო-

მელიც რენტას არ იძლევა. რენტას განსაზღვრავს არა აბსოლუტური გამოსავლიანობა, არამედ გამოსავლიანობის განსხვავებანი. სხვადასხვა ხარისხის მიწების გამოსავლიანობა აკრზე 1, 2, 3, 4, 5 ბუშელს შეადგენს თუ 12, 13, 14, 15 ბუშელს, ორსავე შემთხვევაში რენტები იქნება, თანმიმდევრობით, 0, 1, 2, 3, 4 ბუშელი ანუ მათი შესაბამისი ფულადი ამონაგები.

მაგრამ რენტის მთელი ჯამის მხრივ შედეგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ერთსა და იმავე მიწაზე კაპიტალის განმეორებითი დახარჯვისას.

გამოკვლეული ცამეტი შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში კაპიტალ-დანახარჯთან ერთად ო რ კ ე ც დ ე ბ ა რენტის მთელი ჯამიც, 10×12 მილინგის ნაცვლად ხდება 10×24 მილინგი = 240 მილინგს. ეს შემთხვევებია:

I შემთხვევა, უცვლელი ფასი. ვარიანტი 1: დანახარჯის შესაბამისი გადიდება წარმოებისა (ცხრილი XII).

II შემთხვევა, კლებადი ფასი, ვარიანტი 3: წარმოების გაძლიერებული გადიდება (ცხრილი XVIII).

III შემთხვევა, მატებადი ფასი, პირველი სახესხვაობა, როდესაც A მიწა რჩება მარეგულირებელ მიწად, ყველა სამ ვარიანტში (ცხრილი XIX, XX, XXI).

ოთხ შემთხვევაში რენტა ო რ ჯ ე რ და მე ტ ა დ დიდდება, სახელდობრ:

I შემთხვევა, ვარიანტი 3: უცვლელი ფასი, მაგრამ წარმოების გაძლიერებული გადიდება (ცხრილი XV). რენტათა ჯამი მალლა იწევს 330 მილინგამდე.

III შემთხვევა, მეორე სახესხვაობა, როდესაც A მიწა რენტას იძლევა, ყველა სამ ვარიანტში (ცხრილი XXII, რენტა = $30 \times 15 = 450$ მილინგს; ცხრილი XXIII, რენტა = $20 \times 5 + 28 \times 10 = 380$ მილინგს; ცხრილი XXIV, რენტა = $15 \times 5 + 33\frac{3}{4} \times 15 = 581\frac{1}{4}$ მილინგს).

ერთ შემთხვევაში რენტა მ ა ტ უ ლ ო ბ ს, მაგრამ არ აღწევს იმ რენტის ორმაგ რაოდენობას, რომელსც პირველი კაპიტალდანახარჯისას მიიღება:

I შემთხვევა, უცვლელი ფასი, ვარიანტი 2: მეორე დანახარჯის კლებადი მწარმოებლობის იმ პირობებში, როცა B მიწა არ იქცევა სულ მთლად ურენტო მიწად (ცხრილი XIV, რენტა = $6 \times 4 + 21 \times 6 = 150$ მილინგს).

დასასრულ, მხოლოდ სამ შემთხვევაში რჩება მთელი რენტა კაპიტალის მეორე დახარჯვისას, ყველა ხარისხის მიწებისათვის, იმავე დონეზე, როგორც პირველი დახარჯვისას (ცხრილი XI); ეს ის შემთხვევებია, როცა A მიწა კონკურენციის გარეშეა დაყენებული, და B მიწა მარეგულირებელ, და მაშასადამე, ურენტო მიწად იქცევა. ამრიგად, არა თუ B -სთვის ისპობა რენტა, არამედ იგი აკლდება რენტების მწკრივის თვითეულ შემდგომ წევრს; ამითაა გაპირობებული შედეგი. ეს შემთხვევებია:

I შემთხვევა, ვარიანტი 2, როცა პირობები ისეთია, რომ A მიწა გამოირიცხება (ცხრილი XIII). რენტათა ჯამი უდრის 6×20 -ს, მაშასადამე, $10 \times 12 = 120$, როგორც XI ცხრილში.

II შემთხვევა, ვარიანტი 1 და 2. აქ, ნაგულისხმევის თანახმად, აუცილებლად გამოირიცხება A მიწა (ცხრილი XVI და XVII), და რენტათა ჯამი ისევ უდრის $6 \times 20 = 10 \times 12 = 120$ შილინგს.

ამრიგად, ეს ნიშნავს: ყველა შესაძლებელ შემთხვევათა დიდალ უმრავლესობაში მიწაზე გადიდებული კაპიტალდანახარჯის გამო რენტა მატულობს, — მატულობს როგორც რენტის მოპყემი მიწის აკრზე აღებული, ისე განსაკუთრებით მისი მთელი ჯამის მხრივ. გამოკვლეული ცამეტი შემთხვევიდან მხოლოდ სამ შემთხვევაში რჩება რენტის მთელი ჯამი უცვლელი. ეს ის შემთხვევებია, როცა უტუდესი ხარისხის მიწა, რომელიც აქამდე რენტას არ იძლეოდა და მარეგულირებელი მიწის როლს ასრულებდა, აღარ მონაწილეობს კონკურენციაში, და უშუალოდ უახლოესი უკეთესი მიწა მის ადგილს იჭერს. ე. ი. რენტას აღარ იძლევა. მაგრამ ამ შემთხვევებშიც რენტა უკეთესი ხარისხის მიწებზე მატულობს იმ რენტასთან შედარებით, რომელიც პირველი კაპიტალდანახარჯით არის წარმომდგარი; თუ რენტა C -ზე კლებულობს 24-დან 20-მდე, სამაგიეროდ იგი D -სთვის და E -სთვის მატულობს 36-დან და 48-დან 40 და 60 შილინგამდე.

რენტის მთელი ჯამის იმ დონეზე დაბლა დაწევა, რასაც იგი აღწევდა კაპიტალის პირველი დახარჯვისას (ცხრილი XI), შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ A მიწის გარდა, კონკურენციაში მონაწილე აღარ იქნებოდა B მიწაც, ასე რომ მარეგულირებელ და ურენტო მიწად იქცეოდა C მიწა.

ამრიგად, რაც უფრო მეტი კაპიტალი იხარჯება მიწაზე, რაც უფრო მაღალია მიწათმოქმედების და საერთოდ ცივილიზაციის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უფრო მაღლა იწევს რენტა აკრზე, ისე როგორც რენტის მთელი ჯამიც, მით უფრო კოლოსალური ხდება ის ხარკი, რომელსაც საზოგადოება უხდის მსხვილ მემამულეებს დამა-

ტებითი მოგების სახით, სანამ უკვე დამუშავებულ მიწათა ყველა კატეგორია ინარჩუნებს კონკურენციის უნარს.

ეს კანონი გვიხსნის მსხვილ მემამულეთა კლასის საკვირველ გამძლეობას. საზოგადოების არც ერთი კლასი არ ეწევა ისეთ მფლანგველურ ცხოვრებას, როგორც ეს კლასი, არც ერთი სხვა კლასი არ აცხადებს ასეთ პრეტენზიას ჩვეულ, «წოდების შესაფერ» ფუფუნებაზე, სულ ერთია საიდანაც უნდა მოდიოდეს ამისათვის საჭირო ფული, არც ერთი სხვა კლასი არ იღებს ასე უდარდელად ვალს ვალზე. და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ფეხზე დგება, — იმ კაპიტალის შენწეობით, რომელიც სხვებმა დახარჯეს მიწაზე და რომელიც მას რენტას აძლევს, იმ მოგებასთან ყოველგვარი შეფარდების გარეშე, რასაც იქიდან კაპიტალისტი იღებს.

მაგრამ იგივე კანონი გვიხსნის აგრეთვე, თუ როგორ იშრიტება თანდათანობით მსხვილი მემამულის ეს გამძლეობა.

როცა 1846 წელს ინგლისში გაუქმებულ იქნა ბაჟები პურზე, ინგლისელი მეფაბრიკენი ფიქრობდნენ, რომ ამით მათ მიწათმფლობელი არისტოკრატია პაუპერებად გადააქციეს. ნაცვლად ამისა, ეს არისტოკრატია იმაზე უფრო მდიდარი გახდა, ვიდრე ოდესმე იყო. როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ. ჯერ ერთი, ამ დროიდან დაწყებული მოიჯარეებისაგან მოითხოვეს, რომ მათ ხელშეკრულებით ვალდებულება ეკისრათ, 8 გირვ. სტერლინგის ნაცვლად აკრზე წლიურად 12 გირვ. სტერლინგი დაეხარჯათ ხოლმე, და, მეორე, მემამულეებმა, რომელთაც ქვედა პალატაში ძალიან მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ჰყავდათ, სახელმწიფოს გამოაღებინეს თავისთვის დიდი დახმარება თავიანთი მიწების დრენაჟისა და სხვაგვარი პერმანენტული გაუმჯობესებისათვის. რადგან უცუდეში მიწის სრული განდევნა კი არ მომხდარა, არამედ უკიდურეს შემთხვევაში მოხდა მხოლოდ მისი სხვა მიზნებისათვის გამოყენება, ისიც მეტწილად, დროებითა, ამიტომ რენტა გადიდდა კაპიტალდანახარჯის გადიდების შესაბამისად, და მემამულე არისტოკრატია ამით მეტი მოიგო, ვიდრე ოდესმე წინათ მოუგია.

მაგრამ ყველაფერი წარმავალია. ოკეანეს ორთქლის გემებმა, აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის და ინდოეთის რკინიგზებმა შესაძლებლობა მისცეს სრულიად თავისებურ ადგილებს კონკურენცია გაეწიათ ევროპულ პურის ბაზრებზე. ეს ადგილები იყო, ერთი მხრივ, ჩრდილო-ამერიკის პრერიები, არგენტინის პამპასები, ველები, უკვე ბუნებით მოწინადებული მოსახნავად, უყი ნიადაგი, რომელიც მთელი წლების განმავლობაში მდიდარ მოსავალს იძლეოდა სრულიად პრი-

მიტიული დამუშავებითაც კი და უსასუქოდ. მეორე მხრივ, ეს იყო მიწები რუსეთისა და ინდოეთის კომუნისტური თემებისა, რომელნიც იძულებული იყვნენ თავიანთი პროდუქტის ერთი ნაწილი — თანაც მუდმივად მზარდი ნაწილი — გაეყიდათ, რათა ფული მოეპოვებიათ გადასახადების დასაფარავად, რასაც მათ იძულებდა, საკმაოდ ხშირად წამებითაც, სახელმწიფოს უღმობელი დესპოტიზმი. ეს პროდუქტები იყიდებოდა წარმოების ფასებისაგან დამოუკიდებლად, იყიდებოდა იმ ფასად, რასაც ვაჭარი შეაძლებდა, რადგან გადახდის ვადისათვის გლახს უეჭველად უნდა ეშონა ფული. და ამ კონკურენციის, ველების უყი ნიადაგის კონკურენციის, გადასახდელთა ტვირთით წელმოწყვეტილ რუს და ინდოელ გლეხთა კონკურენციის ატანა ევროპელ მოიჯარეს და გლახს არ შეეძლო ძველი რენტის არსებობისას. მიწების ერთი ნაწილისათვის ევროპაში საბოლოოდ მოისპო კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა ხორბლეულის წარმოების დარგში, რენტა ყველგან დაეცა; ჩვენი მეორე შემთხვევა, ვარიანტი 2: კლებადი ფასი და დამატებით კაპიტალდანახარჯის კლებადი მწარმოებლობა, — საერთო წესად იქცა ევროპისათვის; აქედან — აგრარების გოდება შოტლანდიიდან დაწყებული იტალიამდე, სამხრეთ საფრანგეთიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ყველა ველის მიწა არ არის დამუშავებული; ეს მიწა ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვება იმისათვის, რომ გაანადგუროს ევროპის მთელი მსხვილი მიწათმფლობელობა და, ამასთან ერთად, წვრილიც. ფ. მ.]

რუბრიკები, რომლებშიაც გამოსაკვლევია რენტა, შემდეგია:

A დიფერენციული რენტა.

1. დიფერენციული რენტის ცნება. ილუსტრაცია წყლის ძალით. გადასვლა საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტაზე.

2. დიფერენციული რენტა I, რომელიც წარმოდგება მიწის სხვადასხვა ნაკვეთების ნაყოფიერების სხვადასხვაობიდან.

3. დიფერენციული რენტა II, რომელიც წარმოდგება თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯიდან ერთსა და იმავე მიწაზე. დიფერენციული რენტა II განსახილველია.

a) უცვლელი,

b) კლებადი,

c) მატებადი წარმოების ფასის არსებობისას.

და შემდეგ

d) დამატებითი მოგების გარდაქმნა რენტად.

4. ამ რენტის გავლენა მოგების ნორმაზე.

B. აბსოლუტური რენტა.

C. მიწის ფასი.

D. საბოლოო შენიშვნები მიწის რენტის შესახებ.

დიფერენციული რენტის განხილვის საერთო შედეგად ვლემულობთ შემდეგს:

პირველი: დამატებითი მოგების წარმოქმნა შეიძლება მონდეს სხვადასხვა გზით. ერთი მხრივ, დიფერენციული რენტა I საფუძველზე, ე. ი. იმ საფუძველზე, რომ მთელი სამიწათმოქმედო კაპიტალი დანახარჯულია მიწის ფართობზე, რომელიც ნაყოფიერების მხრივ სხვადასხვა ხარისხის მიწებისაგან შედგება. შემდეგ, დიფერენციული რენტა II სახით, ერთსა და იმავე მიწაზე თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა სხვადასხვა დიფერენციული მწარმოებლობის საფუძველზე, ე. ი. უფრო დიდი — მაგალითად, კვარტერები ხორბლით გამოხატული — მწარმოებლობის საფუძველზე, ვიდრე ის მწარმოებლობაა, რასაც მივალწევთ ისეთივე კაპიტალდანახარჯით უცუფეს მიწაზე, რომელიც რენტას არ იძლევა, ხოლო წარმოების ფასის მარეგულირებელი კი არის. მაგრამ რა გზითაც არ უნდა წარმოიშვას ეს დამატებითი მოგება, მისი გადაქცევა რენტად, მაშასადამე, მისი გადასვლა მოიჯარის ხელიდან მემამულის ხელში ყოველთვის გულისხმობს წინასწარ პირობად რმას, რომ ცალკეულ თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა ნაწილობრივი პროდუქტების სხვადასხვა ნამდვილი ინდივიდუალური წარმოების ფასები (ე. ი. საერთო, ბაზრის მარეგულირებელი წარმოების ფასისგან დამოუკიდებლად) წინასწარ გათანაბრებულია ინდივიდუალურ საშუალო წარმოების ფასად. აკრზე გამოანგარიშებული პროდუქტის საერთო მარეგულირებელი წარმოების ფასის გადანამეტი პროდუქტის ამ ინდივიდუალურ საშუალო ფასთან შედარებით შეადგენს და განსაზღვრავს რენტის ოდენობას აკრზე. დიფერენციული რენტა I შემთხვევაში დიფერენციული შედეგები თავისთავად გაირჩევა ერთმანეთისაგან, რადგან ისინი მიიღებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ერთიმეორის გარეშე და ერთიმეორის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებზე, — მიიღებიან ისეთი კაპიტალდანახარჯით აკრზე, რომელიც ნორმალურად ითვლება, და ამ დანახარჯის შესაბამისი ნორმალური დამუშავებით. დიფერენციული რენტა II შემთხვევაში კი ეს დიფერენციული შედეგები უწინარეს ყოვლისა უნდა გადაიქცნენ ისეთებად, რომ მათი გარჩევა შესაძლებელი გახდეს; მართლაც, ისინი ჯერ უნდა უკუგარდაიქმნან

დიფერენციულ რენტა I-ად, და ეს კი მხოლოდ აღნიშნული წესით შეიძლება შესრულდეს. ავიღოთ, მაგალითად, III ცხრილი, გვ. 282.

B მიწა იძლევა აკრზე $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალდანახარჯის შედეგად 2 კვარტერს, ხოლო მეორე ტოლი დანახარჯის შედეგად — $1\frac{1}{2}$ კვარტერს, სულ $3\frac{1}{2}$ კვარტერს ერთსა და იმავე აკრზე. ამ $3\frac{1}{2}$ კვარტერს, რომელიც ერთსა და იმავე მიწაზეა აღმოცენებული, არ ემჩნევა, რა ნაწილი შეადგენს I კაპიტალდანახარჯის პროდუქტს და რა ნაწილი II კაპიტალდანახარჯისას. სინამდვილეში $3\frac{1}{2}$ კვარტერი წარმოადგენს მთელი 5 გირვ. სტერლ. კაპიტალის პროდუქტს; და ნამდვილი ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალმა გამოიღო 2 კვარტერი, ხოლო 5 გირვ. სტერლ. კაპიტალმა არა 4, არამედ $3\frac{1}{2}$ კვარტერი. მდგომარეობა სრულიად არ შეიცვლებოდა, ამ 5 გირვ. სტერლინგს რომ 4 კვარტერი გამოეღო, ასე რომ ორივე კაპიტალდანახარჯის პროდუქტები თანატოლი ყოფილიყო, ანდა თუნდ რომ 5 კვარტერი გამოეღო, ასე რომ მეორე კაპიტალდანახარჯის პროდუქტი 1 კვარტერით მეტი ყოფილიყო. პირველი 2 კვარტერის წარმოების ფასი შეადგენს $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს კვარტერისათვის, მეორე $1\frac{1}{2}$ კვარტერის წარმოების ფასი — 2 გირვ. სტერლინგს კვარტერისათვის. ამიტომ ეს $3\frac{1}{2}$ კვარტერი სულ 6 გირვ. სტერლინგი ღირს. ესაა მთელი პროდუქტის ინდივიდუალური წარმოების ფასი, რომელიც შეადგენს საშუალოდ 1 გირვ. სტერლ. $14\frac{2}{7}$ შილინგს კვარტერისათვის, მრგვალად, ვთქვათ, $1\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგს. 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობის საერთო წარმოების ფასის მიხედვით, რომელსაც *A* მიწა განსაზღვრავს, ეს იძლევა $1\frac{1}{4}$ გირვ. სტერლ. დამატებით მოგებას კვარტერზე და, მაშასადამე, სულ $3\frac{1}{2}$ კვარტერზე — $4\frac{3}{8}$ გირვ. სტერლინგს. *B* საშუალო წარმოების ფასის მიხედვით ეს შეადგენს, მრგვალად, $1\frac{1}{2}$ კვარტერს. *B* დამატებითი მოგება გამოიხატება, მაშასადამე, *B* პროდუქტის სათანადო ნაწილით, ამ $1\frac{1}{2}$ კვარტერით, რომელიც ხორბლით გამოსახულ რენტას წარმოადგენს და რომელიც გაიყიდება $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. საერთო წარმოების ფასის კვალობაზე. მაგრამ, პირიქით, *B* აკრზე მიღებული ნამეტი პროდუქტი, — ნამეტი იმასთან შედარებით, რაც მიიღება *A* აკრზე, არ წარმოადგენს აუცილებლად დამატებით მოგებას და, მაშასადამე, დამატებით პროდუქტს. ნაგულისხმევის თანახმად, *B* მიწის აკრი აწარმოებს $3\frac{1}{2}$ კვარტერს, *A* აკრი კი მხოლოდ 1 კვარტერს. *B* გადანამეტი პროდუქტი, ამრიგად, შეადგენს $2\frac{1}{2}$ კვარტერს, ხოლო დამატებითი პროდუქტი — მხოლოდ $1\frac{1}{2}$ კვარტერს; იმიტომ რომ *B*-ზე დახარჯულია ორჯერ მეტი კაპიტალი, ვიდრე *A*-ზე, და ამიტომ აქ

წარმოების ხარჯები ორჯერ უფრო დიდია. *A*-ზეც რომ 5 გირვ. სტერლინგი ყოფილიყო დახარჯული, და მწარმოებლობის ნორმა რომ უცვლელად დარჩენილიყო, პროდუქტი იქნებოდა 2 კვარტერი 1-ის ნაცვლად, და ნათელი გახდებოდა, რომ ნამდვილი დამატებითი პროდუქტის აღმოჩენა შეიძლება არა $3\frac{1}{2}$ -ის და 1-ის შედარების გზით, არამედ $3\frac{1}{2}$ -ის და 2-ის შედარების გზით, და რომ, მაშასადამე, იგი შეადგენს არა $2\frac{1}{2}$ -ს, არამედ მხოლოდ $1\frac{1}{2}$ კვარტერს. მაგრამ, შემდეგ, *B*-ზე რომ შესამე $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალი ყოფილიყო დახარჯული, რომელიც მხოლოდ 1 კვარტერს გამოიღებდა, ასე რომ ეს ერთი კვარტერი 3 გირვ. სტერლინგი ეღირებოდა, ისე როგორც *A*-ზე წარმოებული კვარტერი, მაშინ მისი გასაყიდი ფასი 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობით მხოლოდ წარმოების ფასს დაფარავდა, მხოლოდ საშუალო მოგებას მოიტანდა, მაგრამ არავითარ დამატებით მოგებას და, მაშასადამე, არაფერს, რაც შეიძლებოდა რენტად გადაქცეულიყო. პროდუქტი ამა თუ იმ ხარისხის მიწისა განურჩევლად, *A* მიწის აკრის პროდუქტთან შედარებით, არც იმას გვიჩვენებს, წარმოადგენს იგი ტოლი თუ უფრო დიდი კაპიტალდანახარჯის პროდუქტს, და არც იმას დამატებითი პროდუქტი მხოლოდ წარმოების ფასს ფარავს, თუ იგი დამატებითი კაპიტალის უფრო მაღალი მწარმოებლობის მეოხებითაა წარმომდგარი.

მეორე: ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებობისას, დანახარჯისა, რომლის საზღვარს — რამდენადაც საქმე ახალი დამატებითი მოგების წარმოქმნას შეეხება — ისეთი კაპიტალდანახარჯი შეადგენს, რომელიც ფარავს მხოლოდ წარმოების ფასს, ე. ი. აწარმოებს კვარტერს ისევე ძვირად, როგორც ტოლი კაპიტალის დანახარჯი აწარმოებს მას *A* მიწის აკრზე, ე. ი. ნავარაუდევის თანახმად, 3 გირვ. სტერლინგად, — მწარმოებლობის კლებადი ნორმის დროს, როცა მთელი კაპიტალდანახარჯი *B* აკრზე აღარ იქნებოდა რენტის მომცემი, წარმოადგენს ის საზღვარი, როცა *B* აკრის პროდუქტის ინდივიდუალური საშუალო ფასი აიწევდა *A* აკრის წარმოების ფასის დონემდე.

თუ *B*-ზე ხდება კაპიტალის ისეთი დამატებითი დახარჯვა, რაც წარმოების ფასს ანაზღაურებს და, მაშასადამე, არ წარმოშობს დამატებით მოგებას და, ამიტომ, არც ახალ რენტას, მაშინ, თუმცა ეს აღიდებს ინდივიდუალურ საშუალო წარმოების ფასს კვარტერზე, მაგრამ არ ცვლის წინანდელ კაპიტალდანახარჯთაგან წარმომდგარ დამატებით მოგებას, მაშასადამე, არ ცვლის რენტას, რომლის მიღე-

ბაც შეიძლება. ეს იმიტომ, რომ საშუალო წარმოების ფასი ყოველთვის რჩება A -ს წარმოების ფასზე დაბლა, ხოლო თუ ფასის ნამეტი კვარტერისათვის მცირდება, სამაგიეროდ დიდდება იმავე პროპორციით კვარტერების რიცხვი, ასე რომ ფასის მთელი ნამეტი უცვლელი რჩება.

ჩვენ მიერ აღებულ შემთხვევაში ორი პირველი კაპიტალდანახარჯი 5 გირვ. სტერლინგის რაოდენობით B მიწაზე აწარმოებს $3\frac{1}{2}$ კვარტერს, მასსადამე, ნავარაუდევს თანახმად, $1\frac{1}{2}$ კვარტერ რენტას = $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს. თუ ამას მთემატა მესამე კაპიტალდანახარჯი $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, რომელიც მხოლოდ ერთ დამატებით კვარტერს აწარმოებს, მაშინ $4\frac{1}{2}$ კვარტერის მთელი წარმოების ფასი (20% მოგების ჩართვით) = 9 გირვ. სტერლინგს. მასსადამე, საშუალო ფასი აკრზე = 2 გირვ. სტერლინგს კვარტერისათვის. ამრიგად, კვარტერის საშუალო წარმოების ფასმა B მიწაზე ააწა $1\frac{6}{7}$ გირვ. სტერლინგიდან 2 გირვ. სტერლინგამდე, დამატებითი მოგება კვარტერზე, შედარებით A ფასთან, რომელიც მარეგულირებელ ფასს წარმოადგენს, დაეცა ამგვარად $1\frac{2}{7}$ გირვ. სტერლინგიდან 1 გირვ. სტერლინგამდე. მაგრამ $1 \times 4\frac{1}{2} = 4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ., სრულიად ისე, როგორც წინათ $1\frac{2}{7} \times 3\frac{1}{2}$ უდრიდა $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს.

თუ ვიგულისხმებთ, რომ B -ზე მოხდა კაპიტალის მეოთხე და მეხუთე დამატებითი დახარჯვა თითო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, და თვითეული ეს დახარჯვა აწარმოებდა ერთ კვარტერს საერთო წარმოების ფასის მიხედვით, მაშინ მთელი პროდუქტი აკრზე იქნებოდა $6\frac{1}{2}$ კვარტერი, ხოლო ერთობლივი წარმოების ფასი — 15 გირვ. სტერლინგი. კვარტერის საშუალო წარმოების ფასი კვლავ აიწევდა B -სთვის 2* გირვ. სტერლინგიდან $2\frac{1}{13}$ გირვ. სტერლინგამდე, ხოლო დამატებითი მოგება კვარტერზე, შედარებით A -ს წარმოების ფასთან, რომელიც მარეგულირებელ წარმოების ფასს წარმოადგენს, კვლავ დაეცემოდა 1 გირვ. სტერლინგიდან $\frac{9}{13}$ გირვ. სტერლინგამდე. მაგრამ ეს $\frac{9}{13}$ გირვ. სტერლინგიც ახლა საანგარიშებელი იქნებოდა $6\frac{1}{2}$ კვარტერზე $4\frac{1}{2}$ ნაცვლად. და $\frac{9}{13} \times 6\frac{1}{2} = 1 \times 4\frac{1}{2} = 4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს.

აქედან უწინარეს ყოვლისა ის გამომდინარეობს, რომ ამ გარემოებაში საჭირო არაა მარეგულირებელი წარმოების ფასის აწევა, რათა შესაძლებელი გახდეს დამატებითი კაპიტალდანახარჯები რენტის მომცემ მიწებზე იმ ზომამდეც კი, როდესაც დამატებითი კაპი-

* 1894 წ. გამოცემაში — 1. რ ე ლ.

ტალი სრულიად აღარ იძლევა დამატებით მოგებას და მხოლოდ საშუალო მოგებას იძლევა. აქედან გამომდინარეობს, შემდეგ, რომ აქ დამატებითი მოგების ჯამი აკრზე უცვლელი რჩება, რაგინდ ძალიან კლებულობდეს დამატებითი მოგება აკრზე; ეს დაკლება ყოველთვის წონასწორდება აკრზე წარმოებული კვარტერების სათანადო გადიდებით. იმისათვის, რომ საშუალო წარმოების ფასმა აიწიოს საერთო წარმოების ფასის დონემდე (მაშასადამე, მაღწიოს 3 გირვ. სტერლინგს *B* მიწაზე), უნდა მოხდეს კაპიტალის ისეთი დამატებითი დახარჯვა, რომლის პროდუქტს უფრო მაღალი წარმოების ფასი ექნებოდა, ვიდრე 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობის მარეგულირებელი ფასია. მაგრამ ჩვენ დავინახავთ, რომ ესეც არაა კიდევ საკმარისი იმისათვის, რომ კვარტერის წარმოების ფასმა *B* მიწაზე აიწიოს 3 გირვ. სტერლინგს რაოდენობის საერთო წარმოების ფასის დონემდე.

ვიგულისხმობთ, რომ *B* მიწაზე წარმოებული იყო:

1) $3\frac{1}{2}$ კვარტერი, რომლის წარმოების ფასი უწინდებურად უდრის 6 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, ორი კაპიტალდანახარჯი, თითო $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ამასთან ორივე ეს დანახარჯი დამატებით, მაგრამ კლებადი სიმაღლის მოგებას წარმოშობს.

2) 1 კვარტერი 3 გირვ. სტერლინგად; კაპიტალდანახარჯი, სადაც ინდივიდუალური წარმოების ფასი მარეგულირებელი წარმოების ფასის ტოლი იქნებოდა.

3) 1 კვარტერი 4 გირვ. სტერლინგად; კაპიტალდანახარჯი, სადაც ინდივიდუალური წარმოების ფასი მარეგულირებელ ფასზე 25%-ით * მეტი იქნებოდა.

მაშინ ჩვენ გვექნებოდა $5\frac{1}{2}$ კვარტერი აკრზე 13 გირვ. სტერლინგად, $10\frac{5}{6}$ ** გირვ. სტერლინგი კაპიტალის დახარჯვისას; თავდაპირველი კაპიტალდანახარჯი ოთხჯერ გაიზრდებოდა, მაგრამ პირველი კაპიტალდანახარჯის პროდუქტი სამჯერაც არ იქნებოდა გადიდებული.

$5\frac{1}{2}$ კვარტერი 13 გირვ. სტერლინგად იძლევა საშუალო წარმოების ფასს $2\frac{2}{11}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით კვარტერზე, მაშასადამე, 3 გირვ. სტერლ. მარეგულირებელი წარმოების ფასის არსებობისას იძლევა $\frac{7}{11}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის ნამეტს კვარტერზე; იგი შეიძლება რენტად გადაიქცეს. $5\frac{1}{2}$ კვარტერი 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობის მარეგულირებელი ფასის კვალობაზე გაყიდვისას იძლევა $16\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს. 13 გირვ. სტერლ. წარმოე-

* — 4 გირ. სტერლინგიდან. რ ე დ.

** 1894 წ. გამოცემაში — 10. რ ე დ.

ბის ფასის გამოკლებების შემდეგ რჩება $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. დამატებითი მოგება ანუ რენტა; ეს $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგთ, თუ B -ს კვარტერს ახლანდელი საშუალო წარმოების ფასის მიხედვით ვიანგარიშებთ, ე. ი. $2\frac{1}{11}$ გირვ. სტერლინგად კვარტერს, ახლა $1\frac{5}{72}$ * კვარტერის წარმომადგენელია. ფულადი რენტა დაიწვედა 1 გირვ. სტერლინგით, რენტა ხორბლად — დაახლოებით $\frac{1}{2}$ კვარტერით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე დამატებითი კაპიტალდანახარჯი B -ზე არათუ არ აწარმოებს დამატებით მოგებას, არამედ საშუალო მოგებაზე ნაკლებს იძლევა, დამატებითი მოგება და რენტა უწინდებურად მიიღება. თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ, 3) კაპიტალდანახარჯის გარდა. 2) დანახარჯიც იმ ფასად აწარმოებს, რომელიც მარეგულირებელ წარმოების ფასს აღემატება, მაშინ მთელი წარმოება იქნება: $3\frac{1}{2}$ კვარტერი 6 გირვ. სტერლინგისა + 2 კვარტერი 8 გირვ. სტერლინგისა, ანუ $5\frac{1}{2}$ კვარტერი 14 გირვ. სტერლინგისა, რომელიც შეადგენს წარმოების ფასს. კვარტერის საშუალო წარმოების ფასი $2\frac{6}{11}$ გირვ. სტერლ. ტოლი იქნებოდა, რაც დატოვებდა $\frac{5}{11}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის ნამეტს. თითო 3 გირვ. სტერლინგად გაყიდული ეს $5\frac{1}{2}$ კვარტერი იძლევა $16\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს; 14 გირვ. სტერლ. წარმოების ფასის გამოკლებების შემდეგ რჩება $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. რენტა. ახლანდელი საშუალო წარმოების ფასის მიხედვით ეს შეადგენდა B მიწაზე $\frac{55}{56}$ კვარტერს. მაშასადამე, რენტა კიდევ მიიღება, თუმცა ნაკლები, ვიდრე წინათ.

ყოველ შემთხვევაში ეს გვიჩვენებს, რომ უკეთეს მიწის ნაკვეთებზე, სადაც გაწეულია ისეთი დამატებითი კაპიტალდანახარჯი, რომლის პროდუქტი მარეგულირებელ წარმოების ფასზე მეტი ღირს, რენტა — ყოველ შემთხვევაში პრაქტიკულად დასაწევებ ფარგლებში — კი არ უნდა გაქრეს, არამედ მხოლოდ უნდა შემცირდეს, ერთი მხრივ, იმ სათანადო ნაწილის შესაბამისად, რასაც ეს ნაკლები მწარმოებლობის მქონე კაპიტალი შეადგენს მთელ კაპიტალდანახარჯში, და მეორე მხრივ — მისი მწარმოებლობის დაკლების შესაბამისად. ასეთი კაპიტალის პროდუქტის საშუალო ფასი მაინც მარეგულირებელ ფასზე ნაკლები იქნებოდა და ამიტომ მაინც დარჩებოდა დამატებითი მოგება, რომელიც შეიძლებოდა რენტად გადაქცეულიყო.

ვიგულისხმობთ ახლა, რომ B -ს კვარტერის საშუალო ფასი ემთხვევა ხაერითო წარმოების ფასს, რაც წარმომდგარია იმის შედეგად, რომ

* უნდა იყოს $1\frac{55}{56}$. რ ე დ.

თანმიმდევრობით დაიხარჯა ოთხი კაპიტალი ($2\frac{1}{2}$, $2\frac{1}{2}$, 5 და 5 გირგ. სტერლინგი) კლებადი მწარმოებლობით:

კაპიტალი გირგ. სტერ.	მოგება გირგ. სტერ.	პროდუქტები კვარტერით	წარმოების ფასი		გასაყიდი ფასი კვარ- ტერზე გირგ. სტერ.	გამოსავალი გირგ. სტერ.	დამატება რენტისათვის		
			კვარტ-რზე გირგ. სტერ.	სულ. გირგ. სტერლ.			კვარ- ტერი	გირგ. სტერლ.	
1)	$2\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	2	$1\frac{1}{2}$	3	3	6	1	3
2)	$2\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$	2	3	3	$4\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$
3)	5	1	$1\frac{1}{2}$	4	6	3	$4\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$	$-1\frac{1}{2}$
4)	5	1	1	6	6	3	3	-1	-3
	15	3	6	—	18	—	18	0	0

აქ მოიჯარე ყიდის კვარტერებს მთელ რიცხვს კვარტერის საშუ-
ალო წარმოების ფასის მიხედვით, რომელიც ემთხვევა მარეგული-
რებელ ფასს 3 გირგ. სტერლინგის რაოდენობით. ამიტომ იგი თავის
15 გირგ. სტერლ. კაპიტალზე უწინდებურად იღებს 20% მოგებას,
რაც შეადგენს 3 გირგ. სტერლინგს. მაგრამ რენტა გაქრა. სად წავიდა
ნამეტი თვითიული კვარტერის ინდივიდუალური წარმოების ფასე-
ბის საერთო წარმოების ფასთან ამ გათანაბოლებისას?

დამატებითი მოგება პირველ $2\frac{1}{2}$ გირგ. სტერლინგზე შეადგენდა
3 გირგ. სტერლინგს: მეორე $2\frac{1}{2}$ გირგ. სტერლინგზე იგი უდრიდა
 $1\frac{1}{2}$ გირგ. სტერლინგს; საერთოდ დამატებითი მოგება ავანსებული
კაპიტალის $\frac{1}{3}$ -ზე, ე. ი. 5 გირგ. სტერლინგზე, უდრიდა $4\frac{1}{2}$ გირგ.
სტერლ. = 90%.

მესამე კაპიტალდამანდებისას 5 გირგ. სტერლინგი არათუ დამა-
ტებით მოგებას არ იძლევა, არამედ საერთო წარმოების ფასში გა-
ყიდვისას, მისი პროდუქტი $1\frac{1}{2}$ კვარტერის რაოდენობით იძლევა
მინუსს $1\frac{1}{2}$ გირგ. სტერლინგის რაოდენობით. დასასრულ, მეოთხე
კაპიტალდამანდებისას ასევე 5 გირგ. სტერლინგის ოდენობით მისი
პროდუქტი 1 კვარტერის ოდენობით, საერთო წარმოების ფასის
მიხედვით გაყიდული, იძლევა მინუსს 3 გირგ. სტერლინგის რაოდე-
ნობით. მაშასადამე, ერთად აღებული ორივე კაპიტალდანახარჯი
იძლევა მინუსს $4\frac{1}{2}$ გირგ. სტერლინგის რაოდენობით, რომელიც უდ-
რის $4\frac{1}{2}$ გირგ. სტერლ. დამატებით მოგებას, რაც მიღებულ იქნა
პირველი და მეორე კაპიტალდანახარჯით.

დამატებითი მოგება და მინუსი-მოგება სპობს ერთიმეორეს. ამიტომ რენტა ქრება. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ იმიტომაც შესაძლებელი, რომ ზედმეტი ღირებულების ის ელემენტები, რომლებიც წინათ დამატებით მოგებას ანუ რენტას შეადგენდნენ, ახლა საშუალო მოგების შედგენაში შედიან. ფერმერი იღებს რენტის ზარჯზე ამ საშუალო მოგებას 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობით 15 გირვ. სტერლინგზე, ანუ 20%.

B-ს ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასის გათანაბრება A-ს საერთო, ბაზრის მარეგულირებელ. წარმოების ფასთან გულისხმობს, რომ ის სხვაობა, რომლის ოდენობითაც პირველ კაპიტალ-დანახარჯთა პროდუქტის ინდივიდუალური ფასი მარეგულირებელ ფასზე დაბლა დგას, სულ უფრო წონასწორდება და ბოლოს მთლად ქრება იმ სხვაობით, რომლის ოდენობითაც შემდგომ კაპიტალდანახარჯთა პროდუქტის ინდივიდუალური ფასი აღემატება მარეგულირებელ ფასს. ამრიგად, ის, რაც დამატებით მოგებად წარმოგვიდგება, სანამ პირველ კაპიტალდანახარჯთა პროდუქტი გაიყიდებოდეს განცალკევებით, თანდათან იქცევა საშუალო წარმოების ფასის ნაწილად და მასთან ერთად შედის საშუალო მოგების შედგენაში, ვიდრე, ბოლოს, ეს უკანასკნელი მას მთლიანად არ შეიწოვს.

B-ზე 15 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვის ნაცვლად, ამ მიწაზე მხოლოდ 5 გირვ. სტერლინგი რომ დახარჯულიყო, და უკანასკნელ ცხრილში დამატებითი $2\frac{1}{2}$ კვარტერი ამით ყოფილიყო წარმოებული ისე, რომ A მიწის $2\frac{1}{2}$ აკრი ახლად დამუშავებულიყო აკრზე $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვით, მაშინ დახარჯული დამატებითი კაპიტალი მხოლოდ $6\frac{1}{4}$ გირვ. სტერლინგი იქნებოდა, მაშასადამე, მთელი დანახარჯი A-ზე და B-ზე ამ 6 კვარტერის საწარმოებლად შეადგენდა მხოლოდ $11\frac{1}{4}$ გირვ. სტერლინგს 15 გირვ. სტერლინგის ნაცვლად, და მათი მთელი წარმოების ფასი, მოგების ჩათვლით, $13\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი იქნებოდა. ეს 6 კვარტერი უწინდებურად გაიყიდებოდა 18 გირვ. სტერლინგად, მაგრამ კაპიტალდანახარჯი დაიკლებდა $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგით, და რენტა B-ზე უწინდებურად იქნებოდა $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი აკრზე. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, დამატებითი $2\frac{1}{2}$ კვარტერის საწარმოებლად A-ზე უფრო ცუდი მიწა, A — 1, A — 2 რომ ყოფილიყო აღებული, ასე რომ კვარტერის წარმოების ფასი $1\frac{1}{2}$ კვარტერისათვის A — 1 მიწაზე იქნებოდა 4 გირვ. სტერლინგი, ხოლო უკანასკნელი კვარტერისათვის A — 2 მიწაზე — 6 გირვ. სტერლინგი. ამ შემთხვევაში 6 გირვ. სტერლინგი იქნებოდა მარეგულირებელი წარმოების ფასი კვარტერზე. B-ს $3\frac{1}{2}$

კვარტერი გაიყიდებოდა 21 გირვ. სტერლინგად $10\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის ნაცვლად, რაც მოიტანდა 15 გირვ. სტერლ. რენტას $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის ნაცვლად, და $1\frac{1}{2}$ კვარტერის ნაცვლად $2\frac{1}{2}$ კვარტერ რენტას ხორბლის სახით. ასევე A ერთი კვარტერი ახლა მოგვეცემდა 3 გირვ. სტერლ. რენტას = $\frac{1}{2}$ კვარტერს.

ვიღრე ამ პუნქტს უფრო დაწვრილებით შეეცხებოდეთ, კიდევ ერთი შენიშვნა.

B-ს კვარტერის საშუალო ფასი გაუთანაბრობდება, დაემთხვევა A-ს მიერ რეგულირებულ კვარტერის საერთო წარმოების ფასს 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობით კვარტერზე, როგორც კი მთელი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც გადანამეტ $1\frac{1}{2}$ კვარტერს აწარმოებს, გაწონასწორდება მთელი კაპიტალის იმ ნაწილით, რომელიც $1\frac{1}{2}$ კვარტერით ნაკლებს აწარმოებს. თუ რამდენად ჩქარა მოხდება ფასების ეს გათანაბრება, ან თუ რა დიდი იქნება არასაკმარისი მწარმოებლური ძალის მქონე ის კაპიტალი, რომელიც ამისთვის უნდა დაიხარჯოს B-ზე, ეს, პირველ კაპიტალდანახარჯთა დამატებითი მწარმოებლური ძალის არსებობისას, დამოკიდებულია შემდგომ კაპიტალდანახარჯთა შეფარდებითად არასაკმარის მწარმოებლურ ძალაზე, — არასაკმარისზე შედარებით თანატოლი კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობასთან უცუდეს მარეგულირებელ მიწაზე, ანუ ამ შემდგომი დანახარჯის პროდუქტის ინდივიდუალურ წარმოების ფასზე, მარეგულირებელ ფასთან შედარებით.

ზემონათქვამიდან უწინარეს ყოვლისა გამომდინარეობს შემდეგი:

პირველი. სანამ დამატებითი კაპიტალები ერთსა და იმავე მიწაზე იხარჯება თუმცა კლებადი, მაგრამ დამატებითი მწარმოებლობით, — როგორც ხორბლით გამოსახული რენტა, ისე ფულადი რენტა აბსოლუტურად იზრდება, თუმცა იგი შეფარდებით, ავანსებულ კაპიტალთან შედარებით (მასშადად, დამატებითი მოგების ანუ რენტის ნორმა), კლებულობს. საზღვარს აქ ის დამატებითი კაპიტალი შეადგენს, რომელიც მხოლოდ საშუალო მოგებას იძლევა, ანუ რომლის პროდუქტის ინდივიდუალური წარმოების ფასი ემთხვევა საერთო წარმოების ფასს. წარმოების ფასი ამ პირობებში უცვლელი რჩება, თუ უცუდეს მიწებზე წარმოება გადიდებული მიწოდების გამო ზედმეტი არ გახდა. კლებადი ფასების დროსაც კი ამ დამატებით კაპიტალებს განსაზღვრულ პირობებში კიდევ შეუძლიათ დამატებითი მოგების წარმოება, თუმცა ნაკლები ოდენობით.

მეორე. იმ დამატებითი კაპიტალის დახარჯვა, რომელიც მხო-

ლოდ საშუალო მოგებას აწარმოებს და რომლის დამატებითი მწარმოებლობა, მაშასადამე, O -ს უღრის, არაფერს არ ცვლის შექმნილი დამატებითი მოგების და, ამიტომ, აგრეთვე რენტის სიმაღლეში. ამის გამო უკეთეს მიწებზე კვარტერის ინდივიდუალური საშუალო ფასი იზრდება, ნამუქტი, რომელიც კვარტერიდან მიიღება, მცირდება, მაგრამ კვარტერების რიცხვი, რომლებიც ამ შემცირებულ ნამუქს იძლევიან, დიდდება, ასე რომ ნამრავლი უცვლელი რჩება.

მესამე. დამატებითი კაპიტალდანახარჯი, რომლის პროდუქტის ინდივიდუალური წარმოების ფასი აღემატება მარეგულირებელ ფასს, მაშასადამე, რომლის დამატებითი მწარმოებლობა არა მარტო უღრის O -ს, არამედ ნულზე ნაკლებია, წარმოადგენს მინუსს, ე. ი. ნაკლებია, ვიდრე მარეგულირებელ მიწა A -ზე კაპიტალდანახარჯის მწარმოებლობა; ასეთი დამატებითი დანახარჯი სულ უფრო აახლოებს უკეთესი მიწის მთელი პროდუქტის ინდივიდუალურ საშუალო ფასს საერთო წარმოების ფასთან, მაშასადამე, სულ უფრო ამცირებს სხვაობას ორივეს შორის, იმ სხვაობას, რომელიც დამატებით მოგებას, შესაბამისად, რენტას შეადგენს. სულ უფრო დიდი ნაწილი იმისა, რაც წინათ დამატებით მოგებას ანუ რენტას წარმოქმნიდა, შედის საშუალო მოგების წარმოქმნაში. მაგრამ მაინც B მიწის აკრზე დახარჯული მთელი კაპიტალი განაგრძობს დამატებითი მოგების მოცემას, თუშცა ეს მოგება კლებულობს არასაკმარისი მწარმოებლობის მქონე კაპიტალის მასის მატებასთან ერთად და ამ არასაკმარისი მწარმოებლობის ხარისხის გადიდებასთან ერთად. კაპიტალის ზრდისას და წარმოების გადიდებასას, აკრზე მიღებული რენტა კლებულობს აბსოლუტურად, და არა მხოლოდ შეფარდებით, დახარჯული კაპიტალის მზარდ სიდიდესთან შედარებით, როგორც მეორე შემთხვევაში.

რენტა შეიძლება გაქრეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკეთესი მიწა B -ს მთელი პროდუქტის ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასი დაემთხვევა მარეგულირებელ ფასს, მაშასადამე, თუ კაპიტალის პირველ, უფრო მწარმოებლურ დანახარჯთა მთელი დამატებითი მოგება საშუალო მოგების წარმოქმნაზე წავა.

მინიმალურ საზღვარს აკრზე რენტის შემცირებისათვის წარმოადგენს ის პუნქტი, სადაც იგი ქრება. მაგრამ ეს პუნქტი წარმოადგება არა უშუალოდ მას შემდეგ, როდესაც დამატებითი კაპიტალდანახარჯი იწყებს არასაკმარისი მწარმოებლური ძალით წარმოებას, არამედ მას შემდეგ, როდესაც არასაკმარისი მწარმოებლობის კაპიტალდანახარჯი ისეთი ოდენობის ხდება, რომ მისი გავლენა სპობს პირველ კაპიტალდანახარჯის ჭარბ მწარმოებლობას, და მთელი დახარჯული კაპიტალის 22. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

მწარმოებლობა უთანატოლდება *A*-ზე დახარჯული კაპიტალის მწარმოებლობას და ამიტომ *B*-ს კვარტერის ინდივიდუალური საშუალო ფასი უთანატოლდება *A*-ს კვარტერის ინდივიდუალურ საშუალო ფასს.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც კვარტერის წარმოების ფასი, 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, არ შეიცვლებოდა, თუმცა რენტა გაქრებოდა. მხოლოდ ამ საზღვრის გადაცილების შემდეგ უნდა აწეულიყო წარმოების ფასი, მოხდებოდა ეს დამატებითი კაპიტალის არასაკმარისი მწარმოებლობის ხარისხის გადიდების გამო, თუ თვით იმავე არასაკმარისი მწარმოებლობის პირობებში მოქმედი დამატებითი კაპიტალის ოდენობის გადიდების გამო. მაგალითად, ზემოთ 334 გვერდზე, აღნიშნულ ცხრილში რომ იმავე მიწაზე 4 გირვ. სტერლინგად $2\frac{1}{2}$ კვარტერი ყოფილიყო წარმოებული $1\frac{1}{2}$ კვარტერის ნაცვლად, მაშინ ჩვენ გვექნებოდა საერთოდ 7 კვარტერი, რომლის მთელი წარმოების ფასი იქნებოდა 22 გირვ. სტერლინგი. კვარტერი ეღირებოდა $3\frac{1}{7}$ გირვ. სტერლ., ე. ი. ეღირებოდა $\frac{1}{7}$ გირვ. სტერლინგით მეტი საერთო წარმოების ფასზე, რომელიც ამიტომ უნდა აწეულიყო.

ამრიგად, კიდევ დიდხანს იქნებოდა შესაძლებელი დამატებითი კაპიტალის ხარჯვა არასაკმარისი მწარმოებლობით, და მატებადი ხარისხის არასაკმარისი მწარმოებლობითაც კი, უკეთეს მიწის ნაკვეთებზე, სანამ კვარტერის ინდივიდუალური საშუალო ფასი არ გაუთანატოლდებოდა საერთო წარმოების ფასს, მთლიანად არ გაქრებოდა უკანასკნელის ნამეტი პირველთან შედარებით და მასთან ერთად დამატებითი შოგება და რენტა.

ამ შემთხვევაშიც კი უკეთესი ხარისხის მიწებზე რენტის გაქრობასთან ერთად მათი პროდუქტის ინდივიდუალური საშუალო ფასი მარტოოდენ დაემთხვეოდა საერთო წარმოების ფასს, მაშასადამე, კიდევ არ იქნებოდა საჭირო ამ უკანასკნელის აწევა.

ზემოაღნიშნულ მაგალითში უკეთეს *B* მიწაზე, რომელსაც მაინც უკანასკნელი ადგილი უჭირავს უკეთესი ანუ რენტის მომცემი მიწების მწკრივში, $3\frac{1}{2}$ კვარტერი იწარმოება 5 გირვ. სტერლ. კაპიტალით, რომელსაც დამატებითი მწარმოებლობა აქვს, და $2\frac{1}{2}$ კვარტერი იწარმოება 10 გირვ. სტერლ. კაპიტალით, რომელსაც არასაკმარისი მწარმოებლობა აქვს, სულ 6 კვარტერი; მაშასადამე, ამ რაოდენობის $\frac{5}{12}$ იწარმოება კაპიტალის უკანასკნელი ნაწილებით, რომლებიც იხარჯება არასაკმარისი მწარმოებლობით. და მხოლოდ ამ პუნქტზე 6 კვარტერის ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასი აღის 3 გირვ. სტერლინგამდე კვარტერისათვის, მაშასადამე, ემთხვევა საერთო წარმოების ფასს.

მაგრამ მიწის საკუთრების კანონის არსებობისას უკანასკნელი $2\frac{1}{2}$ კვარტერი ვერ იწარმოებოდა ამ წესით თითო 3 გირვ. სტერლინგად, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ისინი შეიძლებოდა ეწარმოებინათ A მიწის ახალ $2\frac{1}{2}$ აკრზე. შემთხვევა, როდესაც დამატებითი კაპიტალი მხოლოდდა საერთო წარმოების ფასის მიხედვით აწარმოებს, იქნებოდა ის საზღვარი, რომლის შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო დამატებითი კაპიტალის ხარჯვა ერთსა და იმავე მიწაზე.

მართლაც, რაკი მოიჯარეს ორი პირველი კაპიტალდანახარჯისათვის $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. რენტა აქვს გადასახდელი, მან უნდა განაგრძოს მისი გადახდა, და ყოველი კაპიტალდანახარჯი, რომელიც კვარტერს 3 გირვ. სტერლინგზე უფრო ძვირად * აწარმოებდა, გამოიწვევდა მისი მოგების შემცირებას. ეს ხელს უშლის არასაკმარისი მწარმოებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური საშუალო ფასის გათანაბრებას.

ავიღოთ ეს შემთხვევა წინა მაგალითში, სადაც მიწის წარმოების ფასი 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობით კვარტერისათვის არეგულირებს ფასს B მიწისათვის.

კაპიტალ- გირვ. სტერ.	მოგება გირვ. სტერ.	წარმოებ- დასა გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერ- ბით	წარმოებ.ს დასა კვარ- ტერზე გირვ. სტერლ.	გასყავდი ფასი		დამატ- ებითი მოგება გირვ. სტერლ.	ზარალი გირვ. სტერლ.
					კვარტერზე გირვ. სტერ.	სულ გირვ. სტერლ.		
$2\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$	3	2	$1\frac{1}{2}$	3	6	3	—
$2\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$	3	$1\frac{1}{2}$	2	3	$4\frac{1}{2}$	$1\frac{1}{2}$	—
5	1	6	$1\frac{1}{2}$	4**	3	$4\frac{1}{2}$	—	$1\frac{1}{2}$
5	1	6	1	6	3	3	—	3
15	3	18	—	—	—	18	$4\frac{1}{2}$	$4\frac{1}{2}$

$3\frac{1}{2}$ კვარტერის წარმოების ფასი ორი პირველი კაპიტალდანახარჯის დროს შეადგენს მოიჯარესათვის აგრეთვე 3 გირვ. სტერლინგს კვარტერზე, რადგან მან $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. რენტა უნდა გადაიხადოს, როცა, მაშასადამე, სხვაობა მის ინდივიდუალურ წარმოების ფასსა და საერთო წარმოების ფასს შორის მის ჯიბეში არ ჩადის. მაშასადამე, ორი პირველი კაპიტალდანახარჯის პროდუქტის ფასის ნამეტი ვერ აუნაზ-

* 1894 წლის გამოცემაში — უფრო დაბლა რ ე დ.

** იქვე — 3. რ ე დ.

დაურებს მას მესამე და მეოთხე კაპიტალდანახარჯის პროდუქტებში მიღებულ დეფიციტს.

კაპიტალის მესამე დახარჯვით მიღებული $1\frac{1}{2}$ კვარტერი მოიჯარეს ულირს, მოგების ჩათვლით, 6 გირვ. სტერლინგი; მაგრამ მათი გაყიდვა, კვარტერზე 3 გირვ. სტერლინგის რაოდენობის მარეგულირებელი ფასის არსებობისას, მას შეუძლია მხოლოდ $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგად; მაშასადამე, იგი დაკარგავდა არა მარტო მთელ მოგებას, არამედ, გარდა ამისა, $\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგს ანუ 10%-ს 5 გირვ. სტერლინგის რაოდენობით დახარჯული კაპიტალიდან. მისი დანაკარგი მოგებისა და კაპიტალის მხრივ იქნებოდა კაპიტალის მესამე დახარჯვისას $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი, ხოლო კაპიტალის მეოთხე დახარჯვისას 3 გირვ. სტერლ., სულ $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ., — სწორედ იმდენი, რამდენსაც შეადგენს რენტა კაპიტალის უფრო უკეთესი კაპიტალდამანდებისათვის; რენტა ამ უკეთესად დამანდებული კაპიტალისათვის სწორედ იმიტომ ვერ ახდენს გამათანაბრებელ გავლენას B-ს მთელი პროდუქტის ინდივიდუალურ საშუალო წარმოების ფასზე, რომ მისი ნამეტი მესამე პირს უნდა გადაუხადონ რენტის სახით.

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რომ საჭირო გამხდარიყო დამატებითი $1\frac{1}{2}$ კვარტერის წარმოება მესამე კაპიტალდანახარჯით, მაშინ მარეგულირებელი საბაზრო ფასი კვარტერზე უნდა აწეულიყო 4 გირვ. სტერლინგამდე. მარეგულირებელი საბაზრო ფასის ამ გაძვირების გამო რენტა B მიწაზე პირველი და მეორე კაპიტალდანახარჯისათვის აიწევდა, ხოლო A მიწაზე რენტა წარმოიქმნებოდა.

ამრიგად, თუმცა დიფერენციული რენტა მხოლოდ დამატებითი მოგების ფორმალური გადაქცევაა რენტად და თუმცა მიწის საკუთრება აქ შესაკუთრეს მხოლოდ იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ მოიჯაროს ხელიდან თავის ხელში გადაიტანოს დამატებითი მოგება, მაგრამ მაინც ამკარავდება, რომ თანმიმდევრული კაპიტალდამანდება ერთსა და იმავე მიწის ფართობზე ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, ერთსა და იმავე მიწის ფართობზე დახარჯული კაპიტალის გადიდება, კაპიტალის მწარმოებლობის კლებადი ნორმის არსებობისა და მარეგულირებელი ფასის უცვლელობის პირობებში, ბევრად უფრო ადრე პოულობს საზღვარს, აღწევს სინამდვილეში მეტნაკლებად ხელოვნურ ზღუდეს დამატებითი მოგების მარტოოდენ ფორმალური გადაქცევის გამო მიწის რენტად, რაც მიწის საკუთრების შედეგია. ამრიგად, საერთო წარმოების ფასის აწევა, რაც აქ, შედარებით ვიწრო ფარგლების არსებობისას, უფრო აუცილებელია, ვიდრე სხვა პირობებში იქნებოდა

საჭირო, შეადგენს არა მარტო დიფერენციული რენტის გადიდების მიზეზს, არამედ თვით არსებობა დიფერენციული რენტისა როგორც ასეთისა წარმოადგენს იმავე დროს წარმოების საერთო ფასის უფრო ადრე და უფრო სწრაფი გადიდების მიზეზს, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქტის გადიდებული მიწოდება, რომელიც აუცილებელი გახდა.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

დამატებითი კაპიტალდანახარჯი *B* მიწაზე ვერ გაადიდებდა მარგულირებელ ფასს 4 გირვ. სტერლინგამდე, როგორც ამას ადგილზე ჰქონდა ზემოთ, *A* მიწა მეორე კაპიტალდანახარჯის შედეგად დამატებით პროდუქტს 4 გირვ. სტერლინგზე უფრო იათად რომ იძლეოდეს, ან კონკურენციაში რომ მონაწილეობის მიღებას იწყებდეს ახალი, *A*-ზე უფრო ცუდი, მიწა, რომლის წარმოების ფასი თუმცა 3 გირვ. სტერლინგზე მეტი იქნებოდა, მაგრამ 4 გირვ. სტერლინგზე ნაკლები. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დიფერენციული რენტა I და დიფერენციული რენტა II, მაშინ როდესაც პირველი წარმოადგენს მეორის საფუძველს, იმავე დროს ორივე შეადგენს საზღვარს ერთიმეორისათვის, რის გამო ადგილი აქვს ხან კაპიტალის თანამიმდევრულ ხარჯვას ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, ხანაც კაპიტალის ხარჯვას ერთიმეორის გვერდით ახალ დამატებით მიწაზე. ორივე აღნიშნული რენტა ასევე ზღუდავს ერთიმეორეს სხვა შემთხვევებშიც, როცა, მაგალითად, ჯერი უკეთეს მიწაზე მიდგება.

თავი ოროცდაერთე

დიფერენციული ჩანტა დაგუზავებულ ხველაზე ცულ მიწაზე

ვიგულისხმობთ, რომ პურის მოთხოვნა მატულობს და რომ მიწოდება შეიძლება დაფარულ იქნეს რენტის მომცემ მიწებზე არასაკმარისი მწარმოებლობის მქონე თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯით. ან A მიწაზე დამატებითი — აგრეთვე კლებადი მწარმოებლობის მქონე — კაპიტალდანახარჯით, ანდა A -ზე უფრო ცუდი ხარისხის მიწებზე კაპიტალდანახარჯით.

ავიღოთ მიწა B როგორც რენტის მომცემი მიწებს წარმომადგენელი.

კაპიტალის დამატებითი დახარჯვა, რათა შესაძლებელი გახდეს B -ზე დამატებითი წარმოება 1 კვარტერის რაოდენობით (რომელიც აქ შეიძლება წარმოადგენდეს ერთ მილიონ კვარტერს, ისე როგორც თვითეული აკრი — ერთ მილიონ აკრს), მოითხოვს კვარტერის საბაზრო ფასის აწევას 3 გირვ. სტერლინგზე ზევით, რომელიც აქამდე მარეგულირებელ წარმოების ფასს შეადგენდა. შემდეგ, C -ზე და D -ზე და სხვ., უმაღლესი რენტის მომცემ მიწებზე, შესაძლებელია აგრეთვე მივიღოთ ზედმეტი პროდუქტი, მაგრამ — მხოლოდ კლებადი დამატებითი მწარმოებლური ძალით; მაგრამ, მაინც, აქ იგულისხმება, რომ B მიწის 1 კვარტერი საჭიროა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუ ეს ერთი კვარტერი უფრო იაფად შეიძლება წარმოებულ იქნეს დამატებითი კაპიტალით B -ზე, ვიდრე ტოლი დამატებითი კაპიტალით A -ზე, ან დაბლა ჩამოსვლით მიწა A — 1-ზე, რომელსაც კვარტერის წარმოება, მაგალითად, შეუძლია მხოლოდ 4 გირვ. სტერლინგად, მაშინ როდესაც დამატებითი კაპიტალი A -ზე უკვე $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგად შეძლებდა კვარტერის წარმოებას, მაშინ B -ზე დახარჯული დამატებითი კაპიტალი საბაზრო ფასის მარეგულირებელი იქნებოდა.

A-მ, ვთქვათ, უწინდებურად აწარმოვა 1 კვარტერი 3 გირვ. სტერლინგად. B-მაც უწინდებურად აწარმოვა სულ $3\frac{1}{2}$ კვარტერი, რომლის ინდივიდუალური ფასი საერთო ჯამში შეადგენს 6 გირვ. სტერლინგს. ახლა თუ B მიწაზე 4 გირვ. სტერლ. წარმოების ფასის დახარჯვაა (მოგების ჩათვლით) საჭირო, რათა წარმოებულ იქნეს ერთი ახალი კვარტერი, იმ დროს, როდესაც A-ზე მისი წარმოება $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგად შეიძლება, მაშინ, თავისთავად გასაგებია, ეს კვარტერი წარმოებულა იქნებოდა A-ზე და არა B-ზე. ამრიგად, ვიგულისხმობთ, რომ იგი შეიძლება წარმოებულ იქნეს $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. დამატებითი წარმოების ფასით B-ზე. ამ შემთხვევაში $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი იქნებოდა მარეგულირებელი ფასი მთელი წარმოებისათვის. მაშინ B თავის ახლანდელ $4\frac{1}{2}$ კვარტერ პროდუქტს $15\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგად გაუიღდა. აქედან პირველი $3\frac{1}{2}$ კვარტერის წარმოების ფასად მოდის 6 გირვ. სტერლინგი და უკანასკნელი კვარტერისათვის $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი, სულ $9\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი; რჩება რენტისათვის დამატებითი მოგება $6\frac{1}{4}$ გირვ. სტერლ., მაშინ როდესაც წინათ სულ $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი იყო. ამ შემთხვევაში A მიწის აკრიც მოგვეცემდა რენტას $\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მაგრამ $3\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. წარმოების ფასის მარეგულირებელი იქნებოდა არა უცუდეში მიწა A, არამედ უფრო კარგი მიწა B. ამასთან, რასაკვირველია, იგულისხმება, რომ A-ს ხარისხის ახალი მიწა ისეთივე ხელსაყრელი მდებარეობისაა, როგორც აქამდე დამუშავებული, ხელმოუწვდომელია, ასე რომ საჭირო იქნებოდა მეორე კაპიტალის დახარჯვა A-ს უკვე დამუშავებულ ფართობზე, მაგრამ — უფრო დიდი წარმოების ხარჯებით, ანდა უფრო ცუდ A — 1 მიწაზე გადასვლა. როგორც კი თანმიმდევრულ კაპიტალ-დანახარჯთა გზით მოქმედებას იწყებს დიფერენციული რენტა II, შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც მატებადი წარმოების ფასი რეგულირებული იქნება შედარებით უკეთესი მიწით, და უცუდეში მიწა, დიფერენციული რენტა I ზაზისი, მაშინ, თავის მხრივ, რენტის მოცემას დაიწყებს. ამრიგად, მაშინ მართო დიფერენციული რენტის არსებობის პირობებშიც ყველა დამუშავებული მიწა რენტის მომცემი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვეჩვენებოდა შემდეგი ორი ცხრილი, სადაც წარმოების ფასად იგულისხმება ავანსებული კაპიტალის ჯამი პლუს 20% მოგება, მათასადამე, ყოველ $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალზე $\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. მოგება, სულ 3 გირვ. სტერლინგი.

მიწის ხარისხი	აკრებთ	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერებ- ში	გასაყადი ფასი გირვ. სტერლ.	ფულადი გამოსავალი გირვ. სტერ.	რენტა ხორ- ბლად კვარ- ტერს	რენტა ფულად გირვ. სტერ.
A	1	3	1	3	3	0	0
B	1	6	3 ¹ / ₂	3	10 ¹ / ₂	1 ¹ / ₂	4 ¹ / ₂
C	1	6	5 ¹ / ₂	3	16 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	10 ¹ / ₂
D	1	6	7 ¹ / ₂	3	22 ¹ / ₂	5 ¹ / ₂	16 ¹ / ₂
ჯამი	4	21	17 ¹ / ₂	—	52 ¹ / ₂	10 ¹ / ₂	31 ¹ / ₂

ასეთია მდგომარეობა B-ზე ახალი კაპიტალის დახარჯვამდე 3¹/₂ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, რაც 1 კვარტერს იძლევა. ამ კაპიტალდანახარჯის შემდეგ საქმე ამგვარადაა:

მიწის ხარისხი	აკრები	წარმოების ფასი გირვ. სტერლ.	პროდუქტი კვარტერებ- ში	გასაყადი ფასი გირვ. სტერლ.	ფულადი გამოსავალი გირვ. სტერ.	რენტა ხორბლად კვარტერი	რენტა ფულად გირვ. სტერლ.
A	1	3	1	3 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	1/7	1/2
B	1	9 ¹ / ₂	4 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	15 ³ / ₄	11 ¹ / ₄	6 ¹ / ₄
C	1	6	5 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	19 ¹ / ₄	31 ¹ / ₄	13 ¹ / ₄
D	1	6	7 ¹ / ₂	3 ¹ / ₂	26 ¹ / ₄	51 ¹ / ₄	20 ¹ / ₄
ჯამი	4	24 ¹ / ₂	18 ¹ / ₂	—	64 ³ / ₄	11 ¹ / ₂	40 ¹ / ₄

ქვეც კვლავ არაა მთლად სწორად გამოანგარიშებული. მოიჯარეს ეს 4¹/₂ კვარტერი უღირს, ჯერ ერთი, 9¹/₂ გირვ. სტერლ. წარმოების ფასად და, მეორე, 4¹/₂ გირვ. სტერლ. რენტად, სულ 14 გირვ. სტერლინგად, საშუალოდ კვარტერზე უღირს 3¹/₈ გირვ. სტერლინგს. მისი მთელი წარმოების ეს საშუალო ფასი იქცევა ამგვარად მარეგულირებელ საბაზრო ფასად. ამიტომ A მიწაზე რენტა იქნებოდა 1/8 გირვ. სტერლინგი, 1/2 გირვ. სტერლინგის ნაცვლად, რენტა B-ზე კი უწინდებურად 4¹/₂ გირვ. სტერლ. დარჩებოდა; 4¹/₂ კვარტერი თითო 3¹/₈ გირვ. სტერლინგად უღირს 14 გირვ. სტერლინგს; აქედან 9¹/₂ გირვ. სტერლ. წარმოების ფასის გამოკლების შემდეგ რჩება დამატებითი

მოგებისათვის $4\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი. ამრიგად შესაცვლელი რიცხვების მოუხედავად, მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დიფერენციული რენტა II მეშვეობით შედარებით უკეთესი მიწა, რომელიც უკვე იძლევა რენტას, იქცეს ფასის მარეგულირებელ მიწად და ამით ყველა მიწა, მათ შორის ისიც, რომელიც აქამდე ურენტო იყო, იქცეს რენტის მომცემ მიწად. — ფ. ე.]

რენტამ ხორბლის სახით უნდა იმატოს, რაკი მარეგულირებელი წარმოების ფასი ხორბლისა მატულობს, ე. ი. რაკი მატულობს კვარტერი ხორბლის წარმოების ფასი მარეგულირებელ მიწაზე, ანუ მარეგულირებელი კაპიტალდანახარჯი ერთ-ერთ მიწაზე. ეს იგივეა, ყველა ხარისხის მიწა ნაკლებ ნაყოფიერი რომ გამხდარიყო და ყველა აწარმოებდეს, მაგალითად, $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალის ახალი დანახარჯით მხოლოდ $\frac{5}{7}$ კვარტერს 1 კვარტერის ნაცვლად. მთელი ის ნამეტი ხორბალი, რასაც ეს მიწები იმავე კაპიტალდანახარჯით აწარმოებს, იქცევა დამატებით პროდუქტად, რომლითაც გამოიხატება დამატებითი მოგება და, ამიტომ, რენტაც. თუ ვიგულისხმებთ, რომ მოგების ნორმა უცვლელი რჩება, მაშინ ფერმერს თავისი მოგებით პურის ნაკლები რაოდენობა შეუძლია იყიდოს. მოგების ნორმა შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ ხელფასმა არ აიწია, — ან იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ფიზიკურ მინიმუმზეა ჩამოყვანილი, ე. ი. სამუშაო ძალის ნორმალურ ღირებულებაზე დაბლა; ანდა იმიტომ, რომ შედარებით უფრო იაფი გახდა მუშების მოხმარების სხვა საგნები, რომლებსაც მანუფაქტურა იძლევა; ან იმიტომ, რომ სამუშაო ძლე გაგრძელებულია ან უფრო გაინტენსივებულია და ამიტომ მოგების ნორმა, რომელიც წარმოების არასამიწათმოქმედო დარგებში არსებობს, მაგრამ რომელიც სამიწათმოქმედო მოგებას არეგულირებს, უცვლელი დარჩა, თუკი მხოლოდ არ გადიდდა; ანდა იმიტომ, რომ თუმცა მიწათმოქმედებაში ისეთივე კაპიტალი იხარჯება, მაგრამ — მეტი მუდმივი კაპიტალი და ნაკლები ცვალებადი.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ პირველი წესი, რომლითაც შეიძლება წარმოიქმნას რენტა აქამდე უცუდეს A მიწაზე ისე, რომ კიდევ უფრო ცუდი მიწა არ დამუშავდეს. სახელდობრ, წარმოიქმნას ამ მიწის ინდივიდუალური, აქამდე მარეგულირებელი წარმოების ფასის სხვაობით იმ ახალ, უფრო მაღალ წარმოების ფასთან შედარებით, რა ფასადაც არასაკმარისი მწარმოებლობით უფრო კარგ მიწაზე დახარჯული, უკანასკნელი დამატებითი კაპიტალი იძლევა საჭირო დამატებით პროდუქტს.

დამატებითი პროდუქტის წარმოება რომ საჭირო გამხდარიყო. მიწა A — 1-ზე, რომელსაც მისი მოცემა მხოლოდ 4 გირვ. სტერლინგად შეუძლია, მაშინ A -ს რენტა აკრზე აიწვევდა 1 გირვ. სტერლინგამდე. მაგრამ ამ შემთხვევაში A — 1 მიწა გადაიწვევდა A მიწის ადგილას, როგორც უტუდესი დამუშავებული მიწა, და A მიწა შევიდოდა. როგორც უდაბლესი წევრი რენტის მომცემი მიწების მწკრივში. დიფერენციული რენტა I შეიცვლებოდა. ამრიგად, ეს შემთხვევა მდებარეობს დიფერენციული რენტა II ფარგლებს გარეთ, — იმ რენტისა, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ და რომელიც წარმოიქმნება ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე თანმიმდევრული კაპიტალდამანდების სხვადასხვა მწარმოებლობიდან.

მაგრამ, გარდა ამისა, დიფერენციული რენტა A მიწაზე შეიძლება წარმოიქმნას კიდევ ორგვარი წესით.

ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, როდესაც, უცვლელი ფასის არსებობისას, — როგორც არ უნდა იყოს ეს ფასი, თუგინდ დაწეულიც წინანდელთან შედარებით, — დამატებითი კაპიტალდამანახარჯი ქმნის დამატებით მწარმოებლობას, რასაც *prima facie* განსაზღვრულ წერტილამდე ყოველთვის ადგილი უნდა ჰქონდეს სწორედ უტუდეს მიწაზე.

მეორე, იმ შემთხვევაში, როდესაც A მიწაზე თანმიმდევრულ კაპიტალდამანახარჯთა მწარმოებლობა, პირიქით, კლებულობს.

ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ წარმოების გადიდება ნაკარნახევია მოთხოვნის მდგომარეობით.

მაგრამ აქ, დიფერენციული რენტის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიძნელე წარმოგვიდგება წინათ განმარტებულ კანონთან დაკავშირებით, რომლის თანახმად საერთო წარმოების ფასს მთელი პროდუქციისათვის (ანუ მთელი კაპიტალდამანახარჯისათვის) ყოველთვის კვარტერის ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასი განსაზღვრავს. მიწა A -სთვის ხომ, უკეთესი ხარისხის მიწებისაგან განსხვავებით, გარედან მოცემული არაა წარმოების ფასი, რომელიც ახალ კაპიტალდამანახარჯთათვის ზღუდავს ინდივიდუალური წარმოების ფასის საერთო წარმოების ფასთან გათანაბრებას. A მიწის ინდივიდუალური წარმოების ფასი ხომ სწორედ ის საერთო წარმოების ფასია, რომელიც არეგულირებს საბაზრო ფასს.

ვიგულისხმოთ:

1) მიწის 1 აკრზე, თანმიმდევრულ კაპიტალდამანახარჯთა კლებადი მწარმოებლობის არსებობისას, 5 გირვ. სტერლ. კაპიტალის ავანსად გაღებით, რაც 6 გირვ. სტერ-

ლინგ წარმოების ფასს შეესაბამება, შესაძლებელია, 2 კვარტერის ნაცვლად, 3 კვარტერი იქნეს წარმოებული. პირველი კაპიტალდანახარჯი $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით იძლევა 1 კვარტერს, მეორე — 2 კვარტერს. ამ შემთხვევაში 6 გირვ. სტერლინგის ოდენობის წარმოების ფასი იძლევა 3 კვარტერს, მაშასადამე, კვარტერი ეღირება საშუალოდ 2 გირვ. სტერლ.; ე. ი., თუ 3 კვარტერი გაიყიდა თითო 2 გირვ. სტერლინგად, A მიწა უწინდებულად არ მოგვეცემს რენტას, მაგრამ შეიცვლება მხოლოდ დიფერენციული რენტა II საფუძველი; მარეგულირებელი ფასი 3 გირვ. სტერლინგის ნაცვლად იქნება 2 გირვ. სტერლინგი; $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალი ახლა უცუდეს მიწაზე 1 კვარტერის ნაცვლად საშუალოდ აწარმოებს $1\frac{1}{2}$ კვარტერს, და ეს ახლა ოფიციალური ნაყოფიერებაა ყველა უფრო კარგი ხარისხის მიწებისათვის $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგის დახარჯვისას. ამის შემდეგ მათი წინანდელი დამატებითი პროდუქტის ნაწილი შედის მათი აუცილებელი პროდუქტის წარმოქმნაში, ისე როგორც მათი დამატებითი მოგების ნაწილი — საშუალო მოგების წარმოქმნაში.

თუ, პირიქით, ისე ვიანგარიშებთ, როგორც უკეთეს მიწებზე, სადაც საშუალო ანგარიში არაფერს არ ცვლის დამატებითი ნაწილის აპროდუქტურ სიდიდეში, იმიტომ რომ მათთვის კაპიტალდანახარჯის საზღვარი საერთო წარმოების ფასით არის მოცემული, მაშინ პირველი კაპიტალდანახარჯის 1 კვარტერი ღირს 3 გირვ. სტერლ., ხოლო მეორე დანახარჯის 2 კვარტერი თითო მხოლოდ $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლინგი. ამრიგად A-ზე წარმოიქმნებოდა რენტა ხორბლის სახით 1 კვარტერი და ფულადი რენტა 3 გირვ. სტერლ., მაგრამ ეს 3 კვარტერი გაიყიდებოდა ძველ ფასში, სულ 9 გირვ. სტერლინგად. თუ ადგილი ექნებოდა კიდევ მესამე $2\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. კაპიტალდანახარჯს ისეთივე ნაყოფიერებით, როგორც მეორესი, მაშინ წარმოებული იქნებოდა სულ 5 კვარტერა 9 გირვ. სტერლ. წარმოების ფასით. თუ A-ს ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასი მარეგულირებელი დარჩებოდა, კვარტერი ახლა $1\frac{1}{3}$ გირვ. სტერლინგად უნდა გაყიდულიყო. საშუალო ფასი კვლავ დაიწვედა არა მესამე კაპიტალდანახარჯის ნაყოფიერების ახალი აწვევის გამო, არამედ იმის გამო, რომ დახარჯულ იქნა დამატებითი კაპიტალი ისეთივე დამატებითი ნაყოფიერებით, როგორც მეორე. ნაცვლად იმისა, რომ გაედიდებიათ რენტა, როგორც ამას ადგილი ექნებოდა რენტის მომცემ მიწებზე, თანმიმდევრული კაპიტალდანახარჯი უფრო მაღალი, მაგრამ უცვლელი ნაყოფიერებისას, რომელიც

გაწეული იქნებოდა A მიწაზე, პროპორციულად შეამცირებდა წარმოების ფასს და მასთან ერთად, სხვა პირობების უცვლელობისას, დიფერენციულ რენტასაც ყველა სხვა ხარისხის მიწაზე. პირიქით, პირველი კაპიტალდანახარჯი, რომელიც 1 კვარტერს აწარმოებს 3 გირვ. სტერლ. წარმოების ფასად, რომ მარეგულირებლად დარჩენილიყო თავისდათავად, — 5 კვარტერი გაიყიდებოდა 15 გირვ. სტერლინგად, და შემდგომ კაპიტალდანახარჯთა დიფერენციული რენტა A მიწაზე 6 გირვ. სტერლინგი იქნებოდა. მეტი კაპიტალის მიმატება A -ს აკრისათვის, რა ფორმითაც არ უნდა მომხდარიყოს იგი, ამ შემთხვევაში იქნებოდა გაუმჯობესება, და ღამატებითი კაპიტალი კაპიტალის თავდაპირველი ნაწილის მწარმოებლობასაც გაადიდებდა. უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ კაპიტალის $\frac{1}{2}$ წარმოშობს 1 კვარტერს და დანარჩენი $\frac{2}{3}$ — 4 კვარტერსო. 9 გირვ. სტერლინგი აკრზე მიიყიდება 5 კვარტერს გამოიღებდა, მაშინ როდესაც 3 გირვ. სტერლინგი მხოლოდ 1 კვარტერს გამოიღებდა. წარმოიქმნებოდა აქ რენტა, ღამატებითი მოგება, თუ არა, — ეს სავსებით გარემოებებზე იქნებოდა დამოკიდებული. ნორმალურ მოვლენას თუ ავიღებთ, მარეგულირებელი ფაქტი უნდა დაწეულიყო. ეს ასე იქნება იმ პირობით, თუ A მიწაზე ამ გაუმჯობესებულ, მაგრამ გადიდებულ ხარჯებთან დაკავშირებულ დამუშავებას ადგილი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ასევე წარმოებს უკეთესი ხარისხის მიწების დამუშავებაც: მასასადამე, ხდება საერთო რევოლუცია მიწათმოქმედებაში; ასე რომ ახლა, როდესაც ლაპარაკია A მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებაზე, უკვე იგულისხმება, რომ ეს მიწა 3 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 6 ან 9 გირვ. სტერლინგის დახარჯვით დამუშავდება. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ შემთხვევაზე, როდესაც ასეთი მეთოდი გამოყენებული იქნებოდა A მიწის დამუშავებული აკრების უმრავლესობისათვის, რომელნიც მიწოდების მთავარ მასას იძლევიან ამა თუ იმ ქვეყანაში. მაგრამ თუ გაუმჯობესება ჯერ A მიწის ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხებოდა, მაშინ ეს უკეთ დამუშავებული ნაწილი ღამატებითი მოგების მომცემი გახდებოდა, და მიწათმოყვარეობის მამინვე შეეცდებოდა ეს მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ რენტად ექცია და მისთვის რენტის ფიქსაცია მიეცა. ამრიგად, თუ მოთხოვნა მზარდ მიწოდებას გაპყვებოდა კვალდაკვალ, მაშინ თანდათან, იმდენად, რამდენადაც A მიწის მთელი ფართობი თანდათან დაექვემდებარებოდა დამუშავების ახალ მეთოდს, შეიძლებოდა რენტა წარმოქმნილიყო A ხარისხის ყველა მიწაზე, და ღამატებითი მწარმოებლობა, მთლიანად ან ნაწილობრივ, ბაზრის პირო-

ბების მიხედვით, კონფისკებული აღმოჩნდებოდა. მაშასადამე A -ს წარმოების ფასის გათანაბრება გადიდებული კაპიტალდამანდებისას მიღებულ მისი პროდუქტის საშუალო ფასთან შეიძლებოდა დაბრკოლებულიყო ამ გადიდებული კაპიტალდანახარჯის დამატებითი მოგების ფიქსაციით რენტის ფორმაში. ამ შემთხვევაში კვლავ, ისე როგორც ეს ჩვენ უკვე დავინახეთ უკეთეს მიწებზე დამატებითი კაპიტალების კლებადი მწარმოებლური ძალის არსებობისას, დამატებითი მოგების გადაქცევა მიწის რენტად, ე. ი. მიწის საკუთრების ჩარევა საქმეში, მაღლა ასწევდა წარმოების ფასს, ასე რომ ლიფერენციული რენტა არ იქნებოდა მარტოოდენ ინდივიდუალურსა და საერთო წარმოების ფასს შორის არსებულ სხვაობათა შედეგი. ეს გარემოება ხელს შეუშლიდა A მიწისათვის ორივე ფასის დამთხვევას, იმიტომ რომ ხელს შეუშლიდა წარმოების ფასის რეგულირებას A -ს საშუალო წარმოების ფასით; მაშასადამე, იგი წარმოების ფასს გააჩერებდა უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე საჭიროა, და ამგვარად შექმნიდა რენტას. ასეთი შედეგი შეიძლება წარმომდგარიყო ან შენარჩუნებულები საზღვარგარეთიდან პურის თავისუფალი იმპორტის დროსაც კი, იმიტომ რომ იმ მიწისათვის, რომელიც, რენტის მოუცემლად, გაუძლებდა კონკურენციას პურის მოყვანაში მაშინაც, როცა წარმოების ფასი გარედან იქნებოდა განსაზღვრული, მოიჯარენი იძულებული გახდებოდნენ სხვა დანიშნულება მიეცათ, მაგალითად, საქონლის საძოვრად ექციათ, და ამგვარად პურის მოსაყვანად მხოლოდ რენტის მომცემი მიწებო იქნებოდა გამოყენებული, ე. ი. მხოლოდ ისეთი მიწები, რომელთა ინდივიდუალური საშუალო წარმოების ფასი კვარტერისათვის გარედან განსაზღვრულ წარმოების ფასზე დაბალი იქნებოდა. საერთოდ შეიძლება მივიღოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოების ფასი დაიწვეს, მაგრამ არა საშუალო ფასის დონემდე, და იქნება მასზე უფრო მაღლა, მაგრამ უცუდეხად დამუშავებული A მიწის წარმოების ფასზე დაბლა, ასე რომ ახალი A მიწის კონკურენცია შეიზღუდება.

2) დამატებითი კაპიტალების კლებადი მწარმოებლური ძალის არსებობისას.

ვიგულისხმობთ, რომ $A = 1$ მიწას შეუძლია დამატებითი კვარტერის წარმოება მხოლოდ 4 გირვ. სტერლინგად, ხოლო A მიწას — $3\frac{1}{2}$, ე. ი. უფრო იაფად, მაგრამ მისი პირველი კაპიტალდანახარჯი წარმოებულ კვარტერზე $\frac{1}{4}$ გირვ. სტერლინგით უფრო ძვირია. ამ შემთხ-

ვევაში A-ზე წარმოებული ორი კვარტერის მთელი ფასი იქნებოდა $6\frac{1}{4}$ გირვ. სტერლინგი; მაშასადამე, კვარტერის საშუალო ფასი = $3\frac{3}{8}$ გირვ. სტერლინგს. წარმოების ფასი აიწევდა, მაგრამ მხოლოდ $\frac{3}{8}$ გირვ. სტერლინგით, მაშინ როდესაც, დამატებითი კაპიტალი რომ დახარჯულიყო ახალ მიწაზე, რომელიც კვარტერს $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგად აწარმოებს, წარმოების ფასი აიწევდა კიდევ $\frac{3}{8}$ გირვ. სტერლინგით, ავიდოდა $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგამდე, და ეს გამოიწვევდა ყველა სხვა დიფერენციული რენტის გადიდებას.

A-ს წარმოების ფასი $3\frac{3}{8}$ სტერლინგის რაოდენობით კვარტერისათვის ამგვარად გაუთანაბრდებოდა ამ მიწის საშუალო წარმოების ფასს კაპიტალდანახარჯის გადიდებას და გახდებოდა მარეგულირებელი; მაშასადამე, აქ არ იქნებოდა რენტა, იმიტომ რომ არ იქნებოდა დამატებითი მოგება.

მაგრამ თუ მეორე კაპიტალდანახარჯით წარმოებული ეს კვარტერი $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგად გაიყიდებოდა, მაშინ მიწა A მოგვეცემდა $\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგ რენტას, და ამასთან მოგვეცემდა მას A-ს ყველა აკრზე, რომლებზედაც აღარ მოხდებოდა დამატებითი კაპიტალის დახარჯვა და რომელიც, მაშასადამე, კვარტერს უწინდებურად 3 გირვ. სტერლინგად აწარმოებენ. სანამ კიდევ არსებობს A-ს დაუმუშავებელი ნაკვეთები, ფასი შეიძლება მხოლოდ დროებით აწეულიყო $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგამდე. A-ს ახალი ნაკვეთების კონკურენცია წარმოების ფასს გააჩერებდა 3 გირვ. სტერლინგზე, ვიდრე მთლად არ ამოიწურებოდა მიწა A, რომლის ხელსაყრელი მდებარეობა შესაძლებლად ხდის კვარტერის წარმოებას $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგზე უფრო იაფად. ეს, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა მიწის მესაკუთრე, რაკი მიწის ერთი აკრი რენტას იძლევა, მეორე აკრს ურენტოდ არ დაუთმობს ფერმერს.

წარმოების ფასი საშუალო ფასთან გათანაბრდებდა თუ მეორე კაპიტალდანახარჯის $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის ინდივიდუალური წარმოების ფასი გახდება მარეგულირებელი, — ეს კვლავ დამოკიდებულია A მიწაზე მეორე კაპიტალდანახარჯის მეტნაკლებად საყოველთაო გავრცელებაზე. მარეგულირებელ ფასად $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, თუ მიწათმფლობელი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე მოასწრებს რენტის სახით იმ დამატებითი მოგების ფიქსაციას, რომელიც მიიღებოდა $3\frac{3}{4}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობის ფასით კვარტერზე.

ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების შესახებ თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთა შემთხვევაში იხილეთ ლიბიხის თხზულება. ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალდანახარჯთა დამატებითი მწარმოებლური ძალის თანმიმდევრული კლება ყოველთვის აღიღებს რენტას აკრზე, წარმოების ფასის უცვლელობისას, და რომ მას შეუძლია ეს გამოიწვიოს კლებადი წარმოების ფასის არსებობის დროსაც კი.

მაგრამ საერთოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

კაპიტალისტური წარმოების წესის თვალსაზრისით პროდუქტების შედარებითი გაძვირება ხდება ყოველთვის, თუ იმავე პროდუქტის მისაღებად განსაზღვრული დანახარჯი უნდა იქნეს გაწეული, თუ რაიმე უნდა იქნეს გადახდილი ისეთ რამეში, რასაც წინათ გადახდა არ სჭირდებოდა. იმიტომ რომ წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის ანაზღაურებად უნდა გვესმოდეს მხოლოდ ღირებულებათა ანაზღაურება, რომელიც წარმოების განსაზღვრული საშუალებებით გამოიხატებიან. ბუნების ელემენტები, რომლებიც წარმოებაში შედიან როგორც მისი აგენტები და არავითარ ხარჯებს არ მოითხოვენ, — ეს ელემენტები, რა როლსაც არ უნდა ასრულებდნენ ისინი წარმოებაში, მასში შედიან არა როგორც კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, არამედ როგორც კაპიტალის მუქთი ბუნებრივი ძალა, ე. ი. როგორც შრომის მუქთი ბუნებრივი მწარმოებლური ძალა, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისზე წარმოგვიდგება, მსგავსად ყოველი მწარმოებლური ძალისა, როგორც კაპიტალის მწარმოებლური ძალა. მაშასადამე, თუ წარმოებაში მონაწილეობას იღებს ისეთი ბუნებრივი ძალა, რომელიც თავდაპირველად არაფერი ღირდა, — იგი არ მიიღება ანგარიშში ფასის განსაზღვრისას, სანამ მისი დახმარებით დამზადებული პროდუქტი საკმარისია მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხოლო თუ განვითარების მსვლელობაში საჭირო გახდება მეტი პროდუქტი, ვიდრე შესაძლებელია დამზადდეს ამ ბუნებრივი ძალის დახმარებით, ე. ი. თუ ამ დამატებითი პროდუქტის წარმოება მოგვიხდება ამ ბუნებრივი ძალის დაუხმარებლად, ადამიანის შემწეობით, ადამიანის შრომის მეშვეობით, მაშინ კაპიტალში შევა ახალი დამატებითი ელემენტი. მაშასადამე, შედარებით მეტი კაპიტალის დახარჯვას ექნება ადგილი იმავე პროდუქტის მისაღებად. სხვა პირობების უცვლელობისას მოხდება წარმოების გაძვირება.

(რვეულიდან, რომელიც «დაწყებულია 1876 წლის თებერვლის შუა რიცხვებში»).

დიფერენციული რენტა და რენტა როგორც მიწაზე დაბანდებული კაპიტალის სარგებელი მხოლოდ.

ეგრეთწოდებული მუდმივი მელიორაცია, — რომელიც ცვლის მიწის ფიზიკურ და ნაწილობრივ ქიმიურ თვისებებს ისეთი ოპერაციებით, რაც კაპიტალის დახარჯვას იწვევს, და რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კაპიტალის დაბანდება მიწაზე, — ეს მელიორაცია თითქმის ყველა იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულ მიწის ნაკვეთს, მიწას განსაზღვრულ შეზღუდულ ადგილზე ისეთი თვისებები მიეცეს, რომლებიც მეორე ნიადაგს, სხვა ადგილას, ხშირად სულ მასლობლად მდებარეს, ბუნებრივად გააჩნია. ერთი მიწა ბუნებრივად არის ნიველირებული, მეორე მიწის ნიველირება უნდა მოხდეს; ერთს წყლის ბუნებრივი სადენი აქვს, მეორისათვის ხელოვნური დრენაჟია საჭირო; ერთს ბუნებით აქვს ღრმა სახნავი ფენა, მეორეზე იგი ხელოვნურად უნდა იქნეს გაღრმავებული; ერთ თიხნარ ნიადაგს ბუნებით შერეული აქვს ქვიშის სათანადო რაოდენობა, მეორეზე ეს პროპორცია ჯერ კიდევ ხელოვნურად უნდა შეიქმნას; ერთი მინდორი ბუნებრივად ირწყვოს ან ლამით არის დაფარული, მეორეზე კი ეს მიღწეული უნდა იქნეს შრომით ანუ, ბურჟუაზიული ეკონომიის ენით რომ ვთქვათ, კაპიტალის საშუალებით.

ჭეშმარიტად სასაცილოა ის თეორია, რომლის თანახმად ამ შემთხვევაში ერთ მიწაზე, რომლის შეღარებითი სარფიანობა მოპოვებულია, რენტა სარგებელია, მეორე მიწაზე კი, რომელსაც ბუნებით აქვს ეს უპირატესობა, არაა სარგებელი. (სინამდვილეში კი საკითხი მახინჯდება იმგვარად, რომ რაკი ერთ შემთხვევაში რენტა მართლა ემთხვევა სარგებელს, სხვა შემთხვევებშიც, როცა ფაქტურად ეს არ არის, მას სარგებელი უნდა ეწოდოს, სარგებლად უნდა იქნეს გასაღებული.) მაგრამ, მას შემდეგ, რაც კაპიტალის დახარჯვას ჰქონდა ადგილი, მიწა რენტას იძლევა არა იმიტომ, რომ მასზე კაპიტალი დაიხარჯა, არამედ იმიტომ, რომ კაპიტალის დახარჯვამ მიწა უფრო ნაყოფიერ სფეროდ აქცია კაპიტალდანახარისათვის წინანდელთან შედარებით. ვიგულისხმობთ, რომ განსაზღვრული ქვეყნის ყველა მიწა მოითხოვს კაპიტალის ასეთ დანახარჯს; ამ შემთხვევაში თვითუღმა მიწის ნაკვეთმა, რომელზედაც ამ დანახარჯს ჯერ კიდევ არ ჰქონებია ადგილი, უნდა განვლოს ეს სტადია, და რენტა (სარგებელი, რომელსაც ამ შემთხვევაში იძლევა მიწა), რაც იმ მიწას მოაქვს, რომელსაც უკვე ხვდა წილად ეს კაპი-

ტალდანახარჯი, ისევე ლიფერენციული რენტაა, თითქოს ამ მიწას ბუნებით ჰქონდეს ეს უპირატესობა, ხოლო სხვა მიწას იგი მარტოოდენ ხელოვნურად უნდა მოეპოვებინოს.

და ეს სარგებლამდე დაყვანილი რენტა წმინდა ლიფერენციული რენტა ხდება, როგორც კი დახარჯული კაპიტალის ამორტიზაცია დასრულდება. სხვაფრივ ერთსა და იმავე კაპიტალს როგორც კაპიტალს ორმაგად უნდა ეარსებნა.

ერთ-ერთი ყოველად კომიკური მოვლენა ისაა, რომ რიკარდოს ყველა ის მოწინააღმდეგენი, რომელნიც უარყოფენ ღირებულების განსაზღვრას მხოლოდ და მხოლოდ შრომით, მიწის სხვადასხვაობიდან გამომდინარე ლიფერენციული რენტის შესახებ ხაზს უსვამენ, რომ აქ ღირებულების განსაზღვრელია ბუნება და არა შრომაო, და ამავე დროს ისინი ამ განსაზღვრას მიაწერენ ადგილმდებარეობას ან — კიდევ უფრო მეტად — დამუშავებისას მიწაში მოთავსებული კაპიტალის სარგებელს. ერთი და იგივე შრომა თანაბარ ღირებულებას წარმოშობს მოცემული დროის განმავლობაში შექმნილი პროდუქტისათვის; მაგრამ ამ პროდუქტის სიდიდე ანუ რაოდენობა და, მაშასადამე, ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც ამ პროდუქტის ჯერად ნაწილზე მოდის, შრომის მოცემული რაოდენობის დროს, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტის რაოდენობაზე, და ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის მოცემული რაოდენობის ნაყოფიერებაზე და არა ამ რაოდენობის სიდიდეზე. ბუნების წყალობითაა ეს ნაყოფიერება წარმომდგარი თუ საზოგადოებისა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ეს ნაყოფიერება შრომის, მაშასადამე, კაპიტალის შედეგია, იგი აღიღებს წარმოების ფასს ახალი შემადგენელი ნაწილით, რასაც ბუნება თავისდათავად არ აკეთებს.

თავი ორმოცდამეხუთე

აბსოლუტური მიწის რენტა

დიფერენციული რენტის ანალიზის დროს ჩვენ იმ წინამძღვარიდან გამოვდივართ, რომ უცუდესი მიწა მიწის რენტას არ იხდის ანუ, თუ უფრო ზოგადად გამოვთქვამთ, მიწის რენტას მხოლოდ ისეთი მიწა იხდის, რომლის პროდუქტის ინდივიდუალური წარმოების ფასი ბაზრის მარეგულირებელ წარმოების ფასზე დაბლა დგას, ასე რომ ამ გზით წარმოიქმნება დამატებითი მოგება, რომელიც გადაიქცევა რენტად. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნოს, რომ დიფერენციული რენტის კანონი, როგორც დიფერენციული რენტისა, სრულიად არაა დამოკიდებული იმაზე, სწორია ეს წინამძღვარი თუ არა.

თუ ჩვენ ბაზრის მარეგულირებელ საერთო წარმოების ფასს P -ს ვუწოდებთ, მაშინ P უცუდესი ხარისხის A მიწის პროდუქტისათვის ამ მიწის ინდივიდუალური წარმოების ფასს ემთხვევა, ე. ი. ფასი იხდის წარმოებაში მოხმარებულ მუდმივ და ცვალებად კაპიტალს პლუს საშუალო მოგება (=მეწარმის შემოსავალს პლუს სარგებელი).

რენტა აქ ნულს უდრის. უახლოესი უკეთესი B მიწის ინდივიდუალური წარმოების ფასი $= P'$, და $P > P'$; ე. ი. P იხდის B კატეგორიის მიწის პროდუქტის ნამდვილ წარმოების ფასზე მეტს. ვთქვათ, ახლა $P - P' = d$; ამიტომ d , P -ს გადანამეტი P' -ზე, არის ის დამატებითი მოგება, რასაც მიიღებს ამ B კატეგორიის მიწის ფერმერი. ეს d გადაიქცევა რენტად, რომელიც უნდა მიეცეს მიწის მესაკუთრეს. ვთქვათ, მესამე C კატეგორიის მიწისათვის ნამდვილი წარმოების ფასი არის P'' , და $P - P'' = 2d$; მაშასადამე, ეს $2d$ გადაიქცევა რენტად; ასევე, ვთქვათ, მეოთხე D კატეგორიის მიწისათვის ინდივიდუალური წარმოების ფასი არის P''' , და $P - P''' = 3d$, რომელიც გადაიქცევა მიწის რენტად, და სხვ., დავუშვათ ახლა, რომ ვარაუდო, თითქოს A კატეგორიის მიწის რენტა უდრის ნულს, მცდარია და ამიტომ

მცდარია ისიც, რომ ამ მიწის პროდუქტის ფასი უდრის $P + O$ -ს. ვთქვათ, პირიქით, ეს მიწაც იძლევა რენტას $= r$. ამ შემთხვევაში მივიღებთ ორგვარ შედეგს.

პირველი: A კატეგორიის მიწის პროდუქტის ფასი არ იქნებოდა ამ პროდუქტის წარმოების ფასით რეგულირებული, არამედ ამაზე გადანამეტის შემცველი, ე. ი. $P + r$ -ის ტოლი იქნებოდა. იმიტომ რომ, რაკი იგულისხმება კაპიტალისტური წარმოების ნორმალური მსვლელობა, ე. ი. რაკი იგულისხმება, რომ ნამეტი r , რომელსაც ფერმერა უხდის მიწის მესაკუთრეს, არ წარმოადგენს გამონაკლებს არც ხელფასიდან და არც კაპიტალის საშუალო მოგებიდან, — ფერმერს მისი გადახდა შეუძლია მხოლოდ იმის გამო, რომ მისი პროდუქტი გაიყიდება წარმოების ფასზე უფრო ძვირად, რომ ეს პროდუქტი მას დამატებით მოგებას მისცემს, მას რომ არ უხდებოდეს ამ ნამეტის მიცემა მიწის მესაკუთრისათვის რენტის სახით. ამ შემთხვევაში ყველა ხარისხის მიწების მთელი, ბაზარზე არსებული პროდუქტის საბაზრო ფასი — მარეგულირებელი საბაზრო ფასი — იქნებოდა არა ის წარმოების ფასი, რომელსაც იძლევა კაპიტალი საერთოდ წარმოების ყველა სფეროში, ე. ი. არა ის ფასი, რომელიც უდრის ხარჯებს პლუს საშუალო მოგება, არამედ იგი იქნებოდა წარმოების ფასი პლუს რენტა, $P + r$ და არა P . იმიტომ რომ A კატეგორიის მიწის პროდუქტის ფასი საერთოდ საზღვარია იმ მარეგულირებელი საერთო საბაზრო ფასისა, რა ფასადაც შესაძლებელია მთელი პროდუქტის მიწოდება, და ამდენადვე, იგი არეგულირებს ამ მთელი პროდუქტის ფასს.

მაგრამ, მეორე, თუმცა ამ შემთხვევაში მიწის პროდუქტის საერთო ფასი არსებითად მოდიფიცირებული იქნებოდა, ამით მაინც დიფერენციული რენტის კანონი სრულიადაც არ გაუქმდებოდა. იმიტომ რომ, თუ A კატეგორიის პროდუქტის ფასი, და მასთან ერთად საერთო საბაზრო ფასიც, უდრის $P + r$, მაშინ B , C , D და სხვ. კატეგორიათა ფასიც $= P + r$ ტოლი იქნებოდა. მაგრამ რადგან B კატეგორიისათვის $P - P' = d$, ამიტომ $(P + r) = (P' + r)$, აგრეთვე d ტოლი იქნებოდა, ხოლო C -სთვის $P - P'' = (P + r) - (P'' + r) = 2d$ ტოლი იქნებოდა, ისე როგორც, ბოლოს, D -სთვის $P - P''' = (P + r) - (P''' + r) = 3d$ ტოლი იქნებოდა და სხვ. ამრიგად, დიფერენციული რენტა კვლავ იგივე დარჩებოდა და რეგულირებული იქნებოდა იმავე კანონით, თუმცა რენტა ამ კანონისაგან დამოუკიდებელი ელემენტის შემცველი იქნებოდა, და მიწის პროდუქტის ფასთან

ერთად საყოველთაოდ ვადიდდებოდა. აქედან გამომდინარეობს, რომ როგორც უნდა იყოს ვითარება უმცირესი ნაყოფიერების ნიადაგის რენტის მიმართ, ამაზე არა მარტო არაა დამოკიდებული დიფერენციული რენტის კანონი, არამედ ერთადერთი წესი თვით დიფერენციული რენტის გაგებისათვის მისი ხასიათის შესაბამისად ის არის, რომ A კატეგორიის მიწის რენტა ნულის თანატოლად უნდა იგულისხმებოდეს. ნამდვილად ნულს უდრის იგი თუ ნულზე დიდია, — ეს სულ ერთია, რამდენადაც საქმე დიფერენციულ რენტას შეეხება, და მართლაც ანგარიშში არ მიიღება.

ამრიგად, დიფერენციული რენტის კანონი არაა დამოკიდებული ნემდგომი გამოკვლევის შედეგზე.

ახლა თუ ვიკითხავთ, რაზეა დაფუძნებული ის ვარაუდი, რომ უცუდესი ხარისხის A მიწის პროდუქტი რენტას არ იძლევა, — პასუხი აუცილებლად ასეთი იქნება: თუ მიწის პროდუქტის, ვთქვათ ხორბლის, საბაზრო ფასმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ აენსებულ დამატებითი კაპიტალისათვის, რომელიც A კატეგორიის მიწაზე იქნება დახარჯული, ჩვეულებრივი წარმოების ფასი გადაიხადოს, ე. ი. საშუალო მოგება მისცეს კაპიტალს, მაშინ ეს პირობა საკმარისია იმისათვის, რომ დამატებითი კაპიტალი დაიხარჯოს A კატეგორიის მიწაზე. ე. ი. ეს პირობა საკმარისია კაპიტალისტისათვის, რომ მან კაპიტალი დახარჯოს ჩვეულებრივი მოგებით და გამოიყენოს ნორმალური წესით.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც საბაზრო ფასი უფრო მაღალ დონეზე უნდა იდგეს, ვიდრე A -ს წარმოების ფასი. იმიტომ რომ, როდესაც დამატებითი მიწოდება იქმნება, მოთხოვნის და მიწოდების შეფარდება, ცხადია, იცვლება. წინათ მიწოდება არ იყო საკმარისი, ახლა იგი საკმარისია. მაშასადამე, ფასმა უნდა დაიწიოს. ხოლო, იმისთვის, რომ მან დაიწიოს, წინათ იგი A -ს წარმოების ფასზე უფრო მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ის გარემოება, რომ A კატეგორიის მიწა, რომელიც ახლად შედის დამუშავებაში, ნაკლებ ნაყოფიერია, იწვევს იმას, რომ ფასი არ დაიწევს კვლავ ისეთ დაბალ დონემდე, როგორც იმ დროს, როდესაც ბაზარს არეგულირებდა B კატეგორიის წარმოების ფასი. A -ს წარმოების ფასი შეადგენს საბაზრო ფასის არა დროებითი, არამედ შეფარდებით პერმანენტული აწევის საზღვარს. პირიქით, თუ ახლად დამუშავებული მიწა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე A კატეგორია, რომელიც დღემდე მარეგულირებელი იყო, და მაინც საკმარისია მხოლოდ დამატებითი მოთხოვნის დასაფარავად, მაშინ საბაზრო ფასი უცვლელი რჩება. ამ

საკითხის გამოკვლევა, — იძლევა თუ არა უდაბლესი კატეგორიის მიწა რენტას, ამ შემთხვევაშიც ემთხვევა იმას, რაზედაც ჩვენ აქ ვმსჯელობთ: აქაც ის, რომ *A* კატეგორიის მიწა რენტას არ იძლევა, დაფუძნებული იქნებოდა იმაზე, რომ საბაზრო ფასი კაპიტალისტურ ფერმერს სწორედ იმისათვის ჰყოფნის, რათა დაფაროს მოხმარებული კაპიტალი პლუს საშუალო მოგება; მოკლედ, — რომ საბაზრო ფასი აძლევს მას მისი საქონლის წარმოების ფასს.

ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტურ მოიჯარეს, რამდენადაც მან საქმე უნდა გადაწყვიტოს როგორც კაპიტალისტმა, შეუძლია ამ პირობებში *A* კატეგორიის მიწის დამუშავება. ამრიგად, არსებობს *A* ხარისხის მიწაზე კაპიტალის ნორმალური გამოყენების პირობა, მაგრამ იმ წანამძღვარიდან, რომ ფერმერს შეეძლო ახლა, კაპიტალის ღირებულების ზრდის საშუალო პირობებში, კაპიტალი დაეხარჯა *A* ხარისხის მიწაზე, თუმცა არ იქნებოდა რენტის გადახდის შესაძლებლობა, — სრულიადაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ეს *A* კატეგორიის კუთვნილი მიწა მოიჯარეს უდავიდარაბოდ მიერთმევა მის განკარგულებაში. ის გარემოება, რომ მოიჯარეს შეეძლო გამოეყენებია თავისი კაპიტალი ჩვეულებრივი მოგებით, თუ მას რენტის გადახდა არ დასჭირდებოდა, მიწის შესაკუთროსათვის სრულიადაც არაა იმის საფუძველი, რომ მან მუქთად ათხოვოს მოიჯარეს თავისი მიწა და ამ საქმოსანი-მეგობრის მიმართ ისეთი ფილანთროპიული დამოკიდებულება გამოიჩინოს, რომ *credit gratuit* [მუქთა კრედიტი] აღმოუჩინოს მას. ასეთი ვარაუდი ნიშნავს აბსტრაპირებას მიწის საკუთრებისაგან, მიწის საკუთრების გაუქმებას, მაშინ როდესაც სწორედ მისი არსებობა ქმნის ზღუდეს კაპიტალის დახარჯვისათვის და მისი თავისუფალი გამოყენებისათვის მიწაზე, — ზღუდეს, რომელიც სრულიადაც არ ისპობა მოიჯარის უბრალო მოსაზრების გამო, რომ, თუ მას რენტის გადახდა არ დასჭირდებოდა, ე. ი. თუ იგი შეძლებდა სინამდვილეში მიწის საკუთრება არარსებულად ჩაეთვალა, — ზორბლის ფასების ჰდგომარეობა მას შესაძლებლობას მისცემდა თავისი კაპიტალიდან ჩვეულებრივი მოგება მიეღო *A* მიწის ექსპლოატაციის გზით. მაგრამ მიწის საკუთრების მონოპოლია, მიწის საკუთრება როგორც კაპიტალის ზღუდე, უკვე იგულისხმება დიფერენციული რენტით, რადგან უიმისოდ დამატებითი მოგება არ გადაიქცეოდა მიწის რენტად და არ ერგებოდა მოიჯარის ნაცვლად მიწის შესაკუთრეს. და მიწის საკუთრება როგორც ზღუდე განაგრძობს არსებობას იქაც, სადაც ადგილი

არა აქვს რენტას დიფერენციული რენტის სახით, ე. ი. A მიწაზე. თუ ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როცა კაპიტალისტური წარმოების ქვეყანაში შეიძლება კაპიტალი დაიხარჯოს მიწაზე რენტის გადაუხდელად, დავინახავთ, რომ ყველა ისინი გულისხმობენ მიწის საკუთრების თუ არა იურიდიულ, ფაქტიურ გაუქმებას მაინც, და ეს გაუქმება კი სრულიად განსაზღვრულ და მათი ბუნების მხრივ შემთხვევითი ხასიათის გარემოებებში შეიძლება მოხდეს.

პ ი რ ვ ე ლ ი: როცა თვით მიწის მესაკუთრეა კაპიტალისტი ან თვით კაპიტალისტია მიწის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში, თუ საბაზრო ფასმა იზღუდად აიწია, რომ იმ მიწიდან, რომელიც ახლა A ხარისხის მიწას წარმოადგენს, შეიძლება წარმოების ფასის მიღება, ე. ი. კაპიტალის ანაზღაურება პლუს მოგება, — კაპიტალისტს შეუძლია თავის მიწის ნაკვეთზე თ ვ ი თ ო ნ წ ა რ მ ა რ თ ო ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ მას მიწის საკუთრება არ უქმნის ზღუდეს კაპიტალის გამოყენებისათვის. მას შეუძლია მიწას მოეპყრას როგორც ბუნების უბრალო ელემენტს და ამიტომ იხელმძღვანელოს მარტოოდენ ისეთი მოსაზრებებით, რომლებიც მისი კაპიტალის გამოყენებას შეეხება, ე. ი. კაპიტალისტური მოსაზრებებით. ასეთი შემთხვევები ხდება სინამდვილეში, მაგრამ გამონაკლისის სახით. როგორც მიწის კაპიტალისტური დამუშავება გულისხმობს მოქმედი კაპიტალისა და მიწის საკუთრების განცალკევებას, სრულიად ასევე გამორიცხავს იგი, როგორც წესი, მეურნეობის წარმართვას თვით მიწის მესაკუთრის მიერ. მაშინვე ჩანს, რომ ეს სრულიად შემთხვევითი მოვლენაა. თუ ხორბლის გადიდებული მოთხოვნა A მიწის უფრო დიდი ფართობის დამუშავებას მოითხოვს, ვიდრე იმ მესაკუთრეებს აქვთ, რომელნიც თვითონ ეწევიან მეურნეობას, ე. ი. თუ ამ მიწის ნაწილი იჯარით უნდა გაიციეს იმისათვის, რომ საერთოდ შესაძლებელი შეიქნეს მისი დამუშავება, მაშინვე ნიადაგი ეცლება იმ ზღუდის ჰიპოთეზურ გაგებას, რასაც მიწის საკუთრება უქმნის კაპიტალის გამოყენებას. უაზრო წინააღმდეგობაა, როდესაც ამოსავალ წერტილად იღებენ კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამის გათიშულობას კაპიტალსა და მიწას შორის, მოიჯარესა და მიწის მესაკუთრეს შორის, და შემდეგ, პირიქით, გულისხმობენ, რომ იმ საზღვრამდე და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალი, მის პირისპირ რომ დამოუკიდებლად მიწის საკუთრება არ არსებულობს, რენტას ვერ მიიღებდა მიწის დამუშავებიდან, — გულისხმობენ, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, თვით

მიწის მესაკუთრენი ეწევიან მეურნეობას (იხ. ა. სმიტის თხზულებიდან აღბილი მაღაროების რენტის შესახებ, რომელიც უფრო ქვემოთ არის ციტირებული *). მიწის საკუთრების ეს გაუქმება შემთხვევითია. იგი შეიძლება კოლექ მოხდეს და არც მოხდეს.

მეორე: საიჯარო მიწათა კომპლექსში შეიძლება მოიპოვებოდეს მიწის ისეთი ცალკეული ნაკვეთები, რომელნიც საბაზრო ფასების მოცემული დონის პირობებში არავითარ რენტას არ იხდიან, მაშასადამე, ფაქტიურად მუქთად გაცემული არიან, მაგრამ რომელთაც მიწის მესაკუთრე ასეთებად არ თვლის, იმიტომ რომ მას მხედველობაში აქვს იჯარით გაცემული მიწის მთელი რენტის ჯამი და არა ამ მიწის შემადგენელი ცალკეული ნაწილების სპეციალური რენტა. ამ შემთხვევაში ფერმერისათვის, რამდენადაც საქმე საიჯარო მიწის იმ შემადგენელ ნაწილებს ეხება, რომელნიც რენტას არ იძლევიან, მიწის საკუთრება, როგორც კაპიტალის დაბანდების ზღუდე, ისპობა და ამასთან ისპობა თვით მიწის მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების ძალით. მაგრამ იგი ამ ნაკვეთებისათვის რენტას არ იხდის მხოლოდ იმიტომ, რომ მას იხდის იმ მიწისათვის, რომლის დამატებასაც ეს ნაკვეთები შეადგენენ. ამ შემთხვევაში სწორედ ისეთი კომბინაციაა ნაგულისხმევი, როდესაც აუცილებელი ხდება ხელი მიეკოთ A მიწის ყველაზე ცუდი ნაკვეთის დამუშავებას არა როგორც წარმოების დამოუკიდებელ და ახალ სფეროს, რომელსაც შეეძლო არასაკმაო მიწოდების შევსება, არამედ როგორც უკეთესი მიწის მხოლოდ განუყოფელ ზოლს. მაგრამ შემთხვევა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, სწორედ ისეთი შემთხვევაა, როდესაც A მიწის ნაკვეთები დამოუკიდებლად უნდა დამუშავდნენ, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების წესის საერთო წანამდღვართა საფუძველზე დამოუკიდებლად უნდა მოხდეს მათი იჯარით გაცემა.

მესამე: მოიჯარეს შეუძლია იჯარით აღებულ იმავე მიწის ნაკვეთზე დამატებითი კაპიტალი დააბანდოს, თუმცა არსებული საბაზრო ფასების პირობებში ამ წესით მიღებული დამატებითი პროდუქტი მას მხოლოდ წარმოების ფასს აწვდის. ჩვეულებრივ მოგებას აძლევს, მაგრამ დამატებითი რენტის გადახდის შესაძლებლობას არ უქმნის. ამრიგად, მიწაში დაბანდებულ კაპიტალის ერთი ნაწილით იგი იხდის მიწის რენტას, ხოლო მეორე ნაწილით — არა, მაგრამ თუ რამდენად ნაკლებად წყვეტს ეს ვარაუდი პრობლემას, ეს შემდეგიდან ჩანს: თუ

* იხ. ამ ტომის გვ. 390. რ ე დ.

საბაზრო ფასი (და აგრეთვე მიწის ნაყოფიერება) მას შესაძლებლობას აძლევს დამატებითი კაპიტალით დამატებითი პროდუქტი მიიღოს, პროდუქტი. რომელიც მას, მსგავსად ძველი კაპიტალისა, წარმოების ფასს გარდა გარკვეულ დამატებით მოგებას აძლევს, მაშინ იგი ამ ნამეტ მოგებას საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში თვითონ ჩაიჯიბავს. მაგრამ რატომ? იმიტომ რომ, ვიდრე საიჯარო ხელშეკრულება გრძელდება მიწის საკუთრების სახით, მოცემული ზღუდე მისი კაპიტალის მიწაზე დაბანდებისათვის მოხსნილია. მაგრამ ის უბრალო გარემოება, რომ მისთვის ამ დამატებითი მოგების უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფრო ცუდი ხარისხის დამატებითი მიწის დამოუკიდებლად დამუშავება და დამოუკიდებლად იჯარით გაცემა, უცილობლად ამტკიცებს იმას, რომ ძველ მიწაზე დამატებითი კაპიტალის დაბანდება არ კმარა აუცილებელი გადიდებული მიწოდების შესაქმნელად. ერთი ვარაუდი მეორეს გამოიციხავს. მართალია, ახლა შეიძლებოდა გვეთქვა: უცუდესი მიწის ნაკვეთის — A-ს რენტა თვით არის დიფერენციული რენტა, შედარებით ან იმ მიწასთან, რომელსაც თვითონ მესაკუთრე ამუშავებს (თუმცა წმინდა სახით ამას ადგილი აქვს როგორც შემთხვევითი ხასიათის გამონაკლისს) ანდა კაპიტალის დამატებით დაბანდებასთან იჯარით აღებულ იმ ძველ ნაკვეთებზე, რომელნიც რენტას არ იძლევიან. მაგრამ ეს იქნებოდა 1) ისეთი დიფერენციული რენტა, რომელიც მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების სხვაობიდან არ წარმოდგებოდა და, ამიტომ, არც იგულისხმებოდა, რომ მიწის ნაკვეთი A რენტას არ იძლევა და თავის პროდუქტს წარმოების ფასის კვალობაზე ყიდის; და 2) იმ გარემოებასაც იძლევა თუ არა კაპიტალის დამატებითი დაბანდება იჯარით აღებულ იმავე მიწაზე რენტას, აგრეთვე არა აქვს მნიშვნელობა იმისათვის, იძლევა თუ არა A კატეგორიის ახლად დასამუშავებელი მიწა რენტას, ისევე როგორც, მაგალითად, ახალი დამოუკიდებელი საფაბრიკო საწარმოსთვის სულ არა აქვს მნიშვნელობა, დაბანდებს საწარმოს იმავე დარგის სხვა მეფაბრიკე თავისი კაპიტალის ნაწილს სარგებელმომტან ქალაქებში, იმიტომ რომ მას არ შეუძლია თავის საწარმოში მისი მთლიანად გამოყენება, თუ იგი მოახდენს მთელ რიგ ცალკეულ გაფართოებებს, რომელნიც მას თუ მთელ მოგებას არა, სარგებელზე მეტს მაინც აძლევენ. მისთვის ეს მეორეხარისხოვანი საქმეა. პირიქით, დამატებითი ახალი საწარმონი უნდა იძლეოდნენ საშუალო მოგებას და მათი მოწყობაც ამ მოგების მოლოდინის საფუძველზე ხდება. რასაკვირველია,

დამატებითი კაპიტალდაბანდებანი ძველ საიჯარო მიწებზე და დამატებითი დამუშავება A კატეგორიის ახალი მიწისა ერთიმეორისათვის ზღუდეს ქმნიან. ის საზღვარი, სადამდისაც ძველ საიჯარო მიწებზე დამატებითი კაპიტალის დაბანდება შეიძლება წარმოების უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, განისაზღვრება A კატეგორიის მიწაზე კონკურენციაში მყოფ ახალი დაბანდებებით; მეორე მხრივ, რენტა, რომლის მოცემაც მიწის ამ კატეგორიის შეუძლია, ზღვარდებულია ძველად იჯარით აღებულ მიწებზე კონკურენციაში მყოფ კაპიტალდაბანდებებით.

მაგრამ ყველა ეს მცდარი ფანდი ვერ წყვეტს პრობლემას, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია: დავეუშვათ, რომ პურის (რომელიც ჩვენთვის ამ გამოკვლევაში მიწის ყველა პროდუქტს წარმოადგენს) საბაზრო ფასი საკმარისია იმისათვის, რომ A კატეგორიის მიწის ნაწილების დამუშავება შეიძლებოდეს და რომ ამ ახალ მიწებზე დაბანდებული კაპიტალი პროდუქტის წარმოების ფასს იძლეოდეს, ე. ი. იძლეოდეს კაპიტალის ანაზღაურებას პლუს საშუალო მოგება. ვიგულისხმობთ, მაშასადამე, რომ A კატეგორიის მიწაზე კაპიტალის ნორმალური გამოყენებისათვის პირობები მოცემულია. საკმაოა თუ არა ეს? შეიძლება თუ არა მართლა ასეთ შემთხვევაში ამ კაპიტალის დაბანდება? ანდა უნდა აიწიოს თუ არა საბაზრო ფასმა იმდენად, რომ უცუდესმა A მიწამაც რენტა მოგვეცეს? მაშასადამე, უდებს თუ არა მიწის მესაკუთრის მონოპოლია კაპიტალის დაბანდებას ისეთ ზღუდეს, რასაც წმინდა კაპიტალისტური თვალსაზრისით ადგილი არ ექნებოდა ამ მონოპოლიის არსებობის გარეშე? უკვე დასმული კითხვის პირობებიდან გამომდინარეობს, რომ თუ, მაგალითად, ძველ იჯარით აღებულ მიწებზე დახარჯულია დამატებითი კაპიტალები, რომელნიც მოცემული საბაზრო ფასის არსებობის პირობებში არ იძლევიან არავითარ რენტას და მხოლოდ საშუალო მოგებას იძლევიან, — ეს გარემოება სრულიადაც არ წყვეტს საკითხს, შეიძლება თუ არა სინამდვილეში დაიხარჯოს კაპიტალი A კატეგორიის იმ მიწაზე, რომელიც ასევე საშუალო მოგებას მოგვეცემდა, მაგრამ რენტას არა. საკითხიც სწორედ ესაა. ის გარემოება, რომ კაპიტალის იმ დამატებით დაბანდებას, რომელიც რენტას არ იძლევა, არ შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილება, მტკიცდება A კატეგორიის ახალი მიწის დამუშავების აუცილებლობით. თუ A მიწის დამატებითი დამუშავება მხოლოდ იმდენად ხდება, რამდენადაც იგი რენტას იძლევა, მაშასადამე, წარმოების ფასზე

მეტს იძლევა, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ ორი შემთხვევა. ან საბაზრო ფასი უნდა იდგეს ისეთ დონეზე, რომ თვით უკანასკნელი დამატებითი კაპიტალდაბანდებაც ძველ იჯარით აღებულ მიწებზე იძლეოდნენ დამატებით მოგებას, სულ ერთია — ეს უკანასკნელი ფერმერის სასარგებლოდ მიდის თუ მიწათმფლობელისა. ამ შემთხვევაში ფასის ეს აწევა და კაპიტალის უკანასკნელი დამატებითი დაბანდებადანი მიღებული დამატებითი მოგება იმ გარემოების შედეგი იქნებოდა, რომ შეუძლებელია A მიწის დამუშავება, თუ იგი რენტას არ იძლევა. ეს კი იმიტომ, რომ თუ დამუშავებისათვის საკმარის იქნებოდა წარმოების ფასის. მხოლოდ საშუალო მოგების მიღება, მაშინ ფასი ამდენად ვერ აიწევდა და მიწის ახალი ნაკვეთების კონკურენციაც უკვე მაშინვე დაიწყებოდა. როგორც კი ისინი მხოლოდ ამ წარმოების ფასების მოცემას დაიწყებდნენ. ასეთ შემთხვევაში კაპიტალის დამატებით დაბანდებას ძველ საიჯარო მიწებზე, რომელნიც რენტას არ იძლევიან, კონკურენციას გაუწევდნენ A მიწაზე ის კაპიტალდაბანდებანი, რომელნიც ასევე რენტას არ იძლევიან. — ანდა ძველ საიჯარო მიწებზე უკანასკნელი კაპიტალდაბანდებანი არ იძლევიან რენტას, მაგრამ ნოუტენდავად ამისა საბაზრო ფასმა საკმარის აიწვია იმისათვის, რომ A მიწის დამუშავება შეიძლებოდეს და რომ იგი რენტას იძლეოდეს. ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალდაბანდება, რომელიც რენტას არ იძლევა, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ A მიწის დამუშავება შეუძლებელია, ხანამ საბაზრო ფასი მას რენტის გადახდის საშუალებას არ მისცემს. ამ უკანასკნელი პირობის გარეშე მისი კულტურა უკვე უფრო დაბალი ფასის არსებობის პირობებში დაიწყებოდა, და ძველ საიჯარო მიწებზე კაპიტალის იმ შემდგომ დაბანდებას, რაც მაღალ საბაზრო ფასს საჭიროებს, რათა ჩვეულებრივი მოგება მოგვცეს ურენტოდ, არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. მაღალი საბაზრო ფასის არსებობის დროსაც ხომ ასეთი დაბანდება მხოლოდ საშუალო მოგებას იძლევა. მაშასადამე, უფრო დაბალი ფასის პირობებში, ფასისა, რომელიც A მიწის კულტურის დროს მისი წარმოების ფასის მარეგულირებელი გახდებოდა, ეს დაბანდება ვერ მოგვეცემდა მოგებას, ე. ი. ამ ნაგულისხმევის საფუძველზე მას ადგილი არ ექნებოდა. ამრიგად, რა თქმა უნდა, A მიწის რენტა დიფერენციული რენტა იქნებოდა შედარებით ამ კაპიტალდაბანდებასთან ძველ საიჯარო მიწებზე, რომელნიც რენტას არ იძლევიან. მაგრამ, თუ A მიწის ნაკვეთები ასეთ დიფერენციულ რენტას ქმნიან. ეს მხოლოდ იმის შედე-

გია, რომ თუ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი რენტას იძლევიან, მათი დამუშავება საერთოდ მიუწვდომელია, ე. ი. იმის შედეგია, რომ იქმნება აუცილებლობა ამ რენტისა, რომელიც თავისთავად არ განისაზღვრება მიწის ხარისხებს შორის არსებული რაიმე სხვაობით და რომელიც ზღუდეს უქმნის ძველ საიჯარო მიწებზე დამატებითი კაპიტალების შესაძლო გამოყენებას. ორივე შემთხვევაში *A* მიწის რენტა არ იქნებოდა პურის ფასის გადიდების უბრალო შედეგი, არამედ, პირიქით: ის გარემოება, რომ უცუდესმა მიწამ რენტა უნდა მოიტანოს, რათა საერთოდ მისი დამუშავების ნება დართონ, იქნებოდა მიზეზი პურის ფასის ისეთ პუნქტამდე აწევისა, სადაც ამ პირობის განხორციელება შეიძლება.

დიფერენციულ რენტას ის თავისებურება აქვს, რომ მიწის საკუთრება აქ მხოლოდ ზეღო იგდებს იმ დამატებით მოგებას, რასაც სხვანაირად მოიჯარე ჩაიჯიბავდა და გარკვეულ გარემოებებში, ვიდრე მისი საიჯარო ხელშეკრულების ვადა გავიდოდეს, მართლაც იჯიბავს. აქ მიწის საკუთრება მხოლოდ მიზეზია საქონლის ფასის განსაზღვრული ნაწილის გადატანისა, იმ ნაწილის, რომელიც ამ საკუთრების დაუზმარებლად წარმოიშვება (უკეთ, იმის შედეგად, რომ საბაზრო ფასის მარეგულირებელი წარმოების ფასი კონკურენციის მიერ განისაზღვრება) და დამატებით მოგებად იქცევა, — იგი მიზეზია ფასის ამ ნაწილის გადატანისა ერთი პირიდან მეორე პირზე, კაპიტალისტიდან მიწის მესაკუთრეზე. მაგრამ ამ შემთხვევაში მიწის საკუთრება არაა მიზეზი, რომელიც ქმნის ფასის ამ შემადგენელ ნაწილს ან ფასის იმ აწევას, რასაც ეს ნაწილი გულისხმობს. პირიქით, თუ ყველაზე ცუდი მიწის ნაკვეთი *A* არ შეიძლება დამუშავდეს, — თუმცა მისი დამუშავება წარმოების ფასს მოგვცემდა, — სანამ იგი არ იძლევა გარკვეულ ნამეტს ამ წარმოების ფასთან შედარებით. გარკვეულ რენტას, მაშინ მიწის საკუთრება ფასის ამ აწევის შემქმნელ მიზეზს წარმოადგენს. მიწის საკუთრება ამ თვისთა წარმოშვარენტა. საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება იმით, რომ, — როგორც ეს განხილულ მეორე შემთხვევაშია, — *A* მიწის მიერ ახლა გადახდილი რენტა შედარებით ძველ საიჯარო მიწებზე იმ უკანასკნელ დამატებით კაპიტალდაბანდებასთან, რომელიც მხოლოდ წარმოების ფასს იხდის, დიფერენციულ რენტას შეადგენს. ეს ასეა, ვინაიდან მხოლოდ ის გარემოება, რომ *A* მიწის დამუშავება არ შეიძლება დაიწყოს, სანამ მარეგულირებელი საბაზრო ფასი იმდენად არ აიწევს,

რომ A მიწამ რენტის მოცემა შეძლოს, — მხოლოდ ეს გარემოებაა აქ იმის მიზეზი, რომ საბაზრო ფასი მაღლა იწევს ისეთ პუნქტამდე, რომელიც, მართალია, უკანასკნელ კაპიტალდაბანდებებს ძველ საიჯარო მიწებზე მხოლოდ თავიანთ წარმოების ფასს უხდის, მაგრამ უხდის ისეთ წარმოების ფასს, რომელიც იმავე დროს A მიწისათვის რენტას იძლევა. ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელმა საერთოდ რენტა უნდა გადაიხადოს, აქ იმის მიზეზია, რომ A მიწასა და ძველ საიჯარო მიწებზე უკანასკნელ კაპიტალდაბანდებათა შორის დიფერენციული რენტა წარმოიქმნება.

თუ ჩვენ საერთოდ — ვგულისხმობთ რა პურის ფასის რეგულირებას წარმოების ფასით, — ვლაპარაკობთ, რომ A კატეგორიის მიწა რენტას არ იხდის-თქო, მხედველობაში გვაქვს რენტა ამ სიტყვის კატეგორიული მნიშვნელობით. თუ ფერმერი იხდის საიჯარო ფულს, რომელიც ერთგვარ გამონაკლებს შეადგენს, სულ ერთია ეს გამონაკლები მისი მუშების ნორმალური ხელფასიდან იქნება, თუ მისივე საკუთარი ნორმალური საშუალო მოგებიდან, — მაშინ იგი არავითარ რენტას არ იხდის, არ იხდის თავისი საქონლის ფასის არავითარ დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილს, რომელიც ხელფასისა და მოგებისაგან განსხვავდებოდა. უკვე წინათ იყო აღნიშნული, რომ ეს პრაქტიკაში მუდამ ხდება. რამდენადაც სოფლის მუშების ხელფასი რომელიმე ქვეყანაში საერთოდ ხელფასის ნორმალურ საშუალო დონეზე დაბლა იწევს და, ამიტომ, ხელფასიდან გამონაკლები, ხელფასის ერთი ნაწილი, საერთოდ რენტაში შედის, იმდენად ეს ყველაზე ცუდი მიწის მოიჯარისათვის არავითარ გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს. იმავე წარმოების ფასში, რომელიც უცუდესი მიწის დამუშავების შესაძლებლობას იძლევა, ეს დაბალი ხელფასი უკვე ჩათვლილია როგორც შემადგენელი მუხლი, და ამიტომ პროდუქტის გაყიდვა მისი წარმოების ფასის მიხედვით ამ მიწის მოიჯარეს შესაძლებლობას არ აძლევს რაიმე რენტა გადაიხადოს. მიწის მესაკუთრეს შეუძლია აგრეთვე თავისი მიწა იჯარით მისცეს მუშას, რომელიც მზად იქნება ყველაფერი ან მნიშვნელოვანი ნაწილი იმისა, რასაც მას გასაყიდი ფასი ხელფასზე ზევით უტოვებს, სხვა რომელიმე პირს რენტის სახით გადაუხადოს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში არ ხდება ნამდვილი რენტის გადახდა, თუმცა ადგილი აქვს საიჯარო ფულის გადახდას. მაგრამ სადაც კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისი ურთიერთობა არსებობს, იქ რენტა და საიჯარო ფული ერთმანეთს უნდა

ემთხვეოდეს. და სწორედ ესაა ის ნორმალური ურთიერთობა, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ.

თუ უკვე ზემოთ განხილული შემთხვევები, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში შესაძლებელია ნამდვილად ჰქონდეს ადგილი კაპიტალდაბანდებას ძველ მიწაზე, რომელიც რენტას არ იძლევა, — თუ უკვე ეს შემთხვევები არაფერს არ იძლევიან ჩვენი პრობლემის გადასაწყვეტად, მაშინ კიდევ უფრო ნაკლებს მოგვცემს კოლონიურ ურთიერთობაზე მითითება. კოლონიას კოლონიად ხდის, — ჩვენ აქ ვლაპარაკობთ საკუთრივ სამიწათმოქმედო კოლონიებზე, — არა მარტო ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ნაყოფიერი მიწების მასა. პირიქით, მათ კოლონიებად აქცევს ის გარემოება, რომ ეს მიწები მითვისებული არ არიან, კერძო საკუთრებას არ ექვემდებარებიან. რამდენადაც მიწაზეა ლაპარაკი, სწორედ მიწის საკუთრების იურიდიული ან ფაქტური არსებობა ქმნის უდიდეს განსხვავებას ძველ მიწებსა და კოლონიებს შორის, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა უეკფილდმა⁸⁵, ხოლო მასზე ბევრად უფრო ადრე კი ფიზიოკრატმა მირაბო-მამამ და სხვა ძველმა ეკონომისტებმა აღმოაჩინეს. ამასთან, იმ გარემოებას, რომ უბრალოდ ითვისებენ კოლონისტები მიწას თუ მიწის ნომინალური ფასის სახელწოდებით სინამდვილეში სახელმწიფოს მხოლოდ მისაგებელს უხდიან მიწაზე იურიდიული ტიტულის შეძენისათვის, აქ მნიშვნელობა არა აქვს. აგრეთვე უმნიშვნელოა ის გარემოებაც, რომ უკვე დასახლებული კოლონისტები მიწის იურიდიული მესაკუთრენი არიან. მიწის საკუთრება აქ ფაქტიურად არავითარ ზღუდეს არ წარმოადგენს კაპიტალის გამოყენებისათვის ანდა აგრეთვე შრომის უკაპიტალოდ გამოყენებისათვის; მიწის ნაწილის მიტაცება უკვე დაბინადრებული კოლონისტების მიერ არ გამორიცხავს ახალმოსულთათვის იმის შესაძლებლობას, რომ ახალი მიწა მათი კაპიტალის ან მათი შრომის გამოყენების ასპარეზად გადაიქცეს. ამიტომ, როდესაც საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს მიწის საკუთრება მიწის პროდუქტების ფასებზე და რენტაზე იმ შემთხვევაში, როცა ეს საკუთრება მიწას ზღუდავს როგორც კაპიტალის დაბანდების სფეროს, უადრესად უაზროა მითითება და ლაპარაკი თავისუფალ ბურჟუაზიულ კოლონიებზე, სადაც არ არსებობს არც კაპიტალისტური წარმოების წესი მიწათმოქმედებაში და არც მისი შესაბამისი ფორმა

⁸⁵ Wakefield: «England and America». London. 1833. შეადარეთ აგრეთვე [«კაპიტალი»] წიგნი I, თავი XXV.

მიწის კერძო საკუთრებისა, რომელიც ფაქტიურად აქ საერთოდ არ არსებობს. ამას აკეთებს, მაგალითად, რიკარდო თავისი წიგნის იმ თავში, სადაც მიწის რენტაზეა ლაბარაკი. შესავალში ის ამბობს, რომ განზრახვა აქვს გამოიკვლიოს მიწის მითვისების გავლენა მიწის პროდუქტების ღირებულებაზე და იქვე უშუალოდ ილუსტრაციის სახით იღებს კოლონიებს და ამასთან გულისხმობს, რომ იქ მიწა შედარებით პირველყოფილ მდგომარეობაში მოიპოვება და მისი ექსპლოატაცია არაა შეზღუდული მიწის საკუთრების მონობოლით.

მარტოოდენ თორიდიული საკუთრება მიწაზე არ უქმნის მესაკუთრეს მიწის რენტას. მაგრამ სამაგიეროდ იგი მას ძალაუფლებას ანიჭებს არ დაუშვას თავისი მიწის ექსპლოატაცია მანამდე, სანამ ეკონომიური ურთიერთობა არ შეუქმნის მას მიწის ისეთი გამოყენების შესაძლებლობას, რაც მას გარკვეულ ნამეტს მისცემს, ამასთან სულ ერთია, საკუთრივ მიწათმოქმედებისათვის გამოიყენებენ მიწას, თუ სხვა საწარმოო მიზნებისათვის, როგორც, მაგალითად, შენობებისათვის და სხვ. მას არ შეუძლია გაადიდოს ან შეამციროს მოსაქმეობის ამ სფეროს აბსოლუტური ოდენობა, მაგრამ მას, რასაკვირველია, შეუძლია გაადიდოს ან შეამციროს მისი ბაზარზე არსებული რაოდენობა. ამიტომ, დამახასიათებელია ის ფაქტი, — როგორც ეს უკვე ფურიემ აღნიშნა, — რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიწის შედარებით მნიშვნელოვანი ნაწილი მუდამ დაუმუშავებელი რჩება.

ამრიგად, თუ ვიგულისხმებთ ისეთ შემთხვევას, როცა მოთხოვნა იწვევს ახალი, ვთქვათ, უფრო ნაკლებად ნაყოფიერი მიწების დამუშავების საჭიროებას, ვიდრე აქამდე დამუშავებული მიწები იყო, — გასცემს თუ არა მაშინ მიწის მესაკუთრე ამ მიწებს იჯარით მუქთად, იმის გამო, რომ მიწის პროდუქტის საბაზრო ფასმა იმდენად აიწია, რომ კაპიტალდაბანდება ამ მიწაზე მოიჯარეს წარმოების ფასს აძლევს და ამიტომ ჩვეულებრივ მოგებასაც? სრულიადაც არა. კაპიტალდაბანდება მას რენტა უნდა მისცეს. იგი მიწას იჯარით გასცემს მხოლოდ იმ მომენტთან, როგორც კი შესაძლებელი იქნება მისთვის საიჯარო ფულის გადახდა. მაშასადამე, რათა შესაძლებელი იყოს მიწის მესაკუთრისათვის რენტის გადახდა, საბაზრო ფასმა უნდა აიწიოს წარმოების ფასზე ზევით, $P + r$ -მდე. რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, მიწის საკუთრებას იჯარით გაცემის გარეშე არაფერი მოაქვს, ეკონომიურად ღირებულება არა აქვს, — ამიტომ საბაზრო ფასის ცოტაოდენი აწევაც წარმოების ფასზე ზევით საკმარისია იმისათვის, რომ უცუდესი ხარისხის ახალი მიწა გატანილ იქნეს ბაზარზე.

ახლა ისმის შემდეგი საკითხი: იმ გარემოებიდან, რომ ყველაზე ცუდი მიწა რენტას იძლევა, რომელიც არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს ნაყოფიერების სხვაობიდან, ხომ არ გამომდინარეობს ის, რომ მიწის პროდუქტის ფასი აუცილებლად მონოპოლიური ფასი უნდა იყოს სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით ან ფასი, რომელშიც რენტა ისეთივე სახით შედის, როგორც გადასახადი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ გადასახადს მიწის მესაკუთრე იღებს და არა სახელმწიფო? ასეთ გადასახადს რომ თავისი განსაზღვრული ეკონომიური ფარგლები აქვს, თავისთავად გასაგებია. იგი შეზღუდულია ძველ საიჯარო მიწებზე დამატებითი კაპიტალდაბანდებით, უცხოეთის მიწის პროდუქტების კონკურენციით, — იგულისხმება ამ პროდუქტების თავისუფალი შემოზიდვა, — მიწის მესაკუთრეთა შორის არსებული კონკურენციით, დასასრულ, მომხმარებელთა მოთხოვნილებებით და გადახდისუნარიანობით. მაგრამ აქ ამაზე როდია ლაპარაკი. ლაპარაკია იმაზე, შედის თუ არა რენტა, რომელსაც უცუდესი მიწა იძლევა, ამ მიწის პროდუქტის იმ ფასში, რომელიც, ნაგულისხმევის თანახმად, საყოველთაო საბაზრო ფასს არეგულირებს, — შედის თუ არა იგი იმავე სახით მასში, როგორც გადასახადი შედის დაბეგრული საქონლის ფასში, ე. ი. როგორც ამ საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებელი ელემენტი.

ეს სულაც არაა აუცილებელი დასკვნა, და მას აკეთებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავება საქონელთა ღირებულებასა და მათი წარმოების ფასს შორის დღემდე გაგებულნი არ იყო. ჩვენ დავინახეთ, რომ რომელიმე საქონლის წარმოების ფასი ზრულიადაც არაა მისი ღირებულების იდენტური, თუმცა საქონელთა წარმოების ფასები, თუ ჩვენ ამ საქონელთა მათს ერთობლივობაში განვიხილავთ, მხოლოდ მათი მთელი ღირებულებით რეგულირდება, და თუმცა სხვადასხვა სახეობის საქონელთა წარმოების ფასების მოძრაობა, — ყველა სხვა პირობების უცვლელობისას, — მხოლოდ და მხოლოდ მათი ღირებულებების მოძრაობით განისაზღვრება. ჩვენ ცხადვყავით, რომ გარკვეულ საქონლის წარმოების ფასი შეიძლება მის ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა იმყოფებოდეს და რომ იგი მხოლოდ გამოწკლისის სახით შეიძლება მის ღირებულებას ემთხვეოდეს. ამიტომ ის ფაქტი, რომ მიწის პროდუქტები თავიანთი წარმოების ფასზე მაღლა იყიდება, სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი აგრეთვე თავიანთ ღირებულებაზე მაღლა იყიდება; სწორედ ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ

სამრეწველო პროდუქტები საშუალოდ თავიანთი წარმოების ფასის მიხედვით იყიდება, სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება. შესაძლებელია, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები თავიანთი წარმოების ფასზე მაღლა და თავიანთ ღირებულებაზე დაბლა იყიდებოდეს, როგორც, მეორე მხრივ, მრავალი სამრეწველო პროდუქტი წარმოების ფასს იძლევა მხოლოდ, იმიტომ, რომ იგი თავის ღირებულებაზე მაღლა იყიდება.

ამა თუ იმ საქონლის წარმოების ფასის შეფარდება მის ღირებულებასთან განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ იმ შეფარდებით, რომელშიც იმყოფება ცვალებადი ნაწილი კაპიტალისა, რომლითაც ეს საქონელი იწარმოება, მის მუდმივ ნაწილთან, ანუ განსაზღვრულია მისი მწარმოებელი კაპიტალის ორგანული შედგენილობით. თუ კაპიტალის შედგენილობა წარმოების განსაზღვრულ სფეროში უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობა, ე. ი. თუ ხელფასზეა დახარჯული მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის შეფარდება მისავე მუდმივ შემადგენელ ნაწილთან, — რომელიც შრომის ნივთიერ პირობებზეა დახარჯული, — უფრო დიდია, ვიდრე ამას საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის მიმართ აქვს ადგილი, მაშინ მისი პროდუქტის ღირებულება მისი წარმოების ფასზე მეტი უნდა იყოს. ე. ი. ასეთი კაპიტალი, იყენებს რა მეტ ცოცხალ შრომას, შრომის თანაბარი ექსპლოატაციის პირობებში მეტ ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, მეტ მოგებას აწარმოებს, ვიდრე საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის ტოლი სიდიდის სათანადო ნაწილი. ამიტომ მისი პროდუქტის ღირებულება მისი წარმოების ფასზე მეტი იქნება, რადგან ეს წარმოების ფასი უდრის კაპიტალის ანაზღაურებას პლუს საშუალო მოგება, ხოლო საშუალო მოგება უფრო დაბალია, ვიდრე ამ საქონელში წარმოებული მოგება. საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება უფრო მცირეა, ვიდრე ამ დაბალი შედგენილობის კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება. საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი, როცა წარმოების განსაზღვრულ სფეროში დაბანდებული კაპიტალი საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალზე უფრო მაღალი შედგენილობისაა. მის მიერ წარმოებულ საქონელთა ღირებულება მათი წარმოების ფასზე უფრო დაბლა დგას, რასაც საყოველთაოდ ადგილი აქვს უფრო განვითარებულ მრეწველობათა პროდუქტების მიმართ.

თუ წარმოების განსაზღვრულ სფეროში კაპიტალს უფრო დაბალი შედგენილობა აქვს, ვიდრე საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალს. ეს უწინარეს ყოვლისა სხვაგვარი გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალა წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში საშუალო დონეზე დაბლა დგას, ვინაიდან მწარმოებლური ძალის მიერ მიღწეული დონე თავის გამოხატულებას პოულობს კაპიტალის მუდმივი ნაწილის შეფარდებითს გადაჭარბებაში მის ცვალებად ნაწილზე ანუ მოცემული კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილის მუდმივად შემცირებაში, რომელიც ხელფასზე იხარჯება. პირიქით, თუ კაპიტალის შედგენილობა წარმოების რომელიმე სფეროში უფრო მაღალია, ეს გამოხატავს მწარმოებლური ძალის ისეთ განვითარებას, რომელიც საშუალო დონეზე უფრო მაღლა დგას.

თუ არ ვილაპარაკებთ საკუთრივ მხატვრულ სამუშაოებზე, რომელთა განხილვაც საქმის ბუნების მიხედვით ჩვენს თემაში არ წყდის, თავისთავად გასაგებია, სხვათა შორის, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროები თავიანთ ტექნიკურ თავისებურებათა მიხედვით მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის სხვადასხვა შეფარდებას მოითხოვენ, და რომ ცოცხალმა შრომამ ზოგ სფეროში მეტი ადგილი უნდა დაიჭიროს, ზოგში კი ნაკლები. მაგალითად, მომპოვებელ მრეწველობაში. რომელიც ზედმიწევნით უნდა განვსახვათ მიწათმოქმედებისაგან, ნედლი მასალა, როგორც მუდმივი კაპიტალის ელემენტი, სრულიად მოხსნილია და დამხმარე მასალაც მხოლოდ აქა-იქ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. თუმცა სამთამადნო მრეწველობაში მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილი, ძირითადი კაპიტალი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მიუხედავად ამისა, აქაც განვითარების წინსვლა შეიძლება გაიზომოს მუდმივი კაპიტალის რელატიური ზრდით შედარებით ცვალებად კაპიტალთან.

თუ კაპიტალის შედგენილობა საკუთრივ მიწათმოქმედებაში უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობა, მაშინ ეს *prima facie* იმის გამოხატველი იქნებოდა, რომ განვითარებული წარმოების ქვეყნებში მიწათმოქმედება იმავე ზომით არაა წინ წასული, როგორც დამამუშავებელი მრეწველობა. ასეთი ფაქტი, — თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ყველა სხვა და ნაწილობრივ გადამწყვეტ ეკონომიურ გარემოებას, — შეიძლებოდა ახსნილიყო იმით, რომ მექანიკური მეცნიერებანი და მეტადრე მათი გამოყენება ქიმიის, გეოლოგიისა და ფიზიოლოგიის უფრო გვიან და ნაწილობრივ

სულ ახალ განვითარებასთან შედარებით, განსაკუთრებით კი მიწათ-მოქმედებაში მათ გამოყენებასთან შედარებით უფრო აღრე და სწრაფად განვითარდა. სხვათა შორის უეჭველი და დიდი ხნის ცნობილი³⁶ ფაქტია, რომ თვით მიწათმოქმედების პროგრესი თავის გამოხატულებას პოულობს მუდამ კაპიტალის მუდმივი ნაწილის რელატიურ ზრდაში შედარებით მის ცვალებად ნაწილთან. არის თუ არა კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრულ ქვეყანაში, მაგ., ინგლისში, სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა უფრო დაბალი შედარებით საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობასთან, — ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ სტატისტიკურადაა შესაძლებელი და რომლის დეტალურად განხილვა სრულიად ზედმეტი იქნებოდა ჩვენი მიზნისათვის. ყოველ შემთხვევაში თეორიულად დადგენილია, რომ მხოლოდ ამ წინამძღვარის საფუძველზეა შესაძლებელი, რომ მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულება მათი წარმოების ფასზე მეტი იყოს, ე. ი. რომ განსაზღვრული სიდიდის მქონე კაპიტალის მიერ მიწათმოქმედებაში შექმნილი ზედმეტი ღირებულება ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, ზედმეტი შრომა (მანუსალადმე, გამოყენებული ცოცხალი შრომაც, საერთოდ), რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს და რომელსაც ის განაგებს, უფრო დიდია, ვიდრე ტოლი სიდიდის და საშუალო საზოგადოებრივი შედგენილობის კაპიტალის მიმართ აქვს ამას ადგილი.

ამრიგად, რენტის იმ ფორმისათვის, რომელსაც ჩვენ აქ ვიკვლევთ და რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ ვარაუდის საფუძველზე, საკმაოა ეს ჰიპოთეზა დაეუწვათ. სადაც ჰიპოთეზა ისპობა, იქ ისპობა მისი შესაბამისი ფორმაც რენტისა.

მაგრამ მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება მის წარმოების ფასს აღემატება, თავისთავად სრულიადაც არ კმარა იმისათვის, რომ ავხსნათ სხვადასხვა მიწის ნაყოფიერებაში არსებული სხვაობისაგან ან ერთსა და იმავე მიწაზე თანმიმდევრულ კაპიტალდანახარჯთაგან დამოუკიდებელი მიწის რენტის არსებობა, მოკლედ, ისეთი რენტის არსებობა, რომლის ცნებაც დიფერენციული რენტისაგან განსხვავდება და რომელსაც ჩვენ ამიტომ შეგვიძლია აბსოლუტური რენტა ვუწოდოთ. მანუფაქტურულ საქონელთა მთელ რიგს ის თვისება აქვს, რომ მათი ღირებულება მათი წარმოების ფასზე მაღალია და მიუხედავად ამისა ისინი მაინც არ იძლე-

³⁶ იხ. დომბალი და რ. ჟონსი.

ვიან ისეთ გადანამეტს საშუალო მოგებაზე ანუ ისეთ დამატებით მოგებას, რომელსაც რენტად გადაქცევა შეეძლოს. პირიქით, არსებობა და ცნება წარმოების ფასისა და მოგების იმ საერთო ნორმისა, რომელსაც იგი შეიცავს, დამყარებულია იმაზე, რომ ცალკეული საქონელი მისი ღირებულების მიხედვით არ იყიდება. წარმოების ფასებს წარმოშობს საქონელიღირებულებათა გათანაბრება, რომელიც, წარმოების სხვადასხვა სფეროში სათანადოდ დახარჯულ კაპიტალიღირებულებათა ანაზღაურების შემდეგ, ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას ანაწილებს არა იმის მიხედვით, თუ რამდენია იგი წარმოების ცალკეულ სფეროებში შექმნილი, და, ამიტომ, რამდენია იგი ამ სფეროების პროდუქტებში მოთავსებული, არამედ აუანსებული კაპიტალების სიდიდის მიხედვით. მხოლოდ ამ გზით წარმოიშვება საშუალო მოგება და საქონელთა წარმოების ფასი, რომლის დამახასიათებელ ელემენტსაც ეს საშუალო მოგება წარმოადგენს. კაპიტალების მუდმივ ტენდენციას შეადგენს ის, რომ კონკურენციის საშუალებით გამოიწვიოს ეს გათანაბრება ერთობლივი კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების განაწილებაში და გადალახოს ყველა დაბრკოლება ამ გათანაბრების გზაზე. აქედან მათი ტენდენცია: დაუშვან მხოლოდ ისეთი დამატებითი მოგებანი, რომელთაც ყველა გარემოებაში წარმოშობს არა საქონელთა ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებული განსხვავება, არამედ, პირიქით, წარმოების საერთო ბაზრის მარეგულირებელ ფასსა და მისგან განსხვავებულ ინდივიდუალურ წარმოების ფასთა შორის არსებული განსხვავება; ამრიგად, დაუშვან ისეთი დამატებითი მოგებანი, რომელთაც ამიტომ ადგილი აქვთ არა წარმოების ორ სხვადასხვა სფეროს შორის, არამედ წარმოების ყოველი სფეროს ფარგლებში, და რომელნიც, მაშასადამე, სხვადასხვა სფეროების წარმოების საყოველთაო ფასებს, ე. ი. მოგების საერთო ნორმას არ ეხებიან, არამედ, პირიქით, გულისხმობენ ღირებულებათა გადაქცევას წარმოების ფასებად და მოგების საერთო ნორმას. თუმცა ეს გულისხმობა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დაფუძნებულია საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის პროპორციული განაწილების მუდმივ ცვლილებაზე, კაპიტალების განუწყვეტელ იმიგრაციასა და ემიგრაციაზე, ერთი სფეროდან მეორეში მათი გადატანის შესაძლებლობაზე, მოკლედ, მათ თავისუფალ მოძრაობაზე წარმოების ამ სხვადასხვა სფეროებს შორის, როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის დამოუკიდებელი

ნაწილების გამოყენებისათვის სათანადო თავისუფალ სფეროებს შორის. ამასთან იგულისხმება, რომ არავითარი — ანდა მხოლოდ შემთხვევითი და ხანმოკლე — ზღუდე არ უშლის ხელს კაპიტალების კონკურენციას, რათა მან, მაგალითად, წარმოების იმ სფეროში, სადაც საქონელთა ღირებულება მათი წარმოების ფასზე მაღალია, ანუ სადაც წარმოებული ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებაზე მაღალია, ღირებულება წარმოების ფასამდე დაიყვანოს და ამით წარმოების ამ სფეროს ნამეტი ზედმეტი ღირებულება პროპორციულად გაანაწილოს კაპიტალის მიერ ყველა ექსპლოატირებულ სფეროს შორის. მაგრამ თუ პირიქითი მოვლენა ხდება, თუ კაპიტალი წააწყდება უცხო ძალას, რომლის გადალახვაც მას მხოლოდ ნაწილობრივ ანდა სრულიად არ შეუძლია, ძალას, რომელიც მის დაბანდებსა წარმოების განსაკუთრებულ სფეროებში ზღუდავს, ე. ი. მას მხოლოდ ისეთ პირობებში უშვებს, რომელნიც ზედმეტი ღირებულების აღნიშნულ საერთო გათანაბრობებს საშუალო მოგებად სრულიად ან ნაწილობრივ გამორიცხავს, მაშინ, ცხადია, წარმოების ასეთ სფეროებში საქონლის წარმოების ფასზე საქონლის ღირებულების გადაწამეტის გამო წარმოიშვება ნამეტი მოგება, რომელსაც შეუძლია რენტად გადაიქცეს და როგორც ასეთი მოგებისაგან გამოცალკევდეს. ასეთი უცხო ძალისა და ზღუდის სახით უპირისპირდება კაპიტალს მისი მიწაში დაბანდების დროს მიწის საკუთრება ან კაპიტალისტს — მიწის მესაკუთრე.

მიწის საკუთრება აქ ის ბარიერია, რომელიც აქამდე დაუმუშავებელ ანუ იჯარით გაუცემელ მიწაზე ახალ კაპიტალდაბანდებს არ უშვებს, თუ ადგილი არა აქვს ბაჟის გადახდას, ე. ი. რენტის აღებას; თუმცა ეს მიწა, რომელიც ახლად შედის დამუშავებაში, მიწათა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც დიფერენციულ რენტას არ იძლევა და რომელიც, თუ მიწის საკუთრება არ იარსებებდა, შეიძლებოდა უკვე საბაზრო ფასის მცირეოდენი აწევის პირობებში დამუშავებულიყო, ასე რომ მარეგულირებელი საბაზრო ფასი ამ უცუდესი მიწის დამუშავებელს მხოლოდ მისი წარმოების ფასს მისცემდა. იმ ზღუდის გამო კი, რასაც მიწის საკუთრება აწესებს, საბაზრო ფასმა ისეთ პუნქტამდე უნდა აიწიოს, როცა მიწას შეეძლება წარმოების ფასთან შედარებით ნამეტი, ე. ი. რენტა გადაიხადოს. მაგრამ, რადგანაც სამიწათმოქმედო კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა ღირებულება, ნაგულისხმევის თანახმად, მათი წარმოების ფასზე მაღალია, ამიტომ ეს რენტა

(იმ შემთხვევის გამოკლებით, რომელსაც ახლავე განვიხილავთ) წარმოადგენს ღირებულების გადანამეტს წარმოების ფასზე ან ამ გადანამეტის ნაწილს. რენტა ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებულ მთელ სხვაობას უდრის, თუ ამ სხვაობის მხოლოდ დიდ ან პატარა ნაწილს, ეს მთლიანად დამოკიდებული იქნებოდა მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდებაზე და დაუშვავებაში ახლად შესული მიწის ფართობის მოცულობაზე. სანამ რენტა არ გაუთანატოლდებოდა მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულების გადანამეტს მათი წარმოების ფასზე, მანამ ამ გადანამეტის ერთი ნაწილი ყოველთვის მიიღებდა მონაწილეობას და შევიდოდა მთელი ზედმეტი ღირებულების საერთო გათანატოლებასა და მის პროპორციულ განაწილებაში ცალკეულ კაპიტალებს შორის. როგორც კი რენტა გაუთანატოლდებოდა ღირებულების გადანამეტს წარმოების ფასზე, მაშინვე ზედმეტი ღირებულება მთელი ის ნაწილი, რაც საშუალო მოგებას აღემატება, გამოეცლებოდა ამ გათანატოლებას. მაგრამ ეს აბსოლუტური რენტა წარმოების ფასზე ღირებულების მთელ გადანამეტს უდრის, თუ მხოლოდ მის ნაწილს, — მიწათმოქმედების პროდუქტები ორივე შემთხვევაში მონოპოლიური ფასის მიხედვით გაიყიდებოდა არა იმიტომ, რომ მათი ფასი მათს ღირებულებაზე მაღალია, არამედ იმიტომ, რომ იგი მათს ღირებულებას უდრის, ანდა იმიტომ, რომ იგი მათს ღირებულებაზე დაბალი, მაგრამ მათს წარმოების ფასზე მაღალია. მათი მონოპოლიური მდგომარეობა იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი განსხვავებით სხვა სამრეწველო პროდუქტებისაგან, რომელთა ღირებულებაც წარმოების საერთო ფასზე მაღალია, არ იქნებოდნენ წარმოების ფასამდე დაყვანილი. რადგან ღირებულების, ისე როგორც წარმოების ფასის, ერთი ნაწილი ფაქტიურად მოცემული მუდმივი ოდენობაა, — სახელდობრ, ხარჯთფასი, წარმოებაზე დახარჯული კაპიტალი, = k , ამიტომ მათი განსხვავება მდგომარეობს მეორე, ცვალებად ნაწილში, ზედმეტ ღირებულებაში, რომელიც წარმოების ფასში შეადგენს p , მოგებას, ე. ი. უდრის მათ საზოგადოებრივ კაპიტალზე და ყოველ ცალკეულ კაპიტალზე, როგორც მის პროპორციულ ნაწილზე, გამოანგარიშებულ ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ რომელიც საქონლის ღირებულებაში უდრის ამ განსაკუთრებული კაპიტალის მიერ შექმნილ ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას, და რომელიც მის მიერ შექმნილ საქონელღირებულებათა ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს. თუ საქონლის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მისი წარმოების ფასი,

მაშინ წარმოების ფასი უდრის $k + p$, ღირებულება უდრის $k + p + d$, ასე რომ $p + d$ უდრის მასში მოთავსებულ ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, განსხვავება ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის უდრის d -ს, ამ კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების გადანამეტს იმ ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც მას წილად ხვდება მოგების საერთო ნორმის შეზღუდვით. აქედან გამომდინარეობს, რომ მიწათმოქმედების პროდუქტების ფასი შეიძლება მათი წარმოების ფასზე მაღალი იყოს, თუმცა იგი მათს ღირებულებას ვერ აღწევდეს. აქედან გამომდინარეობს, შემდეგ, რომ განსაზღვრულ პუნქტამდე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწათმოქმედების პროდუქტების ფასის ხანგრძლივ აწევას, ვიდრე მათი ფასი მათი ღირებულების დონეს მიაღწევდეს. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ მხოლოდ მიწის საკუთრების მონაპოლიის გამო მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულების გადანამეტი მათს წარმოების ფასზე შეიძლება გახდეს მათი საერთო საბაზრო ფასის განმსაზღვრელი მომენტი. დასასრულს, აქედან გამომდინარეობს, რომ ამ შემთხვევაში რენტის მიზეზი პროდუქტის გაძვირება კი არაა, არამედ რენტა პროდუქტის გაძვირების მიზეზი. თუ უცუდეში მიწის ფართობის ერთეულზე მიღებული პროდუქტის ფასი $= P + r$ -ს, მაშინ ყველა დიფერენციული რენტა მაღლა იწევს r -ის სათანადო საკრებით, რადგან, ნაგულისხმევს თანახმად, $P + r$ მარეგულირებელი საბაზრო ფასი ხდება.

არასამიწათმოქმედო საზოგადოებრივი კაპიტალის საშუალო შედგენილობა რომ $= 85c + 15v$, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% ყოფილიყო, მაშინ წარმოების ფასი 115 იქნებოდა. თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა იქნებოდა $75c + 25v$, მაშინ პროდუქტის ღირებულება, ზედმეტი ღირებულების იმავე ნორმის პირობებში, და მარეგულირებელი საბაზრო ფასი 125 იქნებოდა. თუ მიწათმოქმედების პროდუქტი არასამიწათმოქმედო პროდუქტს გაუთანატოლდებოდა საშუალო ფასის საფუძველზე (სიმარტივისათვის ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მთელი კაპიტალი წარმოების ორივე სფეროში თანატოლია), მაშინ მთელი ზედმეტი ღირებულება 40, მაშასადამე, 20% იქნებოდა 200 კაპიტალზე. როგორც ერთის, ისე მეორის პროდუქტი გაიყიდებოდა 120-ად. მაშასადამე, წარმოების ფასების საფუძველზე გათანატოლების პირობებში არასამიწათმოქმედო პროდუქტის საშუალო საბაზრო ფასები მათ ღირებულებასთან შედარებით უფრო მაღალი იქნებოდა, ხოლო მიწათმოქმედების პროდუქტისა კი —

დაბალი თუ მიწათმოქმედების პროდუქტები მთელი თავისი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა, მაშინ ისინი 5-ით უფრო ძვირი იქნებოდნენ, ხოლო სამრეწველო პროდუქტები კი 5-ით უფრო იაფი, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა გათანაბრობების პირობებში. თუ საბაზრო ურთიერთობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები გაიყიდოს მთელი მათი ღირებულების კვალობაზე, წარმოების ფასზე მთელი გადანამეტის კვალობაზე, მაშინ შედეგი დაიკავებს საშუალო ადგილს ორ უკიდურეს პუნქტს შორის; სამრეწველო პროდუქტები გაიყიდება მათს ღირებულებაზე ცოტა მაღლა, ხოლო მიწათმოქმედების პროდუქტები მათი წარმოების ფასებზე ცოტა მაღლა.

თუმცა მიწის საკუთრებას შეუძლია მიწათმოქმედების პროდუქტების ფასი მათი წარმოების ფასზე მაღლა ასწიოს, მაგრამ არა ამ საკუთრებაზე, არამედ ბაზრის საერთო მდგომარეობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უახლოვდება წარმოების ფასზე ზევით აწეული საბაზრო ფასი ღირებულებას და, მაშასადამე, თუ რამდენად გადაიქცევა რენტად ანდა შევა ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად საერთო გათანაბრობებაში ის ზედმეტი ღირებულება, რომელიც შექმნილია მიწათმოქმედებაში მოცემულ საშუალო მოგებაზე ზევით. ყოველ შემთხვევაში ეს აბსოლუტური რენტა, რომელსაც წარმოების ფასზე ღირებულების გადანამეტი წარმოშობს, მხოლოდ ნაწილია სამიწათმოქმედო ზედმეტი ღირებულებისა, ამ ზედმეტი ღირებულების რენტად გადაქცევაა, მისი ხელში ჩაგდებაა მიწის მესაკუთრის მიერ; სწორედ ისე, როგორც დიფერენციულ რენტას წარმოშობს დამატებითი მოგების გადაქცევა რენტად, ამ დამატებითი მოგების ხელში ჩაგდება მიწის საკუთრების მიერ წარმოების საერთო მარეგულირებელი ფასის პირობებში. რენტის ეს ორივე ფორმა ერთადერთი ნორმალური ფორმებია. რენტა, ამ ფორმების გარდა, შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ საკუთრივ მონოპოლიურ ფასზე, რომელიც განისაზღვრება არა წარმოების ფასით და საქონელთა ღირებულებით, არამედ მყიდველთა მოთხოვნილებითა და გადანდისუნარიანობით და რომელიც განხილულ უნდა იქნეს მოძღვრებაში კონკურენციის შესახებ, სადაც საბაზრო ფასების ნამდვილი მოძრაობა განხილვება.

თუ რომელიმე ქვეყნის მთელი მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მიწა იჯარით იქნებოდა გაცემული, — ამასთანავე იგულისხმება, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი და ნორმალური ურთიერთობა საყო-

ველთაოა, — მაშინ არ იქნებოდა მიწა, რომელსაც რენტა არ მოეტანა, მაგრამ იარსებებდა კაპიტალდაბანდებანი, მიწაში დაბანდებული კაპიტალის ცალკეული ნაწილები, რომელნიც რენტას არ მოიტანდნენ; და ეს იმიტომ, რომ მიწის იჯარით გაცემისთანავე, მიწის საკუთრება, როგორც აბსოლუტური ზღუდე აუცილებელი კაპიტალდაბანდებისათვის, შეწყვეტს თავის მოქმედებას. როგორც შეფარდებითი ზღუდე, იგი კვლავ განაგრძობს მოქმედებას ამის შემდეგაც იმ აზრით, რომ მიწაში დაბანდებული კაპიტალის გადასვლა მიწის მესაკუთრის ხელში მოიჯარეს აქ მეტად განსაზღვრულ ზღუდეს უქმნის. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცეოდა ყველა რენტა დიფერენციულ რენტად, ისეთ დიფერენციულ რენტად, რომელიც განსაზღვრულია არა მიწის ხარისხში არსებული სხვაობით, არამედ იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს განსაზღვრულ მიწაზე უკანასკნელი კაპიტალდანახარჯით მიღებულ დამატებით მოგებასა და იმ რენტას შორის, რომელიც ყველაზე ცუდი კატეგორიის მიწის იჯარისათვის იქნებოდა გადახდილი. აბსოლუტური ზღუდის სახით მიწის საკუთრება მხოლოდ იმდენად მოქმედებს, რამდენადაც საერთოდ მიწაზე, როგორც კაპიტალის გამოყენების სფეროზე, დაშვება მიწის მესაკუთრისათვის ხარკის მიცემითაა გაპირობებული. რაკი ამ დაშვებას ადგილი ჰქონდა, მიწის მესაკუთრეს აღარ შეუძლია რაიმე აბსოლუტური ზღუდე დაუპირისპიროს კაპიტალის დაბანდების რაოდენობრივ მოცულობას მოცემული მიწის ნაკვეთზე. სახლების აშენებას საერთოდ დადებული აქვს ზღუდე მესამე პირის საკუთრებით მიწის იმ ნაკვეთზე, რომელზედაც სახლი უნდა აშენდეს. მაგრამ რაკი ერთხელვე ეს მიწა გაცემულია იჯარით სახლის ასაშენებლად, უკვე მოიჯარეზეა დამოკიდებული, იგი ამ ნაკვეთზე მაღალ სახლს ააშენებს თუ დაბალს.

სამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო შედგენილობა რომ იგივე ან უფრო მაღალი ყოფილიყო, ვიდრე საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობა, მაშინ აბსოლუტური რენტა — კვლავ მხოლოდ ახლახან განხილული აზრით — გაქრებოდა; ე. ი. გაქრებოდა ის რენტა, რომელიც განსხვავდება როგორც დიფერენციული რენტისაგან, ისე საკუთრივ მონოპოლიურ ფასზე დამყარებული რენტისაგანაც. მაშინ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება არ იქნებოდა მისი წარმოების ფასზე უფრო მაღალი და სამიწათმოქმედო კაპიტალი ვერ მოიყვანდა მოძრაობაში მეტ შრომას, მაშასადამე, ვერ მოახდენდა ზედმეტი შრომის უფრო მეტი რაოდენობის რეალიზაციას, ვიდრე

არასამიწათმოქმედო კაპიტალი. ამასვე ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა კულტურის პროგრესის შედეგად საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობას გაუთანატოლდებოდა.

ერთი შეხედვით წინააღმდეგობად გვეჩვენება იმის გულისხმობა, რომ, ერთი მხრივ, სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა მალე იწვევს, მასასაღამე, მისი მუდმივი ნაწილი იზრდება მის ცვალებად ნაწილთან შედარებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიწის პროდუქტის ფასმა საკმაოდ მალე უნდა აიწიოს, რათა ახალმა და უწინდელთან შედარებით უფრო ცუდმა მიწამ შეძლოს იმ რენტის გადახდა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლებოდა წარმომდგარიყო მხოლოდ საბაზრო ფასის გადანამეტოიდან ღირებულებაზე და წარმოების ფასზე, მოკლედ, პროდუქტის მხოლოდ მონოპოლიური ფასიდან.

აქ შემდეგი უნდა განვასხვაოთ.

მოგების ნორმის შექმნის განხილვისას ჩვენ უწინარეს ყოვლისა დავინახეთ, რომ კაპიტალებს, რომელნიც ტექნოლოგიურად თანაბრად არიან შედგენილი, ე. ი. მანქანებსა და ნედლ მასალასთან შედარებით შრომის ერთი და იგივე რაოდენობა მოჰყავთ მოძრაობაში, შეუძლიათ, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა შედგენილობა ჰქონდეთ იმის გამო, რომ ამ კაპიტალთა მუდმივ ნაწილებს სხვადასხვა ღირებულება აქვთ. ნედლი მასალა და მანქანები ერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ძვირი იყოს, ვიდრე მეორე შემთხვევაში. შრომის იმავე მასის მოძრაობაში მოსაყვანად (და ეს იქნებოდა, ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, აუცილებელი ნედლი მასალის იმავე მასის გადასამუშავებლად) ერთ შემთხვევაში უფრო დიდი კაპიტალი უნდა ყოფილიყო ავანსებული, ვიდრე მეორე შემთხვევაში, რადგან, მაგალითად, კაპიტალ 100-ით მე არ შეიძლება მოძრაობაში მოვიყვანო შრომის იგივე რაოდენობა, თუ ნედლი მასალა, რომელიც ასევე ამ 100-დან უნდა იქნეს გადახდილი, ერთ შემთხვევაში ღირს 40, ხოლო მეორეში — 20. მაგრამ ეს კაპიტალები რომ, მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიურად თანაბრად არიან შედგენილი, ეს მაშინვე გამოაშკარავდებოდა, თუ უფრო ძვირი ნედლეულის ფასი უფრო იაფი ნედლეულის ფასის დონემდე დაეცემოდა. ღირებულებათა შეფარდება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის მაშინ ერთნაირი ვახდებოდა, თუმცა გამოყენებულ ცოცხალ შრომასა და შრომის გამოყენებულ პირობათა მასასა და ბუნებას შორის არსებულ ტექნიკურ შეფარდებაში არავითარი ცვლილება არ

მოხდებოდა. მეორე მხრივ, თუ საქმეს მხოლოდ ღირებულებითი შედგენილობის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ შედარებით დაბალი ორგანული შედგენილობის კაპიტალს მისი მუდმივი ნაწილების ღირებულებათა უბრალო გადიდების გამო შეეძლო გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილების მოხდენა, თითქოს მან უფრო მაღალი შედგენილობის კაპიტალის თანაბარ ღონეზე აიწია. ავიღოთ კაპიტალი, რომელიც $= 60c + 40s$, — იმიტომ რომ იგი ბევრ მანქანებს და ნედლ მასალას იყენებს შედარებით ცოცხალ სამუშაო ძალასთან, — და მეორე კაპიტალი $= 40c + 60s$, — იმიტომ რომ იგი ბევრ ცოცხალ შრომას (60%) და ცოტა მანქანებს (ვთქვათ, 10%) და შედარებით სამუშაო ძალასთან ცოტა და იაფ ნედლ მასალას (ვთქვათ, 30%) იყენებს; ამ შემთხვევაში ნედლი და დამხმარე მასალის ღირებულების უბრალო გადიდების გამო 30-დან 80-მდე, შედგენილობა გათანაბრდებოდა. ასე რომ მეორე კაპიტალში 10-ს მანქანებში მოუწევდა 80 ნედლი მასალისა და 60 სამუშაო ძალის სახით, მაშასადამე, $90c + 60s$, რაც პროცენტებით გამოხატული. ასევე იქნებოდა $= 60c + 40s$, ამასთან არავითარი ცვლილება ტექნიკურ შედგენილობაში არ მოხდებოდა. ამრიგად, თანაბარი ორგანული შედგენილობის კაპიტალებს შეუძლიათ ჰქონდეთ სხვადასხვა ღირებულებითი შედგენილობა, ხოლო პროცენტულად თანაბარი ღირებულებითი შედგენილობის კაპიტალებს შეუძლიათ ორგანული შედგენილობის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ, მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის სხვადასხვა განვითარების საფეხურებს გამოხატავდნენ. მართოს გარემოება, რომ ღირებულებითი შედგენილობის მიხედვით სამიწათმოქმედო კაპიტალი საერთო ღონეზე იდგომებოდა, ჯერ კიდევ ვერ დამტკიცებდა იმას, რომ შრომის საზოგადოებრივმა მწარმოებლურმა ძალამ ამ სამიწათმოქმედო კაპიტალის სფეროში განვითარების იმავე ღონეს მიაღწია. იგი მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ამ კაპიტალის საკუთარი პროდუქტი, რომელიც თავის მხრივ კვლავ მისი წარმოების პირობათა ნაწილს შეადგენს, უფრო გაძვირდა, ანდა ახლა საჭირო გახდა დამხმარე მასალის, როგორც, მაგალითად, ნაკელის, რომელიც უწინ იქვე ჰქონდათ, შორიდან მოტანა და სხვ.

მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მიწათმოქმედების თავისებური ხასიათი.

დავუშვათ, რომ შრომის დაშვებული მანქანები, ქიმიური დამხმარე საშუალებანი და სხვა ფართო გამოყენებას პოულობენ მიწათ-

მოქმედებაში, ე. ი. მუდმივი კაპიტალი ტექნიკურად, არა მარტო ღირებულების, არამედ მასის მიხედვითაც, იზრდება გამოყენებულ სამუშაო ძალასთან შედარებით; ასეთ შემთხვევაში მიწათმოქმედებაში (ისე როგორც სამთო მრეწველობაში) საქმე ეხება შრომის არა მარტო საზოგადოებრივ, არამედ ბუნებრივ მწარმოებლურ ძალასაც, რომელიც შრომის ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდება იძლევა მიწათმოქმედებაში ბუნებრივი ძალის შემცირების მხოლოდ კომპენსაციას ან არასრულ კომპენსაციას — ამ კომპენსაციას შეუძლია მუდამ გავლენის მოხდენა მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში, — ასე რომ, მიუხედავად ტექნიკური განვითარებისა, პროდუქტი არ იაფდება, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ მისი უფრო გაძვირების თავიდან აცილებას. შესაძლებელია აგრეთვე, რომ პურის მზარდი ფასის პირობებში პროდუქტის აბსოლუტური მასა მცირდებოდეს, მაშინ როდესაც შეფარდებითი დამატებითი მოგება იზრდება; სახელდობრ ეს შესაძლებელია იმ მუდმივი კაპიტალის შეფარდებითი გადიდების პირობებში, რომელიც უმთავრესად მანქანებისა ანუ პირუტყვისაგან შედგება და რომლიდანაც ასანახლაურებელი რჩება მხოლოდ გაცვეთა, და კაპიტალის იმ ცვალებადი, ხელფასზე დახარჯული ნაწილის სათანადო შემცირების დროს, რომელიც მუდამ პროდუქტიდან უნდა ანაზღაურდეს მთლიანად.

მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ მიწათმოქმედების პროგრესის დროს საჭირო იყოს საბაზრო ფასის მხოლოდ ზომიერი ზრდა საშუალოზე ზევით, რათა დამუშავებაში შესვლა და ამავე დროს რენტის მოცემა შეძლოს უფრო ცუდმა მიწამ, რომელიც ტექნიკურ დამხმარე საშუალებათა უფრო დაბალი დონის პირობებში საბაზრო ფასის უფრო მნიშვნელოვან გადიდებას მოითხოვდა.

ის გარემოება, რომ, მაგალითად, დიდი მასშტაბით წარმართულ მესაქონლეობაში გამოყენებული სამუშაო ძალის მასა მეტად მცირეა შედარებით თვით პირუტყვზე დახარჯულ მუდმივ კაპიტალთან, შეიძლებოდა გადაწყვეტ არგუმენტად ჩაგვეთვალა იმ დებულების წინააღმდეგ, რომ პროცენტულად გამოანგარიშებულ სამიწათმოქმედო კაპიტალს უფრო მეტი სამუშაო ძალა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე არასამიწათმოქმედო საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალს. მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რენტის განხილვისას ჩვენ გამოვდივართ სამიწათმოქმედო კაპიტალის იმ ნაწილიდან, — როგორც განმსაზღვრელი

ნაწილიდან, — რომელიც კვების ძირითად მცენარეულ საშუალებას, მამსადამე, ცივილიზებული ხალხებისათვის მთავარ საარსებო საშუალებას აწარმოებს. უკვე ა. სმიტმა გვიჩვენა, — და ესაა მისი ერთ-ერთი დამსახურება, — რომ მესაქონლეობაში და საერთოდ, საშუალოდ ყველა იმ კაპიტალის მიწაში დაბანდების დროს, რომელიც მთავარ საარსებო საშუალებათა, მაგალითად, პურის, მოყვანას არ ხმარდება, ფასი სრულიად სხვაგვარად განისაზღვრება, სახელდობრ, ფასი აქ იმით განისაზღვრება, რომ იმ მიწის პროდუქტის ფასმა, — რომელიც, ვთქვათ, მესაქონლეობისათვის ხელოვნური საძოვრის სახით გამოიყენება, მაგრამ რომელიც ასევე კარგად შეიძლება გადაიქცეს გარკვეული თვისების მქონე სახნავ მიწადაც, — საკმაოდ მაღლა უნდა აიწიოს, რათა იგივე რენტა მოგვეცეს, რასაც სხვა იმავე თვისების სახნავი მიწა იძლევა; მამსადამე, აქ რენტა, რომელსაც სახნავი მიწა იძლევა, მონაწილეობს პირუტყვის ფასის განსაზღვრაში, რის გამოც რამსაემ მართებულად აღნიშნა, რომ პირუტყვის ფასი, ამრიგად, რენტის მეოხებით, მიწის საკუთრების ეკონომიური გამოსატყულებით, მამსადამე, მიწის საკუთრების მეოხებით, მაღლა იწევს.

«კულტურის გაფართოების გამო დაუმუშავებელი უდაბური ადგილები აღარაა საკმარისი დასაკლავი პირუტყვის მიწოდებისათვის. დამუშავებული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გადაიქცეს პირუტყვის მოსაშენებელ და გამოსაყვებ ადგილებად; ამიტომ პირუტყვის ფასი საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, რათა მან გაისტუმროს არა მარტო მასზე დაბარჯული შრომა, არამედ რენტაც, რომლის მიღებაც ამ მიწიდან მიწათმფლობელს შეეძლო, და მოგებაც, რომელსაც ფერმერი მიიღებდა, თუ მიწა სახნავი ადგილის სახით იქნებოდა დამუშავებული. უაღრესად გამოუყენებელ ტორფიან ჭაობებზე მოშენებული პირუტყვი წონისა და ხარისხის მიხედვით იმავე ფასად გაიყიდება, რა ფასადაც იყიდება საუკეთესოდ დამუშავებულ მიწებზე მოშენებული პირუტყვი. ამ ტორფიანი ჭაობების მფლობელნი აქედან მოგებას იღებენ და თავიანთი მიწების რენტას მაღლა სწევენ პირუტყვის ფასებთან შეფარდებით» (A. Smith, წიგნი I, თავი XI, ნაწ. 1). ამრიგად, აქ, პურის რენტისაგან განსხვავებით, დიფერენციული რენტაც უფრო მდარე მიწის სასარგებლოდ მიდის.

აბსოლუტური რენტა გვიხსნის ისეთ მოვლენებს, რომელნიც ერთი შეხედვით თითქოს იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ რენტა მართოდენ მონოპოლიურ ფასს მივაცუთვნოთ. რათა ა. სმიტის მაგალი-

თიდან დავიწყოთ, წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ისეთი მფლობელი, რომლის ტყეც ადამიანის ყოველგვარი დახმარების გარეშე იზრდება, მაშასადამე, არა როგორც პროდუქტი მეტყეობისა, ვთქვათ, ნორვეგიაში. თუ მას რენტას უხდის კაპიტალისტი, რომელიც ტყის მოჭრას აწარმოებს, — ვთქვათ, იმიტომ რომ მასზე მოთხოვნა არსებობს ინგლისში, ანდა თვითონ მფლობელი აჭრევიანებს ამ ხე-ტყეს, როგორც კაპიტალისტი, მაშინ ამ ხე-ტყეში, გარდა მოგებისა, რაც ავანსებულ კაპიტალს უწევს, მეტი თუ ნაკლები რაოდენობის რენტასაც უხდის. ამ მართოდენ ბუნების პროდუქტის მიმართ ეს წმინდა მონოპოლიურ წანაპიჯად გვეჩვენება. მაგრამ სინამდვილეში კაპიტალი აქ თითქმის მხოლოდ ცვალებადი, ხელფასზე დახარჯული კაპიტალისაგან შედგება, მაშასადამე, მას უფრო დიდი ზედმეტი შრომა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე ტოლი სიდიდის სხვა რომელიმე კაპიტალს. მაშასადამე, ხე-ტყის ღირებულება შეიცავს გადაუხდელი შრომის ანუ ზედმეტი ღირებულების უფრო დიდ ნაშევს, ვიდრე მაღალი შედგენილობის კაპიტალების პროდუქტი. იმიტომ შესაძლებელია ხე-ტყემ საშუალო მოგება მოგვცეს და მნიშვნელოვანი ნაშევსი რენტის სახით ტყის მესაკუთრეს ერგოს. პირიქით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ სიადვილის პირობებში, რომლითაც ხე-ტყის მოჭრა, მაშასადამე, მისი წარმოების სწრაფი გაფართოება შეიძლება, მოთხოვნამ მეტად მნიშვნელოვნად უნდა აიწიოს, რათა ხე-ტყის ფასი მის ღირებულებას გაუთანაბლოდეს და, ამრიგად, გადაუხდელი შრომის მთელი ნაშევსი (მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც საშუალო მოგების სახით კაპიტალისტს ერგება) რენტის სახით მესაკუთრეს ერგოს.

ჩვენ გვულისხმობდით, რომ დამუშავებაში ახლად შესული მიწა კიდევ უფრო ცუდი ხარისხისაა, ვიდრე ყველაზე ცუდი მიწა, რომელიც უკანასკნელად მუშავდებოდა. თუ იგი უკეთესია, მას დიფერენციული რენტა მოაქვს. მაგრამ ჩვენ სწორედ იმ შემთხვევას ვიკვლევთ, როცა რენტა დიფერენციული რენტის სახით არ გვევლინება. აქ კი ორი შემთხვევაა შესაძლებელი. დამუშავებაში ახლად შესული მიწა ან უფრო ცუდია ანდა იგი ისეთივე ხარისხისაა, როგორც უკანასკნელად დამუშავებული მიწა. როცა იგი უფრო ცუდია, ეს შემთხვევა ჩვენ უკვე გავარკვეეთ. მაშასადამე, გამოსაკვლევი გვრჩება ის შემთხვევა, როცა იგი იმავე ხარისხისაა.

კულტურის პროგრესთან ერთად, როგორც ეს დიფერენციული რენტის განხილვისას იყო ნაჩვენები, დამუშავებაში შეიძლება შევიდეს

თანაბრად როგორც იმავე ხარისხის მიწა და უკეთესი ხარისხისაც კი, ასე ცუდი ხარისხის მიწაც.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დიფერენციული რენტის არსებობის დროს (და საერთოდ რენტის არსებობის დროს, რადგან არადიფერენციული რენტის არსებობისასაც კი მუდამ ისმის საკითხი, იძლევა თუ არა, ერთი მხრივ, მიწის ნაყოფიერება საერთოდ და, მეორე მხრივ, მისი ადგილმდებარეობა იმის შესაძლებლობას, რომ ეს მიწა ისე დამუშავდეს, რომ მან მარეგულირებელი საბაზრო ფასის პირობებში მოგება და რენტა მოგვეცეს) პირუკუ შეფარდებით მოქმედებს ორი პირობა, რომელნიც ხან ერთიმეორეს აბათილებენ, ხან კი ერთიმეორეს აჭარბებენ. საბაზრო ფასის აწევას, — თუ ვიგულისხმებთ, რომ დამუშავების სარჯათფასი არ დაცემულა, სხვა სიტუაციებით, რომ ტექნიკური ხასიათის პროგრესი არ შეადგენს იმ ახალ მომენტს, რაც დამუშავების გაფართოებას განსაზღვრავს, — შეუძლია გამოიწვიოს იმ უფრო ნაყოფიერი მიწის დამუშავება, რომელიც წინათ თავისი ადგილმდებარეობის გამო გამორიცხული იყო კონკურენციიდან. ანდა ნაკლებად ნაყოფიერი მიწისათვის ამას შეუძლია იმდენად ასწიოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, რომ ამით უფრო მცირე გამოსავლიანობა წონასწორდება. ანდა, საბაზრო ფასის აუწევლადაც, ადგილმდებარეობას შეუძლია გაუქობესებულ სამიმოსვლო საშუალებათა მეოხებით უკეთესი მიწის ნაკვეთებს შორის კონკურენციის შექმნას, როგორც ჩვენ ამას დიდი მასშტაბით ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებში მდებარე შტატების მაგალითზე ვხედავთ. ძველი ცივილიზაციის ქვეყნებშიც ხდება ეს მუდმივად, თუმცა არა იმ მასშტაბით, როგორც კოლონიებში, სადაც, — უეჭვილდის მართებული შენიშვნისამებრ, — გადააწყვეტი მნიშვნელობა ადგილმდებარეობას ეკუთვნის. ამრიგად, ჯერ ერთი, ადგილმდებარეობის და ნაყოფიერების საპირისპირო მოქმედებანი და, მეორე, ადგილმდებარეობის იმ ფაქტორის ცვალებადობა, რომელიც მუდმივად წონასწორდება და გათანაბრებისაკენ მიმართულ მუდმივ პროგრესულ ცვლილებებს განიცდის, — აი ის, რის მეოხებითაც თანაბარი, უკეთესი ანდა უფრო ცუდი ხარისხის მიწები შენაცვლებით შედიან კონკურენციაში ძველ დამუშავებულ მიწებთან.

მეორე. ბუნებისმეცნიერებისა და აგრონომიის განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მიწის ნაყოფიერებაც, რადგან იცვლება საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი ხდება მიწის

ელემენტების დაუყოვნებლივ გამოყენება. ამრიგად, საფრანგეთში და ინგლისის აღმოსავლეთ საგრაფოებში მსუბუქი მიწები, რომელნიც წინათ ცუდ მიწებად ითვლებოდნენ, ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში გადაიქცნენ პირველხარისხოვან მიწებად (იხ. პასი). მეორე მხრივ, მიწა, რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობის გამო ცუდ მიწად არ ითვლებოდა და მხოლოდ გარკვეულ მექანიკურ-ფიზიკურ დაბრკოლებებს უქმნიდა დამუშავებას, კარგ მიწად იქცევა მაშინვე, როგორც კი ამ დაბრკოლებათა გადასალახავი საშუალებანი აღმოჩნდება.

მ ე ს ა მ ე. ძველი ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში ძველი ისტორიული და ტრადიციული ურთიერთობა, რაც, მაგალითად, სახელმწიფო მიწების, სათემო მიწებისა და სხვათა ფორმით გვევლინება, სრულიად შემთხვევით გამორიცხავს მიწის მსხვილ ნაკვეთებს დამუშავებიდან, რომელშიც ისინი მხოლოდ თანდათანობით შედიან. ის რიგი, რომლითაც ისინი დამუშავებას ექვემდებარებიან, დამოკიდებულია არა მათს ხარისხზე, ან მათს ადგილმდებარეობაზე, არამედ სრულიად გარეგან გარემოებებზე. თუ ჩვენ თვალს გადავაგვლებდით ინგლისის სათემო მიწების ისტორიას, გავიხსენებდით. თუ როგორ ხდებოდა შემოფარგვლის კანონების [Enclosure Bills] საშუალებით მათი კერძო საკუთრებად გადაქცევა და დამუშავებაში შესვლა. მაშინ არაფერი არ აღმოჩნდებოდა იმაზე უფრო სასაცილო, ვიდრე ფანტასტიკური წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს ვინმე თანამედროვე აგროქიმიკოსი, მაგალითად, ლიბიხი, ხელმძღვანელობდა ამ რიგის დაწესებას, იმ აზრით, რომ გარკვეული ადგილები, მათი ქიმიური თვისებების გამო, კულტურისათვის განესაზღვრა, ხოლო სხვები კი აქედან გამოერიცხა. პირიქით, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა «ხელსაყრელ შემთხვევას, რომელიც ქურდებს ქმნის [die Gelegenheit, die Diebe macht]». ცოტად თუ ბევრად სარწმუნო იურიდიული საბაბი მოთვისებისათვის, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ლენდლორდებს ეძლეოდათ.

მ ე ო თ ხ ე. თუ არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, რომ ყოველი განსაზღვრული მომენტისათვის მოსახლეობისა და კაპიტალის ზრდაში მიღწეული განვითარების დონე მიწის კულტურის გაფართოებას გარკვეულ, თუმცა ელასტიკურ ზღუდეს უდებს; თუ არას ვიტყვით იმ შემთხვევითი ხასიათის მოვლენებზე, რომელნიც ხანმოკლე გავლენას ახდენენ საბაზრო ფასზე, მოვლენებზე, როგორიცაა, მაგალითად, წელიწადის მთელი რიგი ხელსაყრელი და არახელსაყრელი სეზონი, — მიწის კულტურის სივრცობრივი გაფართოება დამოკიდებულია კაპი-

ტალის ბაზრის საერთო მდგომარეობასა და ამა თუ იმ ქვეყნის მოსაქმეობის მდგომარეობაზე. იმისათვის, რომ დამატებითმა კაპიტალმა მიწათმოქმედებას მიაშუროს, კაპიტალის ნაკლებობის პერიოდებში საკმარისი არაა ის პირობა, რომ დაუშუშავებელი მიწა, — სულ ერთია იხდის იგი რენტას თუ არა, — მოიჯარეს საშუალო მოგებას აძლევდეს. კაპიტალის სიუხვის პერიოდში კი ეს უკანასკნელი მიედინება მიწის დამუშავებაში, — თვით საბაზრო ფასის აუწევლადაც კი, — თუ სხვა მხრივ ნორმალური პირობებია განხორციელებული. მაშინ უკეთესი ხარისხის მიწა, შედარებით იმ მიწასთან, რომელიც აქამდე მუშავდებოდა, მართლაც გამოირჩეხებოდა კონკურენციიდან მხოლოდ ან ადგილმდებარეობის მომენტით ან გადაულახავი ზღუდეების შეოხებით, რომელიც მოიჯარისათვის ხელმოუწვდომლად ქმნის ამ მიწას, ანდა შემთხვევითი მოვლენით. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმ ხარისხის მიწებთან გვექნება საქმე, რომელნიც ხარისხით ისევე კარგნი არიან, როგორც უკანასკნელად დამუშავებული მიწები. მაგრამ ახალსა და უკანასკნელად დამუშავებულ მიწას წორის მაინც ყოველთვის რჩება განსხვავება იმ ხარჯების მხრივ, რაც საჭიროა ახალი მიწის დასამუშავებლად, და საბაზრო ფასებისა და საკრედიტო ურთიერთობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, გაიღება თუ არა ეს ხარჯები. როგორც კი ეს მიწა შემდეგ მართლა მიიღებს მონაწილეობას კონკურენციაში, საბაზრო ფასი, სხვა დანარჩენი პირობების უცვლელობისას, კვლავ დაიწევს თავის წინანდელ დონეზე, რის შემდეგაც დამუშავებაში ახლად შესული მიწა იმავე რენტას მოგვეცემს, რასაც მისი შესაბამისი ძველი მიწა იძლეოდა. ვარაუდს, რომ იგი რენტას არ მოგვეცემსო, მისი მომხრენი ამტკიცებენ იმის გულისხმობით, რაც დასამტკიცებელია, სახელდობრ: რომ უკანასკნელი მიწა რენტას არ იძლეოდა. ამავე წესით შეიძლებოდა დამტკიცება, რომ უკანასკნელად აშენებული სახლები, გარდა საკუთრივ ბინის ქირისა, რაც შენობებისათვის სარგებელს წარმოადგენს, არავითარ რენტას არ იძლევიან, თუმცა ისინი ქირავდებიან. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი, რჩებიან რა დიდი ხნით ცარიელი, იძლევიან რენტას, ვიდრე ბინის ქირის სახით სარგებელს მოგვეცემდნენ. იმის მსგავსად, როგორც განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე თანმიმდევრულ კაპიტალდაბანდებებს შეუძლიათ პროპორციული ზედმეტი პროდუქტის მოცემა, და, ამიტომ, იმავე რენტისა, რასაც პირველი დაბანდებანი იძლეოდნენ, — სწორედ ასევე მიწებს, რომელნიც იმავე ხარისხის არიან, როგორც უკანასკნელად დამუშავებული მიწე-

ბი, თანატოლი ხარჯების პირობებში, თანატოლი შემოსავლის მოცემა შეუძლიათ. სხვანაირად საერთოდ გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ შეიძლებოდა ერთნაირი ხარისხის მიწების თანმიმდევრობით დამუშავება, — და, უნდა გვეფიქრა, რომ საჭირო იქნებოდა ან ყველასი ერთად აღება დასამუშავებლად, ანდა, უფრო სწორად, არც ერთისა, რათა ამას ყველა დანარჩენის მხრივ კონკურენცია არ გამოეწვია. მიწის მესაკუთრე მუდამ მზად არის რენტას იღებდეს, ე. ი. რაიმეს მუქთად ღებულობდეს; მაგრამ მისი სურვილის დასაკმაყოფილებლად კაპიტალი განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს. ამიტომ მიწის ნაკვეთებს შორის კონკურენცია დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მიწის მესაკუთრეს სურს მათი კონკურენცია, არამედ იმაზე, მოიპოვება თუ არა კაპიტალი, რომელიც მზადაა ახალ მიწებზე სხვებს კონკურენცია გაუწიოს.

რამდენადაც საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტა მარტოდენ მონოპოლიური ფასიდან წარმოდგება, იგი შეიძლება მხოლოდ მცირე იყოს, ისე როგორც აბსოლუტური რენტაც აქ ნორმალურ პირობებში შეიძლება მხოლოდ მცირე იყოს, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა პროდუქტის ღირებულების ნამეტი მის წარმოების ფასთან შედარებით. ამრიგად, აბსოლუტური რენტის დედაზრი შემდეგში მდგომარეობს: ტოლი კაპიტალები წარმოების სხვადასხვა ჯგუფებში, ზედმეტი ღირებულების თანატოლი ნორმის ანუ შრომის თანატოლი ექსპლოატაციის პირობებში, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი სხვადასხვა საშუალო შედგენილობა, ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა მასას აწარმოებენ. მრეწველობაში ზედმეტი ღირებულების ეს სხვადასხვა მასა თანატოლდება საშუალო მოგებად და თანაბრად ნაწილდება ცალკეულ კაპიტალებს შორის, როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის სათანადო ნაწილებს შორის. მიწის საკუთრება, როგორც კი წარმოება მიწას მოითხოვს, — სულ ერთია, მიწათმოქმედებისათვის მოითხოვს მას, თუ ნედლი მასალის მოპოვებისათვის, — ხელს უშლის ამ გათანატოლებას მიწაში დაბანდებული კაპიტალებისათვის და ხელთ იგდებს ზედმეტი ღირებულების განსაზღვრულ ნაწილს, რომელიც სხვანაირად მონაწილეობას მიიღებდა მოგების საერთო ნორმის გათანატოლების პროცესში. ამ შემთხვევაში რენტა შეადგენს ღირებულების, უფრო ზუსტად, საქონელთა ზედმეტი ღირებულების ნაწილს, მაგრამ ეს ნაწილი ხდება არა კაპიტალისტთა კლასს, რომელმაც იგი მუშებს გამოაცალა, არამედ მიწის მესაკუთრეთ, რომელნიც მას კაპიტ-

25. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

ტალსტებს აცლიან. ამასთან ნაგულისხმევია, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალს მეტი შრომა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე არასამიწათმოქმედო კაპიტალის ტოლ ნაწილს. თუ რამდენად შორს მიდის ეს განსხვავება ან არსებობს თუ არა იგი საერთოდ, ეს დამოკიდებულია მიწათმოქმედების რელატიურ განვითარებაზე მრეწველობასთან შედარებით. საგნის ბუნების მიხედვით ეს სხვაობა მიწათმოქმედების პროგრესთან ერთად უნდა შემცირდეს, თუ პროპორცია, რომლის მიხედვითაც კაპიტალის ცვალებადი ნაწილი მუდმივთან შედარებით მცირდება. სამრეწველო კაპიტალისათვის უფრო დიდი არაა, ვიდრე სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის.

ეს აბსოლუტური რენტა კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკუთრივ მომპოვებელ მრეწველობაში, სადაც მუდმივი კაპიტალის ერთი ელემენტი, ნედლი მასალა, სრულიად მოხსნილია და სადაც, — გარდა იმ დარგებისა, რომლებშიც მანქანებისა და სხვა ძირითადი კაპიტალისაგან შედგენილი ნაწილი მეტად მნიშვნელოვანია, — უეჭველად კაპიტალის ყველაზე დაბალი შედგენილობა, სჭარბობს. სწორედ აქ, სადაც ისე გვეჩვენება, რომ რენტა თავის წარმოშობას მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიურ ფასს უნდა უშაღლოდეს. საქროა განსაკუთრებულად ხელსაყრელი საბაზრო ურთიერთობა, რათა საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდოს, ანდა, რათა რენტა გაუთანატოლდეს საქონლის ზედმეტი ღირებულების გადანამეტს მის წარმოების ფასზე. ასეთია, მაგალითად, საქმის ვითარება იმ რენტის მიმართ, რომელსაც სათევზაო წყლები, ქვასატეხები, ულრანი ტყეები და სხვანი³⁷ იძლევიან.

³⁷ რიკარდო აქ საგნის არაჩვეულებრივად ზერელედ ეპყრობა. იხ. ა. სმიტის წინააღმდეგ მიმართული ადგილი ტყის რენტის შესახებ ნორვეგიაში, «Principles», თავი II [«On the Principles of Political Economy and Taxation», London, 1821], იქვე დასაწყისში.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც ღ ა მ ი ა მ ვ ს ო

**სამშენებლო ნაკვეთების რენტა.
მალაროების რენტა. მიწის ფასი.**

ყველგან, სადაც საერთოდ რენტა არსებობს, ჩნდება დიფერენციული რენტაც, რომელიც იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც სამიწათმოქმედო დიფერენციული რენტა. ყველგან, სადაც ბუნებრივი ძალების მონობოლია შესაძლებელია და სადაც ეს ძალები მათი გამოყენებელი მრეწველობისათვის გარკვეულ დამატებით მოგებას უზრუნველყოფენ, — იქნება ეს ჩანჩქერი, მდიდარი მალარო, თევზით მდიდარი წყალი თუ კარგი ადგილმდებარეობის სამშენებლო მიწის ნაკვეთი, — ის პირი, რომელიც დედამიწის რომელიმე ნაწილზე თავისი ტიტულის გამო ბუნების ამ საგნების მესაკუთრედ ითვლება, მოქმედ კაპიტალს ამ დამატებით მოგებას გამოსტაცებს რენტის სახით. რაც შეეხება სამშენებლო მიზნებისათვის განკუთვნილ მიწას, ა. სმატმა გაარკვია, თუ როგორ რეგულირდება ამ მიწის რენტა თავის საფუძველში, მსგავსად ყველა არასამიწათმოქმედო ნაკვეთების რენტისა. საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტის მიერ (წიგნი I, თავი XI, 2, 3)*. ეს რენტა ხასიათდება, ჯერ ერთი, უპირატესი გავლენით, რასაც დიფერენციულ რენტაზე ადგილმდებარეობა აბდენს (ამას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ვენახის დამუშავების დროს და სამშენებლო ნაკვეთების მიმართ დიდ ქალაქებში); მეორე, იგი ხასიათდება იმ მესაკუთრის სრული პასიურობის თვალსაჩინოებით, რომლის აქტიურობაც მხოლოდ ის არის, (განსაკუთრებით მალაროების მიმართ), რომ ექსპლოატაცია უყოს საზოგადოებრივი განვითარების პროგრესს, რომელსაც იგი თავის მხრივ არაფრით ხელს არ უწყობს და რომლის მიმართაც ის არაერთარ რისკს არ ეწევა, — თუნდაც იმ ზომით მაინც, როგორც ამას ყოველ შემთხვევაში მრეწველი კაპიტალისტი აკეთებს; ბოლოს, მას ახასიათებს მონობოლიური ფასის ვადაჭარბებული მნიშვნელობა ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით სიღატა-

* A. Smith: «An inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations», London 1776.

კის უღარესად უსირცხვილო ექსპლოატაციის შემთხვევაში (იმიტომ რომ სილატაკე უფრო მდიდარი წყაროა სახლის რენტისათვის, ვიდრე ოდესმე პოტოზის მადნები იყვნენ ესპანეთისათვის)³⁸; და ის არაჩვეულებრივი ძალა, რასაც მიწის საკუთრება იძლევა, როდესაც იგი სამრეწველო კაპიტალთან ერთად ერთი და იმავე პირის ხელში ერთიანდება, შესაძლებლობას აძლევს ამ საკუთრებას პრაქტიკულად ჩამოაშოროს მიწას, როგორც საცხოვრებელ ადგილს, ის მუშები, რომელნიც ხელფასის გარშემო ბრძოლას ეწევიან³⁹. საზოგადოების ერთი ნაწილი ამ შემთხვევაში მეორე ნაწილისაგან გარკვეულ ხარკს მოითხოვს მიწაზე ცხოვრების უფლებისათვის, როგორც საერთოდ მიწის საკუთრება გულისხმობს მესაკუთრის უფლებას — ექსპლოატაციის საგანი გახადოს დედამიწა, მიწის წილი, ჰაერი და ამით ყველაფერი ის, რაც სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელია. სამშენებლო რენტას აუცილებლად მაღლა სწევს არა მარტო მოსახლეობის ზრდა და ამასთან ერთად მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინებზე, არამედ აგრეთვე იმ ძირითადი კაპიტალის განვითარებაც, რომელაც ან მიწას უერთდება ანდა მასში ფესვს იღვამს, მას ემყარება, ისე როგორც ყველა სამრეწველო შენობები, რკინიგზები, საქონლის საწყობები, საფაბრიკო შენობები, დოკები და სხვ. შერევა სახლის ქირისა, რანდენადაც ეს უკანასკნელი სახლზე დახარჯული კაპიტალის სარგებელსა და ამორტიზაციას წარმოადგენს, უბრალოდ მიწის რენტასთან აქ შეუძლებელია, თუნდაც ასეთი კეთილი სურვილი არსებობდეს, როგორც კერის მოეპოვებოდა, შეუძლებელია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც, — მაგალითად, როგორც ინგლისში, — მიწის მესაკუთრე და მშენებელი სპეკულანტი ორი სრულიად სხვადასხვა პირია. აქ მხედველობაში მისადებია ორი ელემენტი: ერთი მხრივ, მიწის ექსპლოატაცია კვლავწარმოების ან მომპოვებელი მრეწველობის მიზნით, მეორე მხრივ კი, — სივრცე, რომელიც აუცილებელია როგორც ელემენტი ყოველი წარმოებისა და ადამიანის ყოველი მოქმედებისათვის. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მიწის საკუთრება თავის ხარკს მოითხოვს. მოთხოვნა სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე მაღლა სწევს მიწის, როგორც სივრცისა და საფუძვლის.

³⁸ ლენტი, ნიუმენი.

³⁹ კროლინგტონის გაფიცვა. ენგელსი. «Lage der arbeitenden Klasse in England», s. 307 [შად. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», თბილისი 1935 წ. გვ. 233—234].

ღირებულებას, მაშინ როდესაც ამით იმავე დროს იზრდება მოთხოვნა დედამიწის იმ ელემენტებზე, რომელნიც სამშენებლო მასალის როლს ასრულებენ⁴¹.

II წიგნში — თავი XII, ერთი მსხვილი ლონდონელი მშენებელი სპეკულანტის ედუარ კაპსის ჩვენებაში ბანკის კომისიის წინაშე 1857 წელს, ჩვენ დავინახეთ იმის მაგალითი, რომ სწრაფი განვითარების გზაზე მყოფ ქალაქებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშენებლობა, ისე როგორც ლონდონში, ფაბრიკული წესით წარმოებს, სამშენებლო სპეკულაციის საკუთრივ საგანს შეადგენს არა სახლი, არამედ მიწის რენტა. ეს მოწმე იქ ლაპარაკობს, № 5435: «მე ვფიქრობ, რომ ადამიანმა, რომელსაც ამ ქვეყნად წარმატების მიღწევა სურს, საეჭვოა იმედი იქონიოს, რომ იგი ამ წარმატებას მიაღწევს რაიმე სერიოზული მოსაქმეობის მეოხებით (fair trade)... მან, გარდა ამისა, სპეკულაციის მიზნითაც უნდა აწარმოოს მშენებლობა, თანაც დიდი მასშტაბით, რადგან მეწარმე ძლიერ ცოტა მოგებას იღებს თვით შენობებიდან, თავის მთავარ მოგებას იგი გაზრდილი მიწის რენტიდან ღებულობს. ეთქვათ, იგი ქირაობს ერთ ნაკვეთ მიწას და წლიურად აძლევს მასში 300 გირვ. სტერლინგს; თუ იგი გულდასმითი სამშენებლო გეგმის შემუშავების შემდეგ ამ ნაკვეთზე სათანადო თანრიგის სახლებს ააგებს, იგი შეძლებს აქედან წლიურად 400 ან 450 გირვ. სტერლინგს მიღებას და მისი მოგება ბევრად უფრო დიდი ოდენობის იქნებოდა წლიურად 100 ან 150 გირვ. სტერლინგამდე გადიდებული მიწის რენტით, ვიდრე შენობებიდან მიღებული მოგება, რომელსაც იგი ბევრ შემთხვევაში საერთოდ საეჭვოა, რომ სათვალავში იღებდეს». ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, რაც უმრავლეს შემთხვევაში 99 წელი გრძელდება, მიწა ყველა მასზე მოთავსებული შენობებით და მიწის რენტით, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად ორმაგად, სამმაგად და უფრო მეტად იზრდება, მშენებელი სპეკულანტისა ან მისი უფლებრივი მემკვიდრისაგან კვლავ თავდაპირველ უკანასკნელ მიწის მესაკუთრეს უბრუნდება უკანვე.

საკუთრივ მალაროების რენტა სავსებით იმგვარადვე განისაზღვრება, როგორც სამიწათმოქმედო რენტა. «არსებობს ზოგიერთი მალარო,

⁴¹ ლონდონის ქუჩების ქვაფენილით მოპირკეთებამ შესაძლებლობა მისცა სალი კლდეების მესაკუთრეთ შოტლანდიის ნაპირებზე მიეღოთ რენტა წინათ აბსოლუტურად გამოუსადეგი ქვიანი მიწებიდან. A. Smith, წიგნი I. თავი XI, 2.

რომელთა პროდუქტიც ძლივს თუ კმარა იმისათვის, რომ გადაიხადოს შრომა და ანაზღაუროს მათში დაბანდებული კაპიტალი ჩვეულებრივი მოგებითურთ. ისინი განსაზღვრულ მოგებას აძლევენ მეწარმეს, მაგრამ არავითარი რენტა არ მოაქვთ მიწის მესაკუთრისათვის. მათი ხელსაყრელად დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მიწის მესაკუთრის მიერ, რომელიც, წარმოადგენს რა თვითვე მეწარმეს, ჩვეულებრივ მოგებას იღებს თავის საკუთარ დაბანდებულ კაპიტალზე. ქვანახშირის ბევრი მალაროს დამუშავება შოტლანდიაში ამ წესით ხდება და სხვაგვარად მათი დამუშავება არც შეიძლება. მიწის მესაკუთრე არავის არ აძლევს ამ მალაროების დამუშავების ნებას, თუ მას რენტას არ გადაუხდინან. მაგრამ არავის არ ძალუძს მათში რენტა გადაიხადოს» (A. Smith, წიგნი I, თავი XI, 2).

საჭიროა განვსჩხვაოთ, რენტა მონოპოლიური ფასიდან მომდინარეობს, იმიტომ რომ არსებობს მისგან დამოუკიდებელი მონოპოლიური ფასი პროდუქტების ანუ თვით მიწისა, თუ პროდუქტების გაყიდვა ხდება მონოპოლიური ფასის მიხედვით, იმიტომ რომ რენტა არსებობს. როდესაც მონოპოლიურ ფასზე ვლაპარაკობთ, ჩვენ საერთოდ ისეთ ფასს ვგულისხმობთ, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ ყიდვის სურვილით და მყიდველთა გადახდისუნარიანობით, სრულიად დამოუკიდებლად როგორც საერთო წარმოების ფასის, ისე პროდუქტთა ღირებულების მიერ განსაზღვრული ფასისაგან. ვენახი, რომელიც სრულიად განსაკუთრებული ხარისხის ღვინოს აწარმოებს, ღვინოს, რომელიც მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობით შეიძლება იწარმოებოდეს, მონოპოლიურ ფასს იძლევა. ამ მონოპოლიური ფასის მეოხებით, რომლის ნამეტიც პროდუქტის ღირებულებასთან შედარებით მარტოდენ წარჩინებულ ღვინის მსმელთა სიმდიდრით და გემოვნებით განისაზღვრება, — ღვინის მწარმოებელს შეეძლო მნიშვნელოვანი დამატებითი მოგების რეალიზაცია მოეხდინა. ეს დამატებითი მოგება, რაც აქ მონოპოლიური ფასიდან გამომდინარეობს, მიწის რენტად იქცევა და ამ სახით მიწის მესაკუთრეს ხვდება მისივე იმ ტიტულის გამო, რომელიც მას ღედამიწის ამ განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოვებულ ნაკვეთზე აქვს. ამრიგად, აქ რენტას ქმნის მონოპოლიური ფასი. პირიქით, რენტა შექმნიდა მონოპოლიურ ფასს, თუ პური არა მარტო თავის წარმოების ფასზე, არამედ თავის ღირებულებაზეც მაღლა გაიყიდებოდა იმ ზღუდის გამო, რასაც მიწის საკუთრება უქმნის ურენტო კაპიტალდანაბლებას დაუმუშავებელ მიწაზე. ის გარემოება,

რომ მხოლოდ განსაზღვრულ პირთა ტიტული მიწის საკუთრებისა, შე-
საძლებლობას აძლევს მათ მიითვისონ საზოგადოების ზედმეტი შრომის
განსაზღვრული ნაწილი ხარკის სახით, ამასთან მიითვისონ წარმოების
განვითარებასთან ერთად მუდამ მზარდი რაოდენობით, ეს გარემოება
იჩრდილება იმით, რომ კაპიტალიზებული რენტა. მანასადამე, სწორედ
ეს კაპიტალიზებული ხარკი, მიწის ფასის სახით გვევლინება, და
ამიტომ მიწაც, ისე როგორც ყოველი სხვა სავაჭრო საგანი, შეიძლება
გაიყიდოს. ამიტომ მყიდველს ეჩვენება. რომ მას თავისი პრეტენზია
რენტის მიმართ მუქთად არ მიუღია და შრომის, რისკის და კაპიტალის
სამეწარმეო უნარის გარეშე არ შეუძენია, არამედ ამაში სათანადო
ეკვივალენტი გადაიხადა. რენტა მას, როგორც ეს უკვე წინათ იყო
აღნიშნული, ეჩვენება, როგორც მხოლოდ სარგებელი კაპიტალისა,
რომლითაც მან მიწა და მასთან ერთად რენტაზე უფლებაც შეისყიდა.
სწორედ ასევე ეჩვენება მონათმფლობელს, რომელმაც ზანგი იყიდა,
რომ მან შეიძინა საკუთრება ზანგზე არა მონობის ინსტიტუტის,
როგორც ასეთის, მეოხებით, არამედ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ძა-
ლით. მაგრამ თვით ტიტული არ წარმოიშვება გაყიდვის 'აშუალებით.
არამედ მხოლოდ გადაიტანება გაყიდვის აქტით. სანამ ტიტული არ
არსებობს; მისი გაყიდვა შეუძლებელია, და როგორც ერთი გაყიდვის
აქტს არ ძალუძს, ისე არც ამ გაყიდვათა მთელ წყებას და მათს მუდ-
მივ განმეორებასაც არ შეუძლია ამ ტიტულის შექმნა. იგი საერთოდ
წარმოებითმა ურთიერთობამ შექმნა. როგორც კი ეს წარმოებითი
ურთიერთობა ისეთ პუნქტს მიაღწევს, სადაც მან თავისი გარსი უნდა
მოიშოროს, იქ ქრება ტიტულის მატერიალური წყარო, რომელმაც
ეკონომიური და ისტორიული გამართლება მიიღო და რომელიც
საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების პროცესიდან გამომდინა-
რებდა, და მასთან ერთად ქრება ამ ტიტულზე დაფუძნებული ყველა
გარიგების წყაროც. საზოგადოების უფრო მაღალი ეკონომიური ფორ-
მაციის თვალსაზრისით ცალკეულ ინდივიდთა კერძო საკუთრება
მიწაზე სავსებით ისევე უაზროდ მოგვეჩვენება, როგორც კერძო
საკუთრება ერთი ადამიანისა მეორე ადამიანზე. არც თვით მთელი
საზოგადოება, არც ერთი და არც თუნდაც ყველა იმავდროულად არსე-
ბული საზოგადოებანი, ერთად აღებულნი. არ არიან მიწის მესაკუთ-
რნი. ისინი არიან მხოლოდ მისი მფლობელნი, მისით მოსარგებლენი
და, როგორც *boni patres familias* [ოჯახის კეთილი მამები], მათ იგი
შემდგომ თაობებს გაუმჯობესებული უნდა დაუტოვონ.

მიწის ფასის შემდგომი გამოკვლევისას ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ კონკურენციის ყველა რყევას, მიწის ყოველგვარ სპეკულაციას და ასევე წვრილ მიწათსაკუთრებას, სადაც მიწა მწარმოებელთა მთავარ იარაღს წარმოადგენს და, მაშასადამე, იგი მათ უნდა იყიდონ რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ.

I. მიწის ფასმა შეიძლება აიწიოს, რენტის აუწევლად; სახელდობრ:

1) მართო სარგებლის განაკვეთის დაწვევის მეოხებით, რაც იმას იწვევს, რომ რენტა უფრო ძვირად გაიყიდება და, ამიტომ, გაიზრდება კაპიტალიზებული რენტა, გაიზრდება მიწის ფასი;

2) იმის გამო, რომ მიწაზე დაბანდებული კაპიტალის სარგებელი იზრდება.

II. მიწის ფასმა შეიძლება აიწიოს, იმიტომ რომ რენტა იზრდება.

რენტას შეუძლია გაიზარდოს, იმიტომ რომ მიწის პროდუქტის ფასი მაღლა იწევს; ამ შემთხვევაში დიფერენციული რენტის ნორმა მუდამ მაღლა აიწევს, მიუხედავად იმისა, დიდი იქნება დამუშავებული ყველაზე ცუდი მიწისგან მიღებული რენტა, პატარა, თუ სრულიად არ იქნება. ნორმად ჩვენ ვგულისხმობთ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილის შეფარდებას, რომელიც რენტად იქცევა, ავანსებულ კაპიტალთან, რომელიც მიწის პროდუქტს აწარმოებს. ეს შეფარდება განსხვავდება დამატებითი პროდუქტის შეფარდებისაგან მთელ პროდუქტთან, რადგან ეს უკანასკნელი არ შეიცავს მთელ ავანსებულ კაპიტალს. სახელდობრ, არ შეიცავს ძირითად კაპიტალს, რომელიც პროდუქტის გვერდით განაგრძობს არსებობას. პირიქით, იგი შეიცავს იმას, რომ ისეთი ხარისხის მიწებზე, რომელნიც დიფერენციულ რენტას იძლევიან, პროდუქტის მზარდი ნაწილი ნამეტ დამატებით პროდუქტად იქცევა. ყველაზე ცუდ მიწაზე მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის აწევა ჭერ ქმნის რენტას და, ამის გამო, მიწის ფასსაც.

მაგრამ რენტას შეუძლია გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი მაღლა არ იწევს. ამ უკანასკნელს შეუძლია უცვლელი დარჩეს ანდა კიდევაც შემცირდეს.

თუ პროდუქტის ფასი უცვლელი რჩება, მაშინ რენტას შეუძლია გაიზარდოს (თუ მონოპოლიურ ფასს მხედველობაში არ მივიღებთ) ან მხოლოდ იმიტომ, რომ ძველ მიწებზე იმავე კაპიტალდაბანდების პირობებში უკეთესი ხარისხის ახალი მიწები მუშავდება, მაგრამ ეს მიწები საკმარისია მართო იმისათვის, რომ გადიდებული მოთხოვნა დაფარონ. ასე რომ მარეგულირებელი საბაზრო ფასი უცვლელი

რჩება. ამ შემთხვევაში ძველი მიწების ფასი არ აიწევს, მაგრამ იმ მიწისათვის, რომელიც ახლად დამუშავდა, ფასი ძველი მიწის ფასის დონეზე უფრო მაღლა აიწევს.

ანდა რენტა აიწევს იმიტომ, რომ წინანდელი შეფარდებითი მოსავლიანობისა და უცვლელად დარჩენილი საბაზრო ფასის პირობებში იზრდება იმ კაპიტალის მასა, რომელიც მიწის ექსპლოატაციას ეწევა. ამიტომ, თუმცა რენტა ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით უცვლელი რჩება, მაგრამ, მაგალითად, მისი მასა ორკეცდება, იმიტომ რომ თვით კაპიტალი გაორკეცდა. რადგან ფასის დაწვეა არ მოხდა, ამიტომ კაპიტალის მეორე დაბანდება, სწორედ ისევე როგორც მისი პირველი დაბანდება, იძლევა დამატებით მოგებას, რაც იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ასევე რენტად იქცევა. რენტის მასა აქ იზრდება იმიტომ, რომ იზრდება რენტის შემქმნელი კაპიტალის მასა. იმის მტკიცება, თითქოს სხვადასხვა თანმიმდევრულ კაპიტალდაბანდებებს იმავე მიწის ნაკვეთზე შეეძლოთ რენტის შექმნა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი პროდუქტი არათანატოლია და ამიტომ დიფერენციული რენტაც წარმოიშვებაო, იმავე მტკიცებას ნიშნავს, რომ თუ ორი კაპიტალი — თითო 1000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით — თანატოლი მოსავლიანობის მიწებზეა დაბანდებული, მაშინ მხოლოდ ერთ მათგანს შეუძლია რენტის მოცემა, თუმცა ორივე ეს ნაკვეთი მიწის იმ უკეთეს კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც დიფერენციულ რენტას იძლევა (მაშასადამე, რენტის საერთო მასა, ამა თუ იმ ქვეყნის მთელი რენტა, დაბანდებული კაპიტალის მასასთან ერთად იზრდება, თუნდაც რომ მიწის ცალკეული ნაკვეთის ფასი ანუ რენტის ნორმა, ანდა რენტის მასა მიწის ცალკეულ ნაკვეთზე აუცილებლად არ იზრდებოდეს; ამ შემთხვევაში რენტის საერთო მასა იზრდება კულტურის სივრცებრივ გაფართოებასთან ერთად. ეს შეიძლება ცალკეული მაქულისათვის რენტის დაცემასთანაც კი იყოს დაკავშირებული). სხვანაირად ეს მტკიცება იმავე მტკიცების მომასწავებელი იქნებოდა, სახელდობრ, რომ ორ სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე კაპიტალდაბანდება სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით სხვა კანონებს ემორჩილება, ვიდრე მიწის იმავე ნაკვეთზე თანმიმდევრული კაპიტალდაბანდება, მაშინ როდესაც დიფერენციული რენტა ორივე შემთხვევაში გამოჰყავთ სწორედ კანონის იგივეობიდან, კაპიტალდაბანდებათა ნაყოფიერების ზრდიდან როგორც იმავე, ისე სხვადასხვა მიწის ნაკვეთებზეც. ერთადერთი მოდიფიკაცია, რაც აქ არსებობს და რაც შეუმჩნეველი რჩება, იმაში

მდგომარეობს, რომ თანამიმდევრული კაპიტალდაბანდება მისი სივრცებრივად სხვადასხვა მიწებზე გამოყენების დროს, მიწის საკუთრების მიერ შექმნილ ზღუდეს წააწყდება, მაშინ როდესაც ერთ და იმავე მიწაზე თანამიმდევრულ კაპიტალდაბანდებისას ამას აღგილი არა აქვს. აქედან წარმოდგება ის საპირისპირო მოქმედება, რომლის მეოხებითაც დაბანდების ეს ორი სხვადასხვა ფორმა პრაქტიკაში ერთიმეორეს ზღუდავს. კაპიტალის მხრივ განსხვავება აქ არასოდეს არ ვლინდება. თუ კაპიტალის შედგენილობა იგივეა და ასევე ზედმეტი ღირებულების ნორმაც, მაშინ მოგების ნორმა უცვლელი რჩება, ასე რომ კაპიტალის გაორკეცებისას მოგების მასა ორკეცდება. ასევე ნაგულისხმევ ვითარებაში რენტის ნორმა იგივე რჩება. თუ კაპიტალი 1000 გირვ. სტერლ. რაოდენობით x რენტას იძლევა, 2000 გირვ. სტერლინგი ნაგულისხმევ პირობებში $2x$ რენტას მოგვცემს. მაგრამ თუ ავიღებთ მიწის ფართობის მიმართ გამოანგარიშებულ რენტას, ფართობისა, რომელიც უცვლელი დარჩა, იმიტომ რომ, ნაგულისხმევის თანახმად, იმავე მიწაზე გაორკეცებული კაპიტალი მუშაობს, — მაშინ აღმოჩნდება, რომ რენტის მასის გადიდების გამო რენტის სიმალლემაც [Höhe] აიწია. იგივე აკრი, რომელიც 2 გირვ. სტერლ. რენტას იძლეოდა, ახლა 4 გირვ. სტერლინგს იძლევა⁴¹.

ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილის, ფულადი რენტის, — რადგან ფული ღირებულების დამოუკიდებელი გამოხატულებაა, — შე-

⁴¹ ერთი დამსახურებათაგანი როდბერტუსისა, რომლის მწიფენლოვან ნაწარმოებსაც რენტის შესახებ ჩვენ IV წიგნში დაეუბრუნდებით, იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს პუნქტი განეთარა. მაგრამ, ჯერ ერთი, იგი შეცდომას უშვებს, როცა გულისხმობს, რომ კაპიტალისათვის მოგების ზრდა ყოველთვის ისეთ გამოხატულებას იღებს, თითქოს თვით კაპიტალიც გაზრდილიყოს, ასე რომ მოგების მზარდი მასის პირობებში შეფარდება უცვლელი რჩებოდეს. ეს კი სწორი არაა, რადგან კაპიტალის შედგენილობის ცვლილებისას, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ექსპლუატაცია უცვლელი რჩება, მოგების ნორმას შეუძლია აიწიოს, სწორედ იმიტომ, რომ მუდმივი კაპიტალის პროპორციული ღირებულება შედარებით მის ცვალებად ნაწილთან ეცემა. — მეორე, იგი შეცდომას უშვებს, როცა ფულადი რენტის ამ შეფარდებას რაოდენობრივად განსაზღვრულ მიწის ნაკვეთთან, მაგალითად, მიწის ერთ აკრთან, ისეთ რამედ განიხილავს, რაც კლასიკური ეკონომიის მიერ მის გამოკვლევებში რენტის აწევისა და დაწევის შესახებ საერთოდ ნაგულისხმევი იყო. ეს კვლავ მცდარი აზრია. კლასიკური ეკონომია მუდამ ლაპარაკობს რენტის ნორმაზე, რამდენადაც იგი რენტას განიხილავს მისი ნატურალური ფორმით პროდუქტის მიმართ, — და ლაპარაკობს რენტაზე, რომელსაც იგი განიხილავს, როგორც ფულად რენტას, — ავიანებული კაპიტალის მიმართ, — რადგან ესენი მართლაც რაციონალური გამოსახულებანია.

ფარდება მიწასთან თავისთავად უაზრო და ირაციონალურია; ეს იმიტომ რომ აქ ერთი მეორეს ზომავს არათანაზომადი სიდიდენი: ერთი მხრივ, განსაზღვრული სახმარი ღირებულება, ამდენი და ამდენი კვადრატული ფუტი მიწის ნაკვეთი და, მეორე მხრივ, ღირებულება, სპეციალურად ზედმეტი ღირებულება. სინამდვილეში ეს მხოლოდ იმის გამოხატულებაა, რომ არსებულ ვითარებაში საკუთრება კვადრატულ ფუტ მიწაზე მიწის მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს ხელთ იგდოს გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, რელიზებული იმ კაპიტალის მიერ, რომელიც ისე ჩიჩქნის ამ კვადრატულ ფუტებს, როგორც ღორი კარტოფილს [აქ ხელნაწერში ფრჩხილებით აღნიშნულია, მაგრამ შემდეგ წაშლილი: ლიბიხი]. მაგრამ *prima facie* ეს გამოთქმა იმავეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოგვესურვებია ლაპარაკი ხუთგირვანქიანი ბანკნოტის შეფარდებაზე დედამიწის დიამეტრთან. მაგრამ იმ ირაციონალურ ფორმათა მოსაშუაღე როლთან, რომელშიაც განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობა გვევლინება და პრაქტიკულად თავს იყრის, არავითარი საქმე არა აქვთ ამ ურთიერთობის პრაქტიკულ მატარებელთ მათს ყოველდღიურ საქმიანობაში; და რადგან ისინი მიჩვეულნი არიან მასში იმოძრაონ, ამიტომ მათი აზროვნება ოდნავ შეფერხებასაც არა გრძნობს. სრული წინააღმდეგობა მათთვის არავითარ საიდუმლოებას არ შეიცავს. გამოვლინების იმ ფორმების მიმართ, რომელნიც ჩამოცილებული არიან შინაგან კავშირს და, იზოლირებულად აღებულნი, უაზრობას წარმოადგენენ, ისინი ისევე თავისუფლად გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში. ამ შემთხვევაში მართებულია ის, რასაც ჰეგელი განსაზღვრული მათემატიკური ფორმულების შესახებ ამბობს: ის, რაც ადამიანის უბრალო საღ მოსაზრებას ირაციონალურად მიაჩნია, რაციონალურია, ხოლო მისთვის რაციონალური თვით ირაციონალობააო *.

ამრიგად, თუ საქმეს თვით მიწის ფართობის მიმართ განვიხილავთ, რენტის მასის აწევა სრულიად ისე გამოიხატება, როგორც რენტის ნორმის აწევა; აქედან წარმოდგება სიძნელე, როდესაც პირობები, რომელნიც პირველ შემთხვევას აგვიხსნიდნენ, მეორე შემთხვევაში არ არსებობენ.

მაგრამ მიწის ფასს შეუძლია აიწიოს მაშინაც კი, როდესაც მიწის პროდუქტის ფასი კლებულობს.

* იხ. ჰეგელი: თხზ., ტ. I: «ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია», წაწ. I, ლოგია. რუს. გამ. 1930 წ., გვ. 336. რ ე დ.

ამ შემთხვევაში წინდგომი ღიფერენციების მეოხებით უკეთესი მიწების ღიფერენციულ რენტას და, მამასადაამე. მათ ფასსაც შეუძლია გაიზარდოს. ანდა, თუ ამ შემთხვევას ადგილი არა აქვს, შრომის გადიღებული ნაყოფიერების გამო, მიწათმოქმედების პროდუქტის ფასმა შეიძლება დაიწიოს, მაგრამ იმ სახით, რომ გადიღებული წარმოება არა მარტო გააწონასწორებს, არამედ გადააჭარბებს კიდეც მას. დაეუშვათ, რომ კვარტერი ღირდა 60 შილინგი. თუ იმავე აკრზე იმავე კაპიტალით წარმოებული იქნება 2 კვარტერი ნაცვლად ერთისა, და კვარტერი დაიწიეს 40 შილინგამდე. მაშინ 2 კვარტერი მოგვცემს 80 შილინგს, ასე რომ წინანდელი კაპიტალის პროდუქტის ღირებულება იმავე აკრზე ერთი მესამედით აიწიეს, თუმცა კვარტერის ფასმა ერთი მესამედით დაიწია. თუ როგორაა ეს შესაძლებელი ისე, რომ პროდუქტი თავისი წარმოების ფასზე ან ღირებულებაზე მაღლა არ გაიყიდოს, ეს ნაჩვენები იყო ღიფერენციული რენტის განხილვისას. სინამდვილეში ეს მხოლოდ ორი გზით შეიძლება განხორციელდეს. ან ცუდი მიწა გამოირიცხება კონკურენციიდან, მაგრამ უკეთესი მიწის ფასი კი იზრდება, და ეს იმ შემთხვევაში, როცა ღიფერენციული რენტა იზრდება, მამასადაამე, საერთო გაუმჯობესება არათანაბრად მოქმედებს სხვადასხვა ხარისხის მიწებზე. ანდა ყველაზე უფრო ცუდ მიწაზე იგივე წარმოების ფასი (და იგივე ღირებულება, თუ აბსოლუტური რენტის გადახდა წარმოებს) შრომის ნაყოფიერების აწევის გამო გამოიხატება, პროდუქტის უფრო ღირდი მასით. პროდუქტი უწინდებურად იმავე ღირებულებას გამოხატავს, მაგრამ მისი სათანადო ნაწილების ფასი დაეცა, მაშინ როდესაც ამ ნაწილების რიცხვი გაიზარდა. ეს შეუძლებელია, თუ იმავე კაპიტალს გამოიყენებენ, რადგან ამ შემთხვევაში მუდამ ერთი და იგივე ღირებულება პროდუქტის ყოველნაირი მასით გამოიხატება. მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დახარჯულია დამატებითი კაპიტალი თაბაშირისა, გუანოსა და სხვაზე, მოკლედ, ისეთ გაუმჯობესებებზე, რომელთა მოქმედებაც მრავალი წლის განმავლობაში რჩება ძალაში. ასეთი წედების პირობას წარმოადგენს ის, რომ ცალკეული კვარტერის ფასი თუმცა ეცემა, მაგრამ არა იმ შეფარდებით, როგორც კვარტერების რიცხვი იზრდება.

III. რენტის და ამიტომ საერთოდ მიწის ფასის ანდა მიწის ცალკეული ნაკვეთების ფასის აწევის ამ სხვადასხვა პირობებს შეუძლიათ ნაწილობრივ კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს, ნაწილობრივ გამოირიცხონ ერთიმეორე, და შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ შენაცვლე-

ბით. მაგრამ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მიწის ფასის აწვევიდან შეუძლებელია უბრალოდ იმ დასკვნის გაკეთება, რომ რენტამ აიწია; ხოლო რენტის აწვევიდან კი, — რომელსაც ყოველთვის მიწის ფასის აწვევა თან ახლავს, — შეუძლებელია უბრალოდ იმ დასკვნის გამოყვანა, რომ მიწის პროდუქტი გადიდდა ⁴².

(ნაცვლად იმისა, რომ მიწის გამოფიტვის ნამდვილი, ბუნებრივი [naturgemässen] მიზეზებისათვის მიემართათ, — მიზეზებისათვის, რომელნიც მაშინდელი სამიწათმოქმედო ქიმიის მდგომარეობის გამო უცნობი იყო ყველა ეკონომისტისათვის, ვინც კი დიფერენციულ რენტაზე რაიმეს წერდა, — საშველად იმ ბანალურ შეხედულებას [flache Auffassung] მიმართავდნენ, რომ სივრცებრივად ზღვარდებულ მიწის ნაკვეთზე შეუძლებელია კაპიტალის ყოველი ნებისმიერი რაოდენობის დაბანდება;) ასე, მაგალითად, «Westminster Review» რიჩარდ ჯონსის წინააღმდეგ იმ მოსაზრებას აყენებდა, რომ შეუძლებელია მთელი ინგლისის გამოკვება Soho Square-ის დაჟუშავებით. თუ ეს მიწათმოქმედების განსაკუთრებულ არახელსაყრელ მხარედ ითვლება, მაშინ მართებულია სწორედ პირიქითი მდგომარეობა. (მიწათმოქმედებაში შეიძლება თანმიმდევრული კაპიტალდაბანდება ნაყოფიერი იყოს, იმიტომ რომ თვით მიწა წარმოების იარაღის სახით მოქმედებს, მაშინ როდესაც რომელიმე ფაბრიკის მიმართ, სადაც მიწა მხოლოდ ისე მოქმედებს, როგორც საფუძველი, როგორც ადგილი, როგორც ტერიტორიული საოპერაციო ბაზისი, ამას ადგილი არა აქვს ანდა შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგრამ მეტად ვიწრო ფარგლებში.) თუმცა შესაძლებელია, — და მსხვილი ინდუსტრია ასეც იქცევა, — რომ ამა თუ იმ პატარა სივრცეზე, შედარებით დაქუცმაცებულ ხელოსნობასთან, მსხვილი საწარმოს კონცენტრირება ხდებოდეს. მაგრამ მწარმოებლური ძალის განვითარების მოცემული დონის პირობებში ყოველთვის საჭიროა განსაზღვრული სივრცე, და შენობის სიმალლესაც თავისი განსაზღვრული პრაქტიკული საზღვრები აქვს. ამ საზღვრებს იქით წარმოების გაფართოება მიწის სივრცის გაფართოებასაც მოითხოვს. (მანქანებში და სხვ. დაბანდებული ძირითადი კაპიტალი არ უმჯობესდება ხმარების მეოხებით, არამედ, პირიქით, იგი ცვდება. ახალ აღმოჩენათა გამო აქაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცალკეულ

⁴² რენტის აწვევისას მიწის ფასის დაწვევის, როგორც ფაქტის შესახებ იხ. პასი.

გაუმჯობესებებს. მაგრამ თუ მწარმოებლური ძალის განვითარების დონეს მოცემულად ვიგულისხმებთ, მანქანას ხმარების დროს შეუძლია გაუარესდეს. მწარმოებლური ძალის სწრაფი განვითარების პირობებში მთელი ძველი მანქანები უნდა შეიცვალოს უფრო ხელსაყრელი მანქანებით, მაშასადამე, ისინი ისპობიან. მიწა კი, პირიქით, — თუ იგი სწორად მუშავდება, — სულ მუდამ უმჯობესდება. მიწის ის უპირატესობა, რომ თანმიმდევრულ კაპიტალდაბანდებებს სარგებლობის მოტანა შეუძლიათ და ეს ისე, რომ წინანდელი დაბანდებიანიც არ იკარგება, შეიცავს ამასთანავე ამ თანმიმდევრულ კაპიტალდაბანდებათა გამოსავლიანობის განსხვავების შესაძლებლობას.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც ლ ა მ ა უ ვ ი დ ე

კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი.

I. წინასწარი შენიშვნები.

აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილად მიწის რენტის განხილვის სიძნელე თანამედროვე ეკონომიკის, — როგორც წარმოების კაპიტალისტური წესის თეორიული გამოხატულების, თვალსაზრისით. ეს ჯერ კიდევ ვერ გაუგია უახლესი მწერლების დიდ რაოდენობასაც კი, რასაც ამტკიცებს მიწის რენტის «ახლებურად» ახსნის ყოველი განახლებული ცდა. სიახლე ამ შემთხვევაში თითქმის მუდამ ის არის, რომ უკან უბრუნდებიან უკვე დიდი ხნის წინათ გადალახულ თვალსაზრისს. სიძნელე ის კი არაა, რომ ავხსნათ საერთოდ სამიწათმოქმედო კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტი და მისი შესაბამისი ზედმეტი ღირებულება. პირაქით, ეს საკითხი გადაწყვეტილია იმ ზედმეტი ღირებულების ანალიზით, რომელსაც ქმნის ყოველი მწარმოებლური კაპიტალი, რომელ სფეროშიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი დაბანდებული. სიძნელე იმის დაბტკიცებაა, თუ საიდან წარმოდგება ის, რომ სხვადასხვა კაპიტალებს შორის ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად გათანაბრების შემდეგ, მათი შეფარდებითი სიდიდის შესაბამისად პროპორციული წილის მიხედვით გათანაბრების შემდეგ, რაც ამ სხვადასხვა კაპიტალებს მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ წარმოების ყველა სფეროში შექმნილ ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაში აქვთ, — საიდან წარმოდგება ამ გათანაბრების შემდეგ, იმ მთელი ზედმეტი ღირებულების თითქოს უკვე მომხდარი. განაწილების შემდეგ, რომელიც კი საერთოდ შეიძლება განაწილებულ იქნეს, ამ ზედმეტი ღირებულების კიდევ ის ნამეტი ნაწილი, რომელსაც მიწაში დაბანდებული კაპიტალი მიწის რენტის სახით მიწის მესაკუთრეს უხდის. თუ სრულიად მხედველობის

გარეშე დავტოვებთ იმ პრაქტიკულ მოტივებს, რომელნიც სტიმულს აძლევდნენ თანამედროვე ეკონომისტებს როგორც სამრეწველო კაპიტალის დამცველთ მიწის საკუთრების წინააღმდეგ ეს საკითხი გამოვევლიათ. — ე. ი. იმ მოტივებს, რომელთაც ჩვენ უფრო დაწვრილებით წიგნის იმ თავში განვიხილავთ, სადაც მიწის რენტის ისტორიის შესახებაა ლაპარაკი. — მაშინ ეს საკითხი მათთვის როგორც თეორეტიკოსებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის იყო. აღიარება იმისა, რომ მიწათმოქმედებაში დაბანდებულ კაპიტალზე რენტის არსებობა წარმოდგება თვით დაბანდების სფეროს განსაკუთრებული მოქმედებიდან, იმ თვისებებიდან, რაც მიწის ზედაპირს ეკუთვნის, — იგივე იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა თვით ღირებულების ცნებაზე, მაშასადამე, უარი გვეთქვა ამ დარგში მეცნიერული შემეცნების ყოველგვარ შესაძლებლობაზე. უბრალო დაკვირვებასაც კი იმის შესახებ, რომ რენტას მიწის პროდუქტის ფასიდან იხდიან, — რაც იმ შემთხვევაშიც კი ხდება, როცა რენტას ნატურალური ფორმით იხდიან, რაკი მოიჯარე თავის წარმოების ფასს ღებულობს, — ცხადყოფდა, თუ რამდენად უაზროა ამ ფასის გადანამეტი ჩვეულებრივ წარმოების ფასზე, მაშასადამე, მიწათმოქმედების პროდუქტის შეფარდებითი სიძვირე ავხსნათ სამიწათმოქმედო მრეწველობის ბუნებრივი მწარმოებლობის გადანამეტიდან მრეწველობის სხვა დარგების მწარმოებლობაზე, ვინაიდან, პირიქით: რაც უფრო ნაყოფიერია შრომა, მით უფრო იაფია მისი პროდუქტის ყოველი ჯერადი ნაწილი, იმიტომ რომ მით უფრო დიდია სახმარ ღირებულებათა მასა, რომლითაც შრომის იგივე რაოდენობა, მაშასადამე, იგივე ღირებულება გამოიხატება.

ამრიგად, რენტის ანალიზის დროს მთელი სიძნელე ის იყო, რომ აგვეხსნა სამიწათმოქმედო მოგების გადანამეტი საშუალო მოგებაზე, აგვეხსნა არა ზედმეტი ღირებულება, არამედ წარმოების ამ სფეროს დამახასიათებელი ჭარბი ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, არა «წმინდა პროდუქტი», არამედ ამ წმინდა პროდუქტის გადანამეტი მრეწველობის სხვა დარგების წმინდა პროდუქტზე. თვით საშუალო მოგება არის შედეგი, წარმონაქმი ცხოვრების სოციალური პროცესისა, რომელიც სრულიად განსაზღვრულ ისტორიულ წარმოებით ურთიერთობაში მიმდინარეობს, ისეთი პროდუქტი, რომელიც, როგორც უკვე დავინახეთ, მეტად რთულ შუალედ რგოლებს გულისხმობს. რათა საერთოდ შესაძლებელი იყოს საშუალო მოგებაზე რაიმე გადანამეტის შესახებ ლაპარაკი, ამისთვის აუცილებელია, რომ თვით

ეს საშუალო მოგება მასშტაბის სახით და, — როგორც ამას კაპიტალისტური წარმოების წესის დროს ადგილი აქვს, — საერთოდ წარმოების რეგულატორის სახით იყოს ჩამოყალიბებული. მაშასადამე, ისეთი საზოგადოებრივი ფორმების არსებობისას, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს კაპიტალი, რომელიც იმ ფუნქციას ასრულებს, რომ მთელ ზედმეტ შრომას იძულებულყოფს და მთელ ზედმეტ ღირებულებას პირველ რიგში თვითონ ითვისებს, მაშასადამე, სადაც კაპიტალს ჯერ კიდევ არ დაუმორჩილებია საზოგადოებრივი შრომა, ანდა მხოლოდ სპორადულად დაუმორჩილებია იგი, — საერთოდ შეუძლებელია რენტაზეც ლაპარაკი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, რენტაზე როგორც ნამეტზე საშუალო მოგებასთან შედარებით, ე. ი. იმ პროპორციულ წილთან შედარებით, რაც მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებაში ყოველ ცალკეულ კაპიტალს აქვს. და თუ, მაგალითად, ბატონი პასი (იხ. ქვემოთ) უკვე პირველყოფილ მდგომარეობაში რენტაზე ლაპარაკობს, როგორც მოგების ნამეტზე, როგორც ზედმეტი ღირებულების იმ ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმის ნამეტზე, რომელსაც, ამრიგად, ბატონი პასის აზრით, თითქმის საზოგადოების გარეშეც შეეძლო ეარსებნა, — ეს მხოლოდ მის გულუბრყვილობას მოწმობს.

წინანდელი ეკონომისტებისათვის, რომელნიც საერთოდ მხოლოდ იწყებდნენ მათ დროს ჯერ კიდევ განუვითარებელი კაპიტალისტური წარმოების წესის ანალიზს, რენტის ანალიზი ან საერთოდ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ანდა სავსებით განსაკუთრებული სახის სიძნელეს წარმოადგენდა. პეტის, კანტილონს, საერთოდ ფეოდალურ ეპოქასთან ახლო მდგომ მწერლებს, მიწის რენტა ზედმეტი ღირებულების ნორმალურ ფორმად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც მოგება მათთვის გაურკვეველია და ხელფასში ინთქება ან, სულ დიდი-დიდი. წარმოდგენილი აქვთ ამ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილს სახით, რომელიც კაპიტალისტმა მიწის შესაკუთრეს გამოსწოვა. მაშასადამე, ისინი ამოსავალ წერტილად იღებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც, ჯერ ერთი, მიწათმოქმედი მოსახლეობა ერის ჯერ კიდევ ბევრად უფრო დიდ უმრავლესობას შეადგენს და, მეორე მხრივ, მიწის შესაკუთრე იმ პიროვნების სახით გამოდის, რომელიც, სარგებლობს რა მიწის საკუთრების მონოპოლიით, უშუალოდ ითვისებს მწარმოებელთან ნამეტ შრომას, როდესაც, მაშასადამე, მიწის საკუთრება ჯერ კიდევ წარმოების მთავარ პირობას წარმოადგენს. შეუძლებელი იყო მათთვის საკით-

დაყენებას ჰქონოდა ადგილი, რომელიც, პირიქით, კაპიტალ-
არმოების წესის თვალსაზრისით ცდილობს გამოიკვლიოს,
აღწევს შიშის საკუთრება იმას, რომ ართმევს კაპიტალს
არმოებული (ე. ი. უშუალო მწარმოებელთაგან გამოწო-
ავდაპირველად უკვე მის მიერ მითვისებული ზედმეტი
ის ნაწილს.

კ რ ა ტ ე ბ ს უკვე სხვა ხასიათის სიძნელე ახასიათებს.
პიტალის მართლაც პირველი სისტემატური კომენტატორ-
ცდილობენ ანალიზი გაუკეთონ საერთოდ ზედმეტი ღირე-
უნებას. მათთვის ეს ანალიზი ემთხვევა რენტის ანალიზს
ა ერთადერთი ფორმაა, რომლითაც მათი შეხედულებით
რებულება არსებობს. ამიტომ რენტის მომცემი კაპიტალი
იმოქმედო კაპიტალი მათთვის ერთადერთი კაპიტალია,
ედმეტ ღირებულებას ქმნის, და მის მიერ მოძრაობაში მოყ-
წათმოქმედო შრომა ერთადერთი შრომაა, რომელიც ზედ-
ელებას იძლევა, მაშასადამე, კაპიტალისტური თვალსაზრ-
ულიად სამართლიანად ერთადერთი მწარმოებლური შრო-
საგებობით მართებულად თვლიან, რომ განმსაზღვრელი
რებულების შექმნაა. მათ, გარდა იმ სხვა დამსახურებათა.
ესახებაც IV წიგნი გვექნება ლაპარაკი, ის დიდი დამსა-
თ, რომ სავაჭრო კაპიტალიდან, რომელიც მართოდენ
სფეროში მოქმედებს, მწარმოებლურ კაპიტალზე გადა-
სხვაგვებით მერკანტილური სისტემისაგან, რომელიც თავისი
უნების მიხედვით იმ დროის საკუთრივ ვულგარულ ეკო-
ნომიადგენდა, რომლის პრაქტიკული ინტერესებისათვის
ი დააყენეს მეცნიერული ანალიზის ის ჩანასახები, რაც
მის მიმდევრებს მოეპოვებოდათ. სხვათა შორის აქ, მერ-
სისტემის კრიტიკის დროს, ლაპარაკია მხოლოდ მის შეხე-
კაპიტალსა და ზედმეტ ღირებულებაზე. უკვე წინათ
რომ წარმოება მსოფლიო ბაზრისათვის და პროდუქტის
აქონლად, მაშასადამე, ფულად, მონეტარულმა სისტემამ
იდ გამოაცხადა კაპიტალისტური წარმოების წანამძღვრად
ე. მის გაგრძელებაში, მერკანტილურ სისტემაში, გადამწყ-
ასრულებს უკვე არა საქონელღირებულების გადაქცევა
ამედ ზედმეტი ღირებულების შექმნა, მაგრამ ეს უკანასკ-
აილება მიმოქცევის სფეროს ირაციონალური [begriffslos]

თვალსაზრისით, და ამასთან იმ სახით, რომ ეს ზედმეტი ღირებულება დამატებითი ფულის ფორმაში, ვაჭრობის ბალანსის ნამეტით გამოიხატება. მაგრამ ამასთანავე კეშნარიტად მაშინდელი დროის დანტერესებული ვაჭრებისა და მეფაბრიკეებისათვის და შესაბამისი კაპიტალისტური განვითარების იმ პერიოდისათვის, რომელსაც ისინი გამოხატავენ, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სამიწათმოქმედო ფეოდალურ საზოგადოებათა სამრეწველო საზოგადოებებად გადაქცევისა და ამის შესაბამისად ერთა შორის მსოფლიო ბაზარზე სამრეწველო ბრძოლის პირობებში მთავარია კაპიტალის სწრაფი განვითარება, რის მიღწევაც შესაძლებელია არა ეგრეთწოდებული ბუნებრივი გზით, არამედ იძულებითი საშუალებებით. კოლოსალურ განსხვავებას ქმნის ის გარემოება, გადაიქცევა ეროვნული კაპიტალი სამრეწველო კაპიტალად თანდათანობით და ნელა, თუ ეს გადაქცევა ჩქარდება დროის მიხედვით გადასახადების საშუალებით, რომლებსაც ისინი მფარველობითი ბაჟების ფორმაში უმთავრესად მიწის მესაკუთრეებს, საშუალო და წვრილ გლეხებს და ხელოსნებს აკისრებდნენ, დამოუკიდებელი და უშუალო მწარმოებელთა დაჩქარებული ექსპროპრიაციის გზით, კაპიტალების ძალდატანებით და დაჩქარებული დაგროვებით და კონცენტრაციით, მოკლედ, კაპიტალისტური წარმოების წესის პირობების დაჩქარებული შექმნით. ეს იძლევა ამასთანავე კოლოსალურ განსხვავებას ბუნებრივი ეროვნული მწარმოებლური ძალის კაპიტალისტურსა და სამრეწველო ექსპლოატაციაში. ამიტომ მერკანტილური სისტემის ეროვნული ხასიათი მის დამცველთათვის უბრალო ფრაზა როდია, იმ საბაბით, რომ თითქოს მათ აინტერესებს მხოლოდ ერის სიმდიდრე და სახელმწიფოს რესურსები, ისინი ფაქტიურად კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს და გამდიდრებას საერთოდ სახელმწიფოს საპირისპიროდ ბურჟუაზიულ საზოგადოებას აცხადებენ. მაგრამ ამასთანავე არსებობს იმის შეგნება, რომ კაპიტალის და კაპიტალისტთა კლასის, კაპიტალისტური წარმოების, ინტერესების განვითარება ეროვნული ძალისა და ეროვნული უპირატესობის ბაზისი გახდა თანამედროვე საზოგადოებაში.

შემდეგ, ფიზიოკრატების სისტემაში სწორია ის, რომ მართლაც ბუნებრივი საფუძვლის მიხედვით ზედმეტი ღირებულების მთელი წარმოება, მამასადაშე, კაპიტალის მთელი განვითარებაც, სამიწათმოქმედო შრომის მწარმოებლურ ძალაზეა დამყარებული. ადამიანებს რომ საერ-

თოდ არ შეეძლოთ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში მეტი სააზრებო საშუალებანი, მაშასადამე, ვიწრო აზრით, მეტი მიწათმოქმედების პროდუქტები ეწარმოებინათ, ვიდრე ყოველი მუშა თავისი საკუთარი კვლავწარმოებისათვის საჭიროებს, რომ მთელი მისი სამუშაო ძალის ყოველდღიური დახარჯვა მხოლოდ იმისათვის კმაროდეს, რომ დაზადდეს მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებისათვის აუცილებელი სააზრებო საშუალებანი, მაშინ არ შეიძლებოდა ლაპარაკი არც ზედმეტ პროდუქტზე და არც ზედმეტ ღირებულებაზე. სამიწათმოქმედო შრომის განსაზღვრული ნაყოფიერება, რაც მუშის ინდივიდუალური მოთხოვნილების ფარგლებს სცილდება, ყოველი საზოგადოების ბაზისია და უწინარეს ყოვლისა, ბაზისი კაპიტალისტური წარმოებისა, რომელიც საზოგადოების სულ უფრო მზარდ ნაწილს უშუალო სააზრებო საშუალებათა წარმოებას აშორებს და მას, როგორც ამას სტიუარტი ამბობს, free heads-ად [თავისუფალ თავებად] აქცევს, სხვა სფეროებში მასი თავისუფალი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ რაღა უნდა ითქვას ახალ ეკონომისტ-მწერლებზე, როგორცაა, მაგალითად, დერი, პასი და სხვ., რომელნიც მთელი კლასიკური ეკონომიის სიცოცხლის მიწურულში, თვით მის სასიკვდილო სარეცელთანაც კი იმეორებენ ყველაზე უფრო პრიმიტიულ შეხედულებებს ზედმეტი შრომის და, მაშასადამე, საერთოდ ზედმეტი ღირებულების ბუნებრივი პირობების შესახებ და ფიქრობენ, თითქოს ამით ისინი მიწის რენტის შესახებ ახალს და დამარწმუნებელ რამეს ამბობდნენ, მაშინ როდესაც ეს მიწის რენტა უკვე დიდი ხანია გამოკვლეულია როგორც ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებული ფორმა და სპეციფიკური ნაწილი? ვულგარულ ეკონომიას სწორედ ის ახასიათებს, რომ იგი იმას, რაც განვითარების განსაზღვრულ დრომოქმედ საფეხურზე ახალი, ორიგინალური, ღრმა და მართებული იყო, ისეთ დროში იმეორებს, როდესაც იგი ბანალური, ჩამორჩენილი და მცდარია. იგი აღიარებს ამით, რომ მას ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვს იმ პრობლემებზე, რომელთაც კლასიკური ეკონომია ამუშავებდა. იგი ამ პრობლემებს ისეთ საკითხებში ურევს, რომელთა წამოყენებაც ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების მხოლოდ დაბალ დონეზე იყო შესაძლებელი. ასევე ითქმის იმაზეც, რომ ვულგარული ეკონომია დაუღალავად და თვითკმაყოფილებით ცოხნის ფიზიოკრატულ დებულებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. რაგინდ საინტერესოც არ უნდა იყოს პრაქტიკულად ეს დებულებანი ამა თუ იმ სახელმწიფოს-

თვის, მათ უკვე დიდი ხანია დაკარგეს ყოველგვარი თეორიული ინტერესი.

საკუთრივ ნატურალური მეურნეობის პირობებში, როცა მიწათმოქმედების პროდუქტი მიმოქცევის პროცესში სრულიად არ შედის ან მისი მხოლოდ მეტად უმნიშვნელო ნაწილი შედის, და შედარებით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თვით იმ პროდუქტის ნაწილისა, რომელიც მიწის მესაკუთრის შემოსავალს წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, ბევრ ძველ რომაულ ლათინურენოვან ქვეყნებში, ასევე კარლო დიდის ვილებში და აგრეთვე (იხ. ვენსარა: «Histoire du travail») მეტწილად მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე, — ასეთ ნატურალურ მეურნეობაში მსხვილი მამულეზის პროდუქტი და ზედმეტი პროდუქტი სრულიადაც არ შედგება მარტო სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტებისაგან. იგი შეიცავს აგრეთვე სამრეწველო შრომის პროდუქტებსაც. შინახელოსნური და მანუფაქტურული შრომა, როგორც დამხმარე წარმოება მიწათმოქმედებაში, რომელიც ბაზისს შეადგენს, წარმოების იმ წესის პირობაა, რომელზედაც ეს ნატურალური მეურნეობა დაფუძნებული როგორც ძველ და საშუალო საუკუნეების ევროპაში, ისე — თვით დღემდეც — ინდურ თემში, სადაც მისი ტრადიციული ორგანიზაცია ჯერ კიდევ დამოკიდებული არაა კაპიტალისტური წარმოების წესი ამ კავშირს სრულიად სპობს; ეს ის პროცესია, რომელიც შეიძლება დიდი მასშტაბით შევიწავლოთ განსაკუთრებით ინგლისში მე-18 საუკუნის უკანასკნელი მესამედის მანძილზე. ის ადამიანები, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად ნახევრად ფეოდალურ საზოგადოებებში აღიზარდნენ, მაგალითად, პერენშვანდი, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დამლევეს მიწათმოქმედების და მანუფაქტურის ამ გათიშვას ისე უყურებენ როგორც მეტად გაბედულ საზოგადოებრივ ავანტიურას, არსებობის წარმოუდგენელ საარსკოო წესს. და თვით უძველესი დროის იმ სამიწათმოქმედო მეურნეობებში, რომელნიც მეტ ანალოგიას გვიჩვენებენ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასთან, — კართაგენსა და რომში, — თვით მათშიც კი ადგილი აქვს მეტ მსგავსებას პლანტატორულ მეურნეობასთან, ვიდრე იმ ფორმასთან, რომელიც ნამდვილად ექსპლოატაციის კაპიტალისტურ წესს შეეფერება. 42*.

* 42 სმიტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რენტა და მოკვება ჯერ კიდევ მის დროში (და ასევე ითქმის ჩვენი დროისთვისაც) პლანტატორულ მეურნეობის მიმართ ტრობიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში) გათიშული არ არიან, რადგან მიწის

ფორმალური ანალოგია, — რომელიც ამასთან ყველა არსებით პუნქტებში საეხსებო მცდარად აისახება მისთვის, ვინც კაპიტალისტური წარმოების წესი გაიგო და ვინც ყოველ ფულად მეურნეობაში არ აღმოაჩინს უკვე კაპიტალისტურ წარმოების წესს მსგავსად ბ-ნი მოწინისა⁴⁵, — ეს ფორმალური ანალოგია არ მოიპოვება საერთოდ ძველი დროის კონტინენტურ იტალიაში, მას ადგილი აქვს მარტოოდენ სიცილიაში. რადგან ეს უკანასკნელი არსებობდა როგორც სამიწათმომწიდო ქვეყანა. რომელიც რომს ხარკს უხდიდა, და ამიტომაც მიწათმოქმედებას არსებითად მიზნად ექსპორტი ჰქონდა. აქ ვხვდებით ჩვენ მოიჯარეებს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

რენტის ბუნების უპირატებლო გაგება იმ გარემოებაზეა დამყარებული, რომ რენტა საშუალო საუკუნეების ნატურალური მეურნეობიდან — და სრულ წინააღმდეგობაში კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებთან — ნატურალური ფორმით გადმოვიდა უახლეს დროში ნაწილობრივ საეკლესიო სამეათედოს სახით, ხოლო ნაწილობრივ როგორც ძველი ხელშეკრულებებით გამარადისებული უცნაური მოვლენა. ამის გამო ისე გვეჩვენება, თითქოს რენტას წარმოშობდეს არა სამიწათმოქმედო პროდუქტის ფასი, არამედ პროდუქტის მასა, მაშასადამე არა საზოგადოებრივი ურთიერთობა, არამედ მიწა. უკვე წინათ აღვნიშნეთ. რომ, თუმცა ზედმეტ ღირებულებას დამატებითი პროდუქტი გამოხატავს. მაგრამ, პირიქით, დამატებითი პროდუქტი პროდუქტის მასის უბრალო გადიდების აზრით არ გამოხატავს ზედმეტ ღირებულებას. იგი შეიძლება ღირებულების მინუსი იყოს. სხვანაირად ბანბის მრეწველობას 1840 წელთან შედარებით 1860 წელს უნდა გამოეხატა უზარმაზარი ზედმეტი ღირებულება, მაშინ როდესაც ნართის ფასი, პირიქით დაეცა. მთელი რიგი მოუსავლიანი წლების გამო რენტა შეიძლება არაჩვეულებრივად გაიზარდოს, იმიტომ რომ პურის ფასი იზრდება, თუმცა ეს დამატებითი ღირებულება გაძვირებულია ხორბლის აბსოლუტურად კლებადი მასით გამოიხატება. პირიქით,

მესაკუთრე იმედროულად კაპიტალისტურად, როგორც, მაგალითად, კატონი თავის მამულებში. მაგრამ ეს გათრევა სწორედ წინამძღვარია კაპიტალისტური წარმოების წესისა, რომლის ცნებასაც ამასთანავე წინააღმდეგება მონობის ბაზისი.

⁴⁵ თავის რომის ისტორიაში ბატონი მომზენი სიტყვა «კაპიტალისტს» იღება სრულიად არა თანამედროვე ეკონომიის და თანამედროვე საზოგადოების აზრით, არამედ იმ პოპულარული წარმოდგენის სახით, რომელიც ჯერ კიდევ განავრძობს არსებობას არა ინტელსა და ამერიკაში, არამედ კონტინენტზე როგორც წარსულ ურთიერთობის ძველი ტრადიცია.

მთელი რიგი მოსავლიანი წლების გამო რენტა შეიძლება შემცირდეს, იმიტომ რომ ფასი ეცემა, თუმცა დაწეული რენტა იაფი ხორბლის შედარებით უფრო დიდი მასით გამოიხატება. ახლა, რაც შეეხება რენტას პროდუქტებით, უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იგი წარმოადგენს წარმოების დრომოჭმული წესიდან გადმოცემულ და ნაშთის სახით სულისმდაფავ ტრადიციას, რომლის წინააღმდეგობაც კაპიტალისტური წარმოების წესთან იმით აშკარავდება, რომ იგი თავისთავად ქრება კერძო ხელშეკრულებებიდან, და რომ იქ, სადაც კანონმდებლობას შეეძლო ჩარეულიყო, როგორც ამას საეკლესიო სამეთედოს მიმართ ადგილი ჰქონდა ინგლისში, — იგი ძალდატანებით იქნა აღგვილი როგორც შეუსაბამობა. მაგრამ, მეორე მხრივ, იქ, სადაც იგი კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე არსებობას განაგრძობდა, სხვა არა იყო რა და არც შეიძლება რამე ყოფილიყო, თუ არა ფულადი რენტის მხოლოდ შუასაუკუნეობრივად შენიღბული გამოხატულება. ვთქვათ, მაგალითად, კვარტერი ხორბლის ფასი 40 შილინგია. ამ კვარტერის ერთმა ნაწილმა უნდა ანაზღაუროს მასში მოთავსებული ხელფასი და იგი უნდა გაიყიდოს, რათა შესაძლებელი იყოს ამ ხელფასის ხელახლა დახარჯვა; მეორე ნაწილი უნდა გაიყიდოს, რათა გასტუმრებულ იქნეს გადასახადების ის ნაწილი, რომელიც კვარტერს უწევს. იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი და მასთან ერთად საზოგადოებრივი შრომის დანაწილება განვითარებულია, თესლი და თვით სასუქის ნაწილიც კვლავწარმოების პროცესში შედიან საქონლის სახით, მაშასადამე, უნდა ნაყიდი იქნეს ანაზღაურებისათვის; რათა ამისათვის ფული იქნეს მოპოვებული, კვლავ აუცილებელი ხდება კვარტერის ერთი ნაწილის გაყიდვა. რამდენადაც მათი ყიდვა არა ნამდვილად საქონლის სახით უნდა მოხდეს, არამედ თვით პროდუქტიდან უნდა იქნას *in natura* (ნატურით) აღებული, რათა წარმოების პირობების სახით ხელახლა შევიდნენ ნიაკვლავწარმოებაში, — როგორც ამას ადგილი აქვს არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ წარმოების ბევრ დარგში, რომელნიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, — იმდენად ისინი შედიან სათვალავში როგორც საანგარიშო ფულით გამოხატულნი, და გამოაკლდებიან როგორც ხარჯთფასის შემადგენელი ნაწილები. მანქანების და საერთოდ ძირითადი კაპიტალის გაცვეთა უნდა ანაზღაურდეს ფულით. ბოლოს გვჩნება ამ ნამდვილი ფულით ან საანგარიშო ფულით გამოხატულ ხარჯების ჯამზე გამოანგარიშებული მოგება. ეს მოგება გამოიხატება

ბრუტო-პროდუქტის განსაზღვრული ნაწილით, რომელიც მისი ფასით განისაზღვრება. ხოლო ის ნაწილი, რომელიც ამის შემდეგ რჩება, რენტას შეადგენს. თუ ხელშეკრულებით დადგენილი რენტა პროდუქტებით უფრო დიდია, ვიდრე ფასით განსაზღვრული ეს ნაწილი, მაშინ ის რენტა კი არაა, არამედ მოგებიდან გამონაკლებია. უკვე მართო ამ შესაძლებლობის გამო რენტა პროდუქტებით, რომელიც პროდუქტის ფასს არ მისდევს, მათთანადავ, შეუძლია ნამდვილ რენტაზე მეტს ან ნაკლებს წარმოადგენდეს და ამიტომ, არა მართო მოგებიდან, არამედ კაპიტალის ამანაზღაურებელი ელემენტებიდანაც გამონაკლებს შეადგენდეს, — უკვე მართო ამ მიზეზის გამო იგი მოძველებულ ფორმას წარმოადგენს. სინამდვილეში ეს რენტა პროდუქტებით, რამდენადაც იგი რენტაა არა მართო სახელწოდებით, არაჰედ საქმიანაც. განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტის ფასის გადანამეტით მის წარმოების ხარჯებზე. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ამ ცვალებად სიდიდეს იგი ნუღნავ სიდიდედ გულისხმობს. ეს კი ნიშნავს ძველი დროის მომაგონებელ იმ წარმოდგენას, რომ პროდუქტი *in natura* საკმაო უნდა იყოს იმისათვის, რათა, ჯერ ერთი, გამოკვებოს მუშები, შემდეგ, მისცეს კაპიტალისტურ მოიჯარეს იმაზე ნეტო სარჩო, ვიდრე მას სჭირდება, და რომ ამაზე ზევით ნამეტო ბუნებრივ რენტას ქმნის. ეს სრულიად ისეა, თუ, მაგალითად, ჩითეულის მეფაბრიკე 200 000 წყრთას აწარმოებდა. ეს 200 000 წყრთა საკმარისია არა მართო მისი მუშების შესამოსავად, არამედ იგი მეტია იმაზე. რასაც მოითხოვს მისი ცოლის, მთელი მისი მოდგმის და თვითონ მისივე შემოსევა. გარდა ამისა, მას კიდევ რჩება იგი გასაყიდად და ბოლოს იგი ამ ჩითითვე დიდ რენტასაც ისტუმრებს. საქმე ასე მართივადაა! საკმარისია 200 000 წყრთა ჩითის გამოაკლდეს წარმოების ხარჯები და ჩითეულის ნაშთი დარჩება რენტის სახით. მაგალითად, 200 000 წყრთა ჩითიდან 10 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით წარმოების ფასების გამოკლება, ჩითის გასაყიდი ფასის უტოდნელად, ჩითიდან ფულის გამოკლება, სახმარი ღირებულებებიდან როგორც ასეთიდან საკვლელი ღირებულების გამოკლება, და შემდეგ გამოკვება წყრთა ჩითის გადანამეტისა გირვანქა სტერლინგზე, — ეს მართლაც გულუბრყვილო წარმოდგენაა. ეს უარესია, ვიდრე წრის კვადრატურა, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, საფუძვლად უდევს წარმოდგენა იმ ზღვარის შესახებ, რომელშიც სწორი და მრუდი ხაზები ერთდებიან. მაგრამ სწორედ ასეთია ბატონ პასის რეცეპტი. გამოაკელით

ფული ჩითიდან, ვიდრე წარმოდგენაში ან სინამდვილეში ჩითი ფულად გადრეკეოლდეს! ნამეტი შეადგენს რენტას, რომელიც, მოუხედავად ამისა, თითქოს *naturaliter* ნატურალურად (იხ., მაგალითად, კარლ არნდი) და არა «სოფისტიკური» ეშმაკობის საშუალებით ხდება ხელშესახები! ამ სისულელელ, ამდენი თუ იმდენი შეფელი ხორბლიდან წარმოების ფასის გამონაკლებად, მოცულობის ზომიდან ფულადი ჯამის გამონაკლებად იქცევა ნატურალური რენტის მთელი რესტავრაცია.

II. შრომამიპვიითი რენტა.

თუ ჩვენ მიწის რენტას განვიხილავთ მის უმარტივეს ფორმაში, შრომამიგებითი რენტის ფორმაში, როდესაც უშუალო მწარმოებელი კვირის ერთი ნაწილის განმავლობაში ფაქტიურად მის კუთვნილ მიწას ამუშავენ იმ სამუშაო იარაღებით (გუთანა, პირუტყვი და სხვ.), რომელნიც მასვე ეკუთვნიან ფაქტიურად ან იურიდიულად, ხოლო კვირის დანარჩენ დღეებში მიწათმფლობელის მამულში მუშაობს მუქთად მიწათმფლობელისათვის, — მაშინ აქ საქმე ჯერ კიდევ საგვებით ნათელია, რენტა და ზედმეტი ღირებულება აქ იდენტურია: რენტა, და არა მოგება, — აი ის ფორმა, რომლითაც აქ გადაუხდელი ზედმეტი შრომა გამოიხატება. თუ რამდენად შეუძლია მუშას (*self-sustaining serf*) მიიღოს აქ გადანამეტი თავის აუცილებელ საარსებო საშუალებებზე, მამასადამე, გადანამეტი იმაზე, რასაც ჩვენ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს ხელფასს ვუწოდებდით, — ეს დამოკიდებულია სხვა თანაბარ პირობებში იმ შეფარდებაზე, რომლის მიხედვითაც მისი სამუშაო დრო ნაწილდება სამუშაო დროდ მისთვის და საბატონო-საბეგრო სამუშაო დროდ მიწათმფლობელისათვის. მამასადამე, ეს გადანამეტი აუცილებელ საარსებო საშუალებებზე, იმის ჩანსახი, რაც კაპიტალისტური წარმოების წესის დროს მოგების სახით გვევლინება, აქ მთლიანად განისაზღვრება იმ მიწის რენტის სიმაღლით, რომელიც ამ შემთხვევაში არა მარტო უშუალოდ გადაუხდელი ზედმეტი შრომაა, არამედ ასეთადაც წარმოგვიდგება; იგი გადაუხდელი ზედმეტი შრომაა წარმოების პირობების «მესაკუთრისათვის», პირობებისა. რომელნიც აქ მიწას ემთხვევიან, და რამდენადაც ეს წარმოების პირობები მიწისაგან განსხვავდებიან, ისინი მის საკუთრებად ითვლებიან. ის გარემოება, რომ მობეგრე-ვლუხის პროდუქტა

აქ საკმარისი უნდა იყოს გარდა მისი არსებობის უზრუნველყოფისა მისი შრომის პირობების ასანაზღაურებლად, — ისეთი გარემოებაა, რომელიც წარმოების ყველა წესისათვის საერთო რჩება, რადგან ეს არაა შედეგი ამ უკანასკნელთა სპეციფიკური ფორმისა, არამედ ბუნებრივი პირობაა ყოველი განუწყვეტელი და კვლავმწარმოებელი შრომისა. საერთოდ, პირობა ყოველი ხანგრძლივი წარმოებისა, რომელიც მუდამ იმავდროულად კვლავწარმოებაა, მაშასადამე, კვლავწარმოება თავისივე საკუთარი მოქმედების პირობებისა. შემდეგ ნათელია, რომ ყველა ფორმაში, სადაც უშუალო მუშა იმ წარმოების საშუალებათა და შრომის პირობების «მფლობელად» რჩება, რომელიც მის საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის აუცილებელნი არიან, საკუთრების ურთიერთობა იმავდროულად ბატონობისა და დამონების უშუალო ურთიერთობად უნდა გვევლინებოდეს, მაშასადამე, უშუალო მწარმოებელი წარმოგვიდგება როგორც არათავისუფალი; ეს კი ისეთი არათავისუფლებაა, რომელიც ბატონყმობიდან საბატონო-საბეგრო შრომითურთ შეიძლება შერბილებულ და დაყვანილ იქნეს უბრალო სახარკო ვალდებულებამდე. უშუალო მწარმოებელი აქ, ნაჯულისხმევის თანახმად, ფლობს თავის საკუთარ წარმოების საშუალებებს და შრომის იმ ნივთობრივ პირობებს, რომელიც აუცილებელნი არიან მისი შრომის განსახორციელებლად და მის საარსებო საშუალებათა საწარმოებლად; იგი დამოუკიდებლად ეწევა მიწათმოქმედებას და მასთან დაკავშირებულ სასოფლო შინამრეწველობას. ეს დამოუკიდებლობა არ ისობა იმით, რომ, მაგალითად, როგორც ინდოეთში, ეს წვრილი გლეხები ერთმანეთს უკავშირდებიან ბევრად თუ ცოტად ბუნებრივად აღმოცენებულ საწარმოო თემებში, რადგან აქ ლაპარაკია დამოუკიდებლობაზე მხოლოდ ნომინალური მიწათმფლობელის მიმართ. ასეთ პირობებში ზედმეტი შრომა ნომინალური მიწის მესაკუთრისათვის შეიძლება მათგან გამოწოვილ იქნეს მხოლოდ გარეეკონომიური იძულებით, სულ ერთია, რა ფორმასაც არ უნდა ღებულობდეს ეს იძულება⁴⁴. ეს ფორმა მით განსხვავდება მონური და პლანტატორული მეურნეობისაგან, რომ მონა აქ სხვისი წარმოების პირობების საშუალებით მუშაობს და არა დამოუკიდებლად. ამრიგად, აუცილებელია პირადი დამოკიდებულების ურთიერთობა, პირადი არათავისუფლება ანა თუ იმ ზომით და მიჯაჭვა მიწაზე უკანასკნელი-

⁴⁴ ქვეყნის დაყრობის შემდეგ დამყრობელთა უახლოეს ამოცანას მუდამ შეადგენდა აღმონების მითვისება. შეად. ლენგე. ის. აგრეთვე მოზერა.

სავე დანართის სახით, ბატონყმური დამოკიდებულება [Hörigkeit] ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თუ მათ უშუალოდ უპირისპირდება არა კერძო მიწის მესაკუთრენი, არამედ სახელმწიფო, მიწის მესაკუთრისა და იმავდროულად სუვერენის სახით როგორც ეს აზიაშია, მაშინ რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვევა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მაშინ, არ არსებობს არავითარი გადასახადი, რომელიც განსხვავებული იყოს მიწის რენტის ამ ფორმისაგან. ასეთ პირობებში დამოკიდებულებითი ურთიერთობა არ საჭიროებს არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად იმაზე უფრო მკაცრ ფორმას, რაც ამ სახელმწიფოს მიმართ ყველა ქვეშევრდომის მდგომარეობას ახასიათებს. სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა. სუვერენიტეტი აქ ეროვნული მასშტაბით კონცენტრირებული მიწის საკუთრებაა. მაგრამ სამაგიეროდ ამ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი კერძო მიწის საკუთრება, თუმცა არსებობს მიწის როგორც კერძო. ისე თეპური მფლობელობა და სარგებლობა.

ის სპეციფიკური ეკონომიური ფორმა, რომლითაც უშუალო მწარმოებელთაგან გადაუხდელი ზედმეტი შრომის გამოწოვა ხდება, განსაზღვრავს ბატონობისა და დამონების ურთიერთობას, როგორადაც ეს უკანასკნელი უშუალოდ თვით წარმოებიდან აღმოცენდება და თავის მხრივ ამ წარმოებაზე განსაზღვრულ უკუგავლენას ახდენს. მაგრამ ამაზეა დაფუძნებული მთელი სტრუქტურა ეკონომიური საზოგადოებისა [Gemeinwesen], რომელიც თვით წარმოებითი ურთიერთობიდან წარმოიშობა; ამაზევეა დამყარებული მისი სპეციფიკური პოლიტიკური წყობა. წარმოების პირობების მესაკუთრეთა უშუალო დამოკიდებულება უშუალო მწარმოებლებთან — დამოკიდებულება, რომლის ყოველი მოცემული ფორმა ყოველთვის ბუნებრივად შრომის წესის განვითარების განსაზღვრულ საფეხურს და, მამასადაძვე. მის საზოგადოებრივ მწარმოებელურ ძალას შეესაბამება, — აი ის, რაშიაც ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ მთელი საზოგადოებრივი წყობილების და, მამასადაძვე, სუვერენიტეტისა და დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმის, მოკლედ, ყოველი მოცემული სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმის წინაგან საიდუმლოებას, მის ფარულ საფუძველს. ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ერთსა და იმავე ეკონომიურ ბაზისს — ერთსა და იმავეს მთავარი პირობების მიხედვით — უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასობრივ ურთიერთობათა, გარედან მომქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეო-

ხეზით შეუძლია თავისი გამოვლენისას ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ამ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის საშუალებით შეიძლება.

რაც შეეხება შრომაშიგებობის რენტას, რენტის ამ ყველაზე მარტივ და ყველაზე თავდაპირველ ფორმას, აქ ნათელია შემდეგი: რენტა აქ ზედმეტი ღირებულების თავდაპირველი ფორმაა და იგი მას ემთხვევა. მაგრამ ზედმეტი ღირებულების დამთხვევა გადაუხდელ სხვის შრომასთან აქ არ საჭიროებს ანალიზს, რადგან ეს გადაუხდელი შრომა აქ ჯერ კიდევ თავის თვალსაჩინო და ხელშესახებ ფორმაში არსებობს, იმიტომ რომ უშუალო მწარმოებლის ის შრომა, რომელიც თვით ნისთვისაა დანიშნული, აქ სივრცისა და დროის მიხედვით გათიშულია მისი იმ შრომისაგან, რომელიც მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ მიდის, და ეს უკანასკნელი შრომა უშუალოდ ვლინდება სხვის სასარგებლოდ გაწეული იძულებითი შრომის ტლანქ ფორმაში. ასევე მიწის ის «თვისებაც», რომ იგი რენტას იძლევა, დაყვანილია აქ ხელშესახებად გამოწყლავნებულ საიდუმლოებამდე, იმიტომ რომ ბუნებას, რომელიც რენტას იძლევა, ეკუთვნის აგრეთვე მიწაზე მიჯაჭვული ადამიანის სამუშაო ძალა და საკუთრების ურთიერთობა, რომელიც სამუშაო ძალას მფლობელს აიძულებს დაძაბოს და ხარჯოს ეს სამუშაო ძალა იმ ზომაზე ზევით. რაც საჭირო იქნებოდა მის საკუთარ აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რენტას პირდაპირ შეადგენს სამუშაო ძალის ამ ნაშეტი დანახარჯის მითვისება მიწის მესაკუთრის მიერ; იმიტომ რომ უშუალო მწარმოებელი მიწის მესაკუთრეს ამის გარდა არაფერს სხვა რენტას არ უხდის. აქ, სადაც ზედმეტი ღირებულება და რენტა არა მარტო იდენტურნი არიან, არამედ ზედმეტი ღირებულებას ჯერ კიდევ ხელშესახებად აქვს ზედმეტი შრომის ფორმა, გარკვეულად მოცემულია აგრეთვე რენტის ბუნებრივი პირობები ანუ საზღვრები, იმიტომ რომ ეს საერთოდ ზედმეტი შრომის ბუნებრივი პირობები და საზღვრებია. უშუალო მწარმოებელი 1) სამაო სამუშაო ძალას უნდა ფლობდეს და 2) მისი შრომის ბუნებრივი პირობები, მასასადავ, პირველ რიგში დამუშავებული მიწის პირობები, საკმაოდ ნაყოფიერი უნდა იყოს, ერთი სიტყვით, მისი შრომის ბუნებრივი ნაყოფიერება საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რათა მას შესაძლებლობა ჩაეზოდეს იმაზე მეტი შრომა დახარჯოს, რაც მის საკუთარ აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო. ეს შესაძლებლობა არ ქმნის რენტას, მას ქმნის მხოლოდ იძულება, რომელიც შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევს. მაგრამ თვით

შესაძლებლობა სუბიექტურ და ობიექტურ ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული. არც ამაშია სრულებით რაიმე საიდუმლოებრივი. თუ სამუშაო ძალა უმნიშვნელოა, ხოლო შრომის ბუნებრივი პირობები მწირი, უმნიშვნელოა ზედმეტი შრომაც, მაგრამ უმნიშვნელოა ამ შემთხვევაში აგრეთვე, ერთი მხრივ, მწარმოებელთა მოთხოვნილებანი, მეორე მხრივ, ზედმეტი შრომის ექსპლოატატორთა შეფარდებითი რაოდენობა და, დასასრულ, ზედმეტი პროდუქტი, რომელშიც ეს ნაკლებად ნაყოფიერი ზედმეტი შრომა ხორციელდება ექსპლოატატორ მესაკუთრეთა ამ შედარებით მცირე რიცხვისათვის.

დასასრულ, შრომაშიგებითი რენტის მიმართ თავისთავად ნათელია, რომ, თუ ყველა სხვა გარემოებებს უცვლელად ვიგულისხმებთ, მთლიანად ზედმეტი ანუ საბატონო-საბევრო შრომის შეფარდების მოცულობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ექნება უშუალო მწარმოებელს შესაძლებლობა გააუმჯობესოს თავისი საკუთარი მდგომარეობა, გამდიდრდეს, აწარმოოს საარსებო საშუალებათა განსაზღვრული ნაშეტი, ანდა, — თუ ჩვენ კაპიტალისტურ გამოთქმის წესის ანტიციპაციას მოვანდენთ, — შეძლებს თუ არა იგი და რა რაოდენობით შეძლებს აწარმოოს რაიმე მოგება თავისთვის, ე. ი. განსაზღვრული ნაშეტი თვით მის მიერვე წარმოებულ ხელფასთან შედარებით. რენტა აქ ნორმალურია, ყოვლისშთანმთქმელი, ასე ვთქვათ, ზედმეტი შრომის კანონიერი ფორმა; იგი შორსაა იმისგან, რომ წარმოადგენდეს მოგების ნაშეტს, ე. ი. ამ შემთხვევაში რაიმე სხვა ნაშეტს ხელფასთან შედარებით: პირიქით, აქ არა მარტო ოდენობა ასეთი მოგებისა, არამედ თვით მისი არსებობაც, სხვა თანაბარ პირობებში, დამოკიდებულია რენტის ოდენობაზე, ე. ი. ზედმეტ შრომაზე, რომელიც იძულებით სრულდება მესაკუთრისათვის.

ზოგიერთმა ისტორიკოსმა თავისი გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ, თუმცა უშუალო მწარმოებელი მესაკუთრე კი არაა, არამედ მხოლოდ მფლობელია და მთელი მისი ზედმეტი შრომა *de jure* [იურიდიულად] მართლაც მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის, მაინც ამ პირობებში საერთოდ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქონების დამოუკიდებელ განვითარებას და, თუ რელატიურად ვიტყვივით, მეზვერეებისა და ყმების მხარეზე სიმდიდრის განვითარებას. მაშინ როდესაც ნათელია, რომ იმ პრიმიტიულ და განუვითარებელ მდგომარეობაში, რომელზედაც დაფუძნებულია ეს საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა და მისი შესაბამისი წესი წარმოებისა, ტრადიცია გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს. შემდეგ ნათელია, რომ აქ, ისე როგორც

ყველგან. საზოგადოების გაბატონებული ნაწილი დაინტერესებულია იმით, რომ არსებულს კანონის სახით სანქცია მიანიჭოს და მისი ის შეზღუდვანი, რომელნიც ჩვეულებით და ტრადიციით არიან მოცემული. კანონიერ შეზღუდვათა სახით განამტკიცოს. ეს კი, — თუ ყოველგვ სხვას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, — სხვათა შორის თავისთავად ხდება, როგორც კი არსებული მდგომარეობის ბაზისისა და ამ მდგომარეობის საფუძველად მდებარე ურთიერთობის მუდმივი კვლავწარმოება დროთა მსვლელობაში რეგულირებულ და მოწესრიგებულ ფორმას ღებულობს; ეს რეგულირება და მოწესრიგება კი აუცილებელი მომენტია წარმოების ყოველი წესისა, რაკი ამ უკანასკნელმა უნდა მოიბოვოს საზოგადოებრივი მყარი მდგომარეობა და დამოუკიდებლობა უბრალო შემთხვევითობისა ან თვითნებობისგან. წარმოების პროცესული წესის საზოგადოებრივი განმტკიცებისა და უბრალო თვითნებობისა და უბრალო შემთხვევითობისაგან მისი შეფარდებითი ემანსიპაციის სწორედ ამ ფორმას ეს მოწესრიგება შეადგენს. წარმოების წესი ამ ფორმას აღწევს როგორც წარმოების პროცესის, ისე მისი შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის უმოძრაო მდგომარეობის პირობებში, თვით მათივე მარტივი განმეორებითი კვლავწარმოების საშუალებით. თუ ამ ფორმამ განსაზღვრული დროის განმავლობაში იარსება, იგი მკვიდრდება როგორც ჩვეულება და ტრადიცია და, ბოლოს, სანქციას ღებულობს როგორც გარკვეული კანონი. რადგან ამ ზედმეტი შრომის ფორმა, საბატონო-საბეგრო შრომა, შრომის ყველა საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა განუვითარებლობაზე, თვით შრომის წესის პრიმიტიულობაზეა დამყარებული, ამიტომ მან უშუალო მწარმოებელს, რასაკვირველია, მთელი შრომიდან ბევრად უფრო ნაკლები ჯერადი ნაწილი უნდა წაართვას, ვიდრე ამას ადგილი აქვს განვითარებული წარმოების წესისა და განსაკუთრებით კი კაპიტალისტური წარმოების პირობებში. დაეუშვათ, მაგალითად, რომ საბატონო-საბეგრო შრომა, მიწის მესაკუთრისათვის თავდაპირველად შეადგენდა ორ დღეს კვირაში. კვირეული საბატონო-საბეგრო შრომის ეს ორი დღე, ამრიგად, დამკვიდრებულია, მუდმივი სიდიდეა, კანონიერად რეგულირებულია ადათობრივი ან წერილობითი სამართლით. მაგრამ კვირის იმ დანარჩენი დღეების ნაყოფიერება, რომელნიც უშუალო მწარმოებელს თავის სრულ განკარგულებაში აქვს, ცვალებადი სიდიდეა, რომელიც მისი გამოცდილების პროცესში აუცილებლად ვითარდება, სავსებით ისე, როგორც ახალი მოთხოვნილებანი, რომელთაც ის ეცნობა, და სრულიად ისე,

როგორც ბაზრის გაფართოება მისი პროდუქტისათვის, მზარდი უზრუნველყოფა მისი სამუშაო ძალის ამ ნაწილის გამოყენებისა, მას სტიმულს მისცემენ თავისი სამუშაო ძალის გაძლიერებული დამატებისათვის; ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სამუშაო ძალის გამოყენება სრულიადაც არ იფარგლება მხოლოდ მიწათმოქმედებით და იგი სოფლურ შინამრეწველობასაც შეიცავს. ამრიგად, აქ მოცემულია გარკვეული ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა, რომელიც, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მეტნაკლებად ხელსაყრელ პირობებზე, თანდაყოლილ რასობრივ ხასიათზე და სხვ.

III. რენტა პროდუქტებით.

შრომამიგებითი რენტის გადაქცევა რენტად პროდუქტებით, თუ საქმეს ეკონომიური თვალსაზრისით შევხედავთ, არაფერს არ ცვლის მიწის რენტის ბუნებაში. ეს უკანასკნელი იმ ფორმების მიხედვით, რომელთაც ჩვენ აქ განვიხილავთ, იმაში მდგომარეობს, რომ მიწის რენტა ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი შრომის ერთადერთი გაბატონებული და ნორმალური ფორმაა; ეს კი, თავის მხრივ, იმით გამოიხატება, რომ იგი ერთადერთი ზედმეტი შრომა ანუ ერთადერთი ზედმეტი პროდუქტია, რომელიც უშუალო მწარმოებელმა, — რომლის მფლობელობაშიც მისივე საკუთარი კვლავწარმოებისათვის საჭირო შრომის პირობები იმყოფება, — უნდა გადაუხადოს შრომის ისეთი პირობის მესაკუთრეს, რომელსაც ამ მდგომარეობაში ყველაფერი ხელთ უპყრია, ე. ი. უნდა გადაუხადოს მიწის მესაკუთრეს; და რომ, მეორე მხრივ, მხოლოდ მიწა უპირისპირდება მას შრომის ისეთი პირობის სახით, რომელიც სხვის საკუთრებაში იმყოფება, მისგან განცალკევებულია და მიწის მესაკუთრეშია განსახიერებული. რამდენადაც რენტა პროდუქტებით მიწის რენტის გაბატონებულ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს, მას, სხვათა შორის, მუდამ მეტნაკლებად თან ახლავს წინანდელი ფორმის ნაშთები, ე. ი. იმ რენტის ნაშთები, რომელიც უშუალოდ შრომის სახითაა გადასახდელი, მაშასადამე, თან ახლავს საბატონო-საბეგრო შრომა, და ეს სულ ერთია — მიწის მესაკუთრეს კერძო პირი წარმოადგენს თუ სახელმწიფო. რენტა პროდუქტებით გულისხმობს უშუალო მწარმოებლის უფრო მაღალ კულტურულ დონეს, მაშასადამე, მისი შრომისა და საერთოდ საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეს; იგი იმით განსხვავდება წინანდელი ფორმისაგან, რომ ზედმეტი შრომა აღარ სრულდება უკვე მისი ნატურალური სახით, მაშასადამე,

აღარც მიწის მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის ზედამხედველობისა და იძულების ქვეშ; პირიქით, უშუალო მწარმოებელმა ეს ზედმეტი შრომა უნდა შეასრულოს თავისი პასუხისმგებლობით და მას ამას აკეთებინებს ურთიერთობათა ძალა, ნაცვლად უშუალო იძულებისა, და კანონის დადგენილება, ნაცვლად მათრახისა. ზედმეტი წარმოება, უშუალო მწარმოებლის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფარგლებს ზევით წარმოების აზრით, და წარმოება ფაქტიურად თვით მისავე კუთვნილ წარმოების ასპარეზზე, მის მიერვე ექსპლუატირებულ მიწაზე, ნაცვლად წარმოებისა მეტატონის მამულში მისი მიწის გვერდით ან იმის გარეშე, როგორც ამას წინათ ჰქონდა ადგილი. — აქ უკვე თავისთავად გასაგები წესი გახდა. ამ ურთიერთობაში უშუალო მწარმოებელი მთელი თავისი სამუშაო ძალის გამოყენებას მეტნაკლებად თვითონ განაგებს, თუმცა ამ სამუშაო ძროის ერთი ნაწილი, — თავდაპირველად კი მისივე თითქმის მთელი ნამეტი ნაწილი, — კვლავ მუქთად ეკუთვნის მიწის მესაკუთრეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიწის მესაკუთრე მას უკვე მისი საკუთარი ნატურალური ფორმით კი არ ღებულობს, არამედ იმ პროდუქტის ნატურალური ფორმით იღებს, რომელშიაც ეს დრო ხორციელდება. დამამდიმებელი და საბატონო-საბეგრო შრომის რეგულირების მიხედვით ბევრად თუ ცოტად შემადგერხებელი შეწყვეტა, რაც გაპირობებულია მიწის მესაკუთრისათვის გასაწევი, შრომით (შეად. წიგნი I, თავი VIII, 2, მეფაბრიკე და ბოიარინი), ისპობა, სადაც კი რენტა პროდუქტებით წმინდა სახით არსებობს, ანდა ეს შეწყვეტა, ყოველ შემთხვევაში, დაყვანილია მცირერიცხოვან და მოკლე ინტერვალებზე წლის განმავლობაში იქ, სადაც კი პროდუქტებით რენტის გვერდით არსებობას განაგრძობს განსაზღვრული საბატონო-საბეგრო შრომა. მწარმოებლის შრომა თავისთავის და მისი შრომა მიწის მესაკუთრისათვის აღარ არიან უკვე ხელშესახებად განცალკევებული ერთი-ნეორისაგან დროისა და სივრცის მიხედვით. ეს რენტა პროდუქტებით მისი წმინდა სახით, — თუმცა მას გადმონაშთის სახით შეუძლია განაგრძოს არსებობა უფრო განვითარებულ წარმოების წესსა და წარმოებით ურთიერთობაშიც, — უწინდებურად ნატურალურ მეურნეობას გულისხმობს, ე. ი. გულისხმობს, რომ მეურნეობის პირობები მთლიანად ანდა უმეტეს ნაწილად თვით მეურნეობაში იქმნებიან და რომ მათი ანაზღაურება და კვლავწარმოება მეურნეობის ბრუტო-პროდუქტიდან ხდება. შემდეგ, იგი გულისხმობს სოფლური შინამრეწველობის შეერთებას მიწათმოქმედებასთან; ზედმეტი პროდუქტი, რომელიც რენტას

ქმნის, ამ შეერთებული სამიწათმოქმედო-სამრეწველო საოჯახო შრომის პროდუქტია, სულ ერთია, შეიცავს რენტა პროდუქტებით, — როგორც ამას შუა საუკუნეებში ჰქონდა ხშირად ადგილი, — მეტად თუ ნაკლებად სამრეწველო პროდუქტებს, თუ მას მხოლოდ საკუთრივ სამიწათმოქმედო პროდუქტის სახით იხდიან. რენტის ამ ფორმის არსებობისას რენტა პროდუქტებით. რომლითაც გამოხატულია ზედმეტი შრომა, სრულიად არ ამოსწურავს სოფლის ოჯახის მთელ ნამეტ შრომას. პირიქით, მწარმოებელს აქ, შრომამიგებითს რენტასთან შედარებით, უფრო დიდი სამოქმედო ასპარეზი ეძლევა, რათა მოიგოს დრო იმ ნამეტი შრომისათვის, რომლის პროდუქტიც თვით მასვე ეკუთვნის, სრულიად ისე, როგორც მისი შრომის ის პროდუქტი, რომელიც მის აუცილებელ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ასევე ამ ფორმასთან ერთად თავს იჩენენ დიდი განსხვავებანი ცალკე უშუალო მწარმოებელთა ეკონომიურ მდგომარეობაში. ყოველ შემთხვევაში მოცემულია ამის შესაძლებლობა, და აგრეთვე ის შესაძლებლობა, რომ ეს უშუალო მწარმოებელი იძენს საწულებებს, რათა მან, თავის მხრივ, უშუალოდ გაუწიოს ექსპლოატაცია სხვის შრომას. მაგრამ აქ, სადაც ჩვენ პროდუქტების სახით მოცემულია რენტის წმინდა ფორმასთან გვაქვს საქმე, ეს არ გვაინტერესებს; სწორედ ისევე როგორც ჩვენ საერთოდ არ შეგვიძლია განვიხილოთ ის უსასარულო სხვადასხვა კომბინაციები, რომლებშიც რენტის სხვადასხვა ფორმებს შეუძლიათ შეერთება, გაყალბება და შერევა. იმის გამო, რომ ეს ფორმა, რენტა პროდუქტებით, დაკავშირებულია პროდუქტის და თვით წარმოების განსაზღვრულ ხასიათთან. იმის გამო, რომ მისი არსებობისას აუცილებელია სოფლის მეურნეობის და შინამრეწველობის შეერთება, იმ თითქმის სრული თვითკმარობის გამო, რასაც გლეხის ოჯახი ამით ღებულობს თავისი დამოუკიდებლობით ბაზრისაგან და საზოგადოების იმ ნაწილის წარმოებისა და ისტორიული მოძრაობისაგან, რომელიც მის გარეშე იმყოფება, მოკლედ, საერთოდ ნატურალური მეურნეობის ხასიათის გამო, ეს ფორმა სავსებით გამოსადეგია იმისათვის, რომ შექმნას საზოგადოების უმოძრაო მდგომარეობათა ბაზისი, როგორც ჩვენ ამას, მაგალითად, აზიაში ვხედავთ. აქ, ისე როგორც შრომამიგებითი რენტის უფრო აღრინდელი ფორმის არსებობისას, მიწის რენტა ნორმალური ფორმაა ზედმეტი ღირებულებისა და, მაშასადამე, ზედმეტი შრომისა, ე. ი. მთელი იმ ნამეტი შრომისა, რომელიც უშუალო მწარმოებელმა სინამდვილეში, მაშასადამე, იძულებითი წესით — თუმცა

ეს იძულება მას ძველი უხეში ფორმით აღარ უპირისპირდება—მისივე შრომის არსებითი პირობის მესაკუთრისათვის, მიწის მესაკუთრისათვის, მუქთად უნდა შეასრულოს. მოგება, — თუ ჩვენ მცდარ ანტიციპაციას მივმართავთ და ამას ვუწოდებთ მისი შრომის აუცილებელ შრომაზე გადანამეტის იმ ნაწილს, რასაც იგი თვითონ ითვისებს, — ისე ცოტათი განსაზღვრავს რენტას პროდუქტებით, რომ იგი, პირიქით, მის ზურგს უკან წარმოიშვება და თავისი ბუნებრივი ზღუდე პროდუქტების სახით მოცემული რენტის ოდენობაში აქვს. უკანასკნელს შეუძლია ისეთ ოდენობას მიადწიოს, რომელიც შრომის პირობების, თვით წარმოების საშუალებების კვლავწარმოებას სერიოზულად აფერხებს, წარმოების გაფართოებას ბევრად თუ ცოტად შეუძლებლად ხდის და უშუალო მწარმოებლები საარსებო საშუალებათა ფიზიკურ მინიმუმამდე დაჰყავს. ეს ხდება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ფორმის დამპყრობელი მოგაქრე ერი მზად პოულობს და მის ექსპლოატაციას იწყებს, როგორც მაგალითად, ეს ინგლისელებმა ჩაინდინეს ინდოეთში.

IV. ფულადი რენტა.

ფულად რენტად ჩვენ ვგულისხმობთ აქ, — განსხვავებით იმ სამრეწველო ანუ კომერციული მიწის რენტისაგან, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების წესს ემყარება და მხოლოდ საშუალო მოგების ნამეტს წარმოადგენს, — მიწის რენტას, რომელიც პროდუქტებით რენტის უბრალო მეტამორფოზიდან წარმოდგება, ისე როგორც თვით რენტა პროდუქტებით, თავის მხრივ, მხოლოდ გარდაქმნილი შრომამიგებითი რენტა იყო. პროდუქტის ნაცვლად უშუალო მწარმოებელმა აქ თავის მიწის მესაკუთრეს (სახელმწიფო იქნება იგი თუ კერძო პირი) პროდუქტის ფასი უნდა გადაუხადოს. მაშასადამე, უკვე აღარ კმარა პროდუქტის ნამეტის მიღება პროდუქტისავე ნატურალურ ფორმაში; იგი ამ ნატურალური ფორმიდან ფულად ფორმად უნდა გადაიქცეს. თუმცა უშუალო მწარმოებელი კვლავ თვითონვე აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა უდიდეს ნაწილს მაინც, მაგრამ მისი პროდუქტის ერთი ნაწილი ახლა საქონლად უნდა გადაიქცეს, საქონლის სახით უნდა იწარმოებოდეს. მაშასადამე, მთელი წარმოების წესის ხასიათი მეტნაკლებად იცვლება. იგი კარგავს თავის დამოუკიდებლობას, თავის მოწყვეტას საზოგადოებრივი კავშირისაგან. იმ წარმოების ხარჯების შეფარდება, რომლებშიც მეტნაკლებად ახლა ფულადი ხარჯებიც შედის, გადამწყვეტი მნიშვნელობის ხდება; ყოველ

შემთხვევაში გადამწყვეტი ხდება ბრუტო-პროდუქტის იმ ნაწილის ნამეტი, რომელიც ფულად უნდა გადაიქცეს, იმ ნაწილთან შედარებით, რომელმაც, ერთი მხრივ, ისევ კვლავწარმოების საშუალებათა, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალო საარსებო საშუალებათა სახით უნდა იმოქმედოს. მიუხედავად ამისა, ამ სახის რენტის ბაზისი, თუმცა იგი თავის დაშლას უახლოვდება, მაინც იგივე რჩება, როგორც იყო ის პროდუქტებით რენტის არსებობისას, რომელიც ამოსავალ წერტილს შეადგენს. უშუალო მწარმოებელი კვლავ მემკვიდრეობითი და საერთოდ ტრადიციული მიწათმფლობელია, რომელმაც მემამულეს, როგორც მისი წარმოების ყველაზე არსებითი პირობის მესაკუთრეს, უნდა გადაუხადოს ნამეტი იძულებითი შრომა, ე. ი. გადაუხდელი, უეკვივალენტოდ შესრულებული შრომა, რომელიც ფულად გარდაქმნილი ზედმეტი პროდუქტის ფორმას ღებულობს. საკუთრება შრომის იმ პირობებზე, რომელიც მიწისგან განსხვავდებიან, სამიწათმოქმედო იარაღებსა და სხვა მოძრავ ქონებაზე, ჯერ ფაქტიურად, ხოლო შემდგომ კი იურიდიულადაც უკვე წინანდელი ფორმების არსებობის დროს უშუალო მწარმოებელთა საკუთრებად იქცევა, და მით უფრო მეტადაა ეს ნაგულისხმევი ფულადი რენტის ფორმისათვის. პირველად სპორადულად, ხოლო შემდეგ კი მეტნაკლებად ეროვნული მასშტაბით მიმდინარე გადაქცევა პროდუქტებით გამოხატული რენტისა ფულად რენტად გულისხმობს ვაჭრობის, საქალაქო მრეწველობის, საერთოდ საქონელწარმოების და ამასთან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას. შემდეგ, იგი გულისხმობს პროდუქტების განსაზღვრულ საბაზრო ფასს და იმას, რომ ეს პროდუქტები მეტნაკლებად თავიანთ ღირებულებასთან მიახლოვებულად იყიდებიან, რასაც შეიძლება წინანდელი ფორმების პირობებში არც კი ჰქონოდა ადგილი. აღმოსავლეთ ევროპაში ნაწილობრივ ჩვენ ჯერ კიდევ საკუთარი თვალით შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს გადაქცევის ეს პროცესი. თუ რამდენად განუხორციელებელია ეს გარდაქმნა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განსაზღვრული განვითარების გარეშე, ამას მოწმობს რომის იმპერატორების დროს უშედეგოდ დარჩენილი სხვადასხვა ცდები ამ გარდაქმნისა და უკუდაბრუნება ნატურალური რენტისაკენ, მას შემდეგ, რაც სცადეს ყოველ შემთხვევაში ამ რენტის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო გადასახადის სახით არსებობდა, საზოგადოდ ფულად რენტად გადაექციათ. გადასვლის ამავე სიძნელეს მოწმობს, მაგალითად, რევოლუციის წინ საფრან-

გეთში შეერთება და მიჩქმალვა ფულადი რენტისა მისი აღრინდელი ფორმების ნაშთების მეოხებით.

ფულადი რენტა, როგორც გარდაქმნილი ფორმა პროდუქტების ფორმით ნოცემული რენტისა და მის საპირისპიროდ, იმ სახეობის რენტის უკანასკნელი და ამასთანავე მისი დაშლის ფორმაა, რომელსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, სახელდობრ, ესაა მიწის რენტა, როგორც ნორმალური ფორმა ზედმეტი ღირებულების და იმ გადაუხდელი ზედმეტი შრომისა, რომელიც წარმოების პირობების მესაკუთრეს უნდა ჩაბარდეს. თავის წმინდა ფორმაში ეს რენტა, ისევე როგორც შრომამიგებითი რენტა და რენტა პროდუქტებით, მოგების არავითარ ნამეტს არ წარმოადგენს. თავისი ცნების მიხედვით იგი ნთქავს მოგებას. რამდენაცად მოგება, როგორც ნამეტი შრომის განსაკუთრებული ნაწილი, ფაქტიურად რენტის გვერდით წარმოიშვება, იმდენად ფულადი რენტა, ისევე როგორც რენტა თავის აღრინდელ ფორმებში, მაინც მუდამ რჩება ამ ემპირიონალური მოგების ნორმალურ ზღუდედ, მოგების, რომელსაც შეუძლია განვითარდეს მხოლოდ შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობასთან შეფარდებით, სულ ერთია — საკუთარი შრომის ექსპლოატაცია იქნება ეს, თუ იმ ნამეტი შრომისა, რომელიც რჩება ფულად რენტაში განხორციელებული ზედმეტი შრომის გამოკლების შემდეგ. თუ მოგება ნამდვილად ამ რენტის გვერდით წარმოიქმნება, მაშინ გამოდის, მაშასადამე, რომ მოგება კი არაა რენტის საზღვარი, არამედ, პირიქით, რენტაა მოგების საზღვარი. მაგრამ, როგორც უკვე ნათქვამი იყო. ფულადი რენტა იმავე დროს დაშლის ფორმაა აქამდე განხილული მიწის რენტისა. რომელიც *prima facie* ზედმეტ ღირებულებასა და ზედმეტ შრომას ემთხვევა და რომელიც ზედმეტი ღირებულების ნორმალური და გაბატონებული ფორმაა.

თავის შემდგომ განვითარებაში ფულად რენტას აუცილებლად მიყვება, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ შუალედ ფორმებს, როგორც, მაგალითად, წვრილ გლეხურ მოიჯარეთა ფორმას, — ან მიწის თავისუფალ გლეხურ საკუთრებად გადაქცევამდე, ანდა წარმოების კაპიტალისტური წესის ფორმამდე, იმ რენტამდე, რომელსაც კაპიტალისტური მოიჯარე იხდის.

ფულად რენტასთან ერთად ტრადიციული საადათო-სამართლებრივი ურთიერთობა იმ დამოკიდებულ მწარმოებელსა, რომელიც მიწის ნაწილს ფლობს და ამუშავებს, და მიწის მესაკუთრეს შორის აუცილებლად იქცევა სახელშეკრულებო პოზიტიური კანონის მტკიცე ნორმების მიხედვით განსაზღვრულ ურთიერთობად, წმინდა ფულად

ურთიერთობად. ამიტომ დამმუშავებელი-მფლობელი ფაქტიურად უბრალო მოიჯარე ხდება. ეს გადაქცევა, — სხვა მხრივ საყოველთაოდ ხელსაყრელი წარმოებითი ურთიერთობის არსებობის პირობებში, — ერთი მხრივ, იმისთვის გამოიყენება, რომ თანდათანობით მოხდეს ძველი მფლობელ-გლეხების ექსპროპრიაცია და მათი კაპიტალისტური მოიჯარეებით შეცვლა; მეორე მხრივ, ეს იმას იწვევს, რომ წინანდელი მფლობელი გამოისყიდის თავის რენტის გადახდის ვალდებულებას და იქცევა დამოუკიდებელ გლეხად, რომელიც მის მიერ დამმუშავებული მიწის სრული მესაკუთრეა. შემდეგ, ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას არა მარტო აუცილებლად თან სდევს, არამედ წინაც კი უსწრებს ქონებამოკლებულ და ფულით დასაქირავებელ დღიურ მუშათა კლასის წარმოქმნა. ამიტომ ამ ახალი კლასის წარმოშობის პერიოდში, როდესაც იგი ჯერ კიდევ მხოლოდ სპორადულად გამოდის, უკეთეს პირობებში მყოფ გლეხებს, რომელნიც ვალდებულნი არიან რენტა იხადონ [rentpflichtigen], აუცილებლად უვითარდებათ ჩვეულება სოფლის დაქირავებულ მუშათა მათივე საკუთარ ხარჯზე ექსპლოატაციისა, სავსებით ისე, როგორც ფეოდალიზმის ეპოქაში. უფრო შეძლებულ ყმა-გლეხებს თავის მხრივ ყმები ჰყავდათ. ამრიგად, მათთვის თანდათანობით ვითარდება შესაძლებლობა — დააგროვონ გარკვეული ქონება და მომავალში თვით იქცენ კაპიტალისტებად. მიწის ძველ მფლობელთა შორისაც კი, რომელნიც თვითონ მუშაობენ, ასე წარმოიშვება კაპიტალისტურ მოიჯარეთა სანერგე, რომლის განვითარება გამოწვეულია კაპიტალისტური წარმოების საერთო განვითარებით სოფლის გარეშე, და რომელიც განსაკუთრებული სისწრაფით იფურჩქნება, თუ მას ხელს უწყობს, ისე როგორც ამას XVI საუკუნის ინგლისში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები, მსგავსად ფულის მაშინდელი პროგრესული გაუფასურებისა, რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივ და გრძელვადიან ხელშეკრულებათა არსებობის პირობებში ამდიდრებდა მოიჯარეებს მიწის მესაკუთრეთა ხარჯზე.

შემდეგ: როგორც კი რენტა ფულადი რენტის ფორმას ღებულობს და ამასთან ერთად ურთიერთობაც რენტის გადახდელ გლეხსა და მიწის მესაკუთრეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმას ღებულობს — ესაა გარდაქმნა, რომელიც საერთოდ მსოფლიო ბაზრის, ვაჭრობისა და მანუფაქტურის განვითარების მხოლოდ უკვე მოცემულ შეფარდებით მაღალ დონეზეა შესაძლებელი, — მაშინვე აუცილებლად იწყება მიწის იჯარით გაცემაც კაპიტალისტებზე, რომელნიც მანამდე

სოფლის ფარგლების გარეშე იმყოფებოდნენ და რომელთაც ახლა სოფელში და სოფლის მეურნეობაში გადააქვთ ქალაქში შეძენილი კაპიტალი და ქალაქად უკვე განვითარებული წარმოების წარმართვის კაპიტალისტური წესი, პროდუქტის დამზადება როგორც მხოლოდ საქონლისა და როგორც მხოლოდ ზედმეტი ღირებულების მითვისების საშუალებისა. საერთო წესად ამ ფორმას შეუძლია იქცეს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელნიც წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლის დროს მსოფლიო ბაზარზე ბატონობენ. მიწის მესაკუთრეთა და ნამდვილად მიწის დამმუშავებელთა შორის კაპიტალისტური მოიჯარის ჩარევასთან ერთად ირღვევა ყველა ურთიერთობა, რომელიც წარმოების ძველი სოფლური წესიდან წარმოდგებოდა. მოიჯარე ამ მიწის მუშების ნამდვილი მბრძანებელი და მათი ზედმეტი შრომის ნამდვილი ექსპლოატატორი ხდება, მაშინ როდესაც მიწის მესაკუთრე ამ კაპიტალისტურ მოიჯარესთან ახლა უშუალო დამოკიდებულებაში, სახელდობრ უბრალო ფულად და სახელმეკრულებო დამოკიდებულებაში იმყოფება. ამასთან ერთად გარდაიქმნება რენტის ბუნებაც არა მარტო ფაქტიურად და შემთხვევით, რასაც უკვე ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა მისი წინანდელი ფორმების არსებობის დროს, არამედ ნორმალურად, მის აღიარებულ და გაბატონებულ ფორმაში. ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი შრომის ნორმალური ფორმიდან იგი დადის ამ ზედმეტი შრომის გადანამეტამდე მისივე იმ ნაწილზე, რომელსაც ექსპლოატატორი-კაპიტალისტი მოგების სახით ითვისებს; სრულიად ისე, როგორც იგი ახლა უშუალოდ იღებს მისგან მთელ ზედმეტ შრომას, — მოგებას და გადანამეტს მოგებაზე, — და იღებს მთელი ზედმეტი პროდუქტის სახით და ფულად აქცევს. რენტის სახით იგი მიწის მესაკუთრეს აძლევს ახლა იმ ზედმეტი ღირებულების ნამეტ ნაწილს, რომელიც მან, თავისი კაპიტალის შემწეობით, სოფლის მუშების უშუალო ექსპლოატაციის გზით მიიღო. თუ რამდენად ბევრს ან ცოტას აძლევს იგი მიწის მესაკუთრეს — ეს განსაზღვრულია, საშუალოდ, როგორც ზღვარი, იმ საშუალო მოგებით, რომელსაც კაპიტალი იძლევა არასამიწათმოქმედო სფეროებში და იმ არასამიწათმოქმედო წარმოების ფასებით, რომელთაც ეს საშუალო მოგება არეგულირებს. ამრიგად, ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი შრომის ნორმალური ფორმიდან ახლა რენტა გადაიქცა წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროსათვის, არასამიწათმოქმედო სფეროსათვის, დამახასიათებელ გადანამეტად ზედმეტი შრომის იმ ნაწილზე, რომელსაც კაპიტალი ჩემულობს და ეპატრონება როგორც იმთავითვე და

ბუნებრივად მის კუთვნილ ნაწილს. ნაცვლად რენტისა მოგება გახდა ახლა ზედმეტი ღირებულების ნორმალური ფორმა და რენტა ითვლება ახლა მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში დამოუკიდებლად-ქცეულ ფორმად, ფორმად არა ზედმეტი ღირებულებისა საერთოდ. არამედ ამ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული განშტოებისა, დამატებითი მოგებისა. საჭირო არაა დაწვრილებით შევჩერდეთ იმაზე. თუ როგორ შეესაბამება ამ გარდაქმნას თანდათანობითი გარდაქმნა თვით წარმოების წესში. ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ამ კაპიტალისტური მოიჯარისათვის ნორმალურია მიწათმოქმედების პროდუქტის წარმოება საქონლის სახით, და რომ, მაშინ როდესაც სხვა ვითარებაში საქონლად იქცევა მხოლოდ გადანამეტი მის საარსებო საშუალებებზე, ახლა არ საქონელთა მხოლოდ შეფარდებით უმნიშვნელო ნაწილი იქცევა უშუალოდ მისთვის საარსებო საშუალებებად. ეს არის უკვე არა მიწა, არამედ კაპიტალი, რომელმაც თავის თავს და თავის მწარმოებლობას ახლა თვით საამიწათმოქმედო შრომა დაუმორჩილა.

საშუალო მოგება და მის მიერ რეგულირებული წარმოების ფასი წარმოიქმნება სოფლის ურთიერთობის გარეშე, საქალაქო ვაჭრობისა და მანუფაქტურის სფეროში. რენტის გადამხდელი გლეხის მოგება არ მონაწილეობს მოგებათა გათანაბრებაში, იმიტომ რომ მისი ურთიერთობა მიწის მესაკუთრესთან არ არის კაპიტალისტური ურთიერთობა. რამდენადაც იგი მოგებას იღებს, ე. ი. თავის აუცილებელ საარსებო საშუალებებთან შედარებით გარკვეული ნამეტის რეალიზაციას ახდენს, — საკუთარი შრომით იქნება ეს, თუ სხვისი შრომის ექსპლოატაციის მეოხებით, — ეს ხდება ნორმალური ურთიერთობის ზურგს უკან, და სხვა თანაბარ პირობებში, ამ მოგების სიმაღლე კი არ განსაზღვრავს რენტას, არამედ, პირიქით, თვით იგი განისაზღვრება რენტით როგორც თავისი საზღვრით. მოგების მაღალი ნორმა შუა საუკუნეებში არ მიეწერება მარტო კაპიტალის დაბალ შედგენილობას, რომელშიც სჭარბობს ცვალებადი, ხელფასზე დახარჯული, ელემენტი. იგი გამოწვეულია მოტყუებით, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ სოფლად და მიწის მესაკუთრის რენტისა და მის ხელქვეითთა შემოსავლის ნაწილის მითვისებით. თუ შუა საუკუნეებში სოფელი ქალაქს ექსპლოატაციას უწევს პოლიტიკურად ყველგან იქ, სადაც ფეოდალიზმი არაა მოტეხილი ქალაქების არაჩვეულებრივი განვითარებით, როგორც, მაგალითად, იტალიაში, სამაგიეროდ ქალაქი ყველგან და გამონაკლისის გარეშე ექსპლოატაციას უწევს სოფელს ეკონომიურად თავისი მონოპოლიური ფასებით, თავისი საგადასახადო სისტემით,

თავისი საამქრო წყობილებით, თავისი უშუალო ვაჭრული მოტყუებითა და თავისი მევახშეობით.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალისტური მოიჯარის შესვლის უბრალო ფაქტი იმის დამამტკიცებელ საბუთს იძლევა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები, რომელნიც დასაბამიდანვე იხდიდნენ რენტას ამა თუ იმ ფორმით, უფრო მაღალი უნდა იყოს წარმოების ფასებზე მანუფაქტურაში, ყოველ შემთხვევაში, ამ შესვლის ხანაში, — იმიტომ. იქნება ეს, რომ მან მიაღწია მონოპოლიური ფასის დონეს, თუ იმიტომ, რომ მან აიწია მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულების დონემდე, ხოლო ამ მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულება იმ წარმოების ფასზე მაღლა დგას, რომელსაც საშუალო მოგება არეგულირებს. ეს ხდება იმიტომ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალისტურ მოიჯარეს მიწათმოქმედების პროდუქტთა არსებული ფასების პირობებში, არ შეეძლო ამ პროდუქტების ფასიდან საშუალო მოგების რეალიზაცია მოეხდინა და შემდეგ კიდევ იმავე ფასიდან რენტის ფორმით გაესტუმრებოდა ამ მოგების გარკვეული ნაშეტი. ამის მიხედვითა შეიძლებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ მოგების საერთო ნორმა, რომლითაც კაპიტალისტური მოიჯარე ხელმძღვანელობს თავის ხელშეკრულებაში მიწის მესაკუთრესთან, შეიქმნა რენტის ჩაუთვლელად და ამიტომ, — როგორც კი ის მარეგულირებელი როლის შესრულებას იწყებს სოფლის მეურნეობაში, — ამ ნაშეტს პოულობს და მას მიწის მესაკუთრეს უხდის. ასეთი ტრადიციული წესით ხსნის საქმეს, მაგალითად, ბატონი ზოდბერტუსი. მაგრამ:

ქ ე რ ე თ ი. კაპიტალის ეს შესვლა მიწათმოქმედებაში დამოუკიდებელი და ხელმძღვანელი ძალის სახით ხდება არა ერთბაშად და საყოველთაოდ, არამედ თანდათანობით და წარმოების განსაკუთრებულ დარგებში. იგი იპყრობს პირველად არა საკუთრივ მიწათმოქმედებას, არამედ წარმოების ისეთ დარგებს, როგორცაა, მაგალითად, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა, რომლის მთავარი პროდუქტიც, მატყლი, მრეწველობის აყვავების დროის პირველ ხანებში საბაზრო ფასის მუდმივ გადანამეტს იძლევა წარმოების ფასზე, გადანამეტს, რომელიც შემდგომ გათანაბრებას განიცდის. ასე იყო ინგლისში XVI საუკუნის განმავლობაში.

მ ე ო რ ე. რადგანაც ეს კაპიტალისტური წარმოება პირველად სპორადულად გამოდის, ამიტომ შეუძლებელია რაიმე იოქვას იმ ვარაუდის წინააღმდეგ, რომ იგი უწინარეს ყოვლისა მიწათა ისეთ

კომპლექსებს ეუფლება, რომელთაც თავიანთი სპეციფიკური ნაყოფიერებისა ან განსაკუთრებულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო საერთოდ დიფერენციული რენტის გადახდა შეუძლიათ.

მესამე. დავუშვათ თუნდაც ის, რომ წარმოების ამ წესის წარმოშობის დროს, — წესისა, რომელიც მართლაც ქალაქის მოთხოვნის ზვედრითი წონის ზრდას გულისხმობს, — მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი წარმოების ფასზე მაღლა იდგა, როგორც ამას უეჭველია ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ინგლისში XVII საუკუნის უკანასკნელ მეწამედში. თვით ამ შემთხვევაშიც, როგორც კი ეს წარმოების წესი მიწათმოქმედების კაპიტალისადმი უბრალო დაქვემდებარებას თავს დააღწევს და როგორც კი მის განვითარებასთან აუცილებლად დაკავშირებული გაუმჯობესება მიწათმოქმედებაში და წარმოების ხარჯების შემცირება თავს იჩენს, მაშინვე მოხდება გაწონასწორება გამოწვეული რეაქციისა და მიწის პროდუქტების ფასის დაცემის გამო, როგორც ამას XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი ინგლისში.

ამრიგად, ამ ტრადიციული წესით შეუძლებელია ავხსნათ რენტა როგორც გადანამეტი საშუალო მოგებაზე. ისტორიულად მოცემულ რა პირობებშიც არ უნდა ხდებოდეს პირველად რენტის წარმოქმნა, — რაკი მან ერთხელვე ფესვი გაიდგა, მას შეუძლია იარსებოს მხოლოდ ზემოაღნიშნულ თანამედროვე პირობებში.

დასასრულ, პროდუქტებით რენტის ფულად რენტად გადაქცევის განხილვის დროს საჭიროა კიდევ შევნიშნოთ, რომ მასთან ერთად კაპიტალიზებული რენტა, მიწის ფასი, და ამით მისი გასხვისებადობა და გასხვისება არსებით მომენტად იქცევა, და რომ ამის გამო არა მარტო მას შეუძლია დამოუკიდებელ გლუხ-მესაკუთრედ გადაიქცეს, ვინც წინათ ვალდებული იყო რენტა ეხადა, არამედ ქალაქისა და ფულის სხვა მქონე ხალხსაც შეუძლია იყიდოს მიწის ნაკვეთები, რათა ისინი ან გლუხებს ანდა კაპიტალისტებს იჯარით მისცეს და ისარგებლოს რენტით, როგორც მისი ამ სახით დაბანდებული კაპიტალის სარგებლის ფორმით; რომ, მაშასადამე, ეს გარემოებაც ხელს უწყობს იმას, რომ გარდაიქმნას ექსპლოატაციის წინანდელი წესი, ურთიერთობა მესაკუთრესა და მიწის ნამდვილ დამმუშავებელს შორის და გარდაიქმნას თვით რენტაც.

V. საზიარო მიუზღონება და გლეხის პარციულური საკუთრება.

ჩვენ აქ მივადწიეთ მიწის რენტის გამოკვლევის უკანასკნელ საფეხურს.

მიწის რენტის ყველა ამ ფორმაში: შრომამიგებითი რენტა, რენტა პროდუქტებით, ფულადი რენტა (როგორც პროდუქტებით რენტის მხოლოდ გარდაქმნილი ფორმა), მუდამ ნაგულისხმევია, რომ რენტის გადამხდელი მიწის ნამდვილი დამმუშავებელი და მფლობელია, რომლის გადაუხდელი ზედმეტი შრომა უშუალოდ მიდის მიწის მესაკუთრის ხელში. ამ უკანასკნელი ფორმის — ფულადი რენტის — არსებობის პირობებშიც კი, რამდენადაც იგი წმინდა სახით წარმოგვიდგება, ე. ი. როგორც პროდუქტებით რენტის მხოლოდ გარდაქმნილი ფორმა, ეს არა მარტო შესაძლებელია, არამედ ფაქტიურადაც ასე ზდება.

რენტის თავდაპირველი ფორმიდან კაპიტალისტურ რენტაზე გადასვალ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ *Metairie-System*, ანუ საზიარო მეურნეობის სისტემა, რომლის დროსაც დამმუშავებელი (მოიჯარე) გარდა შრომისა (თავისი ან სხვისი შრომის) საბრუნავი კაპიტალის ერთ ნაწილს იძლევა, ხოლო მიწის მესაკუთრე გარდა მიწისა — საბრუნავი კაპიტალის მეორე ნაწილს (მაგალითად, პირუტყვს) და პროდუქტიც განსაზღვრული, სხვადასხვა ქვეყნებისათვის სხვადასხვა პროპორციის მიხედვით ნაწილდება მოიჯარესა [Maier] და მიწის მესაკუთრეს შორის. ერთი მხრივ, მოიჯარეს აქ არა აქვს საკმაო კაპიტალი სრული კაპიტალისტური მეურნეობის წარმართვისათვის. მეორე მხრივ, იმ ნაწილს, რომელსაც აქ მიწის მესაკუთრე ღებულობს, არა აქვს რენტის წმინდა ფორმა. ფაქტიურად იგი შეიძლება შეიცავდეს სარგებელს მიწის მესაკუთრის მიერ ავანსებულ კაპიტალზე და ნაჭარბ რენტას. მას შეუძლია აგრეთვე ფაქტიურად მოიჯარის მთელი ზედმეტი შრომაც შთანთქმას, ანდა დაუტოვოს მას უფრო დიდი ან პატარა ნაწილი ამ ზედმეტი შრომიდან. მაგრამ არსებითი მხარე ისაა, რომ აქ რენტა უკვე აღარ გვევლინება საერთოდ ზედმეტი ღირებულების ნორმალურ ფორმად. ერთი მხრივ, მოზიარემ, — სულ ერთია მარტო საკუთარ შრომას იყენებს იგი თუ სხვის შრომასაც, — უნდა წამოაყენოს პრეტენზია პროდუქტის განსაზღვრული ნაწილის მიმართ, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი მუშაა, არამედ იმიტომ, რომ ის შრომის იარაღების ერთი ნაწილის მფლობელია, თავის თავის კაპიტალისტია, მეორე მხრივ, მიწის მესაკუთრე მოითხოვს თავის წილს არა მარტო იმ საფუძველით, რომ მიწა მისი საკუთრებაა, არამედ იმიტომ, რომ იგი კაპიტალის გამსესხებელიცაა⁴⁴.

⁴⁴ა შეად. ბიურე, ტოკილი, სისმონდი.

მიწის ძველი თემური საკუთრების ნაშთი, რომელიც დარჩა დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგაც, მაგალითად, პოლონეთსა და რუმინეთში, საბაბად იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ მიწის რენტის უფრო დაბალ ფორმებზე გადასვლა განხორციელებულიყო. მიწის ერთი ნაწილი ცალკეულ გლეხებს ეკუთვნის და ისინი მას დამოუკიდებლად ამუშავებენ. მეორე ნაწილი თემური წესით მუშავდება და იმ ზედმეტ პროდუქტს შეადგენს, რომელიც ნაწილობრივ თემის ხარჯების დასაფარავად გამოიყენება, ხოლო ნაწილობრივ მოუსავლიანობის შემთხვევისათვის და სხვ. საჭირო რეზერვს წარმოადგენს. ზედმეტი პროდუქტის ამ ორივე ნაწილს და საბოლოოდ მთელ ზედმეტ პროდუქტსაც იმ მიწასთან ერთად, რომელზედაც იგი მოდის, თანდათანობით უზურბაციას უკეთებენ სახელმწიფო მოხელენი და კერძო პირები, და, ამრიგად, თავდაპირველად თავისუფალი მესაკუთრე გლეხები, რომლებსაც ამ მიწის ერთად დამუშავების ვალდებულება კვლავ რჩებათ, გადაიქცევიან მობეგრე ან პროდუქტებით გამონატებული რენტის გადამხდელებად, მაშინ როდესაც სათემო მიწების უზურპატორები არა მარტო მათ მიერ მიტაცებული სათემო მიწის, არამედ თვით გლეხების მიწების მესაკუთრეებად იქცევიან.

აქ საჭირო არაა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ საკუთრივ მონათმფლობელურ მეურნეობაზე (რომელიც აგრეთვე გაივლის მთელ რიგ საფეხურებს, დაწყებული პატრიარქალური სისტემიდან, რომელიც უმთავრესად თვითმომხარებისათვის არის ნავარაუდევო, საკუთრივ პლანტატორულ სისტემამდე, რომელიც მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს) და მემამულურ მეურნეობაზე, სადაც მიწის მესაკუთრე მიწას თავის საკუთარ ხარჯზე ამუშავებს, წარმოების ყველა იარაღს ფლობს და ექსპლოატაციას უწევს არათავისუფალ თუ თავისუფალ, ნატურით თუ ფულით გასასტუმრებელ მოჯამაგირეთა შრომას. მიწის მესაკუთრე და წარმოების იარაღების მესაკუთრე, მამასადამე, იმ მუშების უშუალო ექსპლოატატორიც, რომელნიც წარმოების ამ ელემენტებს მიეკუთვნებიან, აქ ერთმანეთს ემთხვევა. ასევე ემთხვევა ერთმანეთს რენტა და მოგება; ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმებად გათიშვა არ ხდება. მესაკუთრე მთელი იმ წარმოების იარაღებისა, რომელთაც მიწა და მოწონის თავდაპირველ ფორმაში თვით უშუალო მწარმოებლებიც ეკუთვნიან, პირდაპირ აცლის მუშებს მთელ ზედმეტ შრომას, რომელიც აქ ზედმეტი პროდუქტით გამოიხატება. იქ, სადაც კაპიტალისტური შეხედულება ბატონობს, როგორც, მაგალითად, ამერიკულ პლანტაციებში, მთელი ეს ზედმეტი ღირებულება

განიხილება როგორც მოგება. იქ, სადაც არც თვით კაპიტალისტური წარმოების წესი არსებობს და არც მის შესაბამის შეხედულებათა წესია კაპიტალისტური ქვეყნებიდან გადატანილი, ზედმეტი ღირებულება გვევლინება რენტის სახით. ყოველ შემთხვევაში ეს ფორმა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მიწის მესაკუთრის შემოსავალი, — რა სახელწოდებაც არ უნდა მივეთვოთ მას, — მის მიერ მითვისებული არსებული ზედმეტი პროდუქტი აქ ის ნორმალური და გაბატონებული ფორმაა, რომელშიც უშუალოდ მთელი გადაუხდელი ზედმეტი შრომის მითვისება ხდება, და მიწის საკუთრება ამ მითვისების ბაზისზე შეადგენს.

შემდეგ ბ ა რ ც ე ლ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა. გლეხი აქ იმავე დროს თავისუფალი მესაკუთრეა თავისი მიწისა, რომელიც წარმოადგენს მისი წარმოების მთავარ იარაღს, მისი შრომისა და მისი კაპიტალის აუცილებელ სამოქმედო საბიჯს. ამ ფორმის არსებობისას არავითარი საიჯარო ფულის გადახდა არ ხდება, მაშასადამე, რენტა არ გვევლინება ზედმეტი ღირებულების განცალკევებული ფორმის სახით, თუმცა იმ ქვეყნებში. სადაც საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესია განვითარებული, იგი წარმოების სხვა დარგებთან შედარებით დამატებითი მოგების სახით წარმოგვიდგება, მაგრამ ისეთი დამატებითი მოგების სახით, რომელიც, როგორც საზოგადოდ მისი შრომის მთელი შედეგი, გლეხს ერგება.

მიწის საკუთრების ეს ფორმა გულისხმობს, რომ სწორედ ისე როგორც მისი ადრინდელი, უფრო ძველი ფორმების არსებობისას, — სოფლის მოსახლეობა რიცხვობრივად ბევრად აღემატება ქალაქის მოსახლეობას, რომ, მაშასადამე, თუმცა საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესი ბატონობს, მაგრამ შეფარდებით იგი მხოლოდ სუსტადაა განვითარებული და ამიტომ წარმოების სხვა დარგებშიც კაპიტალების კონცენტრაცია ვიწრო ჩარჩოებში მოძრაობს, კაპიტალის დაქუცმაცება სჭარბობს. საქმის ბუნების მიხედვით თვით მწარმოებლებმა, გლეხებმა უნდა მოიხმარონ აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უდიდესი ნაწილი როგორც უშუალო საარსებო საშუალებანი, და მხოლოდ ამის ზევით ნაშთი შეიძლება გავითანოთ საქონლის სახით ქალაქებში სავაჭროდ. როგორც არ უნდა რეგულირდებოდეს აქ სამიწათმოქმედო პროდუქტის საშუალო საბაზრო ფასი, მაინც დიფერენციული რენტა, — საქონელთა ფასის ნაშთი ნაწილი უკეთესი ხარისხის ან უკეთესი ადგილმდებარეობის მიწის ნაკვეთებისათვის, — აშკარაა, აქ უნდა არსებობდეს, და უნდა არსებობდეს სწორედ

ისე, როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. თვით იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამ ფორმას ისეთ საზოგადოებრივ მდგომარეობაში აქვს ადგილი, სადაც საერთოდ ჯერ კიდევ არაა განვითარებული საერთო საბაზრო ფასი, — ეს დიფერენციული რენტა არსებობს; მაშინ დიფერენციული რენტა ნამეტი ზედმეტი პროდუქტის სახით გამოდის. მხოლოდ იგი იმ გლეხის ჯიბეში მიდის, რომლის შრომის რეალიზაციაც უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში ხდება. სწორედ ამ ფორმის არსებობისას, სადაც მიწის ფასი ელემენტის სახით შედის გლეხის წარმოების ფაქტიურ ხარჯებში, ან იმიტომ რომ ამ ფორმის შემდგომ განვითარებასთან ერთად მიწა მემკვიდრეობის გაყოფის დროს განსაზღვრული ფულადი ღირებულების მაგივრად მიიღება, ან იმიტომ, რომ მთელი საკუთრების ან მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების ერთი ხელიდან მეორეში მუდმივი გადასვლის დროს ჯვითონ დამმუშავებელი ყიდულობს მიწას, რისთვისაც უმრავლეს შემთხვევაში ფულს იპოთეკის შემწეობით სესხულობს; სადაც, მაშასადამე, მიწის ფასი, რომელიც მხოლოდ კაპიტალიზებული რენტაა, წინასწარ ნაგულისხმევი ელემენტია, და სადაც, ამიტომ, გვეჩვენება, რომ რენტა არსებობს სრულიად დამოუკიდებლად მიწის ნაყოფიერებასა და მის მდებარეობაში არსებული ყოველი სხვაობისაგან, — სწორედ აქ, ამ ფორმის არსებობისას, საშუალოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აბსოლუტური რენტა არ არსებობს, და რომ, მაშასადამე, უცუდეში მიწა რენტას არ იძლევა; ეს კი იმიტომ, რომ აბსოლუტური რენტა გულისხმობს ან პროდუქტის ღირებულების რეალიზებულ გადანამეტს მის წარმოების ფასზე, ანდა ისეთ ნამეტ მონოპოლიურ ფასს, რომელიც პროდუქტის ღირებულებას აღემატება. მაგრამ რადგან აქ სოფლის მეურნეობა უმთავრესად მიწათმოქმედების სახით არსებობს უშუალო საარსებო საშუალებათა მოპოვების მიზნით და რადგან მიწა მოსახლეობის უმრავლესობისათვის მისი შრომისა და კაპიტალის გამოყენების აუცილებელ სარბიელს წარმოადგენს, ამიტომ მარეგულირებელი საბაზრო ფასი პროდუქტისა მხოლოდ გამოჩენის შემთხვევებში აღწევს მის ღირებულებას; ეს ღირებულება კი, იმის გამო, რომ ცოცხალი შრომის ელემენტი სჭარბობს, ჩვეულებრივად წარმოების ფასზე უფრო მაღალი იქნება, თუმცა ღირებულების ეს გადანამეტი წარმოების ფასზე შეზღუდულია თავის მხრივ იმით, რომ პარცელური მეურნეობის ქვეყნებში უმთავრესად არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობაც დაბალია. პარცელური გლეხის ექსპლოატაციის საზღვარს არ წარმოადგენს, ერთი

მხრივ, არც საშუალო მოგება კაპიტალზე, რამდენადაც ეს გლეხი წვრილი კაპიტალისტია და, მეორე მხრივ, არც აუცილებლობა რენტისა, რამდენადაც იგი თვითონ მიწის მესაკუთრეა. აბსოლუტურ საზღვარს მისთვის, როგორც წვრილი კაპიტალისტისათვის, წარმოადგენს მხოლოდ ხელფასი, რომელსაც იგი, საკუთრივ ხარჯების გამოკლების შემდეგ, თავის თავს უხდის. ვიდრე პროდუქტის ფასი მისთვის ხელფასს ფარავს, იგი დაამუშავებს თავის მიწას, ხშირად მანამდე, სანამ პროდუქტის ფასი ხელფასის განსაზღვრულ ფიზიკურ მინიმუმს ფარავს. რაც შეეხება მას როგორც მიწის მესაკუთრეს, მისთვის ისპობა საკუთრების მიერ შექმნილი საზღვარი, რადგან, შეუქმნის რა ამ კაპიტალის გამოყენებას გარკვეულ დაბრკოლებას, ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მისგან გამოთიშული კაპიტალის წინააღმდეგ (შრომის ჩათვლით). რასაკვირველია, მიწის ფასის სარგებელი, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში მესამე პირს, საიპოთეკო კრედიტორს, უხდიან, საზღვარს წარმოადგენს. მაგრამ ეს სარგებელი შეიძლება გასტუმრებულ იქნეს ზედმეტი შრომის სწორედ იმ ნაწილიდან, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობაში მოგებას შექმნიდა. მაშასადამე, რენტა, რომელიც წინასწარაა ნაგულისხმევი მიწის ფასში და ამ ფასისათვის გადასახდელ სარგებელში, არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა მხოლოდ გლეხის კაპიტალიზებული ზედმეტი შრომის ნაწილი, იმ შრომის გადანამეტის ნაწილი, რომელიც მისი არსებობისათვის აუცილებელია, თუმცა ამ ზედმეტი შრომის რეალიზაცია არ ხდება საქონლის ღირებულების იმ ნაწილში, რომელიც მთელ საშუალო მოგებას უდრის და მით უმეტეს არ ხდება მისი რეალიზაცია საშუალო მოგებაში რეალიზებული ზედმეტი შრომის გადანამეტში, დამატებით მოგებაში. რენტა შეიძლება იყოს საშუალო მოგებიდან გამონაკლები ანდა მისი ერთადერთი ნაწილიც კი, რომელიც რეალიზდება. ამრიგად, იმისათვის, რომ პარცელურმა გლეხმა შეძლოს თავისი მიწის დამუშავება, უნდა იყიდოს მიწა დამუშავების მიზნით, არაა აუცილებელი, როგორც ეს ნორმალური კაპიტალისტური წარმოების წესის დროს ხდება, მიწათმოქმედების პროდუქტის საბაზრო ფასის იმდენად აწევს, რომ მან საშუალო მოგება მოიტანოს და მით უმეტეს მოიტანოს რენტის ფორმაში ფიქსირებული ნამეტი ამ საშუალო მოგების ზევით. მაშასადამე, არაა აუცილებელი, რომ საბაზრო ფასმა აიწიოს, მისი პროდუქტის ღირებულებამდე ან წარმოების ფასამდე. ეს ერთი მიზეზთაგანია იმისა, თუ რატომაა პურის ფასი იმ ქვეყნებში, სადაც პარცელური საკუთრება ბატონობს, უფრო

დაბალი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესია გაბატონებული. იმ გლეხების ზედმეტი შრომის ერთი ნაწილი, რომელნიც ყველაზე არახელსაყრელ პირობებში მუშაობენ, მუქთად ეძლევა საზოგადოებას და არ შედის წარმოების ფასების რეგულირებაში ან ღირებულების შექმნაში საერთოდ. მამასადამე, ეს დაბალი ფასი შედეგია მწარმოებელთა სიღარიბისა და არავითარ შემთხვევაში მათი შრომის ნაყოფიერებისა.

საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების პარცელური საკუთრების ეს ფორმა, როგორც გაბატონებული, ნორმალური ფორმა, შეადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს უძველესი კლასიკური დროის საუკეთესო ხანაში, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე ფორმას ვბოლობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც, როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოდგებიან. ასეთია, მაგალითად, yeomanry ინგლისში, გლეხთა წოდება შვეიციაში, ფრანგი და დასავლეთ გერმანიის გლეხები. კოლონიებზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ, ვინაიდან დამოუკიდებელი გლეხი აქ სულ სხვა პირობებში ვითარდება.

თავისუფალი საკუთრება გლეხისა, რომელიც თვითონ ეწევა მეურნეობას [selbstwirtschaftend] ცხადია უაღრესად ნორმალური ფორმაა კერძო საკუთრებისა წვრილი წარმოებისათვის, ე. ი. წარმოების ისეთი წესისათვის, რომლის არსებობის დროსაც მიწათმფლობელობა იმ საკუთრების პირობას შეადგენს, რაც მუშას თავისივე საკუთარი შრომის პროდუქტზე აქვს, მამასადამე, ისეთი წესისათვის, როდესაც მიწათმოქმედმა თავისუფალი მესაკუთრე იქნება იგი, თუ დამოკიდებული [Untersassel], მუდამ თავისი საარსებო საშუალებანი თვითვე, დამოუკიდებლად, თავის ოჯახთან ერთად უნდა აწარმოოს როგორც განცალკევებულმა მუშამ. მიწის საკუთრება წარმოების ამ წესის სრული განვითარებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც იარაღების საკუთრება ხელოსნური წარმოების თავისუფალი განვითარებისათვის. მიწის საკუთრება აქ პიროვნული დამოუკიდებლობის განვითარების საფუძველია. იგი თვით მიწათმოქმედების განვითარებისათვის აუცილებელი გარდამავალი საფეხურია. ის მიზეზები, რომელთა გამოც იგი ისპობა, აღნიშნავენ მის საზღვრებს. ეს მიზეზებია: მოსპობა სოფლური შინამრეწველობისა, — რომელიც მის ნორმალურ შევსებას წარმოადგენს, — მსხვილი მრეწველობის განვითარების გამო; ღანდათანობითი გაღარიბება და გამოფიტვა ამ კულტურისადმი დაქვემდებარებული ნიადაგისა; უზურპაცია მსხვილ მიწათმესაკუთრეთა

მიერ იმ სათემო საკუთრებისა, რომელიც ყველგან პარცელური მეურნეობის მეორე შეესებას ქმნის და მას მარტოოდენ ეს აძლევს პირუტყვის შენახვის შესაძლებლობას; კონკურენცია მსხვილი მეურნეობისა, მიუხედავად იმისა, პლანტატორული მეურნეობის სახით წარმართება იგი. თუ კაპიტალისტური წესით. მის მოსპობას ხელს უწყობენ აგრეთვე მიწათმოქმედებაში მომხდარი გაუმჯობესებანი, რომელნიც, ერთი მხრივ, მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასის დაწევას იწვევენ, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო გადიდებულ ხარჯებსა და წარმოების მდიდარ ნივთობრივ პირობებს მოითხოვენ; ასე იყო მაგალითად, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში.

პარცელური საკუთრება თავისი ბუნების მიხედვით გამოიციხავს შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალების საზოგადოებრივ კონცენტრაციას, მესაქონლეობას დიდი მასშტაბით, მეცნიერების პროგრესულ გამოყენებას.

მევახშეობამ და საგადასახადო სისტემამ ყველგან უნდა გამოიწვიოს პარცელური მეურნეობის გაპარტახება. მიწის საყიდლად კაპიტალის დახარჯვა ნიშნავს ამ კაპიტალის დაკარგვას აგრიკულტურისათვის. წარმოების საშუალებათა დაუსრულებელი დაქუცმაცება და თვით მწარმოებლების განცალკევება; ადამიანის ძალღონის კოლოსალური გაფლანგვა; მზარდი გაუარესება წარმოების პირობებისა და წარმოების საშუალებათა გაძვირება — აი აუცილებელი კანონი პარცელური საკუთრებისა. წარმოების ამ წესისათვის მოსავლიანი წლები უბედურებაა⁴⁵.

წვრილი მიწათმოქმედების ერთი სპეციფიკური უბედურებათაგანი, როდესაც იგი დაკავშირებულია მიწის თავისუფალ საკუთრებასთან, იქიდან წარმოდგება, რომ მიწის დამმუშავებელი კაპიტალს მიწის საყიდლად ხარჯავს. (ასევე ითქმის გარდამავალი ფორმის შესახებაც, როდესაც მსხვილი მიწათმფლობელი კაპიტალს ხარჯავს, ჯერ-ერთი, მიწის საყიდლად და, მეორე, იმისათვის, რომ თვითვე თავისივე საკუთარი მოიჯარის სახით ამ მიწაზე მეურნეობა წარმართოს.) იმ მოძრავი ბუნების პირობებში, რასაც აქ მიწა იძენს როგორც უბრალო საქონელი, იზრდება ამ მიწათმფლობელობის ცვალებადობა⁴⁶, ასე რომ ყოველი ახალი თაობისათვის მემკვიდრეობის თვითეულ გაყოფასთან ერთად

⁴⁵ იხ. საფრანგეთის მეფის სეფესიტყვა, ციტირებული ტუქის მიერ.

⁴⁶ იხ. მუნიე და რიუბინონი.

მიწა, გლეხის თვალსაზრისით, ხელახლა გამოდის როგორც კაპიტალ-
დაბანდება, ე. ი. მის მიერ ნაყიდი მიწა ხდება. მიწის ფასი აქ წარმოე-
ბის ინდივიდუალური არამწარმოებლური ხარჯების ანუ პროდუქტის
ხარჯთფასის უპირატეს ელემენტს ქმნის ცალკეული მწარმოებლი-
სათვის.

მიწის ფასი სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტალიზებული და
ამიტომ ანტიციპირებული რენტა. თუ მიწათმოქმედება კაპიტალის-
ტურად წარიმართება, ასე რომ მიწის მესაკუთრე მხოლოდ რენტას
ღებულბობს, ხოლო მოიჯარე არაფერს არ იხდის მიწისათვის, გარდა
ამ წლიურ რენტისა, მაშინ ნათელია, რომ თუმცა თვით მიწის მესა-
კუთრის მიერ მიწის საყიდლად დახარჯული კაპიტალი მისთვის
სარგებელმომტანი კაპიტალდაბანდებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა,
მას თვით მიწათმოქმედებაში დაბანდებულ კაპიტალთან სრულიად
არაფერი აქვს საერთო. ეს კაპიტალი არ შეადგენს არც მიწათმოქმე-
დებაში მოქმედი ძირითადი კაპიტალისა და არც საბრუნავი კაპიტალის
ელემენტს⁴⁷; პირიქით, იგი მყიდველს აძლევს მხოლოდ ტიტულს
წლიური რენტის მისაღებად, მაგრამ ამ რენტის წარმოებასთან მას
აბსოლუტურად არავითარი საქმე არა აქვს. მიწის მყიდველი ხომ
კაპიტალს სწორედ იმას აძლევს, ვინც მიწას ყიდის, და გამყიდველი
სამაგიეროდ უარს ამბობს თავის მიწის საკუთრებაზე. მაშასადამე, ეს
კაპიტალი აღარ არსებობს უკვე მყიდველის კაპიტალის სახით; მყიდ-
ველს ის აღარა აქვს; მაშასადამე, იგი არ ეკუთვნის იმ კაპიტალს,
რომლის მიწაში დაბანდებაც მას ამა თუ იმ წესით შეეძლოს. უფრო
ძვირად იყიდა მყიდველმა მიწა, უფრო იაფად თუ მუქთად მიიღო
იგი, — ეს არაფერს ცვლის არც იმ კაპიტალში, რომელსაც მოიჯარე
ხარჯავს მეურნეობის წარმართვისათვის, და არც რენტაში; იგი ცვლის

⁴⁷ ბატონი დ-რი H. Maron-ი (Extensiv oder Intensiv? [უფრო ზუსტად ეს-
ბროშურა „ჩაა აღნიშნული“]) (გამოდის იმ პირთა მცდარი წანამძღვარიდან, ვისაც
თვითონ ებრძვის. იგი გულისხმობს, რომ მიწის საყიდლად დაბანდებული კაპიტალი-
არის «Anlagekapital», და შემდეგ იწყებს დავას ამ Anlagekapital-ისა და
Betriebskapital-ის, ე. ი. ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სათანადო ცნებათა
განსაზღვრის გამო. მისი საფუძვით მოწაფისებური წარმოდგენა საერთოდ კაპი-
ტალზე, — წარმოდგენა, რომელიც, სხვათა შორის, ეპატივება არაეკონომისტ
გერმანიისა «სახალხო მეურნეობის მოძღვრების» მდგომარეობის გამო, — მისგან
ფარავს იმ გარემოებას, რომ ეს კაპიტალი არც ძირითადია და არც საბრუნავი;
სრულიად ისე, როგორც ის კაპიტალი, რომელსაც ვინმე აქციებისა და სახელმწიფო-
ქალაქების საყიდლად ბირჟაზე ხარჯავს და რომელიც მისთვის პაადად კაპიტალ-
დაბანდებას წარმოადგენს, სინამდვილეში არ «ბანდება» წარმოების რომელიმე
დარგში.

მხოლოდ იმ გარემოებას, რენტა მას სარგებლის სახით წარმოუდგება, თუ არასარგებლის სახით ან მაღალი სარგებლის სახით წარმოუდგება. იგი მას, თუ დაბალი სარგებლის სახით.

ავიღოთ, მაგალითად, მონათმფლობელური მეურნეობა. ფასი, რომელიც აქ მონას ეძლევა, სხვა არაფერია, თუ არა ანტიციპირებული და კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულება ანუ მოგება, რომელიც მისი მეშვეობით უნდა ამოქაჩონ. მაგრამ მონის საყიდლად დახარჯული კაპიტალი არ ეკუთვნის იმ კაპიტალს, რომლის საშუალებითაც მონისაგან მოგება, ზედმეტი შრომა მიიღება. პირიქით. ეს ის კაპიტალია, რომელიც მონათმფლობელმა გაასხვისა, იგი გამონაკლებია იმ კაპიტალიდან, რომელიც მას თავის განკარგულებაში აქვს ნამდვილ წარმოებაში. მან შეწყვიტა არსებობა მონათმფლობელისათვის, სავსებით ისე, როგორც მიწის საყიდლად დახარჯულმა კაპიტალმა შეწყვიტა მიწათმოქმედებისათვის არსებობა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ ეს კაპიტალი მონათმფლობელისათვის ან მიწის მესაკუთრისათვის კვლავ არსებობას იწყებს, როგორც კი იგი მონას ან მიწას ზელახლა გაყიდის. მაშინ კი იგივე მდგომარეობა იქმნება მყიდველისათვის. ის გარემოება, რომ მან მონა იყიდა, ჯერ კიდევ არ აძლევს მას პირდაპირ მონის ექსპლოატაციის შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობას მას აძლევს შემდგომი კაპიტალი, რომელსაც იგი თვით მონათმფლობელურ მეურნეობაში ათავსებს.

ერთი და იგივე კაპიტალი არ არსებობს ორჯერ: ერთხელ მიწის გამყიდველის ხელში, ხოლო მეორედ მიწის მყიდველის ხელში. მყიდველის ხელიდან იგი გამყიდველის ხელში გადადის და საქმე ამით თავდება. მყიდველს ახლა კაპიტალი არა აქვს, სამაგიეროდ მას მიწის ნაკვეთი აქვს. ის გარემოება, რომ ახლა ამ მიწის ნაკვეთზე ნამდვილად დაბანდებული კაპიტალიდან მიღებულ რენტას ახალი მიწის მესაკუთრე იმ კაპიტალის სარგებლად თვლის, რომელიც მას მიწაში კი არ დაუბანდებია, არამედ მიწის შესაძენად გაიღო, სრულიად არაფერს არ ცვლის ფაქტორის — მიწის — ეკონომიურ ბუნებაში, როგორც იმ გარემოებას, რომ ვინმემ 1 000 გირვ. სტერლინგი გადაიხადა სამპროცენტიანი კონსოლისათვის, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ კაპიტალთან, რომლის შემოსავლიდანაც სახელმწიფო ვალების სარგებლის გადახდა წარმოებს.

ფაქტიურად, მიწის საყიდლად დახარჯული ფული, ისევე როგორც სახელმწიფო ქალაქების შესაძენად გადახდილი ფულიც, კაპიტალია მხოლოდ თავის თავად, ისე როგორც ღირებულების ყოველი ჯამი

კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე კაპიტალია თავის-თავად, პოტენციური კაპიტალი. მიწისთავის, ისე როგორც სახელმწიფო ფონდებისა ან სხვა რომელიმე ნაყიდი საქონლისათვის, გადახდილია გარკვეული ფულადი თანხა. ეს უკანასკნელი თავისთავად კაპიტალია, იმიტომ რომ იგი შეიძლება კაპიტალად გადაიქცეს. გადაიქცევა თუ არა ნამდვილად გამყიდველსაგან მიღებული ფული კაპიტალად — ეს დამოკიდებულია იმ გამოყენებაზე, რასაც იგი ამ ფულს აძლევს. მყიდველისათვის ამ ფულს აღარ შეუძლია უკვე კაპიტალის სახით მოქმედება, — მსგავსად ყოველივე სხვა ფულისა, რომელიც კი მან საბოლოოდ დახარჯა. მის ანაგრიშებში ეს ფული სარგებელმოძტანი კაპიტალის სახით გამოდის, იმიტომ რომ შემოსავალს, რასაც იგი რენტის სახით მიწიდან ან ვალის სარგებლის სახით სახელმწიფოსაგან ღებულობს, ის იმ ფულის სარგებლად ანგარიშობს, რაც მას ამ შემოსავალზე ტიტულის ყიდვა დაუჯდა. მას მხოლოდ ხელახალი გაყიდვის გზით შეუძლია კაპიტალის სახით რეალიზაცია უყოს ამ ფულს. მაგრამ მაშინ მეორე, ახალი მყიდველი, იმავე მდგომარეობაში ვარდება, რომელშიც პირველი იმყოფებოდა და არავითარი გადანაცვლებით ერთი ტელიდან მეორე ხელში ამ წესით დახარჯული ფული არ შეიძლება გადაიქცეს ნამდვილ კაპიტალად მისთვის, ვინც ის გაიღო.

წვრილი მიწათსაკუთრების პირობებში კიდევ უფრო მტკიცდება ის ილუზია, თითქოს თვით მიწას ჰქონდეს ღირებულება და ამიტომ მანქანის ან ნედლი მასალის მსგავსად კაპიტალის სახით შედიოდეს პროდუქტის წარმოების ფასში. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ რენტას და ამიტომ კაპიტალიზებულ რენტასაც, მიწის ფასს, მხოლოდ ორ შემთხვევაში შეუძლია მიწის პროდუქტის ფასში განმსაზღვრელი ელემენტის სახით შევიდეს. ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის პროდუქტის ღირებულება სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობის გამო, — კაპიტალისა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს მიწის საყიდლად დახარჯულ კაპიტალთან, — მისი წარმოების ფასზე მალღა დგას და საბაზრო ურთიერთობა მიწის მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს ეს სხვაობა გამოიყენოს. მეორე, იმ შემთხვევაში, როცა მონოპოლიური ფასი არსებობს. ერთსაც და მეორესაც ყველაზე იშვიათად აქვს ადგილი პარცელური მეურნეობისა და წვრილი მიწათსაკუთრების არსებობის პირობებში, იმიტომ რომ სწორედ აქ აკმაყოფილებს წარმოება უმეტეს ნაწილად თვით მიწათმოქმედის მოთხოვნილებას და მოგების საერთო ნორმით წარმომდგარი რეგულირებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. იმ შემთხვევებშიც კი,

რიდესაც პარცელური მეურნეობა იჯარით აღებულ მიწაზე წარმოებს, საიჯარო ფული გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით, — ვიდრე სხვა რომელიმე ვითარებაში, — შეიცავს მოგების ნაწილს და ხელფასიდან გამონაკლებსაც კი; ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ ნომინალური რენტაა და არა რენტა როგორც თავისთავადი კატეგორია ხელფასისა და მოგების პირისპირ.

ამრიგად, ფულადი კაპიტალის დახარჯვა მიწის საყიდლად არაა ამიწათმოქმედო კაპიტალის დაბანდება. იგი ნიშნავს იმ კაპიტალის დათანადო შემცირებას, რომელიც წვრილ გლეხებს შეუძლიათ თავიანთ ღანკარგულებაში ჰქონდეთ თვით წარმოების სფეროში. ის ამცირებს შესაბამისად მათს წარმოების საშუალებათა ოდენობას და ამიტომ ავიწროებს კვლავწარმოების ეკონომიურ საფუძველს. იგი იწვევს წვრილი გლეხის დაქვემდებარებას მევახშისადმი, რადგან ამ სფეროში საერთოდ საკუთრივ საკრედიტო ურთიერთობა იშვიათად გვხვდება. იგი დაბრკოლებას წარმოადგენს მიწათმოქმედებისათვის თვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ყიდვას მსხვილი მემამულური მეურნეობანი აწარმოებენ. სინამდვილეში იგი ეწინააღმდეგება კაპიტალისტურ წარმოების წესს, რომლისთვისაც მიწის მესაკუთრის დავალიანება, — სულ ერთია, თავისი მამული მეგვიდრეობით მიიღო მან თუ იყიდა იგი, — საერთოდ სავსებით უმნიშვნელოა. თვითონ მოაქვს მას რენტა თუ იგი მან თავის მხრივ საიპოთეკო კრედიტორს უნდა გადაუხადოს, — ეს თავისთავად არაფერს არ ცვლის თვით იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის დამუშავებაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ მიწის რენტის მოცემული სიდიდის პირობებში მიწის ფასს არეგულირებს სარგებლის განაკვეთი. თუ უკანასკნელი დაბალია, მიწის ფასი მაღალია, და პირიქით. ამრიგად, ნორმალურ პირობებში მიწის მაღალი ფასი და სარგებლის დაბალი განაკვეთი ხელიხელჩაკიდებული უნდა მიდიოდნენ, ასე რომ, თუ გლეხმა სარგებლის დაბალი განაკვეთის გამო მიწა ძვირად იყიდა, სამაგიეროდ სარგებლის იგივე დაბალი განაკვეთი შეუქმნის მას აუცილებლად ისეთ მდგომარეობას, რომ ის ხელსაყრელ პირობებში იშოვის სესხად მეურნეობაში დასაბანდებელ კაპიტალს. სინამდვილეში პარცელური საკუთრების ბატონობის პირობებში საქმის ვითარება სხვაგვარია. უწინარეს ყოვლისა გლეხის მიმართ შეუფერებელია კრედიტის საერთო კანონები, რადგან ეს კანონები გულისხმობენ, რომ მწარმოებელი კაპიტალისტი. მეორე, იქ, სადაც პარცელური საკუთრება ბატონობს — კოლონიებზე აქ არაა ლაპარაკი — და პარცელური გლეხი ერის მთა-

ვარ საფუძველს შეადგენს, კაპიტალის წარმოქმნა, ე. ი. საზოგადოებრივი კვლავწარმოება, შედარებით სუსტია, და კიდევ უფრო სუსტია სასესხო კაპიტალის წარმოქმნა წინათ გადმოცემული აზრით. იგი გულისხმობს კონცენტრაციას და მდიდარ და უქმ კაპიტალისტთა (მესი) კლასის არსებობას. მესამე, აქ, სადაც მიწის საკუთრება სასიცოცხლო პირობას შეადგენს მწარმოებელთა უდიდესი ნაწილისათვის და აუცილებელ სფეროს მათი კაპიტალის დაბანდებისათვის, მიწის ფასი მაღლა იწევს სარგებლის განაკვეთისაგან დამოუკიდებლად და ხშირად მასთან პირუტყუ შეფარდებაშიც იმ გარემოების გამო, რომ მოთხოვნა მიწის საკუთრებაზე აჭარბებს მის მიწოდებას. პარცელებად გაყიდული მიწა აქ ხშირად ბევრად უფრო მაღალ ფასს იძლევა, ვიდრე დიდი კომპლექსებით გაყიდული მიწა, იმიტომ რომ აქ წვრილი მყიდველების რიცხვი დიდია, ხოლო მსხვილი მყიდველების რიცხვი — მცირე (Bandes Noires *, რიუბიზონი; ნიუმენი). ყველა ამ მიზეზის გამო მიწის ფასი აქ მაღლა იწევს სარგებლის შედარებით მაღალი განაკვეთის არსებობის პირობებში. შედარებით დაბალ სარგებელს, რასაც აქ გლეხი მიწის საყიდლად დახარჯული კაპიტალიდან იღებს (მუნეი) მეორე საპირისპირო მხარეზე შეეფერება მაღალი მევახშური სარგებლის განაკვეთი, რომელიც თვითონ გლეხმა თავის საიპოთეკო კრედიტორებს უნდა უხადოს. ირლანდიის სისტემაიც ამავეს გვიჩვენებს. მხოლოდ სხვა ფორმაში.

ამიტომ მიწის ფასს, ამ წარმოებისთვის თავისთავად უცხო ელემენტს, შეუძლია აქ ისეთ სიმაღლეს მიაღწიოს, როდესაც წარმოება შეუძლებელი ხდება (დომბალი).

ის გარემოება, რომ მიწის ფასი ასეთ როლს ასრულებს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა, მიწის მიმოქცევა საქონლის სახით ამ ზომამდე ვითარდება, — ეს პრაქტიკულად კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების შედეგია, რამდენადაც საქონელი აქ ყველა პროდუქტის და წარმოების ყველა იარაღის საყოველთაო ფორმად იქცევა. მეორე მხრივ, ეს განვითარება მხოლოდ იქ ხდება, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი მხოლოდ შეზღუდულადაა განვითარებული და მას ყველა თავისი თავისებურება ვერ გაუშლია; ვინაიდან ეს მოვლენა სწორედ იმაზეა დამყარებული, რომ მიწათმოქმედება უკვე აღარ ექვემდებარება — ან ჯერ კიდევ არ დაქვემდებარებია — კაპიტალისტურ წარმოების წესს, არამედ იგი ექვემდებარება ისეთ წარმოების წესს, რომელიც საზოგადოების გამჭრალი ფორმებიდან არის დარჩე-

* «შავი ბანდები» — სპექულანტთა გაერთიანებანი. რ. ე. დ.

ნილი. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების წესის ნაკლი იმ გარემოებასთან ერთად, რომ მწარმოებელი დამოკიდებულია მისივე პროდუქტის ფულად ფასზე, აქ ემთხვევა იმ ნაკლს, რაც კაპიტალისტური წარმოების წესის არასაკმაო განვითარებიდან წარმოდგება. გლეხი ხდება ვაჭარი და მრეწველი იმ პირობების გარეშე, რომელშიც მას შეუძლია აწარმოოს თავისი პროდუქტი საქონლის სახით.

კონფლიქტი მიწის ფასსა, რამდენადაც იგი ხარჯთფასის ელემენტი მწარმოებელთათვის, და მიწის ფასს შორის, რამდენადაც იგი პროდუქტის წარმოების ფასის ელემენტი არაა (მაშინაც კი, როცა რენტა განმსაზღვრელად შედის მიწათმოქმედების პროდუქტის ფასში, კაპიტალიზებული რენტა, — რომელიც 20 ან მეტი წლით გაიღება ავანსად, — არავითარ შემთხვევაში არ შედის მასში განმსაზღვრელი ელემენტის სახით), მხოლოდ ერთი იმ ფორმათაგანია. რომლებითაც საერთოდ გამოიხატება მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგობა რაციონალურ მიწათმოქმედებასთან, მიწის ნორმალურ საზოგადოებრივ გამოყენებასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, მიწის კერძო საკუთრება, მაშასადამე, მიწის უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია — კერძო საკუთრება ერთისა, რომელიც გულისხმობს, რომ მეორეს არ გააჩნია ეს მიწის საკუთრება, — კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველია.

აქ, წვრილი სამიწათმოქმედო კულტურის პირობებში, მიწის ფასი, — ფორმა და შედეგი მიწის კერძო საკუთრებისა, — თვით წარმოების საზღვრად გამოდის. მსხვილი მიწათმოქმედებისა და კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე დამყარებული მსხვილი მიწათსაკუთრების არსებობის პირობებშიც გამოდის საკუთრება, როგორც საზღვარი, იმიტომ რომ იგი ზღუდავს მოიჯარეს მწარმოებლური კაპიტალდაბანდების საქმეში, რაც საბოლოო ანგარიშით არა მის, არამედ მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ მიდის. ორივე ფორმის არსებობის დროს მიწის შეგნებული და რაციონალური დამუშავების ნაცვლად, მიწისა, რომელიც საერთო მარადიული საკუთრება და მთელი რიგი ერთმეორის შემცვლელ ადამიანთა მოდგმის არსებობისა და კვლავ-წარმოების გაუსხვისებელი პირობაა, — გვევლინება მიწის ძალების ექსპლოატაცია და ფლანგვა (თუ არას ვიტყვით უკვე იმის შესახებ, რომ ექსპლოატაცია დამოკიდებული ხდება არა საზოგადოებრივი განვითარების მიღწეულ დონეზე, არამედ ცალკეულ მწარმოებელთა შემთხვევითსა და არათანაბარ გარემოებებზე). წვრილი საკუთრების არსებობისას ეს ხდება შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის

გამოყენებისათვის აუცილებელ საშუალებათა და ცოდნათა ნაკლებობის გამო; მსხვილი საკუთრების არსებობისას კი — ამ საშუალებათა ექსპლოატაციით მოიჭარეთა და მესაკუთრეთა რაც შეიძლება სწრაფი გამდიდრებისათვის. ორივე შემთხვევაში ეს ხდება საბაზრო ფასზე დამოკიდებულების გამო.

წვრილი მიწათსაკუთრების ყველა კრიტიკა საბოლოო ანგარიშით ნიშნავს კერძო საკუთრების, როგორც მიწათმოქმედების ზღუდის და დაბრკოლების, კრიტიკას. ასევეა მსხვილი მიწათსაკუთრების მთელი საპირისპირო კრიტიკაც. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ორივე შემთხვევისათვის მხედველობის გარეშე ვტოვებთ მეორეხარისხოვან პოლიტიკურ მოსაზრებებს. ეს ზღუდე და დაბრკოლება, რასაც ყოველი კერძო საკუთრება მიწაზე სამიწათმოქმედო წარმოებას და თვით ნიადაგის დამუშავებას, შენახვას და გაუმჯობესებას უქმნის, ორივე შემთხვევაში ვითარდება, მაგრამ მხოლოდ სხვადასხვა ფორმებში, და ბოროტების ამ სპეციფიკური ფორმების ირგვლივ დავაში დავიწყებულია მისი უკანასკნელი მიზეზი.

წვრილი მიწათსაკუთრება გულისხმობს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფლის მოსახლეობაა და რომ გაბატონებულია არა საზოგადოებრივი, არამედ იზოლირებული შრომა; რომ, მამასადამე, ასეთ პირობებში გამორიცხულია ნაირსახეობა და განვითარება კვლავ-წარმოებისა, მისი როგორც მატერიალური, ისე ინტელექტუალური პირობები, და ამიტომ ამა თუ იმ რაციონალური კულტურის პირობებიც. მეორე მხრივ, მსხვილ მიწათსაკუთრებას მიწათმოქმედი მოსახლეობა დაჰყავს მუდმივად კლებად მინიმუმამდე და მას მუდმივად მზარდ და დიდ ქალაქებში მჭიდროდ თავმოყრილ სამრეწველო მოსახლეობას უპირისპირებს; ამით იგი წარმოშობს ისეთ პირობებს, რომელნიც გაუმთელებელ ნაპარალს იწვევენ ნივთიერებათა საზოგადოებრივი და ცხოვრების ბუნებრივი კანონების მიერ ნაკარნახევი ცვლის პროცესში, რის გამოც მიწის ძალა იფლანგება და ეს გაფლანგვის პროცესი ვაჭრობის მეოხებით საკუთარი ქვეყნის ფარგლებს ბევრად უფრო შორს სცილდება (ლიბიხი).

თუ წვრილი მიწათსაკუთრება ქმნის ბარბაროსების კლასს, რომელიც სანახევროდ საზოგადოების გარეშე დგას და რომელიც პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმების ყველა უხეშობას ცივილიზებული ქვეყნების ყოველ ტანჯვასა და სილატაყესთან აკავშირებს, სამაგიეროდ მსხვილი მიწათსაკუთრება ანადგურებს სამუშაო ძალას იმ უკანასკნელ ადგილას. სადაც მისი პრიმიტიული ენერგია ინახება და სადაც იგი

სარეზერვო ფონდის სახით ერების სასიცოცხლო ძალის ასაღორძინებლად გროვდება, ე. ი. თვით სოფლად. მსხვილი ინდუსტრია და ინდუსტრიულად წარმართული მსხვილი მიწათმოქმედება ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ. თუ თავდაპირველად ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პირველი აჩანაგებს და ანადგურებს უფრო მეტ სამუშაო ძალას და, მაშასადამე, ადამიანის ბუნებრივ ძალას, ხოლო მეორე — უფრო მეტ და უშუალოდ მიწის ბუნებრივ ძალას, სამაგიეროდ შემდგომი განვითარების მსვლელობაში ისინი ერთიმეორეს ხელს აძლევენ, რადგან სამრეწველო სისტემა სოფლადაც აუძლურებს მუშებს, ხოლო მრეწველობა და ვაჭრობა თავის მხრივ მიწათმოქმედებას ნიადაგის გამოფიტვის საშუალებებს უქმნიან.

მეზვიდე განყოფილება

შემოსავალი და მისი წყაროები

თავი ორმოცდამეხუთე

სამერთიანი ფორმულა

I⁴⁸

კაპიტალი — მოგება (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი), მიწა — მიწის რენტა, შრომა — ხელფასი, — იმ სამერთიანი ფორმულა. რომელიც საზოგადოებრივი წარმოების პროცესის ყველა საიდუმლოებას მოიცავს.

რადგან შემდეგ, როგორც წინათ აღვნიშნეთ, სარგებელი გამოდის როგორც კაპიტალის სპეციფიკური *leigentlichel* დამახასიათებელი პროდუქტი, ხოლო მეწარმის შემოსავალი ამასთან დაპირისპირებით როგორც კაპიტალისაგან დამოუკიდებელი ხელფასი, ამიტომ ეს სამერთიანი ფორმულა უფრო დაახლოებით შემდეგ ფორმულამდე დაიყვანება:

კაპიტალი — სარგებელი, მიწა — მიწის რენტა, შრომა — ხელფასი. ამასთან მოგება, ზედმეტი ღირებულების ეს ფორმა, რომელიც სპეციფიკურად ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოების წესს, მოხერხებულადაა თავიდან აცილებული.

თუ ახლა ამ ეკონომიურ სამერთიანობას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, შემდეგს აღმოვაჩინოთ:

პირველი, სიმდიდრის მოჩვენებითი წყაროები, რომელთა გამოყენება წლიურად შეიძლება, სრულიად სხვადასხვა სფეროებს განეკუთვნებიან და მათ ურთიერთ შორის არავითარი მსგავსება არა აქვთ.

⁴⁸ მომდევნო სამი ნაწყვეტი ხელნაწერის VI განყოფილების სხვადასხვა ადგილასაა. — ფ. ე.

მათ შორის დაახლოებით ისეთივე ურთიერთმიმართებაა, როგორც, მაგალითად, ნოტარიალურ გამოსაღებებსა, წითელ ჭარხალსა და მუსიკას შორის.

კაპიტალი, მიწა, შრომა! მაგრამ კაპიტალი ნივთი კი არაა, არამედ განსაზღვრული, საზოგადოებრივი, საზოგადოების განსაზღვრული ისტორიული ფორმაციის კუთვნილი წარმოებითი ურთიერთობაა. რომელიც ნივთით გამოიხატება და ამ ნივთს სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს ანიჭებს. კაპიტალი არ წარმოადგენს მატერიალურ და წარმოებულ წარმოების საშუალებათა ჯამს. კაპიტალი კაპიტალად ქცეული წარმოების საშუალებანია, რომელნიც თავისთავად ისევე არ წარმოადგენენ კაპიტალს, როგორც ოქრო და ვერცხლი თავისთავად არ წარმოადგენენ ფულს. საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მიერ მონოპოლიზებული წარმოების საშუალებანი, პროდუქტები, რომელნიც დამოუკიდებელნი გამხდარან ცოცხალი სამუშაო ძალის მიმართ და სწორედ ამ სამუშაო ძალის ამოქმედების პირობები, — აი რაა გაპროდუცირებული კაპიტალში ამ დაპირისპირებულობის ძალით. ესაა არა მარტო მუშების პროდუქტები, რომელნიც დამოუკიდებელ ძალებად იქცნენ. პროდუქტები როგორც მათი მწარმოებლების მბრძანებლები და მყიდველები, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ძალები და მომავალი... [? გაურკვეველი.] ფორმა ამ შრომისა, რაც მუშებს უპირისპირდება როგორც მათი პროდუქტის თვისება. მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს განსაზღვრული, პირველი შეხედვით მეტად მისტიკური საზოგადოებრივი ფორმა ისტორიულად შექმნილი [historisch fabrizierten] საზოგადოებრივი წარმოების პროცესის ერთ-ერთი ფაქტორისა.

ხოლო ამის გვერდით დგას მიწა, არაორგანული ბუნება როგორც ასეთი, rudis indigestaque moles [ტლანჭი და დაუმუშავებელი მასა]. მთელი მისი პირველყოფილი ველურობით. ღირებულება არის შრომა. ამიტომ შეუძლებელია ზედმეტი ღირებულება მიწა იყოს. მიწის აბსოლუტური ნაყოფიერება მხოლოდ იმას იწვევს, რომ შრომის გარკვეული რაოდენობა იძლევა გარკვეულ, მიწის ბუნებრივი ნაყოფიერებით გაპირობებულ, პროდუქტს. სხვაობა მიწის ნაყოფიერებაში იმას იწვევს, რომ შრომის და კაპიტალის ერთი და იგივე რაოდენობა, მაშასადამე, ერთი და იგივე ღირებულება, გამოიხატება მიწათმოქმედების პროდუქტთა სხვადასხვა რაოდენობით, რომ, მაშასადამე, ამ პროდუქტებს სხვადასხვა ინდივიდუალური ღირებულებანი აქვთ. ამ ინდივიდუალურ ღირებულებათა გათანაბრება საბაზრო ფასებთან იმას იწვევს. რომ «advantages of fertile over inferior soil... are transfer-

red from the cultivator or consumer to the landlord [«სარგებლობა, რომელსაც ნაყოფიერი მიწა იძლევა უფრო ცუდ მიწასთან შედარებით... დამმუშავებლისა ან მომხმარებლიდან ლენდლორდზე გადადის] (რიკარდო: «Principles», გვ. 6) *.

და, ბოლოს, მესამე ფაქტორი ამ კავშირში არის უბრალო აჩრდილი, შრომა «საერთოდ» [«die» Arbeit], რომელიც სხვა არაფერია, თუ არა აბსტრაქცია და, თავისთავად აღებულებული; საერთოდ არ არსებობს ან, თუ ავიღებთ... { გაურკვეველია } ადამიანის მწარმოებლური მოქმედება საერთოდ, რომლის შემწეობით იგი მოსაშუალოებს ნივთიერებათა გაცვლას ბუნებასთან, არა მარტო გაშიშვლებულია ყოველი საზოგადოებრივი ფორმისა და ხასიათის განსაზღვრულობისაგან, არამედ მარტივად მის ბუნებრივ ყოფიერებაშიც კი, საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად, ყოველი საზოგადოებისაგან განშორებულია, როგორც ცხოვრების გამოხატულება და ცხოვრების პროცესი საერთოდ არასაზოგადოებრივი ადამიანისა საერთოდ ადამიანთან, რომელმაც რაიმე საზოგადოებრივი განსაზღვრულობა მიიღო.

II

კაპიტალი — სარგებელი; მიწის საკუთრება, დედამიწის კერძო საკუთრება, ამასთან თანამედროვე, კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისი რენტა; დაქირავებული შრომა — ხელფასი. პამასადამე, კავშირი შემოსავლის წყაროებს შორის ამ ფორმით უნდა არსებობდეს. როგორც კაპიტალი, ისე დაქირავებული შრომა და მიწის საკუთრება ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმებია, ერთი — შრომისა, მეორე — მონოპოლიზებული დედამიწისა. ამასთან ორივე ისეთი ფორმაა, რომელიც შეესაბამება კაპიტალს და ერთსა და იმავე ეკონომიურ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნის.

პირველი, რაც ამ ფორმულიდან თვალში გვეცემა, ის არის, რომ კაპიტალის გვერდით, წარმოების ერთი ელემენტის ამ ფორმის გვერდით, რომელიც განსაზღვრულ წარმოების წესს, საზოგადოებრივი წარმოების პროცესის განსაზღვრულ ისტორიულ სტრუქტურას ეკუთვნის, წარმოების ელემენტის გვერდით, რომელიც შედუღებულია განსაზღვრულ სოციალურ ფორმასთან და წარმოდგენილია ამ სოციალური ფორმის მიერ, უშუალოდ დგება: ერთი მხრივ მიწა, მეორე მხრივ შრომა, ორი ელემენტი რეალური შრომითი პროცესისა, რომელნიც ამ ნივთიერ ფორმაში საერთონი არიან წარმოების ყველა წესისთვის, ყოველი წარმოების პროცესის ნივთიერ ელემენტს წარ-

* «On the Principles of Political Economy and Taxation».

მოადგენენ და რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ [nichts zu schaffen haben] მის საზოგადოებრივ ფორმასთან.

მეორე. ფორმულაში: «კაპიტალი — სარგებელი, მიწა — მიწის რენტა, შრომა — ხელფასი», კაპიტალი, მიწა, შრომა გამოდის როგორც სარგებლის (მოგების ნაცვლად), მიწის რენტის და ხელფასის სათანადო წყარო. ეს უკანასკნელნი კი მათი პროდუქტი, მათი ნაყოფია; პირველნი წარმოადგენენ საფუძველს, მეორენი — შედეგს, პირველნი — მიზეზს, მეორენი — შედეგს; ამასთან ეს ისე ხდება, რომ ყოველი წყარო თავის პროდუქტთან ისეთ მიმართებაშია, როგორც რაიმე მისგან გამოყოფილსა და წარმოებულთან. ყველა სამი შემოსავალი, სარგებელი (მოგების ნაცვლად), რენტა, ხელფასი — პროდუქტის ღირებულების სამი ნაწილია, მაშასადამე, საერთოდ ღირებულების ნაწილია, ანუ, ფულადი გამოხატულებით, ფულის გარკვეული ნაწილები, ფასის ნაწილებია. შემდეგ, თუმცა ფორმულა: კაპიტალი — სარგებელი კაპიტალის ყველაზე ირაციონალურ [begriffslos] ფორმულას წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც მისი ფორმულაა. მაგრამ როგორ შეუძლია მიწას შექმნას ღირებულება, ე. ი. საზოგადოებრივად განსაზღვრული რაოდენობა შრომისა და თანაც სწორედ თავისი საკუთარი პროდუქტების ღირებულების განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც რენტას წარმოქმნის? მაგალითად, მიწა მოქმედებს როგორც წარმოების ფაქტორი განსაზღვრული სახმარი ღირებულების, მატერიალური პროდუქტის, ვთქვათ, ხორბლის წარმოების დროს. მაგრამ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხორბლის ღირებულებების წარმოებასთან. რამდენადაც ღირებულება ხორბლით გამოიხატება, ხორბალი განიხილება როგორც მხოლოდ გასაგნობრივებული საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორია ის განსაკუთრებული ნივთიერება. რომლითაც ეს შრომა გამოიხატება, როგორია ამ ნივთიერების განსაკუთრებული სახმარი ღირებულება. ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ 1) სხვა თანაბარ პირობებში ხორბლის სიიაფე თუ სიძვირე დამოკიდებულია მიწის ნაყოფიერებაზე. სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება უაკავშირებელია ბუნებრივ პირობებთან და ამ უკანასკნელთა ნაყოფიერების მიხედვით შრომის ერთი და იგივე რაოდენობა გამოიხატება პროდუქტების, სახმარ ღირებულებათა მეტი ან ნაკლები რაოდენობით. თუ რამდენად დიდია ერთ შეფელში წარმოდგენილი შრომის რაოდენობა, ეს დამოკიდებულია შეფელთა მასაზე, რომელსაც შრომის იგივე რაოდენობა იძლევა. აქ მიწის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული, პრო-

დუქტის რა რაოდენობით გამოიხატება ღირებულება; მაგრამ ეს ღირებულება მოცემულია ასეთი განაწილებისაგან დამოუკიდებლად. ღირებულება ხორციელდება სახმარ ღირებულებაში, სახმარი ღირებულება კი ღირებულების შექმნის პირობაა; მაგრამ სისულელეა დაპირისპირების შექმნა იქ, სადაც ერთ მხარეზე დგას სახმარი ღირებულება. მიწა, მეორეზე კი — ღირებულება, თანაც კიდევ ღირებულების განსაკუთრებული ნაწილი. 2) {აქ ხელნაწერი წყდება.}

III

ვულგარული პოლიტიკური ეკონომია სინამდვილეში მხოლოდ იმას აკეთებს, რომ დოქტრინერულად განმარტავს, სისტემაში მოჰყავს და იცავს ბურჟუაზიული წარმოების იმ აგენტების წარმოდგენას, რომელნიც შებოჭილი არიან ამ წარმოებითი ურთიერთობით. ამიტომ ვერ გავაკვირვებ ის, რომ სწორედ ეკონომიური ურთიერთობის გამოვლინების ფორმაში, რომელიც განშორებულია მისგან, და რომელმაც იგი *prima facie* უაზრო და წინააღმდეგობით აღსავსე ხასიათს ღებულობს — ყოველი მეცნიერება კი ზედმეტი იქნებოდა, თუ გამოვლინების ფორმა და საგანთა არსი უშუალოდ ერთმანეთს დაემთხვეოდნენ. — რომ სწორედ აქ გრძნობს ვულგარული პოლიტიკური ეკონომია თავს თავის ტაფაში; ეს ურთიერთობა მას მით უფრო თავისთავად გასაგებად ეჩვენება, რაც უფრო დაფარულია მასში შინაგანი კავშირი და რაც უფრო მარტივად ეჩვენება იგი მოარულ წარმოდგენას. ამიტომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, რომ სამერთიანობა, რომლისგანაც იგი გამოდის: მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი ანუ შრომის ფასი, სამი *prima facie* შეუძლებელი კომპოზიციია. უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვაქვს სახმარი ღირებულება — მიწა, რომელსაც არავითარი ღირებულება არ აქვს, და გვაქვს საცვლელი ღირებულება — რენტა: ამრიგად სოციალური ურთიერთობა, აღებული როგორც ნივთი, ჩაყენებულია ერთგვარ შეფარდებაში ბუნებისასთან; მაშასადამე, გამოდის, რომ გარკვეულ ურთიერთობაშია ორი არათანაზომადი ოდენობა. შემდეგ გვაქვს კაპიტალი — სარგებელი. თუ კაპიტალი გვესმის როგორც ფულში დამოუკიდებლად გამოსახული ღირებულების გარკვეული თანხა, მაშინ *prima facie* უაზრობაა, თითქოს ღირებულებას მეტი ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე იგი ღირს. სწორედ ფორმაში: კაპიტალი — სარგებელი, ქრება ყოველი გამეშვება, და კაპიტალი დაიყვანება თავის ყველაზე ზოგად და ამიტომ თავის თავიდან აუხსნელ და აბსურდულ ფორმულამდე. სწო-

რედ ამიტომ ვულგარული ეკონომისტი უპირატესობას აძლევს ფორმულას: კაპიტალი — სარგებელი, რომელიც აღჭურვილია საიდუმლო თვისებით თავისთავის არათანატოლი იყოს, ფორმულის წინაშე: კაპიტალი — მოგება, იმიტომ რომ უკანასკნელი უფრო უახლოვდება ნამდვილ კაპიტალურთიერთობას. შემდეგ: შეშფოთებულია რა იმის გამო, რომ 4 არ არის 5 და ამიტომ შეუძლებელია 100 ტალერი 110 ტალერი იყოს, ვულგარული ეკონომისტი თავს იმით შველის, რომ გარბის კაპიტალიდან როგორც ღირებულებიდან და მიმართავს კაპიტალის ნივთიერ სუბსტანციას, მის სახმარ ღირებულებას. რომელიც წარმოების პირობას წარმოადგენს შრომისათვის, მიმართავს მანქანებს, ნედლ მასალას და სხვა. ამრიგად, ხელახლა ხერხდება, რომ პირველი გაუგებარი ურთიერთობის ნაცვლად, სადაც $4=5$, შევადგინოთ სრულიად არათანაზომადი ურთიერთობა, ერთი მხრივ, სახმარ ღირებულებასა, ნივთსა და, მეორე მხრივ, განსაზღვრულ საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობას, ზედმეტ ღირებულებას შორის, როგორც ეს მიწის საკუთრების შემთხვევაშია. როგორც კი ვულგარული ეკონომისტი ამ არათანაზომადობას აღწევს, მისთვის ყოველივე ნათელი ხდება, იგი მოთხოვნილებას აღარ გრძნობს კიდევ იფიჭროს საქმის ვითარებაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მან უკვე მიადწია ბურჟუაზიულ წარმოდგენათა «რაციონალობას». ბოლოს, შ რ ო მ ა — ხ ე ლ ფ ა ს ი. შრომის ფასი, როგორც ეს I წიგნშია დამტკიცებული, არის გამოთქმა. რომელიც *prima facie* ეწინააღმდეგება ღირებულების ცნებას, ისევე როგორც ფასის ცნებას, რომელიც საერთოდ თვით მხოლოდ ღირებულების განსაზღვრული გამოხატულებაა; და «შრომის ფასი» ისევე ირაციონალურია, როგორც ყვეთელი ლოგარითმი. მაგრამ სწორედ აქ მშვიდდება ყველაზე მეტად ვულგარული ეკონომისტი, რადგან მან აქ მიადწია ბურჟუას ღრმა შეხედულებას, რომ ფულს შრომაში ვიხდით, და რადგან სწორედ ის გარემოება, რომ ფორმულა ეწინააღმდეგება ღირებულების ცნებას, ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან გაიგოს ეს უკანასკნელი.

ჩვენ⁴⁹ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი ისტორიულად განსაზღვრული ფორმაა საზოგადოებრივი წარმოების პროცესისა საერთოდ. ეს უკანასკნელი ერთსა და იმავე დროს ადამიანის ცხოვრების მატერიალურ პირობათა წარმოების პროცესიცაა და სპე-

⁴⁹ XLVIII თავის დასაწყისი ხელნაწერის მიხედვით.

ციფიკურ ისტორიულ-ეკონომიურ წარმოების პირობებში მიმდინარე. თვით ამ წარმოების პირობების და ამით ამ პროცესის მატარებლების, მათი მატერიალური არსებობის პირობების და მათი ურთიერთობის, ე. ი. მათი განსაზღვრული ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმის მწარმოებელი და კვლავმწარმოებელი პროცესიც. იმიტომ რომ ამ ურთიერთობის ერთობლიობა, რომელშიც ამ წარმოების მატარებლები იმყოფებიან ბუნებისა და ერთიმეორის მიმართ, რომელშიც ისინი აწარმოებენ, სწორედ ეს ერთობლიობა არის საზოგადოება, თუ ამ უკანასკნელს მისი ეკონომიური სტრუქტურის თვალსაზრისით განვიხილავთ. კაპიტალისტური წარმოების პროცესი, ყველა თავისი წინამორბედების მსგავსად, მიმდინარეობს განსაზღვრულ მატერიალურ პირობებში, რომელნიც იმავე დროს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის მატარებელი არიან, ურთიერთობისა, რომელსაც ინდივიდები ერთმანეთს შორის ამყარებენ თავიანთი ცხოვრების კვლავმწარმოების პროცესში. როგორც ის პირობები, ისე ეს ურთიერთობა, ერთი მხრივ, წანამძღვრებია, მეორე მხრივ კი — შედეგები და პროდუქტები კაპიტალისტური წარმოების პროცესისა, მათი წარმოება და კვლავმწარმოება ამ უკანასკნელის მიერ ხდება. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალი, — კაპიტალისტი კი მხოლოდ გაპიროვნებული კაპიტალია, იგი წარმოების პროცესში მოქმედებს მხოლოდ როგორც კაპიტალის მატარებელი, — მის შესაფერ წარმოების საზოგადოებრივ პროცესში უშუალო მწარმოებლებს, ანუ მუშებს სწოვს ზედმეტი შრომის განსაზღვრულ რაოდენობას, რასაც იგი უეკვივალენტოდ ღებულობს და რაც არსებითად ყოველთვის იძულებულ შრომად რჩება, თუნდაც იგი თავისუფალი ხელშეკრულებითი შეთანხმების შედეგად გვეჩვენებოდეს. ეს ზედმეტი შრომა ზედმეტი ღირებულებით გამოიხატება, ხოლო ეს ზედმეტი ღირებულება ზედმეტ პროდუქტში არსებობს. ზედმეტი შრომა საერთოდ, როგორც მოცემულ მოთხოვნილებათა ოდენობას გადამეტებული შრომა, ყოველთვის უნდა არსებობდეს. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემაში, ისევე როგორც მონურ სისტემაში და სხვა. ზედმეტ შრომას მხოლოდ ანტაგონისტური ფორმა აქვს და მას ავსებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სრული უსაქმობა. ზედმეტი შრომის განსაზღვრული რაოდენობა საჭიროა როგორც დაზღვევა შემთხვევითობათა წინააღმდეგ, რაც შედეგია აუცილებელი, მოთხოვნილებათა განვითარების და მოსახლეობის პროგრესის [Fortschritt] შესაბამისი კვლავმწარმოების პროცესის მზარდი გაფართოებისა, რასაც კაპიტალისტური თვალსაზრისით დაგ-

როგებაც ეწოდება. კაპიტალის ერთ-ერთი ცივილიზატორული მხარე ისაა, რომ იგი იძულებით იწვევს ამ ზედმეტ შრომას იმ წესით და იმ პირობებში, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მწარმოებლური ძალების, საზოგადოებრივი ურთიერთობის გასაფართოებლად და უმაღლესი ახალი ფორმის *höhere Neubildung* ელემენტების შესაქმნელად. ელდრე მონობის, ბატონყმობისა და სხვ. ადრინდელ ფორმებში იყო. ამრიგად, მას, ერთი მხრივ, მიეყვებათ საფეხურისკენ, რომელზედაც ისტობა საზოგადოებრივი განვითარების (მისი მატერიალური და ინტელექტუალური უპირატესობის ჩათვლით) იძულება და მონობი-ლიზაცია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორის ხარჯზე; მეორე მხრივ, იგი ქმნის მატერიალურ საშუალებებს და ჩანასახს ურთიერთობისათვის, რომელიც საზოგადოების უფრო მაღალ ფორმაში შესაძლებლობას მოგვცემს ეს ზედმეტი შრომა დაუუკავშიროთ საერთოდ მატერიალური შრომისადმი მიძღვნილ დროის შეზღუდვას. ეს იმიტომ რომ შრომის ნაყოფიერების განვითარების მიხედვით, ზედმეტი შრომა შეიძლება დიდი იყოს სამუშაო დღის საერთო პატარა ხანგრძლიობის დროს და შედარებით პატარა იყოს სამუშაო დღის საერთო დიდი ხანგრძლიობის დროს. თუ აუცილებელი სამუშაო დრო=3, ხოლო ზედმეტი შრომა=3, მაშინ მთელი სამუშაო დღე=6, ხოლო ზედმეტი შრომის ნორმა=100%. თუ აუცილებელი შრომა=9, ხოლო ზედმეტი შრომა=3, მაშინ მთელი სამუშაო დღე=12, ხოლო ზედმეტი შრომის ნორმა=33 $\frac{1}{3}$ %. ამრიგად, შრომის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული, სახმარი ღირებულების რა რაოდენობა იწარმოება განსაზღვრული დროის განმავლობაში და, მაშასადამე, განსაზღვრული ზედმეტი სამუშაო დროის განმავლობაშიც. მაშასადამე, საზოგადოების წამდელი სიმდიდრე და მისი კვლავწარმოების პროცესის მუდმივი გაფართოების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა ზედმეტი შრომის ხანგრძლიობაზე, არამედ მის ნაყოფიერებაზე და წარმოების იმ პირობების მეტ ან ნაკლებ სიუხვეზე, რომელშიც იგი სრულდება. თავისუფლების სამეფო სინამდვილეში იქ იწყება, სადაც შეწყდება შრომა, რომელიც ნაკარნახევია გაჭირვებითა და გარეგანი მიზანშეწონილობით; მაშასადამე, თავისი ბუნების მიხედვით ეს სამეფო საკუთრივ მატერიალური წარმოების სფეროს მიღმა მდებარეობს. როგორც ველური ადამიანი იძულებულია ბუნებას ებრძოდეს, რათა თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს და რათა თავისი ცხოვრება შეინარჩუნოს და ცვალებად წარმოქმნოს, ისე ცივილიზებულმა ადამიანმაც უნდა იბრძოდეს, და მან ეს უნდა ქნას ყოველ საზოგადოებრივ ფორმაში, ყოველი

შესაძლებელი წარმოების წესის პირობებში. ადამიანის განვითარებასთან ერთად ფართოვდება ეს ბუნებრივი აუცილებლობის სამეფო, იმიტომ, რომ მისი მოთხოვნილებანიც ვითარდებიან; მაგრამ იმავე დროს ფართოვდება მწარმოებლური ძალებიც, რომელნიც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან. თავისუფლება ამ დარგში შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ სოციალიზებული ადამიანი, ასოციაციაში შეკავშირებული მწარმოებლები ამ თავიანთ ნივთიერებათა ცვლას ბუნებასთან რაციონალურად არეგულირებენ, მას თავიანთ საერთო კონტროლს უქვემდებარებენ, იმის ნაცვლად, რომ პირიქით, იგი ბრმა ძალასავით ბატონობდეს მათზე: რომ ისინი ამას ასრულებენ ძალის უმცირესი დახარჯვით და ისეთ პირობებში, რომლებიც მათი ადამიანური ბუნების უფრო ღირსეული და ადეკვატურია. მაგრამ ამისდა ძიუნედავად ეს მონაც აუცილებლობის სამეფოდ რჩება. მის მიღმა იწყება ადამიანის ძალის განვითარება, რომელიც წარმოადგენს თვითმიზანს, თავისუფლების კემპარტი სამეფოს, რომელიც შეიძლება აყვავდეს მხოლოდ ამ აუცილებლობის სამეფოს საფუძველზე. სამუშაო დღის შემოკლება ძირითადი პირობაა.

ეს ზედმეტი ღირებულება ანუ ეს ზედმეტი პროდუქტი კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალისტებს შორის, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ განაწილების შემთხვევის რყევას და განვიხილავთ მის მარეგულირებელ კანონს, მის მანორმირებელ საზღვრებს, — ნაწილდება როგორც დივიდენდი იმ წილთან შეფარდებით, რაც თვითეულს ეკუთვნის საზოგადოებრივ კაპიტალში. ამ სახით ზედმეტი ღირებულება გვევლინება როგორც საშუალო მოგება, რომელიც კაპიტალს ერგება. საშუალო მოგება, რომელიც თავის მხრივ მეწარმის შემოსავლად და სარგებლად ნაწილდება და რომელიც თვითეულ ამ ორ კატეგორიაში შეიძლება სხვადასხვა ჯურის კაპიტალისტებს ერგოს. მაგრამ კაპიტალის მიერ ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი პროდუქტის ამ მითვისებისა და განაწილების საზღვარია მიწის საკუთრება. როგორც მოქმედი კაპიტალისტი სწოვს მუშას ზედმეტ შრომას, ხოლო ამასთან ერთად მოგების ფორმაში ზედმეტ ღირებულებას და ზედმეტ პროდუქტსაც, ისე, წინათ გადმოცემული კანონების მიხედვით, მიწის მესაკუთრე სწოვს, თავის მხრივ, კაპიტალისტს ამ ზედმეტი ღირებულების ან ზედმეტი პროდუქტის ნაწილს რენტის სახით.

მაშასადამე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მოგებაზე როგორც ზედმეტი ღირებულების ნაწილზე, რომელიც კაპიტალს ერგება. ვკულისხმობთ საშუალო მოგებას (უდრის მეწარმის შემოსავალს პლუს სარგებელი),

რაც უკვე შემცირებულია რენტის გამოკლებით მთელი მოგებიდან (უკანასკნელი თავის მასაში მთელი ზედმეტი ღირებულების იდენტიფიკაცია); ე. ი. იგულისხმება რენტის გამოკლება. მაშასადამე, კაპიტალის მოგება (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი) და მიწის რენტა სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებული მეზიდვენი ნაწილები, კატეგორიები, რომლებშიც ზედმეტი ღირებულება სხვადასხვაგვარი ხდება იმისდა მიხედვით, კაპიტალს ერგება თუ არა მიწის საკუთრებას; ეს რუბრიკები არაფერს არ ცვლიან ზედმეტი ღირებულების რაობაში. თუ მათ ერთად შეგკრებთ, ისინი საზოგადოებრივი ზედმეტი ღირებულების ჯამს მოგვცემენ. კაპიტალი უშუალოდ მუშებიდან გამოსწოვს ზედმეტ შრომას, რომელიც ზედმეტ ღირებულებასა და ზედმეტ პროდუქტშია წარმოდგენილი. მაშასადამე, ამ აზრით იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ზედმეტი ღირებულების მეწარმეობელი. მიწის საკუთრებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნამდვილ წარმოების პროცესთან. მისი როლი იმით შემოსისაზღვრება, რომ მას წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი კაპიტალისტის ჯიბიდან თავის საკუთარში გადააქვს. მიუხედავად ამისა, მიწის მესაკუთრე ერთგვარ როლს ასრულებს კაპიტალისტური წარმოების წესში, არა მარტო იმ ზემოქმედებით, რასაც იგი კაპიტალზე ახდენს, და არა მარტო იმით, რომ მსხვილი მიწათსაკუთრება კაპიტალისტური წარმოების წესის წინამძღვარს და პირობას წარმოადგენს, იმიტომ რომ იგი მუშათა შრომის პირობათა ექსპროპრიაციის წინამძღვარსა და პირობას წარმოადგენს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ მიწის მესაკუთრე გვევლინება როგორც წარმოების ერთ-ერთი უარსებითესი პირობის გაპიროვნება.

ბოლოს, მუშა როგორც თავისი პირადი სამუშაო ძალის მესაკუთრე და გამყიდველი, ხელფასის სახელწოდებით ღებულობს პროდუქტის ნაწილს, რომლითაც გამოხატულია მისი შრომის ნაწილი, რასაც ჩვენ აუცილებელ შრომას ვუწოდებთ, შრომას, რომელიც აუცილებელია ამ სამუშაო ძალის შენახვისა და კვლავწარმოებისათვის, სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს ამ შენახვისა და კვლავწარმოების პირობები, უფრო ბეჩავი თუ უფრო უხვი, უფრო ხელსაყრელი თუ ნაკლებ ხელსაყრელი.

სხვა მხრივ, რაგინდ სხვადასხვაგვარიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს დამოკიდებულებანი, მათ ერთი რამა აქვთ საერთო: კაპიტალი წლიდან წლამდე მოგებას აძლევს კაპიტალისტს, მიწა რენტას აძლევს მიწის მესაკუთრეს, ხოლო სამუშაო ძალა, — ნორმალურ პირობებში

და ვიდრე იგი გამოსადეგ სამუშაო ძალად რჩება, — ხელფასს აძლევს მუშას. ეს სამი ნაწილი ყოველწლიურად წარმოებულ მთელი ღირებულებისა და მათი. შესაბამისი ნაწილები მთელი ყოველწლიურად წარმოებულ პროდუქტისა, — დაგროვებას ჯერ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ, — შეიძლება ყოველწლიურად მოიხმაროს მათმა სათანადო მფლობელმა, მათი კვლავწარმოების წყაროს ამოუწურავად. ისინი თითქო მრავალწლოვანი ხის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სამი ხის ყოველწლიურად მოხმარებულ ნაყოფს წარმოადგენენ, ისინი შეადგენენ სამი კლასის, კაპიტალისტის, მიწის მესაკუთრისა და მუშის წლიურ შემოსავალს, რომელსაც ანაწილებს მოქმედი კაპიტალისტი როგორც ზედმეტი შრომის უშუალო გამომწოვი და საერთოდ შრომის გამომყენებელი. ამრიგად, კაპიტალისტს მისი კაპიტალი, მიწის მესაკუთრეს მისი მიწა, ხოლო მუშას მისი სამუშაო ძალა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თვით მისი შრომა (იმიტომ რომ იგი ნამდვილად ყიდის თავის სამუშაო ძალას, მხოლოდ მის გამოვლინებაში, და სამუშაო ძალის ფასი, როგორც წინათ ცხადვავით, კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისზე მას აუცილებლად შრომის ფასად წარმოუდგება) ეჩვენებათ მათი სპეციფიკური შემოსავლის, მოგების, მიწის რენტის და ხელფასის სამ სხვადასხვა წყაროდ. ისინი მართლაც ასეთნი არიან იმ აზრით, რომ კაპიტალი კაპიტალისტისათვის მრავალწლოვანი მანქანაა ზედმეტი შრომის ამოსაქაჩავად, მიწა მიწის მესაკუთრისათვის მრავალწლოვანი მავნიტია იმ ზედმეტი ღირებულების ნაწილის მისაზიდავად, რომელიც კაპიტალმა ამოქაჩა, და, ბოლოს, შრომა მუდმივად განახლებული პირობა და მუდმივად *istets* განახლებული საშუალებაა იმისათვის, რომ ხელფასის ტიტულით შეიძინოს მუშის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილი და, მამასადამე, ღირებულების ამ ნაწილის მიერ გაზომილი საზოგადოებრივი პროდუქტი, აუცილებელი საარსებო საშუალებანი. შემდეგ, ისინი ასეთნი არიან იმ აზრით, რომ კაპიტალი ღირებულების ერთ ნაწილს და იმიტომ წლიური შრომის პროდუქტის ერთ ნაწილსაც აფიქსირებს მოგების ფორმაში, მიწის საკუთარება მეორე ნაწილს — რენტის ფორმაში, ხოლო დაქირავებული შრომა მესამე ნაწილს — ხელფასის ფორმაში, და სწორედ ამ გარდაქმნის შემწეობით ეს ნაწილები კაპიტალისტის, მიწის მესაკუთრისა და მუშის შემოსავალი ხდება, მაგრამ ისე, რომ ეს არ ქმნის თვით სუბსტანციას, რომელიც ამ სხვადასხვა კატეგორიად იქცევა. პირიქით, განაწილება გულისხმობს, რომ არსებობს ეს სუბსტანცია, ე. ი. წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულება, რაც, სხვა არაფერია, თუ არა გასაჯ-

ნობრივებული საზოგადოებრივი შრომა. მაგრამ წარმოების აგენტებს, წარმოების პროცესის სხვადასხვა ფუნქციის მატარებელთ საქმის ვითარება წარმოუდგებათ არა ამ ფორმით, არამედ უკუღმართი ფორმით. თუ რატომ ხდება ეს, ამას გამოკვლევის შემდგომ მსვლელობაში დავინახავთ. წარმოების ამ აგენტებს კაპიტალი, მიწის საკუთრება და შრომა ისე ესახებათ, როგორც სამი სხვადასხვა, დამოუკიდებელი წყარო, რომლებსაგანაც, როგორც ასეთებისაგან, წარმოდგება სამი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი ყოველწლიურად წარმოებული ღირებულებისა, და, მაშასადამე, პროდუქტისაც, რაშიც ეს ღირებულება არსებობს; მაშასადამე, მათგან წარმოდგება არა მარტო ამ ღირებულების სხვადასხვა ფორმა, რომელიც შემოსავლის სახით ერგება საზოგადოებრივი წარმოების პროცესის განსაკუთრებულ ფაქტორებს, არამედ თვით ეს ღირებულებაც და მასთან ერთად შემოსავლის ამ ფორმების სუბსტანციაც.

[აქ ხელნაწერში აკლია ფურცელი in folio [ნახევართაბახის ფორმატში].

...ლიფერენციული რენტა დაკავშირებულია მიწის რელატიურ ნაყოფიერებასთან, მაშასადამე, თვისებებთან, რომელთაც წარმოშობს ნიადაგი როგორც ასეთი. მაგრამ, ჯერ ერთი, რამდენადაც იგი სხვადასხვა ხარისხის ნიადაგის პროდუქტების ინდივიდუალურ ღირებულებათა განსხვავებას ეყრდნობა, ეს მხოლოდ ის განსაზღვრავს, რომელიც ახლახან მოვიხსენიეთ; მეორე, რამდენადაც იგი ამ ინდივიდუალური ღირებულებებისაგან განსხვავებულ მარეგულირებელ საერთო საბაზრო ღირებულებას ეყრდნობა, ეს იქნება კონკურენციის შემწეობით განზორციელებული საზოგადოებრივი კანონი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვს არც მიწასთან, არც მისი ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხთან.

შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ ყოველ შემთხვევაში გამოთქმა «შრომა — ხელფასი» რაციონალურ ურთიერთობას გამოხატავს. მაგრამ ეს ასე არ არის, ისევე როგორც ეს ასე არ არის გამოთქმაში «მიწა — მიწის რენტა». რამდენადაც შრომა ღირებულებას ქმნის და საქონელთა ღირებულებაში აისახება, მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ ღირებულების დანაწილებასთან სხვადასხვა კატეგორიის შორის. ხოლო რამდენადაც მას დაქირავებული შრომის სპეციფიკურად საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, იგი არა ქმნის ღირებულებას. საერთოდ კი უკვე წინათ ცხადვყავით, რომ ხელფასი, ანუ შრომის ფასი, მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულების ანუ ფასის ირაციონალური გამოხატუ-

ლება; და განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებშიც ამ სამუშაო ძალის გაყიდვა ხდება, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ შრომასთან, როგორც წარმოების საერთო ფაქტორთან. შრომა საგნობრივდება [vergegenständlicht sich] საქონლის ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილშიც, რომელიც ხელფასის სახით სამუშაო ძალის ფასს შეადგენს; იგი ამ ნაწილს სწორედ იმგვარადვე ქმნის, როგორც პროდუქტის სხვა ნაწილებს; მაგრამ იგი საგნობრივდება ამ ნაწილში არა უფრო მეტად და არა სხვანაირად, ვიდრე იმ ნაწილებში, რომელნიც რენტას ან მოგებას შეადგენენ. და საერთოდ რაკი ჩვენ შრომას ვაფიქსირებთ როგორც ღირებულების შემქმნელს, ჩვენ მას განვიხილავთ არა იმ კონკრეტულ ფორმაში [Gestalt], რომელსაც იგი ღებულობს, როგორც წარმოების პირობა, არამედ მის საზოგადოებრივ განსაზღვრულობაში, რომელიც განსხვავებულია დაქირავებული შრომის განსაზღვრულობისაგან.

აქ უმართებულოა გამოთქმაც «კაპიტალი — მოგება». თუ კაპიტალი აღებულია იმ ერთადერთ მიმართებაში, რომელშიც იგი ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, სახელდობრ თავის მიმართებაში მუშისადმი, რომელშიც იგი ზედმეტ შრომას ამოქაჩავს იძულებით, რასაც სამუშაო ძალაზე, ე. ი. დაქირავებულ მუშაზე ახდენს, მაშინ ეს ზედმეტი ღირებულება გარდა მოგებისა (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი) რენტასაც შეიცავს, მოკლედ, ჯერ კიდევ გაუყოფელ მთელ ზედმეტ ღირებულებას. აქ, პირიქით, კაპიტალი როგორც შემოსავლის წყარო გარკვეულ მიმართებაში დგება მხოლოდ იმ ნაწილთან, რომელიც კაპიტალისტს ხვდება წილად. ესაა არა ის ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იგი საერთოდ ამოწოვს, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც იგი კაპიტალისტისათვის ამოწოვს. ყოველი შინაგანი კავშირი კიდევ უფრო ისპობა, როგორც კი ეს ფორმულა გადაიქცევა ფორმულად: «კაპიტალი — სარგებელი».

თუ ჩვენ პირველად იმას განვიხილავდით, რაც სამ წყაროს განაცალკევებდა, ახლა ვხედავთ, რომ, პირიქით, მათი პროდუქტები, მათი წარმოწინაშობი, შემოსავალნი, ყველანი ერთსა და იმავე სფეროს, ღირებულების სფეროს ეკუთვნიან. მაგრამ ეს იმით ქარწყლდება (ესაა დამოკიდებულება არა მარტო არათანაზომად ოდენობათა შორის, არამედ სრულიად უთანატოლო, ურთიერთმიმართების უქონელ და შეუდარებელ ნივთებს შორის), რომ კაპიტალი, მიწისა და შრომის მსგავსად, სინამდვილეში აღებულია მხოლოდ მის ნივთიერ სუბსტანციაში, მაშასადამე, მარტივად როგორც წარმოების წარმოებული

საშუალება. ამასთან აბსტრაქტიზმის მისგან როგორც მუშასთან დამოკიდებულებიდან და როგორც ღირებულებიდან.

მესამე. მამასადავამე, ამ აზრით ფორმულა: «კაპიტალი — სარგებელი (მოგება), მიწა — რენტა, შრომა — ხელფასი» თანაბარ და სიმეტრიულ შეუსაბამობას წარმოადგენს. მართლაც, რაკი დაქირავებული შრომა გვეჩვენება არა როგორც შრომის საზოგადოებრივად განსაზღვრული ფორმა, არამედ ყოველი შრომა თავისი ბუნებით გვეჩვენება როგორც დაქირავებული შრომა (ასე აქვს წარმოდგენილი საქმის ვითარება კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობით შებოქილ ადამიანს), განსაზღვრული სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმები, რომელთაც ღებულობენ დაქირავებული შრომის მიმართ შრომის საგნობრივი პირობები, — წარმოების წარმოებული საშუალებანი და მიწა, — პირდაპირ ემთხვევიან ამ შრომის პირობების მატერიალურ მყოფობას, ან ამ ფორმას, რასაც ისინი საერთოდ ღებულობენ შრომის ნამდვილ პროცესში, მისი კონკრეტული, ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმისაგან და ყოველი მისი საზოგადოებრივი ფორმისაგანაც დამოუკიდებლად. ამრიგად, შრომის პირობების ფორმა, რომელიც განრიდება შრომას და თავისთავადი გამხდარა მის მიმართ, მამასადავამე, ის გარდაქმნილი ფორმა [Gestalt], რომელშიაც წარმოების წარმოებული საშუალება კაპიტალად იქცევა, ხოლო მიწა მონოპოლიზებულ მიწად, მიწის საკუთრებად იქცევა, ეს განსაზღვრული ისტორიული პერიოდის კუთვნილი ფორმა ემთხვევა წარმოების წარმოებულ საშუალებათა და მიწის მყოფობასა და ფუნქციის წარმოების პროცესში საერთოდ. ეს წარმოების საშუალებანი კაპიტალია თავისთავად, ბუნებით; კაპიტალი მხოლოდ «ეკონომიური სახელწოდებაა» ამ წარმოების საშუალებებისათვის; და მიწა თავისთავად, ბუნებით მიწაა, რომელიც მონოპოლიზებულია მიწის მესაკუთრეთა გარკვეული რაოდენობის მიერ. როგორც კაპიტალსა და კაპიტალისტში, რომელიც ნამდვილად მხოლოდ გაპროვინებული კაპიტალია, პროდუქტები თავისთავადი ძალა ხდება მწარმოებლების მიმართ, ისე მიწის მესაკუთრეში მიწის გაპროვინება ხდება, მიწაც ყალყზე დგება, და როგორც თავისთავადი ძალა, თავის წილს მოითხოვს მისი დახმარებით წარმოებულ პროდუქტში; ასე რომ მიწა კი არ ღებულობს თავის კუთვნილ ნაწილს პროდუქტიდან თავისი ნაყოფიერების აღსადგენად და ასამაღლებლად, არამედ მის მაგიერ მიწის მესაკუთრე ღებულობს ამ პროდუქტის ნაწილს გასანიაველად და გასაფლანგავად. ცხადია, რომ კაპიტალი შრომას გულისხმობს როგორც დაქირავებულ შრომას. მაგრამ ასევე

ცხადია ისიც, რომ თუ გამოვალთ შრომიდან როგორც დაქირავებული შრომიდან, ისე რომ შრომის იგივეობა საერთოდ დაქირავებულ შრომასთან თავისთავად გასაგებ მოვლენად გვეჩვენება, მაშინ აგრეთვე კაპიტალი და მონოპოლიზებული მიწაც უნდა გვეჩვენებოდეს შრომის პირობათა ბუნებრივ ფორმად შრომის მიმართ საერთოდ. კაპიტალად ყოფნა გვეჩვენება ახლა შრომის საშუალებათა ბუნებრივ ფორმად, და ამიტომ გვეჩვენება წმინდა ნივთობრივ თვისებად, რომელსაც წარმოშობს მათი ფუნქცია შრომის პროცესში საერთოდ. ამრიგად კაპიტალი და წარმოებული წარმოების საშუალება იდენტური გამოთქმები ხდებიან. სწორედ ასევე იდენტური გამოთქმები ხდებიან მიწა და კერძო საკუთრების მიერ მონოპოლიზებული მიწა. ამიტომ შრომის საშუალება როგორც ასეთი, რომელიც ბუნებით კაპიტალია, მოგების წყარო ხდება, ხოლო მიწა როგორც ასეთი — რენტის წყარო.

შრომა როგორც ასეთი, თავისი მარტივი განსაზღვრულობით, როგორც მიზანშეწონილი მწარმოებლური მოქმედება, ჩაყენებულია გარკვეულ მიმართებაში წარმოების საშუალებებთან, რომელნიც აღებული არიან არა მათს საზოგადოებრივ ფორმაგანსაზღვრულობაში, არამედ მათს ნივთიერ სუბსტანციაში, წარმოების საშუალებებთან როგორც მასალასა და შრომის საშუალებასთან, რომელნიც ურთიერთშორის ასევე მხოლოდ ნივთიერად განსხვავდებიან როგორც სახმარი ღირებულებანი: მიწა როგორც შრომის არაწარმოებელი საშუალება, დანარჩენნი როგორც შრომის წარმოებელი საშუალებანი. მაშასადამე, თუ შრომა დაქირავებულ შრომას ემთხვევა, ის განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმა, რომლითაც შრომის პირობები ახლა შრომას უპირისპირდებიან, თავის მხრივ ემთხვევა მათს ნივთიერ მყოფობას. ამ შემთხვევაში შრომის საშუალება როგორც ასეთი კაპიტალია, მიწა კი როგორც ასეთი მიწის საკუთრებაა. მაშინ შრომის ამ პირობათა ფორმალური განცალკევება შრომისაგან და ამ განცალკევების განსაკუთრებული ფორმა, რაც მათ დაქირავებული შრომის მიმართ აქვთ, არის თვისება, რომელიც განუყრელია მათგან როგორც ნივთებიდან, როგორც წარმოების მატერიალური პირობებიდან, არის თვისება, რაც აუცილებლად მათ ეკუთვნით და რაც იმანენტურადაა შეზრდილი [eingewachsener] მათთან როგორც წარმოების ელემენტებთან. მათი განსაზღვრული ისტორიული ეპოქის მიერ გაპირობებული სოციალური ხასიათი კაპიტალისტური წარმოების პროცესში მათი ნივთობრივი ხასიათია, რაც ბუნებრივად და, ასე ვთქვათ. დასაბამიდან თანდაყოლილი აქვთ მათ როგორც წარმოების პროცესის

ელემენტებს. ამ შემთხვევაში უნდა გვეჩვენებოდეს, რომ სათანადო მონაწილეობა, რომელსაც ღებულობს წარმოების პროცესში საერთოდ მიწა როგორც შრომის მოქმედების თავდაპირველი სფერო, როგორც ბუნებრივ ძალთა სამეფო, როგორც შრომის ყველა საგნების მზამზარეული არსენალი, და ის მეორე სათანადო მონაწილეობა, რომელსაც იქ წარმოების წარმოებულ საშუალებანი (იარაღი, ნედლი მასალა და სხვ.) ღებულობენ წარმოების პროცესში საერთოდ, გამოხატულებას პოულობს სათანადო წილებში, რომელნიც ხვდება კაპიტალს და მიწის საკუთრებას, ე. ი. მათს სოციალურ წარმომადგენლებს — მოგების (სარგებლის) და რენტის ფორმით, ისევე როგორც მუშისათვის ის მონაწილეობა, რომელსაც მისი შრომა ღებულობს წარმოების პროცესში, ხელფასით გამოიხატება. ამრიგად, ისე ჩანს, თითქოს რენტას, მოგებას, ხელფასს წარმოშობდეს ის როლი, რასაც შრომის უბრალო პროცესში მიწა, წარმოების წარმოებულ საშუალებანი და შრომა ასრულებენ, მაშინაც კი, თუ ჩვენ ამ პროცესს განვიხილავდით როგორც მხოლოდ პროცესს ადამიანსა და ბუნებას შორის და აბსტრაქტირებას მოვახდენდით მისი ფორმის ყოველი ისტორიული განსაზღვრულობიდან. ეს იგივეა, მხოლოდ სხვა ფორმით, როცა ამბობენ: პროდუქტი, რომელშიც წარმოდგენილია დაქირავებული მუშის შრომა თავისთვის, წარმოდგენილია მისი ამონაგები, მისი შემოსავალი, ეს მხოლოდ ხელფასია, ღირებულების ნაწილია (და ამიტომ იმ საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილიც, რომელიც ამ ღირებულებით გაიზომება), რომელიც მის ხელფასს წარმოადგენსო. მაშასადამე, თუ დაქირავებული შრომა ემთხვევა შრომას საერთოდ, მაშინ ხელფასიც ემთხვევა შრომის პროდუქტს, და ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც ხელფასი გამოხატავს, ემთხვევა შრომის მიერ შექმნილ ღირებულებას საერთოდ. მაგრამ ამის მეოხებით ღირებულების სხვა ნაწილებიც, მოგება და რენტა, ასევე დამოუკიდებლად უპირისპირდებიან ხელფასს, და მათაც უნდა წარმოშობდნენ საკუთარი, შრომისაგან სპეციფიკურად განსხვავებული და დამოუკიდებელი წყაროები; მათ უნდა წარმოშობდნენ წარმოების თანამონაწილე ელემენტები, რომელთა მფლობელთაც ერგება ისინი, მაშასადამე, მოგებას უნდა წარმოშობდნენ წარმოების საშუალებანი, კაპიტალის ნივთიერი ელემენტები, ხოლო რენტას — მიწა ან ბუნება. რომელთა წარმომადგენელი მიწის მესაკუთრეა (როშერი).

ამიტომ შემოსავლის წყაროებიდან იმ აზრით, რომ კაპიტალი მოგების სახით კაპიტალისტიმ იზიდავს იმ ზედმეტი ღირებულების ნაწილს, რომელსაც იგი ამოჭაჩავს შრომიდან, მიწის მონოპოლია

მიწის მესაკუთრისაკენ იზიდავს მეორე ნაწილს რენტის სახით, ხოლო შრომა ხელფასის სახით ღირებულების უკანასკნელ, კიდევ დარჩენილ ნაწილს მუშას აძლევს იმ წყაროებიდან, რომელთა მეშვეობით ღირებულების ერთი ნაწილი მოგების ფორმად იქცევა, მეორე — რენტის ფორმად, ხოლო მესამე — ხელფასის ფორმად, ასეთი წყაროებიდან მიწის საკუთრება, კაპიტალი და დაქირავებული შრომა გადაიქცევიან ნამდვილ წყაროებად, რომლებიდანაც წარმოიშვებიან ღირებულების თვით ეს ნაწილები და პროდუქტის ის სათანადო ნაწილები, რომლებშიც არსებობენ ანდა რომლებზედაც შეიძლება გაიცვალოს ღირებულების ეს ნაწილები და რომლებიდანაც როგორც უკანასკნელ წყაროდან, მათსადამე, თვით პროდუქტის ღირებულება წარმოიშვება⁵⁰.

როცა ჩვენ ვლაპარაკობდით კაპიტალისტური წარმოების წესის და თუნდაც საქონელწარმოების უმარტივეს კატეგორიებზე, საქონელსა და ფულზე, ჩვენ უკვე ცხადვყავით ის მამისტიფიცირებელი ხასიათი, რომლის მეოხებითაც საზოგადოებრივი ურთიერთობა, რის მატარებლებად წარმოების დროს სიმდიდრის მატერიალური ელემენტები გამოდიან, თვით ამ ნივთების (საქონლის) თვისებად იქცევა. და, — რაც კიდევ უფრო ნათელია, — თვით წარმოებითი ურთიერთობა ნივთად (ფულად) იქცევა. საზოგადოების ყველა ფორმა, რამდენადაც იგი საქონელწარმოებამდე და ფულად შიმოქცევამდე მიდის, მონაწილეობს ამ გაუკუღმართებაში. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესში და კაპიტალის არსებობისას, რომელიც მის გაბატონებულ კატეგორიას, მის განმსაზღვრელ წარმოებით ურთიერთობას ქმნის, ეს მოჯადოებული და უკუღმართი სამყარო კიდევ უფრო მეტად ვითარდება. თუ ჩვენ კაპიტალს უწინარეს ყოვლისა უშუალო წარმოების პროცესში განვიხილავთ, — განვიხილავთ როგორც ზედმეტი შრომის ამომქაჩველ ძალას, — ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ მეტად მარტივია; და ნამდვილი შინაგანი კავშირი აეკვირება ამ პროცესის მატარებელთ, კაპიტალისტებს, და იგი ჯერ კიდევ არის მათ ცნობიერებაში. ამას დამაჯერებლად ამტკიცებს ცხარე ბრძოლა სამუშაო დღის საზღვრებისათვის. მაგრამ თვით ამ უშუალო სფე-

⁵⁰ «ხელფასი, მოგება და რენტა სამი თავდაპირველი წყაროა როგორც ყოველი შემოსავლის, ისე მთელი საცვლელი ღირებულებისაც (ა. სმიტი). ამრიგად მატერიალური წარმოების მიზეზები იმავე დროს ყველა არსებული ძირითადი შემოსავლის წყაროებია» (შტორხი («Cours d'Economie Politique, Petersburg 1815»), I, გვ. 259).

როში, შრომისა და კაპიტალს შორის უშუალო პროცესის სფეროში, საქმის ვითარება ასე მარტივი როდი რჩება. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების განვითარებასთან ერთად საკუთრივ სპეციფიკურ კაპიტალისტურ წარმოების წესში, რომლის პარალელურად შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები ვითარდებიან, შრომის ეს მწარმოებლური ძალები და საზოგადოებრივი კავშირურობითობანი უშუალო შრომითს პროცესში ისე გვეჩვენებიან, თითქოს ისინი შრომიდან კაპიტალში იყვნენ გადატანილი. უკვე ამით კაპიტალი მეტად მისტიკურ არსებად იქცევა, იმიტომ რომ ისე გვეჩვენება, თითქოს შრომის ყველა საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა შრომას კი არ ეკუთვნოდეს, როგორც ასეთს, არამედ კაპიტალს, და მისი საკუთარი წილიდან იყოს წარმოშობილი. შემდეგ აქ საქმეში ერევა მიმოქცევის პროცესი, რომლის ნივთიერებათა ცვლას და ფორმათა ცვლებადობას კაპიტალის ყველა ნაწილი, სამიწათმოქმედო კაპიტალის ნაწილიც კი, ვეგნდებარება იმდენად, რამდენადაც სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესი ვითარდება. ესაა სფერო, რომელშიც ღირებულების წარმოების თავდაპირველი ურთიერთობა სავსებით უკანა რიგში დგება. უკვე უშუალო წარმოების პროცესში კაპიტალისტი მოქმედებს იმავდროულად აგრეთვე როგორც საქონელმწარმოებელიც, როგორც საქონელწარმოების ხელმძღვანელი. ამიტომ ეს წარმოების პროცესი მას სრულიადაც არ წარმოუდგება უბრალოდ როგორც ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესი. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ის ზედმეტი ღირებულება, რაც კაპიტალმა წარმოების უშუალო პროცესში ამოქაჩა და საქონელში განახორციელა, იმ ღირებულების და ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია, რასაც საქონელი შეიცავს, მხოლოდ მიმოქცევის პროცესში უნდა მოხდეს. და საქმის ვითარება ისე გვეჩვენება, თითქოს ღირებულება, რომელიც წარმოებაში აწანსებულ ღირებულებას ანაზღაურებს, განსაკუთრებით კი საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება უბრალოდ კი არ რეალიზდება მიმოქცევაში, არამედ მისგან წარმოდგება; ამ ილუზიას განსაკუთრებით ორი გარემოება განამტკიცებს: ჯერ ერთი, მოგება, რომელიც გასხვანების დროს მიიღება, დამოკიდებულია მოტყუებასა, გაიწვერობასა, საქმის ცოდნასა, მოხერხებასა და ათას საბაზრო კონიუნქტურაზე; შემდეგ, ის გარემოება, რომ აქ სამუშაო დროსთან ერთად გამოდის მეორე განმსაზღვრელი ელემენტი, მიმოქცევის დრო. თუმცა იგი მოქმედებს მხოლოდ როგორც ღირებულების და ზედმეტი ღირებულების წარმოშობის უარყოფითი საზღვარი, მაგრამ ისეთი მოჩვენებითი წარმოდგენა იქმნება, თითქოს იგი ისეთივე დადებითი

მიზეზი იყოს მათი წარმოშობისა როგორც თვით შრომა, და თითქოს მას შემოქმედეს კაპიტალის ბუნებიდან გამომდინარე, შრომისაგან დამოუკიდებელი განსაზღვრა. მეორე წიგნში ჩვენ, ბუნებრივია, რომ მიმოქცევის ეს სფერო ავსახეთ მხოლოდ შის მიმართებაში ფორმის განსაზღვრებებთან, რომელთაც იგი წარმოშობს, ცხადყავით კაპიტალის სტრუქტურის [Gestalt] შემდგომი განვითარება, რომელიც ამ სფეროში ხდება. მაგრამ სინამდვილეში ეს სფერო კონკურენციის სფეროა, რომელზედაც, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევას განვიხილავთ, შემთხვევითობა ბატონობს, რომელშიც, მამასადამე, შინაგანი კანონი, რაც ამ შემთხვევითობათა შორის გზას იკაფავს და მათ არეგულირებს, მხოლოდ მაშინ ხდება ხილვადი, თუ ეს შემთხვევითობანი მსხვილ მასებად შეგაერთოთ, რომელშიც ეს კანონი, მამასადამე, უხილავი და გაუგებარი რჩება თვით წარმოების ცალკეული აგენტებისათვის. მაგრამ შემდეგ: წარმოების ნამდვილი პროცესი, როგორც უშუალო წარმოებითი პროცესის და მიმოქცევის პროცესის ერთიანობა, ქმნის სრულიად ახალ წარმონაქმნებს [Gestaltungen]. რომლებშიც სულ უფრო იკარგება შინაგანი კავშირის ძარღვი, წარმოებითი ურთიერთობანი დამოუკიდებელი ხდებიან ერთიმეორის მიმართ და ღირებულების შემადგენელი ნაწილები ყალიბდებიან ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელ ფორმებში.

როგორც დავინახეთ, ზედმეტი ღირებულების მოგებად გადაქცევა განისაზღვრება როგორც მიმოქცევის პროცესით, ისე წარმოების პროცესით. ზედმეტი ღირებულება, მოგების ფორმაში, შეეფარდება უკვე არა შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილს, რომლისგანაც იგი წარმოდგება, არამედ მთელ კაპიტალს. მოგების ნორმა რეგულირდება საკუთარი კანონებით, რომელნიც შესაძლებლს ხდიან და განაპირობებენ კიდევ მის ცვლილებას ზედმეტი ღირებულის ნორმის უცვლლობის პირობებში. ყოველივე ეს სულ უფრო ჩქმალავს ზედმეტი ღირებულების ქმნილობას ბუნებას და ამიტომ კაპიტალის ნამდვილ მექანიზმსაც. ეს კიდევ უფრო მეტად ხდება იმის გამო, რომ მოგება საშუალო მოგებად იქცევა, ხოლო ღირებულებანი წარმოების ფასებად, საბაზრო ფასების მარეგულირებელ საშუალო სიდიდედ. აქ საქმეში ერევა რთული საზოგადოებრივი პროცესი, კაპიტალთა ვათანატოლების პროცესი, რომელიც იმას იწვევს, რომ საქონლის შეფარდებითი საშუალო ფასი დაშორდება თავის ღირებულებას, ხოლო საშუალო მოგება წარმოების სხვადასხვა სფეროში (სრულიად რომ არაფერი ვთქვათ ინდივიდუალურ კაპიტალდაბანდებაზე წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში) დაშორდება შრომის იმ ნამდვილ ექს-

პლოატაციას, რასაც ცალკეული კაპიტალები ეწევიან. აქ არა მარტო გვეჩვენება ასე, არამედ საქონელთა საშუალო ფასი მართლაც განსხვავდება მათი ღირებულებისაგან, მაშასადამე, მათში განხორციელებული შრომისაგან, ხოლო ცალკეული კაპიტალისტის მოგება განსხვავდება ზედმეტი ღირებულებისაგან, რომელიც ამ კაპიტალმა გამოწოვა მის მიერ დასაქმებულ მუშებს. საქონლის ღირებულება უშუალოდ მხოლოდ იმ გავლენაში შედარდება, რასაც შრომის ნაყოფიერების ცვლილებანი ახდენენ წარმოების ფასების შემცირებასა და გადიდებაზე. მათს მოძრაობაზე და არა მათს საბოლოო საზღვრებზე. მოგება, როგორც ჩანს, განისაზღვრება შრომის უშუალო ექსპლოატაციით როგორც ნეორეზარისხოვანი ფაქტორით [accessorisch], მხოლოდ იქდენად. რამდენადაც უკანასკნელი კაპიტალისტს შესაძლებლობას აძლევს იმ მარეგულირებელი საბაზრო ფასების არსებობის დროს, რომელნიც, ჩანს, ამ ექსპლოატაციისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, საშუალო მოგებიდან გადახრილი მოგების რეალიზაცია მოახდინოს. რაც შეეხება თვით ნორმალურ საშუალო მოგებას, ეს უკანასკნელი კაპიტალის იმანენტურ მოვლენად გვეჩვენება, რომელიც დამოუკიდებელია ექსპლოატაციისაგან; ნორმიდან გადახრილი ექსპლოატაცია და აგრეთვე საშუალო ექსპლოატაცია განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში, როგორც ჩანს, განსაზღვრავს მხოლოდ გადახრას საშუალო მოგებიდან და არა თვით მოგებას. მოგების გათიშვა მეწარმის შემოსავლად და სარგებლად (რომ არაფერი ვთქვათ კომერციული მოგებისა და ფულით ვაჭრობის მოგების საქმეში ჩარევაზე, რომელიც მიმოქცევაზეა დაფუძნებული და ისე გვეჩვენება, თითქოს მას მთლიანად მიმოქცევა წარმოშობდეს და არა თვით წარმოების პროცესი) ამთავრებს ზედმეტი ღირებულების ფორმის განცალკევებას, მისი ფორმის გაქვავებას მისი სუბსტანციის, მისი რაობის მიმართ. მოგების ერთი ნაწილი მეორისადმი დაპირისპირებით, სრულიად ეთიშება კაპიტალისტურ ურთიერთობას როგორც ასეთს, და ისე გვეჩვენება; თითქოს იგი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ფუნქციიდან კი არ წარმოიშვებოდეს, არამედ კაპიტალისტისავე დაქირავებული შრომიდან. წინააღმდეგ ამისა სარგებელი მაშინ იმ სახით წარმოგვიდგება, თითქოს იგი წარმოიშვებოდეს როგორც მუშის დაქირავებული შრომისაგან, ისე კაპიტალისტის საკუთარი შრომისაგან დამოუკიდებლად, წარმოიშვებოდეს კაპიტალისაგან, როგორც მისი საკუთარი დამოუკიდებელი წყაროდან. თუ თავდაპირველად, მიმოქცევის ზედაპირზე, კაპიტალი კაპიტალ-ფეტიშად გვეჩვენებოდა, თუ იგი გვეჩვენებოდა ღირებულებად, რომელიც ღირებულებას წარმოშობს, ახლა

სარგებელმომტანი კაპიტალის სახით იგი წარმოგვიდგება. თავისი უაღრესად განრიდებული და უაღრესად თავისებური ფორმით. ამიტომაც ფორმულა «კაპიტალი — სარგებელი», როგორც მესამე წევრი ფორმულებისა «მიწა — რენტა» და «შრომა — ხელფასი» ბევრად უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე «კაპიტალი — მოგება», იმიტომ რომ მოგებაში კიდევ შენარჩუნებულია მოგონება მის წარმოშობაზე, რომელიც სარგებელში არა მარტო წარხოცილია, არამედ ისეთ ფორმაშია ფიქსირებული, რომელიც მტკიცედ უპირისპირდება ამ წარმოშობას.

ბოლოს, კაპიტალის გვერდით ზედმეტი ღირებულების დამოუკიდებელი წყაროს სახით გამოდის მიწის საკუთრება. რომელიც ზღუდავს საშუალო მოგებას და ზედმეტი ღირებულების ნაწილს ისეთ კლასს გადასცემს, რომელიც არც თვით მუშაობს, არც მუშების ექსპლოატაციას ეწევა უშუალოდ და რომელსაც, სარგებელმომტანი კაპიტალისაგან განსხვავებით, არ შეუძლია მორალურად მანუგეშებელი მოსაზრებანი მოიყვანოს, მაგ., რისკსა და მსხვერპლზე, რაც თან სდევს კაპიტალის გასესხებას. რადგან აქ ისე გვეჩვენება, რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილი უშუალოდ დაკავშირებულია არა საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, არამედ ბუნებრივ ელემენტთან, მიწასთან, ამიტომ ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწილების ერთიმეორის მიმართ განცალკევებისა და გაქვავების ფორმა მთავრდება, შინაგანი კავშირი საბოლოოდ წყდება და მისი წყაროები სრულიად იხურება სწორედ წარმოების პროცესის სხვადასხვა ნივთიერ ელემენტებთან დაკავშირებულ წარმოებით ურთიერთობათა განცალკევებით ერთიმეორის პირისპირ.

ფორმულაში «კაპიტალი — მოგება», ანუ უკეთ, «კაპიტალი — სარგებელი, მიწა — მიწის რენტა, შრომა — ხელფასი», — ამ ეკონომიურ სამერთიანობაში, რომლითაც გამოხატულია ღირებულებისა და საერთოდ სიმდიდრის შემადგენელი ნაწილების კავშირი მის წყაროებთან, დამთავრებულია კაპიტალისტური წარმოების წესის მისტიფიკაცია, საზოგადოებრივი ურთიერთობის განივთება, წარმოების ნივთიერ ურთიერთობათა უშუალო შეზრდა მათს ისტორიულ-სოციალურ განსაზღვრულობასთან: ესაა მოჯადოებული, გაუკუღმართებული და თავდაყირა დაყენებული სამყარო, სადაც monsieur le Capital [ბატონი კაპიტალი] და madame la Terre [ქალბატონი მიწა] როგორც სოციალური ხასიათები და ამავე დროს უშუალოდ როგორც უბრალოდ ნივთები თავიანთ კუდიანობის ღამეს ასრულებენ. კლასი-

კური პოლიტიკური ეკონომიის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან გაანადგურა ეს მცდარი გარეგნული მოჩვენებითობა და ილუზია, სიმდიდრის სხვადასხვა საზოგადოებრივი ელემენტების განცალკევება და დაქვევება ერთიანობის მიმართ, ეს პერსონიფიკაცია ნივთებისა და განიცთება წარმოებითი ურთიერთობისა, ეს ყოველდღიური ცხოვრების რელიგია, — გაანადგურა იმით, რომ სარგებელი მოგების ნაწილზე დაიყვანა, ზოლო რენტა საშუალო მოგების ნაწილზე, ასე რომ ორივე ემთხვევა ერთმანეთს ზედმეტ ღირებულებაში; შემდეგ გაანადგურა იმით, რომ მიმოქცევის პროცესი ფორმათა უშუალო მეტამორფოზად წარმოგვიდგინა, და, ბოლოს, უშუალო წარმოების პროცესში საქონლის ღირებულება და ზედმეტი ღირებულება შრომაზე დაიყვანა. მაგრამ მისი საუკეთესო წარმომადგენლებიც კი — და სხვანაირად შეუძლებელიცაა ბურჟუაზიული თვალსაზრისის საფუძველზე, — მეტნაკლებად შებოშოილი რჩებიან მოჩვენებითობის იმ სამყაროთი, რომელიც მათ კრიტიკულად დაანგრიეს, და ამიტომ ყველანი მეტად თუ ნაკლებად ჯარღებიან არათანმიმდევრულობასა, ნახევრულობასა და ამოუხსნელ წინააღმდეგობებში. მეორე მხრივ, ასევე ბუნებრივია, რომ წარმოების ნამდვილი აგენტები თავიანთ თავს შინაურულად გრძნობენ ამ სინამდვილიდან ჩამოშორებულ ურთიერთობასა და ირაციონალურ ფორმებს შორის: კაპიტალი — სარგებელი, მიწა — რენტა, შრომა — ხელფასი, იმიტომ რომ ისინი სწორედ ამ გარეგნული მოჩვენებითობის ფორმებში (Gestaltungen) მოძრაობენ და ყოველდღიურად მხოლოდ მათთან აქვთ საქმე. ამიტომ ბუნებრივია აგრეთვე ის, რომ ვულგარული ეკონომია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა წარმოების ნამდვილი აგენტების ყოველდღიურ წარმოდგენათა დიდაქტიკური, მეტნაკლებად დოქტრინერული გადათარგმნა, და რომელსაც მხოლოდ გარკვეული გონივრული წესრიგი შეაქვს იმ წარმოდგენებში, რომ იგი სწორედ ამ სამართიანობაში, სადაც წაშლილია ყოველი შინაგანი კავშირურობითობა, ბუნებრივ, ყოველ ვაჭვს გარეშე მყოფ ბაზისს პოულობს თავისი ცარიელი მედიდურობისათვის. ამავე დროს ეს ფორმულა შეეფერება გაბატონებული კლასების ინტერესებს, იმიტომ რომ იგი აცხადებს და დოგმად აქცევს მათი შემოსავლის წყაროების ბუნებრივ აუცილებლობას და მარადიულ გამართლებას.

როცა აღვწერთ, თუ როგორ საგნობრივდება წარმოებითი ურთიერთობა და როგორ ხდება იგი დამოუკიდებელი წარმოების აგენტების მიმართ, ჩვენ არ ვჩერდებით იმის განხილვაზე, თუ როგორ ხდება, რომ მსოფლიო ბაზრის, მისი კონიუნქტურების, საბაზრო ფასების მოძრაო-

ბის, კრედიტის პერიოდების, მრეწველობისა და ვაჭრობის ციკლების. აყვავებისა და კრიზისის ცვლათა მეოხებით, შინაგანი კავშირურთიერთობა წარმოების აგენტებს ეჩვენებათ როგორც უძლეველი, მათზე სტიქიურად გაბატონებული ბუნების კანონები და მათ მიმართ ეს კავშირურთიერთობა ბრმა აუცილებლობის სახით ვლინდება. არ ვჩერდებით, იმიტომ რომ კონკურენციის ნამდვილი მოძრაობა ჩვენს გეგმასში არ შედის, და ჩვენ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგანი ორგანიზაცია უნდა გამოვხატოთ მისი, ასე ვთქვათ, იდეალურ-საშუალო ტიპის მიხედვით.

აღრინდელ საზოგადოებრივ ფორმებში ეს ეკონომიური მისტიფიკაცია თავს იჩენს უმთავრესად ფულისა და აგრეთვე სარგებელ-ნომრთანი კაპიტალის მიმართ. საქმის ბუნების მიხედვით იგი გამორიცხულია, ჯერ ერთი, იქ, სადაც წარმოება უპირატესად სახმარა ღირებულებისათვის ხდება, უშუალოდ საკუთარი მონმარებისათვის. წარმოება; მეორე, იქ, სადაც, როგორც ეს ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში იყო, მონობა და ბატონუშობა საზოგადოებრივი წარმოების ფართო ბაზის წარმოადგენს: წარმოების პირობების ბატონობა მწარმოებლებზე შენიღბულია აქ ბატონობისა და დამონების ურთიერთობით. რომელიც ცხადად გვევლინება როგორც წარმოების პროცესის უშუალო მამოძრავებელი ძალა. პირველყოფილ თემებში, სადაც პრიმიტიული კომუნისმი ბატონობდა, და ანტიკურ საქალაქო თემებშიც კი ეს თემური ურთიერთობა თვითონ თავისი პირობებით წარმოების საფუძვლად წარმოგვიდგება, ხოლო ამ საფუძვლის კვლავწარმოება — მის საბოლოო მიზნად. შუა საუკუნეების საამქროებშიც კი არც შრომა და არც კაპიტალი არ გვევლინება დაუკავშირებლად, პირიქით. მათი ურთიერთობა განსაზღვრულია კორპორაციული წყობილებით და მასთან დაკავშირებული ურთიერთობით, ამ უკანასკნელის შესაბამისი წარმოდგენებით პროფესიულ ვალდებულებაზე, ოსტატის მდგომარეობაზე და სხვ. მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოების წესში...

თავი ორმოცდამეცხრე

წარმოების პროცესის ანალიზისათვის.

შემდგომ გამოკვლევაში ჩვენ შეგვიძლია მხედველობის გარეშე დავტოვოთ განსხვავება წარმოების ფასსა და ღირებულებას შორის, იმიტომ რომ ეს განსხვავება საერთოდ მოიხსნება, თუ, როგორც ეს აქ ხდება, შრომის მთელი წლიური პროდუქტის, ე. ი. მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის პროდუქტის ღირებულებას განვიხილავთ.

მოგება (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი) და რენტა მხოლოდ თავისებური ფორმებია, რომელთაც საქონლის ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებული ნაწილები ღებულობენ. ზედმეტი ღირებულების სიდიდე ზღუდეს წარმოადგენს იმ ნაწილების საერთო სიდიდესთვის, რომლებდაც იგი შეიძლება დაიშალოს. ამიტომ საშუალო მოგება პლუს რენტა უდრის ზედმეტ ღირებულებას. შესაძლებელია, რომ საქონელში მოთავსებული ზედმეტი შრომის და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნაწილიც უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობდეს მოგების გათანაბრებაში საშუალო მოგებად, ასე. რომ საქონლის ღირებულების ნაწილი საერთოდ გამოხატულებას არ ღებულობდეს თავის ფასში. მაგრამ, ჯერ ერთი, ამის კომპენსაცია ხდება ან იმით, რომ მოგების ნორმა იზრდება, თუ თავის ღირებულებაზე დაბლა გაყიდული საქონელი მუდმივი კაპიტალის ელემენტს წარმოადგენს, ან იმით, რომ მოგება და რენტა გამოიხატება პროდუქტის მეტი რაოდენობით, თუ თავის ღირებულებაზე დაბლა გაყიდული საქონელი ინდივიდუალური მოხმარების საგნის სახით შედის ღირებულების ნაწილში; რომელიც მოიხმარება როგორც შემოსავალი. მაგრამ, მეორე, ეს რხევა ბათილდება საშუალო მოძრაობაში. ყოველ შემთხვევაში, თუნდაც ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელმაც გამოხატულება ვერ ჰპოვა საქონლის ფასში, დაკარგული იყო ფასის წარმოქმნისათვის, საშუალო მოგების ჯამი პლუს რენტა თავის ნორმალურ ფორმაში ვერასოდეს ვერ იქნება ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაზე მეტი, თუმცა შეიძლება უკანასკნელზე ნაკლები იყოს. მისი ნორმალური

ფორმა გულისხმობს სამუშაო ძალის ღირებულების შესაბამის ხელფასს. მონოპოლიური რენტაც კი, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს გამოჩაყლებს ხელფასიდან, ე. ი. არ ქმნის განსაკუთრებულ კატეგორიას, არაპირდაპირ ყოველთვის აუცილებლად ზედმეტი ღირებულების ნაწილს უნდა შეადგენდეს; თუ იგი არ შეადგენს თვით იმ საქონლის ფასის გადანამეტის ნაწილს წარმოების ხარჯებზე, რომლის შემადგენელი ნაწილიც ის არის (როგორც ეს დიფერენციული რენტის არსებობისას ხდება), ან თუ იგი არ წარმოადგენს თვით იმ საქონლის ზედმეტი ღირებულების გადანამეტ ნაწილს, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ის ქმნის, გადანამეტ ნაწილს მისივე საკუთარი ზედმეტი ღირებულების ნაწილზე, რომელიც საშუალო მოგებით იზომება (როგორც ეს აბსოლუტური რენტის არსებობისას ხდება), მაინც იგი წარმოადგენს სხვა საქონლის ზედმეტი ღირებულების ნაწილს, ე. ი. საქონლის, რომელიც ამ მონოპოლიური ფასის მქონე საქონელზე გაიცვლება. შეუძლებელია საშუალო მოგების ჯამი პლუს მიწის რენტა ოდესმე აღემატებოდეს იმ ოდენობას, რომლის ნაწილსაც ეს მოგება და რენტა წარმოადგენენ და რომელიც უკვე მოცემულია ამ დანაწილებამდე. ამიტომ ჩვენი გამოკვლევებისათვის სულ ერთია, რეალიზდება თუ არა საქონლის ფასში საქონლის მთელი ზედმეტი ღირებულება. ე. ი. საქონელში მოთავსებული მთელი ზედმეტი შრომა. ზედმეტი შრომა უკვე იმიტომ არ რეალიზდება მთლიანად, რომ იმ შრომის რაოდენობის მუდმივი ცვლილების გამო, რომელიც საზოგადოებრივად აუცილებელია რომელიმე საქონლის საწარმოებლად, ცვლილებისა, რაც შრომის მწარმოებლური ძალის მუდმივი ცვლილებიდან გამომდინარეობს, საქონლის ნაწილი ყოველთვის არანორმალურ პირობებში იწარმოება და ამიტომ იგი მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე დაბლა უნდა გაიყიდოს. ყოველ შემთხვევაში მოგება პლუს რენტა უდრის მთელ რეალიზებულ ზედმეტ ღირებულებას (ზედმეტ შრომას), და გამოკვლევებისათვის, რომლის შესახებ აქ ლაპარაკია, რეალიზებული ზედმეტი ღირებულება შეიძლება მთელი ზედმეტი ღირებულების თანატოლად ჩავთვალოთ, იმიტომ რომ მოგება და რენტა რეალიზებული ზედმეტი ღირებულებაა, მაშასადამე, საერთოდ ის ზედმეტი ღირებულება, რომელიც საქონლის ფასებში შედის, ე. ი., პრაქტიკულად მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელიც ამ ფასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ხელფასი, რომელიც შემოსავლის მესამე თავისებურ ფორმას შეადგენს, ყოველთვის კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილს უდრის, ე. ი. იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც იხარჯება არ-

შრომის საშუალებებზე, არამედ ცოცხალი სამუშაო ძალის საყიდლად, მუშების გასასტუმრებლად. (შრომა, რომელსაც ისტუმრებენ შემოსავლის დახარჯვისას ხელფასით, მოგებით ან რენტით და არ ქმნის იმ საქონლის ღირებულების ნაწილს, რომლითაც მას ისტუმრებენ. ამრიგად ეს შრომა საქონელთა ღირებულების და იმ ნაწილების ანალიზის დროს, რომლებდაც იგი ნაწილდება, მხედველობაში არ მიიღება.) ცვალებადი კაპიტალის ღირებულება, და, მაშასადამე, შრომის ფასიც იკვლავწარმოება მუშების ერთობლივი სამუშაო დღის გასაგნობრივებული დღის ნაწილში, საქონლის ღირებულების იმ ნაწილში, რომელშიც მუშა აკვლავწარმოებს თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას ანუ თავისი შრომის ფასს. მუშის მთელი სამუშაო დღე ორ ნაწილად დაიშლება. ერთი ნაწილი ისაა, რომლის განმავლობაშიც მუშა შეასრულებს შრომის იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია მისი საკუთარი საარსებო საშუალებების კვლავწარმოებისათვის: მთელი მისი შრომის გადახდილი ნაწილი, მისი შრომის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მისი საკუთარი შენახვისა და კვლავწარმოებისათვის. სამუშაო დღის მთელი დანარჩენი ნაწილი, მთელი ნამეტი შრომის რაოდენობა, რასაც იგი ასრულებს მისი ხელფასის ღირებულებაში რეალიზებულ შრომის გადამეტებით, ზედმეტი შრომაა, ესაა გადაუხდელი შრომა, რომელიც გამოიხატება ყველა მის მიერ წარმოებულ საქონლის ზედმეტი ღირებულებით (და ამიტომ საქონლის ნამეტი რაოდენობით), ზედმეტი ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა სახელწოდებით აღნიშნულ ნაწილებად დაიშლება: მოგებად (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი) და რენტად.

მაშასადამე, საქონლის ღირებულების მთელი ნაწილი, რომელშიაც სორციელდება მუშების მიერ ერთი დღის ან ერთი წლის განმავლობაში მიმატებული მთელი შრომა, წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება, რომელსაც ეს შრომა ქმნის, ნაწილდება ხელფასის ღირებულებად, მოგებად და რენტად. ის იმიტომ, რომ მთელი ეს შრომა ნაწილდება აუცილებელ შრომად, რის შემწეობითაც მუშა ქმნის პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომლითაც თვით მას ისტუმრებენ, ე. ი. ხელფასს, და გადაუხდელ ზედმეტ შრომად, რის შემწეობითაც იგი ქმნის პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს და შემდგომ მოგებად და რენტად დანაწილდება. გარდა ამ შრომისა მუშა არავითარ სხვა შრომას არ ასრულებს და გარდა პროდუქტის მთელი ღირებულებისა, რომელიც ხელფასის, მოგების და რენტის ფორმასღებულობს, იგი არავითარ ღირებულებას არ ქმნის. წლიური პროდუქტის ღირებულება, რომლითაც მთელი

წლის განმავლობაში ახლად მიმატებული შრომა გამოიხატება, უდრის ხელფასს ანუ ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც თავის მხრივ მოგების და რენტის ფორმებად ნაწილდება.

ამრიგად, წლიური პროდუქტის ღირებულების მთელი ნაწილი, რასაც მუშა წლის განმავლობაში ქმნის, სამი შემოსავლის ღირებულების წლიური ჯამით გამოიხატება: ესაა ხელფასის, მოგებისა და რენტის ღირებულება. ამიტომ ცხადია, რომ წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქტის ღირებულებაში კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულება არ იკლავწარმოება, რადგან ხელფასი უდრის მხოლოდ კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ღირებულებას, რომელიც ავანსებულია წარმოებაზე, ხოლო რენტა და მოგება უდრის მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას, წარმოებული ღირებულების გადანამეტს მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებაზე, რომელიც უდრის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას პლუს ცვალებადი კაპიტალის ღირებულება.

აქ გადასაკრელი სიძნელისთვის სრულიად უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც მოგებისა და რენტის ფორმად იქცევა, არ მოიხმარება შემოსავლის სახით, არამედ დაგროვებისათვის გამოიყენება. მისი ის ნაწილი, რომელიც დაიზოგება როგორც დაგროვების ფონდი, ახალი დამატებითი კაპიტალის შექმნას ემსახურება, მაგრამ არა წინანდელი კაპიტალის იმ ძველი შემადგენელი ნაწილის ანაზღაურებას, რომელიც ან სამუშაო ძალაზე დაიხარჯა ან შრომის საშუალებებზე. მაშასადამე, სიმარტივისათვის აქ შეიძლება მივიღოთ, რომ მთელი შემოსავალი ინდივიდუალურ მოხმარებაზე დაიხარჯა. წინ ორნაირი დაბრკოლება გველოდება. ერთი მხრივ, წლიური პროდუქტის ღირებულება, რომლის სახით ეს შემოსავალი — ხელფასი, მოგება, რენტა, მოიხმარება, — შეიცავს ღირებულების გარკვეულ ნაწილს, რომელიც უდრის მასში შესული კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულებას. იგი შეიცავს ღირებულების ამ ნაწილს, ვარდა ღირებულების იმ ნაწილისა, რომელიც ხელფასს წარმოადგენს, და იმ ნაწილისა, რომელიც მოგებად და რენტად დაიშლება. მაშასადამე, წლიური პროდუქტის ღირებულება = ხელფასს + მოგება + რენტა + C, სადაც უკანასკნელი მისი ღირებულების მუდმივ ნაწილს წარმოადგენს. როგორ შეუძლია წლის განმავლობაში წარმოებულ ღირებულებას, რომელიც უდრის მხოლოდ ხელფასს + მოგება + რენტა, იყიდოს პროდუქტი, რომლის ღირებულება = (ხელფასს + მოგება + რენტა) + C? როგორ შეუძლია წლის განმავლობაში წარმოებულ ღირებულებას

იყიდოს პროდუქტი, რომელსაც მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე თვითონ მას?

მეორე მხრივ, თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც პროდუქტში არ შევიდა და რომელიც ამიტომ, თუმცა შემცირებული ღირებულებით, უწინდებურად განაგრძობს არსებობას საქონლის წლიური წარმოების შემდეგაც; მაშასადამე, თუ ჩვენ დროებით მხედველობის გარეშე დავტოვებთ წარმოებაში გამოყენებულ, მაგრამ მოუხმარ ძირითად კაპიტალს, აღმოჩნდება, რომ ავანსებული კაპიტალის მუდმივი ნაწილი ნედლი და დამხნარე მასალების სახით მთლიანად შევიდა ახალ პროდუქტში, მაშინ როდესაც შრომის საშუალებათა ნაწილი სავსებით მოხმარებულია, მეორე ნაწილი კი მხოლოდ ნაწილობრივადაა გამოყენებული, ასე რომ წარმოებაში მოხმარებულია მხოლოდ მისი ღირებულების ნაწილი. მთელი ეს წარმოებაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ნაწილი უნდა ანაზღაურდეს *in natura* (ნატურით). თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა დანარჩენი პირობა, განსაკუთრებით შრომის მწარმოებლური ძალა, არ შეცვლილა, მის ასანაზღაურებლად საჭირო იქნება იმავე რაოდენობის შრომა, როგორც წინათ, ე. ი. იგი უნდა ანაზღაურდეს ღირებულების ეკვივალენტით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია თვით კვლავწარმოება წინანდელი მასშტაბით წარიმართოს. მაგრამ ვინ უნდა შეასრულოს ეს სამუშაო და ვინ ასრულებს მას?

რაც შეეხება პირველ დაბრკოლებას, თუ ვინ უნდა გადაიხადოს პროდუქტში მოთავსებული ღირებულების მუდმივი ნაწილი და რით, აქ იგულისხმება, რომ წარმოებაში მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულება ხელახლა გვევლინება როგორც პროდუქტის ღირებულებას ნაწილი. ეს არ ეწინააღმდეგება მეორე დაბრკოლების წინამძღვრებს, იმიტომ რომ უკვე I წიგნის V თავში (შრომის პროცესი და ღირებულების ზრდის პროცესი) ნაჩვენები იყო, თუ როგორ ხდება, რომ ახალი შრომის უბრალო მიმატებით, თუმცა იგი ძველ ღირებულებას არ აკვლავწარმოებს, არამედ მხოლოდ მის დამატებას ქმნის, მხოლოდ დამატებით ღირებულებას ქმნის, მაინც იმავედროულად პროდუქტში ძველი ღირებულება შეინარჩუნება; ნაჩვენები იყო, რომ ამას ასრულებს შრომა არა იმდენად, რამდენადაც იგი ღირებულებას ქმნის, ე. ი. საერთოდ შრომას წარმოადგენს, არამედ რამდენადაც იგი მოქმედებს როგორც განსაზღვრული მწარმოებლური შრომა. ამრიგად, დამატებითი შრომა არაა საჭირო იმისათვის, რომ მუდმივი ნაწილის ღირებულება შეინარჩუნოთ იმ პროდუქტში, რომელზედაც შემოსავალი, ე. ი. მთელი წლის განმავლობაში შექმნილი ღირებულება იხარჯება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ახალი დამატებითი შრომა საჭიროა იმისათვის, რომ ანაზღაურდეს მუდმივი კაპიტალი, რომლის ღირებულება და სახმარი ღირებულება გასულ წელს მოიხმარეს. ასეთი ანაზღაურების გარეშე საერთოდ შეუძლებელია კვლავწარმოება.

მთელი ახლად მიმატებული შრომა წარმოდგენილია წლის განმავლობაში ახლადშექმნილ ღირებულებაში, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად გადაიქცევა სამ სახეობად: ხელფასად, მოგებად და რენტად. მაშასადამე, ერთი მხრივ, აღარ რჩება ნამეტი საზოგადოებრივი შრომა მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად, რომელიც ნაწილობრივ უნდა აღდგენილ იქნეს *in natura* და მისი ღირებულების მიხედვით, ნაწილობრივ კი მხოლოდ მისი ღირებულების მიხედვით (რამდენადაც საქმე ეხება მხოლოდ ძირითადი კაპიტალის გაცვეთას). მეორე მხრივ, ღირებულება, რაც წლიური შრომით იქმნება, ხელფასად, მოგებად და რენტად იშლება და ამ სახით უნდა დაიხარჯოს, ჩანს, საკმაო არაა იმისათვის, რომ გადაიხადოს ან იყიდოს კაპიტალის მუდმივი ნაწილი, რომელიც წლიურ პროდუქტში უნდა მოიპოვებოდეს ახლად შექმნილი ღირებულების გარდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ აქ წამოყენებული პრობლემა უკვე გადაწყვეტილია მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების განხილვის დროს, წიგნი II, განყოფილება III. აქ ჩვენ ამ საგანს ვუბრუნდებით უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იქ ზედმეტი ღირებულება ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი იმ ფორმებში, რომლებსაც იგი ღებულობს როგორც შემოსავალი: მოგება (მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი) და რენტა, — და ამიტომ არც შეიძლებოდა მისი ამ სახით გამოკვლევა; შემდეგ, ვუბრუნდებით კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ხელფასის, მოგებისა და რენტის ფორმას უკავშირდება ის დაუჯერებელი შეცდომა ანალიზში, რაც, ა. სმიტიდან დაწყებული, მთელ პოლიტიკურ ეკონომიას თან სდევს.

ჩვენ იქ მთელი კაპიტალი ორ დიდ კლასად დაყავით: კლასი I, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს, და კლასი II, რომელიც ინდივიდუალური მოხმარების საშუალებებს აწარმოებს. ის გარემოება, რომ ზოგიერთი პროდუქტი შეიძლება თანაბრად ემსახურებოდეს როგორც პირად სარგებლობას, ისე წარმოებას (ცხენი, ხორბალი და სხვ.), სრულიადაც არ აბათილებს ამ დაყოფის აბსოლუტურ სისწორეს. მართლაც, ეს დაყოფა ჰიპოთეზა კი არა, არამედ მხოლოდ ფაქტის გამოხატულებაა. ავიღოთ რომელიმე ქვეყნის წლიური პროდუქტი. პროდუქტის ნაწილი, თუნდაც მას წარმოების საშუალების როლის

შესრულება შეეძლოს, ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის. ესაა პროდუქტი, რომელზედაც იხარჯება ხელფასი, მოგება და რენტა. ეს პროდუქტი საზოგადოებრივი კაპიტალის განსაზღვრული ქვედანაყოფის პროდუქტია. შესაძლებელია, რომ თვით ეს კაპიტალი იმ პროდუქტებსაც აწარმოებს, რომლებიც I კლასს ეკუთვნიან. რამდენადაც ეს ასეა, მწარმოებლურად მოხმარებულ პროდუქტებს, რომელნიც I კლასს ეკუთვნიან, იძლევა არა ამ კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მოხმარებულია II კლასის პროდუქტზე, ისეთ პროდუქტზე, რომელიც ნამდვილად შედის ინდივიდუალურ მოხმარებაში. მთელი II პროდუქტი, რომელიც ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის და რომელზედაც ამიტომ შემოსავალი იხარჯება, წარმოადგენს მასზე მოხმარებული კაპიტალის მყოფობას პლუს წარმოებული ნამეტი. ამრიგად, ესაა იმ კაპიტალის პროდუქტი, რომელიც მხოლოდ მოხმარების საშუალებათა წარმოებაშია დაბანდებული. და ამავე აზრით წლიური პროდუქტის I ქვედანაყოფი, რომელიც კვლავწარმოების საშუალების, — ნედლი მასალის და შრომის იარაღის, — როლს ასრულებს, როგორც არ უნდა იყოს ამ პროდუქტის უნარიანობა *naturaliter* [მის ნატურალური ფორმით] მოხმარების საშუალების როლის შესრულებისა, წარმოადგენს იმ კაპიტალის პროდუქტს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წარმოების საშუალებათა წარმოებაშია დაბანდებული. მუდმივი კაპიტალის შემადგენელ პროდუქტთა შეუღარებლად უფრო დიდ ნაწილს ნივთიერადაც ისეთი ფორმა აქვს, რომ მას არ შეუძლია ინდივიდუალურ მოხმარებაში შევიდეს. რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია, რამდენადაც გლახს, მაგალითად, შეუძლია თავისი სათესლე ხორბალი შეჭამოს ან თავისი მუშა პირუტყვი დაკლას, ეკონომიური ზღუდე ამ ნაწილის მიმართ სინამდვილეში იმასვე აღწევს, რაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაწილი მოხმარებისათვის გამოუსადეგარი ფორმით იარსებებდა.

როგორც უკვე ვთქვით, ორივე კლასის განხილვის დროს ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მუდმივი კაპიტალის ძირითად ნაწილს, რომელიც ორივე კლასის წლიური პროდუქტისაგან დამოუკიდებლად *in natura* და თავისი ღირებულების მიხედვით განაგრძობს არსებობას.

II კლასში, რომლის პროდუქტებზე ხელფასი, მოგება და რენტა იხარჯება, მოკლედ, შემოსავალი მოიხმარება, პროდუქტი თავისი ღირებულების მიხედვით სამი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება. ერთი შემადგენელი ნაწილი უდრის წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულებას; მეორე შემადგენელი ნაწილი

უდრის წარმოებაზე ავანსებული კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ღირებულებას, რომელიც ხელფასზეა დახარჯული; ბოლოს, მესამე შემადგენელი ნაწილი უდრის წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. მოგებას + რენტა. II კლასის პროდუქტის პირველი შემადგენელი ნაწილის, კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულების მოხმარება არ შეუძლიათ II კლასის არც კაპიტალისტებს, არც მუშებს, არც მიწის მესაკუთრეებს. იგი მათი შემოსავლის რაიმე ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ უნდა ანაზღაურდეს *in natura*, ხოლო იმისთვის, რომ ეს მოხდეს, იგი უნდა გაიყიდოს. პირიქით, ამ პროდუქტის ორი დანარჩენი შემადგენელი ნაწილი უდრის ამ კლასში წარმოებული შემოსავლის ღირებულებას, უდრის ხელფასს + მოგება + რენტა.

I კლასის პროდუქტი ფორმის მიხედვით ასეთივე შემადგენელი ნაწილებისაგან შედგება. მაგრამ ის ნაწილი, რომელიც აქ შემოსავალს ქმნის, ხელფასი + მოგება + რენტა, მოკლედ, კაპიტალის ცვალებადი ნაწილი + ზედმეტი ღირებულება, აქ მოიხმარება არა ამ I კლასის პროდუქტების ნატურალურ ფორმაში, არამედ II კლასის პროდუქტებში. მაშასადამე, I კლასის შემოსავალთა ღირებულება უნდა მოხმარებულ იქნეს II კლასის პროდუქტების იმ ნაწილის სახით, რომელიც ამ კლასის ანაზღაურებელ მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს. II კლასის პროდუქტის ნაწილი, რომელმაც სათანადო მუდმივი კაპიტალი უნდა აანაზღაუროს, მის ნატურალურ ფორმაში მოიხმარება I კლასის მუშების, კაპიტალისტებისა და მიწის მესაკუთრეების მიერ. ისინი თავიანთ შემოსავალს ამ II კლასის პროდუქტზე ხარჯავენ. მეორე მხრივ, I კლასის პროდუქტი, რამდენადაც იგი I კლასის შემოსავალს წარმოადგენს, მწარმოებლურად მოიხმარება მისი ნატურალური სახით II კლასის მიერ, რომლის მუდმივ კაპიტალს იგი *in natura* ანაზღაურებს. ბოლოს, I კლასის მუდმივი კაპიტალის მოხმარებული ნაწილი ანაზღაურდება ამ კლასის საკუთარი პროდუქტებით, რომელიც სწორედ შრომის საშუალებებისა, ნედლი და დამხმარე მასალებისაგან და სხვ. შედგება, ანაზღაურდება ნაწილობრივ I კლასის კაპიტალისტების გაცვლით ურთიერთშორის, ნაწილობრივ კი იმით, რომ ამ კაპიტალისტების ერთ ნაწილს შეუძლია ხელახლა უშუალოდ გამოიყენოს წარმოების საშუალებათა სახით თავისი საკუთარი პროდუქტი.

ავიღოთ მარტივი კვლავწარმოების წინანდელი სქემა (წიგნი II, თავი XX, II):

$$\begin{cases} \text{I. } 4000c + 1000v + 1000m = 6000 \\ \text{II } 2000c + 500v + 500m = 3000 \end{cases} = 9000$$

ამის მიხედვით II მწარმოებლები და მესაკუთრეები შემოსავლის სახით მოიხმარებენ $500v + 500m = 1000$; ანაზღაურებელი ღირებულება 2000c. ამას მოიხმარებენ I კლასის მუშები, კაპიტალისტები და რენტის მიმღებლები, რომელთა შემოსავალი $= 1000v + 1000m = 2000$. II-ის მოხმარებული პროდუქტი როგორც შემოსავალი მოიხმარება I კლასის მიერ, ხოლო მოუხმარებელ პროდუქტებში წარმოდგენილი I კლასის შემოსავლის ნაწილი II მიერ მოიხმარება როგორც მუდმივი კაპიტალი. მაშასადამე, გამოსარკვევია ანგარიში I კლასის 4000c შესახებ. ეს ანაზღაურდება I-ის საკუთარი პროდუქტიდან $= 6000$ ან, უკეთ, $= 6000 - 2000$, იმიტომ რომ ეს 2000 უკვე გადაქცეულია მუდმივ კაპიტალად II-თვის. უნდა აღინიშნოს, რომ ციფრები, რა თქმა უნდა, ნებისმიერადაა აღებული, და ამიტომ შეფარდება I შემოსავლის ღირებულებასა და II მუდმივი კაპიტალის ღირებულებას შორის ნებისმიერად გვეჩვენება. მაგრამ ცხადია, რომ თუ კვლავწარმოების პროცესი ნორმალურად და სხვა მხრივ თანაბარ პირობებში მიმდინარეობს, ე. ი. თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ დაგროვებას, I კლასის ხელფასის, მოგების და რენტის ღირებულების ჯამი II კლასის კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულებას უნდა უდრიდეს. სხვანაირად ან II კლასს არ ექნება შესაძლებლობა თავისი მუდმივი კაპიტალი ანაზღაუროს, ან I კლასს არ ექნება შესაძლებლობა თავისი შემოსავალი მოუხმარი ფორმიდან მოსახმარ ფორმად აქციოს.

ამრიგად, წლიური საქონელ-პროდუქტის ღირებულება, ისევე როგორც ცალკეული კაპიტალდაბანდების საქონელპროდუქტის ღირებულება და ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულება, ორ შემადგენელ ნაწილად იყოფა: ერთია *A*, რომელიც ავანსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ანაზღაურებს, ხოლო მეორეა *B*, რომელიც შემოსავლის ფორმაში გამოდის, ხელფასის, მოგებისა და რენტის სახით. ღირებულების უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი, *B*, იმ მხრივ შეადგენს პირველის, *A*-ს, დაპირისპირებულობას, რომ ეს უკანასკნელი, სხვა თანაბარ პირობებში, 1) არასოდეს არ ღებულობს შემოსავლის ფორმას, 2) მუდამ უკან ბრუნდება კაპიტალის და ისიც მუდმივი კაპიტალის სახით. მაგრამ მეორე შემადგენელი ნაწილი *B*, თავის მხრივ, თვით შეიცავს დაპირისპირებულობას. მოგებას და რენტას ის საერთო აქვთ ხელფასთან, რომ ისინი შემოსავლის სამ ფორმას შეადგენენ. ამისდა მოუხედავად ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან

იმით, რომ მოგებასა და რენტაში წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება, ე. ი. გადაუხდელი შრომა, ხოლო ხელფასში — გადახდილი შრომა. პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რაც დახარჯულ ხელფასს წარმოადგენს, ე. ი. ხელფასს ანაზღაურებს და რაც ჩვენი ნაგულისხმევის მიხედვით, რომ კვლავწარმოება იმავე მასშტაბით მიმდინარეობს და იმავე პირობებში, ხელახლა ხელფასად იქცევა, — ეს ნაწილი უკუმოედინება უწინარეს ყოვლისა როგორც ცვალებადი კაპიტალი, როგორც კვლავწარმოებაზე ხელახლა ავანსად გასაღები კაპიტალის შემადგენელი ნაწილი. ეს შემადგენელი ნაწილი ორნაირად მოქმედებს. იგი პირველად კაპიტალის ფორმაში არსებობს და როგორც აეთი სამუშაო ძალაზე გაიცვლება. მუშის ხელში იგი იქცევა შემოსავლად, რომელსაც იგი თავისი სამუშაო ძალის გაყიდვიდანღებულობს, შემოსავლის სახით გაიცვლება საარსებო საშუალებებზე და მოიხმარება. ეს ორმაგი პროცესი ფულადი მიმოქცევის მეშვეობით ვლინდება. ცვალებადი კაპიტალი ფულის სახით ავანსად გაიღება, ხელფასის სახით გადაიხდება. ესაა მისი პირველი ფუნქცია როგორც კაპიტალისა. იგი სამუშაო ძალაზე გაიცვლება და გადაიქცევა ამ სამუშაო ძალის გამოვლინებად, შრომად. ესაა პროცესი კაპიტალისტიკისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ფულით მუშები ყიდულობენ თავიანთი საქონელ-პროდუქტის ნაწილს, რომელიც ამ ფულით იზომება, და მას ხმარობენ როგორც შემოსავალს. თუ ჩვენ ფულის მიმოქცევას ყურადღების გარეშე დავტოვებთ, მუშის პროდუქტის ნაწილი კაპიტალისტს აქვს არსებული კაპიტალის ფორმით. ამ ნაწილს იგი ავანსად გაიღებს როგორც კაპიტალს, მუშას აძლევს მას ახალი სამუშაო ძალისთვის, მაშინ როდესაც მუშა მას მოიხმარს როგორც შემოსავალს ან უშუალოდ, ანდა სხვა საქონელზე გაცვლის გზით. ამრიგად, პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რომელიც კვლავწარმოების დროს იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ხელფასად, მუშების შემოსავლად იქცეს, უწინარეს ყოვლისა კაპიტალის, ან უფრო სწორად რომ-ვთქვათ, ცვალებადი კაპიტალის ფორმით უკუმოედინება კაპიტალისტის ხელში. ის გარემოება, რომ იგი ამ ფორმით ბრუნდება, არსებითი პირობაა იმისათვის, რომ შრომა როგორც დაქირავებული შრომა, წარმოების საშუალება როგორც კაპიტალი და თვით წარმოების პროცესი როგორც კაპიტალისტური პროცესი მუდამ ახლად და ახლად იკვლავწარმოება.

საქმის ვითარება რომ უსარგებლო დაბრკოლებებით არ დავხლართოთ, საქირაო მთლიანი ამონაგები [Rohertrag] და წმინდა ამონაგები განვასხვაოთ მთლიანი შემოსავლისა და წმინდა შემოსავლისაგან.

მთლიანი ამონაგები ანუ ბრუტო პროდუქტი მთელი კვლავწარმოებული პროდუქტია. ძირითადი კაპიტალის ავანსებული, მაგრამ მოუხმარებელი ნაწილის გამოკლებით მთლიანი ამონაგების ანუ ბრუტო პროდუქტის ღირებულება უდრის წარმოებაში ავანსებული და მოხმარებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც მოგებად და რენტად ნაწილდება. ანდა თუ განვიხილავთ არა ცალკეული კაპიტალის, არამედ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის პროდუქტს, მთლიანი ამონაგები უდრის მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შემადგენელ ნივთიერ ელემენტებს პლუს ზედმეტი პროდუქტის ნივთიერი ელემენტები, რომლებშიაც მოგება და რენტაა წარმოდგენილი.

მთლიანი შემოსავალი არის ღირებულების ის ნაწილი და მისი ნეშვეობით გაზომილი ბრუტო-პროდუქტის ანუ მთლიანი პროდუქტის [Bruttoprodukts oder Rohprodukts] ის ნაწილი, რაც რჩება ღირებულების და მისი მეშვეობით გაზომილი მთელი წარმოების პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც ანაზღაურებს წარმოებაში ავანსებულ და მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს. მაშასადამე, მთლიანი შემოსავალი უდრის ხელფასს (ანუ პროდუქტის იმ ნაწილს, რომლის დანიშნულებაცაა ხელახლა მუშის შემოსავალი გახდეს) + მოგება + რენტა. პირიქით, წმინდა შემოსავალი არის ზედმეტი ღირებულება, და, მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტი, რომელიც ხელფასის გამოკლების შემდეგ რჩება; მაშასადამე, იგი სინამდვილეში წარმოდგენს კაპიტალის მიერ რეალიზებულ და მიწათმესაყუთრესთან გასაყოფ ზედმეტ ღირებულებას და ამ უკანასკნელით გაზომილ ზედმეტ პროდუქტს.

ჩვენ დავინახეთ, რომ ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულება და ყოველი ცალკეული კაპიტალის მთელი საქონელ-პროდუქტის ღირებულება ორ ნაწილად იყოფა: ერთი, მხოლოდ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, ხოლო მეორე, თუმცა მისი ნაწილი უკან ბრუნდება როგორც ცვალებადი კაპიტალი, მაშასადამე, უკან ბრუნდება აგრეთვე კაპიტალის ფორმაში, მაინც იმისთვისაა განკუთვნილი, რომ სავსებით გადაიქცეს მთლიან შემოსავლად და მიიღოს ხელფასის, მოგებისა და რენტის ფორმები, რომელთა ჯამი მთლიან შემოსავალს შეადგენს. შემდეგ, ჩვენ დავინახეთ, რომ იგივე ხდება საზოგადოების წლიური ერთობლივი პროდუქტის ღირებულების მიმართაც. ცალკეული კაპიტალისტი პროდუქტსა და საზოგადოების პროდუქტს შორის მხოლოდ შემდეგი განსხვავებაა: ცალკეული კაპიტალისტი თვალსაზრისით წმინდა შემოსავალი მთლიანი შემოსავლისაგან იმით განირჩევა. რომ

უკანასკნელი ხელფასს შეიცავს, პირველი კი მას გამორიცხავს. ✓თუ მთელი საზოგადოების შემოსავალს განვიხილავთ, ეროვნული შემოსავალი შედგება ხელფასისგან, პლუს მოგება, პლუს რენტა, ე. ი. მთლიანი შემოსავლისგან. მაგრამ ესეც აბსტრაქციას წარმოადგენს იმ აზრით, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მთელი საზოგადოება კაპიტალისტურ თვალსაზრისზე დგება და ამიტომ წმინდა შემოსავლად მხოლოდ იმ შემოსავალს თვლის, რომელიც მოგებად და რენტად იყოფა.

პირიქით, ფანტაზია, რომელიც, მაგალითად, ბ-ნ სეის ახასიათებს, თითქოს მთელი ამონაგები, მთელი ბრუტო-პროდუქტი ერისთვის წმინდა ამონაგებად იქცეოდეს და მისგან არ განსხვავდებოდეს, მაშასადამე, თითქოს ეს განსხვავება ეროვნული თვალსაზრისით ისპობოდეს, — ეს ფანტაზია იმ აბსურდული დოგმის აუცილებელი და უკიდურესი გამოხატულებაა მხოლოდ, რომელიც მთელ პოლიტიკურ ეკონომიაში წითელ ზოლადაა გავლებული ა. სმიტიდან დაწყებული და იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის ღირებულება საბოლოო ანგარიშში მთლიანად დაიყოფა შემდეგ შემოსავლად: ხელფასად, მოგებად და რენტად⁵¹.

რასაკვირველია, არაჩვეულებრივად ადვილია იმის გაგება, რომ როცა საქმე ცალკეულ კაპიტალისტს ეხება, მისი პროდუქტის ნაწილი ხელახლა კაპიტალად უნდა იქცეს (კვლავწარმოების გაფართოება ანუ დაგროვებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში), და ისიც არა მარტო მუდმივ კაპიტალად, რომლის დანიშნულებაა, თავის მხრივ, ხელახლა

⁵¹ რიკარდო შემდეგ მეტად საგულისხმო შენიშნავს აქეთებს სეის უაზრობის გამო: «წმინდა და მთლიან პროდუქტზე ბ-ნი სეი შემდეგს ამბობს: «მთელი წარმოებული ღირებულება მთლიანი პროდუქტია; ეს ღირებულება წარმოების ხარჯების გამოკლების შემდეგ წმინდა პროდუქტიაო» (ტ. II, გვ. 491). მაშასადამე, შეუძლებელია წმინდა პროდუქტი არსებობდეს, იმიტომ რომ წარმოების ხარჯები, ბ-ნ სეის მიხედვით, შედგება რენტისა, ხელფასისა და მოგებისაგან. 508 გვ. იგი ამბობს: «მაშასადამე, პროდუქტის ღირებულება, მწარმოებლური სამსახურის ღირებულება, წარმოების ხარჯების ღირებულება — ყველანი მსგავსი ღირებულებანია, თუკი საგნები მათს ბუნებრივ მიმდინარეობაზე არიან მიშვებული». მთელს რომ მთელი გამოეჯკლოთ, აღარაფერი დარჩება» (რიკარდო, «Principles», თავი XXII, გვ. 512. შენიშვნა). ესეცაა, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რიკარდოს არსად არ გაუბათილებია სმიტის მცდარი ანალიზი საქონლის ფასისა, ამ ფასის დაშლა შემოსავალთა ღირებულების ჯამად. იგი თავს არ იწუხებს ამ მცდარი ანალიზით და თავის გამოკვლევაში იმდენად მიიჩნევს მას სწორად, რამდენადაც «აბსტრაქტირებას ახდენს» საქონელთა ღირებულების მუდმივი ნაწილისაგან. დროგამოშვებით იგი თვით ემორჩილება წარმოდგენის ამავე წესის გაყენას.

გადაიქცეს მუშის შემოსავლად, ე. ი. შემოსავლის ფორმად, არამედ მუდმივ კაპიტალადაც, რომელიც ვერასოდეს ვერ გადაიქცევა შემოსავლად. კვლავწარმოების პროცესზე უადრესად ზერელე დაკვირვებაც კი ამას თვალსაჩინოდ ხდის. სიძნელე მხოლოდ მაშინ იწყება, როცა წარმოების პროცესი საერთოდ და მთლიანად განიხილება. პროდუქტის მთელი ნაწილის ღირებულება, რომელიც მოიხმარება როგორც შემოსავალი. ხელფასისა, მოგებისა და რენტის ფორმით (ამასთან საცვებით სულ ერთია, ინდივიდუალური მოხმარება იქნება ეს თუ მწარმოებლური), ანალიზის დროს მართლაც მთლიანად იფარება ღირებულების ჯამით, რომელიც შედგება ხელფასისგან პლუს მოგება, პლუს რენტა, ე. ი. სამი შემოსავლის მთელი ღირებულებით, თუმცა პროდუქტის ამ ნაწილის ღირებულება, სრულიად ისევე როგორც იმ ნაწილისა, რომელიც შემოსავალში არ შედის, შეიცავს ღირებულების ნაწილს C, რომელიც უდრის ამ ნაწილებში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, მაშასადამე, შეუძლებელია *prima facie* შემოსავლის ღირებულებით ამოიწურებოდეს. ეს გარემოება, რომელიც, ერთი მხრივ, პრაქტიკულად უდავო ფაქტია, მეორე მხრივ, ასევე უდავო თეორიული წინააღმდეგობაა, წარმოადგენს იმ სიძნელეს, რასაც ყველაზე იოლად თავს აღწევენ იმის მტკიცებით, რომ საქონელღირებულება, ცალკეული კაპიტალისთვის თვალსაზრისით მხოლოდ მოჩვენებითად შეიცავს შემოსავლის ფორმაში არსებულისაგან განსხვავებულ ღირებულების რაღაც სხვა ნაწილს. ფრაზა: «რაც ერთისთვის შემოსავალს წარმოადგენს, მეორისთვის კაპიტალს შეადგენსო», გვანთავისუფლებს ყოველივე შემდგომი დაფიქრებისაგან. როგორ შეიძლება ძველი კაპიტალი ანაზღაურდეს, თუ მთელი პროდუქტის ღირებულება უნდა მოხმარებულ იქნეს შემოსავლის სახით; როგორ შეიძლება ყოველი ინდივიდუალური კაპიტალის პროდუქტის ღირებულება უდრიდეს სამი შემოსავლის ღირებულების ჯამს პლუს C, — მუდმივი კაპიტალი, ხოლო ყველა კაპიტალების პროდუქტთა ღირებულების მთელი ჯამი უდრის სამი შემოსავლის ღირებულების ჯამს + O, — ყოველივე ეს, რასაკვირველია, მაშინ ამოუხსნელ გამოცანად გვეჩვენება და იმით უნდა აიხსნას, რომ ანალიზს საერთოდ არ ძალუძს ფასის მარტივი ელემენტები გამოარკვიოს და უნდა დაკმაყოფილდეს მოჩადობულ წრეში ტრიალითა და ამოცანის უსასრულობაში გადადებით. ამრიგად, რაც მუდმივ კაპიტალად გვევლინება, შეიძლება დაიშალოს ხელფასად, მოგებად და რენტად; ხოლო საქონელღირებულებანი, რომლებშიც წარმოდგენილია ხელფასი, მოგება და რენტა, თავის მხრივ,

განსაზღვრულია ხელფასით, მოგებით, რენტით, და ასე შემდეგ უსასრულობამდე⁵².

ძირშივე მცდარი დოგმა, თითქოს საქონლის ღირებულება საბოლოო ანგარიშში შეიძლება დაიშალოს ხელფასად + მოგება + რენტა, ისედაც გამოიხატება, თითქოს მომხმარებელმა საბოლოო ანგარიშში მთელი პროდუქტის მთელი ღირებულება უნდა გაისტუმროს; ანდა კიდევ — თითქოს ფულადი მიმოქცევა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის საბოლოო ანგარიშში უნდა უდრიდეს ფულად მიმოქცევას თვით მწარმოებლებს შორის (ტუჯი); ეს დებულება ისევე მცდარია, როგორც ის ძირითადი დებულება, რასაც ისინი ეყრდნობიან.

დაბრკოლებანი, რომელთაც ამ მცდარ და *prima facie* აბსურდულ ანალიზთან მივყევართ, მოკლედ შემდეგია:

1) გაგებული არაა ძირითადი ურთიერთობა მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის, მასასადამე, ზედმეტი ღირებულების ბუნებაც, ხოლო ამასთანავე კაპიტალისტური წარმოების წესის მთელი ბაზისიც. კაპიტალის ყოველი ცალკეული პროდუქტის, საქონლის ყოველი ერთეულის ღირებულება შეიცავს ღირებულების ნაწილს = მუდმივ კაპიტალს, ღირებულების ნაწილს = ცვალებად კაპიტალს (მუშების ხელფასად გადაქცეულს) და ღირებულების ნაწილს = ზედმეტ ღირებულებას (უფრო გვიან მოგებად და რენტად დაყოფილს). მასასადამე, როგორ შეიძლება, რომ მუშამ თავისი ხელფასით, კაპიტალისტმა თავისი მოგებით, მიწის მესაკუთრემ თავისი რენტით იყიდონ საქონ-

⁵² «ყოველ საზოგადოებაში თვითიველი საქონლის ფასი საბოლოო ანგარიშში დაიშლება ან ერთ, ან მეორე, ანდა სამივე ამ ნაწილად { ე. ი. ხელფასად, მოგებად, რენტად }... მეოთხე ნაწილი, შეიძლება ვივარაუდოთ, აუცილებელია ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად ან მუშა პირუტყვის და სხვა სამიწათმოქმედო იარაღის გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სამეურნეო იარაღის, მაგ., ცხენის, ფასი, თავის მხრივ, იმავე სამი ნაწილისაგან შედგება: იმ მიწის რენტისაგან, რომელზედაც იგი აღზრდილა, შრომისაგან, რომელიც მის მოვლასა და აღზრდაზე დახარჯულა, და იმ ფერმერის მოგებისაგან, რომელიც აენასად იძლევა მიწის რენტასაც და ხელფასსაც. ამიტომ თუმცა პურის ფასი დაფარავს როგორც ცხენის ფასს, ისე მისი შენახვის ფასს, მაინც მთელი ფასი ან უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშში იმავე სამ ნაწილად დაიშლება: რენტად, შრომად { უნდა ითქვას: ხელფასად } და მოგებად» (ა. სმიტი, ტ. I, თავი VI). ქვემოთ გამოვარკვეთ, რომ ა. სმიტი თვითვე გრძნობს თავისი ამ თავდაპირვანის მთელ წინააღმდეგობას და უქმარობას, იმიტომ რომ რა არის, თუ არა თავდაძვრენა, როცა ის პონტოელიდან პილატესთან გვაგზავნის, როცა არსად არ გვიჩვენებს ნამდვილ კაპიტალდამანდებას, რომლის დროსაც პროდუქტის ფასი *ultimately* [საბოლოო ანგარიშში], შემდგომი გადადების გარეშე უნაშთოდ დაიშლება ამ სამ ნაწილად.

ნელნი, რომელთაგანაც თვითეული შეიცავს არა მარტო ერთ ამ შემადგენელ ნაწილს, არამედ ყველა სამს, და როგორ შეიძლება ხელფასის, მოგებისა და რენტის, მაშასადამე, შემოსავლის სამივე წყაროს ღირებულების ჯამმა, ერთად აღებულმა, იყიდოს საქონელი, რომელიც შეადგენს ამ შემოსავლის მიმღებთა მთელ მოხმარებას, საქონელი, რომელიც შეიცავს ღირებულების კიდევ ერთ ზედმეტ შემადგენელ ნაწილს, სახელდობრ მუდმივ კაპიტალს? როგორ შეუძლიათ მათ იმ ღირებულებით, რაც სამ შემადგენელ ნაწილს შეიცავს, ისეთი ღირებულება იყიდონ, რაც ოთხ შემადგენელ ნაწილს შეიცავს? ⁵³

⁵³ პრუდონი ამ საკითხის გაგებაში ამჟღავნებს თავის უუნარობას, როცა იძლევა ფრანგულად: *l'ouvrier ne peut pas racheter son propre produit* [მუშას არ შეუძლია თავისი საკუთარი პროდუქტი გამოიყიდოს], იმით რომ პროდუქტი მოიპოვება სარგებელი, რომელიც ემატება *prix-de-revient*-ს [წარმოების ხარჯებს]. მაგრამ როგორ ასწავლის მას ჰქუას ბ-ნი ევენ ფორკადი? «პრუდონის მოსაზრება რომ სწორი ყოფილიყო, იგი შეეხებოდა არა მარტო *profits du capital*-ს [კაპიტალის მოგებას], არამედ მოსპობდა თვით მრეწველობის შესაძლებლობას. თუ მუშა იძულებულია 100 გადაიხადოს საგანში, რომელშიც მან მხოლოდ 80 მიიღო, თუ ხელფასს პროდუქტიდან მხოლოდ იმ ღირებულების ხელახლა ყიდვა შეუძლია, რაც მან მას (პროდუქტს) მიუმატა, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მუშას არაფრის გამოყიდვა არ შეუძლია, რომ ხელფასს არაფრის გადახდა არ შეუძლია. ნამდვილად წარმოების ხარჯები [*prix-de-revient*] ყოველთვის მეტს შეიცავს, ვიდრე მუშის ხელფასია, ხოლო გასაყიდი ფასი მეტს, ვიდრე მეწარმის მოგებაა, მაგალითად, ნელნი მასალის ფასს, რომელსაც ხშირად უცხოეთს უხდიაან... პრუდონმა დაივიწყა ეროვნული კაპიტალის შეუჩერებელი ზრდა; მან დაივიწყა, რომ ეს ზრდა ხდება ყველა მუშისათვის, როგორც საწარმოთა მუშებისათვის, ისე ხელოსნებისათვის» (*«Revue de deux Mondes»*, 1848, ტ. 24, გვ. 998). ჩვენ აქ გვაქვს ბურჟუაზიული უაზრობის ოპტიმიზმი მისი ყველაზე შესაბამისი სიბრძნის ფორმით. ჯერ ბ-ნი ფორკადი ფიქრობს, რომ მუშას არ შეეძლო ცხოვრება, თუ იმ ღირებულების გარდა, რასაც აწარმოებს, უფრო მაღალ ღირებულებას არ მიიღებდა მაშინ როცა, პირიქით, კაპიტალისტური წარმოების წესი შეუძლებელი იქნებოდა, თუ მუშა მართლაც მის მიერ წარმოებულ ღირებულებას მიიღებდა. შემდეგ კი იგი მართებულად განაზოგადებს იმ სიძნელეს, რომელიც პრუდონმა მხოლოდ შეზღუდული თვალსაზრისით გამოთქვა. საქონლის ფასი შეიცავს გადანამეტს არა მარტო ხელფასზე, არამედ მოგებაზეც, სახელდობრ შეიცავს ღირებულების მუდმივ ნაწილს. მაშასადამე, პრუდონის მსჯელობის მიხედვით, არც კაპიტალისტს შეუძლია თავისი მოგებით საქონლის ხელახლა ყიდვა. როგორღა ხსნის ფორკადი ამოცანას? უაზრო ფრაზით კაპიტალის ზრდაზე. მაშასადამე, კაპიტალის მუდმივი ზრდა, სხვათა შორის, იმითაც უნდა გამოიხატოს, რომ საქონლის ფასის ანალიზი, რომელიც ეკონომისტისათვის შეუძლებელია 100-ის ოდენობის კაპიტალის მიმართ, ზედმეტი ზედმა 10 000-ის ოდენობის კაპიტალის არსებობის დროს. რას ვიტყვოდით ქიმიკოსზე, რომელიც კითხვავს: რით აიხსნება, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი მეტი ნახშირბადაა, ვიდრე თვით ნიადაგშია, გვიპასუხებდა: ეს აიხსნება სამიწათმოქმედო წარმოების მუდმივი ზრდითო. კეთილგანზრდა-

ანალიზი მოცემულია II წიგნის III განყოფილებაში.

2) არაა გაგებულნი ის წესი, რომლის შემწეობით შრომა, უმატებს რა ახალ ღირებულებას, ძველ ღირებულებას ახალ ფორმაში ინარჩუნებს, ისე, რომ ამ უკანასკნელ ღირებულებას ახლად როდი აწარმოებს.

3) გაგებულნი არაა კვლავწარმოების პროცესის კავშირითიერთობა, როგორც იგი წარმოგვიდგება არა ცალკეული კაპიტალის, არამედ ერთობლივი კაპიტალის თვალსაზრისით; არაა გაგებულნი ის სიძნელე, თუ როგორ შეიძლება, რომ პროდუქტმა, რომელშიც ხორციელდება ზელფასი და ზედმეტი ღირებულება, ე. ი. წლის განმავლობაში მთელი ახლად მიმატებული შრომით შექმნილი მთელი ღირებულება, აანაზღაუროს თავისი ღირებულების მუდმივი ნაწილი და ამავე დროს მხოლოდ შემოსავალთაგან შემდგარ ღირებულებად გადაიქცეს; შემდეგ როგორ შეიძლება, რომ წარმოებაში მოხმარებული მუდმივი კაპიტალი ნივთიერად და თავისი ღირებულების მიხედვით ანაზღაურდეს ახლით, თუმცა ახლად მიმატებული შრომის მთელი ჯამი მხოლოდ ზელფასსა და ზედმეტ ღირებულებაში ხორციელდება და ამომწურავად გამოიხატება ორთავე ღირებულების ჯამით. მთავარი სიძნელე სწორედ კვლავწარმოებისა და მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ურთიერთობის ანალიზია, როგორც მათი ნივთიერი ხასიათის, ისე მათი ღირებულებრივი ურთიერთობის მხრივ.

4) მაგრამ აქ დაერთვის შემდგომი სიძნელე, რომელიც კიდევ უფრო მატულობს, როცა ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწილი დამოუკიდებელი შემოსავლის ფორმით გამოდის ერთიმეორის მიმართ. ეს სიძნელე ის არის, რომ შემოსავლის და კაპიტალის მტკიცე განსაზღვრებანი ურთიერთ იცვლებიან, ადგილს იცვლიან, ისე რომ მხოლოდ შეფარდებით განსაზღვრებებად გვეჩვენებიან ცალკეული კაპიტალისტის თვალსაზრისით, ხოლო თუ მთელ წარმოების პროცესს გადავაგვლებთ თვალს, ისინი ქრებიან. მაგალითად, მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი I კლასის მუშებისა და კაპიტალისტების შემოსავალი ანაზღაურებს ღირებულებისა და ნივთიერების მიხედვით მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი II კლასის კაპიტალისტების მუდმივ კაპიტალს. ამრიგად, შეიძლება სიძნელეს შემოვუაროთ იმ წარმოდგენის შემწეობით, რომ რაც ერთისათვის შემოსავალია, მეორისათვის კაპიტალია.

ხელ სურვილს, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში ყველა შესაძლო სამყაროდან საუკეთესო აღმოაჩინოს, ვულგარულ ეკონომიაში მსხვერპლად ეწირება კეშმარტიების სიყვარულისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი მისწრაფების აუცილებლობა.

ტალია, და ამიტომ ამ განსაზღვრებათ არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ საქონლის ღირებულების შემადგენელ ნაწილთა ნამდვილ განცალკევებასთან. შემდეგ, საქონელი, რომლის საბოლოო დანიშნულებაც ისაა, რომ შექმნას ნივთიერი ელემენტები, რაზედაც შემოსავალი იხარჯება, ე. ი. შექმნას მოხმარების საშუალებანი, წლის განმავლობაში სხვადასხვა საფეხურს გაივლის, მაგალითად, მატყლის ნართი, მალდი. ერთ საფეხურზე ეს საქონელი მუდმივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს, მეორეზე კი ინდივიდუალურ მოხმარებას ემსახურება, მაშასადამე, მთლიანად შედის შემოსავალში. მაშასადამე, შეიძლება ა. სმატთან ერთად წარმოვიდგინოთ, რომ მუდმივი კაპიტალი საქონლის ღირებულების მხოლოდ მოჩვენებითი ელემენტია, რომელიც საერთო კავშირურთიერთობაში ქრება. ასევე ხდება შემდეგ ცვალებადი კაპიტალის გაცვლა შემოსავალზე. მუშა თავისი ხელფასით ყიდულობს საქონლის ნაწილს, რომელიც მის შემოსავალს შეადგენს. ამით იგი იმავე დროს კაპიტალისტისთვის ცვალებადი კაპიტალის ფულად ფორმას ანაზღაურებს. ბოლოს, პროდუქტების ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს შეადგენს, ნაზღაურდება ან *in natura* [ნატურით], ან თვით ნუდმივი კაპიტალის მწარმოებლების მიერ გაცვლის გზით, — ესაა პროცესი, რომელთანაც მომხმარებლებს არაფერი აქვთ საერთო. თუ ეს გარემოება მხედველობიდან გავუშვით, შეიქმნება მცდარი წარმოდგენა, თითქოს მომხმარებელთა შემოსავალი მთელ პროდუქტს, მაშასადამე, ღირებულების მუდმივ ნაწილსაც ანაზღაურებდეს.

5) გარდა არევ-დარევისა, რასაც იწვევს ღირებულებათა გარდაქმნა წარმოების ფასებად, იქმნება მეორე არევ-დარევაც იმის გამო, რომ ზედმეტი ღირებულება იქცევა შემოსავლის სხვადასხვა სპეციფიკურ ფორმებად, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან ერთმეორის მიმართ და წარმოების სხვადასხვა ელემენტებს განეკუთვნებიან, ე. ი. მოგებად და რენტად იქცევა. ამასთან ივიწყებენ, რომ საქონელთა ღირებულებანი საფუძველს წარმოადგენენ, და რომ ამ საქონელღირებულების დაშლა სხვადასხვა შემადგენელ ნაწილად და ღირებულების ამ შემადგენელი ნაწილების შემდგომი განვითარება შემოსავლის ფორმებად, მათი გადაქცევა წარმოების სხვადასხვა ფაქტორების სხვადასხვა მფლობელების ურთიერთობად ღირებულების ამ ცალკეულ შემადგენელ ნაწილებთან, მათი განაწილება ამ მფლობელებს შორის განსაზღვრული კატეგორიებისა და ტიტულების მიხედვით, სრულიად არაფერს ცვლის თვით ამ ღირებულების განსაზღვრასა და მის კანონში. ასევე ნაკლებ იცვლება ღირებულების კანონი იმ გარემოებით, რომ მოგების გათანაბროლება, ე. ი. მთელი ზედმეტი ღირებულების განაწილება სხვადასხვა

კაპიტალებს შორის, და დაბრკოლებანი, რომელთაც ნაწილობრივ (აბსოლუტურ რენტაში) მიწათმფლობელობა ქმნის ამ გათანაბრების გზაზე, განაპირობებენ საქონელთა მარეგულირებელი საშუალო ფასების გადახრას მათი ინდივიდუალური ღირებულებიდან. ეს გავლენას ახდენს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების დამატებაზე სხვადასხვა საქონლის ფასებისადმი, მაგრამ როდი სპობს თვით ზედმეტ ღირებულებას და საქონელთა ერთობლივ ღირებულებას როგორც ფასის ამ სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის წყაროს.

აქ ჩვენს წინაშეა *quid pro quo* სარეგ-დარეგავ, რასაც შემდგომ თავში განვიხილავთ, და რაც აუცილებლად დაკავშირებულია ილუზიასთან, თითქოს ღირებულება თავისი საკუთარი შემადგენელი ნაწილები-საგან წარმოდგებოდეს. სახელდობრ, საქონლის ღირებულების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები შემოსავალში დამოუკიდებელ ფორმებს ღებულობენ და როგორც ასეთ შემოსავალთ მათ წარმოების ცალკეულ ნივთიერ ელემენტებს აკუთვნებენ, ნაცვლად იმისა, რომ მიაკუთვნონ საქონლის ღირებულებას, როგორც მათა წყაროს. ისინი ჰართლაც აღნიშნულ განსაკუთრებულ წყაროებს ეკუთვნიან, მაგრამ არა როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილები, არამედ როგორც შემოსავალნი, რომელნიც წარმოების აგენტთა ამ განსაზღვრულ კატეგორიებს ერგებათ: მუშას, კაპიტალისტს, მიწის მესაკუთრეს ამისდა მიუხედავად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილები საქონელღირებულების დაშლიდან კი არ წარმოდგებიან, არამედ, პირიქით, მას ისინი მხოლოდ თავიანთი შეერთებით ქმნიან; სწორედ აქ ვღებულობთ ვშვენიერ მოჯადოებულ წრეს: საქონელთა ღირებულება წარმოდგება ხელფასის, მოგების, რენტის ღირებულებათა ჯამიდან, ხოლო ხელფასის, მოგების, რენტის ღირებულება, თავის მხრივ, განისაზღვრება საქონელთა ღირებულებით და სხვ.⁵⁴

⁵⁴ ამასაღებსა, ნედლეულსა და მზა ფაბრიკატებზე დახარჯული საბრუნავი კაპიტალი თვით შედგება საქონელთაგან, რომელთა აუცილებელი ფასი იმავე ელემენტებისაგან შედგება, ასე რომ თუ საქონელთა ერთობლიობას განვიხილავთ ამა თუ იმ ქვეყანაში, მაშინ საბრუნავი კაპიტალის ჩაბრუნება აუცილებელი ფასის ელემენტებში ორჯერ აღრიცხვა იქნებოდა» (შტორხის «Cours d'Ec. pol.», II, გვ. 140) — საბრუნავი კაპიტალის ამ ელემენტების ცნებაში შტორხი გულისხმობს (ძირითადი მხოლოდ ფორმაცეკლივი საბრუნავია) ღირებულების მუდმივ ნაწილს. ამართალია, რომ მუშის ხელფასი, ისევე როგორც მეწარმის მოგების ნაწილი, რომელიც ხელფასისაგან შედგება, თუ მათ საარსებო საშუალებათა ნაწილის სახით განვიხილავთ, თავის მხრივ, საბაზრო ფასის მიხედვით ნაყიდი საქონლისაგან შედგება, რომელიც აგრეთვე ხელფასს, კაპიტალის რენტას, მიწის რენტას და მეწარმის მოგებას 31. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

თუ კვლავწარმოების ნორმალურ მდგომარეობას განვიხილავთ, მხოლოდ ახლად მიმატებული შრომის ნაწილი იხარჯება წარმოებაზე და, მათსადაამე. მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებაზე; სახელდობრ სწორედ ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს მოხმარების საშუალებების, შემოსავლის წივითიერი ელემენტების წარმოებაზე დახარჯულ მუდმივ კაპიტალს. ეს წონასწორდება იმით, რომ ეს მუდმივი ნაწილი II კლასს არავითარი დამატებითი შრომა არ უღირს. მაგრამ მუდმივი კაპიტალი, რომელიც (თუ განვიხილავთ მთელ კვლავწარმოების პროცესს, რაც მათსადაამე, I და II კლასის ზემოაღნიშნულ წონასწორობას გულისხმობს) არ წარმოადგენს ახლად მიმატებული შრომის პროდუქტს, თუცა უმისოდ შეუძლებელი იქნებოდა ამ პროდუქტების წარმოება, — ეს მუდმივი კაპიტალი კვლავწარმოების პროცესის დროს, ნივთიერად განხილული, ექვემდებარება შემთხვევითობასა და ხელათს, რასაც მისი შემციირება შეუძლია. (შემდეგ თუ მას ღირებულების თვალსაზრისით განვიხილავთ, ამ მხრივაც შეიძლება იგი გაუფასურდეს შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილების გამო;

შეიძვეს... ეს კონსტატაცია მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ შეუძლებელია აუცილებელი ფასი მის უმარტივეს ელემენტებად დაიშალოს» (იქვე, შენიშვნა). თავის «*Considérations sur la nature du revenu national*»-ში (Paris 1824) შტორხი სეისთან პოლემიკაში, მართალია, ხედავს მთელ უაზრობას, თუ სად მიყვყვართ საქონელის ღირებულების იმ მცდარ ანალიზს, რომელიც მას მხოლოდ შემოსავლებად ანაწილებს, და მართებულად აფასებს ამ დასკვნათა მთელ უაზრობას, — არა ცალკეული კაპიტალისტების, არამედ მთელი ერის თვალსაზრისით, — მაგრამ თვითონ ერთ ნაბიჯსაც არ დგამს წინ როცა ანალიზს უყეთებს *prix necessaire*-ს [აუცილებელ ფასს], რომლის შესახებაც იგი თავის «*Cours*»-ში აცხადებს, რომ შეუძლებელია მისი დაშლა მის ნამდვილ ელემენტებად, თუ, ყალბ პროფერსში, ამ ამოცანის გადაჭრას უსასრულობამდე არ გადავდებთ. «ცხადია, რომ წლიური პროდუქტის ღირებულება დიუყოფა ნაწილობრივ კაპიტალებად, ნაწილობრივ მოგებად, და რომ წლიური პროდუქტის თვითიული ეს ნაწილი რეგულარულად ყიდულობს პროდუქტებს, რომლებიც აუცილებელია ერისათვის როგორც მისი კაპიტალის შესანახად, ისე მისი სამომხმარებლო ფონდის გასაახლებლად» (გვ. 134, 135)... «შეუძლია თუ არა მას (თვითმომუშავე გლეხის ოჯახს) იცხოვროს თავის ბედლებსა და თავლებში, იყვებოს თავისი თესლითა და პირუტყვის საკვებით, შეიმოსოს თავის მუშა პირუტყვით, გაერთოს თავისი სამიწათმოქმედო იარაღებით? ბ-ნ სეის თეზისის მიხედვით, ყველა ამ კითხვაზე დადებითად უნდა გვეპასუხნა» (135, 136)... «თუ ვალიარებთ, რომ ერის შემოსავალი ბრუტო-პროდუქტს უღრის, ე. ი. რომ იქიდან არ გვიხდება კაპიტალის გამოკლება, მაშინ ამის აღიარებაც მოგვიხდება, რომ მის შეუძლია არამწარმოებლურად დახარჯოს თავისი წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულება, ისე რომ მცირედი ზიანიც არ მოიყენოს თავის მომავალ შემოსავალს» (147). «პროდუქტები, რომლებიც ერის კაპიტალს შეადგენენ, არ არიან დასახარჯავად განკუთვნილი» (გვ. 150).

მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ კაპიტალისტებზე ითქმის.) ამის შესაბამისად ნაწილი მოგებისა, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულებისა, და ამიტომ ზედმეტი პროდუქტისაც, რომლითაც (თუ მას ღირებულების თვალსაზრისით განვიხილავთ) მხოლოდ ახლად მიმატებული შრომა გამოიხატება, დაზღვევის ფონდის როლს ასრულებს. ამასთან საქმის ვითარება სრულიადაც არ იცვლება იმის გამო, ამ დასაზღვევ ფონდს დამზღვევი საზოგადოება მართავს როგორც ცალკეულ საწარმოს, თუ არა. ეს შემოსავლის ერთადერთი ნაწილია, რომელიც არც მოიხმარება როგორც ასეთი და არც აუცილებლად დაგროვების ფონდს წარმოადგენს. შემთხვევაზეა დამოკიდებული, დაგროვების ფონდის როლს ასრულებს იგი ფაქტიურად როგორც ასეთი, თუ მხოლოდ კლავწარმოების ხარვეზებს ფარავს. ეს აგრეთვე ზედმეტი ღირებულების და ზედმეტი პროდუქტის და, მაშასადამე, ზედმეტი შრომის ერთადერთი ნაწილია, რომელმაც იმ ნაწილის გვერდით, რაც დაგროვებას და, მაშასადამე, კლავწარმოების პროცესის გაფართოებას ემსახურება, კაპიტალისტური წარმოების წესის მოსაპობის შემდეგაც უნდა იარსებოს. რასაკვირველია, ეს გულისხმობს, რომ ის ნაწილი, რომელიც რეგულარულად მოიხმარება უშუალო მწარმოებლების მიერ, არ დარჩება თავისი დღევანდელი მინიმალური დონით შეზღუდული. გარდა ზედმეტი შრომისა იმათთვის, ვისაც თავიანთი ასაკის გამო ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ან უკვე აღარ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ წარმოებაში, მოისპობა ყოველი შრომა იმათ შესანახად, ვინც არ მუშაობს. თუ ჩვენს საზოგადოებას მის დასაწყის მომენტში წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ აქ ჯერ კიდევ არ არსებობს წარმოების წარმოებული საშუალებანი, მაშასადამე, არ არსებობს მუდმივი კაპიტალი, რომლის ღირებულება პროდუქტში შედის და რომელიც, როცა კლავწარმოება იმავე მასშტაბით მიმდინარეობს, უნდა ანაზღაურდეს *in natura* [ნატურით] პროდუქტიდან იმ ოდენობით, რაც მისი ღირებულებითაა განსაზღვრული. მაგრამ ბუნება აქ უშუალოდ იძლევა საარსებო საშუალებებს, რომელთა წარმოებაც საქირო არაა. ამიტომ იგი აძლევს ველურს, რომელსაც მეტად მცირე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უხდება, დროს არა იმისათვის, რომ მან ჯერ კიდევ წარმოების არარსებული საშუალებანი გამოიყენოს ახალი წარმოებისათვის, არამედ იმისათვის, რომ გარდა შრომისა, რაც ბუნებაში მოცემულ საარსებო საშუალებათა მითვისება ღირს, დახარჯოს შრომა, რათა ბუნების სხვა პროდუქტები გადააქციოს წარმოების საშუალებებად. მშვილდად, ქვის დანად, ნაგად და სხვ. ეს პროცესი. თუ მას მხოლოდ ნივთობრივი

თვალსაზრისით განვიხილავთ, ველურებს შორის სრულიად შეესაბამება ზედმეტი შრომის უკუგადაქცევას ახალ კაპიტალად. დაგროვების პროცესში შეუწყვეტილვ ხდება ნამეტი შრომის ასეთი პროდუქტის გადაქცევა კაპიტალად; და იმ გარემოებას, რომ ყოველი ახალი კაპიტალი მოგებს, რენტისა და შემოსავლის სხვა ფორმიდან, ე. ი. ზედმეტი შრომიდან წარმოდგება, მიყვება მცდარ წარმოდგენამდე, თითქოს საქონლის მთელ ღირებულებას შემოსავალი წარმოშობდეს. პირიქით. მოგების ეს უკუგადაქცევა კაპიტალად დაწვრილებითი განხილვისას გვიჩვენებს, რომ დამატებითი შრომა, რომელიც მუდამ შემოსავლის ფორმაში გამოდის, ემსახურება არა წინანდელი კაპიტალიზაციის შენარჩუნებას ან კვლავწარმოებას, არამედ — რამდენადაც იგი არ მოიხმარება როგორც შემოსავალი — ახალი დამატებითი კაპიტალის შექმნას.

მთელი სიძნელე იქიდან გამომდინარეობს, რომ მთელი ახლად მიმატებული შრომა, რამდენადაც მის მიერ შექმნილი ღირებულება ხელფასად არ გადაიქცევა, გვევლინება მოგების (რომელიც აქ გაგებულია როგორც ზედმეტი ღირებულების ფორმა საერთოდ) სახით, ე. ი. ღირებულების სახით, რომელიც არაფერი უღირდა კაპიტალისტს და რომელიც მას არაფერ ავანსებულს, არავითარ კაპიტალს არ აუნაზღაურებს. ამიტომ ეს ღირებულება არსებობს თავისუფალი, დამატებითი სიმდიდრის ფორმით ან, მოკლედ, ინდივიდუალური კაპიტალისტის თვალსაზრისით, მისი შემოსავლის ფორმით. მაგრამ ეს ახლად შექმნილი ღირებულება თანაბრად შეიძლება მოხმარებულ იქნეს როგორც მწარმოებლურად, ისე ინდივიდუალურად, როგორც კაპიტალის, ისე შემოსავლის სახით. იგი ნაწილობრივ უკვე თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით მწარმოებლურად უნდა იქნეს მოხმარებული. ამრიგად, ცხადია, რომ ყოველწლიურად მიმატებული შრომა ქმნის როგორც კაპიტალს, ისე შემოსავალს; ეს მყლავნდება კრდეც დაგროვების პროცესში. მაგრამ სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც მოიხმარება იმისათვის, რომ კაპიტალი ახლად აწარმოოს (მამასადავამე, ანალოგიით, სამუშაო ძლის ის ნაწილი, რომელსაც ველური ხმარობს არა იმისათვის, რომ საკვები მიითვისოს, არამედ იმისათვის, რომ მოამზადოს იარაღი, რომლითაც იგი საკვებს მიითვისებს), იმიტომ ხდება გამოუცნობელი, რომ დამატებითი შრომის მთელი პროდუქტი უწინარეს ყოველისა მოგების ფორმაში გამოდის, — ესაა განსაზღვრა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო თვით ამ ზედმეტ ღირებულებასთან, არამედ იგი ეხება მხოლოდ

კაპიტალისტის კერძო დამოკიდებულებას მის მიერ მიღებულ ზედმეტ ღირებულებასთან. სინამდვილეში მუშის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება ნაწილდება შემოსავლად და კაპიტალად, ე. ი. მოხმარების საშუალებად და დამატებით წარმოების საშუალებად. მაგრამ წინანდელი, წარსული წლიდან დარჩენილი მუდმივი კაპიტალი (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც დაზიანებულია, მამასადამე, *pro tanto* შესაბამისად) მოსპობილია, მამასადამე, რამდენადაც იგი არ საჭიროებს კვლავწარმოებას, — ხოლო ასეთი შეფერხებანი კვლავწარმოების პროცესში დაზღვევის სფეროს ეკუთვნიან), მისი ღირებულების მიხედვით განხილული, არ იკვლავწარმოება ახლად მიმატებული შრომის შემწეობით.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ახლად მიმატებული შრომის ნაწილი მუდმივ ინთქმება მოხმარებული მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და ანაზღაურების პროცესში, თუმცა ეს ახლად მიმატებული შრომა მხოლოდ სხვადასხვა შემოსავლად ნაწილდება: ხელფასად, მოგებად და რენტად. მაგრამ ამასთანავე არ ითვალისწინებენ, 1) რომ ამ შრომის პროდუქტის ღირებულების ნაწილი ამ ახლად მიმატებული შრომის პროდუქტი კი არ არის, არამედ უკვე არსებული და მოხმარებული მუდმივი კაპიტალია; რომ ამიტომ პროდუქტის ის ნაწილიც, რომლითაც ღირებულების ეს ნაწილი გამოიხატება, არ გადაიქცევა შემოსავლად, არამედ *in natura* ანაზღაურებს ამ მუდმივი კაპიტალის წარმოების საშუალებებს: 2) რომ ღირებულების ის ნაწილი, რასაც ეს ახლად მიმატებული შრომა ნამდვილად წარმოადგენს, არ მოიხმარება *in natura* როგორც შემოსავალი, არამედ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს სხვა სფეროში, სადაც იგი ისეთ ნატურალურ ფორმად იქცევა, რომელშიც შეიძლება მოხმარებულ იქნეს როგორც შემოსავალი, მაგრამ რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენს მარტოდენ ახლად მიმატებული შრომის პროდუქტს.

რამდენადაც კვლავწარმოება უცვლელი მასშტაბით მიმდინარეობს, მუდმივი კაპიტალის ყოველი მოხმარებული ელემენტი *in natura* უნდა ანაზღაურდეს შესაბამისი სახეობის ახალი ეგზემპლარით, რომელიც თუ იმავე რაოდენობისა და ფორმის არ იქნება, იმავე ქმედუნარიანობის მქონე მაინც უნდა იყოს. თუ შრომის ნაყოფიერება წინანდელი რჩება, ეს ანაზღაურება *in natura* გულისხმობს იმავე ღირებულების ანაზღაურებას, რომელიც მუდმივ კაპიტალს თავის წინანდელ ფორმაში ჰქონდა, ხოლო თუ შრომის ნაყოფიერება ისე პატულობს, რომ იმავე ნივთიერი ელემენტების კვლავწარმოება ნაკ-

ლები შრომით შეიძლება, მაშინ პროდუქტის ღირებულების ნაკლებ ნაწილს შეუძლია მუდმივი ნაწილი სავსებით ანაზღაუროს in natura. ასეთ შემთხვევაში ნამეტს შეუძლია ახალი დამატებითი კაპიტალის შექმნას ემსახუროს, ან შეიძლება პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს მოხმარების საშუალებათა ფორმა მიეცეს, ან კიდევ ზედმეტი შრომა შემცირდეს. პირიქით, თუ შრომის ნაყოფიერება შემცირდა, მაშინ წინანდელი კაპიტალის ასანაზღაურებლად პროდუქტის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება საჭირო; ზედმეტი პროდუქტი შემცირდება.

მოგების ან საერთოდ ზედმეტი ღირებულების რომელიმე ფორმის კაპიტალად უკუგადაქცევა გვიჩვენებს, — თუ ჩვენ მხედველობაში არ შევიღებთ ისტორიულად გარკვეულ ეკონომიურ ფორმას და ამ გარდაქმნას მხოლოდ მარტივად ახალ წარმოების საშუალებათა შექმნის თვალსაზრისით განვიხილავთ, — რომ ჯერ კიდევ გრძელდება ის მდგომარეობა, როცა მუშა, გარდა შრომისა, რაც საკუთრივ საარსებო საშუალებათა შესაძენად იხარჯება, ხარჯავს შრომას წარმოების საშუალებათა საწარმოებლად. მოგების გადაქცევა კაპიტალად ნიშნავს მხოლოდ ნამეტს შრომის ნაწილის გამოყენებას წარმოების ახალ, დამატებით საშუალებათა შესაქმნელად. ის გარემოება, რომ ეს ხდება მოგების კაპიტალად გადაქცევის ფორმაში, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ნამეტ შრომას მუშა კი არ განაგებს, არამედ კაპიტალისტი. ამ ნამეტმა შრომამ რომ თავდაპირველად ის სტადია უნდა გაიაროს, სადაც იგი შემოსავლად გამოდის (მაშინ როცა ველურ ადამიანებში იგი გამოდის როგორც ნამეტი შრომა, რომელიც უშუალოდ წარმოების საშუალებათა წარმოებისკენაა მიმართული), ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ შრომას ან მის პროდუქტს ითვისებს ის, ვინც არ მუშაობს. მაგრამ სინამდვილეში კაპიტალად მოგება როდი იქცევა როგორც ასეთი. ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ზედმეტ ღირებულებას და ზედმეტ პროდუქტს კაპიტალისტი არ მოიხმარს ინდივიდუალურად როგორც შემოსავალს. სინამდვილეში ასეთ გადაქცევას განიცდის ღირებულება, გასაგნობრივებული შრომა, ანუ პროდუქტი, რომლითაც ეს ღირებულება უშუალოდ გამოიხატება ან რომელზედაც იგი გაიცვლება წინასწარ ფულად გადაქცევის შემდეგ. მაშინაც, როცა მოგება კაპიტალად უკუგადაიქცევა, ახალი კაპიტალის წყაროს არ შეადგენს ზედმეტი ღირებულების ეს განსაზღვრული ფორმა, ეს მოგება. აქ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ ერთი ფორმიდან მეორე ფორმად გადაიქცევა.

მაგრამ მას კაპიტალად ეს ფორმაგარდაქმნა როდი ხდის. კაპიტალის სახით ამ მომენტიდან საქონელი და მისი ღირებულება მოქმედებს. მაგრამ იმ გარემოებას, რომ საქონლის ღირებულება გასტუმრებული არაა, — და მხოლოდ ამის მეოხებით იქცევა იგი ზედმეტ ღირებულებად, — არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შრომის გასაგნობრივებისათვის, თვით ღირებულებისათვის.

ვაუგებრობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. მაგალითად, იმით, რომ საქონელი, რისგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება, ხელფასის, მოგებისა და რენტის ელემენტებს შეიცავს; ან იმით, რომ რაც ერთისათვის შემოსავალს შეადგენს, მეორისათვის კაპიტალია, და ამიტომ ეს მხოლოდ სუბიექტური ურთიერთობაა. ასე, მრთველის ნართი შეიცავს ღირებულების ნაწილს, რაც მისთვის მოგებას წარმოადგენს. მაშასადამე, როცა მქსოველი ნართს ყიდულობს, იგი მრთველის მოგების რეალიზაციას ახდენს, თვით მისთვის კი ეს ნართი მხოლოდ მისი მუდმივი კაპიტალის ნაწილია.

გარდა იმისა, რაც უკვე წინათ ითქვა შემოსავლისა და კაპიტალის ურთიერთობაზე, აქ კიდევ შემდეგი უნდა აღინიშნოს: ის, რაც ღირებულების თვალსაზრისით ნართთან ერთად მრთველის კაპიტალში შედის როგორც შემადგენელი ნაწილი, სწორედ ნართის ღირებულებაა. თუ როგორ დაიყოფა ამ ღირებულების ნაწილები თვით მრთველისათვის კაპიტალად და შემოსავლად, სხვა სიტყვებით, გადახდილ და გადაუხდელ შრომად, ეს სულ ერთია თვით საქონლის ღირებულების განსაზღვრისათვის (თუ უგულებელვყოფთ საშუალო მოგების მიერ გაპირობებულ მოდიფიკაციას). მაგრამ აქ უკანა რიგში მუდამ იმალება წარმოდგენა, თითქოს მოგება, საერთოდ ზედმეტი ღირებულება, საქონლის ღირებულების ისეთ ნამეტს წარმოადგენდეს, რომელიც მხოლოდ წამატებით, ურთიერთ მოტყუებით, გასხვისების გზით მიღებული მოგებით იქმნებოდეს. რაკი წარმოების ფასის და თვით საქონლის ღირებულების გადახდა ხდება, რასაკვირველია, ხდება საქონლის ღირებულების იმ შემადგენელი ნაწილების გადახდაც, რომელნიც საქონლის გამყიდველს შემოსავლის ფორმაში წარმოუდგებიან. მონოპოლიურ ფასებზე აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არაა.

მეორე, საესებით მართებულია, რომ იმ საქონელთა შემადგენელი ნაწილები, რომელთაგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება, ყოველი სხვა საქონელის ღირებულების მსგავსად, დაიყვანება ღირებულების ნაწილებზე, რომელნიც წარმოების საშუალებათა მწარმოებლებისა და შესაკუთრებისთვის დაიშლებიან ხელფასად, მოგებად და რენტად.

ესაა მხოლოდ კაპიტალისტური ფორმა, რომლითაც ის ფაქტი გამოიხატება, რომ ყოველი საქონელდირებულება წარმოადგენს საქონელში მოქცეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის მხოლოდ საზომს. მაგრამ უკვე პირველ წიგნში აღვნიშნეთ, რომ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ყოველი კაპიტალის საქონელ-პროდუქტის დაშლას ცალკეულ ნაწილებად, რომელთაგანაც ერთი მარტოოდენ კაპიტალის მუდმივ ნაწილს წარმოადგენს, მეორე — კაპიტალის ცვალებად ნაწილს, ხოლო მესამე მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას.

შტორხი მრავალი სხვის აზრსაც გამოხატავს, როცა ამბობს: «გასაყიდი პროდუქტები, რომელნიც ეროვნულ შემოსავალს შეადგენენ, პოლიტიკურ ეკონომიაში ორი სხვადასხვა მეთოდით უნდა განვიხილოთ: ინდივიდის თვალსაზრისით როგორც ღირებულებანი და ერის თვალსაზრისით როგორც დოვლათი; იმიტომ რომ ერის შემოსავალი, შესაბამისად ინდივიდის შემოსავლისა, ღირებულების მიხედვით კი არ ვაიზომება, არამედ სარგებლიანობის მიხედვით და აგრეთვე იმ მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელთა დაკმაყოფილებაც მას შეუძლია» («Consid. sur le revenu national», გვ. 19).

ჯერ ერთი, სრულიად მცდარი აბსტრაქციაა, რომ ერი, რომლის წარმოების წესი ღირებულებაზეა დაფუძნებული, რომელიც შემდეგ კაპიტალისტურადაა ორგანიზებული, განვიხილოთ როგორც მთლიანი ორგანიზმი [Gesamtkörper], რომელიც მხოლოდ თავის ეროვნულ მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლად მუშაობს.

მეორე, კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობის შემდეგ, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების შენარჩუნებისას, ღირებულების განსაზღვრა გაბატონებული [vorherrschend] რჩება იმ აზრით, რომ სამუშაო დროის რეგულირება და საზოგადოებრივი შრომის განაწილება წარმოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ბოლოს, ყოველივე ამის ანგარიშწარმოება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ოდესმე იყო.

თავი ორმოცდამათე

კონსერვაციით შექმნილი მოჩვენებითობა

უკვე ნაჩვენები იყო, რომ საქონელთა ღირებულება, ანუ მათი ერთობლივი ღირებულებით რეგულირებული წარმოების ფასი, დაი-
ყოლა:

1) ღირებულების ნაწილად, რომელიც ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს, ე. ი. წარმოადგენს საქონლის დამზადების დროს წარმოე-
ბის საშუალებათა სახით მოხმარებულ წინანდელ შრომას; ერთი
სიტყვით, ღირებულებად ანუ ფასად, რომლითაც ეს წარმოების სა-
შუალებანი საქონლის წარმოების პროცესში შევიდნენ. ჩვენ აქ მუდამ
მხედველობაში გვაქვს არა ცალკეული საქონელი, არამედ საქონელ-
კაპიტალი, ე. ი. ფორმა, რომლითაც წარმოდგენილია კაპიტალის
აროდუქტი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მაგალითად წლიურად,
და რომლის მხოლოდ ერთ ელემენტს შეადგენს ცალკეული საქონელი,
ელემენტს, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ღირებულების მიხედ-
ვით, ანალოგიურად იმავე შემადგენელ ნაწილებად დააშლება.

2) ღირებულების ნაწილად, რაც შეადგენს ცვალებად კაპიტალს,
რომლითაც გაიზომება შემოსავალი მუშისა და ამ უკანასკნელისთვის
ხელფასად იქცევა, ხელფასად, რომელიც, მამასადაძვე, მუშამ კაპი-
ტალირებულების ამ ცვალებადი ნაწილის სახით აკვლავწარმოვა;
მოკლედ — ღირებულების ნაწილად, რომლითაც გამოიხატება საქონ-
ლის წარმოების დროს ღირებულების პირველი მუდმივი ნაწილი-
სადმი ახლად მიმატებული შრომის გადახდილი ნაწილი.

3) ზედმეტ ღირებულებად, ე. ი. საქონელ-პროდუქტის ღირებუ-
ლების ნაწილად, რომლითაც წარმოდგენილია გადაუხდელი შრომა,
ანუ ზედმეტი შრომა. ღირებულების ეს უკანასკნელი ნაწილი კვლავ
იღებს დამოუკიდებელ ფორმებს, რომლებიც ამავე დროს შემოსავლის
ფორმებია: ფორმები კაპიტალის მოგების (კაპიტალის როგორც ასე-

თის სარგებელი და კაპიტალის როგორც მოქმედი კაპიტალის სამეწარმეო შემოსავალი) და მიწის რენტისა, რომელიც წარმოების პროცესში მონაწილე (mitwirkenden) მიწის მესაკუთრეს ხვდება. 2) და 3) შემადგენელი ნაწილები, ე. ი. ღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მუდამ იღებს შემოსავლის ფორმას ხელფასის (ცხადია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან წინასწარ ცვალებადი კაპიტალის ფორმა გაიარა), მოგებისა და რენტის სახით, იმით განსხვავდება 1) მუდმივი შემადგენელი ნაწილისაგან, რომ მასში მოქცეულია მთელი ღირებულება, რაშიც საგნობრივდება ამ მუდმივი ნაწილისადმი. საქონლის წარმოების საშუალებებისადმი, ახლად მიმატებული შრომა. თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ღირებულების მუდმივ ნაწილს, ნაშინ სწორი იქნება იმის თქმა, რომ საქონლის ღირებულება, რაჟღერადაც იგი ამგვარად ახლად მიმატებულ შრომას წარმოადგენს, მუდამ დაიყოფა სამ ნაწილად, რომელნიც შემოსავლის სამ ფორმას შეადგენენ: ხელფასად, მოგებად და რენტად⁵⁵, თანაც ღირებულების შესაბამისი სიდიდენი, ე. ი. სათანადო ნაწილები, რომელთაც ეს სიდიდენი ერთობლივი ღირებულებიდან შეადგენენ, განისაზღვრებიან სხვადასხვა, თავისებური, ზემოთ განხილული კანონებით. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, თუ პირიქით ვიტყვოდით: ხელფასის ღირებულება, მოგების ნორმა და რენტის ნორმა წარმოადგენენ ღირებულებას ჩამომყალიბებელ ელემენტებს, რომელთა შეერთებიდან, მხედ-

⁵⁵ მუდმივი კაპიტალის ნაწილისადმი მიმატებული ღირებულების დაშლისას ხელფასად, მოგებად და მიწის რენტად თავისთავად ცხადია, რომ ეს ღირებულების ნაწილებია. ისინი, რასაკვირველია, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უშუალო პროდუქტში არსებული ნაწილები, რომლითაც ეს ღირებულება გამოიხატება, ე. ი. უშუალო პროდუქტში, რომელიც ერთი განსაკუთრებული დარგის, მაგალითად, ბამბის სართავის მუშებმა და კაპიტალისტებმა აწარმოეს, გამოიხატება, მაშასადამე, ნართით. მაგრამ ნამდვილად ისინი ამ პროდუქტით ისევე გამოიხატებიან, როგორც ასეთივე ღირებულების სხვა რომელიმე საქონლით, ნივთიერი სიმდიდრის სხვა რომელიმე შემადგენელი ნაწილით. პრაქტიკაში ხომ ხელფასს ისტუმრებენ ფულით, მაშასადამე ღირებულების წმინდა გამოხატულებით; ასევე ითქმის სარგებლისა და რენტის შესახებაც. მართლაც, კაპიტალისტისთვის მეტად მნიშვნელოვანია მისი პროდუქტების გადაქცევა ღირებულების წმინდა გამოხატულებად; თვით განაწილების დროს იგი უკვე იგულისხმება. უკუგადაიქცევიან თუ არა ეს ღირებულებანი იმავე პროდუქტად, იმავე საქონლად, რომლის წარმოებიდან ისინი წარმოიშვნენ, ყიდულობს მუშა მის მიერ უშუალოდ წარმოებულ პროდუქტის ნაწილს თუ სხვისი და თვისებრივად განსხვავებული [andersgearteter] შრომი: პროდუქტს, — ყოველივე ამას ჩვენს საგანთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ბატონ როდბერტუსს თვგამოდება ამ საკითხის ირგვლივ სრულიად ამაოა.

ველობის გარეშე რომ დავტოვოთ მუდმივი შემადგენელი ნაწილი, წარმოდგება საქონლის ღირებულება; ერთი სიტყვით, სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ისინი წარმოდგენენ საქონლის ღირებულების ან წარმოების ფასის შესაკრებ შემადგენელ ნაწილებს⁵⁶.

თუ რაშია განსხვავება, ახლაც დავინახავთ.

დავუშვათ, რომ კაპიტალი უდრის 500 და მისი პროდუქტის ღირებულება = $400c + 100v + 150m = 650$; შემდეგ, რომ ეს 150*m* ნაწილდება 75 მოგებად + 75 რენტად. დავუშვათ შევძევ, ზედმეტი სიძნელეების თავიდან ასაცილებლად, რომ ეს კაპიტალი საშუალო შედგენილობისაა, ასე რომ მისი წარმოების ფასი მის ღირებულებას ემთხვევა; ამ დამთხვევას მუდამ ექნება ადგილი, რაკი ამ ცალკეული კაპიტალის პროდუქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი სიდიდის შესაბამისი ერთობლივი კაპიტალის ნაწილის პროდუქტი.

აქ ხელფასი, რომელიც ცვალებადი კაპიტალით გააზომება, შეადგენს ავანსებული კაპიტალის — 20%-ს; მთელ კაპიტალზე გამოანგარიშებული ზედმეტი ღირებულება — 30%-ს, სახელდობრ 15% მოგებას და 15% რენტას. საქონლის ღირებულების მთელი შემადგენელი ნაწილი, რომელშიაც გასაგნობრივებულია ახლად მიმატებული შრომა, უდრის $100v + 150m = 250$. მისი სიდიდე არაა დამოკიდებული მის დაშლაზე ხელფასად, მოგებად და რენტად. ამ ნაწილების თანაფარდობა გვიჩვენებს, რომ სამუშაო ძალამ, რომელიც გადახდილია ფულად 100-თ, ვთქვათ 100 გირვანქა სტერლინგით, მოგვცა შრომის რაოდენობა, რომელიც გამოიხატება 250 გირვანქა სტერლინგის ფულადი რაოდენობით. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მუშამ ზედმეტი შრომა $1\frac{1}{2}$ -ჯერ იმაზე მეტი შეასრულა, ვიდრე თავისთვის შრომა დახარჯა. თუ სამუშაო დღე = 10 საათს, მაშინ მას 4 საათი თავისთვის უმუშავნია და 6 კაპიტალისთვისათვის. ამიტომ 100 გირვანქა სტერლინგით გადახდილი მუშის შრომა, გამოიხატება 250 გირვანქა სტერლინგის ფულადი ღირებულებით. გარდა ამ 250 გირვ. სტერლ. ღირებულებისა არაფერია გასაყოფი მუშასა და კაპიტალის შორის, კაპი-

⁵⁶ «საკმარისია შევნიშნოთ, რომ იგივე საერთო წესი, რაც ნედლი მასალისა და მანუფაქტურული საქონლის ღირებულებას არეკვლირებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლითონების მიმართაც; მათი ღირებულება დამოკიდებულია არა მოგების ნორმაზე, არა ხელფასის ნორმაზე, არა რენტაზე, რასაც მალარობისათვის იხდიან, არამედ შრომის მთელ რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია ლითონის ამოსაღებად და ბზარზე გასატანად» (რიკარდო: «Principles» თავი III, გვ. 77).

ტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. ეს არის მთელი ღირებულება. რაც ახლად მიემატა წარმოების საშუალებათა ღირებულებას, რომელიც 400-ს უდრის. ამიტომ ამგვარად წარმოებული და მასში გასაჯნობრივებული შრომის რაოდენობით განსაზღვრული საქონელ-ღირებულება 250-ის ოდენობით ქმნის საზღვარს იმ დივიდენდებისათვის, რაც მუშას, კაპიტალისტს და მიწის მესაკუთრეს შეუძლიათ მიიღონ ამ ღირებულებიდან შემოსავლის ფორმით, ე. ი. ხელფასის, მოგებისა და რენტის ფორმით.

დავუშვათ, რომ ისეთივე ორგანული შედგენილობის კაპიტალი, ე. ი. ისეთივე შეფარდებით გამოყენებულ ცოცხალ სამუშაო ძალასა და მოძრაობაში მოყვანილ მუდმივ კაპიტალს შორის. იძულებულია. იმავე სამუშაო ძალისთვის, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მუდმივი კაპიტალი 400, გადაიხადოს 150 გირვანქა სტერლინგი ნაცვლად 100-სა; დავუშვათ შემდეგ, რომ ზედმეტი ღირებულება ავრეთვე სხვანაირი შეფარდებით ნაწილდება მოგებად და რენტად. რადგან ნაგულისხმევია, რომ 150 გირვანქა სტერლინგ ცვალებად კაპიტალს ისეთივე შრომის მასა მოჰყავს მოძრაობაში, როგორც წინათ მოჰყავდა 100 კაპიტალს, ახლად წარმოებული ღირებულება კვლავ 250 უდრის და მთელი პროდუქტის ღირებულება კვლავ 650 უდრის, მაგრამ ჩვენ ახლა გვექნებოდა: $400c + 150v + 100m$; და ეს $100m$ დაიშლება, ვთქვათ, 45 მოგებად + 55 რენტად. პროპორცია, რომლის მიხედვით ახლად წარმოებული მთელი ღირებულება ხელფასად, მოგებად და რენტად დანაწილდება, სრულიად სხვანაირი იქნებოდა; ასევე სხვანაირი იქნებოდა ავანსებული მთელი კაპიტალის სიდიდეც, თუმცა მას შრომის იგივე მთელი მასა მოჰყავს მოძრაობაში. ავანსებული კაპიტალის მიმართ ხელფასი შეადგენს $27\frac{3}{11}\%$, მოგება — $8\frac{2}{11}\%$, რენტა 10%; მამასადამე, მთელი ზედმეტი ღირებულება 18%-ზე ცოტა მეტია.

ხელფასის გადიდების შედეგად შეიცვლებოდა მთელი შრომის გადაუხდელი ნაწილი და ამით ზედმეტი ღირებულებაც. ათი საათის სამუშაო დღის არსებობისას მუშა 6 საათს იმუშავებდა თავისთვის და მხოლოდ ოთხ საათს — კაპიტალისტისათვის. შეიცვლებოდა ავრეთვე შეფარდება მოგებასა და რენტას შორის; შემცირებული ზედმეტი ღირებულება შეცვლილი პროპორციით განაწილდებოდა კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. დასასრულ, რადგან მუდმივი კაპიტალის ღირებულება უცვლელი დარჩა, და ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება კი გადიდდა, შემცირებულ ზედმეტი ღირებულება გამოხატულ იქნებოდა კიდევ უფრო მეტად

შემცირებული მთლიანი მოგების ნორმით [Bruttoprofitratel], რომელშიაც ჩვენ აქ ვგულისხმობთ მთელი ზედმეტი ღირებულების შეფარდებას მთელ ავანსებულ კაპიტალთან.

ცვლილება ხელფასის ღირებულებაში, მოგების ნორმასა და რენტის ნორმაში, როგორც არ უნდა იყოს ამ ნაწილების თანაფარდობის მარეგულირებელი კანონების მოქმედება, შეიძლება მოძრაობდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელთაც განსაზღვრავს ახლად შექმნილი საქონელღირებულება = 250. გამონაკლისს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ რენტა მონოპოლიურ ფასსზე იქნებოდა დამყარებული. ეს არაფერს შეცვლიდა კანონში, მხოლოდ გაართულებდა გამოკვლევას. ეს იმიტომ, რომ თუ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ თვით პროდუქტს განვიხილავდით, მაშინ მხოლოდ ზედმეტი ღირებულების განაწილება იქნებოდა სხვანაირი; ხოლო თუ ამ პროდუქტის შეფარდებითს ღირებულებას განვიხილავდით სხვა საქონელთან შედარებით, მაშინ მხოლოდ იმ განსხვავებას აღმოვაჩენდით, რომ სხვა საქონელთა ზედმეტი ღირებულების ნაწილი ამ სპეციფიკურ საქონელზე იქნებოდა გადატანილი.

მოკლედ გავიმეოროთ:

პროდუქტის ღირებულება	ახალი ღირებულება	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მთლიანი მოგების ნორმა
პირველი შემთხვევა: $400_c + 100_r + 150_m = 650$	250	150%	30%
მეორე შემთხვევა: $400_c + 150_r + 100_m = 650$	250	66 $\frac{2}{3}$ %	18 $\frac{2}{11}$ %

უწინარეს ყოვლისა ზედმეტი ღირებულება თავისი წინანდელი სიდიდის ერთი მესამედით შემცირდა, 150-დან 100-ზე დავიდა. მოგების ნორმამ ერთ მესამედზე ცოტა უფრო მეტით დაიწია, 30%-დან 18%-მდე, რადგან შემცირებული ზედმეტი ღირებულება ახლა გადიდებულ მთელ ავანსებულ კაპიტალზე გამოიანგარიშება. მაგრამ მას სულაც არ დაუწევია იმ შეფარდებით, რითაც ზედმეტი ღირებულების ნორმამ დაიწია. ამ უკანასკნელმა დაიწია $\frac{150}{100}$ -დან $\frac{100}{100}$ -მდე, 150%-დან 66 $\frac{2}{3}$ %-მდე, მაშინ როდესაც მოგების ნორმამ დაიწია მხოლოდ $\frac{150}{500}$ -დან $\frac{100}{150}$ -მდე, ანუ 30%-დან 18 $\frac{2}{11}$ %-მდე. ამრიგად, მოგების ნორმა შეფარდებით უფრო მეტად ეცემა. ვიდრე ზედმეტი ღირებულების მასა, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ზედმეტი ღირებულებ-

ბის ნორმა. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ პროდუქტების როგორც ღირებულება, ისე მასა იგივე რჩება, თუ, როგორც წინათ, ისე ახლაც ისეთივე შრომის მასაა გამოყენებული, თუმცა ავანსებული კაპიტალი გადიდდა მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის გადიდების გამო. ავანსებული კაპიტალის ეს გადიდება, რა თქმა უნდა, მეტად საგრძნობი იქნებოდა კაპიტალისტისათვის, რომელიც ახალ საქმეს წამოიწყებდა. მაგრამ მთელი კვლავწარმოების თვალსაზრისით ცვალებადი კაპიტალის გადიდება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ახლად მიმატებული შრომის მიერ ახლადშექმნილი ღირებულების უფრო დიდი ნაწილი გადაიწვევა ხელფასად და, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ცვალებად კაპიტალად, ნაცვლად იმისა, რომ გადაიქცეს ზედმეტ ღირებულებად და ზედმეტ პროდუქტად. მაშასადამე, პროდუქტის ღირებულება იგივე რჩება, რადგან იგი შემოფარგლულია, ერთი მხრივ, მუდმივი კაპიტალ-ღირებულებით = 400, მეორე მხრივ, რიცხვით 250-თ, რომლითაც განიხატულია ახლად მიმატებული შრომა. მაგრამ ორივე ეს ოდენობა უცვლელი დარჩა. ეს პროდუქტი, რამდენადაც თვით იგი ხელახლა შევიდოდა მუდმივ კაპიტალში, იმავე ღირებულების სიდიდეში კვლავ სახმარი ღირებულების იმდენსავე მასას განახორციელებდა; მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის ელემენტების იგივე მასა იმავე ღირებულებას შეინარჩუნებდა. სხვანაირად იქნებოდა საქმე, თუ ხელფასი აიწვედა არა იმიტომ, რომ მუშამ თავისი საკუთარი შრომის უფრო დიდი ნაწილი აიღო, არამედ თუ იგი თავისი საკუთარი შრომის უფრო დიდ ნაწილს იმიტომ მიიღებდა, რომ შრომის ნაყოფიერება დაიკლებდა. ამ შენითხვევაში მთელი ღირებულება, რომლითაც იგივე შრომა, გადახდილი და გადაუხდელი, გამოიხატება, უცვლელი დარჩებოდა; მაგრამ პროდუქტის მასა, რომლითაც შრომის ეს რაოდენობა გამოიხატება, დაიკლებდა, მაშასადამე, პროდუქტის ყოველი შესაბამისი ნაწილის ფასი აიწვედა, რადგან ყოველი ასეთი ნაწილი მეტი შრომის გამოიხატველი იქნებოდა. გადიდებული ხელფასი 150 უფრო მეტ პროდუქტს არ გამოიხატავდა, ვიდრე წინანდელი 100; შემცირებული ზედმეტი ღირებულება = 100 გამოიხატავდა წინანდელი პროდუქტის მხოლოდ $\frac{2}{3}$, იმ სახმარ ღირებულებათა მასის $66\frac{2}{3}\%$ -ს, რომელთაც წინათ 100 წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში მუდმივი კაპიტალიც გაძვირდებოდა, რამდენადაც მასში ეს პროდუქტი შევიდოდა. ეს იქნებოდა არა ხელფასის გადიდებით შედეგი, არამედ ხელფასის გადიდება იქნებოდა საქონლის გაძვირებისა და იმავე რაოდენობის შრომის ნაყოფიერების შემცირების შედეგი. აქ იქმნება ილუზია,

თითქოს ხელფასის გადიდებას პროდუქტი გაეძვირებოდა; მაგრამ აქ ეს გადიდება მიზეზი კი არ არის, არამედ შრომის ნაყოფიერების დაცემით გამოწვეული საქონლის ღირებულების ცვლილების შედეგია.

თუ, პირიქით, სხვა პირობების უცვლელიობისას, — ე. ი. როცა, გამოყენებული შრომის რაოდენობა ახლაც, როგორც წინათ, 250-ით იქნებოდა გამოხატული, — თუ გამოყენებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება იწვევდა ან დაეცემოდა, მაშინ იმავე პროდუქტთა მასის ღირებულებაც იმავე ოდენობით იწვევდა ან დაეცემოდა. $450c + 100v + 150m$ იძლევა პროდუქტის ღირებულებას = 700; მაშინ როდესაც $350c + 100v + 150m$ ისეთივე პროდუქტთა მასის ღირებულებისათვის იძლევა მხოლოდ 600, წინანდელი 650-ს ნაცვლად. მაშასადამე, თუ მატულობს ან კლებულობს ავანსებული კაპიტალი, რომელიც იმავე შრომის რაოდენობას მოჰყავს მოძრაობაში, მაშინ, სხვა პირობების უცვლელიობისას, მატულობს ან კლებულობს პროდუქტის ღირებულებაც, რაკი ავანსებული კაპიტალის მატება ან კლება ზდება კაპიტალის მუდმივი ნაწილის ღირებულების სიდიდის ცვლილების გამო. პირიქით, იგი არ იცვლება, თუ ავანსებული კაპიტალის მატება ან კლება გამოწვეულია კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ღირებულების სიდიდის ცვლილებით, ხოლო შრომის ნაყოფიერება კი უცვლელი რჩება. მუდმივი კაპიტალის მატება ან კლება არ კომპენსირდება არავითარი საპირისპირო მოძრაობით. ცვალებადი კაპიტალის მატება ან კლება კი შრომის ნაყოფიერების უცვლელიობისას კომპენსირებულია საპირისპირო მოძრაობით ზედმეტი ღირებულების მხარეზე, ასე რომ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება, ე. ი. წარმოების საშუალებებისადმი შრომის მიერ ახლად მიმატებული და პროდუქტში ახლად შექმნილი ღირებულება უცვლელი რჩება.

პირიქით, თუ ცვალებადი კაპიტალის ანუ ხელფასის ღირებულების მატება ან კლება საქონელთა გაძვირების ან ფასდაცემის შედეგია, ე. ი. გამოწვეულია ამ კაპიტალდაბანდებაში გამოყენებული შრომის ნაყოფიერების დაკლებით ან მატებით, მაშინ ეს გავლენას ახდენს პროდუქტის ღირებულებაზე, მაგრამ ხელფასის მატება ან კლება აქ მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგია მხოლოდ.

პირიქით, თუ ზემოდანახელებულ მაგალითში, მუდმივი კაპიტალის უცვლელიობისას = $400c$, $100v + 150m$ -ის ცვლილება $150v + 100m$ -ად. ე. ი. ცვალებადი კაპიტალის მატება შედეგი იქნებოდა შრომის ნაყოფიერების მატებისა არა ამ განსაკუთრებულ დარგში, მაგალითად,

ბამბის რთვაში, არამედ, ვთქვათ, მიწათმოქმედებაში, რომელიც მუშას საკვებ მასალას აწვდის, მაშასადამე, ამ საკვები მასალის გაძვირების შედეგი იქნებოდა, მაშინ პროდუქტის ღირებულება უცვლელი დარჩებოდა. ღირებულება, რომელიც 650 უდრის, ახლაც ისევე, როგორც წინათ, ბამბის ნართის იმავე მასით იქნებოდა გამოხატული.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს აგრეთვე შემდეგი: თუ ეკონომის და სხვ. გამო მუდმივი კაპიტალის ხარჯვა მცირდება წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტები მუშის მოხმარებაში შედიან, ამას შეეძლო. ისე როგორც თვით გამოყენებული შრომის ნაყოფიერების უშუალო გადიდებას, გამოეწვია ხელფასის შემცირება, რადგანაც მუშის სააპსებო საშუალებათა გაიაფებას იწვევს, და ამიტომ შეეძლო გამოეწვია ზედმეტი ღირებულების გადიდება; ასე რომ მოგების ნორმა გადიდებოდა აქ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება მცირდება და, მეორე, იმიტომ რომ ზედმეტი ღირებულება მატულობს. როცა ზედმეტი ღირებულების მოგებად გადაქცევას განვიხილავდით, ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ხელფასი კი არ კლებულობს, არამედ უცვლელი რჩება, იმიტომ რომ ჩვენ იქ უნდა გამოგვეკვლია მოგების ნორმის რყევა ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილებათაგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, იქ განხილული კანონები ზოგადი ხასიათისაა და ძალაში რჩება იმ კაპიტალდაბანდებათა მიმართაც, რომელთა პროდუქტები არ შედიან მუშის მოხმარებაში, რომელთა პროდუქტის ღირებულების ცვლილება, მაშასადამე, გავლენას არ ახდენს ხელფასზე.

მაშასადამე, ყოველწლიურად ახლად გამოყენებული შრომის მიერ წარმოების საშუალებებისადმი ანუ კაპიტალის მუდმივი ნაწილისადმი ახლად მიმატებული ღირებულების გამოცალკევება და დაშლა შემოსავლის სხვადასხვა ფორმებად: ხელფასად, მოგებად და რენტად, სრულიად არ ცვლის თვით ღირებულების ფარგლებს, იმ ღირებულების ჯამის ფარგლებს, რომელიც ამ სხვადასხვა კატეგორიებს შორის ნაწილდება; ისევე, როგორც ამ ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთთან შეფარდების ცვლილება ვერ შეცვლის მათს ჯამს, ღირებულების ამ მოცემულ სიდიდეს. მოცემული რიცხვი 100 მუდამ იგივე დარჩება, დავშლით ჩვენ მას 50 + 50-ად, თუ 20 + 70 + 10-ად, თუ 40 + 30 + 30-ად. პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რაც ამ შემოსავლად ნაწილდება, განსაზღვრულია, სრულიად ისე როგორც კაპიტალის ღირებულების მუდმივი ნაწილი, საქონელთა ღირებულებით, ე. ი.

მათში ყოველთვის გასაგნობრივებული შრომის რაოდენობით. მაშასადამე, ჯერ ერთი, მოცემულია საქონელთა ღირებულებების მასა, რომელიც ნაწილდება ხელფასად, მოგებად და რენტად; მოცემულია, მაშასადამე, ამ საქონელთა ცალკეული ნაწილების ღირებულების ჯამის აბსოლუტური საზღვარი. მეორე, რაც შეეხება თვით ამ ცალკეულ კატეგორიებს, აგრეთვე მოცემულია მათი საშუალო და მარეგულირებელი საზღვრები. მათი ასეთი ზღვარდების ბაზისს ქმნის ხელფასი. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, ბუნებრივი კანონით რეგულირდება; მისი მინიმალური საზღვარი მოცემულია საარსებო საშუალებათა იმ ფიზიკური მინიმუმით, რაც აუცილებლად უნდა მიიღოს მუშამ თავისი სამუშაო ძალის შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის, მაშასადამე, მოცემულია საქონელთა განსაზღვრული რაოდენობით. ამ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათი კვლავწარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროით, მაშასადამე, წარმოების საშუალებებისადმი იმ ახლად მიმატებული შრომის ნაწილით, ანუ აგრეთვე ყოველი სამუშაო დღის იმ ნაწილით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მუშამ შეძლოს ამ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულების ეკვივალენტის წარმოება და კვლავწარმოება. თუ, მაგალითად, მისი საშუალო დღიური საარსებო საშუალებანი თავისი ღირებულებით უდრის საშუალო შრომის 6 საათს, მაშინ მან საშუალოდ თავისი დღიური შრომის 6 საათი თავისთვის უნდა იმუშაოს. მისი სამუშაო ძალის ნამდვილი ღირებულება გადიხრება ხოლმე ამ ფიზიკური მინიმუმიდან; იგი სხვადასხვანაირია ჰავისა და საზოგადოებრივი განვითარების დონის მიხედვით; იგი დამოკიდებულია არა მარტო ფიზიკურ, არამედ აგრეთვე ისტორიულად განვითარებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე, რაც მის მეორე ბუნებად იქცევა. მაგრამ ყოველ ქვეყანაში მოცემული პერიოდისათვის ეს მარეგულირებელი საშუალო ხელფასი მოცემულ სიდიდეს წარმოადგენს. ყველა დანარჩენი შემოსავლის ღირებულებას ამგვარად გარკვეული საზღვარი აქვს. ეს ღირებულება მუდამ უდრის ღირებულებას, რომელშიაც განხორციელებულია მთელი სამუშაო დღე (იგი აქ ემთხვევა საშუალო დღეს; რადგან იგი მოიცავს მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ ამოძრავებულ მთელი შრომის მასას), მინუს მისი ის ნაწილი, რომელიც ხელფასშია განხორციელებული. მაშასადამე, მისი საზღვარი მოცემულია იმ ღირებულების საზღვრით, რომლითაც გამოიხატება გადაუხდელი შრომა, ე. ი. მოცემულია ამ გადაუხდელი შრომის რაოდენობით. თუ სამუშაო დღის ის ნაწილი, რასაც მუშა თავისი

ხელფასის ღირებულების კვლავწარმოებისათვის საქიროებს, მისი ხელფასის ფიზიკურ მინიმუმში პოულობს თავის უკანასკნელ საზღვარს, მაშინ სამუშაო დღის მეორე ნაწილი, რომლითაც გამოიხატება მისი ზედმეტი შრომა, მაშასადამე, ღირებულების ის ნაწილი, რაც ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს, თავის საზღვარს პოულობს სამუშაო დღის ფიზიკურ მაქსიმუმში, ე. ი. ყოველდღიური სამუშაო დროის ერთობლივ რაოდენობაში, რომელიც მუშას შეუძლია საერთოდ გაიღოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი სამუშაო ძალის შენახვა და კვლავწარმოება. რადგან ამ გამოკვლევაში საქმე ეხება იმ ღირებულების განაწილებას, რომლითაც გამოიხატება წლიურად ახლად მიმატებული მთელი შრომა, ამიტომ სამუშაო დღე აქ შეიძლება განვიხილოთ როგორც მუდმივი სიდიდე, და იგი ასეთად არის წავულისხმევი, სულ ერთია, რაგინდ მეტად თუ ნაკლებად არ უნდა სცილდებოდეს იგი თავის ფიზიკურ მაქსიმუმს. ამრიგად, მოცემულია აბსოლუტური საზღვარი ღირებულების იმ ნაწილისა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის და მოგებად და მიწის რენტად ნაწილდება; იგი განისაზღვრება სამუშაო დღის გადაუხდელი ნაწილის ნამეტით მის გადახდილ ნაწილთან შედარებით, მაშასადამე, მთელი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილით, რომელშიც ეს ზედმეტი შრომა ხორციელდება. თუ ჩვენ ამ ფარგლებით შემოსაზღვრულ და მთელ ავანსებულ კაპიტალზე გამოანგარიშებულ ზედმეტ ღირებულებას მოგებას ვუწოდებთ, როგორც უკვე მოვიმოქმედეთ, მაშინ მისი აბსოლუტური სიდიდის მიხედვით განხილული ეს მოგება = ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, მისი საზღვრები ისევე კანონზომიერადაა შემოფარგლული, როგორც ზედმეტი ღირებულების საზღვრებიც. მოგების ნორმის სიმაღლე კი ასევე გარკვეულ, საქონელთა ღირებულებით განსაზღვრულ ფარგლებში მოქცეული სიდიდეა. იგი მთელი ზედმეტი ღირებულების შეფარდებაა წარმოებაზე ავანსებულ მთელ საზოგადოებრივ კაპიტალთან. თუ ეს კაპიტალი = 500 (ვთქვათ, მილიონს) და ზედმეტი ღირებულება = 100, მაშინ 20% მოგების ნორმის აბსოლუტურ საზღვარს შეადგენს. საზოგადოებრივი მოგების განაწილება ამ ნორმის შესაბამისად წარმოების სხვადასხვა სფეროში დაბანდებულ კაპიტალებს შორის წარმოშობს საქონელთა ღირებულებისაგან გადახრილ წარმოების ფასებს, რომლებიც წარმოადგენენ ნაძვლილად მარეგულირებელ საშუალო საბაზრო ფასებს. მაგრამ ეს გადახრა არ სკობს არც ფასის განსაზღვრას ღირებულებით, არც მოგების კანონზომიერ ფარგლებს. თუ საქონლის ღირებულება უდრის

მასზე დახარჯულ კაპიტალს k პლუს მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულება, ნაცვლად ამისა ახლა მისი წარმოების ფასი უდრის მასზე დახარჯულ კაპიტალს k პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც მას უწევს მოგების საერთო ნორმის მიხედვით, მაშასადამე, მაგალითად 20% მის საწარმოებლად ავანსებულ, როგორც დახარჯულ ისე დაბანდებულ, კაპიტალზე. მაგრამ ეს 20% წანამატი თვით განისაზღვრება საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულებით და მისი შეფარდებითი კაპიტალის ღირებულებასთან; სწორედ ამიტომ არის იგი 20% და არა 10 ან 100. ამრიგად, ღირებულების გადაქცევა წარმოების ფასად მოგების საზღვრებს k არ სპობს, არამედ მხოლოდ ცვლის მის განაწილებას სხვადასხვა ცალკეულ კაპიტალებს შორის, რომელთაგანაც შედგება საზოგადოებრივი კაპიტალი, ანაწილებს მას მათ შორის თანაბრად იმ შეფარდებით, რომლის მიხედვითაც ისინი ამ ერთობლივი კაპიტალის ღირებულების ნაწილს შეადგენენ. საბაზრო ფასები ამ მარეგულირებელ წარმოების ფასებზე მაღლა ან დაბლა იწევენ, მაგრამ ეს რყევანი ურთიერთ ბათილდება. თუ განვიხილავთ ფასების ცხრილს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ შემთხვევებს, როდესაც შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილების გამო საქონელთა ნამდვილი ღირებულება იცვლება, მხედველობის გარეშე დავტოვებთ აგრეთვე იმ შემთხვევებს, როდესაც რაიმე საზოგადოებრივი ან ბუნებრივი უბედურება არღვევს წარმოების პროცესს, — ჩვენ გაგვაკვირვებს, ჯერ ერთი, ამ გადახრათა შედარებით ვიწრო ფარგლები და, მეორე, მათი გაწონასწორების რეგულარობა. ჩვენ აქ ვიპოვით მარეგულირებელ საშუალოთა იმ ბატონობას, რაც კეტლემ სოციალური მოვლენების მიმართ აღნიშნა. თუ საქონელთა ღირებულების გათანაბრება წარმოების ფასებად არავითარ დაბრკოლებას არ ხვდება, მაშინ რენტა დიფერენციულ რენტად იქცევა, ე. ი. იგი შეზღუდულია იმ შემოგებათა გათანაბრებით, რომელთაც მარეგულირებელი წარმოების ფასი კაპიტალისტთა ერთ ნაწილს არგუნებდა და რომელთაც მიწის მესაქუთრე ითვისებს. მაშასადამე, რენტის ღირებულების საზღვარი შემოფარგლულია მოგების ინდივიდუალური ნორმის გადახრით, რასაც იწვევს წარმოების ფასის რეგულირება მოგების საერთო ნორმით. თუ მიწის საკუთრება დაბრკოლებას უქმნის საქონელთა ღირებულების გათანაბრებას წარმოების ფასებად და ითვისებს აბსოლუტურ რენტას, ეს უკანასკნელი ზღვარდებულია მიწის პროდუქტთა ღირებულების გადა-

ნამეტით მათს წარმოების ფასზე, მაშასადამე, მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების გადანამეტით იმ მოგებაზე, რომელიც წილად უწევს კაპიტალებს მოგების საერთო ნორმის შესაბამისად. ეს სხვაობა ქმნის აქ რენტის საზღვარს, და რენტა ახლაც, ისევე როგორც უწინ, მოცემული და საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს შეადგენს.

თუ, დასასრულ, ზედმეტი ღირებულების გათანატოლება საშუალო მოგებად დაბრკოლებას შეხვდებოდა წარმოების სხვადასხვა სფეროებში ხელოვნური ან ბუნებრივი მონოპოლიების სახით, კერძოდ კი მიწის საკუთრების მონოპოლიის სახით, ასე რომ შესაძლებელი გახდებოდა იმ საქონელთა წარმოების ფასსა და ღირებულებასთან შედარებით მაღალი მონოპოლიური ფასი, რომლებზედაც მონოპოლია გაველენას ახდენს, მაშინაც საქონელთა ღირებულებით მოცემული საზღვრები არ მოიხსნებოდა. გარკვეულ საქონელთა მონოპოლიური ფასი სხვა საქონელმწარმოებელთა მოგების ნაწილს მონოპოლიური ფასის შქონე საქონელზე გადაიტანდა მხოლოდ. არაპირდაპირ მოხდებოდა ადგილობრივი დარღვევა ზედმეტი ღირებულების განაწილებაში წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულების საზღვრები უცვლელი დარჩებოდა. თუ ასეთი მონოპოლიური ფასის შქონე საქონელი მუშის აუცილებელი მოხმარების საგანთა რიცხვში შევიდოდა, იგი გაადიდებდა ხელფასს და ამით შეამცირებდა ზედმეტ ღირებულებას, თუკი მუშას უწინდებურად ვადაუხდიდნენ თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას. ასეთ საქონელს შეეძლო ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა დაეწია, მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელფასი მისი ფიზიკური შინამუშის საზღვარს აღემატებოდა. ამ შემთხვევაში მონოპოლიური ფასი გადახდილი იქნებოდა რეალური ხელფასიდან (ე. ი. იმ სახმარ ღირებულებათა მასიდან, რომელთაც მუშა შრომის იმავე მასის მეოხებით მიიღებდა) და სხვა კაპიტალისტების მოგებიდან გამონაკლებით. საზღვრები, რომელთა შიგნითაც მონოპოლიურ ფასს შეუძლია დაარღვიოს საქონელთა ფასების ნორმალური რეგულირება, მტკიცედ განსაზღვრული იქნებოდა და მათი ზუსტად გამოანგარიშებაც შეიძლებოდა.

ამრიგად, როგორც საქონელთა იმ ღირებულების განაწილება, რაც ახლად მიმატებულია და რაც საერთოდ შეიძლება შემოსავლად დაიშალოს, თავის გარკვეულ და მარეგულირებელ საზღვრებს პოულობს შეფარდებაში აუცილებელ და ზედმეტ შრომასა და ხელფასსა და

ზედმეტ ღირებულებას შორის, ასევე თვით ზედმეტი ღირებულების დანაწილებაც მოგებად და მიწის რენტად თავის საზღვრებს პოულობს მოგების ნორმის გათანაბრების მარეგულირებელ კანონებში. რაც შეეხება სარგებლად და მეწარმის შემოსავლად დაყოფას, თვით საშუალო მოგება წარმოადგენს საზღვარს ორივე მათთვის ერთად. იგი იძლევა ღირებულების განსაზღვრულ სიდიდეს, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს და შეიძლება მარტოდენ მოხდეს ეს დაყოფა. განსაზღვრული შეფარდება, რომლის მიხედვითაც ეს დაყოფა წარმოებს, აქ სრულიად შემთხვევითია, ე. ი. მარტოდმარტო კონკურენციის ურთიერთობით განისაზღვრება. მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა სპობს საბაზრო ფასების გადახრას მათი მარეგულირებელი საშუალო ფასებიდან, ე. ი. სპობს კონკურენციის გავლენას, აქ იგი ერთადერთი განმსაზღვრელი მომენტია. რატომ? იმიტომ, რომ აქ წარმოების იმავე ფაქტორმა, კაპიტალმა, ზედმეტი ღირებულების მისი ხვედრი ნაწილი უნდა გაანაწილოს წარმოების იმავე ფაქტორის ორ მფლობელს შორის. მაგრამ ის გარემოება, რომ აქ არ არსებობს განსაზღვრული, კანონზომიერი საზღვარი საშუალო მოგების გასანაწილებლად, არ სპობს მის, როგორც საქონელღირებულების ნაწილის, საზღვარს, ისევე არ სპობს, როგორც ის ფაქტი, რომ რომელიმე საწარმოს ორი შეამხანაგებული პირი სხვადასხვა გარემოების გამო მოგებას არათანაბრად ინაწილებს ერთმანეთს შორის, არავითარ გავლენას არ ახდენს ამ მოგების საზღვარზე.

მაშასადამე, თუ საქონელღირებულების ის ნაწილი, რომლითაც გამოხატულია წარმოების საშუალებათა ღირებულებისადმი ახლად მიმატებული შრომა, დაიყოფა სხვადასხვა ნაწილებად, რომელნიც შემოსავლის სახით დამოუკიდებელ ფორმას [Gestalten] ღებულობენ ერთიმეორის მიმართ, აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ხელფასი, მოგება და მიწის რენტა უნდა განვიხილოთ როგორც ჩამოყალიბებული ელემენტები, რომელთა შეერთებიდან, ანუ შეჯამებიდან, წარმოიშვება თვით საქონელთა მარეგულირებელი ფასი (natural price, prix nécessaire) [ბუნებრივი ფასი, აუცილებელი ფასი]; ასე რომ, მაშინ საქონელღირებულება — მისგან ღირებულების მუდმივი ნაწილის გამოკლების შემდეგ — კი არ იქნებოდა თავდაპირველად მოცემული ერთიანობა, რომელიც ამ სამ ნაწილად იყოფა, არამედ, პირიქით, ყოველი ამ ნაწილის ფასი დამოუკიდებლად იქნებოდა განსაზღვრული და მხოლოდ ამ სამი დამოუკიდებელი სიდიდის შეკრებიდან წარმოიქმნებოდა საქონლის ფასი. სინამდვილეში საქონლის

ღირებულება ნაგულისხმევი სიდიდეა, ხელფასის, მოგებისა და რენტის მთელი ღირებულების ერთობლიობაა, სულ ერთია, როგორც არ უნდა იყოს მათი შეფარდებითი სიდიდე ერთიმეორის მიმართ. აღნიშნული მცდარი შეხედულების მიხედვით კი, ხელფასი, მოგება და რენტა ღირებულების სამი დამოუკიდებელი სიდიდეა, რომელთა ერთობლივი სიდიდე საქონლის ღირებულების სიდიდეს ქმნის, შემოფარგლავს და განსაზღვრავს.

უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ხელფასი, მოგება და რენტა რომ აყალიბებდნენ საქონელთა ფასს, მაშინ ეს თანაბრად იქნებოდა ძალაში როგორც საქონელღირებულების მუდმივი ნაწილის მიმართ, ისე მისი იმ მეორე ნაწილის მიმართაც, რომლითაც ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება გამოიხატება. მაშასადამე, ეს მუდმივი ნაწილი აქ შეიძლება სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვოთ, რადგანაც საქონელთა ღირებულება, რომელთაგან მუდმივი კაპიტალი შედგება, ასევე დაიყვინებოდა ხელფასის, მოგების და რენტის ღირებულების ჯამზე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ეს შეხედულება ღირებულების ასეთი მუდმივი ნაწილის არსებობასაც კი უარყოფს.

შემდეგ ცხადია, რომ აქ ღირებულების ყოველივე ცნება ქრება. რჩება მხოლოდ წარმოდგენა ფასის შესახებ იმ აზრით, რომ სამუშაო ძალის, კაპიტალისა და მიწის მფლობელთ უხდიან ფულის გარკვეულ თანხას. მაგრამ რა არის ფული? ფული არ არის ნივთი, არამედ ღირებულების განსაზღვრული ფორმაა, მაშასადამე, თავის მხრივ ღირებულებას გულისხმობს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოქროს ან ვერცხლის განსაზღვრულ რაოდენობას იხდიან წარმოების ამ ელემენტებში, ანუ ესენი ამ რაოდენობას ეთანატოლებიან ჩვენს გონებაში. მაგრამ ოქრო და ვერცხლი თვით არიან საქონელი, როგორც ყველა სხვა საქონელი (და განათლებული ეკონომისტი ამაყოფს იმით, რომ მან ეს შეიცივნო). მაშასადამე, ოქროს და ვერცხლის ფასიც განისაზღვრება ხელფასით, მოგებით და რენტით. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ხელფასი, მოგება და რენტა იმით განვსაზღვროთ, რომ ისინი ოქროს და ვერცხლის განსაზღვრულ რაოდენობას უთანატოლებიან, იმიტომ რომ ამ ოქროს და ვერცხლის ღირებულება, რომლითაც ისინი როგორც მათი ეკვივალენტით უნდა შეფასდნენ, ჯერ სწორედ მათი მეოხებით უნდა განისაზღვროს, დამოუკიდებლად ოქროსა და ვერცხლისგან, ე. ი. დამოუკიდებლად ყოველი საქონლის ღირებულებისაგან, რომელიც თვით არის პროდუქტი აღნიშნული სამი ფაქტორისა. იმის თქმა, რომ ხელფასის, მოგებისა და რენტის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ოქროს და ვერცხლას

გარკვეულ რაოდენობას ეთანატოლებიან, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი ხელფასის, მოგების და რენტის გარკვეულ რაოდენობას ეთანატოლებიან.

ავიღოთ უწინარეს ყოვლისა ხელფასი. ეს იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისის მიხედვითაც ამოსავალი პუნქტი უნდა იყოს შრომა. მერე. რით განისაზღვრება ხელფასის მარეგულირებელი ფასი, ის ფასი, რომლის გარშემო მისი საბაზრო ფასები მერყეობენ?

ვთქვათ, სამუშაო ძალის მოთხოვნით და მიწოდებით. მაგრამ სამუშაო ძალის რომელ მოთხოვნაზეა ლაპარაკი? მოთხოვნაზე კაპიტალის მხრივ. მაშასადამე, შრომის მოთხოვნა უდრის კაპიტალის მიწოდებას. კაპიტალის მიწოდებაზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა წინადაწინ ვიცოდეთ, რა არის კაპიტალი. რისგან შედგება კაპიტალი? თუ მის უმარტივეს გამოვლენას [Erscheinung] ავიღებთ, იგი შედგება ფულისა და საქონლისაგან. მაგრამ ფული საქონლის ფორმაა მხოლოდ. მაშასადამე, შედგება საქონლისაგან. მაგრამ, ნაგულისხმევის თანახმად, საქონლის ღირებულება პირველ რიგში მისი მაწარმოებელი შრომის ფასით, ხელფასით განისაზღვრება. ხელფასი აქ წანამძღვარია და განიხილება როგორც საქონელთა ფასის ჩამომყალიბებელი ელემენტი. მაშასადამე, ეს ფასი უნდა განისაზღვროს მიწოდებული შრომის შეფარდებით კაპიტალთან. თვით კაპიტალის ფასი უდრის იმ საქონელთა ფასს, რომელთაგან იგი შედგება. კაპიტალის მოთხოვნა შრომის მიმართ უდრის კაპიტალის მიწოდებას. კაპიტალის მიწოდება კი უდრის მოცემული ფასის საქონელთა ჯამის მიწოდებას, და ეს ფასი რეგულირდება პირველ რიგში შრომის ფასით, ხოლო შრომის ფასი თავის მხრივ უდრის საქონელთა ფასის იმ ნაწილს, რომლისაგანაც შედგება ცვალებადი კაპიტალი, რომელიც გადადის მუშის ხელში მის შრომაზე გაცვლის გზით; იმ საქონელთა ფასი კი, რომელთაგანაც ცვალებადი კაპიტალი შედგება, თვით განისაზღვრება პირველ რიგში შრომის ფასით, რადგან საქონელთა ფასი განისაზღვრება ხელფასის. მოგებისა და რენტის ფასით. მაშასადამე, ხელფასი რომ განვსაზღვროთ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ კაპიტალი როგორც წანამძღვარი, რადგან თვით კაპიტალის ღირებულება ხელფასის თანამონაწილეობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, საქმეში კონკურენციის ჩარევაც ვერ გვშველის. კონკურენცია იწვევს შრომის საბაზრო ფასების აწევას და დაცემას. მაგრამ დავუშვათ, რომ შრომის მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს. მაშინ რით განისაზღვრება ხელფასი? კონკურენციით. მაგ-

რამ ჩვენ ხომ სწორედ ის ვიგულისხმეთ, რომ კონკურენციამ შეწყვიტა თავისი მოქმედება, რომ მისი ორივე დაპირისპირებული ძალის გაწონასწორებით მისი გავლენა გაბათილებულია. ჩვენ ხომ ხელფასის სწორედ ბუნებრივი ფასი უნდა ვიპოვოთ, ე. ი. ვიპოვოთ შრომის ის ფასი, რომელიც კონკურენციის მიერ კი არ არის რეგულირებული, არამედ პირიქით, თვით არეგულირებს მას.

ალარაფერი დავგრჩენია იმის მეტი, რომ შრომის აუცილებელი ფასი მუშის აუცილებელი საარსებო საშუალებებით განვსაზღვროთ, მაგრამ ეს საარსებო საშუალებანი — საქონელია, რომელსაც გარკვეული ფასი აქვს. მაშასადამე, შრომის ფასი განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით, ხოლო საარსებო საშუალებათა ფასი, ისე როგორც ყველა სხვა საქონლისა, პირველ რიგში შრომის ფასით განისაზღვრება. მაშასადამე, საარსებო საშუალებათა ფასით განსაზღვრული შრომის ფასი შრომის ფასით განისაზღვრება. შრომის ფასი თვით განსაზღვრავს თავის თავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვიცით, რით განისაზღვრება შრომის ფასი. შრომას აქ საერთოდ ფასი აქვს, რადგან იგი განიხილება როგორც საქონელი. მაშასადამე, შრომის ფასზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის საერთოდ ფასი. მაგრამ, თუ რა არის საერთოდ ფასი, ამ გზით სწორედ რომ ვერ გავიკებთ.

მაგრამ დავუშვათ, რომ ამ სანუგეშო წესით ჩვენ განვსაზღვრეთ შრომის აუცილებელი ფასი. როგორ მდგომარეობაშია საშუალო მოგება, ყოველი კაპიტალის მოგება ნორმალურ პირობებში, მოგება, რაც საქონლის ფასის მეორე ელემენტს ქმნის? საშუალო მოგება უნდა განისაზღვროს მოგების საშუალო ნორმით; რით განისაზღვრება ეს უკანასკნელი? კაპიტალისტებს შორის კონკურენციით? მაგრამ კონკურენცია უკვე გულისხმობს მოგების არსებობას. იგი გულისხმობს მოგების სხვადასხვა ნორმას და, მაშასადამე, სხვადასხვა მოგებას წარმოების იმავე თუ სხვადასხვა დარგებში. კონკურენციას შეუძლია მხოლოდ იმდენად იმოქმედოს მოგების ნორმაზე, რამდენადაც იგი მოქმედებს საქონლის ფასებზე. კონკურენციამ შეიძლება მხოლოდ ის გამოიწვიოს, რომ მწარმოებლები წარმოების იმავე დარგის შიგნით თავიანთ საქონელს თანატოლ ფასებში გაყიდიან, წარმოების სხვადასხვა დარგებს შიგნით კი ისინი თავიანთ საქონელს ისეთ ფასებში გაყიდიან, რომლებიც მათ თანატოლ მოგებას მისცემს, ე. ი. პროპორციულად თანატოლ წანამატს საქონლის იმ ფასზე, რომელიც ნაწილობრივ უკვე განსაზღვრულია ხელფასით. ამიტომ კონკურენციას

შეუძლია მხოლოდ გაათანატოლოს მოგების ნორმის უთანატოლობა. მოგების უთანატოლო ნორმის გაათანატოლებისათვის უკვე უნდა არსებობდეს მოგება როგორც საქონლის ფასის ელემენტი. კონკურენცია მას არ ქმნის. იგი მას ასწევს ან დასწევს, მაგრამ არ ქმნის იმ დონეს, რომელიც მყარდება, რაკი გაათანატოლება მოხდა. და როცა მოგების აუცილებელ ნორმაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ გვინდა გავიგოთ სწორედ კონკურენციის მოძრაობისაგან დამოუკიდებელი მოგების ნორმა, რომელიც თავის მხრივ არეგულირებს კონკურენციას. მოგების საშუალო ნორმა ხორციელდება, როდესაც მყარდება ძალთა წონასწორობა მეტოქე კაპიტალისტებს შორის. კონკურენციას შეუძლია დაამყაროს ეს წონასწორობა, მაგრამ არა მოგების ნორმა, რომელიც ამ წონასწორობის საფუძველზე ხორციელდება. რაკი წონასწორობა დამყარებულია, რატომ არის მოგების საერთო ნორმა 10 ან 20 ან 100%? კონკურენციის გამო? მაგრამ, პირიქით, კონკურენციამ მოსპოოს მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ გადახრას 10 ან 20 ან 100%-დან. მან დაამყარა საქონლის ისეთი ფასი, რომლის არსებობისას ყოველი კაპიტალი თავისი სიდიდის პროპორციულად თანატოლ მოგებას იძლევა. მაგრამ თვით ამ მოგების სიდიდე კონკურენციისაგან დამოუკიდებელია. ეს უკანასკნელი მხოლოდ დაიყვანს ყველა გადახრას ამ სიდიდემდე. ერთი აღამიანი კონკურენციას უწევს სხვებს და ეს კონკურენცია აიძულებს მას თავისი საქონელი ისეთსავე ფასებში გაყიდოს, როგორშიაც სხვები ყიდიან. მაგრამ რატომ არის ეს ფასი 10 ან 20 ან 100%?

მაშასადამე, აღარაფერა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ მოგების ნორმა და ამიტომ მოგებაც ავხსნათ როგორც გაუგებარი გზით განსაზღვრული წანამატი საქონლის ფასზე, რომელიც აქამდე ხელფასით განისაზღვრებოდა. ერთადერთი, რასაც კონკურენცია გვეუბნება, ის არის, რომ ეს მოგების ნორმა გარკვეული სიდიდე უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ ეს წინათაც ვიცოდით, როცა მოგების საერთო ნორმაზე და მოგებას «აუცილებელ ფასზე» ვლაპარაკობდით.

სრულიად არაა საჭირო ამ უაზრო მსჯელობის პროცესის ხელშეორედ გამოყენება მიწის რენტის მიმართ. უმისოდაც ცხადია, რომ იგი, თუ მას რამდენადმე თანმიმდევრულად გავატარებთ, მოგებას და რენტას წარმოგიდგენს როგორც სრულიად გაუგებარი კანონებით განსაზღვრულ ფასის წანამატს, როგორც წანამატს საქონლის ფასზე, რომელიც პირველ რიგში ხელფასით განისაზღვრება. მოკლედ, კონ-

კურენციამ უნდა იყოს ეკონომისტების ყველა უაზრობის ახსნა, მაშინ როდესაც, პირიქით, ეკონომისტებს უნდა აეხსნათ კონკურენცია.

თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ ფანტაზიას, რომ მოგებასა და რენტას, როგორც ფასის შემადგენელ ნაწილებს ქმნის მიმოქცევა, ე. ი. გაყიდვადან წარმოიშვებიან, — ხოლო მიმოქცევას არასოდეს არ შეუძლია მოგვეცეს ის, რაც მას წინასწარ არ მიუღია, — მაშინ მთელი საკითხი უბრალოდ ასე წარმოგვიდგება:

ვთქვათ, ხელფასით განსაზღვრული საქონლის ფასი = 100, მოგების ნორმა = 10% ხელფასზე, ხოლო რენტა = 15% ხელფასზე. მაშინ ხელფასის, მოგებისა და რენტის ჯამით განსაზღვრული საქონლის ფასი = 125. ეს 25 წანამატი არ შეიძლება წარმოიშვას საქონლის გაყიდვიდან. ეს იმიტომ, რომ ყველა მათგანი, ვინც ერთმანეთს შორის ყიდის, ყიდის 125-ად იმას, რაც 100 ხელფასად დაუჯდა; ეს იგივე იქნებოდა, რომ ყველას 100-ად გაეყიდნა. მაშასადამე, ოპერაცია უნდა განვიხილოთ მიმოქცევის პროცესისაგან დამოუკიდებლად.

თუ სამი პირი განიწილებს თვით საქონელს, რომელიც ახლა 125 ლირს, — საქმის ვითარება კი სრულიად არ შეიცვლება, თუ კაპიტალისტი ჯერ გაყიდის 125-ად, შემდეგ გადაუხდის მუშას 100-ს, თავისთავს — 10-ს, ხოლო მიწის მესაკუთრეს — 15-ს, — მაშინ მუშა მიიღებს ღირებულებას და პროდუქტის $\frac{1}{5}$ = 100. კაპიტალისტი მიიღებს ღირებულების და პროდუქტის $\frac{2}{25}$, ხოლო მიწის მესაკუთრე $\frac{3}{25}$. როდესაც კაპიტალისტი გაყიდის 125-ად ნაცვლად 100-სა, ის მუშას მისცემს პროდუქტის მხოლოდ $\frac{1}{5}$, რომლითაც ამ მუშის შრომა გამოიხატება. სრულიად იგივე იქნებოდა, მას რომ მუშისთვის 80 მიეცა და 20 დაეკავებია, საიდანაც მას მოუწევდა 8, ხოლო მიწის მესაკუთრეს 12. ამ შემთხვევაში იგი საქონელს მისი ღირებულების მიხედვით გაყიდდა, რადგანაც სინამდვილეში ფასის წანამატი წარმოადგენს საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებელ გადიდებას, საქონლის ღირებულება კი, ზემოთ ნაგულისხმევის თანახმად, ხელფასის ღირებულებით განისაზღვრება. შემოვლითი გზით ეს იმ შედეგამდე მიგვიყვანდა, რომ ამ წარმოდგენის თანახმად ხელფასი, 100, უდრის პროდუქტის ღირებულებას, ე. ი. ფულის თანხას, რომლითაც შრომის განსაზღვრული რაოდენობა გამოიხატება, და, რომ ეს ღირებულება განსხვავდება შრომის რეალური ხელფასისაგან, მაშასადამე, გარკვეულ ნაჭარბს იძლევა. მხოლოდ ეს ნაჭარბი აქ ხორციელდება ნომინალური ფასის წამატებით. მაშასადამე, ხელფასი 100 ნაცვლად 110 რომ უდრიდეს, მაშინ მოგება იქნებოდა 11, ხოლო მიწის რენ-

ტა = $16\frac{1}{2}$, მაშასადამე, საქონლის ფასი = $137\frac{1}{2}$. ეს სრულიად უცვლელად დატოვებდა შეფარდებას. მაგრამ რადგანაც ღირებულების დანაწილება მუდამ მიიღებოდა გარკვეული პროცენტების ნომინალური წანამატით ხელფასზე, ამიტომ ფასი აიწვედა და დაიწვედა ხელფასთან ერთად. ხელფასი აქ ჯერ იგულისხმება როგორც საქონლის ღირებულების თანატოლი, შემდეგ კი კვლავ შორდება მას. სინამდვილეში კი საქმის ვითარება უშინაარსო შემოვლითი გზით იმ შედეგამდე მიდის, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში განხორციელებული შრომის რაოდენობით, ხოლო ხელფასის ღირებულება განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით, ღირებულების ნამეტი კი ხელფასთან შედარებით შეადგენს მოგებას და რენტას.

საქონლის ღირებულების დანაწილება მის წარმოებაზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლების შემდეგ, დანაწილება ამ მოცემული ღირებულების მასისა, რაც საქონელპროდუქტში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, სამ შემადგენელ ნაწილად, რომელნიც როგორც ხელფასი, მოგება და მიწის რენტა ერთმანეთისაგან გათიშული შემოსავლის ფორმების დამოუკიდებელ სახეს იღებენ, — სრულიად დამახინჯებულად აისახება კაპიტალისტური წარმოების ყველასათვის დასაწახ ზედაპირზე და, მაშასადამე, ამ წარმოებით შებოჭილი აგენტების წარმოდგენაში.

ვთქვათ, რომელიმე საქონლის მთელი ღირებულება უდრის 300, აქედან 200 შეადგენს მის წარმოებაზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა, ანუ მუდმივი კაპიტალის ელემენტთა, ღირებულებას. მაშასადამე, რჩება 100 როგორც იმ ახალი ღირებულების ჯამი, რაც საქონელს მიემატა მის წარმოების პროცესში. ეს ახალი ღირებულება 100-ის რაოდენობით შეიცავს ყველაფერს, რაც მოიპოვება გასანაწილებლად შემოსავლის სამ ფორმას შორის. თუ ხელფასი = x , მოგება = y , მიწის რენტა = z , მაშინ მათი ჯამი $x + y + z$ ჩვენს მაგალითში მუდამ 100 უდრის. მაგრამ მრეწველების, ვაჭრების, ბანკირების, ისევე როგორც ვულგარული ეკონომისტების წარმოდგენაში საქმე სრულიად სხვანაირადაა. მათთვის საქონლის ღირებულება, მასზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლების შემდეგ, კი არ წარმოადგენს 100-ის ტოლ მოცემულ სიდიდეს, რომელიც ნაწილდება შემდეგ x , y , z . პირიქით, მათთვის საქონლის ფასი უბრალოდ შეიკრიბება ხელფასის, მოგებისა და რენტის ღირე-

ბუღალტრათაგან, რომელთა სიდიდე განისაზღვრება საქონლის ღირებულებისაგან და ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, ასე რომ, x , y , z მოცემული და განსაზღვრულია თვითეული თავისთვის დამოუკიდებლად და ამ სიდიდეთა ჯამიდან, რაც შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს 100-ზე, მიიღება თვით საქონლის ღირებულების სიდიდე, როგორც მისი ღირებულების ამ შემადგენელი ნაწილების შეკრების შედეგი. ეს **quid pro quo** [არეგ-დარეგა] აუცილებელია იმის გამო, რომ:

პ ი რ ვ ე ლ ი, საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილები ერთიმეორეს უპირისპირდებიან როგორც დამოუკიდებელი შემოსავალი და როგორც ასეთი მიმართებაში არიან წარმოების სამ ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ ფაქტორთან: შრომასა, კაპიტალსა და მიწასთან, რის გამო ისე გვეჩვენება, თითქოს მათ ეს სამი ფაქტორი წარმოშობდეს. საკუთრება სამუშაო ძალაზე, კაპიტალზე და მიწაზე არის იმის მიზეზი, რომ საქონლის ღირებულების ეს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი სათანადო მესაკუთრეებს ხვდება წილად და ამიტომ მათთვის შემოსავლად გადაიქცევა. მაგრამ ღირებულება არ წარმოდგება შემოსავლად გადაქცევისაგან, იგი უნდა არსებობდეს უკვე, სანამ შემოსავლად გადაიქცეოდეს, სანამ ასეთ სახეს მიიღებდეს. ამის საწინააღმდეგო წარმოდგენა მით უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს, რომ ამ სამი ნაწილის ერთიმეორისადმი შეფარდებითი სიდიდის განსაზღვრა ხდება სხვადასხვა კანონების მიხედვით, რომელთა კავშირი თვით საქონელთა ღირებულებასთან და რომელთა ზღვარდებულობა ამ ღირებულებით სრულიადაც არ ჩნდება მოვლენათა ზედაპირზე.

მ ე ო რ ე: ჩვენ დავინახეთ, რომ ხელფასის გადიდება ან შემცირება, წარმოშობს რა სხვა თანაბარ პირობებში მოგების საერთო ნორმის მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით, იწვევს სხვადასხვა საქონელთა წარმოების ფასების ცვლილებას, ზოგ ფასს ასწევს, ზოგს კი დასწევს კაპიტალის საშუალო შედგენილობის მიხედვით წარმოების სათანადო დარგებში. აქ, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში წარმოების ზოგიერთ დარგში მაინც, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქონლის საშუალო ფასი აიწევს, რადგან ხელფასმა აიწია, და დაიწევს, რადგან მან დაიწია. მაგრამ «გამოცდილება» ვერ გვიჩვენებს ამ ცვლილებათა ფარულ რეგულირებას ხელფასისაგან დამოუკიდებელ საქონელთა ღირებულებით. პირიქით, თუ ხელფასის გადიდება ადგილობრივი მოვლენაა, თუ ეს მხოლოდ წარმოების ცალკეულ დარგებში ხდება განსაკუთრებული პირობების შედეგად, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს ამ საქონელთა ფასის შესაბამის ნომინალურ გადიდებას. ერთი კატეგორიის საქონელთა შეფარდებითი ღირებულებ-

ბის ასეთი გადიდება შედარებით სხვებთან, რომელთათვის ხელფასი უცვლელი დარჩა, მაშინ მხოლოდ გარკვეული რეაქცია იმის წინააღმდეგ, რომ მოხდა ადგილობრივი დარღვევა ზედმეტი ღირებულების თანაბარი განაწილებისა წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, საშუალებაა მოგების განსაკუთრებული ნორმის საერთო ნორმად გათანაბრებისათვის. «გამოცდილება», რომელსაც აქ ვღებულობთ, კვლავ მოწმობს, რომ ფასი ხელფასით განისაზღვრება. გამოცდილება ორივე ამ შემთხვევაში იმას გვეუბნება, რომ ხელფასი განსაზღვრავს საქონლის ფასებს. მაგრამ გამოცდილება ვერ გვიხსნის ამ დამოკიდებულების ფარულ მიზეზს. შემდეგ: შრომის საშუალო ფასი, ე. ი. სამუშაო ძალის ღირებულება, განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების ფასით. თუ იწვევს ან ეცემა პირველი, იწვევს და ეცემა მეორეც. გამოცდილება აქ კვლავ იმას გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ხელფასსა და საქონლის ფასს. შორის; მაგრამ მიზეზი შეიძლება წარმოდგეს როგორც შედეგი, და შედეგი როგორც მიზეზი, როგორც ამას ადგილი აქვს საბაზრო ფასების მოძრაობისას, როდესაც ხელფასის აწევას საშუალოზე მაღლა შეესაბამება აყვავების პერიოდთან დაკავშირებული საბაზრო ფასების აწევა წარმოების ფასებზე მაღლა, ხოლო ამის მომდევნო ხელფასის დაცემას საშუალოზე დაბლა შეესაბამება საბაზრო ფასების დაცემა წარმოების ფასებზე დაბლა. წარმოების ფასის დამოკიდებულებას საქონელთა ღირებულებაზე, თუ მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული საბაზრო ფასების რყევითი მოძრაობა, მუდამ უნდა შეესაბამებოდეს *prima facie* ის გამოცდილება, რომ როცა ხელფასი მაღლა იწვევს, მოგების ნორმა ეცემა და პირიქით. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმა შეიძლება განისაზღვრებოდეს მუდმივი კაპიტალის ღირებულების მოძრაობით, ხელფასის მოძრაობისაგან დამოუკიდებლად; ასე რომ ხელფასისა და მოგების ნორმის მოძრაობა შეიძლება ხდებოდეს არა საპირისპირო, არამედ ერთი და იმავე მიმართულებით, შეიძლება ორივემ აიწიოს ან დაეცეს. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ზედმეტი ღირებულების ნორმა რომ უშუალოდ ემთხვეოდეს მოგების ნორმას. ასევე როცა ხელფასი დიდდება საარსებო საშუალებათა ფასების გადიდების შედეგად, შეიძლება მოგების ნორმა იგივე დარჩეს ან გადიდეს კიდევ შრომის უფრო დიდი ინტენსივობის ან სამუშაო დღის გაგრძელების გამო. ყველა ეს გამოცდილება ადასტურებს ღირებულების შემადგენელ ნაწილთა დამოუკიდებელი, დამახინჯებული ფორმის მიერ გამოწვეულ ილუზიას, თითქოს მარტო ხელფასი, ანდა ხელფასი და მოგება ერთად განსაზღვრავდეს საქონ-

ნელთა ღირებულებას. რაკი საერთოდ ეს ასე გვეჩვენება ხელფასის მიმართ, მაშასადამე, რაკი გვეჩვენება, რომ შრომის ფასი და შრომის მიერ შექმნილი ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ასეთი შეხედულება თავისთავად იგულისხმება მოგებისა და რენტის მიმართაც. მათი ფასი, ე. ი. მათი ფულადი გამოხატულება ამ შემთხვევაში უნდა რეგულირდებოდეს შრომისა და შრომის მიერ შექმნილი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად.

მესამე: დავუშვათ, რომ საქონლის ღირებულება, ანუ მისგან მხოლოდ მოჩვენებითად დამოუკიდებელი წარმოების ფასი გამოვლენისას უშუალოდ და მუდამ ემთხვევა საქონლის საბაზრო ფასს, ნაცვლად იმისა, რომ, პირიქით, ხორციელდებოდეს მხოლოდ როგორც მარეგულირებელი საშუალო ფასი, რომელიც განუწყვეტლივ აწონასწორებს საბაზრო ფასების მუდმივ რყევას. დავუშვათ, შემდეგ, რომ კვლავწარმოება მუდამ იმავე უცვლელ პირობებში ხდება, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება კაპიტალის ყველა ელემენტში უცვლელი რჩება. დავუშვათ, ბოლოს, რომ საქონელ-პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რომელიც წარმოების ყოველ დარგში იმით იქმნება, რომ წარმოების საშუალებათა ღირებულებას შრომის ახალი რაოდენობა, მაშასადამე, ახლად წარმოებული ღირებულება ემატება, მუდამ უცვლელი პროპორციით ნაწილდება ხელფასად, მოგებად და რენტად, ასე რომ ნამდვილად გადახდილი ხელფასი, ფაქტიურად რეალიზებული მოგება და ფაქტიური რენტა მუდამ უშუალოდ ემთხვევა სამუშაო ძალის ღირებულებას, მთელი ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილს, რაც მოგების საშუალო ნორმის მიხედვით ერთობლივი კაპიტალის ყოველ დამოუკიდებლად მოქმედ ნაწილს უწევს, და იმ ფარგლებს, რომლებშიც ამ ბაზისზე normaliter ნორმალურად მომწყვდეულია მიწის რენტა. დავუშვათ, ერთი სიტყვით, რომ საზოგადოების მიერ ახლადშექმნილი ღირებულების განაწილება და წარმოების ფასი რეგულირდება კაპიტალისტურ საფუძველზე, მაგრამ კონკურენციის თავიდან აცილებით.

ამრიგად, ამ წანამძღვართა პირობებში, როცა საქონლის ღირებულება უცვლელი დარჩებოდა და გამოვლინდებოდა როგორც უცვლელი სიდიდე, როცა საქონელ-პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა შემოსავლად ნაწილდება, უცვლელ სიდიდედ დარჩებოდა და მუდამ ამ სახით გამოხატული იქნებოდა, როცა, ბოლოს, ღირებულების ეს მოცემული და უცვლელი ნაწილი მუდამ უცვლელი პროპორციით დანაწილდებოდა ხელფასად, მოგებად და რენტად, — ამ წანამძღვართა პირობებშიც კი ნამდვილი მოძრაობა

აუცილებლად დამახინჯებული სახით წარმოგვიდგებოდა: არა როგორც წინასწარ მოცემული ღირებულების სიდიდის დანაწილება სამ ნაწილად, რომლებიც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ შემოსავლის ფორმას იღებენ, არამედ, პირიქით, როგორც ამ ღირებულების სიდიდის წარმოქმნა დამოუკიდებელი და თავისთავად განსაზღვრული ელემენტების — ხელფასის, მოგების და მიწის რენტის შემადგენელი ელემენტების ჯამიდან. ასეთი მოჩვენებითი წარმოდგენა აუცილებლად შეიქმნებოდა, რადგან ცალკეული კაპიტალისტებისა და მათი საქონელ-პროდუქტების ნამდვილ მოძრაობაში საქონლის ღირებულება კი არ იგულისხმება როგორც მოცემული რამ შემადგენელ ნაწილებად მისი დანაწილებისას, არამედ, პირიქით, შემადგენელი ნაწილები, რომლებდაც იგი ნაწილდება, მოქმედებენ როგორც საქონლის ღირებულების წანამძღვარნი. უწინარეს ყოვლისა ჩვენ დავინახეთ, რომ ყოველ ცალკეულ კაპიტალისტს საქონლის ხარჯთფასი მოცემულ სიდიდედ ეჩვენება და ნამდვილ წარმოების ფასში იგი მუდამ ასეთი სიდიდის სახით აისახება. ხარჯთფასი კი უდრის მუდმივი კაპიტალის, ავანსებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას პლუს სამუშაო ძალის ღირებულება, რომელიც, უნდა ითქვას, წარმოების აგენტებს შრომის ფასის ირაციონალური ფორმით წარმოუდგება, ასე რომ ხელფასი იმავე დროს მუშის შემოსავლად წარმოგვიდგება შრომის საშუალო ფასი მოცემული სიდიდით, რადგან სამუშაო ძალის ღირებულება, ისე როგორც ყოველივე სხვა საქონლის ღირებულებაც, განისაზღვრება მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით. რაც შეეხება საქონელთა ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც ხელფასს შეადგენს, იგი წარმოიშვება არა იქიდან, რომ ხელფასის ამ ფორმას იღებს, არც იქიდან, რომ კაპიტალისტი მუშას მის ნაწილს მის საკუთარ პროდუქტში ავანსად აძლევს ხელფასის ფორმით [Erscheinungsform], არამედ იქიდან, რომ მუშა აწარმოებს თავისი ხელფასის შესაბამის ეკვივალენტს, ე. ი. თავისი დღიური თუ წლიური შრომის ნაწილში იგი აწარმოებს მისი სამუშაო ძალის ფასში მოთავსებულ ღირებულებას. მაგრამ ხელფასი ხელშეკრულებით უფრო ადრე განისაზღვრება, ვიდრე მისი შესაბამისი ღირებულების ეკვივალენტი იწარმოებოდეს. როგორც ფასის ელემენტი, რომლის სიდიდე მოცემულია იმაზე ადრე, სანამ საქონელი და მისი ღირებულება იწარმოებოდეს, როგორც ხარჯთფასის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ ხელფასი გვეჩვენება არა როგორც ნაწილი, რომელიც საქონლის მთელ ღირებულებას ჩამოსცილდება დამოუკიდებელი ფორმით, არამედ, პირიქით, როგორც მოცემული სიდიდე, რომელიც წინასწარ

განსაზღვრავს ამ მთელ ღირებულებას, ე. ი. გვეჩვენება როგორც ფასის და ღირებულების შემქმნელი ფაქტორი. იმის ანალოგიურ როლს, რომელსაც ასრულებს ხელფასი საქონლის ხარჯთფასში, საშუალო მოგება ასრულებს საქონლის წარმოების ფასში, რადგან წარმოების ფასი უდრის ხარჯთფასს პლუს საშუალო მოგება ავანსებულ კაპიტალზე. ეს საშუალო მოგება პრაქტიკულად შედის თვით კაპიტალისტის წარმოდგენასა და ანგარიშში როგორც მარეგულირებელი ელემენტი და არა მარტო იმ აზრით, რომ იგი განსაზღვრავს კაპიტალის გადატანას დაბანდების ერთი სფეროდან მეორეში, არამედ ყველა იმ ყიდვა-გაყიდვისა და ხელშეკრულებისთვისაც, რომელნიც უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოიცავენ კვლავწარმოების პროცესს. მაგრამ რამდენადაც ეს ასეა, საშუალო მოგება წინასწარ მოცემული სიდიდეა და ნამდვილად არაა დამოკიდებული წარმოების ყოველ განსაკუთრებულ დარგში და, მაშასადამე, მით უმეტეს ყოველი ცალკეული კაპიტალდაბანდებით თვითვე ამ დარგში შექმნილ ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებაზე. საშუალო მოგება, ნაცვლად იმისა, რომ გამოაშკარავდეს როგორც ღირებულების დანაწილების შედეგი, თავის გარეგნულ გამოვლინებაში საქონელ-პროდუქტის ღირებულებისაგან დამოუკიდებელ, საქონელთა წარმოების პროცესში წინასწარ მოცემულ და თვით საქონელთა საშუალო ფასის განმსაზღვრელ სიდიდედ გვეჩვენება, ე. ი. ღირებულების შემქმნელ ფაქტორად გვეჩვენება. ამასთან ზედმეტი ღირებულება, იმის გამო, რომ მისი სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორისაგან ღრულიად დამოუკიდებელ ფორმებად დაიშლება, კიდევ უფრო კონკრეტული ფორმით გვეჩვენება საქონელთა ღირებულების შექმნის წინამძღვრად. საშუალო მოგების ნაწილი მოქმედ კაპიტალისტს დამოუკიდებლად უპირისპირდება სარგებლის ფორმაში როგორც საქონელთა წარმოების და მათი ღირებულების წინასწარ ნაგულისხმევი ელემენტი [vorausgesetztes Element]. რაგინდ ძლიერად არ უნდა ირყეოდეს სარგებლის სიდიდე, მაინც ყოველ მოცემულ მომენტში ეს სარგებელი ყოველი კაპიტალისტისათვის მოცემული სიდიდეა, რომელიც მისთვის, ცალკეული კაპიტალისტისათვის, მის მიერ წარმოებულ საქონელთა ხარჯთფასში შედის. ასეთივე მოცემული სიდიდეა მიწის რენტა, ხელშეკრულებით დაწესებული საიჯარო ფულის ფორმით — მიწათმოქმედი კაპიტალისტისათვის და სამრეწველო შენობების ქირის ფორმით — სხვა მეწარმეთათვის. რადგან ეს ნაწილები, რომლებადაც ზედმეტი ღირებულება დაიშლება, ცალკეული კაპიტალისტისათვის მისი ხარჯთფასის მოცემული ელემენტებია,

ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს ისინი, პირიქით, ქმნიან ზედმეტ ღირებულებას, ქმნიან საქონლის ფასის ერთ ნაწილს, მსგავსად იმისა, როგორც ხელფასი მის მეორე ნაწილს ქმნის. საიდუმლოება. რის გამო საქონელღირებულების დანაწილების ეს პროდუქტები მუდამ თვითონ ღირებულების წარმოქმნის წანამძღვრებად გვეჩვენებინან, მარტივად იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი, ისე როგორც ყველა სხვა წარმოების წესი, განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს არა მარტო მატერიალურ პროდუქტს, არამედ საზოგადოებრივ ეკონომიურ ურთიერთობასაც, ამ მატერიალური პროდუქტის წარმოქმნის ეკონომიურ ფორმაცანაზღვრულობას. ამიტომ ამ წარმოების წესის შედეგი ისევე მუდამ გვეჩვენება მის წანამძღვრებად, როგორც მისი წანამძღვარი — მის შედეგად. და ერთი და იმავე ურთიერთობის სწორედ ეს განუწყვეტელი კვლავწარმოებაა. რასაც ცალკეული კაპიტალისტი წინასწარ გულისხმობს როგორც თავისთავად გასაგებ, ეჭვმიუტანელ ფაქტს. სანამ კაპიტალისტური წარმოება როგორც ასეთი არსებობას განაგრძობს, ახლად მიშატეული შრომის ერთი ნაწილი მუდამ იქცევა ხელფასად, მეორე ნაწილი — მოგებად (სარგებელი და მეწარმის შემოსავალი), მესამე — რენტად. წარმოების სხვადასხვა ელემენტების მესაკუთრეთა შორის ხელშეკრულების დადებისას ეს წანამძღვარს წარმოადგენს, და ეს წანამძღვარი სწორია, რაგინდ დიდ რუყევას არ უნდა განიცდიდნენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეფარდებითი სიდიდენი. ის განსაზღვრული ფორმა [Gestalt], რომლითაც ღირებულების ნაწილები ერთიმეორეს უპირისპირდებიან, წანამძღვარია, იმიტომ რომ იგი მუდამ იკვლავწარმოება, და მუდამ იკვლავწარმოება, იმიტომ რომ უცვლელი წანამძღვარია.

სხვათა შორის, გამოცდილება და მოვლენათა გარეგნობა იმასაც გვიჩვენებს, რომ საბაზრო ფასები, რომელთა გავლენა კაპიტალისტ ღირებულების ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ეჩვენება, მათი სიდიდის მიხედვით განხილულნი, სრულიადაც არ არიან დამოკიდებული კაპიტალისტის ზემოაღნიშნულ ანტიციპაციაზე, არ არიან იმასთან შეხამებული, მაღალია თუ დაბალი გარიგებით გათვალისწინებული სარგებელი ან რენტა. მაგრამ საბაზრო ფასებისათვის მუდმივი მხოლოდ ცვლილებანი და სწორედ მათი საშუალო იძლევა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდისათვის შესაფერ საშუალოს ხელფასის, მოგებისა და რენტისთვის, როგორც მუდმივი სიდიდეების.

თვის, რომელნიც, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით, ბატონობენ საბაზრო ფასებზე.

მეორე მხრივ. მეტად მარტივად გვეჩვენება შემდეგი აზრი: რაკი ხელფასი, მოგება და რენტა იმიტომ არიან ღირებულების შემქმნელნი, რომ ისინი ღირებულების წარმოების წანამძღვრებად წარმოგვიდგებიან და ცალკეული კაპიტალისტისთვის ხარჯთფასში და წარმოების ფასში იგულისხმებიან, ამიტომ კაპიტალის მუდმივი ნაწილიც, რომლის ღირებულება, როგორც მოცემული, ყოველი საქონლის წარმოებაში შედის, ღირებულების შემქმნელია. მაგრამ კაპიტალის მუდმივი ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა საქონელთა და, მაშასადამე, საქონელღირებულებათა ჯამი. გამოდის, მაშასადამე, ის უაზრო ტავტოლოგია, რომ საქონელღირებულება საქონელღირებულების შემქმნელი და მიზეზია.

მაგრამ კაპიტალისტს რომ რაიმე ინტერესი ჰქონდეს დაუფიქრდეს ამას — მისი დაუფიქრება კი როგორც კაპიტალისტისა მარტოოდენ მისი ინტერესით და მისი ანგარებითი მოტივებით განისაზღვრება, — გამოცდილება უჩვენებდა, რომ თვით მის მიერ წარმოებული პროდუქტი შედის როგორც მუდმივი კაპიტალის ნაწილი სხვა წარმოების დარგში და ამ სხვა წარმოების დარგთა პროდუქტები შედიან მის პროდუქტში მუდმივი კაპიტალის ნაწილის სახით. მაშასადამე, რადგანაც მისთვის. რამდენადაც ლაპარაკია მის ახალ პროდუქციაზე, ღირებულების მატება, როგორც გარეგნულად ჩანს, ხელფასის, მოგებისა და რენტის სიდიდეთაგან ყალიბდება, ამიტომ ეს შეხედულება მას გადააქვს მუდმივ ნაწილზედაც, რომელიც სხვა კაპიტალისტთა პროდუქციისაგან შედგება, და ამიტომ საბოლოოდ, კაპიტალის მუდმივი ნაწილის ფასი და მასთან საქონელთა მთელი ღირებულება საბოლოო ანგარიშით დაიყვანება, თუმცა ისეთი წესით, რაშიც ბოლომდე გარკვევა შეუძლებელია, ღირებულების ჯამამდე, რომელიც მიიღება დამოუკიდებელი, სხვადასხვა კანონებით რეგულირებული და სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარე ღირებულების შემქმნელების: ხელფასის, მოგების და რენტის შეკრებით.

მეოთხე. ცალკეული კაპიტალისტისათვის სრულიად უმნიშვნელოა — გაიყიდება საქონელი მისი ღირებულების მიხედვით თუ არა, მაშასადამე, მისთვის უმნიშვნელოა თვით ღირებულების განსაზღვრა. ეს უკანასკნელი იმთავითვე ისეთი რამ არის, რაც კაპიტალისტის ზურგს უკან, მისგან დამოუკიდებელი ურთიერთობის ძალით წარმოებს, იმიტომ რომ არა ღირებულებანი, არამედ მათგან გამსხვა-

ვებული წარმოების ფასები ქმნიან წარმოების ყოველ დარგში მარეგულირებელ საშუალო ფასებს. ღირებულების განსაზღვრა როგორც ასეთი ცალკეულ კაპიტალისტს აინტერესებს და მისთვის და კაპიტალისტათვის წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შრომის დაკლებული ან მომატებული რაოდენობა, რაც შრომის მწარმოებლური ძალის ზრდასა ან დაცემასთან ერთად საჭიროა საქონლის წარმოებისათვის, ერთ შემთხვევაში შესაძლებლობას აძლევს მას არსებული საბაზრო ფასების პირობებში ზემოგება მიიღოს, მეორე შემთხვევაში კი აიძულებს მას გაადიდოს საქონელთა ფასი, რადგანაც ახლა პროდუქტის ერთეულს ან ცალკეულ საქონელს მეტი ხელფასი, მეტი მუდმივი კაპიტალი და, მაშასადამე, მეტი სარგებელი უწევს. ღირებულების განსაზღვრა მას მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი თვით მისთვის საქონლის წარმოების ხარჯებს აღიდებს ან ამცირებს, მაშასადამე, რამდენადაც იგი მას განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს.

პირიქით, ხელფასი, სარგებელი და რენტა ეჩვენება მას როგორც არა მარტო იმ ფასის მარეგულირებელ საზღვრებად, რა ფასადაც მან მისი, როგორც მოქმედი კაპიტალისტის, ხვედრი მოგების ნაწილი, მეწარმის შემოსავალი უნდა გაანაღდოს, არამედ იმ ფასის ფარგლებადაც, რომელშიც უნდა გაყიდოს მან საერთოდ საქონელი, რათა შესაძლებელი იყოს უწყვეტი კვლავწარმოება. მისთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა — გაანაღდებს თუ არა იგი გაყიდვის დროს საქონელში განხორციელებულ ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას, ოღონდ კი ფასიდან ამოიგოს ჩვეულებრივი ან ჩვეულებრივზე უფრო მეტი მეწარმის შემოსავალი, რომელიც აღემატება ხელფასით, სარგებლით და რენტით მისთვის ინდივიდუალურად მოცემულ ხარჯთფასს. ამიტომ, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ კაპიტალის მუდმივ ნაწილს, ხელფასი, სარგებელი და რენტა ეჩვენება მას როგორც საქონლის ფასის ზღვარმდებელი და ამიტომ შემქმნელი, განმსაზღვრელი ელემენტები. თუ იგი მოახერხებს, მაგალითად, ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა, მაშასადამე, მის ნომინალურ სიმაღლეზე დაბლა დასწიოს, კაპიტალი სარგებლის უფრო დაბალი განაკვეთის კვალობაზე მიიღოს, და საიჯარო ფული რენტის ნორმალურ დონეზე დაბლა გადაიხადოს, მისთვის სრულიად მნიშვნელობა არ ექნება, თუ იგი პროდუქტს მის ღირებულებაზე დაბლა, თვით წარმოების ფასზე დაბლაც კი გაყიდის, მაშასადამე, თუ იგი

საქონელში მოთავსებული ზედმეტი შრომის ნაწილს მუქთადაც გასცემს. იგივე ითქმის კაპიტალის მუდმივი ნაწილის შესახებაც. თუ წარწველი, მაგალითად, ნედლ მასალას მის წარმოების ფასზე დაბლა კიდევლობს, ეს მას უზრუნველყოფს ზარალისაგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ამ მასალას მზა საქონლის სახით ისევ წარმოების ფასზე დაბლა გაყიდის. მეწარმის შემოსავალი შეიძლება უცვლელი დარჩეს, ანდა კიდევ გაიზარდოს, ოღონდ კი უცვლელი დარჩეს ან გაიზარდოს საქონლის ფასის ნამეტი იმ ელემენტებთან შედარებით, რომლებიც გადახდილ, ეკვივალენტით ანაზღაურებულ უნდა იქნენ. მაგრამ გარდა წარმოების საშუალებათა ღირებულებისა, რომელნიც მისი საქონლის წარმოებაში შედიან როგორც ფასის რაოდენობრივად მოცემული ელემენტები, სწორედ ხელფასი, სარგებელი და რენტა არიან ის ელემენტები, რომელნიც ამ წარმოებაში შედიან როგორც ფასის ადგიდის ზღვარმდებელნი და მარეგულირებელნი. ამიტომ ესენი ეჩვენება მას იმ ელემენტებად, რომელნიც საქონელთა ფასს განსაზღვრავენ. ამ თვალსაზრისით ისე გვეჩვენება, თითქოს მეწარმის შემოსავალი ან განისაზღვრება კონკურენციის შემთხვევით პირობებზე დამოკიდებული საბაზრო ფასის ნამეტით საქონლის იმანენტურ ღირებულებასთან შედარებით, რომელიც ზემოთ აღნიშნული ფასის ელემენტებით განისაზღვრება, — ანდა, რამდენადაც მეწარმის შემოსავალი თავთ შედის განსაზღვრელ ელემენტად საბაზრო ფასში, იგი თვითა წარმოგვიდგება, თავის მხრივ, მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებულ კონკურენციაზე დამოკიდებულ ელემენტად.

როგორც ცალკეულ კაპიტალისტთა ერთმანეთს შორის კონკურენციაში, ისე კონკურენციაში მსოფლიო ბაზარზე ხელფასის, სარგებლის და რენტის მოცემული და წინასწარ ნაგულისხმევი სიდიდენი ანგარიშში შედიან მუდმივ და მარეგულირებელ სიდიდეთა სახით, — მუდმივი არა იმ აზრით, რომ ეს სიდიდენი არ იცვლებიან, არამედ იმ აზრით, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოცემული არიან და მუდმივ საზღვარს წარმოადგენენ მუდამ მერყევი საბაზრო ფასებისათვის. მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში საქმე მარტოდენ იმას ეხება, შეიძლება თუ არა არსებული ხელფასის, სარგებლისა და რენტის პირობებში საქონელი საერთო საბაზრო ფასად ან ამაზე ნაკლებ ფასად სარფიანად გაიყიდოს, ე. ი. რეალიზებულ იქნეს შესაბამისი სამეწარმეო შემოსავალი. თუ ერთ ქვეყანაში ხელფასი და მიწის ფასი დაბალია, ხოლო კაპიტალის სარგებელი, პირიქით, მაღალი, რადგან აქ კაპიტალისტური წარმოების

წესი საერთოდ განუვითარებელია, მაშინ როდესაც მეორე ქვეყანაში ხელფასი და მიწის ფასი ნომინალურად მაღალია, კაპიტალის სარგებელი კი, პირიქით, დაბალი, კაპიტალისტი პირველ ქვეყანაში მეტ შრომას და მიწას გამოიყენებს, მეორეში კი — შედარებით მეტ კაპიტალს. იმის გამოანგარიშებისას, თუ რაოდენ ძლიერი შეიძლება იყოს კონკურენცია ორივე მათ შორის, ეს ფაქტორები მხედველობაში მიიღება როგორც განმსაზღვრელი ელემენტები. მაშასადამე, აქ გამოცდილება გვიჩვენებს თეორიულად, ხოლო კაპიტალისტის ანგარიშებითი ინტერესები — პრაქტიკულად, რომ საქონელთა ფასები განისაზღვრება ხელფასით, სარგებლით და რენტით, შრომის, კაპიტალისა და მიწის ფასით და რომ ფასის ეს ელემენტები ნამდვილად ფასის მარეგულირებელი და წარმოქმნილი ფაქტორები არიან.

თავისთავად გასაგებია, რომ ამასთან ერთად მუდამ რჩება ერთი ელემენტი, რომელიც წანამძღვარი კი არ არის, არამედ საქონელია, საბაზრო ფასის შედეგია, სახელდობრ ეს არის ნამეტი იმ ხარჯთფასთან შედარებით, რომელიც ზემოაღნიშნული ელემენტების — ხელფასის, სარგებლის და რენტის — შეკრებით წარმოიქმნება. ისე გვეჩვენება. თითქოს ეს მეოთხე ელემენტი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრული იყოს კონკურენციით, ხოლო ამ ცალკეულ შემთხვევათაგან მიღებული საშუალოს მიხედვით — საშუალო მოგებით, რომელიც კვლავ რეგულირებულია იმავე კონკურენციით, მხოლოდ უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის.

მეხუთე. კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისზე ახლად მიმატებული შრომის გამომხატველი ღირებულების დაშლა შემოსავლის ფორმებად ხელფასის, მოგებისა და რენტის სახით იმდენად ბუნებრივი და თავისთავად გასაგებია, რომ ეს მეთოდი (რომ არაფერი ვთქვათ წარსულ ისტორიულ პერიოდებზე, საიდანაც ჩვენ მაგალითებს ვიღებდით მიწის რენტის გამოკვლევის დროს) იქაც კი გამოიყენება, სადაც იმთავითვე არ მოიპოვება შემოსავლის ამ ფორმების არსებობის პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ ანალოგიის გზით შეიძლება, რომ ყველაფერი შემოსავლის ამ ფორმებზე დავიყვანოთ.

თუ დამოუკიდებელი მუშა — ავილოთ წვრილი გლეხი, რადგან აქ შემოსავლის სამივე ფორმის გამოყენება შეიძლება — თავისთვის მუშაობს და თავის საკუთარ პროდუქტს ყიდის, ის განიხილება, ჯერ ერთი, როგორც თავისი საკუთარი დამსაქმებელი (კაპიტალისტი), რომელიც თავის თავს გამოიყენებს როგორც მუშას, და მეორეც,

როგორც თავისი საკუთარი მიწათმესაკუთრე, რომელიც თავის თავს გამოიყენებს როგორც მოიჯარეს. როგორც დაქირავებულ მუშას ის თავის თავს ხელფასს უხდის, როგორც კაპიტალისტს ის თავის თავს მოგებას აძლევს და როგორც მიწათმესაკუთრეს ის თავის თავს მიწის რენტას უხდის. რაკი კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი შესაბამისი ურთიერთობა ნაგულისხმევია როგორც საერთო საზოგადოებრივი ბაზისი, ეს დახასიათება იმდენად მართებულია, რამდენადაც დამოუკიდებელი მუშა არა თავის შრომას, არამედ თავის საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, — რომელთაც აქ საერთოდ უკვე მიუღიათ კაპიტალის ფორმა, — უნდა უმადლოდეს, რომ მას შეუძლია მიითვისოს თავისი საკუთარი ზედმეტი შრომა. შემდეგ, რამდენადაც იგი თავის პროდუქტს საქონლის სახით აწარმოებს, მაშასადამე, დამოკიდებულია მის ფასზე (ასეც რომ არ იყოს, ფასი მაინც შეიძლება მხედველობაში მივიღოთ), ზედმეტი შრომის მასა, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს, დამოკიდებულია არა მის საკუთარ სიდიდეზე, არამედ მოგების საერთო ნორმაზე; ასევე მოგების საერთო ნორმით განსაზღვრული ზედმეტი ღირებულების წილის გარკვეული ნაწილი არ განისაზღვრება კვლავ მის მიერ შესრულებული შრომის რაოდენობით, მაგრამ მას მიითვისებს იგი მხოლოდ იმიტომ, რომ მიწის მესაკუთრეა. რადგან წარმოების ამგვარი ფორმა, რაც კაპიტალისტურ წარმოების წესს არ შეესაბამება, შეიძლება დავიყვანოთ — და გარკვეულ ფარგლებში არცთუ უსაფუძვლოდ — შემოსავლის კაპიტალისტურ ფორმებამდე, ამიტომ მტკიცედ იკიდებს ფეხს ის ილუზია, თითქოს კაპიტალისტური ურთიერთობა წარმოების ყოველი წესის ბუნებრივი ურთიერთობა იყოს.

თუ ხელფასს მის საერთო საფუძვლამდე, სახელდობრ საკუთარი შრომის პროდუქტის იმ ნაწილამდე დავიყვანოთ, რომელიც მუშის ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის; თუ გავათავისუფლებთ ამ ნაწილს კაპიტალისტურ ზღუდეთაგან და გავაფართოვებთ მას მოხმარების იმ მოცულობამდე, რასაც, ერთი მხრივ, შესაძლებლად ხდის საზოგადოების არსებული მწარმოებლური ძალა (ე. ი. მისი საკუთარი შრომის — როგორც ნამდვილად საზოგადოებრივი შრომის — საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა) და რასაც, მეორე მხრივ, ინდივიდუალობის სრული განვითარება მოითხოვს; თუ დავიყვანოთ, შემდეგ ზედმეტ შრომას და ზედმეტ პროდუქტს იმ ზომამდე, რაც საზოგადოების მოცემულ წარმოების პირობებში საჭიროა, ერთი მხრივ, დაზღვევის და სარეზერვო ფონდის შესაქმნელად, მეორე მხრივ,

კვლავწარმოების განუწყვეტელი გაფართოებისათვის საზოგადოებრივი მოთხოვნილებით განსაზღვრულ დონემდე; დასასრულ, თუ შეეიტანთ № 1-ში, აუცილებელ შრომაში, და № 2-ში, ზედმეტ შრომაში, შრომის იმ რაოდენობას, რაც საზოგადოების შრომისუნარიანმა წევრებმა უნდა ხარჯონ ჯერ კიდევ შრომისუნარმოკლებულ ანდა უკვე შრომისუნარდაკარგულ წევრთა სასარგებლოდ, ე. ი. თუ ჩამოვაცილებთ როგორც ხელფასს, ისე ზედმეტ ღირებულებას, როგორც აუცილებელ შრომას, ისე ზედმეტ შრომას სპეციფიკურად კაპიტალისტურ ხასიათს, მაშინ დაგვრჩება უკვე არა ეს ფორმები, არამედ მხოლოდ მათი საფუძვლები, რომლებიც საერთოა ყველა საზოგადოებრივი წარმოების წესისათვის.

სხვათა შორის, დაყვანის ეს წესი ახასიათებს წინანდელ გიბატონებულ წარმოების წესსაც, მაგალითად, ფეოდალურს. წარმოებითი ურთიერთობა, რაც მას სრულიად არ შეესაბამებოდა, რაც სრულიად მის გარეშე იდგა, ფეოდალურ ურთიერთობამდე დაიყვანებოდა, მაგალითად, ინგლისში *tenures in common socage* [გლეხური მფლობელობა მიწისა] (წინააღმდეგ *tenures on knight's service* [რაინდულა მფლობელობა]), თუმცა ეს ურთიერთობა მხოლოდ ფულად ვალდებულებებს შეიცავდა და მხოლოდ სახელით იყო ფეოდალური.

თავი ორმოცდამეთერთმეტი

განაწილებითი ურთიერთობა და წარმოებითი ურთიერთობა.

ამრიგად, ყოველწლიურად ახლად მიმატებული შრომის მეოხებით ახლად მიმატებული ღირებულება. — მაშასადამე, ყოველწლიური პროდუქტის ის ნაწილიც, რითაც ეს ღირებულება გამოიხატება და რაც შეიძლება გამოცალკევებულ, გამოთიშულ იქნეს მთელი ამონაგებიდან, — დაიყოფა სამ ნაწილად, რომელნიც შემოსავლის სამ სხვადასხვა ფორმას იღებენ, ფორმას, რომელიც გამოხატავს ამ ღირებულების ერთ ნაწილს როგორც სამუშაო ძალის მფლობელის, მეორე ნაწილს როგორც კაპიტალის მფლობელის, და მესამე ნაწილს როგორც მიწის საკუთრების მფლობელის კუთვნილს ანუ ხვედრს. მაშასადამე, ეს არის განაწილების ურთიერთობა ანუ ფორმები, რადგან ისინი გამოხატავენ იმ ურთიერთობას, რომლის მიხედვით მთელი ახლად-შექმნილი ღირებულება ნაწილდება წარმოების სხვადასხვა ფაქტორების მფლობელთა შორის.

ჩვეულებრივ წარმოდგენას ეს ურთიერთობა ეჩვენება ბუნებრივ ურთიერთობად, რომელიც ყოველი საზოგადოებრივი წარმოების ბუნებიდან, საერთოდ ადამიანთა წარმოების კანონებიდან გამომდინარეობს. მართალია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კაპიტალიზმამდელი საზოგადოებანი განაწილების სხვა წესებს გვიჩვენებენ, მაგრამ ამ უკანასკნელთ განმარტავენ როგორც განუვითარებელთ, არასრულყოფილთ, ნიღაბაფარებულთ, რომელთაც ვერ მიუღწევიათ თავიანთი ყველაზე წმინდა გამოხატულებისათვის, თავიანთი უმაღლესი ფორმისათვის [Gestalt] და რომელნიც განაწილების ამ ბუნებრივი ურთიერთობის სხვაგვარად შეფერადებულ წესებს წარმოადგენენ.

ამ შეხედულებაში სწორია მხოლოდ შემდეგი: რაკი მოცემულია ამა თუ იმ სახის საზოგადოებრივი წარმოება (მაგალითად, ბუნებრივად აღმოცენებული ინდური თემი ანდა უფრო ხელოვნურად განვითარებული პერუელთა კომუნისმი), მუდამ შეიძლება გავავლოთ განსხვავება შრომის იმ ნაწილსა, რომლის პროდუქტსაც უშუალოდ მწარმოებელი და მის კმაყოფაზე მყოფნი [Angehörige] ინდივიდუალურად მოიხმარენ და, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ ნაწილს, რაც მწარმოებლურ მოხმარებაზე მიდის, — შრომის მეორე ნაწილს შორის, რომელიც მუდამ ზედმეტი შრომაა, რომლის პროდუქტი მუდამ ემსახურება საერთო საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სულ ერთია, როგორც არ უნდა ნაწილდებოდეს ეს ზედმეტი პროდუქტი და ვინც არ უნდა მოქმედებდეს ამ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა წარმომადგენლის სახით. მაშასადამე, განაწილების სხვადასხვა წესების იგივეობა იმას ნიშნავს, რომ ისინი იდენტურნი არიან, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ მათს განსხვავებებს და სპეციფიკურ ფორმებს და ყურადღებას შევაჩერებთ მათს ერთიანობაზე, მათი განსხვავების საპირისპიროდ.

უფრო განვითარებული, უფრო მეტად კრიტიკული შემეცნება, მართალია, აღიარებს⁶ „განაწილებითი ურთიერთობის ისტორიულად განვითარების ხასიათს, მაგრამ მით უფრო მტიკედ იცავს თვით წარმოებითი ურთიერთობის უცვლელ ხასიათს, რაც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და, მაშასადამე, ყოველი ისტორიული განვითარებისაგან დამოუკიდებელია.

პირიქით, კაპიტალისტური წარმოების წესის მეცნიერული ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი განსაკუთრებული სახის, სპეციფიკური ისტორიული განსაზღვრულობის წარმოების წესია, რომ იგი, როგორც ყოველი სხვა განსაზღვრული წარმოების წესი, გულისხმობს საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების და მათი განვითარების ფორმების გარკვეულ საფეხურს, როგორც თავის ისტორიულ პირობას, — პირობას, რომელიც თვით არის წინაღობისგან დაცული პროცესის შედეგი და პროდუქტი და რომლიდანაც, როგორც თავისი მოცემული საფუძვლიდან, წარმოების ახალი წესი გამომდინარეობს; რომ ამ სპეციფიკური, ისტორიულად განსაზღვრული წარმოების წესის შესაბამის წარმოებით ურთიერთობას, — ურთიერთობას, რომელშიაც ადამიანები შედიან თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების

⁶ J. Stuart Mill: «Some Unsettled Questions in Polit Econ.» London 1844.

დროს, — სპეციფიკური, ისტორიული და წარმავალი ხასიათი აქვს; და რომ, დასასრულ, განაწილებითი ურთიერთობა, რაც არსებითად წარმოების ურთიერთობის იდენტურია, ამ უკანასკნელის უკუმხარეს წარმოადგენს, ასე რომ ორივე ერთსა და იმავე ისტორიულად წარმავალ ხასიათს ატარებს.

განაწილებითი ურთიერთობათა განხილვისას უწინარეს ყოვლისა იმ მოჩვენებითი ფაქტიდან გამოდიან, რომ წლიური პროდუქტი ნაწილდება ხელფასად, მოგებად და მიწის რენტად. მაგრამ ამნაირად გამოთქმული ეს ფაქტი მცდარია. პროდუქტი ნაწილდება, ერთი მხრივ, კაპიტალად და, მეორე მხრივ, შემოსავლად. ერთი ამ შემოსავალთაგანი, ხელფასი, თვით იღებს შემოსავლის, მუშის შემოსავლის ფორმას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იმავე მუშას იგი წინასწარ კაპიტალის ფორმით დაუპირისპირდება. წარმოებული შრომის პირობებისა და შრომის პროდუქტების დაპირისპირება საერთოდ როგორც კაპიტალისა უშუალო მწარმოებელთა მიმართ უკვე წინასწარ გულისხმობს შრომის ნივთობრივი პირობების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ხასიათს მუშების მიმართ და ამით იმ განსაზღვრულ ურთიერთობას, რომელშიაც ისინი შედიან თვით წარმოების დროს შრომის პირობების მფლობელთა და ერთიმეორის მიმართ. ამ შრომითი პირობების გადაქცევა კაპიტალად თავის მხრივ გულისხმობს უშუალო მწარმოებელთა კუთვნილი მიწის ექსპროპრიაციას და ამით მიწათსაკუთრების განსაზღვრულ ფორმას.

პროდუქტის ერთი ნაწილი რომ კაპიტალად არ იქცეოდეს, მეორე ნაწილი ვერ მიიღებდა ხელფასის, მოგებისა და რენტის ფორმას.

მეორე მხრივ, თუ კაპიტალისტური წარმოების წესი წარმოების პირობათა ამ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმას [Gestalt] გულისხმობს, იგი ამასთან განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს მას. იგი აწარმოებს არა მარტო მატერიალურ პროდუქტებს, არამედ განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს იმ წარმოებით ურთიერთობას, რომელშიაც ეს პროდუქტები იწარმოებიან, და ამით აკვლავწარმოებს შესაბამის განაწილებით ურთიერთობასაც.

შეიძლება, რასაკვირველია, ითქვას, რომ კაპიტალი (და მიწათსაკუთრება, რასაც კაპიტალი შეიცავს როგორც თავის დაპირისპირებულობას) თვით გულისხმობს უკვე გარკვეულ განაწილებას: მუშების ექსპროპრიაციას შრომის პირობებისაგან, ამ პირობების კონცენტრაციას ინდივიდთა უმცირესობის ხელში, მონოპოლიურ მიწათსაკუთრებას სხვა ინდივიდთათვის, მოკლედ, ყველა იმ ურთიერთობას, რომე-

ლიც გამოკვლეული იყო განყოფილებაში თავდაპირველი დაგროვების შესახებ (წიგნი I, თავი XXIV). მაგრამ ეს განაწილება სრულიად განსხვავდება იმისაგან, რასაც განაწილებით ურთიერთობად გულისხმობენ, როდესაც მას, წინააღმდეგ წარმოებითი ურთიერთობისა, ისტორიულ ხასიათს მიაწერენ. ამასთან მხედველობაში აქვთ სხვადასხვა ტიტული პროდუქტის იმ ნაწილის მიმართ, რაც ინდივიდუალურ მოხმარებას უწევს წილად. განაწილების ეს ურთიერთობა კი, პირიქით, იმ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფუნქციების საფუძველია, რომელნიც თვით წარმოებითი ურთიერთობის შიგნით მის გარკვეულ აგენტებს უწევს წილად უშუალო მწარმოებლებისაგან განსხვავებით. იგი თვით წარმოების პირობებს და მათ წარმომადგენლებს სპეციფიკურ საზოგადოებრივ თვისებას ანიჭებს. იგი განსაზღვრავს წარმოების მთელ ხასიათსა და მთელ მოძრაობას.

ორი დამახასიათებელი ნიშანი განასხვავებს იმთავითვე კაპიტალისტურ წარმოების წესს.

პირველი. იგი აწარმოებს თავის პროდუქტებს საქონლის სახით. საქონელთა წარმოება კი არ განასხვავებს მას წარმოების სხვა წესებისაგან, არამედ ის, რომ საქონლად ყოფნა მისი პროდუქტების გაბატონებული და განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა [Charakter]. ეს უწინარეს ყოვლისა იმას გულისხმობს, რომ თვით მუშა გამოდის მხოლოდ როგორც საქონლის გამყიდველი და ამიტომ როგორც თავისუფალი დაქირავებული მუშა, მაშასადამე, შრომა გამოდის საერთოდ როგორც დაქირავებული შრომა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქამდე გზმოვიკვლიეთ, ზედმეტია ხელახლა იმის მტკიცება, თუ როგორ განსაზღვრავს კაპიტალის და დაქირავებული შრომის ურთიერთობა წარმოების წესის მთელ ხასიათს. ამ წარმოების წესის მთავარი აგენტები, კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა როგორც ასეთები, თვით წარმომადგენენ კაპიტალის და დაქირავებული შრომის მხოლოდ განსახიერებას, გაპიროვნებას; ესაა განსაზღვრული საზოგადოებრივი ხასიათი, რასაც საზოგადოებრივი წარმოების პროცესი ინდივიდუალურად ალბეჭდავს; ისინი ამ განსაზღვრული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის პროდუქტებია.

ხასიათი 1) პროდუქტისა, როგორც საქონლისა და 2) საქონლისა როგორც კაპიტალის პროდუქტისა უკვე გულისხმობს მიმოქცევის ყველა ურთიერთობას, ე. ი. განსაზღვრულ საზოგადოებრივ პროცესს, რომელიც პროდუქტებმა უნდა განვლონ და რომელშიაც მათ განსაზღვრული საზოგადოებრივი ნიშან-თვისებანი უნდა მიიღონ, იგი გულისხმობს ასევე წარმოების აგენტთა განსაზღვრულ ურთიერთობას,

რითაც განისაზღვრება მათი პროდუქტის ღირებულების ზრდა [Verwerthung] და მისი უკუგადაქცევა გინდ საარსებო საშუალებებად და გინდ წარმოების საშუალებებად. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ზემოთ აღნიშნული ორივე დამახასიათებელი თვისებიდან, რაც ეკუთვნის პროდუქტს როგორც საქონელს, ანდა საქონელს როგორც კაპიტალისტურად წარმოებულ საქონელს, გამომდინარეობს ღირებულების მთელი განსაზღვრა და ღირებულების მიერ მთელი წარმოების რეგულირება. ღირებულების ამ სრულიად სპეციფიკურ ფორმაში შრომას მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, მხოლოდ როგორც საზოგადოებრივ შრომას; მეორე მხრივ, ამ საზოგადოებრივი შრომის განაწილება და მისი ურთიერთშეგება, ნივთიერებათა ცვლა მის პროდუქტებს შორის, მისი დაქვემდებარება საზოგადოებრივი მექანიზმის მსვლელობისადმი და მისი ჩაბმა ამ მექანიზმში მინებებულისა ცალკეულ კაპიტალისტურ მწარმოებელთა შემთხვევით, ურთიერთ მომსპობ მისწრაფებებზე. რადგან ეს კაპიტალისტური მწარმოებლები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელები და, ყოველი მათგანი ცდილობს რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს თავისი საქონელი (და თვით წარმოების რეგულირებისას თითქოს მხოლოდ თვითნებურად ხელმძღვანელობს), შინაგანი კანონი გზას იკვლევს მხოლოდ მათი კონკურენციის, მათი ერთმანეთზე ზეგავლენის საშუალებით, რის გამო ყველა გადახრა ერთმანეთს აბათილებს. ღირებულების კანონი აქ მოქმედებს მხოლოდ როგორც ცალკეული აგენტებისადმი ბუნების ბრმა კანონის სახით დაპირისპირებული შინაგანი კანონი და ამყარებს წარმოების საზოგადოებრივ წონასწორობას მის შემთხვევით რყევათა შიგნით.

შემდეგ, უკვე საქონელში, და უფრო მეტად საქონელში როგორც კაპიტალის პროდუქტში, ნაგულისხმევია წარმოების საზოგადოებრივ განსაზღვრათა განივთება და წარმოების მატერიალურ საფუძველთა გასუბიექტება, რაც მთელ კაპიტალისტურ წარმოების წესს ახასიათებს.

მეორე, კაპიტალისტურ წარმოების წესს სპეციფიკურად ახასიათებს ზედმეტი ღირებულების წარმოება როგორც წარმოების პირდაპირი მიზანი და განმსაზღვრელი მოტივი. კაპიტალი არსებითად კაპიტალს აწარმოებს და ამას იგი მხოლოდ იმდენად აღწევს, რამდენადაც ზედმეტი ღირებულებას აწარმოებს. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულებისა და შემდეგ ზედმეტი ღირებულების მოგებად გადაქცევის განხილვისას ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ემყარება ამას კაპიტალისტური პერიოდისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი —

განვითარების განსაკუთრებული ფორმა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალებისა, რომლებიც მუშის მიმართ კაპიტალის დამოუკიდებელი ძალების სახეს იღებენ და ამიტომ პირდაპირ წინააღმდეგობაში არიან მისი, მუშის, საკუთარ განვითარებასთან. წარმოება ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულებისათვის გულისხმობს, როგორც ეს შემდგომი გამოკვლევით ცხადვყავით, განუწყვეტლივ მოქმედ ტენდენციას, რომელიც იქითკენაა მიმართული, რომ საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო, ე. ი. მისი ღირებულება შეამციროს და მოცემულ მომენტში არსებულ საზოგადოებრივ საშუალოზე დაბლა დაიყვანოს. ხარჯთფასის მის მინიმუმამდე დაყვანისადმი მისწრაფება უძლიერესი ბერკეტი ხდება შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გასადიდებლად, მაგრამ ეს გადიდება აქ წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც კაპიტალის მწარმოებლური ძალის განუწყვეტელი გადიდება.

ის ძალაუფლება, რასაც მოიპოვებს კაპიტალისტი როგორც კაპიტალის გაპიროვნება უშუალო წარმოების პროცესში, ის საზოგადოებრივი ფუნქცია, რასაც იგი ასრულებს როგორც წარმოების ხელმძღვანელი და მბრძანებელი, არსებითად განსხვავებულია იმ ძალაუფლებებისაგან, რომელიც მონების, ყმებისა და სხვ. შემწეობით წარმართული წარმოების ბაზისზე იქმნება.

კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე უშუალო მწარმოებელთა მასას უპირისპირდება მათი წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი მკაცრად მარეგულირებელი ძალაუფლებისა და სრულ იერარქიად დანაწევრებული შრომითი პროცესის საზოგადოებრივი მექანიზმის ფორმაში, და თანაც ამ ძალაუფლებით მისი მატარებელნი სარგებლობენ შრომისადმი დაპირისპირებით მხოლოდ შრომის პირობების გაპიროვნების სახით და არა პოლიტიკურ ან თეოკრატიულ მბრძანებელთა სახით, როგორც ეს იყო წარმოების ადრინდელი ფორმების დროს; ამავე დროს კი ამ ძალაუფლების მატარებელთა, თვით კაპიტალისტთა შორის, რომელნიც ერთიმეორეს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი, გამეფებულია სრული ანარქია, რომლის შიგნით წარმოების საზოგადოებრივი კავშირი ხორციელდება მხოლოდ როგორც ბუნების უძლიერესი და ინდივიდუალური თვითნებობის დამმორჩილებელი კანონი.

მხოლოდ იმის გამო, რომ წანამძღვრად მოცემულია შრომა დაქირავებული შრომის ფორმით და წარმოების საშუალებანი კაპიტალის ფორმით, — მაშასადამე, წარმოების ამ ორი არსებითი ფაქტორის ამ

სპეციფიკური საზოგადოებრივი ხასიათის გამო, — ღირებულების (პროდუქტის) ნაწილი აისახება როგორც ზედმეტი ღირებულება და ეს ზედმეტი ღირებულება — როგორც მოგება (რენტა), როგორც კაპიტალისტის შემოსავალი, როგორც დამატებითი, მის განკარგულებაში მყოფი, მისი კუთვნილი სიმდიდრე. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოდგენილია ამნაირად როგორც მისი მოგება, დამატებითი წარმოების საშუალებანი, რომელნიც კვლავწარმოების გაფართოებისათვის არიან განკუთვნილნი და მოგების ნაწილს შეადგენენ. წარმოდგენილია როგორც ახალი დამატებითი კაპიტალი და კვლავწარმოების პროცესის გაფართოება საერთოდ — როგორც კაპიტალისტური დაგროვების პროცესი.

თუმცა შრომის ფორმა, როგორც დაქირავებული შრომა, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მთელი პროცესის ხასიათისათვის და თვით წარმოების სპეციფიკური წესისათვის, დაქირავებული შრომა მაინც არ არის ღირებულების განმსაზღვრელი. ღირებულების განსაზღვრისას საქმე ეხება საზოგადოებრივ სამუშაო დროს საერთოდ. შრომის რაოდენობას, რომელიც შეიძლება საერთოდ საზოგადოების განკარგულებაში მოიპოვებოდეს, და რომლის შეფარდებითი შთანთქმა სხვადასხვა პროდუქტების მიერ, ასე ვთქვათ, განსაზღვრავს ამ უკანასკნელთა შესაბამის საზოგადოებრივ წონას. ის განსაზღვრული ფორმა, რომლითაც საზოგადოებრივი სამუშაო დრო საქონელთა ღირებულებაში ვლინდება [sich durchsetzt] როგორც მისი განმსაზღვრელი ფაქტორი, რასაკვირველია, დაკავშირებულია შრომის ფორმასთან როგორც დაქირავებულ შრომასთან და წარმოების საშუალებათა შესაბამის ფორმასთან როგორც კაპიტალთან იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ამ ბაზისზე ხდება საქონელწარმოება წარმოების საყოველთაო ფორმად.

მაგრამ, განვიხილოთ თვით ეგრეთწოდებული განაწილებითი ურთიერთობა. ხელფასი გულისხმობს დაქირავებულ შრომას, მოგება — კაპიტალს. მაშასადამე, განაწილების ეს განსაზღვრული ფორმები გულისხმობენ წარმოების პირობების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ნიშან-თვისებას და წარმოების აგენტთა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. მაშასადამე, განაწილების განსაზღვრული ურთიერთობა მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობის გამოხატულებაა.

ავიღოთ ახლა მოგება. ზედმეტი ღირებულების ეს განსაზღვრული ფორმა იმის წინამძღვარია, რომ წარმოების საშუალებათა ახლად შექმნა კაპიტალისტური წარმოების ფორმაში მიმდინარეობს; მაშასა-

დამე, ესაა კვლავწარმოებაზე გაბატონებული ურთიერთობა, თუმცა ცალკეულ კაპიტალისტს კი ეჩვენება, რომ მას შეუძლია მთელი მოგება შემოსავლის სახით თვითონ შეჭამოს. მაგრამ ის აწყდება ამ დროს ფარგლებს, რომლებიც მას უპირისპირდებიან დაზღვევის და სარეზერვო ფონდის, კონკურენციის კანონისა და სხვ. სახით და პრაქტიკულად უმტკიცებენ, რომ მოგება არ არის მარტოდენ ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის განაწილების კატეგორია. შემდეგ, მთელი კაპიტალისტური წარმოების პროცესი რეგულირდება პროდუქტის ფასებით. მაგრამ მარეგულირებელი წარმოების ფასები თვით რეგულირდებიან მოგების ნორმის გათანაბრებით და მის შესაბამისად კაპიტალის განაწილებით საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის. მაშასადამე, მოგება აქ გვევლინება როგორც მთავარი ფაქტორი არა პროდუქტის განაწილებისა, არამედ თვით მისი წარმოებისა, როგორც ნაწილი კაპიტალისა და თვით შრომის განაწილებისა წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის. მოგების დაყოფა მეწარმის შემოსავლად და სარგებლად წარმოგვიდგება ერთი და იმავე შემოსავლის განაწილებად. მაგრამ იგი წარმოიშვება უწინარეს ყოვლისა კაპიტალის განვითარებიდან, როგორც თვითმზარდი, ზედმეტი ღირებულების შემქმნელი ღირებულებიდან, გაბატონებული წარმოების პროცესის ამ განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმიდან [Gestalt]. ის თავისთავიდან ავითარებს კრედიტს და საკრედიტო დაწესებულებებს და ამით წარმოების მთელ ფორმას [Gestalt]. სარგებლის და სხვ. სახით განაწილების ეგრეთწოდებული [angebliche] ფორმები შედიან ფასში როგორც განმსაზღვრელი წარმოებითი მომენტები.

რაც შეეხება მიწის რენტას, შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, რომ იგი მარტოდენ განაწილების ფორმაა, რადგან მიწათსაკუთრება, როგორც ასეთი, არ ასრულებს არავითარ — ან ყოველ შემთხვევაში არავითარ ნორმალურ — ფუნქციას თვით წარმოების პროცესში. მაგრამ ის გარემოება, რომ 1) რენტა ზღვარდებულია საშუალო მოგების ნამეტით, რომ 2) მიწის მესაკუთრე წარმოების პროცესის და მთელი საზოგადოებრივი სასიცოცხლო პროცესის ხელმძღვანელიდან და მპყრობელიდან ჩამოქვეითებულია მარტოდენ მიწის იჯარით გამცემის, მიწის მეფახშის, მარტოდენ რენტის მიმღების როლამდე, — ეს გარემოება კაპიტალისტური წარმოების წესის სპეციფიკური ისტორიული შედეგია. მიწამ რომ მიწათსაკუთრების ფორმა მიიღო, ეს ამ წარმოების წესის ისტორიული წანამძღვარია. მიწათსაკუთრება რომ

ისეთ ფორმას იღებს, რაც სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური წესით წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, ეს ამ წარმოების წესის სპეციფიკური ხასიათის პროდუქტია. მიწის მესაკუთრის შემოსავალს საზოგადოების სხვა ფორმების არსებობის დროსაც შეიძლება რენტა ეწოდოს. მაგრამ იგი არსებითად განსხვავებულია იმ რენტისაგან, რა ხასიათაც გვევლინება იგი წარმოების ამ წესის არსებობისას.

ამრიგად, ევრეთწოდებული განაწილებითი ურთიერთობა შეესაბამება წარმოების პროცესის ისტორიულად განსაზღვრულ, სპეციფიკურად საზოგადოებრივ ფორმებს და იმ ურთიერთობას, რომელსაც ადამიანები თავიანთი ადამიანური ცხოვრების კვლავწარმოების პროცესში ერთმანეთთან ამყარებენ, და იგი ამ ფორმებიდან და ურთიერთობიდან წარმოიშვება. ამ განაწილებითი ურთიერთობის ისტორიული ხასიათი არის წარმოებითი ურთიერთობის ისტორიული ხასიათი. რომლის მხოლოდ ერთ მხარესაც ეს განაწილებითი ურთიერთობა გამოხატავს. კაპიტალისტური განაწილება განსხვავდება განაწილების იმ ფორმებისაგან, რომლებიც წარმოების სხვა წესებიდან აღმოცენდებიან. და განაწილების ყოველი ფორმა ქრება წარმოების განსაზღვრულ ფორმასთან ერთად, რომელიც მას წარმოშობს და რომელსაც იგი შეესაბამება.

შეხედულება, რომელიც ისტორიულად განიხილავს მხოლოდ განაწილებით ურთიერთობას მაგრამ არა წარმოებით ურთიერთობას. არის, ერთი მხრივ, ბუჩუაზიზული ეკონომიის ახლად დაწყებული, ჯერ კიდევ შებოჭილი კრიტიკის შეხედულება მხოლოდ. მეორე მხრივ იგი ემყარება იმას, რომ ერთმანეთში ურევს და აიგივებს საზოგადოებრივი წარმოების პროცესს და იმ მარტივ შრომის პროცესს, რომელიც უნდა შეესრულებინა ხელოვნურად იზოლირებულ ადამიანსაც ყოველივე საზოგადოებრივი დახმარების გარეშე. რამდენადაც შრომის პროცესი მხოლოდ პროცესია ადამიანსა და ბუნებას შორის, მისი მარტივი ელემენტები საერთოა საზოგადოებრივი განვითარების ყველა ფორმისათვის. მაგრამ ამ პროცესის ყოველი განსაზღვრული ისტორიული ფორმა ავითარებს შემდგომ მის მატერიალურ საფუძვლებს და საზოგადოებრივ ფორმებს. მიაღწევს რა მომწიფების გარკვეულ საფეხურს, განსაზღვრული ისტორიული ფორმა მოიხსნება და ადგილს უთმობს უფრო მაღალ ფორმას. ის, რომ ასეთი კრიზისის მომენტი დამდგარა, მაშინ მყდვენდება, როცა განსაკუთრებულ სიღრმეს და სიფართოვეს აღწევს წინააღმდეგობა და დაპირისპირებულობა, ერთი მხრივ, განაწილებით ურთიერთობასა, მაშასადამე.

აგრეთვე მისი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის განსაზღვრულ ისტორიულ ფორმასა და, მეორე მხრივ, მწარმოებლურ ძალებსა, წარმოების უნარსა და წარმოების ფაქტორების განვითარებას შორის. მაშინ იწყება კონფლიქტი წარმოების მატერიალურ განვითარებასა და მის საზოგადოებრივ ფორმას შორის⁵⁷.

.

⁵⁷ იხ. თხზულება *Competition and Cooperation*-ის შესახებ (1832 ?).

თავი ორმოცდამეთორმეტე

კლასები.

მართოდენ სამუშაო ძალის მესაკუთრენი, კაპიტალის მესაკუთრენი და მიწის მესაკუთრენი, რომელთა შემოსავლის შესაბამის წყაროს ხელფასი, მოგება და მიწის რენტა წარმოადგენს, მაშასადამე, დაქირავებული მუშები, კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი შეადგენენ თანამედროვე, კაპიტალისტურ წარმოების წესზე დამყარებული საზოგადოების სამ დიდ კლასს.

უდავოა, რომ ინგლისში თანამედროვე საზოგადოება თავისი ეკონომიური სტრუქტურით ყველაზე ფართოდ, ყველაზე კლასიკურად განვითარდა. მაგრამ ეს კლასობრივი დანაწევრება აქაც კი არ გვევლინება თავისი წმინდა სახით. საშუალო და გარდამავალი საფეხურები აქაც (თუმცა სოფლად გაცილებით ნაკლებად, ვიდრე ქალაქად) ჩრდილავენ მოსაზღვრე ხაზებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამას ჩვენი გამოკვლევისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივი ტენდენცია და განვითარების კანონი ის არის, რომ წარმოების საშუალებანი სულ უფრო ჩამოაშოროს შრომას და წარმოების დაქუცმაცებული საშუალებანი სულ უფრო დიდ ჯგუფებად კონცენტრირებული გახადოს, მაშასადამე, გადააქციოს შრომა დაქირავებულ შრომად და წარმოების საშუალებანი — კაპიტალად. და მეორე მხარეზე ამ ტენდენციას შეესაბამება დამოუკიდებელი გამოთიშვა მიწათსაკუთრებისა კაპიტალისა და შრომისაგან⁵⁶, ე. ი. მთელი მიწათსაკუთრების გადაქცევა კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამის მიწათსაკუთრების ფორმად.

⁵⁶ ფ. ლისტო მართებულად შენიშნავს: «როცა მსხვილ ადგილ-მამულში თვით-კმარი მეურნეობა [Selbstbewirtschaftung] სჭარბობს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ნაკლებადაა ცივილიზაცია, მიმოსვლის საშუალებანი, ადგილობრივი სარეწავები და მდიდარი ქალაქები. ამიტომაც მას ყველგან ეხვდებით რუსეთში,

უახლოესი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ, ასეთია: რა ქმნის კლასს? თანაც ეს პასუხი თავისთავად ცხადი იქნება, თუკი ვუპასუხებთ მეორე კითხვაზე: რა ხდის დაჭირებულ მუშებს, კაპიტალისტებს, მიწის მესაკუთრეებს სამი დიდი საზოგადოებრივი კლასის შემქმნელად?

ერთი შეხედვით — შემოსავალთა და შემოსავლის წყაროების იგივეობა. ეს სამი დიდი საზოგადოებრივი ჯგუფია, რომელთა კომპონენტები, მათი შემდგენელი ინდივიდები, ცხოვრობენ შესაბამისად ხელფასით, მოგებით და მიწის რენტით, თავიანთი სამუშაო ძალის, თავიანთი კაპიტალის და თავიანთი მიწათსაკუთრების გამოყენებით.

მაგრამ ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ექიმები და მოხელეები აგრეთვე ორ კლასს შეადგენენ, რადგან ისინი ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნიან, თანაც ამ ორი ჯგუფიდან თვითუფლისწევრთა შემოსავალი ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს. ამასვე ექნებოდა ადგილი ინტერესთა და მდგომარეობათა იმ დაუსრულებელი დაჭუტვამცების მიმართ, რასაც ქმნის საზოგადოებრივი შრომის დანაწილება როგორც მუშებში, ასევე კაპიტალისტებსა და მიწის მესაკუთრეებში — უკანასკნელნი, მაგალითად, იყოფიან ვენახების მფლობელებად, სახნავი მიწის მფლობელებად, ტყეების მფლობელებად, მალაროების მფლობელებად, სათევზაოების მფლობელებად.

{აქ ხელნაწერი წყდება.}

პოლონეთში, უნგრეთში, მეკლენბურგში. წინათ იგი ინგლისშიაც სჭარბობდა. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად მისი ადგილი დაიკავა საშუალო მეურნეობებად დაყოფამ და იჯარით გაცემამ» («Die Ackerverfassung, die Zwergwirtschaft und die Auswanderung», 1842, გვ. 10).

ფ. ენგილსი

«ქაუიჯილის» მესამე გომის დამაჯებანი

მას შემდეგ, რაც «კაპიტალის» მესამე ტომი საჯარო მსჯელობის საგანი გახდა, მის შესახებ უკვე მრავალჯერ გამოითქვა უაღრესად სხვადასხვაგვარი მოსაზრებანი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი გამოცემისას ჩემი ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ მომეზადებინა შეძლებისამებრ უფრო აუთენტური ტექსტი, გადმომეცა მარქსის გამოკვლევათა ახალი შედეგები რამდენადაც კი შეიძლებოდა მისივე საკუთარი სიტყვებით, შემომეფარგლა ჩემი პირადი ჩარევა ამ საქმეში მხოლოდ იმით, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო, ამასთან ასეთ შემთხვევებშიც არ დამეტოვებინა მკითხველში არავითარი ეჭვი იმის შესახებ, თუ ვინ ელაპარაკება მას, ამას მიძრახავდნენ; გამოთქვამდნენ აზრს, რომ ჩემს განკარგულებაში არსებული მასალა მე უნდა მექცია სისტემატურად დამუშავებულ წიგნად, *en faire un livre*-დ, როგორც ფრანგები იტყვიან, სხვა სიტყვებით — ტექსტის აუთენტურობა მსხვერპლად უნდა შემეწირა, რათა წიგნი მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი გამეხადა. მაგრამ მე ჩემი ამოცანა ასე არ მესმოდა. ასეთი გადამუშავებისათვის მე არავითარი უფლება არ მქონდა: ისეთ ადამიანს, როგორც მარქსია, შეუძლია იმის პრეტენზია ჰქონდეს, რომ მას პირადად მოუსმინონ, რომ მან თავისი მეცნიერული აღმოჩენანი ნამდვილი საკუთარი დალაგებით გადასცეს შთამომავლობას. შემდეგ, მე არავითარი სურვილი არ

მქონდა ასე უდიერად — როგორც მე ეს მეჩვენებოდა — მოვქცეოდე ესოდენ გამოჩენილი ადამიანის მემკვიდრეობას; მე ამას ნდობის შელახვად ჩავთვლიდი. და, მესამე, ეს იქნებოდა სრულიად უსარგებლო საქმე. საერთოდ უმიზნოა რაიმე დათმო იმ ადამიანთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ წაიკითხონ, იმათთვის, რომლებმაც უკვე პირველი ტომის მიმართ უფრო მეტი ძალდონე დახარჯეს მისი უმართებულო განმარტებისათვის, ვიდრე ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ იგი მართებულად გაეგოთ. მათთვის კი, ვინც ნამდვილ გაგებას ესწრაფვის, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ დედანი იყო. მათთვის ჩემს გადამუშავებას საუკეთესო შემთხვევაში კომენტარის, თანაც რაღაც გამოუცემელისა და მიუწვდომელის კომენტარის, მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ პირველივე პოლემიკის დროს საჭირო შეიქნებოდა ნამდვილი ტექსტის მოშველიება, მეორისა და მესამის შემთხვევაში კი — მისი გამოცემა *in extenso* [სრული მოცულობით] აუცილებელი გახდებოდა.

ამგვარი პოლემიკა სავსებით ბუნებრივია ისეთი ნაწარმოების მიმართ, რომელიც ესოდენ ახალს იძლევა, და თანაც მხოლოდ ნაჩქარევად მოხაზული პირველი დამუშავების ფორმით, რასაც ალაგ-ალაგ თან ახლავს ხარვეზები. სწორედ აქ შეიძლება ჩემი ჩარევა ნამდვილად სასარგებლო იყოს გაგების სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად, იმისათვის, რომ პირველ რიგში წამოვწიოთ ყველაზე საყურადღებო მომენტები, რომელთა მნიშვნელობა ტექსტში არასაკმარისად შეიმჩნევა, ანდა დავურთოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დამატება 1865 წელს დაწერილ ტექსტს 1895 წელს არსებული საქმის ვითარების თვალსაზრისით. და მართლაც, უკვე ამჟამად ორი ასეთი პუნქტი არსებობს და მათი მოკლედ გარკვევა, ვფიქრობ, აუცილებელია.

I

ღირებულების კანონი და მოგების ნორმა

მოსალოდნელი იყო, რომ ამ ორ ფაქტორს შორის არსებული მოჩვენებითი წინააღმდეგობის გადაწყვეტა მარქსისტული ტექსტის გამოქვეყნების შემდეგაც გამოიწვევდა დავას, როგორც ეს მანამდე იყო. ზოგიერთი ნამდვილ სასწაულს მოელოდა და თავს გულგატეხილად გრძნობს, როცა მოსალოდნელი თვალთმაქცობის ნაცვლად წინააღმდეგობის მარტივ, რაციონალურ და პროზაულად ფხიზელ გადაწყვეტას ხედავს. რა თქმა უნდა, ყველაზე ღვარძლიანად გულგატეხილია ჩვენთვის უკვე ცნობილი განთქმული ლორია. მან მონახა, ბოლოს,

არქიმედის საყრდენი წერტილი, რომლის მეოხებითაც მისი ყალიბის ქონდრის კაცსაც კი შეუძლია მალა ჰაერში ასწიოს და ააფეთქოს მარქსის მიერ შექმნილი, მტკიცედ აგებული გიგანტური შენობა. როგორ, — წამოიძახებს იგი აღშფოთებით, — ეს არის გადაწყვეტა? ეს ხომ წმინდა წყლის მისტიფიკაცია! ეკონომისტები, როცა ისინი ღირებულებაზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ ღირებულებას, რომელიც ფაქტიურად გაცვლაში მყარდება. «ხოლო ისეთი ღირებულების გამოკვლევა, რომლის მიხედვით საქონელი არათუ არ იყიდება, არამედ ვერც გაიყიდება (*nè possono venderli mai*), ეს არც ერთ ეკონომისტს, რომელსაც კი განსჯის რაიმე ნატამალი შერჩენია, ჯერ არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებს ვერასოდეს... როცა მარქსი ამტკიცებს, რომ ღირებულება, რომლის მიხედვით საქონელთა გაყიდვა არასოდეს არ ხდება, მათში მოთავსებული შრომის პროპორციულად განისაზღვრებაო, განა იგი არ იმეორებს — მხოლოდ შებრუნებული ფორმით — მართლმორწმუნე ეკონომისტების დებულებას, რომ ღირებულება, რომლის მიხედვით საქონელი გაიყიდება, არ იმყოფება შეფარდებაში მასზე დახარჯულ შრომასთან?.. სრულიად არაფერს შევლის მარქსის ის მტკიცება, რომ, მიუხედავად ცალკეულ ღირებულებათაგან ცალკეული ფასების გადახრისა, ყველა საქონლის ფასების ჯამი ყოველთვის ემთხვევა მთელ მათს ერთობლივ ღირებულებას ანუ საქონელთა მთელ მასაში მოქცეული შრომის რაოდენობას. ვინაიდან ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა შეფარდება, რომლითაც ერთი საქონელი მეორეზე გაიცვლება, ამიტომ უკვე თვით წარმოდგენა ერთობლივ ღირებულებაზე არის აბსურდი, უაზრობა... *contradictio in adjecto*». თავისი თხზულების დასაწყისში მარქსი აცხადებსო, რომ ორი საქონლის გათანატოლება გაცვლას მხოლოდ იმიტომ შეუძლია, რომ ისინი შეიცავენ ერთგვაროვანი ელემენტის ტოლ რაოდენობას, სახელდობრ შრომის ტოლ რაოდენობასო. ახლა კი იგი ზეიმით უარყოფს თავისავე ნათქვამს, როცა ამტკიცებს, საქონელთა გაცვლა ხდება არა მათში მოთავსებული შრომის რაოდენობის პროპორციულად, არამედ სრულიად სხვა პროპორციის მიხედვითო. «განა გავინილა ოდესმე უფრო სრული დასვლა აბსურდამდე, უფრო მეტი თეორიული გაკოტრება? განა მეცნიერული თვითმკვლელობა მომხდარა ოდესმე უფრო მეტი ზარზეიმით?» («Nuova Antologia», 1895 წ. 1 თებერვალი, გვ. 478, 479).

როგორც ვხედავთ, ჩვენი ლორია სიხარულით ცას ეწევა. განა იგი მართალი არ იყო, როცა მარქსს აბუჩად იგდებდა და ისეთივე საშუა-

ლო თაღლითად მიაჩნდა, როგორც თვითონაა? ხომ არ ინებებთ დატყბეთ — მარქსი თავის საზოგადოებას სრულიად ისევე დასცინის, როგორც ლორია; იგი ჯერდება მისტიფიკაციებს, ზუსტად ისე, როგორც პოლიტიკური ეკონომიის სრულიად უმნიშვნელო იტალიელი პროფესორი. მაგრამ მაშინ როდესაც ამ თაღლითს შეუძლია თავის თავს ამის ნება მისცეს, რადგან იგი დაუფლებულია თავის ხელობას, უნებში ჩრდილოელი მარქსი ყოველ ნაბიჯზე ხათაბალაში ვარდება, სისულელეს, აბსურდს ლაპარაკობს, რადგან საბოლოოდ მას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თავის თავს ზემით ბოლო მოუღოს.

არ შევეხებით ჯერჯერობით იმ მტკიცებას, რომ საქონელთა გაყიდვა არასდროს არ ხდებოდა და არც შეიძლება მოხდეს მათი ღირებულების მიხედვით. შევჩერდებით აქ მხოლოდ ბატონ ლორიას იმ მტკიცებაზე, რომ «ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა შეფარდება, რომლითაც ერთი საქონელი მეორეზე გაიცვლება; და რომ ამიტომ უკვე თვით ცნება საქონელთა ერთობლივი ღირებულებისა არის აბსურდი, უაზრობა და სხვ.» ამრიგად, შეფარდება, რომლითაც, ორი საქონელი ერთმანეთზე იცვლება, — მათი ღირებულება — სრულიად შემთხვევითი და ისეთი რამაა, რაც საქონელთან გარედანაა მოფრენილი და რასაც შეუძლია დღეს ერთი სიდიდე ჰქონდეს, ხვალ კი — პეორე. ერთ გრამ ოქროზე გაიცვლება ცენტნერი ხორბალი, თუ ერთ კილოგრამ ოქროზე — ეს სულაც არაა დამოკიდებული ამ ხორბლისა თუ ამ ოქროს შინაგანად დამახასიათებელ პირობებზე, არამედ დამოკიდებულია ორივე მათთვის სრულიად უცხო გარემოებებზე. ეს იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირობებს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ გაცვლაშიც, უნდა ებატონათ მასზე საერთოდ და მთლიანად და უნდა ჰქონოდათ თავისთავადი არსებობა გაცვლისაგან დამოუკიდებლად, ასე რომ ლაპარაკი შეიძლებოდა საქონელთა ერთობლივ ღირებულებაზეც. მაგრამ სახელგანთქმული ლორია ამტკიცებს, ეს უაზრობააო. როგორი შეფარდებითაც არ უნდა იცვლებოდეს ორი საქონელი ერთმანეთზე, ესაა სწორედ მათი ღირებულება — ესაა და ეს. მაშასადამე, ღირებულება ფასის იდენტურია და ყოველ საქონელს იმდენი ღირებულება აქვს, რამდენიც მას შეუძლია ჰქონდეს ფასი. ფასი კი განისაზღვრება მოთხოვნითა და მიწოდებით, და ვინც კიდევ კითხვების მოცემას განაგრძობს და პასუხს მოელის, — ის სულელია.

მაგრამ აქ ვხვდებით პატარა დაბრკოლებას. ნორმალური მდგომარეობის დროს მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს. გავყოთ მსოფლიოში არსებული ყველა საქონელი ორ ნახევრად — მოთხოვნის

ჩგუფად და ოდენობით მის ტოლ მიწოდების ჩგუფად. დაგუშვათ, შემდეგ, რომ თვითეული ჩგუფის ფასი უდრის 1000 მილიარდ მარკას, ფრანკს, გირვ. სტერლინგს და ა. შ. ეს ჩამში მოგვეცემს ფასს ანუ ღირებულებას 2000 მილიარდის რაოდენობით. უაზრობაა, აბსურდია! — წამოიძახებს ლორია. ორივე ჩგუფი ერთად შეიძლება წარმოადგენდეს ფასს 2000 მილიარდის რაოდენობით, მაგრამ ღირებულების მიმართ სხვაგვარადაა საქმე. თუ ჩვენ ვამბობთ: ფასი, მაშინ $1000 + 1000 = 2000$; მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ: ღირებულება, მაშინ $1000 + 1000 = 0$. ასეთია საქმის ვითარება, მოცემულ შემთხვევაში მაინც, სადაც ლაპარაკია ყველა საქონლის ერთობლიობაზე. ვინაიდან აქ ამ ორთაგან თვითეულის საქონელი ღირს 1000 მილიარდი, რადგან თვითეულ მათგანს სურს და შეუძლია გაიღოს ეს თანხა მეორის საქონელში. თუკი ჩვენ ორთავეს საქონელს თავს მოგუყროთ მესამე პირის ხელში, მაშინ ღირებულება არ ექნება არც პირველს, არც მეორეს და, მით უმეტეს, არც მესამეს: საბოლოო შედეგში არც ერთს არაფერი არ ექნება. და ჩვენ კვლავ მოხიბლულნი ვართ ჩვენი სამხრეთელი კალიოსტროს უპირატესობით, რომელმაც ისე გაუსწორა ანგარიში ღირებულების ცნებას, რომ მისგან ოდნავი კვალიც კი აღარ დარჩენილა. აი ვულგარული ეკონომიის ღირსეული დაგვირგვინება!

¹ სწორედ ეს «თავისი დიდებით განთქმული» ვებბატონი (ჰაინეს სიტყვებით რომ ვთქვათ) ცოტა უფრო მოგვიანებით იძულებული იყო ეპასუხნა მესამე ტომის ჩემს წინასიტყვაობაზე, სახელდობრ მას შემდეგ, რაც ეს წინასიტყვაობა გამოქვეყნდა იტალიურ ენაზე «Rassegna»-ს პირველ ნომერში 1895 წელს. პასუხი დაიბეჭდა 1895 წ. 25 თებერვლის «Riforma Sociale»-ში. მასხამს რა ჯერ მისთვის გარდუვალ და სწორედ ამიტომ ორგზის საძაველ ქება-დიდებას, იგი აცხადებს, რომ მას აზრადაც არ მოსვლია მიეთვისებინა მარქსის დამსახურებანი ისტორიის მატერიალისტური ახსნის სფეროში. ეს დამსახურებანი მან, თითქოს ჯერ კიდევ 1885 წელს აღიარა — გაკვრით პატარა საყურნალო სტატიამი. მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო შეუპოვრად დუმს იგი ამის შესახებ სწორედ იქ, სადაც ამაზე ლაპარაკი საქმრობა, სახელდობრ ამ თემაზე დაწერილ თავის წიგნში, სადაც მარქსი მოხსენიებულია მხოლოდ 129 გვერდზე, და ისიც საფრანგეთის წვრილი მიწათმფლობელობის საკითხის განხილვისას. ახლა კი იგი თავგამოდებით აცხადებს, მარქსი სულაც არაა ამ თეორიის შემოქმედით; თუ ეს თეორია ზოგადად მოხაზული არ იყო ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ, უუქველია, რომ იგი ჰარინგტონმა უკვე 1656 წელს გამოაცხადა, და შემდეგ ისტორიკოსების, პოლიტიკოსების, იურისტებისა და ეკონომისტების მთელმა პლეადამ მარქსამდე დიდი ხნით ადრე კვლავ განათარაო. და რას არ ამოიკითხავთ კიდევ ლორიას თხზულების ფრანგული გამოცემიდან! მოკლედ — დასრულებული პლაგიატორი. მას შემდეგ, რაც მე ხელი შევეუშალე მას განეგრძო ტრაბახი მარქსიდან ნაესხები აღგიღების შემწეობით, იგი გაბედულად აცხადებს, რომ მარქსიც ზუსტად ისევე ირთვებოდა სხვისი ფრთებით, როგორც

ბრაუნის ჟურნალში «Archiv für soziale Gesetzgebung» (VII წელი, გამოშვება 4) ვერნერ ზომბარტი მარქსის სისტემის კონტრუქციის საერთოდ კარგ გადმოცემას იძლევა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გერმანელი უნივერსიტეტის პროფესორი ახერხებს ამოიკითხოს მარქსის თხზულებებში საერთოდ და მთლიანად ის, რაც მარქსმა ნამდვილად თქვა, როცა ეს პროფესორი აცხადებს, რომ მარქსის სისტემის კრიტიკა უნდა მდგომარეობდეს არა მის უარყოფაში, — «ამას დაე ხელი მოჰკიდონ პოლიტიკურმა კარიერისტებმა», — არამედ მის შემდგომ განვითარებაში. რა თქმა უნდა, ზომბარტიც განიხილავს ჩვენს თემას. იგი იკვლევს იმ საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლირებულებას მარქსის სისტემაში, და შემდეგ დასკვნებამდე მიდის: ლირებულება არ ვლინდება კაპიტალისტურად წარმოებულ საქონელ-

თვით იგი. ჩემი სხვა მოსაზრებებიდან ლორია პასუხს მხოლოდ იმაზე იძლევა, რაც ნათქვამი იყო მისი იმ შტუციერის გამო, თითქოს მარქსს არასოდეს არ უფიქრია «კაპიტალის» მეორე, და მით უმეტეს მესამე ტომის დაწერა. «ახლაც ენგელსი პასუხს რომ მაძლევს, ტრიუმფით მიუთითებს მეორე და მესამე ტომებზე... ჩინებულა! მე კი რაც ძალიან მახარებს ეს სამი ტომი, რომელთაც ესოდენ ბევრ ინტელექტუალურ განცხრომას უნდა ვუმაღლოდ, რომ არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის ასე სასიამოვნო გამარჯვება, როგორც ეს დამარცხება მსიამოვნებს, თუკი ამას ნამდვილად შეიძლება დამარცხება ეწოდოს. მაგრამ არის თუ არა ეს მართლი დამარცხება? მართალია თუ არა, რომ მარქსმა გამოქვეყნების მიზნით დაწერა ეს უამრავი ერთმანეთთან დაუკავშირებელი შენიშვნა, რაც ენგელსმა ასე მოწიწებით შეაგროვა? შეიძლება თუ არა ნამდვილად დაეუფვით, რომ მარქსი ვარაუდობდა ამ გვერდებით დაუმთავრებინა თავისი თხზულება და თავისი სისტემა? მართალია თუ არა, რომ მარქსი გამოქვეყნებდა ამ თავს მოგების საშუალო ნორმის შესახებ, ანდაც მრავალი წლის წინათ დანაპირები გადაწყვეტა წარმოადგენს უნუგეშო მისტიფიკაციას, სიტყვების უაღრესად ვულგარულ თამაშს? ყოველ შემთხვევაში შეიძლება ამაში დაეკვება... ეს აღსატურებს, რომ მარქსს თავისი საუცხოო (splendido) წიგნის გამოცემის შემდეგ არ ჰქონია განზრახვა განეგრძო იგი, ანდა მას სურდა ამ კოლოსალური შრომის დამთავრება მიენდო თავისი იდეური მემკვიდრეებისათვის, თვითონ კი პირადად ამისათვის პასუხისმგებელი არ ყოფილიყო».

ასე სწერია 267 გვერდზე. ყველაზე საზიზღარი აზრი, რასაც ჰინე მისი გერმანული ფილისტერული საზოგადოების შესახებ გამოთქვამს, მოთავსებულია შემდეგ სიტყვებში: საბოლოოდ ავტორი ისე ეჩვენა თავის საზოგადოებას, თითქოს გონიერ არსებასთან ჰქონდეს საქმეო. როგორ საზოგადოებად უნდა ჩათვალოს თავისი საზოგადოება სახელოვანმა ლორიამ?

დასასრულ — ქება-დიდებას ახალი ულუფა მიწევს კიდევ მე უბედურს. ამასთან ჩვენი სვანარელი ემზავსება ვალაამს, რომელიც დასაწყველად მოვიდა, მაგრამ მისი ბაგენი სურვილის წინააღმდეგ უზგად ისვრიან ჟურთხევისა და სიყვარულის სიტყვებს. როგორც ცნობილია, ვალაამი იმით გამოირჩეოდა, რომ ვირზე იჭდა, რომელიც თავის მხედარზე უფრო გონიერი იყო. ამჭერად, ცხადია, ვალაამმა თავისი ვირი შინ დატოვა.

თა საცვლელ შეფარდებაში; იგი არ ცოცხლობს კაპიტალისტური წარმოების აგენტთა ცნობიერებაში; ღირებულება არის არა ემპირიული, არამედ აზროვნებითი, ლოგიკური ფაქტი; ღირებულების ცნება მის მატერიალურ განსაზღვრულობაში მარქსის მიხედვით სხვა არაფერია, თუ არა იმ ფაქტის ეკონომიური გამოხატულება, რომ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა სამეურნეო ყოფიერების საფუძველია; მეურნეობის კაპიტალისტური წყობილების პირობებში ეკონომიურ მოვლენებზე საბოლოო ანგარიშში ღირებულების კანონი ბატონობს და ამ სამეურნეო წყობილებისათვის ყველაზე ზოგადი აზრით ეს შემდეგს ნიშნავს: საქონლის ღირებულება არის სპეციფიკურად-ისტორიული ფორმა, რომელშიც ხორციელდება განმსაზღვრელი მოქმედება შრომის მწარმოებლური ძალისა, რომელიც საბოლოო ანგარიშში ყველა ეკონომიურ მოვლენაზე ბატონობს. ასე ლაპარაკობს ზომბარტი; წარმოების კაპიტალისტური ფორმისათვის ღირებულების კანონის მნიშვნელობის ასეთი გაგების შესახებ არ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ იგი უმართებულოა. მაგრამ ამავე დროს მე მგონია, რომ ეს გაგება ადებულება ძალიან ზოგადად, რომ იგი უფრო გარკვეულ, უფრო ზუსტ ფორმულირებას მოითხოვს; ჩემი აზრით, აღნიშნული გაგება ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოწურავს ღირებულების კანონის მთელ მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიური განვითარების იმ საფეხურებზე, რომლებიც ამ კანონის ბატონობას ექვემდებარება.

ბრაუნის 1825 წ. 25 თებერვლის «Sozialpolitisches Zentralblatt»-ში, № 22, დაიბეჭდა აგრეთვე კონრად შმიდტის საუცხოო სტატია «კაპიტალის» მესამე ტომის შესახებ. ვანსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ აქ ნაჩვენებია, თუ ზედმეტი ღირებულებიდან მოგების საშუალო ნორმის გამოყვანით როგორ იძლევა მარქსი პირველად პასუხს შემდეგ კითხვაზე, რომელიც აქამდე არც ერთხელ დასმულიც კი არ ყოფილა ეკონომისტების მიერ: როგორ განისაზღვრება მოგების ამ საშუალო ნორმის სიმაღლე და რატომ აღწევს იგი, ვთქვათ, 10 ან 15% და არა 50 ან 100%? მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულება, უწინარეს ყოვლისა მრეწველი კაპიტალისტების მიერ ძითვისებული, ერთადერთი და განსაკუთრებული წყაროა, საიდანაც მოგება და მიწის რენტა მიიღება, ეს კითხვა თავისთავად გადაწყვეტილია. შმიდტის სტატიის ეს ნაწილი პირდაპირ სპეციალურადაა დაწერილი ეკონომისტებისათვის à la ლორია, თუკი მხოლოდ ამოა არაა შრომა --- შეეცადო თვალი აუხილო იმას, ვისაც დანახვა არა სურს.

შმიდტსაც აქვს ფორმალური ექვები ღირებულების კანონის გამო. იგი ამ კანონს უწოდებს გაცვლის ფაქტიური პროცესის ახსნის მიზნით აგებულ მეცნიერულ ჰიპოთეზას, რომელმაც სავსებით გამართლა თავისი თავი როგორც აუცილებელმა თეორიულმა ამოსავალმა პუნქტმა, რაც შუქს ჰფენს კონკურენციული ფასების ისეთ მოვლენებსაც კი, რომელნიც თითქოს სრულიად ეწინააღმდეგებიან ამ ჰიპოთეზას; ღირებულების კანონის გარეშე, მისი აზრით, შეუძლებელია კაპიტალისტური სინამდვილის ეკონომიური მექანიზმის რაიმე თეორიული შეცნობა. ერთ კერძო წერილში კი, რომლის ციტირების ნებაც მან მომცა, შმიდტი პირდაპირ აცხადებს ღირებულების კანონს წარმოების კაპიტალისტური ფორმის ფარგლებში ფიქციად, თუმცა თეორიულად აუცილებელ ფიქციად. მაგრამ ეს გაგება, ჩემი აზრით, სრულიად უმართებულოა. ღირებულების კანონს კაპიტალისტური წარმოებისთვისაც გაცილებით მეტი და უფრო გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალო ჰიპოთეზას, აღარას ვამბობთ უკვე ფიქციაზე, თუნდაც აუცილებელზე.

როგორც ზომბარტი, ისე შმიდტიც, — სახელგანთქმულ ლორიას ამასთან მხოლოდ გაკვრით ვიხსენიებ როგორც ვულგარული ეკონომიის სასაცილო ეგზემპლარს, — ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ აქ ლაპარაკია არა წმინდა ლოგიკურ პროცესზე მხოლოდ, არამედ ისტორიულ პროცესზე და მის ამხსნელ ასახვაზე აზროვნებაში, მისი შინაგანი კავშირურთიერთობის გამოკვლევაზე.

გადამწყვეტი ადგილი ამის შესახებ მოცემული აქვს მარქსს III ტომში, ნაწ. 1, გვ. 154 *:

«მთელი სიძნელე იქიდან წარმოდგება, რომ საქონელნი ერთმანეთზე გაიცვლებიან არა უბრალოდ როგორც საქონელი, არამედ როგორც კაპიტალების პროდუქტები, ხოლო ეს კაპიტალები მოითხოვენ თავიანთი სიდიდის პროპორციულ მონაწილეობას ანდა — სიდიდის თანატოლობისას — თანატოლ მონაწილეობას ზედმეტი ღირებულების ერთობლივ მასაში».

ამ სხვაობის საილუსტრაციოდ იგულისხმება პირველად, რომ მუშებს გააჩნიათ წარმოების საშუალებანი, მუშაობენ საშუალოდ თანაბარი დროის განმავლობაში და თანაბარი ინტენსივობით და უშუალოდ ეწევიან თავიანთი პროდუქტების ერთმანეთს შორის გაცვლას. ასეთ პირობებში ორი მუშაკი თავისი ერთდღიური შრომით თავის პროდუქტს ახალი ღირებულების თანატოლ რაოდენობას მიუმატებდა,

* 1894 წ. გამოცემა. იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 222, რ ე დ.

მაგრამ თვითეული მათგანის პროდუქტს განსხვავებული ღირებულება ექნებოდა იმ შრომის რაოდენობისდა მიხედვით, რომელიც უკვე წინათ იყო განხორციელებული წარმოების საშუალებებში. ღირებულების ეს უკანასკნელი ნაწილი იქნებოდა კაპიტალისტური მეურნეობის მუდმივი კაპიტალი. ახლად მიმატებული ღირებულების ნაწილი მუშათა საარსებო საშუალებებზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალის შესაბამისი იქნებოდა, ხოლო ამის გარდა დარჩენილი ნაწილი ახალი ღირებულებისა გამოხატავდა ზედმეტ ღირებულებას. რაც მოცემულ შემთხვევაში მუშების კუთვნილება იქნებოდა. მაშასადამე, ორივე მუშაკი, ღირებულების იმ «მუდმივი» ნაწილის ანაზღაურების გამოკლებით, რაც მათ მიერ მხოლოდ აენახებული იყო, ტოლი ოდენობის ღირებულებას მიიღებდა; მაგრამ, ზედმეტი ღირებულების გამოხატველი ნაწილის შეფარდება წარმოების საშუალებათა ღირებულებასთან, — რაც მოგების კაპიტალისტური ნორმის შესაბამისი იქნებოდა, — მათთვის სხვადასხვა იქნებოდა. მაგრამ რადგან თვითეული მათგანი მის წარმოების საშუალებათა ღირებულების ანაზღაურებას ღებულობს, ამიტომ ეს გარემოება სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა.

«მაშასადამე, საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით, ანდა დაახლოებით მათი ღირებულების მიხედვით, ბევრად უფრო დაბალ საფეხურს შეესაბამება, ვიდრე გაცვლა წარმოების ფასების მიხედვით, რისთვისაც აუცილებელია კაპიტალისტური განვითარების განსაზღვრული სიმაღლე... ამრიგად, იმისაგან დამოუკიდებლად, ექვემდებარება თუ არა ფასები და მათი მოძრაობა ღირებულების კანონს, სრულიად მართებულია საქონელთა ღირებულება განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ისტორიულად, როგორც წარმოების ფასების prius [წინამორბედი]. ეს შეეხება ისეთ წყობას, როდესაც წარმოების საშუალებანი მუშას ეკუთვნის, და ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი. ძველსა და ახალ სამყაროში, თვითმშრომელი მიწის მესაკუთრე გლეხისა და ხელოსნის მეურნეობაში. ეს ეთანხმება ავრეთვე ჩვენ მიერ წინათ გამოთქმულ შეხედულებას, რომ პროდუქტის საქონლად განვითარებას დასაბამს აძლევს გაცვლა სხვადასხვა თემებს შორის და არა ერთი და იმავე თემის წევრებს შორის. ზემოთ თქმული შეეხება როგორც პირველყოფილ მდგომარეობას, ისე იმ მერმინდელ მდგომარეობასაც, რომელიც მონობასა და ბატონყმობაზეა დამყარებული, და ხელოსნობის ამქრულ ორგანიზაციასაც, სანამ წარმოების თვითეულ დარგში ჩამავრებული წარმოების საშუალებანი ძალიან ძნელად გადასატანი

ერთი სფეროდან მეორეში, და ამიტომ წარმოების სხვადასხვა სფეროები გარკვეულ ფარგლებში ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც უცხო ქვეყნები ან კომუნისტური თემები» (მარქსი, ტ. III, 1, გვ. 156) *.

მარქსს რომ შესამე ტომის ერთხელ კიდევ გადამუშავება შეძლებოდა, უეჭველია, ამ ადგილს ბევრად უფრო დაწვრილებით განავითარებდა. თავისი ახლანდელი სახით კი ეს ადგილი მხოლოდ იმის მონასახს იძლევა, რაც ამ საკითხზე უნდა თქმულიყო. ამიტომ მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ყველასთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ საფეხურებზე პროდუქტებს თვით მწარმოებლები ხმარობენ და რომ ეს მწარმოებელნი სტიქიურად არიან გაერთიანებულნი მეტნაკლებ კომუნისტურად ორგანიზებულ თემებში; რომ ამ პროდუქტთა ნაჭარბის გაცვლა გარეშე პირებთან, საიდანაც პროდუქტების საქონლად გადაქცევა იწყება, მერმინდელ დროს ეკუთვნის; თავდაპირველად გაცვლა წარმოებს მარტოოდენ ცალკეულ სხვადასხვა ტომის თემებს შორის და მხოლოდ მოგვიანებით ეძლევა მნიშვნელობა ამ გაცვლას თემებს შიგნითაც, რაც ხელს უწყობს ამ თემების დაშლას უფრო დიდ თუ უფრო პატარა ოჯახურ ჯგუფებად. მაგრამ ამ დაშლის შემდეგაც ოჯახის მეთაურები, რომლებიც გაცვლას ეწვეიან, მშრომელ გლეხებად რჩებიან; ეს გლეხები ყველა თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თითქმის ყოველივე აუცილებელს საკუთარ მეურნეობაში აწარმოებენ თავიანთი ოჯახების დახმარებით და აუცილებელი საგნების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიიღებენ თავიანთი შრომის პროდუქტის ნაჭარბის სხვაგან გაცვლის გზით. ოჯახი არა მარტო მიწათმოქმედებას და პირუტყვის მოშენებას მისდევს, არამედ მათი პროდუქტების მოხმარების მზა საგნებად გადამუშავებასაც ეწევა, იგი შიგადაშიგ კიდევ ფქვავს ხორბალს ხელსაფქვავზე, აცხობს პურს, ართავს, ღებავს, ქსოვს სელსა და მატყლს, თრიმლავს ტყავს, ააგებს და შეაკეთებს ხის შენობებს, ამზადებს ინსტრუმენტებსა და შრომის იარაღებს, ხშირად ასრულებს საღურგლო და ხაზენიკლო სამუშაოებს, ასე რომ ასეთი ოჯახი თუ ოჯახური ჯგუფი ძირითადად თვითკმარ ხასიათს ატარებს.

ის ცოტაოდენი რამ, რასაც ასეთი ოჯახი სხვებისაგან მიიღებდა გაცვლის გზით ან იყიდდა მათგან, XIX საუკუნის დამდეგამდეც კი გერმანიაში უმთავრესად ხელოსნური წარმოების საგნებისაგან შედგებ-

* იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 225, რ ე დ.

ბოდა, ე. ი. ისეთი ნივთებისაგან, რომელთა დამზადების წესს კარგად იცნობდა გლეხი, მაგრამ რომელთაც იგი არ აწარმოებდა თვითონ ან ნედლეულის მიღების სიძნელის გამო, ანდა იმის გამო, რომ ნაწარმი, რომელსაც იგი ყიდულობდა, მნიშვნელოვნად იაფი და უკეთესი ხარისხის იყო. მაშასადამე, შუა საუკუნეების გლეხმა საკმაოდ ზუსტად იცოდა სამუშაო დროის რაოდენობა, რაც საჭირო იყო იმ საგნების დასამზადებლად, რომელთაც ის გაცვლის გზით იღებდა. სოფლის მჭედელი და მეურმე მის თვალწინ მუშაობდნენ, ისევე როგორც თერძი ან მეწაღე, რომელნიც ჯერ კიდევ ჩემი სიყრმის დროს ჩვენი რაინის გლეხებთან ქოხიდან ქოხში დადიოდნენ და შინნაკეთი ქსოვილიდან და ტყავიდან ტანსაცემელსა და ფეხსაცემელს კერავდნენ. როგორც გლეხი, ისე ისინიც, რომელთაგანც ის ყიდულობდა, თვითონ იყვნენ მუშები: გასაცვლელი საგნები მათი პირადი შრომის პროდუქტები იყო. რას ხარჯავდნენ ისინი ამ საგნების დამზადებისას? შრომას — და მხოლოდ შრომას: შრომის იარაღების ანაზღაურებაზე, ნედლეულის წარმოებაზე, მის გადამუშავებაზე ისინი მხოლოდ თავიანთ საკუთარ სამუშაო ძალას ხარჯავდნენ. შეეძლოთ თუ არა მათ ან თავიანთი პროდუქტების გაცვლა სხვა მშრომელ მწარმოებელთა პროდუქტებზე სხვანაირად, თუ არა დახარჯული შრომის პრიპორციულად? ასეთ პირობებში ამ პროდუქტების დამზადებაზე დახარჯულ სამუშაო დრო არა მარტო ერთადერთი შესაფერი საზომი იყო გასაცვლელ სიდიდეთა რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, არამედ ასეთ ვითარებაში ყოველი სხვა საზომი სრულიად წარმოუდგენელი იყო. განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გლეხები და ხელოსნები ისე სულელები იყვნენ, რომ ერთის ათსაათიანი შრომის პროდუქტი გაეცვალათ მეორის ერთსაათიანი შრომის პროდუქტზე? გლეხური ნატურალური მეურნეობის მთელი პერიოდისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი გაცვლა, რომლის დროსაც გასაცვლელ საქონელთა რაოდენობათ იმის ტენდენცია აქვთ, რომ სულ უფრო მეტად და მეტად შეეფარდონ მათში განხორციელებული შრომის რაოდენობას. იმ მომენტიდან, როცა ამ სამეურნეო წყობილებაში ფული ჩნდება, ღირებულების კანონთან შეგუების ტენდენცია (*nota bene* — მარქსის ფორმულირებით!), ერთი მხრივ, კიდევ უფრო მკაფიო ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, იწყება უკვე ამ ტენდენციის დარღვევაც სავაზმო კაპიტალის ჩარევისა და ფისკალური ექსპლოატაციის გამო, და ის პერიოდები, როცა ფასები საშუალოდ თითქმის უახლოვდება ღირებულებას, უკვე უფრო ხანგრძლივი ხდება.

ასევე ითქმის გლეხთა პროდუქტების და ქალაქელ ხელოსანთა პროდუქტების ერთმანეთზე გაცვლის შესახებაც. დასაწყისში გაცვლა წარმოებს უშუალოდ. ვაჭრის მონაწილეობის გარეშე, ბაზრის დღეებში ქალაქად, სადაც გლეხი თავის პროდუქტებს ყიდის და საჭირო საგნებს ყიდულობს. აქაც ზუსტად ისევე გლეხისთვის ცნობილია ხელოსნის შრომის პირობები, ხოლო ხელოსანმა იცის გლეხის შრომის პირობები. თვით ხელოსანი ჯერ კიდევ რამდენადმე გლეხია, მას აქვს არა მარტო ბოსტანი და ბაღი, არამედ ხშირად მიწის ნაკვეთიც, ჰყავს ერთი-ორი ძროხა, ღორები, შინაური ფრინველი და სხვ. ამრიგად, შუა საუკუნეებში ადამიანებს შეეძლოთ საკმაოდ ზუსტად გამოეთვალათ ერთმანეთისათვის ნედლეულის, დამხმარე მასალის, სამუშაო დროის სახით გაწეული წარმოების ხარჯები — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ეხებოდა ყოველდღიური მოხმარების საგნებს.

მაგრამ როგორ ხდებოდა დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით ასეთი გაცვლისას ამ რაოდენობის განსაზღვრა, თუნდაც არაპირდაპირ და შეფარდებით, ისეთი პროდუქტებისათვის, რომელნიც შრომის დახარჯვას მოითხოვდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არარეგულარული შეწყვეტებისა და პროდუქციის განუსაზღვრელი ოდენობის პირობებში, მაგალითად, პურისა და პირუტყვისთვის, თანაც ისეთ ადამიანებთან, რომლებმაც ანგარიში არ იცოდნენ? ცხადია, მხოლოდ იმ გზით, რომ ამას სჭირდებოდა ზიგზაგებით, ხშირად წყვედადში, ხელის ფათურით მიახლოების ხანგრძლივი პროცესი, თანაც, როგორც ყოველთვის, ადამიანებს მწარე გამოცდილება ასწავლიდა. იმის აუცილებლობა, რომ თვითეულს საერთოდ და მთლიანად აენახლაურებინა თავისი ხარჯები, ხელს უწყობდა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სწორი გზის გამოჩვენებას, გაცვლაში შემავალი საგნების სახეობათა შეზღუდული რიცხვი კი მათი წარმოების უცვლელ — ხშირად საუკუნეთა განმავლობაში — ხასიათთან ერთად აადვილებდა მიზნის მიღწევას. იმ გარემოებას, რომ ამ პროდუქტების ღირებულების ოდენობის დაახლოებით ზუსტი დადგენისათვის სულაც არ იყო საჭირო ძალიან დიდი დრო, უკვე მარტო ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ისეთი საქონელი, როგორც პირუტყვია, როშლის მიმართაც, მისი ყოველი ცალის წარმოების პერიოდის ხანგრძლიობის გამო, ეს განსაზღვრა ყველაზე საძნელო საქმეა, ჰირველი საკმაოდ საყოველთაოდ აღიარებული ფულადი საქონელი იყო. ამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო, რომ პირუტყვის ღირებულებას, მის საცვლელ ღირებულებას მთელ რიგ სხვა საქონელთა მიმართ, მიეღწია

გარკვეული ფიქსაციისათვის, რაც შედარებით უჩვეულო და უსიტყვოდ აღიარებული იქნებოდა მრავალრიცხოვანი ტომების ტერიტორიაზე. და იმ დროის ადამიანები, როგორც მეჯოგეები, ისე ისინიც, ვინც მათგან ყიდულობდა, უეჭველია იმდენად გონიერნი კი იყვნენ, რომ გაცვლისას არ მიეცათ უეკვივალენტოდ მათ მიერ დახარჯული სამუშაო დრო. პირიქით, რაც უფრო ახლოსაა ესა თუ ის ხალხი საქონელწარმოების ადრინდელ მდგომარეობასთან, — მაგალ., რუსები და აღმოსავლეთის მცხოვრებნი, — მით უფრო მეტ დროს ფლანგავენ [verschwenden] დღესაც კი იმისათვის, რომ ხანგრძლივი, შეუპოვარი ვაჭრობით მიიღონ იმ სამუშაო დროის სრული ანაზღაურება, რაც მათ პროდუქტის წარმოებაზე დაუხარჯავთ.

თუ ამოსავალ პუნქტად ავიღებთ ღირებულების ამ განსაზღვრას სამუშაო დროით, მაშინ მთელი საქონელწარმოება, — და მასთან ერთად მრავალნაირი ურთიერთობა, რაშიაც ღირებულების კანონის სხვადასხვა მხარე ვლინდება, — ისე ვითარდება, როგორც ეს გადმოცემულია «კაპიტალის» პირველი ტომის პირველ განყოფილებაში; მაშასადამე, განსაკუთრებით ვითარდება ის პირობები, რომლებშიც შრომა ღირებულების ერთადერთი შემქმნელია. ამასთან ეს ისეთი პირობებია, გზას რომ იკაფავენ — მონაწილეთა ცნობიერებაში შეუღწევლად, პირობები, რომელთა აბსტრაქირებაც ყოველდღიური პრაქტიკიდან მხოლოდ ძნელ თეორიულ კვლევათა მეოხებით შეიძლება, რომელნიც, მაშასადამე, ბუნების კანონების მსგავსად მოქმედებენ, რაც, როგორც ეს მარქსმა დაამტკიცა, გარდუვალად გამოზინარეობს საქონელწარმოების ბუნებიდან. უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ნაბიჯი იყო წინ ლითონურ ფულზე გადასვლა, მაგრამ ამ გადასვლის შედეგად ღირებულების განსაზღვრაც სამუშაო დროით უკვე აღარ გვევლინებოდა თვალსაჩინოდ საქონელგაცვლის ზედაპირზე. პრაქტიკის თვალსაზრისით ღირებულების გადამწყვეტი საზომი გახდა ფული, და ეს მით უფრო, რაც უფრო მრავალნაირი ხდებოდა საქონელი, რომელიც ვაჭრობის საგანს შეადგენდა, რაც უფრო მეტი ოდენობით მოედინებოდა საქონელი შორეული ქვეყნებიდან და, მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებად შეიძლებოდა ამ საქონელთა დასამზადებლად საჭირო სამუშაო დროის გათვალისწინება. ამასთან თვით ფულიც დასაწყისში მეტწილად უცხო მხარედან მოედინებოდა; მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძვირფასი ლითონის მოპოვება თვით მოცემულ ქვეყანაში ხდებოდა, გლეხებსა და ხელოსნებს არ შეეძლოთ თუნდაც დაახლოებით გაერკვიათ ფულის მოპოვებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა,

მეორე მხრივ კი, თვით მათ ფულზე ანგარიშის ჩვეულების ზეგავლენით საგრძნობლად გაბუნდოვანებული წარმოდგენა შეექმნათ შრომის თვისებაზე როგორც ღირებულების საზომზე; ხალხის ცნობიერებაში ფულმა აბსოლუტური ღირებულების წარმომადგენლად გამოსვლა იწყო.

ერთი სიტყვით, მარქსის ღირებულების კანონს საყოველთაო ძალა აქვს, — რამდენადაც საერთოდ ძალა აქვთ ეკონომიურ კანონებს, — მარტივი საქონელწარმოების მთელი პერიოდისათვის, მაშასადამე, იმ დრომდე, როცა მარტივი საქონელწარმოება კაპიტალისტური წარმოების ფორმის აღმოცენების გამო გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის. მარქსის კანონის მიხედვით ამ დრომდე ფასები მიილტვიან განსაზღვრულ ღირებულებისაკენ და ეს ფასები ირყევა ამ ღირებულებათა ირგვლივ ისე, რომ რაც უფრო სრულად ვითარდება მარტივი საქონელწარმოება, მით უფრო ემთხვევა საშუალო ფასები ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე, — რომელთა შეწყვეტაც რაიმე გარეშე ნაძალადევ დარღვევათა გამო არ ხდება, — ღირებულებებს ისეთი სიზუსტით, რომ მათ შორის განსხვავება შეიძლება უგულვებელყოთ. მაშასადამე, მარქსის ღირებულების კანონს ეკონომიურად საყოველთაო ძალა აქვს იმ პერიოდისათვის, რომელიც გრძელდება გაცვლის დასაწყისიდან, რამაც პროდუქტები საქონლად აქცია, ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნემდე. საქონელთა გაცვლის დასაწყისი კი იმ ხანას ეკუთვნის, რომელიც წინ უსწრებს ყოველ დაწერილ ისტორიას და შორს მიდის საუკუნეთა სიღრმეში — ეგვიპტეში, სულ ცოტა, სამი, შესაძლოა ხუთი ათასი წლით, ბაბილონში კი ოთხი — ექვსი ათასი წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამრიგად, ღირებულების კანონი ხუთი-შვიდი ათასი წლის პერიოდის მანძილზე ბატონობდა. და აი ამის შემდეგ მოდი და ნუ მოიხიბლებით ბ-ნ ლორიას ღრმა აზროვნებით, რომელიც ღირებულებას, რასაც ესოდენ საყოველთაო და უშუალო მნიშვნელობა ჰქონია მთელი ამ დროის განმავლობაში, ისეთ ღირებულებად ნათლავს, რომლის მიხედვით საქონელი არასოდეს არ გაყიდულა და არც შეიძლება გაიყიდოს და რომლის გამოკვლევასაც არასოდეს არ მოჰკიდებს ხელს არც ერთი ეკონომისტი, რომელსაც კი საღი გონების რაიმე ნატამალი გააჩნია!

აქამდე ჩვენ არ გვილაპარაკნია ვაჭარზე. ჩვენ შეგვეძლო უყურადღებოდ დაგვეტოვებინა მისი ჩარევა ამ პუნქტამდე, როცა ჩვენ გადავიღვართ მარტივი საქონელწარმოების გადაქცევაზე კაპიტალისტურ საქონელწარმოებად. ვაჭარი იყო რევოლუციური ელემენტი ამ

საზოგადოებაში, სადაც უწინ ყველაფერი სტაბილური იყო, სტაბილური, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობის გამო; სადაც გლეხი არა მარტო თავის ნადელს, არამედ თავის მდგომარეობასაც თავისუფალი მესაქუთრისა, თავისუფალი ან დამოკიდებული მოღალისა თუ ყმისა, ხოლო ხელოსანი ქალაქად თავის ხელობასა და ამქრულ პრივილეგიებს მემკვიდრეობით და თითქმის გაუსხვისებლად იღებდნენ; გარდა ამისა, თვითელი მათგანი მემკვიდრეობით ღებულობდა თავის კლიენტურას, თავის ბაზარს გასაღებისათვის, ისევე როგორც ახალგაზრდობიდანვე გამომუშავებულ დახელოვნებას მემკვიდრეობით გადმოცემულ პროფესიაში. და აი ამ სამყაროში შეიქრა ვაჭარი, რომელიც მისი გადატრიალების ამოსავალი პუნქტი უნდა გამხდარიყო. მაგრამ იგი მოქმედებდა არა როგორც შეგნებული რევოლუციონერი, არამედ, პირიქით, როგორც ამ სამყაროს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. შუა საუკუნეების გლეხი სულაც არ იყო ინდივიდუალისტი, თავისი არსებით იგი მეთემური იყო, როგორც ყველა მისი თანამედროვე. სოფლად გაბატონებული იყო პირველყოფილი კომუნის ნიადაგზე აღმოცენებული თემი-მარკა. თვითელ გლეხს თავდაპირველად ჰქონდა თანაბარი სიდიდის ნადელი სხვადასხვა ხარისხის მიწის ნაკვეთებით და შესაბამისი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა თემ-მარკაში. მას შემდეგ, რაც თემი-მარკა კარდახშული გახდა და ახალი ნადელების გამოყოფა შეწყდა, დაიწყო ნადელების დაქუცმაცება მემკვიდრეობის მეოხებით და ა. შ. და სათემო უფლებათა შესაბამისი დაყოფა, მაგრამ თემური მიწათმფლობელობის ერთეულად უწინდებურად რჩებოდა სრული ნადელი, ასე რომ არსებობდა ნადელის ნახევარი, მეოთხედი და მერვედი და ამის შესაბამისად თემ-მარკის უფლებებში მონაწილეობის ხვედრი შეადგენდა ნახევარს, მეოთხედს ან მერვედს. თემ-მარკის ნიმუშის მიხედვით ყალიბდებოდა ყველა მერმინდელი სამრეწველო ორგანიზაცია და უწინარეს ყოვლისა ქალაქის საამქროები, რომელთა შინაგანი წყობილებაც სხვა არაფერი იყო, თუ არა თემ-მარკის წყობილების გამოყენება ხელოსნური პრივილეგიების მიმართ და არა შემოსაზღვრული ტერიტორიის მიმართ. მთელი ორგანიზაციის ცენტრალური პუნქტი იყო თვითელი მისი წევრის თანაბარი მონაწილეობა ამქრისათვის უზრუნველყოფილი პრივილეგიებითა და შემოსავლით სარგებლობაში, როგორც ეს მკაფიოდ გამოხატულია «ნართთ კვების» პრივილეგიაში, რაც ელბერველდისა და ბარმენის მცხოვრებთ მიენიჭა 1527 წელს (Thun: «Industrie am Niederrhein» [ტუნი: «ქვემო რაინის მრეწველობა»], II,

164 და შემდეგ). ასევე ითქმის სამთო მრეწველობაზეც, სადაც სამთო უბნის ყოველი პაი ასევე თანაბარ მონაწილეობას უზრუნველყოფდა და ისე, როგორც მეთემურის ნაღელი, გაყოფადი იყო მასთან დაკავშირებული უფლებებითა და მოვალეობებით. არანაკლებ ითქმის იგივე სავაჭრო ამხანაგობებზეც, რომლებმაც უცხოეთთან ვაჭრობა გამოიწვიეს. ვენეციელები და გენუელები ალექსანდრიისა ან კონსტანტინოპოლის ნავსადგურებში, — ყოველი «ერი» თავის საკუთარ ქარვასლაში (Fondaco), რაშიც შედიოდა საცხოვრებელი სადგომი, სამიკიტნო, საწყობი, გამოფენა-გაყიდვისათვის საჭირო შენობა და მაღაზია საერთო კანტორით, — შეადგენდნენ დამთავრებულ სავაჭრო ამხანაგობებს; ისინი გამიჯნულნი იყვნენ კონკურენტებისა და მუშტრები-საგან, ყიდდნენ ურთიერთ შეთანხმებით დაწესებულ ფასებში, მათი საქონელი განსაზღვრული ხარისხის იყო; ეს ხარისხი გარანტირებული იყო საზოგადოებრივი კონტროლით, ხშირად კი განსაკუთრებული დაღის დასმითაც კი; ისინი ერთად განსაზღვრავდნენ ფასებს, რომელთა გადახდაც მკვიდრ მცხოვრებთ უხდებოდათ მათს საქონელში, და ა. შ. ზუსტად ასევე წარმართავდნენ თავიანთ საქმეს ჰანზელები «გერმანულ ხიღზე» (Tydske Bryggen) ნორვეგიის ბერგენში, და აგრეთვე მათი პოლანდიელი და ინგლისელი კონკურენტები. ვაი იმას, ვინც დაწესებულ ფასებზე უფრო იაფად გაყიდის ან უფრო ძვირად იყიდის! ბოიკოტი, რასაც ამის ჩამდენს გამოუცხადებდნენ, მაშინდელ პირობებში გარდუვალ გაჩანაგებას ნიშნავდა, თუ აღარას ვიტყვით პირდაპირ ჯარიმებზე, რასაც ამხანაგობა დამნაშავეს დაადებდა. მაგრამ, გარდა ამისა, არსდებოდა კიდევ უფრო ვიწრო ამხანაგობანი გარკვეული მიზნებით; ასეთები იყო: გენუის საზოგადოება მონა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფოკიის შაბის ბუღობებს ფლობდა მცირე აზიაში ხიოსის კუნძულზე XIV და XV საუკუნეებში, შემდეგ — რავენსბერგის სავაჭრო საზოგადოება, რომელიც XIV საუკუნის ბოლოდან იტალიასა და ესპანეთთან სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა და რომელმაც იქ თავისი განყოფილებანი დააარსა, აგრეთვე გერმანული საზოგადოება, რომელსაც შეადგენდნენ აუგსბურგელი ვაჭრები — ფუგერი, ველზერი, ფელინი, ჰენშტეტერი და ა. შ., და ნიურნბერგელი ვაჭრები — პირმფოგელი და სხვები; ეს საზოგადოება 66 000 დუკატი კაპიტალით და სამი გემით მონაწილეობას იღებდა პორტუგალიის მიერ 1505 — 1506 წლებში მოწყობილ ინდოეთის ექსპედიციაში, ამასთან წმინდა მოგებაც მიიღო 150, ხოლო ზოგი წყაროების მიხედვით — 175%-ის რაოდენობით (Heyd: «Levantehan-

del», II, 524), და ასევე მთელი რიგი სხვა საზოგადოება-«მონოპოლიები», რომელთა გამო ლუთერი ასე ძლიერ იყო აღშფოთებული.

აქ ჩვენ პირველად გვხვდება მოგება და მოგების ნორმა. სახელდობრ — ვაჭრების მისწრაფება შეგნებულად და წინასწარგანზრახვით იმისკენა მიმართული, რომ მოგების ეს ნორმა ყველა მონაწილესათვის ტოლი გახადოს. ვენეციელები აღმოსავლეთში, ჰანზელები ჩრდილოეთში — თვითეული მეზობელთან ერთად თანაბარ ფასს იხდიდა. შესაძენ საქონელში, ეს საქონელი მას თანაბარი სატრანსპორტო ხარჯები უღირდა, მასში იგი სხვებთან ერთად თანაბარ ფასს ღებულობდა და უკან დასაბრუნებელ ტვირთს იგი იმავე ფასებში ყიდულობდა, როგორც მისი «ერის» ყოველი სხვა ვაჭარი. ამრიგად, მოგების ნორმა ყველასათვის თანაბარი იყო. მსხვილ სავაჭრო ამხანაგობებში მოგების განაწილება კაპიტალის დაბანდებული წილის პროპორციულად ისევე თავისთავად გასაგები იყო, როგორც უფლებებით სარგებლობა მარკაში ნადელის იმ წილის პროპორციულად, რომელიც ამ უფლებებს იძლევა, ანდა როგორც სამთამადნო-საქარხნო საწარმოთა მოგებაში მონაწილეობა პაის (კუქსი) რიცხვის პროპორციულად. ამრიგად, თანაბარი მოგების ნორმა, რაც თავის სრულ განვითარებაში კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი საბოლოო შედეგია, აქ თავისი უმარტივესი ფორმით, როგორც ჩანს, კაპიტალის ისტორიული განვითარების ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტი ყოფილა და პირდაპირი მემკვიდრეობაც კი თემ-მარკისა, რომელიც, თავის მხრივ, პირველყოფილი კომუნისმის პირდაპირი მემკვიდრეობაა.

მოგების ეს თავდაპირველი ნორმა აუცილებლად ძალიან მაღალი იყო. სავაჭრო საქმე მეტად სარისკო იყო და არა მარტო იმის გამო, რომ ძლიერ იყო გავრცელებული მეკობრეობა, არამედ იმიტომაც, რომ მეტოქე ერები ხშირად თავის თავს ნებას აძლევდნენ ყოველგვარი ძალადობა ჩაედინათ, თუკი საამისო შემთხვევა მიეცემოდათ; ბოლოს, გასაღება და ამ გასაღების პირობები დამყარებული იყო უცხოური თავადების მიერ მოცემულ პრივილეგიებზე, რომელთაც საკმაოდ ხშირად არღვევდნენ ან სრულიად აუქმებდნენ. მოგება, მაშასადამე, მაღალი სადაზღვეო პრემიის შემცველი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ბრუნვა ნელა მიმდინარეობდა, გარიგებათა შესრულება ჰიანურდებოდა, უფრო ხელსაყრელ პერიოდებში კი, რაც, სხვათა შორის, იშვიათად თუ იქნებოდა ხანგრძლივი, სავაჭრო საქმიანობა წარმოადგენდა მონოპოლიურ ვაჭრობას მონოპოლიური მოგებით. იმას, რომ მოგების ნორმა საშუალოდ ძლიერ მაღალი იყო, ის გარე-

მოებაც ადასტურებს, რომ ძალიან მაღალი იყო იმ დროს ჩვეულებრივი სარგებლის ნორმები, მაშინ როდესაც სარგებლის ნორმები, მთლიანად თუ ავიღებთ, ყოველთვის სავაჭრო მოგების ჩვეულებრივ დონეზე უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ მაღალ და ყველა მონაწილესათვის თანატოლ მოგების ნორმას, რის მიღებაც ამხანაგობათა საერთო საქმიანობის მეოხებით ხდებოდა, მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგობის ფარგლებში, მაშასადამე, აქ — ცალკეული «ერის» ფარგლებში. ვენეციელებს, გენუელებს, ჰანზელებს, ჰოლანდიელებს — ყოველ ერს თავისთვის და, ალბათ, დასაწყისში აგრეთვე გასაღების ყოველი ცალკეული ბაზრისათვის — მოგების განსაკუთრებული ნორმები ჰქონდათ. ცალკეულ საზოგადოებათა მოგების ამ სხვადასხვა ნორმების გათანაბრება ხორციელდებოდა საპირისპირო გზით — კონკურენციის მეოხებით. უწინარეს ყოვლისა მოგების ნორმები თანატოლდებოდნენ ერთი და იმავე ერის სხვადასხვა ბაზარზე. თუ ალექსანდრია უფრო მეტ მოგებას იძლეოდა ვენეციის საქონელზე, ვიდრე კვიპროსი, კონსტანტინოპოლი ან ტრაპიზონი, მაშინ ვენეციელები მეტ კაპიტალს აგზავნიდნენ ალექსანდრიაში, ამოიღებდნენ რა კაპიტალის ნაწილს მიმოქცევიდან სხვა ბაზრებზე. შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა მოგების ნორმათა თანდათანობითი გათანატოლება ცალკეულ ერებს შორის, რომელთაც ერთსა და იმავე ბაზრებზე ერთი და იგივე ან მსგავსი საქონელი გაჰქონდათ, ამასთან ძალიან ხშირად ზოგიერთი ამ ქრებიდან ჩანაგდებოდა და სცენიდან ქრებოდა. მაგრამ ეს პროცესი უნდა შეწყდებოდა ხოლმე პოლიტიკური მოვლენების გამო: ასე, მაგალითად, მთელი ვაჭრობა აღმოსავლეთთან დაიღუპა მონღოლებისა და თურქების შემოსევათა გამო, გრანდიოზულმა გეოგრაფიულ-კომერციულმა აღმოჩენებმა კი 1492 წლიდან მხოლოდ დააჩქარეს და შემდეგ დაასრულეს ეს დაღუპვა.

გასაღების სფეროს უეცარ გაფართოებას, რაც შემდგომ მოხდა, და ამასთან დაკავშირებით მიმოსვლის საშუალებებში მომხდარ გადატრიალებას არ გამოუწვევია პირველ ხანებში არსებითი ცვლილებები ვაჭრობის წარმართვის წესში. ინდოეთთან და ამერიკასთან ვაჭრობასაც თავდაპირველად უმთავრესად ამხანაგობები აწარმოებდნენ. მაგრამ ახლა უკვე ამ ამხანაგობების უკან დიდი ერები იდგნენ. აღმოსავლეთთან მოვაჭრე კატალონელთა ადგილი ამერიკის ვაჭრობაში დაიკავა მთელმა გაერთიანებულმა ესპანეთმა, ხოლო მის გვერდით ორმა ისეთმა დიდმა ქვეყანამ, როგორც ინგლისი და საფრანგეთი; ყველაზე

პატარა ქვეყნებიც კი — პოლანდია და პორტუგალია — ყოველ შემთხვევაში ისევე დიდი და ძლიერი მაინც იყვნენ, როგორც ვენეცია — წინამავალი პერიოდის ეს ყველაზე დიდი და ძლიერი მოვაჭრე ერი. ეს აძლევდა XVI და XVII საუკუნეების მოხეტიალე ვაჭარს [merchant adventurer] საყრდენს, რაც ზედმეტად ხდიდა ამხანაგობას, რომელიც თავის წევრებს აგრეთვე იარაღითაც იცავდა, ხოლო ამ ამხანაგობის არსებობასთან დაკავშირებული ხარჯები ზედმეტი ტვირთი ხდებოდა. შემდეგ, ახლა სიმდიდრე ბევრად უფრო სწრაფად გროვდებოდა ცალკეულ პირთა ხელში, ასე რომ სულ მოკლე დროში ცალკეულ ვაჭრებს იმდენივე სახსრების დაბანდება შეეძლოთ რომელიმე საწარმოში, რამდენსაც წინათ მთელი ამხანაგობა აბანდებდა. სავაჭრო ზაზოგადობები, იქ, სადაც ისინი კიდევ განავრცობდნენ არსებობას, შეტწილად გადაიქცნენ შეიარაღებულ კორპორაციებად, რომელნიც თავიანთი სახელმწიფოების მფარველობითა და პროტექტორატით იპყრობდნენ მთელ ახლად აღმოჩენილ ქვეყნებს და მონოპოლიურად უწეოდნენ მათ ექსპლოატაციას. მაგრამ რაც უფრო მეტი რაოდენობით არსდებოდა, უმთავრესად სახელმწიფოს შემწეობით, კოლონიები ახალ მხარეებში, მით უფრო უკანა რიგში დგებოდნენ სავაჭრო ამხანაგობები შედარებით ცალკეულ ვაჭართან და ამასთან ერთად მოგების წორმის გათანაბრება სულ უფრო და უფრო მარტოოდენ კონკურენციის საქმე ხდებოდა.

აქამდე ჩვენ მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის მოგების ნორმას ვავეცანით. ეს იმიტომ, რომ აქამდე მხოლოდ სავაჭრო და სავაზმო კაპიტალი არსებობდა, სამრეწველო კაპიტალი კი სწორედ ახლა უნდა განვითარებულიყო. წარმოება ჯერ კიდევ უმთავრესად ისეთი მუშაკების ხელში იყო, რომელთაც საკუთარი წარმოების საშუალებანი გააჩნდით და რომელთა შრომაც, მაშასადამე, არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ აძლევდა კაპიტალს. თუკი ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი პროდუქტის ნაწილი უსასყიდლოდ მიეცათ მესამე პირისათვის, ეს მხოლოდ ხარკის სახით ხდებოდა, რასაც ისინი ფეოდალურ ბატონს უხდიდნენ. ამიტომ სავაჭრო კაპიტალს, დასაწყისში მაინც, თავისი მოგების მიღება შეეძლო მხოლოდ უცხოური მყიდველებისაგან, რომელნიც ქვეყნის შიგნით დამზადებულ პროდუქტებს ყიდულობდნენ, ანდა თანამემამულე მყიდველებისაგან, რომელნიც უცხოურ პროდუქტებს ყიდულობდნენ. მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულს — იტალიისათვის, მაშასადამე, აღმოსავლური ვაჭრობის დაქვეითების მომენტიდან — შეიძლებოდა კონკურენციისა და გასაღების სიძნელეთა

გამო საექსპორტო საქონლის მწარმოებელი ხელოსანი იძულებული გამხდარიყო ვაჭარ-ექსპორტიორისათვის საქონელი მის ღირებულებაზე უფრო ნაკლებ ფასებში დაეთმო. ამრიგად, ჩვენ აქ ისეთ მოვლენას ვხედავთ, რომ ქვეყნის შიგნით ცალკეულ მწარმოებელთა შორის საცალო ბრუნვაში საქონელი საშუალოდ მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, საერთაშორისო ვაჭრობაში კი, აღნიშნული მიზეზების გამო, ლოგორც წესი, საქონელი არ იყიდება მისი ღირებულების მიხედვით. ეს სრულიად საპირისპირო მოვლენაა თანამედროვე მდგომარეობასთან შედარებით, როცა წარმოების ფასებს ძალა აქვთ საერთაშორისო და საბითუმო ვაჭრობაში, მაშინ როდესაც საცალო საქალაქო ვაჭრობაში ფასწარმოქმნა მოგების სრულიად სხვა ნორმებით რეგულირდება, ასე რომ ახლა, მაგალითად, ძროხის ხორცის ფასს გაცილებით მეტი ემატება გზაზე ლონდონელი ბითუმად მოვაჭრიდან ლონდონელ მომხმარებელამდე, ვიდრე გზაზე ჩიკაგოელ ბითუმად მოვაჭრიდან ლონდონელ ბითუმად მოვაჭრემდე, გადაზიდვის ხარჯების ჩათვლით.

ფასწარმოქმნაში ამ თანდათანობითი გადატრიალების იარაღი იყო სამრეწველო კაპიტალი. ამას საწყისი მიეცა უკვე შუა საუკუნეებში, სახელდობრ სამ სფეროში: ნაოსნობაში, სამთო სარეწავებსა და საფეიქრო მრეწველობაში. ნაოსნობა იმ მასშტაბით, რომლითაც მას იტალიისა და ჰანზას ზღვისპირა რესპუბლიკები ეწეოდნენ, შეუძლებელი იყო მატროსების გარეშე, ე. ი. დაქირავებული მუშების გარეშე (მუშების დაქირავების ურთიერთობა შეიძლება შენიღბული ყოფილიყო არტელური ფორმებით, რაც მოგებაში მონაწილეობას გულისხმობდა), მაშინდელი დროის გალერები კი წარმოუდგენელი იყო წინიჩბეთა — დაქირავებული მუშების ან მონების გარეშე. მალნის მომპოვებელი საწარმოები, რომელთაც თავდაპირველად არტელებად გაერთიანებული მუშები განაგებდნენ, თითქმის ყველგან გადაიქცა აქციონერულ საზოგადოებებად, რომელნიც საქმეს დაქირავებული მუშების შემწეობით წარმართავდნენ. საფეიქრო მრეწველობაში კი ვაჭარი წვრილ ოსტატ-მქსოველებს პირდაპირ თავის სამსახურში აყენებდა იმით, რომ ურიგებდა მათ ნართს და აიძულებდა მის ხარჯზე გადაემუშავებინათ იგი ქსოვილად განსაზღვრულ ფასში, — მოკლედ, უბრალო ვაჭრიდან იგი ეგრეთწოდებულ დამრიგებლად გადაიქცა.

აქ ჩვენ გვაქვს კაპიტალისტური ზედმეტი ღირებულების წარმოქმნის პირველი ჩანასახები. სამთამაღნო-საქარხნო სარეწავები მათი კარჩაკეტილი, მონოპოლიურ-კორპორაციული ხასიათის გამო ჩვენ შეგვიძლია მხედველობის გარეშე დავტოვოთ. რაც შეეხება ნაოსნობას,

ცხადია, რომ აქ მოგება უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივი მოგების ტოლი, იმ წინამართით, რაც დაკავშირებულია დაზღვევასთან, გემების გაცვეთასთან და ა. შ. როგორი იყო მდგომარეობა იმ დამრიგებელთა მიმართ საფეიქრო მრეწველობაში, რომლებმაც პირველად გაიტანეს ბაზარზე პირდაპირ კაპიტალისტის ხარჯზე დამზადებული საქონელი და ამით კონკურენცია შეუქმნეს ხელოსნის ხარჯზე დამზადებულ იმავე სახეობის საქონელს?

სავაჭრო კაპიტალის მოგების ნორმა უკვე წინასწარ მოცემული იყო. ისიც უკვე დაყვანილი იყო, ყოველ შემთხვევაში ყოველი მოცემული ადგილისათვის, თავის საშუალო ნორმამდე. რა მიზანი ამოძრავებდა ვაჭარს თავის თავზე აედო დამრიგებლის დამატებითი როლი? მხოლოდ ერთი რამ: უფრო დიდი მოგების პერსპექტივა სხვებთან თანატოლი გასაყიდი ფასის პირობებში. და სწორედ ეს ჰქონდა მას მხედველობაში. წვრილ ოსტატებს რომ თავის სასარგებლოდ ამუშავებდა, ამით იგი არღვევდა წარმოების ტრადიციულ საზღვრებს, როცა მწარმოებელი მხოლოდ თავის მზა პროდუქტს ყიდიდა და სხვას არაფერს. ვაჭარი-კაპიტალისტი ყიდულობდა ისეთი მუშის სამუშაო ძალას, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა საკუთარი წარმოების საშუალებანი, მაგრამ აღარ ჰქონდა ნედლეული. ამრიგად, უზრუნველყოფდა რა მქსოველისათვის რეგულარულ შემოსავალს, ამასთანავე მას შეეძლო მისი ხელფასის ისე შემცირება, რომ დახარჯული სამუშაო დროის ნაწილი გადაუხდელი რჩებოდა. ამრიგად, დამრიგებელი ხდებოდა ზედმეტი ღირებულების მიმთვისებელი იმ სავაჭრო მოგებაზე ზედმეტად, რასაც იგი ღდემდე იღებდა. მართალია, ამისათვის მას უნდა გამოეყენებია დამატებითი კაპიტალი, რათა შეესყიდა ნართი და ა. შ. და დაეტოვებინა იგი ფეიქრის ხელში პროდუქტის საბოლოო გამოყვანამდე, მაშინ როდესაც უწინ პროდუქტის სრულ ფასს იგი მხოლოდ მისი ყიდვის მომენტში იხდიდა. მაგრამ, ჯერ ერთი, მეტწილ შემთხვევებში იგი წინათაც ხარჯავდა დამატებით კაპიტალს, რათა სესხი მიეცა მქსოველისათვის, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ სავალო მონობა აიძულებდა დამორჩილებოდა წარმოების ახალ პირობებს. და, მეორე, ამისგან დამოუკიდებლადაც კი გაანგარიშება შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

დავუშვათ, რომ ჩვენი ვაჭარი თავის საექსპორტო საქმეს წარმართავდა დუკატების, ცეხინების, გირვანქა სტერლინგებისა და სხვა რაიმესაგან შედგენილი 30 000 კაპიტალით. ვთქვათ, რომ 10 000 აქედან დაიხარჯა ქვეყნის შიგნით დამზადებული საქონლის საყიდლად.

მაშინ როდესაც 20 000 იგი იყენებს გასაღების უცხოურ ბაზრებზე. თუ კაპიტალი ორ წელიწადში ერთხელ გადაბრუნდება, მაშინ წლიური ბრუნვა იქნება 15 000. მაგრამ დავუშვათ, რომ ჩვენს ვაჭარს სურს ფეიქრობას მიჰყოს ზელი თავის ხარჯზე და დამრიგებელი გახდეს. რა კაპიტალი უნდა დახარჯოს მან ამისათვის დამატებით? ვთქვათ, ნაჭერი ქსოვილის საწარმოებლად საჭირო დრო, ქსოვილისა, რომლითაც იგი ვაჭრობს, საშუალოდ უდრის ორ თვეს (თუმცა ეს ვადა, უეჭველად, მეტისმეტად ხანგრძლივია). დავუშვათ, შემდეგ, რომ მან ყველაფერში ნაღდი ფული უნდა გადაიხადოს. ასეთ შემთხვევაში ის იძულებული გახდება ისეთი კაპიტალი დახარჯოს დამატებით, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ფეიქრები ნართით მოამარაგოს ორი თვის განმავლობაში. რადგან მისი წლიური ბრუნვა 15 000 შეადგენს, ამიტომ ორ თვეში იგი შეისყიდის 2 500-ის ქსოვილს. ვთქვათ, 2000 აქედან წარმოადგენს ნართის ღირებულებას, 500 კი — ფეიქრების ხელფასს; მაშინ ჩვენს ვაჭარს დასჭირდება 2 000 დამატებითი კაპიტალი. დავუშვათ, რომ ზედმეტი ღირებულება, რასაც იგი ახალი წესის მეოხებით ფეიქრისგან მიითვისებს, ქსოვილის ღირებულების მხოლოდ 5% აღწევს, რაც, უეჭველია, ზედმეტი ღირებულების მეტად ზომიერ ნორმას შეადგენს 25%-ის რაოდენობით

$$(2\,000c + 500v + 125m; \quad m' = \frac{125}{500} = 25\%; \quad p' = \frac{125}{2\,500} = 5\%). \quad \text{ასეთ}$$

პირობებში ჩვენი ვაჭარი, თუ წლიური ბრუნვა 15 000 უდრის, მიიღებს 750 დამატებით მოგებას, მაშასადამე, $2\frac{2}{3}$ წლის განმავლობაში დაიბრუნებს მთელ დახარჯულ დამატებით კაპიტალს.

მაგრამ იმისათვის, რომ თავისი გასაღება და ამასთან ერთად თავისი ბრუნვა დააჩქაროს და ამით იგივე მოგება მიიღოს წინანდელი კაპიტალიდან უფრო მოკლე დროის განმავლობაში, — მაშასადამე, რათა იმავე დროის განმავლობაში მეტი მოგება მიიღოს, — იგი თავისი ზედმეტი ღირებულების მცირე ნაწილს აჩუქებს მყიდველს, ე. ი. თავის კონკურენტებზე უფრო იაფად გაყიდის. კონკურენტებიც ასევე თანდათანობით გადაიქცევიან დამრიგებლებად, და მაშინ დამატებითი მოგება ყველასთვის დავა ჩვეულებრივ მოგებამდე ან უფრო ნაკლებამდეც კი, ამასთან ეს მოგება მიიღება ყველასთვის გადიდებული კაპიტალიდან. მოგების ნორმის ტოლობა კვლავ აღდგება, თუმცა შესაძლოა უკვე სხვა დონეზე, იმის გამო, რომ ქვეყნის შიგნით წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნაწილს უცხოელ მყიდველებს უთმობენ.

კაპიტალისადმი მრეწველობის დაქვემდებარების გზაზე შემდგომი ნაბიჯი იყო მანუფაქტურის შემოღება. ეს უკანასკნელიც შესაძლებლობას აძლევდა მანუფაქტურისტს, რომელიც XVII და XVIII საუკუნეებში თავისი საქონლის ექსპორტიერაც იყო, — გერმანიაში ასე იყო 1850 წლამდე თითქმის ყველგან, ალაგ-ალაგ დღემდეც კი დარჩა, — თავის ძველი მოდის მეტოქე-ხელოსნებთან შედარებით უფრო იაფად ეწარმოებინა. მეორდება იგივე პროცესი: ზედმეტი ღირებულება, რასაც მანუფაქტურის მფლობელი, ე. ი. კაპიტალისტი მიითვისებს, შესაძლებლობას აძლევს მას ან ვაჭარ-ექსპორტერს, რომელსაც ის ზედმეტ ღირებულებას უყოფს, თავის კონკურენტებზე უფრო იაფად გაყიდოს, სანამ წარმოების ახალი ფორმა საყოველთაო არ გახდება და მოგებათა გათანაბრება ხელახლა არ მოხდება. უკვე წინასწარ მოცემული სავაჭრო მოგების ნორმა, თუნდაც იგი გათანაბრებული იყოს ლოკალური მასშტაბით, რჩება პროკრუსტეს სარეცელად, რომელზეც ჭარბი ზედმეტი ღირებულება შეუბრალებლად მოიკვეთება.

თუ მანუფაქტურა მკვეთრად განვითარდა პროდუქტების გაიაფების გამო, ამ გაიაფების მეოხებით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მსხვილი მრეწველობა, რომელიც წარმოების განუწყვეტელი გარე-ვოლუტიუზების გზით სულ უფრო ამცირებს საქონლის წარმოების ხარჯებს და დაუნდობლად სპობს ყველა ძველ წარმოების წესს. სწორედ მსხვილი მრეწველობა იპყრობს საბოლოოდ ამ გზით შინაგან ბაზარს კაპიტალისათვის, ბოლოს უღებს თვითკმარი გლეხური ოჯახის წვრილ წარმოებას და ნატურალურ მეურნეობას, სპობს უშუალო გაცვლას წვრილ მწარმოებელთა შორის და მთელ ერს კაპიტალის სამსახურში აყენებს. იგი ათანაბრებებს აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგთა მოგების ნორმებს ერთ საერთო ნორმად და, ბოლოს, ამ გათანაბრებისას, უზრუნველყოფს მრეწველობისათვის შესაფერ და გაბატონებულ როლს, თავიდან იცილებს რა იმ დაბრკოლებათა მეტ წილს, რაც მანამდე წინ ეღობებოდა კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადატანას. ამასთან ერთად გაცვლის მთელი პროცესისათვის ხდება ღირებულებათა გადაქცევა წარმოების ფასებად. მაშასადამე, ეს გადაქცევა ხდება ობიექტური კანონების ძალით, მონაწილეთა ცნობიერებისა თუ განზრახვის გარეშე. ის გარეშობა, რომ კონკურენტციას საერთო დონემდე ჩამოჰყავს მოგება, რომელიც საერთო ნორმას აღემატება, და ამ გზით ხელახლა ართმევს პირველ მიმოვისებელ-მრეწველებს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც საშუა-

ლო დონეს აღმატება, თეორიულად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. პრაქტიკაში კი მით უმეტეს, რადგან დარგები, სადაც ჰარბი ზედმეტი ღირებულებაა, ე. ი. სადაც ცვალებადი კაპიტალი მაღალია, მუდმივი კი — დაბალი, მაშასადამე, კაპიტალის შედგენილობა დაბალია, თავისი ბუნების მიხედვით სწორედ ისეთი დარგებია, რომლებიც ყველაზე მოგვიანებით და ყველაზე არასრულყოფილად ექვემდებარებიან კაპიტალისტურ წარმოებას; უწინარეს ყოვლისა ასეთია მიწათმოქმედება. რაც შეეხება, პირიქით, საქონელთა ღირებულებასთან შედარებით წარმოების ფასების გადიდებას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოგების საშუალო ნორმის დონემდე აიყვანოს არასაკმარისი ზედმეტი ღირებულება, რასაც მაღალი შედგენილობის მქონე პროდუქტები შეიცავენ, — თეორიულად ეს ისე გამოიყურება, თითქოს ძალიან ძნელი რამაა, პრაქტიკულად კი, როგორც უკვე დავინახეთ, ყველაზე იოლად და სწრაფად ხდება. ეს იმიტომ, რომ μ სახეობის საქონელი, როცა მისი წარმოება კაპიტალისტურად იწყება და როცა იგი კაპიტალისტურ ვაჭრობაში შედის, კონკურენციას იწყებს იმავე სახეობის საქონელთან, რომელიც წარმოებულია კაპიტალიზმამდელი წესებით, ე. ი. უფრო ძვირადღირებულ საქონელთან. მაშასადამე, კაპიტალისტურ მწარმოებელს იმ შემთხვევაშიც კი, თუ უარს იტყვის ზედმეტი ღირებულების ნაწილზე, მაინც შეუძლია მიიღოს მისი ადგილისათვის ჩვეული მოგება, რომელსაც თავდაპირველად არ ჰქონდა უშუალო დამოკიდებულება ზედმეტ ღირებულებასთან. ვინაიდან იგი წარმოიშვა სავაჭრო კაპიტალიდან დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ დაიწყებოდა საერთოდ კაპიტალისტურად წარმოება და სანამ, მაშასადამე, შესაძლებელი გახდებოდა მოგების სამრეწველო ნორმა.

II.

ბ ი რ შ ა *

1) შესამე ტომიდან, — მეხუთე განყოფილება, განსაკუთრებით თავი [27]**, — ჩანს, თუ რა მდგომარეობა უჭირავს ბირჟას კაპიტალისტურ წარმოებაში საერთოდ. მაგრამ 1865 წლის შემდეგ, მას

* ხელნაწერი ენგელსს შემდეგნაირად აქვს დასათურებელი: «ბირჟა, დამატებითი შენიშვნები «კაპიტალის» შესამე ტომის შესახებ». რ ე დ.

** ხელნაწერში ენგელსმა დატოვა თავისუფალი ადგილი, რათა სათანადო თავის რიგითი ნომერი ჩაესვა. ლაბორაცია, ალბათ, 27 თავზე — «კრედიტის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში». რ ე დ.

შემდეგ, რაც წიგნი დაიწერა, მოხდა ცვლილება, რომელიც ბირჟას მნიშვნელოვნად გაზრდილ და სულ უფრო მზარდ როლს ანიჭებს და რომელსაც თავის შემდგომ განვითარებაში ის ტენდენცია აქვს, რომ მეზბირჟეთა [Börsianer] ხელში მოუყაროს თავი მთელ წარმოებას, როგორც სამრეწველოს, ისე სამიწათმოქმედოს, და მთელ მიმოქცევას — როგორც მიმოსვლის საშუალებებს, ისე გაცვლის ფუნქციასაც; ამრიგად, ბირჟა ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.

2) 1865 წელს ბირჟა ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი გლემენტი იყო კაპიტალისტურ სისტემაში. საბირჟო ფასეულობათა ძირითად მასას წარმოადგენდა სახელმწიფო ქაღალდები, მაგრამ მათი რაოდენობაც შედარებით მცირე იყო. ამის გვერდით არსებობდა აქციონერული ბანკები, რომელნიც კონტინენტზე და ამერიკაში ბატონობდნენ, ინგლისში კი მხოლოდ ემზადებოდნენ, რომ არისტოკრატიული კერძო ბანკები შთაენთქათ; მეტწილ შემთხვევაში ისინი ჯერ კიდევ შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ. რკინიგზის აქციებიც ახლანდელ დროსთან შედარებით ჯერ კიდევ შეფარდებით სუსტად იყო გავრცელებული. უშუალოდ მწარმოებელი საწარმონი კი, ისევე როგორც ბანკები, აქციონერულ ფორმაში სულ ცოტა იყო, მეტწილად ისინი იქმნებოდნენ უფრო დარიბ ქვეყნებში, როგორც იყო გერმანია, ავსტრია, ამერიკა და ა. შ.; — «პატრონის თვალი» იმ დროს ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ცრურწმენა იყო.

მაშასადამე, ბირჟა იმ დროს ჯერ კიდევ ის ადგილი იყო, სადაც კაპიტალისტები ერთიმეორეს მათ მიერვე დაგროვილ კაპიტალს ერთმეცდნენ, ადგილი, რომელიც მუშებს უშუალოდ ეხებოდა მხოლოდ როგორც ახალი დამამტკიცებელი საბუთი კაპიტალისტური მეურნეობის გამრყენელი გავლენისა და როგორც დადასტურება კალვინისტური თეზისისა, რომ უკვე ამ ქვეყნად ღვთის მადლი — სხვა სიტყვებით, შემთხვევა — ანაწილებს ლოცვა-კურთხევას და კრულვას, სიმდიდრეს, ე. ი. განცხრომასა და ძალაუფლებას, და სიღარიბეს, ე. ი. გაჭირვებასა და მონობას.

3) ახლა სხვა ვითარებაა. 1866 წლის კრიზისის შემდეგ დაგროვება სულ უფრო მზარდი სისწრაფით ხდებოდა და თანაც იმგვარად, რომ ვერც ერთ სამრეწველო ქვეყანაში, და ეს ყველაზე მეტად ითქმის ინგლისზე, წარმოება ვერ მიჰყვებოდა დაგროვებას, და ცალკეული კაპიტალისტის დაგროვება ვერ პოულობდა სრულ გამოყენებას მისი საკუთარი საწარმოს გაფართოებაში; ინგლისის ბაზის მრეწველობაში

[ეს შეიმჩნეოდა] უკვე 1845 წელს, [შემდეგ] რკინიგზით თაღლითობანი. ამ დაგროვებასთან ერთად იზრდებოდა რანტიეთა რიცხვი, იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც მობეზრდათ მუდმივი დაძაბულობა, რაც დაკავშირებული იყო საქმის წარმართვასთან, და რომელთაც სურდათ მარტო გართობა ანდა მხოლოდ იოლი მოსაქმეობა, ე. ი. ღირეჭტოვებად და კომპანიათა სამეთვალყურეო საბჭოების წევრებად ყოფნა. და, მესამე, უამრავი ამოძრავებული ფულადი კაპიტალის გამოყენების გაადვილების მიზნით ახლა ყველგან, სადაც კი უწინ ეს არ იყო, შეიქმნა ახალი საკანონმდებლო ფორმები იმ საზოგადოებათათვის, რომელთაც შეზღუდული პასუხისმგებლობა ჰქონდათ, და შემცირდა ვალდებულებანი იმ აქციონერთათვის, რომლებიც მანამდე შეუზღუდველად იყვნენ პასუხისმგებლნი (აქციონერული საზოგადოებანი გერმანიაში 1890 წ. — ხელმოწერის 40%).

4) აქედან მრეწველობის თანდათანობითი გარდაქმნა აქციონერულ საწარმოებად. ერთი დარგი მეორის მიყოლებით ემორჩილება ამ ბედს. პირველად ეს დარგი იყო რკინის წარმოება, სადაც ამჟამად საჭიროა გიგანტური დაბანდებანი (კიდევ უფრო ადრე სამთო-საქარხნო მრეწველობა, თუკი მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საპაიო საწარმოთა ფორმა). შემდეგ ქიმიური მრეწველობა, ზუსტად ასევე მანქანათმშენებელი ქარხნები. კონტინენტზე აგრეთვე საფეიქრო მრეწველობა. ინგლისში კი მხოლოდ ცალკეულ ადგილებში — ლანკაშირი (სართავი ფაბრიკა ოლდჰემში, საფეიქრო ფაბრიკა ბერნლეიში და ა. შ., საკერავ საწარმოთა გაერთიანება; მაგრამ ეს მხოლოდ წინასწარი საფეხურია, რომელიც უახლოესი კრიზისის დროს დაიშლება ხოლმე და ხელში უვარდება [ცალკეულ] მეპატრონეებს), ლუდსახდელი ქარხნები (რამდენიმე წლის წინათ ამერიკული ლუდსახდელი ქარხნები გადავიდა ინგლისური კაპიტალის ხელში, შემდეგ Guinness Bess, Allsopp *). შემდეგ ტრესტები, რომლებიც ქმნიან საერთო გამგეობის მქონე გიგანტურ საწარმოებს (როგორცაა United Alkali **). ჩვეულებრივი ერთპიროვნული ფირმა სულ უფრო და უფრო ხდება მხოლოდ წინასწარი საფეხური, რომელიც საწარმოს ამზადებს იმ მომენტისათვის, როცა იგი საკმაოდ დიდი იქნება იმისათვის, რომ აქციონერულ საზოგადოებად გადაიქცეს [«gegründet“ werden].

* ორი მსხვილი ინგლისური ლუდსახდელი ფირმის სახელწოდებანი. რ. ე. დ.

** ინგლისური ქიმიური ტრესტი. რ. ე. დ.

იგივე ითქმის ვაჭრობაზეც. *Leafs, Parsons, Morleys, Morrison, Dillon* * — ყველანი აქციონერულ საზოგადოებებად გადაიქცნენ. ზუსტად ასევეა ამჟამად საცალო ფირმებიც და თანაც არა მარტო გარეგნულობით კოოპერაციისა à la «Stores» **.

ასევე ითქმის ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ ინგლისშიც. უამრავია ახალი აქციონერული საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით. ძველი ბანკებიც კი, როგორც...*** და ა. შ., 7 კერძო [აქციონერით] აქციონერულ საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესში არიან.

5) მიწათმოქმედების დარგშიც იგივე მდგომარეობაა. არაჩვეულებრივად გაფართოებული ბანკები, განსაკუთრებით გერმანიაში (ყოველგვარი ბიუროკრატიული სახელწოდებით) — სულ უფრო და უფრო იქცევიან იპოთეკურ ბანკებად; აქციებთან ერთად ნამდვილი უმალლესი საკუთრება მიწათმფლობელობის მიმართ გადადის ბირჟის ხელში, და ეს კიდევ უფრო გაძლიერებულად ხდება, როცა მამულები კრედიტორებს უვარდებათ ხელში. აქ სოფლის მეურნეობაში ტრამპლების დამუშავებასთან დაკავშირებით მომხდარი გადატრიალება, უდიდეს გავლენას ახდენს; თუ ასე გავრძელდა, მაშინ შეიძლება გავითვალისწინოთ, რომ დადგება დრო, როცა მიწას ინგლისშიც და საფრანგეთშიც ბირჟა დაეპატრონება.

6) შემდეგ კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ — მთლიანად აქციებში. თუ მარტო ინგლისზე ვიტყვი: ამერიკული რკინიგზები, ჩრდილოეთსა და სამხრეთში (ცნობების მიღება შეიძლება საბირჟო ბიულეტენებიდან), ჰოლდბერგერი და სხვ.

7) დასასრულ — კოლონიზაცია. ეს უკანასკნელი ამჟამად უბრალო განყოფილებაა ბირჟისა, რომლის ინტერესებისთვისაც ევროპის სახელმწიფოებმა რამდენიმე წლის წინათ აფრიკა დაიყვეს, ფრანგებმა ტუნისი და ტონკინი დაიპყრეს. აფრიკა პირდაპირ იჯარით აქვთ გადაცემული კომპანიებს (ნიგერი, სამხრეთ-აფრიკა. გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი და აღმოსავლეთი აფრიკა). მაშონალენდს და ნატალს როდის ბირჟისათვის დაეპატრონა.

* ფირმების სახელწოდებანი. რ ე დ.

** ე. ი. უნივერსალთა ნიმუშის მიხედვით. რ ე დ.

*** სიტყვა გაურჩეველია. გამოიყურება, როგორც «Glyn et C^o», ალბათ, ბანკის სახელწოდებაა. რ ე დ.

«აკაპიტალის» III ტომის მეორე ნაწილში
გომხსენიებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი

ა

- ანა (1665 — 1714), დედოფალი 1702
წლიდან. — 189.
ანდერსონი, ჯეიმს (Anderson,
James) (1739 — 1808) — 200, 201.
არბუტნოტი, ჯორჯ (Arbuthnot,
George) (1802 — 1865) — 114.
არისტოტელე (Aristoteles) (384 —
322 წვ. ერამდე) — 538.
არნდი, კარლ (Arnold, Karl) (1788 —
1877) — 409.
არნდტი, კარლ — იხ. არნდი,
კარლ.
ატუუდი, თომას (Attwood, Tho-
mas) (1783 — 1856) — 100, 127.
ატუუდი, მათიას (Attwood,
Matthias) (1779 — 1851) — 100,
127.

ბ

- ბარინგი (Baring) — მსხვილი სა-
ბანკორო ფირმა ინგლისში — 96.
ბურე, ეჟენ (Buret, Eugène)
(1811 — 1842) — 426.
ბიუსი, იოჰან გეორგ (Büsch,
Johann Georg) (1728 — 1800) —
191.
ბრაიტი, ჯონ (Bright, John)
(1811 — 1889) — 791.
ბრისკო, ჯონ (Briscoe, John)
(XVII სოფენის დასასრული) —
178.

გ

- გარნეი, სემუელ (Gurney,
Samuel) (1786 — 1856) — 78, 85,
86 — 87, 101, 108, 144.
გლინი, ჯორჯ გრენფელ (Glyn,
George Granfell) (1824 — 1887) —
106.

დ

- დავენანტი, ჩარლზ (Davenant,
Charles) (1656 — 1714) — 249.
დერე, ლუი ფრანსუა ეჟენი
(Daire, Louis François Eugène)
(1798 — 1847) — 404.
დომბალი, კრისტოფ ეოზეფ
ალექსანდრ მათიე დე (Dom-
basle, Christophe Joseph Ale-
xandre Mathieu de) (1777 — 1843) —
370, 437.
დოუვი, პატრიკ ედუარდ
(Dove, Patrick Edward) (1815 —
1873) — 215, 223.

ე

- ენგელსი, ფრიდრიხ (Engels,
Friedrich) (1820 — 1895) — 11, 15,
19, 37, 53, 73, 82, 87, 93, 106, 114,
121, 123, 132, 139, 143, 145, 158,
184, 262, 300, 314, 327, 345, 388,
441, 539.

ეპიკურე (Epikur) (341 — 271 წ. ერამდე) — 174.
 ეშლი, ანტონი კუპერი, გრაფი შეფტსბერი (Ashley, Antony Cooper, Earl of Shaftesbury) (1801—1885)— 210.

3

ვენსარი, პიერ (Vingard, Pierre) (1820 — 1882) — 405.
 ვესტი, ედუარდ (West, Edward) (1782 — 1828) — 248.
 ვილსონი, ჯემს (Wilson, James) (1805 — 1860) — 92, 93, 94, 103, 104, 114, 131, 147, 149, 150, 151, 152, 156, 157 — 158.
 ვუდი ჩარლზ (Wood, Charles) (1800 — 1885) — 118, 154, 155, 156, 157.

ზ

ზომბარტი, ვერნერ (Sombart, Werner) (1863 — 1941) — 539, 541.

ო

ოაკოზ I (1566 — 1625), მეფე 1603 წლიდან. — 189.
 ოუმი, დავიდ (Hume, David) (1711 — 1776) — 111.

კ

კანტილიონი, ფილიპ რიჩარდ (Cantillon, Philipp Richard) (1680 — 1734) — 401.
 კარდუელი, ედუარდ (Cardwell, Edward) (1813 — 1886) — 118.
 კარლოს დიდი (742 — 814), მეფე 768 წლიდან, იმპერატორი 800 წლიდან. — 173, 175, 405.
 კარლოს II (1630 — 1685), მეფე 1660 წლიდან. — 179, 189.

კატონი, მარკ პორციუს (კუენზორა) (234 — 149 წ. ერამდე) — 406.

კერი, ჰენრი ჩარლზ (Carey, Henry Charles) (1793 — 1879) — 171, 200, 203, 388.

კეტლე, ლამბერ ადოლფ ჯაკ (Quetlet, Lambert Adolphe Jacques) (1796 — 1874) — 499.

კინარი. ჯ. გ. (Kinnear, J. G.) — 84.

კლეი, ვილიამ (Clay, William) (1791 — 1867) — 114.

კონტი, ფრანსუა შარლ ლუი (Comte, François Charles Louis) (1782 — 1837) — 197.

ლ

ლავერნი, ლუი გაბრიელ ლეონს (Lavergne, Louis Gabriel Léonce) (1809 — 1880) — 213.

ლენგ, სემუელ (Laing, Samuel) (1780 — 1868) — 388.

ლენგე, სიმონ ნიკოლა ანრი (Linguet, Simon Nicolas Henri) (1736 — 1794) — 410.

ლიბიხი, იუსტუს ფონ (Liebig, Justus von) (1803 — 1873) — 351, 383, 395, 439.

ლისტი, ფრედრიხ (List, Friedrich) (1789 — 1846) — 530.

ლო, ჯონ (Law, John) (1671 — 1729) — 181.

ლოიდი, სემუელ ჯონს (Lloyd, Samuel Jones) ბარონი ოუერსტონი (1796 — 1883) — 31, 62, 63, 69, 70, 72, 74, 75 — 76, 95, 100, 111, 114, 116, 118, 120, 122, 128, 131, 132, 142.

ლოკი, ჯონ (Locke, John) (1632 — 1704) — 203.

ლორია, ახილ (Loria, Achille) (დაბ. 1857 წ.) — 535, 536, 537, 538, 539, 541, 547.

ლუთერი, მარტინ (Luther, Martin) (1483 — 1546) — 176, 190, 550.

8

- შაკოლეი, თომას ბაბინგ-
ტონი (Macaulay, Thomas Babing-
ton) (1800 — 1859) — 181.
- შალთუსი, თომას რობერტ
(Malthus, Thomas Robert) (1766 —
1834) — 232, 248, 262.
- შარონი, ჰ. (Maron, H.) — 433.
- შარქსი, კარლ (Marx, Karl)
(1818 — 1883) — 110, 183, 186, 534 —
535, 536, 537, 538, 540, 541, 543,
544, 546, 547.
- შენლი, თომას (Manley, Thomas)
(1628 — 1690) — 180.
- შესი, ჯოზეფ (Massie Joseph)
(გარდ. 1784 წ.) — 437.
- მილი, ჯონ სტიუარტ (Mill,
John Stuart) (1806 — 1873) — 75,
122, 146, 521.
- მირაბო, ვიქტორ, მარკიზ დე
(Mirabeau, Victor, marquis de)
(1715 — 1789) — 365.
- მოზერი, იუსტუს (Möser, Justus)
(1720 — 1794) — 410.
- მომსენი, თეოდორ (Mommesen,
Theodor) (1817 — 1903) — 406.
- მორტონი, ჯონ ჩალმერსი
(Morton, John Chalmers) (1821 —
1888) — 211, 212, 266.
- მუნიე, ლ. (Mounier, L.) — 432, 437.

8

- ნიუმარჩი, ვილიამ (Newmarch,
William) (1820 — 1882) — 81, 84,
102, 104, 105, 123, 134, 135, 139,
140, 142, 149, 150, 151, 153, 155,
156, 157.
- ნიუმენი, ფრენსის ვილიამ
(Newman, Francis William). (1805 —
1897) — 170, 246, 388, 437.
- ნორმენი, ჯორჯ უორდ (Nor-
man, George Warde) (1793 —
1882) — 114, 116.

ნორსი, დედლი (North, Dudley)
(1641 — 1691) — 191, 203.

მ

- ოვერსტონი — იხ. ლიდი.
- ოპდაიკი, ჯორჯ (Opdyke, George)
(1805 — 1830) — 260.
- ოგიე, მარი (Angier, Marie) — 169,
191.
- ოუენი, რობერტ (Owen, Robert)
(1771 — 1858) — 183.

პ

- პალმერი, ჯონ ჰორსლი (Pal-
mer, John Horsley) (1779 — 1858) —
124, 126, 138.
- პალმერსტონი, პენრი ჯონ
ტემპლი, ლორდი (Palmerston,
Henry John Temple, Lord) (1784 —
1865) — 208.
- პასი, იპოლიტ ფილიბერ
(Passy, Hippolyte Philibert) (1793 —
1880) — 383, 397, 401, 404, 408.
- პატერსონი, ვილიამ (Paterson,
William) (1658 — 1719) — 181.
- პეკერი, კონსტანტინ (Pecque-
ur, Constantin) (1801 — 1887) — 187.
- პეკერი, შარლ — იხ. პეკერი,
კონსტანტინ.
- პერეირა, იაკობ ემილ (Pere-
ire, Jakob Emil) (1800 — 1875) —
183.
- პეტი, უილიამ (Petty, William)
(1623 — 1687) — 8, 249, 401, 402.
- პილი, რობერტ (Peel, Robert)
(1788 — 1850) — 111, 114.
- პრუდონი, პიერ ჟოზეფ (Prou-
dhon, Pierre Joseph) (1809 — 1865) —
186, 205, 478.

რ

რამსეი, ჯორჯ (Ramsay, George)
(1800 — 1871) — 380.

რედენი, ფრიდრიხ ვილჰელმ
ოტო ლიუდვიგ (Reden, Fried-
rich Wilhelm Otto Ludwig) (1804 —
1857) — 8.

რიკარდო, დავიდ (Ricardo, David)
(1772 — 1823) — 110, 111, 112 — 113,
236, 237, 248, 263, 272, 274, 353,
366, 386, 443, 475, 491.

რიუბინონი, მორის (Rubichon,
Maurice) (1766 — 1849) — 212, 432,
437.

როდბერტუსი, იოჰან კარლ
(Rodbertus, Johann Karl) (1805 —
1875) — 394, 424, 490.

როდსი, სეცილ ჯონ (Rhodes,
Cecil John) (1853 — 1902) — 560.

როტშილდი, ჯემს (Rothschild,
James) (1792 — 1868) — 11.

როშერი, ვილჰელმ (Roscher,
Wilhelm) (1817 — 1894) — 456.

ს

სეი, ჟან ბატისტ (Say, Jean
Baptiste) (1767 — 1832) — 475, 482.

სენსიმონი, კლოდ ანრი (Saint-
Simon, Claude Henri) (1760 —
1825) — 182, 193.

სისმონდი, ჟან შარლ ლეონ-
ნარლ სიმონდ დე (Sismondi
Jean Charles Léonard Simonde de)
(1773 — 1842) — 22, 426.

სმიტი, ადამ (Smith, Adam) (1723 —
1790) — 16, 17, 194, 359, 380, 381,
386, 387, 389, 390, 405, 457, 469, 475,
477, 480.

სტიუარტი, ჯემს (Steuart, James)
(1712 — 1780) — 404.

ტ

ტუკეტო, ჯონ დებელ (Tuckett,
John Debell) (ვარდ. 1864 წ.) — 176.

ტიერი, ლუი ადოლფ (Thiers,
Louis Adolphe) (1797 — 1877) —
205.

ტიურგო, ან რობერტ ჟაკ
(Turgot, Anne Robert Jacques)
(1727 — 1781) — 203.

ტოკვილი, ალექსის შარლ
ანრი (Tocqueville, Alexis Charles
Henri) (1805 — 1859) — 426.

ტორენსი, რობერტ (Torrens,
Robert) (1780 — 1864) — 114.

ტუკი, თომას (Tooke, Thomas)
(1774 — 1858) — 32, 82, 101, 114,
122, 137, 142, 432, 477.

ტუნა, ალფონს (Thun, Alphonse)
(1853 — 1885) — 548.

უ

უეკფილდი, ედუარდ გიბონ
(Wakefield, Edward Gibbon) (1796 —
1862) — 365, 382.

უესტი — იხ. ვესტი.

უოლტონი, ალფრედ (Walton,
Alfred) (1816 — 1883) — 201.

ფ

ფაუსეტი, ჰენრი (Fawcett,
Henry) (1833 — 1884) — 211.

ფორკადი, ეჟენ (Forcade, Eugène)
(1820 — 1869) — 478.

ფრენსისი, ჯონ (Francis, John)
(1811 — 1882) — 179, 181.

ფრიდრიხ II (1194 — 1250), იმპე-
რატორი 1212 წლიდან. — 173.

ფუგერები (Fugger) XVI საუკუნის
უმსხვილესი ვაჭრები და ბანკირები. —
549.

ფულარტონი, ჯონ (Fullarton,
John) (1780 — 1849) — 5, 114.

ფურიე, შარლ (Fourier, Charles)
(1772 — 1837) — 183, 366.

შ

შეტტსბერი — იხ. ეშლი.

შმიდტი, კონრად (Schmidt, Con-
rad) (1863 — 1932) — 540, 541.

შტორხი, ჰენრიხ ფრიდრიხ
(Storch, Heinrich Friedrich) (1766 —
1835) — 247, 457, 481, 488.

ჩ

ჩაილდი, ჯოზაია (Child, Josiah)
(1630 — 1699) — 180.

ჩემბერლენი, ჰიუ (Chamberleyne
ანუ Chamberlain, Hugh) (1664 —
1728) — 178.

ჯ

ჯილბერტი, ჯემს ვილიამ
(Gilbart, James William) (1794 —
1863) — 102, 107, 169.

ჯონსი, რიჩარდ (Jones, Richard)
(1790 — 1855) — 370, 397.

ჯონსტონი, ჯემს (Johnston, Ja-
mes) (1796 — 1855) — 197, 262.

ჰ

ჰაინე, ჰენრიხ (Heine, Heinrich)
(1797 — 1856) — 538, 539.

ჰარდკასლი, დანიელ (Hård-
castle, Daniel) — 108, 190.

ჰარინგტონი, ჯემს (Harrington,
James) (1611 — 1677) — 538.

ჰებარდი, ჯონ გელიბრანდ
(Hubbard, John Gellibrand) (1805 —
1889) — 89, 107, 114, 116, 146, 162.

ჰეგელი, გეორგ ფრიდრიხ
ვილჰელმ (Hegel, Georg Friedrich
Wilhelm) (1770 — 1831) — 195, 395.

ჰეიდი, ვილჰელმ (Heyd, Wilhelm)
(1823 — 1906) — 550.

ჰენრიხ VIII (1491 — 1547), მეფე
1509 წლიდან — 189.

ჰერენშვანდი, ჯან (Herrcn-
schwand, Jeahn) (1728 — 1811) — 405.

ჰიულმანი, კარლ დიტრიხ
(Hüllmann, Karl Dietrich) (1765 —
1846) — 173.

შ ი ნ ა რ ს ი

წიგნი მესამე

კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი

ნაწილი მეორე

გ ა ნ ე თ უ რ ი ლ ე ბ ა მ ე ხ უ თ ე

წიგნის დაწყება სარგებლად და მიწარმის უმომავლად. სარგებელმომტანი კაპიტალი. (გაგრძელება)

თავი ოცდამეცხრე. საბანკო კაპიტალის უმავდგენელი ნაწილები	5
თავი ოცდამეათე. ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. I.	21
თავი ოცდამეთერთმეტე. ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. II (გაგრძელება)	44
1) ფულის გადაქცევა სასესხო კაპიტალად	44
2) კაპიტალის ანუ შემოსავლის გადაქცევა ფულად, როკელიც სასესხო კაპიტალად გადაიქცევა	53
თავი ოცდამეთორმეტე. ფულადი კაპიტალი და ნამდვილი კაპიტალი. III. (დასასრული)	57
თავი ოცდამეცამეტე. მიმოქცევის საშუალებანი საკრედიტო სისტემის დროს	77
თავი ოცდამეთოთხმეტე. CURRENCY PRINCIPLE და ინფლისის 1844 წლის საბანკო კანონმდებლობა	110

თავი ოცდამეოთხეუთმეტე. ძვირფასი ლითონი და სათამაშო კაშკაში	133
I. ოქროს მარაგის მოძრაობა	133
II. სათამაშო კურსი	144
სათამაშო კურსი აზიასთან	147
ინგლისის ვაჭრობის ბალანსი	164
თავი ოცდამეოთხეუთმეტე. ტაპიტალიზმადმი ურთიერთობანი	168
სარგებელი შუა საუკუნეებში	189
ეკლესიის სართა სარგებლის აკრძალვისაგან	192

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი ე მ ვ ს ი

დამატებითი მოგების გადაქცევა მიწის რენტად

თავი ოცდამეჩვიდმეტე. წინასწარი შენიშვნები	193
თავი ოცდამეთვრამეტე. დიფერენციული რენტა. ზოგადი შენიშვნები	225
თავი ოცდამეცხრამეტე. დიფერენციული რენტის პირველი ფორმა (დიფერენციული რენტა I)	236
თავი მეორმოცე. დიფერენციული რენტის მეორე ფორმა (დიფერენციული რენტა II)	265
თავი ორმოცდამეერთე. დიფერენციული რენტა II. — პირველი შემთხვევა: წარმოების ფასი მუდმივია	280
თავი ორმოცდამეორე. დიფერენციული რენტა II. — მეორე შემთხვევა: წარმოების ფასი კლავადია	290
თავი ორმოცდამესამე. დიფერენციული რენტა II. — მესამე შემთხვევა: წარმოების ფასი მატებადია	310
თავი ორმოცდამეოთხე. დიფერენციული რენტა დამუშავებულ ყველაზე ცუდ მიწაზე	342
თავი ორმოცდამეხუთე. აბსოლუტური მიწის რენტა	354
თავი ორმოცდამეექვსე. საშენებლო ნაკვეთების რენტა. მალაკოების რენტა. მიწის ფასი	387
თავი ორმოცდამეშვიდე. ტაპიტალიზტური ვიწის რენტის ბანეზისი	399
I. წინასწარი შენიშვნები	399
II. შრომისიკებითი რენტა	409
III. რენტა პროდუქტებით	415
IV. თუღადი რენტა	418
V. საზიარო შეურნეობი და გლეხის პარცელური საკუთრება	425

ბ ა ნ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი უ ვ ი დ ე

უ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი დ ა მ ი ს ი წ ა რ ო ბ ი

თავი ორმოცდამეხრე. სამართიანი ფორმულა	441
თავი ორმოცდამეცხრე. წარმოების პროცესის ანალიზისათვის	464
თავი ორმოცდამეათე. კონსტრუქციით შექმნილი მოჩვენებითობა	489
თავი ორმოცდამეთერთმეტე. ბანაწილივითი ურთიერთობა და წარმოე- ბითი ურთიერთობა	520
თავი ორმოცდამეთორმეტე. კლასიკა	530
ფ. მნგელსი. «ჰაპიტალის» მისამი ტომის დამატებანი	532
I. ღირებულების კანონი და მოგების ნორმა	535
II. ბირჟა	557
«კაპიტალის» მესამე ტომის მეორე ნაწილში მოხსენიებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი	მ. 2

ტექნიკური ვ. ხუციშვილი
კორექტორები { ნ. შიქელაძე
 { ე. ტრიპოლსკაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-1959.
ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆. ნაბეჭდა
თაბახი 35,75. შეკვეთის № 697.
ტირაჟი 25.000.
ფასი 10 მან.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
შთავარბოლიგრაფგამომცემლობის I-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата.
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.